Вопросы истории народов Кавказа

Издательство
„МЕЦНИЕРЕБА"
ТБИЛИСИ • 1966

ჩვენი ხალხის ისტორიის საკითხები

გამომცემლობა
„მეცნიერება“
თბილისი • 1966

9 (с4)
9 (47.9)
ქ 144

წიგნი წარმოადგენს სამეცნიერო წერილების კრებულს, რომლებიც ეხება კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხების ფართო წრეს. აქ წარმოდგენილია გამოკვლევები უპირატესად ამიერკავკასიის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიიდან, გაშუქებულია კულტურისა და სახოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიის საკითხები. ქვეყნდება აგრეთვე ნაშრომები არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, წყაროთმცოდნეობის, ისტორიული გეოგრაფიის, ნუმიზმატიკის დარგში და ა. შ.

კრებულში მონაწილეობს ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის ბევრი ცნობილი მეცნიერი-ქართველოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე.

წერილების ერთი ნაწილი ილუსტრირებულია. კრებულში ქვეყნდება აკად. ნ. ბერძენიშვილის სამეცნიერო შრომების სრული ბიბლიოგრაფია.

სარედაქციო კოლეგია:

ა. აფაქიძე, კ. დონდუა, ნ. დუმბაძე, რ. კიკნაძე, (მთ. რედაქტორის მოადგილე),
გ. მელიქიშვილი (მთ. რედაქტორი), შ. მესხია, გ. ჩიტაია



ეძღვნება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა

აკადემიის აკადემიკოსს

ნიკო ბერძენიშვილს

დაბადების 70 და სამეცნიერო,

პედაგოგიური და საზოგადოებრივი

მოღვაწეობის 50 წლისთავის

აღსანიშნავად



Посвящается

академику

Академии наук Грузинской ССР

Николаю Александровичу

Бердзенишвили

в связи с 70-летием со дня его рождения

и 50-летием научной, педагогической

и общественной

деятельности

სარედაქციო კოლეგიისაგან

1965წლის 12 ივნისს ქართველმა ხალხმა გულთბილად აღნიშნა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 70 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი. წინამდებარე კრებული — „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", შემცველი ნ. ბერძენიშვილის თანამშრომელთა, მოწაფეთა და პატივისმცემელთა გამოკვლევებისა, ნავარაუდევი იყო როგორც საიუბილეო საჩუქარი. მაგრამ, სამწუხაროდ, თვითონ იუბილარი მის გამოქვეყნებას ვერ მოესწრო. საიუბილეო საზეიმო დღის რაღაც თვის თავზე, 1965 წლის 16 ივლისს, ნიკო ბერძენიშვილი გარდაიცვალა.

განსვენებული თითქმის ოცი წლის მანძილზე მეთაურობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს, წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად, ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრას, იყო უცვლელი თავმჯდომარე მისივე თაოსნობით დაარსებული საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებისა. დიდია ნიკო ბერძენიშვილის დამსახურება როგორც ისტორიკოსთა რამდენიმე თაობის აღმზრდელისა.

ნიკო ბერძენიშვილის ინტელექტუალური ცხოვრება, მისი შეუნელებელი ჩაღრმავებული კვლევითი მუშაობის დიდი ნაყოფი — ნაბეჭდი და აწ დასაბეჭდავი პროდუქცია, ხასიათდება სამეცნიერო ინტერესების მრავალფერობით. ის სიტყვით და კალმით ცხოვლად ეხმაურებოდა საქართველოს, კავკასიის ხალხთა ისტორიული წარსულის, მათი ბრწყინვალე თავგადასავლის საკითხებს.

წინამდებარე კრებულის ხასიათი ჩვენი ამაგდარი მოღვაწის მრავალმხრივმა კვლევითმა მისწრაფებებმა განსაზღვრა. იგი ნაწილობრივ შეიცავს დიდი მეცნიერის ჩანაფიქრი თემატიკის განვითარების ცდებსაც. კრებული უთუოდ პასუხობს როგორც სპეციალისტების, ისე ფართო მკითხველი საზოგადოების მაღალ სამეცნიერო ინტერესებს. ავტორები წრფელი გულით უძღვნიან მას დაუვიწყარ მეცნიერის ნათელ ხსოვნას.

ანდრია აფაქიძე

გორა, გორანამოსასლარი, გორასამარხი

ბორცვი და გორა დიდი ხანია იწვევს არქეოლოგთა ინტერესს და, შეიძლება ითქვას, გათხრის უმნიშვნელოვანეს ობიექტებს წარმოადგენენ. ნათქვამი მეტნაკლებად შეეხება თითქმის ყველა მხარეს, მათ შორის ცხადია, საქართველოსაც.

სახელი მცირედ შემაღლებული ადგილისა — ბორცვი — უფრო ძველია, ვიდრე ასეთი ადგილის მეორე სახელწოდება — გორა. ასეა აღნიშნულ სახელთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ქართულ წერილობით ძეგლთა მიხედვით.

ბორცვი ან გორა ეწოდება განსაზღვრული მოყვანილობის მეტ-ნაკლებად შემაღლებულ ადგილს, განურჩეველად მისი წარმოქმნის ხასიათისა, ე. ი. მიუხედავად იმისა, ბუნებრივი წარმოშობისაა ის, თუ ადამიანის ნაკვალევია. ამ რიგის გეოგრაფიულ სახელთა შორის, როგორც ჩანს, ქართულ ხალხურ მეტყველებაში სპარბობენ გ ო რ ა სახელისაგან ნაწარმოები ტოპონიმები. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს რამდენიმე მათგანი: ნაცარგორა, ლომთაგორა, ხოვლეგორა, გორაწმინდა, გორამიწა, კუდიგორი, პაწაგორა, გორაქუდი, გორაკა, გორა-ბერეჟოული, გორისა, გოროვანი, გორმაღალი, გორთუბანი, გორისციხე, სამგორი, გორარი, გორა, გორი, ციხე-გორი. ნახშირგორა, ციხიაგორა, გორიელი, გორახევიღელე, ჯვარული გორა და ა. შ. წარმოშობით გორას უკავშირდება ლიქოკის ხატის დღეობის სახელი — ციხე-გორობა და აგრეთვე, გორისანგელოზობა. ერთი სიტყვით, გორა-დან ნაწარმოებ საბელთა სიმრავლისა და ქართულ მეტყველებაში ძალიან ფართოდ გავრცელების მაგალითები ნამდვილად უამრავია. იგივე არ შეიძლება ითქვას ბორცვის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტერმინი, როგორც ითქვა, დადასტურებულია უძველეს ქართულ ხელნაწერებშიაც კი.

საბასთან ბორცვი და გორა სინონიმებია („ბორცჳ—გორა“, „გორა—მცირე ბორცჳ“)[1]. ბორცვს ირანულ წარმოშობისად მიიჩნევენ და იმ გარემოებას, რომ იგი სხვა კავკასიურ, კერძოდ, ჩაჩნური ჯგუფის ენებში გვხვდება (შდრ. ინგუშ. ბოარზ, ჩაჩნ. ბარც!!ბარზ, წოვ. ბორც) დამაბრკოლებლად კი არა—მხოლოდ საერთო წყაროდან მომდინარეობის მანიშნებლად თვლიან[2]. თ. გონიაშვილს გამორკვეული აქვს, რომ „ჩაჩნ. ბარც!!ბარზ დამოუკიდებლად იშვიათად იხმარება, მაგრამ მეტად გავრცელებულია ტოპონიმიკურ სახელთა წყებაში... ხელოვნურად შემაღლებულ ადგილის — ყორღანის გაგებით“. ამასთანავე, ბორცვისა და ბურც-ძირის ეტიმოლოგიური და სემანტიკური იდენტობა ავტორს

---

1 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928, 43.

2 შ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, I, თ., 1946, გვ. 387—388.

უდაოდ მიაჩნია. „სხვაც რომ არა იყოს რა, — აღნიშნავს თ. გონიაშვილი, — შემთხვევითი არ არის, რომ ერთ ქართულ ხელნაწერში (ასეთი სხვაგანაც დაიძებნება) „ბურცუის ჯუარია“ მოყვანილი. ქართული ბორცვი-ს სემანტიკური მრავალფეროვნება თითქოს მისი ქართულისათვის ორიგინალობის სასარგებლოდ ლაპარაკობს“[3].

ქართულ ტოპონიმიკურ სახელთა წყებაში გორა-საგან ნაწარმოებ სახელთა უპირატესი გავრცელება არ შეიძლება აიხსნას ბორცვი-სა და გორა-ს წარმომავლობით. როგორც ზემოთ ვნახეთ, გორა და მისგან ნაწარმოები წყება ადგილთა სახელებისა ძალიან ფართოდაა ქართულში გავრცელებული — ნაკოსახლართა, საკულტო ადგილთა, სასიმაგრო ნაგებობათა, ნასოფლართა, სოფელთა, მეტ-ნაკლებად შემაღლებულ ადგილთა და, საერთოდ, სხვადასხვა გეომორფოლოგიურ ერთეულთა აღსანიშნავად.

არქეოლოგს, ცხადია, აინტერესებს ბორცვი ან გორა მხოლოდ იმის გამო და იმდენად, რამდენადაც ის წარმოქმნილია ადამიანის მიერ ან მის ნაკვალევს ინახავს; ე. ი. ბუნებრივი წარმოშობის გეომორფოლოგიური ერთეული, რომელიც ადამიანის ნაკვალევს არ ინახავს, არქეოლოგის ინტერესს, როგორც წესი, არ იწვევს, ის არქეოლოგიური კვლევის საგანი არ არის; არქეოლოგიური ძეგლი არ არის.

ზემოთ აღნიშნულ არქეოლოგიურ ძეგლთა კიდევ ერთი, შედარებით ძალიან ახალი სახელწოდება გვხვდება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში; ესაა — ყორღანი (კორღანი, კურგანი ან ყურგანი).

ამრიგად, განსაზღვრული მოყვანილობის მეტ-ნაკლებად შემაღლებულ ადგილს, რომელიც ადამიანის მოქმედების შედეგად არის წარმოქმნილი ან მის ნაკვალევს ინახავს ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ბორცვი, გორა ან ყორღანი ეწოდება. ამ სახელთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ასეთია: ბორცვი (ბორცჳ), გორა, ყორღანი.

ყორღანი თურქული წარმოშობის სიტყვაა. თავიდანვე ის აღნიშნავდა გამაგრებულ ადგილს; შემდეგ — ძველ სამარხზე აღმართულ შემაღლებას, ბორცვს, გორაკს, მიწაყრილს ან ქვაყრილს, ე. ი. არქეოლოგიურ ძეგლთა განსაზღვრულ სახეობას, რომლის აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია: **Hügelgrab** (გერმ.), **Barrow** (ინგლ.), **Tumulus, Tumulosus** (ლათ.), **Tumulus** (ფრანგ.), **Mohyla** (ჩეხ.) და ა. შ.

რუსულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრებული თურქული წარმოშობის ტერმინი Курган რუსული ენის მეშვეობით ქართულშიაც ვხვდება და უკვე შეიძლება ითქვას, საგრძნობლად გავრცელდა, მიუხედავად იმისა, რომ ის სალიტერატურო ქართულში შედარებით ახალშემოსულია.

დამახასიათებელია, რომ სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში ეს ტერმინი არ გვხვდება[4]. არ ჩანს ის ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონშიაც[5]. დავით ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში Курган-ის ქართულ შესატყვისად მიჩნეულია: თაბუცი, ტაგრუცი, მიწაყრილი[6]. ამრიგად, ირკვევა,

---

3 თ. გონიაშვილი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან, „ენიმის მოამბე“, V—VI, თბ., 1940, გვ. 578—579.

4 შდრ. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

5 შდრ. ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

6 Русско-грузинский словарь. Вновь составленный по новейшим русским словарям Д. Чубиновым, СПб., 1886, გვ. 291.

რომ ცნობილ ქართველ ლექსიკოგრაფებს სულხან-საბა ორბელიანს და ნიკო ჩუბინაშვილს ყორღანი და მისთანანი არ შეუტანიათ თავიანთი ლექსიკონების სიტყვანში, ხოლო დავით ჩუბინაშვილს რუსულ სიტყვანში შეტანილი Курган-ის ქართულ შესატყვისად ყორღანი და მისთანანი არ ჩაუთვლია, ე. ი. საკვლევით აშკარაა, რომ ქართულმა ეს თურქული წარმოშობის ტერმინი არ იცოდა უკანასკნელ ხანებამდე.

ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ამ ტერმინის შემოსვლა სათანადო არქეოლოგიურ ძეგლთა გათხრების დაწყებას უკავშირდება.

ყორღანი და მისი სახესხვაობანი ქართულ არქეოლოგიურ (და საერთოდ საისტორიო) ლიტერატურაში ფართო შინაარსისაა. ასე მაგ.: პროფ. გ. ნიორაძისათვის ყორღანი სამარხის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს[7]; აკად. ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით ყორღანი საფლავი თუ სასაფლაო[8]; ასეთივე შეხედულებისაა პროფ. ს. მაკალათიაც[9] და ა. შ. საერთოდაც, ყორღანი ჩვეულებრივ სამარხი ნაგებობის ასოციაციას იწვევს და უმთავრესად ამ გაგებით იხმარება, მაგრამ ძნელი არ არის ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში შეინიშნოს ამ ტერმინის სხვა მნიშვნელობით გამოყენებაც. ასე მაგ., ცნობილ გორანამოსახლარს სოფ. ჭალადიდთან — ნაოხვამუს — ზოგი მკვლევარი ყორღანს ეძახდა. ამასთან დაკავშირებით გ. ნიორაძე მეოთხედი საუკუნის წინ აღნიშნავდა, რომ ნაოხვამუ მრგვალად ამობურცული ადგილია და მას შეცდომით ეძახიან კურგანს ან ყურღანს, რადგან იქ არც სამარხთანა გვაქვს საქმე და არც მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ დაყრილ მიწასთან. ნაოხვამუ ნამოსახლარი ადგილია, რასაც ადასტურებს სხვადასხვა დროის კულტურული ფენების ერთიმეორეზე თანდათანობით განლაგება[10]. ს. მაკალათიას შესაძლებლად მიაჩნდა „ამობორცვილ მაღლობთათვის“ ყორღანი ეწოდებია. როგორც ს. მაკალათიას ნაშრომიდან ჩანს, მდ. პატარა ლიახვის გასწვრივ ს. ნადიმაშვილისა და ს. მაკალათიას მიერ შენიშნული და აღრიცხული „ძველი მაღლობები“ თუ „ამობორცვილი მაღლობები“ სამარხებსაც შეიცავენ; ე. ი. ამ აზრით ყორღანს წარმოადგენენ, მაგრამ ბევრი მათგანი ნამოსახლარია ან მხოლოდ საკულტო ძეგლი[11].

ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს ისეთ შემთხვევებთან, როდესაც განსაზღვრული მოყვანილობის მეტ-ნაკლებად შემაღლებულ ადგილს ყორღანს უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ იქ სამარხის (ან სამარხთა) არსებობა არც კი იგულისხმება.

ამასთანავე, ქართულში ვრცელდება ყორღანთან დაკავშირებული, მისგან ნაწარმოები ტერმინებიც; ასეთია მაგ., ყორღანული (ყორღნული) კულტურა, ყორღნული აკლდამა, ყორღნული (ყორღანული) სამარხი და ა. შ. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ძნელად იკვლევს გზას ფორმები — ყორღნული (ყორ-

---

7 გ. ნიორაძე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, „ენიმკის მოამბე“, X, თბ., 1941, გვ. 323.

8 ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული ღირებულებისა. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 152.

9 შდრ. ს. მაკალათია, ტყვიაის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1943.

10 გ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 323.

11 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

ღნულისა)[12] და მეტწილად ყორღანული გაისმის; ყოველ შემთხვევაში, რომ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი არ იხმარება — აშკარაა.

ამრიგად, ძნელი არ არის დავრწმუნდეთ იმაში, რომ არც საკუთრივ ტერმინია დახვეწილი და არც მისგან ნაწარმოები ფორმები. ამასთანავე, როგორც ვნახეთ, ტერმინი ყორღანი (და მისთანანი) სხვადასხვა სახის არქეოლოგიურ ძეგლთა აღსანიშნავადაც კი გამოიყენება.

ასეთ ვითარებაში საფუძვლიანია დადგეს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებულია დამკვიდრდეს ქართულ არქეოლოგიურ ტერმინოლოგიაში თურქული წარმოშობის ყ ო რ ღ ა ნ ი. საკითხის ასე დაყენების ახალ საბუთს გვაძლევს არქეოლოგიური კვლევა-ძიების პრაქტიკა, სახელდობრ — ინტენსიური შესწავლა არქეოლოგიურ ძეგლთა დიდად მნიშვნელოვანი ჯგუფისა, რომლის საზოგადო სახელად უკანასკნელ წლებში აკად. ნ. ბერძენიშვილმა გ ო რ ა შემოგვთავაზა[13]. ეს ტერმინი ხშირად გვხვდება ქართულ მეტყველებაში, ფართოდაა გავრცელებული გეოგრაფიულ სახელებში და თანაც ისე ფართო არქეოლოგიური შინაარსისაა, რომ მისგან ნაწარმოებ სახელთა შემოტანა ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში მომწიფებულიცაა და კანონზომიერიც.

ქართული გორა უფრო ფართო არქეოლოგიური შინაარსისაა, ვიდრე ცნობილი თ ე ფ ე. გ ო რ ა შინაარსით თ ე ფ ე ს აც ფარავს და ყ ო რ ღ ა ნ ს აც. ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილია არა ერთი შემთხვევა, როდესაც სამარხთა შემცველ შემაღლებას — ბორცვს ხალხი გორას ეძახის. ასე ძაგ., სოფ. ტყვიავში ს. მაკალათიას, თავის დროზე გასათხრელად სამი „ამობორცვილი მაღლობი" ე. წ. ხარისგორა აურჩევია[14]. აქ თავს იჩენს ტერმინი გორა სამარხებთან დაკავშირებით და, აგრეთვე, როგორც საკუთარი სახელი (ხარისგორა) სამარხთა ერთი ჯგუფისა. თითქმის ასეთივე შემთხვევა გვაქვს „სამგორშიაც". გ. ნიორაძის მიერ გათხრილმა გორამ ცხადი გახადა მისი სამარხეული წარმოშობა. ე. ი. გაირკვა, რომ ხალხმა სამარხის თავზე ხელოვნურად წარმოქმნილ ბორცვსაც შეიძლება გორა უწოდოს. ამ შემთხვევაშიც გორა საზოგადო სახელის იერს ატარებს, მაგრამ ის მოულოდნელი არ არის სამარხთა განსაზღვრული ტიპის — საფლავზე გაკეთებული ბორცვის აღსანიშნავად.

რაკი გორა, შეიძლება ითქვას, უპირატესად სხვა სახის ძეგლებს გულისხმობს (ნამოსახლარს, სამლოცველოს, სიმაგრეს), მიზანშეწონილია სამარხმა განსაზღვროს ის. ამ გზით შეიქმნება ახალი ტერმინი — გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი, რომელიც თამამად შესცვლის ყორღანსა და მის სახესხვაობებს.

ამრიგად, არქეოლოგიურ ძეგლთა დიდ ჯგუფს, რომელსაც საზოგადო ტერმინი გ ო რ ა აერთიანებს, გამოეყოფა ერთი — სამარხეული წარმოშობის ნაწილი — გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ე ბ ი. ეს გარემოება, ბუნებრივია, აყენებს გორათა დანარჩენი ნაწილის არქეოლოგიური კლასიფიკაციის საკითხს.

გორათა კვლევის ახლანდელ საფეხურზე შესაძლებელია ამ ჯგუფის ძეგლთა კლასიფიკაციის სქემა ასე წარმოვიდგინოთ:

---

12 შდრ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, თბ., 1962, გვ. 569.

13 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", I, გვ. 19.

14 ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

გ ო რ ა

↓

გორანამოსახლარი

←

გორანასახლარი, გორაციხე, გორასამლოცველო, გორასამარხი, გორასახელოსნო

ამ სქემაში გორა საზოგადო სახელია გარკვეული მოყვანილობის, მეტ-ნაკლებად შემაღლებული არქეოლოგიური ძეგლისა. გორანამოსახლარი ისეთი გორაა, რომელიც ძველი ნამოსახლარის კომპლექსს შეიცავს. ამ კომპლექსში შეიძლება იყოს წარმოდგენილი ძველი მოსახლობის ყველა ელემენტი ან რამდენიმე მათგანი (ორი მაინც). ე. ი. თუ ერთი გორა ნასახლარის კვალსაც ინახავს და სასიმაგრო ნაგებობისასაც, ის გორანამოსახლარია. ასევე, თუ ერთი გორა ნასახლარსაც წარმოადგენს და საკულტო ადგილსაც — გორანამოსახლარია, რადგან მოსახლობის აუცილებელი ელემენტია კულტის ადგილიცა და, რა თქმა უნდა, საცხოვრებელ ნაგებობათა ადგილიც და ა. შ.

თუ გორაზე მხოლოდ ნასახლარია, მხოლოდ სასიმაგრო ნაგებობის კვალია, მხოლოდ კულტის ნიშნებია, მხოლოდ სამარხებია ან მხოლოდ სახელოსნოს ნარჩენები შეინიშნება, მაშინ ეს გორა იქნება შესაბამისად: გორანასახლარი, გორაციხე, გორასამლოცველო, გორასამარხი ან გორასახელოსნო.


ასეთი დაჯგუფება და ტერმინოლოგია მოხერხებულია იმით, რომ ქმნის მკაფიო წარმოდგენას განსახილველი ძეგლის შესახებ: სახელდობრ, გვიჩვენებს ძეგლის ხასიათს (სამარხეულია, საკულტოა, სახელოსნოა თუ სხვ.) და წარმოდგენას ქმნის მისი აღნაგობის შესახებაც (მორფოლოგიურად ის გორაა). ამასთანავე, მყარი საფუძველი ჩნდება ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის დახვეწისათვის.

უველაფერი ეს, ჩემი აზრით, საფუძველს გვაძლევს ფართოდ განვიხილოთ აქ აღძრული საკითხები, რაც ხელს შეუწყობს გორათა კლასიფიკაციის დაზუსტებას, ტერმინთა შემდგომ დახვეწას და სათანადო ადგილს მიუჩენს გორას და მისგან წარმოებულ სახელებს ქართულ არქეოლოგიურ ტერმინოლოგიაში.

ოთარ ჯაფარიძე

შენიშვნები ზურტაკეტის ყორღანების ნიშნიანი ქვების შესახებ

1959 წლიდან თბილისის უნივერსიტეტისა და ხელოვნების მუზეუმის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია სამუშაოებს აწარმოებს გომარეთის პლატოზე, ზურტაკეტში[1]. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ექსპედიციის მიერ შესწავლილი სამი დიდი ყორღანი „დასაკრძალავი დარბა-



სურ. 1

ზით"[2]. სამივე ყორღანის „დასაკრძალავი დარბაზის" კედლების ზოგიერთ ქვაზე აღმოჩნდა ამოკაწრული ნიშნები. არავითარი კანონზომიერება ამ ქვების

---

[1] ო. ჯაფარიძე, ზურტაკეტის ყორღანები, „საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. XXXI, № 1, თბ., 1963, გვ. 247.


[2] О. М. Джапаридзе, Археологические раскопки в Триалети в 1959—1962 гг., „Советская археология", № 2, М., 1964, გვ. 102.

განლაგებისა კედლებში არ შეინიშნებოდა. ნიშნიანი ქვები გვხვდება სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა მანძილით დაშორებული, ნაირი ზომისა და სხვ.

№ 3 ყორღანში აღმოჩნდა 60-ზე მეტი ნიშნიანი ქვა, № 4 ყორღანში 117 ქვა, № 6 ყორღანში კი — 78.


ნიშნები ქვებზე სხვადასხვა სიძლიერითაა ამოკაწრული. ზოგიერთი ნაკაწრი ღრმა და ფართო ხაზებითაა შესრულებული, ზოგიც უფრო სუსტად არის გამოხატული. ნაკაწრები უპირატესად ფილაქვებზე გვხვდება. უფრო იშვიათად ნიშნები რიყის ქვებზეც არის დატანილი. როგორც ჩანს, ნიშნები ქვებზე ძირითადად შესრულებული უნდა ყოფილიყო კედლის წყობის ამოყვანამდე. ზოგ შემთხვევაში ნიშნიანი ქვა კედლის წყობის პირველ რიგშია მოქცეული. ასეთ ქვებზე ნიშნების ამოკაწვრა მისი წყობაში დატანის შემდეგ ძალზე ძნელი იქნებოდა.

ნიშნები სხვადასხვა ხასიათისა გვხვდება. ყველაზე გავრცელებული მოტივია ურთიერთ მკვეთი ხაზები. ხშირად ურთიერთ მკვეთი ხაზებით შექმნი-



სურ. 2


ლი სურათი აბსტრაქტულ-სქემატური ხასიათისაა და ძნელია რაიმეს გარკვევა (სურ. 1). ზოგ შემთხვევაში ურთიერთგადამკვეთი ხაზები ოთხკუთხედებს, სამკუთხედებს ან რომბებს ქმნიან და შემდეგ კიდევ დამატებითი ხაზებია, რომლებიც უწესრიგოდაა განლაგებული და რაღაც გეომეტრიულ ფიგურებს გამოხატავენ. ერთ ქვაზე ხშირად სხვადასხვაგვარი რთული გეომეტრიული მოტივია გამოსახული (სურ. 2). ზოგ შემთხვევაში ურთიერთ მკვეთი ხაზები მეტ-



სურ. 3


ნაკლებად წესიერი კვადრატების ან რომბების ბადეებსა ქმნიან. ეს მოტივი საკმაოდ ხშირია. ბადეები სხვადასხვა ზომისაა. ზოგჯერ კვადრატები ან რომბები დიდი ზომისაა, ზოგჯერ კი უფრო წვრილი (სურ. 3). ხშირია აგრეთვე

პორიზონტალურად ან ვერტიკალურად განლაგებული ტეხილი ხაზები (სურ. 4). გვხვდება აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის ფხური ორნამენტი[3], ცალკე ან სხვა



სურ. 4


მოტივებთან ერთად (სურ. 5). ხშირია სამკუთხედები სხვადასხვა ხასიათისა: ზოგჯერ სამკუთხედები ჩარჩოშია ჩასმული და ვერტიკალურად ან ჰორიზონ-



სურ.


[3] О. М. Джапаридзе, Археологические раскопки в Триалети в 1959—1962 гг., 2, рис. 18.

ტალურადაა განლაგებული (სურ. 6). ზოგ შემთხვევაში სამკუთხედები ორფა ან
ამფაა. უნდა შევნიშნოთ, რომ უფრო ხშირად ერთ ქვაზე სხვადასხვა ხასია-




სურ. 6

თის მოტივია გადახლართული. აღსანიშნავია კიდევ რამდენიმე ნიშანი. რომე-
ლიც უფრო იშვიათად გვხვდება. ერთ-ერთ ყორღანში აღმოჩნდა ერთი ქვა,



სურ. 7


რომელზედაც სხვადასხვა ნიშნებთან ერთად გვხვდება აგრეთვე ჭადრაკული
მოტივი (სურ. 7). აღსანიშნავია ქვა, რომელზედაც ურთიერთ მკვეთი ხაზებით



სურ. 8

არაწესიერი სწორკუთხედები და სამკუთხედებია გამოსახული და ზოგიერთ
მათგანში სხვადასხვა რაოდენობის ჭდეებია ამოყვანილი (სურ. 7). ერთ ქვაზე

გამოსახულია ორფა რომბების ერთი მწკრივი (სურ. 9). აღსანიშნავია ორი ქვა, რომლებზედაც თითქოს გამოსახულია სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი, სახლი (სურ. 10).




სურ. 9

ზოგჯერ ქვაზე გვხვდება ვერტიკალური ოუ ირიბი ხაზები სხვადასხვა რაოდენობით. ზოგ შემთხვევაში ასეთივე ხაზები შეინიშნება იმ ქვებზედაც,



სურ. 10

რომლებზეც სხვა გამოსახულებაა მოცემული (სურ. 11). შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში აღრიცხვითი ხასიათის ნიშნებთან გვქონდეს საქმე. რა თქმა




სურ. 11

უნდა, ძნელია ყველა იმ ნიშნის გადმოცემა, რომლებიც ყორღანების „დასაჯრძალავი დარბაზების“ კედლის ქვებზე გვხვდება. ზოგ შემთხვევაში მართლაც


შეიძლება დავინახოთ ფრინველის, ცხოველის თუ სხვა რაღაც გამოსახულება, მაგრამ ნახატი იმდენად სქემატურია, რომ გარკვევით რაიმეს თქმა ჭირს. მხოლოდ ოთხ ქვაზეა აშკარად ცხოველი გამოსახული.

№ 3 ყორღანის „დასაკრძალავი დარბაზის" აღმოსავლეთის კედლის სამხრეთ ნაწილში გრაფიკული მანერით გამოსახულია ცხოველი. ნახატი სქემატურია, ასე რომ ძნელია გარკვევით თქმა, თუ რა ცხოველია გამოხატული. როგორც ჩანს, გადმოცემული უნდა იყოს ხარის გამოსახულება (სურ. 12). ცხოველი მარჯვენა პროფილშია, მისი ტანი გადმოცემულია მოგრძო, თითქმის პარალელურად განლაგებული ორი ხაზით. გავის ნაწილი მომრგვალებულია და ზეით ოდნავ აშვერილი მოკლე კუდი აქვს. ცხოველის თავი წაგრძელებულია, რომელზედაც აღმართულია ოდნავ მარჯვნივ გადმოხრილი ორი პარალელური ხაზი, რომლებიც ალბათ რქებს გამოსახავენ. ცხოველის ფეხები გადმოცემულია ტანის ორივე ბოლოზე წყვილ-წყვილი ვერტიკალური ხაზების საშუალებით. ქვაზე კიდევ შეინიშნება არამკვეთრად გამოსახული ხაზები.



სურ. 12


ამავე ყორღანში აღმოჩნდა მეორე ქვა, რომლის მარცხენა ნაწილში ჩარჩოში ჩასმული პატარა ზომის ცხოველია გამოსახული. მოჩანს მხოლოდ ცხოველის ტანი და ოთხივე ფეხი... ამ ქვის დანარჩენ ნაწილზე მოცემულია რთული გამოსახულება ურთიერთმკვეთი ხაზების, ტეხილი ხაზების ვერტიკალურად დაშვებული ხაზებისა და სხვ. (სურ. 13).



სურ. 13

განსაკუთრებით საინტერესოა 1963 წ. გათხრილ № 6 ყორღანში აღმოჩენილი ორი ქვა. ერთი მათგანი ნაპოვნი იყო სამხრეთის „ბურჯზე" პირქვე დამხობილი. რატომ აღმოჩნდა ეს ქვა აქ და საერთოდ რას წარმოადგენდა

ივი, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ იგი კედლის წყობის ქვა არ იყო. ქვა ორფერდაა და გამოსახულება ორივე ფერდზე გვხვდება. ცალ ფერდზე გამოსახულია ირემი, მარცხენა პროფილში, რომელიც მოთავსებულია ორ პარალელურ ხაზს შორის. მისი ტანი შემოხაზულია გრძელი სწორკუთხედით, რომლის მარჯვენა ზედა კუთხე მომრგვალებულია და გავას გამოხატავს, რომლის ბოლოზე მოკლე კუდია; კისერი კი მაღლაა აშენილი. ორი რქა, ისევე როგორც წყვილ-წყვილი ვერტიკალური ფეხები, გადმოცემულია სწორი ხაზის საშუალებით. ორივე რქიდან დაშვებულია პარალელური ხაზები, რომლებიც ტოტებს უნდა გამოხატავდეს. ჩლიქები გადმოცემულია პატარა ჯდეების საშუალებით. ცხოველის სახე დაზიანებულია. გამოსახულება სქემატურია და გრაფიკულად გადმოცემული. სხეულის ზედაპირი ნაკოდია და ამით გამოიყოფა საერთო ფონიდან.



სურ. 14

ირმის გამოსახულების ქვეით ორი ორნამენტული ზოლია: ერთი ვიწრო, მეორე კი უფრო ფართო. ვიწრო, ზედა ზოლის ზედაპირი გაყოფილია შუაზე ჰორიზონტალური ხაზით, რომლის ქვემოთ შექმნილი ლენტისებრი არე შევსებულია სხვადასხვა მიმართულებით განლაგებული ხაზების ბადით, ზედა კი — სამკუთხედებით, რომლებიც აგრეთვე ამოვსებულია ბადით.


ქვედა ორნამენტული ზოლი სქემატურ-გეომეტრიულ სახეს ქმნის: შუაზე სამი ვერტიკალური ხაზით გამოყოფილი სწორკუთხედები დაფარულია უწესო ხაზების ბადით. მის მარჯვნივ და მარცხნივ გადმოცემული ჯვრისებური გამოსახულებაა: ორ პარალელურ ხაზს შორის ვერტიკალურად განლაგებული სამი რომბი ბადითაა ამოვსებული, სწორკუთხა მკლავები კი ირიბი ხაზითაა დაფარული (სურ. 14).

ამ ქვის მეორე ფერდი დაფარულია არამკვეთრად გამოსახული ურთიერთმკვეთი ხაზებით შექმნილი ბადით.

ამავე ყორღანში აღმოჩნდა მეორე ქვა, რომლის ერთ-ერთ წახნაგზე მეტად საინტერესო გამოსახულებაა. დაახლოებით შუა ნაწილში გამოსახულია მეტად სქემატურად ცხოველი, როგორც ჩანს, თხა. მისი ტანი ერთი ჰარიტანული ხაზითაა გადმოცემული, რომლის ორივე ბოლოდან ეშვება წყვილ-წყვილად ვერტიკალური ხაზებით გადმოცემული ფეხები. ჰორიზონტალური ხაზის

მარცხენა ბოლოზე აღმართულია ორი თითქმის პარალელურად განლაგებული მოხრილი ხაზი — რქები (სურ. 15).

გამოსახულების მარცხნივ მოცემულია ვერტიკალურად დაშვებული ორი ტეხილი ხაზი. დაახლოებით ამგვარივე ორი ტეხილი ხაზია აგრეთვე მარჯვენა მხარეზეც, შემდეგ მოდის ერთი ვერტიკალური ხაზი, რომლის იქითაც არაწესიერი რომბული ბადით შევსებული არეა. თავს ქვემოთ გამოსახულია რაღაც ნიშანი. ნიშნები ჩანს აგრეთვე ცხოველის ტანზე. გვის ზემოთ ვერტიკალური ხოლებია მოცემული.



სურ. 15

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვაზე მოცემული გამოსახულება მთლიანად რაღაც გარკვეულ აზრს უნდა გადმოსცემდეს და, საფიქრებელია, რომ ცალკეული გამოსახულებები ერთმანეთთანაა შინაარსობლივად დაკავშირებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში სამარხის კედლებზე ნიშნების დატანების მაგალითები დღემდე ცნობილი არ არის. ბ. კუფტინს, როგორც ჩანს, წალკის პლატოზე შესწავლილ „დასაკრძალავ დარბაზიან“ ყორღანებში არ შეუნიშნავს კედლებზე რაიმე ნიშნების არსებობა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიის დოლმენების კედლებზე აღმოჩნდა ამოკაწრული ნიშნები: უპირატესად ვერტიკალურად დაშორებული ტეხილი ხაზების რამდენიმე რიგი, რომლებიც შეინიშნებოდა ძირითადად დოლმენების კედლების შიდა პირზე[4].

კავკასიაში სამარხის კედლებზე ნიშნების აღმოჩენის ფაქტი დამოწმებული იყო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. მთიან ყორღანში, ხოჯალის ყორღანების გათხრებისას ე. რესლერს გვიანბრინჯაოს ხანის ერთ-ერთი ყორღანის ქვის ფილებზე შეუნიშნავს რაღაც ამოკაწრული[5] ნიშნები. 1926 წ. ეს ყორღანი ინახულა ი. მეშჩანინოვმა[6]. იგი აღნიშნავს, რომ ისინი შესაძლოა უკვე იდეო-

[4] Е. Д. Фелицын, Западно-Кавказские дольмены, МАК, 9. М., 1904, გვ. 31, სურ. 15; A. M. Tallgren, Sur les monuments megalithiques du Caucase Occidental, ESA, IX, Helsinki. 1934; გვ. 11, სურ. 8, 9, 10, 12, 13.

[5] E. Rösler, Ausgrabungen bei Chodshali, 1895, Zeitschift für Ethnologi Vorhandlungen, Bd. XXVIII, Berlin, 1896, გვ. 86.

[6] И. И. Мещанинов. Краткие сведения о работе археологической экспедиции в Нагорный Карабах и Нахичеванский край, „Сообщения ГАИМК“, т.1, Ленинград, 1926, გვ 225.

გრაფიული ფუნქციის მატარებელი ყოფილიყო[7]. ეს ნიშნები რამდენადმე ვაბსხვავებული ხასიათისაა, ვიდრე ზურტაკეტის ყორღანებში აღმოჩენილი ნიშნები. ამ უკანასკნელებთან თითქოს უფრო ახლო დგას სოფ. ყაზახბეილის (ყაზახის რაიონი) მახლობლად გათხრილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბორცვზე აღმოჩენილი ფილა, რომლის კედლებზე დატანილი იყო გეომეტრიული ხასიათის ნიშნები[8]. ფილა მსგავსი ნიშნებით აღმოჩნდა გარგარჩაის მახლობლად მდებარე ყორღან № 1 და აგრეთვე სოფ. ქიჩიქ დაჰნესთან[9]. აზერბაიჯანში მსგავსი ნიშნები გვხვდება აგრეთვე კობისტანში, სადაც კლდეზე ნაკვეთი ცხოველებისა, ადამიანის და სხვადასხვა სცენების გამოსახულებების გვერდით აღმოჩნდა აგრეთვე გეომეტრიული ფიგურები[10].

უნდა აღინიშნოს, რომ სამარხის ქვის კედლებზე სხვადასხვა ხასიათის ნიშნების დატანების ფაქტები ცნობილია აღმოსავლეთ ევროპაში საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან. განსაკუთრებით საინტერესოა ა. ბობრინსკის მიერ 1905 წ. უკრაინაში სოფ. ვერბოვკას მახლობლად გათხრილი № 1 ყორღანი, სადაც, ქვების გარეთა პირზე აღმოჩნდა ამოკაწრული სახეები[11]. აქ გვხვდება გეომეტრიული ხასიათის მოტივები (ტეხილი, ურთიერთმკვეთი, კლაკნილი ხაზები, კვადრატები და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ამ ყორღანის ქვებზე აღმოჩენილ ნიშნებსა და ზურტაკეტის ყორღანების გამოსახულებებს შორის ბევრი საერთოა. არც ვერბოვკას ყორღანში შეინიშნებოდა რაიმე სისტემა ამ ნიშნიანი ქვების განლაგებისა. იმის გამო, რომ ერთმანეთის გვერდით მდგომ ქვების შემკულობას შორის დიდი სხვაობა იყო, ა. ბობრინსკი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ შესაძლოა ეს ქვები თავდაპირველად წარმოადგენდნენ საცხოვრებლის კედლის ქვებს, სადაც ისინი გვერდიგვერდ იდგნენ. შემდეგ კი სამარხის აგების დროს ქვების განლაგება დაირღვა[12]. ფორმოზოვი ვერბოვკას ყორღანს მიაკუთვნებს III ათასწლეულის მეორე ნახევარს[13]. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ნიშნებთან ახლო დგას უკრაინაში აღმოჩენილი კლდეზე ნაკვეთი გეომეტრიული ხასიათის გამოსახულებები[14].

---

[7] И. И. Мещанинов, Закавказские иероглифы. „Сообщения ГАИМК", 3—4, 1932. გვ. 53.

[8] С. М. Казиев, Об археологических и исторических памятниках Казахского и Акстафинского районов. „Материальная культура Азербайджана", т. 6, Баку, 1962, გვ. 14, სურ. 1.

[9] იქვე, გვ. 144.

[10] И. М. Джафарзаде. Наскальные изображения Кобыстана в Азербайджане. „Материалы по истории Азербайджана", т. 2, Баку, 1957, გვ. 110.

И. К. Верещагин и Н. О. Бурчак-Абрамович, Рисунки на скалах юго-восточного Кабристана, „Изв. Всесоюзного географического общества", т. 80, вып. 5, 1948, გვ. 512, სურ. 5, 9.

[11] А. А. Бобринский, Отчет о раскопках в Чигиринском уезде Киевской губ. в. 1905 г., Изв. археологической комиссии, вып. 20, СПб., 1906. გვ. 14.

А. Л. Формозов, Изображение на плитах кромлеха из кургана у с. Вербовке, КСИА АН УССР, вып. 5, Киев, 1955, გვ. 72.

[12] А. А. Бобринский, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

[13] Л. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

[14] М. Я. Рудинский, К вопросу о наскальных изображениях каменной могилы, КСИА, АН УССР, Киев, 1955, გვ. 67, სურ. 3.

ქვის სამარხები, შემკული გეომეტრიული ხასიათის სახეებით. საკმაოდ ადრეული ხანიდან ცნობილია აგრეთვე დასავლეთ ევროპაში[15]. საინტერესოა 1952 წ. ჰალეს მახლობლად გათხრილი ყორღანი შიგ ჩადგმული ქვის სამარხით, რომლის ყველა კედელი შიგნიდან მთელ ფართზე შემკული იყო გეომეტრიული ხასიათის ამოკაწრული ორნამენტით: ტეხილი ხაზები, ფხური ორნამენტი, სამკუთხედები და სხვ.[16]. განსაკუთრებით უახლოვდება ჩვენს ნიშნებს ერთი ამოკაწრული ქვა ჰორნბურგიდან[17]. ავტორები ფიქრობენ, რომ შესაძლოა ეს გამოსახულება სამარხის კედლების შემკობის მიზნით იყო დატანილი და „ხალიჩის" როლს ასრულებდა. C_{14} მეთოდით ჰალეს ყორღანი III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. სამარხის ქვებზე დატანილი ნიშნები ცნობილია სხვაგანაც ადრეული პერიოდიდან[18].

ძნელია ახლა გარკვევით თქმა თუ რას უნდა წარმოადგენდნენ ზურტაკეტის ყორღანების „დასაკრძალავი დარბაზების" კედლის ქვებზე დატანილი ნიშნები. საქმე ისაა, რომ თვით ეს ნიშნები სხვადასხვა სახისაა, მრავალგვარია. ზოგიერთ ნიშანს შესაძლოა მართლაც წმინდა დეკორატიული, ორნამენტული ხასიათი ჰქონდა. ზოგჯერ ძალიან წმინდად, გამოყვანილია სხვადასხვა მოტივები და ზოგი მათგანი თითქოს იმეორებს კიდეც იმ ორნამენტულ სახეს, რომელიც გვხვდება ამავე ყორღანებში აღმოჩენილ ჭურჭელზე და საერთოდ „თრიალეთური" კულტურის კერამიკაზე.

ზოგიერთი ნიშანი ეგებ მართლაც აღრიცხვითი მნიშვნელობის იყოს. ვერტიკალურად დაშვებული ხაზები, ჰორიზონტული ხაზები, უჯრედები, ურთიერთ მკვეთი ხაზებისაგან შემდგარი ბადეები და სხვ. შესაძლოა დაკავშირებული იყო აღრიცხვის წესთან[20]. ნიშანდობლივია, რომ ყველაზე ხშირად გვხვდება სწორედ ამ ხასიათის ნიშნები. ისეთი რთული და შრომატევადი სამუშაოს ჩასატარებლად, როგორიც ზურტაკეტის დიდი ზომის ყორღანების აგება იყო, სწორ აღრიცხვას უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. მით უმეტეს, რომ ეს სამუშაო ალბათ საკმაოდ დიდ დროსა და მშენებელთა დიდ კოლექტივს მოითხოვდა. უნდა შევნიშნოთ, რომ აქვე გათხრილ უფრო მომცრო ზომის ყორღანებში „დასაკრძალავი დარბაზებით" ნიშნიანი ქვები არ გვხვდება. არ შეინიშნებოდა ამგვარი ქვები აგრეთვე წალკის პლატოზე გათხრილ „დასაკრძალავ დარბაზიან" ყორღანებზედაც. შესაძლოა ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ყორღანები გაცილებით უფრო მომცრო ზომისა იყო და ეგებ აღრიცხვას არ საჭიროებდა, ალბათ იმიტომ, რომ მათ აგებაში გარკვეული ჯგუფი, ერთი გვარი მონაწილეობდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზოგი ნიშანი მშენებლობაში მონაწილე გარკვეული ჯგუფის აღმნიშვნელი იყო, ზოგიც, ეგებ, ცალკეული პიროვნებისა. კრეტაზე III ათასწლეულის ბოლოს საგმშენებლო ქვებზე გვხვდება, ქვის მთლელთა აღმნიშვნელი ხაზოვანი ნიშნები[21]. საფიქრებელია,

---

[15] H. Bohrens. P. Fasshauer, N. Kichner, Ein neues innenverziehrtes Steinkammergrab der Schnurkeramik aus der Dölauer Heide bei Halle (Saale), Jahresschrift für Mitteldeutsche Vorgeschichte, Bd. 40, 1956, Halle (Saale), 1956, გვ. 38.

[16] იქვე, გვ. 25.

[17] იქვე, ტაბ. I.

[18] იქვე, გვ. 17.

[19] Д. Дирингер, Алфавит, М., 1963, გვ. 38.

[20] შ. ამირანაშვილი, ქართული კულტურის აკვანთან, გაზ. „კომუნისტი", 1961 წ., 2 დეკემბერი.

[21] Д. Дирингер, Алфавит, გვ. 95.

რომ ზურტაკეტის დიდ ყორღანთა მშენებლობაში მონაწილეობდნენ ერთი ტომის სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები. შესაძლოა, რომ ზოგი ნიშანი ცალკეული გვარის აღმნიშვნელი ყოფილიყო.

უთუოდ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვაზე ამოკვეთილი ნიშანი ძალიან ახლო დგას ურის სამეფო სამაროვნის თხრილებში აღმოჩენილ თიხის ნატეხებთან, რომელზედაც სხვადასხვა გამოხატულებები გვხვდება. სითხისათვის განკუთვნილ ჭურჭელის პირს თიხით ლესავდნენ და იმის გამო, რომ არ გაეხსნათ იგი, შემდეგ საბეჭდავით ბეჭდავდნენ[22]. სწორედ ამ ანაბეჭდებს წარმოადგენდნენ თიხის ნიშნიანი ფრაგმენტები. გამოსახულებები სხვადასხვა ხასიათისაა. ჩვენთვის განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ფრაგმენტებზე მოცემული აბსტრაქტულ-გეომეტრიული სახეები[23], აქაც გვხვდება ურთიერთმკვეთი ხაზები, ვარსკვლავები, ტეხილი ხაზები და სხვა სახეები. რომლებიც ბევრ საერთოს პოულობენ ზურტაკეტის ყორღანების ნიშნებთან. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ანაბეჭდების შესახებ გამოთქმულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ისინი პიქტოგრამებს წარმოადგენენ და წინა საფეხურს შუმერული დამწერლობისა. ზოგი ნიშანი შესაძლოა მესაკუთრის სახელის აღმნიშვნელი იყოს[24].

განსაკუთრებით აღსანიშნავია „დასაკრძალავი დარბაზების“ კედლის წყობის ის ქვები, რომლებზედაც ცხოველების გამოსახულებებია მოცემული. როგორც აღნიშნული გვქონდა, გამოსახულებები სქემატურია, სტილიზებული. თავისი ხასიათით ეს გამოსახულებები საგრძნობლად განსხვავდება თრიალეთის ამავე პერიოდის მასალებში კარგად ცნობილი ცხოველთა გამოსახულებებისაგან (ვერცხლის თასი, სარწყული და სხვ.), სადაც გამოხატულება უფრო რეალისტური ხასიათისაა[25]. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ჩვენში მეტნაკლებად რეალისტური სახეების გვერდით არსებობს სტილიზებული სურათებიც. სტილიზებული სახეების შექმნის ტენდენცია ჩვენში საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან შეინიშნება — ქვაცხელების დიადემაზე მოცემული გამოსახულება[26], ამირანის გორის[27] და ოზნის[28] თიხის ჭურჭელულობაზე ფრინველების სახეები უკვე სქემატურ-სტილიზებული ხასიათისაა. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია ბრინჯაოს ხანის მომდევნო საფეხურზეც გრძელდება და მის გვიანდელ სტადიაზე უკვე საკმაოდ მძლავრად იკიდებს ფეხს.

ზურტაკეტის ყორღანში დარბაზის კედლებზე მოცემული ცხოველების გამოსახულებები გარკვეულ მსგავსებას პოულობენ აზერბაიჯანში, კობისტანში კლდეზე ნაკვეთ ცხოველთა სახეებთან. როგორც ჩანს, ეს სურათები სხვადასხვა დროს მიეკუთვნება და სტილისტურად სხვადასხვა ხასიათისაა[29]. მეტნაკლებად რეალისტური სახეების გვერდით გვხვდება კონტურული, სტილიზე-

---

[22] L. Legrain, Archaic seal-impressions, New-York, 1936, გვ. 1.

[23] იქვე, გვ. 3, ტაბ. 3, № 50—53; ტაბ. 4 და 5.

[24] იქვე, გვ. 5.

[25] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

[26] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, I, თბ., 1962. გვ. 42, ტაბ. XXXVI.

[27] ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963, სურ. 3.

[28] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბ., 1961, ტაბ. V, 5.

[29] И. М. Джафарзаде, Наскальные изображения Кобыстана в Азербайджане,

ბული გამოსახულებები[30]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჯობისტანის გამოსახულებების ძირითადი მასა შესაძლოა დამწერლობის ნიმუშები ყოფილიყო[31] და ჩატარებულია ცდა მათი ამოკითხვისა[32]. მსგავსი სურათები აღმოჩენილია გ. ასლანოვის მიერ აფშერონზეც, შუვალონში.

გარკვეული მსგავსება შეინიშნება აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ დაღისტანში აღმოჩენილ კლდეზე ნაკვეთ გამოსახულებებთან. აქაც გვხვდება სტილიზებული გამოხატულება ცხოველისა. როგორც ფიქრობენ, დაღისტნის კლდეზე ნაკვეთი სურათები უნდა მიეკუთვნებოდეს II ათასწლეულის შუა ხანებსა და მის მომდევნო პერიოდს[33].

შესაძლოა, რომ ზურტაკეტის ყორღანების ზოგიერთ ნიშნიან ქვაზე უკვე აზრის გადმოცემის, დამწერლობის ცდასთან გვქონდეს საქმე. არ არის გამორიცხული, რომ ზოგ მათგანს უკვე პიქტოგრაფიული თუ, ეგებ იდეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც ჩანს, ჩვენში გარკვეული ნიშნებით აზრის გადაცემის ცდას უფრო ადრინდელ საფეხურზედაც ჰქონდა ადგილი. პროფ. ბ. კუფტინი ოზნში აღმოჩენილ ერთ-ერთ თასზე გამოხატული ნიშნების შესახებ აღნიშნავდა, რომ აქ შესაძლოა საქმე გვქონდეს უძველესი დამწერლობის ცდასთან. მისი აზრით, ეს ნიშნები მოგვაგონებენ პროტოელამურ დამწერლობას[34]. ამირანის გორაზე აღმოჩენილ ერთ-ერთ თიხის ჭურჭელზე დატანილი ნიშნების შესახებ პროფ. შ. ამირანაშვილი აღნიშნავდა, რომ ეს ნიშნები უთუოდ არქაული ხანის დამწერლობას ეკუთვნის და რომ ისინი პიქტოგრამის ხასიათს ატარებენ. იგი ამ ნიშნებს უკავშირებს მესოპოტამიის უძველეს დამწერლობას[35]. ტ. ჩუბინიშვილი ამირანის გორას ჭურჭლებზე მოცემულ გამოსახულებას უახლოებს ჯემთედ-ნასრის გვიანდელი პერიოდის საბეჭდავებზე გამოტანულ ნიშნებს[36]. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ ჭურჭლებზე მოცემული სახეები გარკვეულ მსგავსებას პოულობენ ზურტაკეტის ყორღანების ზოგიერთ ნიშნებთან.

როგორც ცნობილია, თიხის ჭურჭელს, რომელზეც სხვადასხვა ხასიათის ნიშნებია დატანილი, სხვაგანაც საკმაოდ ადრინდელი პერიოდიდან ეხვდებით[37]

[30] Н. К. Верещагин и Н. О. Бурчак-Абрамович, დასახ. ნაშრომი, გვ. 513—514.

И. М. Джафарзаде, Наскальные изображения Кобыстана, Тезисы докладов. Сессия посвященная итогам археологических работ в 1963 г., Баку, 1964, გვ. 10.

И. М. Джафарзаде, Наскальные изображения Кобыстана, тезисы докладов, конференции по археологии Кавказа, состоящейся в Ереване в октябре 1956 г. გვ. 22.

[31] И. М. Джафарзаде, Наскальные изображения Кобыстана в Азербайджанской ССР, გვ. 113.

[32] Н. И. Рзаев, О пиктограммах древнего Азербайджана. „Искусство Азербайджана", 10, Баку, 1964, გვ. 61.

[33] В. И. Марковин, Археологические памятники в районе с. Капчигай Дагестанской ССР, „Советская археология", т. 20, М., 1954, გვ. 341.

В. И. Марковин, Древние изображения на скалах в районе г. Буйнакска, „Материалы по археологии Дагестана", т. 2. Махачкала, 1961, გვ. 128.

[34] ბ. კუფტინი, ქართული კულტურის უძველესი ცენტრი თრიალეთში, თბ., 1949, გვ. 16.

Б. А. Куфтин, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб., 1948, გვ. 33.

[35] შ. ამირანაშვილი, საქართველოში ნაპოვნი არქაული ხანის დამწერლობის ნიმუშები. გაზ. „კომუნისტი", 1961, 2 დეკემბერი.

[36] ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, გვ. 90.

[37] Е. Ю. Кричевский, Орнаментация глиняных сосудов у земледельческих племен неолитической Европы, „Ученые записки ЛГУ", Ленинград, 1949, გვ. 74.

და გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ აქ თავისებური ხასიათის დამწერლობის ცდებთან უნდა გვქონდეს საქმე[38]. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლების შესახებ, რომლებზედაც ამოკაწრული იყო ნიშნები, აკად. მ. მეშჩანინოვი აღნიშნავდა, რომ აქ შეიძლება დავინახოთ თავისებური დაწერილობის ნიშნები, პიქტოგრამის ხასიათისა, რომლებსაც ჯერ კიდევ ალბათ ვიწრო, ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა[39].

არ არის გამორიცხული, რომ ჩვენში უკვე III ათასწლეულიდან მოკიდებული გარკვეული ცდები იყო დამწერლობის სისტემის შექმნისა. როგორც ცნობილია, ეს ის პერიოდია, როდესაც ძალიან ახლო ურთიერთობაა ძველაღმოსავლურ სამყაროსთან. სწორედ ამის შედეგად შეინიშნება ჩვენში აღმავლობა მთელ რიგ დარგებში. შესაძლოა, რომ აქედან, სხვასთან ერთად, შემოდის აგრეთვე იდეა დამწერლობისა. წინააზიურ მასალებთან გარკვეულ მსგავსებასთან ერთად, შეინიშნება საგრძნობი განსხვავებაც. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენში იყო ცდა საკუთარი დამწერლობის სისტემის შექმნის. ნიშანდობლივია, რომ ლურსმულმა დამწერლობამ ვერ მოიკიდა ფეხი ჩვენში. მაგრამ ამ იდეამ შემდგომში, ჩანს, რომ ვერ ჰპოვა სათანადო განვითარება. ძვ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში „თრიალეთურ" კულტურაში, რომელიც ამ პერიოდში განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს აღწევს, ჯერ ისევ თითქოს ცოცხლობს დამწერლობის იდეა. შესაძლოა, დამწერლობის ეს სახე ძირითადად „თრიალეთური" კულტურის ფარგლებში იყო გავრცელებული და მას ადგილობრივი, ვიწრო მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორც ჩანს, ჩვენში საზოგადოების განვითარება ისე წავიდა, რომ შეფერხდა ამ მოვლენის შემდგომი განვითარება. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა ისიც იყო, რომ II ათასწლეულის მეორე ნახევარში შეინიშნება წინააზიურ სამყაროსთან კავშირის ერთგვარი შესუსტება. საზოგადოება თავისი განვითარებით ისევ პირველყოფილ-თემურ საფეხურზე დარჩა. მსხვილი ტომობრივი გაერთიანებების შექმნამ და კულტურის ნიველირებამ შესაძლოა გამოიწვია ის, რომ გარკვეულ დაწინაურებულ ოლქში მიღწეულმა ცალკეულმა კულტურულმა მონაპოვარმა ვეღარ ჰპოვა შემდგომი განვითარება. შესაძლოა ამან გამოიწვია დამწერლობის განვითარების ერთგვარი შენელება და ამ იდეის ხელახალი აღმაღლობა უფრო გვიან ხდება უკვე კლასობრივი საზოგადოების წიაღში.

შესაძლოა აგრეთვე, რომ ზოგ ნიშნებს რაღაც რიტუალური, მაგიური მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგიამ საერთოდ გარკვეული როლი შეასრულა დამწერლობის ჩამოყალიბების საქმეში[40]. საფიქრებელია, რომ ზოგიერთი ნიშანი

---

[38] А. А. Формозов, Сосуды срубной культуры с загадочными знаками, ВДИ, 1. М., 1953, გვ.191.

А. А. Формозов, Сосуды со знаками эпохи энеолита и бронзы и история письменности, ВДИ, 1963, 2, М.. გვ. 181.

[39] И. И. Мещанинов, Загадочные знаки Причерноморья, „Изв. ГАИМК", вып. 62, Ленинград, 1933, გვ. 51.

И. И. Мещанинов, Закавказские иероглифы, „Сообщ. ГАИМК", 3—4, Ленинград. 1932, გვ. 55.

[40] И. И. Мещанинов, К попросу о стадиальности в письме и языке, „Изв. ГАИМК", т. 7, вып. 5—6, Ленинград, 1931, გვ. 38.

Ч. Лоукотка, Развитие письма, М., 1950, გვ. 24.

В. А. Истрин, Развитие письма, М., 1961, გვ. 45.

დაკავშირებული იყო დამწერლობის ჩასახვის ცდასთან. შესაძლოა ამ ნიშნების ამოკითხვა ვერც მოხერხდეს და ვერც ის გამოირკვეს თუ რა ხასიათის დამწერლობასთან გვაქვს საქმე. მაგრამ, აღმოჩენის მნიშვნელობა მაინც დიდია. ის დიდი კულტურული აღმავლობა, რომელიც ძვ. წ. III—II ათასწლეულში შეინიშნება ჩვენში, ყველა საფუძველს ქმნიდა იმისათვის, რომ ჩასახულიყო აგრეთვე იდეა დამწერლობის სისტემის შექმნისა.

რა თქმა უნდა, შემდგომი კვლევა ამ მიმართულებით უფრო მეტ სინათლეს შეიტანს ამ უთუოდ მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევაში. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ ამასთან დაკავშირებით შეძლებისდაგვარად გამოგვეთქვა ზოგიერთი წინასწარი მოსაზრება.

გიორგი მელიქიშვილი

შავი ზღვა ძ. წ. XIII — XII სს-ის ასურულ ლურსმულ წარწერებში

ებერჰარდ შრადერი, რომელმაც ზღვათა სახელწოდებებს ასურულ ლურსმულ წარწერებში სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შავი ზღვა ამ წარწერებში არსად არ იხსენიება[1]. მის დროს ცნობილი იყო მხოლოდ ერთადერთი ტექსტი, სადაც შეიძლებოდა მკვლევართ ევარაუდნათ შავი ზღვის მოხსენიება. ეს არის ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (1115—1077) ცნობილი „წარწერა პრიზმაზე". ამ უკანასკნელში დასახელებული მეფის მმართველობის მესამე წელს (ძვ. წ. 1112 წ.) ჩრდილოეთის მიმართულებით ასურელთა დიდი ლაშქრობის აღწერისას[2] რამდენიმეჯერ იხსენიება „ზემო ზღვა". ებ. შრადერი ფიქრობდა, რომ მასში ვანის ტბა უნდა იგულისხმებოდეს[3], მაგრამ ბევრი სხვა მკვლევარი ამ წარწერის „ზემო ზღვას" შავ ზღვასთან აიგივებდა და აიგივებს[4].

ამჟამად ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ამ საკითხის გადაწყვეტისას დავეყრდნოთ „ზემო ზღვის" მოხსენიებას არა მარტო ტიგლათფილესერ I-ის ზემოდასახელებულ წარწერაში. ირკვევა, რომ სავსებით ანალოგიურ სიტუაციაში იგი თავს იჩენს აგრეთვე თუქულთი-ნინურტა I-ის (1245—1209) ზოგიერთ ახლადგამოვლენილ ტექსტში[5]. ნიშანდობლივია, კერძოდ, რომ ორივე დასახელებულ შემთხვევაში „ზემო ზღვა" გვევლინება „ნაირის ქვეყნებთან" კავშირში და, ეჭვს გარეშეა, ნამდვილად ერთსა და იმავე ზღვას აღნიშნავს.

---

[1] Eb. Schrader, Die Namen der Meere in den assyrischen Inschriften, „Abhandlungen der philosophisch-historischen Klasse der Königl. Akademie der Wissenschaften", Berlin, 1878, გვ. 194 და სხვ.

[2] „წარწერა პრიზმაზე". სვ. IV, სტრ. 43; სვ V. სტრ. 32; იხ. H. C. Rawlinson The Cuneiform Inscriptions of Western Asia. I, 1861, ტაბ. 12 — 13: E. A. Wallis Budge and L. W. King, Annals of the Kings of Assyria, I, London. 1902, გვ. 63 — 71; D. D. Luckenbill, Ancient Records of Assyria and Babylonia (ქვემოთ ვამოკლებთ: ARAB), I. Chicago, 1926, 236 —237; И. М. Дьяконов, Ассиро-вавилонские источники по истории Урарту (ქვემოთ აგრეთვე: АВИИУ). № 10, „Вестник Древней Истории", 1951, № 2, გვ. 273 — 274; გ. მელიქიშვილი, როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები, თბ., 1961. გვ 31 — 32 და სხვ.

[3] Eb. Schrader, დასახ. ნაშრ., გვ. 184, 195.

[4] იხ. მაგალითად: Ed. Meyer. Geschichte des Altertums, II$_2$, 1931, გვ. 378 — 379; И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრ., № 10, შენ. 45.

[5] თუქულთი-ნინურტას ეს ტექსტები გამოქვეყნებულია E. F. Weidner-ის წიგნში „Die Inschriften Tukulti-Ninurtas I. und seine Nachfolger". „Archiv für Orientforschung", Beiheft 12, Graz, 1959 (ქვემოთ ვამოკლებთ: E. F. Weidner).

ადრევე ცნობილი იყო თუქულთი-ნინურტა I-ის ტექსტები, საღაც ლაპარაკია ნაირის ქვეყნების დაპყრობაზე და, ამასთან დაკავშირებით, იხსენიება ამ ქვეყნების 40 მეფის ძლევა-დამორჩილება. ასე, მაგალითად, თუქულთი-ნინურტას ერთ-ერთ წარწერაში ნათქვამია, რომ „ნაირის ქვეყნების 40 მეფე" აღსდგა ასურელთა წინააღმდეგ. მაგრამ მეფემ ისინი დაამარცხა მომხდარ ბრძოლაში და დამარცხებულთა სისხლით მორწყა მათი მთები და ხეობები, დაიმორჩილა მათი ქვეყნები, დააკისრა მათ სამუდამოდ ხარკის გადახდა და ა. შ.[6]. მეორე წარწერაში კიდევ უფრო ვრცლად არის ლაპარაკი ამ შორეულ მთიანეთში ლაშქრობის შესახებ. მეფე ამბობს, რომ მან გადალახა დიდი მთები, უძნელესი ადგილები, რომელნიც ადრე არ უხილავს (ასურეთის) არც ერთ მეფეს, შეებრძოლა და დაამარცხა ნაირის 40 მეფე. ეს უკანასკნელნი მან აწვალა, კისერზე სპილენძის ხუნდები დაადო, ასე წაიყვანა ისინი ასურეთში და წარუდგინა ღვთაება ასურს. აქ, ღვთაების ტაძარში, აიძულა ისინი დაეფიცათ ცისა და მიწის ღმერთების წინაშე მისი მორჩილება და ერთგულება, დაადო მათ სამუდამო ხარკი და სხვ.[7]. სხვა კონტექსტში, მოპოვებული გამარჯვებების მოკლე ჩამოთვლაში (რაც სამეფო ტიტულატურის ორგანულ ნაწილს ქმნის), თუქულთი-ნინურტა იკვეხნის, რომ მან მთლიანად დაიპყრო ნაირის ქვეყნები და მათი 40 მეფე თავის ფერხთ წინაშე დაამხო[8].

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, რომ ამ ამბის შესახებ ლაპარაკია თუქულთი-ნინურტა I-ის კიდევ რამდენიმე წარწერაში, მაგრამ აქ მარტოოდენ „ნაირის ქვეყნების" მაგიერ იხსენიება უკვე „ნაირის ქვეყნები და ზემო ზღვის ნაპირას მდებარე ქვეყნები". ასე, მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ წარწერაში ჩვენ ვკითხულობთ:

[e-nu-m]a da-š[ur] a-na mâtâ[t na-i-ri ù] mâtât a-aḫ tâmdi e-[li-ni-ti] ù-ma 'i-[ra-an-ni].... kúl-la-a[t mâtât] na-i-ri ù mâtât a-a[ḫ] tâmti e-li-ni-t[i] qa-ti ik-šu-[ud] arlâa šarrânimeš-šu-nu a-píl ana šêpi-j[a u-šék-niš] ù ṭup-ši-kà e-[ni-id].

„როდესაც ღვთაება ასურმა ნაირის ქვეყნებზე და ზემო ზღვის ნაპირას [მდებარე] ქვეყნებზე გამგზავნა, ...ნაირის ყველა ქვეყანა და ზემო ზღვის ნაპირას [მდებარე] ყველა ქვეყანა ჩემმა ხელმა დაიპყრო. მათი 40 მეფე დავიმორჩილე, ჩემს ფერხთ წინაშე დავამხე და ხარკი დავადე"[9].

თუქულთი-ნინურტას კიდევ ერთი წარწერა იხსენიებს „ნაირის ქვეყნებისა და [ზემო]ზღვისპირა ქვეყნების 40 მეფეს" და მათგან ქალაქ ასურში ხარკის მიღებას (arbâa šarrânimeš mâtât na-i-ri ù mâtât a-aḫ tam-di [e-li-ni-ti...]-šu-ma bi-lat su-nu da-ri-ta ina âlaš-šur im-da-ḫa-ru)[10].

მოტანილი მასალიდან ცხადია, რომ „ზემო ზღვა" სადღაც ჩრდილოეთშია საძებნი, „ნაირის ქვეყნების" ახლო მეზობლად. ამიტომაც ძნელია, მაგალითად, დაველეთანხმოთ რ. ბორგერს, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის ასურული წარწერებისადმი მიძღვნილ თავის ახლახან გამოქვეყნებულ გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ ამ ტექსტების „ზემო ზღვა" ხმელთაშუა ზღვა უნდა იყოს, თუმცა

[6] E. F. Weidner, № 5, სტრ. 38 — 47.
[7] E. F. Weidner, № 16, სტრ. 40 — 56.
[8] E. F. Weidner, № 6, სტრ. 17 — 19. შდრ. № 17, სტრ. 31 — 33.
[9] E. F. Weidner, № 19, სტრ. 7 — 16.
[10] E. F. Weidner, № 4, სტრ. 9 — 10.

თვითონ აქვს შენიშნული, რომ ჩვენ არაფერი არ ვიცით ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით თუქულთი-ნინურტა I-ის აქტივობის შესახებ[11]. ესეც, ზემოაღნიშნულთან ერთად საეჭვოს ხდის ამ წარწერების „ზემო ზღვაში“ ხმელთაშუა ზღვის მიჩნევას.

არის კიდევ ერთი შესაძლებლობა. ამაზე მიუთითებს, კერძოდ, თუქულთი-ნინურტა I-ის ტექსტების გამომცემელი ე. ვაიდნერი. მისი აზრით, აქ მოხსენიებული „ზემო ზღვა“ ვანის ტბა უნდა იყოს[12]. მართლაც, უფრო გვიანდელი, მაგალითად, ძვ. წ. IX—VIII საუკუნეთა, ასურული მასალებით, „ნაირი“ მოიცავდა ვანის ტბის რაიონსაც[13], ხოლო ვანის ტბაც ამ დროს ზოგჯერ „ნაირის ქვეყნის ზღვის“ სახელით იჩენს თავს[14]. მაგრამ ძველი, შუაასურული ხანის წარმოდგენები ნაირის შესახებ, როგორც ჩვენ ნაჩვენები გვაქვს სხვა ადგილას[15], მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ნაირის შესახებ ამ გვიანდელი წარმოდგენებისაგან, როდესაც „ნაირი“ — სახელმა მეტად ფართო, თითქმის მთელი ჩრდილოეთის მომცველი ხასიათი მიიღო. ასურნასირფალ II-ის (884—859) დროს, მაგალითად, ნაირი იწყებოდა უკვე ქაშიარის (თანამ. ტურ-აბდინი) მთის ჩრდილო მხარეზე. ასურეთის ეს მეფე ამბობს, რომ მან გადაიარა ქაშიარის მთა და ნაირის ქვეყანაში ჩავიდა[16], ხოლო მდ. ტიგროსის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ ამიდის აღმოსავლეთით მდებარე მითანური ქალაქების სინაბუსა და თიდუს შესახებ მასვე ნათქვამი აქვს, რომ ისინი სალმანასარ I-ს გადააქცია ასურელთა დასაყრდენ პუნქტებად ნაირის მხარეში[17].

მაგრამ ასე სამხრეთით მდებარე ტერიტორია სულაც არ განიხილებოდა ნაირის მხარედ თუქულთი-ნინურტა I-ის ან ტიგლათფილესერ I-ის წარწერებში. ტერიტორია ქაშიარის მთასა და აღმ. ევფრატის (დღევ. მურად-სუ) დინებას შორის ამ დროს ჯერ კიდევ თავს იჩენს „შუბარუ“-ს (სუბართუს) ძველი სახელწოდებით. ნაირის ქვეყნების დაპყრობისაგან სრულიად დამოუკიდებლად ლაპარაკობს თუქულთი-ნინურტა I ამ მხარეში მდებარე ქვეყნების ქუთმუხის, ბუშის, მუმის, ალზის, მადანის, ნიზანის, ალაიას, თებურზის, ფურულუმზის — „შუბარუს მთელი ვრცელი ქვეყნის“, „ქაშიარის მთელი მხარის“ და სხვ. დაპყრობაზე[18]. კარგად ჩანს, ამასთანავე, რომ მისი წარმოდგენით ნაირი უფრო შორს იყო ასურეთიდან, ვიდრე ალზი, შუბარუ და ა. შ. (ჩრდილო მესოპოტამიის მთიანი მხარე მურად-სუს დინების სამხრეთით): ნათქვამია, რომ მის მიერ დამარცხებული ალზის მეფე ნაირის მხარეში გაიქცა[19], იგი

---

[11] R. Borger, Einleitung in die assyrischen Königsinschriften. Erste Teil. Das Zweite Jahrtausend vor Chr. (=„Handbuch der Orientalistik“. Erste Abteilung. Ergänzungsband V. Erste Abschnitt), Leiden—Kölu, 1961, გვ. 81.

[12] E. F. Weidner, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

[13] სახელწოდება „ნაირის შესახებ“ იხ. Г. А. Меликишвили, Наири—Урарту, Тбилиси, 1954, გვ. 13 შმდ.

[14] იხ. სალმანასარ III-ის წარწერებში: ARAB, I, 606; 617; 632; 641; 685; 687; 690; 692. „ნაირის ქვეყნის ზღვა“ იხსენიება ტიგლათფილესერ I-თანაც; ამის შესახებ იხ. Г. А. Меликишвили, Ассирия и „Страны Наири“ на рубеже XII — XI вв. до н. э., „Вестник Древней Истории“, 1963, № 2, გვ. 123, შენ. 68

[15] „Вестник Древней Истории“, 1963, № 2, გვ. 122 — 124 და სხვ.

[16] ARAB, I, 461. 499.

[17] АВИИУ, № 26.

[18] ARAB, I, 143, 149.

[19] E. F. Weidner, № 1, სვ. IV, სტრ. 6 — 11.

იკვეხნის, რომ მან დაიპყრო შუბარუ ვიდრე ნაირის საზღვრებამდე[20] და ა. შ. ტიგლათფილესერ I-იც, როდესაც ამ მხარეში მოქმედებს, არაფერს ამბობს ნაირის შესახებ. მას ბრძოლები აქვს ქათმუხის, ალზის, ფურულუმზის, შუბარუს ქვეყნებთან, იპყრობს დარიას (გვიანდელი დირა, დირია) და აღმოსავლეთ და დასავლეთ ევფრატთა შესაყართან მდებარე იშუვას[21]. მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი გადალახავს ევფრატს სადღაც დას. და აღმ. ევფრატთა შეხვედრის ადგილის მახლობლად[22], იგი იწყებს თხრობას ნაირის მეფეთა კოალიციასთან ბრძოლების შესახებ. როგორც თუქულთი-ნინურტა I-თან, ისე ტიგლათფილესერ I-თან, ნაირის მოხსენიებისას დაუყოვნებლივ თავს იჩენს საზეიმო ტონი, თავის მოწონება იმით, თუ როგორ მიაღწია მათ შორეულ და მიუვალ მხარეს, სადაც ადრე არც ერთი მათი წინაპარი არ ყოფილა და ა. შ.

როგორც ირკვევა, შუაასურული ხანის წარმოდგენებით ნაირი იწყებოდა დაახლოებით აღმოსავლეთ და დასავლეთ ევფრატის (მურად-სუს და ყარა-სუს) შესაყართან და აქედან ვრცელდებოდა ჩრდილოეთისაკენ მურად-სუ—ყარა-სუს ორმდინარეთისა და შავი ზღვის მიმართულებით. ტიგლათფილესერ I-ის წარწერების ნაირის ყველა ის ქვეყანა (თუმე, ხიმუა, დაიაენი), რომელთა ლოკალიზაციაც შესაძლებელია, თავსდება სწორედ ამ მხარეში, მდ. ყარა-სუს დინებაზე[23]. მართალია, ტიგლათფილესერ I კონკრეტულად ნაირის 23 ქვეყანას ასახელებს, ხოლო ჩვენ მხოლოდ სამი მათგანის ადგილსამყოფელის განსაზღვრა გვიხერხდება, მაგრამ დასახელებული ქვეყნების, კერძოდ თუმესა და დაიაენის, ადგილსამყოფელის განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ ტიგლათფილესერი მრავალგზის იკვეხნის „ნაირის ქვეყნების დაპყრობას თუმედან დაწყებული ვიდრე დაიაენიმდე“[24]. თუმე, მაშასადამე, განიხილებოდა ნაირის ახლობელ, სამხრეთ, პერიფერიად. დაიაენი კი — შორეულ, ჩრდილო, პერიფერიად. თუმე უნდა ვიგულისხმოთ მდ. ყარა-სუს მურად-სუსთან შესართავის რაიონში, ხოლო დაიაენის ადგილსამყოფელი კარგად ცნობილია სხვა წყაროებითაც — ესაა ურარტული წარწერების დიაუხი, ძველი ბერძნული წყაროების ტაოხების ქვეყანა, ძველი ქართული ოღნი ტაო და ა. შ. ამ მასალების, კერძოდ ასურული და ურარტული წყაროების, მონაცემებით საკმაო დამაჯერებლობით ირკვევა, რომ დაიაენის (დიაუხის) ქვეყნის სამხრეთი პერიფერია მდ. ყარა-სუს სათავეებისა და დღევანდელ ქალ. არზრუმის (ერზურუმის) მიდამოებშია საძებნი[25]. რამდენადაც დაიაენი ტიგლათფილესერ I-ის დროს ნაირის ქვეყნების გაერთიანების სათავეში მდგომი ჩანს, ის ძლიერი და საკმაოდ დიდი ქვეყანა უნდა ყოფილიყო. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ მდ. ყარა-სუს სათავეების რაიონიდან მისი მიწა-წყალი ჩრდილოეთის მიმართულებით კარგა შორ მანძილზე ვრცელდებოდა.

ტიგლათფილესერ I-თან, ისევე როგორც თუქულთი-ნინურტა I-თან ნაირი „ზემო ზღვასთან“ მჭიდრო კავშირში ჩანს. ნიშანდობლივია, რომ ტიგლათ-

---

[20] E. F. Weidner. №№ 1, 2. 22: შდრ №№ 3, 9, 12, 20.

[21] ARAB, I, 232.

[22] Г. А. Меликишвили, Ассирия и „Страны Наири“..., გვ. 121 — 122.

[23] იქვე, გვ. 117 — 123.

[24] ARAB, I, 270; 275; 301; 305; 319.

[25] იხ. Г. А. Меликишвили. Наири-Урарту, გვ. 58 — 60; შდრ. მისივე, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „ნიმომხილველი“. II, 1951, გვ. 203 შმდ.

ფილესერ I ჩრდილოეთის მიმართულებით თავის დაპყრობათა საზღვრად ზოგჯერ თუ დაიაენის ასახელებს, სხვა შემთხვევაში უკვე „დაიაენისა და ზემო ზღვას": აღნიშნული აქვს, რომ მან დაიპყრო ნაირი თუმედან დაწყებული. ვიდრე დაიაენის ქვეყნამდე და ზემო ზღვამდე[26]. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს „ზემო ზღვაც", დაიაენის მსგავსად, ნაირის ჩრდილო განაპირაზე ვეძებოთ, რის გამოც უფრო ბუნებრივი იქნება თუ მასში შავ ზღვას ვიგულისხმებთ და არა ვანის ტბას.

მაგრამ, ტიგლათფილესერ I-ის, ისევე როგორც სხვა მეფეთა, წარწერებიდან ისიც ჩანს, რომ არც დაიაენი და არც მის მიერ დასახელებული ნაირის სხვა 22 ქვეყანა უშუალოდ ზღვისპირას არ უნდა ყოფილიყო. მართალია თავისი თხრობის დასაწყისში ასურეთის მეფეს ნათქვამი აქვს, რომ იგი გაემართა „შორეულ მეფეთა ქვეყნებისაკენ, რომელნიც ზემო ზღვის ნაპირას ცხოვრობენ [და] რომელთაც არ იცოდნენ თუ რა არის მორჩილება", მაგრამ ნაირის პირველი 23 მეფის სამფლობელო, როგორც ვთქვით, ყარა-სუს დინებაზეა საგულვებელი და არა რომელიმე ზღვის პირას. საკუთრივ ზღვისპირა ქვეყნიდან უნდა ყოფილიყვნენ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, „ნაირის ქვეყნების [სხვა] სამოცი მეფე, მათთან ერთად ვინც მათ დასახმარებლად მოვიდნენ", რომელთა შესახებ საუბარია აქ პირველი დაჯგუფების („ნაირის 23 მეფის ლაშქრის") დამარცხების შემდეგ. ასურეთის მეფე იკვეხნის, რომ მან ნაირის მეფეთა ამ მეორე ლაშქარს „თავის შუბის პირით ზემო ზღვამდე მისდია". უნდა ვიფიქროთ, რომ ნაირის ეს „სამოცი მეფე", მათი დამხმარეებითურთ, სწორედ „ზემო ზღვის ნაპირებიდან მოვიდნენ (ტიგლათფილესერი ხომ იკვეხნის, რომ მან ისინი „ზემო ზღვისაკენ" გარეკა — უნდა ვიგულისხმოთ: იქითკენ, საიდანაც ისინი წამოვიდნენ მის წინააღმდეგ!). მოდიოდნენ ისინი ალბათ პირველი გაერთიანების საშველად, მაგრამ ბრძოლას ვერ მოუსწრეს და იძულებული შექნენ უკუქცეულიყვნენ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ნაირის 23 მეფის" გაერთიანებაში წამყვანი ადგილი დაიაენის მეფეს ეკავა (სწორედ ამიტომ მან ასურელთა მხრით განსაკუთრებით მკაცრი მოპყრობა დაიმსახურა!), ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ზემო ზღვის ნაპირებიდან მოსული „60 მეფე", პირველ ყოვლისა, დაიაენის მოწოდებით შეიძლებოდა ამოძრავებულიყო მის და მის გარშემო გაერთიანებული ქვეყნების დასახმარებლად. დაიაენის ამგვარი გავლენა შეიძლებოდა ჰქონდა. ამრიგად, როდესაც ტიგლათფილესერი ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობის შესახებ ანგარიშის დასაწყისში ამბობს, რომ იგი გაემართა „ზემო ზღვის ნაპირას მცხოვრებ მეფეებზე", უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ ის, რომ მის მიერ დამარცხებულ ჩრდილოელ „მეფეთა" შორის იყვნენ ისეთებიც, რომელნიც თვით „ზემო ზღვის" ნაპირას ცხოვრობდნენ. ამითაც, მაშასადამე, მეფე მის მიერ დაპყრობილი მხარის უკიდურეს საზღვარზე მიუთითებს.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ჩვენთვის უფრო მისაღებს ხდის აზრს, რომ ტიგლათფილესერ I-ის ამ წარწერის, ისევე როგორც თუქულთი-ნინურტა I-ის ზემოდასახელებული წარწერების „ზემო ზღვა" შავი ზღვა უნდა იყოს და არა ვანის ტბა, ან კიდევ ხმელთაშუა ზღვა.

---

[26] იხ. ტიგლათფილესერ I-ის ანალების ფრაგმენტი № 2, სტრ. 8, შმდ.—E. A. Wallis Budge and L. W. King, დასახ. ნაშრ., გვ. 117; ARAB, I, 319; АВИИУ, № 13.

ძვ. წ. XIII—XII სს-ის ასურული წარწერების „ზემო ზღვაში" შავი ზღვის მიჩნევას დიდი მნიშვნელობა აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ე. ი. ძველი კოლხეთის ისტორიისათვის. ამის მეოხებით ჩვენს განკარგულებაში ექცევა კარგად დათარიღებული კონკრეტული ძასალა ძვ. წ. XIII—XII სს-ის შავიზღვისპირეთის ტომთა შესახებ. ჩვენ ვეცნობით ამ მხარის ტომთა დიდ გაერთიანებებს, რომლებიც იქმნებოდა სამხრეთის დიდი სახელმწიფოების მესვეურთა შემოსევების დროს; ჩვენ თვალწინ იშლება უფრო სამხრეთით არსებული „ნაირის ქვეყნების" გაერთიანებასთან ამ გაერთიანებების მჭიდრო კავშირის სურათი და ა. შ. ამასთანავე, ძვ. წ. XIII—XII სს-ის ასურულ წყაროებში ფიქსირებული შავიზღვისპირეთის ტომთა კავშირები ჩვენ სრული უფლება გვაქვს ლეგენდარული „კოლხეთის სამეფოს" წინაპარ გაერთიანებებად მივიჩნიოთ. ამიტომაც, კარგა ხანია, რაც მიქცია ჩვენი ყურადღება ტიგლათფილესერ I-ის კიდევ ერთმა წარწერამ, სადაც შეიძლება მისი ცნობილი ეპითეტის „დამპყრობელი ნაირის ქვეყნებისა თუმედან ვიდრე დაიაენიმდე (და ზემო ზღვამდე)" ვარიაცია დავინახოთ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ასურეთის ამ მეფის წარწერა სოფ. იუნჯალუდან (მალაზგირთის მახლობლად), სადაც იგი თავის თავს უწოდებს „ნაირის ქვეყნების დამპყრობელს თუმედან ვიდრე დაიაენიმდე, (აგრეთვე) კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე"[27]. მართალია მკვლევარნი ჩვენს „კილხი"-ს (gil-ḫi), „ხაბხის" (ḫab-ḫi) ფორმით კითხულობენ (პირველ ნიშანს აქვს gil, ḫab და ზოგი სხვა მარცვლის მნიშვნელობა), მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ ხაბხის ქვეყანა არავითარ ზღვამდე არ ვრცელდებოდა, ხოლო თუ ამ სახელს „კილხი"-ს სახით წავიკითხავთ და „კოლხი"-ს დავუკავშირებთ, მისი განვრცობა „დიდ ზღვამდე" (ე. ი: შავ ზღვამდე) არავის არ გააკვირვებს. თუ იუნჯალუს წარწერის ამგვარი ინტერპრეტაცია დამაჯერებელი შეიძლება იყოს[28], მივიღებთ, რომ შავი ზღვა ძვ. წ. XIII—XII (XI?) სს-თა ასურულ წყაროებში „ზემო ზღვის" გარდა „დიდი ზღვის" სახელითაც იხსენიება.

შუაასურული ხანის მეფეთა წარწერებში „ზემო ზღვად" ვანის ტბის მიწნევის საწინააღმდეგოდ უნდა ლაპარაკობდეს, სხვათა შორის, მისი მოხსენიება თუქულთი-ნინურტა I-ის ტიტულატურაში. აქ იგი თავის თავს ეძახის „დამპყრობელს ქვემო ზღვიდან ვიდრე ზემო ზღვამდე"[29]. რამდენადაც „ქვემო ზღვა" სპარსეთის ყურესა და მის გაგრძელებას — ოკეანის სივრცეს — გულისხმობს, „ზემო ზღვაშიც" მისი ცოტად თუ ბევრად სრულფასოვანი რამ უნდა ვიგულისხმოთ. ვანის ტბის მიჩნევა კი ასეთად, რა თქმა უნდა, უადგილო იქნება.

მაგრამ შეგვიძლია თუ არა ჩვენ ვამტკიცოთ, რომ ასურელებთან „ზემო ზღვა" ან „დიდი ზღვა" ნიშანდობლივ ყოველთვის შავ ზღვას გულისხმობს? რა თქმა უნდა, არა. „დიდ ზღვას" და „ზემო ზღვას" ასურული წყაროები სხვა შემთხვევაში უცილობლად ხმელთაშუა ზღვას ეძახიან. საეჭვოს ხომ არ

---

[27] C. F. Lehmann-Haupt. Materialen zur älteren Geschichte Armeniens und Mesopotamiens. 1907, წარწერა № 6: АВИИУ, № 17.

[28] შდრ. Г. А. Меликишвили, Ассирия и „Страны Наири"..., გვ. 124, შენ. 67.

[29] E. F. Weidner, № 5. სტრ. 6: № 17, წინა მხარე, სტრ. 16.

ხდის ეს ჩვენ მიერ ზემოთ ვაკეთებულ დასკვნას, რომ განხილულ ტექსტებში „ზემო ზღვა“ ან „დიდი ზღვა“ შავ ზღვას გულისხმობს? ამ წინააღმდეგობის ახსნამ, ვფიქრობთ, ჩვენ ასურელთა გეოგრაფიული წარმოდგენების საინტერესო სურათი შეიძლება გადაგვიშალოს. მესოპოტამიის მცხოვრებნი, კერძოდ ასურელები, უეჭველია, ადრიდანვე კარგად იცნობდნენ მცირეაზიულ სამყაროს. ძვ. წ. XX—XIX სს-ში მცირე აზიაში ასურელი ვაჭრების არა ერთი ახალშენი არსებობდა. უეჭველია ამიტომ. რომ ასურელებს კარგად უნდა სცოდნოდათ მცირე აზიის ჩრდილოეთით გადაჭიმული წყლის დიდი სივრცის — შავი ზღვის — არსებობა. მაგრამ მათ. ეჭვს გარეშეა. ისიც კარგად იცოდნენ, რომ ეს ზღვა უშუალოდ უერთდებოდა მცირე აზიის სხვა — დასავლეთ და სამხრეთ-სანაპიროებთან გადაჭიმულ წყლის სივრცეს. ე. ი. ჩვენი დღევანდელი ნომენკლატურით. ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებს. ალბათ ასურელები ადრიდანვე მთელ ამ სივრცეს ერთიანად განიხილავდნენ როგორც „ზემო ზღვას“, „დიდ ზღვას“, ანუ „დასავლეთის (=„მზის ჩასვლის“) ზღვას“, „დასავლეთის ზემო ზღვას“ და ა. შ. და მას უპირისპირებდნენ სამხრეთით არსებულ წყლის დიდ სივრცეს — „მზის ამოსვლის (=აღმოსავლეთის) დიდ ზღვას“, „მზის ამოსვლის ქვემო ზღვას“, „ქვემო ზღვას“ (=სპარსეთის ყურე და მისი გაგრძელება — ოკეანე). ამრიგად, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული მასალით საჭიროა ვიჩვენოთ, თუ რა იგულისხმება „ზემო ზღვაში“, რომელი მონაკვეთი წყლის იმ დიდი სივრცისა. რომელიც „ზემო ზღვის“ სახელით აერთიანებდა ასურელთა წარმოდგენაში ჩვენს დღევანდელ ხმელთაშუა, ეგეოსისა და შავ ზღვებს.

ტიგლათფილესერ I-ის შემდეგ შავი ზღვის მოხსენიება ასურულ წარწერებში აღარ ჩანს. ეს არ არის შემთხვევითი. ასურული წყაროებიდან ჩანს. რომ არასდროს, არც შუაასურულ ხანამდე, და არც მის შემდეგ, ასურეთის მეფეებს ჩრდილოეთისაკენ ისე შორს არ ულაშქრიათ, როგორც ამ დროს. თუქულთი-ნინურტა I-ის ან ტიგლათფილესერ I-ის დროს. ბუნებრივია, რომ მაშინ არც შავიზღვისპირეთთან ექნებოდათ ასურელებს შეხება. ის დიდი გაჭანება, რომელიც შუაასურულ ხანაში ჰქონდა ჩრდილოეთით ასურელთა ლაშქრობებს, აიხსნება ასურეთისათვის ამ მიმართულებით შეტევითი თუ თავდაცვითი ბრძოლების წარმოების სასიცოცხლო მნიშვნელობით (ბრძოლა მითანის სამეფოსთან და მის მემკვიდრეებთან, რომელთაც აქამდე დიდხანს დაპყრობილ-დამორჩილებული ჰყავდათ ასურელები, ბრძოლა ჩრდილოეთიდან (ჩრდილო-დასავლეთიდან) ამოძრავებული ტომების წინააღმდეგ (მუშქები, ჭაშქები და სხვ.) და ა. შ.). თავის მხრივ ჩრდილოეთის, კერძოდ სამხრეთ ამიერკავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, მოსახლეობაც ამ დროს, ჩანს, მჭიდროდ იყო ჩაბმული სამხრეთში მიმდინარე პოლიტიკურ ჭიდილში, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ხეთებისა და მითანის, ხოლო შემდეგ ასურეთის, სამეფოებთან. საინტერესოა, რომ სწორედ ამ ეპოქის სამხრეთ ამიერკავკასიის არქეოლოგიური მასალა შეიცავს სამხრეთული წარმოშობის მეტად დამახასიათებელ ნიმუშებს. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ 1961 წელს სევანისპირეთში, სოფ. ლჩაშენთან გათხრილ ერთ-ერთ ყორღანში ძვ. წ. XV—XIV სს-თვის ტიპიური მითანური ცილინდრული საბეჭდავის აღმოჩენა. აქვე ნაპოვნია ხური-მითანური სამყაროსათვის დამახასიათებელი სხვა საგნე-

ბიც[30]. შეიძლება, ამას გარდა, გავიხსენოთ აზერბაიჯანში, ხოჯალის სამაროვანზე გათხრების დროს ნაპოვნი მძივი ასურეთის მეფის ადადნირარი I-ის (1307—1276) წარწერით[31]. იგი აქ ასურელებთან უშუალო კონტაქტის შედეგად შეიძლება მოხვედრილიყო და ამ ეპოქაში ასურელებსა და სამხრეთ ამიერკავკასიის მოსახლეობას შორის უშუალო ურთიერთობის არსებობის ერთ-ერთ ნიშანი უნდა იყოს. ესეც, თავის მხრივ, შუაასურული ხანის ტექსტებში შავი ზღვისა და შავიზღვისპირეთის შესახებ ცნობების არსებობას მოსალოდნელს ხდის.

---

[30] იხ. Б. Б. Пиотровский, Урартские надписи из раскопок Кармир-Блура, წიგნში: И. М. Дьяконов, Урартские письма и документы, Москва—Ленинград, 1963, გვ. 11 — 12.

[31] იხ. E. F. Weidner-თან: „Archiv für Orientforschung", VII, გვ. 267 შმდ; Б. Б. Пиотровский, История и культура Урарту, Ереван, 1944, გვ. 17.

ნანა სახარაძე

სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ისტორიული გეოგრაფიიდან

სახელწოდება „ხილაქუ"[1] პირველად სალმანასარ III-ის (ძვ. წ. 858—824 წწ.) „შავ ობელისკში" იხსენიება (ARAB, I, 600).

ტერმინოლოგიურად ასურული წყაროების „ხილაქუს" უკავშირებენ ძველბერძნული ლიტერატურის „კილიკიას" (Κιλικία)[2].

აქედან გამომდინარე, მკვლევრები ასურულ ხილაქუს ეძებენ ანტიკური ხანის კილიკიაში[3] (კილიკიის დაბლობში, მკაცრ კილიკიაში)[4] ან კაპადოკიის სამხრეთ სექტორში, ქ. მაზაკას (თანამედროვე კაისერის) მიდამოებში[5] (ძველ-

---

[1] Hi-lu-ka. სალმანასარ III-ის „შავი ობელისკი"; ARAB, I, 600; Hi-la-ku, ARAB 11, 25, 55, 80, 92, 99, 286-288, 329, 364 და სხვ.

[2] იხ. მაგ., „Reallexikon der Vorgeschichte", Berlin, 1926, სტატია: „Kilikien".

[3] Fr. Lenormant. Histoire ancienne de l'Orient jusqu, aux guerres me'diques, Paris, 1881, I, გვ. 299-300; А. С. Хаханов, Древнейшие пределы расселения Грузии по Малой Азии, „ЗКОИРГО, XXII, ნაკვ. 6, გვ. 8; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 405; И. М. Дьяконов, История Мидии, Л., 1956, 320; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 74; АВИИУ, № 46, შენ. 44 და სხვ.

[4] ძველბერძენი ავტორების თანახმად, კილიკია (Κιλικία) ეწოდება აღმოსავლეთიდან ამანის მთებით, ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან და დასავლეთიდან ანტიტავროსითა და ცენტრალური ტავროსით, ხოლო სამხრეთიდან ხმელთაშუა ზღვით შემოსაზღვრულ ტერიტორიას. იხ. Herodotus, I, 28; II, 34, 90; V, 49, 52, 108; Xenophon, Cyr., I, V; IV, V, 56; VII, IV, 2; VIII, VI, 8; მისივე, Anab.. 1, 11, 12, 20; I, IV, 1, 4. სტრაბონის მიხედვით, კილიკია ორ ნაწილად იყოფა. ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან მთებით შემოფარგლულ, ვიწრო ზღვისპირა ზოლს (ქ. კორაკესიდან ვიდრე ქ. სოლამდე) ბერძენი გეოგრაფოსი „მკაცრი კილიკიის" სახელით იცნობს. იხ. Strabo, XII, 6, 1, XIV, 3, 1; XIV, 5, 1-7. შდრ. Herodotus, 11, 34. იგივე სტრაბონი კილიკიის აღმოსავლეთ ნაწილს ქ. სოლიდან ქ. ისამდე, ჩრდილო-დასავლეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ანტიტავროსით, კილიკიის ტავროსით და ამანის მთებით შემოხაზულს „კილიკიის დაბლობს" უწოდებს. იხ. Strabo, XIV, 5, 1, 8-20. ბერძენი გეოგრაფოსი კილიკიის დაბლობში ათავსებს შემდეგ ქალაქებს: ტარსს, ანხიალას, ზეფირიუმს, მაგარსუსს, მალუსს და სხვ. იხ. Strabo, XIV, 8-20. იხ. H. Kiepert, Lehrbuch der Alten Geographie გვ. 129, შმდ.; R E. 1926, XI, გვ. 385 შმდ.

[5] H. Winckler, Die Reiche von Cilicien und Phrygien im Lichte der altorientalischen Inschriften, „Altorientalische Forschungen", Zweite Reiche, 1, Leipzig, 1898, გვ. 123 შმდ.; E. Forrer, Die Provinzeinteilung des assyrischen Reiches, Leipzig, 1920, გვ. 76.

ბერძნული ტრადიციით, კაპადოკიის აღნიშნულ რაიონს აგრეთვე კილიკია ეწოდებაა[6].

მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხილაქუს ადგილმდებარეობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები არ მართლდება. უპირველეს ყოვლისა, არ ხერხდება კილიკიის დაბლობში ხილაქუს ლოკალიზება. ძვ. წ. IX—VI საუკუნეების ძველაღმოსავლური წყაროების მონაცემებით, კილიკიის აღნიშნული რაიონი ქუეს ქვეყანას ეკავა.

ასე, სალმანასარ III-ის დროინდელი წარწერების ჩვენებით, ამანის მთებიდან დასავლეთით ქუეს[7] ქვეყანა მდებარეობდა (ARAB, I, 577, 582—583. 600, 674, 682). ქუედან დასავლეთით ხილაქუს ქვეყანაა მოსათავსებელი. ქუეს ქალაქებია: Lamena (ხეთური Luwana)[8], Tanakun-ი, Paḫru (ანტიკური Mopsuhestia, თანამედროვე Ḥისისი)[9], Lusanda (ხეთური Lawazantiya)[10] Kizuatni (ხეთური Kizzuwatna)[10], Abarnani და Tarzu (ხეთური Tarša, თანამედროვე ტარსუსი)[11].

ჰამათის მეფე ზაქირის არამეულ წარწერაზე (ძვ. VIII ს-ის დასაწყისი) დაყრდნობით ქუეს ქვეყანა არაბადიდან (თანამედროვე ტელ-ერფადიდან) დასავლეთით არის საძებნი[12].

თიგლათფილესერ III (ძვ. წ. 745—727 წწ.) იხსენიებს ქუეს მეფე ურაკს (ARAB, I. 772, 801). თიგლათფილესერ III-ის წარწერებში ქუეს ქვეყნის სახელს ვხვდებით სირიაში, ჩრდილოეთ სირიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მდებარე ქალაქებისა და ქვეყნების[13] გვერდით (ARAB, I, 769, 772, 801).

სარგონ II-ის (ძვ. წ. 722—705 წწ.) წარწერები წინა ხანის წყაროებში დაცულ ცნობებს ახალი, საგულისხმო მითითებით ავსებენ. ეს წარწერები ლაპარაკობენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსთან ქუეს სიახლოვეზე[14].

ქუეს ქვეყნის მოხსენიებას უკანასკნელად ბაბილონეთის ახალი სამეფოს

---

[6] სამხრეთ კაპადოკიაში მდებარე ოლქის—კილიკიის შესახებ უძველესი ცნობა ჰეროდოტემ შემოგვინახა. იხ. Herodotus, 1, 72; შდრ. Strabo, XIII. 2, 7.

[7] Qa-ú-e. „შავი ობელისკი". სტრ. 101; Qu-ú-a. „შავი ობელისკი". სტრ. 128-333; Qu-a-a. ARAB, I, 577, 582-583; Qu-a-a. „წარწერა ნონოლრთზე", ხეტი I, სტრ. 54; ARAB, I, 600.

[8] ARAB, I, 582-583; ასურული Lamena (ხეთური Luwana) აღმოსავლეთ კილიკიაში მდებარეობდა. ასურულ Lamena-ში, m-განთიადზედა როგორც w. იხ. J Garstang. O. R. Gurney. The Geography of the Hittite Empire, London, 1959, გვ. 60 და შენ. 4.

[9] „Welt des Orients", I, 1947, გვ. 577 შმდ.

[10] ARAB, I, 582-583; ასურული Lusanda (ხეთური Lawazantiya) ეგებერეობდა Kummanni-ს (ანტიკურ კომანას, თანამედროვე შაჰრის) მახლობლად. იხ. A. Goetze, Kizzuwatna and the Problem of Hittite Geography. New Haven, 1940, გვ. 71-72; Garstang, Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 52-53; Goetze, Cilicians, JNES. გვ. 51, შენ. 19.

[11] ARAB, I. 582; „Welt des Orients", II, 1956. გვ. 222, შმდ.

[12] И. Н. Винников, Новые финикийские надписи в Киликии, ВДИ. 3, 1950, გვ. 92.

[13] ქარხემიშის, გურგუმის, სამალის, მელიდისა და თაბალის სახელები ქეტსთან ერთადაა მოხსენიებული თიგლათფილესერ III-ის „ანალებში" და „ნიმრუდის ფრიზებში".

[14] სარგონ II-ის „ანალების" ერთ-ერთ ნაწყვეტში, ქუეს დასახელებაა შემცველ კონტექსტში ზღვის სანაპიროსია საუბარი (ARAB, II. 16); წარწერაში „ხარზე" კი ქუეში მოხდარი ამბების აღწერის შემდეგ, სარგონ II-ე მოგვითხრობს ზღვაში „ოქეზივით დაბერილ" იამანის (=იონელის) შესახებ (ARAB, II, 92).

დროისდელ წერილობით წყაროებში — ნაბუქოდონოსორ II-ის (ძვ. წ. 604—562 წწ.) და ნაბონიდეს (ძვ. წ. 555—538 წწ.) წარწერებში ვხვდებით[15]. ეს წარწერები მხარს უჭერს ვარაუდს კილიკიის დაბლობში ქუეს მოთავსების შესახებ.

ამგვარად, ძვ. წ. IX—IV სს. ძველაღმოსავლური წყაროების შუქზე, კილიკიის დაბლობში თავსდება ქუეს ქვეყანა. ამასთანავე, აღნიშნული ხანის წყაროების მონაცემებით, ხილაქუს ქვეყანა ქუედან დასავლეთით არის საძიებელი[16].

ხილაქუს ლოკალიზებისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სინაქერიბის (ძვ. წ. 705—681 წწ.) „პრიზმა“ — წარწერა.

ამ წერილობითი ძეგლის თანახმად, ქ. ილუბრუს[17] მმართველ კირუას ასურელებისათვის უღალატნია და ქ. ხილაქუს მოსახლეობა აუმხედრებია. ქ. ინგირას (ანტიკური ანხიალას, ტარსის ნავსადგურის)[18] და ქ. ტარზუს მცხოვრებთ აჯანყებულთათვის მხარი დაუჭერიათ. მათ ხელთ უგდიათ ქუეში მიმავალი გზა და იგი ჩაუკეტიათ (ARAB, II, 286; ABUUJ, № 59). ასურეთის მეფეს ამბოხების ჩასაქრობად დამსჯელი ექსპედიცია გაუგზავნია. ხილაქუს ხალხი ასურელებს მიუვალ მთებში დაუმარცხებიათ. იგივე ბედი სწვევიათ ინგირასა და ტარზუს. ხოლო ქ. ილუბრუსათვის ასურელებს ალყა შემოურტყამთ (ARAB, II, 287; АВИИУ, № 59). აჯანყებულების მეთაური კირუა, ხილაქუელებთან ერთად ნინეველში წაუყვანიათ (ARAB, II, 288; АВИИУ, № 59).

როგორც ვხედავთ, სინაქერიბის წარწერის მიხედვით ქ. ხილაქუ მდებარეობდა ქ. ილუბრუს მახლობლად. აქედან გამომდინარე, ქ. ილუბრუს ადგილმდებარეობის დადგენას არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს.

ე. ფორერი ამ ქალაქს ათავსებს ქუედან ჩრდილო-დასავლეთით, კილიკიის კარიდან სამხრეთ-დასავლეთით, თანამედროვე ნემრუნის (ბიზანტიური ლამპრონის) ახლოს[19]. ქ. ილუბრუს ფორერისეულ ლოკალიზებას ალ. გიოცე[20] იზიარებს[20]. ეს უკანასკნელი ასურულ ილუბრუს აიგივებს შუნაშურას „ხელშეკრულების“ ქ. ელიფრასთან[21]. ამ „ხელშეკრულების“ ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტში საუბარია ქარომხლის ღვთაება მანუზიასადმი მიძღვნილ დღე-

[15] W. F. Albright, Cilicia and Babylonia under the Chaldean Kings, BASOR 120, 1950, გვ. 22 შმდ.

[16] ამ მხრივ საყურადღებოა, რომ სარგონ II-ის წარწერებში ხილაქუს დასახელების შემდეგ საუბარია ქუედან მუშქების მეფის განდევნაზე (ARAB, II, 80, 99). სინაქერიბის სამშენებლო საქმიანობის აღწერისადმი ძიძღვნილ ტექსტებში, უცხო ქვეყნებიდან ნინეველში ჩამოყვანილ ტყვეთა შორის ერთიმეორის გვერდითაა დასახელებული ქუელები და ხილაქუელები (ARAB, II, 364, 383). ერთ კონტექსტშია ჩვენთვის საინტერესო სახელები შაბაშის ორაკულისადმი ასარჰადონის მიერ დასმულ ერთ-ერთ შეკითხვაში. ასარჰადონს აინტერესებს, ხომ არ დაესხნის თავს თაბალისა ან ხილაკის ლაშქარი ქუეს ქვეყანას (Кп., 60; АВИИУ, № 68 (д)

[17] სინაქერიბის „პრიზმა“—წარწერა ერთადერთი დღემდე ცნობილი ასურული წერილობითი წყაროა, რომელშიც ეს სახელია დამოწმებული.

[18] Forrer, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

[19] მერსინიდან ნემრუნი 43 კმ-ის მანძილითაა დაშორებული ჩრდილოეთით, ხოლო კილიკიის კარიდან 16 კმ-ის მანძილით. Forrer, დასახ. ნაშრ., გვ. 79.

[20] Goetze, Cilicians, გვ. 51, შენ. 19; გარსტანგი და გერნი ასურულ ილუბრუს აიგივებენ ხეთურ Allubrata-სთან (თანამედროვე კონიასთან), რაც სწორი არ არის. იხ. Garstang, Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

[21] ამ გეოგრაფიულ სახელს წინათ კითხულობდნენ, როგორც [Kikk] ipra. იხ. Goetze, Kizzuwatna.... გვ. 55-56; Garstang. Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 61, 124.

სასწაულზე. ხეთური წყარო ასახელებს ქიცუვათნაში მდებარე იმ ქალაქებს, რომელთა თავკაცებს დღესასწაულის დროს შესაწირი უნდა გამოეტანათ. ეს ქალაქებია: Kummanna (ანტიკური კომანა, თანამედროვე შაჰრი), Zunnahara, (ანტიკური ანაზარბუსი) და Elipra. დასახელებული ქალაქების თანმიმდევრობა იმაზე ლაპარაკობს, რომ ხეთური წყაროს ელიფრა საძიებელია ქიცუვათნას (ასურული წყაროების ქუეს) დასავლეთ საზღვართან. იმავე შუნაშურას „ხელშეკრულებიდან" ვგებულობთ, რომ ქიცუვათნას დასავლეთი საზღვარი კილიკიის ტაეროსზე (resp., ბულღარ-დაღზე) გადიოდა[22].

ამგვარად, კილიკიის დაბლობის (ასურული ქუეს) დასავლეთ საზღვართან. დღევანდელი ნემრუნის ადგილზე, ილუბრუს ლოკალიზებას ხეთური წყაროებიც უჭერენ მხარს. მაგრამ რაკი ასურული ილუბრუდან აღმოსავლეთით (კილიკიის დაბლობში) ქუეს ქვეყანა თავსდება, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, ამიტომ ჩვენთვის საინტერესო ხილაქუ, ილუბრუდან დასავლეთით ან ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიაზე, დღევანდელ ბულღარ-დაღთან (კილიკიის დაბლობის დასავლეთ საზღვართან) უნდა ვეძიოთ.

ასეთ ვარაუდს შემდეგი ცნობებიც უჭერენ მხარს: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სინაქერიბი მიუთითებს, რომ მისმა ლაშქარმა ქ. ხილაქუს მოსახლეობა მიუვალ მთებში დაამარცხა (ARAB, II, 287; АВИИУ, № 59). იმავე მეღის სხვა წარწერის ჩვენებით, ასურელებს ხილაქუს ქვეყნის მცხოვრებნი მაღალ მთებში „ცხვრებივით" გაუწყვეტიათ (ARAB, II, 329; АВИИУ, № 61). გასათვალისწინებელია აგრეთვე ასარჰადონის მონათხრობიც: ხილაქუს ხალხი, „თაბალთან მდებარე მთებში" რომ ცხოვრობს, „თავის მთებს" დაენდო და დიდი ხანია აღარ ემორჩილება ასურეთსო (ARAB, II, 531; АВИИУ, № 65).

ამის გარდა, საყურადღებოა, რომ ასარჰადონის წარწერებში (ARAB. II. 516, 530—431), ხილაქუს გვერდით მოხსენიებულია ბულღარ-დაღთან ტერიტორიულად ახლოს მდებარე ხუბუშნა (ანტიკური კიბისტრა, თანამედროვე ერეღლისთან)[23].

ხილაქუს ლოკალიზების ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვარიანტის სისწორეს ადასტურებს შემდეგიც:

ძვ. წ. VIII—VII სს. ასურული წყაროების შუქზე ხილაქუ თაბალიდან სამხრეთით მდებარე ქვეყანაა[24].

---

[22] შუნაშურას „ხელშეკრულების" მონაცემებით, ქიცუვათნას მხრიდან სასაზღვრო პუნქტებია: Pitura (ანტიკურ ლამოსთან), Zinziluwa, Erimuna (კილიკიის კართან). Zabarasna-ს მთები (ბულღარ-დაღი) და მდ. Samri-ის (ანტიკური საროსის, თანამედროვე სეი-ხანის) ზეგნ დინების რაიონი—იხ. Goetze, Kizzuwatna... გვ. 48 შმდ., Garstang, Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

[23] მკვლევრები ასურულ ხუბუშნას აიგივებენ ხეთური წყაროების Uupisna-სთან. მელარტი ხეთურ Uupisna-ს, ანტიკური კიბისტრადან აღმოსავლეთით მდებარე დიდ ბორცვზე, „Kara Hüyük"-ზე ათავსებს. იხ. Goetze, Kizzuwatna..., გვ. 53 და შენ. 200; Garstang, Gurney, დასახ. ნაშრ., გვ. 63-64, 72 და იქვე შენ. 1; P. Hulin, The Inscriptions on the Carved Throne Base of Salmaneser III, „Iraq". XXV, 1963, გვ. 66

[24] ამ მხრივ ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ სარგონ II-ის წარწერებში, თაბალისა და ხილაქუს მოხსენიებას მოსდევს იმ ამბის აღწერა, რომელიც კუეში გადახდა მუშქების მეფე მითას, ხოლო ამის შემდეგ ჩამოთვლილია კუედან სამხრეთით მდებარე ქვეყნების სახელები (ეგვიპტე, ჯაზა, ითანანა-კვიპროსი) იხ. ARAB, II, 60, 99; АВИИУ, № 47 (10); Кп., 60, 61; АВИИУ, № 68 (д). იხ. აგრეთვე, ARAB, II. 28, 55, 760, 782; АВИИУ, №№ 46, 54.

ასურული წყაროების მონაცემებით, თაბალის სამხრეთ საზღვართან ხილაქუს გარდა მდებარეობდნენ თუხანი (სეთური და იეროგლიფური სეთური თუვანუვა, ანტიკური ტიანისი, თანამედროვე ბორი), თუნა (ანტიკური თინა, თანამედროვე ულუქიშლა — ზეივეს მახლობლად) და ამ უკანასკნელთან ახლოს მდებარე შინუხთუ[25]. ჩვენს ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ თაბალთან სამხრეთიდან მოსაზღვრე ზემომითითებული ქვეყნები უშუალოდ ევფრატისპირეთის ხილაქუსათვის ჩვენ მიერ ნავარაუდევ ტერიტორიას (ბულღარ-დაღის სექტორს).

ბულღარ-დაღთან ხილაქუს ლოკალიზებისათვის ასურულ წარწერებში კიდევ ერთ საყურადღებო მითითებას ვპოულობთ.

სალმანასარ III-ის დროინდელი წყაროების მონაცემებით, თაბალის სამხრეთ საზღვართან თუნისა და მულის მთებია (დღევანდელი ბულღარ-დაღი)[26]. ხოლო, როგორც ვნახეთ, ასარჰადონის ცნობის თანახმად, ხილაქუს ხალხი „თაბალთან მდებარე მთებში“ ცხოვრობს (ARAB, II, 531; АВИИУ, № 65).

ზემოთ ითქვა, რომ მკვლევართა ერთი ჯგუფი (ვინკლერი, ფორერი) ხილაქუს ქვეყანას სამხრეთ კაპადოკიაში, ქ. მაზაკას (თანამედროვე კაისერის) მიდამოებში ეძებს. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს შეხედულება მცდარია. ზემოაღნიშნულის გარდა ამ შეხედულების წინააღმდეგ ლაპარაკობს შემდეგიც.

ასურული წყაროების თანახმად, ხილაქუს ხალხი მიუვალ მაღალ მთებში ცხოვრობს. ქ. მაზაკა კი, რომელსაც დასახელებული მკვლევრები ქ. ხილაქუსთან აიგივებენ, სტრაბონის აღწერით, განლაგებულია „ბუნებისაგან გაუმაგრებელ“ (Ἀνώχυρος), უწყლო (Ἀνυδρός) და უნაყოფო დაბლობში (Strabo, XXII, II, 7)[27]. ხილაქუ-მაზაკას ურთიერთდაკავშირებას ხელს უშლის ისიც, რომ მაზაკა ილუბრუდას საკმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული (იმავე სტრაბონის გადმოცემით, კიროსის ბანაკიდან[28] და კილიკიის კარიდან მაზაკამდე 6 დღის სავალი გზაა (Strabo, XII, II,9), ხოლო როგორც ვნახეთ, სინაქერიბის წარწერის მოწმობით, ხილაქუ უშუალო მეზობელი იყო ილუბრუსი (ARAB, II, 286—288; АВИИУ, № 59). დაბოლოს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ძველაღმოსავლური წყაროების შუქზე, ქ. მაზაკას მიდამოები ეკავა თაბალის ქვეყანას[29].

---

[25] ARAB, I, 801; II, 7, 55, 118, 137, 214; აღნიშნული ქვეყნების ლოკალიზებასთან დაკავშირებით იხ. Forrer, დასახ. ნაშრ., გვ. 72 შმდ. E. Laroche, Les Hiéroglyphes Hittites, Paris, 1960, №№ 35, 439; Hulin, დასახ. ნაშრ., გვ. 66-67.

[26] ARAB, I, 579, 682; „Reallexikon der Vorgeschichte. Bd. 12. 1928, სტატია: „Silber“; E. Michel, Die Assur-Texte, Salmanassars III (858-824). „Die Welt des Orients“, Heft 2, 1947, გვ. 61, შენ. 19 და 20; გ. მელიქიშვილი, აღმოსავლეთ ცისკრეთის ისტორიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის, „სახოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“, 1961, № 3. გვ. 101 შმდ.; შდრ. Hulin, დასახ. ნაშრ. გვ. 66-67.

[27] როგორც ცნობილია, სტრაბონი წარმოშობით პონტოდან იყო. ამიტომ მისი ცნობები კაპადოკიის შესახებ განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებენ.

[28] ქსენოფონტის „ანაბასისის“ მიხედვით, კიროსის ბანაკი ქ. დანთან (თანამედროვე ქილიე-ჰისართან) იყო განლაგებული. კილიკიის კარი მდებარეობს ქ. დანიდან სამხრეთით, მოშორებით 25 კმ-ის მოშორებით (იხ. Xenophon, Anab., I, II, 19 შმდ.).

[29] ARAB, II, 25, 55, 118, 137; R. D. Barnett, Karatepe. The Key to the Hittite Hieroglyphs, Anst, III, 1953, გვ. 92 შმდ.; P. Meriggi, Le iscrizioni in eteo geroglifico de Tabal, „Rivista degli studi orientali“, XXXII, 1957, გვ. 225 შმდ.; H. W. F. Saggs. The Nimrud Letters, 1952. Part—IV, The Urartian Frontier, „Iraq“, XX, ნაწ. 2, 1958, გვ. 204 შმდ; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 73-75.

ამგვარად, ხილაქუს ლოკალიზება ბულღარ-დაღის კალთებთან (ანტიკუ-ური ხანის კილიკიის დასავლეთ საზღვართან), აქმაყოფილებს ასურული წყაროებების იმ ძირითად მოთხოვნებს, რომელთა თანახმადაც ჩვენთვის საინტერესო ქვეყანა მდებარეობს მიუვალ მთებში და ტერიტორიულად დაკავშირებულია ერთი მხრით, ილუბრუ-ქუესთან, ხოლო მეორე მხრით, თაბალთან. თუ ხილაქუს ამგვარ ლოკალიზებას მივიღებთ, მაშინ მის ირგვლივ მდებარე ქვეყნები შემდეგნაირად იქნება რუკაზე წარმოდგენილი: ხილაქუს დასავლეთით ხუბიშნა (თანამედროვე ერეღლი) იქნება მოსათავსებელი, მის ჩრდილოეთით თაბალი, ხოლო აღმოსავლეთით ქუე (კილიკიის დაბლობი).

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს აგრეთვე იმასაც, რომ, მართალია, ტერმინები „ხილაქუ“ და „კილიკია“ ფონეტიკურად არიან დასაკავშირებელი ერთმანეთთან, მაგრამ ისინი უდაოდ წარმოადგენენ სხვადასხვა, თუმცა მეზობელი ოლქების აღმნიშვნელ სახელწოდებებს.

შესაძლებლობას არ არის მოკლებული, რომ სწორედ ამ მეზობლობის გამო ტერმინი „ხილაქუ“ („კილიკია“) ძველბერძნულ ლიტერატურაში ეხმარათ აგრეთვე ხილაქუს აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის (ასურული ქუეს) აღსანიშნავადაც. დასაშვებია, რომ ტერმინ „ხილაქუს“ შინაარსის შეცვლას resp., გაფართოებას) ხელი შეუწყო იმ პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარებამ, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა ძვ. წ. VI ს-ის ბოლო მეოთხედში, როცა ხილაქუს პოლიტიკური ბატონობის სფეროში უნდა მოქცეულიყო მის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელი ტერიტორიაც (ასურული ქუე). ამ ძხრივ გასათვალისწინებელია აგრეთვე ხილაქუს საგარაუდო ექსპანსია ჩრდილოეთის მიმართულებითაც (ქ. მაზაკასთან), რომლის შესახებ არაპირდაპირი მითითებებია დაცული ბერძენ ავტორებთან (Herodotus, I, 72; Strabo, XII, 2, 7).

Б. В. ТЕХОВ

СКИФСКИЕ ЭЛЕМЕНТЫ В МАТЕРИАЛЬНОЙ КУЛЬТУРЕ ЮГО-ОСЕТИИ

С VIII века до н. э. обширные территории между Доном и Дунаем, степного Крыма, южно-русских степей и Северного Кавказа были заняты этнически разными племенами, которых древние греки называли «скифами» и «киммерийцами». Именно с этого периода в материальной культуре указанных областей стали фигурировать железные и бронзовые изделия отличающиеся от местных форм вооружения и домашней утвари. Этот период в истории Северного Кавказа является эпохой распространения культуры скифов, которая по мнению А. А. Иессена, складывалась еще до скифских походов в Переднюю Азию (VIII в. до н. э.), как культура кочевников, конных воинов, владевших железным и бронзовым оружием, с элементами восточных (казахстанских, сибирских или среднеазиатских) и местных, кавказских (прикубанских и кубанских) культур[1]. С VII в. до н. э. местные кавказские культуры стали менять свой оригинальный кавказский вид. Причиной этой замены послужила культура пришедших кочевников скифов с юга России. С VII в. до н. э. резко усиливаются связи между аборигенами Кавказа и скифскими племенами. Эти связи хорошо прослеживаются в материальной культуре, обнаруживаемой на территории Закавказья и относящейся к VII—VI вв. до н. э. По мнению Б. Б. Пиотровского, в культуре Закавказья VII—VI в. до н. э. наряду с местным и древневосточным, ясно выявляется скифский элемент[2].

Наличие в материальной культуре Грузии скифских элементов, по мнению Г. А. Меликишвили, должно указывать на интенсивные связи скифов и закавказских племен, а также на наличие отдельных групп скифо-киммерийцев на территории Закавказья[3].

В кавказской историографии считается установленным фактом, что начиная с VII в. до н. э. скифские племена совершали вторжение в Закавказье и Переднюю Азию. Об этих вторжениях ценные сведения оставил нам Геродот. По его сообщению, скифы вторглись туда «вслед за изгнанными из Европы киммерийцами, преследуя-же бегущих, дошли таким образом до Мидийской земли (I, 103). Говоря о пути движения скифов он пишет: «от озера Меотиды до реки Фазиса и владений Колхов 30 дней пути для хорошего, легко одетого пешехода, а из Колхиды недалеко уже пройти в Мидию; между этими странами живет только один

---

[1] А. А. Иессен, Итоги и перспективы археологического изучения Северного Кавказа, Тезисы докладов на пленарных заседаниях конференции по археологии Кавказа, состоявшейся в Ереване в октябре 1956 г. М., стр. 15; См. также, Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, стр. 221.

[2] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, Л., 1949, стр. 115, 129.

[3] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 224.

народ—сасперы, миновав его, будет в Мидии. Скифы, однако, вторглись не этим путем; они уклонились в сторону, пошли по верхней, гораздо более длинной дороге, имея по правую руку Кавказскую гору. Здесь мидяне сразились со скифами, но потерпели поражение в битве




Рис. 1

и потеряли свое господство, а скифы завладели всем» (1, 104). Скифское господство в Закавказье, по Геродоту, продолжалось 28 лет (1, 106). Во второй половине VIII в. до н. э. с Северного Кавказа и из южно-русских степей начались крупные скифо-киммерийские вторжения на юг. Особую силу этим вторжениям, как отмечает Г. А. Меликишвили, придавало то обстоятельство, что к скифам и киммерийцам примкнули

многие племена, жившие на Кавказе и в более южных областях, до этого терпевшие много притеснений со стороны своих могучих соседей — крупных древневосточных государств[4]. Проходя через Дербентский проход по побережью Каспийского моря, скифы обосновались на территории нынешнего Азербайджана, включив в свой состав значительные группы местного скотоводческого населения, совершали походы в различные части Передней Азии, выходили к юго-восточным границам Урарту, в Приурмийский район[5]. О путях вторжения скифов в Закавказье и Переднюю Азию имеются свидетельства древнегреческих авторов, в частности Геродота (I, 203, 104; IV, 12).

Совершая походы в страны Передней Азии через Закавказье, скифы не могли не оставить следов, тем более, что по сведениям Геродота, они господствовали здесь двадцать восемь лет (I, 106). Оставленные скифами следы хорошо прослеживаются в материальной культуре Азербайджана, Грузии и Армении. Так, при раскопках в древнем Мингечауре и в Самтаврском могильнике обнаружены наконечники стрел скифского типа, скифские акинаки и другие предметы скифского вооружения. Кроме Мцхетского могильника элементы скифской культуры обнаружены в Дванском некрополе, исследованном С. И. Макалатия[6], в сел. Бенташени[7], в Куланурхва[8], в окрестностях Ахали Афони[9] и др.

Скифские элементы меньше всего были обнаружены в материальной культуре Юго-Осетии. Это объясняется прежде всего тем, что памятники VII—VI веков до н. э. на территории Юго-Осетии исследованы недостаточно. Между тем на территории области расположено несколько перевальных путей (Дзомагский, Рукский, Бахфандагский, Зекарский), которые, видимо, использовались скифами во время их походов в Переднюю Азию. Ущелья Малой и Большой Лиахвы, видимо, имели большое значение для перехода с Северного Кавказа на Картлийскую равнину. Об этом, впрочем, упоминал Д. Гвритишвили еще в 1954 году[10]. Эти ущелья, по-видимому, служили теми путями, по кото-

---

[4] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 221, См. так-же Всемирная история, I, 1955, стр. 530—531.

[5] Всемирная история, I. стр. 531; Б. Б. Пиотровский, Скифы в Закавказье. Ученые записки ЛГУ, серия ист. наук, вып. 13, 1949, стр. 173; См. также Я. А. Манандян, О некоторых проблемах истории древней Армении и Закавказья, Ереван, 1944, стр. 43 и след.

[6] С. И. Макалатия, Раскопки Дванского некрополя, СА, XI, 1949.

[7] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, стр. 43—44; Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, стр. 118—119.

[8] М. М. Трапш, Памятники Колхидской и скифской культур в селе Куланурхва Абхазской АССР, Сухуми, 1962, стр. 48—53.

[9] Е. И. Крупнов, О походах скифов через Кавказ, Вопросы скифосарматской археологии, стр. 192.

[10] Д. Гвритишвили, История г. Гори, Тбилиси, 1954, стр. 8—14.

рым переднеазиатская цивилизация через Закавказскую территорию проникала на северные склоны Главного Кавказского хребта. Для подтверждения вышесказанного следует привести тот незначительный археологический материал, который был найден в Юго-Осетии.

Среди археологических комплексов областного музея Юго-Осетии привлекают на себя внимание скифские бронзовые трехперые наконечники стрел с недлинным шипом или без него. Они обнаружены случайно в разных районах области. Несколько из наконечников стрел считаются доставленными из сел Корниси и Рустави. В последнем имеется могильник VII—VI вв. до н. э. с которым и связаны имеющиеся в Музее Юго-Осетии наконечники стрел (рис. 1).

Не будем давать детальную характеристику этих наконечников стрел, ибо они повторяют форму скифских наконечников стрел, распространенных на Украине, на Дону, на Северном Кавказе, в Закавказье и в Средней Азии. Большое количество этих наконечников стрел обнаружено в Келермесских курганах на Кубани (раскопки Д. Г. Шульца, 1903—1904 гг.), при раскопках Западного здания Кармир-блура[11], в некоторых погребениях Самтаврского могильника[12], в Мингечауре и т. д. В последнем исследователи видят даже захоронения самих скифов[13].

Кроме наконечников стрел в закавказских материалах широко распространены так называемые скифские железные акинаки. В погребальных комплексах конца VII и начала VI в. до н. э. Тлийского могильника, они представлены в нескольких экземплярах (рис. 1). Они имеют узкое продолговатое лезвие с незаметным средним ребром. Ручки массивные с перекрестьем. На лезвиях некоторых экземпляров сохранились следы дерева, по-видимому, от ножен. Акинаки эти повторяют форму скифских, найденных как на Северном Кавказе, так и в южных степях России. Форма этих мечей сохранилась почти более столетия. С некоторыми видоизменениями она сохранилась до IV века до н. э. Так, навершие мечей становится плоским, овальным. Несколько подобных экземпляров найдено в Сарматских погребениях. По мнению К. Ф. Смирнова раннесарматские мечи с овальным навершием возникли под определенным влиянием моделей скифских мечей[14].

Длина всех найденных в Тлийских погребениях акинак достигает до 45 см. Постепенное удлинение акинака происходило, по-видимому, под влиянием мечей савроматских форм, в результате тесного контакта савроматов со скифами[15].

Особого внимания заслуживает погребальный комплекс могилы № 68[16]. В нем обнаружены предметы местного производства — бронзовый топор с полукруглым лезвием, клиновидным обухом и овальным проухом с сетчато-заштрихованным узором на самой узкой обушной части и на лезвии, железный наконечник копья с раскрытой втулкой.

---

[11] Б. Б. Пиотровский, Ванское Царство, М., 1960, стр. 240;
А. А. Иессен, Некоторые памятники VIII—VII вв. до н. э. на Северном Кавказе. Вопросы скифо-сарматской археологии, 1952, стр. 114, рис. 4.

[12] М. М. Трапш, Указ. соч. стр. 51; См. также Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, стр. 225.

[13] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, стр. 119—120; См. также, Г. А. Меликишвили, Указ. соч. стр. 225.

[14] К. Ф. Смирнов, Вооружение Савроматов, МИА, № 101, М., 1961, стр. 24.

[15] Там же, стр. 23.

[16] Погребальный комплекс погр. № 68 с другими материалами опубликован в журнале «Советская археология» № 1, 1963, стр. 170.




Рис. 2

Вместе с этим в этом же комплексе присутствуют скифские элементы; как, например, бронзовые удила со стремяновидными концевыми ушками (рис. 2), роговые псалии с отверстиями и резным орнаментом. Кончик одной из псалий имитирует переднее копыто коня. На другом экземпляре ввиду поврежденности подобная иммитация отсутствует (рис. 2).

Псалии и удила были обнаружены у черепа коня, лежавшего перед человеческим костяком. Как видим, и обряд захоронения черепа коня напоминает нам скифский.

Рассматриваемые удила относятся к третьему типу по классификации А. А. Иессена; они хорошо известны на Северном Кавказе, Подонье и Украине[17]. Удила типа тлийских сочетаются, главным образом, в комплексах, имеющих костяные трехдырчатые псалии. В ряде случаев они встречаются в комплексах с железными удилами. Они полностью повторяют форму удил из кургана близь Келермесской станицы, жаботинских[18], куланурхвских[19].

Бронзовые удила этой формы были обнаружены в ряде погребений Тагискенского могильника. Они обнаруживались с бронзовыми наконечниками стрел[20]. Удила эти на Кавказе и в Средней Азии, видимо, бытовали в одно и то же время. Что же касается их более отдаленных аналогий, как например, из Южной Сибири, то они, по-видимому, появились там намного позже. Они хорошо датируются второй половиной VII в. до н. э.

По мнению А. А. Иессена подобные удила появляются после короткого периода большого разнообразия в типах и разновидностях удил. Они, видимо, происходят от двукольчатых удил путем постепенного уничтожения второго кольца[21]. Бронзовые удила разных форм и типов хорошо известны в Закавказье, на Северном Кавказе, на Украине и Юго-Европейской части СССР. Что же касается формы наших удил, то в Закавказье она очень редка. Удила этого типа были обнаружены только на территории Абхазии, а вторая находка, как мы видели, засвидетельствована в Юго-Осетии.

Скифское влияние наблюдается и в некоторых деталях изобразительного искусства. Любопытно отметить, что на богато орнаментированных бронзовых поясах Тлийского некрополя тоже прослеживается влияние скифского духовного мира. Так, на поясе из погребения № 76 помимо представителей фауны Центрального Кавказа, имеется и изображение сильно схематизированного всадника, с маленькой бородой и короткими волосами[22]. В правой руке всадника плеть, а левая проходит назад к висящему на плече луку и колчану со стрелами. На передней части тела коня изображены солнце и другие небесные светила. На уздечках коня висит человеческая голова, по-видимому, побежденного врага (рис. 3). Обычай вешания головы побежденного на уздечках коня существовал у скифов.

---

17 А. А. Иессен, К вопросу о памятниках VIII—VII вв. до н. э. на юге Европейской части СССР, СА, XVIII, М., 1953, стр. 52.

18 Там же, стр. 83 и 87.


19 М. М. Трапш, Ук. соч., стр. 54, Табл. XX; См. так же А. А. Иессен, Указ. соч., стр. 83.

20 С. П. Толстов и М. А. Итина, Могильник Тагискен, Тезисы докладов на заседаниях посвященных итогам полевых исследований 1963, М., 1964, стр. 38—39.

21 А. А. Иессен, К вопросу о памятниках VIII—VII вв., стр. 105.

22 Б. В. Техов, Раскопки Тлийского могильника в 1960 г. СА, № 1, 1963, стр. 173.

По сообщению Геродота, скиф относит к царю головы всех убитых им в сражении потому, что принесший голову получает долю захваченной добычи[23]. Из черепов ненавистнейших врагов скифы делали чаши






Рис. 3

для питья. Так же они поступали и с черепами родственников, одержав над ними верх в распре. Подобные обычаи упоминаются и в китайских

[23] В. В. Латышев, Известия древних писателей о скифии и Кавказе, ВДИ, № 2, 1947, стр. 269; См. так же, С. И. Руденко, Культура населения горного Алтая в скифское время, М.-Л., 1953, стр. 264; В. Миллер, Черты старины в сказаниях и быте осетин, ЖМНП, VII—VIII, СПб., 1882, стр. 197.

хрониках. Так, хунн, отрубивший в сражении голову неприятелю, получал в награду кубок вина[24].

У некоторых Кавказских народов, в пережиточной форме сохранились обряды, которые берут свое начало с периода господства скифов на Северном Кавказе. Так, у народов Северного Кавказа еще до начала XX века был известен левират, когда брат брал себе в жены супругу умершего брата. Подобные факты института брака были у скифов. По сообщению Геродота, один из скифских царей — Скил — женился на жене своего покойного отца[25].

В китайских хрониках сообщается о том, что у скотоводческих племен Усунь, Хунну и др. по смерти отца женятся на мачехе; по смерти братьев женятся на невестках[26]. Отмеченный выше обычай был характерным для патриархальной семьи и связан с экзогамной формой брака. До прихода скифских племен на Кавказ подобные факты брака нам не известны. Потому и связываем их с обрядами скифов. Материальная и духовная культура скифов в определенной степени оказывала свое влияние на культуру местных племен аборигенов, но первоначально они не могли вытеснить из употребления местных форм оружия и утвари. Наоборот, в скифское время кавказские бронзовые изделия бытовали в северных степных районах и даже на Украине[27]. В каменных ящиках и в некоторых грунтовых погребениях горного Крыма II тысячелетия до н. э. нередко встречаются подлощенные сосуды, распространенные в памятниках северо-кавказской культуры[28]. Кроме того, бронзовые сосуды Жаботина, Таганчи и Серебрянки, по мнению исследователей, попали туда с Кавказа и связаны с Кавказской металлообрабатывающей техникой. Существует так же мнение, что Крым, не имеющий своей меднорудной базы, с ранних времен снабжался металлом с Кавказа[29].

К концу VII и в первой половине VI в. до н. э., как выше отмечалось, скифы стали совершать походы в Закавказье и Переднюю Азию. В результате этих походов они оставляли и следы своей культуры. Эти следы рассматриваются как самостоятельные элементы культуры скифов и должны быть рассмотрены как компоненты скифской материальной и духовной культур. С другой стороны эти предметы, видимо, говорят о том межплеменном обмене, который был установлен между племенами Северного Кавказа и Грузии еще с древнейших времен. Не ис-

---

24 Н. Я. Бичурин, Собрание сведений о народах, обитавших в Средней Азии в древние времена, ч. I., 1950, стр. 50; См. также С. И. Руденко, Указ. соч. стр. 264.

25 Геродот, История, IV, 78; так же, С. И. Руденко, Указ. соч., стр. 254.

26 Н. Я. Бичурин, Указ. соч., ч. I, стр. 40, 52, 143.

27 Б. В. Техов, Раскопки Тлийского могильника в 1960 г., стр. 170.

28 А. М. Лесков, Таврская культура в горном Крыму, Автореферат канд. диссертации, М., 1961, стр. 10.

29 Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, стр. 347, см. также: Б. В. Техов, Указ. соч., стр. 170.

ключено также, что эти акинаки и наконечники стрел, известные в археологической литературе под скифо-иранскими, изготовлялись на месте местными мастерами. Известный исследователь скифской культуры Б. И. Граков отмечал, что скифская культура является комплексом форм местных и привозных бытовых памятников.

Оружие скифской культуры изготовлено в основном по образцам Передней Азии и Кавказа. Это подтверждается тем обстоятельством, что на территории Кавказа, особенно в Грузии, скифские топоры и акинаки обнаружены в большем количестве, чем на территории Скифии. В одном только Бриле найдено свыше ста экземпляров этих топоров. Большое их количество обнаружено во время раскопок на Сухумской горе[30]. Достаточное количество этих топоров, так называемых секир, известно в Тлийских погребальных комплексах.

Все вышесказанное свидетельствует о том, что с VII в. до н. э. между скифскими племенами Северного Кавказа и населением Грузии устанавливаются тесные межплеменные связи. Возможно, что в результате такой тесной связи формы оружия в Скифии, переходили из Закавказья, где железная металлургия зарождается еще в конце II тыс. до н. э. Здесь были открыты железосодержащие руды и железообрабатывающие мастерские. Что же касается Скифии, то там следы железообрабатывающей металлургии раньше IV в. до н. э. нигде не выявлены[31]. Конечно, допустимо, что обнаруживаемые железные акинаки и секиры изготовлены по скифским образцам местными кавказскими мастерами, а бронзовые наконечники, по-видимому, оставлены самими скифами. То же самое можно сказать о бронзовых удилах, костяных псалиях и др. предметах конского убора.

Следовательно, с конца VII в. до н. э. в археологических комплексах хорошо прослеживаются скифские элементы, как в материальной культуре, так и в духовном мире.

---

30 А. М. Апакидзе, Н. З. Бердзенишвили, Г. Ф. Гобеджишвили, О. М. Джапаридзе, А. Н. Капанадзе, Г. А. Ломтатидзе, Н. В. Хоштария, Археология Грузии, Тб., 1959, стр. 204.

31 Там же, стр. 205; см. также, Г. Ф. Гобеджишвили, Археологические раскопки в Советской Грузии, Тб., 1952, стр. 100—103.

მერი ინაძე

ფსევდო-სკილაქსის ცნობათა დათარიღების საკითხისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ გეოგრაფიული ნაშრომი „დასახლებული ევროპის, აზიისა და ლიბიის ზღვის პერიპლუსი“ („Περίπλους τῆς θαλάσσης τῆς οἰκουμένης Εὐρώπης καὶ Ἀσίας καὶ Λιβύης“), რომელსაც ძვ. წ. VI ს-ის ცნობილ მოგზაურს სკილაქს კარიანდელს მიაწერდნენ, შედგენილი უნდა იყოს ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში (დაახლოებით 338—335 წწ-ში) უცნობი ავტორის მიერ[1]. გადმოცემის თანახმად სკილაქს კარიანდელს ეკუთვნოდა რამდენიმე ისტორიული და გეოგრაფიული ნაშრომი, მათ შორის „პერიპლუსიც“, რომელშიც აღწერილი ყოფილა მისი მოგზაურობის შედეგები ხმელთაშუა და შავ ზღვებზე, მდინარე ჰინდის ველზე, ინდოეთის ოკეანესა და მეწამულ ზღვაზე[2]. მაგრამ ამ ნაშრომმა ჩვენამდე არ მოაღწია. „პერიპლუსი“, რომელიც ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს, როგორც აღინიშნა, ფაქტიურად სკილაქსს არ ეკუთვნის. იგი შეუდგენია უცნობ ავტორს ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში სხვადასხვა პერიპლუსებისა და გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომების საფუძველზე.

სკილაქსისათვის შეცდომით მიწერილი „პერიპლუსი“ შეიცავს ხმელთაშუა და შავი ზღვების აღწერილობას, ასევე აფრიკის სანაპიროს აღწერას ატლანტიის ოკეანის მხრიდან. იგი პირველი გეოგრაფიული ნაშრომია, რომელშიც, მართალია ძალზე მოკლედ და სქემატურად, მაგრამ შედარებით სრულად არის დაცული შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე არსებული გეოგრაფიული პუნქტებისა და აქ მოსახლე ტომების აღწერილობა.

პერიპლუსისათვის დამახასიათებელი სქემატურობის მიუხედავად[3] ფსევდო-სკილაქსის ნაშრომში დაცულ ცნობებს შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამ-

---

[1] ეს აზრი პირველად გამოთქვა და დაასაბუთა კ. მიულერმა (იხ. **Geographi Graeci minores**, I, Paris, 1882, p. XXXIII—LI. შემდეგში მ. შმიდტმა „პერიპლუსში“ დაცული ცნობების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაამტკიცა, რომ მისი ავტორი წარმოშობით ათენელი უნდა ყოფილიყო (იხ. მისი Zur Gesch. d. Geogr. Litt. bei den Griechen u Römern, 1889, გვ. 8). მ. შმიდტის მოსაზრება გაიზიარა მ. როსტოვცევმა (Скифия и Боспор, М., 1925, გვ. 25).

[2] E. H. Bunbury, A history of ancient Geography. v. I. 1959, გვ. 385.

[3] როგორც ცნობილია, აღნიშნული ხანის პერიპლუსებში ჩვეულებრივ ყოველგვარი საერთო გეოგრაფიული მიმოხილვის გარეშე მოკლედ იყო ჩამოთვლილი მხოლოდ სანაპიროზე მოსახლე ტომები და მათ ტერიტორიაზე არსებული ღირსშესანიშნავი საზღვაო ქალაქები იმ რიგით, როგორც ისინი წარმოუდგებოდა სანაპიროს გასწვრივ ხომალდით მოცურავეს. პერი-

ხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროთა შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სანაპიროების ისტორიული გეოგრაფიისა და მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხების შესასწავლად. „პერიპლუსი“ ერთ-ერთი ძირითადი წყაროებითი წყაროა. რომელიც საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ წინა- და აღმოსავლეთის ხანის კოლხეთის საქალაქო ცენტრებზე, დავადგინოთ აღნიშნულ ხანაში აქ მობინადრე ტომთა განსახლების საზღვრები და სხვ.

ფსევდო-სკილაქსის ზემოაღნიშნული ცნობები (შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროთა შესახებ) არაერთხელ იყო გამოყენებული ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსიდან“ ამოკრებილი ცნობები ქართველი ტომების შესახებ ქართულად თარგმნა და სათანადო ვრცელი კომენტარებით გამოსცა ნ. ლომოურმა[4]. საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევარნი დღესაც ხშირად მიმართავენ ამ ცნობებს ძირითადად კოლხეთის საქალაქო ცენტრების ხასიათისა და მისი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხების გასარკვევად. მაგრამ, ჩვეულებრივ, ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსი“ განიხილება, როგორც ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრის ვითარების ამსახველი წერილობითი წყარო. ამ ნაშრომით სარგებლობისას მკვლევარნი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ იგი კომპილაციურ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა დროის პერიპლუსებისა და გეოგრაფიულ თხზულებათა საფუძველზეა შედგენილი[5]. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ნაშრომის გამოყენებამ წყაროთმცოდნეობითი კვლევის, კერძოდ, მასში დაცული ცნობების დათარიღების გარეშე, გაუგებრობა შეიძლება დაბადოს კოლხეთის ძველი ისტორიის საკითხების კვლევისას.

რუსულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის“ წყაროების შესწავლას დიდიხანია რაც ექცევა ყურადღება. მაგრამ წყაროების კვლევა აქ ძირითადად „პერიპლუსის“ იმ ნაწილის განხილვის საფუძველზე ხდებოდა, რომელიც შავი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსა და მის მოსახლეობას შეეხება. კერძოდ, „პერიპლუ-

---

ქლესებისათვის დამახასიათებელი ასეთი მოკლე ჩამოთვლა გამომდინარეობდა მათი წმინდა პრაქტიკული დანიშნულებიდან — მომსახურეობა გაეწიათ მეზღვაურ-ვაჭართათვის, რომელთაც სანაპიროებზე მდებარე ქალაქებთან და აქ მცხოვრებ ტომებთან უხდებოდათ ურთიერთობა.

4 ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 34—53.

5 ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ დაცული ცნობების დათარიღების საკითხს ჩვენ შევეხეთ რამდენიმე წლის წინ ქალაქ დიოსკურიის შესახებ ამ ავტორის ცნობის შესწავლასთან დაკავშირებით. მაშინ ჩვენ გამოთქვით ვარაუდი, რომ ფსევდო-სკილაქსს შავი ზღვის სანაპირო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროთა აღწერილობის შედგენისას მის თანადროულ (ძვ. წ. IV ს-ის) ცნობებთან ერთად უნდა გამოეყენებინა უფრო ძველი, ძვ. წ. VI ს-ის წყაროებიც (მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია), ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, 2, 1962, გვ. 20).

თ. ყაუხჩიშვილი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ დაცული ცნობები „უფრო ადრინდელი ჩანს, ვიდრე ძვ. წ. IV ს-ეა“. გელონებისა და მელანქლაინების შესახებ ფსევდო-სკილაქსისა და ჰეროდოტეს ცნობათა შედარების საფუძველზე იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ფსევდო-სკილაქსის ეს ცნობა „რაღაცა ძველ, რეალურ ვითარებას უნდა ასახავდეს“ (თ. ყაუხჩიშვილი, ფსევდო-სკილაქსის ზოგიერთი ცნობის შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, I, თბ., 1965, გვ. 5—9).

სის“ ამ ნაწილის კვლევა-ძიების შედეგად კისლინგი[7], გიზინგერი[7] და სხვ. იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფსევდო-სკილაქსს თავისი ნაშრომის შედგენისას უხმია გამოეყენებინა უძველესი პერიპლუსი, რომელიც ნამდვილ სკილაქსს (ძვ. წ. VI ს.) ეკუთვნოდა. ს. ყუბელიოვიც სავსებით მისაღებად თვლიდა იმ აზრს, რომ „პერიპლუსის“ ძვ. წ. IV ს-ის უცნობმა ავტორმა სკილაქსისგან გადმოიღო არა მხოლოდ მისი სახელი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმ ხანებში, არამედ ისარგებლა მისი „პერიპლუსითაც“[8].

უკანასკნელ ხანებში ლ. ელნიცკიმ შავი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ფსევდო-სკილაქსისეული აღწერილობის შედარების საფუძველზე ჰეკატე მილეტელის „პერიოდოსში“ დაცულ ცნობებთან გამოთქვა ვარაუდი, რომ ფსევდო-სკილაქსს ან უშუალოდ უნდა ესარგებლა ჰეკატეს ნაშრომით, ანდა, რაც უფრო საფიქრებელია, ორივე ამ ავტორს საერთო წყარო უნდა ჰქონოდა, რომელსაც ნამდვილად სკილაქსსა და მის დრომდე, ე. ი. ძვ. წ. VI ს-მდე მივყეევართ[9].

რა ვითარებაა ამ მხრივ ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის“ იმ ნაწილში, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერილობას შეიცავს? სარგებლობდა ავტორი ამ აღწერილობის შედგენისას აგრეთვე ძველი (VI ს-ის) წყაროებით და მათ შორის ნამდვილი სკილაქსის „პერიპლუსით“, თუ მისი ცნობები ამ სანაპიროს შესახებ ავტორის თანადროულად (ე. ი. ძვ. წ. IV ს-ის) უნდა მივიჩნიოთ?

წინამდებარე წერილში ჩვენ სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ფსევდო-სკილაქსის ცნობებს შავი ზღვის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს შესახებ.

პირველ რიგში განვიხილავთ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერილობას. „პერიპლუსის ამ ნაწილის წყაროთმცოდნეობით ანალიზს, მასში დაცული ცნობების დათარიღების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ადვილებს ის გარემოება, რომ ერთი მხრივ ჩვენ ხელთ გვაქვს ფსევდო-სკილაქსის უფროსი თანამედროვის, ქსენოფონტის ნაშრომი („ანაბაზისი“), რომელშიც ავტორი ვრცლად მოგვითხრობს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომებისა და აქ არსებული ქალაქების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, — ძვ. წ. VI ს-ის ცნობილი ლოგოგრაფოსის ჰეკატე მილეტელის „დედამიწის აღწერილობიდან“ შემორჩენილი ცნობები ამ სანაპიროს შესახებ.

შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ფსევდო-სკილაქსისეული აღწერილობის შედარებისას ზემოდასახელებულ ავტორთა ცნობებთან უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ფსევდო-სკილაქსის მიერ წარმოდგენილი სურათი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ტომთა განსახლებისა დიდად წააგავს ჰეკატე მილეტელის ცნობებში დაცულ აღწერილობას.

---

[6] RE, Bd. VII, გვ. 1620; იქვე, RE, Bd. VIII, გვ. 895; იქვე, Bd. VII, გვ. 1015.

[7] RE, Bd III A, გვ. 644. ანალოგიურ დასკვნამდი მივიდნენ როგორც ჩანს, მკვლევარნი ხიდლინი და ფიშერი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ მოსაზრებას ჩვენ მხოლოდ კისლინგის სტატიებისა (Gorgippia, Hermonasa) და მ. როსტოვცევის წიგნის მიხედვით ვიცნობთ (იხ. RE, Bd. VII, გვ. 1620; იქვე, Bd. VIII, გვ. 895. (Скифия и Боспор), გვ. 24-25).

[8] С. А. Жебелев, Скифский рассказ Геродота, კრებულში: „Северное Причерноморье“, М.-Л., 1953, გვ. 326.

[9] Л. А. Ельницкий, Знания древних о северных странах, М., 1961, გვ. 17,

ფსევდო-სკილაქსი ყველაზე დასავლეთით შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ქართველ ტომთა ჩამოთვლისას იხსენიებს ხალიბებს. მისი ცნობით, მათ მიწა-წყალზეა დახურული ნავსადგური გენეტესი. ელინური ქალაქი სტამენეია და ელინური აკროპოლისი იასონია[10]. სპეციალურ ლიტერატურაში[11] აღნიშნულია, რომ ფსევდო-სკილაქსის ცნობაში დასახელებული ელინური აკროპოლისის იასონიის სახელი შემორჩენილი უნდა იყოს ქ. ორდუს დასავლეთით მდებარე იასუნის კონცხის ანუ იაზუნბურუნის თანამედროვე სახელწოდებაში[12], ქალაქი სტამენეია, გვიანდელი სტამენა, ლოკალიზებულ უნდა იქნეს დღევანდელი იაზუნბურუნის აღმოსავლეთით, ხოლო ნავსადგური გენეტესი სავარაუდებელია იასუნის კონცხსა და დღევანდელ ჩამბურუნს შორის მდებარე ტერიტორიაზე[13]. ნავსადგურ გენეტესის ასეთ ლოკალიზაციას მხარს უჭერს სტრაბონის ცნობაც, რომელშიც იასონის კონცხის მახლობლად აღნიშნულია დასახლებული ადგილი (?) გენეტესი (ϱ Γενήτης)[14].

ამრიგად ფსევდო-სკილაქსის ცნობების მიხედვით, ხალიბებს ეპირათ დღევანდელი იაზუნბურუნისა (იასუნის კონცხისა) და მის მახლობლად მდებარე ტერიტორია (იგულისხმება შავი ზღვის სანაპირო ზოლზე).

ამავე ტერიტორიაზე (იასუნის კონცხის სექტორში) არიან სავარაუდებელი ხალიბები ჰეკატეს მიხედვითაც. საგულისხმოა, რომ ჰეკატე ფსევდო-სკილაქსის მსგავსად, ხალიბთა ქვეყანაში მიუთითებს ქალაქ სტამენეს[15]. აქვე აღნიშნავს იგი მდინარე თერმოდონტსაც (დღევანდელი თერმე-ჩაი), რომელიც ხალიბთა ადგილსაცხოვრისის დასავლეთ საზღვრად უნდა მივიჩნიოთ[16].

ხალიბების აღმოსავლეთით ფსევდო-სკილაქსის მიხედვით ცხოვრობდნენ ტიბარენები, ხოლო მათ აღმოსავლეთით მოსინოიკები[17]. ტიბარენთა ტერიტორიის გასარკვევად მართალია იგი არ ასახელებს რაიმე დასახლებულ ადგილს. მაგრამ სამაგიეროდ ხერხდება მათი მეზობელი მოსინოიკების ადგილსამყოფელის დადგენა, რაც თავისთავად ტიბარენთა მიწა-წყალსაც განსაზღვრავს. ფსევდო-სკილაქსის ცნობით მოსინოიკთა ქვეყანაშია ელინური ქალაქი ქოირადესი, ნავსადგური ძეფირიოსი და კუნძული არეოსი[18]. ქალაქი ქოირადესი სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია მერმინდელ ქალაქ კერასუნტთან

---

[10] Ps.-Scylax, Peripl., Asia.—88. ვიყენებთ შემდეგ გამოცემებს: Geogr. graeci minores, rec. C. Müllerus, I, Paris, 1882. ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ.

[11] ВДИ. 1947, № 3, გვ. 243, შენ. 2; ნ. ლომოური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, გვ. 18.

[12] ВДИ, იქვე, გვ. 243; ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 18; იასონის კონცხის პოზიციებას აღნიშნულ ადგილს სტრაბონთანაც ეხვდებით (Strab., Geogr. III. 3, § 17).

[13] ВДИ, იქვე, გვ. 243; ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[14] Strabo, Georg., III, 3, § 17; ბ Γενήτης-ში, ჩვენი აზრით, იგულისხმება ნავსადგური—ο λιμήν და არა მდინარე, როგორც ეს ვ. ლატიშევს აქვს თარგმნილი (SC. I, 1, გვ. 157). პტოლომეოსი როდოსელიც „არგონავტიკაში" ჩოიბსენიებს გენეტაიოსის კონცხს მდინარე თერმოდონტის აღმოსავლეთით, ხალიბებისა და ტიბარენების სანაპიროზე (აკ. ურუშაძე, არგონავტიკა, თბ., 1948, გვ. 81).

[15] Hecataios. Period., Asia, C. Müller, Fragmenta Historicorum graecorum. V. I, Paris, 1841; ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ 30.

[16] იქვე

[17] Ps. Scylax. Peripl., Asia, 63.

[18] იქვე.

(დღევანდელი ქ. გირესუნი)[19], ნავსადგური ძეფირიოსი საძიებელია იქ, სადაც ამჟამად არის ზღვისპირა ქალაქი ზეფირა (გირესუნსა და ტრაბზონს შორის) ზეფრედ წოდებული კონცხის აღმოსავლეთით[20], ხოლო კუნძული არეოსის ადგილმდებარეობა სავარაუდებელია გირესუნის მახლობლად მდებარე კუნძულ გირესუნადასთან[21]. არეოსის კუნძულის ასეთი ლოკალიზაცია დასტურდება პლინიუსის ცნობითაც, რომლის მიხედვით კუნძული არეოსი, იგივე ხალკერიტიდა, მდებარეობს ქალაქ ფარნაკიის (იგივე კერასუნტის) პირდაპირ[22].

ამრიგად, ფსევდო-სკილაქსის ცნობების მიხედვით მოსინოიკებს შავი ზღვის სანაპიროზე ეჭირათ დღევანდელ ქ. გირესუნსა და ქ. ზეფირასთან მდებარე რაიონები[23], ხოლო მათ დასავლეთ მეზობლებს ტიბარენებს კი, რომელნიც სანაპიროზე მოსინოიკთა და ხალიბთა შორის ბინადრობდნენ, უთუოდ ქ. გირესუნსა და იაზუნბურნუს შორის მდებარე მიწა-წყალი ეკუთვნოდათ.

ჰეკატეს მიხედვითაც ხალიბების აღმოსავლეთით ცხოვრობენ ტიბარენები. ხოლო თვით „ტიბარენებს აღმოსავლეთით ესაზღვრებიან მოსინოიკები[24]. ჰეკატე ისევე. როგორც ფსევდო-სკილაქსი, ტიბარენთა ტერიტორიაზე არავითარ დასახლებულ პუნქტს არ ასახელებს, ხოლო მოსინოიკთა მიწა-წყალზე აღნიშნავს ქალაქ ქოირადესს (დღევანდელი გირესუნი). ამრიგად, ამ ავტორის მიხედვითაც გამოდის, რომ მოსინოიკებს ეჭირათ დღევანდელ გირესუნთან მდებარე რაიონები, ხოლო მათ დასავლეთ მეზობლებს ტიბარენებს გირესუნსა და იაზუნბურუნს შორის მდებარე სექტორი (რადგან ამ კონცხთან მდებარე ქალაქი სტამენე. ჰეკატეს უკვე ხალიბთა მიწა-წყალზე აქვს მოხსენებული).

მოსინოიკების აღმოსავლეთით ფსევდო-სკილაქსის ცნობით ცხოვრობენ მაკროკეფალები[25], როგორც უნდა ვიფიქროთ, იგივე მაკრონები. მაკრონების ტერიტორიის განსაზღვრას ადვილებს ის გარემოება, რომ ფსევდო-სკილაქსი მაკრონების ქვეყანაში იხსენიებს ნავსადგურ ტრაპეზუსს[26] (დღევანდელი ტრაბზონი), რაც იმას მოწმობს, რომ მათი ტერიტორია (სანაპირო ზოლზე) ვრცელდებოდა დღევანდელ ზეფრეს კონცხიდან ტრაბზონამდე (ამ უკანასკნელის ჩათვლით).

მოსინოიკების აღმოსავლეთით ათავსებს მაკრონებს ჰეკატე მილეტელიც. მაგრამ არა უშუალოდ მათ მეზობლად. მოსინოიკების შემდეგ ივი ჯერ მარებს მოიხსენიებს. შემდეგ მაკრონებს[27]. ამათ მიწა-წყალზე ჰეკატე არ აღნიშნავს

---

[19] RE. Bd. III, გვ. 2358; K. Mannert. Geographie. Bd. IV, Teil II, 1799, გვ. 286.

[20] ВДИ, 1947, № 3, გვ. 242, შენ. 17.

[21] იქვე, გვ. 242.

[22] Pliny. Natural History with an English translation. by M. A. Rackham, v. I. lib. VI, 1947, გვ. 340. იგივე კუნძული არეოსი, როგორც მოსინოიკთა ქვეყანაში მდებარე, მოხსენებული აქვს აპოლონიოს როდოსელსაც (აკ. ურუშაძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 102).

[23] იმავე ფსევდო-სკილაქსის ცნობიდან ირკვევა, რომ მოსინოიკთა განსახლების ძირითად ადგილს შეადგენდა მთიანი რაიონები, რომელიც ქ. გირესუნსა და ქ. ზეფირას სამხრეთით მდებარე მთიანეთშია სავარაუდებელი (იხ. Ps.-Scylax, Peripl., Asia, 86).

[24] Hecat., Period., Asia, fr. 191, 195.

[25] Ps.-Scylax, Peripl., Asia. 86.

[26] იქვე.

[27] ჰეკატეს ეს ცნობა მაკრონთა შესახებ სტეფანე ბიზანტიელის გეოგრაფიულ ლექსიკონშია დაცული ჰეკატეს „დედამიწის აღწერილობის" სხვა ფრაგმენტებთან ერთად. ლექსიკონში იგი მოტანილია სატომო სახელწოდება „მაკრონის" განმარტებასთან დაკავშირებით.

არც ერთ დასახლებულ ადგილს[28], რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მაკრონების განსახლების აღმოსავლეთი საზღვრის დადგენა. მაგრამ აშკარაა, რომ შავი ზღვის სანაპიროს ამ მონაკვეთშიაც ფსევდო-სკილაქსთან დაცული სქემა ტომთა განსახლებისა ძირითადად ემთხვევა ჰეკატესეულს. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ მაკრონების შემდეგ (მათ ჩრდილო-აღმოსავლეთით) როგორც ფსევდოსკილაქსი[29], ასევე ჰეკატეც[30] იხსენიებს ბექეირებს და ბიძერებს (ჰეკატესთან ეს უკანასკნელი სახელწოდება დაცულია ფორმით „დიძერები“) მხოლოდ ამ ტომებს შორის პირველი აღნიშნავს ეკექეირიებს[31], ხოლო მეორე ქოებს[32].

ამით მთავრდება ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსში“ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა აღწერილობა. მომდევნო ცნობაში უკვე ლაპარაკია კოლხებზე, რომელთაც, ფსევდო-სკილაქსის მიხედვით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ვრცელი ტერიტორია უჭირავთ მდინარე აფსაროსიდან (დღევანდელი ჭოროხი) დიოსკურისამდე (დღევანდელი სოხუმი)[33].

ფსევდო-სკილაქსის ნაშრომის იმ ნაწილის განხილვამ, რომელიც შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა აღწერილობას შეიცავს და მისი ცნობების შედარებამ ჰეკატეს ცნობებთან ამავე სანაპიროს შესახებ ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ფსევდო-სკილაქსი ამ სანაპიროზე ძირითადად იმავე ტომებს მოიხსენიებს, რომელსაც ძვ. წ. VI ს-ის ავტორი ჰეკა-

...მაკრონები ამჟამად სანები: სტრაბონი XII წიგნში, ჰეკატე აბდერიტის აღწერილობაში და აპოლონიუსი მეორე (წიგნში)“ (Steph. Byz., Ethn., SC, I, 1, გვ. 262, 263). სტეფანე ბიზანტიელის ამ განმარტების მიხედვით თითქოს ისე გამოდის, რომ ცნობა „მაკრონები ამჟამად სანებიო“ სტრაბონთან ერთად ჰეკატესა და აპოლონიუს როდოსელსაც ეკუთვნის (უთუოდ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჰეკატეს „დედამიწის აღწერილობის“ ფრაგმენტების ქართულად მთარგმნელი ნ. ლომოური ცნობას — „მაკრონები ამჟამად სანებია“ — სტრაბონთან ერთად ჰეკატესაც მიაწერს; მის თარგმანში ეკითხულობთ: „მაკრონები, რომელთაც ამჟამად სანები [ეწოდებათ]. [ამას ამბობს] სტრაბონი XII წიგნში და ჰეკატე „აზიაში“. — ნ. ლომური, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, გვ. 30). მაგრამ სტეფანეს ტექსტის ასეთი გაგება არ უნდა იყოს სწორი. ნამდვილად ცნობა „მაკრონები ამჟამად სანებიაო“ სტეფანეს მოტანილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ სტრაბონის „გეოგრაფიიდან“, რომლის მე-12 წიგნში მართლაც ვხედებით ასეთ მითითებას, „სანები, რომელთაც წინათ მაკრონებს უწოდებდნენ“ (Strabo, Geogr., XII, 3, 18), რაც შეეხება ჰეკატეს და აპოლონიუს როდოსელს, ამათგან აპოლონიუსის მეორე წიგნში „მაკრონის“ გვერდით არ ჩანს სახელწოდება „სანი“. მაკრონები ამჟამად სანებიაო არც ჰეკატეს უნდა ჰქონოდა აღნიშნული თავის ნაშრომში, რადგან „სანი“ სწორედ სტრაბონის დროისათვის ენაცვლება სახელწოდება „მაკრონს“, ხოლო ძვ. წ. VI—IV სს-ში ეს სახელწოდება, როგორც მაკრონის შემცველი არსად იხსენიება ბერძნულ მწერლობაში (მას არ იხსენიებს ჰეროდოტე და არც ქსენოფონტი, რომელიც საამოდ დაწერილებით მოგვითხრობს მაკრონთა ტომზე).

ჩანს, სტეფანე ბიზანტიელი სატომო სახელს „მაკრონს“ განმარტავს სტრაბონის მიხედვით, ხოლო ჰეკატესა და აპოლონიუს როდოსელს მიეთითებს იმდენად, რამდენადაც მათ თეთონ მაკრონები აქვთ მოხსენიებული.

[28] შესაძლებელია ჰეკატე მიეთითებდა კიდეც ასეთ პუნქტს თავის ნაშრომში, მაგრამ ეს ცნობა არ შემოინახა სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონში, რომელშიც ჰეკატეს ნაშრომის სხვა ფრაგმენტებია დაცული.

[29] Ps.-Scylax, Peripl., Asia, 84.

[30] Hecataios, Period., fr. 191.

[31] Ps.-Scylax., Peripl. 84.

[32] Hecataios, Period., fr. 191.

[33] Ps.-Scylax, Peripl, 83.

ტე; ეთნიკურ სახელწოდებათა ჩამოთვლისას ფსევდო-სკილაქსი იცავს იმავე თანამიმდევრობას, როგორიც ჰეკატეს აქვს დაცული, ტომთა განსახლების საზღვრებიც დადგენილი ამ ავტორთა მიერ დასახელებული გეოგრაფიულ პუნქტების მიხედვით ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. ნიშნავს ეს იმას, რომ ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში ამ სანაპიროზე ტომთა განსახლების სურათი (მცირე გამონაკლისის გარდა) იგივე იყო როგორც ეს ძვ. წ. VI ს-ის ავტორის ნაშრომის მიხედვით წარმოგვიდგება, თუ აღნიშნული გარემოება შედეგია ფსევდო-სკილაქსის მიერ თავის „პერიპლუსში" ძვ. წ. VI ს-ის წყაროებში დაცული ეითარების მზამზარეულად გადმოტანისა. ამის გარკვევის საშუალებას იძლევა ფსევდო-სკილაქსის ცნობების შედარება მის თანადროულ სხვა ავტორთა ცნობებთან. ამ მხრივ მეტად საგულისხმო ცნობები აქვს დაცული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა შესახებ ქსენოფონტეს, რომელმაც ეს მხარე თავის ფეხით მოიარა და ამდენად მისი აღწერილობა, როგორც თვითმხილველისა ნამდვილად ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისის მდგომარეობის ამსახველი უნდა იყოს.

ფსევდო-სკილაქსისა და ქსენოფონტის ცნობების შედარებისას თავს იჩენს არსებითი ხასიათის განსხვავებანი. როგორც ზემოთ დავინახეთ, ფსევდო-სკილაქსს ყველაზე დასავლეთით ქართველური ტომებიდან მოხსენიებული აქვს ხალიბები, შემდეგ ტიბარენები, ამათ აღმოსავლეთით კი მოსინიკები. სამივე ამ ტომს მისი ცნობით სანაპიროზე ეკავა ვრცელი ტერიტორია იასუნის კონცხის სექტორიდან ქალაქ ტრაპეზუნტამდე (მისი ჩათვლით). ქსენოფონტის მიხედვით კი ხსენებული ტომები გაცილებით უფრო შევიწროებულნი ჩანან. შავი ზღვის სანაპიროზე მათ ამ დროს ეჭირათ ქალაქ კერასუნტის დასავლეთით მდებარე მცირე ტერიტორია ქ. კოტიორასა და მისი რაიონის ჩათვლით[34]. ამასთან ქსენოფონტი ხალიბებს ტიბარენებზე დასავლეთით კი არ მოიხსენიებს, არამედ მათ აღმოსავლეთით, მოსინიკთა მეზობლად[35]. აღსანიშნავია ისიც, რომ ქსენოფონტის ცნობით ხალიბები მოსინიკთა ქვეშევრდომობაში მყოფი მცირერიცხოვანი ტომია[36]. თვით ქალაქი კერასუნტი (იგივე ჭოირადესი) ფსევდო-სკილაქსის მიხედვით მოსინიკების მიწა-წყალზე მდებარეობს, ქსენოფონტის ცნობით კი კოლხების ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული[37]. ასევე კოლხების მიწა-წყალზე მდებარე ქალაქად არის დასახელებული ქსენოფონტის „ანაბაზისში" ტრაპეზუნტიც[38] მაშინ, როდესაც ფსევდო-სკილაქსთან იგი მაკროკეფალების (იგივე მაკრონების) ქალაქია. რაც შეეხება თვით მაკრონებს, მათ ფსევდო-სკილაქსის ცნობით, სანაპიროზე ეჭირათ ჭოირადესის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია ტრაპეზუნტამდე (ამ უკანასკნელის ჩათვლით), ქსენოფონტის მიხედვით კი მაკრონები ზღვის სანაპირო ზოლზე აღარ ჩანან, ისინი ტრაპეზუნტის სამხრეთით მდებარე მთიან რაიონებში ცხოვრობენ[39]. საგულისხმოა ისიც, რომ ფსევდო-სკილაქსი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არ იხსე-

---

[34] Xenoph. Anab., 5. 4, §§ 1-3, 8; 5, 5, §§ 1-3; ინგ თარგმ. C. L. Brownson-ისა. London, 1947, IV—VII, გვ. 118-120, 130-132.

[35] იქვე, 5. 5. §§ 1-3.. ინგ. თარგმ. გვ. 130-133.

[36] იქვე, გვ. 131—133.

[37] იქვე, §§ 1—2; ინგ. თარგმ., 112—115.

[38] იქვე, 4, 8, § 22; ინგ. თარგმ., გვ. 86—89.

[39] იქვე, 4, 8, §§ 6—9, 26—27; ინგ. თარგმ., გვ. 80—81, 84—87.

ნიებს კოლხებს. ისინი ამ ავტორის ნაშრომში ტრაპეზუნტიდან საკმაოდ მოშორებით მხოლოდ მდინარე აფსაროს-ჭოროხის ჩრდილოეთით არიან დასახელებული, ქსენოფონტის მიხედვით კი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ზოლის საკმაოდ დიდი ნაწილი კოლხთა მიწა-წყლად ითვლება (მათ ტერიტორიაზეა ქალაქები ტრაპეზუნტი, კერასუნტი). აღსანიშნავია ისიც, რომ ფსევდო-სკილაქსს დაცული აქვს ქალაქ ქოირადესის (უთუოდ ადგილობრივი) სახელწოდება მაშინ, როდესაც ქსენოფონტის ცნობების მიხედვით ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისში ამ ქალაქს ბერძნულ სამყაროში უკვე კერასუნტის სახელით იცნობდნენ. გარდა ამისა ფსევდო-სკილაქსი, რომელიც აღნიშნავს ისეთ მნიშვნელოვან საზღვაო ქალაქს შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, არ მოისხენიებს ქსენოფონტის ცნობით ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისში უკვე არსებულ სინოპიელთა ბერძნულ ახალშენ კოტიორას[40].

ქსენოფონტის ცნობების განხილვიდან აშკარაა, რომ ამ ავტორს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა აღწერილობა მათი ლოკალიზაციისა თუ ჩამოთვლის თანამიმდევრობის თვალსაზრისით სრულიად განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი, ვიდრე ფსევდო-სკილაქსს. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ხსენებულ ავტორებს თავიანთ ნაშრომებში სხვადასხვა დროის ვითარება უნდა ჰქონდეთ ასახული. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქსენოფონტის ცნობები, როგორც თვითმხილველისა, ნამდვილად ძვ. წ. IV საუკუნის დასაწყისის მდგომარეობას ასახავენ, ხოლო ფსევდო-სკილაქსის აღწერილობა ახლო დგას ძვ. წ. VI ს-ის ავტორის ჰეკატეს მიერ წარმოდგენილ ტომთა განსახლების სურათთან, უნდა ვიფიქროთ, რომ „პერიპლუსის" ეს ნაწილი (შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერილობა) ფსევდო-სკილაქსს შეუდგენია არა მისი თანადროული მონაცემების საფუძველზე, არამედ ძვ. წ. VI ს-ის წყაროების გამოყენებით.

სახელდობრ რა წყაროებით სარგებლობდა ფსევდო-სკილაქსი „პერიპლუსის" ამ ნაწილის შედგენისას, ძნელი დასადგენია. ფსევდო-სკილაქსის ზემოთ განხილული ცნობების მსგავსება ჰეკატეს „პერიოდოსიდან" შემორჩენილ ფრაგმენტებთან თითქოს ერთგვარ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერილობა ფსევდო-სკილაქსს ჰეკატეს ნაშრომის მიხედვით შეედგინა, მაგრამ ამგვარი ვარაუდის გამოთქმისას გასათვალისწინებელია ზოგიერთი განსხვავება ამ ავტორთა მიერ წარმოდგენილ ეთნიკურ აღწერილობათა შორის. მაგალითად, ჰეკატე მაკრონებსა და მოსინიკებს შორის ასახელებს მარებს, ფსევდო-სკილაქსი კი მარებს სრულიად არ იხსენიებს. ჰეკატე ბექეირებსა და დიძერებს (ბიძერებს) შორის აღნიშნავს ქოებს, ფსევდო-სკილაქსი კი მათ ადგილზე ათავსებს ეკეკრიებს. ამასთან ფსევდო-სკილაქსს დაცული აქვს ბიძერების სახელწოდების განსხვავებული ვარიანტი — დიძერები. ყოველივე აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ფსევდო-სკილაქსს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერილობისას შესაძლებელია კიდეც გამოეყენებინა ჰეკატეს ნაშრომი, მაგრამ მასთან ერთად ხელთ უნდა ჰქონოდა სხვა წყაროებიც. ჰეკატესთან განსხვავებულ სხვა ძველი წყაროების გამოყენებას ფსევდო-სკილაქსის მიერ კარგად მოწმობს ჰეკატესა და ფსევდო-სკილაქსის იმ ცნობების განხილვა და შედარება, რომლებიც აღნიშნულ სანაპიროზე არსებულ დასახლებულ ადგილთა აღწერილობას შეეხება.

[40] Xenoph. Anab.. 5, 5, § 3.

კერძოდ, ნიშანდობლივია, რომ თუ კი ფსევდო-სკილაქსს თავის „პერიპლუსში“ აღნიშნული აქვს ძვ. წ. VI ს-ში არსებული ყველა მნიშვნელოვანი ბერძნული ახალშენი და სავაჭრო პუნქტი, რომელიც გარკვეულ როლს თამაშობდა იმდროინდელ საერთაშორისო სააღებმიცემო ურთიერთობაში, ჰეკატეს „დედამიწის აღწერილობიდან“ შემორჩენილ ფრაგმენტებში არ ჩანს ძვ. წ. VI ს-ში უკვე არსებული ისეთი ცნობილი საზღვაო ქალაქიც კი, როგორიც იყო სინოპის ახალშენი ტრაპეზუნტი, არ იხსენიება აგრეთვე „ელინური“ აკროპოლისი იასუნია, „ელინური“ საზღვაო ცენტრი ბექეირიასი და სხვ. საგულისხმოა ისიც, რომ ჰეკატე ქორადესსა და სტამენეს უბრალოდ ქალაქებად მოიხსენიებს („ქორადესი — მოსინიკთა ქვეყანაში“, „სტამენე — ხალიბთა ქალაქი“) მაშინ, როდესაც „პერიპლუსში“ ისინი „ელინურ“ ქალაქებად იხსენიებიან.

ჰეკატეს ცნობების დახასიათების დროს ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ჰეკატეს „დედამიწის აღწერილობიდან“ შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ძნელია მსჯელობა იმ ცნობების შესახებ, რომლებიც ამ ავტორს ჰქონია შეტანილი თავის ნაშრომში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული საქალაქო ცენტრების შესახებ, რადგან ზოგიერთი ამ ცნობათაგანი (ფრაგმენტი) დაიკარგა. მაგრამ დაკვირვება ჰეკატეს ნაშრომის ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებზე გვაფიქრებინებს, რომ მასში თავიდანვე არ უნდა ყოფილიყო შეტანილი მის დროს არსებული ყველა ახალშენი. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ სტეფანე ბიზანტიელი, რომელსაც თავის გეოგრაფიულ ლექსიკონში დაცული აქვს ფრაგმენტები ჰეკატეს „დედამიწის აღწერილობიდან“, ხშირად იყენებს და იმოწმებს ჰეკატეს ამ ნაშრომს ტომების, ან ადგილობრივი „ქალაქების“ სახელწოდებათა განმარტებისას. მაგრამ, იქ სადაც ბერძნულ ახალშენებზეა საუბარი, ეს ნაშრომი როგორც წყარო მხოლოდ იშვიათ შემთხვევაშია მითითებული. ასე, მაგალითად, ლექსიკონში ჰეკატეს „დედამიწის აღწერილობიდან“ მოტანილია მრავალი ცნობა სამხრეთ რუსეთსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომების (მელანქლაინები, მირგეტები, მატიკეტები, ისპები, ედები და სხვ.) და ადგილობრივი ქალაქების (კარკინიტისი[41], კარდესოსი[42]) შესახებ, მაგრამ აქ არსებული ბერძნული ახალშენების (პანტიკაპეიონი, ნიმფეონი, მირმეკიუმი, ბორისთენე) განმარტებისას, ლექსიკონში მითითებულია სხვა წყაროები (სტრაბონი, ალექსანდრე პოლიისტორი და სხვ.)[43], ხოლო ჰეკატეს ნაშრომი დასახელებული არ არის. ჩრდილო შავიზღვისპირეთის ბერძნული ახალშენებიდან ლექსიკონში მხოლოდ ფანაგორიის განმარტებისას ვხვდებით მითითებას ჰეკატეზე[44].

ასევე იშვიათად არის ჰეკატეს ნაშრომი დამოწმებული სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონის იმ ადგილებში, სადაც შავი ზღვის სხვა სანაპიროებში არსებული ბერძნული ახალშენების განმარტებაა მოცემული. ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ბერძნული ახალშენების დიდი ნაწილი თვით ჰეკატეს არ უნდა ჰქონოდა შეტანილი თავის „დედამიწის აღწერილობაში“. აღნიშ-

---

[41] უნდა განვასხვაოთ დასახლებულ ადგილ კერკინიტიდასაგან, რომელიც მერმინდელ ევპატორიასთან მდებარეობდა.

[42] Steph., Byz., Ethn. SC, I, 1, გვ 259 და შემდ.

[43] იქვე, გვ. 259 და შემდ.

[44] იქვე, გვ. 258.

სული ფაქტი. ჩვენი აზრით, ჰეკატეს ნაშრომის საერთო ხასიათით აიხსნება. საქმე ის არის, რომ ჰეკატეს ნაშრომის მიზანს შეადგენდა დედამიწის მთელი მოსახლეობისა და აქ არსებული გეოგრაფიული ადგილების საერთო მიმოხილვა. ამიტომ ბერძნული ახალშენების მთელი სისრულით აღნუსხვას მისთვის არ ჰქონდა ისეთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, როგორიც „პერიპლუსების" შემდგენელთათვის, რომელთაც წმინდა პრაქტიკული მოსაზრება უკარნახებდა პირველ რიგში სწორედ საზღვაო გზებთან არსებულ ბერძნულ ახალშენებზე და მათ მახლობლად მოსახლე ტომებზე გაემახვილებინათ ყურადღება. ჰეკატე, რომელიც პირველად აღწერს უცსო ქვეყნებს, უმთავრესად აღნიშნავს იმას, რაც დამახასიათებელია ამ ქვეყნებისათვის (ადგილობრივი ტომები, მათი ზნეჩვეულებანი, გადმოცემები, სალოცაველი და სხვ. ადგილობრივი დასახლებული პუნქტები — ე. წ. „დაბები" და „ქალაქები"), რაც შეეხება შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ ქალაქებს, იგი ზოგჯერ კიდეც იხსენიებს მათ, მაგრამ არა როგორც ბერძნულ ახალშენებს, არამედ მათ მახლობლად არსებული გეოგრაფიული ადგილებისა და აქ მოსახლე ტომთა აღწერილობასთან დაკავშირებით[45].

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან ირკვევა, რომ განსხვავებით ჰეკატესაგან, რომელიც თავის ნაშრომში ძირითადად ყურადღებას აქცევს ქვეყნის შიდა და სანაპირო რაიონებში მოსახლე ადგილობრივი ტომებისა და აქ არსებული გეოგრაფიული ადგილების აღწერას, ხოლო ბერძნულ ახალშენებზე ნაკლებ ამახვილებს ყურადღებას, ფსევდო-სკილაქსის ცნობებში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს შესახებ, ტომთა აღწერილობის გვერდით დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბერძნული საზღვაო ცენტრების ზუსტ აღნუსხვას.

აღნიშნული უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერისას ფსევდო-სკილაქსმა შესაძლებელია კიდეც ისარგებლა ჰეკატეს „დედამიწის აღწერილობით", (ცერძოდ მასში დაცული ცნობებით ამ სანაპიროს ეთნიკური დახასიათების შესახებ). მაგრამ მასთან ერთად თავის წყაროდ უნდა გამოეყენებინა პერიპლუსის ტიპის ნაშრომიც, რომელშიაც ძვ. წ. VI ს-ში შემუშავებული ეთნიკური განსახლების სქემის გვერდით დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი შავი ზღვის სანაპიროზე ამ დროს არსებული ბერძნული საზღვაო ცენტრებისა და ნავსადგურების ზუსტ აღნუსხვას. ამას მხარს უჭერს რიგ მკვლევართა ვარაუდი იმის შესახებ, რომ ფსევდო-სკილაქსს თავის ნაშრომის შედგენისას ხელთ უნდა ჰქონოდა ძვ. წ. VI ს-ის ავტორის, ნამდვილ სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსი" და უხვადაც უნდა ესარგებლა ამ თხზულებით შავი ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროთა აღწერისას.

---

45 მაგალითად, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე ქოირადესს (მერმინდელი ჯერასუნტი) ჰეკატე მოიხსენიებს უბრალოდ, როგორც ქალაქს, რომელიც მოსინიკთა მიწა-წყალზე მდებარეობდა, და არაფერს ამბობს ბერძნულ ახალშენზე, რომელიც უკვე დაარსებული იყო აქ მისი ნაშრომის დაწერის დროს (ძვ. წ. 520—500 წწ.). ამასთან იგი არჩევს ეს ქალაქი დაასახელოს ადგილობრივი ნომენკლატურით („ქოირადესი").

არ იხსენიებს ჰეკატე ბერძნულ ახალშენს არც ფანაგორიაში (მიუხედავად იმისა, რომ აქ უკვე არსებობდა ახალშენი ძვ. წ. VI ს-ის 40-იან წლებში, იხ. М. М. Кобылина, Культура Фанагории досарматского периода. კრებულში: Античный город, М., 1963, გვ. 84). იგი მიუთითებს მხოლოდ ფანაგორზე, როგორც ამ ქალაქის ეთნონიმზე და აღნიშნავს ამავე სახელწოდების კუნძულს (Steph. Byz., Ethn., SC. I, 1, გვ. 266).

ამრიგად, გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აღწერილობის შესადგენად ფსევდო-სკილაქსს თავის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ სხვა ნაშრომებთან ერთად უნდა გამოეყენებინა უძველესი (ძვ. წ. VI ს-ის) „პერიპლუსი", რომელიც ნამდვილ სკილაქსს კარიანდელს ეკუთვნოდა.

სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას ანალოგიური დაკვირვება მოვასდინოთ ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის" იმ ნაწილზე, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს (ძირითადად აქ მოსახლე კოლხებსა და მათ ტერიტორიაზე არსებულ გეოგრაფიულ პუნქტებს) შეეხება, რადგან არც ადრინდელ და არც ფსევდო-სკილაქსის თანამედროვე ავტორთა ნაშრომებიდან არ შემორჩენილა ამ სანაპიროს მეტ-ნაკლებად სრული აღწერილობა[46].

შესადარებელი მასალის (სხვა ავტორთა ცნობების) ნაკლებობის გამო ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის" ამ ნაწილის განხილვა წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით მხოლოდ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა.

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შესახებ ფსევდო-სკილაქსის ცნობების დათარიღებასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ამ ავტორის მიერ დასახელებულ სანაპიროზე ჩამოთვლილ „ელინურ პოლისებს" შორის (გვიენოსი, ფაზისი, ოდეინოსი, ბეჭეირასი) დიოსკურია და ლიმნე ეპითეტ „ელინურის" გარეშეა მოხსენიებული („პოლის დიოსკურის". „პოლის ლიმნე")[47]. თუ ამ ცნობას ავტორის თანადროულად მივიჩნევთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარში (ე. ი. იმ დროს, როდესაც ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსი" იწერებოდა) სხვა ჩამოთვლილ ქალაქებისაგან განსხვავებით დიოსკურიასა და ლიმნეში ჯერ კიდევ არ იყო ბერძნული ახალშენები. მაგრამ ამას მხარს არ უჭერს არც წერილობითი წყაროები და ნუმიზმატიკური მონაცემები და არც არქეოლოგიური მასალა. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ფლავიუს არიანეს ცნობა, რომლის მიხედვითაც დიოსკურიაში ახალშენი მილეტელებს დაუარსებიათ[48]. მართალია, არიანე საკმაოდ დიდი ხნით არის დაშორებული მილეტელთა საკოლონიზაციო მოღვაწეობის პერიოდს, მაგრამ მისი ცნობა დიოსკურიის შესახებ უთუოდ ნდობის ღირსია, რადგან არიანემ როგორც ოფიციალურმა პირმა პირადად ინახულა ძველი დიოსკურიის ტერიტორია და დიდხანს დაჰყო იქ. ამდენად, მის ცნობას დიოსკურიის შესახებ რეალური საფუძველი

---

[46] შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს და აქ მოსახლე ტომების (კოლხების) აღწერა უთუოდ შეჯანილი უნდა ჰქონოდა თავის ნაშრომში პეკატე მილეტელს. მაგრამ სწორედ ეს ნაწილი მისი ნაშრომისა არ შემოინახა სტეფანე ბიზანტიელის გეოგრაფიულ ლექსიკონში. ამის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ პეკატეს „დედამიწის აღწერილობაში" ტომების ჩამოთვლა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილში კორაქსებზე წყდება, რომელნიც პეკატეს მიხედვით კოლხური ტომია და კავკასიონის მთებთან მოსახლე კოლხებს მეზობლად ბინადრობს (Hecat., Period., fr., 185, 186), ხოლო ამის მომდევნო ფრაგმენტში საუბარია უკვე აღნიშნული სანაპიროს სამხრეთით მოსახლე დიძერებზე (იქვე, fr. 190). აშკარაა, რომ ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიაც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე კორაქსებსა და დიძერებს შორის მცხოვრებ ტომზე (უთუოდ კოლხებზე) იყო საუბარი, დაკარგულია.

[47] Ps.-Scylax, Peripl., 81.

[48] Arr., Peripl., 14.

უნდა ჰქონოდა. მილეტელთა ახალშენის არსებობას დიოსკურიაში მოწმობს აგრეთვე მილეტელი ზღვაოსნების მფარველ ღვთაებათა — დიოსკურების კულტის დამკვიდრება ამ ქალაქში. აქაურ მოსახლეობაში იგი გავრცელებული იყო ძვ. წ. I ს-შიც, რასაც მოწმობს ამ ქალაქის სახელით მოჭრილ სპილენძის მონეტაზე დიოსკურების ქუდების გამოსახულება[49]. თუ დიოსკურიაში მილეტელთა ახალშენია სავარაუდებელი, მისი დაარსება აქ ძვ. წ. VI ს-ის მიწურულზე გვიან არ უნდა მომხდარიყო, რადგან ამ ხანიდან მილეტმა შეწყვიტა საკოლონიზაციო საქმიანობა[50].

ზემოთქმულის გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფსევდო-სკილაქსის ცნობაში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული ქალაქების შესახებ ასახული უნდა იყოს ძვ. წ. VI ს-ის მიწურულზე ადრინდელი ვითარება, ე. ი. ის ხანა, როდესაც აქ ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ბერძნული კოლონიზაციის პროცესი (საფიქრებელია, რომ ამ სანაპიროს ზოგიერთ ქალაქში, მაგალითად დიოსკურიაში, იგი ჯერ კიდევ სავაჭრო ფაქტორიების დაარსების სტადიაზე იმყოფებოდა). ამდენად, შესაძლებელია, ეს ცნობები ფსევდო-სკილაქსს ძვ. წ. VI ს-ის ავტორის ნამდვილ სკილაქსს კაოიანდელის იმავე „პერიპლუსიდან" ამოეღო, რომელიც მას ხელთ ჰქონდა შავი ზღვის სხვა სანაპიროთა აღწერილობის დროს. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ფსევდო-სკილაქსის ცნობებს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს საქალაქო ცენტრების შესახებ საფუძვლად დაედო ძვ. წ. VI ს-ის წყარო, რომელშიც საკმაოდ ზუსტად იყო ასახული აღებულ სანაში ამ სანაპიროზე არსებული ვითარება.

---

[49] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 31; აღსანიშნავია, რომ დიოსკურების ქუდების გამოსახულებას ხშირად ვხვდებით სხვა ბერძნულ ახალშენებში მოჭრილ მონეტებზეც (პანტიკაპეიონი, ტირა, სინოპე და სხვ.).

[50] გ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია), გვ. 196 და შმდ. ბერძნული ელემენტის გარკვეულ როლს ქალაქ დიოსკურიის ცხოვრებაში (V—IV სს.-ში) მოწმობს აგრეთვე იმპორტული კერამიკისა და განსაკუთრებით მარმარილოს საფლავის ქვის აღმოჩენა (დღევანდელი სოხუმის ტერიტორიაზე), რომელიც ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრით (ძვ. წ. 430—420 წწ.) თარიღდება (ოთ. ლორთქიფანიძე, სოხუმში აღმოჩენილი ანტიკური ბარელიეფი, საბჭ. ხელ., 1965, 4, გვ. 69).

დავით კაპანაძე

ქართული ნუმიზმატიკის საიუბილეო

ათი წელი სრულდება, რაც ძველ საქართველოში ფულის მოჭრის ისტორიისადმი მიძღვნილი უკანასკნელი ნაშრომი გამოქვეყნდა. ამ ხნის განმავლობაში ქართულ ნუმიზმატიკას არა ერთი ახალი ნიმუში შეემატა, რომლებიც ფართო მკითხველისათვის დღემდე უცნობია. წინამდებარე წერილის მიზანს ამ ახლად აღმოჩენილი მასალის გამოქვეყნება შეადგენს. რადგან მონეტების აღწერილობას ზოგადი ხასიათის განმარტებანი სჭირდება, ხოლო ამ სტატიის მოცულობა შეზღუდულია, ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ იმ ნიმუშებზე, რომლებიც საგრძნობლად ავსებენ ქართული ნუმიზმატიკის ხარვეზებს. მონეტების აღწერილობა მოცემული გვექნება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ახლა უკვე საბოლოოდ დადგენილია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ლისიმაქის სტატერების „ბარბაროსულ" მინაბაძებად აღიარებული მონეტები ძველ კოლხეთში იჭრებოდა ძვ. წ. ა. III საუკუნიდან, დაახლოებით ჩვ. წ. II საუკუნემდე. ამ მონეტების სახელწოდებაც სათანადოდ შეიცვალა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ოციოდე წლის წინ ასეთი მონეტები სულ ოთხი იყო, ახლა მათი რაოდენობა 17-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ დანარჩენ მუზეუმებში მსგავსი მონეტების რაოდენობა ამ რიცხვსაც არ შეადგენს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული მასალა საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ამ მონეტების დეგრადაციისა და გაუხეშების თანდათანობითი პროცესი. ჩვენ აქ არ ვაპირებთ მთელი ამ მასალის პუბლიკაციას; შევჩერდებით მხოლოდ უკანასკნელ დროს შეძენილ ცალზე, რომელიც თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება კოლხეთის მეფე აკის კარგად ცნობილ სტატერს[1].

№ 1 ამ ოქროს მონეტის წონა 5,51 გრ. უდრის. დიამეტრი — 19—20 მმ, საინვენტარო № 3811[2].

მონეტის შუბლზე გამოსახულია უხეშად შესრულებული ადამიანის თავის მარჯვენა პროფილი, რომელსაც თმის კონტურზე სქემატურად გადმოცემული ფრინველების რიგი მოჰყვება.

ზურგზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული, სავარძელზე მჯდომი ადამიანი, რომელსაც მარცხენა ხელში მუხლზე დაყენებული რაღაცა მრგვალი

---

[1] Д. Г. Капанадзе, Новые материалы к изучению статеров царя „Аки", ВДИ, 1948, № 1. Л. П. Харко, Существовал ли царь „Аки", ВДИ, 1948, № 2. Д. Г. Капанадзе, О достоверности имени, выбитого на статере царя „Аки", ВДИ, 1949, № 1.

[2] მონეტათა აღწერილობის ნუმერაცია შეესაბამება ტაბულაზე მოთავსებულ მონეტის რეპროდუქციის ნომერს.

საგანი უკავია. მარცხნივ. მარჯვნივ და ქვემოთ წარწერების ნაცვლად მოთავსებულია მოკლე ხაზები.

მიუხედავად იმისა, რომ ზურგის გამოსახულებით ეს მონეტა მკვეთრად განსხვავდება კოლხური სტატერების დანარჩენ ცალებისაგან (სადაც ჩვეულებრივ გამოსახულია ტახტზე მჯდომი ათენა ქალღმერთა, ხოლო აქ აშკარად სულ სხვა ღვთაება არის), ეს გარემოება საქმის ვითარებას არ ცვლის: შუბლის გამოსახულება იმდენად ტიპიურია კოლხური სტატერების გაუხეშებული ცალებისათვის და ისე ახლო ნათესაობას ამყარებს, რომ ამ მონეტათა კატეგორიისადმი მისი მიკუთვნება ეჭვს არ იწვევს.

ტაბულაზე მოთავსებული რეპროდუქციები ერთმანეთს რომ შევადაროთ დავრწმუნდებით, რომ ახლად აღმოჩენილი № 1 ჩვენი მონეტისა და არისტარხ კოლხეთის № 2 დრაქმის ზურგზე მოთავსებული გამოსახულებანი აბსოლუტურად ანალოგიურია. არისტარხ კოლხელის დრაქმა ცნობილი გახდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებიდან და თავიდანვე მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება, რომლებიც სავარძელზე მჯდომი ადამიანის გამოსახულებას სხვადასხვანაირად ხსნიდნენ. პროკეშოსტენი, მაგალითად აქ გულისხმობდა მდინარე ფასიდის ქალღმერთას[3]; კიონე — თითქმის ამ აზრისა იყო. იმ განსხვავებით, რომ ქვეყნის (კოლხეთის) ღვთაების გამოსახულებას ხედავდა და არა მდინარისა[4], სალლემ დაუკავშირა ეს გამოსახულება ღვთაება კიბელეს[5].

მაკრამ მონეტის ზურგზე მოთავსებულ გამოსახულებას შესანიშნავად ხსნის II ს. რომაელი მოგზაური. ის მოგვითხრობს, რომ ფაზისში (ახლანდელი ფოთი) აღმართული ყოფილა ფასიანე ქალღმერთას ქანდაკება, რომელსაც რეას ამსგავსებს, რადგან მასაც ხელში წინწილა უკავია[6].

მატრიარქატის დროიდან შემორჩენილი ღმერთთა დედა რეა კიბელე გაიგივებულია აქ ფასიანე ღვთაებასთან. მათ შორის მსგავსებას ერთნაირი ატრიბუტი აძლიერებს; მრგვალი საგანი, რომელიც მონეტის ზურგზე მოთავსებულ გამოსახულებას მუხლზე უდევს და, რომლის დანიშნულება აქამდე გაუგებარი იყო, არიანეს განმარტების შემდეგ, გასაგები ხდება. ცხადია, რომ აქ მოთავსებულია ფასიანე კიბელეს გამოსახულება და მისთვის აუცილებელი ატრიბუტი — წინწილა (თუ დაირა).

იშვიათობას წარმოადგენს აგრეთვე რამდენიმე წლის წინათ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოსული ჯაფარიანთ გვარეულობის თბილისის ერთ-ერთი ამირას დრამა. X ს. მეორე ნახევრის მონეტები მანსურ იბნ ჯაფარისა, ჯაფარ იბნ მანსურისა და ალი იბნ ჯაფარისა (სამი თაობის წარმომადგენელნი) სულ 11 ცალი იყო ცნობილი (აქედან საქართველოს სახ. მუზეუმში მხოლოდ ორი ცალი)[7]. 1961 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში აღმოჩენილ იქნა განძი, რომელიც ძირითადად არაბული დრამების წვრილი ნატეხებისაგან შედგებოდა; მაგრამ მათ შორის თითო-ოროლა მთლიანი დრამაც

---

[3] Archeolog. Zeitung., VII, 1849.

[4] Koehne. Drahme d'Aristarque.. roi de Colchide. „Numismatique Chronicle", 1877. „Revue belge de numismatique", 1878.

[5] Salle „Saul... oder Saum... ein colchischer, oder scythisher König". „Zeitchrift fon Numismat", 1876.

[6] ფლავიეს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, ნ. კეკელიძის თარგმანი, თბილისი, 1961, გვ. 39.

[7] Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, Москва, 1955, зз. 50—53.

აღმოჩნდა, ერთი მათგანი მოპრილია თბილისში დღემდე უცნობი თარიღით. ამ უნიკალური დრამის აღწერილობა ასეთია:

№ 3. ვერცხლი. წონა 2,18 გრ. დიამეტრი = 19,20 მმ. საინვ. № 10437.

შ უ ბ ლ ი: მონეტის ცენტრში სამ სტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

لا إله إلا	„არ არს ღმერთი, გარდა
الله وحده	ერთი ღმერთისა,
لا شريك له	არ ჰყავს მას თანაზიარი“.

რომელსაც ირგვლივ შემოვლებული აქვს კონცენტრულად დაწყობილი სამი რკალი. რკალებს შორის მოთავსებულია შემდეგი არაბული ზედწერილი:

بسم الله ضرب هذا الدرهم بتفليس سنة سبع وثلثمائه

„სახელითა ალაჰისა იქნედა ესე დირჰემი თბილისს. წელსა სამას სამოცდა შვიდსა“=977/978 ჩვენი წელთაღრიცხვით და

الله الامر من قبل و من بعد أو يومئذ يفرح المومنون [بنصر الله

„ღმერთს ხელმწიფობა აწ და მარადის [და მოვა ჟამი, როდესაც გაიხარებენ მართლმორწმუნენი] ღვთის შეწევნითა“.

ზ უ რ გ ი: რკალით შემოვლებული ხუთ სტრიქონიანი არაბული ზედწერილი:

الله	ალაჰ.
محمد	მუჰამედი,
رسول الله	მოციქული ალაჰისა.
الطيع لله	ატ-ტაი ლილაჰ,
جعفر بن منصور	ჯაფარ იბნ მანსურ

ირგვლივ რკალი და გარშემოვლებული არაბული ზედწერილი:

محمد رسول الله [ارسله] بالهدى و دين الحق ليظهره على الدين كله و لو كره المشركون

„მუჰამედი, მოციქული ალაჰის, რომელმან წარგზავნა იგი ხელმძღვანელად და ჭეშმარიტი სარწმუნოებით, რათა განვადიდოთ იგი ყველა სარწმუნოებაზე და განა წინააღუდგებიან მრავალ ღვთაებათა მომხრენი!“*.

ამრიგად, დღეისათვის ცნობაში მოყვანილ ამ კატეგორიის მონეტათა რაოდენობა 12-მდე გაიზარდა, ხოლო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში უკვე 3 და არა 2 ცალია, რაც საერთო რაოდენობის ერთ მეოთხედს შეადგენს.

XI საუკუნისა და XII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მონეტები ძალიან იშვიათია, — საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმდიდრეს კოლექციაში ასეთები მხოლოდ 7 ცალია. ამიტომ, ყოველი ახლად აღმოჩენილი ამდროინდელი მონეტა ყოველთვის ინტერესს იპყრობს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ერთი ასეთი მონეტა, რომელიც ინგლისელმა მეცნიერმა დ. ლენგმა გამოაქვეყნა ძნელად მისაწვდომ ორგანოში[8]. რადგან მონეტის აღ-

* არაბული ზედწერილების დაზუსტება ეკუთვნის ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომელს მ. ანთაძეს.

[8] D. Lang. Notes on Caucasian Numismatics. Numismatic Chronicle, XVII. 1957.

წერილობა ერთგვარ განმარტებასა და შესწორებას მოითხოვს, საჭიროა მისი ხელმეორე გამოქვეყნება.

№ 4. მონეტა სპილენძისაა, მისი წონა 10,73 გრ. უდრის, დიამეტრი — 35 მმ.

შ უ ბ ლ ზ ე გამოსახულია მთელი ტანით პირდაპირ მდგომი და სამეფო სამოსელში გამოწყობილი ადამიანი, ჯვრით შემკული ბრტყელი გვირგვინით თავზე. მარჯვენა ხელში მას გრძელბუნიანი ჯვარი (ლაბარუმი) უკავია; მარცხენაზე — სფეროა. მარცხნივ, ასომთავრულად ᲨᲣ (დავით). მარჯვნივ — ᲔᲤᲘ (მეფე); ირგვლივ — მსხვილწერტილოვანი რკალი.

ზ უ რ გ ი: ფიგურული რკალით შემოვლებული სწორტოტიანი ჯვარი, რკალსგარეთ განლაგებულია ასომთავრული შეკრული ზედწერილი, რომელსაც ასე კითხულობდნენ — ᲡᲔᲥ ⁝ Ჭ ⁝ ᲨᲣ ⁝ ᲖᲤᲘ ⁝ ᲪᲤᲥ ⁝ ✝ ⁝ ᲮᲜᲣ ⁝ ᲧᲔᲥ, ე. ი. „სახელითა ქრისტესითა. დავით მეფე აფხაზთა ქართველთა, რანთა, კახთა“, ირგვლივ რკალი.

დაქარაგმებული ზედწერილის ასეთ გახსნას აკად. ნ. ბერძენიშვილი არ დაეთანხმა და ასეთი ამოკითხვა შემოგვთავაზა: „ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“, რაც მართებულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან დავით აღმაშენებლის საალმო ჯვარზე (დაცულია ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში) თითქმის ასეთივე წარწერაა. სახელდობრ, აქ ასომთავრულადვე ამოკვეთილია — „პატიოსანო ჯვარო! ადიდე უძლეველი აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე დავით“... იმ განსხვავებით, რომ ყოველი ცალკე სიტყვა აქ ვრცლად და მკაფიოდ არის გამოყვანილი; ისე, რომ მონეტაზე მოთავსებული სამი ასო ᲡᲔᲥ უნდა იყოს წაკითხული როგორც „სომეხთა“ და არა, ვთქვათ, „სხვათა“. დ. ლენგი, რომელსაც ეს მოსაზრებანი გავუზიარე, უყოყმანოთ დაგვეთანხმა.

ახლა, როდესაც ზედწერილის შინაარსის გაგებაში ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი, შეიძლება დავსვას საკითხი ამ მონეტის დათარიღების შესახებ. ვფიქრობ, არ შეეცდებით, თუ ამ მონეტის მოჭრის დროს ქალაქ ანისის სელჯუკთა ბატონობისაგან განთავისუფლებას დავუკავშირებთ. მის შემდეგ, რაც სომეხთა დედაქალაქი ანისი სახელოვანმა მეფემ 1123 წელს გაანთავისუფლა და საქართველოს შემოუერთა, მან სომეხთა მეფის ტიტულიც მიითვისა. ხოლო, რადგან დავითი 1125 წელს გარდაიცვალა, აშკარა ხდება, რომ ეს ყოველმხრივ შესანიშნავი მონეტა დავითის მეფობის უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მოიჭრა.

ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს უიშვიათესი სპილენძის მონეტა, რომელიც პროფ. ე. პახომოვის პირად კოლექციაში ინახება. ამ მონეტის პუბლიკაციას მხცოვანი მეცნიერი წლიდან წლამდე აყოვნებდა და ბოლოს, მისი გამოქვეყნება ირ. ჯალაღანიას დაუთმო, რომელმაც მონეტა ასე ასწერა[9]:

შუბლი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

...ملك ك	მეფე (მეფეთა)
... حسام الـ	... მახვილი მესი(ისა)
داود	დავით...

[9] Л. Джалагания, Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тбилиси 1958, გვ. 40—41.

ზურგი: სამსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

محمد	მუჰამედი
السلطان الا ...	სულთან უმ(აღლესი)
بر...و ...	ბარ(ქია)რუ(ქ)?

ფოტორეპროდუქცია აღწერილობას დართული არ ჰქონია ალბათ იმიტომ, რომ მონეტის წარწერები გადმოცემულია დაბალი რელიეფით, ძალიან მკრთალია და გადასული. ახლა ჩვენს ხელთაა ე. პახომოვის მიერ ანდერძით გადმოცემული ამ მონეტის ანაბეჭდი, რომელიც არკვევს, რომ არც ზემოხსენებული აღწერილობა და არც ჩემი ცდა ზედწერილის ამოკითხვაში შესწორება შემეტანა[10] სწორი არ ყოფილა.

ანაბეჭდი დაუდევრად იყო შესრულებული. მონეტა, როგორც აღნიშნული გვქონდა, ცუდათაა დაცული, რის გამო თაბაშირის ჩამონასხამი და მისი ფოტორეპროდუქცია ძალიან მკრთალია. მაგრამ ჩვენ მაინც ვიძლევით ფოტორეპროდუქციასაც და ზედწერილის გადარჩენილი ფრაგმენტების შინაარსს:

№ 5 მონეტა „უწესოდ" არის მოჭრილი

შუბლი: სამსტრიქონიან არაბულ ზედწერილიდან გადარჩენილია:

. . . . . .

حسام الـ ...	ა. ი. მახვილი მესი(ისა)
داود ...	დავით

ზურგი: არაბული ზედწერილიდან მკაფიოდ იკითხება მხოლოდ „სულთან"...

მონეტას თარიღი არა აქვს დასმული, მეფის სახელს შამის სახელი არ შერჩა, უცნობი რჩება სულთანის სახელიც. მიუხედავად ამისა, მოჭრის ტექნიკის მიხედვით შეგვიძლია მონეტის დაახლოებითი დათარიღება. ცნობილია, რომ „უწესოდ" მოჭრილ მონეტებს ჩვენში XII ს. დამდეგიდან 1226 წლამდე უშვებდნენ, ასეთი მონეტები არც ამაზე ადრე ან ამაზე უფრო გვიან ცნობილი არაა და არც გვეგულება. ხოლო, რადგან ამ სახელის მატარებელი მეფე ამ დროისათვის დავით აღმაშენებლის გარდა დავით დემეტრე I-ის ძეც არის ცნობილი, დავით აღმაშენებლისადმი ზედმეტი კატეგორიულობით მისი მიკუთვნება[11] მართებულად არ მიგვაჩნია.

ეს გაურკვეველობა სრულებითაც არ ამცირებს მონეტის უაღრეს მნიშვნელობას, რადგან ქართული ნუმიზმატიკის შესამჩნევი ხარვეზი ორივე შემთხვევაში ივსება: დავით დემეტრე I-ის ძის მონეტა ჯერჯერობით ცნობილი არაა, ხოლო თუ ეს მონეტა მისი არაა, მაშინ ერთგვარ დახმარებას გვიწევს ერთი სადავო სპილენძის მონეტის საბოლოო გარკვევაში.

საქმე იმაშია, რომ აღწერილ მონეტაზე მოთავსებული ზედწერილი, როგორც თავისი შინაარსით, ისე წარწერების დაბალი რელიეფით უფრო უდგება დემეტრე I-ისა, ვიდრე ლაშა გიორგის მონეტებს, რომლებზედაც ზედ-

[10] Д. Г. Капанадзе, „Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным", СА. № 2 1964. გვ. 67.

[11] ი რ. ჯალაღონიას, დასახელებული ნაშრომი, გვ. 40—41.

წერილები შედარებით უფრო ვრცელი და გაზვიადებულია[12]. მაშასადამე, რადგან მონეტის დასათარიღებლად ამ შემთხვევაში ზედწერილის ფორმისა და შინაარსის გამოყენება შეგვიძლია, მივუყენოთ ასეთივე ნიშნები სადავო სპილენძის მონეტას. რომელზეც გვირგვინოსანი მხედარია გამოსახული და მოთავსებულია არაბული ზედწერილი „მეფეთა მეფე, დავით ძე გიორგისა. მესიის მახვილი“. მკვლევართა უმრავლესობა ამ მონეტას XIII ს. ათარიღებს და ულუ დავითს აკუთვნებს[13]. მაგრამ მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ეს სადავო მონეტა დავით აღმაშენებელს უნდა მიეკუთვნოს და არა მონღოლთა ძალმომრეობის საქართველოს შავბნელ ხანას. დანარჩენ მაჩვენებლებთან ერთად ამას ახლა კიდევ ერთი ნიშანი — ზედწერილის ფორმა და შინაარსი გვიდასტურებს[14].

რადგან ლაშა გიორგის მონეტებზე ჩამოვარდა საუბარი, მოვიყვან სანიმუშო მაგალითს, როდესაც სულ უბრალო და წვრილმანი დეტალის შეცვლა ჩვეულებრივი ტიპის მონეტას უნიკალურ ცალად ხდის. ე. პახომოვმა თავის დროზე გამოაქვეყნა ლაშა გიორგის მონეტათა სხვადასხვა ვარიანტი და მათ შორის, როგორც დიდი იშვიათობა, აღწერა ცალი, რომელსაც ზურგის გარშემოვლებული სპარსული ზედწერილი აკლია[15], ეს ვარიანტი რომ მართლაც იშვიათი ყოფილა იქიდანაც ჩანს, რომ ათეული წლების მანძილზე მსგავსი მხოლოდ ორი შემხვდა[16].

მაგრამ გამოირკვა, რომ ამაზე გაცილებით უფრო იშვიათი და ორიგინალური ვარიანტიც არსებობს, გასული წლის 15 აპრილს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს შემოემატა ცალი (საინვ. № 3816), რომელსაც გარშემოვლებული ზედწერილები აკლია როგორც ზურგზე (სპარსული), ისე — შუბლზედაც (ქართული), ე. ი. ამ მონეტას თარიღი სულმთლად არა აქვს.

დემეტრე თავდადებულის მონეტაზე მოთავსებული ზედწერილის შინაარსის გახსნა მოხდა ოციოდე წლის წინათ[17], მაგრამ ამ შინაარსის ამოკითხვის სისწორეს ყველა არ იზიარებს. სახელდობრ, დავას იწვევს ზოგიერთ მონეტაზე ქრონოგრამის აღმნიშვნელი ნიშანი, რომელსაც ზოგი უარყოფს[18]. ასეთი მონეტების სუსტი დაცულობის გამო ეს საკითხი დღემდე გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ ახლად აღმოჩენილმა ცალმა ამ გაურკვევლობას ბოლო მოუღო.

თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია დემეტრე II-ის სპილენძის მონეტები, რომლებიც აღმოჩენილი იყო სოფ. შალაურში 1957 წელს ძველი შენობის დაშლის დროს. ერთ მათგანზე თარიღი ისე მკაფიოდ არის შერჩენილი. რომ ეჭვისათვის ადგილი უკვე აღარ რჩება. გარდა ამისა, გარ-

12 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 50—51, № 66 და 69. მხედველობაში აქ თქმა უნდა მისაღები არაა თამარისა და რუსუდანის მონეტები, რადგან ერთიც და მეორეც, როგორც დეტრობითი სქესის წარმომადგენელნი შესაფერის ზედწერილს ხმარობდნენ (იქვე, გვ. 49—53, № № 60, 64, 73 და 76).

13 იხ. ირ. ჯალაღანია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 36—41.

14 Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, გვ. 59 და 76, უფრო დაწვრილებით მისივე Медная монета грузинского царя Давида, сына Георгия, Эпиграфика Востока XII, 1958.

15 Е. А. Пахомов, Монеты Грузии. С-Пб, 1910, გვ. 108—109, № 64.

16 საქართველოს სახელმწ. მუზეუმის საინვ. № 3296, 3327.

17 დ. კაპანაძე, დემეტრე თავდადებულის ფულის ზედწერილის შინაარსი. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. III, № 8, 1942.

18 ირ. ჯალაღანია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 68.

შემოვლებული ზედწერილი აქ გადმოცემულია ამ სამონეტო ტიპისათვის უჩვეულო ფორმით. ვიძლევი ამ საინტერესო ცალის აღწერილობასა და რეპროდუქციას:

№ 6 სპილენძი.

შ უ ბ ლ ი: რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტებზე მოთავსებული ჩარჩოს მსგავსი ორნამენტი, რომელსაც ცენტრში ჩასმული აქვს ღემეტრეს სახელის დაჭარაგმება, ასომთავრული Ⴇ და Ⴗ (მეორე პირველის მუცელშია).. ჩარჩოს გარეგან ბუდეებში გაფანტულია ასომთავრულივე ნიშნები, რომლებიც ალბათ იკითხება როგორც „მეფეთა მეფე".

ზ უ რ გ ი: ცენტრში რკალით შემოვლებული ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანი; ირგვლივ მას მოჰყვება დაჭარაგმებული ასომთავრული ზედწერილი: ...ⴑⴔⴇ ⴊⴘⴑⴇⴓ ⴇⴓ ⴀⴑ... ⴑⴇⴓ ⴑⴆⴋ.. რომლის გახსნა შერჩენილი ნიშნების მიხედვით და ჩამოჭრილი ადგილების გათვალისწინებით მხოლოდ ასე შეიძლება: „სახელითა მამისათა, და ძისითა. და სულისა წმინდისათა, ღვთისა ერთისა". საგვარეულო ნიშნის მარცხნივ ვერტიკალურად განლაგებული ასომთავრული + ⴋⴑ მარჯვნივ ⴖⴆ, ე. ი. „ქორონიკონსა 506" (= 1286 წ.).

ამრიგად. რადგან მონეტის გარშემოვლებული ზედწერილი და ქართულ-ჯულაგუიდურ დრამებზე მოთავსებული ქრისტიანული ლოცვა[19] აბსოლუტურად ერთნაირია, მაშასადამე ე. ლანგლუას მოსაზრება, რომ უკანასკნელი მონეტები დემეტრე II-ეს ეკუთვნის[20], სამართლიანი ყოფილა.

XVII ს. თბილური შაჰი ფული — უსახელოა და წარმოდგენილია მხოლოდ 9 სამონეტო ტიპით. XVIII ს-ში კი უკვე 12 სამონეტო ტიპია, რომლებიც ძირითადად ქართლის მეფეთა სახელებით არის აღბეჭდილი[21].

უკანასკნელ დროს ამ სამონეტო ჯგუფებს შორის ასეთი უთანაბრობა თანდათან სწორდება და უსახელო სპილენძის მონეტებს ემატება ახალი, გამოუქვეყნებელი ცალები. ვიძლევი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შემოსული ასეთი მონეტების აღწერილობასა და ფოტორეპროდუქციებს.

№ 7 — სპილენძი, წონა 8,40 გრ. დიამეტრი=23—24 მმ (ინვ. № 2660).

შ უ ბ ლ ი: მარჯვნივ მიმართული ცხოველის პრიმიტიულად შესრულებული გამოსახულება აცქვეტილი ყურებით (ცხენი?), ზურგს უკან ხე(?)

ზ უ რ გ ი: სამსტრიქონიანი სპარსული ზედწერილი „იჭედა ფულუსი თბილისს" (თარიღი არ ჩანს).

ეს მონეტა ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს თავის დროზე ჩანახაზის სახით გამოქვეყნებულ მონეტასთან, რომელსაც თარიღი აგრეთვე შერჩენილი არა აქვს[22].

---

19 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 60, № 97.

20 V. Langlois. „Essai la classification des suites monétaires de la Georgie" Paris, 1860, p. 85, N 37.

21 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 94—98. გამონაკლისს წარმოადგენს თურქთა ოკუპაციის დროს 1148 პიჯრის (=1735/36) უსახელო მონეტა (იქვე, გვ. 96, № 169).

22 დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95, 96. Е. А. Пахомов, „Вес и достоинство медной монеты Тифлиса XVII—XVIII вв.". Баку, 1928.

№ 8. სპილენძი. წონა 8,09 გრ. დიამეტრი - 24 - 28 მმ. (ინვ. 3809).
შ უ ბ ლ ი: ხარი თელავს ვეშაპს(?). სარის ზურგზე მზის სახე.
ზ უ რ გ ი: სპარსული ზედწერილი სამ სტრიქონად —
„იქედა ფულუსი თბილისს“ ქვემოთ თარიღი ჰიჯრით
„1081“ (=1670/71 წ.).

მსგავსი მონეტა დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (წონა 8,00; დიამეტრი = 24—27 მმ.

ფრიად საინტერესო ცნობები ქართული ფულის შესახებ უკანასკნელ დროს ამოიკრიფა სხვადასხვა წერილობითი წყაროებიდანაც. მაგრამ ამაზე უკვე ცალკე საუბარი დაგვჭირდება*.

* სტატიაში რამდენიმეჯერ მოხსენებულია განსვენებული პროფ. ე. პახომოვის კოლექცია. ამ ცოტა ხნის წინ ეს კოლექცია ანდერძად გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.



1



2



3



4



5



6



7



8

ასლან ინაიშვილი

ბათუმის ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე

1960 წლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლაზე მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელსაც აკად. ს. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. ექსპედიციის გეგმაში ბათუმის შესწავლაც იყო გათვალისწინებული, რაც 1962—1963 წლებში განხორციელდა. მოპოვებული მასალები მნიშვნელოვნად ამდიდრებს არა მარტო ბათუმის უძველესი ისტორიის, არამედ საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძველი ისტორიის მასალების ფონდს.

ბათუმის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში მრავალი აზრი გამოითქვა, რომელთა უმეტესობა ძირითადად ბერძნულ-რომაულ წყაროთა მონაცემებზე იყო დაფუძნებული. მკვლევართა უმრავლესობა ამ სახელს წყაროებში ცნობილ მდინარე „ბათჳსთან“ აკავშირებდა, რომელიც მათივე ვარაუდით აწინდელი ყოროლისწყალია.

„ბათჳს“, როგორც მდინარე, პირველად პლინიუს უფროსთან (23—79 წწ.) იხსენიება, მდ. აფსაროსის ჩრდილოეთით[1]. არიანე „ბათჳსს“ ჭოროხიდან (აკამფსისიდან) ჩრდილოეთით 75 სტადიონზე (12—13 კმ), ხოლო კინტრიშიდან (აკინასე) სამხრეთით 90 სტადიონზე (18—20 კმ) ათავსებდა[2], რაც დაახლოებით აწინდელ ყოროლისწყალზე ჩაიუთითებს. „ბათჳსის“ შესახებ ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ფსევდო არიანეც (ახ. წ. V ს.)[3]. მაგრამ თუ ახ. წ. I ს-დან წყაროებში გვხვდება სახელი „ბათჳსი“, როგორც მდინარის სახელწოდება, არაფერია ნათქვამი დასახლებული პუნქტის „ბათჳსის“ შესახებ.

ბათუმს, როგორც დასახლებულ პუნქტს, აგრეთვე ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი იხსენიებს[4]. ი. კალფოღლუმ გამოთქვა მოსაზრება, რომ ბათომი არ შეიძლებოდა არსებულიყო ძვ. წ. V ს-ში[5], როგორც

---

[1] Pl. NH, IV, 12.

[2] ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961, გვ. 37.

[3] ანონიმი, იხ. ფლავიუს არიანე, გვ. 85.

[4] მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. 33, 1960, გვ. 40.

[5] И. Кальфоглу, Древнейшие известья о Батуме, ИКОРГО, т. XVIII, 1935-6, გვ. 41.

ჟან შარიეს[6], პ. ჰიცუნოვს[7] და დაკიშვეიჩს[8] მიაჩნდათ. ი. სიხარულიძე, თავის თავდაპირველ შეხედულებას. ბათუმის ახ. წ. II ს-ზე უადრეს არარსებობის შესახებ[9] ცვლის და წერს, რომ ბათუმი უნდა არსებულიყო ძვ. წ. V—IV ს-დანო[10]. ახ. წ. II ს-ის უადრეს ბათუმის, როგორც ქალაქის, არსებობაზე ეჭვს გამოთქვამენ აგრეთვე ჯ. ჩხეიძე[11] და ა.ბ. სურგულაძე[12]. ვ. სიჭინავა ბათუმს კოლხეთის ძლიერების ეპოქაში მნიშვნელოვან სამხედრო და სავაჭრო ნავსადგურად მიიჩნევდა[13]. ამჟამად კი იგი ბათუმს დიდ ქალაქად და ნავსადგურად ახ. წ. II ს-ში გულისხმობს[14].

ყორღოლისწყლის შესართავთან უძველესი ბათუმის არსებობაზე პირველად ისტორიკოსი დ. ბაქრაძე მიუთითებდა[15]. როგორც ჩანს, ამავე შეხედულებას იზიარებდნენ ი. კალფოღლუ[16], ა. ფრენკელი[17], თ. უსპენსკი[18] და ლ. ელნიცკი[19].

ამავე აზრს ეთანხმებოდა ს. კაკაბაძე, თუმცა მიუთითებდა ძველი ბათუმის ჩაქვისწყლის მიდამოებში არსებობის სასარგებლოდაც[20].

უკანასკნელ დრომდე „ტაბულა პეუტინგერიანაზე“ აღნიშნული პუნქტი „Portus altus“ დღევანდელ ბათუმთან იყო გაიგივებული. ამასთან „Portus altus“ ს. ყაუხჩიშვილს ესმის, როგორც „ნავსადგური ალტუსი“ (ე. ი. ბათჯსი“ და არა „ღრმა ნავსადგური“)[21], ხოლო ნ. ლომოურს, როგორც „ძველი ქალაქი“[22]. „პასქალური ქრონიკის“ „მეგალე პოლისი“ ს. ყაუხჩიშვილის აზრით ბათუმი უნდა იყოს, ხოლო პ. ინგოროყვას „სუხუმ-სუბასტოპოლისად“ მიაჩნია[23].

---

[6] ჟან შარიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962, გვ. 22.

[7] П. Хицунов, О состоянии некогда бывшего христианства на Кавказе, Сборник газета „Кавказ“, 1847, გვ. 148.

[8] Н. Дакишевич, Батуми, 1890, გვ. 25.

[9] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი. 1959. გვ. 8.

[10] ი. სიხარულიძე, ბათუმის უძველესი ისტორიის ახალი არქეოლოგიური მასალები. გაზ. „საბჭოთა აჭარა“. 1961, 9/VI, № 112.

[11] ჯ. ჩხეიძე. ბათუმი, 1960, გვ. 10.

[12] ა.ბ. სურგულაძე, ბათუმის ისტორიისათვის, „აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები“, თბ., 1965, გვ. 242

[13] ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958, გვ. 85.

[14] ვ. სიჭინავა, ქალაქ ბათუმის ძველი ისტორიიდან, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, ბათუმი, 1961, გვ. 35.

[15] Д. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб, 1878. გვ. 24.

[16] И. Кальфоглу, დასახ. ნაშრ. გვ. 41.

[17] А. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Тиф., 1879, გვ. 58.

[18] Ф. Успенский, Старинная крепость на устье Чороха, Известия Российской Академии наук. 1917, № 2, გვ. 107.

[19] Л. Ельницкий Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1938, № 2. გვ. 311.

[20] ს. კაკაბაძე, ძიებანი ქართველთა IV—VII საუკუნის ისტორიის შესახებ, „საისტორიო კრებული“, II, 1928, გვ. 28.

[21] ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, ქუთაისი, 1950—1951, გვ. 22.

[22] ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, „ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. IV, წაკვ. I, 1958, გვ. 105.

[23] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 224.

ზემოხსენებული მოსაზრებები ბათუმის შესახებ მხოლოდ წერილობით წყაროებზეა დამყარებული, მაგრამ ისინი იმდენად მწირი და ცალმხრივია, რომ დამატებითი მასალების გარეშე ვარაუდის გამოთქმის საშუალებას თუ იძლევიან.

1962—1963 წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა ბათუმის ისტორიისათვის საინტერესო მასალები მოგვცა. აკად. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით იგი „გორაების“ ტიპის სამოსახლო უნდა ყოფილიყო. ბათუმის ციხის, აგრეთვე მისი სანახების, დაზვერვების შედეგად ეს მოსაზრება საესებით დადასტურდა. ცხადი გახდა, რომ ჩვენ, მართლაც, საქმე გვაქვს ტიპიურ ადრეკოლხურ გორა-სამოსახლოსთან, რომელსაც ბათუმის სანახებში არა ერთი თანადროული სამოსახლო აკრავდა (მახვილაური, ზემო ჯოჯო და ა. შ.).

ბათუმის ციხეზე არქეოლოგიურად შესწავლილ იქნა შიდაციხე, აღმოსავლეთის ფერდობი და ჩრდილო-დასავლეთის ფერდობი. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ჩრდილო-დასავლეთის უბანი. აქ გამოვლენილმა მასალებმა გარკვეული წარმოდგენა შექმნა ამ უძველესი სამოსახლოს ტიპზე და შემდგომი განვითარების პროცესზე. დადასტურდა, რომ ბორცვი დაცული იყო განიერი თხრილით, რომლის შიდა პირს შემოუყვება ერთი მეტრი სიგანის თარო; თაროზე ხის მესერი უნდა ყოფილიყო გამართული. ბორცვის თხემის მრავალგზისი ნიველირება-მოსწორების შედეგად თხემის ფენები ფერდობებზე მოქცეულა.

მოპოვებული მასალები გვიჩვენებენ, რომ ბათუმის გორაზე სამოსახლო I ათასწლეულის დამდეგს წარმოქმნილა და გარკვეული წყვეტილებით მას XIX ს-მდე უარსებია. ჩვენი განხილვის მიზანს ამჟამად ბათუმის გორა-სამოსახლოს საწყისი ეტაპი შეადგენს.

ბათუმის გორა, აკად. ნ. ბერძენიშვილის კლასიფიკაციით[24], ე. წ. ამობურცვილ გორას“[25] ტიპს უნდა მივაკუთვნოთ. მართლაც, იგი მდინარე ყოროლისწყლის შესართავის მარცხენა დაბლობზე, მდინარის პირზე გამხოლოებითაა ამოზიდული და მას ირგვლივ საკმაოდ მოზრდილი ველი აკრავს. ამ ადგილს ადრე „თამარა“ ერქვა, ხოლო ბორცვს „თამარის გორა“. გორას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. ყოროლისწყალი ჩამოუდის. ამჟამად მდინარესა და ბორცვის ძირს შორის მანძილი ოცდაათიოდე მეტრია. ბორცვის საცხოვრებლად მოხერხებულობას უთუოდ აპირობებდა მდინარისა (სასმელი წყალი, თევზი) და ზღვის (თევზი, ნავმისადგომი) სიახლოვე. იგი ჩვენს მიერ მიგნებული „გორაებიდან“ (მახვილაური, ზემო ჯოჯო) ყველაზე ახლო დგას ზღვასთან. ბორცვის ირგვლივ გაშლილი დაბლობი უთუოდ ხელსაყრელ პირობას ქმნიდა მიწათმოქმედებისათვის.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბათუმის გორაზე ინტენსიური ცხოვრება იწყება ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან მაინც. ამ ხანაში, როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთი შავზღვისპირეთი შედის კოლხას დიდ გაერთიანებაში[26]. ბათუმი და მისი მიმდგომი ტერიტორიები უთუოდ ამ გაერთიანებაში უნდა ვივარაუდოთ.

---

24 ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, I, თბ., 1960, გვ. 170.

25 დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, დასახ. კრებ., გვ. 188.

26 საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 33.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოპოვებული არქეოლოგიური მასალების საფუძველზე შეიძლება სხვა კუთხით შევხედოთ ძველი წყაროების ცნობებს ბათუმის როგორც დასახლებული პუნქტის შესახებ.

როგორც უკვე ითქვა, პლინიუსს და არიანეს (აგრეთვე ფსევდო არიანეს ან სხვა რომელიმე ძველ ავტორს) ბათუმი-ბათჳსი, როგორც ქალაქი, ციხე, დასახლებული პუნქტი არა აქვთ მოხსენიებული. ბათუმი, როგორც ქალაქური მოსახლეობა, მხოლოდ „ტაბულა პევტინგერიანაზე" ჩნდება „პორტუს ალტუსის" სახელწოდებით (ახ. წ. V ს.). სტრაბონის «გეოგრაფიაში" მოხსენიებული „ბატა", რომელსაც ალ. ხახანაშვილი ბათუმთან აიგივებდა[27] დღეს მკვლევართა მიერ ნოეროსიისკის მიდამოებშია ლოკალიზებული[28]. მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ ბათუმის გორაზე ცხოვრება ახ. წ. პირველ ს-შიც გრძელდებოდა, რაც 1962—63 წლების გათხრებმა დაადასტურა, რატომ არ იხსენიება იგი IV ს-ის წინა პერიოდის ავტორებთან, თუნდაც „პორტუს ალტუსის" სახით. ცხადია, რადგან არიანე დასახლებული პუნქტების რიცხვში არ აიახელებს ბათუმს, იგი ამ დროს არც რომაელთა გამაგრებული პუნქტი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამდენად დ. ბაქრაძის ვარაუდი, რომ ახ. წ. II ს-ში ბათუმში რომაელთა გარნიზონი იდგა[29], დაუსაბუთებელი ჩანს. უთუოდ საყურადღებოა ნ. ლომოურის მტკიცება, რომ არიანეს დროისათვის ბათუმი შეიძლება მართლაც უმნიშვნელო დაბად იყო ქცეული[30]. ამჟამად მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით მტკიცდება, რომ ამ პერიოდში ბათუმის გორაზე ცხოვრება გრძელდებოდა. საინპექციოდ წამოსული არიანე მხოლოდ რომაელთა გამაგრებულ პუნქტებში ჩერდებოდა და თუ იგი ასე სიზუსტით ჩამოთვლის შავი ზღვის დიდ და მცირე მდინარეებსა და ზოგჯერ დასახლებულ ადგილებსაც, მას ეს, როგორც ჩანს, უფრო სამხედრო მოსაზრებით სპრდებოდა. არიანეს ყველა პუნქტში გაჩერება არც უნდა ჰქონოდა გეგმაში (შეიძლება არც ჰქონდა ამის რწმუნება ან უფლება), მაგალითად ჰისოსიდან (სურმენე) წამოსული არიანე მხოლოდ უამინდობის გამო შეჩერდა ათენში (ათინა). იგი წერს „ქარიშხალი ორ დღეს გრძელდებოდა და ჩვენ იძულებული ვიყავით [აქ] დაგვეცადა, მაშასადამე, ჩვენ ვერ გავცილდებოდით პონტოს ათენსაც კი, როგორც უდაბნო დაუცნობავსაყუდელს"[31]. არიანე ასევე მოიქცა ათენიდან მდ. პრიტანიდის (დღევანდელი ფურტუნასუს) შესართავთან მყოფ მაკრონთა და პენიოხთა მეფის ანქიალეს რეზიდენციის მიმართაც[32]. მას არც მოუსურვებია აქ გაჩერება. „ათინიდან წამოსულებმა, — წერდა არიანე, — გავიარეთ მდინარე პრიტანიდი, რომელთანაც აშენებულია ანქიალეს სასახლე..."[33]. არასაგარნიზონო ადგილებისადმი არიანეს დამოკიდებულებაზე კიდევ მეტის თქმაც შეიძლება: აფსაროსიდან იგი საღამოს გამოვიდა და კურსი ფაზისისაკენ აიღო.

---

[27] **А. Хаханов**, Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии, М., 1890, გვ. 27.

[28] ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 18; ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, II. ბათუმი, 1959, გვ. 80.

[29] **Д. Бакрадзе**, დასახ. ნაშრ. გვ. 24.

[30] ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

[31] არიანე, დასახ. გამოც., გვ. 34 (ხაზი ჩვენია — ა. ი.).

[32] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი, თბ., 1959, გვ. 264, 265.

[33] არიანე, დასახ. გამოც., გვ. 36.

მის ნაშრომში მითითებული არ არის, თუ ფაზისამდე სად გაჩერდა, მაგრამ ინტერესს იწვევს ერთი ფაქტი, რაზედაც აქამდე ყურადღება არ მიუქცევიათ. კერძოდ. აფსაროსიდან წამოსულმა არიანემ ბათუმს ღამით ჩაუარა. შეიძლება ამის გამო მან ბათუმის დასახლებული პუნქტი ვერ შენიშნა, რის გამოც ვერ დაასახელა თავის „პერიპლუსში“.

აქედან შეიძლებოდა გამოგვეტანა დასკვნა, რომ არიანეს მიერ ბათუსის მოუხსენებლობა, როგორც დასახლებული პუნქტისა, მისი არარსებობის უდავო მოწმობა არ არის. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმდროინდელი ბათუმი შავიზღვისპირეთის ისეთი დასახლებული პუნქტი იყო, სადაც რომაელთა გარნიზონი არ იდგა, მაგრამ წარმოადგენდა რომელიმე ქართული თემის ისეთ დასახლებას, რომელსაც შესაძლებელია ციხეც გააჩნდა. თუ კი ათენში (ათინა). აგრეთვე ანქიადეს რეზიდენციაში, რომაელთა გარნიზონი არ იდგა, ადვილი შესაძლებელია. რომ აფსაროსთან (გონიოსთან) ახლო მყოფ ბათუსშიც არ მდგარიყო რომაელთა გარნიზონი. უკვე ძვ. წ. VI ს-დან ბათუმს ცნობილი სავაჭრო-ეკონომიურ- კავშირი ჰქონია ბერძნულ სამყაროსთან, რაზედაც გათხრების შედეგად გამოვლენილი[34] იმპორტული კერამიკა მიუთითებს. როგორც ჩანს, შავიზღვისპირეთის ამ ტერიტორიაზე რომაელთა საგარნიზონო ქალაქების (ტრაპიზონი, ჰისოსი, აფსაროსი, დიოსკურია) გვერდით არსებობდნენ შედარებით მცირე. ზოგჯერ. ალბათ. ქალაქის ტიპის დასახლებანი, რომლებიც, თუმცა რომაელთა გაელენის სფეროში იყვნენ, მაგრამ მათი პატრონები ცალკეულ ქართველ ტომთა ან ტომთა გაერთიანების ხელისუფალთ წარმოადგენდნენ.

ამასთან, არიანეს დროს აფსაროსი (გონიო) გულმოდგინედ გამაგრებული რომაელთა სამხედრო ძალებით. იგი რომაელთა ბატონობის საყრდენია შავიზღვისპირეთის სამხრეთში[35]. აქედან ფაზისამდე (ფოთამდე) რომაელებს გარნიზონი არსად უყენიათ. აფსაროსის შემდეგ, უკვე ახ. წ. VI ს-ში, „პეტრა“ დაწინაურდა, რომელიც იუსტინიანემ ძველი ციხე-ქალაქის ადგილას გააშენა[36]. არიანეს დროს, შესაძლებელია, „პეტრაც“ ბათუმისმაგვარი დასახლება იყო. ამ ვარაუდის საფუძველს ჩვენ ჯერჯერობით ერმიტაჟის კოლექციაში დაცული, პეტრას მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის ინვენტარი გვაძლევს, რომელიც ნ. ხოშტარიას აზრით II—III სს-ს უნდა ეკუთვნოდეს[37]. ასევე, ამავე მიდამოებში აღმოჩენილია მონეტები, რომლებიც იმავე ავტორის მიერ ძვ. წ. IV ს-ის დასაწყისითა და ახ. წ. II ს-ითაა დათარიღებული[38]. ნ. ხოშტარია ციხისძირის ძველი მოსახლობის ყველაზე უძველეს ქრონოლოგიურ თარიღად ძვ. წ. IV ს-ეს მიიჩნევს[39]. (ციხისძირის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები უფრო ადრეულ პერიოდს განეკუთვნებიან). ციხისძირის ტერიტორიაზე ჩვენი საუკუნის ოციან წლებში აღ-

---

34 ა. ინაიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ქართული მატერიალური კულტურის საუძველდებო ძეგლები, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1962, 26/VIII, № 170.

35 გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის. თბ., 1955, გვ. 120; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 309.

36 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, თბ., 1934, გვ. 54.

37 ნ. ხოშტარია, ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 46.

38 იქვე. გვ. 28.

39 იქვე.

მოჩენილი ლათინურწარწერიანი აგური[40], ნ. ხოშტარიას მიერ ახ. წ. პირველი საუკუნეებითაა დათარიღებული. მოტანილი მასალა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ამაგრებს ჩვენს ვარაუდს, რომ არიანეს დროს არა მარტო ბათუმი, არამედ ციხისძირიც საკმაოდ მსხვილი სამოსახლო უნდა ყოფილიყო. მაგრამ იმის გამო, რომ ციხისძირში რომაული გარნიზონი არ იდგა, არიანეს იგი არ მოუხსენებია. ვერ დავეთანხმებით ნ. ხოშტარიას, თითქოს წარწერიანი აგურის დადასტურება ამ ადგილას რომაული გარნიზონის არსებობას ნიშნავდეს[41]. ეს რომ ასე ყოფილიყო, „პერიპლუსის“ ავტორს იგი აღუნიშნველი არ დარჩებოდა.

საყურადღებო ჩანს „ტაბულა პეუტინგერიანას“ „პორტუს ალტუსის“ ნ. ლომოურისეული თარგმანი — „ძველი ქალაქი“. არქეოლოგიური მასალების მიხედვით ბათუმი უფრო ძველი სამოსახლოა, ვიდრე აფსაროსი-ვონიო და პეტრა-ციხისძირი.

ამ უკანასკნელად ნ. ლომოურმა „პორტუს ალტუსის“ შესახებ საინტერესო ვარაუდი წამოაყენა; მკვლევარი შენიშნავს, რომ, რადგან ფიჭვნარის ნამოსახლარი მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით უფრო მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლებად ჩანს, ვიდრე ბათუმი, ამიტომ შესაძლებელია „ძველი ქალაქი“ ფიჭვნარი იყოსო[42]. ფიჭვნარისა და ბათუმში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე ფიჭვნარში უფრო მსხვილი, ქალაქური ტიპის დასახლება ჩანს, ვიდრე ბათუმის გორაზეა დადასტურებული. ამავე დროს ნაესაყუდრად მდ. ჩოლოქის შესართავი უფრო მოსახერხებელია. ვიდრე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ამ რაიონში არსებული სხვა მთის მდინარეების (მათ შორის თუნდაც ყოროლისწყლის) შესართავი. ასე რომ „ძველი ქალაქობა“ ფიჭვნარზედაც შეიძლება ვივარაუდოთ, მაგრამ ბათუმის გათხრებმა წინანტიკური და ანტიკური ხანის ისეთი ინტენსიური ცხოვრების სურათი მოგვცა, რომ შეუძლებელია საკითხის შესწავლისას მისი მხედველობიდან გაშვება. ყოველ შემთხვევაში, შავიზღვისპირეთის ამ მონაკვეთზე გოხიოდან (ჯოროხიდან) ფიჭვნარამდე (ჩოლოქამდე) ეს „ძველობა“ ბათუმსა და ფიჭვნარს ეკუთვნის და არა აფსაროსსა და პეტრას, ან რომელსამე სხვა პუნქტს.

ადრეანტიკურ ხანაში ბათუმის დასახლებაზე უფრო ინტენსიური ცხოვრება ჩანს, ვიდრე ზემო ჯოჯოსა და მახვილაურის სინქრონულ სამოსახლოებზე. ბათუმს, როგორც ჩანს აკრავდა არა ერთი გორა-სამოსახლო, რომლებიც ბათუმთან ერთად ადრეანტიკურ ხანაში კოლხური გაერთიანების რომელიღაც ტომის შემადგენლობაში შედიოდნენ.

ამ პუნქტთა შორის, ჯერჯერობით აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბათუმი მოწინავეობს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ დროს (ადრეანტიკურ ხანაში), აქ უკვე ზის გვარის ან ტომის ბელადი. შესაძლოა ჯოჯოს, მახვილაურისა და სხვა სავარაუდებელი „გორაების“ მოსახლეობა ყოროლისწყალ-ჯოჯოსწყლის ხეობებში სცნობდა ბათუმს, როგორც მათი მმართველის საჯდომს — „ქვეყნის“ ცენტრს, ხოლო ომიანობის დროს, მსგავსად დრილებისა[43] და მოსინიკებისა, იყენებდა როგორც თავის მთავარ თავშესა-

---

40 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, 1949, გვ. 43.

41 ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

42 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, გვ. 82.

43 К с е н о ф о н т. Анабасис, М.-Л., 1951, გვ. 129.

44 იქვე. გვ. 136—137.

ფარს. თუ ბათუმის, ზემო ჯოჭოსა და მახვილაურის გორა-სამოსახლოები ადრეანტიკურ ხანაშიც ერთდროულად განაგრძობდნენ არსებობას, მაშინ ერთი მათგანი მეთაურად და პატრონად უნდა მივიჩნიოთ. სხვათა შორის, ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ბათუმის სამოსახლოზე ბერძნული იმპორტული კერამიკის დადასტურებაც; ასეთი ნაწარმი, როგორც ფუფუნების საგანი, სოციალურად დაწინაურებული წრისათვის უნდა ყოფილიყო მისაწვდომი[45]. ბათუმს გააჩნდა მონაცემები გარკვეული ერთეულის ცენტრი ყოფილიყო. მას სხვა დასახლებებისაგან განსხვავებით (ზემო ჯოჭო, მახვილაური და სხვ.), უშუალოდ ხელი მიუწვდებოდა ზღვასთან, ნაოსნობასთან, და საერთოდ, გარე სამყაროსთან ურთიერთობისათვის ჰოროხის ჩრდილოეთით არსებულ დასახლებათა შორის ჩაქვამდე და თვით ფიჭვნარამდეც კი, ბათუმს ყველაზე მოხერხებული პირობები ჰქონდა. და ბოლოს, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ბათუმის გორა მდ. ყოროლისწყლის (ბათჳსის) მოკლე, მაგრამ დასასახლებლად მოხერხებული ხეობის ჩამკეტია ზღვის შესართავთან[46]. არსებული მონაცემები საფუძველს გვაძლევს ძველი კოლხეთის ეს მიკრორაიონი ბათუმის (ბათჳსის)[47] „ქვეყნად“ წარმოვიდგინოთ და მის ცენტრად „ბათუმის ციხე“ მივიჩნიოთ, როგორც ამას აკად. ნ. ბერძენიშვილი ეარაუდობდა.

---

[45] შ. ინაძე, საუკუნო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, „კავკასიური ახლოაღმოსავლური კრებული“, თბ., 1962, გვ. 101.

[46] 1964 წ. მაისში, ჰოროხის მარცხენა შენაკად მახოსწყლის მიდამოებში ჩვენს მიერ მიგნებულ იქნა კიდევ ერთი ადრეკოლხური ხანის გორა-სამოსახლო და აქვე სხვადასხვა ადგილას ორი განძი (პრინჯაოს ცული, რკინის ცული და სატევრის ნაშთი).

[47] Ф. Успенский, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

С. Т. ЕРЕМЯН

ΣΑΠΟΘΡΗΝΑΙ ПТОЛЕМЕЯ В СВЯЗИ С ИСТОРИЕЙ СКИФСКОГО ЦАРСТВА ПРИКАСПИЙСКОГО ПОБЕРЕЖЬЯ

На прикаспийском побережье обитали кочевые племена скифов, которые имели свое царство, упоминаемое в первом веке нашей эры в связи с парфяно-римскими отношениями. Тацит (Annales, II, 68) сообщает, что свергнутый с престола парфянский царевич „замышлял бежать в Армению, а затем к албанам, гениохам и к единородному ему царю скифов". Из сказанного явствует, что по соседству с албанцами и гениохами (не путать с гениохами причерноморского побережья) находилось царство скифов, где правил единокровный парфянскому Аршакиду династ, без сомнения также аршакидского происхождения. Какая скифская народность подразумевалась под наименованием „скифов", об этом мы узнаем из повествования армянского историка V века Фавстоса Бузанда (III, 6). Последний говорит о миссии епископа Григориса, с целью христианской проповеди, посланного из Великой Армении в страну мазкутов. Согласно историку, епископ Григорис „прибыл в стан аршакидского царя мазкутов, имя которого было Санесан, ибо и их цари и армянские цари были одного и того же происхождения и рода"[1] (*...Եհաս նա (Գրիգորիս) մինչև ի ճամբար թանակին Արշակունւոց տրքային Մազքթաց՝ որոյ անուն էր Սանէսան կոչէր: Քանզի և նոցա և Հայոց թագաւորացն մի ազգաւորութիւն էր ասեմին բնութեան: Փաւստոս*, III *Ը*)[2].

Таким образом, царство скифов прикаспийского побережья — это царство мазкутов, resp. массагетов (*Մազքթաց թագաւորութիւն*). Страна, где жили кавказские массагеты, определяется территорией прикаспийского побережья Кубинского, Кусарского и Дивичинского районов Азербайджанской ССР. В Армянской Географии V века эта территория называется Мазкутк — *Մազքթք*[3], в арабских источниках — Маскат[4], а позже — Мушкур[5].

---

[1] Фавстос Бузанд. История Армении, кн. III, гл. 6, перевод с древнеармянского и комментарии М. А. Геворгяна, Еревaн, 1953, стр. 14.

[2] *Փաւստոսի Բուզանդացւոյ՝ Պատմութիւն Հայոց*, Ս. Պետերբուրգ, 1883, էջ. 12—13.

[3] Ս. Տ. Երեմյան, Հայաստանը ըստ «Աշխատացոյց»-ի (մոտ VII դարի հայկական քարտեզի վերակազմությունն ժամանակակից քարտեզագրական հիմքի վրա), Երևան 1963, եր. 64: [С. Т. Еремян, Армения по „Ашхарацуйц"-у (Армянской Географии VII века. Опыт реконструкции армянской карты VII века на современной картографической основе)], Ереван, 1963, стр. 64.

[4] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков. Москва, 1963, стр. 108 — 115.

[5] Там же.

Говоря о „скифском" народе массагетов и царствующей там династии массагетских Аршакидов, следует сказать, что в армянских источниках зафиксировано то скифское племя апарнов или парнов, откуда вышла парфянская династия Аршакидов. Это, упоминаемое армянским историком V века Елише, племя апархов — *Ապահացիք*, жившее в пределах области Балласакан-Каспиана, по соседству с племенами катишов (кадусии) и гелов[6] (поздние гилянцы)[7]. В XIV веке Хамдуллах Казвини, недалеко от устья Куры (около ныне. Сальяны), знает город Апаршахр[8], который и указывает местожительство этого племени[9]. В свете этих фактов становится понятным известие, сохранившееся у Фавстоса Бузанда (III, 7)[10] и Моисея Хоренаци (III, 3) о маскутском — массагетском царе Санесане—Санатруке, отхватившего от царства Великой Армении около 338 года город Найгакаран и замышлявшего о воцарении в Армении как Аршакида и, следовательно, как законного претендента на армянскую корону[11].

Некоторые косвенные и прямые данные говорят о том, что массагеты прикаспийского побережья также принадлежали к „царским скифам" т. е. они имели государство во главе с царем. В этой связи делается понятным тот факт, что пограничная между Албанией и царством массагетских Аршакидов река, называемая *Hegeri ‖ *Egeri[12], Птолемеем (III, 5—1) по ассоциации отождествляется с названием пограничной с царскими скифами реки в Европейской Сарматии Γέρρος, упоминаемой еще Геродотом (IV, 19, 53, 56). Как известно, Геродот (IV, 19, сл.) границей между царскими скифами и скифами-кочевниками считает реку Герр. На этой же реке жило племя герров и одноименная местность Герры, где находились гробницы царских скифов (Her., IV, 53). Археологи показали, что скифскому некрополю в Геррах соответствует полтавская группа

[6] Не путать с Гелами Албании.

[7] Իսկ զդուճսն զԱպարնացի, և զԿաւշացն և զՀենոց և զԳԷղաց, ...Եղիշէի՝ Վասն Վարդանանց և Հայոց պատերազմին. Հինգերորդ եղեալ ի լոյս ածեալ բազդատութեամբ ձեռագրաց ուշադրութեամբ Ե. Տէր-Մինասեանի. (Елише. О Вардане и Армянской войне, гл. V, ст. 7. Подготовка к печати и предисловие Е. Тер-Минасяна), Ереван, 1957, стр. 115 — 116.

[8] См. Хамдуллах Мустоуфи аль-Казвини, The Tarikh-i guzida... ed. E. G. Browne, GMS, XIV, 1 — 2, London — Leyden, 1910 — 1913. Разумеется, основная часть парнов, resp. апарнов, жила в стране Апар (позже назывался Хорасан) с центром в городе Апаршар (Нишапур).

[9] Возможно, что одна часть этого племени была поселена в районе города Манавазакерта (Маназкерт) и по его имени округ — гавар этого города стал называться *Апарhуник — Апаһуник. Наследственные правители этого гавара выдвинулись в качестве известного нахарарского рода Ապահունիք — Апаһуник.

[10] См. примечание 2, стр. 15 и примечание 1, стр. 16.

[11] Մովսիսի Խորենացւոյ՝ Պատմութիւն Հայոց, Տիflիս, 1913, էջ. 260; Моисея Хоренского История Армении, кн. III, гл. 3, русск. пер. Н. О. Эмина, Москва, 1893, стр. 145.

[12] Մովսիսի Կաղանկատուացւոյ՝ Պատմութիւն Աղուանից աշխարհի, Բ, 32. Փիflիս, 1913, էջ. 244. русск. пер. К. Патканьяна, „История Агван Моисея Каганкатваци", II, гл. 32. СПБ, 1861, стр. 172.

курганов, поэтому не может быть сомнения, что Геродот и последующие античные писатели передают название именно этого скифского племени, реки и местности, которые локализуются на среднем течении Днепра, в районе Полтавщины. На Кавказе Птолемей называет Герром (Γέρρος) реку, которая на его III карте фигурирует в Албании между реками Кесием (Καίσιος, нын. р. Геокчай) и Соаной (Σόανα—нын. р. Ах-су) и должна соответствовать реке Гырдыманчай или скорее всего реке Уджарры, в названии которой сохранилось наименование реки Γέρρος — в передаче Мовсеса Каланкатвации (II, 32) Հեջերի Hejeri (от *Hegeri ‖ *Egeri)[13]. Интересно, что Птолемей (V, 8, 13) племя Γέρροι помещает в юго-восточной части рамки карты Азиатской Сарматии (карта Азии № 2) на границе с Албанией, а реку Γέρρος в северо-восточной части карты Азии № 3, т. е. в Албании, на границе с Азиатской Сарматией (Ptol., V, 11, 5). Из сказанного можно сделать вывод, что Царство Массагетских Аршакидов на юге простиралось вплоть до устья Куры и, таким образом, включало в свой состав также область Базкан Базгун[14].

Где же мог находиться политический центр массагетских Аршакидов? На этот вопрос дает ответ анализ загадочного этнического термина, сохранившегося у Птолемея (V, 8, 13) — Σαποθρήναι — Sapothrenae[15]. Это название, по всей видимости, должно быть греческой передачей парфянского Šahpuhṙan. Если наше предположение правильно, то к нему должно восходить название города Шапоран ‖ Шабуран — Šaporan ‖ Šāburān (через: Šahpuhran — Šapuhran — Šapuran). Город Шапоран находился на месте современного селения Шабран[16], рядом с которым находится селение Ширван, который в средние века был известен как крупный город—центр одноименной области Шарван resp. Ширван. В Армянской Географии VII века сохранилось древнейшее упоминание этой области Շրուան ‖ Շրվան — Šaruan ‖ Šarwan, территория которой локализуется между реками Шабран-чай и Гилгил-чай. В VI в. область Шарван была владением особого феодального рода, глава которого носил титул «Шарваншах»[17]. Это княжество, по-видимому, образовалось после уничтожения Сасанидами Царства массагетских Аршакидов около 510 года. Мы не будем касаться дальнейших судеб этого маленького политического образования, по имени которого с X века было известно обширное государство ширваншахов, обнимающее территорию царства массагетских Аршакидов и столицей которого являлся уже не город Шарван, а Шемаха.

Таким образом, в VI столетии центром области Шарван являлся одноименный город, однако впоследствии эта роль перешла к соседне-

---

[13] Наличие рядом двух рек *Hegeri ‖ *Egeri и Soana делает понятным, что племя Եգերսևայր Eger-Suank' Фавстоса Бузанда (III, 7), упоминаемое в числе племен нын. Дагестана и Восточного Закавказья, следует локализовать в районе рек ныне называемых Уджарры и Ах-су. Нельзя эгерсуанов отождествлять с Συανόκολχοι Птолемея (V, 8, 13), как это принято в науке.

[14] См. примеч. 3, стр. 42 — 43.

[15] Claudii Ptolemaei, Geographiae edit I. Fischer, I — IV Leyden, 1932.

[16] См. примеч. 4, стр. 108 — 111.

[17] См. примеч. 3, стр. 74 а также примеч 4, стр. 106 — 107.

му городу Шабирану || Шапорану. Можно предположить, что этот городской центр переживал свой вторичный расцвет и что до возвышения города Шарвана был центром этой области. Если наше предположение правильно, следует думать, что в древности область Шарьан по имени своего другого центра называлась Шапоран, архаичной формой которого и является приводимое Птолемеем название Σαποθρῆνα, фигурирующее у него как этноним.

Царство массагетских Аршакидов снова упоминается в первой половине IV столетия. Низибинский договор 298 года снова восстанавливал территориальное status quo. Царства Великой Армении и Царство массагетских Аршакидов снова распространилось до устья р. Куры. Последний момент был использован Сасанидами. В 338 г. истекал срок 40-летнего договора, заключенного персами с римлянами в Низибине и Сасаниды считали себя свободными от договорных обязательств. С этого времени массагеты по наущению Сасанидов вторгались в пределы Великой Армении, чем облегчили персам возможность восстановить в странах Закавказья свои утерянные политические позиции. Именно этот политический момент и отразился в Житии святого Григориса в передаче Фавстоса Бузанда и Мовсеса Хоренаци.

გიორგი ჩუბინაშვილი

ერთ-ერთი უძველესი სამეკლესიანი ბაზილიკა ქვემო ქართლში

სოფ. ბოლნის-ქაფანაქჩისა (ძველი ქვემო ბოლნისი) და ხატის-სოფელს (ახლანდელი წითელსოფელი) შორის, ტრიალ მინდორზე, შემორჩენილია ძლიერ დანგრეული სამეკლესიანი ბაზილიკა. ბოლნის-ქაფანაქჩი მისგან დასავლეთით მდებარეობს, ხატის-სოფელი კი — სამხრეთ-აღმოსავლეთით. ორსავე ამ პუნქტიდან ბაზილიკა თითქმის თანაბარი მანძილითაა (2—3 კმ) დაშორებული. ვახუშტის რუკის მიხედვით (აკადემიკოს ბროსეს გამოცემით რუკა № 2) შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ნაგებობა იმ დაბის ნაშთია, რომელსაც ვახუშტი ვანათს უწოდებს. ვანათი ვახუშტის რუკაზე ნაჩვენებია ქვემო ბოლნისიდან აღმოსავლეთით, მდ. ფოლადაურის გადაღმა, და ხატის სოფლიდან ჩრდილო-ღასავლეთით, ფოლადაურის პატარა შენაკადს ეკიდა[1]. ნანგრევების გარშემო—აღმოსავლეთით, ჩრდილოეთითა და დასავლეთით, — შედარებით ვრცელ მონაკვეთზე, პატარა ბორცვებია ამოზიდული, მაგრამ სამოსახლო ნაგებობათა რაიმე კვალი არსად არ შეინიშნება.

თავისი გეგმით, პროპორციებითა და აბსოლუტური ზომებითაც კი. ეს სამეკლესიანი ბაზილიკა, ზოგიერთი დეტალის გარდა, თითქმის სავსებით ემთხვევა ქვემო ბოლნისის ბაზილიკას. ამ უკანასკნელმაც აგრეთვე საკმაოდ დანგრეული სახით მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ მაინც იგი ბევრად უკეთაა შენახული, ვიდრე ვანათის ეკლესია; უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ქვემო ბოლნისის ბაზილიკა 1938 თუ 1939 წელს გაწმენდილ იქნა კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ, ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით; არქიტექტორმა ც. გაბაშვილმა 1938 წელს (გათხრამდე) შეასრულა ანაზომები. ეს მასალა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ძეგლის სრულიად საიმედო გრაფიკული რესტავრაცია. უნდა ვიფიქროთ, ვანათის ძეგლის გაწმენდა-გასუფთავებაც, მისი იმ მიწისგან განთავისუფლება, რომელიც მას დაახლოებით $1^1/_2$—2 მ სიმაღლეზე ფარავს, მოგვცემს მხატვრულად საინტერესო და ისტორიულად მნიშვნელოვან მასალას, რომელიც საბოლოოდ დაუმკვიდრებდა ამ ხუროთმოძღვრულ ძეგლს ისტორიულ ადგილს[2].

ვანათის ბაზილიკა თავისი გეგმით სამეკლესიანი ბაზილიკების უძველეს ნიმუშებს უკავშირდება*. თითოეული ამ სამ ეკლესიათაგანი წაგრძელებული ნავია, უშუალოდ ერთიერთმანეთის გვერდით განლაგებული; შესასვლელი


---

[1] სოფლების სიაში, რომელიც ვახუშტის აქვს მოტანილი, ვანათი — № 69, ხატის-სოფელი — № 70, ხოლო ბოლნისები (სამი) — № 77.

[2] ირგვლივ, მიწაში აქა-იქ ჩანს ძველი საფლავის ქვები. ეკლესიას, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხარეზე, ზოგან ახლოს, ზოგან უფრო მოშორებით, გარს უვლის ცალკეული დიდრონი ქვები, აღმოსავლეთითა და სამხრეთით კი თხრილია გაჭრილი.

* ვანათის ძეგლი გაზომილია 1964 წ. რ. მეფისაშვილის მიერ.

ბაზილიკას სამხრეთითა აქვს, სამხრეთ ეკლესიაში, აქედან ორი კარის საშუალებით შუა ეკლესიაში გავდივართ, ამ უკანასკნელიდან კი ჩრდილოეთ ეკლესიაში მოსახვედრად ერთი კარია გაჭრილი. შუა და ჩრდილოეთის ეკლესიებს გარედან თავისი დამოუკიდებელი შესასვლელი არ გააჩნია. არც ერთ ნავში არავითარი დანაწევრება არა გვაქვს, არც სხვა რაიმე დამატებითი სათავსოა




სურ. 1. ქვემო ბოლნისი. გეგმა

მთელ კომპლექსში. განაწერევების მიხედვით, შუა ეკლესია განათებული იყო საკურთხეველის სარკმლით, სამხრეთის ორი სარკმლითა და აგრეთვე დასავლეთის სარკმლით. ქვემო ბოლნისის ანალოგიით, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სამხრეთისა და ჩრდილოეთის ეკლესიებს საკურთხეველში არ ჰქონდათ სარკმელი. თუ სამხრეთის ნავი გაშუქებული იყო, როგორც ამას აშკარად მოწმობს ქვემო ბოლნისის მაგალითი, შესასვლელის თაღედით, ჩრდილოეთის ნავს, უნდა ვიფიქროთ, ორი სარკმელი ჰქონდა მხოლოდ ჩრდილოეთის მხარეზე (თანახმად განაწერევებისა კარის ბალავრის დონიდან).

ვანათისა და ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკების გეგმის საერთო ნიშანდობლივი თავისებურებაა შუანავის საკურთხეველის შვერილი აფსიდი. ვანათში ეს აფსიდი ხუთწახნაგაა, ისე როგორც ნოქალაქევის, ვაშნარის, ბიჭვინთის (განათხარ). ციხისძირის (ბათუმის მახლობლად), ერწოს სიონის ბაზილიკებში და წოფისა და აკაურთას დარბაზულ ეკლესიებში; ქვემო ბოლნისში კი. ისე როგორც ბოლნისის სიონში და ძველი მანხუტის (ახლანდელ


სოფ. სარაჩლოს ზემოთ)[3] ორსავე ეკლესიაში — ნახევარწრიული. მეორე დამახასიათებელი თავისებურება, რაც აგრეთვე საერთოა ვანათისა და ქვემო ბოლნისის ძეგლებისათვის, ესაა სამხრეთის ეკლესიიდან შუა ეკლესიაში შესასვლელი ორი კარი. ერთი მათგანი — მთავარი, უფრო ფართო — კედლის შუა ნაწილში არის გაჭრილი, ხოლო მეორე უშუალოდ დასავლეთის კედელს ებჯინება. ჩრდილოეთის ნავს კი მხოლოდ ერთი შესასვლელი აქვს — სამხ-




სურ. 2. ვანათი. გეგმა

რეთ მხარეზე, მთავარი კარის პირდაპირ და უფრო მომცრო, ვიდრე ეს უკანასკნელი. ორი შესასვლელის არსებობა შუა ეკლესიაში, ყველაზე ბუნებრივია, აგხსნათ იმ ტრადიციით, რომელიც მიმდინარე საუკუნის დასაწყისშიც კი ძალაში იყო (მაგ., სამეგრელოს ეკლესიებში): მამაკაცები წინ უნდა მდგარიყვნენ, ხოლო ქალები, მათგან სრულიად გამოცალკევებულნი, — უკან. ამაზე მიუთითებს VI ს-ის თემესტიას წარწერის ტექსტიც მცხეთის ჯვრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხის ოთახში. ამიტომ ქვემო ბოლნისისა და, ამდენად, ვანათის სამხრეთ ფასადი, ბუნებრივია, აღვადგინოთ თაღედით, ამასთან იგი უფრო სამთაღიანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ორთაღიანი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ, შესაძლოა, არსებობდა უძველესი რიტუალის რაღაც თავისებურება. ეს ნაგებობა იყო არა ერთიერთმანეთზე უბრალოდ მიდგმული სამი ტოლფასი საეკლესიო დარბაზი, — გარკვეულ მოთხოვნილებათა განმე-


[3] ეს ლოკალიზაცია ეკუთვნის ნიკო ბერძენიშვილს.




სურ. 3. ქვემო ბოლნისი. განაკვეთი აღმოსავლეთისაკენ



სურ. 4. ვანათი. განაკვეთი აღმოსავლეთისაკენ.



სურ. 5. კვემო ბოლნისი, განაკვეთი სანბრეთის ეკლესიაზე



სურ. 6. ვანათი. განაკვეთი სამხრეთისაკენ.

ორებითი შესრულების მიზნით, — არამედ თითოეულს ამ სამ ნავთაგანს განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა.

ვანათში შუა ეკლესიის აფსიდს შემორჩა კონქის ნაწილი და მის თავზე აღმართული მაღალი შუბლი (გარკვეით ჩანს სამხრეთის ნაწილში). შუბლის სიმაღლე შეიძლება დავადგინოთ, თუ გრძივი კედლის ყველაზე მაღლა შერჩენილი წერტილიდან კამარის ხაზს მოვნიშნავთ. კონქის თაღი ნალისებური ფორმისაა, ისევე როგორც სამივე აფსიდის გეგმა. თაღის იმპოსტებს ქვეით გამოიყოფა ყელისებური პატარა ნაშვერები, რომლებიდანაც იწყება ნალისებრი გეგმის მოხაზულობა[4]

შუა ეკლესიის საერთო სიმაღლე დაემთხვევა ქვემო ბოლნისისას, თუ მთავარი შესასვლელის იმავე სიმაღლეს ავიღებთ — 2,15 მ, იატაკამდე — 2,40 მ. ჩრდილოეთი ეკლესიის კამარა შეიძლება აღვადგინოთ სამხრეთ კედელში შერჩენილი მისი ქუსლის ორი ქვის მეშვეობით. სამხრეთი ეკლესიის კამარის სიმაღლის დასადგენად არავითარი მონაცემები არა გვაქვს, გარდა კონქის ყორექვის მომცრო ნამსხვრევებისა. კონქის ქუსლი კი კარის ზედა კიდის ხაზზე მოდის. საგულისხმოა, რომ ორთავე სამეკლესიან ბაზილიკაში — ქვემო ბოლნისშიცა და ვანათშიც, ჩრდილოეთი ნავი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე სამხრეთისა.

ვანათის ძეგლის ასაგებად გამოყენებულია ორი სახის სამშენებლო მასალა: შედარებით მოზრდილი თლილი კვადრები — ყვითელი, ე. წ. ბოლნური ტუფი, რომელსაც აქა-იქ წითელი, მწვანე და ქვიშისებრი თეთრი ფერი დაჰკრავს, და წვრილი ბლოკები, მათგან შედგენილი ცალკეული რიგები. სიმაღლით დაახლოებით 25, 30, 35 სმ (იშვიათად უფრო ნაკლები), ღია, მონაცრისფრო-მოთეთრო ფერისა; ბლოკები სწორ რიგებადაა დალაგებული შუა და ჩრდილოეთ ეკლესიების შიგა კედლების ზემო მონაკვეთებში (სამხრეთ ეკლესიის გარეკედლები სულ დანგრეულია). რაც შეეხება ფასადებს, მათი გარეპირი ცუდადაა დაცული. ეს უკანასკნელი აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ ფასადებზე და აგრეთვე ჩრდილოეთ ეკლესიის ჩრდილოეთის ფასადზე მთლიანად მოზრდილი კვადრებით იყო ამოყვანილი. ამ ფასადური ზედაპირის უმეტესი ნაწილი ამჟამად აღარ არსებობს. მაგრამ კარგადაა შენახული სწორ რიგებად ჩამწკრივებული კვადრების ბუდეთა კვალი და მსხვილნატეხებიანი ყორექვა. შუა ეკლესიის დასავლეთი კუთხის გარეკვადრები და ყორექვაც კი შიგაკვადრებამდე მთლიანად დაკარგულია. ამ ფასადებისგან განსხვავებით, შუა ეკლესიის ჩრდილოეთი კედელი გარედან. ჩრდილოეთ ეკლესიის ზევით, ამოყვანილია წვრილი ბლოკების შვიდი რიგით (ზედა რიგი სულ ვიწროა; ნაწილი ამ კედლისა, ცხადია, დაფარული იყო ერთფერდა სახურავით); მათ ზემოთ კი შერჩენილია კედლის ყორე მოზრდილი კვადრების ბუდეთა ორი რიგით. შუა ეკლესიის შიგნით წვრილი ბლოკებით შედ-

[4] კედლებზე, რომლებიც მთავარი ეკლესიის აფსიდს ეკვრის, შესასვლელის ღია ლუნეტის თაღის ქუსლის სიმაღლეზე, კვადრებში, ერთიერთმანეთის პირდაპირ, ამოკვეთილია (შენობის აგების შემდეგ) ჩაღრმავებანი. ისინი, საფიქრებელია, საყურთხეველს კანკელის ჩასამაგრებლად გაკეთეს მოგვიანებით, — ადრე, ეკლესიის აგების დროს, კანკელი არ იყო გათვალისწინებული. შესაძლოა, სწორედ ამ გვიანი კანკელის ნაშთი იყოს რეკუთხა სვეტის ფრაგმენტი (30 სმ სიმაღლისა) კვადრატული ბაზითა (33×33) და რეკუთხედზე გარდამავალი ელემენტით. ეს ფრაგმენტი შენობის რემონტის დროს გამოუყენებიათ: იგი სამხრეთი ეკლესიის შეკეთებული კედლის წყობიდან იყო ამოვარდნილი (ამჟამად ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტშია დაცული).

გენილი გარეწყობის შესაბამისი კედლის ნაწილი, აფსიდის პირზე, საფეხურებად მიმდებარე მოზრდილი კვადრებითაა ამოყვანილი, ხოლო დანარჩენი კედლის დაახლოებით სამი მეოთხედი ნაშენია წვრილი ბლოკებისგან.

შუა ეკლესია, შვერილი, გარედან ხუთწახნაგა აფსიდით, უკეთაა შენახული, ვიდრე გვერდითი ეკლესიები. მისი აფსიდი, როგორც შიგნიდან, ისე გარედან, ნაგებია მოზრდილი თლილი კვადრებით. ახლა ეკლესიის აფსიდი გარედან მთლად გაშიშვლებულია; კვადრები შერჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთ წახნაგზე, საკმაოდ მოზრდილ მონაკვეთზე; რამოდენიმე კვადრი სამხრეთ წახნაგის ქვედა ორ რიგშიც არის შემონახული. გარედან განსაკუთრებით ძლიერაა დაზიანებული შუა წახნაგის სარკმლიანი ნაწილი. სარკმელი შეინიშნება მხოლოდ შიგა მხრიდან; კერძოდ, მისგან შემორჩენილია ზედა ჰორიზონტალური ფილა, ჩრდილოეთი გვერდის ნაწილი და სამხრეთი გვერდის ნაკვალევი ზედა ფილაზე. სარკმელი, 73 სმ სიგანისა, შემონახული ნაწილის მიხედვით (დაახლოებით კედლის სისქის შუახაზამდე) შიგნიდან გარეთ თითქმის არ ვიწროვდებოდა. მაგრამ სხვა ნაგებობათა ანალოგიით (მაგ., კონდამიანი, ნათლისმცემელი საბუეში, ზედა ეკლესია სოფ. სარაჩლოს თავზე, წირქოლი და სხვ.), უნდა ვიფიქროთ, რომ სარკმლის ჯერელობის გარემხარე უფრო ვიწრო იყო და მას ნახევარწრიული თაღი ჰქონდა; ეს უკანასკნელი შიგა ზედაჰორიზონტალურ მოხაზულობაზე რამდენადმე დაბლა მდებარეობდა, იგი თითქო ნიშში იჯდა[5].

შუა ეკლესიის მთავარი შესასვლელი სხვაგვარად იყო დამუშავებული, ვიდრე დანარჩენი შესასვლელები, რომელთაც ქვემო ბოლნისისგან განსხვავებით განმტვირთავი ხვრელები არ გააჩნია. მოზრდილ ბალავარს თავზე ღია ლუნეტი აზის, ისევე როგორც ბოლნისის სიონში, ე. წ. ანჩისხატის ეკლესიაში — თბილისში, ძველი მანხუტის ორსავე ეკლესიაში და სხვ.. ბალავრის ფრაგმენტი აქვე გდია, ეკლესიის შიგნით. მისი გარემხარე ძალზე სუფთადაა გათლილი; ფრაგმენტზე შემორჩენილია კარის საქუსლე. კედელში კი შერჩენილია in situ ღია თაღის საწყისი ქვა, აგრეთვე სუფთად გათლილი, ხოლო მის თავზე, წყობაში, — თაღის აბრისი. შუა ნავის მეორე შესასვლელს[6], ისევე, როგორც ჩრდილონავის კარს, ორსავე მხარეს მოზრდილი ერთიანი ბალავარი აქვს.

ჩრდილოეთ ეკლესიას კიდევ შემორჩა კედლების ფრაგმენტები, რომელთა მიხედვით ამკარაა, რომ დამოუკიდებელი შესასვლელი გარედან არც მას ჰქონია; ჩრდილო ეკლესიაში მხოლოდ ერთი შიდაკარი იყო შუა ეკლესიიდან გაჭრილი, ისე როგორც ეს ქვემო ბოლნისშია. აფსიდური მომრგვალების შიგნით, მარცხნივ, ქვემოთ, ჩამოქცეული მიწის დონიდან 15—20 სმ-ზე გამოყოფილია პატარა ნიში. შიგა კედლის ქვედა ნაწილები, $1^1/_2$ კაცის სიმაღლეზე, აგრეთვე მოზრდილი თლილი კვადრებისგან იყო ნაგები. ზოგი მათგანი აქა-იქ დღემდე შემონახულია in situ (ორი-სამი კვადრი აღმოსავლეთ მონაკვეთში და ორი ქვედა რიგი, რომელიც დასავლეთის კედელზე გადადის). კედლის ზედა ნაწილები კი, როგორც უკვე ითქვა, ყველგან წვრილი

---

5 აღსანიშნავია, რომ წყობაში, რომელიც სარკმლის ჰორიზონტალურ ფილას ეკვრის, გამოყენებულია მოზრდილი (40 სმ მეტი სიგრძის) კრამიტი.

6 იგი მოგვიანებით, ალბათ, სამხრეთი კედლის აღდგენის დროს, დუღაბით ამოუშენებიათ, მაგრამ, როგორც შუა ეკლესიის შიგნიდან ჩანს, შესასვლელი მთელ სისქეზე არ იყო ამოშენებული.

ბლოკებითაა ამოყვანილი. აღმოსავლეთი კედელი ძლიერ დანგრეულა და განანგრევმა ახლა შუა ეკლესიის აფსიდსაც მიაღწია. აფსიდი მოზრდილი კვადრებისგან იყო ნაშენი.

სამხრეთი ეკლესიისგან აწინდელი მიწის დონის ზევით ამჟამად აღარაფერია დარჩენილი, გარდა აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტისა, რომელიც გათხრის შედეგად გამოვლინდა. კედლის ამ ნაშთმა საშუალება მოგვცა დავგეგმასტურებინა აფსიდის შიგნით ნალისებური ფორმის მოხაზულობა[7]. ამას გარდა, ჩანს აგრეთვე მიწიდან ოდნავ ამოზიდული, დასავლეთის შიდაკედლის პატარა ფრაგმენტი, რომელიც ჩრდილოეთის კედელს ებმის. ეს კედელი, როგორც ამას წყობის ბუდეები მოწმობს, მოზრდილი კვადრებით იყო ნაშენი. სამხრეთი კედლისგან შემოგვრჩა მხოლოდ გვიანი, ულაზათოდ შესრულებული გადანაკეთების რაღაც ფრაგმენტები. ამრიგად, სამხრეთ ეკლესიის ფორმების დასადგენად საკმარისი მასალა არ გაგვაჩნია. ამავე დროს, გამოვლენილი მასალის მიხედვით გაუგებარი ზოგი რამ რჩება: დგება საკითხები, რომელიც, ალბათ, მთელი ამ მონაკვეთის გაწმენდა-გასუფთავების შემდეგაც კი გადაუჭრელი აღმოჩნდება (მეტად ვიწრო სამხრეთი კედელი, რომლის ნაშვერი 40 სმ-მდე აღწევს; კედელი კი არ ებმოდა ნაშვერს, იგი თითქოს მიდგმული ყოფილა მასზე; ანალოგიური მდგომარეობა(?) გვაქვს დასავლეთ კუთხეში; პროფილირებული კონსოლი მთავარი შესასვლელის თავზე, — თუმცა, უნდა ითქვას, მისი წინა მხარე ჩამოტეხილია).

ვანათის ძეგლის მშენებლობაზე გამოყენებული სამშენებლო მასალის ორი ტიპი ქვემო ბოლნისშიც გვხვდება. მაგრამ აქ განსხვავებულია მათი მოხმარების წესი. ქვემო ბოლნისში, ასე ვთქვათ, ფუნქციათითოეული მათგანისა სხვადასხვაა, მაშინ როცა ვანათში ასეთი სხვაობა არა გვაქვს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ვანათში კვადრების დასამზადებლად მოზიდული მასალა არ აღმოჩნდა საკმარისი. და როცა ეს, უკვე მშენებლობის პროცესში, გამოაშკარავდა, ძეგლის შიგა კედლების ზედა ნაწილები და შუანავის ჩრდილოფასადის ნაწილი წვრილი ბლოკებით დაასრულეს; ხოლო დამზადებული დიდი კვადრები სხვა ფასადებისთვის მოიტოვეს. ასეთი აზრი შეგვექმნა ქვემო ბოლნისში მასალის ორი ტიპის სხვაგვარი მოხმარების გამო. აქ დიდი კვადრები ნაკლებადაა გამოყენებული — მხოლოდ აღმოსავლეთი ფასადისათვის და გამოყოფილი არქიტექტონიკური ადგილებისათვის (ღიობი, ბალავარი, კუთხეები). მთელი შენობა კი აგებულია წვრილი ბლოკებისგან, რომელიც ისეთივე (ბოლნისის სიონის მსგავსად) მომწვანო-მოცისფრო ტონისაა, როგორიცაა დიდი კვადრები. თუმცა აქა-იქ გვხვდება ცალკეული ქვები აგრეთვე მუქი-წითელი და ყვითელი ფერისა, როგორც ამ ორ უძველეს სამეკლესიან ბაზილიკაში, ისე წოფის ორთავე დარბაზულ ეკლესიაში[8] და, როგორც ჩანს, ციხისძირის ბაზილიკაში, რომელიც ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ იქნა გათხრილი, დიდი სწორი ფორმის კარგად გათლილი კვადრები გამოყენებულია ფასადებზე, წვრილი ბლოკები კი — შენობის შიგნით.

---

7 თხრის პროცესში წავაწყდით რაღაც ოთხსაფეხურიან ნაგებობას, რომელიც სამხრეთის მსრით ეკრის ძეგლს; ეს ნაგებობა ბოლომდე არ იქნა გათხრილი, კიბის მხრიდანაც კი.

8 პირველად გათხარა ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ (იხ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 89—90).

სხვა მიდგომაა ვანათში: აქ წვრილი ბლოკების მასალა თავისი თეთრი ფერით მკვეთრად გამოირჩევა ბოლნური ტუფის ძარღვიანი კვადრების ძირითადი ყვითელი ფერისაგან და ცალკეული კვადრების სხვა ფერებისაგან. საინტერესოა, რომ მხოლოდ შუა ეკლესიის ჩრდილოეთი ფასადის წყობაა რიგიანად შენახული — დუღაბი არა მარტო ნაკერებს, არამედ ბლოკებშორის დარჩენილ ღრმულებსაც ავსებს და, ამდენად, იგი ერთიან სწორ ზედაპირს ქმნის. შუა ეკლესიის შიგნით კი მთელი დუღაბი წვრილ ბლოკებს შორის. ნაკერებში, მთლად გამოფიტულია, როგორც ჩანს, კამარის ჩამოქცევის შემდეგ, სამხრეთიდან მონაბერი ქარების ზემოქმედების გამო. დუღაბის ჯერ შენიშნული განსხვავება, სახელდობრ შუა ეკლესიის შიგნით წვრილ ბლოკებშორის ნაკერების სიღრმეში თანაბარი თეთრი დუღაბი, და მოზრდილი ბლოკების ნაკერებს შორის კი — დუღაბი შავი კენჭების წერტილებით, მაინც არ გვაძლევს უფლებას, ორი სხვადასხვა სამშენებლო პერიოდი გამოვყოთ აქ, რადგანაც დაწვრილებითმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ იგივე შავწერტილებიანი თეთრი თხელი დუღაბი გამოუყენებელია ჩრდილოეთი ფასადის გამოუფიტავ ნაკერებში, ისევე როგორც შუანავის შიგნით, დიდ ბლოკსა და წვრილი ბლოკების პირველ რიგს შორის; გლუვი თანაბარი დუღაბი კი შეინარჩუნება სხვადასხვა ადგილას დიდი კვადრების ბუდეებშიც. ამგვარად, ტექნიკური მხარეც გვიდასტურებს იმას, რომ შენობა ერთდროულადაა აღმართული ორი სხვადასხვა ჯიშის მასალისგან.

ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკის პირველი პუბლიკაციისას მე აღვნიშნე, რომ ეს ძეგლი ძალზე ადრეული ხანისაა, რომ იგი მიეკუთვნება კავკასიაში ქრისტიანული სელოვნების განვითარების ადრეულ ეპოქას; ამაზე მეტყველებს კედლის წყობასა და წყობას შუა ჩაკვეთილი ღარები, განმტკიცთავი სვრელი სამხრეთიდან შუა ეკლესიაში შესასვლელ ორთავე კარის თავზე, სარკმელთა ნალისებური ფორმა და, განსაკუთრებით, ორთავე რელიეფი[9]. ყოველივე ამას ახლა შეიძლება დავუმატოთ: სამეკლესიანი ბაზილიკის გეგმის სიმარტივე — სამი ნავი თითქო უბრალოდ მიდგმულია ერთიერთმანეთთან; შენობას არა აქვს შესასვლელი დასავლეთიდან, ისე როგორც საერთოდ არა აქვს დამოუკიდებელი კარი არც შუა ეკლესიას და არც ჩრდილოეთისას; გვერდითი ეკლესიების აფსიდებს არ გააჩნია სარკმლები; დაბოლოს, შუა ეკლესიის ორი კარის განთავსებაც კი და, შესაძლოა, ნახევარწრედ გამოზიდული მთავარი აფსიდიც. ქვემო ბოლნისის რელიეფის სირიული პარალელი ზებედის აღმოსავლური ეკლესიიდან, დათარიღებული V ს-ით, ჩემთვის მთელი ძეგლის თარიღის განმსაზღვრელიც იყო. ასე განვსაზღვრე ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკის თარიღი 20 წლის შემდეგაც. ქართული ხელოვნების ისტორიის წიგნში, თუმცა ზოგი რამ საეჭვოდ მეჩვენებოდა[10].

ზებედის ძლიერ შელახული სირიული პარალელი წარმოადგენს ორი ანგელოზის მიერ მედალიონის ამაღლებას; მედალიონში გამოსახულია ტახტზე

---

[9] Церковь близ селения Болнис-Каплакчи. „Христианский Восток", т., V, вып. 3 Птг, 1917. 217—240 და ტაბ. XLVII—XLVIII.

[10] ქართული ხელოვნების ისტორია, ტომი I, თბ., 1936, გვ. 66—68 და სურ. 53—56. ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკის პირველი გაცნობიდან გასული 45 წლის მანძილზე და მისი გაწმენდის შემდგომი უკანასკნელი 25 წლის განმავლობაშიც კი დაიკარგა ტიმპანის კომპოზიცია მთავარი შესასვლელის თავზე, აგრეთვე ეკლესიის შიგნით დასავლეთ კედელში ჩატანებული სეეტის ფრაგმენტი, პოსტამენტზე შემდგარი ჯვრების გამოსახულებებით, და მოხუცურთმებელი ფრაგმენტი დასავლეთი ფასადიდან.

მჯდომი ღვთისმშობელი ჩვილით. ეს რელიეფი გამოირჩევა ამ თემის ამსახველ სხვა უამრავ ძეგლთაგან იმით, რომ მთელი ბალავარი გაყოფილია მარგალიტების ჰორიზონტალური ზოლით, რომელიც მედალიონის ქვედა მესამედს აკრავს. მედალიონსაც გარშემო ასეთივე მარგალიტების ძეწკვი შემოუყვება, მის ქვემოთ კი ამოკვეთილია ყურძნის ლერწი მტევნებით. ე. ი. აქ მოცემულია რაღაც იმგვარი გამყოფი ზოლი, როგორიც ქვემო ბოლნისის ამაღლების კომპოზიციაში გვაქვს. ამას გარდა. შესაძლებელია, რომ ანგელოზთა ფიგურების ქვედა მონაკვეთები აქაც ისევე იყო დაფარული ბუმბულით, ფრთების მსგავსად, როგორც ეს ქვემო ბოლნისის რელიეფზეა. ზებედის ეს დაბალი რელიეფით შესრულებული კომპოზიცია იმდენად ცუდადაა შენახული, რომ ფოტოსურათს გარდა, საჭირო იყო მისი ნახატის გამოქვეყნებაც. მაგრამ იგი ფიგურათა მხოლოდ კონტურს გადმოგვცემს გრძივი ხაზებით. ქვემოთ კი არაა ნაჩვენები არც ფესვი, არც ტერფები, არც სამოსის კალთის ხაზები. არაა მოცემული არავითარი შიდა ნახატი. ტექსტშიც ლაპარაკია მხოლოდ კომპოზიციური ელემენტების შესახებ და არაფერია ნათქვამი დამუშავების დეტალებზე, როგორცა ჩანს. ძეგლის ასეთი ცუდი შენახულობის გამო[11]. ეს რელიეფი ძველი თეთრი-წყაროს (ასლანდელი აიაზმა) და ეძანის (ახლანდელი წალკა) ეკლესიების ამავე სიუჟეტის ამსახველ რელიეფებთან ერთად რელიეფთა ერთ გარკვეულ ჯგუფს წარმოადგენს[12].

ბოლნისის სიონის გარშემო ჩატარებული გათხრის შემდეგ, რამაც ასეთი მნიშვნელოვანი. საინტერესო და უხვი მასალა მოგვცა ძეგლის გაგებისა და მისი ისტორიისათვის. ვზრუნავდი ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკის გაწმენდა-გასუფთავებაზე; ვფიქრობდი, რომ ეს მოგვცემდა მასალას ძეგლის ხუროთმოძღვრული ფორმების აღსადგენად. და მართლაც, შენობის შიგნით და მის გარშემო 1938 და 1939 წწ. ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა გამოაელინა არა მარტო ხუროთმოძღვრული დეტალები, როგორიცაა კვადრატული ვლუვი კაპიტელი კუთხეებში შროშანის ყვავილებითა და შუაში მრგვალი სვეტის ჩასამაგრებელი ფუძით, არამედ მემორიალური ხასიათის მოჩუქურთმებული ძეგლების მრავალი ფრაგმენტიც[13]. ამრიგად, ბაზილიკის სამხრეთი ფასადის თაღედით აღდგენა, რაც პარალელური მასალით იყო ნაკარნახევი, — ჭასური წმ. გიორგი საგურამოს მახლობლად, კონდამიანი კისისხევის ხეობაში, რუისპირი. საბუე, ზეგანი, ნეკრესი, დოდოთი, აგრეთვე ოლთისი და თეთრი-წყარო თრიალეთში და სხვ. — ახლა უცილობელი გახდა. არავითარი ეჭვი არაა, რომ თაღედი ორთაღოვანი მაინც იყო, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ იგი სამ თაღს მოიცავდა; მათგან კიდურა დასაელეთი თაღის კიდე შუა ეკლესიის მოშცრო შესასვლელის პირდაპირ უნდა ყოფილიყო.

---

[11] H. C. Butler, Architecture and other arts. New-York. 1903, გვ. 308—309, სურ. და ფოტო. ნახატი გამეორებულია H. C. Butler-ის იმ გამოცემაშიც. რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა — Early churches in Syria. Edited and completed by E. Baldwin Smith (Princeton Monographs in Art and Archaeology), 1929, გვ. 78 და 245, სურ. 284; აღწერა შევსებულია, მაგრამ ფიგურათა დრაპირების შესახებ არაფერია თქმული.

[12] Нико Чубинашвили и Рене Шмерлинг, Храмы в древних селениях Триалети—Олтиси и Тетри-Цкаро (Ars Georgica. 2, თბილისი, 1946).

[13] აქვე აღვნიშნავ აგრეთვე კანკელის ფრაგმენტები — გუდარების კანკელის ტიპისა ე. ი. მოწიფულ შუა საუკუნეებში აქ რაღაც შეეთებაა საეარაუდებელი.

შროშანის ყვავილები სავარაუდო კაპიტელის კუთხეებში საშუალებას იძლევა მოვძებნოთ პარალელები, როგორც თვით იმპოსტის ტრაპეციდური ფორმის მხრივ, ისე ამ დეკორატიული მოტივის მხრივაც. ასეთი ფორმის იმპოსტებს მიაკუთვნებენ V და VI საუკუნეებს. შროშანის ამგვარი მოტივი კი, ჩვენ ვიცით სახესხვაობით, ვეხვდება ალექსანდრიაში (პენტაპოლისი, ეგვიპტეში) გათხრილი V ს-ის პირველი ნახევრის ეკლესიის კაპიტელზე[14], აგრეთვე VI ს-ის კაპიტელზე რავენის წმ. ვიტალის ეკლესიაში, კაიროს მუზეუმის ერთ-ერთ კაპიტელზე[15] და სხვ.[16].

რაც შეეხება ვანათის სამეკლესიანი ბაზილიკის დათარიღებას, ისეთი ნიშანდობლივი ელემენტები, როგორიც ქვემო ბოლნისში გვაქვს, მას არ გააჩნია. მაგრამ გეგმისა და ზომების, პროპორციებისა და სამშენებლო მასალის სრული ანალოგია იმაზე მეტყველებს, რომ ვანათის ძეგლს ვერ დავაცილებთ ქრონოლოგიურად ქვემო ბოლნისს; განსაკუთრებით იმ თავისებურების გამო, როგორიცაა შენობაში ერთადერთი შესასვლელის არსებობა, მხოლოდ სამხრეთ ეკლესიიდან (სხვა კარი უშუალოდ გარედან მას არა აქვს). ასეა ეს რუისპირში, კატაულაში, კავთისხევის მახლობლად, და სხვა უძველეს ძეგლებში. გამოირჩევა ვანათი თავისი საკურთხევლის ხუთწახნაგა შვერილი აფსიდით. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ირკვევა, თავიდან განსრახული იყო მთელი ძეგლის ერთი მასალისაგან — მოზრდილი, კარგად გათლილი კვადრებისგან — აგება. თუ ეს უკანასკნელი მომენტი ნაგებობის დიდ სიძველეს მოწმობს, როგორც ბოლნისის სიონში, ურბნისში, ხაშმში და მათ მსგავსს სხვა ძეგლებში, პირველი მომენტიც — შვერილი აფსიდი, უნდა ვიფიქროთ, ვერ დააშორებს ჩვენ ძეგლს V—VI საუკუნეებს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისეთი ანალოგიები, როგორიცაა აკად. ნ. ბერძენიშვილის მითითებით ისტორიის ინსტიტუტის მიერ გათხრილი სამნავიანი ბაზილიკები ვაშნარში, ბიჭვინთასა და ციხისძირში, ანდა დარბაზული ეკლესიები აკაურთაში, წოფში, ანდა კიდევ გუმბათურ ეკლესიად გადაკეთებული სამეკლესიანი ბაზილიკა ნოქალაქევში (არქეოპოლისი).


ამგვარად, ვანათის სამეკლესიანი ბაზილიკა მეტად მნიშვნელოვანი დადასტურებაა სამეკლესიანი ბაზილიკების გეგმარების იმ ადრეული ეტაპისა, რომლის სანიმუშო მაგალითი დღემდე მხოლოდ ერთი ქვემო ბოლნისი იყო; ამ უკანასკნელთან უახლოესი სამეკლესიანი ბაზილიკები კი — ქასური გიორგი საგურამოსთან, ანდა თევდორე რუისპირში — საეკლესიო ორგანიზმის ამ ტიპის დამუშავების უკვე შემდგომ საფეხურს წარმოგვიდგენენ.

---


[14] J. Ward Perkins, Christian antiquities of the Cyrenaican Pentapolis (Bulletin de la Société d'archéologie copte. Tome IX. Le Caire 1944), p. 127—131.

[15] O. M. Dalton. Byzantine Art and Archaeology. 1911, fig. 67, 68, pp. 114, 115.

[16] Ward Perkins-ი აღნიშნავს, რომ ეს ფორმა საკმაოდ გავრცელებულია და აქვე მოაქვს მაგალითები აბუ მინას გათხრებიდან ალექსანდრიის მახლობლად. და S. Appolinare in Classe ეკლესიაში. შდრ. C. M. Kaufmann, Handbuch der christlichen Archaeologie, 2/922, 1 1922 Abb. 223, და 258, 6—გვერდებზე 465 და 513.




ტაბ. 1. a. ნანგრევის ხედი დასავლეთიდან. b. ნანგრევის ხედი აღმოსავლეთიდან. c. ნანგრევის ხედი ჩრდილოეთიდან. d. ნანგრევის ნაწილი სამხრეთიდან. e. აფსიდის გარე მოპირკეთება




ტაბ. 2. აფსიდის შიგნითა ხედი

ფოტო ნუგზარ ანდღულაძისა



ტაბ. 3. აფსიდის სამხრეთის ნაწილი შიგნით ნალისებური ფორმით
ფოტო რუსუდან მეფისაშვილისა









ტაბ. 4. a. მთავარი ეკლესია. სედი შიგნით, დასავლეთისაკენ. b. მთავარი ეკლესია. ჩრდილოეთის კედლის ნაწილი აფსიდასთან. c. მთავარი ეკლესია. დასავლეთის კარის ბალავარი, d. ჩრდილო ეკლესია. სამხრეთის კედლის წყობა პატარა ბლოკებით

არნოლდ ჩიქობავა

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები ძველი ქართულის ძეგლთა მიხედვით[1]

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებზე მსჯელობისას ჩვენთვის ამოსავალია შემდეგი ზოგადი დებულებები:

ენა, როგორც ნიშანთა სისტემა, ინდივიდებს აზროვნების იარაღად არგიათ სწორედ იმიტომ, რომ იგი არის ურთიერთობის საშუალება კოლექტივისათვის.

ენა როგორც ურთიერთობის საშუალება, კოლექტივისეულია — შექმნითაც, გამოყენებითაც, ე. ი. საზოგადოებრივი მოვლენაა თავის არსებით.

ენა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, შეიძლება იქნეს გაგებულ-განმარტებული სალხის ისტორიასთან, კერძოდ, კულტურის ისტორიასთან კავშირში და ამ ისტორიის ფონზე.

კანონზომიერებანი სტატიკაში განხილული ენისა ისტორიულ კანონზომიერებათა გათვალისწინებას საჭიროებენ გარკვეულ ფარგლებს იქეთ.

ისტორიული დიალექტოლოგია ენის ისტორიის ორგანული ნაწილია და ისტორიის დახმარებას საჭიროებს. თავის მხრივ ისტორიულ დიალექტოლოგიას შეუძლია დახმარება გაუწიოს ისტორიას, კერძოდ, ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხთა კვლევისას.

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებს ავლენენ ძველი ქართული ტექსტები.

ძველი ქართული ძეგლების ენა — მისი მორფოლოგიური და სინტაქსური მოდელები, ლექსიკური შედგენილობაც ძირითად ნაწილში — ჩამოყალიბებულ ნორმებს მისდევს, გარკვეულ კანონზომიერებებს ამჟღავნებს. ძნელია იმის თქმა, თუ რა როლს და—განვითარების რა პერიოდში—ასრულებდა ნორმათა მიზან-ცნობიერი გამოყენება. ის კი უდაოა, რომ ხანგრძლივი ტრადიციის არსებობას ემყარება ის, რაც ძველი ქართულის ძეგლებში გვაქვს.

ძველ ქართულზე მოდის ექვსსაუკუნოვანი მონაკვეთი (V—XI სს.). ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, სალიტერატურო ენა უცვლელი ვერ იქნებოდა: იცვლებოდა ცოცხალი ზეპირი ქართული მეტყველება, და ამას არ შეეძლო კვალი არ დაეტოვებინა სამწერლო ენაში.

და მაინც ქართული სალიტერატურო ენისათვის ცვლის ნელი ტემპია დამახასიათებელი: ახალი ქართული გაცილებით უფრო ახლოს არის ძველ ქართულთან, ვინემ, ვთქვათ, ახალი სომხური ძველ სომხურთან.

ამ მოვლენის ახსნისას გასათვალისწინებელია ორი გარემოება: ა. ქართული ენის პრეფიქსულ-სუფიქსური წყობა და შესაბამისად სიტყვის თავკიდუ-

[1] წაკითხულია მოხსენებად ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიაზე 1963 წ. 11 მაისს.

რი და ბოლოკიდური ნაწილების ფუნქციური დატვირთულობა (რამდენადაც ვიცით, პირველად ამ გარემოებას, როგორც ნელი ცვლის შესაძლო მიზეზს, პროფ. გ. ახვლედიანმა მიაქცია ყურადღება); ბ. ის ფაქტი, რომ ქართული სალიტერატურო ენის საყრდენი დიალექტი არ შეცვლილა: ქართლის მეტყველება იყო და არის ქართული სამწერლო ენის საყრდენი დიალექტი; პოლიტიკურსა და კულტურულ ცენტრებს არა ერთხელ გადაუნაცვლებია (მცხეთა—კლარჯეთი—თბილისი). მაგრამ ქართლის მიწა-წყლის ფარგლებს ეს საყრდენი არ გასცილებია.

ნორმათა ჩამოყალიბებულობისა და ცვლის ნელი ტემპის პირობებში ძველი ქართული სალიტერატურო ენა ექვსი საუკუნის მანძილზე, როგორც ითქვა, სავსებით ერთგვარი ვერ იქნებოდა.

სხვაობა შესამჩნევია ენის ყველა რგოლში: ლექსიკაში, ფონეტიკასა თუ მორფოლოგიაში, სინტაქსში (თუმცა რყევა სინტაქსში აქ მინიმალურია). ეს სხვაობა საგრძნობია სხვადასხვა ძეგლის გაცნობისას, მაგრამ განსაკუთრებით თვალში გვეცემა ისეთი ძეგლების ენაში, რომელთა სხვადასხვა რედაქციული ვარიანტებია ცნობილი: „ოთხთავი", „საქმე მოციქულთა", „გამოცხადება".

დავკმაყოფილდებით თითო-ოროლა ნიმუშის მოხსენიებით.

ფონეტიკაში: მოჰკუეთა—მოჰაკუეთა... უნებს — ჰნებავს... ხიყავ — ჰიყავ — იყავ... სათხეველითა — სათხევლითა... — სადიდებელად სადიდებლად... ჰქონან — ჰაქუნან... ძალითა — ძლით (ვაჲ მისა რ ლ ი ს ა ძ ლ ი თ მოვიდეს... ლკ 17_1) —ძლივ...

მორფოლოგიაში: ადიდებ-ს—ადიდებ-ნ... მომიტევე—ჩ ნ მოგჳტევე ჩ ნ... ადიდებენ — ადიდებედ... არს — არნ... ხედავ-ს —ხედავნ... ხედევდ — სედვიდ: (შდრ. ხედევდინ-ევ-სუფიქსით მესამე პირში — ბრძანებითი!)... ადგენს — აჩენს... აწუევ-ს... არღუევ-ს, რღუნ-ი-ს).,,

სინტაქსში: აიძულეს მას და ჰრქუეს... ლკ 24_{20} (ახლა ვიტყვით: აიძულეს ის...).

ცნობილია ლექსიკური წყვილები:

ძე და შვილ-ი...

ხე და ძელ-ი

მჭარ-ი და ბეჭ-ი

სამხარ-ი და ბღუარ-ი „სამხრეთი"...

საფლავ-ი და სამარე-...

მონადირე- და მესათხევლე-

მუნჭუესვე და მეყსა შინა...

შფოთი იქმნეს ერისაჲ... მკ 14_2 ДЕ — ამპოხებაჲ იყოს ეროსა მკ 14_2C.

შეწუხებულ-ი და შეჯუენებულ-ი... მთ 26_{38}

ჰამებულ-ი და მსუქან-ი...

განრღუეულ-ი და დაჯსინილ-ი...

იცის და უწყის

ჰზაძთ და იქმთ: რასა ზჩენ მკ 2_{24} ДЕ — რას იქმან მკ 2_{24}.

აღვიდა მთასა და აღკდა მთად... მთ 5_1... დაჰვიდოდა მზე და დაჰკდა მზე მკ 1_{32}... განვედ — განკედ მკ 5_8.

მომხედა ჩ ნ აღმოსავალმან მაღლით ლკ 1_{78}—მოგუძინნეს ჩ ნ ჳზეჵან აღმომავალმან მაღლით... ლკ 1_{78} (შდრ. მეგრ. უ-ჯინუ „უყურა").

მ ა ნ გ ა ლ ი და მ ღ უ ლ ი: მეყსეულად მოავლინის მანგალი მკ 4_{29} ДЕ — მუნქუესე მიავლინის მღული მკ 4_{29}.

პ ა ს ე ქ ი და ზ ა ტ ი კ ი: იყო მახლობელ პასექი... და მახლობელ-იყო ზატიკი... ინ 11_{55}.

ყ ი დ დ ე ს და ფ რ დ ი დ ე ს ზრონხასა ინ 2_{14}

კ ე თ რ ო ვ ა ნ ი და გ ა ნ ბ ო კ ლ ე ბ უ ლ ი 8_2.

ს ა ხ ლ ი ს ა უ ფ ა ლ ი მთ 10_{25} ДЕ და მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი მთ 10_{25}C.

სხვაობა ზოჯერ ძველს მწერლობაშივე იქცევდა ყურადღებას. გიორგი ძთაწმიდელის XI ს. ტერმინი „ხანმეტი" ხიყავ, ხიტყჳ, ხეძიებ. ხუყუარს... რიგის ფაქტების აღსანიშნავად აქვს ნახმარი, როგორც ეს გარკვეული აქვს ა. შანიძეს: ხიტყჳ, ხიყავ... უჩვეულოდ ეჩვენათ უკვე XI ს-ში.

ზოგჯერ ლექსიკური ფაქტიც გამწვდარა რეფლექსის საგანი: იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ერთ ქადაგებაში („ოთხთავის" გარკვეული ადგილის განმარტებისას) ასეთ რიტორიკულ კითხვას სვამს ავტორი: „რაჲმე არს ს ა ზ უ ე რ ჲ ი ჲ ი ანუ რაჲმე არს მ ე ზ უ ე რ ჲ ი? და უპასუხებს: „მეზუერჲ იგი არს მ ე ბ ა ყ ჲ, ს ა ზ უ ე რ ჲ ი ჲ ი არს ადგილი, სადა იგი ბ ა ყ ს ა უყოფედ („ქადაგებანი", მოსე ჯანაშვილის გამოც., 1911, გვ. 9_{28-32}).

ცხადია, ბოლნელ ეპისკოპოსის აუდიტორიას არ გაეგებოდა. რასაც ნიშნავდა „ზუერ-ი", „მე-ზუერ-ე", ხოლო „მებაჟე", „ბაჟის" მნიშვნელობა მისთვის ცნობილი ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ განმარტებას აზრი არ ექნებოდა. (ამ ტერმინებს ქვემოთ დავუბრუნდებით).

ყოველი სხვაობა, რაც ტექსტებში გეხვდება, და რაც ნიმუშების სახით დავიმოწმეთ, თანაბარი ღირებულებისა როდია ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით. ვ ე რ ვ ი ტ ყ ვ ი თ: რ ა კ ი ს ი ნ ო ნ ი მ ე ბ ა დ გ ა მ ო უ ყ ე ნ ე ბ ი ა თ ო რ ი ს ი ტ ყ ვ ა, ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა დ ი ა ლ ე ქ ტ ი ს შ ე მ ო ნ ა ტ ა ნ ი ა თ.

შესაძლოა, ერთ-ერთი მათგანი უცხო ენიდან იყოს ნასესხები: ასე, მაგალითად, „მებაჟე" და „ბაჟი", რაც X ს-შიც სცოდნიათ ბოლნისის მკვიდრთ (და რითაც შეუცვლიათ „ზუერი", „მეზუერე"). სპარსული სიტყვაა (ბაჟ). „ზუერ" — „მეზუერე" კი ჩვენი სინამდვილისა უნდა იყოს: მგრ. ზირ-უნს „კრეფს", „აგროვებს" გადასახადს: „ოგაფულიშ მაზირალი" -გადასახადის მკრეფი" (ზედმიწევნით: „მისაგებლის შემგროვებელი"...). „ზუერ"-ფუძე ფონეტიკური ალნაგობითაც ქართულ-ქართველური ჩანს: მეგრულად („ზანურად") სანეცელილი ქართულია, მაშასადამე, მეორეული.

ზუერ — მეზუერე, ქართული ფუძის, ადგილი მაინცდამაინც X ს-ში უკვე სპერია სპარსულ ბაჟ, მ ე ბ ა ჟ ე ს. მონაცვლე წყვილი ზ უ ე რ—ბაჟ ძვ. ქართული ლ ე ქ ს ი კ ი ს ი ს ტ ო რ ი ი ს თვალსაზრისით საინტერესოა, მაგრამ ი ს ტ ო რ ი უ ლ დ ი ა ლ ე ქ ტ ო ლ ო გ ი ა ს ა რ ა ფ ე რ ს ა ძ ლ ე ვ ს.

ეგევე ითქმის მ ა ნ გ ა ლ—მ ღ უ ლ-ის შესახებ: მანგალ (—ნამგალი, მეგრ. მაგანა) არაბულია, მ ღ უ ლ ი ქართული შესატყვისია „მანგალ-ისა". როგორც ამას უჩვენებს ი. ომნაიშვილის „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი" (შდრ. მეგრ. ღულა „მრუდე"); „მღული" ხევსურულში დღემდე ცოცხალი სიტყვაა; არაბულმა სიტყვამ („მანგალი") დაიმკვიდრა სალიტერატურო ქართულში ის ადგილი, რაც ქართულს („მღული") ეჭირა.

ისეთ წყვილში კი როგორიცაა: პ ა ს ე ქ ი (იყო მახლობელ პასექი ინ 11_{55} ДЕ) და ზ ა ტ ი კ ი (...და მახლობელ იყო ზატიკი ინ 11_{55}C) ორივე უცხო ენე-

ბიდან შეთვისებული სიტყვა შემოგვრჩა: ბერძნულის გზით შემოსული ებრაული „პასექი“ და სომხური „ზატიკი“.

* * *

პირველი ამოცანა, რაც ისტორიული დიალექტოლოგიის წინაშე დგას, ესაა — დიალექტური ქართული მასალის გამოყენება მართლ სინონიმებში.

წყვილის კომპონენტები შესაძლოა ფუნქციურად განსხვავებული ჩანდეს ანდა მონაცვლეობა ფონეტიკით აიხსნას:

მომეც ჩ-ნ და მოგუეც ჩ-ნ — ექსკლუზივ-ინკლუზივად მიაჩნიათ სპეციალისტებს (ა. შანიძე, ვ. თოფურია). თუ ასე იქნებოდა, ეს წყვილი უნდა გამოგვერიცხა საანალიზო ობიექტიდან. -ნი (კაცნი) და ებ (ყრმებ-ი) ფაქტობრივად განსხვავებულია, უკეთ, სხვადასხვა ჯგუფის სახელთა მრავლობითს აწარმოებსო (კ. დონდუა)...

ვხედევდ, ხედევდ, — ხედვიდა: ვ-იდ III პ., ევ-დ I, II ფონეტიკური მონაცვლეობააო (გ. დეეტერსი). ბრძანებითის III პ. ხედევდინ ცხადყოფს, რომ ევ-იანი ვარიანტი სამსავე პირში გასდევდა (შესაბამისი ვ-ი-ანიც — ხედვიდა — აგრეთვე სამსავე პირში უნდა გვქონოდა)...

ისტორიული დიალექტოლოგია მიზნად ისახავს ნამდვილ სინონიმებში მოცემული ქართული ერთეულები განეკუთვნოს ამა თუ იმ დიალექტს, რომლის არსებობაც VI—XI სს-ში სავარაუდებელია და საამისოდ თანამედროვე დიალექტოლოგიის ჩვენებაც გამოიყენოს.

ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებს შეხებია არა ერთი ავტორი (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ვ. თოფურია, ჰ. ფოხტი, გ. როგავა, შ. ძიძიგური, თ. გონიაშვილი...).

დიალექტიზმების საკითხს ძველ სალიტერატურო ქართულ ენაში დიდი ადგილი ეთმობა ნ. მარის შრომებში, მეტადრე ადრეული ხანისა. ორი პროცესიდან — დივერგენცია-კონვერგენცია (ანუ: დიფერენციაცია-ინტეგრაცია). ნ. მარი იმ თავითვე გახაზავდა კონვერგენციის (ინტეგრაციის) ხვედრ წონას; ეს ნათლად ჩანს იაფეტურ ენათა კლასიფიკაციაში, რომელიც 1910 წელს ეკუთვნის და „ჰანური ენის გრამატიკის“ წინასიტყვაობაშია მოცემული: იაფეტური იმ ხანად ქართველურ ენებს გულისხმობდა; ნ. მარისათვის აქ ოთხი ერთეული იყო თითქოს სავარაუდებელი: ქართული, ჰანური, მეგრული და სვანური; ნამდვილად კი ნ. მარი ოთხი ჯგუფის არსებობას ვარაუდობს (და რვა ენას გულისხმობს სამი ჯგუფის ამოსავალ ვითარებაში); ეს ჯგუფებია:

1. თუბალ-კაინური, 2. სონ-სომეხური, 3. ქაშდ-მოსოხური (4. გამოუცნობ ენათა ჯგუფი, არაქართველური).

პირველ ჯგუფში (თუბალ-კაინურში) შედის ენები: 1. ივერიული (მეგრული), 2. ჰანური (ლაზური), 3. (წინარე-არიული ჰაიური; მისი ნათესაობა იაფეტურთან უდაოა, სარკვეია მისი ადგილი იაფეტურ ენათა წრეშიო).

მეორე ჯგუფში (სონ-სომეხურში) შედის ენები: 5. სვახური, 6. წინარე-არიული არმენული (მასზე ივივე თქმის, რაც წინარე-არიულ ჰაიურზე).

მესამე ჯგუფში (ქაშდ-მოსოხურში), ივულისხმება: 7. ქართების ენა, 8 მესხური; იგი შეერწყო ქართულს.

მეოთხე ჯგუფს შეადგენს ისეთი ენები, რომლებიც ძველი საქართველოსა და ძველი წინარე-არიული სომხეთის ფარგლებს გარეთ მოიპოვებოდა და რომელთა ნათესაობას იაფეტურთას მეტ-ნაკლები საფუძველი აქვს; ასეთია, მაგალ., სუბური (ე. ი. ელამური) ლურსმულ წარწერებში[2]. ნ. მარი, როგორც ცნობილია, პირდაპირ უწოდებს ამა თუ იმ ფაქტს ქართულს, მესხურს, ივერიულს, სვანურს... საყრდენია: მასალის ფონეტიკური ტიპი: ქართული ენაა — სიბილანტური — სისინა („სული"), მეგრული და ჭანური სიბილანტური — შიშინა („შური"), სვანური — სპირანტულისა („ქვინ" „სული") და შიშინას ნარევი.

შედეგი: ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება მოცემულია, როგორც ამოსავალი; მას ემყარება დიალექტური კვალიფიკაცია.

ასეთ ვითარებაში სიმძიმის ცენტრი ისტორიულ ეთნოგრაფიაზე მოდის. და სიძნელეებიც აქ იწყება. რას წარმოადგენს მესხური? თანამედროვე ვითარების მიხედვით მესხური სამცხე-ს უკავშირდება. ხუნძებიც ძველ ლექსებში მესხები თუშებთან ერთად იხსენიებიან (თუშგუნგო მოსოქ-„თუშთან ერთად მოსოხი"), ე. ი. „მოსოქ" ხევსურს უდრის (თუშ-ხევსური). ამაზე ჯერ კიდევ უსლარმა მიუთითა.

ნ. მარის კონცეფციაში „მესხი"-ს გაგება ნიადაგ იცვლებოდა: მესხური ქართულს შეერწყოო, წერდა 1910 წ.; შემდეგ: მესხური — სვანურში დადასტურდა, მერე — აფხაზურში, დაბოლოს — ჩაჩნურში... ქართული ნ. მარისათვის ქართებისა და მესხების ენათა კონვერგენციის შედეგია, ქართული—სიბილანტური სისინაა; რაღა იყო ეს მესხური? სიბილანტური თუ სპირანტული?... ამაზე არაფერს ამბობს. უნდა კი ეთქვა: თუ სიბილანტური იყო, სხვა ენა არ ყოფილა; თუ სპირანტული, სადღაა მისი კვალი.

1908 წ. „ძირითად ტაბულებში" ნ. მარი ტრადიციულ ტერმინს „ივერიული" ხმარობს ქართულის სინონიმად. „ჭანური ენის გრამატიკაში" ნ. მარისათვის „ივერიული" აღარ არის „ქართულის" სინონიმი; ივერიული მეგრულის სინონიმია (ისევე, როგორც „ლაზური"—„ჭანურისა").

ხოლო „ქართების ენა" და მისი მიმართება „ივერიულთან" გაურკვეველი რჩება.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული შედგენილობის საკითხი, ცხადია, მხოლოდ ფონეტიკური ტიპის მიხედვით ვერ გადაწყდება. ნ. მარის ექსპერიმენტი ამას ნათელყოფს; ამ ექსპერიმენტის ბედი მით უფრო საგულისხმოა, რომ ნ. მარის სათანადო შრომები ეკუთვნის ისეთ ხანას, როცა ნ. მარის მძლავრი სინთეზური ნიჭი შედარებით ყველაზე პოზიტიურ შედეგს იძლეოდა.

ისტორიულ ეთნოგრაფიას მეტი დახმარება მოეთხოვება ისტორიული დიალექტოლოგიისაგან, ვინემ — პირუკუ.

ისტორიულ დიალექტოლოგიას სხვა გზა არა აქვს, თუ არ ვზა საკუთრივ ენობრივ ჩვენებათა ანალიზისა, სტრუქტურულად ერთიანის გამოცალკევებისა და გამოცალკევებულ რგოლთა ისე შეწყობისა, რომ დიალექტის ერთიანი სახე, მისი ძირითადი რგოლები გამოკვეთოს — საკუთრივ ენობრივი ნიშნების გათვალისწინებით. ამას გულისხმობს სტრუქტურული ელემენტების კოორდინაცია.

[2] Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка, СПб., 1910, გვ. XXIII.

უველაზე რთული აქ უკანასკნელი მომენტია: გამოცალკეევებულ რგოლთა კოორდინაცია და ამ გზით დიალექტურ ერთეულთა გამოყვეთა.

განვმარტავთ მაგალითზე სათანადო პროცესს.

ძვ. ქართულში გვაქვს ადგილის ჩვენებითი ზმნისართები: აქა-იქი (შდრ. საჷქაო—საიქიო)... ჩვენებითი ნაცვალსახელები: ესე—იგი.

ზმნისართში მეორდება ერთი და იგივე — ქ-ელემენტი (ქ←გ). ნაცვალსახელში მონაცვლეობენ ს- და გ ელემენტები: ესე, მაგრამ იგი: ძველი ქართულისათვის უცხოა ის (←ისი), ახალ ქართულში რომ ძირითადია სმარებულობის მხრივ. ამრიგად, ახალ ქართულში მივიღეთ: ერთგვარ ელემენტიანი: ეს(ე) — ის(ი); ძველ ქართულში კი ეს ნაცვალსახელები სხვადასხვა ელემენტიანია: ესე — იგი...

ძვ. ქართულის ესე და იგი სხვადასხვა დიალექტური წრისა უნდა ყოფილიყო: ს-ელემენტიანი და გ-ელემენტიანი დიალექტური წრე გაირჩევა ძვ. ქართულის მასაზრდოებელ კილოკავებში. ესე—ისი, ერთი მხრით, ეგე—იგი, მეორე მხრით, ფუნქციურად იდენტური, ოღონდ დიალექტურად განსხვავებული მონაცემები ჩანს.

ამჟამად ქართულ დიალექტებში გ-ელემენტიანი გურულ-აჭარული (აგი—იგი და მისი ფონეტიკურად გამარტივებული სახე: „აი“—„იი“); ს-ელემენტს უპერს მხარს (ესე—ისი) შუა და ზემო იმერული, ქართლური, კახური...

ძვ. ქართულში იხმარება ეგე-ც, მასთან არა როგორც ესე-ს ფუნქციური ეკვივალენტი. არამედ როგორც მეორე პირთა მყოფის აღმნიშვნელი: I. ესე—აქ (ჩემთან) მყოფი, II. ეგე—მანდ (შენთან) მყოფი, III. იგი—იქ (მასთან) მყოფი[3]. ეგე ძვ. ქართულში მართლაც მანდ მყოფის აღმნიშვნელი ჩანს ხშირად. მაგრამ ეგე-ს ასეთი გამოყენება მეორეული უნდა იყოს: ის მას შემდეგ უნდა დამკვიდრებულიყო, რაც სამსაფეხურიანმა ჩვენებითმა ნაცვალსახელმა გაიკაფა გზა სამწერლო ენაში (უმწერლო ქართველურ ენებს — ზანურს, სვანურს — ორსაფეხურიანი ჩვენება ახასიათებს: ეს—ის... მეგრ. თ-ე-ნა „ეს“ — თ-ი-ნა „ის“... სვ, ალა „ეს“ — ე-ჯა „ის“...). სამწერლო ენიდან უნდა დაწყებულიყო მესამე — შუა — საფეხურის გამოყოფა (შდრ. სამსაფეხურიანი ძვ. სომხურის ჩვენებითი ნაცვალსახელები **ხა ա, და դա, ნა նա,**—აძს **այս,** აძდ **այդ,** აძნ **այն,**—„ესე“, „ეგე“ „იგი“-ს ფარდი).

რომ „ეგე“ თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო „მანდ მყოფის“ მაჩვენებელი, ამას ძვ. ქართული ძეგლების ჩვენება გვიდასტურებს: ეგე შეიძლება იგი-საც შეენაცვლოს და ესე — ნაცვალსახელსაც:

ეგე — მანდ მყოფია: ესე-ს ბადლად ზის.

თქ<u>ჳ</u>ს ურთიერთს: არა განვხიოთ ესე, დ<u>ა</u> წილს ვიგდოთ ამას ზ<u>ა</u>... ი<u>ნ</u> 9$_{21}$ ДЕ... (შდრ. თ<u>ქ</u>ს ურთიერთას არა განვაპოთ ეგე. ა<u>რ</u>დ წილ ვიგდოთ მაგას ზ<u>ა</u>... იქვე, С.

ჰ<u>ქ</u>ა მ<u>თ</u> რ<u>ა</u> საკჳრველ ესე არს ი<u>ნ</u> 9$_{30}$ ДЕ... შდრ. ჰ<u>ქ</u>ა ეგევე საკჳრველ არს... იქვე, С.

---

3 იხ. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება,—ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. I, 1950, § 17, გვ. 044—045.

ჰეშმარიტსა ⟨ეტ⟩ჳ თ⟨ქნ⟩... ხოლო მესმა ღ⟨თისაგან ესე აბრაჰამ არა ქმნა... ი⟨ნ⟩ 8_{40} ДЕ... შდრ. გეტყჳ რაჲ მესმა მამისაგან ჩემისა ეგე აბრაამმან არა ქმნა... იქვე, С.

ჰ⟨ქა მ⟨თ ესე დაგაბრკოლებს თქუენა ი⟨ნ⟩ 6_{61} ДЕ... შდრ. ჰ⟨ქა ეგე — დაგაბრკოლებს თ⟨ქნ⟩... იქვე С.

გუესმა მისგან და უწყით რ⟨ესე არს ჰეშმარიტად მაცხოვარი ს⟨ფლისაჲ... ი⟨ნ⟩ 4_{42} ДЕ... შდრ. და უწყით რ⟨ ეგე არს ჰეშმარიტად მჴსნელი სფლისაჲ... იქვე, С.

შ⟨ნ ხარ მოძღუარი იწ⟨ლისაჲ და ეგე არა იცია ი⟨ნ⟩ $3а_{10}$ ДЕ... შდრ. შ⟨ნ ხარ მოძღუარი იწ⟨ლისაჲ და ესე არა იცი... აქვე, С.

ჰ⟨ქა დაჴსენით ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვადგინო იგი. შდრ. ჰ⟨ქა დაარღჳთ ტაძარი ესე და მესამესა დღესა აღვჰმართო ეგე ი⟨ნ⟩ 2_{19}.

აღიღეთ ესე ა⟨მრ... ი⟨ნ⟩ 2_{16} ДЕ... შდრ. განიღეთ ეგე ა⟨მრ... ი⟨ნ⟩ 2_{16} С.

ესე—ეგე წყვილი დიალექტურ ნიადაგზეა წარმოქმნილი. ამოსავალში უნდა გვქონოდა ორსაფეხურიანი ორი წყვილი[4]. ეგე—იგი და ესე—ისი; ძვ. ქართულში მხოლოდ „იგი“ გვაქვს. საფიქრებელია, ესე შემდეგღა დამკვიდრდა ეგეს- ნაცვლად: ეგე-ს გამოყენებას ახალი არეალი ეძებნება ახ. ქართულში „ის“ გაბატონდა (სინონიმური „იგი“-ს ხმარებას ახლა სტილისტიკური ნიუანსი განსაზღვრავს: იგი უფრო თავისთავადი ნაცვალსახელია).

ამრიგად, დიალექტური ფაქტი სივრცეში (გეოგრაფიულად) სხვაობს პირველ ყოვლისა, მაგრამ იგი დროში ცვლას (ისტორიულ შემდგომადღობას) არ გამორიცხავს.

ვთქვათ, ჩვენი ვარაუდები ესე—ეგე—იგი ნაცვალსახელთა შესახებ სინამდვილეს შეეფერება. ეს იქნება პირველი საფეხური: დიალექტური შრეები გამოიყო.

შემდგომი ამოცანაა ძვ. ქართულში იმ ფაქტების გამოყოფა (ძორფოლოგიასა და ფონეტიკაში), რომელნიც -ს- ელემენტიანი იქნებოდა, ერთი მხრივ, და ისეთებისა, რომელნიც -გ- ელემენტს უკავშირდება. ნაცვალსახელი ესე—ისი-ს -ს- ნაცვალსახელურ ელემენტს — ზმნაში დაუკავშირდებოდა მესამე პირის სუბიექტის -ს: არ-ს, ჰყოფ-ს, დგები-ს, ს-ძულ-ს, უყუარ-ს.

შეიძლება თუ არა, ანალოგიით დავასკვნათ: გ-ელემენტიან წრეს განეკუთვნება სუბიექტის მესამე პირის -ნ: არ-ნ, დგები-ნ, ს-ძულ-ნ, უყუარ-ნ...

ამას ვერ ვიტყვით: ქრონოლოგიურად ესენი ერთ სიბრტყეზე დგანან. მასალობრივ — სხვაობენ... და მერე, რაც მთავარია: შეიძლება ერთი დიალექტური დანალექი მთელს მორფოლოგიას თუ არ გამსჭვალავს, ძირითად ფაქტებში მაინც იგრძნობოდეს, მეორის ინფილტრატი კი მკრთალი იყოს...

-ეს||-ედ ზმნის სუფიქსი სტრუქტურულ კოორდინაციაში ვერ იქნება -ებ სუფიქსთან ზმნაში, სამაგიეროდ შინაგან კავშირში იქნება -(ე)ნ||-თ (←ეთ←ედ) სუფიქსიან მრავლობითთან: კაცნი იგი ვლენ-ან (ვლენ-ედ)...

---

[4] ესე—ეგე-ს ურთიერთობის შესახებ იხ. იე. იმნაიშვილი: „ნაწევარი ძველ ქართულში“ — თუშ. 61, (1955). გვ. 56.

ასევე -ევ-სუფიქსი ზმნებში (არღუ-ევ-ს...) და ნაწარმოებ სახელებში (ს ა დ ა რ ბ ა ზ-ევ-ი) ერთი ფენის გამოვლენად უნდა მიეიჩნიოთ, როგორც სწორად ასკვნის აკ. შანიძე.

დიალექტურ დანალექთა გამოყოფა და დაჯგუფება-დაკავშირება სტრუქტურული ნიშნების მიხედვით და ამ გზით ძველი ქართულის დიალექტურ კომპონენტთა მიკვლევა—საკუთრივ ენათმეცნიერული კანონზომიერი მისწრაფება იქნებოდა ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხთან.

რუსუდან სარაძე, ალექსი რობაქიძე

სვანური „ლაპტყურ“-ის მნიშვნელობისათვის

სვანური საცხოვრებელი კომპლექსი სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი. მის ადრინდელ ფორმას ციხე-სახლი წარმოადგენს, ხოლო კოშკიანი (მურყვამიანი) სახლი ციხე-სახლის შემდგომი განვითარების პროცესში უნდა ჩამოყალიბებულიყო[1]. პირველი მათ შორის კავკასიის მთიანეთში ფართოდ არის გავრცელებული. მისი უახლოესი ანალოგებია საქართველოში თუშური[2], ხევსურული[3], მთიულური[4], მოხეური[5] და რაჭული[6] კოშკურა სახლები.

ანალოგიურ ნაგებობათა მშენებლობას ჩრდილოეთ კავკასიაშიც მისდევდნენ, საკუთრივ ოსეთსა (ირლანდია)[7], ჩაჩნეთ-ინგუშეთში (ღალღაი)[8] და სხვ.

საცხოვრებელი ნაგებობების მეორე სახეობა — მურყვამიანი სახლი — სვანეთისათვისაა დამახასიათებელი. სვანეთის გარდა სვანურ კოშკს ჩვენ ვხვდებით ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზე, სადაც მას ბებზე-ყალა, ე. ი. სვანთა-ციხე ეწოდება[9]. სვანური კოშკის ანალოგი ფიქსირებულია კავთურას ხეობაში, წინარეხთან, მაღალაანთ ეკლესიის კომპლექსში („მაღალაანთ კოშკი“). მისი მეორე სართული და განსაკუთრებით კოშკზე აგურით დაშენებული თაღიანი სათოფურები სვანურ კოშკთან სრული მსგავსების ილუზიას ქმნიან[10].

სვანური კოშკიანი კომპლექსი წარმოადგენს ქვითკირით ნაგებ ორსართულიან სახლს (ქ ო რ), კოშკით (მ უ რ ყ ვ ა მ), კალოთი (კ ა), ფარდულით (კ ა რ-

---

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა. ნაბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945, გვ. 24; შდრ. ე. ც ი ნ ც ა ძ ე. საცხოვრებელი სახლის ერთი ხასის დახასიათებისათვის საქართველოში, „ქართული ხელოვნება“, IV, თბ., 1955, გვ. 233; ე. დ ო ლ ი ძ ე, ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლი. „ქართული ხელოვნება“, V, თბ., 1959, გვ. 240.

[2] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, თუშეთი, თბ., 1938, გვ. 95; მ ი ს ი ვ ე, ნაბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, სურ. № 15 და 16.

[3] ა. ყ ა მ ა რ ა უ ლ ი, ხევსურეთი, თბ., 1932, გვ. 42; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ნაბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, სურ. № 17 და 18.

[4] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთიულეთი, თბ., 1930, გვ. 16—28.

[5] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, თბ., 1934, გვ. 139 და 140; ე. დ ო ლ ი ძ ე, ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლი, გვ. 240.

[6] Р. Л. Харадзе. Грузинская семейная община, II, Тб., 1961, таб. № 20.

[7] А. Х. Магометов. Культура и быт осетинского крестьянства, Орджоникидзе, 1963, გვ. 94.

[8] Народы Кавказа, I, Москва, 1960, გვ. 380.

[9] А. И. Робакидзе. Р. Л. Харадзе, К вопросу о свзнско-балкарских этнокультурных взаимоотношениях, „О происхождении балкарцев и карачаевцев“, Нальчик, 1960, გვ. 138; შდრ. ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, ტომ. XI, 1960, გვ. 105, ტაბ. XIX და XX.

[10] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, კავთურას ხეობა, თბ., 1960, გვ. 22—23, სურ. 3.

აან) და ზოგჯერ ხის დამხმარე ნაგებობებით (მეგმემქორ). სახლი შედგება ორი ძირითადი სართულისაგან, რომელთა შორის პირველს მაჩუბან სგირ ეწოდება, ხოლო მეორეს მაყიბან დარბაზ.

სვანური სახლი მრავალგზის არის აღწერილი[11]. ამ აღწერილობათა შორის როგორც სიზუსტე-სისრულით, ასევე ჩაწერის დროით პირველი ადგილი ნიკარაძისეულ აღწერილობას ეკუთვნის.

კოშკის აღწერისას, ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ბ. ნიკარაძე დასახელებულ ნაშრომში წერს: «გარეთაც და შიგნითაც კოშკი კირით არის შელესილი. კოშკი ერთი მეორეზე დადგმულ ოთახებად არის დაყოფილი; თითოეულს ოთახს ქვის თაღი აქვს შეკრული; ძირი ოთახი კოშკისა იწოდება დილეგად, აქედან იმის მნიშვნელობაც ცხადია". დილეგ, როგორც ცნობილია, ირანული ტერმინია, რომელიც ქართულში VIII ს-დან ჩნდება[12]. ეს ტერმინი სვანურში ქართულიდან უნდა იყოს შესული. სვანურში მას ლამტსვირ შეესატყვისება.

ბ. ნიკარაძისეული აღწერილობა უშკულს შეეხება. მაგრამ ამ რიგის დილეგები სვანეთის სხვა ხეობებშიაც არის ფიქსირებული, სადაც მათ ბევრ შემთხვევაში მაჩუბის ძირში აწყობდნენ. ასეთი დილეგი ჩვენ მიერ აღწერილი იყო პირველად (1945 წელს) მულახში, ს. ჟამუშში რაჟდენ ამბაკოს ძე ქალდანის სახლში. ჩანაწერის მიხედვით ლამტყვირ გამართული იყო გეგმ-ის გვერდით, რომელიც საკუჭნაოს წარმოადგენს[13]. შემდეგში დილეგ-ი ფიქსირებული იყო ჩვენ მიერ ბესტიაში სოფ. ლანჩვალში (იხ. ნიკოლოზ მარგიანის სახლის სქემა და გეგმა-ჟრილები).

---

[11] ბესარიონ ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, გვ. 69; ბესარიონ ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 118. Д. Бакрадзе, Сванетия. ЗКОИРГО, VI, Т., 1864, გვ. 26; И. Акинфиев, Поездка в Осетию на Ардоне и Сванетию. ЗКОИРГО, XVI, т., 1894, გვ. 101: Э. Кальвейт, Очерки сельского хозяйства верхней Сванетии, ЗКОИРГО, XXVI, в. 9, 1913, გვ. 24—26; М. Н. Ильина, Поездка в Сванетию, СПб., 1913, გვ. 35; Fr. Baumhauer, Forschungen über die Hausformen in Georgien. Mitteilungen aus dem Museum für Volkerkunde in Hamburg, XII, Hamb., 1928, გვ. 73; Br. Plaetschke. Die Tschetshenen Forschungen zur Völkerkunde des nordöstlichen Kaukasus... Veröffentlichung der geographischen Instituts der Universität Königsberg, H. XI, Hamb., 1928, გვ. 68; G. Merzbacher, Aus den Hochregionen des Kaukasus I. Lpz., 1901, გვ. 444; Г. И. Лежава и М. И. Джанашери. Архитектура Сванетии, М. 1938; М. И. Джанашери и Г. И. Лежава, Архитектура горных районов Грузии, М., 1940; ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, გვ. 17 — 23; ვ. ცინცაძე, საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის, „ქართული ხელოვნება", VI, 1955, გვ. 238; Л. И. Робакидзе, и др. Современное грузинское крестьянское жилище. მსე. X, 1959, გვ. 33; А. И. Робакидзе, К вопросу о формах поселения в Сванети, Краткие сообщения Института этнографии АН СССР, XXIX, М., 1958, გვ. 53; Р. Л. Харадзе, Грузинская семейная община, I, Тб., 1960, გვ. 183—184; ვ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ. 1961, გვ. 10—64; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964. გვ. 44.

[12] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, სამშენებლო ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 69—70.

[13] თუ მივიღებთ მხედველობაში ქართულ ო-ს და სვანურ ე-ს შესატყვისობას, ნათელი გახდება სვ. ლეშ-ის ქართ. გომ-ურ-თან დაკავშირება. (Н. Я. Марр, Из поездок в Сванию (летом 1911—1912), „Христианский восток", т. II, в 1, СПб., 1913, გვ. 13).

თავის დროზე სვანეთში დილეგის არსებობა გ. ლეჟავამ და მ. ჯანდიერმა აღნიშნეს[14]. მათზე უწინარეს სვანეთში დილეგი გრიგოლ ეპისკოპოსმა შენიშნა[15]. რიგითი საცხოვრებელი კომპლექსების გარდა, დილეგი დადებულ-ანთა სასახლეშიაც ყოფილა მოწყობილი[16].

სვანური საცხოვრებელი კომპლექსის ეს ნაწილი დაკავშირებული არის ტყვის მოპოვების პრაქტიკასთან, რომელსაც სვანთა საზოგადოებრივ ყოფაში, გარკვეულ პერიოდებში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამ ინსტიტუტის უნიკალური აღწერილობა, სვანურ მასალაზე დაყრდნობით, ისევ ბ. ნიჟარაძეს აქვს მოცემული. მისი სიტყვით, „მტრის ხელში ჩავარდნის შემდეგ ტყვე ხელუხლებელი იყო, ე. ი. ცემა და სხვანაირი მისი წვალება არ შეიძლებოდა. დამტყვევებელი მოვალეა კარგი, მუდამ სახსნილო ხარჯი მისცეს ტყვეს; წინააღმდეგ შემთხვევაში დამტყვევებლის ოჯახი, თემი, სოფელი, საზოგადოება დაიმსახურებს ქვეყნის აუგს, სირცხვილს. ტყვეს უფლება აქვს იმ სოფელში, სადაც დაბერილია, წვრილ-ფეხი საქონელი: ქათამი, გოჭი, ბატკანი, კრავი დაიჭიროს და დაიკლას თავისთვინ, ვისიც უნდა იყოს. ამ „ნანადირევით" ტყვე თვითონაც სარგებლობდა და სხვებსაც, რომელნიც მას გარს ეხვივნენ, შესაქცევად უთავაზებდა ხოლმე. საქონლის პატრონი ტყვეს ვერ უსაყვედურებდა ამას ჩვეულების ძალით. დაბერის პირველ დღეებში, კვირეებში ტყვე თავისუფლად დადის, მიჩენილის კაცების მხედველობის ქვეშ. ამნაირად იყო ტყვე, სანამდის დამტყვევებელი ტყვის ჰირისუფლისაგან არ შეიტყობდა ნამდვილად: მალე აპირებს იგი — ჰირისუფალი ტყვის დახსნას, თუ არა. თუ არ დაიხსნიდა, ტყვის შესახებ იხმარებოდნენ შემდეგი ზომები, გინა დასჯა:

ა) ტყვეს შეუყრიდნენ რკინის ბორკილებს ფეხებში;

ბ) შეუყრიდნენ ცალ-ფეხში ხის ხუნდს (ხულ); და

გ) დაამწყვდევდნენ დილეგში (დილეგ). ბუნდი იყო ხისა, რევალი, სიგრძით ცოტა ნაკლები არშინზე... დილეგს (დილეგ) სვანეთში ეძახიან კოშკის ქვედა სართულზი ოთახს"[17]. დასძენს ბ. ნიჟარაძე და აქედან ჩანს, რომ მას უშკულის მასალა აქვს მხედველობაში — ბალსზემო სვანეთის სხვა ხეეებში დილეგი, როგორც აღინიშნა, უმთავრესად მაჩუბის ქვეშ იმართებოდა.

დატყვევების მთავარი მიზანი „სახსარი"-ს აღება იყო. ბ. ნიჟარაძის სიტყვით „ტყვის გამოხსნა სახსარს, ნივთიერს საზღაურს თხოულობდა. იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც მტერი მტერს დაატყვევებდა და რამოდენისამე დღის შემდეგ უსახსროდ განათავისუფლებდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც შეურაცყოფილს სურდა მაგიერი გადაეხადა მტრისათვის. როდესაც სასახსროდ (ლეჩუსარიდ) გახდებოდა საქმე, მაშინ საქმე თავდებოდა ამნაირად. ჰირისუფალი „ტყვეს გამოხსნა სახსარს, ნივთიერს საზღაურს თხოულობდა. იყო ისეთი შემსაზოგადოებაში, სადაც დატყვევებული იყო ვინმე". შემდეგ ბ. ნიჟარაძე დაწვრილებით აღწერს შეთანხმებას დამტყვევებელსა და მახვშს შორის სახსარის ოდენობის შესახებ, საკუთრივ: „შემდეგ დამტყვევებელი რამოდენიმე კაცით ტყვის ჰირისუფალთან მიდიოდა სახსრის მისაღებად. რამოდენი კაციც დამ-

[14] Г. И. Лежава и М. И. Джанашвили, Архитектура Сванетии, გვ. 10.

[15] Поездка в Сванетию для обозрения церквей Гурийско-Мингрельского епископа Григория, Поти, 1893, გვ. 11 და 43.

[16] М. А. Шостак, По Раче и Сванетии, ИКОИРГО, XVI, Т., 1903, გვ. 46.

[17] ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 121.

ტყეკეთებელის მხრით ტყის საზოგადოებაში მიდიოდა, იმოდენა მძეელი (ძველ) ტყის პერისუფალს უნდა გამოეგზავნა მტრის საზოგადოებაში. როდესაც სახსარზე მორიგდებოდნენ, მაშინ დამტყეკეთებელი თავის კაცებით სახლში ბრუნდებოდა და შემდეგ ერთგულობის ფიცისა, ხარკისუფლებად ტყეს და მეზეულებსაც. ტყეობა დიდ სამარცხვინო საქმედ მიაჩნია ხალხს. ამ სირცხვილს ტყე ძვირად-ღა შეირჩენდა. ერთ უმთავრესს მიზეზად მკვლელობისა სვანეთში კაცის დატყეკეთება იყო: მხოლოდ მოკვლა დამტყეკეთებლისა აღუდგენდა პატივს ტყეს. ჩვეულების ძალით ბორკილებ და ხუნდ ნაყარი ტყე ღირსება ჩამორთმეული კაცია, მას აკრძალული აქვს ნაკურთხ მიწაზე დაბარბოს. თუ ვინმესთან ჩხუბი მოუვა, მოწინააღმდეგე შემდეგი სიტყვებით შეაჯერცხვენს ყოფილს ტყეს: „სი ტყვე, იმჟი მარგადი მი“! (შენ ტყეო, რაღა პირით მელაპარაკები მე). ეს იყო მიზეზი, რომ დამტყეკეთებელი ისე ეჭცეოდა მის მიერ დატყეკეთებულს, როგორც ბატონს ყმა; მაგრამ ცდილობდა თავის სხვადასხვა ნაირ სამსახურით, პატივის-ცემით ტყეს გულიდამ ამოექარწყლა ის ხინჩი, რომელიც ყოველს ტყეს გაჰყვებოდა განთავისუფლების შემდეგ“[18].

ტყვის სყიდვა ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, კავკასიის ხალხთა „მეურნეობრივ პრაქტიკაში“ ოდითგანვე არსებობდა. ტყვის მოპოვების ძირითად წყაროს ტყვის მოტაცება შეადგენდა. ამ პრაქტიკამ, როგორც ცნობილია, გეიანჭილოდალურ საქართველოში კატასტროფული ხასიათი მიიღო[19]. ხსეთი სიტყვების განმარტებისას. როგორიცაა ქაშაგი („მოზრდილი ტყვე“) და ბაღანა („ჩვილი ტყვე“) ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში მიწერილია: „რისათჳს დაწერა სულხან საბამ ესენი? იმისათჳს, რამეთუ მას ჟამსა ლიხთ იმერეთს უმეფობა იყო და... ქრისტეს სისხლით მოსყიდულთა კაცთა მაჰმადიანთ მიჰყიდნენ“.

სვანური ლამტყვირის ბუნების სწორად გაგებისათვის გასათვალისწინებელია ნ. ბერძენიშვილის შენიშვნა, რომ ტყვის სყიდვა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტენსიობისა და მნიშვნელობისა იყო იმისდა მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივი ურთიერთობისა და საგარეო პოლიტიკის ვითარებაში წარმოებდა იგი. მართლაც და მონათმფლობელურ ბარში ტყეობა მონათა რიგების შევსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა, მაგრამ იმავე დროისათვის კავკასიის მთიანეთში ეს ასე არ იყო. ს. ჯანაშია, ეხება რა კავკასიის მთიელთა ისტორიას ადრინდელ პერიოდს, შენიშნავს: „რა თქმა უნდა, იმდროინდელ ადაზგიაში ეს მონათმფლობელური მეურნეობა მეტად სუსტი იყო და, შესაძლებელია, რომ იგი უპირატესად მხოლოდ მონების, როგორც საბაზრო საქონლის, „წარმოებაში“ გამოისატებოდა“[20]. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს, როგორც ჩანს, ტიპიურ მოვლენასთან, როდესაც მონათმფლობელური საზოგადოების პერიფერია, საწარმოო ურთიერთობათა სპეციფიკური ხასიათის გამო, თვითონ ვერ იყენებს მონურ შრომას, მაგრამ მონათმფლობელური საზოგადოების მონებით მომარაგების რეზერვუარს წარმოადგენს. ანალოგიური ვითარებაა შენიშნული მაგ., ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოების მიმართ. რომლის პერიფერიაზე მცხოვრები ტომები ე. წ. „ელინისტურ მეკობრეს“ მისდევდნენ, საბერძნეთს მონებით ამარაგებდნენ, მაგრამ თვითონ

[18] იქვე, გვ 122.

[19] Н. А. Бердзенишвили. Очерк из истории развития феодализма в Грузии (XIII—XIV вв.). Тб., 1939. გვ. 24, 25.

[20] ს. ჯანაშია. ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, „შრომები“, I, თბ., 1949, გვ. 71.

ტყვეებს მონებად არ იყენებდნენ. ზოგი ავტორი ამ რიგის მეკობრობას, მისი მასშტაბისა და მნიშვნელობის გამო, „ნაციონალურ ინდუსტრიას" უწოდებს"[21].

სხვა ხასიათი ჰქონდა ტყვის მოპოვებას საქართველოს მთიანეთში გეიანფეოდალურ ხანაში. საკუთრივ სვანეთში, როგორც ეს ბ. ნიკარაძისეული აღწერილობიდან ჩანს, დატყვევების ერთ-ერთ დანიშნულებას შეადგენდა სახსარის აღება[22]. ტყვის ჭირისუფლის მიერ სახსარის გაცემის შემდეგ ტყვე სახლს უბრუნდებოდა. მაგრამ თვისტომის დატყვევებას სახსარის აღების მიზნით სვანთა ადათი სასტიკად ებრძოდა. საამისო ადათობრივი ნორმა სვანეთში, ჩანს, ადრევე შეიქმნა. ყოველ შემთხვევაში XV ს. ერთი „საგმობი"-თ. „ერთობილი სვანეთისა ხევი" „ხაძლეკაი დაგდებით" ემუქრება ყველა იმას „...კაცი ვინ შეიპყრას..., ანუ ვინ ხუცესი შეიპყრას... ანუ ვინ დედაკაცი შეიპყრას"[23]. კაცის შეპყრობის დაგმობა სვანეთის სხვა დოკუმენტებიდანაც კარგად ჩანს[24]. თვითონ ეს ნორმა გაცილებით ადრე უნდა შექმნილიყო.

დატყვევების მიზანს ზოგჯერ ტყვის გაყიდვა წარმოადგენდა. სვანთა ადათი ამ მოვლენასაც კრძალავდა. ზემოთ დასახელებულ საგმობში ასევე კატეგორიულად არის აღნიშნული. „...ვინ კაცი ოუსეთს გაჰყიდოს... ნაძლევი მისი დაუვარდეს"-ო[25].

მაგრამ კაცის შეპყრობას სვანეთში სახსარ-საფასურის აღების გარდა სხვა მიზეზებიც ედო საფუძვლად. ეს მიზეზები კარგად მოჩანს მინაწერებში აღნიშნული სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევებიდან. XIV—XV ს-ის ერთი საბუთი გვამცნობს „...მას ჟამს, ოდეს ჩემო გაბუნიანმან შენი ქუბი(?) წაიღო. მერე შენ აიყარ და ტიხუველიანი შეიპყარ. და ქუბისა მუქფად ათას ხუთასად ქრლდაშის სათიბი დაგიდევ"[26]. ამავე პერიოდის მეორე საბუთით ამსაჯან ივებიანი ძძლევს „წარკუეთილი გარდაწყუედილობის" დაწერილს ივანე სეტიელს: „მას ჟამსა, ოდის შენი ცხენი ლეგვრიანსა [—] მე შეუნახე, შენ წამოასხი. <ა>ჲა მიზეზითა შენი დედა-წული მე შევიპყარ. მერმე შეეყარეთ მართალნი ფიცებულნი მოურაუნი... არა დაგრჩა [ჩვენი] სასარჩლო და სასანდურო..."[27]. წერილობითი წყაროების ეს მონაცემები თვალნათლივ მიუთითებენ, რომ შეპყრობა სვანეთში წარმოადგენდა არა მხოლოდ სახსარის ან საფასურის მიღების წყაროს, არამედ ადათის დამრღვევის მიმართ რეპრესიის საშუალებას მისგან ადათით დაწესებული ანაზღაურების მიღების მიზნით.

ერთს გამოუქვეყნებელ წერილში ბ. ნიკარაძე წერს რ. ერისთავს, რომელსაც სვანეთის ეთნოგრაფიის სხვა საკითხთა შორის, ჩანს, ტყვეობის საკითხიც აინტერესებდა: „ყველა კითხვას პასუხი უწერია, გარდა ტყვის სახსარისა. ურ. და მოგახსენო, რომ კაცს ატყვევებდნენ მაშინ, როდესაც რაიმე ემართათ

---

[21] Я. А. Ленцман, К вопросу об источниках эллинистического рабства. ВДИ № 4, М., 1946, გვ. 219.

[22] ს. ს. ორბელიანი. სიტყვის კონა, სიტყვასთან-სახსარი: „ცხოველთ ნაშუვარი. გინა ტყვეთ ვაძოსაკუნელი".

[23] პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები. II, თბ., 1941, გვ 37. ტყვის მოტაცებას სახსარის აღების მიზნით სვანეთში ლიტერატურა ეწოდება.

[24] А. С. Хаханов, Сванетские рукописные евангелия. МАК. X. М., 1904 გვ. 27.

[25] პ. ინგოროყვა. დასახელებული ძეგლები, გვ. 37—38.

[26] იქვე, გვ. 82.

[27] იქვე, გვ. 87.

სხვისათვის და ამისათვის ტყვეში იღებდნენ იმას, რაც უმისოთაც უნდა მიეღოთ, მაგრამ ნებით არ იხდიდა კი მოვალე"[28].

დაბოლოს, დატყვევების კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენდა ტყვის გადაქცევა ფამლად—შინაყმად, ბაგრამ ეს გარემოება უმთავრესად უცხო ტომის ტყვეებს შეეხებოდა და პირველყოვლისა სათავადო სვანეთს გულისხმობდა. თუმცა, რ. ნიქარაძის მიერ მოწოდებული ცნობით, „სოფელსაც ყოლია ფამლიები, ეს ის პირები იყვნენ, რომელნიც ტყვედ წარყვანილნი ჰყოლიათ ლაშქრობის დროს"[29]. ეს ცნობა უშკელს შეეხება.

ბალზემო სვანეთის ეთნოგრაფიული მასალით, უცხო ტომისეული ფამლი ჯერ შინაყმად მუშაობდა დამტყვევებლებთან; იგი მოკლებული იყო საკუთარ მიწას, სახლსა და ოჯახს. წლების მანძილზე მუშაობის შემდეგ ფამლი საკუთარ ოჯახს იჩენდა, იღებდა მიწის ნაკვეთს დამტყვევებლისაგან და მისი ოჯახის მიმართ მუდამ ვალდებული რჩებოდა. ეს ვალდებულება, როგორც პირადი, ასევე საადგილმამულო, თაობიდან თაობაში გადადიოდა.

ანალოგიური მოვლენები უფრო ჩამოკვეთილად და შედარებით გვიანდელი პერიოდისათვის აპარეკოძის სახით, ხევსურეთისათვისაც იყო ცნობილი. ოსეთის მიმართ ჯერ კიდევ ვახუშტი შენიშნავდა: „არა უწყიან თეთრი, არამედ თვისისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე. და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით"[30]. მთა-ოსეთის ციხე-სახლებშიც ეწყობოდა ქვის ორმო, რომელიც ტყვის დასამწყვდევად იყო გამოყენებული[31]. ინგუშეთში ამ რიგის ორმოს ეწოდებოდა ლაბარამ[32]; აქაც დატყვევება ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ინსტიტუტის სახეს ატარებდა. საკუთრივ ჯარიახის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან. ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ვჩოუ და ღვლა, რომელთა შორის პირველი თავდაცვითი კოშკია, ხოლო მეორე — საცხოვრებელი ნაგებობა. ვჩოუ მრავალსართულიანი, მაღალი ხელოვნებით ნაშენი კოშკია, რომელსაც პირამიდულ-საფეხურიანი გადახურვა აქვს. იგი უაღრესად თავისებური ნაგებობაა. მისი გავრცელების არე მტკიცედ არის ლოკალიზებული — მსგავს კოშკებს საქართველოს მთიანეთში ხევსურები[33] და თუშები[34] აშენებდნენ. მისი ერთი ეგზემპლარი ანანურის კომპლექსშია მოქცეული. იგი XVI ს-ზე უგვიანესი არ უნდა იყოს[35]. ანალოგიური გადახურვის მქონე აკლდამები კავკასიის მთიანეთის სხვა რაიონებშიც გვხვდება[36].

---

[28] საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტ., რ. ერისთავის ფონდი, № 283, ტ. 8, ბ. ნიქარაძის წერილი რ. ერისთავისადმი 1887 წლის 19 სექტემბრის თარიღით.

[29] ამ ცნობის მოწოდებისათვის რ. ნიქარაძეს მადლობას მოვახსენებთ.

[30] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა..., გვ. 111.

[31] Г. Кокиев, Боевые башни и заградительные стены горной Осетии, Известия Юго-Осетинского н/и Института Краеведения, в. II, Сталинир, 1935, გვ. 221.

[32] И. П. Шеблыкин, Искусство ингушей в памятниках материальной культуры, Известия Чечено-Ингушского н/и Института Краеведения, I, Владикавказ, 1928 გვ. 205.

[33] М. И. Джандиери и Г. М. Лежава, Архитектура горных районов Грузии, გვ. 105, სურ. 150: ს. მაკალათია, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოში, სურ. № 20, 21, 22.

[34] ს. მაკალათია, თუშეთი, სურ. № 62.

[35] კ. ზაქარაია, ანანურის ბუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1953, გვ. 21—26.

[36] Г. Кокиев, Склеповые сооружения горной Осетии, Владикавказ, 1928,

ნაგებობათა მეორე სახეობა მრავალსართულიანი ციხე-სახლის სახით არის წარმოდგენილი. მას, როგორც აღინიშნა, კავკასიაში მრავალი პარალელი მოეძებნება და ეწოდება ღალ!ღალა. ამ ტერმინს ვ. აბაევი უკავშირებს ოსურ galwan-ს ქართ. galawani-ს, სვ. galwän-ს, აფხ. a-galwan-ს, ავარ. galan-ს, ჩაჩ. ğälan-ს და ასკვნის, რომ აღნიშნული სიტყვა gala კავკასიური ენებიდან არის შესული[30], რომ იგი ტერმინიდან kala მომდინარეობს.

ჯარიახის ხეობაში აღწერილი ორიენ რიგის ნაგებობას, ეჭოუ-საც დაღესტანსაც, მრავალ შემთხვევაში აღმოაჩნდა კედელში დატანებული ქვის ორმო — ინგ. ლჯრა —, რომელიც ტყვის დასამწყვდევს წარმოადგენდა. აქ ჩაწერილი მასალით ძველად დროდადრო იკრიბებოდა მხედრების ჯგუფი (ღჯრ), რომელსაც ჰყავდა თავისი უფროსი (ელ). ღჯრ აწყობდა ლაშქრობას ოსებთან, ჩერქეზებთან, ჩაჩნებთან სპეციალურად ტყვის მოსატაცებლად. შეპყრობილი — ჲესგრ — მოჰყავდათ სახლში და ცდილობდნენ ან სახსარი აეღოთ მასში, ან გაეყიდათ ინგუშეთის გარეთ. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ტყვე სახლში ან კოშკში იყო დამწყვდეული; და, მართალია, ტყვის დამწყვდევის ადგილი საიდუმლოდ ინახებოდა, ღჯრის ყველა წევრი მზად უნდა ყოფილიყო ტყვის ჭირისუფლისაგან მოსალოდნელი თავდასხმისათვის, ხოლო მათი ახლობლები სამაგიერო აქციისათვის. იმ შემთხვევაში, თუ არც სახსარი აღება ხერხდებოდა, არც ტყვის გაყიდვა და ამავე დროს დამტყვევებელთა შორის აღმოჩნდებოდა ტყვის სამუდამოდ აყვანის მსურველი, იგი გადაუხდიდა ღირებულების სათანადო ნაწილს ღჯრის დანარჩენ წევრებს, თავისთან დაუდებდა ტყვეს ბინას და საშინაო საქმეზე ამუშავებდა. ამის შემდეგ ტყვეს ეწოდებოდა არა ჲესგრ, არამედ ლაჲ ვიდრე იგი ლაჲ-ს მდგომარეობაში იყო: მას არც სახლის დადგმა შეეძლო, არც საკუთარი მეურნეობის გაჩენა, არც ცოლის შერთვა, მაგრამ ბოლოს მასაც ათავისუფლებდნენ.

ანალოგიური მოვლენა ოსეთშიაც იყო ცნობილი და დაღესტანშიაც. ინგუშური ღჯრ-ის ოსურ შესატყვისობას წარმოადგენს ғадзі ხოლო ავარულს— давлахъан.

ამგვარად, სვანური სახლის ის ნაწილი, რომელიც „დილეგ"-ის ან „ლამტყვირ"-ის სახელით არის ცნობილი, დაკავშირებულია დატყვევების პრაქტიკასთან. ამ პრაქტიკას სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზი ედო საფუძვლად. საკუთრივ: ჩვეულებითი სამართლის ნორმის დამრღვევის მიმართ რეპრესია და სათანადო ანაზღაურების იძულებით გადახდევინება; დატყვევებულ პირში სასხსრის მიღება ამ პირის სახლში დაბრუნების პირობით; ტყვის გაყიდვა უცხო მხარეში; დატყვევებულის გამოყენება ფამლად, რასაც მისი დაუმევება მოსდევდა.

დატყვევების ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები სხვადასხვა სახისაა; ისინი ასახავენ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ მხარეებს. ადათობრივი ნორმის დამრღვევის წინააღმდეგ რეპრესიის ის ფორმა. რომელსაც ცალკე ოჯახი მიმართავდა, ხევის ერთობლიობისა და სათემო მმართველობის დაკნინებაზე მიუთითებს, ხოლო დატყვევება ტყვის დაყმევების მიზნით — ფეოდალური ურთიერთობის ნიადაგის განმტკიცებაზე.

---

[30] ვ. ი. Теплицкий, Н. Д. Цагаева, Памятники материальной культуры северной Осетии. Орджоникидзе, 1963, გვ. 16 და სხვ.

[31] В. И. Абаев, ИЭСОЯ, I, М—Л., 1958. სიტყვასთან galwan.


ამ რიგის ტყვემ ლიტერატურაში მონის სახელწოდება მიიღო, მაგრამ უეწნიშვნელო მასშტაბისა და სპეციფიკური ხასიათის ეს მონობა ემსახურებოდა არა მონათმფლობელური, არამედ ადრეფეოდალური საზოგადოების ინტერესებს.

ამ ინსტიტუტის სახელწოდება—სვ. ლიღლაკი, ხევს. აპარეკობა[38] ინგ. ღეშარ, ავარ. ханахъан, ოს. balej[39]—მოქნილების ხასიათ. —შეიარაღებული თავდასხმა, თავდაცვითი ნაგებობანი და ძირითადი ფუნქცია — საერთოდ ნადავლისა და კერძოდ ტყვის მოპოვება — თვალნათლივ ამჟღავნებს მის სამხედრო-დემოკრატიულ ბუნებას. ამასთან ერთად ჩანს, რომ თავისი არსებობის ადრინდელ საფეხურებზე დასახელებული ინსტიტუტი სათემო ყოფის ტრადიციების დაცვას ემსახურებოდა, ხოლო შემდეგ მეთემეთა დაყმევების იარაღად იქცა. მას ვარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ისეთი საცხოვრებელი კომპლექსების შენებლობაში, რომლებიც საფუძვლად ედება ადრეფეოდალური ციხე-სიმაგრის ჩამოყალიბების პროცესს.


---

[38] ვ. აბაევის ვარაუდით ოსური alyrag. ყაჩაღის ბნიშვნელობით, „ქეჩკასიური" სიტყვა (შესაძლებელია ფალაური aparak-იდან მომდინარე). რომელთანაც ახლო ჯგუფან ქართ. დიალექტური alraki, alragi, ap'arek'a... (В. И. Абаев, ИЭСОЯ. I. სიტყვასთან alyrag).

[39] ოსების სამხედრო ეპოსში ნიშნავდა „სამხედრო ექსპედიციას". „ნადავლზე წასვლას" (В. И. Абаев. ИЭСОЯ, I. სიტყვასთან balci).


ქ. სვიანეში
ხიდის ბაღი
ქალი
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
ბაღი
ბაღი
ბაღი

სურ. 2. მცხეთა, ფანკვეთი ნიკოლოზ მარგიანის სახლის გეგმა



სურ. 3. ბეღელ, დასხვებელი. ნიკოლოზ ბარგიანის სახლის ჭრილი 1—1

ვალერიან გაბაშვილი

ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია უძველეს ქართულ წყაროებში

უძველეს ქართულ წყაროებში დამოწმებულია არა ერთი ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინი, რომელთა შინაარსობლივი მნიშვნელობის გამორკვევა უშუალოდ უკავშირდება მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმში გარდამავალ პერიოდს საქართველოში და ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემას.

მხედველობაში გვაქვს ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „ხვასტაგი“ (და მისი სინონიმური შესატყვისი „განძი“), „ანდერძი“, „ხოდაბუნი“, „ბეგარა“, „ხარკი“, (საშუალო სპარს. „ხარაგ“), „ქარდაგი“ და სხვ.

დასახელებული ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგიის შესწავლას მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ სასანური ირანის საზოგადოებრივი წყობილების და ეკონომიურ ურთიერთობათა გასათვალისწინებლადაც. ამ თვალსაზრისითაა, კერძოდ, შესწავლილი სომხურში შემოხიზნულ-დამკვიდრებული ირანული სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია შვედი ირანისტის გეო ვიდენგრენის მიერ[1]. ცხადია, სასანური ირანის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის ასეთსავე მასალას წარმოადგენენ უძველეს ქართულ წყაროებში დამოწმებული ირანული ტერმინებიც. ოღონდ, კარგად ცნობილი გარემოებების გამო, ისინი უფრო მეტი რაოდენობით გვხვდება სომხურ წყაროებში, ვიდრე, მაგალითად, V—VI სს. ქართულ წყაროებში.

რა თქმა უნდა, ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგიის შესწავლისას უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქართლის საზოგადოებრივი წყობილების და ეკონომიურ ურთიერთობათა თავისებურების გათვალისწინება.

როგორც ცნობილია, ესა თუ ის ტერმინი შეიძლება ირანული წარმოშობისა იყოს, მაგრამ მისი შინაარსი ადგილობრივ ვითარებას შეესაბამებოდეს.

ამის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ ტერმინები „ხოდაბუნი“ და „ბეგარა“ (სპარს. „ბიგარ“). დროთა განმავლობაში ეს ტერმინები ორგანულად დაუკავშირდნენ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეს და თანდათან ირანულისაგან მკვეთრად განსხვავებული შინაარსობლივი გამოხატულება მიიღეს. ამასვე მოწმობენ აღმოსავლეთიდან მომდინარე სოციალურ-ეკონომიური და ადმინისტრაციული ტერმინები ნაგვიანევ შუა საუკუნეებში, რომელნიც აღმოსავლური წარმოშობის მიუხედავად, შინაარსის მხრივ, ფაქტიურად ქართულ ფეოდალურ ინსტიტუტებს აღნიშნავდნენ.

---

[1] G. Widengren, Recherches sur le féodalisme Iranien. Orientalia Suecana, vol. V, Uppsala, 1957, გვ. 79 — 181.

მაგრამ თითქმის ყოველთვის აუცილებელი ხდება მათი თავდაპირველი მნიშვნელობის გათვალისწინება საკუთრივ აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამიტომ შემთხვევით არ აიხსნება, რომ ზოგჯერ მკვლევრები მიმართავენ ქართულ წყაროებში დამოწმებულ აღმოსავლურ ტერმინებს, როცა შეუძლებელი ხდება მათი შინაარსობლივი მნიშვნელობის დადგენა საკუთრივ აღმოსავლური მასალების მიხედვით (მხედველობაში გვაქვს პროფ. ვ. მინორსკის ვამოკვლევები, რომლებშიც შესწავლილია სეფიანთა ირანის სპარსულ-თურქული სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია).

კვლევა-ძიების ასეთსავე ხერხს, ცხადია, შეიძლება მივმართოთ, როცა ქართული მასალების მიხედვით ვერ ხერხდება ამა თუ იმ ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინის ნამდვილი შინაარსის გამორკვევა, და საჭირო ხდება მისი თავდაპირველი შინაარსობლივი მნიშვნელობის გათვალისწინება.

ამგვარი ამოცანის შესრულებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი, რომელშიაც მიმოხილულია უძველეს ქართულ წყაროებში დამოწმებული ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია.

სასანური ირანის ეპიგრაფიკული და იურიდიული ძეგლების პუბლიკაციები შესაძლებელს ხდის ჩვენთვის საინტერესო საკითხის ამგვარად დასმას და ვაშუქებას.

ამჟამად ვაქვეყნებთ ნაშრომის იმ ნაწილს, რომელშიაც განხილულია ტერმინ „ქარდაგი"-ს მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით.

1. ძარღვები

ტერმინი „ქარდაგი" მოხსენიებულია „ქართლის მოქცევაში" IV ს-ის მოვლენების აღწერისას.

წყაროში ნათქვამია: „აღაშენეს აზნაურთა წრე ივი ეკლესიად მცხეთას. და დაიამოთაულეს: დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლსა შინა"[2].

მკვლევართაგან ამ ცნობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აკად. ს. ჯანაშიამ. მასვე ეკუთვნის „ქარდაგი"-ს განმარტების ცდაც.

აზნაურთა ჯგუფის (როგორც ეკლესიის მაშენებლების) როლის აღნიშვნისას საადგილმამულო ურთიერთობაში ს. ჯანაშია მიუთითებდა, რომ „სოფლები" და „ქარდაგები" გამოყოფილი იყო აზნაურთა საადგილმამულო ფონდიდან[3]. და რომ „ამრიგად, უკვე მოძრავი მამულები აქვთ აზნაურობასა და ეკლესიას და მათი პირვანდელი განმკარგულებელნი სწორედ „აზნაურნი" (წარჩინებულნი) არიან"[4]. ამას მკვლევარი დასძენდა: „კიდევ უფრო საინტერესო გასდებოდა მოცემული ცნობა, რომ მოხერხებულიყო სიტყვა „ქარდაგი"-ს მნიშვნელობის გარკვევა"[5].

ს. ჯანაშია როგორც „სოფლის", ისე „ქარდაგი"-ს მნიშვნელობის გამორკვევას უშუალოდ უკავშირებდა ადრეფეოდალური მიწისმფლობელობის ჩამოყალიბება-განვითარებას. ამიტომ მან სცადა ეჩვენებინა სიტყვა „ქარდაგი"-ს

---

[2] Описание..., II, გვ. 723; ქრონიკები, I, გვ. 43.

[3] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 286.

[4] ქვე, ხაზი ავტორის.

[5] ქვე.

შესაძლებელი მნიშვნელობა. მისი დაკვირვებით: „ტერმინი, გარეგნულად, ირანულ სიტყვას (მიმღეობითი წარმოებისას) ჰგავს. მაგრამ არ გვგონია ეს მერმინდელი „ქადაგი" იყოს. საშუალო სპარსულში არსებული მსგავსი ძირების მიხედვით აქ შესაძლებელია „მუშაკი" იგულისხმებოდეს (მაშინ ეს ჩვენთვის კიდევ უფრო საყურადღებო იქნებოდა), ან „სახლი". მაგრამ გარდამწყვეტი სიტყვა ირანისტებს ეკუთვნის"[6].

როგორც ვნახეთ, ტერმინ „ქარდაგი"-ს განმარტებისას ს. ჯანაშია ორნაირ შესაძლებლობას უშვებდა. მისი დაკვირვების მიხედვით აქ ნაგულისხმევი უნდა ყოფილიყო „მუშაკი" ან „სახლი". მაგრამ გადამწყვეტი დასკვნის გამოსატანად საჭიროდ სთვლიდა ამ მიმართულებით შემდგომს კვლევა-ძიებას.

ტერმინ „ქარდაგი"-ს მნიშვნელობით დაინტერესდა აყად. გ. მელიქიშვილიც. საამისოდ მას მოშველიებული აქვს ძველსომხური, პართული და სირიული მასალები.

გ. მელიქიშვილიც „ქარდაგი"-ს განმარტებას უკავშირებს მიწისმფლობელობის წესებს და საადგილმამულო ურთიერთობას.

მას, როგორც ჩანს, მისაღებად მიაჩნია „ქარდაგი"-ს გაიგივება „поместье"-სთან ე. თაყაიშვილის რუსულ თარგმანში[7]. ამის გამო აღნიშნულია ისიც, რომ „ქარდაგი"-ს ამგვარად გაგებას არ იზიარებდა ს. ჯანაშია[8].

გ. მელიქიშვილის აზრით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიტყვა „ქარდაგი" იმავე ცნებას გამოხატავდა, რასაც ტერმინი „ავარაკი"[9]. ამგვარი მტკიცების განვითარებას წარმოადგენს „ქარდაგი"-ს ძველსომხურ dastakert-ის სინონიმურ შესატყვისად გამოცხადება. რადგან, დასძენს მკვლევარი, „Подобно „агараки", „дастакерт" также выступает в аналогичных контекстах совместно с деревней"[10]. საამისოდ დამოწმებულია მოსე ხორენელი („სოფლის" და „დასტაკერტის" ერთად მოხსენიების ფაქტი სომხურ წყაროში) და სოლომონის არაკის სომხური ვერსიის „დასტაკერტ", რომლის შესატყვისად ქართულ ვერსიაში ნახმარია „ავარაკი"[11].

მაგრამ სომხ. „დასტაკერტ" (და ამ ტერმინის პართული და სირიული ვარიანტები) კარგადაა ცნობილი. მისი ნამდვილი მნიშვნელობაც საკმაოდ გამორკვეულია სპეც. ლიტერატურაში. შედარებით ნაკლებ არის ცნობილი სიტყვა „ქარდაგი". ალბათ ამიტომ გ. მელიქიშვილს შესაძლებლად მიაჩნია იმის დაშვება, რომ „ქარდაგი"-ს სახით საქმე უნდა გვქონდეს „დასტაკერტ"-ის დეფექტურ დაწერილობასთან[12].

---

[6] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 286.

[7] Е. С. Такайшвили, „Мокцевай Картлисай", сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 28, გვ. 31.

[8] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 415, შენ. 83.

[9] „Учитывая частое совместное употребление в аналогичном контексте терминов деревня („сопели", „даба") и „поместье" („агараки") можно было бы предположить что кардаги (ქარდაგი) обозначало то же самое понятие („агараки" --поместье)". იქვე, გვ. 414.

[10] იქვე, გვ. 415.

[11] იქვე.

[12] „Может быть, в „кардаги" мы имеем дело с дефектным написанием слова „дастакерт" (армянск. „дастакерт", парфянск. daskart, сирийск. (арамейск.) dasqarta)". იქვე.

ამრიგად, „ქარდაგი" წარმოდგენილია, როგორც ქართლში „დასტაკერტების" არსებობის დამადასტურებელი ტერმინი და, ამასთან დაკავშირებით, იქვე განმარტებულია, რომ იგი დეფექტური დაწერილობის ნიადაგზე უნდა იყოს შერყვნილი და გადასხვაფერებული.

მაგრამ ეტყობა მეცნიერული სიფრთხილე გ. მელიქიშვილს უკარნახებდა დაეშვა სხვა შესაძლებლობაც. მისი სიტყვით, „ქარდაგ"-ში შეიძლება დავინახოთ აგრეთვე აქემენიანთა პერიოდის არამეულ დოკუმენტებში დამოწმებული ტერმინი garda (grd'), რომლითაც აღინიშნებოდნენ მონურ მდგომარეობაში მყოფი მუშაკები[13].

ამრიგად, როგორც ვნახეთ, გ. მელიქიშვილი ფაქტიურად იძლევა ტერმინ „ქარდაგი"-ს ორნაირ განმარტებას (უკეთ ორნაირ შესაძლებლობას): 1. „ქარდაგი" დაკავშირებულია „აგარაკთან", ხოლო ეს უკანასკნელი გამოცხადებულია dastakert, dastkart, dasgart-ის სინონიმურ ტერმინად (იმის სათანადოდ გათვალისწინებით, რომ ქართულ სინამდვილეში „ქარდაგი" შეიძლებოდა წარმომდგარიყო დეფექტური დაწერილობის შედეგად), 2. „ქარდაგი" მიჩნეულია აქემენიანთა დროინდელი garda (grd')-ს შესაძლებელ ვარიანტად. ცხადია ამ შემთხვევაში „ქარდაგი" უნდა ნიშნავდეს არა „აგარაკს" (დასტაკერტს"), არამედ მონურ მდგომარეობაში მყოფ მუშაკს.

პირველ შემთხვევაში გ. მელიქიშვილი არსებითად სცილდება ს. ჯანაშიას განმარტებას („ქარდაგი" — „სახლი" ან „მუშაკი"), მეორე შემთხვევაში კი ფაქტიურად ეთანხმება ს. ჯანაშიას იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით „ქარდაგი"-ს ერთ-ერთ შესაძლებელ მნიშვნელობად მიჩნეულია „მუშაკი".

მართებულად მიგვაჩნია გ. მელიქიშვილის დასკვნა, რომ „აგარაკი" და „ქარდაგი" გვიდასტურებენ კერძო მიწისმფლობელობის არსებობას IV ს-ის ქართლში[14]. მაგრამ არ გვგონია, ქართული წყაროს „ქარდაგი" იმასვე ნიშნავდეს, რასაც სომხურ, პართულ და სირიულ საადგილმამულო ურთიერთობაში ნიშნავს dastakert.

„ქარდაგს" არაფერი აქვს საერთო არც სასანური ირანისათვის დამახასიათებელ dastkert-თან[15]. საქმე ისაა, რომ „ქართლის მოქცევაში" მოხსენიებული „ქარდაგი" იგივეა, რაც საშუალო სპარსულ წყაროებში დამოწმებული „kartak".

ამიტომ ეს სიტყვა არ შეიძლებოდა გაჩენილიყო დეფექტური დაწერილობის წყალობით, როგორც ამას გ. მელიქიშვილი ფიქრობს.

„ქარდაგ" („kartak", ვარიანტ. „kirtak") დამოწმებულია სასანური ირანის როგორც ეპიგრაფიკულ, ისე იურიდიულ ძეგლებში. ეს ტერმინი გავრცელებული იყო სხვა ირანულ ენებშიც (მაგ., სოღდ. „kerdak")[16].

---

[13] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 415.

[14] იქვე.

[15] წყაროები და ლიტერატურა სასანური ირანის „დასტგერდის" შესახებ იხ ე. გაბაშვილი, აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემა, „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1963, გვ. 199—200.

III ს-ის წარწერებში „kirtak“ (მრავლ. „kirtak[a]n“) ნიშნავს „მოქმედებას, საქმეს, აქტს, ქმის კეთებას“ (action, act, deed)[17].

ქართირის ერთენოვან წარწერაში ნაყშ-ი რაჯაბიდან „kirtak“ იხმარება „მოქმედების, კეთების“ მნიშვნელობით.

მაგ., მე-5 სტრიქონში ვკითხულობთ:

...ut im ič kirtak[a]n radi u če andar šatre kirte...

...იმ მოქმედებისათვის და იმისათვის, რაც გაკეთდა სახელმწიფოში...

მე-8 სტრიქონი:

...vahište u došaxve o en kirtake artadihe u[18].

მე შევუქმნი მას სამოთხესა და ჯოჯოხეთს ამ საქმისათვის.

მე-12 სტრიქონი:

...u kirtak[a]n i andar šatre[19].

მათ სახელმწიფოში (ჩადენილ) მოქმედებათა გამო.

დასახელებულ წარწერაში დამოწმებული „kirtak“ (ან მრავლ. „kirtakan“) ჰერცფელდს ყველგან გადათარგმნილი აქვს როგორც მოქმედება, საქმე, აქტი. საქმის კეთება, საქციელი („action, act, deed“)[20].

ქართირის მეორე წარწერაში ნაყშ-ი რუსთემიდან ჩვენთვის საინტერესო ტერმინი დამოწმებულია მრავლ. რიცხვში: „k[i]rtakan“.

მე-4 სტრიქონში წერია:

...šatre givak o givak mas kirtakan[21].

სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილების დიდნი ქარტაქნი.

იმავე წარწერის მე-17 სტრიქონში ვკითხულობთ:

[mas] kirtakan i ya[zdan] afzarihe u mas atarv[an][22].

ღვთაებრივნი დიდნი ქარტაქნი...

„ღვთაებრივნი დიდნი ქარტაქნი“ მოხსენიებულია მე-31 სტრიქონშიც[23]. „ქარტაქ“ ყველა ამ შემთხვევაში ჰერცფელდის მიერ გადათარგმნილია როგორც „საქმის მკეთებელი, ის ვინც საქმის მოქმედია“ („the doir, one who does“)[24].

ასეთია „kartak“-ის მნიშვნელობა საშუალო სპარსულში III ს-ის წარწერების მიხედვით.

---

[16] E. Herzfeld, Paikuli, Monument and inscription of the early history of the Sasanian empire, I, Berlin, 1924, Glossary, გვ. 209, № 560, 561.

[17] იქვე, გვ. 89—92.

[18] იქვე. ტრანსკრიფცია ყველგან სასანური ირანის ეპიგრაფიკული და იურიდიული ძეგლების გამომცემლებს ეყუთვნის.

[19] E. Herzfeld, Paikuli, გვ. 89 — 92.

[20] Paikuli, Glossary, გვ. 209, № 560, 561.

[21] იქვე, გვ. 92—93.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] იქვე, გვ. 209, № 562.

ტერმინი „kartak“ სშირად გვხვდება აგრეთვე VI ს-ის სასანური ირანის სამართლის წიგნში („მატიკან-ი ჰაზარ დატასტან“ — «ათას გადაწყვეტილებათა წიგნი»)[25]. „kartak“ სამართლის ამ წიგნში იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით. მაგრამ უფრო ხშირად იგი ნიშნავს „მოქმედებას, საქმეს, საქმის კეთებას“. როგორც ვნახეთ, ასეთივე მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი III ს-ის წარწერებში.

სამართლის დასახელებული წიგნის სათანადო თავების ცალკეული მუხლების მიხედვით „kartak“ ნიშნავს: აქტს[26], სამართებლივ მოქმედებას[27], საქმეებს[28], ფიქსირებულ მოქმედებას[29], რთულ საქმეს[30], გადაწყვეტილებას[31], შესრულებას[32], მოვალეობას[33], დაქვემდებარებას[34], მთავარ ფუნქციას[35], მოწესრიგებას[36], გაყრას (განყოფილებას)[37], ცდას (ღონისძიებას)[38], აღმასრულებელ მოქმედებას[39].

ერთ ადგილას „kartak“ ნიშნავს იმას, „რაც სათანადო აქტის შესაბამისობაში იმყოფება“.

მაგ., O amat katak-khûtâê kart aîgh ol zakê sazhâktar la... dîtâ kartakîhâ[40].

„და როცა სახლის უფალი („katak-khûtâê“) იქცევა („kart“) ისეთნაირად, რომ შესაბამისობაში არ იმყოფება... სამართებლივ გადაწყვეტილებასთან“.

„Kartak“ იხმარებოდა სხვა მნიშვნელობითაც. „დივანთან“ ერთად მოხსენიებული „kartak“ (Dîvân ê kartak“) ნიშნავდა სახელმწიფო ან აღმასრულებელ დაწესებულებას[41].

აღსანიშნავია, რომ „kartak“ გვხვდება „მატიკან-ი“-ს იმ თავების სათანადო მუხლებში, სადაც საუბარია „ქონების“ („xʷvāstak“) დაშტკიცება-განახლებაზე (ან მემკვიდრეობით გადაცემაზე) და „ქონების მფლობელის“ („xʷvāstakdār“) უფლებრივ მდგომარეობაზე. უკვე ეს გარემოება არ შეიძლება არ იქცევდეს ჩვენს ყურადღებას, რადგან ქართული წყაროს „ქარდაგი“ დამოწმებულია ისეთ კონტექსტში, სადაც ლაპარაკია წმ. გიორგის ეკლესიისათვის ქონების („სოფლების“, „ქარდაგების“) შეწირვაზე. ყველაფერი ეს. ცხადია, სათანადოდ უნდა გაფორმებულიყო და ამ აქტთან დაკავშირებით გაჩენილიყო შესაფერისი ტერმინი. ამას გარდა, არსებობს „ქარდაგი“-ს განმარტების სხვა შესაძლებლობაც. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ სასა-

---

25 „მატიკან-ი ჰაზარ დატასტანი“-ს მოკლე და ზოგადი დახასიათება, გამოცემები და ცნობილ ვარიანტთა შეხედულება-შეფასებანი სასანური ირანის ამ იურიდიული ძეგლის მნიშვნელობის შესახებ იხ. ჩვენს წერილში: აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემა, გვ. 199, შენ. 31.

26 Matikan – i, XXXVIII, 12. გვ. 451.
27 XL, 4, გვ. 499.
28 XLII. 32, გვ. 535.
29 XXXVIII. 6, გვ. 449.
30 XXXVIII. 37, გვ. 461.
31 XXXVIII. 10, გვ. 451.
32 XXXIII, 2, გვ. 523.
33 XXVIII. 5. გვ. 449.
34 XXXVIII, 34, გვ. 463.
35 XXXVIII. 9, გვ. 449 — 451.
36 XLII. X+94, გვ. გვ. 575 — 577.
37 XIV. 23, გვ. 163 — 165.
38 XXXVIII, 11. გვ. 450.
39 XL, 8, გვ. 501.
40 XXIII, X+1, გვ. 245.
41 Matikan-i, XLII, 42 (b). გვ. 542.

ნიანთა დროინდელი „kart“[42] (‚kartak“) იგივეა, რაც ძვ. ირან.* kart, ინდ. ევრ. *kəərt-, ავესტ. karət- „ქრა“, სოღდ. 'krt'nt „ისინი ჭრიან“, ოს. kard „დანა“, kardɨx, „ნაჭერი“.[42]

„ქართლის მოქცევის“ ჩვენთვის საინტერესო კონტექსტთან დაკავშირებით კიდევ უფრო საინტერესო ჩანს „kartak“-ის ის მნიშვნელობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მიწისმფლობელობასთან.

„მატიკან-ი“-ს XXVI თავის მე-12 პარაგრაფში „kartak“ ეწოდება მიწის ‚ნაჭერს“, „ნაკვეთს“, ხოლო XXX თავის მე-10 პარაგრაფში ქონების „ნაწილს“.

მაგალითად:

მატიკან-ი	თარგმანი
Amat zamik aè kartak rāê yamallelûnêt aîgh: „Barâ znêvak-î lak napshman“, paûn kartak avîn kart aîgh arj è mârîlâ yahbûnt yahavûnêt“[43].	რაც შეეხება მიწის ნაჭერს („kartak“) თუ გამოცხადდება, რომ „მისი მესამედი შენია“, მაშინ ეს შეიძლება გარიგდეს ისეთნაირად, რომ გაიცეს [მხოლოდ] მიწის საფასური.

„მატიკან-ი“-ს გამომცემელი ჯამშიდ ბულსარა ამ მუხლის განმარტებისას შენიშნავს, რომ დადგენილი წესის თანახმად „არავის არ შეეძლო პრეტენზია განეცხადებინა თვითონ მიწის მესამედი ნაწილის შიმართ“[44]. მაშასადამე, იგულისხმებოდა არა თვითონ მიწის ვინმეს მიერ მფლობელობა, არამედ მხოლოდ ამ მიწის ერთი მესამედი ნაწილის (მისი შეფასებული ღირებულების) შემოსავლით სარგებლობის უფლება. ასეთი პირობა სავსებით შეესაბამებოდა აღმოსავლური მიწათმფლობელობის თავისებურებას. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა არა აღმოსავლური და ქართული მიწისმფლობელობის შედარება, არამედ ის, რომ „kartak“ (ქართ. ‚ქარდაგი“) საკუთრივ სასანურ ირანში გვევლინება მიწის ნაკრის, ნაკვეთის აღმნიშვნელ ტერმინად.

ამავე დროს, გამორიცხული არაა, რომ აზნაურები, რომელნიც მათ მიერ აშენებულ წმ. გიორგის ეკლესიას სწირავდნენ „სოფლებს და ქარდაგებს“, ფაქტიურად ეკლესიას უტოვებდნენ მხოლოდ მამულებით სარგებლობის უფლებას. მაგრამ ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, დამტკიცება სჭირდება. სავსებით ცხადია მხოლოდ ერთი რამ: „სოფლები“ და ქარდაგები“ მთელს ქართლში („ქართლსა შინა“) გამოყოფილია ეკლესიის მაშენებელ აზნაურთა საადგილმამულო ფონდიდან[45]. მოძრავი მამულების თავდაპირველი განმკარგულებელნიც სწორედ ეს აზნაურები არიან[46]. ეს გარემოებანი ხაზგასმით აქვს აღ-

---

[42] В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, I, М.-Л 1958, გვ. 58. შდრ. ახ. სპ. كرد „Засеянное поле, делянка“, Б. Миллер, Персидско-русский словарь. М., 1960, გვ. 398

[43] იქვე. XXVI, 12. გვ. 327.

[44] იქვე, გვ. 327. შენ. 4.

[45] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 28e

[46] იქვე.

ნიშნული ს. ჯანაშიას. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ ამ საადგილმამულო ფონდის გარკვეული ნაწილი, ნაკერი თუ ნაკვეთი, რის აღსანიშნავადაც უნდა გამოყენებული ყოფილიყო შესაფერისი ტერმინი: „ქარდაგი“.

ტერმინი „kartak“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ნაწილის“ მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

მაგალითად:

მატიკან-ი	თარგმანი
Amat yamallelûnit aîgh: „Denman khvâstak frazandân è lak napshman“, ô frazand aèvak, jîvâkî napesht aîgh hamâk barâ yâmâtûnèt maman aevak—ach shapîr shapiran paètâk; o Vâhrâm gôft aîgh paûn kartak là obidûnénd“[47].	და თუ ვინმე იტყვის: „ეს ქონება (khvâstak) შენი შვილებისაა“ [და] ახლოდ ერთ შვილს უნდა მისცე, ამის გამო სათანადო ადგილზე დაწერილია, რომ მთელი ქონება უნდა ბიძოლოს ამ შვილმა, რადგან ეს ცნობილი და მიღებულია დიდებულთა შორის; და სთქვა ბაჰრამმა ამგვარად: [მიწა] არ უნდა დაქუცმაცდეს ნაწილებად.

ამრიგად, „მატიკან-ი“-ს მიხედვით „kartak“ ნიშნავს არა მარტო მიწის ნაკერს, მიწის ნაკვეთს, არამედ საერთოდ ქონების ნაწილსაც. ასეთივე უნდა ყოფილიყო, ვფიქრობთ, «ქარდაგი“-ს თავდაპირველი მნიშვნელობა IV ს-ის ქართლშიაც[48].

ახლა შეიძლება გავიხსენოთ „ქართლის მოქცევის“ ჩვენთვის საინტერესო კონტექსტი: „აღაშენეს აზნაურთა წ[ა] იგი ეკლესიად მცხეთას. და დაიამოთუალეს დიდსა მას ეკლესიასა სოფლებითა და ქარდაგებითა ქართლსა შინა“.

„ქარდაგის“ ჩვენთვის ცნობილი მნიშვნელობებიდან დამოწმებული კონტექსტის შინაარსს ყველაზე მეტად უდგება „ქარდაგის“ ის მნიშვნელობა, რომლითაც აღინიშნებოდა მიწის ან ქონების ნაწილი საკუთრივ სასანიანთა ირანში. წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირულ „ქარდაგებში“, საფუძველი გვაქვს ვთქვათ, ნაგულისხმევია აზნაურთა მამულების და ქონების გარკვეული ნაწილი ანდა მიწის ნაკერები, რის აღსანიშნავადაც გამოყენებულია შესაფერისი ტერმინი „ქარდაგი“.

მიუხედავად იმისა, რომ აკად. ს. ჯანაშიასათვის მთლად ნათელი არ იყო „ქარდაგის“ შინაარსობლივი მნიშვნელობა, იგი სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ „ქარდაგები“ გამოყოფილი იყო ეკლესიის მაშენებელ აზნაურთა ჯგუფის საადგილმამულო ფონდიდან. ამრიგად, „ქარდაგი“ ნიშნავდა არა

---

[47] Malikan-i, XXX, X+10. გვ. 371.

[48] რა თქმა უნდა, „ქარდაგ“-ს ქართულ სინამდვილეში ისეთივე სპეციფიკური თავისებურება შეიძლებოდა ჰქონოდა, როგორც სასანური ირანიდან მომდინარე სხვა სოციალურ-ეკონომიურ ტერმინებს: „ხოდაბუნს“, (საშ. სპარს. „ხვატაი-ი ბუნ“), „ხვასტაკს“, „ხარკს“ (საშ. (სპარს. „ხარაგ“), „ბეგარას“ (სპარს. „ბიგარ“) და სხვ. მაკრამ ამჟამად ამ თავისებურების ჩვენება არ შეადგენს ჩვენი კვლევა-ძიების მიზანს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ზემოთ დასახელებული ტერმინებისაგან განსხვავებით „ქარდაგი“, როგორც ჩანს, არ შემორჩა ქართულ სინამდვილეს და აღარც წყაროებში გეხვდება. „ქართლის მოქცევის“ ბელიშური ვარიანტი ამ ტერმინს არ იცნობს, რასაც უკვე ს. ჯანაშიამ მიაქცია ყურადღება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ უფრო ძველია შატბერდისეული საკითხავი (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 284).

მიწისმფლობელის ამა თუ იმ კატეგორიას („აგარაკს“ ან „დასტგერდს“), არაშედ საადგილმამულო მფლობელობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს, ამ საადგილმამულო ფონდიდან გამოყოფილ იმ მიწის ნაკვეთებს, რომელიც აზნაურთა მიერ ეკლესიისათვის იყო შეწირული. ამიტომ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ „ქარდაგში“ ნაგულისხმევია თითოეული აზნაურის მიერ გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, ცხადია, მეტნაკლები რაოდენობით. ამასთან დაკავშირებით, უეჭველად საინტერესო ჩანს შატბერდული საკითხავის „დამოითუალეს“ (აღთვალვეს, აღნუსხეს?), რასაც ს. ჯანაშია ეჭვს ქვეშ აყენებდა და უპირატესობას ჭელიშური ნუსხის „მიათუალეს“ ანიჭებდა[49].

რა თქმა უნდა, „ქარდაგის“ კონკრეტული მნიშვნელობის დადგენა გამორიცხავს ამ ტერმინში „მუშაკის“ ან „სახლის“ დანახვის შესაძლებლობას. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთრივ სასანურ ირანში „ქარდაგი“ (სრულიად გარკვეულ შემთხვევებში) „საქმის მოქმედის, მუშაკის“ მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

„ქართლის მოქცევის“ ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში „ქარდაგი“ აშკარად მიწისმფლობელობასთან ჩანს დაკავშირებული. ამიტომ სავსებით მართებულად იქცეოდნენ ამ ტერმინით დაინტერესებული მკვლევრები (ს. ჯანაშია, გ. მელიქიშვილი), როცა მას ქართლში კერძო მიწისმფლობელობის არსებობის დამამტკიცებელ ერთ-ერთ მოწმობად და საბუთად იყენებდნენ.

„სოფლების“ და „ქარდაგების“ განმარტებისას (შატბერდული საკითხავის მიხედვით) ს. ჯანაშია აღნიშნავდა: „ცხადია, რომ აქ მფლობელობის ობიექტი და ქონება იგულისხმება“[50]. ამავე დროს იგი მიუთითებდა, რომ „სოფელი“ უეჭველია, მოსახლეობის ერთეულს აღნიშნავდა, ხოლო „ქარდაგი“ მფლობელობის ობიექტს და ქონებას[51]. ასეთ დასკვნას სავსებით ადასტურებს „ქარდაგის“-ის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენს მიერ სასანური ირანის იურიდიულ ძეგლშია დამოწმებული.

ამიერიდან გასათვალისწინებელია სიტყვა „ქარდაგის“ ის კონკრეტული მნიშვნელობა, რომელიც საკუთრივ სასანურ ირანში იურიდიული გარიგებისა და გადაწყვეტილების დროს აღნიშნავდა მიწის ნაკვეთებს, ნაკვეთებს ან ქონების გარკვეულ ნაწილს. ამასთან სასანური სამართლის წიგნში სრულიად ნათლად არის აღნიშნული საკუთრების დაცვის პირობები.

„ქარდაგი“ ქართულ სინამდვილეშიც, აშკარად ჩანს, გულისხმობდა მიწის და ქონების თავისუფალი გასხვისების უფლებას, რაც თავის მხრივ მკაფიოდ მიუთითებს კერძო მიწისმფლობელობის არსებობაზე IV ს-ის ქართლში.

---

49 ს. ჯანაშია. შრომები, I, გვ. 234.

50 იქვე, გვ. 285.

51 იქვე, გვ. 284—285.

შოთა მესხია

ლეონტი მროველი საქართველოს ისტორიის ორი პერიოდის შესახებ*

საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის თავისებურ და მეტად საინტერესო ცდებს ჯერ კიდევ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ვხვდებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს XI ს-ის ისტორიკოსის ლეონტი მროველის პირველი ცდა საქართველოს ისტორიის ორ ძირითად ნაწილად — მეფობის წინადროინდელ და მეფობის შემდეგდროინდელ პერიოდებად დაყოფისა.

ამჟამად ზედმეტად მიგვაჩნია დეტალურად შევჩერდეთ ყველა იმ მოსაზრებაზე, რომლებიც გასულ თუ მიმდინარე საუკუნეებში გამოითქვა ლეონტი მროველის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ნაწილის შესახებ. მათგან მხოლოდ ზოგიერთს განვიხილავთ.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „საქართველოში მეფობის გაჩენას შესახებ ამ შემთხვევაშიაც ჩვენი ისტორიკოსი (ლეონტი, შ. მ.) ...გარკვეულ მაგალითს ჰბაძავს, ყალბ ეფრემ ასურის... წიგნითა და შეხედულებებით ხელმძღვანელობს. ყალბ ეფრემის თხზულებაში კი ნათქვამია, რომ უკვე პირველი კაცი ადამი მეფედ ნაკურთხი იყო ღმრთისაგან... ისე რომ მეფობა თითქოს დაწესებული ყოფილა მაშინ, როცა ჯერ ერიც არ არსებობდა... ლეონტი მროველსაც ქართველების უძველესი ხანა ამგვარად აქვს აღწერილი“[1].

ს. კაკაბაძე, მართალია, უარყოფდა „განძთა ქუაბის“ გაელენას ლეონტიზე, მაგრამ ადრე მროველის ამ კონცეფციას მაინც საერთოდ „ქრისტიანული შეგნების და კულტურის ნიადაგზე განვითარებულ ისტორიულ შემეცნებად“ მიიჩნევდა[2].

კ. კეკელიძემ, ასევე, ლეონტი მროველის ჩვენთვის საინტერესო ცნობა არ მიიჩნია რაიმე მეცნიერული ღირებულების მქონედ და იგი მოსე ხორენელის საისტორიო თხზულებიდან გადმოღებულად გამოაცხადა[3].

როგორც ვხედავთ, ზემოდასახელებულ მკვლევართა მიერ ეჭვის ქვეშ დაყენებული იყო არა მარტო ლეონტის კონცეფციის მეცნიერული ღირებულება, არამედ აგრეთვე მისი ორიგინალობაც.

---

* მოხსენდა თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის სამეცნიერო სესიას 1965 წ. 19 თებერვალს. იბეჭდება შემოკლებით.

1 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 179—180.
2 ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, 1924, გვ. 125.
3 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 216—217.

საქართველოს ძველი ისტორიისა და წყაროების შესწავლის დღევანდელი დონე, როგორც ცნობილია, სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენს ლეონტი მროველის ადგილს ქართულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ და მისი თხზულების ამ ნაწილის მეცნიერულ ღირებულებას კერძოდ. ასე რომ, ამჟამად საკითხი ეხება არა იმდენად ლეონტის კონცეფციის ორიგინალობას, რამდენადაც თვით მისი ჩვენთვის საინტერესო ცნობების გაგებას და ინტერპრეტაციას.

ამ მხრივაც ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ივ. ჯავახიშვილი, ლეონტი მროველის თხზულების პირველი ნაწილისადმი ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, მაინც საგულისხმოდ მიიჩნევდა ლეონტის ცნობას „მამასახლისობის ხანის“ შესახებ[4] და იგი „რომელიღაც ძველ ქართულ წყაროთაგან“ ამოღებულად მიაჩნდა[5].

ს. ჯანაშია ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების არსებობის დასადასტურებლად, „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ზოგიერთ მონაცემთან ერთად, იყენებდა ლეონტის ჩვენთვის საინტერესო ცნობასაც „მამასახლისობის ხანის“ შესახებ[6].

გ. მელიქიშვილი წერდა: „უეჭველია, თავისი წყარო და, ჩანს, კარგად ინფორმირებული წყარო გააჩნია ლეონტის თხზულების იმ ნაწილში, როდესაც იგი მამასახლისობის პერიოდს უპირისპირებს მეფობის პერიოდს, ე. ი. მემონახული აქვს მოგონება გვაროვნული წყობის ეპოქის შესახებ“[7].

თავისი ეს მოსაზრება გ. მელიქიშვილმა ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში ეხვევა ქვეშ დააყენა და ლეონტისეული „მამასახლისი“ უფრო „ფეოდალური გვარის მეთაურის“ აღმნიშვნელ ცნებად მიიჩნია, ვიდრე გვაროვნული წყობილების დროინდელი ხელისუფალისა[8]. ა. კ ი კ ვ ი ძ ი ს აზრითაც, შეუძლებელია ლეონტის მიერ მოხსენიებული „მცხეთის მამასახლისი წინაკლასობრივ საზოგადოებაში მოვაქციოთ“[9].

ლეონტის ცნობა „მამასახლისობის ხანის“ შესახებ ქართველ ტომებში არსებული გვაროვნული წყობილების დამახასიათებლად მიაჩნიათ კ. გ რ ი გ ო ლ ი ა ს[10] და ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე ს[11]. მსგავსი მოსაზრება გამოთქმული გაქვს ჩვენ მიერაც ერთ ადრინდელ ნაშრომში[12].

ამ ბოლო დროს ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ სავსებით ახლებური მოსაზრება გამოთქვა და ლეონტისეული „მცხეთელი მამასახლისი“ მცხეთის საქალაქო თემის“, „მცხეთის სრულუფლებიან მოქალაქეთა კოლექტივის მეთაურად“ გამოაცხადა. მისი აზრით, „ლეონტი მროველის ცნობებში საუბარია ქალაქის (მცხეთის) მიწებზე უცხოთათვის სამოსახლო ადგილის მიჩენის შე-

---

4 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 181.

5 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928, გვ. 171.

6 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, 1952, გვ. 117.

7 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, 1955, გვ. 20.

8 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959, გვ. 35, 404.

9 აბ. კ ი კ ვ ი ძ ე, „ქართლის ცხოვრება“ თუ „ახალი ქართლის ცხოვრება“? „მნათობი“, № 4, 1957.

10 კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 12, 13.

11 ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, 1951, გვ. 11, 12.

12 შ. მ ე ს ხ ი ა, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, I, 1939, გვ. 64—65.

სახებ. მცხეთელი მამასახლისი კი გვეცნობა ისეთ პირად, რომლის კომპეტენციაში შედის, აგრეთვე, ქალაქის მიწასთან დაკავშირებული საქმიანობა. კერძოდ ამ შემთხვევაში, ახალმოსულთა დასახლება ქალაქის მიწებზე"[13]. ეს ახლებური დასკვნა შემდეგ საბუთიანობაზეა დამყარებული: ა) მცხეთის მამასახლისმა „ყოველთა ქართველთა" ნებართვა ითხოვა თურქთა ქართლის ქალაქებში კი არა, ერთ ქალაქში, კერძოდ, მცხეთაში დასასახლებლად. ამიტომ, ლეონტის თხზულების შესაბამის ადგილზე აქამდე მიღებული წაკითხვის — თურქნი „განიყუანეს ყოველთა ქალაქთა შინა" — მაგიერ უნდა იკითხებოდეს — თურქნი „განიყუანეს ყოველსა ქალაქსა შინა"[14]; ბ) ლეონტის მიერ ხმარებული — „ყოველნი ქართველნი" ნიშნავს მცხეთის „სრულუფლებიან მოქალაქეთა" კოლექტივს[15]; და გ) თურქთა 28 ოჯახი. ოთ. ლორთქიფანიძის სიტყვით, „უთუოდ პრივილეგირებული წრე", მცხეთაში დაასახლეს, ხოლო დანარჩენი, „წყაროს აბუჩი გამოთქმით — „უმრავლესნი", ქალაქ გარეთ[16].

ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ დაწვრილებით შევჩერდეთ აქ წარმოდგენილ მოსაზრებასა და მის საბუთიანობაზე. პირველ რიგში ლეონტის მიერ ხმარებულ „ყოველთა ქართველთას" მნიშვნელობის შესახებ. ლეონტი მროველი, თხზულების ჩვენთვის საინტერესო ნაწილში, არა ერთხელ ხმარობს „ქართველთა" თუ „ყოველთა ქართველთა", მაგრამ არასოდეს „მცხეთის სრულუფლებიან მოქალაქეთა" კოლექტივის აღსანიშნავად. მოვიტანოთ ორიოდე მაგალითი: „პოვეს ჯამი მარჯუე სომეხთა და ქართველთა. და განუდგეს სპარსთა"[17]. „ყოველივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათვის სპარსთა ზედა"[18]; ალექსანდრე „მოვიდა ქართლად. და პოენა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა"[19]. მოტანილი მაგალითებიდანაც (და მსგავსი კიდევ მრავლადაა) კარგად ჩანს, რომ „ქართველნი" და „ყოველნი ქართველნი" ლეონტის მიერ ყველგან და ყოველთვის მხოლოდ ქართლის ქართული მოსახლეობის აღსანიშნავად არის ხმარებული და არა მცხეთის მოქალაქეთა კოლექტივისა. შეიძლება დებულებითი ითქვას, რომ არც ერთ წყაროში და არასოდეს „ყოველნი ქართველნი" მხოლოდ რომელიმე ქალაქის (მათ შორის, ცხადია, მცხეთის) მოსახლეთა, ე. ი. მოქალაქეთა კოლექტივის აღმნიშვნელი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

ასევე, არ შეიძლება გავიზიაროთ ოთ. ლორთქიფანიძის მიერ შემოთავაზებული შესწორება ლეონტი მროველის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილისა. ოთ. ლორთქიფანიძე წერს: „ქართლის ცხოვრების" მხოლოდ მარიამისეულ ხელნაწერშია ამ ადგილას „ყოველთა ქალაქთა", ყველა დანარჩენი ხელნაწერი ამ ადგილას უჩვენებს — „ყოველსა"... ამიტომ, ჩვენი აზრით,

---

13 ოთ. ლორთქიფანიძე, მცხეთის საქალაქო თემის ისტორიისათვის (ლეონტი მროველის ცნობები „მცხეთელი მამასახლისის" შესახებ). საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XXIX, № 6, 1962, გვ. 801: შდრ. 803.

14 იქვე, გვ. 802, შენ. 1.

15 იქვე, გვ. 803.

16 იქვე, გვ. 802, შენ. 4.

17 ქართლის ცხოვრება. I, ტექსტი დადგენილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955, გვ. 14. (ხაზგასმა ჩვენია).

18 იქვე, გვ. 15.

19 იქვე, გვ. 17.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს ყველა დანარჩენ ხელნაწერების წაკითხვას და ჩვენთვის საინტერესო ადგილი უნდა აღსდგეს ასე — „უ ო ვ ე ლ ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა შ ი ნ ა“. ასე, რომ, როგორც ბუნებრივი იყო, საუბარია თურქთა ერთ ქალაქში (ე. ი. მცხეთაში, შ. მ.) დასახლებაზე“[20].

ჯერ ერთი, არ არის მართალი ოთ. ლორთქიფანიძე, როცა წერს, თითქოს ყველა ხელნაწერში. გარდა მარიამისეულისა, იკითხებოდეს „ყოველსა“. ასე მაგ., რუმიანცევისეულ ხელნაწერში (შედგენილია 1703 წლამდე). იკითხება: „ყ ო ლ თ ა (ყოველთა) ქ ა ლ ა ქ თ ა შ ი ნ ა“[21]; ასევეა, მ. ბროსეს სამართლიანი შენიშვნით, „ქართლის ცხოვრების“ სხვა, უმეტეს, ხელნაწერებშიც[22]. რაც შეეხება მარიამისეულზე ადრინდელ ხელნაწერებს (ანსეული, ჭალაშვილისეული), მათში ეს ადგილი საერთოდ არ არის. მეორე, მართალია, ზოგ ხელნაწერში, მაგ., თეიმურაზისეულში იკითხება „ყოველსა“[23], მაგრამ არა „უ ო ვ ე ლ ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა შ ი ნ ა“, არამედ „უ ო ვ ე ლ ს ა ქ ა ლ ა ქ თ ა შ ი ნ ა“. ასეთი არაზუსტი წაკითხვაც კი არ ცვლის საქმის ვითარებას[24]. ამრიგად, სავსებით სწორია მარიამისეული „ქართლის ცხოვრების“ „ყოველთა ქალაქთა შინა“ და იგი რაიმე შესწორებას სრულებით არ საჭიროებს. როგორც ჩანს, თურქები დაასახლეს ქართლის „ყოველთა ქალაქთა შინა“ და არა ერთ რომელიმე ქალაქში, მცხეთაში.

ამასვე ადასტურებს აგრეთვე თვით ლეონტისაც და სხვა ქართული წყაროს ჩვენებაც. ლეონტი მროველის ცნობით, ქართლში ალ. მაკედონელმა „იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად[25] და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკუარისასა მიხვევით, დაუკჳრდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი (ბუნთურქნი, შ. მ.) ქალაქებისა მისგან, არამედ მას ჟამსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ც ი ხ ე ნ ი მ ა გ ა რ ნ ი და ქ ა ლ ა ქ ნ ი ძ ლ ი ე რ ნ ი. კუალად გამოვიდეს სხუანი. ნათესავნი ქალდეველნი. და დაეშენნეს ი გ ი ნ ი ც ა ქ ა რ თ ლ ს“[26].

როგორც ვხედავთ, თურქნი (ბუნთურქნი) დასახლებულან „მტკურის მიხვევით“ ძლიერ ქალაქებსა და მაგარ ციხეებში, მთელ ქართლში. შემდეგ მოსულ ქალდეველთა მსგავსად და არა მაინცდამაინც მცხეთაში, როგორც ოთ. ლორთქიფანიძე ვარაუდობს[27].

თურქთა ქართლის სხვადასხვა ციხე-ქალაქებში დასახლების შესახებ ცნობას ადასტურებს და კიდევ უფრო აკონკრეტებს ლეონტის ერთ-ერთი პირველ-

---

20 ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 802, შენ. 1.

21 ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H: 2080, გვ. 9.

22 ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოცემა, გვ. 25, შენ. 2.

23 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Bl № 18, გვ. 16.

24 ამ შემთხვევაშიც არა ერთ, არამედ რამდენიმე ქალაქზეა საუბარი. ამასთანავე, თურქ „ქალაქი“ (სახელური) მრავლობითში იქნებოდა („ქალაქთა“). მისი მსაზღვრელიც („ყოველთა“) ცხადია მრავლობითში უნდა იყოს.

25 თურქები, სწორედ ისინი, ვინც მცხეთელმა მამასახლისმა სარკინეთში დაასახლა, ლეონტი მროველს ქვემოთ „ს ა რ კ ი ნ ე ლ ბ უ ნ თ უ რ ქ ე ბ ა დ“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 16) ჰყავს მოხსენიებული. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ლეონტისათვის „თურქნი“ და „ბუნთურქნი“ ერთი და იგივე შინაარსის ეთნონიმია.

26 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 17.

27 ლეონტის ზემომოტანილ ცნობას ამგვარივე ინტერპრეტაცია მისცა და ოთ. ლორთქიფანიძის ვარაუდიც ადრევე არადამაჯერებლად მიიჩნია გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ მ ა (Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 452 შენ. 245)

წყარო — „ქართლის მოქცევის" ქრონიკა: ალექსანდრე მაკედონელმა ქართლში „იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად და დაბნები მათი—სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრხე"[28]. როგორც ვხედავთ, „ქართლის მოქცევის" ავტორისა და ლეონტის ცნობებს შორის არა მარტო მსგავსება, არამედ სრული თანხმობაცაა. ლეონტის ამ პირველწყაროთი საერთოდ გამორიცხულია თურქთა დასახლება საკუთრივ მცხეთაში, რაც ჩვენ სავსებით სარწმუნოდ მიგვაჩნია. ლეონტის ცნობითაც, მცხეთის მამასახლისთან თხოვნით მოსულ თურქთა ოცდარვა სახლთან დამეგობრების შემდეგ, „ყოველთა ქართველთა" თანხმობით, მათი ერთი ნაწილი „განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა. ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას... მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე"[29]. ამ სავსებით ნათელი ცნობიდან კარგად ჩანს, რომ თურქები ქართლში ორ ნაკადად — ჯერ 28 სახლი და შემდეგ კიდევ „უმრავლესნი" კი არ მოსულან, როგორც ოთ. ლორთქიფანიძე ფიქრობს, არამედ ერთ ნაკადად და თურქთა ეს 28 სახლი, „ყოველთა ქართველთა" თანხმობით, განაწილდა „ყოველთა ქალაქთა შინა"; ოღონდ „უმრავლესი მათგანი", რომელთაც სარკინეთში ისურვეს დასახლება, საკუთრივ მცხეთელი მამასახლისის თანხმობით, დასახლებულ იქნა სარკინეში. ასე რომ, ლეონტი იმ „ყოველთა ქალაქთაგან", სადაც თურქთა 28 სახლი იქნა დასახლებული, მხოლოდ სარკინეს ასახელებს, დანარჩენებს კი, — კასპი, ურბნისი, ოძრხე (სარკინესთან ერთად), — მისი წყარო, „ქართლის მოქცევა".

ამრიგად, ა) „ყოველნი ქართველნი" ლეონტი მროველთან, მცხეთის სრულუფლებიან მოქალაქეთა კოლექტივის კი არა, იმდროინდელი ქართლის მოსახლეთა, კერძოდ ქართლოსის შთამომავალთა აღმნიშვნელია. ბ) უცხო ტოზის წარმომადგენელნი, ამ შემთხვევაში თურქები, „მცხეთელ მოქალაქეთა" კი არა, „ყოველთა ქართველთა" თანხმობით დაუმეგობრდნენ ქართველებს და დასახლდნენ ქართლის სხვადასხვა ქალაქებსა და ციხეებში. გ) მცხეთელი მამასახლისი თურქთა მხოლოდ ერთ, უმრავლეს ნაწილს ასახლებს, საკუთარი გადაწყვეტილებით, სარკინეთში. დ) თურქები მცხეთაში არ დასახლებულან და, ცხადია, მათი მცხეთის მოქალაქეებად მიღების საკითხიც არ დამდგარა. ე) არსაიდან არ ჩანს, რომ მცხეთის მამასახლისი მცხეთელ მოქალაქეთა თავკაცი, მათი კოლექტივის მეთაური იყოს. ყოველივე აქედან სავსებით ნათელია, **რომ ლეონტის ცნობები მამასახლისობის ხანისა და მცხეთელი მამასახლისის შესახებ შეუძლებელია გამოყენებულ იქნას ანტიკური მცხეთის საქალაქო მმართველობის შესასწავლად.**

ამასთანავე, ლეონტის ჩვენთვის საინტერესო ცნობის განმარტების დროს ანგარიში უნდა გაეწიოს არა მარტო თურქთა და ურიათა ქართლში დასახლების შესახებ მასალებს, ან ერთ რომელიმე ცალკე აღებულ სხვა ცნობას, არამედ აგრეთვე ლეონტის საერთო კონცეფციას, მის საერთო შეხედულებებს მეფობის გაჩენისა და მისი წინა დროის შესახებ.

---

[28] Е. Такайшвили, Описание рукописей, т. II, вып. 4, გვ. 708.
[29] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 15.

ზოგი მკვლევარის აზრით, ლეონტი მროველიც „მსოფლიო ისტორიის" პერიოდიზაციის ბიბლიურ სქემას მისდევდა და „განძთა ქუაბის" მსგავსად, პირველ კაცს ქვეყანაზე პირველ მეფედ მიიჩნევდა. ამგვარი მოსაზრების არასწორობაზე ჩვენ ადრევე მივუთითეთ[30]. ამჟამად კი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით გარკვევით არის ნაჩვენები, რომ ლეონტი მროველი საქართველოს მიმართ ისტორიის პერიოდიზაციის ბიბლიურ სქემას არღვევდა, არ მისდევდა მას[31]. მართლაც, ლეონტის მიხედვით, ქართლოსიანთა საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებას მეფობის გაჩენა არ მოჰყოლია. მართალია, ნებროთის დამარცხების შემდეგ „ჰაოს ჰყო თავი თჳსი მეფედ ძმათა თჳსთა ზედა და სხუთაცა ნათესავთა ზედა"[32], მაგრამ ეს, ლეონტის წარმოდგენით, სრულებით არ ნიშნავდა მეფობის გაჩენას ქართველთა შორის. ყველაფერი ეს იყო მანამ, სანამ ძმები — ქართლოსი, ჰეროსი და ეგროსი — საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრდებოდნენ; ამ დროიდან კი იწყება „ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა". აღსანიშნავია, რომ „ქართლის ამბავის" დაწყების შემდეგ, ლეონტი არაფერს ამბობს ქართლოსის მეფობის შესახებ, იგი მროველს არსად მეფედ არ ჰყავს მოხსენიებული. არც მცხეთოსი ყოფილა მეფე, იგი მხოლოდ „იყო განმგე და უფალ მათ ოთხთავე ძმათა ზედა. და ესე ოთხნივე იყვნეს მორჩილ მისა"[33]. მცხეთოსმაც „უფლობა" უანდერძა თავის მემკვიდრეს — უფლოსს, მაგრამ გამრავლებული ქართლოსიანები არ დაემორჩილნენ მას და „გამგეობისა" და „უფლობის" განაწილება მოითხოვეს: „ვითარცა მოკუდა მცხეთოს... შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოსისთა: იწყეს ბრძოლად და ჴდომად ურთიერთას. რამეთუ უფლოს, ძესა მცხეთოსისასა, არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად, რომელი დატევებულ იყო საყდართა ქართლოსისათა, რამეთუ მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლობა ქართლოსიანთა"[34]. აშკარაა, უფლოს „მამისა მისგან" მიცემული ჰქონდა მხოლოდ „უფლობა ქართლოსიანთა"[35]. მდგომარეობა არ შეცვლილა შფოთის შემდეგაც. ოღონდ გამრავლებულ ქართლოსიანებს, ერთი გამგებელისა და უფლის მაგიერ, რამდენიმე გაუჩენიათ, თუმცა ამ თანასწორთა შორის პირველობა მაინც მცხეთაში (როგორც პირველ ქართლოსიანთა საყდარში) მჯდომს შეუნარჩუნებია: „და გაგრძელდა მათ შორის ესევითარი საქმე, და **არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს**, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ეინცა იყვის მცხეთას, **რეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა. და არცა სახელდებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა.** რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედა-ქალაქად"[36].

30 შ. ფეხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ 64, შენ. 3.

31 გ. მაჭუტაია, „ქართლის ცხოვრების" წყაროს დადგენისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, XXXIII, № 1. 1964, გვ. 252—253, შენ. 1.

32 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 7.

33 იქვე, გვ. 9.

34 იქვე, გვ. 10.

35 არ უნდა მტკიცება იმას, რომ ლეონტი ერთიმეორისაგან არსებითად ასხვაებდა „უფლობა-გამგებლობას" და „მეფობას". ასე მაგ., ლეონტის მიხედვით, როცა თარგამოსის შთამომავალნი შონებდნენ ნებროთ „მეფეს ყოველისა ჩუენისა", ჰაოსი იყო „განმგებელ და ეფალ" თავის ძმათა. მხოლოდ ნებროთის დამარცხების შემდეგ იქცა ჰაოსი „მეფედ ძმათა თჳსთა ზედა" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 6—7).

36 ქართლის ცხოვრება, I. გვ. 11.

როგორც მოტანილი ამონაწერიდან ჩანს, უფლოსის შემდეგ კიდევ ერთი ცვლილება მომხდარა: რაკი ქართლოსის გამრავლებული შთამომავალნი ამიერიდან ერთ უ ფ ა ლ ს არ ემორჩილებოდნენ (ლეონტი ყველგან ქართლოსიანთა მხოლოდ ერთპიროვნულ გამგებლებს იხსენიებს „უფლად“), მათი ახალი გამგებელნი ამიერიდან მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ე ბ ა დ იწოდებოდნენ. მაგრამ მმართველობის შინაარსი ამით არ შეცვლილა. არც „უფალი“ იყო „მეფე“ და არც მამასახლისი; ეს უკანასკნელი, „უფალმან“ ერთად, არც ერისთავს აღნიშნავდა. ამას გარდა, თვით ტერმინები — „უფალი“ და „მამასახლისი“ — იმ დროისათვის არსებითად ერთიდაიმავე შინაარსის მატარებელი იყო. ქართლი ოთხთავის უძველეს (897 წ.), ადიშის, ნუსხაში ყველგან „უფლის“ მაგიერ მამასახლისი არის ნახმარი. ასე მაგ., პარხალისა და ჯრუჭის წყაროსთვის — „უკეთუმცა უწყოდა ს ა ხ ლ ი ს ა უ ფ ა ლ მ ა ნ“ — ადიშის ოთხთავში შეესატყვისება: „რამეთუ უწყოდა თუმცა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს მ ა ნ“ (მათე, 24, 43); ან კიდევ, ჯრუჭითა და პარხალით: „მსგავს არს იგი კაცსა ს ა ხ ლ ი ს უ ფ ა ლ ს ა“; ადიშით: „მსგავს ამას კაცსა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ს ა“ (მათე, 13, 52)[37]. ასე რომ, „უფალი ქართლოსიანთა“ არსებითად იგივე იყო, რაც „მამასახლისი ქართლოსიანთა“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ადრე უფალი ერთი იყო, ხოლო მამასახლისი არა ერთი, რამდენიმე.

რაც შეეხება „გ ა ნ მ გ ე ს“ ანუ „გ ა მ გ ე ს“, ეს კიდევ, ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, დამრიგებელსა და მზრუნველს ნიშნავდა და სხვას არაფერს. ქართლოსიანთა გამგეებად—დამრიგებლებად და მზრუნველებად—ამიერიდან მამასახლისები გამოდიოდნენ[38]. მაგრამ მათ შორის პირველობა ისევ მცხეთის მამასახლისს ეკუთვნოდა. ამიტომაც იგი ლეონტის მიერ, სხვა თავკაცთა, მამასახლისთაგან განსხვავებით, წოდებული „რ ე ც ა თავადად“, თითქოსდა უპირველესად. ლეონტი შემთხვევით არ ხმარობს „რ ე ც ას“ — მცხეთელი მამასახლისი, პირველ „უფალთა“ განსხვავებით, თავის მოქმედებაში მართლაც შეზღუდული იყო სხვა „თავადთა“ (მამასახლისთა) და „ყოველთა ქართველთა“ (გამრავლებულ ქართლოსიანთა) საერთო სურვილებით. მაგრამ ის, როგორც „თითქოსდა უპირველესი“ („რეცა თავადი“), ისევ ისე გამოდიოდა „ყოველთა ქართველთა“ მომწოდებლად, მათ „მაზავებლად და ბჭედ“, იმ შემთხვევაში, როცა საქმე „ყოველთა ქართველთა“ შეეხებოდა — როცა წყდებოდა უცხო ტომთან ურთიერთობის თუ საერთო საშინაო საქმეთა განბჭობის საკითხები. ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მასალა თურქთა მოსვლისა, დამეგობრებისა და დასახელების შესახებ ამის საუცხოო მაგალითია: „ხოლო მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი... მცხეთას სახლი ოცდა რვა. და ეზრახნეს მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ს ა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან ა უ წ ყ ა ყ ო ვ ე ლ თ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა. ინებეს დამეგობრება მ ა თ (ქართველთა, შ. მ.) თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა და შემწეობისათჳს დაიმეგობრნეს თურქნი... და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“[39]. როგორც

---

37 შდრ. აგრეთვე, მათე, 21, 33; 13, 27; 20, 11 და სხვ. (იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ, თბ., 1945).

38 მართებულად შენიშნავს ილ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე იმ ავტორებს, რომელნიც მცხეთის მამასახლისს „მეუფე მამასახლისს“ უწოდებენ მართლაც. მცხეთის მამასახლისი ამგვარად არც ერთ წყაროში არ არის მოხსენებული და ეს ტერმინიც ხელოვნურად არის შექმნილი (იხ. მისი ღასახელებული წერილი, გვ. 799—800).

39 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 15.

ვხედავთ, „მცხეთელი მამასახლისი“ ამ შემთხვევაში ის პირია, რომელმაც ბოლოდ „აუწყა ყოველთა ქართველთა“ სურვილი თურქებისა; თურქთათვის თანხმობის მიცემა, მათი დამეგობრება და „ყოველთა ქალაქთა შინა“ დასახლება კი „ყოველთა ქართველთა“ გადაწყვიტეს. ასევე დაიმეგობრეს „ყოველთა ქართველთა“ სხვა ტომთა წარმომადგენლებიც, რომელნიც კი ქართლში მოვიდნენ: „მას ჟამსა შინა სადათაც ვინ მივიდის ძჯრის-მოქმედთაგან საბერძნეთით, გინა ასურით ოტებული, გინა ხაზარეთით, ყოველივე დაიმეგობრიან ქართველთა შემწეობისათვის სპარსთა ზედა“[40].

ქართველთა ასეთი საერთო შეთანხმების მიღწევის შემდეგ ცალკეულ მამასახლისებს, ცხადია, შეეძლოთ შემოხიზნული უცხოელები იმ ადგილებზე დაესახლებინათ, რომელიც მათ სამამასახლისოში შემოდიოდა. ასე მაგ., თურქებთან დამეგობრების შესახებ „ყოველთა ქართველთა“ თანხმობის შემდეგ, მცხეთელმა მამასახლისმა თურქთა 28 სახლის უმეტეს ნაწილს, უკვე საკუთარი ვალდებულებით, დასასახლებლად მისცა სარკინე. მანვე მიიღო „ოტებულნი ურიანი“ და დაასახლა ზანავს. სარკინეცა და ზანავიც, ჩანს, მცხეთის სამამასახლისოში შედიოდა და, ცხადია, უცხოელთა აქ დასახლებაც მცხეთელი მამასახლისის კომპეტენცია იქნებოდა.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ლეონტის ცნობა მამასახლისობის დროინდელ ქართლოსიანთა შორის თანასწორობის არსებობის შესახებ: „არა ვინ იყო მათ (ქართველთა, შ. მ.) შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს“,—აცხადებს ლეონტი. ქართველთა (ქართლოსის შთამომავალთა) ამ ურთიერთისაგან განუსხვავებელ მოსახლეობას „ადგილითი-ადგილად თავადნი“, თავკაცნი, მამასახლისები უდგანან სათავეში და არა მეფეები და ერისთავები.

ყოველივე ეს — ქართველთა შორის „უწარჩინებულესისა და უსახელოვანესის“ არარსებობა, „ყოველთა ქართველთა“ უფლებამოსილება და მათი სურვილებით მამასახლისთა გამგებლობის შეზღუდვა, თვით მამასახლისთა გამგებლობა და არა მეფე-ერისთავთა მმართველობა — უფრო გვაროვნული წყობილების ამსახველად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე კლასობრივი საზოგადოებისა.

ამრიგად, ლეონტის ცნობებში მეფობის წინადროინდელი, მამასახლისობის ხანის საქართველოს შესახებ, ქრონოლოგიური შეცდომითა და ისტორიული პერსპექტივის დარღვევით, წინაკლასობრივი საზოგადოების სურათია დახატული[41].

საქართველოს ისტორიის ეს პირველი პერიოდი. თვით ლეონტისავე ცნობებით, არსებითად (უველაფრით) განსხვავდებოდა მომდევნო, მეორე პერიოდისაგან, რომელიც საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლის დროიდან იწყება. ალექსანდრეს მიერ უკანასკნელი მამასახლისის მოკვლის შემდეგ, ლეონტის ცნობით, ერთხანს აზოს — უკვე „ქართლის ერისთავად“ წოდებულის, დიქტატურა დამყარდა. მაგრამ ამას მალე მოუღო ბოლო მცხეთის ყოფილ მამასახლისთა ნათესავმა ფარნავაზმა, რომელიც **„მეფე იქმნა**

---

40 ქართლის ცხოვრება. I, გვ. 15.

41 შდრ. ს. ჯანაშია. გვაროვნული წყობილება ქართველ ტომებში, შრომები, II, გვ. 117.

ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა"[42]. „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი"[43]. ამ ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ა) ამ დრომდე ქართლოსის შთამომავალთა შორის მეფე არ ყოფილა; ბ) ქართლოსიანებმა განიცადეს სხვათა — ნებროთის, ჰაოსის, სპარსელთა, მაკედონელთა — მეფობა, მაგრამ არა ქართველისა; გ) ფარნავაზმა ქართლოსიანთა შორის მეფობა კი არ აღადგინა, როგორც ვარაუდობს ზოგი მკვლევარი, არამედ მან პირველმა შემოიღო იგი.

მაგრამ, მეფობის შემოღება, ლეონტის აზრით, ქართველთა გამგებლის მარტოოდენ სახელის შეცვლას კი არ ნიშნავდა, არამედ ღაშქრის შექმნას, წარჩინებულთა და სახელოვანთა გაჩენას, მმართველობის ახალი (ერისთავთა) სისტემის შემოღებას, ახალ ურთიერთობათა წარმოქმნას — ქართლოსიანებზე თვით ქართველთათვის ხარკის დაწესებას, ერთიანი ენისა და რელიგიის შემოღებას და სხვ.

მართლაც, როგორც კი გამეფდა, ფარნავაზმა „განამრავლნა ყოველნი მკედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი"[44], რომელიც „მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა. ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეუფო და საერისთავო"[45]. ყველაფერი ეს სავსებით უცხო და ახალი იყო ქართლოსიანთათვის.

მეფობასთან ერთად ჩნდება აგრეთვე „წარჩინებულნი და სახელოვანნი", ე. ი. წოდებრიობაც. პირველნი წარჩინებულნი სწორედ ისინი იყვნენ, ვინც ხელი შეუწყვეს ფარნავაზის გამეფებას და გაძლიერებას: „ათასი მჴედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს,... იპყრნა იგინი კეთილად... და უწოდა მათ სახელად ა ზ ნ ა უ რ ნ ი"[46]. ხოლო ფარნავაზის მემკვიდრემ „დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ ყვნა აზნაურნი"[47]. ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ ქართლოსიანთა შორის აღარ იყო მამასახლისობის დროინდელი თანასწორობა.

საქართველოს ისტორიის ამ ახალი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე სიახლე რელიგიასა და ყოფაში: ფარნავაზმა „შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თჳსსა: ესე არს არმაზი"... ქართლოსიანნი „არღარა ჴამდეს კაცსა"[48]... და რაც მთავარია, ამ დროისათვის ქართული ენა იქცა ერთიან, გაბატონებულ ენად ქართლისათვის: ფარნავაზის დროიდან „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული"[49].

მეფობის გაჩენა, რასაც თან სდევდა მმართველობის ახალი სისტემა, სამეფო და საერისთავო ხარკი, ქართლოსიანთა დამდაბლება და წარჩინებულთა გაჩენა, ცხადია, ქართლოსიანთათვის „თავისუფალი და განსუენებით" ცხოვრების დაკარგვას ნიშნავდა. ამიტომ იყო, რომ იმდროინდელი ქართლის მესვეურებმა, როგორც კი გარდაიცვალა ფარნავაზი, ძველი, მეფობის წინადრო-

[42] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.
[43] იქვე, გვ. 26.
[44] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.
[45] იქვე, გვ. 25.
[46] იქვე.
[47] იქვე, გვ. 27.
[48] იქვე, გვ. 25, 26.
[49] იქვე, გვ. 26.

რნდელი მდგომარეობის აღდგენა განიზრახეს. ლეონტის ცნობით, „ზრახვა ყვეს ერისთავთა ქართლისათა და თქუეს: **„არა კეთილ არს ჩუენდა, რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად, და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ,.. რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისუენებთ“**[50]. აშკარაა, რომ ლეონტის წარმოდგენით, ქართველები ფარნავაზამდე, ე. ი. მეფობის გაჩენამდე „არა მსახურებდნენ“ და არ მორჩილებდნენ თავიანთ ნათესავებს, რომ „პირველ“, ე. ი. მასზე ადრე, აქამდე, „იყვნენ თავისუფალ“ და რომ ამგვარი, ძველებური „ყოფით უფრო განისვენებენ“. ძველი, „თავისუფალი ყოფის“ დაბრუნება კი მეფის მოკვლით, ე. ი. მეფობის მოსპობით იყო შესაძლებელი.

ამრიგად, საქართველოს ისტორიის პირველ პერიოდში, ლეონტის წარმოდგენით, ქართლოსის შთამომავალთა შორის არ იყვნენ „წარჩინებულნი და სახელოვანნი“, ისინი არ მსახურებდნენ თავიანთ ნათესავს, მათ განაგებდნენ თავკაცები, მამასახლისები და არა მეფე და ერისთავები, არ იყო სამეფო და საერისთაო ხარკი, ქართლოსის შთამომავალნიც თავისუფლად ცხოვრობდნენ. მეორე პერიოდში კი გაჩნდნენ მეფე და ერისთავები, წარჩინებულნი და დამდაბლებულნი, სამეფო და საერისთაო ხარკი, ძლიერი ლაშქარი, მოისპო თავისუფლებით ცხოვრება, ე. ი. წარმოიქმნა ყველაფერი ის, რაც ასე დამახასიათებელია კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის და რაც სავსებით უცხო იყო პირველი, მამასახლისობის ხანის ურთიერთობისათვის.

ჩვენ ამჟამად ზედმეტად მიგვაჩნია საგანგებოდ შევჩერდეთ იმაზე, თუ რამდენად სწორად განსაზღვრა ლეონტი მროველმა როგორც პირველი, ასევე მეორე პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩოები და ან კიდევ, რამდენად სრულად დახატა ესა თუ ის პერიოდი. უდავოა, რომ არც ერთ შემთხვევაში იგი ზუსტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ცხადია — მროველის მიერ აშკარად დარღვეულია ისტორიული პერსპექტივი, მაგრამ ეს სრულებით არ გვიშლის ხელს ნათლად დავინახოთ მროველის საერთო კონცეფციის ძირითადი არსი — არსებითი განსხვავებულობა და დაპირისპირება მეფობის წინა და შემდგომი პერიოდებისა.

ამ უმთავრესს ვერ დაარღვევს აგრეთვე ზოგი სხვა წინააღმდეგობაც, რომელიც შეიძლებოდა შეგვენიშნა ლეონტის მონაცემებში — კერძოდ, ქალაქების არსებობა მამასახლისობის (ე. ი. გვაროვნული წყობილების) ხანაში. ლეონტი მროველის წარმოდგენით, ქალაქები საქართველოში ჩნდებიან არა მარტო მამასახლისობის, არამედ პირველ ეთნარქთა დასახელების დროიდანაც[51]. პირველ მოსახლეთა და ქალაქების გაჩენა, მისი აზრით, სავსებით ერთდროული პროცესია. ცხადია, იმ დროისათვის, ე. ი. საქართველოს ტერიტორიაზე პირველ მოსახლეთა გაჩენის დროისათვის, შეუძლებელია ვილაპარაკოთ საქართველოში კლასობრივი საზოგადოების არსებობის შესახებ. ასე რომ, ლეონტის მიერ ქალაქების არსებობის შესახებ მითითება საერთოდ შეუძლებელია გამოვიყენოთ ამა თუ იმ ხანაში კლასობრივი საზოგადოების არსებობის საბუთად.

ამასთანავე, ის ქალაქები, რომელთა არსებობასაც ლეონტი მეფობის წინადროინდელ პერიოდში ვარაუდობს, არსებითად იყვნენ ქართველთა ეთნარქისა და მის შთამომავალთა, უფალ-გამგებელთა და მამასახლისთა „საყდრე-

50 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26.

51 იქვე, გვ. გვ. 5, 8, 8—9, 9—10.

ბი" — რეზიდენცია-სიმაგრეები და არა ქალაქები ამ სიტყვის სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობით. სწორედ ამ რეზიდენცია-სიმაგრეებმა, გვაროვნული წყობილების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის დროიდან, ძვ. წ. V—IV საუკუნეებიდან დასაბამი მისცა საქართველოში ციხე-ქალაქების წარმოშობას[52].

აქვე ვთვლით შეუნიშნოთ, რომ ლეონტის ჩვენთვის საინტერესო ცნობა მამასახლისობის დროის შესახებ ამგვარადვე იყო გაგებული მის ახლო თუ შემდგომი დროის ისტორიკოსთა მიერ. „ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში ლეონტის თხზულების ეს ადგილი შემდეგნაირად იკითხება: „მაშინ განდიდდა ქალაქი მცხეთა და ეწოდა ქართლის სახლის დედა-ქალაქი და თავადს (*իշխան*), რომელიც იქ იჯდა, მთელი ქვეყნის მამასახლისი (*տանուտէր*) ეწოდებოდა. არც მეფეს, არც ერისთავსა და არც სხვა საპატიო სახელს სდებდენ მას"[53]. როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების" XII ს. მთარგმნელს მცხეთელი მამასახლისი არა მარტო მცხეთის, არამედ „მთელი ქვეყნის მამასახლისად" ჰქონია წარმოდგენილი.

XIII ს. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოზ ორბელიანის ცნობითაც, მეცხრამეტე საუკუნის წინადროინდელ ხანაში ქართველთა გამგებელი მამასახლისი იყო: „ხოლო სჯულ-ედვათ ქართველთა, რითამცა მთავართა თავისთავდმი სახელდვათ მამასახლისი, ვინაითგან არა ჰყუანდათ მეფე და იმყოფებოდა მამასახლისი ქართლისა დიდსა ქალაქსა ამას მცხეთას"[54]. ზოგან კიდევ სტეფანოზი იმდროინდელ ქართლის გამგებლად არა ერთ, არამედ რამდენიმე მამასახლისს ანუ „უხუცესთ მამასახლისთ" და „უფროსთ კაცთ" მიიჩნევს[55]. სტ. ორბელიანის სიტყვითაც, პირველი მეფე ქართლში ფარნავაზი იყო[56].

ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში ხომ საკმაოდ გაბატონებული იყო ლეონტის კონცეფცია საქართველოს ისტორიის ორ პერიოდად დაყოფის შესახებ. მისმა ერთ-ერთმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა თეიმურაზ ბაგრატიონმა, ლეონტის ზემოგანბილულ მონაცემებზე დაყრდნობით, თითქმის უნაკლოდ დაგვიხატა გვაროვნული წყობილების სურათი[57]. ასევე იყო გაგებული მროველის ცნობა მამასახლისის დროინდელი საქართველოს შესახებ არა მარტო ვახუშტისა და თეიმურაზის, არამედ შემდეგდროინდელი ისტორიკოსების მიერაც[58].

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ:

ა) ლეონტი მროველის მიერ პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ისტორია დაიყო ორ, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ — მამასახლისობისა და მეფობის — პერიოდებად. პირველი, დღევანდელი მეც-

---

[52] შდრ. Ш. А. Месхия. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, გვ. 16.

[53] ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ი. აბულაძემ, 1953, გვ. 14.

[54] ლ. მელიქსეთ-ბეგი, სტეფანე სიუნიელის „ორბელიანთა ისტორიის" ქართული ვერსია, „საისტორიო მოამბე", ტ. VI, გვ. 53.

[55] იქვე, გვ. 54.

[56] იქვე.

[57] შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, გვ. 63—64; ა. ბარამიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და პირველყოფილი თემური წყობილების საკითხი ქართველ ტომებში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, XXVI, № 5, 1961, გვ. 631—638.

[58] იხ. ა. ბარამიძე, დასახ. წერილი.

ნიერული ტერმინოლოგიით, გვაროვნული წყობილების პერიოდია; მეორე კი სახელმწიფოს წარმოშობისა და ახალ სოციალურ (კლასობრივ) ურთიერთობათა გაბატონების პერიოდია.

ბ) საქართველოს ისტორიის ლეონტისეული პერიოდიზაცია სავსებით ორიგინალურია. არსაიდან ჩანს, რომ იგი ვინმესგან იყოს ნასესხები და დამოკიდებული.

გ) ისტორიის ამგვარი დაყოფა სრულიად ახალი სიტყვა იყო შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში საერთოდ. სწორედ იმ ხანაში, როცა გაბატონებული იყო „მოძღვრება“ მეფის ხელისუფლების თავდაპირველადვე, ღვთის მიერ დაწესების შესახებ, ლეონტი მის მოწინააღმდეგედ გამოდის და ქართულ სამეფო ხელისუფლებასა და სოციალურ უთანასწორობას მხოლოდ გარკვეული დროიდან და ისიც მძიმე ბრძოლებით წარმოქმნილად მიიჩნევს. შუა საუკუნეებში გაბატონებული პროვიდენციალიზმის უარყოფის ცდაშია ამ კონცეფციის ორიგინალობა, სიახლე და მნიშვნელობა. ყველაფერი ეს იმ ეპოქისათვის თითქოს მოულოდნელია, მაგრამ მოულოდნელობა არსებულის (ფაქტის) უარყოფის საფუძვლად არ შეიძლება გამოდგეს.

ლაშა ჯანაშია

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა ჯერ კიდევ არ არის თავისი მნიშვნელობის შესაფერად შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რიგი სპეციალური გამოკვლევებისა, მრავალი უმნიშვნელოვანესი საკითხი ჯერაც არაა გადაწყვეტილი. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „ქართლის ცხოვრება“, ეს ერთ-ერთი უმთავრესი ლიტერატურული წყარო საქართველოს ისტორიისა. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ისეთ ძირითად საკითხებზეც კი, როგორიცაა ამ ძეგლის შედგენილობა, ცალკეულ ნაწილთა მოცულობა და ხასიათი, მათი დაწერის დრო, ავტორების ვინაობის, მოღვაწეობის ხანა და სხვ. ზემოთქმული სავსებით შეეხება „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილებსაც („ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „წინოს მიერ ქართლის მოქცევა“), რომლებიც ტრადიციულად ლეონტი მროველს მიეწერება. რასაკვირველია, ამ საკითხების გადაწყვეტას დასჭირდება სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ხანგრძლივი კვლევა-ძიება, წინამდებარე მცირე წერილის მიზანი კი მხოლოდ ისაა, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ერთი ადგილის ანალიზის საფუძველზე საილუსტრაციო მასალა წარმოადგინოს მისი სტრუქტურისა და ავტორის (თუ ავტორების) შემოქმედებითი მეთოდის გასარკვევად. ბუნებრივია, ამ თხზულების მესამე თავში მოთხრობილი ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის ამბავი.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ეს ადგილი მრავალმხრივ არის საინტერესო და მან კარგა ხანია მიიპყრო კიდევაც მკვლევართა ყურადღება. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის ამბავი მოთხრობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეშიც. ამდენად დგება საკითხი, თუ რა ურთიერთობაა ამ თვალსაზრისით აღნიშნულ წყაროთა შორის.

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა აზრი იმის შესახებ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ლეონტი მროველის ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა[1]. აღნიშნულ იქნა ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო ადგილი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული „მოქცევაჲ ქაოთლისაჲ“-ზე[2].

---

[1] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფილისი. 1900, გვ. LXXX და შმდ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 182—183, Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 32 და შმდ.

[2] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. 2, შენ. 2. Е. С. Такаишвили. Источники грузинских летописей. Три хроники. СМОМПК, вып. XXVIII, 1900, გვ. 4. შენ. 2; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 38.

განსხვავებული შეხედულება ჰქონდა აკად. კ. კეკელიძეს. მას მიაჩნდა, რომ ლეონტი მროველმა გამოიყენა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მხოლოდ მეორე ნაწილი, ე. წ. „ნინოს ცხოვრება“, ხოლო პირველი ნაწილით მას არ უსარგებლიაო. კ. კეკელიძის სიტყვით, ლეონტი მროველმა და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორმა აღნიშნული ნაწილების დაწერისას ისარგებლეს ერთი და იმავე წყაროთი, რომელშიც შეიტანეს თავისებური ცვლილება. ვფასაკუთრებით საყურადღებოა კ. კეკელიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წარმართობის ხანის ისტორია ლეონტის თითქმის უცვლელად გადაუწერია VII—VIII სს. რომელიღაც ისტორიული თხზულებიდან[3].

დაწვრილებით განვიხილოთ „მეფეთა ცხოვრებაში“ გადმოცემული ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის ამბავი და შევუდაროთ იგი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შესატყვის ადგილს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“

პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეჴადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა. იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, — მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუევით, ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაჴე, და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჱ კასპისა, ურბნისისა და ოძრაჴისაჲ.

დაუკჳრდა ალექსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყუნეს, ყოველსა ჴორციელსა ჰამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჰამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მათი მეფესა, და წარეიდა.

მაშინ მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი და ითხოვეს ბუნთურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა. და დასხღეს ზანავს. და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, პრჭჳან მას ხერკი[4].

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“

ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქჳან მაკედონი, ძე ნიკტანებისი, მეგჳპტელისა, ვითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა.

ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამჴრით. შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად, და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა, რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათჳს არა უჩნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჰამდეს, მკუდარსა შესჰამდეს, ვითარცა მჭეცნი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უჴმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისა მიხვევით, დაუკჳრდა ესე ალექსანდრეს, რამეთუ

---

[3] კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1923, III, გვ. 52—55; მისივე. „ნინოს ცხოვრების“ მატიანისეული რედაქციის ავტორი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1945, გვ. 274.

[4] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.); ილია აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბილისი, 1964, გვ. 81.

> არა რომელი ნათესავნი იქმოდეს მას. და უნება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას ჟამსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერ-ნი. კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი, და დაეშენნეს იგინიცა ქართლს[5].

საზგასმული სიტყვების დამთხვევა იმდენად ნიშანდობლივია, რომ კეკელიძეს მიაჩნდა, საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მართლაც წარმოადგენდა წყაროს „ქართლის ცხოვრებიდან“ მოტანილი ადგილისათვის. ამასთან მოყვანილ ნაწყვეტებს შორის, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვანი განსხვავებაცაა. „ქ. ც.“-ში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ალექსანდრემ „ნათესავნი იგი ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეჴვადნა იგინი ქედარსა მას ქუეყანასა“. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება კ. კეკელიძეს მიაჩნდა იმის ერთ-ერთ საბუთად, რომ ლეონტი მროველს ამ ადგილას არ გამოუყენებია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“[6]. მაგრამ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორს ხომ მიზნად არ ჰქონია მთლიანად, უცვლელად გადაეწერა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“! შესაძლებელია, არსებობდა კიდევ უფრო სერიოზული მიზეზი იმისა, რომ ეს ცნობა არ შევიდა „ქ. ც.“-ში. საქმე იმაშია, რომ ლოთის შვილებად იწოდებიან მოაბელთა და ამონელთა ტომები. რომლებიც „დაბადების“ თანახმად ბიბლიური ლოთის შთამომავლები არიან. ხოლო არც „დაბადების“ და არც რომელიმე სხვა წყაროდან ცნობილი არაა, რომ ალექსანდრე მაკედონელს რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა ამ ტომებთან. ამიტომ „მ. ქ.“-ს ცნობას, ჩანს, ეჴვი გამოუწვევია „მეფეთა ცხოვრების“ ავტორში და მას უმჯობესად ჩაუთვლია საერთოდ გამოეტოვებინა იგი. საინტერესოა, თუ საიდან მოხვედა იგი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში.

გამოტოვებული ადგილის მაგივრად „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს შეუტანია ცნობა ალექსანდრეს წარმომავლობის შესახებ. ამ ცნობის წყაროდ დასახელებულია „ბერძენთა წიგნი“. კ. კეკელიძის სიტყვით ეს წიგნი ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრია“ უნდა იყოს, რადგან ნიკტანები ალექსანდრეს მამად მოხსენიებულია მხოლოდ მასში[7]. შემდეგ დამატებულია ალექსანდრეს მარშრუტი ქართლში მოსვლამდე. ეს მარშრუტი იმდენად ზოგადად არის მოცემული, რომ ძნელი გასარკვევია ავტორს იგი რომელიმე წყაროდან აქვს აღებული, თუ თვითონ შეუთხზავს. უნდა ითქვას, რომ ეს ორივე დამატება საკვირველია გამართლებულია შინაარსობლივი თვალსაზრისით.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მომდევნო ფრაზა, როგორც ეს ნათლად ჩანს, თითქმის უცვლელადაა შესული „ქ. ც.“-ში. ოღონდ ფრაზის შუაში „ბუნ-თურქი“ შეცვლილია „წარმართნით“ და ჩართულია ამ „წარმართნის“ განსაზღვრება („რომელთა-იგი ჩუენ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ“). განსაზღვრების ბიზანი ცხადია: უფრო გასაგები გახადოს ტექსტი მკითხველისათვის. აღსანიშნა-

---

5. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 17.

6 კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 50.

7 კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 48—49.

ვია, რომ იგი მოგვიანო ჩანართის შთაბეჭდილებას ახდენს. „ქართლის ცხოვრების“ ნაწილებში, რომლებიც ლეონტი მროველს მიეწერება, „ყივჩაყი“ ამის მეტად არ გვხვდება. ეს სახელი პირველად ჩნდება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ კ. კეკელიძის შეხედულება, რომლის თანახმად ლეონტი მროველს ხელთ ჰქონდა VII—VIII სს. დაწერილი ისტორიული ნაშრომი, რომელიც შეიცავდა ქართველთა წარმართობის ხანის ისტორიას. ეს ნაშრომი ლეონტის მთლიანად გადაუწერია (ისევე, როგორც შემდგომი ხანისთვის გადაწერა „ნინოს ცხოვრება“) ოღონდ შიგ მექანიკურად ჩაურთავს სხვადასხვა წყაროებიდან ამოღებული ეპიზოდები[8]. ლეონტი მროველს რომ ზეპირთან ერთად გამოუყენებია რიგი ადგილობრივი წერილობითი წყაროებისა ეჭვს გარეშეა. ამასთან საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება დებულება „მეფეთა ცხოვრების“ პირვანდელი ტექსტის (თუ „მეფეთა ცხოვრების“ ძირითადი ლიტერატურული წყაროს) VII—VIII სს-ით დათარიღების შესახებ[9]. აქედან ჩანს, რომ პირვანდელ ტექსტში „ყივჩაყები“ მოხსენიებული არ იქნებოდნენ, რადგან XI ს-ზე ადრე მათი მოხსენიება მოსალოდნელი არაა. საფიქრებელია, რომ ჩანართი ეკუთვნის ლეონტი მროველს. როგორც ირკვევა. პირვანდელ ტექსტში ციტატა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან სრულად ყოფილა შესული (დასაბუთება იმისა რომ ეს ციტატა უკვე პირვანდელ ტექსტში არსებობდა იქნება ქვემოთ).

ყურადღებას იქცევს აგრეთვე სახელი „ბუნთურქი“, რომელზეც კ. კეკელიძე შენიშნავდა, შესაძლებელია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან ესესხოს ლეონტი მროველსო[10]. ვფიქრობთ, ამ დებულების მტკიცება უფრო დაბეჯითებითაც შეიძლება, რადგან ეს სახელი „ქ. ც.“-ში სულ ორჯერ გვხვდება და ორივეჯერ ალექსანდრეს ლაშქრობის ამბავში. რომელიც, როგორც ვრწმუნდებით, დიდად არის დამოკიდებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ზე. ალექსანდრეს ლაშქრობამდე ათჯერ, ხოლო შემდეგ მრავალგზის „ქ. ც.“-ში ლაპარაკია „თურქებზე“.

ყურადღებას იქცევს შემდეგიც: როგორც აღნიშნული გვაქვს, ალექსანდრეს შემოსვლამდე „ქ. ც.“-ში ლაპარაკია თურქებზე, მოთხრობილია სპარსელებთან მათი ბრძოლის ამბავი და მოყვანილია გადმოცემა სპარსელებისაგან გამოქცეულ თურქთა ოცდარვა სახლის ქართლში მოსვლასა და განსახლებაზე. ალექსანდრეს შემოსვლის ამბავში ეს თურქები ბუნთურქებად იხსენიებიან, შემდეგ კი ისევ თურქებად. ე. ი. ერთი ხალხი ორი სახელით იხსენიება. საეჭვოა, რომ ეს ერთ ავტორს გაეკეთებინოს. როგორც ჩანს, აქაც საქ-

[8] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 53—55. მ ი ს ი ვ ე, „ნინოს ცხოვრების“ მატიანისეული რედაქციის ავტორი, გვ. 274.

[9] ამის შესახებ გარდა კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს დასახელებული გამოკვლევებისა იხ. აგრეთვე პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ლეონტი მროველი, ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1945.

[10] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 50. „ბუნთურქების“ ეტიმოლოგიაზე უნდა იოქვას შემდეგი: მ. ბ ე რ ს ე ს ეს სახელი ესმოდა როგორც პირველადი, ძირითადი თურქები (Turks primitifs; Histoire de la Géorgie. Ire partie, 1849. გვ. 32). ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს თანახმად სომხური „ბუნ“ ქართულში აღნიშნავს შუბის ტარს და, შესაძლებელია, თვით შუბსაც, ამიტომ „ბუნ-თურქი“ უნდა ნიშნავდეს შუბოსან თურქსო (Источники грузинских летописей, გვ. 1—2). მაგრამ ასეთი წარმოება (შუბ-თურქი, ხმალ-ქართველი, ხანჯალ-სოჭები) ბუნებრივად არ გამოიყურება ქართულისათვის და ბროსესეული გაგება უფრო სწორი უნდა იყოს. ასევეა გაგებული ეს სახელი გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს მიერაც (К истории древней Грузии, გვ. 125). ასეთ გაგებას მხარს უჭერს სომხური მონაცემებიც. სომხურში „ბუნ“ აღნიშნავს ხის ტანს, ძირს, ფესვს, ძირეულს, ნ?. დეილს. ამასთან გვხვდება ხოლმე ამ ძირით ნაწარმოები შესიტყვებანი, მაგ., მოესეს

მე გვაქვს ორ ფენასთან. საფიქრებელია, რომ ძველ ფენაში ლაპარაკი იყო თურქებზე, ბუნთურქები კი გვიანდელი რედაქციაა. ეს ჩანს იქიდან, რომ ბუნთურქების მოხსენიება კერძო შემთხვევის შთაბეჭდილებას ახდენს და, როგორც ვნახეთ, ისინი XI ს-ის ჩანართში არიან შეტანილი.

როგორც ცნობილია, „ქ. ც.“-ში არაა „მ. ქ.“-ს ცნობა აზოს მიერ არიან — ქართლიდან მამამუძეთა 18 სახლის მოყვანის შესახებ. აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ცნობა თურქთა 28 სახლის მოსვლაზე წარმოადგენს „მოქცევაჲ“-ს ცნობის ვარიაციას, „ქ. ც.“-ში მისი გამოტოვების ერთგვარ კომპენსაციას. გ. მელიქიშვილის სიტყვით, „მოქცევაჲ“-ს იმ ვარიანტში, რომლითაც სარგებლობდნენ „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელნი, აზოსთან დაკავშირებით ალბათ 28 სახლი იხსენიებოდა“[11]. აქედან გამომდინარეობს, რომ „მეფეთა ცხოვრების“ პირვანდელ ტექსტს „მ. ქ.“-ს გავლენა განუცდია თურქებთან დაკავშირებითაც. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მასში თურქები დახასიათებულნი იქნებოდნენ უწმინდურებად, ისე, როგორც დახასიათებულნი არიან „მ. ქ.“-ში ბუნთურქები.

შემდეგ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ჩამოთვლილია ქალაქები და ციხეები, რომლებიც ბუნთურქებს ეჭირათ. ეს ჩამოთვლა არ არის „ქართლის ცხოვრებაში“, მაგრამ, როგორც შემდგომში დავრწმუნდებით, „მეფეთა ცხოვრებას“ ავტორს იგი მაინც გამოუყენებია. გამოტოვებულია აგრეთვე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობა, რომ ბუნთურქები „იებოსელთა ნათესავნი იყვნეს“. იებოსელნი ერთ-ერთ ებრაულ ტომს წარმოადგენდნენ. ისინი ცხოვრობდნენ იერუსალიმში სიონის მთაზე. ძვ. წ. X ს. დასაწყისში იერუსალიმი აიღო იუდეველთა მეფემ დავითმა, იზრაელისა და იუდეას გაერთიანებული სამეფოს შემქმნელმა. საკმაოდ მალე ამის შემდეგ იებოსელნი გაითქვიფნენ სხვა ებრაულ ტომებში. ამიტომ იებოსელებს არავითარი კავშირი არა ჰქონიათ ალექსანდრე მაკედონელთან და, მით უმეტეს, ბუნ-თურქებთან. როგორც ჩანს, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი აქ შემთხვევაშიაც შეგნებულად უქცევს გვერდს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს საეჭვო ცნობას.

სამაგიეროდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მომდევნო ფრაზა („ყოველსა ჴორციელსა ჴამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშჴამდეს“) „ქართლის ცხოვრებაში“ ორჯერ არის შეტანილი: ერთხელ, ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში, ოღონდ აქ გამოტოვებულია სიტყვები „სამარე მათი არა იყო“. მეორედ ეს ფრაზა შესულია ალექსანდრეს შემოსვლის წინა თავში. აქ იგი სრულადაა დაცული: „და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა. რამეთუ ცოლ-ქმრობისათჳს არა უჩნდა ნათესაობა. და ყოველსა ხორცსა ჴამდეს, საფლავი არა იყო, მკუდარსა შესჴამდეს“. საყურადღებოა, რომ ორივეგან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ჴორციელსა“ შეცვლილია „სულიერსა“-თი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ორივე ადგილი ერთ ავტორს ეკუთვნის.

ხორენაცისთან „ბუნ ვოსტან“ (ըուն ոստան; Մովսիսի Խորենացւոյ Պատմութիւն Հայոց Տիգիս. 1913, გვ. 111). საყურადღებოა, რომ ს. ჯანაშია საგანგებოდ იხილავდაა ამ ადგილს ხორენაცის თხზულებაში და „ბუნ-ვოსტანს“ თარგმნიდა როგორც Природный, коренной остан-ს (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი VI. თბილისი, 1937, გვ. 76).

[11] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 37.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის, რომ თუ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ეს დახასიათება ბუნთურქებს განეკუთვნება, „ქართლის ცხოვრებაში“ იგი ქართველებს შეეხება. აღსანიშნავია, რომ კ. კეკელიძეს ეს განსხვავება ერთ-ერთ ძირითად საბუთად მოჰყავდა იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ადგილას ლეონტი მროველს „მოქცევაჲ“ არ გამოუყენებია[12]. მაგრამ ტექსტის ანალიზი სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს. მას შემდეგ, რაც ქართველები კაციჭამიებად და უწმინდურებად არიან დახასიათებულნი, ნათქვამია „და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ,... დაუკჳრდა ესე ალექსანდრეს. რამეთუ არა რომელი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ქალაქებისა მისგან“. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ უწმინდურება მიეწერება წარმართებს, „რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ“. ამაზეკე მიგვითითებს ისიც, რომ უწმინდურობის გამო ალექსანდრემ მოისურვა ისინი „იმ ქალაქებიდან“ აღმოეფხვრა. რა ქალაქებია ეს? წინა თავში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთში მოსული თურქები ქართველებმა „განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“, უმეტესი მათგანი კი სარკინეში დასახლდაო. მაშასადამე, უწმინდურებად აქაც თურქები იგულისხმებიან. შემდეგ აღწერილია ალექსანდრეს ბრძოლა ქართლში. აღწერაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ბუნთურქთა მთავარი ციხე-სიმაგრის სარკინის ალყას, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან, როგორც ვნახეთ, ბრძოლის მთავარი მიზანი უწმინდურ ხალხთა მოსპობა იყო. მართლაც, როდესაც ალექსანდრემ დაიბყრო მთელი ქართლი, „მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუევნა... და დაუტევნა ქართლოსიანნი“. ასეთი სიმკაცრე უცხოელთა მიმართ და ლმობიერება ქართველთა მიმართ გასაგები იქნება მხოლოდ მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ უწმინდურები არაქართველნი იყვნენ[13].

ამრიგად, თუ თავდაპირველად უწმინდურებად ქართველები იყვნენ მიჩნეულნი, ბოლოს გამოირკვა, რომ ასეთები სხვანი ყოფილან. რითი აიხსნება ეს გარემოება? ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც გვაქვს ორი ფენა. უძველესში, როგორც ჩანს, უწმინდურებად დასახელებულნი იყვნენ ბუნთურქები (უფრო ზუსტად — თურქები), შემდგომ კი ცდილან ეს ცნობა ქართველებზე გადაეტანათ, მაგრამ ძველი ვითარების კვალი მაინც დარჩენილა.

ამგვარად, როგორც ირკვევა, ის ადგილები, სადაც ლაპარაკია ქართველთა უწმინდურებაზე პირვანდელ ტექსტში არ ყოფილა და ისინი გვიანდელ ჩანართებს წარმოადგენენ[14].

შესადარებელ ტექსტებში ყურადღებას იქცევს ისიც, რომ „მ. ქ.“-ს ცნობა „და ვერ ეძლო ბრძოლაჲ მეფესა, და წარვიდა“ გამოირებულია „ქ. ც.“-

---

[12] კ. კეკელიძე. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 50.

[13] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 280.

[14] ამ ჩანართების გაკეთების მიზანი ახსნილი აქვს ე. თაყაიშვილს. მისი სიტყვით, „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელმა უწმინდურება ქართველებს მიაწერა იმისათვის, რომ უფრო რელიეფურად ეჩვენებინა მათი ეკლესიობა ქრისტიანობის მიღების წინ, დაემცრო წინაქრისტიანული კულტურა და განედიდებინა ალექსანდრე მაკედონელის განმანათლებელი მოღვაწეობა (Источники грузинских летописей, გვ. 4—5, შენ. 2).

აღსანიშნავია, რომ ამ ჩანართებმა წარმოშვა რიგი გაუგებრობათა, როგორიცაა შეხედულება ქართველთა კანიბალიზმის შესახებ და სხვ.

შიც. თუმცა რამდენადმე გავრცობით: „და ენება რათამცა აღმოფხურნა იგინი ჭალაჭებისა მისგან, არამედ მას ჟამსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი“. აქედან ჩანს, რომ წინააღმდეგ კ. კეკელიძის მტკიცებისა[15], „ქართლის ცხოვრებას“, ისევე, როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ალექსანდრე ორჯერ მოჰყავს ქართლში[16].

შემდეგ „მ. ქ.“ მოგვითხრობს ქალდეველთაგან „გამოსხმულ ჰონთა“, „ქ. ც.“ კი თვით ქალდეველთა ქართლში მოსელის შესახებ. მიუხედავად იმ ცნობისშენელოვანი განსხვავებისა, რომელიც არის ამ ცნობათა შორის, საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც „ქ. ც.“-ის წყაროს „მ. ქ.“ წარმოადგენს. ჯერ ერთი, როგორც ირკვევა, ალექსანდრეს ლაშქრობის ამბავი ორივე წყაროში კომპოზიციურად ერთნაირადაა დალაგებული. ამ ცნობებს კი შესატყვისი ადგილები უპირავთ (ორივე წყაროში ისინი მოსდევენ ცნობას იმის შესახებ, რომ ალექსანდრემ „ვერ უძლო“ ბრძოლა და წინ უსწრებენ ალექსანდრეს ზღორედ ლაშქრობის აღწერას). მეორე: ანგარიშგასაწევია ისიც, რომ „ქალდეველები“ „ქ. ც.“-ში სულ სამჯერ იხსენიებიან, სამივეჯერ ლეონტი მროველისადმი მიკუთვნებულ თხზულებებში და, როგორც ჩანს, სამივე შემთხვევაში „მ. ქ.“-დან მომდინარეობენ. გარდა ზემოხსენებული ადგილისა, „ქალდეველები“ ორჯერ იხსენიებიან „ნინოს მიერ ქართლის მოქცევაში“, რომელიც, როგორც ცნობილია, თითქმის სიტყვასიტყვით არის გადაწერილი „მ. ქ.“-დან[17].

შედარება გვიჩვენებს, რომ „მ. ქ.“-ს აღნიშნული ცნობა „ქ. ც.“-ში შემოკლებული და დამახინჯებული სახითაა წარმოდგენილი. სამაგიეროდ, იგივე ცნობას ვხვდებით მეორეგანაც „ქ. ც.“-ში, ალექსანდრეს შემოსვლის წინ: „და გამოჴდეს ამას შინა ჟამნი მრავალნი. მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტუებნა იერუსალემი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა... მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქჳან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდა მათ ხარკითა. აწ ჰქჳან ხერკ ხარკისა მისთჳს“[18]. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში „მ. ქ.“-ს ცნობამ სულ სხვა ხასიათის ცვლილებები განიცადა.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ჰონების მაგივრად აქ იხსენიებიან ურიანი. ე. თაყაიშვილის ახსნით, „მ. ქ.“-ს დედანში იყო «ჰურიანნი“, ოღონდ დაჭარაგმებული.როგორც „ჰონნი“. „ჰონნი“ მისი მცდარი წაკითხვაა“[19]. მართალია, ქალდეველებთან, ე. ი. ბაბილონელებთან კავშირში სწორედ ებრაელე-

---

15 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, გვ. 50.

16 ეს იგივეობა აღნიშნა ჯერ კიდევ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მა. იხ. მისი Источники грузинских летописей, გვ. 6, შენ. 1.

17 აქედან ერთ შემთხვევაში ქალდეველთა წარმომავლობა დვინდება ტექსტების უბრალო შეერთებით („ქ. ც.“, გვ. 106; „მ. ქ.“, გვ. 132). მეორე შემთხვევაში მდგომარეობა რამდენადმე რთულდება, რადგან სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა მოხსენიებული ყოფილიყვნენ ქალდეველები, აკლია „მ. ქ.“-ს ორივე რედაქციას („ქ. ც.“, გვ. 91; „მ. ქ.“, გვ. 121). ძგრას ლაკუნის წინა და მომდევნო ადგილები თითქმის სიტყვასიტყვითაა შესული „ქ. ც.“-ში და ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მაინცდამაინც ჩვენაურის საყურადღებო ადგილი იმავე წყაროდან არაა აღებული.

18 ქართლის ცხოვრება, გვ. 15—16.

19 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. CI: მ ი ს ი ვ ე, Источники грузинских летописей, გვ. 5. შენ. 1.

ბი უნდა ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი და არა ჰუნები, რომელთაც მათთან ისტორიულად არავითარი შეხვედრის მომენტი არ გააჩნდათ. არც ისაა გამორიცხული, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა „ჰონები“ თვითონ გაასწორა „ურიებად“ მათი ქალდეველებთან ერთად მოხსენიების გამო. როგორც ცნობილია, ქალდეური ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ II ორჯერ აიღო იერუსალიმი (597 და 586 წწ.) და უამრავი ებრაელი გადაასახლა ბაბილონში (ბაბილონის ტყვეობა). ეს ამბავი მოთხრობილია „დაბადებაში“ და, როგორც ჩანს, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა იცოდა იგი. მას შემდეგ, რაც „ჰონები“ „ურიებად“ გასწორდნენ, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰურიანი“ სავსებით სამართლიანად დაუკავშირა ნაბუქოდონოსორის სახელს. ამასთან მან გაასწორა „მ. ქ.“-ში არსებული ანაქრონიზმი („მ. ქ.“-ში „ჰონების“ (ე. ი. „ურიათა“) ქალდეველთაგან „გამოსხმა“ ალექსანდრე მაკედონელის დროს ხდება) და ეს ამბავი წინა თავში, ე. ი. ალექსანდრეზე ადრინდელ ეპოქაში გადაიტანა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თუ „მ. ქ.“-ში ჰონები ქვეყანას ბუნ-თურქთა ღვწისაგან თხოულობენ, „ქ. ც.“-ში ურიანი მცხეთელთა მამასახლისს მიმართავენ. საქმე ისაა, რომ „მ. ქ.“-ს თანახმად ჰონების მოსვლის დროს ქართლში მხოლოდ ბუნთურქები ცხოვრობდნენ, „ქ. ც.“-ის მიხედვით კი უძველეს მოსახლეობას ქართველები წარმოადგენდნენ, ხოლო თურქები თვითონ იყვნენ მოსულნი. ამიტომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს კიდევ ერთი შესწორება შეუტანია „მ. ქ.“-ს ცნობაში და იგი კარგად შეუფარდებია თავისი თხზულების ზოგადი ხაზისთვის.

ამრიგად, ჩვენ ვნახეთ, რომ „მ. ქ.“-ს ერთი ადგილი ორი რედაქციით, შევსებულ-შესწორებულითა და შემოკლებულ-დამახინჯებულით, შესულა „ქ. ც.“-ში. ამ შემთხვევაშიაც ჩვენ ორი ავტორის ხელი გვეგულება. პირველი რედაქციის ავტორი, როგორც ირკვევა, არის დაკვირვებული, მცოდნე და განათლებული პირი, რომელიც თავისი წყაროს ცნობას ასწორებს, ამდიდრებს და ოსტატურად უკავშირებს თავის თხრობას. მეორე რედაქციის ავტორს კი თავისი წყარო დაუდევრად წაუკითხავს, კარგად ვერ გაუგია და ცნობა იქიდან დამახინჯებით და შემოკლებით გადმოუტანია. როგორც ჩანს, ქრონოლოგიურად უძველესია პირველი რედაქცია, რადგან მის დაკვირვებულ ავტორს. რომ მეორე რედაქცია დახვედროდა ტექსტში, იგი მას ალბათ გაასწორებდა.

შემდგომში კავშირი „მ. ქ.“-სა და „ქ. ც.“-ს შორის ნაკლებად ცხადია. მაგრამ ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს აქაც განუცდია „მ. ქ.“-ს გავლენა. ალექსანდრეს ქართლში მობრუნება და ბრძოლა. „მ. ქ.“-ში გადმოცემულია შემდეგნაირად: „და შემდგომად რაოდენსამე ჟამისა მოვიდა ალექსანდრე, მეფემ ყოვლისა ქუეყანისაჲ. და დალეწნა სამნი ესე ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახჳლი. ხოლო სარკინესა ჴალაქსა ებრძოლა ათერთმეტ თთუ და დადგა სარკინესა დასავლით კერძო და დასცა ვენაჯი და რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუვენი დასტაგითა რუჲსაჲთა; და ჰრჭუან ადგილსა მას ნასტაგისი. და მერმე გამოიღო სარკინე. თჳთ დაყარეს და მეოტ იქმნეს“.

„ქ. ც.“-ში ნათქვამია, რომ ქართლში მოსულმა ალექსანდრემ ნახა ძლიერი. ციხე-ქალაქები (ჩამოთვლილია თხუთმეტამდე ასეთი ციხე-ქალაქი), რომელთაც ალყა შემოარტყა. მტკვრის ციხესა და თუხარისს, როგორც მეტის-მეტად ძლიერებს ალექსანდრე არ შებრძოლებია, დანარჩენი ციხე-ქალაქები

კი ექვს თვეში აუღია. მხოლოდ სარკინის ალყა გაგრძელებულა თერთმეტ თვეს. სარკინელებს უგინებიათ მეფე, ამიტომ მას უარი უთქვამს მათთან დაზავებაზე. სარკინელები იძულებული გამხდარან კლდე გაეხვრიტათ და ისე გაპარულიყვნენ ციხიდან. ქართლის დაპყრობის შემდეგ ალექსანდრეს გაუქცეია აქ მყოფი უცხოელები და მხოლოდ ქართველები დაუტოვებია.

მიუხედავად დიდი გარეგნული განსხვავებისა, „ქ. ც.“ ფაქტიურად იმასვე გადმოგვცემს, რაც „მ. ქ.“ ამის ნათელსაყოფად რამდენადმე უკან მივბრუნდეთ.

ზემოთ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ „მ. ქ.“-ს თანახმად ქართლის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენდნენ ბუნთურქები. შემდეგ აქ მოვიდნენ ჰონები, რომლებიც დასახლდნენ ზანავში. ქართველები კი ქართლში მოსულან მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ. სრულიად განსხვავებული კონცეფცია აქვს „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს, რომლის მიხედვით ქართლი უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველებით. „მ. ქ.“-ს მიხედვით ალექსანდრე ქართლში ებრძოდა ბუნთურქებს. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა „მ. ქ.“-ს ცნობები, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორს ეს ბუნთურქები უნდა დაეკავშირებინა ქართლთან. მან ეს გააკეთა კიდევაც. იგი გადმოგვცემს, რომ სპარსელებისაგან დამარცხებული თურქები მოვიდნენ მცხეთაში და მოლაპარაკება გამართეს მცხეთელ მამასახლისთან (აქ გავიხსენოთ, რომ „მ. ქ.“-ს გავლენით თურქების რაოდენობა „მეფეთა ცხოვრებაში“ განსაზღვრულია 28 სახლით). მცხეთელმა მამასახლისმა და „ყოველთა ქართველთა ინებეს დამეგობრება“ თურქებთან და მიუჩინეს მათ საცხოვრებელი ადგილი. „მ. ქ.“-ს მიხედვით თურქებს ქართლში უცხოვრიათ „მდინარესა ზედა მტკუარსა, მიხუედით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი. კასპი, ურბნისი და ოძრაჭე. და ციხენი მათნი: ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლისციხჱ, კასპისა. ურბნისისა და ოძრაჭისაჲ“. რადგანაც ბუნთურქების გარდა ქართლში არავინ არ ცხოვრობდა, მკითხველს შეუძლია დაასკვნას, რომ ბუნთურქებს უცხოვრიათ არა მარტო მტკვრის გასწვრივ, არამედ საერთოდ მთელს ქართლში. ჩანს, ეს ასე გაუგია „მეფეთა ცხოვრების“ ავტორსაც. მაგრამ მისი ცნობებით თურქების მოსვლის დროისათვის ქართლში უკვე მრავალი ქალაქი არსებობდა. ამიტომ იგი გადმოგვცემს, რომ ქართველებმა თურქები „განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა.

ხოლო უმრავლესი მათგანნი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას. დასავალით კერძო კლდეთა შორის გამოკუეთილი. ღრმა. და მოიოხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასახლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი. მოზღუდეს მტკიცედ და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“.

შესაძლებელია „მ. ქ.“-ს გაელენის კვალი ეტყობოდეს იმ ცნობასაც. რომ თურქების უმრავლესობა სარკინეში გამაგრდა. საქმე იმაშია, რომ „მ. ქ.“-ს მიხედვით ალექსანდრემ შედარებით ადვილად დაამარცხა ბუნთურქები და ჰონები, მხოლოდ სარკინელ ბუნთურქებს გაუწევიათ ხანგრძლივი წინააღმდეგობა. სარკინის ალყა თერთმეტ თვეს გაგრძელებულა. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ სარკინე იყო ბუნთურქთა უმთავრესი სამაგრე. აღსანიშნავია ისიც, რომ გადმოცემა თურქები „ეზრახნეს მამასახლისსა მცხეთისასა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასახლისმან მცხეთელმან აუწყა ყოველთა ქართველთა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა... და განიყვანეს ყოველთა ქალაქთა შინა“. მიუხედავად არსებულ ვანსხვა-

ვუბათა, გარკვეულ ასოციაციას იწვევს იმ გადმოცემასთან, რომ „ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა...“ ეს უკანასკნელი კი, როგორც ვნახეთ, „მ. ქ.“-დანაა სიტყვა-სიტყვით ამოღებული.

შემდეგ. როდესაც ალექსანდრე მოდის ქართლში, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი ჩამოთვლის ციხე-ქალაქებს, რომელნიც მას აქ დახვედრია. ამ ციხე-ქალაქების განხილვა მეტად საინტერესო ფაქტს გვიჩვენებს. ირკვევა, რომ აქ დასახელებული თხუთმეტი[20] ციხე-ქალაქიდან ცამეტი იხსენიება „მეფეთა ცხოვრების“ მეორე თავში და ერთიც, ციხე-დიდი, „მ. ქ.“-ში. ე. ი. „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი ამ შემთხვევაში შემოსაზღვრულია „მ. ქ.“-ს ცნობებითა და იმ ცნობებით, რომელნიც თვით მას ჰქონია ქართლში უძველესი ქალაქების მშენებლობაზე. ერთად-ერთი ქალაქია ხერთვისი, რომელიც არც „მ. ქ.“-ში იხსენიება და არც „მეფეთა ცხოვრებაში“ ალექსანდრეს შემოსვლამდე. მაგრამ ეს საქმის ვითარებას არსებითად ვერ ცვლის. ამასთან აღსანიშნავია, რომ მთლად აშკარა არაა, ხერთვისი აქ გეოგრაფიულ პუნქტად იგულისხმება, თუ გეოგრაფიულ ტერმინად[21]. „მ. ქ.“-ში ნათქვამია, რომ როდესაც ალექსანდრე ებრძოდა სარკინეს, იგი „დადგა სარკინესა დასავალით კერძო. და დასცა ვენაჭი და

---

20 სხვათაშორის, „ქ. ც.“-ის უკანასკნელ გამოცემაში ერთ-ერთი ამ ციხე-ქალაქის, დედა-ციხის, სახელი გაგებულია სამშვილდის განსაზღვრებად, თუ სრულ სახელად: ალექსანდრემ ქართლში ნახაო „...ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, ებანი ერიათა და რუსთავი, და დედა-ციხე სამშვილდე, და მტკურის ციხე...“ სავსებით სახელია საიუბილეში დედა-ციხეს ახლავს განმარტება ფრჩხილებში „დედა-ციხე სამშვილდე“. დედა-ციხე სამშვილდის განსაზღვრებად გაუგია „ქ. ც.“-ის ძველ სომეხ მთარგმნველსაც, რომელსაც იგი სიტყვასიტყვით ეთარგმნია მაირაბერდ-ად (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გამოსცა ი ე ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1953, გვ. 25). მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მ. ბ ე რ ი ს ე ს (Histoire de la Géorgie, გვ. 33) და ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს (Источники грузинских летописей, გვ. 3. შენ. 2) დედა-ციხე ცალკე ქალაქად მიაჩნდათ.

ქალაქების მშენებლობის აღწერისას „ქ. ც.“-ში ნათქვამია, რომ ქართლოსის სიკვდილის შემდეგ აცოლმან მისმან აღაშენა დედა-ციხე და მანვე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა ამ ჰქვან რუსთაკი“ (გვ. 8). როგორც ირკვევა, დედა-ციხე კახეთში მდებარეობდა, რადგან როდესაც ქართლოსის ცოლმა ქართლი თაყის შვილებს დაუნაწილა, დედა-ციხე კახეთს რგებია (გვ. 9). ღაბოლოს სავსებით ახლისებს დედა-ციხის მდებარეობას ვახუშტი, რომლის სიტყვით დედა-ციხე იგივე ბოკორმაა („ბოკორმა აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედა-ციხე“; აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლ ო მ ო ურ ი ს და ნ. ბ ე რ ი ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ 90).

ვახუშტის კიდევ ერთი დედა-ციხე აქვს მოხსენიებული, ოღონდ თეძმის ხეობაში და ამასთან არც მას ჰქონდა რაიმე საერთო სამშვილდესთან.

21 ეჭვს ბადებს შემდეგი გარემოება: „მეფეთა ცხოვრების“ მეორე თავიდან მკითხველისა იცის, რომ ალექსანდრეს შემოსვლაში მოხსენიებულ თხუთმეტ ქალაქიდან თერთმეტი აშენებული იყო ქართლოსის და მისი ნათესავების მიერ. სარკინე აუშენებიათ თურქებს, ხოლო ზანავი ხასენებია ერთიათ დასახლებასთან დაკავშირებით. ციხე-დიდზე თვით ტექსტშია ნათქვამი, რომ ის იყო მცხეთის უბანი. ამრიგად, ყველა ამ პუნქტის ხსენება ლოგიკურად დასაბეთებულია და არაეითარ გაუგებრობას არ იწვევს მკითხველში. ერთად-ერთ გაუთვალისწინებელ ამ სურათ წესიდან წარმოადგენს ხერთვისი, რომელიც ჩნდება სრულიად მოულოდნელად, ისე რომ მკითხველმა სრულიად არაფერი არ იცის მის შესახებ. ეს საფუძველს იძლევა დაისვას კითხვა: ხერთვისი ამ შემთხვევაში გეოგრაფიულ ტერმინად ხომ არ უნდა გავიგოთ? როგორც ცნობილია ხერთვისი ნიშნავს ხანვარეულებულს, კუნძულს, ნახევარკუნძულში ანუ: ალექსანდრემ „ჰპოვა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკვრისა, თრჩე მოვლებული კლდისა ღადისა, თუსარისი, მდინარეთა ზედა სპერიასა, რომელსა ჰქვან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე...“ და სხვ. თუ ხერთვისი აქ

რუჲ გამოიღო ქსნით, და დასხნა კაცნი მერუენი დასტაგითა რუჲსაჲთა; და ჰრქუან ადგილსა მას ნასტაგისი“. აშკარად აქედან მომდინარეობს „მეფეთა ცხოვრების“ ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც ალექსანდრემ ქართლის ქალაქებს „დაუდგინა ლაშქარნი იქიერ და ამიერ. ზემოთ და ქუემოთ“. „თჳთ დადგა ქსანს ზედა, ადგილსა რომელსა ჰქჳან ნასტაკისი“. აღსანიშნავია, რომ ისევე, როგორც „მ. ქ.“-ში, „მეფეთა ცხოვრებაშიც“ ალექსანდრე თერთმეტ თვეს ებრძოდა სარკინეს.

დაბოლოს, კიდევ ერთი საერთო მომენტი: „მ. ქ.“ გეიამბობს, რომ ალექსანდრემ „დალეწნა“ ბუნთურქთა „ქალაქნი და ციხენი და ჰონთა დასცა მახჳლი“. თერთმეტი თვის ბრძოლის შემდეგ ბუნთურქებმა თავისი უკანასკნელი ციხე-სიმაგრე სარკინეც „დაყარეს და მეორე იქმნნეს“. კონტექსტი ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქართლში ყოველგვარი მოსახლეობა მოისპო (ბუნთურქებისა და ჰონების მეტი აქ ხომ არავინ ყოფილა), ისე რომ, როდესაც ამის შემდეგ აზომ არიან-ქართლიდან ქართველები მოიყვანა, აქ წმინდა ქართული მოსახლეობა შექმნილა. „მეფეთა ცხოვრების“ თანახმად ალექსანდრეს მოსულისთვის ქართლში მეტად ჭრელი მოსახლეობა ყოფილა: აქ იყვნენ ქართველები, ბერძნები, ებრაელები, ხაზარები, ასურელები, თურქები, სპარსელები. მაგრამ, როდესაც ალექსანდრემ ქართლი დაიპყრო, მან „მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი, ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დატყუევნა,... და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანნი“. ე. ი. აქაც იგივე სურათი მივიღეთ: ალექსანდრეს ლაშქრობის შემდეგ ქართლში წმინდა ქართული მოსახლეობა დარჩა.

ყოველივე ზემოთქმული არ უნდა გავიგოთ ისე თითქოს, „მეფეთა ცხოვრების“ ავტორმა ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობის აღწერისას გამოიყენა მხოლოდ „მ. ქ.“ მას აქვს ცნობები, რომლებიც არაა ამ წყაროში. მაგ., იგი ამბობს, რომ ალექსანდრე არ შებრძოლებია მტკვრის ციხესა და თუხარისს, „რამეთუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად“, ხოლო დანარჩენი ციხე-ქალაქნი კი

გეოგრაფიულ ტერმინად უნდა გაიგოთ, მივიღებთ, რომ „ხერთვისი მტკურისაა“. ისეთივე განსაზღვრებაა წუხდისა, როგორც „მოკიდებული კლდესა ღადოსსა“ ოძრუისა და „მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქჳან პოროხი“ თუხარისის. ხერთვისი რომ აქ საკუთარ სახელად იგულისხმებოდეს, მოსალოდნელია რომ იქნებოდა არა „ხერთჳსი მტკურისაჲ“, არამედ „ხერთჳსი მტკუარსა ზედა“, როგორც არის იქვე „ოუხარისი, მდინარესა ზედა სპერისასა“ (და არა „თუხარისი მდინარისა სპერისასა“).

საერთოდ ხერთვისი, როგორც საკუთარი სახელი „ქ. ც.“-ში ჩნდება ძალიან გვიან, პერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგენილ ტექსტში, ვიორკი საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე ხერთვისი მხოლოდ გეოგრაფიულ ტერმინად იხმარება. იგი ნახსენებია ორჯერ (კ. ანშერთან): 1. „ხოლო მეფე ეახტანგ და ქართველნი განვიდეს ხედად და დადგეს ღა აღჳდა მეფე პილოსა ზედა თეთრსა, და ეწყენეს ივანი ზღჳს კიდესა, მას რომელ არს ქალაქი, რაჟა ხერთჳსისა“ (გვ. 172—173). აქ რომ ხერთვისი საკუთარი სახელი არაა, ჩანს იქიდან, რომ შემდეგნაირად წარმოებს „საბერძნეთში“ «პონტოს ქალაქთან», სადაც გეოგრაფიული პუნქტის ქართული სახელწოდება მოსალოდნელი არაა. 2. სპარსელებმა „მცხეთა ვერ დაიპყრეს, გარნა რომელი ზღუდეს გარეგნით იყო, მოაოჴრეს, რომელი-იგი მუხნარით და არაგუსსა ხერთჳსსა იყო“ (გვ. 202). აქ რომ ხერთვისი ქალაქის სახელად იგულისხმებოდეს იქნებოდა „რომელი-იგი მუხნარით და არაგუსსა ხერთჳსით იყო“.

ვასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქი ხერთვისი, რომელიც შეიძლებოდა დაპირისპირებოდა «ხერთვისსა მტკურისას», ცნობილი არაა. ეახტანგის საერთოდ არავითარი სხვა ხერთვისი მოხსენიებული არა აქვს.

მაინც ვფიქრობთ, რომ ზემოთქმული საქმარისია მხოლოდ საკითხის დასასმელად და არა გადასაწყვეტად.

ეჭვს თვეში დაიპყროო. ძალზედ საყურადღებო დეტალები მოაქვს მას სარკინეთსთან ბრძოლის ეპიზოდში (ისეთი როგორიცაა სარკინელ ბუნ-თურქთა მიერ კლდის გახვრეტის ამბავი[22] და სხვ.).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება განსხვავებახი „ბეფეთა ცხოვრების“ და „მ. ქ.“-ს შორის მას შემდეგ, რაც ასპარეზზე გამოდის აზო-აზონი. „მ. ქ.“-ს თანახმად, ალექსანდრეს თან ჰყოლია აზო, არიან-ქართლის მეფის ძე, რომელსაც მან უბოძა მცხეთა. აზო წასულა სამშობლოში და იქიდან მოუყვანია „რვა სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი“. აზო გამხდარა პირველი მეფე „მცხეთასა შინა“: სულ სხვა სურათს გვიხატავს „მეფეთა ცხოვრება“: აქ აზონი ქართველი არაა, იგი არის ალექსანდრეს ნათესავი „ჭეუეანით მაკედონით“. არაფერი არაა ნათქვამი არიან-ქართლზე და იქიდან ქართველების გადმოსახლებაზე. ეს გასაგებიცაა: როგორც უკვე ითქვა, „მეფეთა ცხოვრებაში“ ავტორის კონცეფციით ქართველები ქართლში ცხოვრობდნენ უძველესი დროიდან, ამიტომ მისთვის მიუღებელი იყო აზრი ალექსანდრეს დროს მათი არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ[23]. მოხსენიებულია აზოს მამის სახელი — იარედოსი. ალექსანდრე აზოს ქართლში ტოვებს არა მეფედ, არამედ პატრიკად, ერისთავად და უტოვებს მას ას ათას კაცს. წასვლისას ალექსანდრე აბარებს მას მნათობთა თაყვანისცემას. შემდეგ აღწერილია აზონის საქმიანობა ქართლში. წინააღმდეგ „მ. ქ.“-სა „მეფეთა ცხოვრება“ აზონს გვიხატავს ბოროტ და მესისხლე კაცად, რომელიც სასტიკად ჩაგრავდა ქართველებს. ქართლის პირველ მეფედ ხდება აზონის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველების მეთაური ფარნავაზი და სხვ.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში „მ. ქ.“-სა და „მეფეთა ცხოვრებაში“ ჩვენ გვაქვს სხვადასხვა რედაქციები იმ გადმოცემებისა, რომელნიც ალბათ არსებობდნენ ქართლში აზონსა, ფარნავაზზე და ძეფობის გაჩენაზე[24].

ზევით, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობდით სხვადასხვა წყაროს შეკრებაზე, მათი ცნობების ურთიერთდაკავშირებაზე და საერთო კონცეფციით გამართვაზე, ვგულისხმობდით, რომ ეს სამუშაო ჩატარებული აქვს „მეფეთა ცხოვრების“ პირვანდელი, VII—VIII საუკუნეების, ტექსტის ავტორს, ლეონტი მროველი კი საფიქრებელია უფრო ამ ტექსტის რედაქტორად უნდა ვიგულეოთ.

ყოველივე ზემოთქმული ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს იმ ადგილას, სადაც აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლა, შეინიშნება ორი ფენა. უძველესი, როგორც ჩანს, ეკუთვნის VII—VIII სს. ავტორს. ამ ავტორის ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, რომლის სათანადო ადგილი თითქმის მთლიანად (ერთი მესამედი კი სიტყვა სიტყვითაც) შესულა „მეფეთა ცხოვრებაში“. „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი თავის წყაროს შემოქმედებითად იყენებს: კრიტიკულად უდგება მის ცნობებს, ზოგს როგორც საეჭვოს განზე ტოვებს, ზოგს ასწორებს და ამდიდრებს სხვა წყაროთა მონა-

---

[22] კ. კეკელიძეს მიაჩნდა, რომ ბუნთურქთა მიერ კლდის გახვრეტის ამბავი ამოღებული უნდა ყოფილიყო ფსევდო-მეთოდი პატრელის თხზულებიდან „თხრობა უცთომელი სუეტისათჳს, ნათესავთა და უკანასკნელთა ჟამთათჳს“ (ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“, გვ. 51).

[23] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 280.

[24] იქვე, გვ. 281-283.

კემების საფუძველზე. თავისი წყაროების ცნობებს „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი კარგად უხამებს თავის მიზნებს და ლიტერატურულად კარგად უკავშირებს ერთმანეთს.

გვიანდელი ფენა წარმოშობილია „მეფეთა ცხოვრების“ რედაქტირების დროს. საფიქრებელია, რომ ეს რედაქცია ჩატარებულა XI ს-ში და მისი ავტორია ლეონტი მროველი. ამ დროს „მეფეთა ცხოვრების“ ტექსტში გაკეთებულია რიგი ჩანართებისა (ჩანართი „რომელთა-იგი ჩუენ ბუნ-თურქად და ყიჯჩაყად უწოდთ“; ალექსანდრეს შემოსვლის ამბავში „თურქები“ შეცვლილია „ბუნთურქებით“; კაციჭამიობა და უწმინდურება მიწერილია ქართველებისათვის; გაკეთებულია ჩანართი ქალდეველების ქართლში დასახლების შესახებ). აღსანიშნავია, რომ „მ. ქ.“ გამოუყენებია „მეფეთა ცხოვრების“ რედაქტორსაც. რედაქტორის ჩანართები გაკეთებულია დაუდევრად, მათი ავტორი ძრაა მაინცდამაინც დაკვირვებული და დახელოვნებული მწერალი. ამ მხრივ უძველესი ტექსტის ავტორი აშკარად მაღლა დგას მასზე.

მარიამ ლორთქიფანიძე

ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ

კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოთა არსებობის დროიდან კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია სხვადასხვა მოარული ლეგენდები, რომელნიც ასაბუთებენ სახელმწიფოს სათავეში მდგომ პირთა ზეადამიანურ, ღვთაებრივ წარმოშობას.

უძველეს, შედარებით პრიმიტიულ რწმენებს ცოცხალი ადამიანის გაღმერთებაც კი მიაჩნდათ შესაძლებლად. რელიგია, რომელიც, როგორც ჩანს, გაბატონებული საზოგადოების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდა, თეორიულად ასაბუთებდა ამა თუ იმ გვარისა და პიროვნების უზენაესობას და მის ბატონობას საზოგადოების დანარჩენ ნაწილზე.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ბაბილონში, ეგვიპტეში, ხეთების სახელმწიფოში, ძველ ებრაელებსა და ურარტელებთან მეფეთა გაღმერთება განსაკუთრებით საზეიმო ელფერს ამ სახელმწიფოთა სიძლიერისა და აღმავლობის ხანაში იღებს[1].

ჩინეთში კლასობრივი საზოგადოების შექმნასთან ერთად იწყება სამეფო ხელისუფლების გაღმერთება[2].

აღმოსავლეთის ქვეყნებში უძველესი დროიდანვე შემუშავებული სამეფო ხელისუფლების გაღმერთებისა და მეფეთა ღვთიური წარმოშობის თეორია, მოხერხებულად გამოიყენა ალექსანდრე მაკედონელმა უზარმაზარი დასავლურ-აღმოსავლური სახელმწიფოს მეთაურის ღვთაებრივი და განუსაზღვრელი ხელისუფლების იდეოლოგიური დასაბუთებისათვის[3].

მონარქის კულტი ფეხს იკიდებს რომის იმპერიაშიც. რადგან მეფეთა გაღმერთების იდეა აღმოსავლეთიდან მოდიოდა, მონარქის კულტიც თავდაპირველად რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში ჩნდება[4]. თანდათან იწყება ცოცხალი და მიცვალებული იმპერატორების გაღმერთება[5].

ქრისტიანული იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო ცოცხალი ადამიანის ღმერთად გამოცხადება. სამაგიეროდ, ქრისტიანობის ხანაში განსაკუთრებით გავრცელდა თეორიები სამეფო საკვარეულოთა ღვთიური წარმოშობის შესახებ.

---

[1] В. И. Авдиев. История Древнего Востока, М., 1948. გვ. 96. 177. 255. 293, 354, 412 და სხვ.

[2] Всемирная история, I, М., 1955, გვ. 622.

[3] Всемирная история, II, 221.

[4] И. А. Машкин, Принципат Августа, М.-Л., 1949, გვ. 564.

[5] Всемирная история, II, 641.

შუა საუკუნეებში სამეფო ხელისუფლების ლეგიტიმურობის თეორიული დასაბუთება, სამეფო დინასტიათა ღვთიური წარმოშობის გზით, ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური სიძლიერის ხანას უკავშირდება[6].

მაგალითად: რუსული მიწების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებასთან და ღვთიმპყრობელობის დამყარებასთან ერთად იქმნება თეორია, რომელიც რუსეთის მთავრების წარმოშობას, რომის იმპერატორების მეშვეობით, ღვთიურ საწყისს უკავშირებს. შექმნილი თეორიის მიზანია დაასაბუთოს რუსეთის მეფეთა ხელისუფლების მემკვიდრეობითობა და ღვთაებრივი წარმოშობა[7].

განვითარების გარკვეულ საფეხურზე საქართველოშიც იქმნება ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ღვთიური წარმოშობის თეორია.

ბაგრატიონთა გვარი ადრე დაწინაურდა საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკურ სარბიელზე.

სომხური საისტორიო ტრადიცია ბაგრატუნთა აღზევებას ძველი წ. I ს-ს უკავშირებს[8].

პოლიტიკურ სარბიელზე აღზევებული გვარის წარმოშობას შესახებ სხვადასხვა ლეგენდები შეიქმნა. ერთ-ერთი უძველესი ლეგენდა შემოინახა VII ს-ის სომეხმა ისტორიკოსმა სებეოსმა. სებეოსის თანახმად, ბაგრატუნები წარმოშობით სომეხთა ეპონიმის ჰაიკის ჩამომავალნი არიან[9]. იმავე სომხურმა ისტორიოგრაფიამ ბაგრატუნთა წარმოშობა ებრაელთა მოდგმას დაუკავშირა. მოსე ხორენელი თავის „სომხეთის ისტორიაში" ბაგრატუნებს სომეხთა მეფე პრაჩეას მიერ სომხეთის მიწაზე დასახლებული წარჩინებული ტყვე ებრაელის შამბათის ჩამომავლებად აცხადებს[10].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაგრატიონთა ჩამომავლობის დავით წინასწარმეტყველთან და ამ გზით ქრისტე ღმერთთან დაკავშირება ქართულ ტრადიციადაა ცნობილი. ამ ტრადიციის პირველ ფიქსაციად მიჩნეულია კონსტანტინე პორფიროგენეტის „De administrando imperio" და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". კონსტანტინე პორფიროგენეტის წყაროდ აღიარებულია უცნობი ქართული თხზულება ან ზეპირი გადმოცემა[11].

საფიქრებელია, რომ ლეგენდას ბაგრატიონთა გვარის დავით წინასწარმეტყველისაგან ჩამომავლობის შესახებ იცნობდა სომხური საისტორიო ტრადიციაც. ამ ლეგენდის ჩვენთვის ცნობილი უძველესი ლიტერატურული ფიქსაცია, შემონახული უნდა იყოს X ს-ის დამდეგის სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში. იოანე დრასხანაკერტელი აღნიშნავს, რომ

[6] Всемирная история, III, 268.

[7] История СССР, под. ред. Б. Д. Грекова, М., 1947, გვ. 349.

[8] И. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб., 1909, გვ. 413.

[9] Себеос, История Армении, под. ред. Патканяна. СПб, 1862, გვ. 7, 10, 177 და სხვ.

[10] История Армении Моисея Хоренского, пер. И. Эмина, М., 1858. გვ. 61.

[11] ე. თაყაიშვილი. სუმბატ დავითის ძის ჯრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნ. 27, 1949, გვ. 24; E. Taqaishvili, Georgian chronology and the beginings of Bagratid rule in georgia, „Georgica", A Journal of Georgian and Caucasian Studies, vol, I № 1. 1935, გვ. 18; კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბ., 1960, გვ. 154. ს. ჯანაშია. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941, გვ. 69-85; პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 76—77; ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, თბ., 1955, გვ. 255—256; საქართველოს ისტორია. I. ს. ჯანაშიას რედ., თბ., 1946, გვ. 190—191.

10. საიუბილეო კრებული.

სომეხთა მეფე ვაღარშაკმა „პირველად ბაგრატი, რომელიც შამბათ ურიასაგან იყო (და) რომლის შესახებ ამბობენ, დავითის ტომისა იყოო, თავის თავის გვირგვინის მდებლად დაამტკიცა“[12]. როგორც ვხედავთ, იოანე დრასხანაკერტელი იცნობს გადმოცემას ბაგრატიონთა დავითისაგან მომდინარეობის შესახებ. გამოთქმამ „ამბობენ, დავითის ტომისა იყოო“, შეიძლება გამოიწვიოს ეჭვი, რომ აქ მხოლოდ შამბათის ებრაელობა იგულისხმება, მაგრამ იოანე დრასხანაკერტელი გარკვევით აღნიშნავს, რომ შამბათი ურიაა. დავით მეფე-წინასწარმეტყველის ებრაელობა იმდენად ცნობილი ფაქტი იყო, რომ ამის საგანგებოდ აღნიშვნა იოანე დრასხანაკერტელს არ დასჭირდებოდა, ასე რომ, ავტორი აქ ბაგრატის დავითისაგან ჩამომავლობას უნდა გულისხმობდეს.

ქართულ მწერლობაში პირველი ცნობა ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის შესახებ მოეპოვება გიორგი მერჩულეს. გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოტ ბაგრატიონს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“[13]. მართალია, გრიგოლ ხანძთელი აშოტ ბაგრატიონს ამ სიტყვებით IX ს-ის 20-იან წლებში მიმართავს, მაგრამ ფიქსაცია აღნიშნული თხზულებისა X ს-ის შუა წლებში ხდება (როგორც ცნობილია, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 950 წელს დაიწერა). აღნიშნულთან დაკავშირებით დგება საკითხი ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის ლეგენდის შექმნის დროის შესახებ. სახელდობრ: IX ს-ის 20-იან წლებში ეს ფორმულა უკვე შემუშავებული იყო, თუ X ს-ის ისტორიკოსი გრიგოლ ხანძთელს მიაწერს იმ სიტყვებს, რომელთაც შედარებით გვიან მოიპოვეს აღიარება.

მარკვარტის აზრით, თეორია ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ IX ს-ის დასასრულსა და X ს-ის დამდეგს შეიქმნა[14]. კ. კეკელიძის[15] და პ. ინგოროყვას[16] აზრით კი — IX ს-ის დასაწყისში, აშოტ ბაგრატიონის მმართველობის დროს. IX ს-ს უკავშირებს ლეგენდის შექმნას ს. ჯანაშიაც[17]. ე. თაყაიშვილს აღნიშნული ლეგენდის შექმნის დროდ VIII ს-ის მეორე ნახევარი მიაჩნია. შემდეგ, აღნიშნავს ე. თაყაიშვილი, ეს ლეგენდა თანდათან გადამუშავდა და XI საუკუნისათვის მიიღო ის სახე, რომელიც წარმოდგენილია ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის თხზულებაში[18].

VIII ს-ის მეორე ნახევარი, როდესაც ე. თაყაიშვილი ვარაუდობს ქართველი ბაგრატიონების ღვთიური წარმოშობის თეორიის ჩამოყალიბებას, არ უნდა იყოს მთლად ხელსაყრელი დრო ასეთი ხასიათის შემოქმედებისათვის.

VIII ს-ის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველო არაბთა მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა და ქართველი ხალხი იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ. ქართლის ერისმთავრები სათავეში ედგნენ ქართველი ხალხის ბრძოლას დამპყრობთა წინააღმდეგ, რაც იწვევდა არაბთა ხელისუფლების რისხვასა და სათანადო ღონისძიებებს. VIII ს-ის დასასრულიდან და IX ს-ის დასაწ-

[12] იოანე დრასხანაკერტელი, თარგმანი ილ. აბულაძისა, თბ., 1937, გვ. 3; C. Toumanoff, The early Bagratids, „Le Museon“, 62, № 1—2, 1949, გვ. 23; მისივე, Medieval Georgian historical literature. „Traditio“, I, 1943, გვ. 155.

[13] გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბ., 1949, გვ. 40.

[14] J. Marquart. Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, Leipzig, 1903. გვ. 403.

[15] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

[16] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 76—77.

[17] საქართველოს ისტორია, დასახ. გამ., გვ. 190—191.

[18] ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 25—26.

ყისიდან იწყება არაბთა თანდათანი განდევნა საქართველოს მიწა-წყლიდან. VIII—IX სს. მიჯნაზე საქართველოში იწყება ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროების შექმნის პროცესი, წარმოებს ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის.

ამ დროს განეკუთვნება ტაო-კლარჯეთის სამთავროს ანუ ქართველთა სამეფოს ჩამოყალიბება ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო დიდ სიძლიერეს აღწევს დინასტიის დამაარსებლის აშოტ ბაგრატიონის დროს. აშოტმა თავის ხელისუფლების ქვეშ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს დიდი ნაწილი გააერთიანა, იბრძოდა არაბების წინააღმდეგ, იბრძოდა საქართველოს ცენტრალური ნაწილის, შიდა ქართლის დასაპყრობად. აშოტ ბაგრატიონმა ბიზანტიის იმპერატორისაგან კურაპალატის ტიტული მიიღო, პრეტენზიებს აცხადებდა „მეფის“ ტიტულზე.

ამ დროს ტაო-კლარჯეთის სამთავრო ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური ერთეული იყო საქართველოში და ის ფაქტიურად საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის მოთავედ გამოდიოდა.

აშოტის გარდაცვალების შემდეგ ამ სამთავროსათვის არახელსაყრელი საგარეო და საშინაო ვითარება იქმნება. აშოტ ბაგრატიონის მემკვიდრეებს შორის იწყება დაძაბული ბრძოლა სამფლობელოებისა და ხელისუფლებისათვის, რაც უწყობს ხელს ამ პოლიტიკური ერთეულის თანდათან დასუსტებას. IX ს-ის მეორე ნახევარსა და X ს-ის პირველ ნახევარში ბრძოლას საქართველოს გაერთიანებისათვის დასავლეთ საქართველო (აფხაზთა სამეფო) მოთავეობს. ტაო-კლარჯეთის სამთავრო დროებით კარგავს პირველობას საქართველოში. ასე რომ, არც IX ს-ის დასასრული და X ს-ის დასაწყისია ხელსაყრელი დრო ბაგრატიონთა განმადიდებელი თეორიების შესაქმნელად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, IX ს-ის დასაწყისიდან საქართველოში მიმდინარეობს ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. რამდენიმე მსხვილი პოლიტიკური ერთეული ეცილება ერთმანეთს პირველობას. ამ ბრძოლის სათავეში მდგომი სამთავრო სახლები პოლიტიკური და დიპლომატიური ბრძოლის სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ. ბაგრატიონთა გვარი პოლიტიკური აღზევებისთანავე ცდილობს თეორიულად დაასაბუთოს თავისი ლეგიტიმური უფლებები. აშოტს თუ ერთი მხრივ სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან უხდება ბრძოლა, მეორე მხრივ მას დიდი შინაგანი წინააღმდეგობების გადალახვა ესაჭიროება.

აშოტ ბაგრატიონი არაბებთან კონფლიქტის შედეგად მკვიდრდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მართალია, საქართველოს ეს კუთხე მისი საგვარეულო სამფლობელოა ისტორიულად, მაგრამ ამ ვითარებაში აშოტი მაინც გარედან მოსული კაცია. არაბები მას უბრძვიან. მისი ადგილობრივი დასაყრდენი ძალაც სუსტია. მას მხარს უჭერს ბიზანტია, აშოტი თავის სამხედრო რაზმს ეყრდნობა. ასეთ ვითარებაში სრულიად ბუნებრივია, რომ მას დიდი შინაგანი წინააღმდეგობის გადალახვა უხდება თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის. აშოტმა მსხვილი მამული უნდა შეიქმნას, და ის იქმნის კიდეც მას. მიწების ნაწილს აშოტ ბაგრატიონი ყიდულობს, ნაწილს იპყრობს, ნაწილს დაუშუშავებელს ითვისებს. აშოტი ყმებს იჩენს. როგორც მამულის შექმნა, ასევე მასზე მსხდომი და მისი დამმუშავებელი ყმების გაჩენა, ადგილობრივი მკვიდრების ხარჯზე მიმდინარეობს. მითითებული გარემოება პროტესტს იწვევს. მწვავდება შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლა.

ე. ი. იმ დროს, როდესაც აშოტ ბაგრატიონი ერთი მხრივ ქართველ სამეფო-სამთავროებს შორის პირველობისათვის აწარმოებს ბრძოლას, მას დიდი ბრძოლა უხდება აგრეთვე ქვეყნის შიგნით თავისი მდგომარეობის განმტკიცებისათვის. ამ რთულ ვითარებაში აშოტ ბაგრატიონმა უნდა დაასაბუთოს როგორც თავისი უპირატესობა სხვა ქართველ მეფე-მთავართა წინაშე, ასევე აღგილობრივ მოსახლეობაზე თავისი ბატონობის უფლება. ყოველივე ამას ის პირველ რიგში ძალით ახორციელებს, მაგრამ ამასთანავე მისი მდგომარეობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაგრატიონთა სახლის უზენაესობის იდეოლოგიურ დასაბუთებასაც.

ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის ლეგენდის შექმნის დროის გარკვევისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებასაც, რომ VII ს-ის სომეხი ისტორიკოსი სებეოსი ბაგრატუნთა წინაპრად ჰაიკს ასახელებს. სებეოსის დროისათვის ბაგრატუნებს უკვე მოპოვებული ჰქონდათ უფლება თავისი წარმოშობა სომეხთა ეპონიმთან, ჰაიკთან დაეკავშირებინათ. X ს-ის დასაწყისში იოანე დრასხანაკერტელი ბაგრატუნთა წინაპარზე აღნიშნავს რომ „ამბობენ, დავითის ტომისა იყოო". როგორც ჩანს, იოანე დრასხანაკერტელს საამისო რაღაც საბუთი აქვს, წერილობითი ან ზეპირი. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ბაგრატუნების შესახებ იოანე დრასხანაკერტელი, ეტყობა, ძველი წყაროებით სარგებლობს, რადგან მის მიერ მოტანილი ცნობა ბაგრატის სომეხთა მეფეების „გვირგვინის მდებლად" დამტკიცების შესახებ დადასტურებას პოულობს ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში[19].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაგრატიონთა გვარი ადრე დაწინაურდა საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბაგრატიონები ძველი ქართული სამეფო დინასტიის, ფარნავაზიანების მემკვიდრეები არიან[20].

ქართული საისტორიო ტრადიცია ბაგრატიონების აღზევებას საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სარბიელზე VI ს-ს უკავშირებს[21].

ბაგრატიონთა გვარის აზღევებას მათი წარმოშობის შესახებ ლეგენდების შექმნა მოჰყვა. ძველი სომხური საისტორიო ტრადიცია მათ ჰაიკის ჩამომავლად აცხადებს, ხოლო ძველი ქართული — ფარნავაზიანებისა. იგივე სომხური ტრადიცია მათ წარჩინებული ებრაელი ტყვის, შამბათის მემკვიდრეებად მიიჩნევს (მოსე ხორენელი), ხოლო შედარებით მოგვიანო ხანის ქართული და სომხური ტრადიცია მათ წარმოშობას დავით მეფე-წინასწარმეტყველთან აკავშირებს (იოანე დრასხანაკერტელი, გიორგი მერჩულე). იოანე დრასხანაკერტელთან მოცემულია ორი ტრადიციის, შამბათისა და დავითის წინაპრობის დამაკავშირებელი რგოლი[22].

როგორც ვხედავთ, ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ ლეგენდის სხვადასხვა ვერსიები არსებობდა ქართულსა და სომხურ სინამდვილეში. არსებულ ვერსიებს შორის ყველაზე პრეტენზიული გვარის წარმოშობას ღვთიურ საწყისს უძებნის. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ლეგენდის შექმნის ხანა აშოტ ბაგრატიონთანაა დაკავშირებული (ქ. კეკელიძე, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა). თუ გავითვალისწინებთ იოანე დრასხანაკერტელის ცნობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლეგენდის ეს ვერსია საერთო ქართულ-სომხურ იდეოლოგიურ

[19] Фавстос Бузанд, История Армении, Ереван, 1953, გვ, 196.
[20] პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 77—79.
[21] სუმბატ დავითის ძე, ქრონიკა, დასახ. გამ., გვ. 58—59.
[22] იოანე დრასხანაკერტელი, დასახ. გამ., გვ. 3.

სამყაროში შემოუშავდა. VIII ს-ის დასასრულსა და IX ს-ის დამდეგს, არაბების წინააღმდეგ წარმოებული დაძაბული ბრძოლის ვითარებაში ძლიერდებიან როგორც ქართველი ბაგრატიონები, ასევე სომეხი ბაგრატუნები. ამ პერიოდში ბაგრატიონთა საგვარეულოს ორივე შტოს ერთი საერთო მიზანი აქვს — არაბების განდევნა თავის მიწა-წყლიდან. ასეთ ვითარებაში ყალიბდება ქართველ ბაგრატიონთა ტაო-კლარჯეთის სამთავრო და სომეხ ბაგრატუნთა შირაკის სამთავრო. იწყება ახალი ეტაპი საგვარეულოს ისტორიაში და იქმნება გვარის წარმოშობის ლეგენდის ახალი ვერსია, ისეთი ვერსია, რომელიც უფრო მეტად ასაბუთებს გვარის პრეტენზიებს ამიერკავკასიაში პირველობაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეგენდის ძველი და ახალი ვერსიების დამაკავშირებელი რგოლის ნაკლებად იოანე დრასხანაკერტელთან უნდა იყოს შემონახული. ლეგენდა ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის შესახებ მხოლოდ ქართულ სამყაროში რომ იყოს შექმნილი საკუთრივ ქართველი ბაგრატიონების შესახებ, მაშინ საეჭვოა, რომ იოანე დრასხანაკერტელს ის სომეხ ბაგრატუნებზე გადაეტანა. IX ს-ის დასასრულსა და X ს-ის დამდეგს ქართველი და სომეხი ბაგრატიონების პოლიტიკური ინტერესები მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს. ასეთ ვითარებაში სომეხი ბაგრატუნების გვარის მემატიანე იოანე დრასხანაკერტელი, რომელიც სწორედ ამ დროს მოღვაწეობდა, სომეხი ბაგრატუნების სადიდებლად ქმნის თავის თხზულებას და მათ განსადიდებლად მოჰყავს ცნობა ბაგრატის დავითისგან ჩამომავლობის შესახებ. ამდენად, ამ მის განცხადებას საფუძველს სომხური ტრადიციაც უნდა უქმნიდეს.

ლეგენდის შემდგომი დამუშავება უკვე საკუთრივ ქართულ ნიადაგზე ხდება. მომდევნო ხანაში სომხეთში შექმნილი ისტორიული ვითარება აღარ იძლეოდა საფუძველს ბაგრატუნების იდეალიზაციისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ლეგენდას მას შემდეგ, რაც ბაგრატიონები გაერთიანებული ქართული ფეოდალური მონარქიის მეფეებად ხდებიან. ამასთან დაკავშირებით იქმნება საგანგებო ისტორიული თხზულება, რომელშიც მოთხრობილია გვარის ისტორია და შედგენილია ბაგრატიონთა გენეალოგიური ნუსხა[23].

გრიგოლ ხანძთელის მიმართვა აშოტ კურაპალატისადმი ამ ლეგენდის ოფიციალურად ცნობის პირველი გამოვლინებაა. შესაძლებელია ხანძთელის დროს ეს შეხედულება წერილობით დადასტურებული არც იყო, მაგრამ აღიარებული რომ არ ყოფილიყო, საეჭვოა მერჩულეს ის ამ სახით შეეტანა თავის ნაშრომში. აშოტ ბაგრატიონის მომხრე და მის მხარდამჭერ იდეოლოგიურ დასს მიაჩნია, რომ მან საკუთარ ძალაზე დაყრდნობით, ღვთისა და თავისი ღვთიური წარმოშობის წყალობით მოიპოვა ხელისუფლება და ამიტომ მიმართავს მას გრიგოლ ხანძთელი ასე: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაჲ და სათნოებანიცა ჭისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან“[24].

ამგვარად, საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ლეგენდა სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმოშობის შესახებ, მიზნად ისახავდა მმართველი დინასტიის მდგომარეობის განმტკიცებას. ერთი მხრივ ის ანიჭებდა მას უპირატესობას სხვა საგვარეულოთა წინაშე[25], და, რაც მთავარია, იდეოლოგიურად ასაბუთებდა მმართველი საგვარეულოს კლასობრივ ბატონობას.

[23] სუმბატ დავითის ძე, ქრონიკა.
[24] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, დასახ. გამ., გვ. 40.
[25] საქართველოს ისტორია, I, 190—191.

ანრი ბოგეერამე

კლასობრივი ბრძოლის ასახვის ადრეფეოდალური ხანის ქართულ ორიგინალურ მწერლობაში

კლასობრივ საზოგადოებაში მწერლობა კლასობრივ-იდეოლოგიური იარაღია, რომელიც უმთავრესად გაბატონებული კლასის ხელთაა. ბუნებრივია, თუ ჩვენი ძველი ისტორიკოსები ან სხვა დარგის მწერლები, მათი გარკვეული კლასობრივი კუთვნილებისა და მიზანდასახულებათა გამო, ჩვეულებრივ, ჩქმალავდნენ ან განზრახ ამახინჯებდნენ კლასთა ბრძოლის ფაქტებს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან.

განსაკუთრებით ნაკლულია და დაზიანებული ამ თვალსაზრისით ადრეფეოდალური ხანის ქართული მწერლობა. და ეს იმდენად არა იმის გამო, რომ ბევრი რამ ამ პერიოდის შემოქმედებიდან სხვადასხვა ისტორიულ ქარტეხილებში. როგორც ჩანს, სამუდამოდ დაიღუპა, არამედ იმის გამოც, რომ გადარჩენილ ძეგლებს ჩვენამდე <illegible> გადმოუშავებულ-გარდაკაზმული სახით მოუღწევიათ, რომ, უეჭველია, კლასობრივ-იდეოლოგიური ბრძოლის არა ერთი ცნობა თუ ფაქტი უნდა ჰქონდეთ წარხოცილი. ყოველივე ამის გამო, განსაკუთრებით ძნელდება გავითვალისწინოთ ამ ბრძოლის ხასიათი და უმთავრესი მომენტები.

ერთადერთი საშუალება აქ მაინც საამისო ცნობების მაქსიმალური სისრულით გამოვლინებაა და ვფიქრობთ, საჭირო მასალებს იმდენს მაინც მოვიპოვებთ, რომ თუ კლასობრივი ბრძოლის რამდენადმე ნათელი სურათის აღდგენა არა, ამ ბრძოლის ცალკეული უცილობელი ფაქტების ჩვენება მაინც მოხერხდეს.

მხედველობიდან არ გვრჩება, რა თქმა უნდა, ის გარემოება, რომ ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაო უკვე კარგა ხანია ჩატარებულია ჩვენს მეცნიერებაში. მხოლოდ საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოა, რომ ეს საზოგადოებრივი მოვლენა, ჩვენი ხალხის წარსულ ცხოვრებას რომ თან სდევდა, ჩვენც გავიხადეთ შესწავლის საგნად.

საამისოდ პირველ რიგში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" შეეარჩიეთ, რომელიც, შეიძლება ითქვას, უნიკალურია ამ თვალსაზრისით ადრეფეოდალური ხანის ქართულ მწერლობაში. ჩვენი მიზნებისათვის ამჯერად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელი საუკუნის ძეგლია აღნიშნული თხზულება. უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეტაფრასული ოპერაციების მიუხედავად, ის ადრეფეოდალური სამცხის სოციალური ყოფა-ცხოვრების უაღრესად საგულისხმო სურათს იძლევა.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" ჰაგიოგრაფიულ-ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებია, რომელიც აგებულია ამ საეკლესიო მოღვაწის ცხოვრების უმთავრეს მომენტებზე. თხზულება დაწერილია სერაპიონის ძმისწულის ბასილის მიერ და ამდენადაც მთელი რიგი ცნობები ამ ცხოვრებისა საიმედოა და ანგარიშგასაწევი.

სერაპიონი კლარჯეთის ქვეყნის მკვიდრი იყო, სოციალური წარმოშობით კი მიწის მუშათა საზოგადოებას ეკუთვნოდა. მისი მშობლები, ბიოგრაფის სიტყვით, „ლიტონად“ ცხოვრობდნენ—„შრომითა და ქუეყნის-მოქმედებით იზარდებოდეს“. სერაპიონმა და მისმა ორმა ძმამ მშობლები ადრევე დაჰკარგეს, რის შემდეგ „დაშთეს სამნივე იგი ყრმანი... ალსა მას შინა სიგლახაკისასა შეთხეულნი“[1]

დაობლებული ძმების უნუგეშო მდგომარეობის აგრე მარჯვედ გამოხატისას, ბასილს, ალბათ, თვალწინ ჰქონდა მამის არა ერთი მონათხრობი მათი ამ მწარე ცხოვრების წარსულიდან.

იაჰირვებამ, და არა თვითონ რელიგიურმა გულისკვეთებამ, როგორც ბიოგრაფი გვარწმუნებს, სერაპიონი და მისი უმცროსი ძმა იოანე ამ ქვეყნის განთქმული საეკლესიო მოღვაწის მიქელ პარეხელის მონასტერში მიიყვანა.

აქ ცხოვრება უაღრესად საყურადღებო ცნობას იძლევა, რომლის თანახმად ძმების ბერად აღკვეცის ნამდვილი მიზეზი სრული გარკვეულობით მოჩანს: „ხოლო უხუცესი იგი ძმაჲ წესითა მსოფლიოჲთა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკჳდრებელსა“[2].

გასაგებია: მომავალში რომ ამ „სამკვიდრებელ მამულზე“ წაში კომლი არ გაჩენილიყო (ქართული საბუთების გამოთქმით, „ფუძეთ ერთი და კომლად სამი“), მაშინ ხომ მათი „სიგლახაკის ალი“ კიდევ უფრო დამწველი იქნებოდა. შუათანა ძმამ უმცროსის პატრონობაც იკისრა და მამა-პაპეულ მიწა-წყალს გაეცალა.

უნდა ითქვას ისიც, რომ სერაპიონის მშობლები თავისუფალი მწარმოებლები ყოფილან, რომ მათ დაობლებულ შვილებს მონასტერში წასვლის თავისუფალი არჩევანი ჰქონიათ. ამავე თხზულებიდან ხომ ვიცით, თუ რა ვაი-ვაგლახი დასჭირდა ერთი ძარღველი კაცის ბერად შედგომას, რომელსაც „უფალი“ ჰყავდა.

ძმებმა პარეხის მონასტერში საკმაო ხანი მოათავეს, როცა „ზეგარდმო გამოცხადებით“ წთაგონებულმა მიქელმა მათ სამცხეში წასვლა და იქ მონასტრის აშენება უბრძანა. „შეუძლებელ არს ბრძანებასა საღმრთოსა მცირედცა წინაგაწყუობაჲ“,—გაუფრთხილებია ისინი თურმე მიქელს და სერაპიონსაც აღარაფერი უთქვამს, ფერისცვალების ხატი წარიძღვანა და იოანესა და ორ სხვა „ძმასთან“ ერთად დაადგა სამცხისაკენ მიმავალ გზას, სადაც ბევრი „შფოთნი და განსაცდელი“ გარდახდათ.

თავდაპირველად ბერები შეჩერებულან ერთ მაღალ მთაზე, რომელსაც ბერას-ჯუარი ეწოდებოდა. შემდეგ დაბლა დაეშვნენ და იმ ხევის დასასრულს, როცა ელსაც უტყვისა ერქვა, ძინძიღ სახელდებული ადგილი შეარჩიეს. არჩევანი ყველას მოსწონდა[3]. მართალია, მწერალი ამ ადგილის ხილვისას სერაპიონს თითქმის ეუბნება: „არა არიან სასწაულნი იგი ადგილსა ამას, რომელი გჳბრძანა წარმომგზავნელმან მოძღვარმან ჩუენმან“[4], მაგრამ ეს სიტყვები რომ მომხდარი მარცხის გასანელებლადაა შემდეგ შეტანილი თხზულებაში, ამას თხრობის შემდგომი მიმდინარეობაც მოწმობს: „ჴელყვეს და იწყეს შენებად მცირე ტალავარი და ადგილი რაჲმე მონასტრისაჲ და დაყვნეს მუნ ვრამცირედნი დღენი“[5].

[1] ქ. ქეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. ტფ., 1925, გვ. 150.
[2] იქვე, გვ. 152.
[3] იქვე, გვ. 153.
[4] იქვე.
[5] იქვე.

მაგრამ „სულიერი ძმების“ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. მალე გამოირკვა, რომ ეს „უდაბნო“ ადგილი, „უჭმი და უღვაწიც“, როგორც ბერებს მოსჩვენებიათ, მახლობელი დაბის სამეურნეო საქმიანობის ობიექტი ყოფილა. „ხოლო ეუწყა რა უფალსა მის დაბისასა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებავს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, მათ არა ინებეს, რამეთუ იყუნეს ყოველითურთ მჭეცებრივ, უწირავ და ბოროტ; რამეთუ არა ინებეს კურთხევაჲ წმიდათა მათგან. ამისათჳს ზედა მიეტევნეს მათ და... წმიდანი ესე [მოიყვანნეს] პირამდე მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავალით ადგილსა მას“[6].

როგორ წაიშლება ყოველივე სხვა ეკონომიური ინტერესების დაკმაყოფილების მოთხოვნილებათა ქვეშ! ქრისტიანი ფეოდალი, მაგრამ წვრილი მფლობელი (რაც გასაგებს ხდის მის საქციელს) არავითარ საშუალებას არ თაკილობს (იქამდე, რომ მწირალი მასა და მის მსახურთ „მხეცებს“, „უწირავთ“ და „ბოროტ“ უწოდებს) ოღონდ მამულში მოსიარე არ გაიჩინოს.

მდინარის პირამდე გადარეკილი ბერები კი „საღმრთო ბრძანებაზე“ ხელს არ იღებენ და ახლა ყოვლად ტყიან და კაცთაგან უვალ ვიწროებში ჭირით და ვრომით მიიკვლევენ გზას. ამჯერად „პოვეს ნიშები და სასწაულები, უწყებული დიდისა მისგან მოძღურისა“.

სერაპიონმა წყაროსა და ბორცვს შუა ადგილის გაწმენდა და მცირე ტალავარის აშენება ბრძანა. გარშემო ტყე იყო უვალი, ხშირი და, თითქოს, მათი არსებობის კვალიც არ ჩანდა. მაგრამ ერთხელ მათი ცეცხლის კვამლი იმდენად მაღლა ასულა, რომ ამალით სანადიროდ გამოსულ დიდ ფეოდალს გიორგი ჩორჩანელს შეუნიშნავს.

ეს კაცი „დიდი მთავარი და წარჩინებული“ ყოფილა ამ ქვეყანაში, „რომელი ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომელთა სივრცე საზღვართ-ვრცელ და მრავალ იყო“[7]. ყმა-მამულის სივრცე-სიმრავლით გალაღებული „მთავარი“ უპრავლეს დროს ნადირობაში ატარებდა და ახლაც ამ ადგილებში იმყოფებოდა.

ჩორჩანელმა ნადირის დევნას თავი მიანება და „წინაშემდგომელთა“ შეეკითხა: „ვინაჲ არს ადგილსა იმას სიჭოჲ კუამალისაჲ, ანუ თუ ვის რად უჭმს ცეცხლი? უკუეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა, რად კადნიერ და ურცხვნო ქმნილ არს? დაღათუ სხუაჲ საჭირო რაჲ ვის უჭმს, ჩუენ ვითარ არა მეცნიერი ვართ“[8].

მაგრამ პასუხი ვერავინ მისცა. მაშინ მთავარმა ერთი „მონათაგანი“ მოიხმო და უბრძანა: „წარვედ მსწრაფლ... და ზედამიწუენით ცან ძალი საქმისა ამის და მაუწყე ჩუენ, თუ რაჲმე არს სახილავი ესე?“[9].

როცა ამ კაცმა დიდი გაჭირვებით ტყის სიღრმეში შეაღწია და უცხო მეუდაბნოენი იხილა, გაკვირდა, გაკვირდნენ ბერებიც. მოსულ-დამხვდურნი ერთმანეთს აღარ აცლიდნენ კითხვებს. სერაპიონმა რომ შეიტყო, ეს კაცი „დიდი მთავრის“ მიერ იყო მოვლინებული, „მყის წარმოუთხარა... თუ რომლისა მიზეზისათჳს მოიწინეს ადგილსა მას და ვითარმედ ეგულვების აღშენებაჲ მონასტრისაჲ“[10].

---

[6] კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 153.
[7] იქვე. გვ. 154.
[8] იქვე.
[9] იქვე.
[10] იქვე, გვ. 155.

მსახურის შიერ მოტანილმა ამბავმა ჩორჩანელი კიდევ უფრო განაცეცხლა და მეორე დღეს უბრძანა ახლა „ორთა საკუთართა თჳსთა", „რათა ზედამიწევნით ცნან ყოველივე". მთავარი ამჯერად კმაყოფილი დარჩა და ბერების პირადად ნახვა მოისურვა. სამი დღის შემდეგ ჩორჩანელი მთელი ამალით დაიძრა. ცხენებზე ამხედრებული ფეოდალების წინ „მკჳრცხლმავალნი" კაფავდნენ ტყეს და „უანჰმზადებოდენ გზათა". წყაროსთან ბერები წინ მიეგებნენ მთავარს, რომელიც ცხენიდან გადმოვიდა. ფერისცვალების ხატის წინ დაიჩოქა და მათი ლოცვა-კურთხევა მიიღო.

გაცნობისა და მიჲითხვ-მოჲითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ ჩორჩანელსაც „დაუმძიმდა" მათი „სათხოველი". მთავარი ჯერ ვედრებისა და ჩრჩვის კილოთი შეჰთხოვს ბერებს, რათა გამორჩეულ ადგილზე უარი სთქვან და იგი „სხვად ცვალონ". „რომელი მარჯუე არს და მომზავებელ ამათ საქმეთა", ხოლო შემდეგ, როცა ბერებმა განზრახულზე ხელი არ აიღეს, მათზე ზემოქმედების ერთგვარი იმედით ყოველგვარ შეწევნაზე წინდაწინვე უარს ეუბნება.

ბერების სიჯიუტით გულნატკენი მთავარი იქაურობას გაეცალა და ერთ კლდოვან ადგილზე მისანდო პირებთან თათბირს შეუდგა, თუ „აწ უკუე რაჲ ჯერ არს ყოფად?" გადაწყვიტეს, „ანუ დავაბრკოლოთ გულსმოდგინებაჲ მათი" და „ძალისაებრი ვაჩუენოთ შეწევნაჲ". მიუხედავად ამისა, ბერებთან განმეორებითი შეხვედრის დროს, ჩორჩანელი ორთხელ კიდევ ცდის დაიყოლიოს ისინი. მაგრამ ახალმა დაპირებებმაც ვერ გასჭრა და მთავარი მოტყდა.

ჰაინც რატომ იყო ასეთი უკავშია და ურთიერთშორის ცილობის საგანი ეს „უღვაწი" და „უქმი" ადგილი, თუ მოდავე მხარეებს გარკვეული მიზნები და ინტერესები არ ამოძრავებდათ?

გიორგი ჩორჩანელისათვის ეს ტყე, უთუოდ, საყვარელი სანადირო ადგილია და მისი სამონასტრე მამულად გადაქცევა, ბუნებრივია, რომ ეძნელებოდეს[11]. მეორე მხრივ, იგი წინააღმდეგი არაა, პირიქით, მოხარულიცაა, რომ ეს ჭონასტერი „კეთილ და ნაშენებითა ღონიერ ადგილებში" აწენდეს, ე. ი. საკუთარ მამულში და საკუთრებაში. თუმცა იქ მას უკვე აქვს „საფლაო" ზანავის ჭონასტერში.

მონასტრის მაშენებელთ კი „სწადიათ", რომ ეს ტყე „დაიპყრან". ე. ი. „ჯჳმარი საჭმარად აქციონ" („ადგილი ესე, რაჟამს ჭელყონ ჭელოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერებაჲ ადგილისა ამის".—„ამშვიდებდა" თურმე სერაპიონი მთავარს) და ამ გზით ნაშოები მიწა-წყალი გაისაკუთრონ. შერჩეული ადგილიც („ყოვლად ტყიანი და უვალი კაცთაგან") ხომ უფრო შეეფერებოდა პირველ მეუდაბნოეთა სულისკვეთებასა და იდეალებს.

ერთი სიტყვით, ბერებმა კარგად იციან, რომ ეს ტყე უშუალოდ არავის არ ეკუთვნის (როგორც არ უნდა გაიძახოდეს მთავარი) ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ საერთო-სათემო სარგებლობაშია და, თუ ჩორჩანელი მათ აქედან გარეკავს, ამის უფლებას მას ძალა მისცემს და არა იურიდიული ნორმა. ძალის გამოყენებას კი ეკლესიის მსახურთა მიმართ იგი მოერიდა. რა მაგალითს მისცემდა დიდი მთავარი თავის „საკუთართა" და „წინაშემდგომელთ", თუ იგი ძირძეს მფლობელივით მოექცეოდა თავის მომავალ სოციალურ მოკავშირეებს. უფრო მეტიც,

---

11 ს. ჯანაშია, ბრძოლა მიწის ფეოდალური მიოვლებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, II, გვ. 444.

მთავარი რაკი დარწმუნდა, რომ ბერების მოდრეკა არ იქნებოდა, მათ უხვსა და თან, ცოტა არ იყოს, უცნაურ წყალობა-შეწევნას დაპირდა.

ჩორჩანელმა თავისი რაზმიდან გამოიხმო ერთი ჭაბუკი და მას ასეთი დავალება მისცა: „გზაჰყევ წმიდათა ამათ და ხვალე განთიადითგან ვიდრე მწუხრამდე [რაჲოდენი] შემოწერით შემოვლონ ჵიმიცემიეს მათდა, ვინაჲთგან ადგილსა ამას წადიერ არიან, და უკუეთუ ვინმე იპოოს დამახრწვეელი მათდა უცხოებისათჳს, ყოველთავე აუწყე, ვითარმედ თავისუფლებით და ნებისაებრ აშენებენ მონასტერსა საბრძანებელსა შინა ჩუენსა“[12].

მთავარშა, თავის მხრივ, ბედრებიც დაიიმედა: „გულპყრობილ იყვენით, ვითარმედ ყოვლითა ძალითა თანაშემწე თქუენდა ვარ მე და მზრუნველ, და არავინ წინააღმდგაჲ ჩუენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულვების დაპყრობად“[13].

მთავრის სიტყვებში გამოსჭვივის, რომ მის „საბრძანებელში“ და, კერძოდ, ამ ტყის გარშემო ერთი დღის სავალზე, საკმარისად მოსახლეობს ისეთი ხალხი, რომელიც ამ ადგილებზე თავისი უფლების დაკარგვას აგრე ადვილად როდი შეურიგდება. მეორე დღესვე გამოირკვა, რომ ბერებს ასე „გულუხვად“ სწორედ, ამ ხალხის მიწა-წყალს დაპირებოდა იგი.

გათენდა და სამი ბერი (სამიც ადგილზე დარჩა,—მათი რიცხვი ექვსამდე გახრდილიყო) ჭაბუკის თანხლებით ენერგიულად შეუდგა „გარეშემოწერას“. „სლვაჲ“ დასავლეთიდან დაიწყეს, მიჯნად მახლობელი მდინარის ნაპირი აიღეს და მას გაჰყვნენ. ასე იარეს და „მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა. ხოლო იყო მუნ წისქჳლ სახლი რაჲმე, შესაკრებელსა მას შუაწყალთასა, რომელსა საძმო ეწოდებოდა“[14].

როგორც ამ ადგილის სახელწოდებიდან ჩანს, აქ „მესაძმოენი“ ანუ მეთემენი მდგარან[15]. აქ ბერებმა პირი სამხრეთისაკენ ქნეს და მიჯნად ახლო მეორე მდინარე აიღეს, მაგრამ ისე რომ „სიმრგულე“ არ გამრუდებოდათ, ე. ი. „საძმო“ ადგილი აღებულ ფარგალში მოექციათ. საძმოელებმა რომ დაინახეს, თუ რა „ღეთის წყალობა“ მოჰქონდათ მათთვის „გეომეტრიით“ გატაცებულ ბერებს, პირდაპირ გაცოფდნენ.

„გჳხილნეს რა კაცთა მის დაბა-წისქჳლისათა, იწყეს ყენებად ჩუენდა და, ვითარცა ცოფნი, წინარბიოდეს“,—იგონებდა შემდეგ ამ „გარეშემოწერის“ ერთ-ერთი მონაწილე ბერი. მართალია, ჭაბუკი მათ „აყენებდა“ და „რისხვით უთქუმიდა“ ოა არც სერაპიონი აკლებდა წყეულ-კრულვას გუშინდელ თანამოძმეებს, მაგრამ მიწა-წყლის დაკარგვის შიშით გამწარებულ მდაბიურებს ვერაფერი შეასმინეს და უკუიქცნენ.

აი, ნიშანდობლივი სურათი ადრეფეოდალური კლასობრივი ბრძოლისა, როცა მწარმოებელი საზოგადოება თემურობის დროშით გამოდის საერო და საეკლესიო მტაცებლების წინააღმდეგ.

განცდილმა მარცხმა ბერები ისე დააფრთხო, რომ ამის შემდეგ მათ სულ „უგზო“ და „უვალ“ ადგილებს მიმართეს როცა დიდის გაჭირვებით გოდერძის

---

[12] კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 158.

[13] იქვე.

[14] იქვე, გვ. 159.

[15] ა. ბოგვერაძე, ქართლის აღრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობანი ისტორიიდან, 1961, გვ. 113.

„ღრმა და უღალღი“ ხევი ამოათავეს, „მცირენი რაიმე ყანობიწნი და მცირე დაბაჲ“ იხილეს. აქ მათ შეეგება ერთი აქაური მოხუცი, სახელად ია, „რამეთუ განსმენილ იყო მოსლვაჲ ჩუენი ყოველთა მათ სანახებთა“ (მთელი თხრობა თხზულების ამ ნაწილში ბასილს მისი ერთ-ერთი ინფორმატორის, სერაპიონისა და იოანეს თანხმლები ბერის, პირით მიჰყავს). მიუხედავად ამ კაცის თხოვნისა, ღამე ჩემს სახლში გაათიეთო, სერაპიონმა დაბაში შესვლაზე ცივი უარი სთქვა: „შეუძლებელ არს არმისლვაჲ ჩუენი ადგილსა მას დროსსა“. მაგრამ, სამაგიეროდ, მეგზურობა სთხოვა. სახელდახელოდ ისაუზმეს და მასთან ერთად გზას გაუდგნენ. ახლა უკვე აღმოსავლეთის მხრით მიდიოდნენ, „ქედთა რაჲმე ძაღალთა, ტყიანთა და ლოდოანთა“. იმ ადგილას, რომელსაც ბაკთა ეწოდებოდა, სერაპიონმა აიღო „ორთოკი რკინისაჲ და გამოაქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათმე ზედა დიდ-დიდთა“, რომელიც ამის შემდეგ იხილვებოდა, როგორც მონასტრის (ხარზმის) აღმოსავლეთი მიწა-წყლის მიჯნა და მისი საკუთრების სიმბოლო.

მაგრამ აქ ბერებს აღმოსავლეთის მიჯნაც გაუმრუდდათ. ქვემოთ, მთებში, ტბა მოჩანდა. სერაპიონის შეკითხვაზე მეგზურს უთქვამს: „ესე არს ტბაჲ მღრუე ყოველადვე, რომელსა ეწოღების სათაკუე. და არს ამას შინა სიმრავლე თაკუთაჲ[და] სხუათა ნადირთაჲ, და [არს] დედაჲ შფოთთა და ბრძოლათაჲ რაჰე თუ ჟამსა ამას აქა იხილვებიან მდევარნი ნადირთანი, შეკრებულნი თჳთოეულთა სანახებთანი და ურთიერთას მდევარნი საქმეთა უჯეროთანი. რომელნი კლვადცა მზა არიან თჳითოეულისა“ [16].

როცა ბერები ქვემოთ ჩავიდნენ და ტბისაკენ გაემართნენ, მათი მეგზური, როგორც ჩანს, შეშინდა და შინ გაშვება ითხოვა, რადგან სერაპიონს უთქვამს: „ნუ წარხუალ ჯერეთ, ძმაო, რამეთუ ჰაბუკი ესე უმეცარ არს ადგილთა ამათ“.

საღამოვდებოდა და ბერებმაც ფეხს აუჩქარეს. მაგრამ ტბასთან მათ გადაეღობნენ „კაცნი უკეთურნი“ და მოცდა ურჩიეს, „რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ რაჲთა არა იქმნას ცთომა მათი თჳუენ მიერ“ [17]. ბერებმა წინააღმდეგობის გაწევა დააპირეს, მაგრამ არც „მათ თანა იყო სმენაჲ“ და ქრისტეს მსახურნი შეუბრალებლად უკუაქციეს.

ღამდებოდა, როცა ბერები ბობღად წოდებულ ადგილას მოვიდნენ. მახლობელ დაბაში მათ მეგზური გამოიცვალეს. ამ კაცის შეკითხვაზე: „რაჲ არს ესოდენი ესე მდუღარებაჲ სულისა თქუენისაჲ, რომელ ესრეთ გაიძულა დადებად სული უღაღთა ამათ და უვალთა გზათა სლვად“ [18], სერაპიონმა მოკლედ მოსჭრა: „შეუძლებელ არს ჩემგან, რათმცა არა მიეცით ადგილსა მას განჩინებულსა“. აქ უკვე მთავრის კაცმა ვეღარ მოითმინა და ისევ იოვანეს მოაგონა, რომ „არღარა არს ჟამი სლვისაჲ“. მაგრამ სერაპიონი მაინც ვერ დაიყოლია და ისიც თავის გზით წავიდა.

დიდის გაჭირვებით, როგორც იქნა, ამ სამმა ბერმა მიაღწია იმ ადგილს, „სადაჲთ იქმნა წიაღისლვაჲ მათი განთიად“. შინ დარჩენილები ცრემლნარევი სიბრალულით შეჰყურებდნენ მომავალი მონასტრის საკეთილდღეოდ გარდახვეწილ „ძმებს“, რომელთა ტანსაცმელი ახლა „ყოვლად აროარა იყო და ფერჩნი მათნი დაჯეჯკილ და დაბძარულ იყვნეს“.

---

[16] კ. ქ ე ა ე ლ ი ძ ე. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 160.
[17] ი ქ ვ ე, გვ. 151.
[18] ი ქ ვ ე, გვ. 162.

ახლა, როცა, ამ „გარეშემოწერას" თვალი მივადევნეთ, მისი შედეგები ჩვენთვის უკვე საკმაოდ ნათელია. მონასტრის მაშენებელთ ერთავად მთიანი და ტყით გადაბურული ადგილები შემორჩათ ხელში. მეურნეობისათვის გარგისი ადგილების „დაპყრობაზე", როგორც დავინახეთ, ამჯერად მათ უარი სრულიადაც არ უთქვამთ. „საძმოსთან" განცდილი მარცხი რომ არა, ალბათ, სხვა მდაბიურების მიწა-ადგილებსაც „შემოიელიდნენ". ეს გარემოება ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ბერებს არ სურდათ დიდ მთავართან საადგილმამულო დაპირისპირებულებაში ჩაეგდოთ თავი. ცხადია, სხვაა „შეწირულების" გზით მიღებული.

მალე დაიწყო ამ „დაპყრობილი" ადგილის „წარმართება": აშენდა მონასტერი, გაიზარდა ბერების რიცხვი, ადგილები სხვაც ბევრი შემოიმატეს: „სოფლები" და „აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საკედართა და მოწეულთაჲ". ერთი სიტყვით, ეს მონასტერი დიდ ფეოდალურ ორგანიზაციად გადაიქცა. მაგრამ „ურჩთა", „ბოროტთა და შფოთისმოყვარეთა" კაცთა საქმე კი ცუდად წავიდა.

მეორე დღესვე „იქმნა ძრეჲ და ოხრაჲ რაჲმე, ვითარცა ქარისაჲ", „განიპო კლდე იგი, რომელი იყო დასავალით ტბისა მის, და წარვიდეს წყალნი იგი მრღჳენი". ტბის წყალი შეერთო მდინარისას, რომელმაც „არღარა დაიტია ადგილნი თჳსნი" და სულ ერთიანად წალეკა „საძმო" ადგილი, ხოლო „ტბაჲ ესე მიზეზი შფოთთა და კაცის-კლვათაჲ, განკმა".

ჰაგიოგრაფის ენაზე, ეს იყო „მისაგებელი" „ურჩთა" და „შფოთისმოყუარეთა" მიმართ. ამ ამბავთან დაკავშირებით, ს. ჯანაშია წერდა: „საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ „ურჩთა" წინააღმდეგ გამოყენებული ზემოქმედების მექანიზმს სავსებით მიწიერი ზამბარაკებიც ჰქონდა. ტყუილად კი არ ემუქრებოდა იმთავითვე ჩორჩანელი ყველას, ვინც მისი განკარგულების განხორციელებას ხელს შეუშლიდა"[19].

მაგრამ მიწისძვრით გამოწვეული სტიქიური უბედურება იმდენად დამაჯერებლად არის აღწერილი თხზულებაში, რომ იგი სავსებით ბუნებრიივი მოჩანს. ამ „მისაგებელში" ჩორჩანელიც, შეიძლება ითქვას, ისეთივე უდანაშაულოა, ვითარცა „ქრისტე ღმერთი", რომელსაც სერაპიონმა თავდაბლობით მიაწერა ეს „სასწაული". „ზარითა და შიშით" შეპყრობილმა ხალხმა კი ის გაიგო, როგორც ღვთის სასჯელი და ამ ადგილის სახელად აღმოსდა ზარზმა, ვითარცა „სასწაულთა საკჳრველთა ზარგანკდილთა". როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა. „სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ, „სოციალური დაკვეთა" თხზულებისა, როგორც კლასობრივი ბრძოლის მკვეთრი იარაღისა"[20].

კლასობრივი ბრძოლის თავისებური ფორმაა თხზულებაში აღწერილი შემდეგი ამბავიც. ერთი კაცი ძარღუას სოფლიდან სერაპიონს დაემოწაფა და თავს ავედრებდა: „შემრთე ჴშიდასა კრებულსა შენსა"-ო. სერაპიონის გარდაცვალების მესამე დღესვე ეს კაცი ბერად აღიკვეცა და დაპირებული შენაწევარის მოსატანად თავის სოფელში წავიდა.

ეს კაცი მის უფალს გარკვეულ საქმეზე ჰყავდა მიჩენილი: „იყო კაცი იგი აქმარ და მსრბოლ გზათა შორთა", და ამ გზით მას საკმაოდ მნიშვნელოვანი

---

19 ს. ჯანაშია, ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, გვ. 447.

20 კ. კეკელიძე, ადრიდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 132.

თანხა—305 დრაჰკანი მოუგროვებია. ახლა კი, როცა, თანასოფლელებმა ის ბერის ტანსაცმლით შემოსილი იხილეს, გაოცდნენ. „ენებათ კუალად ერისაგან ყოფად და, ვითარცა ვერ შეუძლეს მორჩილებად მისი, უთხრეს ესე უფალსა მისსა"[21].

ამ კაცმა რომ შეატყო, მას თავს არ დაანებებდნენ, დაავლო ხელი ხელსახოცში გამოკრულ მთელ მის ქონებას და მონასტრისაკენ მოჰკურცხლა. მანაც ძიატანა მონასტრის ეზოს და მდევარნიც მიჰყვნენ უკან, „რათა შეიპყრან და წარუღონ რაჲ იგი აქუნდა". გაქცეულმა მოისაზრა და მთელი ფული ეკლესიის სარკმელში შეაგდო და ამით მდევარნი განიარაღებული დატოვა: მათ აღარც ბერზე მიუწვდებოდათ ხელი და არც ეკლესიაში შეგდებულ ფულზე.

როგორც ჩანს, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ეკლესიის იმ პრივილეგიასთან, რომელიც რომის იმპერიაში jus asyli-ს სახელწოდებით იყო ცნობილი[22].

ცხადია, რომ ზემოაღნიშნული ფაქტები ერთადერთი და გამონაკლისი არ ყოფილა. სამწუხაროდ, კლასთა ბრძოლის ფაქტების აგრერიგად შემცველი თხზულება ჩვენ მეორე არ მოგვეპოვება ადრეფეოდალური ხანის ქართულ მწერლობაში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელს დანარჩენ ძეგლებში სულ ორიოდე და ისიც არაპირდაპირი ცნობა თუ მოიპოვება დასმული საკითხისათვის. ვით უფრო დიდია მათი მნიშვნელობა.

მონასტერსა და წვრილ მფლობელს შორის უკმაყოფილება-უთანხმოებაზე ცხობა გიორგი მერჩულეს თხზულებაშიც მოიპოვება. იქ ერთგან ნათქვამია, რომ „ხანძთას ეპიფანეას მამობისასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჭკორას და სახელი მისი წერტა"[23]. ამ მდაბიურს თხის ჯოგები ჰყოლია და მათი სადგომი, როგორც ჩანს, მონასტრის მამულების მახლობლად ყოფილა, რადგან მწერალს აღნიშნული აქვს, რომ „კაცი იგი მონაზონთათჳს მკსინვარედ იყო"-ო[24]. როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, შესაძლებელია, რომ, წერტას ბრისხანება ბერების ცხიძართ საძოვრებზე ამტყდარი დავით იყო გამოწვეული[25].

კოსტანტი კახის მარტვილობის ავტორი, როცა მისი გმირის სათნო ხასიათსა და ქველმოქმედებას აღნიშნავს, ამბობს: „მრავალნი მოივლტიედ მისა შორით ქუეყანით ლტოლვილნი თანამდებთა თჳსთაგან, ხოლო მან მხიარულებითა დიდითა გარდაიკადის თანანადები იგი მათი"[26]. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, IX ს-ში ქართლის სხვადასხვა კუთხეებში უუძლებელი მოვალეები მრავლად გარბი-გამორბოდნენ" თანამდებთა თჳსთაგან". თუ რა გავრცელება მიუღია კლასობრივი ბრძოლის ამ ფორმას ჩვენში, ამას ქართლის ფეოდალების მაშინდელი წინამძღოლის კოსტანტი კახის „ქველმოქმედებანი" ანუ თავისებური საწინააღმდეგო ღონისძიებანიც მოწმობენ.

მართალია, სხვა ნაწარმოებების ფურცლებზე კლასობრივი ბრძოლის შესახებ უშუალო ცნობები არ მოგვეპოვება, იქ ვხედავთ ამ ბრძოლაში დამარცხებულთ: „გლახაკებს", „მპარავთ" თუ „მეკობრე"—„აკაზაკებს". ამ ხალხის ძოძრაველება და „საქმიანობა" კი თავისებური „ურჩობა". პროტესტი იყო არსებული ცხოვრების წინააღმდეგ.

---

21 კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 178.

22 იქვე, გვ. 135.

23 ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას გამოცემა, 1949, გვ. 171.

24 იქვე, გვ. 172.

25 ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII სს. 1934, გვ. 6.

ამრიგად, ადრეფეოდალური ხანის ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლებში, მართალია, აქა-იქ და კანტი-კუნტად, მაინც ჩანს ანარეკლი და გამოსახილი იმ ბრძოლისა, რომელიც მწარმოებელ და ფეოდალურ კლასებს შორის მიმდინარეობდა. ცხადია, ამ პერიოდის მწერლობა რომ ხელუხლებელი წეშოგვნახოდა, კლასობრივი ბრძოლის საილუსტრაციოდ ის გაცილებით მეტის მთქმელი იქნებოდა. მაგრამ რაცა გვაქვს, როგორც ვხედავთ, უშუალო შედეგი და ცხადი გამოვლინებაა ამ ბრძოლისა.

———

მაქსიმე ბერძნიშვილი

ტურინოს კომპილაციის გამო[1]

ქალაქ ფაზისის საკითხთან დაკავშირებით ფუთის ლოკალიზაციის დროს, ნიკორწმინდის XI საუკ. სიგელში რომ იხსენიება, ბუნებრივად საჭირო გახდა ამ ფუთში ორი გლეხის შემწირველი ვარაზვაჩეს ვინაობა-სადაურობის გარკვევა (ეს ცალკე გვაქვს განხილული[2]) და, რადგან იგი ორ ბერძნულ წყაროში იხსენიება გიორგისთან ერთად, ამან მოითხოვა გიორგის ვინაობის შესწავლაც.

წინამდებარე წერილში ვარკვევთ ერთ-ერთი ბერძნული წყაროს, სახელდობრ ე. წ. ტურინოს კომპილაციის ავკარგიანობას და იქ მოხსენებული გიორგის ვინაობას. მეორე ბერძნულ წყაროში კი, სახელდობრ კედრენთან, მოხსენებული გიორგის ვინაობა გარკვეულად უნდა ჩაითვალოს: ისაა ათონის ივერთა მონასტრის მამა ანუ წინამძღვარი, შემდეგში მონოვატში გადასახლებული, რომელსაც ამიტომ მონოვატელად ვიხსენიებთ სეხნისაგან გასარჩევად.

ვარაზვაჩესთან ერთად მოხსენიებული გიორგი ბერძნულ წყაროთა შორის გვხვდება გიორგი კედრენთან და ე. წ. ტურინოს კომპილაციაში. ამათგან კედრენის ცნობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, ტურინოს კომპილაციის ტექსტის შესახებ კი ლიტერატურაში გამოთქმულია ორი, ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრი (კრუმბახერისა და ს. ყაუხჩიშვილის) და ამიტომაც საჭირო შეიქნა ხსენებული კომპილაციის ჩვენთვის საინტერესო კუპიურის დამოუკიდებლობა — ნასესხებულობის დადგენა.

პროფ. ს. ყაუხჩიშვილი დიდ მსგავსებას ხედავს ტურინოს ტექსტსა და კედრენს შორის. მართლაც, ტურინოს კომპილაციის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ბაგრატ მეფისა (1027—1072) და ლიპარიტ ერისთავის დაზავების პირობებზე (§ 1)[3] და ჩამოთვლილია საქართველოს პუნქტები, ბიზანტიის ხელში რომ გადავიდა (§ 2), „საკვირველი იგივეობით და... თანამიმდევრობით იმეორებს სწორედ იმ გეოგრაფიულ სახელებს, რომელნიც კედრენის თხრობაშია გვხვდება“[4]. ამის საფუძველზე ს. ყაუხჩიშვილს კ ე დ რ ე ნ ი ს გ ა ნ ვ ე მ ო მ-

---

[1] წერილი ამოღებულია და უცვლელად იბეჭდება ნარკვევიდან „გიორგი და ვარაზვაჩე ქართული და ბერძნული წყაროებით“, რომელიც მოსმენილ იქმნა თბილისის სახ. უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის სხდომაზე 1944 წ. 12 ივნისს.

[2] ესაა სხვა ვარაზვაჩე (XI ს.) და არა იოანე-ვარაზვაჩე იოანე-თორნიკეს ძმა (X ს.); რომელსაც მიეძღვნა ჩვენი ცალკე წერილი („ანალები“, I, თბ., 1947, გვ. 239—249).

[3] პარაგრაფებად ტექსტის დაყოფა ეკუთვნის პროფ. ს. ყაუხჩიშვილს.

[4] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ტურინოს კომპილაციისათვის, ტფ. უნ-ტის მოამბე, IV. ტფ. 1924, გვ. 354.

დინარედ მიაჩნია კომპილაციის ის ნაწილიც (§ 3), სადაც იხსენიება ჩვენი გიორგი, და საერთო შეფასებას პარალოგისტურად ასეთს აძლევს: „ტურინოს კომპილაციის ციტირებულ ტექსტში არ უნდა ვიგულისხმოთ ორიგინალი ნაშრომი და არც დამოუკიდებელ წყაროზე დამყარებული, ახალი ცნობების შემცველი თხრობა“-ო[5].

ცნობილ კრუმბახერს კი ადრევე საწინააღმდეგო აზრი ჰქონდა ამაზე გამოთქმული. მისი სიტყვით, კომპილაციაში დაცული ზოგიერთი მითითება არ გვხვდება არა მარტო კედრენ-სკილიცას ნაწერებში, არამედ სხვა იმდროინდელ ისტორიულ წყაროებშიც, როგორიცაა ფსელოსი, მიხეილ ატალიოტი და ზონარა, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთო, — ამბობს ის, — რომ კომპილატორს ხელთ ჰქონდა დაკარგული და დღეს უცნობი წყაროებიო[6].

მართლაც, ცნობილია, რომ გიორგი კედრენს (XII საუკ.) 1057 წლამდე ყველაფერი სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი აქვს იოანე სკილიცა თრაკისიელის ნაშრომიდან; ხოლო სკილიცა თავის მხრივ სარგებლობდა მთელი რიგი დღეს დაკარგული წყაროებით. ასეთებია: სიკელიოტ დიდასკალოსი, დიაკონი ნიკიფორე ფრიგიელი, სიდეს პროედროსი თეოდორე, მისი ძმისწული, სევასტიის ეპისკოპოსი თეოდორეც და დიმიტრი კიზიკელი[7].

ესენი ყველანი ცხოვრობდნენ პროვინციებში და არა დედაქალაქ კონსტანტინოპოლში. ამიტომ თავიანთ ნაწერებში უხვად გადმოგვცემენ ადგილობრივ, პროვინციულ საისტორიო და საყოფაცხოვრებო მასალას[8].

ასეთ პირობებში ბუნებრივად ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ ტურინოს კომპილატორმა გამოიყენა რომელიმე ზემორე დასახელებული ან სხვა უცნობი ავტორი და სწორედ იმისგან ამოიღო საქართველო-სომხეთის შესახებ ის ცნობები, რაც მას შემოუნახავს ჩვენთვის საინტერესო ექსცერპტებში, კედრენსა და სკილიცას კი არ მოეპოვებათ.

კომპილატორს რომ მართლაც აქვს სხვა, იმდროინდელი ბერძნული წყაროებისათვის უცნობი რეალიები და რომ, წინააღმდეგ ს. ყაუხჩიშვილის აზრისა, კედრენისგან მომდინარედ არ ჩაითვლება კერძოდ ჩვენთვის საინტერესო მესამე პარაგრაფი, ეს ნათლად ჩანს კედრენისა და კომპილატორის ტექსტების დაპირისპირებით.

კედრენი წერს:

Οἱ δὲ τουτου σονεμότοι... Γεώργιος τε καὶ Βαρασβατζὲ ὁ ἐν τῷ ὄρει τῷ Ἄθῳ τὴν τῶν Ἰβήρων μόνην συστησάμενος, οἱ τοῦ πατρικίου Θευδατοῦ ἀνεψιοί, δοινῶς τυφθέντες καὶ διὰ μέσης τῆς λεωφόρου παραπεμφθόντες ἐξορίᾳ παραπέμφθησον.

ხოლო შეთქმულებაში მონაწილენი: ...აგრეთვე გიორგი და ვარაზვაჩე, რომელმაც ათონის მთაზე ივერთა მონასტერი ააშენა, პატრიკი თევდატეს ძმისწულები, სასტიკად იქმნენ გვემულნი, გაატარეს საჩვენებლად ქუჩებში და გაგზავნეს ექსორიად.

---

5 ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 355 (ხაზგასმა თვით ავტორისაა).

6 იქვე, გვ. 352.

7 Addenda ad Cedrenum, Migne, Patrologia Graeca, t. CXXII, 1360.

8 В. Болотов, Лекции по истории древней церкви, 1, СПб., 1907, გვ. 183.

დავუპირისპიროთ კედრენს ტურინოს კომპილატორის ტექსტი:

Γεώργιος τε καὶ Βαρσβατζὲ οἱ ἐν τῷ τοῦ Ἄθωνος ὄρει τὴν περιφανῆ τῶν Ἰβήρων μονὴν συστησάμενοι πρὸς βασιλέα προσέβραμον καὶ φιλοφρόνως ἐδέχθησαν.	გიორგი და ვარაზვაჩე, რომელთაც ათონის მთაზე ააგეს იერთა გამოჩენილი მონასტერი, მსწრაფლ ეახლნენ მეფეს და კეთილმოწყალედ იქმნენ მიღებულნი.

სხვაობა ამ დაპირისპირებიდან საოცარია:

1. კედრენით გიორგი და ვარაზვაჩე პატრიკი თევდატეს ძმისწულები თუ დისწულები არიან, კომპილატორით კი ასეთებად არ იხსენიებიან;

2. კედრენით გიორგი და ვარაზვაჩე მოქმედებენ რომანოზ III არგიროს, resp. არგიროპოლოს, დროს (1028—1034) და მის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობენ, კომპილატორით კი ისინი მოქმედებენ კონსტანტინე მონომახის მეფობისას (1042—1054), რაც ცხადად ჩანს პირველი პარაგრაფიდან;

3. კედრენით გიორგის და ვარაზვაჩეს საქვეყნოდ ამცირებენ და სჯიან, კომპილატორით კი მათ, პირიქით, კეთილმოწყალედ მიიღებენ;

4. კედრენით მარტო ვარაზვაჩეა იერთა მონასტრის მაშენებლად მოხსენებული, კომპილატორით კი ორივენი[9].

ამრიგად კედრენისა და ტურინოს კომპილაციის ცნობათა სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარეობა ნათელია და უცილობელი. მაშასადამე, კედრენთან შედარებით ტურინოს ტექსტი ახალ ცნობებსაც შეიცავს და, როგორც ასეთი, ყურადსაღებ ძეგლადაც უნდა ვაღიაროთ.

ამგვარ მის ღირებულებას მშვენრმეტყველურად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ტურინოს ცნობებს იმდროინდელ ქართულ საისტორიო წყაროებშიც მოეპოვებათ სათანადო კონტესტაციები. სახელდობრ, თბილისისა და ანისის მიტაცებას ბიზანტიის მიერ სწორედ კონსტანტინე მონომახის მეფობის ხანაში (1042—1054), რასაც მოგვითხრობს ტურინოს ტექსტის მეორე პარაგრაფი, ადასტურებს „მატიანე ქართლისაჲ"-ც. ამას არც პროფ. ს. ყაუხჩიშვილი უარყოფს[10].

კომპილატორს ეხმაურება აგრეთვე მეორე ქართული ძეგლიც, გიორგი მთაწმიდლის „ცხორება", სადაც ჩვენ ვპოვებთ კონტესტაციას სწორედ იმ ცნობისას, რომელიც დაცულია ჩვენთვის საინტერესო მესამე პარაგრაფში და შეეხება ერთ-ერთი იქ დასახელებული პირის, სახელდობრ გიორგის, მისვლას კონსტანტინე მონომახთან.

ამ კონტესტაციათა შემდეგ ტურინოს კომპილატორის ტექსტის ღირებულება უდავო უნდა იქნეს.

---

9 ს. ყაუხჩიშვილის ფიქრით (გვ. 355, შენ. 1), კედრენის განმსაზღვრელი წინადადება ὁ ἐν τῷ ὄρει τῷ Ἄθῳ τὴν τῶν Ἰβήρων μονὴν συστησάμενος კონტექსტით ეხება ორივეს, გიორგისაც და ვარაზვაჩესაც, და ამიტომ უნდა იყოსო: οἱ ἐν τῷ ὄρει τῷ Ἄθῳ τὴν τῶν Ἰβήρων μονὴν συστησάμενοι-ო. მაგრამ ასეთ კონიექტურას ვერ გავიზიარებთ: იგი ნებისმიერია. ბონის 1924 წ. გამოცემის ლათინურ თარგმანშიაც მაშენებლად მარტო ვარაზვაჩეა: **Georgiusque et Barasbatzo, qui in monto Atho Iberorum monasterium condidit**, გვ. 488.

10 ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 353, შენიშვნა 1.

მართლაც. აი როგორ რეალიას ვკითხულობთ მთაწმიდლის ცხოვრებაში: „...დიმოსისგან[11] დიდსა შინა ჭირსა იყვნეს პრასტინნი[12] ჩვენნი, — მოგვითხრობს გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება“, — ესრეთ მისცა უფალმან ჟამი მარჯვე: მას ჟამსა, ოდეს ღვთის მსახური ბაგრატ, აფხაზთა მეფე, და დედა მისი შარიამ დედოფალი სამეუფოდ ქალაქად (ე. ი. კონსტანტინოპოლად) მოვიდეს, აღვიდა წმიდად ესე მამა ჩვენი (ე. ი. გიორგი მთაწმიდელი) ღ ვ თ ი ს მ ს ა ხ ურ თ ა მ ა თ მ ე ფ ე თ ა თ ა ნ ა (ე. ი. ბაგრატთან და კონსტანტინე მონომახთან) და... ყოველივე საქმე მონასტრისა... კეთილად იურვა და დიმოსისა საქმე მაშინ გარდასწყვიდა: რათა მედიმოსენი პრასტინთა ჩვენთა ვერ შემოვიდენ, არამედ რათა გარეს გარე, სეკრეტონსავე შინა მიეცემოდის როქისაგან ჩვენისა ლიტრა ერთი დიმოსად. ვითარცა თ ვ ი თ გ ა ნ წ ე ს ა ღვთის მსახურმან მეფემან კოსტანტი მონომახმან და ამას ზედა ოქრობეჭედი შექმნა მტკიცე და უქცეველი“-ო[13].

მართალია, „ცხორების“ ავტორი არ იხსენიებს ვარაზვაჩეს, მაგრამ ცხადია, რომ (კედრენით) მისი თანამოსაგრე გიორგი, ამ შემთხვევაში, მთაწმიდელი, მისულა კონსტანტინე მონომახთან და კეთილმოწყალედაც ყოფილა მის მიერ მიღებული, რამდენადაც ივერთა მონასტერს ნება მიეცა მისთვის განკუთვნილ სახელმწიფო სარგოსგან, ე. წ. როქისგან (ῥούγα. ῥόγα) ერთი ლიტრა დიმოსად (გადასახადად) გადაერიცხა პირდაპირ საბარჟთამკრეფო დაწესებულებაშივე („გარეს გარე, სეკრეტონსავე შინა მიეცემოდის“)[14] და ამის გარანტიად მონასტერს იმპერატორმა უბოძა ქრისოვული ანუ, აგიოგრაფის სიტყვით, „ოქრობეჭედი მტკიცე და უქცეველი“[15].

მთაწმიდელის „ცხორება“ არა თუ სავსებით ადასტურებს ტურინოს ტექსტის მესამე პარაგრაფში თქმულს, არამედ გვიხსნის კიდეც, სახელდობრ რომელი გიორგი მისულა იმპერატორთან, როდის მოხდა ეს ფაქტი და კონკრეტულად რამ გამოიწვია გიორგისა და ვარაზვაჩეს დარბაზობა მონომახთან: ამასაც, ჩვენი ფიქრით, ამაზე უნდა მიგვითითებდეს ტურინოს ტექსტში კედრენისაგან განსხვავებით ზედმეტად ხმარებული სიტყვაც — περιφανής, გამოჩენილი, სახელოვანი მონასტერიო (ივერიის მონასტრის მიმართ), თითქოს უნდა გვითხრას — ამიტომაც მიიღო მეფემ კ ე თ ი ლ მ ო წ ყ ა ლ ე დ ო (φιλοφρόνως).

---

[11] „დიმოსი ვეცხლი არს სახარკო“ (ს. ორბელიანი, ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928, გვ. 99).

[12] სპყოფი ადგილი, იქვე, გვ. 274.

[13] ათონ. კრებ., გვ. 302—303 (ხაზგასმა ჩვენია).

[14] კონსტანტინე მონომახმა თავისი მეფობის ორ ბოლო (1053 და 1054) წელს ენერგიულად მოჰკიდა ხელი იმპერიის ფინანსების გამოსწორებას და ამ მიზნით სახარჯო მოხელეებთან, სეკრეტიკოსებთან, მოთათბირების შემდეგ მიიღო კიდეც არა ერთი საფისკო ხარჯის ღონისძიება, კერძოდ, ეკლესია-მონასტრების მიმართაც (იხ. უფრო ვრცლად Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, СПб, 1884, გვ. 288 და შმდ.). ეს საერთოდ ფინანსური წამოწყება, ჩანს, ათონის ივერთა მონასტერსაც შეეხება.: „დიმოსისაგან დიდსა შინა ჭირსა იყვნეს პრასტინნი ჩვენნი“-ო. გვაუწყებს მთაწმიდელის „ცხორება“ (ათ. კრებ., გვ. 302). ახლა კი დარბაზობა-შეამდგომლობის შედეგად შეღავათი ჩისცემია ივერს.

[15] ამას თამამად შეიძლება დაუკავშირდეს ივერთა მონასტრის აღაპი დადებული ნათლისღებას (იანვრის 6-ს): „კოსტანტი მონომახისა აღაპად განგვიწესებიეს. სოლიმნი ჩვენი ყოველი მან შეგვჴმნა და დ ი მ ო ს ი მ ო გ ვ ც ა“ (ათონ. კრებ., გვ. 221, № 27).

უფრო მნიშვნელოვანია აქ ქრონოლოგიური დამთხვევა: ტურინოს კონტექსტი მიგვახვედრებს, რომ გიორგი და ვარაზვაჩე მიუვიდნენ მეფესთან იმ ხანებში, როცა ბაგრატ მეფე და ლიპარიტი ერთმანეთს შორის დააზავა კონსტანტინე მონომახმა[16]. ხოლო „ცხორება“ გარკვეულად გვაუწყებს, რომ გიორგი მთაწმიდელი მივიდა მონომახთან მაშინ, „ოდეს ღუთისმსახური ბაგრატ, აფხაზთა მეფე, და დედა მისი მარიამ დედოფალი სამეუფოდ ქალაქად (ე. ი. კონსტანტინოპოლში) მოვიდეს“-ო; ჩავიდა კი იქ ბაგრატი, როგორც ვიცით, აურქთა ტყეეობიდან ლიპარიტის დაბრუნების შემდეგ, ე. ი. 1051 წ. მერე[17].

აგიოგრაფის სიტყვა — „მოვიდეს“ — გვავალებს ბაგრატისა და მისი დედის კონსტანტინოპოლში ჩასვლის დროის ზუსტად დადგენას; ეს კი არ ხერხდება, თუმცა a priori შეიძლება ითქვას, რომ ტყეეობიდან ლიპარიტის დაბრუნებასა (1051 წ.) და ბაგრატის წასვლას შორის დიდ დროს არ უნდა გაევლო: თუ იმავ 1051 წელს არა, 1052 წელს მაინც ჩავიდოდა. ლიპარიტის მოსვლისთანავე ბაგრატი დასტოვებს თბილისს, აიღის ქართლს, ჩავა ჯავახეთს, მერე ქუთაისში მეფედ დასვამს შვილს გიორგის და შემდეგ უკვე გასწევს ბიზანტიაში[18], ოღონდ გზად ტრაპიზონში გაჩერდება და იქიდან სთხოვს იმპერატორს კონსტანტინოპოლში ჩასვლის ნებას[19]. ყოველივე ამაში დიდი დრო არ გაივლიდა და ამიტომაც ბაგრატის ჩასვლას კონსტანტინოპოლში ვვარაუდობთ 1052 წლით.

ამასვე გვიდასტურებს კალიპოს სახარების მინაწერიც, აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოყენებული[20] და 1054 წლით დათარიღებული[21]: „დაიწერა კალიპოს... მეფობასა კოსტანტი მონომახისასა, ანტიოქიას პატრიარქობასა პეტრესსა და ბაგრატის აფხაზთა მეფის... სამეფოს ყოფასა...“[22]. მართლაც: კონსტანტინე მონომახი ტახტზე ავიდა 1042 წ. 12 ივნისს[23], გარდაიცვალა კი, კედრენისა და ატალიოტის ჩვენებით, 1055 წ. 11 იანვარს[24], ხოლო პეტრე ანტიოქიის პატრიარქად იყო არა 1053 წლიდან, როგორც ამას ანგარიშობენ დღემდე, არამედ 1052 წ. აპრილიდან 1057 წლამდე[25]. ასე რომ ამ მინაწერის

16 რა პირობებში მოხდა ეს დაზავება, ამას გეამცნობს კედრენი: ბაგრატი იქნებოდა მთელი იბერიისა და აფხაზეთის პატრონად (κύριον) და მეფედ (ἄρχοντα). ბოლო ლიპარიტი მესხეთის ნაწილის არქონტად (ἄρχοντα). Cedr. 573. Migne, Patr. Gr. t. 122, გვ. 305—306. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913 წ. გვ. 444 და ამის შესწორება — ს. ყაუხჩიშვილი, ტურინოს კომპილაციისათვის, გვ. 352, შენ. 1. ამ მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ მომენტს, — კონსტანტინე მონომახის დროინდელობას, — პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, სამწუხაროდ, უგულებელყოფს, აიგივებს რა ამ ფაქტს სხვა ფაქტთან, რომანოზ III-ის მეფობისას რომ მოხდა, (იქვე, გვ. 355).

17 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 443.

18 მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, 1955, გვ. 303.

19 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 444. კედრენით, 572.

20 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 444.

21 ი. ჯავახიშვილი, ქართული... პალეოგრაფია, თბ., 1928, გვ. 173.

22 ქრონიკები, I, გვ. 203; Ф. Жордания, Описание рукописей церковного музея, II, გვ. 49, № 484.

23 Скабаланович, Византийское государство и церковь в XI веке, გვ. 54.

24 იქვე, გვ. 68 და შენ. 1 და 2. საინტერესოა, რომ ათონის ქართველმა ბერობამ სწორედ ამიტომ განაჩინა კონსტანტინე მონომახისის ალაპი (№ 27) 6 იანვრისათვის: ეს დიდი საუფლო დღესასწაული (ნათლისღება) უახლოესი იყო მისი გარდაცვალების დღისა.

25 არქიეპ. სერგი (Полный месяцеслов Востока, т. II. Владимир, 1901. 687) სდებს 1053—1057 წლებს, რასაც იღებს აკად. ნ. მარი (Исторический очерк Грузинской церкви с древнейших времен, прилож. к „Церковн. Ведомостям“, 1907, № 3, გვ. 136). მაგრამ ნ. სახარულიძე (დასახ. ნაშრომი, გვ. 420, შენ. 5) პეტრეს გაპატრიარქებას

მეოხებით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ბაგრატის კონსტანტინოპოლში ყოფნის დროც: ის აქ იყო უკვე 1052 წ. აპრილის მერე, მონომახის ზეობის ბოლო წლებში.

მეორე მხრივ, გიორგი მთაწმიდელის „ცხორებაში" დაცული ერთი რეალია გვიჩვენებს, რომ როცა მონომახის მერე იმპერიას განაგებდა მარტო თეოდორა, კონსტანტინე VIII-ის ასული, სახელდობრ, 1055 წ. იანვრიდან — 1056 წ. აგვისტოს ბოლომდე, ყოველ შემთხვევაში 1056 წ ე ლ ს, ე. ი. მანამდე, სანამ მიხეილ სტრატიოკოსი გამეფდებოდა ბაგრატი უკვე საქართველოშია დაბრუნებული და თეოდორას მოთხოვნით „სიხარულითა დიდითა" აქედან გაისტუმრებს თავის ასულს მართას ბიზანტიაში, რომელიც კონსტანტინოპოლში ჩავა სწორედ თეოდორას გარდაცვალების დღეს, 1056 წ. 31 აგვისტოს[26].

ახლა ამასთან დაკავშირებით თუ გავიხსენებთ, რომ, მატიანეს თანახმად, ბაგრატმა ბიზანტიაში „დაჰყო სამი წელიწადი"[27], გამოდის, რომ იქ ყოფილა 1052—1055 წლებში, ე. ი. კონსტანტინე მონომახის სიკვდილამდე. წამოსულა იქიდან თეოდორას ზეობაში, როცა იმპერიის პოზიცია, ჩანს, შეცვლილა მის მიმართ, ხოლო მიხეილ სტრატიოკოსის დროს (1056 წ. 31/VIII—1057 წ. 31/VIII) ბაგრატი გარკვეულად და ყოველგვარ ეჭვს გარეშე უკვე საქართველოში ყოფილა. ასე რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდი, თითქოს ბაგრატი სამშობლოში დაბრუნებულიყოს სტრატიოკოსის დროს 1057 წელს[28], დამყარებული მატიანის სათანადო ადგილის საეგებიო კონიექტურაზე, არ შეიძლება გაზიარებული იქნეს.

თქმულის შესაბამისად კონსტანტინე მონომახის თაოსნობით ბაგრატისა და ლიპარიტის დაზავების დროც შეიძლება განვსაზღვროთ მონომახის ზეობის ბოლო, 1052—1054, წლებით, და როგორც სინქრონისტული ფაქტი, იმავე ხანებს მიეკუთვნება გიორგისა და ვარაზვაჩეს დარბაზობაც იმპერატორთან, ჩვენი ინტერესის საგანი.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ სრულს სინქრონიზმს ორიეე წყაროს (კომპილაციასა და „ცხორებას") შორის: ორივეს ჩვენებით გიორგი კონსტანტინე მონომახთან მისულა ბაგრატისა და ლიპარიტის დაზავების ხანებში. მაშასადამე,

---

ათარიღებს 1052 წ. აპრილით და ამის საბუთად ასახელებს თვით პეტრეს წერილს (Migne, Patr. Graeca, t. 120, გვ. 758) გრანდენსის, resp. გრანდენსის ანუ აკვილეიის ეკლესიის პატრიარქ დომინიკესადმი, რომელიც დაწერილია არა უგვიანეს 1054 წ. აპრილისა, ოღონდ მოსკოვის სინოდალური ბიბლიოთეკის 509 კოდიკის პროფ. ტროიცკის ნუსხით წარმოდგენილს; ამ ნუსხით კი პეტრე სწერს დომინიკეს — ჩემი არქიეპისკოპოსობის დროიდან, როცა რომის პაპს ვაცნობე ჩემი გაპატრიარქება, გავიდა ორი წელიწადი, *biennia*. მაშ, 1052 წ. აპრილში პეტრე უკვე პატრიარქი ყოფილა. აქვე დავსძენთ, რომ საზოგადოდ წესად იყო მიღებული, ყოველ ახალ პატრიარქს თავისი გაპატრიარქება ეუწყებინა დანარჩენი პატრიარქებისათვის.

[26] თეოდორამ „ითხოვა ბაგრატ მეფისაგან, რათა მოსცეს ასული თვისი მართა"; „ბაგრატ წარმოგზავნა შვილი თჳსი მართა", — ეს ფრაზები გვიდასტურებენ ბაგრატის ყოფნას საქართველოში, ხოლო გიორგის სიტყვა მართას ჩასვლისას: „დღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა" — გვითარიღებს მართას ჩასვლის დღეს (ათონ. კრებული, გვ. 306—307. მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., I. გვ. 307, 18—26.

[27] ქართლის ცხოვრება, I, 303$_{9-10}$.

[28] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913, II, გვ. 444, 445.

კომპილაციის გიორგი უნდა იყოს „ცხორების“ გიორგი მთაწმიდელი.

მაგრამ იგივეობის სრული უეჭველობისათვის კიდევ ერთი დეტალი არის შესათანხმებელი და დასადგენი. ტურინოს გიორგი ივერთა გამოჩენილი მონასტრის მაშენებლად არის სახელდებული: ვარაზვაჩე და იგი იხსენიებიან ὀἱ ἐν τῷ τοῦ Ἁθωνος ὄρει τὴν περιφανῆ τῶν Ἰβήρων μονὴν συστησάμενοι. იყო კი გიორგი მთაწმიდელი ამ სავანის მაშენებელი? რასაკვირველია, იყო. მისი საყოველთაოდ ცნობილი მოღვაწეობის გარდა[29] ამას ადასტურებს მისი ბიოგრაფოსის მკაფიო თქმაც: „დავკრძალეთ ჰე შმარიტად ვითარცა მეორედ მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათა“-ო[30], ე. ი. ჩვენებური თქმით: დავასაფლავეთ მართლაც, ნამდვილად როგორც მეორე, ახალი მაშენებელი და ეკლესიების შემამკობელიო. ასე რომ თუ კი იმდროინდელ ქართველობას (გიორგი ხუცეს-მონაზონი, ცხადია, ერთი არ იყო) გიორგი მთაწმიდელი მიაჩნდა თუნდაც ნამდვილი, ფაქტიური მაშენებლის ღანასწორ მოღვაწედ, აშკარაა, ბერძენ ავტორს, ტურინოს კომპილატორს, მით უფრო თამამად შეეძლო იგი მოეხსენებინა პირდაპირ მაშენებლად. ამიტომ კომპილაციის გიორგად დაუბრკოლებლივ შეიძლება ვიცნათ გიორგი მთაწმიდელი, იერთა მონასტრის დიდი მოამაგე და ერთობ ქართველობის გამოჩენილი მოღვაწე.

მაგრამ თუ ტურინოს ტექსტს კედრენისაგან მომდინარედ ვცნობთ, მაშინ კომპილაციის გიორგად volens-nolens უნდა ვაღიაროთ კედრენის გიორგი შეთქმული. კედრენისეული გიორგი კი იყო ივერთა მონასტრის მამა გიორგი, ჩვენ მიერ მონოვატელად წოდებული, რომელიც რომანოზ III-ის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის 1029—1030 წწ. ვადასახლეს მონოვატის მონასტერში და „შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მიიცვალა ექსორიობასა შინა“[31]. ცხადია, ექსორიაში გარდაცვლილი გიორგი საეთოდ ვეღარ წარდგებოდა ვერც კონსტანტინე მონომახთან და ვერც სხვა იმპერატორთან, ვინაიდან 1029—1030 წლიდან გადასახლებული იგი სულსა

---

[29] საამისო რეალიები იხ. ათონ. კრებულში, გვ. 299, 301, 302.

[30] ათონ. კრებ., გვ. 347 (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონ. A № 170 ხელნაწერით). ხოლო იმავე ინსტიტუტის ფ. S № 353 ხელნაწერში (გვ. 122) ასეთი კითხვასხეაობაა: „დავკრძალეთ ჰეშმარიტად ვითარდა მეორე მაშენებელი...“, ამასთანავე სიტყვა „მეორე“ გამოტანილია მარცხენა კიდეზე, ოღონდ გადამწერისავე ხელით და იმავე მელნით, როგორითაცაა ნაწერი თვით ხელნაწერი. ამ მანუსკრიპტზე მითითებისათვის მადლობას ვუხდით ამად. ნ. ბერძენიშვილს. ფაქტიურადაც გიორგი მთაწმიდელი მაშენებელი იყო, თუ გავიხსენებთ მის „ცხორებაში“ აღნიშნულ ორ რეალიას მაინც: ა) მისი „არს შენებაჲ სამარტჳლოსა და შემკობაჲ მისი ყოვლითა სამკაულითა“ (გვ. 299), „ხატითა და ჯუარითა, ჭორკანდლითა, სასანთლითა და ეზოთა და სხჳთა ყოველითაჲ ბრწყინჳალებითა“ (გვ. 301), სადაც გადმოსვენა და დაკრძალა ექვთიმე, იოანე, არსენ ნინწყვინდელი ეპისკოპოსი და საღმრთოჲ ბერი იოანე გრძელის ძე (გვ. 301); ბ) გიორგი მთაწმიდელმაჲ „ტყჳეით დაბურა წმინდაჲ ეკლესია (ღვთის მშობელისა) და ამას ზედა შესძინა და გჳრგჳნი — შტო ალაშენაჲ (გვ. 302), ე. ი. ტყეით გადახურა ეკლესია და მას ზედ დაუშენა გვირგვინი — შტო ანუ ღობეშენა სვეტებზე დანდობილი გუმბათი. ტერმინი „მეორედ შენება“, რომელიც სხვა შემთხვევებშიაც გვხვდება, აქედ. ნიკ. ბერძენიშვილს საბუთიერად აქვს განმარტებული, როგორც გადაკეთება, განახლება, რესტავრაცია (ნ. ბერძენიშვილი, „მცხეთის საბუთი XI საუკუნისა“. საქართვ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, გვ. 282 და შმდ.).

[31] ათ. კრებ., გვ. 62.

ლევს გადასახლებამივე. ახლა სხვა წინააღმდეგობათა შეუთავსებლობაც გავიხსენოთ: ა) კედრენის გიორგი საქვეყნოდ დამცირებულია. კომპილაციისა კი, პირიქით, კეთილმოწყალედაა მეფის მიერ მიღებული; ბ) ერთი მოქმედებს რომანოზ III-ის, მეორე კონსტანტინე მონომახის ზეობაში; გ) ერთი არაა მაშენებელი, მეორე კი მაშენებლად იხსენიება. რასაკვირველია, ყველა ამ წინააღმდეგობათა გამო შეუძლებელია მათი იდენტიფიკაცია და ამიტომ არც შეიძლება ტურინოს ტექსტი ვცნოთ კედრენისაგან მომდინარედ.

Е. А. ПАХОМОВ

ЗАГАДОЧНЫЕ ГРУЗИНСКИЕ МОНЕТЫ НА ПОБЕРЕЖЬЕ КАСПИЯ

Разновременно в мою коллекцию поступили из разных источников, без сведений о месте их находок, 5 экземпляров медных монет, чеканенных по способу «неправильной чеканки», очень близкой к технике выделки медных грузинских царских монет XII—XIII вв. Эти новооткрытые монеты снабжены на одной стороне надписями грузинским алфавитом асомтаврули, а с другой — искаженной арабской. Они долго оставались совершенно неопределенными даже по времени их выпуска. Позже поступил еще 1 экземпляр, найденный в окрестностях г. Сумгаита.

Несколько лет тому назад в Дербенте был найден очень крупный клад медных монет, состоявших, главным образом, из монет Ильдегизидов и их вассалов, с небольшой примесью чекана других династий XII—XIII вв. Описание этого клада, с некоторыми соображениями о его происхождении, будет дано отдельно. Для нас важно то, что по составу входящих в него монет, он несомненно был зарыт в первой четверти XIII в. н. э. (первой четверти VII в. хиджры).

В этом кладе нашлись два экземпляра указанных выше грузинских монет и это, со значительной степенью уверенности, позволяет отнести время их выпуска также не позже первых годов XIII в.

Таким образом, в нашем распоряжении теперь имеется 9 экземпляров, битых штампами чрезвычайно близкими между собой, так-что их различить почти нет возможности, тем более, что круговая надпись лицевой и вся надпись оборотной сторон дошли в обрывках. По наличным 9 экземплярам, монеты имеют следующий вид:

Лиц. стор. Середина охвачена линейным кругом, диаметром около 8 мм, в котором помещена грузинская буква Ⴁ соответствующая русской «Б»; за кругом, читая от середины монеты и начиная сверху, идет надпись тем же алфавитом: ⴁⴔⴚⴁⴇⴑⴁⴖⴁⴑⴇ т. е. «Во имя божие»; ободок линейный.

Обор. стор. В линейном круге в четыре строки искаженная до полной неразборчивости арабская надпись, в которой только первую строчку можно прочесть, как слово «Мелик»; ободок линейный.

По размеру и весу наличные экземпляры укладываются в следующую таблицу:

	Диаметр (мм)	Толщина (мм)	Вес (г)
1	17,5 — 26,5	3,0 — 3,5	11,11
2	17,0 — 20,0	2,0 — 2,5	5,94 (пробит)
3	15,5 — 16,0	2,5 — 3,0	5,48
4	15,5	2,5 — 3,0	4,96

5	15,5 — 17,0	2,5 — 3,0	4,91
6	15,5 — 21,5	2,0 — 2,5	4,78
7	14,5 — 18,0	2,5	4,03
8	11,5 — 12,0	2,5 — 3,0	2,87
9	10,0	2,5 — 2,8	1,76

Из них №№ 1—3, 5—6 и 9 находятся в моей коллекции, а №№4, 7 и 8 поступили в Дербентский музей.

Можно ли все эти веса считать совершенно произвольными? Как будто между ними заметна некоторая закономерность: вес двух самых легких дает в среднем 2,31; средний вес следующих шести — 5,01; самая тяжелая весит 11,11. Таким образом, получаются как бы три градации, находящиеся друг к другу в отношении близком к 1 : 2 : 4. Конечно, при таком небольшом числе экземпляров на этом настаивать трудно и приходится ожидать еще новых находок.

Переходя к надписям мы и здесь встречаемся с рядом загадок. Трудно понять значение буквы в центральном круге: предполагать здесь инициал имени правителя трудно потому, что для конца XII и первых годов XIII вв. ни одного подходящего имени мы не имеем.

Нет данных и за то, что эта буква может означать нечто чекана.

Наконец, не подходит и объяснение этой буквы, как числовой, в смысле «2», что по счету грузинского коронникона соответствует приблизительно 782 или 1314 гг. н. э., но обе эти даты не соответствуют времени выпуска разбираемой монеты. Не менее загадочна и искаженная надпись оборотной стороны: слово, составляющее первую ее строку, можно прочесть как «Мелик», но все остальное совершенно не поддается разбозу. Даже если во второй строке видеть искаженное слово «шах», за которым следует «бин», а в третьей строке совершенно искаженное «ас-султан», то из иракских сельджуков, носивший такое имя Мелик-шах (1152—1153) жил гораздо раньше, чем предполагаемый выпуск этой монеты.

Таким образом, все перечисленные предположения очень гадательны и монеты обнаружения новых данных продолжают оставаться неопределенными.




Рис. 1

ედიშერ სოშტარია

ძველი ქართული საისტორიო წყაროების „კახეთის მთის“ ლოკალიზაციისათვის

ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ „კახეთის მთის“ ლოკალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხების გარკვევისათვის, კერძოდ, ისტორიულ კახეთისა და კუხეთის საზღვრების დადგენისათვის.

აღნიშნული საკითხი ჩვენ წამოგვეჭრა 1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯარმის ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობისას. ივრის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვების დროს, რომელნიც ეშუალოდ ექსპედიციის ხელმძღვანელის აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკალებით ვწარმოებდა[1].

„კახეთის მთა“, როგორც ისტორიული კახეთისა და კუხეთის საზღვარი, მოხსენიებული აქვს ლეონტი მროველს. ლეონტის მიხედვით, ქართლოსის სიკვდილის შემდეგ, მისმა ცოლმა გაუყო ქართლოსის ხუთ შვილს მამისეული მიწა-წყალი. აქედან კახოსს წილად ხვდა ტერიტორია „კავკასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვთგან ვიდრე ტყეტბადმდე, რომელი არს საზღვარი ჰერეთისა“...[2].

ამგვარად, ლეონტი მროველი კახოსის კუთვნილ ტერიტორიას მოხაზავს ოთხი მხრით: დასავლეთით არაგვია მოხსენიებული, აღმოსავლეთით ტყეტბა, რომელიც წარმოადგენდა საზღვარს კახეთსა და ჰერეთს შორის. ლეონტი მროველისავე სხვა მითითებიდან ირკვევა, რომ ტყეტბა იგივე მერმინდელი გულგულა ყოფილა[3]. ეს პუნქტი კი თელავის მახლობლად მდებარეობს. სწორედ იმ ხაზზე, რომელიც ითვლებოდა კახეთსა და ჰერეთს შორის საზღვრად („თურდო-წტორის-ქევი“)[4]. ჩრდილოეთით, ლეონტი მროველის მიხედვით, კახეთს კავკასიონი ესაზღვრავდა; რჩება სამხრეთ საზღვარი, რომელსაც, ლეონტის თანახმად, „კახეთის მთა“ წარმოადგენდა.

---

[1] მოხსენება ივრის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვის შედეგების შესახებ ვენ მიერ წაკითხულ იქნა უჯარმის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის საანგარიშო სესიაზე უნივერსიტეტში 1953 წ. ჩვენი მოსაზრება „კახეთის მთის“ ლოკალიზაციასთან დაკავშირებით გაზიარებულ იქნა შეკლევრების დ. მუსხელიშვილის („ციხე-ქალაქი უჯარმა“, 1955 წ., საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი, გვ. 71) და ლ. ჭილაშვილის („ქალაქი რუსთაი, ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი“, თბ., 1958 წ., გვ. 8) მიერ.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I. თბ., 1955, გვ. 9

[3] იქვე, გვ. 5.

[4] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 86, 100.

საკითხი დგება „კახეთის მთის“ ლოკალიზაციის შესახებ. ვახუშტი ამ მთად მიიჩნევს კავკასიონის მთავარი ქედიდან გამომავალ ერთ-ერთ შტოს. ვახუშტის თანახმად, ეს უკანასკნელი შედიოდა მთების სისტემაში, რომელიც ძისი სიტყვით: „გამოხდების ფშავ-ღლიღვის საშორისის კავკასიდამ და გამოვლის მახვილის ჴევსა და ფშავს შორის, კვალად ერწო-თიანეთსა და ირტო-საყდრიონს შორის, და ჟალეთის ბოლომდე მდებარებს ჩრდილოდამ სამჴრით, ღერძე წარმოვალს და მივალს მაღარო-ბორნაბუჯამდე. აღმოსავლეთ-სამჴრეთს შუა მდებარებს და უძეს აღმოსავლით წიგნით-კახეთი, სამჴრით ქისყი, დასავლით გარეთ-კახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსაკენ მთა კახეთისა, მერმე გონბორი, შუამთა და ცივი“[5]. ე. ი. ვახუშტის „მთა კახეთისა“ იგივეა, რაც აწინდელი კახეთის ქედი.

აკად. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევისას, ლეონტი მროველის „კახეთის მთის“ ლოკალიზაციას, ჩანს, ვახუშტის ზემოთმოტანილ ცნობის მიხედვით ახდენს[6]. ასევე იქცევა შარიამ ლორთქიფანიძეც, კახეთის სამთავროს ტერიტორიის დადგენისას[7].

მაგრამ, როგორც ირკვევა, ლეონტისეულ „კახეთის მთის“ ასეთი ლოკალიზაცია არ უნდა იყოს მართებული.

ჯერ ერთი, ლეონტისეულ „კახეთის მთის“ მოცემულ ლოკალიზაციას ის უხერხულობა ახლავს, რომ ლეონტი მროველი ამ მთას მიიჩნევს რა კახეთის სამხრეთ საზღვრად, ბუნებრივია, მას წარმოიდგენს როგორც კავკასიონის ქედის (ე. ი. კახეთის ჩრდილოეთი საზღვრის) პარალელურ მთას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა კახეთის მიწა-წყლის განსაზღვრა, როგორც „კავკასიასა და კახეთის მთას შორის“ მდებარე ტერიტორიისა. ვახუშტის მიხედვით კი კახეთის მთა კავკასიის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენს და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მოემართება. გარდა ამისა, თუ კი დავუშვებთ, რომ კახეთის მთა კახეთს შემოფარგლავდა დასავლეთიდან, გაუგებარი ხდება ლეონტი მროველის მიერ ამავე მხრით კახეთის საზღვრად არაგვის მითითება. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში ისტორიული კახეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი (არაგვსა და ვახუშტისეულ კახეთის მთას შორის) კახეთის საზღვრებს გარეთ რჩება.

იმის გამო, რომ ვახუშტის, ჩანს, უკვე თავისდროინდელი ნომენკლატურის მიხედვით ჰქონდა წარმოდგენილი კახეთის მთის მდებარეობა, მას თავისებურად ქვს გადმოცემული ის ადგილი ლეონტი მროველის თხზულებიდან, სადაც კახეთის საზღვრებია მოხაზული. კერძოდ, ვახუშტი წერს: „შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა, განუყო დედამან მათმან ძეთა თჳსთა ქართლოსის წილი ქვეყახა. და მისცა კახოს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამჴრით საზღვარი ჭერეთისა, თურდო-შტორის-ჯვრი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი, და ჩრდილოთ მთა კავკასი“[8].

---

[5] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 87.

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 15.

[7] შ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანები' ისტორიიდან („კახეთის სამთავრო VIII—XI სს.), „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, 31, 1954, გვ. 20—22.

[8] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 86.

ვახუშტის მიხედვით ძველ კახეთში იგულისხმებოდა მისი დროინდელი ღშავ-კევსურეთი, თიანეთი, ერწო, ირტოს-კეკი, პანკისის ხეობა, საყდრიონი და ალონი[9].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლეონტი მროველის თხზულების კონტექსტის თანახმად, „კახეთის მთას" კავკასიონის პარალელური მიმართულება უნდა ჰქონოდა. ჩვენი დაკვირვებით ამ მთის ქვეშ დღევანდელი იალნო-საგურამოს ქედი, ანუ იგივე ზედაზნის მთა უნდა იგულისხმებოდეს. იმასთან ერთად, რომ ამ მთას სავსებით შესაფერისი მდებარეობა აქვს, ჩვენს ასეთ მოსაზრებას ადასტურებენ სხვა ძველი ქართული საისტორიო წყაროს, კერძოდ—„წმ. ნინოს ცხოვრების" მონაცემებიც. „ნინოს ცხოვრებაში" ნათქვამია: „ხ წ მან (ე. ი. ნინომ — ე. ხ.) ჰქა მეფესა და ყრსა ერსა: განავლინეთ კაცნი მთათა ზ-ა მაღალთა აღმოსავალად ვ კახეთისა მთადმდ და დასავლეთით ვ მიაწევდეს სამეფოჲ შ-ნი."[10]

ისენებულ კაცებს, „ნინოს ცხოვრების" თანახმად უნდა მიეღევნებინათ თვალი ვარსკვლავების მოძრაობისათვის, რომელთაც უნდა ეჩვენებინათ ჯვრების აღმართვის ადგილი.

შემდეგ მომსდარი ამბების შესახებ „ნინოს ცხოვრებაში" ვკითხულობთ: „....მოვიდეს აღმოსავალით და თქ ეს: „ვიხილეთ ვარსკულავი იგი აქაჲთ მომავალი და დაადგა დაბასა ბოდს კახეთისასა ქ-ყნსა"[11].

„ნინოს ცხოვრების" მეორე ვარიანტში (ქელი-ურის ნუსხა) ეს ადგილი შემდეგნაირადაა მოცემული: „.... მოვიდეს შითით კახეთისით და თქუეს: „ვიხილეთ ვარსკლავი აქათ მომავალი, დაადგრა დაბასა ბოდესა კუხეთისასა"[12]. ამის შემდეგ ნინომ ერთ-ერთი ჯვარი მისცა სალომე უჯარმელს, რათა მას იგი აღეჭართა ვარსკვლავის მიერ ნაჩვენებ ადგილას, მხოლოდ არა საკუთრივ დაბა ბოდისში, სადაც თითქოს ვარსკვლავი გაჩერდა, არამედ ქალაქ უჯარმაში, რადგან აქ ხალხის სიმრავლე იყო[13].

„ნინოს ცხოვრებიდან" ჩვენ მიერ მოტანილი ამონაწერები მოწმობენ, რომ „კახეთის მთა" მცხეთაში მყოფთათვის აღმოსავლეთით მდებარეობდა. ასეთ ვითარებაში კი სწორედ იალნო-საგურამოს ქედი ანუ იგივე ზედაზნის მთა გვევლინება. ამავე დროს იმავე წყაროს მიხედვით პუნქტები ბოდისი და უჯარმა „კახეთის მთასთან" ყოფილან დაკავშირებულნი. ნიშანდობლივია ამ მხრივ ის გარემოება, რომ იალნოს მთა უჯარმას ზედ თავზე გადაჰყურებს.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ძველი ქართული საისტორიო წყაროების „კახეთის მთა", რომელიც სამხრეთიდან საზღვრავდა კახეთს, დღევანდელი იალნო-საგურამოს ქედს, ანუ იგივე ზედაზნის მთას ეწოდებოდა.

მაგრამ ზემოთ თქმულიდან გამოდის, რომ „კახეთის მთა" მხოლოდ ნაწილობრივ საზღვრავდა ისტორიულ კახეთს სამხრეთიდან, რადგან, როგორც აღინიშნა, კახეთის აღმოსავლეთი საზღვარი დაახლოებით თელავის ხაზზე გადიოდა, ხოლო

---

[9] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 86.

[10] Ё. С. Такайшвили, Описание рукописей Общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, вып. 4, გვ. 790.

[11] იქვე.

[12] იქვე, გვ. 790—791.

[13] იქვე.

იალონ-საგურამოს ქედი მხოლოდ მდ. იორამდე აღწევს. უფრო აღმოსავლეთით ისტორიულ კახეთს სამხრეთიდან ცივ-გომბორის ქედი ესაზღვრებოდა. ჩვენთვის ამჟამად ძნელია დაბეჯითებით თქმა იმისა, იგულისხმებოდა თუ არა ეს უკანასკნელიც ლეონტისეულ „კახეთის მთაში", რაც თავისთავად გამორიცხული არ არის (გავიხსენოთ, რომ „წინოს ცხოვრების" თანახმად „კახეთის მთას" უკავშირდება დაბა ბოდისიც — იგივე ბოდა, ბოდბე, მთა ცივის კალთებზე მდებარე[14]), თუმცა ვფიქრობთ, ამჟამად, უეჭველობით, „კახეთის მთასთან" მხოლოდ იალონ-საგურამოს ქედის იდენტურობაზე შეიძლება ლაპარაკი.

აღსანიშნავია, რომ კახეთის მთის გააზრება ლეონტის და ვახუშტის მიერ სხვადასხვა იმის მიხედვით, თუ სად იგულისხმებოდა ამა თუ იმ დროს თვით კახეთი. ბუნებრივია, რომ ქართლში მყოფი პირისათვის (ამ შემთხვევაში—ლეონტი, ვახუშტი) კახეთის მთა იყო ის, რომლის იქითაც მდებარეობდა კახეთი. ასეთი იყო სწორედ ლეონტის დროს ჩვენი იალონ-საგურამოს ქედი, ხოლო ვახუშტის დროს კი, ისევე, როგორც ამჟამად, აწინდელი კახეთის ქედი.

ვახუტში იალონ-საგურამოს ქედს, ანუ იგივე ზედაზნის მთას „კუხეთის მთას" უწოდებს[15]. რადგანაც ძველ საისტორიო წყაროებში ასეთი სახელწოდების მთა საერთოდ არ გვხვდება, ვფიქრობთ, ვახუშტი ამ სახელწოდებას წყაროების მონაცემების საკუთარი გააზრების საფუძველზე თვითონ უყენებს დღევანდელ იალონ-საგურამოს ქედს.

ჩვენ მიერ თავიდანვე იყო აღნიშნული, რომ ლეონტი მრაველს „კახეთის ხთა" მოხსენიებული აქვს აგრეთვე როგორც ისტორიული კუხეთის საზღვარი. ამდენად, „კახეთის მთის" ჩვენ მიერ მოცემული ლოკალიზაცია გვეხმარება კუხეთის საზღვრების დადგენაშიც. თუმცა, იმის გამო, რომ წყაროს ცნობა ამ შეხთხვევაში ნაკლული ჩანს, ამ საკითხის ბოლომდე გარკვევა რთულდება.

ლეონტის თანახმად ქართლოსის ცოლმა კუხოსს „მისცა ბოსტანქალაქი, რომელსა აწ ჰქუიან რუსთავი, მისცა ეგრითგან (არაგვიდგან) ვიდრე თავადმდე ხთასა კახეთისასა და მტკუარსა შუა"[16].

მოტანილი ცნობა, ამ სახით, როგორც ვხედავთ, ნაკლულია. ცხადია აქ რომელიღაც მეოთხე გეოგრაფიული სახელწოდებაა გამორჩენილი, რომლის აღდგენა აუცილებელია, რათა მოხერხდეს კუხეთის საზღვრების მოხაზვა ოთხივე მხრივ, მსგავსად იმისა, როგორც კახეთის ტერიტორიაა შემოხაზული ლეონტი ბროველის მიერ.

„ქართლის ცხოვრების" ანასეულ და მარიამისეულ ნუსხებისაგან განსხვავებით, რუმიანცევისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში მოცემულია ცდა ტექსტში ამ მეოთხე გეოგრაფიულ სახელწოდების შემოტანისა. კერძოდ, ამ ნუსხების თანახმად ქართლოსის ცოლმა კუხოსს მისცა ტერიტორია „არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, თავადმდე, მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა"[17].

ჩვენი აზრით ლეონტი მრაველის ტექსტში სიტყვა «ჰერეთის» ამ სახით შემოტანა შინაარსობრივად შეიძლება სწორიც იყოს, მაკრამ ეს ვერ ჩაითვლება

---

[14] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 97.

[15] იქვე, გვ. 87, 93. ვახუშტის მიხედვით მოების მთელი სისტემა სარკინეთის მთიდან (ანუ კვერნაქიდან) მოკიდებული, იალონ-საგურამოს ანუ ზედაზნის მთის და გომბორის მთის ჩათვლით, ჭიზიყამდე საერთოდ კვერნაქად იწოდებოდა (იქვე, გვ. 87).

[16] ქართლის ცხოვრება, მარიამისეული ნუსხა, ტფ., 1906, გვ. 6; ანასეული ნუსხა, თბ., 1942, გვ. 5.

[17] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 9.

ძველი ტექსტის აღდგენად. ამას მოწმობს ტექსტში ამ შემთხვევაში გამოუყენებლად დარჩენილი სიტყვა „თავადმდე". რომელიც საფიქრებელია, სწორედ ტექსტში გამორჩენილ საგეოგრაფიო სახელწოდებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ლეონტი მროველის ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ადგილის აღდგენის ცდა მოცემული აქვს ივ. ჯავახიშვილს, რომელიც „ქართლის ცხოვრების" მარიამისეულ ნუსხით სარგებლობდა. ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად აღადგენს ტექსტს: „მისცა არაგვითგან ვიდრე თავადმდე მთისა კახეთისასა, (ალაზანსა) და მტკუარს შუა"[18].

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილის აზრით ლეონტი მროველის მიხედვით კუხეთი მდებარეობდა არაგვითგან მოკიდებული „თავადმდე მთისა კახეთისასა", მდ. ალაზნისა და მტკვარს შუა.

მაგრამ, ტექსტის ამგვარ აღდგენას ის აძნელებს, რომ მდ. ალაზნის მთელი. მარჯვენა სანაპირო კუხეთის ფარგლებში ექცევა, მაშინ, როდესაც წყაროების თახსხმად აღნიშნული ტერიტორია მდინარის ზემო წელში კახეთს ეკუთვნოდა, ქვეით კი. გულგულადან მოკიდებული (ე. ი. სწორედ მტკვრის ჩრდილოეთით), ჰერეთს[19].

ჩვენი აზრით ვერ ჩაითვლება ტექსტის აღდგენად აგრეთვე ტექსტში არა ალაზნის, არამედ „მცირე ალაზნის" ანუ „ცორის" ჩასმაც, როგორც ამას მარიამ ლორთქიფანიძე აკეთებს[20].

ლეონტი მროველის ტექსტის ამგვარი აღდგენა რომ ვერ ხსნის საკითხს იქიდან ჩანს, რომ მაინც გაურკვეველი რჩება, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს თვით ვაძოთქმაში „თავადმდე მთისა კახეთისასა", მითუმეტეს, რომ, როგორც ივ. ჯავახიშვილი. ასევე მარიამ ლორთქიფანიძე იზიარებენ კახეთის მთის ვახუშტისეულ ლოკალიზაციას. გაუგებარია, რა ტერიტორია შეიძლება მოიხაზოს არაგვიდან „თავადმდე მთისა კახეთისასა", თუ კი ეს მთა კავკასიონის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდა და ისევე, როგორც არაგვი დასავლეთიდან შემოფარგლავდა კახეთს.

ჩვენი აზრით, ლეონტი მროველის ნაკლული ტექსტის აღდგენა უნდა მოხდეს არა ზემოაღნიშნული გზით, არამედ იმავე წესით, როგორც ეს „ქართლის ცხოვრების" რუმიანცევისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებშია მოცემული, ე. ი. გამორჩენილი მეოთხე გეოგრაფიული სახელწოდება ტექსტში უნდა შეტანილ იქნას იქ, სადაც ამ ნუსხებში სიტყვა „ჰერეთია" ჩართული, თუმცა არა ამ სახით, არამედ შემდეგნაირად: „მისცა არაგუთგან ვიდრე თავადმდე ჰერეთისა...". (მსგავსად იმისა, როგორც გვაქვს: „ხოლო გაჩიოსს მისცა ორბის ციხე და სკვრეთის მდინარითგან ვიდრე თავადმდე აბოცისა"[21]), ხოლო შემდეგ უნდა შეესდევდეს სიტყვები: „...მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა..."

სხვათა შორის, ის გარემოება, რომ სიტყვას „თავადმდე" არაფერი საერთო არა აქვს სიტყვებთან „მთასა კახეთისასა", ჩანს შემდეგიდანაც: „ქართლის ცხოვრების" ანასეულ და მარიამისეულ ნუსხებში წერია „მთასა" და არა „მთისა", როგორც ეს ივ. ჯავახიშვილის მიერ შესწორებულ ტექსტშია მოცემული.

---

[18] ივ. ჯავახიშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

[19] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 5.

[20] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[21] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 9.

ასეთი შესწორება ცხადია, საჭირო იქნებოდა, თუ კი ტექსტში სიტყვები „თავადმდე" და „მთასა" დაკავშირებული იქნებოდნენ ერთმანეთთან (ე. ი. მართლაც იქნებოდა „თავადმდე მთისა კახეთისასა"). მაგრამ ის ფაქტი, რომ სიტყვა „მთასა" სავსებით კანონზომიერად დაკავშირებულია სიტყვასთან „კახეთისასა" (ე. ი. გვაქვს: „მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა"), ხოლო სიტყვას „თავადმდე" ამ სიტყვებთან არაფერი საერთო არა აქვს. ცხადყოფს, რომ ტექსტი თავიდანვე ასე იყო გაზრებული და სიტყვა „მთასა" არ საჭიროებს რაიმე შესწორებას.

ტექსტის ზემომოტანილ გაგებას, სხვათა შორის, კარგად შეესაბამება კახეთის მთის ჩვენ მიერ მოცემული ლოკალიზაცია. კერძოდ, გამოდის, რომ კუხეთი ერთი მხრივ მდებარეობდა (ყოველ შემთხვევაში, მის გარკვეულ ნაწილში) კახეთის მთასა ანუ იალონ-საგურამოს ქედსა და მტკვარს შორის, რაც შეეხება არავეის საპირისპირო ანუ აღმოსავლეთ საზღვარს, რომელიც ტექსტში გამორჩენილი იყო, ის ჯერ კიდევ საძიებელია. კიდევაც რომ სწორი იყოს რუმიანცევისეული და მაჩაბლისეული ნუსხების კონიექტურა, ჩვენი დახუსტებით („არაგვითგან თავადმდე ჰერეთისა"), მაინც ღიად რჩება საკითხი, თუ სახელდობრ ად გადიოდა საზღვარი კუხეთსა და ჰერეთს შორის.

ამასთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა შეგვიძლია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთით კუხეთი მოიცავდა რუსთავის, კუხეთის პოლიტიკური ცენტრის ტერიტორიას. თავისთავად იგი ჰერეთთან სასაზღვრო ტერიტორიად ითვლებოდა[22]. მეორე მხრივ ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ კუხეთში შედიოდა დაბა ბოდისი (ბოდა, ბოდბე). ეს უკანასკნელი კი ცივ-გომბორის მთის აღმოსავლეთ კალთებზე იმყოფებოდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კუხეთი ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით ამ ტერიტორიასაც მოიცავდა.

ერთი სიტყვით, საკითხი კუხეთის აღმოსავლეთ საზღვრის შესახებ ჯერ კიდევ დეტალურ კვლევას საჭიროებს.

რაც შეეხება ვახუშტის, მას ლეონტისეული ტექსტის საკუთარი გააზრების საფუძველზე კუხეთის საზღვრები შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: „აღმოსავლით მთა კახეთისა; სამჭრით საზღვარი ჰერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულამდე; დასავლით მტკვარი და არაგვი. ჩრდილოთ იღიეს მთა კახეთისა"[23].

ვახუშტის თანახმად ძველ კუხეთში იგულისხმებოდა: თიანეთი, საგურამო ანუ თეძმის-ჯევი (იგივე ხერკი), გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის-ჯევი, ყარაღაჯი, ნაგებიდა ყარაია[24].

იმდენად, რამდენადაც ჩვენ მიერ ნაჩვენები იყო რომ კახეთის სამხრეთ საზღვარს „კახეთის მთა" ანუ იალონ-საგურამოს ქედი და შესაძლოა ცივ-გომბორის ქედიც წარმოადგენდა, ხოლო ამავე დროს ეს მთა ჩრდილოეთიდან საზღვრავდა კუხეთს, საეჭვოდ ხდება კუხეთის ტერიტორიაში თიანეთისა და იალონ-საგურამოს ქედის ჩრდილოეთით მდებარე სხვა ტერიტორიის შეტანა. რაც შეეხება საგურამოს, გრდანს (ანუ გლდანს), მარტყოფს, ლილოს, დიდუბეს, სამგორს და ა. შ. ეს ადგილები სწორედ კუხეთის ფარგლებშია სავარაუდებელი.

---

[22] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I. თბ., 1964, გვ. 332—333.
[23] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 86.
[24] იქვე.

დავით მუსხელიშვილი

„მთა ქართლის“ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის

ჩვენი დაზვერვითი ექსპედიციის მიზანი იყო მცხეთა-წალკის (კლდეკარით) დაძაბავშირებელი უძველესი გზის დადგენა. თვით ეს მიზანდასახულობა დაკავშირებული იყო „ქართლის მთის“ აღმოჩენასთან: „ქართლის“ (სოფ. კარსანთან) აღზევებისა (და, ეგებ, წარმოქმნის) და ამ უკანასკნელის საფუძვლის გასაგებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის მახლობლად გამავალ ცხვრის გზას წალკისაკენ.

თვით ეს გზა თავისთავად „დადგენილია“, რამდენადაც დიდმასშტაბიან რუკაზეც არის და დღესაც ცხვარი, კერძოდ, სამგორის რაიონისა და ძეგვ-ნიჩბისკაენისხევის ხეობებისა, ამ გზით მოძრაობს წალკისკენ. ხოლო სამი უკანასკნელი ხეობის ფარა უშუალოდ კლდეკარში გადის. ამდენად, ჩვენ თვით ამ გზის დადგენა კი არ გვქონდა, ფაქტიურად, მიზნად, არამედ იმ ისტორიული პუნქტებისა თუ ძეგლების დადგენა, რომლებიც ამ გზას დაუკავშირდებოდნენ, რომ ამ-ჩვარად მისი სიძველე, მნიშვნელობა უფრო გასაგები გამხდარიყო. კერძოდ. ექსპედიციის ხელმძღვანელის აკად. ნ. ბერძენიშვილის წინასწარი ვარაუდით, ნაბაღრევის ძეგლის (ძეგვის ხეობაში) ადგილმდებარეობა და მნიშვნელობა სწორედ ამ გზის არსებობის გათვალისწინებით უნდა ყოფილიყო გასაგები.

ექსპედიციის ხელმძღვანელის მიერ დასახული ასეთი მიზანი პრაქტიკულად იძას გვიკარნახებდა, რომ თავიდან ბოლომდე უშუალოდ „ცხვრის გზაზე“ კი არ გვევლო, არამედ, რამდენადაც იგი თრიალეთის ქედის ჩრდილო შტოს თხემს გასდევს, დაგვეზვერა ქედის გარდიგარდმო მდებარე ხეობების ამ გზასთან მიმდებარე ნაწილები, ე. ი. ფაქტიურად მათი სათავეები, „ცხვრის გზასთან“ დაკავშირებული და მისი, ასე ვთქვათ, აქ არსებობის ამხსნელი ისტორიული ძეგლების აღმოჩენა-დადგენის მიზნით. მაგრამ რამდენადაც ჩვენ არც ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი უშუალოდ ამ გზასთან დაკავშირებული, ფაქტიურად არ შეგვხვედრია, იძულებული ვიყავით ზემოხსენებულ ხეობებში საკმაოდ ღრმად შევჭრილიყავით[1].

მარშრუტი:

კარსნიდან ამოვედით უტყეო თხემზე, რომელსაც „ჭილის ტბის სერს“ უწოდებენ. ეს უკვე თრიალეთის ქედის ჩრდილო ტოტის თხემია და სწორედ აქ გადის მუხათგვერდიდან ამომავალი ცხვრის გზა. სამხრეთით დიღმის ხეობაა, ჩრდილოეთით — მტკვრისა. გავყევით ქედს დასავლეთისაკენ. ჭილის ტბიდან

---

[1] ექსპედიცია ველზე მუშაობდა 1961 წ. 1—6 ოქტომბერს. მის შემადგენლობაში, აეტორს გარდა, შედიოდნენ ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები—გ. გაფრინდაშვილი და თ. ტატიშვილი და გამყოლი, კარსნელი მეტყევე ვ. მათიაშვილი.

დაახლოებით ერთ კილომეტრზე ე. წ. „ჩახერგილის ტბაა“. აქ შეგვხვდა პირველი გზასაყარი: გზა გადადის მარტაზის ხეობით ნავთსადენში და ძეგვში. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული ტოპონიმი „ჩახერგილი“.

განვაგრძობთ გზას. სოფ. კვარათხევთან (დიღმის ხეობა), რომელსაც ცხვრის გზა ჩრდილოეთიდან უვლის ქედის გაყოლებით, დავამოწმეთ ტოპონიმი „ძილიონას მთა“. „მილიონა“ იგივე „მილიონი“ უნდა იყოს და, ცხადია, იგი ძიუთითებს ძველადვე აქ ცხვრის გზის არსებობაზე.

აქვეა ადგილი, რომელსაც „საყარაულო“ ეწოდება. აქედან ჩრდილოეთით (ძტკვრის ხეობაში) ორი გზა ჩადის: ერთი ციხე-დიდის ხეობით, მეორე ხეკორწულას შენაკად ნაკოთხევით. კვარათხევის დასავლეთით გზად შეგვხვდა ადგილი—„მჭედლის გომურები“. აქ უწინ მჭედლები მდგარან, რომლებიც მგზავრებს ემსახურებოდნენ.

თავისთავად ცხადია, რომ „მჭედლის გომურები“ ასეთ უდაბურ ადგილას შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვან სამიმოსვლო გზას გულისხმობდეს. აქედან ამოვუარეთ „ეშმაგორას“ და ჩამოვედით „ძეგვის ტბაზე“. ეს ადგილი წარმოადგენს ტაფობს, რომელშიაც ახლა დამშრალი ტბაა. იქვეა წყარო.

„ძეგვის ტბიდან“ გზა, ერთი მხრივ (ჩრდილოეთით), ჩადის სოფ. სათოვლეში (ნაბაღრევი). მეორე მხრივ (სამხრეთით), — ადგილ „პატარა ტბის“ (დამშრალია) გავლით ძაღლაანთ ხევში (დიღმის წყლის შენაკადი). ჩვენ პირველი გზით ჩავედით ნაბაღრევში. ეს გზა ზედ ნაბაღრევის ეკლესიას, „აბუღეთის წმ. გიორგის“ წაადგება.

ნაბაღრევში სამხრეთიდან, მთიდან (ცხვრის გზიდან) მომავალი ორი გზა იყრის თავს: ერთი მომავალი „ძეგვის ტბიდან“, რომლითაც ჩვენ ჩამოვედით სოფელში (სიგრძით დაახლ. 2-3 კმ) და მეორე — „ლელობის მინდვრიდან“ (იხ. ქვემოთ). აქ ეს გზები შეიყრებიან. აქედან კი საურმე გზა მიდის ქვეით (ჩრდილოეთისაკენ), ხეკორწულას ხეობით ძეგვისაკენ ან, თუ ქსნისკენ მიდიხარ—„აქლემის ყელის“ გადასასვლელით ნიჩბისის ხეობაში (სასხორზე გავლით) და მტკვარზე ბორნით — ძველად „კოწახურას ფონით“ ქსნის ხეობაში.

ნაბაღრევიდან თბილისში ასე მიდიოდნენ (რკინიგზის გაყვანამდე) და ახლაც მიდიან ხოლმე: ჩვენ მიერ ჩამოვლილი გზით ნაბაღრევიდან—ძეგვის ტბაზე—პატარა ტბაზე — ძაღლაანთ ხევში — წოდორეთში — ლისში—ქალაქში.

ნაბაღრევის ფრიად საინტერესო ძეგლის, „აბუღეთის წმ. გიორგის“ ეკლესიის მნიშვნელობაც და აქ არსებობაც მე უპირატესად სწორედ ამ გზებთან დაკავშირებით მესმის და არა უშუალოდ ჩვენი ექსპედიციის მიერ დასადგენ ცხვრის გზასთან. შესაძლებელია „აბუღეთელს“ აქ გამავალი გზისათვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც არმაზის მონასტერს არმაზის ხეობაზე გამავალი გზისთვის. ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში საქარავნო გზას წარმოადგენდა (ქრონიკები, II, 195, 239—240, 253). ქსნის ხეობისათვის, მაგალითად, რომელიც. აქვე ვიტყვი. მშვენიერად ჩანს ნაბაღრევიდან, ეს უნდა ყოფილიყო უმოკლესი გზა თბილისისაკენ და, მით უმეტეს. ქვემო ქართლისაკენ.

მეორე მხრივ, ამ გზის სიძველის გასარკვევად ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ის ამაღლებული კონცხი (სათოვლის წყლისა და ტბის წყლის ხეობა საყარში), რომელზედაც „აბუღეთის წმ. გიორგის“ კომპლექსი მდებარეობს, წარმოადგენს ძველ ნამოსახლარ „გორას“, რომლის ფერდობებზე ანაკ-

რეფი მასალის მიხედვით იგი დასახლებულა, ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ-ის პირველ ათასწლეულის პირველ ნახევარში. ნამოსახლარის სამაროვანი იქვე წყალგაღმა სახნავებშია, სადაც (ადგილები: „ქაკლიანა“ და „პანტიანა“) აკლდამები ჩნდება და ერთხელ შავად გამომწვარი სურა და სხვა ნივთებიც უნახავთ, რომლებიც ახლა თბილისის სახ. მუზეუმშია [ინვ. № 2—49 / 1—8].

ნაბაღრევის მნიშვნელობაზე მიუთითებს ადგილი „ჰიქიანი“, საცა აშკარაა ფეოდალური ხანის მინის წარმოების ნაშთების, როგორც ჩანს, მთელი სახელოსნოს არსებობა (ეს ადგილი 1960 წ-ს უნახავთ ისტ. მეცნ. კანდიდატ ნ. უგრელიძეს და გ. ცქიტიშვილს).

ნაბაღრევზე გამავალი გზის მნიშვნელობაზე უნდა მიუთითებდეს სოფლიდან ძეგვის მიმართულებით 1 კმ-ის დაშორებით ჩვენ მიერ ნახული, ნაგლეჯი ქვით ნაგები კედლის ნაშთი, რომელიც აწინდელ გზას, უფრო კი იქვე მდებარე ძველ ნაგზაურს, რომელიც უწუალოდ ხევის პირზე გადის, კიდეზე გაუყვება 10—15 მ-ის სიგრძეზე. კედლის სისქე 1 მ-დეა და ალაგ-ალაგ თითქოს ორივე მხარეს პერანგი უჩანს. ჩემთვის ახლა (გაუთხრელად), მაინცდამაინც, ცხადი არ არის ამ კედლის დანიშნულება, ერთი კი უეჭველია, რომ ეს კედელი გზასთან იყო დაკავშირებული და ამდენად მოწმობს მზრუნველობას ამ გზისთვის და, ამდენადვე, ამ გზის მნიშვნელობასაც.

სოფ. ძეგვის ცხვარი „კოხიანის მთის“ (რომელზედაც ეკლესიის ნანგრევი ყოფილა) გზით ამოდის „ძეგვის ტბაზე“ და გაზაფხულზე აქ დგება გზად, ზაფხულში — თრიალეთშია, რეხაში. შემოდგომაზე, უკან დაბრუნებისას, კვლავ „ძეგვის ტბაზე“ დგება. ხოლო ზამთარში ძეგვშია. ნაბაღრეველმა ალექსანდრე ოგბაიძემ ისიც გვითხრა, რომ ძეგვის ცხვარი თურმე „ძეგვის ტბის“ (როგორც საძოვრის) გამო დადის კოხიანის გზით, თორემ, მეორე გზით, ნიჩბისის ხევით და შემდეგ „კოშკი ყელით“ თრიალეთში გადასვლა უფრო მოსახერხებელი ყოფილა.

ძნელია იმის თქმა, თუ რა დროისაა ეს გზა, თუმცა მის სიძველეს არაფერი ეწინააღმდეგება (შდრ. ეკლესიის ნანგრევი კოხიანის მთაზე). მაგრამ აქ უფრო საინტერესოა, ვფიქრობთ, ისეთი წმინდა ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტის კონსტატაცია, როგორიცაა „ცხვრის გზის“ ასე ვთქვათ, იძულებითი მიმართულება მეორე გზის მეტი მოხერხებულობის ე. ი. ამ შემთხვევაში მისი სიმოკლისა და, შესაძლებელია, თვით ტრასის მდგომარეობისდა მიუხედავად. ცხადია, ასეთი ფაქტი ბუნებრივია და გასაგები ცხვრის მეურნეობის გათვალისწინების (ცხვრის რაოდენობისა და საბალახე მიწის ტევადობის) შედეგად და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და ჰქონდა „ცხვრის გზებისათვის“ და აძლევნად ჩვენთვისაც ფრიად საყურადღებოა ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიებისას.

იმავე ალექსანდრე ოგბაიძის თქმით, დღეს ნიჩბისის ხეობით მოდის „მცხეთის ზეითი“ ცხვარი (საგურამო, წეროვანი, ჩარდახი, წილკანი და სხვ.), რომელიც მტკვარს მცხეთაში გადადის. „მცხეთის ქვეითი“ ცხვარი (ნორიო, მარტყოფი, ლილო და სხვ.) ზაჰესთან გადადის მკვარს, ადის მუხათგვერდის ტბაზე (დევის ნამუხლთან) და შემდეგ ჩვენ მიერ გავლილი გზით ადის თრიალეთსა და ჯავახეთში.

მცხეთის სანახების (და საერთოდ შიდა ქართლის) ცხვრის ჯავახეთში (ფარავნის ტბაზე) საიალაღოდ სიარულის დასათარიღებლად და ე. ი. ჩვენი „ცხვრის

გზის“ დასათარიღებლადაც პირდაპირი მოწმობა შემოუნახავს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მემატიანეს, როდესაც გადმოგვცემს ფარავნის ტბასთან წმ. ნინოს შეხვედრის ეპიზოდს მწყემსებთან, რომელნიც „კუმილვიდეს საკუმილავსა ღამისასა სამწყსოსა მათსა ზედა“ და წაპოსულნი იყვნენ „დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი, რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 85—86);

ცხადია, რომ გზის არსებობა უფრო ადრეცაა საკარაუდო.

ნაბაღრევიდან ამოვედით სათოვლის მზის ძირში, „ლელობის მინდორზე“. საკმაოდ დიდი მინდორია, ზედ გადის ცხვრის გზა. აქვეა წყარო. ჩვენი იქ ასვლისას ჯავახეთიდან მომავალი პატარა ლილოს ცხვარი ისვენებდა.

ძეგვის ტბის მსგავსად, ლელობის მინდორიც მნიშვნელოვანი გზასაყარია. აქედან გზა გადადის, ერთი მხრივ, სოფ. ტაბარუკში (დიღმის ხეობა), ხოლო, მეორე მხრივ, სოფ. ლელობში, ნატბეურში და ნაბაღრევში (ხეკორძულას ხეობის სათავეები). ლელობელები თბილისში უწინ ასე დადიოდნენ: ლელობი — ლელობის მინდორი — ტაბარუკი — წოდორეთი — ლისი — თბილისი.

ლელობის სამხრეთით გამავალ ქედს, რომლის ფერდობზედაც ცხვრის გზა გადის, „საწყებელა“ ეწოდება. მას დასავლეთიდან ებმის დიდგორის ქედი. ამ ორ ქედს შუა არის ადგილი „ჯვარედინი“, საცა ცხვრის გზას გზები გამოეყოფა ჩაძავალი ჩრდილოეთისაკენ—ლელობასა და ნატბეურში (ხეკორძულას ხეობა); აღმოსავლეთისაკენ—ტაბარუკში (დიღმის წყლის ხეობა); სამხრეთისაკენ—ლასტისციხისა და წყრულეთისკენ (ვერის ხეობა). აქ ჩვენ უკვე მეხუთე გზასაყარი დავადასტურეთ.

ქვემო ლელობთან (ნატბეურისაკენ მიმავალ გზაზე) არის ნამოსახლარის ნაშთები: დიდრონი ლოდებით ნაგები სახლების საძირკვლები, მთაყარი ქუჩა, რომელიც ნამოსახლარს შუაზე გასდევს და რომლის გარდიგარდმოა განლაგებული ნასახლარები და შუკები... ამ ადგილს „ნაქალაქარს“ უწოდებენ. აქ 1961 წელს მცირე გათხრა უწარმოებია არქეოლოგ ნ. უგრელიძეს.

ნატბეურიდან ამოვედით დიდგორის ქედზე, ცხვრის გზაზე, ნიშთან, საცა ავვისტოში „დიდგორობის“ დღესასწაული იციან. აქ შეგვხვდა მარტყოფის ცხვარი მომავალი „ოსმალოს გრანიციდან“.

დიდგორის მთა („დიდგორნი“), მართლაც „არს მრავალთა ადგილთა მჭვრეტელი“ (ვახუშტი, აღწერა... 49). აქედან ხედი იშლება სამხრეთისაკენ: ჩანს კოჯრის ციხე, სამადლოს ყელი, მანგლისის შარაგზა და სხვ. თვით დიდგორი „არს მაღალი და თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი, ბალახ-ყვავილითა და წყაროებითა შემკული“ (იქვე).

პირდაპირ ჩვენს თვალწინ იღებს სათავეს ვერის ხეობა (ლასტისციხის და დრეს ხევები), ნიჩბისის ხეობა, ხეკორძულას ხეობა და კავთურას წყალი (საკურთხის ხევი). ამდენად აქ იყრის თავს ამ ხეობებიდან ამომავალი გზები და ამდენადვე დიდგორი ფრიად მნიშვნელოვან გზასაყარს წარმოადგენს და სტრატეგიულად ამ მხრივაც დიდად მნიშვნელოვანი ადგილია.

დიდგორი ახლა მხოლოდ ნიშის მიდამოებს ეწოდება, ძველად კი დიდგორნი ეწოდებოდა მთელ ქედს დაწყებულს ალბათ „ჯვარედინიდან“ (იხ. ზემოთ) ვიდრე მანგლისამდე მაინც (შდ. „დიდგორზე სოფელი მოხისი“. ქრონიკები—II, 196).

რაც შეეხება იმ ცნობას, რომ დიდგორი „საზაფხულო მეფეთა სადგომი არს“ და ამდენად „დიდგორს დგომა მეფისა“ ჩვეულებრივი ამბავი იყო (ქ ცა, I,

310). ჩვენ ამის საილუსტრაციო რაიმე მატერიალური საბუთი ვერ მოვიძიეთ.

დიდგორიდან ჩავედით კავთურას ხეობაში.

კავთის ციხე დგას საკურთხის წყლისა და კავთურას (შესაბამისად ვახუშტის „ჴევი კავთისა“ და „ჴევი ბოტისისა“, აღწერა..., 55—56) შესაყარ კონცხზე და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზეა. იგი კონტროლს უწევს საკურთხის ხევზე (ე. ი. დიდგორიდან) და კავთურაზე (ე. ი. მანგლისის ხევიდან) მომავალ გზებს შიდა ქართლში. აქვე გადის კავთისხევის ცხვრის გზა, ქსილისის მთის ფერდობზე გავლით.

კავთისხევიდან თბილისში ძველი გზის მიმართულება ასეთია: კავთისხევი—ნიჩბისი—ლელობი—ლელობის მინდორი—ტაბარუკი—წოდორეთი—ლისი—თბილისი. კავთურას სათავედან, ნასოფლარ ზუბათიდან გზა ადის ქედზე, სადაც იგი ეერთდება კავთისხევიდან ქსილისზე მომავალ ცხვრის გზას. მათ შესაყარსაც „ჯვარედინი“ („ჯორადინი“) ეწოდება. აქედან კი ერთი გზა გადადის მანგლისში. ხოლო მეორე, „ორღობით“ (მთიულების ნასოფლარია ცხვრის გზაზე) კლდეკარში გადის. ორღობიდანვე გზა გადადის თეძმის ხეობაში, — გოგოთში, გოსტიბეში.

გოსტიბე-გოგოთიდან ქალაქში ადრე ასე დადიოდნენ: ამოდიოდნენ ორღობეში. აქედან — ქედ-ქედ დიდგორამდე; შემდეგ: ტაბარუკი — წოდორეთი—ლისი—თბილისი. ბოტისიდან ქალაქში: ბოტისი—საკურთხისი — დიდგორი — ტაბარუკი — წოდორეთი — ლისი — თბილისი.

კავთურას ხეობის სათავეში, მის მარჯვენა ფერდზე მდებარეობს ნასოფლარი ჰოტისუბანი, რომელსაც ვახუშტი არ იცნობს. იქვეა პატარა დარბაზული ეკლესია ნაგები დიდრონი ქვის ბრტყელი ფილებით, ჰორიზონტული წყობით. ასეთი წყობა, როგორც ჩანს, დამახასიათებელია შიდა ქართლის ამ მხარისათვის (შდრ. კაკლის ჯვარი და წერეთის ეკლესია თეძმის ხეობაში; სოფ. ხოვლეს ეკლესიები) და ადრეფეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნებოდეს. ჰოტისუბნის ეკლესიას ამას გარდა აგრეთვე ამ ხანისათვის დამახასიათებელი ბრტყელი ფილების ლავგარდანი ჭემოსდევს.

კარის ბალავრის ქვაზე, რომელიც გოხნარიდან არის თითქო მოტანილი (რადგან ასეთი ქანი ადგილობრივ არ იპოვება), ამოკოდვილია ხუთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. ძლიერ დაქარაგმებული, რომელიც ასე იკითხება (გ. გაფრინდაშვილის წანაკითხი):

1 ს[ა]ხ[ე]ლით[ა] ღ[ვ]თი[საჲა] მ[ა]მ[ი]ს[ა]თ[ა] ძის[ა]თ[ა] სულისა წ[მ]ი-
[დისათა]
2 შეწევნ[ი]თა წ[მ]ი[დისა] გ[იორგ]ი[სათა] მე გ[ა]ბრ[იე]ლი გ[ა]ლ[ა]
3 ტ[ო]ს[მან?] ოახსება (sic!) მოძღ[ვა]რ[მა]ნ ავ[ა]შ[ე]
4 ნეთ წ[მიდა]ი ეკლ[ე]ს[ია]ი სალოცველ.
6 ლად ს[ო]ლის[ა] ჩ[უე]ნი[სა] ა[მი]ნ.

მეორე წარწერა, რომელიც პალეოგრაფიულად არ განსხვავდება პირველისაგან, მოთავსებულია ეკლესიის შიგნით, ჩრდილოეთი კედლის ბრტყელი ფილის წახნაგზე, მეტად წვრილი ასოებით. წარწერა ხაზოვან ჩარჩოში ყოფილა ჩასმული. ქვის სირბილის გამო იგი ნაწილობრივ გადაშლილია, ნაწილობრივ კი, ასოთა სიწვრილის გამო, ძნელად იკითხება. აქაც ვიღაც კალატოზია მოხსენიებული და, როგორც ჩანს, ეკლესიის მშენებლობაზეა ლაპარაკი.

საინტერესოა, რომ კავთურას ხეობის ზემო წელის, ვახუშტისეული „ბოტისის ხევის“ სოფლები ეკონომიურად, როგორც ჩანს, უფრო მანგლისზე და თბი-

ლისზე ყოფილან დამოკიდებული, კიდრე კავთისხევზე. ასე მაგალითად, ბოტისელები პურის საყიდლად ახლაც და ადრეც მანგლისში გადადიოდნენ, საცა პირდაპირ გადადის გზა ქედზე (ამ ქედს, დაახლოებით დიდგორიდან თრიალეთამდე, მანგლისელი რუსები „ქართლის ქედს“ უწოდებენ). იქვე გადადიოდნენ აგრეთვე ბაზრობაზე თავისი პროდუქციის (კარაქი, ფრინველი) გასასაღებლად. კარაქი მიჰქონდათ აგრეთვე თბილისში ზემოხსენებული დიდგორ-ტაბარუკის გზით. სავარაუდოა ასევე ყოფილიყო ძველადაც.

* * *

ამგვარად ჩვენი ექსპედიციის მიერ დადგენილი „ცხვრის გზა“ დღესაც ფრიად მნიშვნელოვანია სამეურნეო თვალსაზრისით. კერძოდ, ამ გზით მოძრაობს დღეს სამგორის რაიონის ცხვარი, ძეგვ-ნიჩბის-კავთისხევის ხეობათა ცხვარი, დიღმის ხეობის ცხვარი (ვასო მათიაშვილის ცნობა) და აგრეთვე „მცხეთის ზეითი“ ცხვარი, რომელიც მცხეთაში გადმოდის მტკვარს და ნიჩბისის ხეობით ადის ზემოხსენებულ ცხვრის გზაზე.

ცხადია, უფრო დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას ძველად. ამ გზის უპირატესობა ამ მხრივ, უეჭველია, მდგომარეობდა, ჯერ ერთი, იმაში, რომ იგი იყო უმოკლესი გზა ზემოხსენებული მხარეებისათვის საზაფხულო საძოვრებისაკენ თრიალეთში და ჯავახეთში და აგრეთვე დღევანდელი თურქეთის ზეგნებისაკენ. (ასე მაგალითად, ბოტისელი ალექსი აფციაურის გადმოცემით, მამამისი სამი ურმით წასულა მარილზე გუმბრში ქსილისის გზით და კლდეკარზე გავლით).

მეორე მხრივ, ეს გზა მოსახერხებელი იყო სწორედ ცხვრის მოძრაობისათვის, რამდენადაც იგი ძიდის ქედ-ქედ, დაუსახლებელ და ამდენად, სამიწათმოქმედოდ აუთვისებელ ზონაში, რომელიც ფაქტიურად, ალპიური ზონაა და თითქმის მთელ მის სიგრძეზე საძოვარს წარმოადგენს, რაც ეგზომ აუცილებელია ცხვრისთვის მისი მოძრაობისას იალაღებიდან ყიშლაღებზე და პირუკუ. გზადაგზა ბევრია გაშლილი ტაფობი ადგილები წყაროებით (ძეგვის ტბა, ლელობის მინდორი, დიდგორი), რაც აგრეთვე აუცილებელი პირობაა ცხვრის დასვენებისა და კვებისათვის.

უეჭველია, რომ ეს „ცხვრის გზა“ მხოლოდ ცხვრის გადასაყვანად არ იყო გაკუთვნილი, რასაც ჩვენი მასალებიც ამტკიცებენ (იხ. ზემოთ) და მისი ექსპლუატაცია ხდებოდა, როგორც სავაჭრო-სამიმოსვლო გზისა და როგორც „სომარი გზისაც“, რაზედაც ჩვენი ისტორიული წყაროები გვარწმუნებენ.

ასე, მაგალითად, „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობით, დავით კურაპალატი (X ს.). „მოვიდა თრიალეთს შთასვლად კახეთად“ (ქ^ცა, I, 274). საფიქრებელია, რომ თრიალეთიდან კახეთში „შთასვლას“ დავით კურაპალატი სწორედ ჩვენი „ცხვრის გზით“ ახორციელებდა. ეს რომ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო ამას ადასტურებს იმავე წყაროს მეორე ცნობა: ბაგრატ III იყო დლივს ე. ი. ჯავახეთში (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე.ი. წ. I—II, 1913, გვ. 323), „რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა“. აქედან მოდის იგი სალაშქროდ კახეთში. „წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდი მცხეთისა... დადგა თიანეთს“ (ქ^ცა. I, 278—279). აქ, მე მგონია, სრულიად უცილობელია, რომ „მოსწრაფედ“ მომქმედ მეფეს ზემოხსენებული გზა უნდა გაეარა, როგორც უმოკლესი, კერძოდ კი, მთელი მონაკვეთი თრიალეთიდან კარსნამდე, აქედან არაბაზის ხევით მცხეთაში და შემდეგ თიანეთში.

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ ძველად უმოკლესი სამიმოსვლო გზა თრიალეთიდან კახეთში ჩვენს „ცხვრის გზაზე“ მიდიოდა და არა მარტო თრიალეთიდან, არამედ თუ გავიხსენებთ რომ ბაგრატი კახეთში ჯავახეთიდან მოდის, ხოლო დავით კურაპალატი კი ტაოდან, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი მონაკვეთი მთავარი მაგისტრალისა, რომელიც აკავშირებდა საქართველოს ორ განაპირა მხარეს, ტაოს და კახეთს, ჩვენი ექსპედიციის მიერ განვლილ გზაზე გადიოდა[2].

ამ მაგისტრალის ძირითადი მიმართულების დადგენა კიდევ ჩვენი წყაროების მეშვეობით ხერხდება. მხედველობაში მაქვს „მატიანე ქართლისაჲს“ მიერ შემონახული ეპიზოდი გიორგი I-სა და ბასილი კეისრის ბრძოლისა.

გიორგი I და ბასილი კეისარი ერთმანეთს ხვდებიან ბასიანში. „მორიდა გიორგი მეფემან, მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისი. და მუნით მოვიდა კოლას... და მოუდგა უკანა ბასილი... და იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა, რომელსა რქჳან შირიმნი“... გიორგი კვლავ უკან იხევს. „წარმოუდგეს უკანა ბერძენნი..: მიუწია ლაშქარმან არტანს.. და მოაოჯრეს არტანი. და რაჟამს წარეიდა გიორგი მეფე თრიალეთს, წარმოუდგა უკანა, ასწყჳდა ქუეყანა ჯავახეთისა და გარდავიდა თრიალეთს.... შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით, უკმოიარა ჯავახეთი და არტანი“... (ქ_ცა, I, 284—285. შდრ. სუმბატ დავითის ძის ცნობას, იქვე, გვ. 383).

ბაგრატ IV-ის მეფობის დასაწყისში გამოილაშქრა კოსტანტინე კეისარმა, „მოვიდა და ჩამოდგა, და მოაოჯრა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოჯრნეს. მოვიდა თრიალეთს ციხესა ჭუეშე კლდეკარისასა“ (ქ_ცა, I, 292).

ვფიქრობ, ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, რომ ბიზანტიის კეისრების ლაშქრობათა მარშრუტი სწორედ იმ მთავარ მაგისტრალს მიჰყვებოდა, რომელიც აკავშირებდა აღნიშნულ ქვეყნებს.

ზემოხსენებულ ამონაწერთა მონაცემების კომბინაციით შესაძლებელი ხდება ამ მაგისტრალის ძირითადი ორიენტირების დადგენა. ესენია: ბასიანი — ქ. ოლთისი (ტაო) — შირიმნი თუ შირიმთა (კოლა) — ქ. არტანი (არტანი). აქედან ერთი გზა მიემართებოდა „ნიალის კერძო სამცხედ“ (სუმბატ დავითის ძე), მეორე კი — დღივს (ჯავახეთი). შემდეგ — თრიალეთი — კლდეკარი. აქედან დაწყებული მცხეთამდე ეს გზა ჩვენთვის დეტალურადაა ცნობილი, ხოლო მცხეთიდან იგი გადიოდა, ერთი მხრივ, შიდა ქართლში, მეორე მხრივ, — კახეთში (და ჰერეთში).

რამდენადაც, როგორც ვნახეთ, საომარი მოქმედება ტაო-ჯავახეთის მფლობელებისა კახეთის მიმართ ზემოაღნიშნული გზის მეშვეობით ხორციელდებოდა და რამდენადაც ეს გზა ცხადია, სავაჭრო-სამიმოსვლო მაგისტრალსაც წარმოადგენდა და ნაწილობრივ მაინც უპირატესად „ცხვრის გზად“ გამოიყენებოდა და გამოიყენება, ამდენად ვფიქრობ, საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ საკუთრივ კახეთის ცხვარიც საამისოდ ხელსაყრელ პირობებში ამავე გზას გაუწეედა ექსპლუატაციას. ახლაც ხომ კახეთის ცხვარი, მართალია, სულ სხვა გზით, მაგრამ მაინც თრიალეთ-ჯავახეთში ადის სათაფლიღოდ.

ჩვენი ექსპედიციის მიერ დადგენილი გზა, ჩემი აზრით, უპირატესად მაინც „ცხვრის გზა“ იყო, რასაც მოწმობს მისი გეოგრაფიული მდებარეობა. ამიტომ, ვფიქრობ, სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ აქ უშუალოდ ამ გზასთან დაკავშირებული არც ერთი ნამოსახლარი არ შეგვხვდა და სრულიად ბუნებრივად მე-

---

[2] ამ გზის სიძველის დამადასტურებელი ცნობა, როგორც ვიცით, „მატიანე ქართლისაჲს“ შემოუნახავს (იხ. ზემოთ).

ჩვენება აგრეთვე ისეთი ტოპონიმების დადასტურება, როგორიცაა „ჩახერგილი“, „მილიონი“, „საყარაულო“ ან ისეთი ძეგლების მიკვლევა, როგორიცაა სალოცავი ნიშნები თუ ჯვრები (საჯვარე ქედი კარსანთან, წმ. გიორგის ნიში ლელობის მიდრორთან, დიდგორის ნიში). ეს უკანასკნელი ძეგლები, გარდა საკულტო დანიშნულებისა, შესაძლებელია, ქვეყანათა მიჯნების აღმნიშვნელებიც იყვნენ.

ასე, მაგალითად, დიდგორის მთის შესახებ ვახუშტი აღნიშნავს: „ამისი ჩრდილოთ კერძი მეოთხე სადროშოსი, ხოლო სამკრით კერძი ამის (ე. ი. პირველი, დ. მ.) სადროშოსი“. (აღწერა, გვ. 49). ე. ი. დიდგორის ქედი წარმოადგენდა გვიანფეოდალურ ხანაში ორი „ქვეყნის“, ორი სადროშოს საზღვარს. შესაძლებელია დიდგორის ნიშიც ამის მაუწყებელი იყოს. მაგრამ კიდევ უფრო ძველი დროისთვისაც გვაქვს ჩვენ საამისო ცნობები. „მატიანე ქართლისაჲ“ მოგვითხრობს: „იყო მას ჟამსა (X ს-ის ბოლო, დ. მ.) ერისთავად კლდეკართა რატი, და ჰქონდა ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით — კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ქვეშე და სკჳრეთი“ (ქ-ცა, I, 276).

ამ ამონაწერიდან აშკარაა, რომ მაინცდამაინც, XI ს-ში („მატიანე ქართლისაჲ-ს“ თარიღი) ცნებაში „მტკუარსა სამხრით-კერძო ყოველივე ქართლი“ არ იგულისხმება არც თრიალეთი, არც ალგეთი და არც ვერის ხეობა (სკჳრეთი) და ეს მხარეები რომელიღაც სხვა „ქვეყანას“ და არა ქართლს გულისხმობენ[3]. ამასვე უნდა მოწმობდეს სახელწოდება „ქართლის ქედი“, (იხ. ზემოთ), რომელიც მიეკუთვნება, ერთი მხრივ, თეძამ-ქავთურის, მეორე მხრივ, ალგეთ-ვერის სათავეების წყალგამყოფს. ნიშანდობლივი აქ ის არის, რომ ასე უწოდებს მას მისი სამხრეთი და არა, ჩრდილოეთი მოსახლეობა. შესაბამისად, მანგლისიდან ბოხისით ამ ქედისკენ („ცხვრის გზაზე“) მიმავალ გზას „ქართლის გზას“ უწოდებენ (ასპირანტ თ. თოდრიას ცნობა).

არ გამოვეკიდები იმის ძიებას თუ რა ეწოდებოდა ამ დროს ამ ქვეყანას. ესეც არ არის, მაინცდამაინც, ძნელი საკვლევი. მაგრამ ამჟამად არ არის ჩვენთვის საინტერესო. ჩვენთვის ამ ცნობაში საყურადღებოა ის, რომ აქედან გამომდინარე XI ს-ში არა მხოლოდ დიდგორი, არამედ მთელი ის ქედი, რომელზედაც ჩვენი „ცხვრის გზა“ გადის, დაწყებული თრიალეთიდან (კლდეკარიდან) ვიდრე, მაინცდამაინც, დიღმის წყლის სათავეებამდე წარმოადგენს ორი სხვადასხვა ქვეყნის საზღვარს. მეორე მხრივ, ჩემთვის სრულებითაც ცხადი არ არის ზემომოტანილი ცნობიდან დიღმის წყლის ხეობა შედის თუ არა იმ დროს ცნებაში „მტკუარსა სამხრით — კერძო ყოველივე ქართლი“ თუ აქ, ეგების, მესამე ქვეყანა იგულისხმება. მაინცდამაინც, ლელობის წმ. გიორგის ნიში და კარსნის „საჯვარე ქედი“ დიღმის ხეობას სხვა „ქვეყნად“ გვავარაუდებინებენ[4].

---

[3] მაოთალია „მატიანე ქართლისაჲ“ ტერმინ „ქართლს“ უფრო ფართო მნიშვნელობითაც იცნობს, კერძოდ, „იევრიის“ მნიშვნელობით (იხ. ქ-ცა, I, 250_{14-18}. 251_{8-9} 253_{3-4}, 257 $_{7-8}$) ზოგჯერ კი „ქართლი“ აქ. უექვლად, თრიალეთსაც გულისხმობს (იხ. იქვე.—301_{1}, 305 $_{30-31}$) და დიდგორსაც (იხ. იქვე, 310_{14}) მაგრამ სხვა უმრავლეს შემთხვევაში ამ ძეგლის „ქართლი“ მხოლოდ შიდაქართლს ნიშნავს (იხ. იქვე, 252_{7-18}, 253_{3}, 255_{4-3}, 255_{9-10}, 258_{8-9}. 263 $_{3-7}$, 266_{8} და სხვადასხვა). განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ერთგან თრიალეთი, ხოლო მეორეგან სამშვილდე (ქცია) და მარაბდა (ალგეთი) აშკარად გამოყოფილია ქართლისაგან (იხ. იქვე 306_{12-16} და 314_{8-9}). ამიტომ, ვფიქრობ, რომ რატის მფლობელობის შესახებ ცნობის კონტექსტიც ჩემს მიერ სწორად არის გაგებული.

[4] იხ. დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „ცისკარი“, № 2, 1965, გვ. 146.

თუკი ასე იყო XI ს-ში, გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მით უფრო ასე იქნებოდა უძველეს ხანაში. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ჩვენი „ცხვრის გზა" ორი „ქვეყნის" გამყოფი ქედის თხემზე გადის, რომელთაგან ორივეს იგი სასიცოცხლოდ სჭირდება. ცხადია ამიტომ, რომ ეს „ცხვრის გზა" გარკვეული დროიდან ძლიერი პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობას იძენს, რაც უნდა რეალურად გამოხატულიყო ამ ქვეყნების (და არა მხოლოდ ამ ქვეყნების, არამედ საბოლოო ჯამში, ტაოსი და კახეთის!) გაეროიანების ტენდენციაში და X ს-ის რატი კლდე-კარის ერისთავის ზემოხსენებული მფლობელობა სწორედ ამის საილუსტრაციოდ გამოდგება.

ცხადია, ეს ისე როდი უნდა გავიგოთ, რომ ეს „ცხვრის გზა" იყო ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორი ამგვარი ტენდენციისა, მაგრამ რომ იგი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ეს კი უეჭველი უნდა იყოს. დეტალური ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა ამ მიმართულებით. ვფიქრობ, ჩვენი ისტორიის ბევრ ძირითად საკითხში გაგვარკვევდა.

ამგვარად, თუმცა არც ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი არ არის უშუალოდ ამ გზაზე და ყველა ისინი ხეობებშია განლაგებული და იმთავითვე ამ ხეობებთან და მათზე გამავალ გზებთანაა კავშირში, თვით ეს ხეობებია ამ „ცხვრის გზასთან" და მისი საშუალებით ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული (ხეობათა დამაკავშირებელი ჯვარედინები; ხეობათაგან ამომავალი ცხვრის ბოძრაობა).

თავისთავად ჩვენი „ცხვრის გზა" უნდა წარმოქმნილიყო მასთან გეოგრაფიულად დაკავშირებულ ხეობათა სამეურნეო განვითარების გარკვეულ ეტაპზე და ამაში, რასაკვირველია, უკანასკნელი როლი არ უნდა ეთამაშა თრიალეთის (და ჯავახეთის) საჭიროებას ამ ხეობათა (აგრეთვე შიდა ქართლისა და კახეთის) ცხვრისათვის. მაგრამ თვით ამ გზას მისი ექსპლუატაციისთანავე უნდა წარმოექმნა ტენდენცია ამ ხეობათა დაახლოებისა და გაერთიანებისა. აქედან, ცხადია, რომ ამ გზის ისტორიისა და მისი მნიშვნელობის საბოლოოდ გარკვევისათვის აუცილებელია მომავალში ზემოხსენებულ ხეობათა დეტალური ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა.

მეორე მხრივ, ეს გზა—შემაერთებელი მუხათგვერდისა და თრიალეთისა, როგორც სავაჭრო-სამომსვლო გზა გაუგებარია თბილისთან დაკავშირებით, რომელთანაც ეს მთიანეთი (თრიალეთი და მასთან მიმდებარე ხეობათა სათავეები), როგორც ვნახეთ, დაკავშირებულია სხვა მაგისტრალით, რომელიც ამ „ცხვრის გზას" გამოეყოფა (დიდგორში, ჯვარედინში, ლელობის მინდორზე, ძეგვის ტბასთან) და ტაბარუკ-წოდორეთ-ლისით ან ძაღლაან-წოდორეთ-ლისით მიემართება თბილისისაკენ. ასე რომ ჩვენმა ექსპედიციამ ფაქტიურად მეორე მაგისტრალიც „აღმოაჩინა", რომელიც თრიალეთ-შიდა ქართლის ამ მთიანეთს თბილისთან აკავშირებს.

ჩვენი „ცხვრის გზა" გასაგებია მცხეთის მიმართ და კიდევ უფრო „ქართლის", როგორც ჩვენი სახელმწიფოებრიობის უძველესი ცნობილი ცენტრის მიმართ.

ქსანი
მცხეთა
ურბნისი
ბაზალეთი
ხაშური
ზესტაფონი
ქვემო ქართლი
ქვიშხეთი
ბოლნისი
ხრამი
ალგეთი
ტაშისკარი
ბორჯომი
ახალციხე
ვალე
ასპინძა
ახალქალაქი
ნინოწმინდა
ტაშისკარი
ბანდზოლი
ახალციხე
ვალე
ასპინძა
ნინოწმინდა
ახალქალაქი

გიორგი ცქიტიშვილი

სათანაო

XVIII საუკუნის ბრწყინვალე ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ქართული ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებელიცაა. ვახუშტის აზრით, „აღგელის აღწერა“ ისტორიის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ქრონოლოგია-გენეალოგია.

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა ვახუშტის შემდეგაც წარმოებდა, „მაგრამ ამ მუშაობას სისტემიანი ორგანიზებული სახე არ ჰქონია; ის შემთხვევითი ხასიათისა იყო და მისი მეცნიერული ეფექტიც შედარებით უმნიშვნელო რჩებოდა“[1].

აკად. ნ. ბერძენიშვილი ყოველთვის მწვავედ განიცდიდა ქართული ისტორიოგრაფიის ამ ნაკლს[2] და მუდამ უსაყვედურებდა იმ ქართველ ისტორიკოსებს, რომელნიც მაინცდამაინც დიდად არ აფასებდენ ქვეყნის ფეხით შემოვლას, „თვითხილვას“ და ამ შემოვლით მიღებულ ცოდნას. ეს საყვედური განსაკუთრებით გვხვდებოდა იმ ახალგაზრდა ისტორიკოსებს, რომელნიც აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ვიდგამდით ფეხს და ვემზადებოდით მეცნიერული მუშაობისათვის.

აკად. ნ. ბერძენიშვილის საუბრებმა ისტორიული გეოგრაფიის მნიშვნელობის შესახებ დაგვაფიქრა და იმჟამად (ეს იყო 1953—54 წლებში) ისტორიის ინსტიტუტის კომკავშირის ბიურომ (ბიუროს მდივანი გ. ცქიტიშვილი; სამეცნიერო სექტორის ხელმძღვანელი დ. მეგრელაძე) გადაწყვიტა დაერაზმა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკები და ასპირანტები და შეექმნა ქვეყნის ისტორიული გეოგრაფიის შემსწავლელი ჯგუფები. დავუკავშირდით სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისა და სახელმწიფო მუზეუმის კომკავშირის ორგანიზაციებს სამუშაოში მათი ჩაბმის მიზნით. ისინი მზადყოფნით გამოეხმაურენ ჩვენ წამოწყებას და დავიწყეთ ორგანიზაციული მუშაობა.

მუშაობის დასაწყისშივე მთავარი დაბრკოლება, გამოუცდელობა აღიმართა ჩვენ წინ. კონსულტაციისათვის მივმართეთ აკად. ნ. ბერძენიშვილს, რომელმაც დიდი სიამოვნებით მიიღო შეთავაზებული და რამოდენიმე ლექცია-სემინარი ჩაგვიტარა ისტორიული გეოგრაფიის საგნის შესახებ. დაგვავალა შეგვექმნა პატარა კომისია, შეგვემუშავებინა. გაგვემრავლებინა და გაგვეცნო ლებინა კითხვარი ველზე მომუშავე ჯგუფებისათვის. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: გ. აკოფაშვილი, დ. მეგრელაძე, გ. ჯამბურია და გ. ცქიტიშვილი.

შედგენილი კითხვარი სარედაქციოდ მივუტანეთ აკად. ნ. ბერძენიშვილს.

---

[1] [ნ. ბერძენიშვილი] რედაქციისაგან, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, I, 1960 წ.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის. იქვე.

მან, პირველყოვლისა, შეუცვალა სახელი და „კითხვარი" გადაკეთდა „სათანაო"-დ. შეტანილ იქნა სხვა ხასიათის შესწორებანიც, რომელთა შემდეგ „სათანაო" დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა.

გადაწყდა: — ქვეყნის მოხილვა-შესწავლა ხევების მიხედვით წარმოებულიყო, რადგან „მიწაწყლის ერთეულის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ტერმინად „ჰევი"-ც იხმარებოდა... ქვეყნის ხევებად დაყოფა გეოგრაფიულ თვისებებზეა დამყარებული და საქართველოს მომეტებული ნაწილისათვის ამიტომ ჩვეულებრივი იყო"[3].

ყველა ამის შედეგი ის იყო, რომ 1954 წლის ზაფხულზე ველზე სამუშაოდ გაემგზავრა ორი ჯგუფი, ერთში შედიოდნენ: ე. ხოშტარია, დ. ხახუტაიშვილი, გ. ჯალაბაძე, ო. ლორთქიფანიძე და დ. ბერძენიშვილი. ეს ჯგუფი მუშაობდა დიღმისა და ძეგვის ხეობებში; მეორე ჯგუფი, გ. აკოფაშვილის, დ. მეგრელაძის, ნ. ქანთარიას, გ. ჯამბურიას და გ. ცქიტიშვილის შემადგენლობით მუშაობდა თეძმის ხევში.

პირველივე გასვლებით აღმოჩნდა, რომ „ფეოდალური დროის ქართლელები მჭიდროდ ესახლენ შიდა და ქვემო ქართლის შუა მთიან ზოლში, რომელიც დღეს გატყეევებულ-გაუდაბურებულ ქვეყანას წარმოადგენს დაბა-სოფლებისა თუ ციხე-კოშკ-ეკლესიების მრავალი ნანგრევით"[4]. და, რომ შიდა ქართლიდან მრავალი გზა—ცხვრის, საურმე თუ საცხენოსნო—გადადის ქვემო ქართლში და ეს ქვეყნები მჭიდროდ იყვნენ ურთიერთთან დაკავშირებული. ამ ჯგუფებმა მიაკვლიეს დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილ ძეგლებს — ხოვლეგორასა და ნატბეურის მინის საწარმოს და მრავალ სხვას. და გაიზარდა ჩვენი ცოდნა ამ კუთხის ისტორიის შესახებ.

ისტორიულმა გეოგრაფიამ თანდათან მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება ჩვენს ისტორიოგრაფიაში და 1956 წელს ისტორიის ინსტიტუტში შეიქმნა განსაკუთრებული უჯრედი, — ისტორიული გეოგრაფიის განყოფილება.

ახლა უკვე ისტორიული გეოგრაფიის საველე თუ თეორიული მუშაობის მეთოდი და ძირითადი პრინციპები[5] ბევრისათვის ცნობილია, მაგრამ 1954 წელს შედგენილი და აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ რედაქტირებული „სათანაო" დღესაც საჭიროდ და მართლა სათანაოდ რჩება და ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ იგი თავდაპირველი სახით. ამ პატარა სტატიის თუ მოგონების მიზანიც ეს იყო.

სათანაო

ისტორიული გეოგრაფიის შემსწავლელი საველე ჯგუფებისათვის.

წ ი ნ ა ს წ ა რ ი მ ო მ ზ ა დ ე ბ ა ველზე გასვლამდე: საკვლეულო აღებული ხეობის შესახებ არსებული ლიტერატურის, წყაროების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების გაცნობა-დამუშავება.

---

[3] ი ვ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928., გვ. 143.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", 1, 1960, გვ. 13.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი; მ ი ს ი ვ ე, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან; იქვე; იმავე კრებულში მოთავსებული სხვა სტატიები; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის შრომები; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ექვთიმე თაყაიშვილი და ისტორიული გეოგრაფია, იბეჭდება ე. თაყაიშვილისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში.

კითხვარი ველზე მუშაობისათვის:

1. გეოგრაფიული სახელების შეკრება: რა ერქვა ამა თუ იმ ადგილს ძველად: სოფელს, უბანს, სახნავს, ტყეს, მთას... რატომ დაერქვა მას ეს სახელი (თუ გადმოცემა არსებობს), რა ჰქვია ამ ადგილს ახლა (უნდა იქნეს აქვე მოცემული ადგილის აღწერა).

2. ძველი გადმოცემების შეკრება.

3. სოფელი, როგორც ეკონომიური ერთეული წარსულში: „მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ტყითა, საძოვრითა, სახნავითა, სათიბითა“... და სხვა. აღინიშნოს თუ რა ჰქონდა, ან და რა აკლდა აქედან მოცემულ სოფელს.

4. სოფლის მცენარეული საფარის აღწერა (გავრცელებული კულტურული და ველური მცენარეები). შეძლებისდაგვარად გარკვეული უნდა იქნეს, მეურნეობის რა დარგს მისდევდა და რას აწარმოებდა ესა თუ ის სოფელი (ხელოსნობა...).

5. წიაღისეული სომდიდრეების აღნუსხვა (საბადოები, აბანოები, სამკურნალო წყლები) და მათი გამოყენება ძველად და ახლა.

6. ძველი არხებისა და რუსხმულების მიკვლევა, მათი მომდინარეობის, ძველად მათი გამოყენების, მათი შენების ორგანიზაციის აღწერა.

7. ძველი გზების გაკვლევა, ძველი ხიდების, ფონების, ფუნდუკების, საგუშაგოების, „სამზრალების“, საყარაულოების, მთაზე გადასასვლელების — „ზეკარის“, „დევის ნამუხლის“, „გაჭრილის“, „კლდე-კარის“ აღნუსხვა.

8. სოფლის მცხოვრებთა გვარების ჩანიშვნა და შეძლებისდაგვარად გარკვევა ამა თუ იმ გვარის მკვიდრობის თუ საიდანმე (სახელდობრ, საიდან) მოსულობისა. ყურადღების მიქცევა თანამედროვე სასოფლოებისათვის გვარების და ყოფის თვალსაზრისით. საფლავის ქვებზე გამოსახულებების დაწვრილებითი აღწერა. დადგენა, თუ ვინ იყო ამა თუ იმ სოფლის მებატონე; ვინ ცხოვრობდა ამ სოფელში აზნაურებიდან; თავადისა და აზნაურის კარმიდამოს და მათი კუთვნილი მიწების აღნიშვნა. ცნობების შეკრება გლეხთა საბატონო ვალდებულებების შესახებ. სათემო საკუთრება, მისი ორგანიზაცია.

9. აღნუსხვა ციხე-სიმაგრეების, ეკლესიების, სალოცავების, ნიშების, დღეობების გამართვის ადგილების, ქვაჯვარების, მეგალითების, ჭელის გამოსახულებებისა ქვაზე (მათი მდებარეობისა და მათთან დაკავშირებული გადმოცემების აღწერით).

10. ადამიანის უძველესი სადგომების (პალეოლითის, ნეოლითის), ძველი ნამოსახლარი თუ საკულტო გორების (ენეოლითი, ბრინჯაოს და ადრერკინის ხანა), ანტიკური ხანის ნასახლარების და ნაქალაქარების, ფეოდალური ხანის ნასოფლარების აღწერა და ზედაპირული არქეოლოგიური მასალის შეგროვება.


11. ძველი სამარხების (ყორღანები, ორმოსამარხები, ქვა-ყუთები და სხვ.) აღნუსხვა-დახასიათება, შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის აღნუსხვა და შეგროვება.

შენიშვნა: ყველა მიკვლეული არქეოლოგიური თუ ისტორიული ძეგლის რუკაზე დატანა სავალდებულოა.

იმ დროს, როდესაც ეს სათანაო შედგა, არ ყოფილა შემუშავებული ისპირობითი ნიშნები, რომლის მიხედვით სასურველი იქნებოდა რუკაზე ძეგლე-

ბის დატანა. ამჟამად უკვე დადგა დრო, რომ შემუშავებული იყოს ასეთი პირობითი ნიშნები, რათა ყველა მკვლევარი, ვინც კი მუშაობს ისტორიული რუკის შედგენაზე, ერთნაირი ნიშნებით სარგებლობდეს.

ყველა არსებულის (ვახუშტი, ივ. ჯავახიშვილი, თანამედროვე ტოპო- და კარტოგრაფიული ნიშნები) გათვალისწინებით ჩვენ შევიმუშავეთ ისტორიულ რუკებზე დასატანი პირობითი ნიშნები ყველა იმ ძეგლისათვის, რომელიც შეიძლება შეხვდეს მკვლევარს და ვთავაზობთ დაინტერესებულთ:



პირობითი ნიშნების შედგენისას გათვალისწინებული იყო საზოგადოების განვითარების, მისი ისტორიის ყველა საფეხური.

რუკები უნდა შედგეს ცალკეული პერიოდების მიხედვით და ამდენად ერთი ნიშანი გამოდგება ყველა ხანისათვის. მოვიტანთ ზოგიერთ მაგალითს: ნიშანი „გამოქვაბული" გამოდგება როგორც ქვისხანის ადამიანის საცხოვრებელი გამოქვაბულის, ისე ფეოდალური ხანის კლდეში ნაკვეთი საცხოვრებელის აღსანიშნავად. ასევე, „სოფელი" გამოდგება ყველა დროის დასახლებუ-

ლი პუნქტის რუკაზე დასატანად. „ტაძარი"-თ აღინიშნება წინაქრისტიანული ყველა დროის სამლოცველო, ბრინჯაოს თუ ანტიკური ხანისა და ა. შ. იმ შემთხვევაში თუ ერთ რუკაზე რამოდენიმე პერიოდი მოთავსდება, მაშინ პირობით ნიშანს დაემატება სათანადო ლიტერი.

ვცდილობდით პირობითი ნიშნისათვის მიგვეცა მისი შინაარსის მეტ-ნაკლებად შესატყვისი სახე, რომ ამ ნიშნებით გამოხაზული რუკა ადვილი წასაკითხი გამხდარიყო.

მიხეილ გეგეშიძე

კ ო ჯ ო რ ი

(ტოპონიმიკური დაკვირვება)

ქართლის სამეურნეო ტოპონიმიკის მასალებში ჯერ კიდევ ადრე ჩვენი ყურადღება მიიპყრო სახნავ-სათიბი ნაკვეთების, აგრეთვე გორაკ-ქედების სახელწოდებათა ერთმა წყებამ, რომლებშიც ასახულია სიტყვა „ჯვარი“ (მაგ., ჯვარის შიწა, მთიჯვრის მიწა, ცეცხლიჯვრის მიწა და სხვ.). ეს ინტერესი მით უფრო ძლიერდება, თუ გავითვალისწინებთ „ჯვარის“ სიმრავლეს საკულტო ადგილების, აგრეთვე დასახლებული პუნქტების სახელწოდებებში (ჯვარეთი, საჯვარე, ბარიამჯვარი, ციხიჯვარი, მუხადიჯვარი, ჯვარბოსელი და სხვ.). ასეთი ტოპონიმების წარმოშობა სხვადასხვა დროს უნდა მომხდარიყო, მაგრამ ზოგადად თუ შევაფასებთ, მათ დიდი სიძველე ახასიათებთ, რადგან ისინი შინაარსობლივად უმთავრესად ძველი სარწმუნოებრივი იდეოლოგიის არეკვლას წარმოადგენდნენ. ამას ადასტურებს საკუთრივ ამ სახელწოდებათა შინაარსობლივი მხარე და აგრეთვე ყოფაში დღემდე შემონახული ტრადიციული გაგება და ახსნა ასეთი სახელწოდებებისა[1].

ცნობილია, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ხალხური შინაარსობლივი ახსნა და განსაკუთრებით კი ამ სახელწოდებათა პირდაპირი ხალხური ეტიმოლოგია ხშირად არაზუსტია და გულუბრყვილოც, რადგან ის ნებისმიერ გაანრებას. ემყარება და მოკლებულია კულტურულ-ისტორიული რეალიების გათვალისწინებას[2]. ეს გარემოება, ბუნებრივია, ბადებს დაკვირვებებისათვის ასეთი მასალის უაღრესი სიფრთხილით გამოყენების საჭიროებას, მაგრამ საერთოდ მათი გვერდის ავლა და ანგარიშგაუწევლობაც მიზანშეუწონელია და ყველა ცალკეულ შემთხვევაში ისინი საგანგებო ჩაკვირვებას მოითხოვენ. ეს განსაკუთრებით ითქმის არა იმდენად ტოპონიმების ეტიმოლოგიაზე, ე. ი. უშუალო ხალხურ გააზრებასა და ახსნაზე, არამედ უფრო იმ ხალხურ აღწერილობით, დაბმარე მასალაზე, რომელსაც ამა თუ იმ სახელწოდების შინაარსის გასაგებად დამატებით გვაწვდიან. ჩვენს საველე ჩანაწერებში გეოგრაფიული სახელწო-

---

[1] ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ისეთი მოსაზრებაც, რომ საქართველოს, კერძოდ კი კახეთის ტოპონიმიკაში გავრცელებული სახელები, რომლებიც შეიცავენ „ჯვარს“, გაგებულ იქნეს ჯვრის ფორმის სანიშნოს ადგილსამყოფელად, რომლებიც სოფლის თუ თემის მიწების ან სათემო ტყეების მიჯნებს წარმოადგენდნენ. მოსაზრება საინტერესოა, მაგრამ მისი ამხსნელი კონკრეტული მასალა გამოვლინებული და შესწავლილი არ ჩანს (ც. ქ ა ჯ ა ბ ა ძ ე, კახეთის სამეურნეო ტოპონიმიკიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXIV B, 1962), თურიდიულ ენაზე ცნობილია cruce subscribere— ხელის მოწერის ნაცვლად ჯვრების დასმა, წარწერის წინ ჯვრის გაკეთება და სხვ. (ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქვაჯვარანი საქართველოში, მასალები საქ. და კავკ. ისტ., 4, 1942.

[2] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 232.

დების „ჯორის უბანის“ გასწვრივ აღნიშნულია ამ პუნქტის მოკლე ხალხური ახსნა: „ხატის ადგილი იყოო“. ამ განმარტების საფუძველზე და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ამ დასახლებული პუნქტის (სოფ. ჯორის უბანი შედის სალბაერის სასოფლო საბჭოში, სამხრ. ოსეთის ავტ. ოლქის ლენინგორის რაიონი)—მთავარ უბანში იყო ეკლესია წმ. გიორგის სახელობისა, დასაშვებია გახსნდეს ვარაუდი შემდგომი კვლევისათვის, რომ ამ პუნქტის თავდაპირველი სახელწოდება შეიძლება „ჯვარის უბანი“ ყოფილიყო (ხატი—ჯვარი) და შემდეგ კი ეხობრივ ცვლილებას ძოეცა „ჯორის უბანი“, ანდა თავიდანვე გვქონდა „ჯორის უბანი“ ამავე მნიშვნელობით. რამდენადაც აღმ. საქართველოს მთის დიალექტებში ჯორი უდრის ჯვარს (ამაზე ქვემოთ). ასეთივე თვალსაზრისი შეიძლება გამოვიყენოთ ტოპონიმის „ჯორმუხა“ ასახსნელად, რომელიც ამჟამად სახნავი ადგილის სახელწოდებას წარმოადგენს (სოფ. ყვავილი, დუშეთის რაიონი). ხალხური ახსნით, „აქ ძველათ ხე მდგარა და ულოცნიათ“. მართალია ძნელდება დადგენა ამ რიტუალის შინაარსისა, რადგან ამას მოგონება ვეღარ სწვდება, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქაც საქმე უნდა გვქონდეს უძველეს ხატთან-ჯვართან, ე. ი. ამ ადგილის თავდაპირველი სახელწოდება უნდა ყოფილიყო ჯვარმუხა (ჯუარმუხა)[3], ანდა, როგორც პირველ შემთხვევაში, აქაც, ამ კომპოზიტში, თავიდანვე გვქონოდა ჯორმუხა (ე. ი. ჯვარი დიალექტური ფორმით ჯორი). თუ დაკვირვების ეს გზა სწორია, მაშინ ამავე რიგში შეიძლება მოვაქციოთ კომპოზიტი-ტოპონიმების ერთი წყება: გუბაჯორი (მთისწვერის სახელწოდება სოფ. შუა ალევი, კორინთის სას. საბჭო, ლენინგორის რაიონი), ჯორეშინები (მთის ფერდის სახელწოდება. სოფ. შუა ალევი), თევჯორი ქედი (სოფ. იკოთი. ლენინგორის რ.), ასევე—მარტივი წარმოების ტოპონიმები: ჯორელათ მიწები (სოფ. დადიანეთი, ლარგვისის სას. საბჭო. ლენინგორის რ.), ჯორთისი (სოფელი, ქურთის სას. საბჭო, ლენინგორის რ.) და სხვ.

დაკვირვების ეს გზა საფუძველი გახდა ჩვენივე მიხვედრებისა, რომ ტოპონიმი კოჯორი შეიძლება ასეთივე შინაარსის მატარებელი იყოს.

* * *

ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში სიტყვა კოჯორი ორი ფორმით გვხვდება კ ო ჭ ო რ ი და კ ო ჯ ო რ ი. რაოდენობრივი თვალსაზრისით დასახელებაში ჭარბობს ფორმა კ ო ჭ ო რ ი. გვხვდება გამოთქმები კოჭრის შთები, კოჭორი (ვახუშტი, აღწერა... 1940, გვ. 49, 52), კოჭრის ციხე. კოჭრის წყალი, კოჭრელი, ან კოჯორი, კოჯრის სასახლე და სხვ.

ყველაზე ადრინდელი ჩანს კოჭორის დასახელება XIV ს-ის დოკუმენტურ ცნობაში, რაზედაც აკად. ნ. ბერძენიშვილს აქვს მითითებული თავის გამოკვლევაში „ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან“. ამ ცნობაში მოხსენიებულია „კოჭრისა დაბა“[4]. XV ს-ის მეორე ნახევარში, კონსტანტინე II-ის მეფობის დროს „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია „ციხე-კოჭრისა“ იაღუბ ყაენის სარდლის ხალიბეგის ლაშქრობასთან დაკავშირებით[5].

---

3 მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართლის სამეურნეო ტოპონიმია (არაგვისა და ქსნის ხეობების მასალების მიხედვით), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXVII. 1949, გვ 162.

4 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (ადგარანი), „მიმომხილველი“, II, 1951, გვ. 39.

5 ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1959, გვ. 344.

XVI ს-ის მეორე ნახევრის ამბების თხრობის დროს ეს პუნქტი „კოჟორის" ფორმით ისევ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში"[6]. ამავე სახით ეს პუნქტი გვხვდება XVII ს-ის პირველი ნახევრის ამბების თხრობაშიც. ალგეთზე დაბაბაკებული ყორჩიბაშის წინააღმდეგ მომზადებული ქართველების შესახებ „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს: „მაშინ შეიყარნენ ქართველნიცა და კახი ბატონი თეიმურაზ შეყრილი კახითა და მოვიდნენ და დადგენ კოჟორზედა და წავიდნენ ქართველნი"[7].

1749 წ. ვარამ დიასამიძის მიერ ივანე ნასყიდაშვილისადმი მოცემულ აზატულობის წიგნში მოწმეთა შორის დასახელებულია „კოჟრელი ზუბიტაშვილი ფარუმუზა"[8].

ასეთი მაგალითები, როცა ჩვენთვის საინტერესო პუნქტი გვხვდება „კოჟორის" სახით, სხვაც ბევრია, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, წერილობით წყაროებში ეს პუნქტი „კოჯორის" ფორმითაც იხსენიება. 1716 წ. ბატონიშვილ ბაქარის მიერ ამილღაბარ და სხვა ბარათაშვილებისადმი მიცემულ სითარხნის წყალობის წიგნში (პირი XIX ს. დასაწყისისა) ნახსენებია „კოჯრის სასახლე": „არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებიდეს რა, არა კოდისპური..., არა სამეჯოგო, არა კოჯრისა და სხვა სასახლის მუშაობა, არა ქეშიკი"...[9].

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით „კოჟორი" დაბას აქ ძველიდანვე ერქვა. ეჭის საბუთად მკვლევარს მოაქვს ზემოთ დასახელებული დოკუმენტური ცნობა XIV საუკუნისა. იგი კრიტიკულად განიხილავს ვახუშტის მსჯელობას, რომლის ძირეგვით გამოდის, რომ დაბა კოჟორს ძველად „აზეულა" რქმევია და მაშასადამე, სახელწოდება „კოჟორიც" გვიან შემოსულა (ვახუშტი წერს: „არს ციხე აზეულასი და აწ კოჟრისა, თხემსა ზედა კლდისასა", აღწერა..., გვ. 47). ნ. ბერძენიშვილის მართებული შენიშვნით, ასეთი მსჯელობა ვახუშტიმ ალბათ იმაზე დაამყარა, რომ მას „კოჟორი" ძველს წყაროებში არ შეხვედრია, რაც შეცდომაა[10]. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობს აგრეთვე, რომ ვახუშტის ჰქონდა საკმაო საბუთი აზეულას არსებობის შესახებ ძველად, მხოლოდ მის ლოკალიზაციაში (აზეულა-კოჯორი) ცდებოდა[11]. თუმცა, პირადად ჩვენი აზრით, ვახუშტის ამ მსჯელობაში შეიძლება ისეთი შინაარსიც ჩავდოთ, რომლის მიხედვით კოჟორი, როგორც საგეოგრაფიო სახელი, მის დროისათვის უკვე იმდენად გაფართოებული ყოფილა, რომ იგი ფარავს ადრე დამოუკიდებელი სახელწოდების მქონე სხვა გეოგრაფიულ პუნქტებს (შდრ. „არს ციხე აზეულასი და აწ კოჟრისა, თხემსა ზედა კლდისასა", ასევე, გამოთქმა: „ღოუბნის—ჯევი გამოსდის კუჟრის ციხის გორას და ერთვის ასურეთის—ქევს" (აღწ., გვ. 48). ამავე დროს ვახუშტი, ჩვენი აზრით, ზუსტი, ე. ი. ადრინდელი, პირვანდელი მნიშვნელობით ასახელებს კოჟრის მთებს: „სალალაკის წყალი... გამოსდის წავკისისა და კოჟრის მთებსა" (გვ. 52), ასევე—კოჟრის წყალს „(კუმისის ტბას) კვალად ერთვის კოჟრისა და გუდელისის—ჭევის წყალი" (გვ. 48).

---

6 ქართლის ცხოვრება, II..., გვ. 484.

7 იქვე, გვ. 407—408.

8 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 340.

9 იქვე, გვ. 172.

10 ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (ავარანი), გვ. 39.

11 იქვე.

აკად. ნ. ბერძენიშვილი ვახუშტის აღნიშნულ ცნობასთან დაკავშირებით ეხება საკითხს კოჯორის სასახლეების მშენებლობის შესახებ და ფიქრობს, რომ აქ სასახლეების მშენებლობა შეიძლება ნაგვიანევი ხანის (XVII—XVIII სს.) ქართლის მეფეთა თავდაპირველი წამოწყება არც კი იყოს, არამედ ძველი ტრადიციის განახლებას წარმოადგენდეს[12]. საყურადღებოა, რომ მკვლევარი დაკვირვების სფეროში აქცევს საგეოგრაფიო სახელს „სამადლო“, რომელსაც ასეთი სახელი, ვახუშტის აზრით, „ეწოდების მუნ ფუნდუკისათვის“, ასევე კოჯრის ძირას ხელოვნურად გაჭრილ კლდეს. სადაც გატანილი ყოფილა გარდაბანის შიდაქართლთან (სკვირეთის ხეობით) დამაკავშირებელი გზა. ნ. ბერძენიშვილი ხაზს უსვამს, რომ სავაჭრო გზებით დაინტერესებულობა და ციხეების აგება „კლდეკართა“ კარგად დამოწმებული ფაქტია IX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში[13].

ამრიგად. როგორც ვხედავთ, „კოჯორი“ ერთ-ერთი ძირითადი ობიექტია ნ. ბერძენიშვილის საინტერესო საგეოგრაფიო-ტოპონიმიკური გამოკვლევისა. ამ გამოკვლევით ნათელი ხდება „კოჯორის“, როგორც გეოგრაფიული სახელწოდების, სიძველე და მისი ლოკალიზაცია არსებულ საზღვრებში.

მაგრამ აქ ჩვენი დაკვირვების საგანთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ბერძენიშვილი ამ გამოკვლევაში სახელწოდება „კოჯორის“ ეტიმოლოგიას არ ეხება და თვით ამ სიტყვის ფორმის საკითხსაც არ აყენებს, ერთი კი აშკარაა, რომ მკვლევარი თავის ნაშრომში ყოველთვის ხმარობს გამოთქმას „კოჯორი“ და მაშასადამე შეიძლება ვიცულისხმოთ. რომ იგი ამ ფორმას მიიჩნევს ძირითად და, ალბათ, უძველესადაც. ჩვენ საკითხის ამ მხარეს იმიტომ გავხაზავთ. რომ, როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო და სასაუბრო ენაში გვაქვს ძირითადი (და თუ არ ვცდებით. ერთადერთი) ფორმა „კოჯორი“. რაც შეეხება ისტორიულ წყაროებს, აქ, როგორც ვნახეთ, „კოჯორთან“ ერთად „კოჯორიც“ გვხვდება. ეს გარემოება. ვფიქრობთ, აყენებს საკითხს „კოჯორისა“ და „კოჯორის“, ერთი გეოგრაფიული სახელწოდების ამ ორი ფორმის, ურთიერთმიმართების შესახებ. გასარკვევია რომელია მათ შორის პირვანდელი ფორმა, რადგან მათი საერთო წარმოშობა ეჭვს არ იწვევს.

* * *

ჩვენი აზრით, სიტყვა „კოჯორი“ წარმომდგარი უნდა იყოს სიტყვისაგან „კოჯორი“, ე. ი. „კოჟორი“ მეორადი ფორმა ჩანს. აქ საკითხი დგება „ჟ“ და „ჯ“ ბგერების ისტორიული ურთიერთობის შესახებ. ასე დასმული საკითხის გარკვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სპეციალურ ენათმეცნიერულ დაკვირვებებს. ქართულში ჟ ბგერის ისტორიისადმი მიძღვნილია თ. გონიაშვილის საყურადღებო გამოკვლევა[14]. მდიდარი კონკრეტული მასალის ანალიზის საფუძველზე მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჟ ბგერის სახით საქმე გვაქვს ახალი ბგერის ჩასახვასა, განვითარებასა და მის ფონემატიკურ ერთეულად ქცევის ფაქტთან, რომ. მაშასადამე, „თავდაპირველად“ ის არ იყო ფონე-

12 ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი), გვ. 39.

13 იქვე.

14 Т. Гоннашвили, К истории одного звука в грузинском языке, „ენიმკის მოამბე“, 11, 1937, რეზიუმე ქართულ და ფრანგულ ენებზე.

13. საიუბილეო კრებული.

მატიკური ელემენტი იმ ენობრივი ფენის ბგერითი შედგენილობისა, რომელიც საფუძვლად დაედო ძველ სამწერლო ქართულს[15]. თ. გონიაშვილი ცალკე გამოყოფს ამ რიგის შეთვისებულ სალექსიკონო მასალასაც და დაასკვნის, რომ ქართულისათვის თანასისტემოვან და განსხვავებული სისტემის ენებში წარმოებული ანალოგიური ძიება აგრეთვე ჟ ბგერის მეორეული წარმოშობის სასარგებლოდ გვაწვდის ხმას[16]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შეხედულება ჟ ბგერის მეორეული წარმოშობის შესახებ თ. გონიაშვილზე ადრე პროფ. გ. ახვლედიანს აქვს გამოთქმული, რასაც თ. გონიაშვილი იზიარებს და თავის მხრივ ასაბუთებს[17]. თ. გონიაშვილი საკითხის კვლევის დროს ხელთარსებული ფაქტიური მასალის საფუძველზე ეხება ერთ მნიშვნელოვან მხარეს, რომელიც ჩვენი თვალსაზრისით განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას. ეს არის ორგვარი გამოხატულების მქონე პროცესი: 1. როცა ჟ ბგერა ნაწარმოებია ჯ ბგერისაგან და 2. როცა, პირიქით, ჟ ბგერა წარმოქმნის ჯ ბგერას. პირველი შემთხვევისათვის, ე. ი. როცა ჯ ბგერა გვაძლევს ჟ-ს, ავტორის მიერ დასახელებული მაგალითებიდან მოვიხსენიებთ გეოგრაფიულ სახელწოდებას „უჯარმა“. თ. გონიაშვილი შენიშნავს, რომ სიტყვა „უჯარმა“ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ფორმით „უჟარმა“ (ამ სახით ეს სიტყვა გვხვდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში,—მითით. ე. თაყაიშვილი, Опис. II, 725—726) და რომ, მაშასადამე, უკვე ძველათვე განვითარებულა პროცესი ჯ-ს გადანაცვლებისა ჟ ბგერაშიო[18]. აქვეა დასახელებული მაგალითები მეგრულიდან: ხაჯალ, ხაჯალია—ხაჟალია, ჯვებენავა—ჟვებენავა, გურული კილოსათვის — ლობჯანიძე — ლობჟანიძე, ბაჯუნა — ბაჟუნა, ბაჟუნაშვილი. იჯდა, შეჯდა — იჟდა, შეჟდა და სხვ.[19].

აქვე ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ გარემოებასაც: საინტერესოა, რომ ახალი ქართლის ცხოვრების პირველ და მესამე ტექსტებში სიტყვა „კოჭორი“ განსხვავებული ფორმით არის ნახმარი. მე-16 ს. მეორე ნახევრის ამბების თხრობის დროს პირველ ტექსტში ვკითხულობთ: „ხოლო დღესა ერთსა მოვიდოდა (საჩინო ბარათაშვილი. სპასპეტი) კოჟრისა კენდა, რა მოვიდა კევის თავსა გელიყარისასა, მუხ კახაბერი ყორღანაშვილი შემოეყარა წინა“[20]; იგივე მესამე ტექსტში იკითხება ასე: „დღესა ერთსა მოვიდოდა იგი (ბარათაშვილი საჩინო. მ. გ.) კოჭრის — კერძოდ და, ვითარცა მიეიდა თავსა გელიყარისასა, შეემთხვია მუნ წინა ყორღანაშვილი კახაბერი“[21]. (ხაზგასმა ჩვენია, მ. გ.). მაშა-

---

[15] Т. Гониашвили, დასახელებული ნაშრ., გვ, 135.

[16] იქვე, გვ. 135—136.

[17] იქვე, გვ. 111, შენიშვნა მე-2 (მითით. გ. ახვლედიანი, შენიშვნა „ეჟარები, ჟარე“-ს შესახებ. ჟურნ. „ჩვენი მეცნიერება“, № 6—7, 1923).

[18] Т. Гониашвили, დასახ. ნაშრ, გვ. 120. აკად. ა. შანიძის საინტერესო გამოკვლევით ქართველურ ენებში ჯ ბგერის წარმოშობის რამდენიმე წყარო არსებობდა: გ ბგერის აფრიკატიზაცია: რომელიღაც რთული ბგერის დაშლის შედეგად მიღებული ჟ, რომელმაც ერთი მხრივ ქართული რ მოგვცა, მეორე მხრივ კი — კოლხური ჯ; დი კომპლექსი და სხვ. მკვლევარის აზრით პირველადი ჯ უნდა გვქონდეს კოლხურ ფენაში, ნაწილობრივ სვანურშიც, როცა ქართულში მის შესატყვისად ძ გვაქვს: ჯა—ძელი. ეს ჯ იმდენად შეიძლება მიჩნეულ იქნეს პირველადად, რამდენადაც პირველადია მისი შესატყვისი ძ ქართულშიო (ა. შანიძე, ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში, „საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ, მოამბე“, № 2, 1960, გვ. 225).

[19] Т. Гониашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 120.

[20] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 407—408.

[21] იქვე, გვ. 515—516.

სადმე, პირველ ტექსტში ნახმარი სიტყვის „კოქრისაკენ“ პარალელურ ფორმად მესამე ტექსტში ნახმარია „კოჯრის კერძოდ“. ცხადია, სიტყვა „კოჯრის კერძოდ“ თავდაპირველი ფორმა არ არის. იგი, ჩვენი აზრით, არის გადამწერის შეცდომა, დაშვებული ან „კოქრის კერძოდ“ ან „კოჯრის კერძოდ“ გადაწერის დროს. ქართული ბგერათშესიტყვების თაობისებურებათა გათვალისწინებით უნდა ვიფიქროთ, რომ „კოჯრის კერძოდ“ არის წარმომდგარი სიტყვისაგან „კოჯრის კერძოდ“. ჯ და ჭ ხშული ბგერები, როგორც ცნობილია, ქართული ენის აფრიკატთა რიცხვს ეკუთვნიან და შედიან ჩ-სთან ერთად ერთ სამეულში. ჟ ბგერა კი შედის შ-სთან ერთად ერთ წყვილეულში. ისინი შიშინა თანხმოვნები, ენა-ნუნისმიერი ანუ ალვეოლარი (პოსტდენტალური) ნაპრალოვნებია[22]. ჟ-ს ქცევა ჭ-დ შეუძლებელია, ჯ-ს ქცევა ჭ-დ—შესაძლებელი. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროს, როცა „ახალი ქართლის ცხოვრების“ ხსენებული ტექსტები იქმნებოდა არსებობდა გამოთქმა „კოჯორი“, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის ლიტერატურულ-წერილობით ხმარებაში ჭარბობს „კოქორი“.

ზემოგანხილული ენობრივი დაკვირვება თ. გონიაშვილისა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მკვლევარი შესასწავლი საკითხის ასპექტში გვთავაზობს ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ეტიმოლოგიას. თ. გონიაშვილი სიტყვაში კოჟორი — კოჯორი ფუძისეულ მასალად მიიჩნევს სიტყვას კოჟ-ი, რაც მთაგორიან, ამობურცულ, ამაღლებულ ადგილს აღნიშნავს, ხოლო შესადარებლად ემყარება ამავე ახლომნიშვნელობის სიტყვებს: სვან. კოჯ-კლდე, აგრეთვე ქართ. კოქრი, ნუქრი, კუქრი, კორძი და სხვ.[23]. მართალია, მკვლევარი სიტყვას კოჟორი—კოჯორი აღნაგობის მიხედვით აღარ განიხილავს, მაგრამ ალბათ ივარაუდება, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი—ორი სუფიქსია, რომელიც კოჟ-კოჯ ფუძეს მოსდევს. ავტორის მიერ მოტანილი მასალის მიხედვით შეიძლებოდა იმის დაშვებაც, რომ სიტყვაში კოჟორი საშვე გვაქვს ქართლური გაორმაგებული ძირის მქონე სიტყვის კოჟოჟი ოდნავ სახეცვლილ ფორმასთან. ახალ ენათმეცნიერულ გამოკვლევებში საინტერესოდ არის ახსნილი სვან. კოჯ-ის კავშირი ქართ. კლდესთან. მიაჩნიათ, რომ ამოსავალ საერთო ქართველურ* კლდე ფორმაში მოცემული ლ ელემენტის სვანურში თანხმოვნებს შორის მოხვედრის შედეგი იყო მისი სრული ვოკალიზაცია და ო ხმოვნის მიღება (ქართ. კლდე, მეგრ. კირდა, კირდე, სვან კოჯ). აქ მხედველობაშია მიღებული სვანურისათვის დამახასიათებელი „დაჯ პროცესიც. (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 95—96 და შმდ.). მოტანილი კონტექსტებით თ. გონიაშვილი სიტყვას კოჟორი უფრო ადრეულ ფორმად უნდა მიიჩნევდეს, ვიდრე სიტყვას კოჯორი.

ჩვენ ეს ეტიმოლოგია უაღრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია, მაგრამ ამასთან ერთად თავს ნებას ვაძლევთ ამავე საკითხზე ჩვენი დაკვირვება და შეხედულებაც წარმოვადგინოთ.

ზემოთ ნაწილობრივ უკვე ითქვა იმ მასალის შესახებ, რომელმაც წარმოშვა ჩვენი ვარაუდი, რომ სახელწოდება კოჯორი კომპოზიტური წარმოების სიტყვად მივიჩნიოთ, რომელიც დღევანდელი გაგებით მუხაჯვარის შინაარსის მატარებელი უნდა იყოს. „კოჯორი“ ადრე „კრკოჯვარი“ („კრკოჯუარი“) უნდა ყოფილიყო.

---

[22] გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1939, გვ. 50—51.

[23] Т. Гониашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 128—129.

რამდენადაც „კოჯორის“ თავდაპირველ ანუ საწყის ფორმად „კრკოჯვარი“ გვევლინება, გამოსარკვევი ხდება კრკოჯვარის ენობრივი ცვლილებების შესაძლებლობანი და გზა. ამ შედგენილი სიტყვის პირველი კომპონენტი კ რ კ ო იგივეა. რაც დღევანდელი რ კ ო. რკო ამჟამად მუხის ნაყოფს ეწოდება, ადრე კი ნაყოფთან ერთად თვით მუხის ხესაც აღნიშნავდა. მკლევართ ამის ერთ-ერთ საბუთად ისიც მიაჩნიათ, რომ თეძმის ხეობაში გვაქვს ძველი სოფელი რკონი (ვახუშტით — კრკონი, აღწ..., გვ. 56). სიტყვას „რკო“ თავკიდური კ ამჟამად დაკარგული აქვს. საბას განმარტებით რკო არის კრკო, რაც, როგორც მუხის ხულს, ანუ ნაყოფს, ისე თვით მუხის ხეს ეწოდება. ლექსიკოგრაფი აქ ესაიაზი (2. 13) უთითებს[24]. ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო სიტყვაში კრკოჯვარის მაგიერ რკოჯვარის მიღება გამართლებულია. მაგრამ ჩანს, რომ ენობრივი ცვლილება არც აძაზე შეჩერებულა და სიტყვაში რკოჯვარი, თავის მხრივ, ისევე დაკარგულა თავკიდური ბგერა რ. შედეგად უნდა იყოს მიღებული კოჯვარი (-კოჯორი), განსახილველ ტოპონიმიკურ კომპოზიტში ამდაგვარი ცვლილების გზა აგრეთვე გამართლებული ჩანს, რაც შესაძლებელია აიხსნას ხანგრძლივი დროის მანძილზე ამ სიტყვაში ეტიმოლოგიური შინაარსის დაბნელებით და ფუძის სათანადოდ გაცვეთით[25].

მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს მეორე შესაძლებლობაც ამ სიტყვის/(კ) რკო/ ცვალებადობის გათვალისწინებისას, რაც წარმოშობს ვარაუდს, რომ შეიძლება ჩვენთვის საინტერესო კომპოზიტის კოჯორი-ს შექმნაში მონაწილეობა ძველ სასაუბრო ენაში უკვე სახელნაცვალმა (კ)რკო-მ კო-ს სახით. ამ ვარაუდის საბუთად ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ერთ-ერთ დიალექტში ამ სიტყვის ცვლილების შესახებ დადგენილი შემდეგი ფაქტი. აკად. ნ. მარს იმერხეულ კილოში დაუმოწმებია სიტყვა რკო კო-ს ფორმით. შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიურისათვის დართულ გლოსარიუმში ნ. მარს ცალკე ერთეულად აქვს შეტანილი სიტყვა „კო“. განმარტებაში კი ნათქვამია: „კო, რკო, дуб, т. пелум (ეს) Слова шуба у имерхевцев нет: „шуба ар аиоь аqа, батоно, сказал один из моих собеседников, по кo и оказывается в значении шуба“[26]. აქედან ჩანს, რომ ნ. მარი დიალექტურ კო-ში სახელნაცვალ რკო-ს ხედა-

---

[24] ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928. აკად. ივ. ჯავახიშვილს ვარაუდი გამოუთქვამს ერთ საკარო მოხსენებაში, რომ ტოპონიმიკური ტერმინი რკონ-ი უკავშირდება რკო გრკო-ს (არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 19, შენ.). აკად. ა. შანიძეც მიიჩნევს, რომ გეოგრაფიული სახელი რკო-ნ-ი წარმომდგარია კრკონ-ისაგან და რომ კრკო, ძველი გაგებით, უნდა ჰქმეოდა ხესაც და მის ნაყოფსაც. იგი წერს: „ამჟამად რკო (ფშაურად კურკო) მარტო ნაყოფს ჰქვია, ხეს კი მუხას ვეძახით, მაშასადამე (კ) რკონი—მეხეებიო“ (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვ. პირველი, თბ., 1942, გვ. 133). მისივე, ეტიმოლოგიური ძიებანი, 1. რკო და მუხა. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1947 წ. მოხს. თეზისები, თბ., 1947, გვ. 3.

[25] ამ შესაძლებელ მოვლენაზე ჩვენი ყურადღება მიაქცია პატივც. თ. ვონიაშვილმა. ამ და სხვა სასარგებლო მითითებებისათვის მკვლევარს უღრმეს მადლობას მოვახსენებთ. რიგი სასარგებლო რჩევისათვის აგრეთვე უღრმეს მადლობას მოვახსენებთ პროფ. ივ. ქავთარაძეს.

[26] Н. Я. М а р р, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, 1911, глоссарии по имерхевскому говору, გვ. 82. მუხის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. მისი, К палеонтологии речи по грузинской лексике, Доклады АН СССР-в, 1927. № 4, გვ. 80, 81, მისივე, К пересмотру распределения шумерского словаря, Доклады АН СССР-в, 1927, № 1, გვ. 9. ნ. მარი მუხას (шu-qa) ქართული ენის მიერ შეთვისებულ სიტყვად მიიჩნევს.

ვდა. იგივე ვითარება უნდა გექონდეს აჭარაშიც. აქ მუხას რკო ეწოდება[27], ეძახიან კოს ხეს-აც[28].

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ენობრივი ცვლილებების შესაძლებლობის აღნიშნულ ფაქტებს, მაშინ ხელს არაფერი გვიშლის, რომ კომპოზიტში კოჯორი კო მივიჩნიოთ (კ)რკოს სახეცვლილ ფორმად და მუხის აღმნიშვნელ სიტყვად. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ საესებით მართებულად გვეჩვენება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიურ მონაცემებში დასახლებული პუნქტის სახელწოდების კონდიდის შინაარსის გაგება მუხადიდად[29], თუმცა აქ კომპონენტი კონ შეიძლება წარმომდგარია ჰანური რკონი-საგან, რაც ჭყონი-ს ზესატყვის ფორმად არის მიჩნეული[30] (შდრ. ჭყონდიდი. ამ საკითხზე საუბარია ქვემოთაც).

ცვლილებიანი ჩანს ამ ტოპონიმის მეორე კომპონენტიც. სიტყვაში „ჯორი" უნდა გექონდეს სახენაცვალი „ჯვარი". ამ უკანასკნელისათვის კი პირვანდელი ფორმაა „ჯუარი". თუ ენობრივი თვალსაზრისით შევაფასებთ, ჭართულის ნორმების მიხედვით ეს მოვლენაც დასაშვები და გამართლებული ჩანს. ეს სიტყვაც იმავე ჯგუფს უნდა განეკუთვნებოდეს, სადაც უა ჯგუფის ო-დ ქცევა თავისებურ შერწყმას გვაძლევს. ეს მოვლენა თვალსაჩინოა სიტყვებში გუარი—გორი (-გვარი), თუალი—თოლი (-თვალი), კუალი—კოლი (-კვალი), ცხუარი—ცხორი (-ცხვარი)[31]. სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ უა ჯგუფის ო-დ ქცევა, სადაც უ უმარცვლოა, ჩვეულებრივი მოელენაა მოხეურსა და მთიულურში, ნაწილობრივ აგრეთვე ფშაურსა და ქახურშიც. დადგენილია ისიც, რომ ქართული სალიტერატურო ენა საზოგადოდ ასეთ შერწყმას გაურბის. გამონაკლისად მიიჩნევა „კომლი" (-კუამლი), „როგორი" (რა გუარი, რა გორი, შემდეგ ხმოვანთა ასიმილაციის გზით—როგორი)[32]. ხევში, მთიულეთში, გუდამაყარში „ჯვრისწერა" „ჯორისწერად" ითქმის; აქვე საქორწინო სიმღერას „ჯორისწინა" ეწოდება. ქორწილში ნეფე-დედოფალი და მაყრიონი კერასა ღა საკიდელს სამჯერ გარს შემოუვლიდნენ და მღეროდნენ „ჯორისწინასაო, მარჯვნივ მჯარესაო..." და სხვ[33]. ამასთან დაკავშირებით უთუოდ საყურადღებოა ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ფორმაცვალება ინგილოურში. აქ ერთი მხრივ, ჯ ბგერის უქონლობისა და, მეორე მხრივ, უმარცვლო უ-ს ა-სთან შეერთების შედეგად ო-ს მიღების გამო, ჯუარი-ჯვარის-ჯორის შესატყვისად გვაქვს ჟორ-ი[34].

არის სხვა პარალელებიც, რომლებსაც უფრო შორს მიეყევართ. საყურადღებოა, რომ სიტყვა „ჯვარი" თავისი პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ იმაეე სახენაცვალი ფორმით „ჯორ" სხვა კავკასიურ ენებშიც გეხვედება, კერძოდ. ადიღეურში[35].

---

[27] შდრ., ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი (მცენარეთა სახელწოდებანი), თბ., 1961 წ.ხე, ა. შანიძე, ეტიმოლოგიური ძიებანი, I, რკო და მუხა, გვ. 3—4.

[28] ცნობა მოგვაწოდეს ასპირანტებმა ვ. შამილაძემ და ნ. კახიძემ.

[29] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ტ. I, ბათუმი, 1959, გვ. 112.

[30] არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 128.

[31] არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თაისებურებანი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1927, გვ. 202, 219.

[32] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, თბ., 1962, გვ. 23.

[33] შდრ. ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქაეთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 59, 86, 566, 570, 576.

[34] მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძვ. საქართველო, ტ. II, განყ. 4, გვ. 345.

[35] შდრ. М. З. Азаматова, Материалы к земледельческой культуре бжедугов, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII—XIII", 1963, გვ. 257.

ჩვენ შეიძლება დავუშვათ, რომ კომპოზიტის „კოჯორი"-ს წარმოქმნის მომენტში მისი ერთი კომპონენტი უკვე ატარებდა „ჯორის" ფორმას, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ ქართული ენის მთის დიალექტებში, მაგრამ შეიძლება დავუშვათ ისიც, რომ ამავე კომპოზიტში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა პირველად მოხვდა „ჯუარის" || „ჯვარის" ფორმით. რომ ე. ი. თავდაპირველად გვქონდა „(რ) კოჯუარი" „(რ) კოჯვარი", ხოლო დროთა განძვალობაში თვით ამ კომპოზიტმა განიცადა ცვლილება ასიმილაციის ნიადაგზე და წინამავალი ო-ს გავლენით სიტყვაში—„ჯვარი" მივიღეთ სათანადო ცვლილება—„ჯორ". რადგან ამჟამად ჩვენ არც ლინგვისტური და არც ეთნიკურ-ისტორიული ხასიათის სხვა პირდაპირი მაჩვენებელი არ მოგვეპოვება, ორივე ეს შესაძლებლობა თანაბარ ძალაში უნდა დავტოვოთ, მაშასადამე, ღიად რჩება თვით ამ სახელწოდების გაჩენის აბსოლუტური ქრონოლოგიის საკითხიც. ვარაუდი კი შეიძლება ვიქონიოთ, რომ ეს მოხდა თემური წარმოშობის ჯვარ-ხატების გაჩენის დროს, როცა უკვე „ჯვარი" ანუ „ხატი", აღნიშნავდა ამა თუ იმ თემის ღვთაებასაც ანუ „ღვთისშვილს", რომელიც წარმოდგენილი იყო თემის ბატონ-პატრონად, ისე ამ ღვთისშვილის მიწიერ საბრძანებელს. ეს არის ჩვენში გვაროვნულ-თემური წყობილების დაშლის ეპოქა, რაც თავისთავად ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა. (ძაზე ქვემოთ).

* *
*

„ჯვარს", როგორც მეცნიერული დაკვირვებისა და შესწავლის საგანს, ქართულ ლიტერატურაში კარგა ხანია ყურადღება მიექცა. ამ საკითხს იკვლევდნენ ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, არქეოლოგები, ენათმეცნიერები. გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება და წამოყენებულია მთელი რიგი დებულებები[36]. როგორც ცნობილია, ჯვართან დაკავშირებული მასალების ცალმხრივმა გაგებამ, თავის დროზე ხელსურთა ეთნიკური ვინაობის არასწორი თეორიაც კი წარმოშვა[37].

ჩვენს მიზანს არ შეადგენს „ჯვარის" საკითხის საგანგებო კვლევა, არც ამ საკითხზე არსებული შრომების განხილვა-შეფასება. ეს საკითხი დიდი და რთული საკითხია. მას მრავალი ასპექტი აქვს. რელიგიურ, იდეოლოგიურ, ესთეტიკურ მხარეებს, ისევე როგორც საკითხის ენობრივ მხარესაც. „ჯვარის" ისტორია უხსოვარ წარსულში გადაიკვეთ. ამ მიმართულებით მეცნიერული დაკვირვებები წარმოებს და ეს მუშაობა ალბათ შემდგომშიაც გაგრძელდება. მაგრამ დღეს უკვე მოგვეპოვება ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევის მნიშვნელოვანი შე-

---

[36] Н. Я. Марр, Еще о слове „челеби", Зап. Вост. Отд. Русск. Археол. Общ., т. XX, вып. II—III; Н. Я. Марр, О религиозных верованиях абхазов, „Христианский Восток", т. IV, вып. I, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, თავი მეორე, ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I. 1952; ვ. ბარდაველიძის შრომები (მითითებულია ცოტა ქვემოთ). ვ. თოფურია, ქვა-ჯვარანი საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 4, 1942, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I. თბ., 1964, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (წვიკითხულია საანგარიშო მოხსენებად თბილ. უნივერსიტეტში 1937 წ.), ლ. ბოჭორიშვილი. ხევსურული „ჯვარი", „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", V, 1951; ალ. ჯავახიშვილი, Культово-мемориальные памятники Грузии древне-христианского времени, Тб., 1950 (ავტოფერატი) და სხვ.

[37] А. Зиссерман, Очерки Хевсуретии. „Кавказ", 1851, № 22; К. Ф. Ган, Путешествие в страну пшавов, хевсур, кистин и ингушей, КВ., 1900—4-6. ზისერმანმა ხევსურები ჯვაროსან მეომართა შთამომავლობად მიიჩნია. ჰანმა კი ჩათვალა, რომ ხევსურთა წინაპრები ალბათ ჯვაროსანთა ომებში იღებდნენ მონაწილეობასო.

დეგები, რომლებიც სწორ მეთოდოლოგიურ პრინციპებზეა დამყარებული და რეალურ ახსნას აძლევენ ჯვარ-ხატების განვითარების ხანგრძლივ ისტორიას, მართებულად გვიხატავენ მათ სოციალურ-ეკონომიურ ბუნებას საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და ამ ეტაპებთან კავშირში (ვ. ბარდაველიძე).

რამდენადაც ჩვენ შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით ვემყარებით კვლევის ამ შედეგებს, აქვე მოკლედ გადმოვცემთ ქართული ჯვარ-ხატების ბუნების ახსნა-გაგებას: რელიგიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ვ. ბარდაველიძე დაადგენს, რომ მართალია ფეოდალური ხანის სარწმუნოებრივი იდეოლოგიის მძლავრი ზეგავლენით დღეს „ჯვარი" და „ხატი" გვესმის როგორც ქრისტიანული სიმბოლოების სახელწოდებანი, მაგრამ ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ეს ტერმინები სხვა შინაარსის მატარებელი იყო. ემყარება რა აკად. ნ. მარის გამოკვლევებს, რომ ოდესღაც „ჯვარი" ძელს და „ხატი", „ხაჩი" ხეს აღნიშნავდა და რომ ეს „ჯვარი"—„ხატი" ჩვეულებრივი ძელი თუ ხე კი არ იყო, არამედ იგი მაშინ თაყვანისცემის საგანს წარმოადგენდა, ვ. ბარდაველიძე ამავე დროს დაადგენს, რომ თავდაპირველად ხე იყო ერთ-ერთი ქართველი ტომის ტოტემური მცენარე და რომ ეს ტოტემი კულტის ობიექტად, სათაყვანებელ ხედ შედარებით გვიან აქციეს. ამ დროს ძელი „ჯვარი" ანუ ხე „ხატი" „ხაჩი" წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც ცოცხალი, ადამიანის მსგავსი არსება, რომელსაც საკუთარი სული გააჩნდა და თავისი სურვილისდა მიხედვით ხის სახე ჰქონდა მიღებული. სათაყვანებელ ხესთან ერთად არსებობდა მრავალი სხვა ანთროპომორფული ქმნილება, რომლებიც „ჯვარ-ხატის" მსგავსად მძლავრ მეტამორფოზას განიცდიდნენ, — ზოგი მათგანი ამა თუ იმ ცხოველის სახეს იღებდა, ზოგი კი ბუნების სხვა საგნისას თუ მოვლენისას.

რელიგიის განვითარების მომდევნო საფეხურზე ადამიანმა ეს ქმნილებები ცაზე გადაასახლა, ზეციურ არსებად აქცია და დედამიწაზე მათ ამ ქვეყნიური დროებითი საბრძანებლები გაუჩინა. თუ აქამდე სარწმუნოების გაჩენა და განვითარება შეპირობებული იყო ბუნების წინაშე ადამიანთა უძლურებით, ამიერიდან ამ უკანასკნელთან ერთად რელიგიის შემდგომ მსვლელობაზე ძლიერად ზემოქმედებდა ხალხის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა. მათი ზეგავლენით ცალკე გამოეყო თემური წარმოშობის ჯვარ-ხატები, რომლებიც თანდათანობით იერარქიულად დაეწყო. ამიერიდან „ჯვარი" ანუ „ხატი" აღნიშნავდა როგორც ამა თუ იმ თემის ღვთაებას ანუ „ღვთის შვილს", რომელიც წარმოდგენილი იყო თემის ბატონ-პატრონად, ისე ამ ღვთისშვილის მიწიერ საბრძანებელს. ქართველი ხალხის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ადრეკლასობრივ საფეხურზე ჯვარ-ხატების მსახურებამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია[38].

---

[38] ამ საკითხებს ვ. ბარდაველიძე, თავის მრავალ ნაშრომში იკვლევს. იხ. მისი ზის კულტისათვის საქართველოში, „საქართველოს მუზეუმის მოამბე". VI, 1927; ვ. ბარდაველიძე, და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, 1939; ბ. ბარდაველიძე, სვანურ დღემაღა კალენდარი, I. თბ., 1939; მისივე, Земельные владения древне-грузинских святилищ, „Советская этнография", 1949, № 1; მისივე, ხევსურული თემი (სტრუქტურა და ჯვარისყმობის ინსტიტუტი) „საქ. სსრ მეცნ აკად. მოამბე", ტ. XIII, № 8, 1952; მისივე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე". ტ XIII, № 10, 1952. მისივე, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957. ჩვენ მიერ მოტანილი ტექსტი, ავტორის თავაზიანი ნებართვით, ამოღებული გვაქვს. მცირეოდენი ცვლილებებით ხელნაწერი წერილიდან „ჯვარი-ხატი" რომელიც ვ. ბარდაველიძემ 1962 წ. მოათავსა საველე ეთნოგრაფიულ გაბეთში (ინახება ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში).

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი და გამოკვლეულია მუხის თაყვანისცემის ხალხური წეს-ჩვეულებანი. ეს საკითხი შესწავლილია მცენარეულის თაყვანისცემის საერთო ფონზე, რაც ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი იდეოლოგიის ერთ-ერთ ძირითადსა და მთავარ გამოვლინებას წარმოადგენს[39]. როგორც ხის კულტის. ასევე აგრარულ კულტების სიმრავლე აშკარად მეტყველებს მიწათმოქმედების სიძველეებზე და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და როლზეც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

მცენარეულის თაყვანისცემის ამ უაღრესად დიდი და საინტერესო საკითხების რიგიდან დღევანდელი მსჯელობის საგანთან დაკავშირებით ჩვენ მხოლოდ მუხის თაყვანისცემის საკითხს გამოვყოფთ. აქვე ყურადღება უნდა გავამახვილოთ ერთ დიდსა და დამოუკიდებელი მნიშვნელობის საკითხზე, რომელიც შესასწავლ საკითხთან ახლო ურთიერთობას ამჟღავნებს. ეს არის მუხისა და წმინდა გიორგის, როგორც სათაყვანებელი და სალოცავი ობიექტების, მჭიდრო კავშირი და ხშირად მათი იდენტურობაც. ამ საკითხსაც, ე. ი. მუხისა და წმინდა გიორგის ურთიერთობასა და კავშირს, სპეციალურ ლიტერატურაში საგანგებო ყურადღება აქვს მიქცეული და საყურადღებო დასკვნებია მიღებული. აკად. ნ. მარს, რომლის შეხედულებას ეხება ისტ. მეცნ. დოქტორი ვ. ბარდაველიძეც, ენობრივი მასალის საფუძველზე ახსნილი აქვს ამ მოვლენის რაობა და გავრცელების ფართო მასშტაბი ქართველ და სხვა ტომებში. ნ. მარის აზრით სვანური „ჯგრნგ" და მეგრული „ჯგეგე" მისი მრავალსახეობით წარმოადგენს წარმართი კულტის ტერმინს, სახელდობრ, მუხას, მუხის ხევნარს, წმ. მუხებს, წმ. მუხის ხევნარს. ამ სიტყვის სვანური ექვივალენტიდან მისი ფუძითი ნორმების მიხედვით, გამოჰყავს ილორის წმ. გიორგის ხატის სახელწოდება[40]. ეთნოგრაფიული მრავალი ფაქტიდან საყურადღებოა ქართველ მთიელთა რწმენა-წარმოდგენებში შემორჩენილი „გიორგი მუხის ანგელოზი"[41].

მიუხედავად ლიტერატურაში უკვე ცნობილი ეთნოგრაფიული ფაქტების სიმრავლისა მუხის თაყვანისცემის შესახებ, ჩვენს შესასწავლ საკითხზე დაკვირვების პერიოდში პირადადაც მოკვიხდა ეთნოგრაფიის მასალების დამატებით გამოვლინება და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ძალზე საყურადღებო მოვლენასთან გვაქვს საქმე. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მუხის თაყვანისცემა ჯერ კიდევ საკმაოდ ცოცხალ არის შემონახული და ძველი თაობის ხალხში არათუ მოგონება-გადმოცემების ობიექტია, არამედ რიტუალს წარმოადგენს და მეტ-ნაკლები სისრულით ბევრგან სრულდება. უთუოდ მიზანშეწონილია ამ რიტუალის როგორც ტექსტუალური, ისე კინო-ფოტო ფიქსაცია მეცნიერულ-საკვლევაძიებო და ათვისტური მიზნებისათვის. როგორც ვთქვით, ეს რიტუალი საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ შესადარებელი მასალების მნიშვნელობით ჩვენ აქ მხოლოდ ერთი კუთხის მონაცემებზე შევაჩერებთ ყურადღებას. ჩვენს ხელთ არსებულ ეთნოგრაფიულ მასალებში, რომლებიც ისტორიული ოკრიბის სამეურნეო ყოფას, ნივთიერ კულტურას, გეოგრა-

[39] ვ. ბარდაველიძე, ხის კულტისათვის საქართველოში, აგრეთვე მისივე სხვა შრომები, დასახელებული აქვე, ზემოთ. ამ საკითხს შეეხენ აკად. ნ. მარი, აკად. ივ. ჯავახიშვილი (დასახელებულია ზემოთ). საინტერესო დაკვირვება ამაკე საკითხზე მოეპოვება ე. კოტეტიშვილს (იხ. მისი, ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 380—388. შენიშვნა ლექსზე „მუხლი შეხასაო").

[40] Н. Я. Марр, О религиозных верованиях абхазов.

[41] ვ. ბარდაველიძე-ლომია, ხის კულტისათვის საქართველოში; გვ. 176.—

ფიულ ნომენკლატურას და სხვ. შეეხება, საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს მონაცემებს ჯვარ-ხატებისა და ჯვარის მსახურების შესახებ. პირველ რიგში თვალშისაცემია ამ რიგის ტოპონიმების სიმრავლე. ეს ტოპონიმები ასახავენ ჯვარ-ხატებთან დაკავშირებით კონკრეტულ საღოცავ ადგილებს, სამეურნეო ნაკვეთებს, ახ საკუთრივ სოფლებს. ამ შემთხვევაშიც ჩვენ ისევ მუხის თაყვანისცემის ნაშოებზე გავამახვილებთ ყურადღებას. სოფ. მუხურის ერთ-ერთ უბანში, რომელსაც ანძროხეთი ეწოდება, მდინარე წყალმეჩხერის ნაპირას დგას დიდი მუხა. იგი გამოფუღრულია და შიგ შედგმულია ხის ჯვარი. ამ მუხასთან ხალხი ლოცულობდა და, როგორც აგვიხსნეს, მას „გაწვიმებას“ სთხოვდნენ. აქ შემონახული გადმოცემის თანახმად, „ადრე ეს მუხა ზევით მდგარა, ბარბაჭაძეებში, მათ ეკლესიაზე, შემდეგ ანძროხეთში ბუიძეებს უნატრიათ, ოდიკაძეებსაც—ნეტავი აქ ჩამოვიდეს ეს ხეო და მართლაც ჩამოსულა ხე იმათთან“. ამავე გადმოცემის მეორე ვარიანტის მიხედვით, სულ ადრე ეს მუხა მაღალი მთის თავზე მდგარა, რომელსაც ელდათის წმინდა გიორგი ეწოდება. ამ გადმოცემის სიუჟეტს წარმოადგენს წმინდა გიორგის ბრძოლა დევებთან და საბოლოოდ დევის დამარცხება. თხრობაში აღნიშნულია, რომ იმ ადგილას, სადაც წმინდა გიორგის მიერ გადმოჭდებული დევი დავარდნილა, გაჩენილა „დევი ტბა“. მასში რკინის ჯვრები, შუბები, ისრები, ირმის რქები ეყარაო. ამ ნაშთებს დღესაც პოულობენ.

ტყიბულში იმ ადგილას, სადაც ამჟამად ჯიმიაშვილების უბანია, მდგარა დიდი მუხა, რომელთანაც ხალხი ლოცულობდა. ეს მუხა მოუჭრიათ. ამ ადგილს ამჟამადაც საჯვარეს უწოდებენ.

სოფ. გურნის ერთ-ერთ სამეურნეო ნაკვეთზე, რომელსაც ყვაუთი ეწოდება, მდგარა მუხა, რომელზედაც ხის ჯვარი ყოფილა მიმაგრებული. გამველე-გამომველენი შესაწირავს სტოვებდნენ და თან ლოცულობდნენ: „ჯვაროო პატიოსახო, შეგვეწიე, დაგვეხმარეო“. უშუალოდ ამ ადგილს **ჯვარი** ეწოდება.

სოფელ წუნორსა და სოფელ ძმუისს შორის მდებარე გზის პირას დიდი მუხა დგას, ამჟამად თითქმის მთლიანად გამომპალი, მასში ჯვარია შედგმული. ეს ადგილი **საჯვარე ქედის** სახელით არის ცნობილი[42].

სახელწოდება **ჯვარი** გვხვდება სოფელ ძიროვანის ტოპონიმიკაში ამავე მნიშვნელობით. ტოფაძეების უბანში მდგარ დიდ მუხაშიც, რომელიც სიბერის გამო წაქცეულა, ჯვარი ყოფილა შედგმული.

ტყიბულის ექსპედიციაში (1962—1963 წწ.) მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება ამავე თვალსაზრისით, ბუნებრივია, სოფელმა ჯვარისამ მიიპყრო. ამ სოფლის ზედა უბანში, ყველაზე შემაღლებულ ადგილას, რომლის საერთო სახელწოდებაა კითხიჯი, ჩვენ გვაჩვენეს გზის მახლობლად მდგარი, საშუალო ზომის მუხა, ნახევრად გადახრილი და ფესვებ გაშიშვლებული, რომლის ფუღუროში შენაწირი ფულები (ლითონისა) იყო შეწყობილი. ხალხური ეტიმოლოგია სოფლის სახელწოდებას (ჯვარისა) ამ „წმინდა ადგილს“ უკავშირებს. სოფლის ეკლესია, რომელიც ცოტა ქვემოთ, „სათემოს“ ტერიტორიაზეა აშენებული, წმინდა გიორგის სახელობისაა. აქვეა სასაფლაო.

---

[42] ყურადღებას იქცევს სოფელი წუნორის სახელწოდება. თაყვიდურ ნაწილში წუნ, რომელიც შეკუმშული ჩანს (წუან), შესაძლებელია იგივე მასალა ვიპოვოთ. როგორიც წუნ-ეთში (იხ. ქვეით დასახ. არნ. ჩიქობავა, ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარ. ლექსიკონი, გვ. 128). აღსანიშნავია, რომ წუნორში იმართებოდა ხატობა წმინდა გიორგობა.

ჩვენ ხელთარსებულ ახალ ეთნოგრაფიულ მასალებში მსგავსი ფაქტები სხვაც ბევრია. წმინდა ხეების სახით გვხვდება აგრეთვე ხის სხვა ჯიშები, თუმცა მუხასთან შედარებით ნაკლებად. სოფ. კურსებში, გაღმა უბანში დიდი თელა მდგარა, რომელსაც დედახვთისა ეწოდებოდა, მასზე პატარა ჯვარი ყოფილა მიყუდებული. აქ თურმე უშვილო ქალები, ან მშობიარე ქალები მოდიოდნენ. ლოცვის დროს ეხვეწებოდნენ „შვილი მოგვეცით“, ან „დედა და შვილი მშვიდობით გააშორე ერთმანეთსო“. სცოდნიათ შეთქმა რკინის უღლის დადგმისა, ოქროს აკვანსაც შეუთქვამდნენ თურმე. მთხრობელის (ლომთაძე ნიკოლოზის ძე, 65 წლისა) გადმოცემით მას უნახავს ოქროს აკვნის მოდელების ამ ხატისათვის შეწირვა.

ამავე თვალსაზრისით ყველაზე საყურადღებოა ამ გარემოში საკმაოდ ფართოდ ცნობილი და ძლიერი ხატი ცხრა ჯვარა (ცხრა ჯვარი). ხალხი მას ასეთადაც ახასიათებს: „ეს ხატი იყო მაგარი, ძალოვანი ხატიო“. იგი გეოგრაფიულად ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე მდებარეობს. ველიეთის მთის წინ წაზიდული ქიშიდან იგი ოკრიბის ვრცელ გარემოს გადაჰყურებს. აქ ახლომდებარე სოფლებიდანაც მოდიან სალოცავად, მაგრამ იგი ძირითადად ერთ სოფელს — ძიროვანს ეკუთვნის[43].

ასეთია სურათი ჩვენ ხელთარსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით. ცხადია, რომ აქ წარმოდგენილ მასალას სისტემატიზაცია და თანმიმდევრული და სპეციალური კვლევა სჭირდება, ისევე როგორც საგანგებო მიდგომაა საჭირო ველზე მათს შესაგროვებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ განხილული მონაცემები გარკვეულ შუქს ფენენ დღევანდელი მსჯელობის საგანს და ამასთან ერთად გვაჩვენებენ მოხილულ რაიონში ჯვარხატების ფართო გავრცელების და მცენარეულის და განსაკუთრებით მუხის თაყვანისცემის ცოცხალ გადმონაშთებს.

ამავე სურათის ნათელ დადასტურებას ვხვდებით ახლო წარსულის წერილობით მონაცემებშ.. XIX ს. მეორე ნახევრისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის ქართულ პერიოდულ პრესაში მრავალი საინტერესო ცნობაა გამოქვეყნებული, საიდანაც ჩანს ხის თაყვანისცემის გადმონაშთების ფართო გავრცელება საქართველოში. აქ ჩვენ ვიმარებთ ერთ მაგალითს, რომელიც გვიჩვენებს მუხის თაყვანისცემის წეს-ჩვეულების გავრცელებასა და ხასიათს. გაზეთი „მწყემსის“ 1886 წლის 26-ე ნომერში პერევისის სოფლის მასწავლებლის ეგნატე ბერულავას კორესპონდენციაში სათაურით „შორაპნის მაზრიდამ“ ვკითხულობთ: „დღის ახალ კვირას მე მთხოვეს ნაცნობებმა, რომ მათ გავჰყოლოდი ტეხისის სალოცავზედ, სადაც, მათის სიტყვით, ამ დღეს იქნებოდა დიდი ამბავი...

ტეხისი არის სახელი იმ გორაკისა, რომელზედაც ამ დღეს იკრიბებიან მრავალნი მლოცველები.ეს გორაკი არის სოფელ პერევისაში გორაკი შემოზღუდულია მშვენიერი მუხებით. ამ გორაკის შუა ადგილს არის ერთი დიდი მუხა. ამ მუხის ძირში დევს ერთი ბრტყელი დიდი ქვა და შიგ ჩასმულია ქვის ჯვარი როცა ამ ადგილს მივედით... მრავალი ქალი და კაცი უვლიდნენ გარშემო გორაზე შემომწკრივებულ მუხებს. ამათში ზოგი ფორთხვით უვლიდა, ზოგ-ზოგი ჯეხ-შიშველნი იყვნენ, ზოგს ყელზე შემოვლებული ჰქონდა რკინის რგოლი და ზოგს ქვები ჰქონდა ყელზე ჩამოკიდებული და ყველანი ერთად მოწიწებით ევე-

[43] დაწერილებითი ცნობები ამ ხატის შესახებ იხ. ტყიბელის 1962—1963 წწ. ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები (ისტორიის ინსტიტუტის საქ. ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი).

დრებოდნენ ტეხისის წმინდა გიორგის. ამასთან სწირავდნენ იმ ქვას, რომელშიაც ჯვარი არი გაქეთებული, ნემსებს, რომლებშიაც გაყრილი იყო აბრეშუმის წმინდა ძაფი, ფულს, წმინდა სანთლებს, ბატკნებს, ქათმებს და სხვ. როცა როჭელიმე მლოცველი სწირავდა რამეს ამ ქვას ამ სიტყვებს ამბობდა: „ტეხისის წმინდა გიორგი, მომპირთმევია აღთქმული, ანუ დაპირებული თქვენდამი ძღვენი და გევედრები ამაშორე ყოველივე საცდელს და გაჭირვებას“. შემდეგ ლოცვისა ხალხი შეუდგება მხიარულებას. შეიქმნება ცხენების ჭენება და დაირაზე ცეკვა-თამაში. ჩემმა ნაცნობებმა მარწმუნეს, რომ აქ ღამით უფრო ბევრი მლოცველები იქნებოდნენო და წესაწირავიც ბლომად შემოვიდოდაო. როგორც შევიტყვე, ამ ადგილს ახალ კვირიდამ დაწყებული ორ თვემდის მოდიან მლოცველები შორეულ სოფლებიდან და სწირავენ ტეხისის წმინდა გიორგის შესაწირავსო“. წერილის დასასრულს ავტორი საკითხს სვამს საერთოდ ამ სალოცავის რაობისა და მნიშვნელობის შესახებ და ერთგვარი გაკვირვებით კითხულობს „არ ეტყობა, რომ ადგილს ეკლესია ყოფილიყოს და რა მიზეზის გამო მიდიან ამ ადგილს მლოცველები?“-ო. ე. ბერულავა რჩევას იძლევა, რომ „გამოიკვლიონ და შეიტყონ ამ ადგილზე ხალხის შეკრების მიზეზი და თუ ეს მიზეზი პატივსადები იქნება, მაშინ შემოსავლიდან. რომელიც წელიწადში 10-დან და 30 მანეთამდე აღწევს, ააგონ საჯვარის ეკლესია, რომ ხალხს შეეძლოს ეკლესიაში ლოცვა. თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ ხალხს მაინც აღუკრძალონ მუხების და ქვის თაყვანის ცემაო“.

ასევე საინტერესოა ცნობა კულაშის წმინდა მუხის შესახებ. რომლის ირგვლივ იმავე გაზეთის ფურცლებზე მოგვითხრობს მღვდელი ერმ. კანდელაკი. „ს. კულაშის ერთ მივარდნილ კუთხეში — წერს ავტორი — იყო მუხა. ამ მუხასთან მიდიოდნენ მუხლ-მოდრეკით და დიდის მოწიწებით როგორც ადგილობითნი, ისე გარეშე, სოფლელები, ლოცულობდნენ და სტოვებდნენ სხვადასხვა შეწირულებას.... ის მუხა ყოველად სამღვდელო გაბრიელის ბრძანებით მოჭრეს, მაგრამ მისმა თაყვანისმცემლებმა მაინც არ დატოვეს იგი უყურადღებოდ: დღესაც მოდიან იმ არემარეზედ, სწირავენ ჩვეულებრივ ხან ფულს, ხან სხვადასხვაგვარ ფრინველებს; თითქმის ვიღაცა ერთ უგუნურს გლეხს შეეწირა მუხის ძირში ერთი კარგი ხარი, რომელსაც „ხატის კაცებს“. სამწუხაროდ, უეცრად მოეტაცნათ“. შემდეგ მოთხრობილია ამ საკითხზე აღძრული საჩივრის უსაფუძვლობის შესახებ[44].

საქართველო მცენარეული საფარით მდიდარი ქვეყანაა. ამასთან, ეს მცენარეული საფარი დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ეს ეხება როგორც ბუნებრივ მცენარეულს, ისე კულტურულ ფორმებს. ფლორის სიმდიდრე და მრავალფეროვნება ობიექტურ წანამძღვარად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ქვეყნისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ორი მოვლენისა: 1. ხის თაყვანისცემის ფართოდ გავრცელება. 2. ხის მცენარეულის ფართოდ ასახვა გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. აქვე ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ საყურადღებო გარემოება, რაც შესამჩნევი ხდება ამ ორივე მოვლენის ლოკალიზაციის დროს. ხის თაყვანისცემაშიც და ტოპონიმიკაშიც. როგორც წესი, უმთავრესად აისახება მოცემული კონკრეტული გარემოსათვის უფრო მეტად დამახასიათებელი მცენარეული

[44] სამეგრელოში ცნობილი სალოცავის **დიდი ჯუონის**-დოდგიმირის რიტუალის აღწერილობა იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 309.

მუხას საქართველოში ფართო გავრცელება აქვს, თუმცა მისი გავრცელება არათანაბარია. სპეციალურ ბოტანიკურ ლიტერატურაში მიღებული დაყოფის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში მუხნარების გავრცელება დაბლობებისა და ვაკის ტყეებიდან იწყება და აღწევს სუბალპების ტყეებს. ისტორიულ ეპოქაში ბუნებრივი პროცესებით გამოწვეული ცვლილებები მიმდინარეობდა, ბაგრამ უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო მცენარეული საფარის ცვლა და შეორეული ცენოზების გაჩენა სამეურნეო ფაქტორების ზეგავლენით[45]. სპეციალური კვლევა გამოავლენს ადამიანის ჩარევით გამოწვეულ იმ პროცესებს, რომელთა შედეგად ვაკე ტყეებთან ერთად ფერდობების მუხნარებსა და რცხილნარებზე, მათ ნატყევარ ადგილებზე ძეძვიანები და ჯაგეკლიანებია გაჩენილი, ე. ი. ისტორიულად ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ტიპის ტყეებისა ან სხვა უფრო მეზოფილური დაჯგუფების მოსპობასა და უკან დახევას. როგორც ირკვევა, თბილისის მიდამოები მუხის უპირატესი გავრცელების არეალი ყოფილა[46]. მაგრამ არა მარტო თბილისის ახლომდებარე ადგილები, არამედ განსაკუთრებით მტკვრის ბარჯვენა მხარე, თრიალეთის ქედის კალთები ზემო და ქვემო ქართლში მუხნარებით უნდა ყოფილიყო დაფარული. ეს კარგად ჩანს საქართველოს სსრ აღდგენილი მცენარეული საფარის რუკაზე, რომელიც აკად. ნ. კეცხოველის მიერ არის შედგენილი[47]. რუკაზე ასახულია საქართველოს მცენარეულის ძირითადი ტიპების გავრცელება მთავარი არეების ჩვენებით. აქ აღმოსავლეთ საქართველოს მუხნარების და რცხილნარების გავრცელების მთავარ არედ ნაჩვენებია მტკვრის სამხრეთით მდინარეების ძამას, ტანას, თეძმის, ვერეს, ალგეთის, ხრამის, მაშაველის ხეობათაშორისი ტერიტორია ქარელის, ატენის, დიღმის, თეთრწყაროს, ბოლნისის, დმანისის, წალკისა და მანგლისის ზოლზე. ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით მდინარის ხეობათა გადამკვეთი ზოლი ბორჯომის, ხაშურის, ზნაურის, ცხინვალის, ლენინგორის. დუშეთის, სიონის, საგარეჯოს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის ხაზზე. შიგნით კახეთში — მატანის, ფშაველის, ყვარლის, ლაგოდეხის ხაზზე. რუკაზე ცალკე გამოყოფილია აგრეთვე კოლხეთის წინამთების მუხნარების არე, როელიც ვიწრო ზოლად დაადაჰკვეთს მდინარეთა ხეობებს ღალიძგადან—ძირულამდე ტყვარჩელის, ჯვარის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ტყიბულის, ჭიათურის ხაზზე. საქართველოს მაღალმთის მუხნარები რუკაზე ნაჩვენებია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სუბალპური ტყეების შემადგენლობაში.

მუხნარების უპირატესი გავრცელების ისტორიულ ტერიტორიაზე მოსაღნელი იქნებოდა მუხის სათანადო მონაწილეობა (ასახვა) გეოგრაფიულ ნომენკლატურაში და ეს ასეც არის. იმასთან ერთად, რომ მუხა პრაქტიკულად გვხვდება აღგილმდებარეობის მნიშვნელობის ტოპონიმებში — მთების, ქედების, ტყეების, საძოვრების ნაკვეთების სახელწოდებებში[48], იგი ძალზე ხშირად არის წარმოდგენილი დასახლებული პუნქტების სახელწოდებებშიც. მაგალითად, ქვემო ქართლში ისტორიული წყაროებით ბევრი ასეთი პუნქტია დამოწმებული. 1558 წ. დოკუმენტში მოხსენიებულია მუხათი ალგეთში მარაბდასა და ტაგნაგეთს შორის, ასურეთის ხევის მარცხენა მხარეზე. ივ. ჯავახიშვილის რუკაზე ეს პუნქტი

---

45 ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი. საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., 1960, გვ. 38—40.

46 ი ქ ვ ე, გვ. 344.

47 ი ქ ვ ე, დანართი — რუკა.

48 გ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართლის სამეურნეო ტოპონიმია (არაგვისა და ქსნის ხეობათა მასალების მიხედვით), თბილისის უნივერსიტეტის შრომები, XXXVII.

მუხათგვერდის სახელწოდებით არის შეტანილი[49]. ყარაბულაღში მოხსენიებულია მუხათი შამბიანისა, XVII საუკ. საყაფლანიშვილოს დავთარში დმანისის ხეობაში, მაშავერის მარჯვენა მხარეზე იხსენიება მუხრანა-მუხნარი, იგივე სახელწოდება (მუხრანა-მუხნარი) გვხვდება ყარაბულაღში. ზურტაკეტის მარჯვენა მხარეზე[50].

ისტორიული წყაროების ამ მონაცემებს თანამედროვე ტოპონიმიკური მასალაც უნდა შევუერთოთ: მტკვრის სამხრეთით მუხათგვერდი მცხეთის რაიონისა, მუხათი თეთრიწყაროს რაიონისა (ცოდას სს), მუხილეთი ქარელის რაიონისა, მუხრან-თელეთი თბილისის მახლობლად, ცხრა მუხა ხაშურის რაიონისა, ჯვართ-მუხა (ხაშურის რაიონისა ღუდის სს), მტკვრის ჩრდილოეთით მუხაური ხნაურის რაიონისა (თერეგვანის სს), მუხრანი მცხეთის რაიონისა. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით დასავლეთ საქართველოს ანალოგიურ მონაცემებზე, სადაც, როგორც ცნობილია, საკმაო სიმრავლე გვაქვს მუხიანი, მუხურისა და მათი მსგავსი სხვა გეოგრაფიული სახელების. შინაარსობლივად ამავე რიგს განეკუთვნება კრკონი დბანისის ხეობისა, ბალიჭის მარჯვენა მხარეზე. ეს პუნქტი 1699 წ. საბუთში იხსენიება[51]. ამავე შინაარსისაა სოფლის სახელწოდება რკონი თეძამზე, კასპის რაიონში; როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლიტერატურაში ყურადღება აქვს მიქცეული რკონის იგივეობას მუხნართან.

ამავე საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მოგვეპოვება მეტად საინტერესო დაკვირვება საგეოგრაფიო სახელზე—წყნეთი; ეს დაკვირვება აკად. არნ. ჩიქობავას ეკუთვნის: მკვლევარი გვთავაზობს ამ ტოპონიმის სავარაუდო ეტიმოლოგიას, რაც განხილული მასალების შუქზეც სავსებით რეალური ჩანს. ჭანურ-მეგრულ-ქართული მასალების შედარებისას, არნ. ჩიქობავა განიხილავს რა სიტყვის—ჭკონ-ი აგებულებას, დაასკვნის, რომ ჭკონი ესაა ჭანურის ნორმებით გადმოცემული ჭყონი, მეგრულში რომ გვაქვს. ათინურში საერთო წესების თანახმად ჭკ იძლევა ჭ-ს: ჭკონი—ჭონი. აქ -ონ სუფიქსი ჩანსო, და აი, აქ მკვლევარი შემდეგ საინტერესო გარემოებაზე მიუთითებს: „არც ქართულში, არც სვანურში ეს ძირი არ ჩანს. ქართულში წყან—უნდა გექონოდა: შეიძლება აქედან იყოს წყნეთი—სოფელი აგარაკი ტფილისის მახლობლად: წყანეთ-ი—წყნეთი—ე. ი. „მუხნარი". მუხრანი—მუხნარი, იმერეთში მუხიანიო[52]. როგორც ვთქვით, განხილული მასალების შუქზე ეს დაკვირვება და ვარაუდი ჯამართლებული ჩანს. წყნეთის მუხნარად გაგების სავსებით უპასუხებს კონკრეტული ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოც. სადაც ისტორიულად მცენარეულ საფარში მუხა დომინანტობდა. მაგრამ აქ თავს იჩენს სხვა საინტერესო ვითარებაც. ირკვევა. რომ ქვემო ქართლის ისტორიულ ტერიტორიაზე. რომელსაც ბოტანიკოსები მუხნარების ფართო გავრცელების არეალად მიიჩნევენ, ჩვენი დღევანდელი წყნეთის გარდა ამავე სახელწოდების სხვა დასახლებული პუნქტებიც ყოფილა. ასე, მაგალითად, XVII საუკუნეში ტაშირში. ტაშირის წყლის მარცხენა

---

49 ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე. ქვემო ქართლი, I—II, ტფ., 1935, გვ. 332. მითითებულია: სიძე., II, 361.

50 ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 332.

51 ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 21. მითით. ხახ. გეკრ. 24.

52 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 128.

მხარეზე, ჩარდახლის დასავლეთით იხსენიება მწყნეთი—წყნეთა[53]. 1701/11 წლ. აღწერილობით დბანისის ხეობაში. მაშავერის მარცხენა მხარეზე, სამტრედოს აღმოსავლეთით დასახელებულია მწყნეთი-წყნეთი. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ პუნქტის მახლობლადვე მის აღმოსავლეთით მდებარეობდა ზემოთ უკვე მოხსენიებული მუხრანა[54]. მაშასადამე, ასევე საყურადღებოა ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმის კოჯრის მახლობლად წყნეთის არსებობაც. უეჭველია, რომ განხილული ტოპონიმები დამოუკიდებელი წარმოშობისანი არიან და თითოეულ მათგანს აგდგილობრივი შინაარსობლივი გამართლება აქვს. ისევე როგორც შეიძლება თითქმის ზოგად კანონად გამოვაცხადოთ საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი მუხნარ-მუხიანის ადგილობრივი წარმოშობა, რაც კონკრეტული ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ეუჭმოუტანელი ხდება. ასევე კონკრეტული გარემო პირობების თავისებურებით შეიძლება ავხსნათ შესაფერ გარემოში წესაფერი ხის ჯვარ-ხატის გაჩენა, როგორც ამ შემთხვევაში ჩვენ კოჯორი წარმოგვიდგება. ისტორიულად გამართლებული ჩანს ამავე მიკრორაიონში მსგავსი აგებულების ტოპონიმის ვაშლაჯვარის არსებობაც. ყურადღებას იქცევს ტოპონიმი ძ ლ ე თ ი წმ. გიორგის სახელობის ხატის ნიში, რომელიც მდებარეობს ამაღლებულ ბორცვზე დღევანდელი წყნეთის ჩრდილოეთით და გადაჰყურებს ვერის ხეობასა და დელისის მინდორს. აქ სალოცავად თბილისიდანაც ადიოდნენ. საჭიროა შემდგომი დაკვირვება. შეიძლება ძლეთი უდრიდეს ძელეთს (აქაც მუხნარ-რცხილნარი ყოფილა). მაშინ ეს ფაქტი გასათვალისწინებელი იქნებოდა ისტორიული ძალისას (-ძელისის?) ლოკალიზაციის საკამათო საკითხში[55].

მუხისა და წმინდა გიორგის კაეშირის შესახებ განხილული მასალები გვაფიქრებინებს, რომ კოჯრის, როგორც სალოცავი ადგილის სახელწოდების ლოკალიზაცია შეიძლება მოვახდინოთ დღევანდელი უძოს ფარგლებში. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე, რომ თავდაპირველად სალოცავი ადგილის სახელწოდება კოჯორი შემდეგ გადასული უნდა იყოს დასახლებულ პუნქტზე, ხოლო უფრო გვიან კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ. კოჯრის, როგორც საგეოგრაფიო ცნების, ფარგლების კიდევ უფრო გაფართოება უნდა მომხდარიყო.

ყოფის მონაცემებით აშკარა ხდება უძოს, როგორც სალოცავი ადგილის, წინაქრისტიანული საწყისი. ამავე მონაცემებით ირკვევა, რომ უძოს ეკლესია წმინდა გიორგის სახელობის იყო, რაც წერილობითი ცნობებითაც დასტურდება. ასე აქვს ეს ნათქვამი ვახუშტისაც („ამას ქვეით არს ახალდაბა და მის დასავლით უძო, ეკლესია წმინდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა. მშვერეტი კოჯრისა და ტფილისისა", აღწ., გვ. 49).

როდის არის აშენებული ქვის ეკლესია უძოზე, ჩვენ არ დაგვიდგენია. მაგრამ ზოგიერთი ხელთარსებული მონაცემით გვგონია, რომ აქ ეკლესია გვიან არის აშენებული და რომ ეს იყო ხატობის ადგილი[56], სადაც უძველესი

---

[53] იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 332.

[54] ი ქ ვ ე, გვ. 333.

[55] იხ. ნ. ლომოური, შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თსუ შრომები, ტ. 107, 1964. აქ განხილულია საკითხის ისტორიაც.

[56] „დროება", № 219. 1882, გვ. 2, № 232, 1882, გვ. 2. ი. ლორთქიფანიძეს მოტანილი აქვს ქართი ცნობა (1687 წლის სიგელი, ისტ. სიბ., IV), რომლის მიხედვით ნიკოლოზ კათალიკოსს ამილახორს კოჯორში ერთი კარის საყდარი და ერთი სასახლე აუშენებია (ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 21). აქ ლაპარაკი უნდა იყოს ეკლესიაზე შიგ დაბა კოჯორში.

დროიდან თაყვანს სცემდნენ მუხას და წმ. გიორგის. ჩვენ ამ ვარაუდს მხარს უჭერს ეთნოგრაფიული ცნობა, რომლის მიხედვით „აქ ძველთაგანვე სალოცავი ჯვარი ყოფილა“ და რომ „აქ იყო წმ. გიორგის ადგილი“. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ერთი პატარა ცნობა უძოს შესახებ, რომელიც ამ ერთი საუკუნის წინათ არის გაზ. „Кавказ“-ში გამოქვეყნებული და რომლიდანაც ჩანს, რომ ადრე უძოზე ხის ეკლესია მდგარა[67]. ეს მოვლენაც დამახასიათებელია[68].

უძოს მთა კოჯორის სამხრეთ-დასავლეთით და წყნეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. კოჯრიდან იგი დაშორებულია 500 მეტრით. გზა კოჯრიდან უძომდე (ასევე წყნეთიდანაც) გადის ტყეზე. საკუთრივ უძოს მთა დაფარულია მუხნარით. წვეროზე, რომელზედაც ეკლესია დგას, ჩრდილოეთის მხრიდან ჩამწკრივებულია მუხის ხეები, ერთ მწკრივად, ათიოდე ხე იქნება. შორიდან (კოჯრიდან, წავკისიდან და სხვ.), ეს ხეები ეკლესიის შენობასთან ერთად, თავისებურ იერს აძლევენ უძოს წვერს. უძოსთან ამჟამად რამდენიმე მისასვლელია. წყნეთიდან განიერი საცალფეხო ბილიკი ადის. კოჯრიდან, ტყეზე გავლით, საავტომობილო გზაა გაყვანილი, ადრე ეს საურმე გზა ყოფილა. ეს მოკლე გზად ითვლებოდა. კოჯრიდან დაშორებით, კოჯორ-სამადლოს გზის შუა, უძოსკენ ცალკე გზა გადაუხვევს, ეს გზაც ადრე საურმე ყოფილა, ამჟამად მანქანები დადიან. ცალკე გზა, ფართო ბილიკი (ადრე საურმე), მოდის წავკისიდან. ყველა ეს გზა (წყნეთის გზის გარდა) თავს იყრის უძოს ძირზე. აქედან კი ერთი გზა (საგრძნობლად აღმართი) ადის უძოზე. წინათ ამ გზაზე ჩარდახიანი ურმებითაც ადიოდნენ თურმე. კოჯრიდან უძოზე მოკლე გზა, რომელიც ტყეზე გაივლის, მეტად ლამაზია. ამ გზაზე, უძოს ძირის მახლობლად, ცივი წყაროს წყალი გამოდის. წყარო ქვითკირით არის ნაგები (დაბალზე). უძოს ძირზე. სადაც წვერზე ავიდა ლი გზა იწყება, გზის ნაპირად, გამოცალკევებით. ხე დგას, რომელზედაც ბლოცველები ქსოვილის ნაჭრებს ჰკიდებდნენ. ამ ხეს „მისალოცი ხე“ ეწოდება. ქინათ მის ძირში ნიჩი ყოფილა მოწყობილი. დღეობა უძოს მთაზე „უძოობის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. უძოობა ტარდებოდა ყოველწლიურად, აღდგომის მეორე დღეს, ე. ი. ორშაბათს ღამის თევა იწყებოდა და დღეობა გრძელდებოდა სამშაბათ დღეს. სადღეობოდ ზოგი კვირის თავზე მოდიოდა, ე. ი. შემდეგ ორშაბათს, ამას „უძოს სწორს“ ან პირდაპირ „სწორს“ უწოდებდნენ. ამას გარდა, სურვილისამებრ, აქ სხვა დროსაც მოდიოდნენ, კვირაობით, სალოცავად.

უძოობაზე თავს იყრიდნენ კოჯრის, ასევე წყნეთის, წავკისის, ტაბახმელას ცხოვრებლები. მოდიოდნენ აგრეთვე თბილისიდან (საკმაოდ მრავლად), აგრეთვე კუმისიდან, ფელეთიდან, მანგლისიდან, წალკიდან. საყურადღებოა, რომ წალკიდან აქ ბერძნები მოდიოდნენ, როგორც უძოობაზე, ისე თავიანთ „საკუთარ“ დღეობაზე, რომელიც მარიამობის დღეს უწევეს.

---

[67] Т. Ходжимина сов. Местечко Коджори (фельетон), „Кавказ“. № 79, 1862., გვ. 450—451.

[68] ვ. ბარდაველიძეს განხილული აქვს ქართული გადმოცემა, რომლის მიხედვით მცხეთის სვეტიცხოველის ეკლესიის ადგილზე ძველად მდგარა უზარმაზარი წმინდა მუხა, რომელსაც ხალხი თაყვანს სცემდა. მირიან მეფის გაქრისტიანების შემდეგ წმინდა მუხა მოუჭრიათ და მის ადგილზე ჯერ ხის ეკლესია გაუშენებიათ და შემდეგ კი ქვის ეკლესიით შეუცვლიათ. ვ. ბარდაველიძე-ლომია, ხის კულტისათვის საქართველოში, გვ. 171. მითით. „Грузинские народные праздники. „Кавказ“, 1878. № 229.

ღამის თევა იწყებოდა ორშაბათ საღამოდან. ღამის მთეველებზე იტყოდნენ „ღამის დარაჯები" არიანო „ხატს ღამე უდარაჯებენო". ცეცხლის ასანთებად იყენებდნენ უძოს ტყეში შეგროვილ გამხმარ ტოტებს, უძოს ტყეში ხის ძოკრა ან ტოტების ჩამომტვრევა აკრძალული იყო. ბევრს თან მოჰქონდა საწვავი ფიჩხი და შეშა.

უძოზე მოსულები სამჯერ უვლიდნენ გარშემო ეკლესიას. შესაწირსაც (მამალი. ცხვარი, მამალი ქათამი, მოზვერი) სამჯერ შემოატარებდნენ ეკლესიის გარშემო. შემოვლის დროს ლოცულობდნენ. ლოცვას თან ახლდა ვედრება. სავედრებელი სხვადასხვა იყო, იმის მიხედვით თუ ვის რა სურდა ან რა აწუხებდა. მაგრამ ყოველთვის იწყებოდა ერთნაირად: „უძოს მადლო და ძალო..." და ამას მოსდევდა საკუთრივ სავედრებელი: „შენ მოგვეც" ან „შეგვისრულე" ესა და ეს. პარალელურად, ამავე შემოვლისა და ვედრების დროს წარმოითქმოდა, უკვე შედარებით ხმამაღლა, სიტყვები: „წმინდა გიორგი მაღალო,... („მაღალო წმინდა გიორგი) შენ შეიწირე ჩვენი საწირაეი და შენ გვიშველე" და ა. შ.[59].

უძოს, როგორც ტოპონიმის მეცნიერული ეტიმოლოგიის დადგენამდე ჩვენ უნდა დავემყაროთ ამ ტერმინის ხალხურ განმარტებას, რომლის მიხედვით სიტყვა უძო ნიშნავს უძეოს ანუ უშვილოს, ე. ი. უძეოთა სალოცავს. ასეთი განმარტება იმით არის გამართლებული, რომ უძოზე საგანგებოდ მომსვლელი ქალების მთავარი შესათხოვარი მათთვის შვილიერების მინიჭება იყო. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია ვ. კოტეტიშვილს, რომელიც ტერმინ უძოს ხალხურ ახსნას საგულისხმოდ მიიჩნევს და თვითონაც დასძენს, რომ აქ სალოცავად უშვილოები დადიოდნენ და ხატს სწირავდნენ პატარა აკვნებს, არტახებს და საერთოდ ბავშვთან დაკავშირებულ საგნებს თუ ნივთებსო[60]. მკვლევარი ცდილობს „უძოობის" შედარებას ბერძნულ არტემის-აპოლოს კულტთან. „უძოს" საკითხი მას განხილული აქვს წმ. გიორგის-თეთრი გიორგის თაყვანისცემის ასპექტში[61].

უძოსა და წმ. გიორგის კავშირი ჩვენ ერთხელ კიდევ შეგვახსენებს საქართველოს სინამდვილისათვის დადგენილ ფაქტს წმ. მუხისა და წმ. გიორგის კავშირის შესახებ. უძო ამ შემთხვევაში რიტუალური ეპითეტი ჩანს, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა წმ. გიორგის სახელობის სალოცავებისათვის.

დასკვნა: 1. საქართველოს ტერიტორიაზე, მის ყველა კუთხეში, ფართოდ არის გავრცელებული ტოპონიმების ის კატეგორია, რომლებიც შინაარსობლივად ჯვარ-ხატებს უკავშირდებიან და ასახავენ ან უშუალოდ ასეთი სარიტუალო ადგილების, ან შედარებით ფართო ადგილმდებარეობისა და სამეურნეო ნაკვეთების, ანდა სოფლის ცალკე უბნების თუ მთლიანად ამა თუ იმ სოფლის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდებებს. თავის მხრივ ამ რიგის ტოპონიმებში ფართო ადგილი უჭირავს მცენარეულის და პირველ რიგში მუხის თაყვანისცემასთან დაკავშირებულ სახელწოდებებს.

2. საქართველოში ჯვარ-ხატების ისტორიული განვითარებისა და მათი სოციალურ-ეკონომიური პუნქტების შესწავლის შედეგების საფუძველზე მეცნიერულად დადგენილია ამ მოვლენის ცალკე ეტაპები ჩანასახიდან რთულ ფორმე-

[59] წყნეთი-ახალდაბის გზაზე, „ზაქარიხევში", დგას ტანმსხვილი, ამჟამად გადაჭრილი მუხა. ეს ყოფილა უძოს ნიში, რომელთანაც გამველ-გამომველნი ლოცულობდნენ. უძოს ნიშად მიიჩნეოდა წყნეთის ეკლესია წმ. გიორგის სახელობისა.

[60] ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, ქუთაისი, 1934, გვ. 354—357 (შენიშვნა ლექსზე „ორშაბათობით აშენდა").

[61] იქვე.

ბაძდე, რაც საზოგადოების განვითარების ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და გარკვეულია, რომ საქართველოში ქრისტიანული ჯვარ-ხატები მოგვიანო და მეორადი სახის მოვლენაა.

3. კვლევის ამ მონაცემების შუქზე საიმედო ახსნას პოვებს ქართული ტოპონიმიკური მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის ზემოთ დასახელებული ტოპონიმიკური ერთეულები.

სახელწოდება კოჯორი: ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენ გვესახება ორფუძიან კომპოზიტად. პირველი ფუძეა სიტყვა—კო, მეორე ფუძეა სიტყვა ჯორი. კო სახელნაცვალი ფორმა უნდა იყოს სიტყვისა რკო—კრკო რაც, ძველ ქართულში მუხას აღნიშნავდა, ისე როგორც ეს ამ სახით. ანუ კო-ს სახით და მუხის მნიშვნელობით იმერხეულ კილოში და აჭარულ დიალექტშია შემორჩენილი. ჯორი სახელნაცვალი ფორმა უნდა იყოს სიტყვისა ჯვარი. ამ სახის ცვლილებაც ქართული ენის ნორმებით გამართლებულია. სიტყვა ჯორი ჯვარის მნიშვნელობით მთის დიალექტებში ფართოდ არის შემორჩენილი. იგივე მნიშვნელობას უნდა ატარებდეს ეს სიტყვა ბარის საქართველოს ტოპონიმებში: ჯორთისი, ჯორისუბანი, ჯორეშინეები, თევჯორის ჭედი და სხვ.

ამრიგად, სიტყვა კოჯორი, როგორც კომპოზიტი, მნიშვნელობით იგივეა რაც მუხაჯვარი. ამ სიტყვის შინაარსობლივ შესატყვისებად უნდა მივიჩნიოთ ტოპონიმები ჯვართმუხა (ხაშურის რაიონის ღუდის სს), ჯორმუხა (ს. ყვავილი, ლუშეთის რაიონი).

კოჯორი ანუ მუხაჯვარი თავდაპირველად სალოცავი ობიექტისა და ადგილის სახელი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ კი სახელწოდება კოჯორი უნდა შერჩმეოდა დასახლებულ პუნქტს, დაბას.

კოჯორის, როგორც სალოცავი ობიექტისა და ადგილის სახელწოდების, ლოკალიზაციას ჩვენ ვახდენთ დღევანდელი უძოს ფარგლებში. ყოფის მონაცემებით აშკარა ხდება უძოს, როგორც სალოცავი ადგილის, წინაქრისტიანული ხასიათი. უძოს მთაზე მუხხარი ყოფილა, რის ნაშთები დღესაც შემორჩენილია. უძოზე ბოლო დრომდე მოქმედებდა წმ. გიორგის სახელობის სალოცავი. წმ. გიორგის კავშირი მუხასთან საქართველოს სინამდვილეში დადგენილ ფაქტად ითვლება.

სიმონ უაუხჩიშვილი

„მეარისტოტელურა“

(იოანე პეტრიწის „განმარტების“ ერთი ადგილის გარკვევისათვის)*

როგორც ცნობილია, იოანე პეტრიწი, თანახმად მისივე სიტყვებისა, დევნას განიცდიდა როგორც ბერძნებისაგან, ისე ქართველებისაგან. თავისი „განმარტების“ ერთ ადგილას ის ამბობს: ქართველები იმის მაგივრად, რომ დამხმარებოდნენ, მდევნიდნენ; იმის მაგივრად, რომ ეთქვათ, ჩვენ შორის გამოჩნდა კაცი, რომელიც დახელოვნებულია თეორიულ მსჯელობაში, და ხელი შეეუწყოთო, ამის მაგივრად მომიწყვეს დევნა; რომ ეს ასე არ მომხდარიყო და რომ ჩე მათგან ხელისშეწყობა მქონოდა, „ვფუცავ სურვილს, რომელ ენამცა ენისადა გამეწყო და ხედვამცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მ ე ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ უ რ ა და ღმრთისმეტყველებაჲ ნივთისაგან ზიუხებელი წარმომეყენა“. (იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, გვ. 222, თბ., 1937).

დღევანდელ ქართულზე რომ გადმოვიტანოთ, პეტრიწის ეს ნათქვამი შემდეგ სახეს მიიღებს: ქართველთაგან რომ ხელის შეწყობა მქონოდა, მე არისტოტელეს მსგავსად გავაწყობდი ფილოსოფიურ მსჯელობასო.

აქ ჩვენ ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოება: იოანე პეტრიწი არისტოტელეს გარდა იცნობს ბევრ სხვა ბერძენ ფილოსოფოსს, მათ შორის პლატონსაც, რომლის თხზულებებიდან ხშირად მოყავს ციტატები. თვით ის თხზულება, რომლის შესახებაც მან დაწერა თავისი ორიგინალური ფილოსოფიური ტრაქტატი, იწოდება ასე: „განმარტებაჲ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“. მაშასადამე, მთელი ეს ტრაქტატი პლატონის ფილოსოფიასთან ახლოს მდგომი საკითხების გარშემო ტრიალებს. ამიტომ ისმის საკითხი, რატომ თქვა მან მ ე ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ უ რ ა და არ თქვა მ ე პ ლ ა ტ ო ნ უ რ ა. ქართული ენის მიხედვით „მეპლატონურა“ არ იქნებოდა გამოსათქმელად უფრო ძნელი, ვიდრე „მეარისტოტელურა“. ჩანს, იოანე პეტრიწი ამ სიტყვაში („მეარისტოტელურა“) სდებს გარკვეულ მნიშვნელობას.

ცნობილია, რომ პლატონი ამ ცხეყანაზე არსებულ მოვლენებსა და საგნებს არ თვლიდა ნამდვილად არსებულად. მისი აზრით, ეს საგნები და მოვლენები წარმოადგენენ მოჩვენებით ანარეკლს იმ საგნებისა და მოვლენებისა, რომლებიც მიღმა სამყაროში არსებობენ და რომელთაც პლატონი უწოდებს იდეებს. ასე რომ, მისი აზრით, ნამდვილად არსებობს იდეები, ხოლო მათი ანარეკლი საგნები და მოვლენები ჩვენ ამქვეყნიურ ცხოვრებაში გვეჩვენებიან.

პლატონის მოწაფე არისტოტელე კი ფიქრობდა პირიქით: მართალია, ისიც დუალისტი იყო, მაგრამ ნამდვილად არსებულად ის თვლიდა ამქვეყნიურ სამ-

---

* წაკითხულია მოხსენების სახით თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სამეცნიეროო კონფერენციაზე 1964 წლის 25 ივნისს.

ყაროში შეხვედრილ საგნებსა და მოვლენებს, ხოლო იდეები ნამდვილად არსებული საგნებისა და მოვლენების ზედაშენს წარმოადგენდნენ. ამიტომ იყო რომ ვ. ი. ლენინი ამბობდა: „არისტოტელე ზედ მიადგა მატერიალიზმსო („Аристотель вплотную подходит к материализму“)[1]. ამგვარად ცხადია, რომ არისტოტელე პირველადად თვლიდა მატერიას, ხოლო იდეები მიაჩნდა მეორად კატეგორიად.

ის გარემოება, რომ იოანე პეტრიწი ამბობს, „მეარისტოტელურაო“, ე. ი. ჩემთვის რომ ხელი შეეწყოთ, არისტოტელეს მსგავსად გავმართავდი ფილოსოფიურ მსჯელობასო, იმას ნიშნავს, რომ იოანე პეტრიწი პლატონის მსგავსი იდეალისტი კი არ იყო, არამედ არისტოტელეს მსგავსად ის მატერიალიზმს უახლოვდებოდა. რომ ეს ასე არ ყოფილიყო, მაშინ მას შეეძლო ეთქვა, მე პლატონურაო. ასეთ დასკვნას გვიკარნახებს ჩვენ ამ წინადადების სტილისტიკური გაგება.

მაგრამ ასეთ სტილისტიკურ გაგებას შეესაბამება თუ არა იოანე პეტრიწის ფილოსოფიური აზრები?

ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ გარემოებას: იოანე პეტრიწი განიცდიდა დევნას XI ს-ში საბერძნეთში გავრცელებული და გაბატონებული იდეოლოგიის წარმომადგენელთაგან. როგორც ცნობილია, იოანე პეტრიწი იყო მოწაფე და მიმდევარი ბიზანტიური ფილოსოფიური რენესანსის გამოჩენილი წარმომადგენლების მიქელ პსელოსის და იოანე იტალოსისა. ამათი ფილოსოფიური მსჯელობა მიმართული იყო ამქვეყნიური მოვლენების რეალურად გაგებისაკენ. მათი აზრით, უმთავრესი დებულება ფილოსოფიური მსჯელობისა უნდა იყოს შემდეგი: კი არ არის საკმარისი ადამიანმა ირწმუნოს რამე დებულება, არამედ საჭიროა ამ დებულების ჭეშმარიტობის დამტკიცება ლოგიკური მსჯელობის მეშვეობით. ასეთ მიმართულებას ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიაში გაბატონებული კლერიკალური წრეების მიერ წამოყენებული დებულება, რომ საჭიროა ადამიანმა ირწმუნოს და სრულიად არ არის საჭირო ძიება ამ სარწმუნებელი დებულების ჭეშმარიტობისა. ამიტომაც იყო, რომ ამ კლერიკალურმა წრეებმა დევნა მოუწყვეს ჯერ მიქელ პსელოსს და შემდეგ იოანე იტალოსს. იმდენად ძლიერი იყო დევნა იოანე იტალოსისა მის მიერ ქადაგებული მოწინავე იდეებისათვის, რომ 1082—1084 წლებში მოაწყეს კიდეც მისი გასამართლება, რის შედეგადაც იოანე იტალოსი შეჩვენებულ იქნა და მისი მიმდევრებიც დევნას განიცდიდნენ.

სწორედ ამას უკავშირდება ის დევნა, რომლის შესახებაც იოანე პეტრიწი ლაპარაკობს თავის „განმარტებაში“: ცხადია, ის განიცდიდა დევნას თავისი პროგრესული იდეებისათვის, რომელთაც საფუძვლად ედოთ ისეთი შეხედულება, რომელიც აღიარებდა მატერიის პრიმატობას. ეს არის სწორედ ის, რასაც არისტოტელეს ფილოსოფია უკუფენდა. ამიტომაც არის, რომ იოანე პეტრიწი ამბობს, მეარისტოტელურაო, ე. ი. ის ხაზს უსვამს, ჩვენი გაგებით, იმას, რომ ისიც არისტოტელეს მსგავსად აღიარებდა მატერიის პრიმატობას.

რომ ასეთი გაგება გამოთქმისა „მეარისტოტელურა“ სწორი უნდა იყოს, ამას ამტკიცებს იოანე პეტრიწის იმავე წინადადებაში მოთავსებული ბოლო

[1] В. И. Ленин. Философские тетради, Огиз, 1947, გვ. 267.

გამოთქმა: „და ღმრთისმეტყველება ნივთისაგან მიუხებელი წარმომეყენა“, ე. ი. ღვთისმეტყველება გამეთიშა მატერიისაგანო.

ამ უკანასკნელი გამოთქმით იოახე პეტრიწი, ჩვენი აზრით, მოითხოვს ღვთისმეტყველებისა და მატერიის გათიშვას, ე. ი. რელიგიისა და მეცნიერების სფეროების გამიჯვნას.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ იოანე პეტრიწი თავის ფილოსოფიურ ტრაქტატში („განმარტებაჲ“) არისტოტელეს გვერდით რამდენჯერმე იხსენიებს ალექსანდრე აფროდისიელს.

ალექსანდრე აფროდისიელი (II—III სს.) არისტოტელეს მიმდევარი იყო. მან წინ წამოსწია არისტოტელეს ფილოსოფიის მატერიალისტური ელემენტები[2]: ნივთის პირველადობა ზოგადი ცნებების მიმართ, აღქმის პირველადობა აზროვნების მიმართ. უფრო გვიან, რენესანსის ეპოქის იტალიელი ფილოსოფოსი პიეტრო პომპონატი (1462—1525), ალექსანდრე აფროდისიელზე დაყრდნობით, მოითხოვდა მეცნიერებისა და რელიგიის სფეროების გამიჯვნას[3].

რომ ალექსანდრე აფროდისიელი აინტერესებს იოანე პეტრიწს სწორედ მისი შეხედულების გამო მატერიაზე, ეს ჩანს „განმარტების“ იმ ადგილებიდან, სადაც იოანე პეტრიწი არისტოტელეს ფილოსოფიაზე მსჯელობის დროს იხსენიებს ალექსანდრე აფროდისიელს:

„ნუ ჰრქჳ ამას აფროდისიელისა აღმოჩენასა... — ამბობს იოანე პეტრიწი ერთ ადგილას,—რამეთუ შარავანდთან მისთა მზეთამან ვიდრე და ნივთისადმოცა იწარმოა, ხოლო მისგან წარმონი, დაღათუ ნივთსა და ქუემდებარესა ეზრახნეს, ანუ მოქენე იქმნნეს, არამედ გუარ და არსებაარიან...“[4].

---

[2] იხ. W. Windelband, Geschichte der antiken Philosophie. München 1912, S. 258: „In seinen eigenen Schriften... verteidigt er seine etwas naturalistisch umgebildete Auffassung der Aristotelischen Lehre, insbesondere auch gegen die Stoiker“. ვ. ვინდელბანდის წიგნის რუსულ თარგმანში ოდნავ განსხვავებულად არის გადმოცემული ეს ადგილი: „В своих собственных сочинениях... он защищает, преимущественно против стоиков, свое натуралистическое понимание аристотелевского учения“. (В. Виндельбанд, История древней философии, СПб., 1902, стр. 263).

[3] იხ. БСЭ, т. 2 (1956), გვ. 74.

[4] იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, გვ. 98, 18—25. ალექსანდრე აფროდისიელის მოძღვრებას არისტოტელური სილოგისტური მსჯელობის შესახებ უნდა ჰგულისხმობდეს თამარ მეფის ისტორიკოსი („ისტორიანი და ახმანი“), როდესაც ის ამბობს: „ესრეთ სასოებით ნოჭადულმან განვლნა რახნი და სუმპერაზმანი (ლოგიკური ტერმინი *συμπέρασμα* — ს. ყ.), განაწოხნა კინენი მსგავსად აფროდისია მჴონესა წყობისა მამტკიცებელისასა“ (ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 9, 5—6).

ალექსანდრე ბარამიძე

„ვისრამიანის“ ჟანრობრივი რაობის საკითხისათვის

„ვისრამიანი“ შუასაუკუნეობრივი მშვენიერი რომანია, სადაც მოთხრობილია ვისისა და რამინის მგზნებარე, დაუცხრომელი სიყვარულის მიმზიდველი ამბავი. ეს ამბავი ლიტერატურულად პირველად უნდა დამუშავებულიყო შუასპარსულ ანუ ფალაურ ენაზე, არა უგვიანეს VII საუკუნისა. XI ს-ის შუა წლებში ფალაური წყაროს მიხედვით იგი ლექსად გააწყო ფახრ-უდ-დინ-გორგანელმა. ასე წარმოიშვა პოემა „ვის-ო-რამინ“. ქართული „ვისრამიანი“ გორგანელის პოემიდან მომდინარეობს, იგი უნდა ჩამოყალიბებულიყო არა უგვიანეს XII ს-ის მეორე ნახევრისა. ქართული „ვისრამიანი“ სპარსული „ვის-ო-რამინის“ საკმაოდ თავისუფალი მხატვრული დარგმანია.

„მოვა ესეთი ჟამი, რომელ ჩვენსა სახელსა ახსენებდენ და ყოველსა კაცსა უკვირდეს ჩვენი სიყვარული“, ეუბნება „ვისრამიანის“ ერთი მთავარი პერსონაჟი მეორე, აგრეთვე მთავარ, პერსონაჟს. წარმტაცი მხატვრული ენით მოგვითხრობს „ვისრამიანი“ ვისისა და რამინის ძველთა-ძველი, მაგრამ მარად ახალი და უბერებელი სიყვარულის, ცოტა არ იყოს, უცნაურ ისტორიას.

დავას იწვევდა და იწვევს „ვისრამიანის“ დედააზრის, გორგანელი პოეტის იდეური მიზანდასახულობის, საკითხი.

„ვისრამიანში“ ნაკლები ყურადღება ეთმობა სამხედრო-საყოფაცხოვრებო ჭოტიევებს, ომებსა და ბრძოლებს, მით უფრო სათავგადასავლო ამბებს. ერთი ძველი რუსი მკვლევრის თქმისა არ იყოს, გორგანელის პოემაში „преобладает идиллический элемент и лиризм“[1]. ფახრ-უდინ-გორგანელი ერთი პირველთაგანია აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაში, რომელმაც ძლიერად გამოხატა ფსიქოლოგიზმი, გმირთა სულიერი ცხოვრების რთული სამყარო, პერსონაჟთა შინაგანი, ინტიმური განცდები. გორგანელი პოეტი უბრალოდ კი არ აღწერს თავისი გმირების სატრფიალო ურთიერთობის ამბებს, იგი დიდი სიღრმითა და სიფაქიზით აანალიზებს სიყვარულის გრძნობის სიმწვავეს. ამ მხრივ „ვის-ო-რამინს“ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მეჩინოს შუა საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

„ვის-ო-რამინის“ (და შესაფერისად „ვისრამიანის“) სიუჟეტის, იდეურ-შინაარსობლივი და ჟანრობრივი მხარეების დახასიათებისათვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს იმის გამოძიებას, პართეველთა თუ აქემენიანთა დროინდელი ამბავი (გადმოცემა, ლეგენდა) დაედვა საფუძვლად მის ფაბულურ (სიუჟეტურ) ჩარჩოს ან ზნეობრივ-ყოფაცხოვრებითს სინამდვილეს. ერთი კი უდავოდ გვე-

---

1 Р. Штакельберг, Несколько слов о персидском эпосе, «Виса и Рамин» (ДВ, т. II, вып.I, 1896, 83-16).

ჩვენება, „ვის-ო-რამინის" ამბავი მთლიანად გამონაგონი უნდა იყოს და იქ საკუთრივ ისტორიული (როგორც მაგალითად შაჰნამეში) არა არის რა. აღნიშნული თვალსაზრისით სინამდვილესთან უფრო ახლოსაა დანიელი ირანისტი ა. კრისტენსენი, ვიდრე ვ. მინორსკი[2]. ცხადზე უცხადესი ისაა, რომ ვის-ო-რამინს მკაფიოდ აქვს აღბეჭდილი მაზდეანური აღმსარებლობისა და სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ყოფიერების ნაკვალევი.

თითქმის ერთსულოვნება სუფევს „ვისრამიანით" ასახული ზნეობრივი კრედოს შეფასების საკითხში. მკვლევართა დიდი ნაწილი საყოველთაოდ თვლის „ვისრამიანის" პერსონაჟთა საზოგადოებრივ-მორალურ სახეებს. ვისისა და რამინის ზნეობრივ-მორალური ფიზიონომია, მათი საქციელი იმთავითვე მკითხველი საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა და საკიცხავად იყო გამხდარი. XIV ს-ის სპარსელი მწერლის ზაქანის სიტყვით, „ნუ მოელი უბიწოებას იმ მანდილოსნისგან, ვინც წაიკითხა ვისრამიანი"[3]. ამიტომაც მოულოდნელად და უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს ქართული „ვისრამიანის" საგმობარი შაირის წარმოშობა გვიანფეოდალურ ეპოქაში:

> სიტყვას ვიტყვი მეტად მხრიანს, თუ შეესმის კაცსა მღეთიანს,
> მოვახსენებ ბრძენსა-ჭკვიანს, არ გამხილებ გიჟს-ბნედიანს,
> ვის ღმერთი სწყრს ადამიანს, ნუ ჩახედავს ვისრამიანს,
> დაუბნელებს დღესა მზიანს, ჯოჯოხეთში ნახავს ზიანს.

მკვლევარნი ზოგჯერ ზომაზე მკაცრნი არიან „ვისრამიანის" ზნეობრივი მხარის შეფასებაში, რამაც ჩვენი ახალგაზრდა ირანისტების ა. გვახარიას და მ. თოდუას სამართლიანი საყვედური გამოიწვია[4].

პროფ. ე. ბერთელსი აღნიშნავს: „Высказывалось мнение, будто великий грузинский поэт Шота Руставели написал свою знаменитую поэму „Витязь в тигровой шкуре" именно потому, что хотел помешать распространению среди грузинской феодальной знати поэмы Вис и Рамин"[5]. მართალია, იუსტინე აბულაძე ადრე ამბობდა: „რუსთველი თითქო სცდილობსო დახატოს ვისრამიანში გამოყვანილის სიყვარულისაგან განსხვავებული სიყვარული... რუსთველი თითქო გასჯიბრებოდეს სპარსელ მწერალს სიყვარულის დახატვაში"[6].

რუსთველის პოემით გამოხატული მორალურ-ზნეობრივი პრინციპები დიამეტრალურად განსხვავდება „ვისრამიანისაგან". რუსთველი ასახავს ამაღლებულს, ადამიანის ზნეობრივი ცხოვრების დამამშვენებელსა და განმასპეტაკებელ მიჯნურობას, რომელიც შორსაა „ვისრამიანის" სატრფიალო ვნებათაღელვისა და ხორციელი წადილისაგან. ამისდა მიუხედავად რუსთველი მოწიწებით ახსენებს „ვისრამიანს", ავთანდილის მოგზაურობის გამო შენიშნავს (183,3): „იგი

---

[2] შდრ. Е. Э. Бертельс, История персидско-таджикской литературы, გვ. 269.

[3] იქვე, გვ. 285.

[4] А. А. Гвахария, М. А. Тодуа — Значение древнегрузинского перевода «Висрамиани» для установления критического текста его персидского оригинала «Вис-у-Рамин» (Иранская филология. Труды научной конференции по иранской филологии. Л., 1964, გვ. 104).

[5] Е. Э. Бертельс, დასახ. ნაშრომი, გვ. 285.

[6] მე-12 საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1923, გვ. 44—45.

ჰირი არ უნახავს არ რამინს და არა ვისსა“. თინათინსა და ავთანდილს რუსთველი ვისსა და რამინს უდარებს (1543, 4):

ნუ ეჰვ მიჯნურად მაღებრსა, ნუცა თუ რამინს და ვისსა.

რასაკვირველია, უფრო ბუნებრივად მოგვეჩვენება ფატმანისა და ვისის შეპირისპირება (1080,4):

ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა.

„ვისრამიანის“ შინაარსიდან ჩანს, რომ სიყვარულმა რამინი ვერ აამაღლა, ვერ შემატა მას ვაჟკაცობის ძალა და უნარი, საზოგადოებრივი შეგნებისა და მოვალეობის გრძნობები ვერ გაუმახვილა, ვერც ვისს შეასხა ფრთები სიყვარულმა. სიყვარულის სნებით შეპყრობილი, გმირები საკუთარი გრძნობების ნაპუპში ჩაიკეტნენ და თავიანთ დაუცხრომელ გულისწადილს მიყვნენ, მათ თვალში ფასი დაჰკარგა ყოველივე საზოგადოებრივმა, სახელმწიფოებრივმა, საქვეყნომ. ერთი სიტყვით, სიყვარულმა ვისსა და რამინს თითქო ფრთები შეაკვეცა, საზოგადოებისათვის ისინი თითქო ურგებნი გახადა.

ეს ყველაფერი ასეა, თუ საქმეს შორიდან, განყენებულად და გარეგნულად შევხედავთ. უთუოდ ყურადსაღებია, რომ მკითხველი მაინც თანაუგრძნობს ვისსა და რამინს. „ვისრამიანის“ შეგნებული მკითხველი ვისისა და რამინის მხარეზე დგება, მკითხველს ებრალება „ვისრამიანის“ გმირები, მკითხველი ივიწყებს ძათს აუგს, მათ საძრახის საქციელს. მკითხველი ამართლებს ვისისა და რამინის ძოქმედებას, კერძოდ მათს პირფერობასა და მოაბადის მიმართ აშკარა ღალატს. გორგანელი პოეტი ისე წარმართავს თხრობას, რომ მკითხველს აყვარებს თავის გმირებს, ავტორი იცავს და ქომაგობს ვისსა და რამინს. ვისსა და რამინს „ყუედრება არ უნდაო“, საჯაროდ აცხადებს. პოეტი იმიზეზებს ფატალიზმის იდეას იმისათვის, რომ გაამართლოს ვისისა და რამინის აუგიანი სიყვარული. ავტორი ყოველ მხრივ ცდილობს, რომ ზნეობრივი სიდუხჭირის ტკივრი შეუმსუბუქოს გმირებს. გორგანელი წერს: „ყოველი კაცი ეტლისაგან იქმნების ბედნიერი და უბედური, ღმრთისა განგებისაგან მოვა კაცისა თავსა ზედა, რაცა მოვა, მით რომელ კაცთა სახელად მ ო ნ ა ჰქვიან... ღმრთისაგან ყუელა ჩუენსა თავსა ზედა განგებაა დაწერილი და სიცოცხლესა შიგა ვერ ავჰხდებით ღმრთისა განგებასა და ჩუენგან არ იქცევის წერილი“. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ვისი და რამინი არ არიან დამნაშავენი, ისინი პასუხს ვერ აგებენ საზოგადოებრივად საჩოთირო თავიანთ საქციელზე, ისინი ღვთის განჩინებით არიან შეკრული, ბრმა, ბედისწერის მონანი უნებლიედ ემორჩილებიან ამ ბედისწერის მკაცრ განაჩენს, უძლური არიან გადალახონ და გაარღვიონ განჩინების რკალი.

გასარკვევია, რამ განსაზღვრა გორგანელი პოეტის იდეური პოზიცია, რით იწვევს მკითხველის თანაგრძნობას ვისისა და რამინის საერთოდ უთუოდ საჩოთირო და მდაბიო სიყვარული.

ხანდაზმულმა, ბებერმა მოაბადმა ნოისურვა სრულიად ახალგაზრდა, ნორჩი ვისის დასაკუთრება და მისი ძალით ცოლად შერთვა. ეს იყო დიდი უსამართლობა, დიდი უკანონობა, დიდი უზნეობა, თუ ზნეობრივი მკრეხელობა. ეს იყო ჯანყი ბუნების კანონების წინააღმდეგ, ამ კანონების უხეში დათრგუნვა. ბებერმა მოაბადმა ყმაწვილკაცობა დაიჩემა, ყმაწვილკაცური როლის შესრულება მოიწადინა, ანგარიში არ გაუწია ვისის გულისთქმას, ვისის ბუნებრივ ლტოლვასა და მიდ-

რეკილებებს. ძალმომრეობით სცადა ქალის დამორჩილება, მისი სულიერად და ხორციელად დამონება. გორგანელი პოეტის სიტყვით კი „ყმაწვილკაცობის მოჩემე ყოველ ბერიკაცს წუთისოფელი შერცხვენასა და თავის მოჭრას არგუნებს წილად". რამინი ეუბნება მოაბადს: „უარესი საქმე შენი და ვისისი ესე არის, რომელ შენ ბერი ხარ და იგი ყრმა. თუ ცოლსა შეირთავ, სხვა ვინმე შეირთე. ყრმისათვის ყრმა თქმულა და ბერისათვის ბერი"[7]. რამინი ამ შემთხვევაში ავტორის თვალსაზრისს გამოხატავს. გორგანელის შთანაფიქრით, ბებრუცუნა მოაბადის შეუფერებელმა საქციელმა შეაპირობა ვისისა და რამინის სიყვარულის შთასახვა, მოაბადისადმი დიდმა სიძულვილმა ბუნებრივი გამოსავალი იპოვა ახალგაზრდა რამინის თავდავიწყებული სიყვარულით. „ვისრამიანის" კონცეფციით, ბუნება სასტიკად სჯის ყოველგვარ უსამართლობას, მათ შორის„ ზნეობრივ უსამართლობას. ბუნებამ წესაფერისადვე დასჯა მოაბადის მკრეხელობა, უგნური და უზნეო საქციელისათვის შეარცხვინა იგი, თავი მოსჭრა, რქები დაადგა თავზე გვირგვინის ნაცვლად. ბუნებამ სამაგიერო მიუზღო „დამპალ ბებრუცუნას". ასე ეხატება საქმის ვითარება გორგანელ პოეტს, ამ თვალსაზრისს უდებს იგი საფუძვლად ვისისა და რამინის ამბავს. ამიტომაც უყვარს პოეტს თავისი გმირები. ამიტომ ქომაგობს მათ, თავს დასტრიალებს, მფარველობს, იცავს, ამართლებს, აყვარებს მკითხველთ. გორგანელი პოეტი იბრძვის ბუნებრივი, კანონიერი, სამართლიანი სიყვარულისათვის. იგი გმობს და კიცხავს ასაკობრივად შეუფერებელს, უწესოს, ანტიბუნებრივ ჟინიანობას, ზნეობრივ ძალადობას, რომელსაც მეუღლეობის საბაბით ზოგჯერ იყენებს რომელიმე გარეწარი თავისი სულწასულობის დასაფარავად. რამდენადაც უწესო იყო და უზნეო მოაბადის საქციელი, იმდენად წესიერია და სამართლიანი (მაშასადამე, უაუგო) ვისისა და რამინის მოქმედებანი. ზნეწამხდარი მოაბადის მხატვრული პორტრეტის ფონზე ნათელ შუქად ჩანს ვისისა და რამინის სახეები. ასე უნდა იქნას გაგებული „ვისრამიანის" იდეურ-შინაარსობლივი კონცეფცია. თუ საქმეს ასე შევხედავთ, მაშინ საჩოთიროდ და საძრახისად აღარ მოგვეჩვენება ვისისა და რამინის თითქო ძართლაც მანკიერი სიყვარული.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ვისრამიანის" სიყვარულის აღნიშნული მიდგომით გაგებას სერიოზული ყურადღება მიაქცია და მისი დასაბუთება საინტერესოდ სცადა თავის სადისერტაციო ნაშრომში გაიოზ იმედაშვილმა[8]. სპეციალისტი მკვლევარებიც კი საქმის ამ მნიშვნელოვან მხარეს ჩვეულებრივ არ აქცევენ ყურადღებას. იმათ საკითხი გადააქვთ სოციალურ სფეროში და ფიქრობენ, ვითომც გორგანელი პოეტი ვაჟკა-ხელოსანთა პოზიციებიდან უპვრეტს მოვლენებს და მკაცრად აკრიტიკებს ფეოდალურ საზოგადოებას, ფეოდალურ სამეფო კარს.. „ვისრამიანის" რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში აკად. იოსებ ორბელი წერდა (1938): „Гургани смотрел на жизнь и на возвышающиеся над городом башни замка с городской площади, люди которой,

---

[7] საგულისხმოა, რომ თავის დროზე ასე სვამდა კითხვას ნიკოლოზ ბარათაშვილიც. მოვიგონოთ მისი ცნობილი აფორიზმი: „სასაცილოა ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს და საბრალოა, რომ კაბეკი ბერიკაცობდეს". იქნებ შემთხვევითი არ იყოს, რომ ყრმა ბარათაშვილს უცდია ვისრამიანის რუსულად თარგმნა (აღ. ბარამიძე, ნ. ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, „ლიტერატურული ძიებანი", III, 1947, გვ. 55—57).

[8] შდრ. ვისრამიანისა და ტრისტან და იზოლდას ურთიერთობისათვის („მნათობი", 1942, № 1, თბ., გვ. 132—149).

приветствуя проезжающих на парадных конях витязей, не имели оснований идеализовать их в своем представлении и не имели оснований рассчитывать на возможность устранения их недостатков и пороков путем создания идеализованных образов, способных жить лишь в мечтах одного из лучших и светлых мыслителей феодальной эпохи“[9]. ე. ბერთელსი დათანხმა ი. ორბელს „ვის-ო-რამინის“ სოციალური შინაარსის გაგებაში, იგი იმოწმებს ი. ორბელს და თავის მხრითაც ურთავს: „Совершенно очевидно, что поэма (Вис-о-Рамин) написана с позиции человека, настроенного враждебно к феодальному замку“[10]. უფრო შორს წავიდა ი. ბრაგინსკი. მისი მოსაზრებით, „вис-о-рамини“ „рисует положительный идеал городских элементов — ремесленников и торговцев Средней Азии XI века“[11]. ამდენადვე ი. ბრაგინსკის სიტყვით „вис-о-рамининის“ ძირითადი იდეური შინაარსი „განსაზღვრავს მის ხალხურობას“. ეს „ხალხურობა“ უწინარეს ყოვლისა ისაა, რომ გორგანელი პოეტი დასცინისო ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენების მანკიერებას[12]. უფრო მკაფიოდ „ხალხური ელემენტები“ გამოიხატაო „в сатирических приемах, порою фривольных, но всегда острых и бьющих в цель“[13]. „ვის-ო-რამინის“ რუსული თარგმანის შესავალ წერილში[14] ი. ბრაგინსკი ამბობს, რომ გურგანის პოემა არისო „არა რაინდული მოთხრობა“, არამედ „фрнаде თავისებური სოციალური სატირა“ (გვ. 12), „острая сатира на царей и власть имущих восточного феодального общества“ (იქვე). აქ სატირა ზოგჯერ გროტესკამდე აღწევსო (გვ. 6). მკვლევრის დაკვირვებით, „ვის-ო-რამინის“ სოციალური შინაარსის სიმკვეთრე, პოემის სატირულობა და ხალხურობა მას ერთგვარად იშვიათი ზნეობრივი პოემის ხასიათს აძლევს. ი. ბრაგინსკი ასკვნის: „Фахриддин Гургани... в свой жестокий век в яркой сатирической форме создал, может быть, одну из самых нравственных поэм средневекового Востока с ее гуманистической идеей превосходства народа над его владыками“ (გვ. 20).

მ. ზანდის სიტყვითაც „нельзя не согласиться с замечанием покойного академика И. А. Орбели, что Гургани выступает с позиций горожанина, резко враждебного феодалам“[15]. მ. ზანდიც თვლის, რომ „вис-о-рамини“ მკაცრად სატირული ნაწარმოებია[16].

ჩვენ გვგონია, რომ მკვლევარნი ძალზე აჭარბებენ. მართალია. „ვისრამიანში“ იგრძნობა ფეოდალური საზოგადოებისა და ფეოდალური სამეფო კარის ზოგიერთი მანკიერი მხარის მხილება, მაგრამ უსაფუძვლო იქნებოდა იმის ვა-

---

9 Висрамиани — грузинский роман XII века и персидская поэма XI века Вис и Рамин, в изложении и переводах Б. Т. Руденко и М. М. Дьяконова, М.-Л., 1938, გვ. VI; И. А. Орбели, Избранные труды Ереван, 1963, გვ. 558.

10 История персидско-таджикской литературы, გვ 295.

11 И. С. Брагинский, Из истории таджикской народной поэзии, М., 1956, გვ. 312.

12 იქვე, გვ. 312—313.

13 იქვე, გვ. 315.

14 Фахриддин Гургани, Вис и Рамин, Поэма. Перевод с персидского Семена Липкина, М., 1963.

15 М. И. Занд, Шесть веков славы (Очерки персидско-таджикской литературы), М., 1964, გვ. 109 (დაყოფა ჩემია. ე. ბ.).

16 იქვე.

რაუდი. თითქო აქ დაგმობილია ფეოდალური საზოგადოებრივი სისტემა, თითქო გორგანელი პოეტი საერთოდ დასცინის მეფეებსა და ფეოდალური საზოგადოების საქეთმპყრობელთ. მით უფრო მიუღებელია დებულება, თითქო „ვისრამიანი“ ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ სოციალურ სატირას წარმოადგენს. სატირული „ვისრამიანში“ თითქმის არა არის რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ცალკეულ მომენტს (მოაბადის, ძიძისა და ნაწილობრივ შაჰროს აქა-იქ სატირული დახასიათება). გაზვიადებულად გვეჩვენება მოსაზრება „ვისრამიანის“ ხალხურობაზე და ვითომც ფეოდალური სასახლის (თუ ციხე-ქალაქის, ციხე-კოშკის) ბაზრის, ვაჭარ-ხელოსანთა პოზიციებიდან შეფასებაზე.

გორგანელი პოეტის იდეური მიზანდასახულობა რომ სწორად გავიაზროთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ თხზულების ფინალი. ტირანსა და ცინიკოს შაჰ მოაბადს ღირსეულად მიეზღო თავისი მოღვაწეობისათვის. ანაზღეულად ველური ტახი მიეჭრა მას ბანაკში, „მოჰკრა ეშვი მკერდსა“, და განგმირა. ღორს ღორული სიკვდილი ერგო წილად. სახელმწიფო ტახტზე ავიდა რამინი, დედოფლად ვისი დაისვა. რამინმა ენერგიულად და სამართლიანად წარმართა სახელმწიფო საქმეები. „მოაბადისაგან დია მისჭირვებოდა ქვეყანასა და მისითა სიკვდილითა ყველა დახსნილ იყო ჭირთაგან“. რამინმა „მოსამართლეობა დაიწყო“, ამის შემდეგ „ფათერაკმან დაიძინა ქვეყანასა შიგან“. გარეშე მტერი დაშინდა, რამინის ლაშქარნი „ყოველგნით გამარჯვებულნი შემოიქცნეს“. შიგნით ქვეყანა დაშოშმინდა, დაწყნარდა, მშვიდობიანობა და სამართლიანობა დამყარდა, „რაცა ქვეყანანი აოხრებულნი იყვნეს, რამინის ბრძანებითა აშენდეს... ავისა მოქმედნი ამოსწყვიდნა და დახოცნა... დასცალა ქვეყანა ავისა მოქმედთა და გზის მლეწელთაგან“. რამინმა ააგებინა გზებზე ფუნდუკები და ხანაგები, მან ხელი შეუწყო აღებ-მიცემობის განვითარებას, ქვეყანა გაამდიდრა და ააყვავა, „ყოველსა ქვეყანასა დაავიწყდა პირველი ჭირი“. აღიკვეთა ყოველგვარი ძალმომრეობა, ძლიერთაგან სუსტთა დაჩაგვრა, „ცხვარნი მგელთა თანა ძოვდეს“.

ამრიგად, ავტორმა დაგვიხატა სოციალური ცხოვრების საოცარი იდილია, რომლის დამყარება რამინის უნარიან და სამართლიან გამგებლობას მიაწერა[17]. რამინმა გაიმარჯვა როგორც მიჯნურმა, გაიმარჯვა ვისისა და რამინის სიყვარულმა. გამარჯვებული სიყვარულის ნიადაგზე სოციალური სამართლიანობა და საყოველთაო ბედნიერება დამყარდა მარავის ქვეყანაში. ასე ფიქრობს გორგანელი პოეტი. მაშასადამე, თუ გორგანელი ვისმე ამხილებს, იგი ამხილებს მოაბადის ტირანიასა და დესპოტიას (და არა საზოგადოდ ფეოდალურ სამეფო კარს). გორგანელის შთანაფიქრით, მოაბადი ისე შეუფერებელი იყო მეფობისათვის, როგორც შეუფერებელი იყო იგი მიჯნურობისთვის. სასაცილოდ გამოიყურებოდა რჭისანი ბებრუცუნა სამეფო ტახტზე. ეს იყო დიდი უსამართლობა. მოაბადი „ავცნობობამ“ შეიპყრო, ხოლო „ხელმწიფეთა შიგან ავცნობობისა უარესი ზნე არაა“. თვითონ მოაბადიც კარგად გრძნობდა, რომ მისი დრო წასული იყო. „ჩემნი ლაშქარნი მემტერებიან—ამბობდა მოაბადი—მეფედ ყველასა რამინ უნდა, ყმა კაცი არის და ბედიც მისი ყმაა“. ამის მიუხედავად, მოაბადი ვერ ელეოდა

---

[17] „ვის-ო-რამინის“ ფინალის შინაარსობლივ მხარეს სწორად გადმოსცემენ ი. ბრაგინსკი და მ. ზანდი, ოღონდ ორიევს ფიქრით, პოემის ფინალი, თითქო მხატვრულად სუსტია (ი. ბრაგინსკი, ვის-ო-რამინის რუსული თარგმანის წინასიტყვა, გვ. 13—14; მ. ზანდი, დას. შრომა, გვ. 110). იმასთან ვისისა და რამინის მოულოდნელი „საკვირველი ტრანსფორმაცია“ მკითხველს ნათლად აკრძნობინებსო ნაწარმოების ვითომც „ირონიულ აზრს“ (ი. ბრაგინსკი).

სამეფო ტახტს, ისე როგორც ვერ ელეოდა ვისს. სამაგიეროდ ერთხელ კიდევ და უკახასკნელად სასტიკად დასცინა მას ბედმა — „ესრე დიდი ხელმწიფე, ვითა შაჰი მოაბად იყო ,ისრე საბრალოითა საქმითა მოკუდა“. მისი ტახტიც და მეუღლეც ღირსეულს დარჩა.

აშკარაა, რომ გორგანელი პოეტი ამხილებს და დასცინის ისეთ შეუფერებელ მეფესა და მიჯნურს, როგორიც იყო შაჰი მოაბადი. სამაგიეროდ იგი მთელი პოეტური ძალღონით იცავს და ამართლებს რამინს, ამართლებს და იცავს რამინისა და ვისის სიყვარულს, ეს სიყვარული მას ზნეობრივად შესაწყნარებლად ეჩვენება, რამდენადაც იგი ბუნებრივ ნიადაგზე აღმოცენდა და მოაბადის მიერ ჩადენილი მკრეხელობიდან სამართლიან გამოსავალს წარმოადგენდა. გორგანელის პოზიციიდან თუ შევხედავთ, რამინი არ არის უარყოფითი პერსონაჟი. პოეტის გამოთქმით, ასე იტყოდა ყველა მისი მნახველი — „არა არს პირსა ქვეყანისასა რამინისებრიო“. გარეგნული მოხდენილობით,რაინდული შემართებით, გულღობითა და ვაჟკაცობით, გონიერებით, გამჭრიახობით, დარდიმანდობით — ყველაფრით უებრო იყო, სამაგალითო. სამაგალითო იყო იგი რაინდული ზნეობით, ხელმწიფური ჭკუით, ჰუმანიურობით. თუ რამინის რაინდულ ზნეობას შემდეგ ჩრდილი მიადგა, ეს გამოიწვია მისმა განსაკუთრებულმა შეგონმარეობამ; ძლიერმა, ბუნებრივმა, მაგრამ გარეგნულად მაინც საჩოთირომ და დიდად ხიფათიანმა სიყვარულმა რამინი დროებით ჩამოაშორა თავის წრეს. ერთგვარად დაავიწყებინა მას საზოგადოებრივი მოვალეობა, საზოგადოებისაგან გააკიდეგანა, საკუთარი განცდის ნაშუაში მოაქცია, თითქო ნირი და ხასიათი შეუცვალა კიდევაც. რამინი სხვა კაცად იქცა. ვიმეორებთ, ეს იყო მხოლოდ გარეგნულად, მოჩვენებითად. პოტენციურად რამინს არა დაჰკლებია რა. თუ ზოგჯერ ცბიერობდა და ტყუილსაც კადრულობდა, ეს გამოიწვია მისი დესპოტი ძმის ტირანიამ და გაწუსჯელობამ. საბედისწერო ტრაგიკულმა, ოღონდ სათავეშივე გულითადმა და მართალმა, დაუძლეველმა სიყვარულმა რამინის ცხოვრების გზები დახერგა, რამინს უხდებოდა ცხოვრებისეული დაბრკოლებების წინააღმდეგ მუდმივი ბრძოლა, იგი მუდმივი ხიფათისა და საშიშროების წინაშე იმყოფებოდა. რამინს უხდებოდა სიყვარულის მოგერიება, სიყვარულისათვის ზრუნვა, თავგამოდება. ამან შეაპირობა მისი მოქმედება, მისი საქციელი, მისი ხასიათი. საკმარისი იყო რამინს დაეღწია თავი ხიფათისაგან, მოაბადს განშორებოდა, თავისუფლად ამოესუნთქა და თავი დამოუკიდებლად ეგრძნო, რომ კვლავ ფრთები შესხმოდა მის რაინდულ კაცურ-კაცობას, მის სახელმწიფოებრივ ნიჭსა და უნარს, მის საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. რამინი რომ მარავს გაშორდა, მისთვის მინდობილი სამფლობელოს გამგებლობას შეუდგა, ცოტა დროის განმავლობაში „მისითა სიკეთითა და მოსამართლობითა გამოუსენა ყოველსა სულიერსა, აშენდეს ქვეყანანი, და გამოიღეს ხეთა ნაყოფი და ყოველი კაცი მის ქვეყნისა ჰმადლობდა ღმერთსა“. რამინმა „ავის-მოქმედობა ამოაგდო... ცხვარნი და მგელნი ერთად იყვნიან და ცხვართა მგელნი უჩობნობდიან“.

უფლისწულმა რამინმა თავის საგანმგეო მხარეში ისეთივე იდილიური ცხოვრება შექმნა, როგორიც შემდეგ, მეფობის დროს, თავის დიდ სამფლობელოში დაამყარა. გორგანელი პოეტი მკითხველს უმტკიცებს, რომ რამინი იმის ღირსია, რომ ვისის მიჯნურიც იყოს და ტახტიც მას ეკუთვნოდეს. გორგანელი პოეტი ყოველმხრივ ამკობს ახალგაზრდა, უნარიან, გონიერ და კაცთმოყვარე უფლისწულ რამინს, იგი საიდეალოდ თვლის რამინისებრი კაცის მეფობას, ოჯახისა და

ქვეყნის უფროსობას. გორგანელი კიცხავს და გმობს, დასცინის და მიწასთან ასწორებს მოაბადის უსამართლობას, მაგრამ აღტაცებით აქებ-ადიდებს რამინის სულდიდობას და ხელმწიფურ სიბრძნეს. რამინის ხელმძღვანელობით თითქო ქვეყანაზე დამყარდა კიდეც საყოველთაო სოციალური სამართლიანობა, ბედნიერება და კეთილდღეობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განხორციელდა რაღაც სოციალური უტოპია, თხა და მგელიც რომ მშვიდობიანად, უდრტვინველად, ერთად, ძმურად ატარებენ დროს, ერთად ინაწილებენ საქვეყნო ღვლათს, ერთად ტკბებიან საამური ცხოვრების ყველა სიკეთით.

თუ საქმეს ასე წარმოვიდგენთ, მაშინ უნიადაგოდ მოგვეჩვენება „ვისრამიანის“ გამოცხადება ფეოდალური საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგ მიმართულ სოციალურ სატირად. არა! „ვისრამიანი“ ამხილებს ფეოდალური საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ფეოდალური კარის მახინჯ მხარეებს, მაგრამ იგი არ არის ანტიფეოდალური ხასიათის ნაწარმოები, „ვისრამიანი“ სახავს ფეოდალური ყოფისა და ფეოდალური სამეფო კარის საოცნებო იდეალს. იგი ამ იდეალს უგალობს. გორგანელი პოეტის სოციალურსა და ზნეობრივ იდეალს ღირსეულად გამოხატავენ ვისი და რამინი. ამიტომაც უკვდავყო პოეტმა მათი სიყვარული, ამიტომაც უმღერა მან ამ სიყვარულს წარმტაცი საგალობელი.

გვეტყვიან, რამინმა ხომ ზოგიერთი შეუფერებელი ნაბიჯი გადადგაო (ვისის ღალატი, გამწირაობის წერილი, გულის ცოლად შერთვა). სწორია. ოღონდ ამით ავტორი ამტკიცებს, რომ რამინსაც ადამიანური სისუსტე ახასიათებდა. ავტორმა დაგვიხატა თავისი იდეალური პერსონაჟის არა განყენებული სქემა, არამედ ცოცხალი, მგრძნობიარე, „ცოდვილიანი“, ადამიანური, შეუნიღბავი სახე. მეორე მხრივ ავტორი იმასაც უსვამს ხაზს, რომ რამინი დროებითმა ცთუნებამ აიყოლია. ნამდვილად კი და საბოლოოდ რამინს არ უღალატნია ვისისათვის, ვისის სახე არ ამოუხოცია ხსოვნიდან, ვისისადმი სიყვარული არ ჩამქრალა რამინის გულში. საგულისხმოა ერთი შინაარსობლივი დეტალი. რამინს ახალი შერთული ჰყავდა გორაბელი მზეთუნახავი. ტკბებოდა, იხარებდა. „დღესა ერთსა საწოლსა ხალვათად სხდეს“, რამინი აღტაცებით „უკურტდა“ თავის მშვენიერ თანამეცხედრეს, რომელიც გინდა-არ-გინდა მაინც ვისს აგონებდა, ვერც მოითშინა, გულს (მეუღლეს) გაუტყდა: „თუცა შენ მთვარე გაგიბედითებია და შენ ხარ გულისა ჩემისა წამალი, მას ჩემსა გულისა წამღებსა ჰგავ, რაზომცა მე შენთანა აღარა მახსოვსო“. ცოლი კარგად მიუხვდა რამინის გულისთქმას, რამინი გასცა თავისმა გულმა, გულის (ცოლის) სახით მას ვისი წარმოედგინა. რამინს ვერ დაევიწყებინა, ახსოვდა და დიაღაც კარგად ახსოვდა მისი „გულისა წამღები“ ვისი. ვისი კვლავ რჩებოდა იმის ოცნებად, იმისი დაუცხრომელი სიყვარულის საგნად. ამან გული მოუკლა რამინის სატრფოს („გულსა დაუმძიმდა ესე სიტყვა“), იგი გაწყრა, გაგულისდა, რამინს უპირობა და ღალატი დასწამა. რამინმა სცადა თავის მართლება, ავტომატურად კალამი აიღო და ვისს „გამწირაობის“ წიგნი“ დაუწერა. რამდენად შემზარავი არ უნდა იყოს ამ წიგნის შინაარსი, იგი შეაპირობა ვისის გამქღავნებულმა სიყვარულმა, უნებლიედ გამქღავნებული ცოდოს ვითომც მონანიების სურვილმა. გვიანღა იყო. გორგანელი პოეტი აგრძნობინებს მკითხველს, რომ გული რამინის მხოლოდ დროებითი, თუ გნებავთ წუთიერი, გატაცება თუ საცთური იყო. რამინს არ შეეძლო ვისის შემდეგ სხვა ჰყვარებოდა. ადრე თუ გვიან რამინი თავს დააღწევდა თავის ცთუნებას და კვლავ დაუბრუნდებოდა თავის ნამდვილ სიყვარულს, თავის დაუვიწყარ, სათაყვანებელ ვისს. ასეც მოხდა.

გულის ეპიზოდი გორგანელმა პოეტმა მოიგონა რამინის გრძნობის გამოსაცდელად. ამ ეპიზოდით პოეტმა ის დაამტკიცა, რომ რამინს ჭეშმარიტად, ღრმად, მთელი არსებით, უკუნითი უკუნისამდე მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი ვისი უყვარდა[18]. კიდევაც საბოლოოდ ცოცხლად ჩაემარხა ვისის სამარხში. სიცოცხლითაც და სიკვდილითაც უკვდავჰყო თავისი სიყვარული.

ასე გვესახება ჩვენ „ვისრამიანის“ სიყვარულის კონცეფცია.

კითხვა ჩნდება, რა ჟანრის ნაწარმოებად უნდა იქნას მიჩნეული ჩვენი თხზულება?

ე. ბერთელსი ამბობს: „Следя за поведением Рамина, читатель невольно начинает сомневаться в искренности его чувств. „Рыцарской любви“, „верности до гроба“ у него нет и в помине. В лучшем случае им руководит грубая похоть, никак не оправдывающая совершаемые во имя ее проступки“[19]. უმართებულო მოსაზრებაა. ნამდვილად რამინს სწორედ „ქუბოს ფიცრამდე“ უყვარდა ვისი. უყვარდა ტინით, გატაცებით, თავდავიწყებით. ეს იყო თავისებური რაინდული სიყვარული, ოღონდ არა იმ ტიპისა, რომელიც ჩვეულებრივ დასავლეთევროპული რაინდული რომანებით არის ცნობილი. ჩვენ უფრო მეორე გვაკვირვებს. ე. ბერთელსის სიტყვით: „Изучение „Вис и Рамин“ дает возможность проследить какими путями пошло дальнейшее развитие героической поэмы“[20]. საგულისხმო ისიცაა, რომ „ვისრამიანი“ ბერთელსს განხილული აქვს თავისი ნაშრომის იმ კარში, რომელსაც სათაურად აქვს „Судьбы героического эпоса после Фирдоуси“. სავსებით სწორად შენიშნა დ. კობიძემ (ე. ბერთელსის შრომისადმი მიძღვნილ რეცენზიაში), რომ „Это вряд ли целесообразно, так как „Вис и Рамин“ нельзя считать героическим эпосом“[21]. რასაკვირველია, „ვისრამიანი“ არამცდაარამც არ არის ჰეროიკული პოემა არც თავისი შინაარსით, არც თავისი იდეით, არც თავისი ფორმით.

სწორ ჟანრობრივ დახასიათებას გვთავაზობს ი. ბრაგინსკი — „ვის-ო-რამინ“ არისო „любовно-романтическая поэма“[22]. ოღონდ მას უნდა ჩამოსცილდეს ეპითეტი „куртуазная“[23]. „ვის-ო-რამინი“ სატრფიალო (სამიჯნურო) რომანტიკული პოემაა, ან, უბრალოდ, სამიჯნურო რომანია, რომლის თავისებური (დასავლეთ-ევროპული რაინდული რომანებისაგან განსხვავებული) სახე აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა.

„ვის-ო რამინზე“ თქმული ქართულ „ვისრამიანზეც უნდა გავრცელდეს.

---

[18] შინაარსობლივად და იდეურად ანალოგიურად ვითარდება სიუჟეტი ტრისტან და იზოლდაშიც. ამაშიც მეღაღნდება ვის-ო-რამინისა და ტრისტან და იზოლდას დიდი, სრულიადაც არა შემთხვევითი, მსგავსება.

[19] История персидско-таджикской литературы, გვ. 284.

[20] იქვე, გვ. 267.

[21] «Народы Азии и Африки» № 5, 1961, გვ. 238.

[22] Из истории таджикской народной поэзии. გვ. 307.

[23] Фахриддин Гургани. Вис и Рамин. М., 1963, გვ. 12. ჩვენ აქ აღარას ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ „ვის-ო-რამინს“ ვერ მივიჩნევთ სოციალური სატირის რაინდულ მოთხრობად (ამ მხრივ მკვლევარი გურგანის პოემას უწოდებს „აღმოსავლურ დონ-კიხოტს“. იხ. იქვე).

ჯერ კიდევ ა. კრიმსკიმ უწოდა „ვისრამიანს“ „ქართული რომანი“ („Грузинский роман Висрамиани“[24]). ამავე გამოთქმას ხმარობს ი. ორბელი[25]. „ქართული რომანი“ აქვს შერქმეული „ვისრამიანის“ რუსულ თარგმანს, რომელიც ი. ორბელის რედაქციით გამოქვეყნდა. გამოთქმა — „ქართული რომანი“ „ვისრამიანის“ მისამართით სწორი შეიძლება იყოს, ოღონდ პირობითად და სპეციალური განმარტების შემდეგ. ზემოთ უკვე შევნიშნეთ, რომ ქართული „ვისრამიანი“ სპარსული „ვის-ო-რამინის“ საკმაოდ თავისუფალი მხატვრული თარგმანია, სპარსული დედნის გადმოქართულებული ნაწარმოებია. სწორია ბრაგინსკის განცხადება, რომ „ვისრამიანს“ საქართველოში უკეთესი ბედი ეწია, ვიდრე თავის სამშობლოში[26]. „ვისრამიანი“ გადმოქართულებულია ადგილობრივი ეროვნულ-კულტურული ტრადიციების კვალობაზე. საგულისხმოა, რომ მთარგმნელი, ანუ უკეთ, ქართული თარგმანის ავტორი (როგორც ამბობდა ნ. მარი), იმთავითვე ემიჯნება „ვისრამიანის“ სარწმუნოებრივ, ზნეობრივ-მორალურსა და ეთიკურ მხარეებს და საგანგებოდ შენიშნავს მოაბადის შესახებ: „ცეცხლისა მსახური იყო თვით მეფე და სახელმწიფო სრული. ეს ხელმწიფე ქრისტეს ძოსლვასა წინათ იყო“. ამ განცხადებით „ვისრამიანის“ ქართული რედაქციის ავტორი თავს იმართლებს მკითხველის წინაშე და თხზულებაში ასახული ზნეობისათვის პასუხისმგებლობას ქრისტიანობის წინარე ხანას აკისრებს (თითქო ქრისტიანობის დროს შეუძლებელი იქნებოდა „ვისრამიანში“ აწერილი ძმების გათამაშება). „ვისრამიანი“ უთუოდ ორგანულად ჩაერთო ქართული სულიერი კულტურის ისტორიას და ქართული ლიტერატურული პროცესის მონაწილე გახდა. „ვისრამიანის“ მშვენიერი ქართული ენა კლასიკური სრულყოფილობით ხასიათდება, იგი მისაბაძ ნიმუშს წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე. აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ „ვისრამიანი“ ლექსად გააწყო XVII ს-ის ცნობილმა პოეტმა არჩილმა. არჩილისეულ „ვისრამიანში“ საკმარისად აღიბეჭდა მისი დროის იდეოლოგიური ცხოვრების მოვლენები. აღნიშნულის შემდეგ მართლაც კანონზომიერად გვეჩვენება და აღარ გვეუცხოება გამოთქმა „ქართული რომანი ვისრამიანი“. თუმცა, ვიმეორებთ, ეს გამოთქმა მაინც პირობითი მნიშვნელობით უნდა ვიხმაროთ.

„ვის-ო-რამინი“ პოემაა, „ვისრამიანი“ პროზითაა დამუშავებული. ეს სრულიადაც არ ცვლის მის ჟანრობრივ ხასიათს. თუ „ვის-ო-რამინი“ სამიჯნურო-რომანტიული პოემაა, „ვისრამიანს“ შეიძლება ვუწოდოთ სამიჯნურო-რომანტიული ეპოსის ძეგლი, ან, მოკლედ, სამიჯნურო რომანი.

---

24 История Персии, ее литературы и дервишской теософии, 1, № 4, 1915, გვ. 430.

25 Избранные труды, Е., 1963, გვ. 559.

26 Фахриддин Гургани, Вис и Рамин, გვ. 17.

ილია აბულაძე

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი და მისი მოღვაწეობის ხანა

„ქართლის ცხოვრება“, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ქართულ საისტორიო ნაწარმოებთა კრებულს. მასში შესული ისტორიული თხზულებები არა მხოლოდ ქართლს, არამედ მთელ საქართველოს შეეხება. ამიტომ უთუოდ კარგადაა გაგებული ძველი სომეხი მთარგმნელის მიერ კრებულის ეს ხასიათი, როცა ის ამ ძეგლის მისგანვე შესრულებულ თარგმანს *Պատմութիւն Վրաց*-ს, ე. ი. „ქართველთა თუ საქართველოს ისტორიას“ უკეთებს წარწერად.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის თვისებისა და დედანთან მისი მიმართების საკითხი, სხვა ისტორიულ-ლიტერატურული რიგის საკითხებთან ერთად, დაკვირვების საგნად 1939 წლიდან ვიქციეთ. 1941 წ. შესწავლის შედეგების გამოქვეყნებაც მოხერხდა სომხურად სომხეთის სსრ შინისტრთა საბჭოსთან არსებული საბელმწიფო ხელნაწერთსაცავის, „მატენადარანის“ სამეცნიერო მასალების კრებულის პირველ წიგნში[1].

ხსენებულ ნაშრომში ჩვენი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არც ის კითხვები, რომლებზედაც ახლაც გვიხდება შეჩერება. „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურზე მთარგმნელი მის მიერ თარგმნილი ტექსტის სათანადო ჩვენებათა საფუძველზე სომხად მივიჩნიეთ. სომეხი მთარგმნელის მიერ თარგმანში შეტანილი ზოგიერთი ინტერპოლაცია იმასაც გვიკარნახებდა, რომ ეს მთარგმნელი სომეხ მონოფიზიტად გამოგვეცხადებინა. ერთი ადგილი „დავით აღმაშენებლის ისტორიისა“, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ შესული და აქედან სომხურადაც გადაღებული, ისეა მთარგმნელის მიერ დაკავშირებული მის მიერვე თარგმანში შეტანილ ერთ-ერთ ინტერპოლაციასთან, რომ მთარგმნელი დავით აღმაშენებელზე მოწევნული ზოგიერთი ფათერაკის მხილველი ჩანს და, მაშასადამე, მისი ასე თუ ისე თანამედროვე, რომელსაც „ქართლის ცხოვრება“ მაშინ უნდა ეთარგმნა სომხურად, როცა იქ მოხვდებოდა „დავით აღმაშენებლის ისტორია“, მკვლევართაგან დაწერილად აღიარებული 1123-25 წწ. შორის. ამ ჩვენების საფუძველზე „ქართლის ცხოვრების“ სომეხი მთარგმნელი XII ს-ის მოღვაწედ მივიჩნიეთ, ხოლო თარგმანის შესრულება XII ს-ის მეორე ნახევარში დავდეევით.

---

[1] Ի. Աբուլադե. Քարթլիս ցխովրեբայի կամ Վրաց Պատմության հին հայերեն բարգմանությունը. «Հայկական ՍՍՌ Ժողովրդամատենի կից պետական ձեռագրատան («Մատենադարան») գիտական հետազոտություններ ժողովածու», № 1, Երևան, 1941, გვ. 40. ეს ნაშრომი გაერცობილი სახით დართული აქვს აღნიშნული ძეგლის ჩვენს გამოცემას: „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, გვ. გვ. 01 — 030.

აღნიშნული ნაკლევი გამოუხმაურებელი აჩ: დარჩენილა სპეციალისტების მხრით. ცნობილმა სომეხმა ფილოლოგმა ერვანდ ტერ-მინასიანმა 1942 წ., ერევანს, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“ (*Տեղեկագիր*-ში №7/21 გვ. 103-109) ვრცელი რეცენზია მოათავსა იმ კრებულზე, რომელშიც ხსენებული ნაშრომი იყო გამოქვეყნებული. ის ამ ნაშრომის დებულებებს იზიარებდა და შესაწყნარებლად მიიჩნევდა ყველას.

ამავე ნაშრომს გასცნობია აგრეთვე დიდად ცნობილი სომეხი ფილოლოგი ნერსეს აკინიანიც[2], რომელმაც ვენაში გამოძავალ სომხურ ფილოლოგიურ ჟურნალ *Հանդէս Ամսօրեայ*-ში 1949 წ. (№ 1—3, გვ. 5—21) სპეციალური წერილი დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის შესახებ. ამ წერილში მას გამოყენებული და დამოწმებული აქვს ჩვენი ზემოხსენებული ნაშრომიც, რომლიდან შეუწყნარებლად მიიჩნევს ჩვენს მტკიცებას ძველი სომეხი მთარგმნელის მონოფიზიტობისა და ძეგლის XII ს-ის მეორე ნახევარში სომხურად თარგმნის შესახებ. ესენია ჩვენი ნაშრომის ის მომენტები, რომელთა შესახებ იგი წერს, რომ «*չեմ կրնար յամենայնի համաձայնիլ ըլալ Ի. Աբուլաձեի*» (ე. ი. „არ შემიძლია ყველაფერში თანამოაზრე ვიყო ი. აბულაძისაო“. — გვ. 11).

ნერსეს აკინიანის მტკიცებით „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი მონოფიზიტი კი არა, დიოფიზიტია, ხოლო თარგმანი შესრულებულია არა XII ს.-ის მეორე ნახევარში, არამედ XIII ს.-ის შუა წლებში. ამ ხანისათვის ქართულიდან სომხურად თარგმნას ეწეოდა სიმეონ პლინძაჰანქელი, — პროკლეს, იოანე პეტრიწისა და იოანე დამასკელის ფილოსოფიურ ნაწარმოებთა ქართულიდან სომხურად მთარგმნელი[3], — და ის ეგულება მას „ქართლის ცხოვრების“ მთარგმნელადაც.

საბუთი, რომელზე დაყრდნობით ის ამას ამტკიცებს, ჯერ ერთი, ისაა, რომ არსებულა სომხურად რაღაც უსახელო ნაწარმოები (*անանուն գրուածք*) სათაურით: *Պատմագիրք*, ე. ი. ისტორიკოსები, რომელშიც აღნუსხულ ძველ სომხურ თარგმნილსა და ორიგინალურ ნაწერებს შორის მოხსენიებული ყოფილა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიც ასეთი სახით: «*Վէրք* (იგულისხმება *Վրաց*) *Պատմութիւն ի Վրաց լեզուէ թարգմանեալ սկզ, որ է յԱդամայ մինչև* ՋD (სხვა ნუსხაში ՋD) *թուին Հայոց*» („საქართველოს თუ ქართველთა ისტორია ქართული ენიდან თარგმნილი იყო, რომელიცაა ადამიდან სომეხთა [წელთაღრიცხვის] 600 (სხვა ნუსხაში: 700 ას sic. ალბათ 700 წლამდისო“). ამ განსხვავებულ თარიღთაგან ნ. აკინიანი უპირატესობას მეორეს, ე. ი. სომეხთა წელთაღრიცხვის 700 წელს ანიჭებს (რაც 1251 წ. იძლევა) და ამტკიცებს, რომ სომხურად თარგმნილ „ქართლის ცხოვრებაში“ ისტორია მოტანილი უნდა ყოფილიყო 1251 წლამდის. XIII ს-ის და არა XII ს-ის 50-იან წლებს იმიტომ უფრო მიიჩნევს ის სარწმუნოდ, რომ ამ დროს მოღვაწეობდა ქართულიდან სომხურად მთარგმნელი სიმეონ პლინძაჰანქელი, რომელსაც 1248 წ. ნათარგმნი აქვს სომხურად პროკლეს „კავშირნი“ და იოანე პეტრიწის კომენტარები.

---

2 გასული წლის 23 ოქტომბერს გარდაცვლილი ქ. ვენაში.

3 ილია აბულაძე, რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ქველი სომხური მწერლობის ძეგლები, „ენიმკის მოამბე“, III, გვ. 123—134.

რა ხანამდის, ან და რა ადგილამდის არის თარგმნილი სომხურად „ქართლის ცხოვრება“ იმიტომ ხდება საძიებელი, რომ ამ თარგმანის შემცველ ხელნაწერ ნუსხებში და მათ შორის უძველესშიც, რომელიც XIII ს-ის უკანასკნელი ათეულისად ითვლება, ეს ძეგლი წყდება დაუმთავრებელ *ნათლე...* სიტყვაზე, რაც დავით აღმაშენებლის ისტორიის ბოლო ნაწილიდანაა, იმ ადგილიდან, სადაც საუბარია იმაზე, რომ დავით აღმაშენებელმა სამეფო ტახტზე თავისი შვილი დემეტრე დასვაო. აღნიშნულ უძველეს ნუსხაში ეს დაუმთავრებელი სიტყვა (*ნათლე... — დასუ[ა]*) ხელნაწერის ბოლო ფურცლის verso-ს უკანასკნელი გაწყვეტილი სიტყვაა; მისი გაგრძელება (*-ხალ* და სხვ.) ჩანს. გადადიოდა ახალი ფურცლის recto-ზე, რომელსაც დიდი გაგრძელება აღარ უნდა ჰქონოდა, — ორიოდე ფრაზით უნდა დაბოლოებულიყო, — როგორც ამას ჩამოჭრილ ფურცლებზე დარჩენილი ასოების ნაწილებიც მოწმობენ.

სხვა მკვლევრებთან ერთად ეს გარემოება იმის მაჩვენებლად მივითვალეთ, რომ „ქართლის ცხოვრება“, რომელისთვისაც ხელი მიუყვია გადასაღებად ძველ სომეხ მთარგმნელს, მისი დროისათვის დავით აღმაშენებლის ისტორიით მთავრდებოდა. ნ. აკინიანის აზრით კი, რაც მის მიერ მიკვლეული, ზემორე დასახელებული ახალი ხელნაწერი წყაროს ერთ-ერთ ჩვენებას ეყრდნობა, სომეხ მთარგმნელს ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ არა ამ ნაწარმოებით დამთავრებული ნუსხა, არამედ ამას კიდევ გაგრძელება ჰქონია და თხრობა მოყვანილი ყოფილა 1251 წლამდის. ყოველ შემთხვევაში, „რუსუდანის გამეფებამდის“ (გვ. 11). მისი ვარაუდით, თხრობა, რომელიც შეეხებოდა პერიოდს 1125—1223 წლამდის, ხელნაწერს დაჰკლებია მთარგმნელისა და გადამწერის ანდერძებთან ერთად, იმ დაშლა-დახსნილობის გამო, რომელზედაც 1664 წ. მიათითებს მისი განმაახლებელი იოანე კარჩავანელი: «*...ქართაჲ ყალი, ქრდაჩჩն ნიրიդჩგს և կազմել ևաոե...*» („დაშლილი თუ დახსნილი იყო, ახლად განვაახლე და დავაკაზმვინეო“).

თავისი მოსაზრების შესამტკიცებლად ნ. აკინიანი მიმართავს ძველ სომხურ საისტორიო ისეთ ნაწარმოებთ, რომლებსაც ამა თუ იმ შემთხვევისათვის „ქართლის ცხოვრება“ გამოუყენებიათ.

იმის დასამტკიცებლად, რომ ქართულიდან სომხურად თარგმნილი „ქართლის ცხოვრება“ სწორედ XIII ს-ის პირველი მეოთხედის ხანამდის მოყვანილი სცოდნიათ და გამოუყენებიათ კიდევაც ძველად სომხურ საისტორიო მწერლობაში, ნ. აკინიანს XIII ს-ის მიწურულის სომეხი ისტორიკოსის, სტეფანოს ორბელიანის „სიუნიეთის ისტორია“ მოჰყავს. სტეფანოს ორბელიანს, როგორც ცნობილია, თავისი თხზულების 66-ე თავში გადმოცემული აქვს ორბელთა ისტორია. ამ თავისათვის გამოყენებული წყაროების შესახებ დასაწყისშივე, იქ, სადაც ის ამთავრებს იმაზე თხრობას, თუ როგორ მოვიდა ჭენთა (ისტორიკოსის გაგებით ჩინელთა) სამეფო საგვარეულოს აშლილობის გამო ლტოლვილი მისი ერთი ნაწილი მცხეთის მამასახლისთან და ითხოვა დასამკვიდრებელი ადგილი, რადაც მათ ორბეთი მიუჩინეს, რის გამო შემდეგში ეწოდათ ორბელნი, რომელთაც ქართლის მამასახლისთაგან და მერმე მეფეთაგან სპასპეტობა და სხვა პატივი არ დაკლებიათო, ისტორიკოსი წერს:

15. საიუბილეო კრებული.

*ცხე ანა ღაკ ბანხად ღნე ატოთი ინჴ ი ქ.რად ფ ა ო ო ნ ა ნ ჴ ნ. ბაკე ქაან ნაიანბაიან ჩჴიიღ ჭბაჲიიჩ, ით ატჲაჲ ჯნჴაად ჭნიიად ი ქ.რად აქ.აიჩ, ჯნჴაგჩ ჭანაიან ნიიად ი ფ ა ო ო ნ ა ნ ჴ ნ ი ბ ა ხ ბ ა ნ ჯ ი ა ნ კამჩნაიჴ გჩ ი ა ნ ჯ ი ა ნ ა ი ა ნ ქ ა ა ნ

თამარის მამის, გიორგის, ამისი ძმის დავითისა და ამათი მამის დემეტრეს შესახებ, რომელიც მემკვიდრე იყო დავით აღმაშენებლისა. თამარის მეორე ისტორიკოსთან, ე. წ. ბასილი ეზოსმოძღვართან, რომლის ნაწარმოები აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ძველ ნუსხაშია წარმოდგენილი, ე. წ. ჭალაშვილისეულში, ხსენებაა მხოლოდ გიორგი III-ისა; მის საქმეებზე კი, გარდა ორიოდე ზოგადი წინადადებისა, არაფერია ნათქვამი. ასე რომ, თუ ნერსეს აკინიანის ვარაუდს შევიწყნარებდით, ძველად სომხურად ანასეულისა ან მარიამისეული ნუსხის მსგავსი შედგენილობის „ქართლის ცხოვრების“ თარგმანი უნდა ყოფილიყო, ან უკეთ, დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ იქ დამატებული უნდა ყოფილიყო ან ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე, რომლის ავტორად აკად. ივ. ჯავახიშვილი ამ დროისათვის დაწერილი „ქართლის ცხოვრების“ გადამწერს თვლის, ანდა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც, ამავე მკვლევრის აზრით, თამარის ზეობაშია დაწერილი.

ასეთი შედგენილობის „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური სრული თარგმანის არსებობას ვარაუდობს ნ. აკინიანი სტ. ორბელიანის დროისათვის, ე. ი. XIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედისათვის. ისტორიკოსის ზემორე მოყვანილ ზოგიერთ მწვავე გამოთქმას, კერძოდ კი იმას, რომ გიორგი მეფის შურისძიების გამო აღმოიფხვრნენ ორბელები საქართველოდან და მათი ჩინებული საქმენი და სახელი ქართული წიგნებიდან, კერძოდ კი „ქართლის ცხოვრებიდან“, რის გამო ამ ძეგლის სომხურ თარგმანში მათ შესახებ მხოლოდ მცირე რამ ხსენებაღაააო, თუ მართალია რომელიმე ქართული წყარო გაუჩნდებოდა საბაბად, „ისტორიანი და აზმანი“-ზე უწინარეს ეს ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე იქნებოდა, სადაც ორბელების შესახებ რამდენადმე მკვეთრად მხოლოდ შემდეგი სწერია:

> „ამის დავითის შვილი და გიორგის ძმისწული დემეტრე დარჩა, და ოდეს ორბელნი უკუადგეს გიორგი მეფესა, იგი თანა უკუიტანეს და ლორეს შედგეს, მუნით გამოასხნა ორბელნი მეფემან, და იპყრნა და დაჭოცნა, და დემეტრე კლდეკართა დასუეს. უკანის თუალნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“.

მაგრამ არც ამ სიტყვებისა და არც გიორგის საქმეთა მომთხრობი სხვა რაიმე ქართული მატიანის გამოძახილი „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში არ უნდა ყოფილიყო და ვერც იქნებოდა, თუ გულდასმით დავუკვირდებით სტეფანოს ორბელიანის განცხადების სიტყვებს.

ორბელთა ისტორიის მომთხრობ თავს სტ. ორბელიანი გარკვეული გეგმით აგებს. ამ თავის დასაწყისის გაცნობიდანვე აშკარა ხდება, რომ მის ავტორს პირველ რიგში აინტერესებს, მოსცეს თხრობა ორბელთა გვარის პირველ-მამათა ვინაობისა და საქართველოში მათი გამოჩენის შესახებ. ამ გვარეულობის წარმომავლობა მას უცხო მხრიდან მოაქვს, ხოლო საქართველოში დამკვიდრებას ქართლში მამასახლისობის ხანას უკავშირებს. განზრახვის განხორციელებას იწყებს ქართლისა და მის მკვიდრთა პირველ-მამათა და მამასახლისთა ხანის შესახებ თხრობით. რომელსაც ის სწორედ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანიდან თითქმის ძეგლისავე სიტყვებით გამოჰკრებს. თავიდანვე თანმიმდევრულად მიჰყვება ის ლეონტი მროველს იმ ადგილამდის, სადაც საუბარია ქართლის გარეშე შემოსწრაფებლებზე. განსაკუთრებით ხაზარებსა თუ სპარსელებზე, რომელთაგან ლტოლვილი ზოგიერ-

თი უცხო ტომის მოსახლეობა ქართლის მამასახლისის შეწუნარებით ქართლში პოულობს თავშესაფარს. ასეთნაირ შემოვრდომილად და შემდეგში, მეფეების ხანაში, ქართველთათვის გაწეული დახმარებისათვის აღზევებულად ჰყავს გამოყვანილი სტ. ორბელიანს ქართლის ორბელები. მსგავსი რამ თხრობა ორბელთა ქართლში გამოჩენის შესახებ არსად გეხვდება ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, ჰათ უმეტეს „ქართლის ცხოვრებაში". იგი ისტორიკოსს, ალბათ, განცხადებაში აღნიშნულ „წინაპართა გადმოცემებიდან" (*კაკანდ-ისწბჩის ნაჩისჩაგს*-იდან) მოაქვს.

პირველი რიგის საკითხისათვის თუ კიდევ ასეთად მოპოებული მასალა, რომელსაც ის მცირედ (*ადიო*) მიიჩნევს, ასე თუ ისე საკმარისი ჩანდა წამოწყებისათვის მაინც. შემდგომისათვის უკვე სხვა გზებიდან (მეცნიერ კაცთაგან გადარჩენილი ანდერძ-მოსახსენებელთაგან და წინაპართა გადმოცემათაგან) მოპოვებული მასალა მას უკმარისად მიაჩნია, რადგან უმთავრეს წყაროში, „ქართლის ცხოვრება-ში", ჯერ ერთი, ასეთი აღმოფხვრილა, და, მეორეც, ამ მიზეზის გამო მისგან გადმოღებული სომხური თარგმანით, გარდა მცირედისა, შეუძლებელი გამხდარა „ვითარებისა და სიტყვათა რიგის" გაგება (*ყიოიჭაჲნ և գկայրէգ յաղխյգն*), რომ წესისაებრ გაეწყო მატიანე.

ისტორიკოსისათვის ბოლო რიგის საკითხად ორბელების აღსასრულის თხრობის მოცემაც მდგარა, როგორც ის ამას აღნიშნავს. ეს კი მას განუხორციელებია, რასაც თვით აღიარებს, მხითარ ანელის მშვენიერი ისტორიის ხელის-აპყრობით ანუ დახმარებით.

ორბელთა საგვარეულოს ჩამომავლობა, მისი საქმენი სამოღვაწეო ასპარეზზე და მისი ბოლო, აი იმ ამოცანის ძირითადი საფეხურები, რომლის განხორციელებასაც ისტორიკოსი ისახავს მიზნად სხვადასხვა გზით მოპოვებული მასალით, რადგან ის ქართული წყარო, რომელშიც მას უმთავრესი მასალა ეგულებოდა, ისტორიკოსის მიერ მიზეზად დასახელებული გიორგი III-ის შურის გამო საკმარისი არ აღმოჩენილა.

რას ელოდა სომეხი ისტორიკოსი „ქართლის ცხოვრებიდან", და კერძოდ მისი სომხური თარგმანიდან, ეს მისი ზემორე მოყვანილი განცხადების ანალიზიდან ნათლად ჩანს. მას აქ ეგულებოდა დაწვრილებითი ცნობები ორბელთა წარმოშობისა და მათი მოღვაწეობის შესახებ ქვეყნის სამსახურის სარბიელზე. პირველის შესახებ თუ ის კიდევ მაინც რაღაცას პოულობს ლეონტი მროველთან, მის „პირველთაგანთა ჰამათა და ნათესავთას" შესახებ მონათხრობ ნაწილში, მეორისათვის, ე. ი. ორბელთა სამამაცოთა და საჩინო საქმეთა ანუ მოღვაწეობათა შესახებ ქართლში, ის, საჭირო ცნობების დაუცველობის გამო ამ ძეგლში, იძულებულია მიმართოს სხვა წყაროებს: მეცნიერ კაცებს, სხვადასხვა ანდერძ-მოსახსენებლებსა და ზეპირ თქმულებებს. რომლიდან რას იღებს ის. ეს ცალკე რიგის საკითხია, მაგრამ, რომ ანდერძ-მოსახსენებლებით ის გარკვეულად სარგებლობდა (თუმცაღა ტენდენციურად, როგორც ორბელების ჩამომავალი), ამას ძველი სომხური ხელნაწერების ზოგიერთი ახლად გამოვლინებული ანდერძები ამოწმებენ. ასეთია მაგ., 1952 წელს გამოქვეყნებული დავით ქობაირელის ანდერძი, დართული 1178 წ. გადაწერილ ხელნაწერზე (მატენადარანის ხელნაწერი № 5602), რომელშიც აღწერილია ორბელებისა და დემეტრე-დემნას განდგომა[4]. ორბელების სა-

[4] ი. ა ბ ა ე ვ ი ა ნ. Դաւիթ Քոբայեցւոյ հիշատակարանը. «Տեղեկագիր Հայկական ՍՍՌ Գիտությունների Ակադեմիայի», Երևան, 1952, № 8, էջ 113 — 120.

გვარეულოს დასასრულის გადმოსაცემად მას, როგორც ის აცხადებს, XII ს-ის მიწურულისა და XIII ს-ის პირველი მეოთხედის სომეხი ავტორის მხითარ ანელის „სარწმუნო მშვენიერი ისტორიის" აქვს ხელთ. აქ რომ საგანგებო საზრუნავი რამ ამ მომენტისათვის, რომელთანაც მხოლოდ დაკავშირებულია გიორგი III, მას არა აქვს რა. სტეფანოს ორბელიანის წუხილი უფრო იმას ეხება, რომ მას ვერ მოუპოვებია თავისი თემისათვის თანმიმდევრული, რიგზე გაწყობილი საჭირო ცნობები, რომელთაც ის დარწმუნებული იყო, უპირველესად ქართულიდან მოძიებინარე სომხურ წყაროში მიაგნებდა. და რომ ახსნას ეს მოულოდნელი შემთხვევა, მიზეზს ის სხვა წყაროებიდან მისთვის კარგად ცნობილი ამ საგვარეულოს აღმფხვრელის, გიორგი III-ის განზრახ ჩადენილ მოქმედებაში ეძიებს.

ამრიგად, გიორგი III-ის ხსენება სტეფანოს ორბელიანთან სრულიად არ ხრის იმის მაუწყებელი, რომ ამ ქართველ მეფეზედაც ყოფილიყო საუბარი „ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში, რომლითაც ისტორიკოსს უსარგებლნია მხოლოდ ორბელთა საგვარეულოს ჩამოყალიბებისა და მისი სამამაცო და საჩინო საქმეების ისტორიისათვის საქართველოში. ამდენად, მაშასადამე, ნ. აკინიანის ცდა შეამტკიცოს სტ. ორბელიანის ისტორიის ზემორე მოყვანილი ადგილით მის მიერ მოპოვებული „ძველი სომხური ისტორიო ნაწარმოებების ნუსხის" შემცველი ერთი ხელნაწერის ცნობა, რომლითაც „ქართლის ცხ-ბის" ძველი სომხური თარგმანი 1251 წლის ახლო ხანს იყოს შესრულებული, და უკუაგდოს ამავე შინაარსის სხვა ხელნაწერის ჩვენება, რომლის თანახმად ესევე ძეგლი უფრო მეტი გარკვეულობით 1151 წლისათვის არის ნათარგმნი, არაა დამაჯერებელი. სარწმუნო ისევ „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანის უძველესი ხელნაწერის ჩვენებაა, რომელიც კარგად ემხრობა ნ. აკინიანისგან მიკვლეულ ზემორე ხსენებულ იმ დოკუმენტს, რომელშიც უფრო მეტი გარკვეულობით ჩანდა „ქართლის ცხოვრების" დასახელებული ძველი სომხური თარგმანის აღმოცენების დრო (1151 წ.).

მეორე ძველი სომხური წყარო, რომელიც ნ. აკინიანის აზრით იმას უნდა მოწმობდეს, რომ „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანი რუსუდანის მეფობამდის აღწევდა, XIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედის მოღვაწე მხითარ აირივანელია. მხითარს „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანის მიხედვით შედგენილი აქვს მთავართა, მეფეთა და ეპისკოპოს-კათალიკოსთა სია. მეფეთა სია სცილდება დავით აღმაშენებელს და 1304 წლამდე არის მოყვანილი. რუსუდანის მომდევნო მეფეების სიის შედგენას ნ. აკინიანი თვით მხითარს მიაწერს, როგორც იმ ხანის თანამედროვეს, ხოლო წინანდელი მეფეების სია რუსუდანამდის მთლიანად „ქართლის ცხოვრების" თარგმანის მიხედვით აქვს განკარგულიო. მაშასადამე, ამ წყაროს ჩვენებითაც „ქართლის ცხოვრების" ძველ სომხურ თარგმანში თითქოს დავით აღმაშენებლის მომდევნო ხანის მეფეების ისტორიაც ყოფილა წარმოდგენილი.

რომ მართლა არ არსებულიყო სომხურად ისტორიული ნაწარმოებები საქართველოს შესახებ XII ს-ში და მის გასაცნობად მარტოოდენ „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური თარგმანი ყოფილიყო ერთადერთი წყარო, ნ. აკინიანის მოსაზრების გაზიარებას არაფერი აღუდგებოდა წინ. მაგრამ რამდენადაც სომხური წყაროებიდან ცნობილია, რომ მეტ-ნაკლებად ასეთი მასალები არსებულა, თუნდ მხითარ ანელის ისტორიის სახით (რომ არაფერი

ვთქვათ ანდერძ-მოსახსენებელთა შესახებ), რომელშიც უშუალოდ გამოყენებული ყოფილა „ქართლის ცხოვრება“ და რომლის ვიხედვით სტ. ორბელიანი გიორგი III-ისა და ორბელთა სოცვის ამბებს იმოწმებს. ამდენად ნ. აკინიანის ცდა შეამგროს მხითარ აირივანელის ხსენებული ნაშრომით მისი შეხედულება იმის შესახებ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველ სომხურ თარგმანში თხრობა მოტანილი იყო რუსუდან მეფემდე, საეჭვოდ და არადამაჯერებლად გამოიყურება[5].

ნ. აკინიანს იმის დასამტკიცებლად, რომ XIII ს-ზე ადრე არ უნდა თარგმნილიყო „ქართლის ცხოვრება“ სომხურად, ისიც მოჰყავს სამოწმოდ, რომ XII ს-ის მიწურულისა და XIII ს-ის დამდეგის სომეხი ისტორიკოსი მხითარ ანელი თავისი შრომისათვის უშუალოდ სარგებლობს „ქართლის ცხოვრებით“ და არა მისი სომხური თარგმანით, რადგან ის მაშინ არ უნდა არსებულიყოო. აღნიშნული მოსაზრება უთუოდ გასაზიარებელია იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ძეგლის სრული თარგმანი არსებობს, მაგრამ როდესაც მხოლოდ შემოკლებული თარგმანი მოიპოვება და ისიც გარკვეული თვალსაზრისით შემცირებული, მისთვის ანგარიშგაუწევლობა ბუნებრივია, მით უმეტეს, როცა დედნით უშუალოდ სარგებლობაა შესაძლებელი. ამიტომ, გვგონია, რომ ასეც უნდა მოქცეულიყო მხითარ ანელი.

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის დროის განსასაზღვრავად სულ მთლად არც ნერსეს აკინიანის მიერ მიკვლეული ხელნაწერი წყაროა საიმედო, რადგან თარგმანის დროის აღმნიშვნელი თარიღი ყველგან (ნუსხებში) ერთნაირი არაა. ამასთან არც ის არჩევანია სწორი, რომელსაც ნ. აკინიანი ახდენს ამ თარიღებიდან, რომლის შესამტკიცებლად ხსენებული მკვლევარი XII—XIII სს-ის სომეხ ისტორიკოსთა ზოგიერთ ჩვენებას მიმართავს.

ერთადერთი საშუალება განსასაზღვრავად ხანისა, როცა „ქართლის ცხოვრების“ თარგმანი უნდა იყოს შესრულებული, ისე როგორც მთარგმნელის ვინაობისა და მისი თვალთახედვის გამოსაცნობად, ისევე ძეგლი, თარგმანის ტექსტი რჩება.

თარგმანის აღმოცენების განსასაზღვრავად უძველესი ხელნაწერის ნივთიერი მაჩვენებლები ზემოთ მოვიყვანეთ, როცა აღვნიშნეთ, რომ ხელნაწერი დავით აღმაშენებლის აღსასრულის ამბებზე წყდება და გაგრძელების ნაკვალევი იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ საერთოდ თარგმანი ამ მეფის ისტორიკოსის ნაწარმოებით უნდა დამთავრებულიყომეთქი. თქმულის დასადასტურებლად აქ ტექსტის ზოგიერთ ჩვენებასაც მოვიყვანთ.

დავით აღმაშენებლის დამოკიდებულების დასახასიათებლად სომეხ მოწინავე კულტურულ წრეებთან მთარგმნელს დედნისაგან სრულიად განსხვავე-

[5] რომ მხითარ აირივანელი „ქართლის ცხოვრების“ თარგმანს დავით აღმაშენებლის ისტორიით დამთავრებულს იცნობდა და ისიც ისეთი ბოლონაკლული სახით, როგორითაც მას ჩვენამდის მოუღწევია, ეს იქიდანაც ჩანს, ჩვენი აზრით, რომ მას „ქართველ მეფეთა“ მის ბიერ შედგენილ ნუსხაში გამოტოვებული ჰყავს დემეტრე I, რომელიც როგორც ტახტის დამჭერი ნახსენები უნდა ყოფილიყო თარგმანის უკანასკნელ სტრიქონებში, რომლებიც ხელნაწერს ჩამოკრილი აქვს დღეს და მოკრილი ჰქონია მაშინაც მხითარის ხელთ. ამ მეფის თავგადასავალზე „ქართლის ცხ-ბის“ უძველეს ნუსხებში ცალკე, საგანგებოდ ან სულ არაფერია ნაამბობი (მარიამისეულში) ანდა მეტად მცირედ და ზოგადად (ანასეულში). ჩანს, ფართოდ ცნობილი ის სომხური წყაროებითაც არ ყოფილა, თორემ მის მომდევნო მეფეებივით **ებოვდა ის ადგილს მხითარის ნუსხაში.**

ბული სახით მოჰყავს დავითის დროს მომხდარი ქართველ-სომეხთა საეკლესიო წრეების წარმომადგენელთა პაექრობა რელიგიურ საკითხებზე. პაექრობის გამოსავალი ქართული დედნით ასეა წარმოდგენილი: „დაუყო პირი მათი (ე. ი. გააჩუმა მეფემ სომხური ეკლესიის წარმომადგენლები) და უპასუხო ყვნა... მიიქცეს სირცხჳლეულნიო", ხოლო მთარგმნელს ასე აქვს გადმოცემული: „დააწყნარა ორივე მხარე და გაუშვა კრებაო"[6].

ხსენებულ წრეებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მთარგმნელი თარგმანს ერთ მაგალითსაც ურთავს, რომლითაც დავით მეფისა და ახპატის სავანის წინამძღვრის სარკავაგის ახლო მეგობრული ურთიერთობაა ხაზგასმული. ღრმად მოხუცებული სარკავაგი გამოყვანილია დავით მეფის მოძღვრად, რომელსაც ცოდვებს ანდობს გეირგვინოსანი. ხშირად სარკავაგი ლოცავდა მეფეს ფსალმუნის სიტყვებით, და კიდეცაც „მართლაც ენახეთ, რომ შესრულდა ფსალმუნის სიტყვა მეფეზე. მრავალი ამ სიტყვათაგანი აუხდა მას, რადგან მრავალ საცთურს (ე. ი. მახეს) დაახრწია თავიო ღვთით"[7] და ჩამოთვლის ზოგიერთ მძიმე განსაცდელს, რომლებიც დედანშიც იხსენიებიან.

არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ უთუოდ ადგილის მჭონე ასეთი მოვლენების სინამდვილეში და არ დავუჯეროთ ავტორს, როცა წერს: „ვნახეთ შესრულებული ძალი ფსალმუნის სიტყვებისა მეფეზე და მისი თავდახრწევა განსაცდელთაგანო". ამას მხოლოდ თვითმხილველი თანამედროვე თუ იტყოდა, რომელსაც, როგორც უმცროს თანამეცხედრეს, შეეძლო მეფის ისტორია XII ს-ის თუ პირველ ნახევარში არა, მეორეში ძალიან ეთარგმნა.

საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად ვერ გამოდგება იმის აღნიშვნა, რომ თითქოს სარკავაგისა და დავით აღმაშენებლის ურთიერთობის დახატვისას მთარგმნელს შეცდომები მოსდიოდეს, კერძოდ იმაში, რომ დავით მეფის ზეობის დროს ის ღრმა მოხუცებულად არის გამოყვანილიო. ეს კი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ავტორი დიდად არის დაცილებული აღწერილ ამბებსო. ნ. ჯინიანი სარკავაგის გარდაცვალებას 1140 წელს ვარაუდობს, მაშინ როცა ამის საწინააღმდეგო ჩვენებანი მრავლად მოიპოვება. ამ საკითხით სპეციალურად დაინტერესებული მ. აბეღიანი სარკავაგის გარდაცვალების თარიღად 1029 წელს აღიარებს, ხოლო ასაკად 80—85 წელს მიიჩნევს[8]. 1125 წ. გარდაცვლილი მეფე, ისტორიკოსის თქმით, 53 წლისა ყოფილა, ასე რომ ამ დროსათვის სარკავაგი 80 წლისა გამოდის, რაც მთარგმნელის ცნობას, რომ ის მეფესთან მიმართებით მოხუცებული იყოო, სრულიად არ ეწინააღმდეგება და ამდენად მთარგმნელის გვიან ხანაში მოღვაწეობასაც არ ადასტურებს. ერთი სიტყვით, „ქართლის ცხოვრების" ძველი სომეხი მთარგმნელი XII ს-ის მოღვაწეა და მის მიერ შესრულებული თარგმანი ამ საუკუნეზე გვიანდელი არაა.

მთარგმნელის ვინაობა და მისი თვალთახედვა მის მიერ შესრულებული თარგმანის მიხედვით, მეტად კი შიგ შემატებული ადგილებით, ნათლად ირკვევა. სოფლმხედველობით მთარგმნელი მონოფიზიტია. ვის შეეძლო მართლ-

---

[6] „ქართლის ცხოვრების" ძვ. სომხ. თარგმანი. 1953, გვ. 255.

[7] იქვე, გვ. 256.

[8] Մ. Աբեղյան. Սարկաւագ վարդապետի կենսագրության շուրջը. «Հայոց հին գրականության պատմություն», գիրք II (XI — XIX դարի 30-ական թ.թ.), Երևան, 1946, გვ. 531 — 536.

მადიდებელი ქართველი მეფის მოძღვრად, და ასიც ცოდვების გასანდობად, სომეხი მონოფიზიტი სარკავაგი გამოეყვანა, თუ არა სომეხ მონოფიზიტს! ვის შეეძლო დავით აღმაშენებლის დროს მომხდარი ქართველ-სომეხთა პაექრობის შედეგი ისე შეეცვალა, როგორც ამას მთარგმნელი ჩადის, თუ ის მონოფიზიტი არ იქნებოდა! რომელი მრწამსის სომეხს შეეძლო პეტროს გეტადარძელის საქმენი შეექო და შეემატებინა თარგმანისათვის[9], თუ არა კელაჯ მონოფიზიტს! ყველა ეს, მგონია უეჭველი საბუთია, ძალაში დავტოვოთ მოსაზრება, რომ სომეხი მთარგმნელი მონოფიზიტია და არა დიოფიზიტი.

ამ დებულებას, ვფიქრობ, ვერ დაარღვევს ნ. აკინიანის შენიშვნები, თითქოს მთარგმნელის მხრით სომეხ ხალხზე მესამე პირით საუბარი და არა პირველით (*ազգն Հայոց* და არა *ազգս Հայոց*), მას გვიცხადებდეს დიოფიზიტად. აქ უდაოდ აშკარად ჩანს მთარგმნელის ცდა შეუფარდოს დედნის წარმოდგენებს საკუთარი შენამატი. ასეთივე ბუნებისაა „ვინმეს“ (*ոմն*-ის) ხმარებაც სარკავაგის მიმართ.

მთარგმნელის სადაურობის გასარკვევადაც ზოგი რამ მაჩვენებელი ისეც მის თარგმანში შეინიშნება. ასე მაგ., მთარგმნელი არსად „რუსთავს“ არ ეძახის რუსთავს. მას ყველგან დედნის სახელწოდების („რუსთავის“) საპირისპიროდ ის წარმოდგენილი აქვს *Ռիշա*—„რიშა“-თი. უეჭველია, აქ რაიმე გაუგებრობას კი არა აქვს ადგილი, არამედ თარგმნის შესრულების დროს ეს პუნქტი, ჩანს, ამ სახელწოდებითაც აღინიშნებოდა, რაც შეეძლო კარგად სცოდნოდა იმ პირს, რომელიც ან ამ კუთხიდან, ანდა სახლობელი მხრიდან იქნებოდა. რუსთავის ციხის სახელწოდებად, და არა ქალაქისა, ადგენს მსგავს სახელწოდებას ძველი ქართული წყაროებისა და ჩვენი დროის ადგილობრივ მკვიდრთა სიტყვახმარების მიხედვით პ. ინგოროყვა. ძველი „არიში“ და ჩვენი დროის „რიშა—კალა“ «თვით რუსთავის ციხეს ერქვაო», აღნიშნავს ის თავის „რუსთველიანაში“[10]. ცხადია, ასეთ შეხედულებას „ქართლის ცხოვრების“ რუსთავ—*Ռիշա* არ ამართლებს; იგი ერთადერთი სახელია ქალაქისაცა და ციხისაც.

მთარგმნელი რომ საქართველოს მიწა-წყალს შორიდან კი არა, არამედ ახლოდან იცნობს, ეს მის მიერ ხმარებული ერთი სხვა გეოგრაფიული სახელწოდებიდანაც ირკვევა. ასე მაგ., მთარგმნელი „თრიალეთს“ ერთგან გლოსად „წალკა“-ს აახლებს:

«Իսկ Ակրիկ... մարտեաւ ընդ Ար-քակալ Լերիքին Թռնիայ, որ է Շաղ-կաց»[11].

„ხოლო ადრიკი... შეებრძოლა არბაკს თრიალ[ელ]თა (ან თრიალეთის) ქვეყანაში, რომელიცაა წალკ[ელ]თა“ (ან: წალკ-ი თუ წალკა)[11].

ამ შემთხვევაშიც ზედმიწევნითია ჩვენი მთარგმნელი: თრიალეთს დღეს მხოლოდ წალკას ვეძახით.

აღნიშნული შემთხვევები, ჩვენი აზრით, იმას უნდა მოწმობდეს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი ან ქართლის, უკეთ ისტორიული ქვემო ქართლის, კუთხიდანაა, ანდა ამ კუთხის მოსაზღვრე სომხური მხა-

9 „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, გვ. 223.

10 პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, ტფ., 1926, გვ. 175.

11 „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი, გვ. 44.

რიდან. ის შეიძლება სამეფო კართან დაახლოებულ პირადაც წარმოვიდგინოთ, თუ მოვიგონებთ მის სიტყვებს, — „გვინახავს მეფის თავზე აღსრულებული სარკავაგის ლოცვის ძალა, რითაც ის არა ერთ ფათერაკს გადაურჩაო“ და სხვ.

ეხლა, თავი რომ შევუყაროთ ჩემოთქმულს, შემდეგ მთავარ დასკვნებს მივიღებთ:

1. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი შესრულებულია XII ს-ში.

2. «ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი დაყით აღმაშენებლის ისტორიით მთავრდებოდა. მასში დავითის მომდევნო მეფეების ცხოვრება შეტანილი არ ყოფილა. ამას კი არ ეწინააღმდეგებიან. არამედ ამოწმებენ ძველი სომეხი ისტორიკოსები: სტ. ორბელიანი, მხითარ ანელი, მხითარ აირივანელი...

3. თარგმანის გაწყობიდან და შიგ შეტანილი ინტერპოლაციებიდან ირკვევა, რომ მთარგმნელი ტომით სომეხია და თვალთახედვით მონოფიზიტი.

4. მთარგმნელი თანამედროვეა დავით აღმაშენებლისა. წარმოშობით ის ან ქვემო ქართლიდანაა, ანდა ამ კუთხის მოსაზღვრე სომხური მხარიდან, რაც ჩანს ქვემო ქართლის ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის მის მიერ ხმარებული სახელწოდებებიდან.

კონსტანტინე გრიგოლია

შოთა რუსთველის მოღვაწეობის საკითხისათვის XIII საუკუნის ქართულ საისტორიო მწერლობაში

აზრი იმის შესახებ, რომ შოთა რუსთველს „ვეფხისტყაოსნის“ გარდა სხვა თხზულებაც უნდა ჰქონოდა დაწერილი, ახალი არ არის. დიდი ხანია მკვლევარნი აღნიშნავენ: წარმოუდგენელია შოთა რუსთველს დასაბამიდანვე მოეცა ისეთი შედევრული ქმნილება, როგორიც „ვეფხისტყაოსანია“. ამაზე უწინარეს მას სხვა თხზულება უნდა ჰქონოდა დაწერილი და, საერთოდ, ძნელი საფიქრებელია დიდ მწერალს ამის მეტი სხვა არაფერი დაეწერაო. ასეთი ვარაუდი მრავალ მკვლევარს აქვს გამოთქმული (მ. ბროსე, ნ. მარი, მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე, ვუკ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, ალ. ბარამიძე, შ. ნუცუბიძე, ილ. აბულაძე და სხვ.). მკვლევარნი, ამ შემთხვევაში, ემყარებიან „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთ ტაეპს, რომელიც ასე იწყება:

თამარს ვაქებდე მეფესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული[1].

ამ ტაეპში ნაბმარი გამოთქმა „ვ თ ქ ვ ე ნ ი ქ ე ბ ა ნ ი“ მკვლევართ ესმით, როგორც მ ე ვ თ ქ ვ ი ქ ე ბ ა ნ ი და მას მიიჩნევენ თვით ავტორისეულ მითითებად იმ თხზულებისა, რომელიც მას „ვეფხისტყაოსანზე“ უფრო ადრე ჰქონია დაწერილი. გარდა ამისა, მკვლევარნი ყურადღებას აქცევენ იმავე პროლოგის მეორე ადგილსაც, სადაც რუსთველი აცხადებს:

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია; (სტროფი 19).

სწორედ ამ ორი ადგილის მიხედვით პ. ინგოროყვა ასკვნის: „ამრიგად, თვით შოთას ამ ჩვენებათა მიხედვით ცხადი ხდება, რომ შოთას, „ვეფხისტყაოსანზე“ ადრე დაწერილი ჰქონია სხვა პოეტური ნაწარმოები, რომელიც „ვეფხისტყაოსნის მსგავსად, თამარისადმი ყოფილა მიძღვნილი, თამარის „ქებას“ შეიცავდა[2]“.

მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ ამ ადგილების გაგებასთან დაკავშირებით აზრთა ერთიანობას არ ჰქონია ადგილი მეცნიერებაში, მაგრამ, მკვლევართა გარკვეული ნაწილი, მაინც, ზემოაღნიშნული გაგებისაკენ იხრება. ასე მაგალითად, პ. ინგოროყვას აზრით, შოთა რუსთველის ამ თხზულებას „ქ ე ბ ა ნ ი“ უნდა რქმეოდა. „შოთას ამ ნაწარმოებს არა თუ ჩვენამდე არ მოუღწევია, არამედ მის შესახებ საზოგადოდ არ შენახულა არავითარი ცნობა ძველ-ქართულ ბიბლიოგრაფიულ

---

[1] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, 1937, სტროფი 4.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანა, თხზულებანი, I, თბ., 1963 გვ. 195.

ინდექსებში“.—დასძენს მკვლევარი[3]. რაც შეეხება ამ თხზულების ხასიათს, იმავე მეცნიერის განმარტებით, ის პოეტური ნაწარმოები ყოფილა: „ვეფხისტყაოსნის“ რეალიების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ შოთას ეს თხზულება „ქებანი“ წარმოადგენდა არა ოდებს, არამედ იგი იყო პოემა-რომანი, ე. ი. ისეთივე ფორმის ნაწარმოები, როგორიცაა, „ვეფხისტყაოსანი“[4]. ამასთან დაკავშირებით, პავლე ინგოროყვა განმარტავს ტერმინ „ქება-ქებანის“ ხასიათს და აღრინდელ კომენტატორთა შეცდომას ხედავს იმაში, რომ მათ ეს სახელი. ესოდათ „პირდაპირი მნიშვნელობით“ და მას განმარტავდნენ, როგორც ოდების კრებულს. მისი დაკვირვებით, „თვით შოთას ტერმინოლოგიით „ქებანი“ ნიშნავს არა ოდას, არამედ სწორედ პოემა-რომანს“[5]. ის გარემოება, რომ შოთა რუსთველს შეიძლებოდა „ვეფხისტყაოსანზე“ უფრო ადრე სხვა თხზულება დაეწერა, რომელიც თამარისადმი მიძღვნილი და მისი ქება იქნებოდა, დავას ვერ ახლა გამოიწვევს. მაგრამ „ქებანის“ ისეთი განმარტება, რომელსაც ხსენებული მკვლევარი იძლევა, უდაო და ადვილად შესაწყნარებელი მაინც არ არის. ჯერ ერთი, გაუგებარია, რატომ არ უნდა გვესმოდეს „სახელთქებანი“ თავისი ძირითადი, პირდაპირი მნიშვნელობით და რატომ ნიშნავს ის მხოლოდ პოემა-რომანს. გარდა ამისა, არსაიდან ჩანს, თუ რატომ საძიებელი „ქებანი“ პოეტურ ნაწარმოებად და ისიც „ვეფხისტყაოსნის“ მსგავს პოემა-რომანად უნდა წარმოვიდგინოთ. რით არის გამორიცხული შესაძლებლობა თამარის ქებანი დაწერილი ყოფილიყო პროზაულად?

ვინც XII—XIII საუკუნეთა ქართულ საისტორიო მწერლობას გულდასმით ჩაუკვირდება, ის ადვილად დარწმუნდება ამ ტერმინის ამგვარი განმარტების უკმარობაში. ყოველ შემთხვევაში, ის ვერ ამოწურავს ამ სახელის („ქება-ქებანი“) მნიშვნელობის ყველა ასპექტს. ამ მხრივ, უპირველესად ყოველისა, საგულისხმო ჩანს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ შესავალი. სადაც თამარის უცნობი ისტორიკოსი აცხადებს. „ვითარ დავსცე სულამიტისა სახედ აღსაყრსა „ქებასა ქებათასა“, რომელსა-იგი გალობს სიბრძნითა მეფე სოლომონ, რომლისაგან შთამოთესლოვნებისა ვერ-საკმო არსა შემსხმელად ულუმპიანობათა მათ გარდაცემასა, — თამარისსა ვიტყვ, — ჴელმწიფეთა სახელისა და დიდებისა დავით მის პირველისა...“[6]. სოლომონ ბრძენის მსგავსად, რომელმან შეაქო სულამიტა, მე საყვირით უნდა წარმოვთქვა „ქება-ქებათა“ იმისა, ვინც სოლომონის თესლთაგანია, თამარის შესახებ ვამბობ, ვისი ქება აღემატება ჩვეულებრივი მწერლის ძალღონეს-ო. ავტორის ამ სიტყვებში ჩვენს ყურადღებას არა იმდენად თამარის ქების სირთულე იპყრობს, რისთვისაც თურმე ჰომიროსის ნიჭი და სიტყვა ყოფილა საჭირო, არამედ ის გარემოება, რომ მწერალი თავის, არსებითად ისტორიული ხასიათის თხზულებას, ქება-ქებათა-ს უწოდებს და ეს უკანასკნელი თამარის ულუმპიანობის შესხმად მიაჩნია კიდეც.

რომ ეს ტერმინი „ისტორიანსა და აზმანში“ შემთხვევით, მხოლოდ თამართან დაკავშირებით არ არის ნახმარი, არამედ ასეთი თვალსაზრისი და მეფეთა

---

[3] იქვე, გვ. 216.

[4] იქვე. გვ. 195.

[5] იქვე.

[6] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 1 (ხაზი აქაც და ქვემოთაც ჩვენია —კ. გ.).

ისტორიის ამგვარი გაგება ჩვეულებრივი ყოფილა მაშინ, ქართულ საისტორიო მწერლობაში. დასტურდება იმავე თხზულების სხვა ადგილითაც. ავტორი გვაცნობს თამარის მშობლებს და გიორგი III-ის შესახებ ამბობს: „აწ ვიწყო ქება. ძალისაებრ და ღონე-მიწუდომისა. შვილისა ნათელ-შემოსილისა მამაჲ გიორგი გორგასლიანი. აღმასრულებელი ვახტანგის ნეტარებათა...“ და სხვა[7]. როგორც ვხედავთ, აქაც გიორგი მეფის ცხოვრება, ან ისტორია გაგებულია როგორც ქება. სოლო თამარის პაპის დემეტრე I-ის ისტორიას, იმავე თხზულებაში, შესხმა-მითხრობაც ეწოდება. უცნობი ავტორის სიტყვით, თამარის მამა იყო „გიორგი. მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსაც დავითცა ესუა ძედ, ძესა დავითიანისასა, და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეცხოვნისა და სღვართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდინ [მპყრობელ]ისა, რომლისა დიდებითა, სიმჴნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოვანე ფილოსოფოსისა ჰიმჰიმელისა შესხმა-მითხრობაჲ[8]. როგორც ირკვევა, იოანე ფილოსოფოს ჰიმჰიმელს დაწერილი ჰქონია მეფე დემეტრე I-ის ცხოვრება ან ისტორია, რომელსაც თამარის პირველი ისტორიკოსი შესხმა-მითხრობას უწოდებს აგრეთვე.

ამ მხრივ, საგულისხმოა, აგრეთვე, ერთი ადგილი იმ ნაკვეთისა, რომლითაც ვახტანგისეულ, ან შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ისტორია მთავრდება. ავტორი იქ. თამარის შესახებ, თავის მკითხველს ურჩევს: „განიგემნე ყოველნი მატიანენი ძუელთა, გინა ახალთა მეფეთა მაქებელნი, რაძეთუ გარდაემატა თამარის საქმეთა ჴეშმარიტებით საქებლობა სიტყუისაებრ პირველთასა“[9]. გაეცანჯე, დააკვირდი ყველა მატიანეს, ძველი გინდა ახალი მეფეების მაქებელს და დარწმუნდები, რომ თამარის საქმეთა საქებლობა ხამდვილად აღემატება ყველაფერს, რაც კი მატიანეებში მეფეთა შესახებ დღემდე იყო თქმულიო. ამ ნაწყვეტში ორი რამ იქცევს ჩვენ ყურადღებას: ჯერ ერთი ის გარემოება, რომ აქ მეფეთა ყოველი მატიანე ან ისტორია „ძუელი გინა ახალი“ გაგებულია. როგორც მეფეთა მაქებლობა. გარდა ამისა, აქ ნიშანდობლივ განსაზღვრულია ქების ობიექტი ან საქებელიც. ასეთად აქ თამარის საქმეებია გამოცხადებული. მემატიანის სიტყვით რომ ითქვას, სწორედ ისინი. თამარის საქმეები, იმსახურებენ „ჴეშმარიტ საქებლობას“. მაგრამ საკითხავია. რა არის. თავის თავად, თამარის საქმე, რომელსაც მემატიანე ქების საგნად, ან საქებელად მიიჩნევს? პასუხს ამ კითხვაზე თამარის მეორე ისტორიკოსი იძლევა. ის ჴამჭრის ომში ქართველთა უმაგალითო გამარჯვების ამბავს ეხება და აღნიშნავს: „მცირენი რა დღენი გარდაჴდეს, წარმოემართნეს ლაშქარნი დიდად მოხარულნი ულუმპიანსა ამას ზედა ძლევასა, ფრიად უაღრესსა საქებელისა მისგან ძლევისა, რომელი ყო ალექსანდროს დარიოს ზედა“[10]. ამგვარად, აქ ქების ობიექტად ან საქებლად სამხედრო გამარჯვებაა აღიარებული. ქართველთა გამარჯვება ამ ომში მემატიანეს უფრო სასახელოდ და საქებელ საქმედ ეხატება, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვება იყო დარიოსზე. ხსენებულობაშია მიღებული ორივე ომის ობიექტური პირობები. თუ ალექსანდრემ დარიოსზე გაიმარჯვა, გულისხმობს მემატიანე, ეს არაფერი საქებელია,

[7] ისტორიანი და აზმანი შარაჳანდედთანი, აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 55.

[8] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 3.

[9] ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივ. ჯავახიშვილისა, თბ., 1944, გვ. 36.

[10] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 128.

რადგან ალექსანდრე თვითონაც დიდი ქველის მეთაური იყო და დიდი ჯარიც ჰყავდა თავის განკარგულებაშიო. გაკვირვების ღირსად მას მხოლოდ ქართველთა გამარჯვება მიაჩნია, რომელთა შედარებით მცირერიცხოვანმა ლაშქარმა შაჰ-ქორში ირანისა და მეზობელი ქვეყნების თურქულ სახელმწიფოთა გაერთიანებული მხედრობა დაამარცხაო. აჩკარაა, თამარის შემატიანეს ქების ღირსად სწორედ ასეთი ძლევამოსილი ომები მიაჩნია. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ უწყებული ხანის (XII—XIII სს.) ქართულ საისტორიო მწერლობაში. მეფის საქმე ან ნივთი საქმეთანი, როგორც ამას დავითის ისტორიკოსი უწოდებს, გაგებულია როგორც მეფის მიერ განხორციელებული საქმე. მისი სამხედრო-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყოველი ცალკე აღებული მიღწევა-წარმატება.

მაგრამ, ცხადია, თუ იყო მეფის საქმე (მისი მოღვაწეობის ნაკვალევი) ქების საგანი ან საქებელი საქებლობა, ხოლო მეფის მოღვაწეობის აღწერას, ისტორიას — ქება ეწოდებოდა, უნდა ყოფილიყო აგრეთვე, მაქებელი-მაქებარიც, მემატიანე, ისტორიკოსის მნიშვნელობით. დავითის ისტორიკოსთან, მართლაც, ჩვენ ამ ტერმინსაც ვხვდებით. მისი სიტყვით, აჭილევსის შესახებ თვითონ ალექსანდრე მაკედონელს უთქვამს: „არა დიდ იყავ აჭილევი, არამედ დიდსა მიემთხვე, მაქებელსა უმიროსს“[11]. არაფერი დიდი არ იყავ, აჭილევს, მაგრამ დიდი შეგხვდა მაქებელი—ისტორიკოსი და იმან გამოგიყვანა ასეთიო[12]. როგორც ვხედავთ, ისტორიკოსი. რომელიც ერთი ადამიანის, გმირის ისტორიას წერს, გაგებულია, როგორც მაქებელი.

ყველა ეს სახელი: „ქება, საქებელი-საქებლობა და მაქებელი-მაქებარიც მოხსენებულია რუსთველთანაც „ვეფხისტყაოსანში“ და ასეთი ტერმინი და მისგან მომდინარე სხვა სახელები იხმარება ყველგან როგორც მეფის, მებრძოლი გმირის ქება-შესხმა-დიდება. საკითხავია, მხოლოდ, თუ რა მიმართებაა საგულისხმებელი ქებასა და ისტორიას შორის, როგორ შეიძლებოდა ისტორიას ქების ხასიათი მიეღო და ისიც, როგორც მეფის ქება ისე ყოფილიყო გაგებული?

დროის უწყებულ მონაკვეთისათვის (XII—XIII სს.) ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი გზა ჰქონდა გამოვლილი. იმ დროს მას უკვე გაანდა სრულყოფილი თეორია საისტორიო მწერლობასთან დაკავშირებით. მემატიანე-ისტორიკოსმა კარგად იცოდა არა მარტო ის გარემოება, რომ ისტორიის ძირითადი ამოცანა და მიზანი ჭეშმარიტების მეტყველებაა, არამედ ის გზები და ხერხებიც, რომლითაც აღნიშნული მიზნის განხორციელება, საერთოდ, შესაძლებელი იქნებოდა.

ხსენებული ხანის სათანადო ძეგლებზე მცირეოდენი დაკვირვება საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ მაშინდელი ქართველი მეფის თუ დიდი ისტორიული პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გასაშუქებლად ძირითადი წყარო მისივე საქმეები, მის ნაღვაწ-ნაქნართა გათვალისწინება იყო. იმდროინდელ ისტორიკოსთა მიხედვით, მხოლოდ საქმეები. რომელიც მეფემ თავის ზეო-

---

[11] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. 1, თბ., 1955. გვ. 342.

[12] დავითის ისტორიკოსის თეორიით, თვითონ მემატიანეზე, მის პიროვნებაზე პირველ რიგში იყო დამოკიდებული საისტორიო მწერლობაში. განათლებული და მაღალი ნიჭით მომადლებული აეტორი დიდად გამოიყვანდა თავის გმირს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს უკანასკნელი დიდ არაფერს წარმოადგენდა სინამდვილეშიო.

ბაში განახორციელა. დაახასიათებენ მის ღვაწლს და გამოამჟღავნებენ კიდეც მის ადგილსა და მნიშვნელობას ქვეყნის ისტორიაში. სწორედ ამას ღაღადებს თამარის პირველი ისტორიკოსი: „ვითარ ჟამთა და ჟამთა ზეგარდმო ჩინებითა აღმოხათდებიან ქუეყანის მფლობელნი, და ჰიიღებს თჳთეული საქმისა შესატყვისებასა, აღმკულებასა სიტყჳთა და საქმითა, და ვინმე საგმობნი აღძეგლნა ბოროტთა საქმეთა შინა“[13]. ამაზე უფრო მკაფიო და ხატოვანი თქმა ამ საკითხის შესახებ ძნელი წარმოსადგენია! თითოეული დიდი მეფე, რომელიც დრო და დრო გამოჩნდება ქვეყნად. მიიღებს თავისი საქმეების სრული შესატყვისობით ქება-დიდებას. ან კიდევ, რომელიმე საგმობი პირი აღბეჭდილი (აძეგლილი) იქნება თავის ბოროტ საქმეებთან ერთად. ჩვენი ისტორიკოსები, როგორც ვხედავთ, კარგად არჩევდნენ მაშინ კეთილსა და საქებელ საქმეს საგმობისა და ბოროტისაგან.

თავისთავად ცხადია, საქმეები იყო დიდი და მცირე, მრავალი და ცოტაც, სასარგებლო და საზიანო. ყველაფერს ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საისტორიო მწერლობაში. ბუნებრივია, წყაროს სწორედ ასეთ ნიშან-თვისებებზე იყო დამოკიდებული თითოეული ისტორიკოსის წარმატება-წარუმატებლობაც. ასე მაგალითად, დავითის ისტორიკოსი ვაების ღირსად თვლის ძველი სამყაროს გამოჩენილ გამომეტყველ-ისტორიკოსებს: ჰომიროსს, არისტოტელეს და იოსებ ფლავიოსს, რადგან მათ, მისი სიტყვით: „...ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად“[14]. მათ არ ჰქონიათ „ნივთნი საქმეთანი“, ან რაც იგივეა, ფაქტობრივი მასალა საკმარისი მოსათხრობად ამ პირთა შესახებ, ვის ისტორიასაც ისინი წერდნენ (აქილევსი, ალექსანდრე მაკედონელი, ვესპასიანე — ტიტოსი). რომ ისტორიკოსს, ამ შემთხვევაში, საქმეთა მხოლოდ რაოდენობრივი მხარე არ აქვს მხედველობაში, არამედ თვისობრივი, ჩანს მის მიერ მოტანილი მაგალითიდანაც. ჰომიროსის მძიმე მდგომარეობის საილუსტრაციოდ ის აქილევსს ასახელებს და ამბობს: აბა რაღა სახსენებელია მისი გმირობა „რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა“. აქილევსს საქებელი არაფერი გაუკეთებია. ოცდარვა წელიწადი იდგა ტროას კარებთან. ამ ხნის განმავლობაში ქალაქი ვერ აიღოო, აბა რაღა უნდა ითქვას მის შესახებო. დაძახასიათებელია, რომ შესადარებლად მემატიანე იქვე დავით აღმაშენებელს ასახელებს და ერთგვარი ნიშნის მოგებით, აღნიშნავს: „ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმდე იყო, და ვერცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინადადგომად“[15]. ასეთ შემთხვევაში, რაც გინდა ციხე-სიმაგრე ყოფილიყო. დავითს სამ საათამდე თუ გაუძლებდა და პირველსავე კვეთების დროსაც წინ ვერაფერი დაუდგებოდაო. აქილევს—დავითის დაპირისპირება. მართლაც, განსაცვიფრებელია. დავითი, მისი აზრით, ალექსანდრე მაკედონელზეც უფრო მაღლა იდგა და, საერთოდ, ის მას ყოველგვარი შედარების გარეშე ეგულება. ქართველთა მეფეს, მისი სიტყვით, ტოლი არ ჰყავდა არც ძველი და არც ახალი დროის მეფეთა შორის და ამის დასადასტურებლად იქვე დასძენს: „ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდედთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელნი სიბრძნითა თჳსითა ქმნა“[16]. სწორედ საქმეებს მიხედვით აყენებს მემატიანე დავითს ასე მაღლა სხვებთან შედარებით. ჩვენი ქვეყნის ისტორიული თა-

[13] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 2.
[14] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342.
[15] იქვე.
[16] იქვე, გვ. 251.

ვისებურების გამო, ასეთივე იყო დავითის მემკვიდრეთა: დემეტრე I-ის, განსაკუთრებით კი, გიორგი III-ისა და თამარის სამეფო საქმეებიც.

ხოლო ხსენებულ მეფეთა საქმეები იმდენად მრავალრიცხოვანი, დიადი და „მზის შარავანდედზე უფრო ბრწყინვალე“ იყო, რომ მათი აღწერა „მეფის მომხრე ისტორიკოსის მიერ მეფის ქებას ნიშნავდა და ისტორიული თხზულებაც მისი წესხმა-მითხრობის ხასიათს ღებულობდა ობიექტურად.

სწორედ ამიტომ, XII—XIII სს (მონღოლთა წინა პერიოდის) ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა სახელი ქება და მისგან მომდინარე სხვა სახელებიც (საქებელი-საქებელობა, მაქებელი-მაქებარი) ისტორიის გაგებით დასაისტორიო მწერლობის მნიშვნელობით.

ამიერიდან. როდესაც ჩვენ ტერმინ ქებას ეს ახალი ასპექტი გამორკვეული გვაქვს, ვფიქრობთ, უკეთ შეგვიძლია გავიგოთ „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული ქებანის აზრი და მნიშვნელობა, ვიდრე ეს დღემდე იყო შესაძლებელი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, არაფერი ეღობება წინ იმ მარტივი დებულების შეწყნარებას, რომ შესაძლებელია შოთა რუსთველს თამარის ცხოვრება ან ისტორია ჰქონოდა დაწერილი და მისთვის ქებანი ეწოდებინა, თავის უკვდავ პოემაში.

აღნიშნულ მიგნებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტონ I კათალიკოსის გრამატიკაში შემონახულ ერთ ცნობას, რომელიც დიდ ქართველ მწერალს, შოთა რუსთველს თამარის მემატიანედ. ისტორიკოსად აცხადებს კიდეც. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის მეორე ნახევარში პროფ. ალ. ცაგარელმა ანტონის გრამატიკაში აღმოაჩინა კეთილმეტყველების ნიმუშად ამოღებული ერთი ციტატი, „წერილთაგან შოთასთა. რომელ აღწერა ცხოვრება შეფისა თამარისა“[17]. გარდა ამისა, ანტონის გრამატიკაში დიდი მწერალი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა დასახელებული ძველი დროის გამოჩენილ ავტორთა ჭორის: „...შოთა რუსთაველსა — გამომთქმელსა მეფის თამარის ცხოვრებისასა და სხუათა“[18].

მიუხედავად იმისა, რომ ანტონის ცნობა საგულისხმო და დამაფიქრებელი ჩანდა, პროფ. ალ. ცაგარელი, მხოლოდ გაკვრით შეეხო მას. მან ყურადღება მიაქცია ანტონის მიერ მოტანილი ციტატის ხელოვნურ ენას. მის ამაღლებულ სტილს და რადგან, ამ მხრივ, ვერ იპოვა მსგავსება „ვეფხისტყაოსანთან“, ეჭვი შეიტანა მის სინამდვილეში და სრულიადაც უარყო ის. ამის შემდეგ, გავიდა საკმაო ხანი—სამოც წელიწადზე მეტი და 1937 წელს პროფ. იღ. აბულაძემ ხელმეორედ მიაქცია ყველას მიერ მივიწყებული ზემოაღნიშნული ცნობა ანტონ კათალიკოსისა. ამასთან ერთად, მანვე აღმოაჩინა ანტონის მიერ გამოყენებული ციტატის წყაროც. ის შევსებული, ან ვახტანგისეული რედაქციის „ქართლის ცხოვრების“ თამარის ისტორიის ბოლო ნაკვეთიდან ამოღებული აღმოჩნდა. იღ. აბულაძემ გულდასმით შეისწავლა ანტონის ზემოაღნიშნული ცნობა. მან არა მარტო საგულისხმოდ მიიჩნია ის, არამედ ამის მიხედვით, შოთა რუსთველის ავ-

---

[17] А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873. გვ. 99

[18] ანტონთან ეს ადგილი ასე იკითხება: „არა მოაკლდა შოაზიდესა შინა საბელისასა, არაშენ მეტად დამდაბლებულმან ვინიერისა გონებისგან იყოველისფერა გარემოდ, რაოა მოქცეი ჯჯსი მარტოობით იხილეოს გეარსა შინა ანგელოსსა შეუყოფელად ენებათა“.

ტოროზის შესაძლებლობაც აღიარა თამარის იმ ისტორიის მიმართ, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა-აღადგინა და რომელსაც მკვლევარნი ბასილი ეზოსმოძღვარს მიაწერენ[19]. ხოლო ივ. ლოლაშვილმა ამ ცნობის მიხედვით შოთა რუსთველი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორად გამოაცხადა[20]. ამ წერილში ჩვენ, მართალია, ვერ ვასახელებთ იმ თხზულებას, რომლის დაკვეშირება რუსთველის სახელთან უფრო მართებული იქნებოდა, მაგრამ გვგონია, რომ ანტონის ცნობა (თუმცა გვიანდელი) ძვირფასი მოწმობაა პირდაპირი ხასიათისა, რომელსაც მკვლევარი შესაძლებელია ბოლომდე ენდოს. ანტონის მაღალმეცნიერული სინდისი და პატიოსნება საკმარისად ცნობილია.

რომ მეცნიერ-კათალიკოსის ცნობა უსაფუძვლო არ არის, ჩანს იქიდანაც, რომ მის მიერ რუსთველის სახელთან დაკავშირებული ის თხზულება (თამარის ისტორია), რომლის ნაწყვეტი მას თავის გრამატიკაში გამოუყენებია, უფრო ადრე, ვახტანგის ხელმძღვანელობით „ქართლის ცხოვრების“ რედაქციაზე მომუშავე მეცნიერ კაცთა კომისიას ჰქონია ხელთ და მისი ბოლო ნაკეთი თუ მოღწეული ფრაგმენტი მთლიანად „ქართლის ცხოვრების“ კორპუსში შეუტანია. ეს გარემოება, ცხადია, ობიექტური დადასტურებაა იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც ანტონი მოგონილს არაფერს ლაპარაკობს და ის რეალურ სინამდვილეზე დამყარებული ჩანს.

ხოლო, ყველაფერი, რაც აქ ამ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, იძლევა საკმარის საფუძველს საბოლოოდ ითქვას: ჩვენს სასიქადულო მწერალს, მშობლიურ საისტორიო მწერლობაშიც წარუშლელი კვალი დაუტოვებია. მის ნაზელავ თამარის ცხოვრებას, ანისტორიას XVIII საუკუნემდე მოღწევია. ასე რომ, ადვილად შესაძლებელია „ვეფხისტყაოსანში“ დასახელებული ქებანი და ანტონ კათალიკოსთან მითითებული შოთა რუსთველის მიერ დაწერილი „თამარის ცხოვრება“ ერთი და იგივე თხზულება იყოს[21]. ყოველ შემთხვევაში, აშკარაა, დიდ რუსთველს არა მარტო „ვეფხისტყაოსანი“, არამედ ისტორიული თხზულებაც ჰქონია დაწერილი და თამარისადმი მიძღვნილი.

ამით ბუნებრივია, შოთა რუსთველის მოღვაწეობაში ახალი ასპექტი იშლება. დიდი მწერალი თამარის სახელოვან ისტორიკოსთა დასში დგება და ამიერიდან მისი უკვდავი სახელიც, ამ უკანასკნელს კიდევ უფრო დაამშვენებს.

---

[19] იხ. აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიულ თხზულების შესახებ. „ენიმკის მოამბე“. III, თბ., 1938. გვ. 205.

[20] ივ. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, თბ., 1961, გვ. 59.

[21] ოღონდ, ერთ შემთხვევაში, ის დასახელებულია, ზოგადად. თავისი ხასიათის მიხედვით, როგორც ქებანი; მეორეში კი — საკუთარი სახელით. საერთოდ, საგალდებულო არ ყოფილა თამარისადმი მიძღვნილ საქებელ ან, რაც იგივეა, სახოტბო თხზულებას სათაურად, მახვილ და მაინც, ქება, ან კიდევ, ქებანი ჰქონოდა. ამაში მკვლევარი ი. ლოლაშვილი ბათილია. (იხ. მისი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, გვ. 9). ღაკვირვება გვარწმუნებს, რომ ქება-ქებანი ეს იყო თხზულების, ზოგადი, ჟანრობრივი დახასიათება, თორემ სათაური მას თავისი საკუთარი ჰქონდა. ამას, თამარისადმი მიძღვნილი, არა ერთი, სიტყვაკაზმული ბერძნული ტიპის ძეგლი, თუ ისტორიული ხასიათის თხზულება ადასტურებს. ისინი (ყველა უკლებლივ) თამარის ქებას წარმოადგენენ, მაგრამ თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი სათაური გააჩნია.

გურამ მაჭულია

„დიდთა სიტყჳს-მოქმედთა პირველთა“ ვინაობისათვის

თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი, რომელიც „ისტორიათა და აზმათა“ ავტორობით არის ცნობილი, გიორგი III-ისა და თამარის მიერ გადახდილ ლაშქრობათა შემდგომ, ვიდრე თამარის შესახებ თხრობას განაგრძობდეს. აღნიშნავს: „ამა ძლევითა და გამარჯუებითა შემწე ესყო ღმერთი თჳთ მეფესა მეფეთასა. არცა იგი უმადლოჲ იპოებოდა გამმარჯუებელისა მისისაჲ. არამედ დიდგუნება იყო სკიპტრის-მპყრობელთა შორის და უსაჩინოეს ესე თამარ, ამისთჳსცა უდიდესთა კელ-ყო საქმეთაჲ, რომელთა მომთხრობელად მოწევნული მყის თავსა შორის ჩემსა, უგულის-ხმოსა და უგონებოსა, მსგავსი ვიპოები უმეცრებით ლექსთა მეტყუელებად; და კუალად დუმილი საქმეთა დიდთა და კეთილთა დავიწუებად შეიქმს, და არა ჯერ ვიჩინო დადუმებად და კელეყავ აღწერად, რომელნი ზესთა ძალისა არიან არა ჩემთჳს ოდენ, არამედ, ეჰგონებ, პირველთა სიტყჳს-მოქმედთაცა“[1]. ერთი სიტყვით, ისტორიკოსს საკუთარ ძალებში ეჭვი შეაქვს, რომ თამარის „დიდ საქმეთა“ ღირსეულად აღწერის უნარი შესწევდეს, რადგან შესაფერი სიტყვები ვერ მოუძებნია, ხოლო თუ აღწერად გაკადნიერდა, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ „დუმილი საქმეთა დიდთა და კეთილთა დავიწყებად შეიქმს“, თუმც შეგნებული აქვს, რომ ეს ტვიოთი არა მხოლოდ მის საკუთარ ძალებს აღემატება, არამედ „პირველთა სიტყჳს-მოქმედთა“ ძალებსაც კიდევ. ამ ჩვენთვის საყურადღებო „პირველთა სიტყჳს-მოქმედთ“ თამარის ისტორიკოსი კიდევ ერთგან ახსენებს, როდესაც რუკნადინთან ბრძოლის წინ დაკავშირებულ ამბებს შეეხება. „აწ უდიდესი საქმენი აღმომიჩნდეს და გონებამან იწყო უღონოებად თხრობისად სიდიდითა საქმეთაჲთა, დაღაცათუ არა შესატყჳს არს ჩემდა ამათ მოთხრობაჲ, არამედ დიდთა სიტყჳს-მოქმედთა პირველთა არს“[2].

საკითხი „დიდთა სიტყჳს-მოქმედთა პირველთა“ ვინაობის შესახებ ივ. ჯავახიშვილმა დასვა. მისი აზრით, „სიტყჳს-მოქმედი“ ალბათ ბერძნული — λογοποιός—ლოგოპოჲოსის თარგმანი უნდა იყოს, რომელიც მნიშვნელობით ბერძნულსავე ლოგოგრაფოსს უდრის და მემატიანეს, ან ისტორიკოსს ეწოდება. ელინურ მწერლობაში ლოგოპოჲოსის, ან სიტყჳს-მოქმედის სახელს განსაკუთრებით ჰეროდოტეს წინამორბედს პირველ მემატიანეებს ეძახდნენ, როგორც მაგ., ჰეკატაჲოს მილეტელი და სხვები იყვნენ. იქნებ ქართველი ისტორიკოსი ამიტომ უმატებდა „პირველთა სიტყვის-მოქმედთაო“. მაინცდამაინც ვინ ჰყავს ჩვენს ავტორს სახეში, სახელდობრ რომელ ისტორიკოსებს გულისხმობდა, დაჟეშმარიტებით ამის თქმა ჯერ არ შეიძლება“[3]. ამრიგად, მიუხედავად გარკვეული მოსა-

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 112-113.

[2] იქვე, გვ. 124.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 235.

ზრებისა, ივ. ჯავახიშვილს „დიდთა სიტყჳს-მოქმედთა პირველთა“ ვინაობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიაჩნდა.

ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ისტორიკოსის „დიდნი სიტყჳს-მოქმედნი პირველნი“ განმარტებული არიან როგორც „ძველი დროის დიდი ისტორიკოსები“[4]. აღნიშნული განმარტება ზოგადია, რადგან „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი იცნობს „ძუელთა მომთხრობელთა“ სახელით ანტიკური ხანის სხვა ისტორიკოსებსაც[5].

პ. ინგოროყვა „დიდთა სიტყჳს-მოქმედთა პირველთა“ ვინაობას უშუალოდ არ შეხებია, მაგრამ მისი აზრით სიტყჳს-მოქმედი ძველ ქართულ მწერლობაში პოეტს ეწოდებოდა[6].

განსახილველი ტერმინის დასაზუსტებლად ჟამთააღმწერლის ერთი ცნობა მოვიშველიოთ. ცნობილია, რომ ჟამთააღმწერელი თავის საისტორიო ნაშრომში მოგვითხრობს იმ გაჭირვების შესახებ, ქართველ მიწისმფლობელთ თავს რომ დაატყდათ მონღოლთა ბატონობის ჟამს. მამულგაპარტახებულ მიწისმფლობელთა ძნელბედობის შესამსუბუქებლად სამეფო კარმა „გადასწყჳიტა ეკლესიისათჳს მამულები ჩამოერთმია და გაღარიბებული ფეოდალებისათჳს დაერიგებინა... აღმოსავლეთ საქართველოში ამ დროს მწიგნობართუხუცესად ბასილ უჯარმელ-ჭყონდიდელი იყო. საეკლესიო შეწირული მიწების ჩამორთმევა-გამოჭრირვა ბასილმა ჩაატარა, როგორც პირველმა ვაზირმა... რაკი ეკლესიის წინააღმდეგ გამოყენებული საშუალება ბასილ ჭყონდიდელ-უჯარმელის მიერ იყო გატარებული, ეკლესიის მესვეურთა მთელი სიძულვილი მას დაატყდა თავზე. დაიწყო მითქმა-მოთქმა, ჭორები და ცილისწამება ბასილის წინააღმდეგ“[7]. მას შემდგომ, რაც დავით ულუს გარდაცვალებისა და მისი მცხეთაში დასაფლავების ამბის თხრობას მორჩება, ჟამთააღმწერელი ლიტერატურული წყაროდან ამოღებული ცნობის ფონზე, რომლის ავტორსაც იგი სიტყჳს-მოქმედს უწოდებს, გადმოგვცემს ერთ-ერთ ჭორს, რომელიც ბასილის წინააღმდეგ მეითხზა დავით ულუს გარდაცვალებასთან დაკავშირებით. „თქმულ არს ესეცა,—გადმოგვცემს ისტორიკოსი — ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა [დავით ულუ] ცოლისა მისისა ესუქნის მიერ მიცემითა წამლისათა. ვითარ სიტყჳს-მოქმედი იტყჳს მაკედონელისა მის დიდისა მიდოსით თავ-მტკივნეულად მყოფისა და იჭჳსა წამლისასა მიდოს[ის] და ანტიპატროს მიერ მიცემისა, ეგრეთვე დავითისა თქმულ არს ესუქნის მიერ, შურისათჳს ბასილი უჯარმელისა, რომელი მოაკუდინა მეფემან უწესობისათჳს; რამეთუ თანა ეყო ბასილი ესუქნის, და არა რიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა“[8]...

---

[4] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ.. 1959, გვ. 601.

[5] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. . . , გვ. 59.

[6] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 554—558.

[7] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 254—255.

[8] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 267—268.

„ქართლის ცხოვრების“ დასაბეჭდად გამოცემაში ჟამთააღმწერლის ეს ადგილი შემდეგი კონიექტურით არის მოტანილი...„ვითარ სიტყჳს-მოქმედი იტყჳს მაკედონელისა მის დიდისა მიდოსით თავმტკივნეულად ყოფისა და იჭჳსა წამლისასა მიდოს[ის] და ანტიპატროს მიერ მიცემისა“. ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრეს რომანით“ მიდოსმა და ანტიპატროსმა მოწამლეს ალექსანდრე მაკედონელი. საკუთარი სახელი მიდოსი შეთანხმებული უნდა იყოს ბრუნვაში ანტიპატროსთან. გრამატიკულად შეუძლებელი ფორმაა „მიდოს[ის] და ანტიპატროს მიერ“. ქართულში ამოსავალი იყო მიდო და ანტიპატრო, ნათესაობითში *მიდოჲს და *ან-

კ. კეკელიძე ყამთაალმწერლის ამ ადგილის წყაროდ ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრეს რომანს“ ასახელებს[9], აქედან ირკვევა, რომ სიტყჳს-მოქმედი ლოგოგრაფოსებზედაც და პოეტზეც უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა, ხოლო „დიდთა სიტყჳს-მოქმედთა პირველთა“ ვინაობის გარკვეეა მით უფრო საგულისხმოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „სიტყჳს-მოქმედნი პირველნი“ „თამარ მეფის ისტორიკოსს, როგორც ჩანს, საუკეთესო და სამაგალითო მომთხრობლებად მიაჩნდა“[10]. ამის გამო მიზანშეწონილია „დიდთა სიტყჳს-მოქმედთა პირველთა“ ვინაობის საკითხი თვით „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის მიერ ისტორიზმის გაგების ფონზე განვიხილოთ.

ყოველი მკვლევარი, ვინც „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს შეხებია, საზგასმით აღნიშნავს თხზულების დიდ სიტყვაკაზმულობას. სწორედ ამის გამო ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ „ისტორიკოსს თავისებური და ცოტა არ იყოს უცნაური შეხედულება ჰქონია თავის მოვალეობაზე: მას თავისთვის მისაბაძ მაგალითად „შემსხმელნი“ ჰყავს მიჩნეული“[11]. ამრიგად, ჩვენმა ისტორიკოსმა დავითის ისტორიკოსის სიტყვები „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვე მაქებელსა უმიროსს“[12] ისტორიზმის პრინციპად გამოაცხადა. ისტორიკოსი ყიდრე თხზულების წერას შეუდგებოდეს, ღმერთს მხოლოდ ერთს შესთხოვს „რომელმან წყლისა მოაბადნი რიტორთა მძლედ გამოაჩინე ყოველთა, ენა უტყუი მეტყუელ ჰყავ ანგელოზთა მთავრისა მიერ, აწცა განმარტე ენა ბრგუნილი ისტორიათა და აზმათა მეტყუელებასა შინა წარავნდედთასა“-ო[13]. ე. ი. პირველი ადგილი რიტორიკას აქვს დათმობილი, ხოლო ეს უკანასკნელი კი თამარის პანეგირიკისათვის არის გამიზნული.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ამ შეხედულებაში განსაკუთრებული არაფერია. თვით ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ „XII საუკუნეში ქართველ ისტორიკოსთა და საზოგადოდ მკვლევარ-მეცნიერთა ფილოსოფიურისა და მეთოდოლოგიური შეხედულების ზრდა-განვითარებამ იმ საფეხურს მიაღწია, რომელზედაც ევროპის დაწინაურებული აზრი მხოლოდ რამოდენიმე საუკუნით გვიან ავიდა“[14], ხოლო რიტორიკული სიტყვაკაზმულობა ასე ძლიერ თამარის ისტორიკოსს რომ ახასიათებს ევროპულ საისტორიო მწერლობაში ჰუმანიზმის ხანაში ჩნდება და ევროპული ისტორიოგრაფიის დიდ ძერებთან არის დაკავშირებული.

ცნობილია, რომ XI—XII საუკუნეები ქართული ჰუმანიზმის საუკუნეებს წარმოადგენდა. ისევე როგორც ევროპული ჰუმანიზმი, ქართული ჰუმანიზმიც ანტიკური კულტურის მიღწევებით გატაცებაში მდგომარეობდა და. „XI—XII საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიისათვის, როგორც ჩანს, სანიმუშო იყო ანტიკური საისტორიო მწერლობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას

ტიპატროის მიერ → მიდოს და ანტიპატროს მიერ. ბერძნულ სახელთა Nominativus-ის ოს დაემთხვა ქართულის ნათესაობითს. კ. ც. ნუსხებში წარმოდგენილი ფორმა „მიდოს და ანტიპატოოს მიერ“ გრამატიკულად სწორია, ხოლო აღნიშნული კონიექტურის მოტანა გამართლებული არ ჩანს. სიტყჳს-მოქმედს ყამთაალმწერელი კიდევ ერთგან ასახელებს (გვ. 257), ოღონდ, ეის გულისხმობს ისტორიკოსი სიტყჳს-ხოქმედში, გაურკვეველია.

[9] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952. გვ. 195.

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 235.

[11] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945. გვ. 234.

[12] ქართლის ცხოვრება, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ის რედ., I, 1955, გვ. 342.

[13] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 51.

[14] „ძველი საქართველო“, I, 1909, სახოგადო კრებათა ოქმები, გვ. 34—35.

თხრობის რიტორიკულ მხარეს აქცევდა"[15]. სწორედ „ამ დროს ქართულ ისტორიოგრაფიას მოეპოვება ისეთი რიგის ნიშნები, რაც რამდენიმე საუკუნით გვიან დამახასიათებელი იყო XV—XVI სს. იტალიური ჰუმანისტური ისტორიოგრაფიისათვის"[16]. ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ განშტოებას რიტორიკული სკოლა წარმოადგენდა, რომლის მიხედვით ისტორია — opus maxime oratorium-ია[17]. ამ სკოლამ ევროპულ ისტორიოგრაფიაში სხვა მნიშვნელოვან გარდაქმნებთან ერთად ანტიკური საისტორიო ტრადიცია შემოიღო.

გიორგი III სახეს თამარის ისტორიკოსი კლასიკური ხანის მწერლობის ფორმების მიხედვით გვიხატავს. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ერთ-ერთი ბრძოლის წინ გიორგი მეფეს ქართველთა ლაშქრისათვის შემდეგი სიტყვებით მიუმართავს: „კაცნო ძმანო, ერთსულნო და ერთსჯულნო, უწყით თუ რაზომ დიდად კეთილ არს საღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარებისათჳს საკუღილი, რომელნი სამარადისოდ ვჰნატრით ქრისტეს კუალთა შეწდგომთა და მოწკუდართა მის თჳს მოკუდა ვითა სხეულითა! ხედავთა თუ რაოდენ უფრო სასახელო არს მჭნებრივ სიკუდილი, ვიდრეცა სენითა განდნობითა განლეულებასა შინა, რამეთუ სახე და სახელი კეთილი საუკუნოდ გზად გუყვებოს! რამეთუ ცუასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენი კუეთებანი თავს-იხსნეს საღმრთოთა სჯულთათჳს ტომმან ებრაელთამან არტარქსერქსის ზე, ელენთა — ოდეს იგი იმძღუანებოდეს თემისტოკლეს მიერ, უცთომელი სპასპეტისაგან, სოფლისმქონებელისა მძლია ქსერქსისზე, რომელმაც ზღუაცა მტკიცე ყო უომრად სპათათჳს, ხოლო ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნქცეულ იქმნა. აწ ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ჩუენთჳს განლახურისათჳს აღეახუნეთ ლახუარხი და ჰოროლნი და ვუგმირნეთ ურწმუნოთა ღმრთეებისა მისისათა!"[18].

გიორგი მეფე კი არ უთხრობდა ათენელთა გმირობის თავგადასავალს ქართველთა ლაშქარს, არამედ ამ სიტყვებს თვით ისტორიკოსი თხზაესა, რადგან იგი „ელინური მწერლობის ისეთი მოტრფიალე ყოფილა, რომ გიორგი მეფეს იძხაირად ალაპარაკებს, თითქოს მეფე ბერძენთა მბრძანებელი იყოს"[19]. ამ მხრივ თამარის ისტორიკოსი დახლოებით ორი საუკუნით უსწრებს „ჰუმანისტური საისტორიო მწერლობის შემქმნელს ლეონარდო ბრუნის"[20], რომელიც ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის რიტორიკული სკოლის კლასიკური წარმომადგენელი იყო[21].

ლ. ბრუნი ხშირად წყაროში მოთხრობილ ამბებს კლასიკური ხანის მწერლობის ფორმების მიხედვით გადმოგვცემდა[22], ზუსტად ისევე, როგორც თამარის ისტორიკოსი, როცა „გიორგი მეფეს იმნაირად ალაპარაკებს, თითქოს მეფე ბერძენთა ბრძანებელი იყოს". საყურადღებოა, რომ ანტიკამ არა მხოლოდ საისტორიო თხზულებათა ფორმაში გაიკვლია გზა, არამედ ისტორიულ ტერმინოლოგია-

---

[15] ვ. გაბაშვილი, ვახუშტი მე-17—18 სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, „ანალები", ტ. I, თბ., 1947, გვ. 58.

[16] იქვე, გვ. 59.

[17] О. Вайнштейн. Историография средних веков, М.-Л., 1940, გვ. 55.

[18] ისტორიანი და აზმანი.., გვ. 58—59.

[19] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტოროო მწერლობა, გვ. 231.

[20] E. Fueter. Geschichte der neueren Historiographie. München und Berlin 1936, გვ. 17.

[21] იქვე, გვ. 104—105.

[22] იქვე, გვ. 20—21.

ზიც. „ისტორიათა და აზმათა" ავტორმა ქართულ საისტორიო მწერლობაში, როგორც წყაროები გვაფიქრებინებს, პირველად შემოიღო ადრე ხმარებული „ცხოვრების" ნაცვლად ტერმინი „ისტორია". ისევე როგორც ლეონარდო ბრუნიმ ევროპულ ისტორიოგრაფიაში, როდესაც ტერმინი „ხრონიკა" „ისტორიათი" შეცვალა და თავის ერთ-ერთ ნაშრომს —Historiarum Florentinarum libri XII—უწოდა[23].

როგორც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის აზრით თამარის ისტორიკოსს ოავისთვის მისაბაძ მაგალითად „შემსხმელნი" ჰყავს მიჩნეული. „სიტყვს-მოქმედი" ოომ ძველ ქართულ მწერლობაში „შემსხმელის" მნიშვნელობით იხმარებოდა ჩანს ერთ-ერთი ლიტერატურული თხზულებიდან, სადაც მიხაელ პსელოსი, როგორც ავტორი „შესხმისა" სიმეონ მეტაფრასტის მიმართ „სიტყვს-მოქმედად" იწოდება[24]. „დიდნი სიტყვს-მოქმედნი პირველნი" ანტიკური ხანის „შემსხმელებთან" კავშირში არიან საძიებელნი, რომელთაც თვით ჩვენი ისტორიკოსი უნდა იცნობდეს.

საყურადღებოა, რომ კ. კეკელიძის შენიშვნით, თამარის ისტორიკოსმა „იცის საგანგებო ჟანრი საისტორიო მწერლობისა, ე. წ. ვასილოღრაფი, რომელ არს მოთხრობა მეფეთა" და რომლის ნიმუშს წარმოადგენს მისი შრომა[25]. ვასილოღრაფის ჟანრის მწერლებს მიეკუთვნება პლუტარხოსი, რომელიც „ისტორიათა და აზმათა" ავტორის თქმით, არის „ზემმაღლეველი ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემასხმელობისასა"[26]. სწორედ პლუტარხოსს „ისტორიათა აღწერილობაში" ბაძავს თამარის ისტორიკოსი[27]; ხოლო „შემსხმელთა" რიცხვში ჩვენი ისტორიკოსი არა მხოლოდ პლუტარხოსს რაცხს, არამედ ჰომეროსსაც[28]. ჟამთააღმწერლის „სიტყვს-მოქმედი", რომელიც ფსევდოკალისთენეს „ალექსანდრეს რომანის" ავტორს ეწოდება, ასევე „შემსხმელთა" რიცხვს მიეკუთვნება, რადგან „ალექსანდრეს რომანი" ალექსანდრე მაკედონელის პანეგირიკს წარმოადგენს. ისტორია, რ.გორც opus maxime oratorium-ი გაგებული იყო თვით ანტიკურ ხანაშივე და ისტორიის ამგვარი გაგება ცნობილი რიტორის ისოკრატეს მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული[29].

ქართული „სიტყვს-მოქმედი" არა λογοποιός-ის თარგმანია, არამედ ποιητής-ის თარგმანს წარმოადგენს[30] (ეს კვლავ ხაზგასმით მიუთითებს ჩვენი

---

[23] E. Fueter, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

[24] К. Кекелидзе, Иоанн Ксилафиш, продолжатель Симеона Метафраста, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 228.

[25] კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", როგორც ლიტერატურული წყარო, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბ., 1962, გვ. 219.

[26] ისტორიანი და აზმანი ..., გვ. 54.

[27] კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", როგორც ლიტერატურული..., გვ. 219.

[28] ისტორიანი და აზმანი..., გვ. 54.

[29] G. Mathieu, Les idées politiques d'Isocrate, Paris, 1925, გვ. 43—45, 200—207.

[30] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 554—558.

ე. ხინთიბიძე, ბასილ დიდის სადაუოობისათვის, სახოგადოებრივი მეცნ. განყოფილების „მოამბე", 1962, № 3, გვ. 142—143.

ისტორიკოსის კავშირზე ანტიკური ხანის მწერლობასთან — გ. მ.) იგი ზოგადად აღნიშნავდა პოეტს, მწერალს, შემოქმედს და სხვ.

ამრიგად, „დიდნი სიტყჳს-მოქმედნი პირველნი“ თამარის ისტორიკოსის თვალსაზრისით ანტიკური ხანის „შემსხმელ“ ისტორიკოსებს ეწოდებოდათ საერთოდ (მაგ., ჰომეროსი, პლუტარხოსი, „ალექსანდრეს რომანის“ ავტორი და სხვ.), რომელნიც თანამედროვე გაგებით მწერლები არიან და არა ისტორიკოსები. ამ აზრით, თამარის ისტორიკოსი თვით არის „სიტყჳს-მოქმედი“, როგორც თამარ მეფის „შემსხმელი“. სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებიან „დიდნი სიტყჳს-მოქმედნი პირველნი“ ანტიკური ხანის სხვა ჟანრის ისტორიკოსებისაგან, „ძუელთა მომთხრობელთაგან“.

ალექსანდრე გამყრელიძე

ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხი

ბასიანის ომს, რომელმაც XIII ს-ის დასაწყისში საქართველოს მოუპოვა ახლო აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობის განმტკიცებისა და საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლებისათვის. სამწუხაროდ, ამ ომის დათარიღების საკითხი სადავოა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაშინ როცა ხშირად ძის სწორ დათარიღებაზე არის დამოკიდებული საქართველოს ისტორიის და კულტურული ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტის ჯეროვანი შეფასება და გააზრება.

რომის სელჩუკიანთა სულთნის რუქნადინ სულეიმან-შაჰ II-ის ბასიანის ომში დამარცხების თარიღს მკვლევრები სხვადასხვანაირად ვარაუდობენ და 1201-იდან მოყოლებული 1206 წლამდე დებენ. ბოლო ხანებში, კერძოდ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებში, უფრო მოიკიდა ფეხი შეხედულებამ, რომ ეს ამბავი 1205 წელს მოხდა.

ამ საკითხმა კაოკ ხანია მიიპყრო ჩემი ყურადღება—ჯერ კიდევ, როცა მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკის“ გამოცემაზე ვმუშაობდი, მაშინ დამებადა აზრი, რომ ეს ომი უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ეს ჩვენს საისტორიო მწერლობაში იქნა მიღებული. შემდგომში, სწორედ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საქმეში ქართველთა მონაწილეობის შესახებ პირად საუბარში, პატივცემულმა ივანე ლოლაშვილმა მკითხა, რა აზრისა ხარ რუქნადინის დამარცხების თარიღის შესახებო. მეც გავუზიარე ჩემი შეხედულება და ზოგიერთი საბუთიც მოვუყვანე: ჩვენს საისტორიო წყაროში, თამარის მეორე ისტორიაში, ამ ფაქტის ძოხსენიება ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ამბებამდე; რუქნადინის გარდაცვალების საერთოდ მიღებული ადრინდელი (1203 თუ 1204 წელი) თარიღი; აგრეთვე მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებახი და სხვ. აგრეთვე დავსძინე, რომ ნარკვევსაც ვამზადებდი ამ საკითხების შესახებ.

სამწუხაროდ, დროზე ვერ მომიხერხდა ამ ნაშრომის გამოქვეყნება. ამასობაში (1964 წ.) უკვე ივ. ლოლაშვილის წიგნიც გამოვიდა—„ძველი ქართველი მეისტორენი, წიგნი მეორე“, რომელშიაც ბასიანის ომში რუქნადინის დამარცხების დათარიღებისათვის ძირითადად ჩემეული მოსაზრებებია მოყვანილი. გამოკვლევის ავტორი მათ განიხილავს სპეციალურ თავში— „აბდულმესიანის დაწერის თარიღი“ (იხ. ხსენებული წიგნის გვ. 106—114; აგრეთვე გვერდები 80—86; 191 და სხვ.), რომელიც თითქმის მთლიანად ამ და ნაწილობრივ კი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხებისადმია მიძღვნილი.

აქ შეიძლება ზედმეტი არ იყოს შევნიშნოთ ისიც, რომ ეგევე ბასიანის ომი მიაჩნდა ხსენებულ მკვლევარს თამარის დროინდელი მეორე სახელგანთქმული პოეტის ჩახრუხაძის „თამარიანის“ დათარიღების ერთ-ერთ უმთავრეს საბუთადაც. ოღონდ იმ გამოკვლევაში, რომელიც 1937 წელს გამოქვეყნდა, ამ ბრძოლის თარიღად სრულიად უყოყმანოდ 1205 წელს ცნობდა და ეს აზრი კარგა ხანს არც შემდგომში უარუყვია.

ერთი სიტყვით, უკედავი სულხან-საბა ორბელიანისა და იობ მღვდლისა არ იყოს (იხ. საბას ლექსიკონის იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძისეული გამოცემა 1928 წლისა. გვ. 03—04), აქ ჩვენი ივანეს ქება იმისთვის დავწერე, რომ დიდად ხელი აღმიპყრო: როგორც ერთგულ მეგობარს შეშვენის, ნარკვევის მოზრდილი ხაწილის ქაღალდზე გადატანის გარჯისაგან თავაზიანად გამათავისუფლა. მაგრამ თავი დავანებოთ ყოველივე ამას და, კვლავ იმავე დიდებული საბასი არ იყოს, „ჩუენ პირველსავე სიტყუასა ზედა მოვიდეთ“, რადგან ბასიანის ომის თარიღის საკითხი მნიშვნელოვანი საკითხია და მისი ჯეროვნად გადაწყვეტისათვის რაც მეტი საბუთი დაგროვდება, მით უკეთესი. ამასთანავე სათქმელი კიდევ დამრჩა, რომელიც ეგებ საინტერესო აღმოჩნდეს ამ საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის და ამიტომ ვიკადნიერებ სიტყვის გაგრძელებას.

რომელი მკვლევარი როდის ვარაუდობს ბასიანის ომს, აქ აღარ გამოვუდგებით ამის ჩამოთვლას, რადგან ზემოხსენებულ ნაშრომში (მეხოტბენი, წიგნი II) საკმაოდ სრულად და სწორადაა ასახული საკითხის ისტორია. ყოველ შემთხვევაში ქართული მასალების მიხედვით მაინც, და პირდაპირ ჩემს სათქმელზე გადავალ.

რასაკვირველია, სადავო თარიღების დასადგენად, ყველაზე საიმედო ძეთოდი არის უტყუარი, საერთოდ მიღებული თარიღების შეჯერება საეჭვოსთან. ამ მხრივ თავიდანვე ჩემი ყურადღება სწორედ იმ ფაქტმა მიიპყრო, რომ ტრაპიზონის იმპერიის დასაარსებლად ქართველთა ჯარის ლაშქრობის მტკიცედ და საყოველთაოდ აღიარებულ თარიღს და საერთოდ იმ ლაშქრობის გარემოებებს სრულიად არ ეგუებოდა ბასიანის დიდი ომის თარიღი და ხასიათი. ყოველად წარმოუდგენლად მეჩვენა, რომ თუ რუქნადინი თავის ტახტზე ისე მორჩმით იქნებოდა დაბრძანებული, როგორც ეს ბასიანის ომამდე აქვთ ასახული ჩვენს ისტორიკოსებს და აგრეთვე სხვებსაც, შეუძლებელი იყო, უფლება მიეცა ქართველთა მცირე ლიხთიქითური ჯარის თანხლებით მოლაშქრე ალექსი და დავით კომნინოსებისათვის, შავი ზღვის მთელი სამხრეთი სანაპირო ძლევამოსილად გაევლოთ თითქმის ჰელესპონტამდე და თვით მისი ქვეშევრდომი მხარეები და ქალაქებიც ხელთ ეგდოთ. მაგალითად, ერთი ქართველი ისტორიკოსი ამბობს მასზე, იგი „უმაღლეს და უდიდეს იყო სხუათა ყოველთა სულტანთა, რომელი მთავრობს დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და კაბადუკიასა ვიდრე პონტოდ ზღუადმდეო“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. II, გვ. 92).

მეორე ისტორიკოსიც ასევე კვერს უკრავს და მისი გავლენის სფეროდ უზარმაზარ ტერიტორიას სახავს, რადგან, როცა საქართველოზე სალაშქროდ ემზადებოდა, მან თურმე „წარავლინნა ყოველთა საზღვართა თჳსთა, და იწყო მესოპოტამიას და კალონეროთ, გალატიას, ღანგრას, ანკჳრიას, ისავრიას, კაბადუკიას, დიდსა სომხითს, ბითუნიას და საზღვართა ფებლაღონისათა და არა დაუტევა თჳნიერ დედაკაცისა სოფელთა შინა მათთა, არამედ ყოველნი აამკედრნა“ (იქვე, გვ. 132) და სხვ.

ამიტომ თითქოს უკვე ცხადი შეიქნა ჩემთვის, რომ თუ რუქნადინის ხელქვეითად ძველებურად იქნებოდა ეს ადგილები, მაშინ სრულიად შეუძლებელი იყო საქართველოდან გალაშქრებულ ახალგაზრდა კომნინოსების ჯარს ასე ადვილად წარეღოს „ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი. სინოპი, კერასუნდი, კიტიორა. ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 142).

ამასთანავე აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ქართული წყაროების ეს ჩვენებანი თითქმის ზედმიწევნით მტკიცდება აგრეთვე ბიზანტიელი ისტორიკოსების ნიკიტა ხონიატისის და გიორგი აკროპოლიტისის თხზულებებით და აღმოსავლური წყაროებითაც. გიორგი აკროპოლიტისის საამისო ცნობები უკვე გამოქვეყნებულიცა გვაქვს ქართულად (იხ. მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954 წ.. გვ. 225—232). ხოლო რაც შეესება ნიკიტა ხონიატის. მის ზოგ საისტორიო ცნობაზე ახლა მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას.

ნიკიტა ხონიატისი როცა ჩამოთვლის რუქნადინის მამის, ყილიჩ-არსლანის[1] მიერ თავისი შვილებისათვის სამკვიდროდ მიჩენილ სამფლობელოებსა და ქალაქებს, ეს ჩამოთვლა მნიშვნელოვანწილად ემთხვევა ქართული წყაროების იმ ცნობებს, სადაც ლაპარაკია. ერთის მხრივ, რუქნადინისაგან „ყოველთა საზღვართა თჳსთა“ მოკრებილ ლაშქარზე და, მეორე მხრივ კი—ახალგაზრდა კომნინოსების მიერ დაპყრობილი პონტოს ქალაქებსა და ადგილებზე.

---

[1] საგულისხმოა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციებში და ვახუშტის „საქართველოს ისტორიაში“ საკმაოდ მისახვედრად და სწორად ჩანს რუქნადინის მამის ეს სახელი: ჩარასლან (ერთ ხელნაწერში — ჩარსალან)—ვახტანგისეულში და ყარასლან ვახუშტის თხზულებაში, რაც [ყილი]ჩ-არს[ა] ლანის დამახინჯებას უნდა წარმოადგენდეს.

ძველ ვარიანტებში (მარიამისეული, თეიმურაზისეული, მაჩაბლისეული) მამის სახელი არ მოიპოვება და თვით „სელჩუკიანსა“ სიტყვაც დამახინჯებულად არის წარმოდგენილი — „სული ჩუქან“. (მარიამისეული და მაჩაბლისეული) ანდა „სელი ჩუქანს“ (თეიმურაზისეული); არც ფარსადან გორგიჯანიძე ახსენებს რუქნადინის მამის სახელს, ხოლო „სელჩუკიანს“, „სახუხიანს“ ან „სალჩუხიანის“ ფორმით გადმოსცემს (ფარსადანის აუტოგრაფის ფოტოპირი რევაზ კოკაძემ მიჩვენა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია, ვახტანგის სწავლულ კაცებს (და დავსძენდით — ვახუშტისაც) „ქართლის ცხოვრების“ იმ ხელნაწერთა გარდა, რომელთაც ჩვენამდე მოაღწევია, უთუოდ ხელთ ჰქონდათ სხვა, ეგებ უფრო ძველი და უცთომელი ნუსხებიც. განსხვავებულნი ამჟამად ცნობილი ნუსხებიდან, და იქიდან შემოუტანიათ „ჩარასლანის ძე“ ან „ყარასლანის ძეც“. ეს წყაროსეული იმ ხელნაწერშიაც უკვე დამახინჯებით შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი, თორემ თვით სწავლულ კაცებს რომ შეეკ„ალათ რომელიმე სხვა წყაროდან, მაშინ სწორად და უფრო სრულად შეიტანდნენ („ყილიჩ-არსლან“ ან „ყილჯ-არსლან“) და არა დამახინჯებით. ჩვენი აზრით, რუქნადინის ვინაობის დასახასიათებლად თავდაპირველად, საეარაუდოა, ორიე ეწერა—„სელჩუკიანიც“ და „ყალიჩ-არსლანის ძეც“. მაგრამ შერყვნილ, გაუგებარ წყაროსეულში სოგმა გადაწერისა და რედაქტორმა დახასიათების ერთი ნაწილი ირჩია, სხვამ კი — სხვა.

ასე რომ, ეგებ ემჯობინებოდა, „ისტორიისა და აზმანის“ კრიტიკული გამოცემის ტექსტში, რომელიც ძირითადად მარიამისეულ და საერთოდ ძველ ნუსხებს მისდევს, ამ ადგილას („ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 92) „ჩარასლანის ძის“ სწორი ფორმაც აღგველგინა და ასეთი სახით წარმოგეედგინა: „...სელჩუკიანსა, ყილიჩ-არსლანის ძესა, სახელით რუქნადინს...“ და სხ.

საეროდ, ეს ადგილი რომ ფრიად დამახინჯებული და ძნელად ამოსაკითხი ყოფილა ძველ ნუსხებშიაც იქიდან ჩანს, რომ ამ ერთი სტრიქონის წაკითხვები ძალიან სხვაობს ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში.

ბიზანტიელი მემატიანე გადმოგვცემს, რომ იკონიის სულთანმა ყილიჩ-არსლანმა, რომელსაც ბევრი შვილი ჰყავდა, მასუდს ამასია, ანკვრა, დორილეონი და პონტოს სხვა მცირადი ქალაქები არგუნა წილად; მელიტენე, კესარია და კოლონეია[2]—კოპადოკიის ანუ ყუთბედინის; ამინსოსი ანუ ამისოსი (იგივე ახლანდელი სამსუნი). დოკია და სხვა ზღვისპირა ქალაქები რუქნადინს ხვდა საბატონოდ; ხოლო ქეიხუსრევი ხელმწიფობდა იკონიაში და განაგებდა ლიკაონიასა, პამფილიასა და მთელ მხარეს კოტყაეონამდე. ამის შემდეგ კი მოგვითხრობს, რომ ბუნებით სხვა ძმებზე უფრო ნიჭიერმა და ომში ნაცადმა რუქნადინმა ზედიზედ დაიპყრო ძმების სამკვიდრო სამფლობელოები; კვლავ ხელთ იგდო და გააერთიანა მამისეული მთელი სახელმწიფო და დიდი გაელენა მოიპოვა მთელ წინა აზიაში[3].

მართალია, აკად. ვ. გორდლევსკი ნიკიტა ხონიატისის ზემოხსენებულ ნათქვამს, რუქნადინის მფლობელობაში პონტოს ქალაქების ყოფნის შესახებ, ისე განმარტავს, თითქოს აქ ჯერ კიდევ არ იგულისხმებოდნენ შავიზღვისპირეთის ქალაქები, მაგრამ იმას კი ვერ უარყოფს, რომ პაფლაგონიას, ანუ ჩვენი წყაროების „ფებლაღონს“ მართლაც მალე უნდა დაჰპატრონებოდა ეს სულთანი[4]. ამასთანავე იმავე მკვლევარს სრულიად ბუნებრივად მიაჩნია საერთოდ სელჩუკების და კერძოდ კი გაძლიერებულ-გალაღებული რუქნადინ სულეიმან-შაჰ II-ის ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ მაწინვე, როგორც კი მან შინაგანი სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის საქმე მოითავა; რადგან მისთვის ყველაზე მძლავრი და საშიში მეტოქე მთელ წინა აზიაში, რასაკვირველია, საქართველო იქნებოდა და ვიდრე მას არ დააძაბუნებდა. მუდამ შიშსა და შფოთვაში უნდა ყოფილიყო[5].

ცნობილია საერთოდ, რომ იკონიის სულთანმა იზედინ ყილიჩ-არსლან II-ემ (1156/57—1188/89) თორმეტიოდე შვილს გაუნაწილა თავისი საბრძანებელი და არა მარტო ოთხს, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ დაახლოებით 1195/6 წლის შემდგომ ეს დაჭუცმაცებული სახელმწიფო გააერთიანა და მას კვლავ სათავეში ჩაუდგა რუქნადინი[6]. ასე რომ, ბიზანტიელი ისტორიკოსი ძირითადად სწორად ასახავს საქმის მაშინდელ ვითარებას.

ასევე საინტერესოა ნიკიტა ხონიატისის ცნობა იკონიის ტახტზე კვლავ ყიასედინ ქეიხუსრევ I-ის მეორედ დაჯდომის შესახებ; ეს ფაქტი მართალია ზუსტად არა აქვს დათარიღებული, მაგრამ იქვე მალევე მოაყოლებს ლათინთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის ამბავს და ეს გარემოება დაბეჯითებით გვაგულისხმებინებს, რომ ამ დროისათვის რუქნადინი უკვე გარდაცვლილია[7].

ფრიად საინტერესოა, რომ ნიკიტა ხონიატისმაც ჩინებულად იცის. დავით და ალექსი კომნინოსების ლაშქრობაში მონაწილე ქართველთა ჯარი მართლაც მხოლოდ ლიხთიქითური რომ იყო და არა მთელი მაშინდელი საქართველოს გა-

---

[2] ეს კოლონეია უნდა იგულისხმებოდეს, ჩვენი აზრით, ქართული წყაროს „კალონეროთ“-ში (იხ. ქ. ცხ., ტ. II, გვ. 132_{22}).

[3] Nicetae Choniatae historia. Ex recensione J. Bekkeri. Bonnae, 1835., pp. 689—69:.

[4] В. А. Гордлевский. Избранные сочинения, I, М., 1960, გვ. 53.

[5] იქვე, გვ. 58.

[6] რუმის ანუ იკონიის სელჩუკიანთა ხელმწიფეების შედარებით დაზუსტებული ქრონოლოგიური ტაბულა იხ. ვ. გორდლევსკის ხსენებულ წიგნში, გვ. 217—218.

[7] ნიკიტა ხონიატისი, გვ. 827.

ერთიანებული ლაშქარი, რომელიც ალბათ საჭირო იქნებოდა, თუ რუმის სელჩუკიანთა სასულთნოს სამხედრო ძლიერება წინარე ბასიანის ომში სასტიკად არ შეშფოთებულიყოს. ბიზანტიელი ისტორიკოსი ერთგან ამბობს: „ხოლო კომნინოსთაგანმა დავითმა, მოკრიბა რა ჯარი პაფლაგონიასა და პონტოს ჰერაკლეაში და იქირავა რა ნაწილი ფასისელი („ფასისის მსმელი") იბერებისა (μοῖραν μισθωσάμενος Ἰβήρων τῶν πινόντων τοῦ Φάσιδος), იპყრობდა სოფლებსა და ქალაქებს და ცდილობდა რა განედიდებინა (აღემაღლებინა) თავისი ძმა, სახელად ალექსი, მისი წინამძღოლი და წინასწარმაუწყებელი გახდაო[8]".

ამასთანავე ჩვენ სრულიად შეუძლებლად მიგვაჩნია ტრაპიზონისა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპიროების დასაპყრობ ლაშქრობაში დავით სოსლანს უშუალოდ მიეღოს მონაწილეობა, როგორც ზოგ მკვლევარს ჰგონია[9]. დავით სოსლანის მოთავეობა ამ ლაშქრობაში სრულიადაც აღარ იქნებოდა აუცილებელი სწორედ რუქნადინის დამარცხების შემდგომ; ამიტომ არც საქართველოს მთავრობას მიუჩნევია ეს ექსპედიცია დიდ საომარ ოპერაციად და „მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი" საკმაოდ ჩაუთვლია იქ გასაგზავნად.

უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ თამარის არც ერთი ისტორიკოსი არ ახსენებს ტრაპიზონის საქმეში დავით სოსლანის უშუალო მონაწილეობას, და ძნელი დასაჯერებელი კი არის გამორჩენოდათ ეს ამბავი, ვინაიდან მაინც გვირგვინოსან მეფედ ითვლებოდა და მისი ლაშქრობაში მონაწილეობის ამბავი ოფიციალურ მეისტორიეს არ დაავიწყდებოდა. რაც შეეხება იოანე შავთელის „აბდულმესიანის" იმ ადგილს, სადაც ლიმონას დაპყრობაზეა ლაპარაკი, აქ ისევე ზოგად ფორმაშია გამოსახული და ისევე შეიძლება მიეკუთვნოს იგი საერთოდ თამარის ღვაწლს, როგორც ეს თამარის მეორე ისტორიკოსს აქვს ზოგადად გადმოცემული სწორედ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების გარემოებებთან დაკავშირებით[10]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მცირე ჯარით ლაშქრობა არც სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაურის პრესტიჟს, არც სახელმწიფოს ინტერესებს არ შეეფერებოდა, და არც საჭიროება მოითხოვდა. რაკი მაშინ უდიდესი საფრთხე ახლო აღმოსავლეთის ფარგლებში უკვე თავიდან აცილებული და ბიზანტიის ტახტის ძლიერებაც შერყეული იყო, მრავალი სახელოვანი სარდლის ძყოლ საქართველოს მთავრობას სრულიად არ გაუჭირდებოდა სათანადო მხედართმთავრის შერჩევა ტრაპიზონის ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად.

რასაკვირველია, სრულიად შეუწყნარებელია იმავე გამოკვლევაში გამოთქმული მოსაზრება (მეხოტბენი, წ. II. გვ. 84), თითქოს 1204 წლის აპრილში რომ იგდეს ჯვაროსნებმა ხელთ კონსტანტინოპოლი და „ალექსი ანგელოსის (1195—1204 წწ.) მეფობა დაემხო", თამარმა მაშინ იხელთა დრო, გაიღაჭრა და იოლად დაიპყრო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარეები.

ჯერ ერთი, ჯვაროსნებისაგან 1204 წელს კონსტანტინოპოლის აღება და ქართველთა ჯარის შემწეობით ალექსი კომნინოსის (არა ანდრონიკეს ძის, როგორც შეცდომით ჰგონია ისევ ზოგ მკვლევარს, არამედ ანდრონიკეს შვილის მანუილის ძის) მიერ ტრაპიზონის დაპყრობა თითქმის ერთდაიმავე დღეებში მოხდა. ისედაც აშკარაა მაშინდელი ლაშქრობისა და მიმოსვლის წესრიგიდან, რომ

[8] იქვე, გვ. 828.

[9] შდრ. ძველი ქართველი მეხოტბენი, წიგნი მეორე, გვ. 85.

[10] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 147_{1-13}

სრულიად შეუძლებელი იქნებოდა ეს მომსდარიყო, თუ თამარის მთავრობას რამდენიმე თვით ადრე მაინც არ დაეწყო სამხედრო ოპერაციები. და უეჭველია ეს ასეც იქნებოდა, რადგან ალექსი III ანგელოსის, ანუ ჩვენი წყაროს „ანგარის". ტახტიდან ჩამოგდება 1204 წელს კი არ მოხდა, არამედ ჯერ კიდევ 1203 წლის ივლისში, როცა ტახტზე კვლავ იქნა აღდგენილი ჯვაროსანთა მიერ თვალდათვრილი ისააკი და მისი ძე ალექსი IV. ორივე ეს გვირგვინოსანი კი კვლავ ჩაბოყარა ტახტიდან 1204 წლის იანვარში ალექსი V დუკა მურზუფლოსმა და თვით გაბეფდა[11]. ასე რომ, უშუალოდ არც ტრაპიზონის დაპყრობას მოჰყოლია 1204 წელს კონსტანტინოპოლის ლათინთაგან აღება და არც მაშინ მომხდარი ბიზანტიის იმპერიის დამცობა ყოფილა ქართველთა საომარი მოქმედების დაწყების ბიზეზი. არამედ ყოველივე ეს გაცილებით ხანგრძლივი წინასწარ მოქმედი მიზეზებისა და შექმნილი საერთო ვითარების შედეგი გახლდათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრაპიზონის პირველი მეფის ალექსი კომნინოსის აღმოსავლეთის ძეობის ამბავი, რასაც ბოლო ხანებამდე თითქმის განუსჯელად იმეორებს ქართველი მკვლევრების უმრავლესობა თამარის მეორე ისტორიკოსის ცნობის საფუძველზე („...მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნინოსსა. ანდრონიკეს შვილსა"). როგორც სრულიად ბეჯითად დადგენილია სარწმუნო ბიზანტიური წყაროების (კერძოდ იმავე ნიკიტა ხონიატისის და სხვათა) მიხედვით, ამკარა შეცდომაა — ამ საკითხების შესახებ ჯერ კიდევ „ტრაპიზონის ქრონიკის" ჩემს გამოცემაშია საკმაოდ ვრცელი მსჯელობა (იხ. მას. საქ. და კაქკ. ისტ., ნაკვ. 33, 1960, გვ. 49—50). იგი რასაკვირველია ძე კი არა, ძის ძე— შვილიშვილი — გახლდათ ანდრონიკესი. მამამისი იყო სევასტოკრატორი მანუილი, რომელიც მტარვალი მამის ტახტიდან ჩამოგდების არეულობამ იმსხვერპლა.

ქართული წყაროს ამ ცნობის შესახებ აქ გვინდა კიდევ ის დავსძინოთ, რომ შეცდომა, თამარის მეორე ისტორიკოსის თხზულებაშიც სწორედ „შვილიშვილი" ეწერა და არა „შვილი" და შემდეგ გადამწერთა შეცდომის ბრალია ეს ალრეულობა. მით უმეტეს გასათვალისწინებელია, რომ იმ ეპოქის ძეგლებისათვის, შეიძლება ითქვას, უფრო ნიშანდობლივია „შვილის" აღსანიშნავად „ძის ხმარება (ასეა უფრო ხშირად თამარის ისტორიებში და „ვეფხისტყაოსანშიაც" და ისიც არა მარტო ვაჟიშვილების მიმართ, არამედ ასულების მიმართაც. სათანადო მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება). მეორე მხრივ, ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შვილი აქ საკუთრად შთამომაელის აზრითაა ნახმარი და არა მარტო როგორც უშუალოდ „შვილი" — „ძე". მაგალითად, სწორედ ამ აზრით ჩანს ნახმარი ეს სიტყვა „ისტორიანსა და აზმანწი"—თამარმა „იპოვა შვილი სალჩუკეანიო"[12], სადაც „შვილი სალჩუკეანი", ანუ სელჩუკიანი სელჩუკიანთა ანუ სელჩუკის შთამომავალს, ნაშიერს აღნიშნავს.

სხვა მხრივ, ძველი ქართული საისტორიო წყაროს ბევრ შემთხვევაში ფრიად სარწმუნოობის სასარგებლოდ ყურადღებამისაქცევია შემდეგი ერთი გარემოებაც. ბიზანტიის სამფლობელოთა წინააღმდეგ თამარის ჯარის ლაშქრობის ამბავთან დაკავშირებით მეორე ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ალექსი ანგე-

---

11 ეს ქრონოლოგია იმდენად სწორი და საერთოდ მიღებულია, არა მგონია, საჭირო იყოს ლიტერატურების მითითება.

12 ქარიალის ცხოვრება, ტ. II, გვ. 44.

ლოსმა, რომელიც „ყოველითურთ ბოროტი კაცი იყო და შეუტყუებელი მეფობისა, გარნა უმეტეს ანგარებისათჳს საძაგელ იყო ყოველთა მიერ", კონსტანტინოპოლს ჩაველილ ქართველ ბერებს წაართვა თამარისაგან შეწირული დიდძალი ოქრო და მიითვისა. ამიტომ თამარი „განრისხნა მეფეთა ზედა ბერძენთასა, წარგზავნნა მცირედნი ვინმე ლეხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია" და სხვ.

რასაკვირველია, ეს ერთადერთი მიზეზი ლაშქრობისა შეიძლება მართლაც არ ყოფილიყო, მაგრამ ომის კარგ საბაბად კი შეიძლება გამომდგარიყო. როცა საერთო პოლიტიკური ხელსაყრელი ვითარებაც შეიქმნა კომნინოსთა ნათესაური შტოს გასამეფებლად საქართველოს საზღვრების ახლოს მდებარე ქვეყანაში, და ცხადია აგრეთვე, რომ ეს უბრალო მონაჩმახი არ არის, არამედ ნამდვილად მომხდარი ისტორიული ფაქტის ანარეკლს წარმოადგენს. ამ ამბავს ჯერ ერთი, ათონის 153-ე ალაპიც ადასტურებს[13], სადაც თამარ მეფის საპატივცემოდ დადგენილ მოსახსენებელში სწორედ ეს ფაქტი ჩანს მინიშნებული, როცა ლაპარაკია თამარის შემოწირულებებზე და ბოლოს ასეთი სიტყვებით ბოლოვდება: „მას სხუაჲცა უფროჲსი განეწესა ამის მონასტრისათჳს, უკუეთუმცა ჰავთა ღორთა კაცთა არ დაეკლოო".

მეორე მხრივ, ალექსი ანგელოსის დახასიათებას, რომლისთვისაც ჩვენს ისტორიკოსს ტყუილად არ შეურქმევია „ანგარი". ჩინებულად ეთანხმება ბიზანტიური წყაროები. კერძოდ მის მძარცველობას და ვერცხლისმოყვარეობას, რაც პირად შართლაც ანგარ ბუნებასთან ერთად მისი სახელმწიფო ხაზინის უკიდურესი გაკოტრებითაც აიხსნებოდა, ადასტურებს ნიკიტა ხონიატისი. სხვათა შორის მის ამ მოქმედებასთან კავშირში მოიხსენება იკონიის სულთანი რუქნადინიც.

ნიკიტა შემდეგს მოგვითხრობს: ალექსი ანგელოსს საგანგებოდ გაუგზავნია ექვსი ხომალდით ვინმე კონსტანტინე ფრანგოპულოსი შავ ზღვაში სამეკობროდ, ვითომდა ფასისიდან ბიზანტიონს მომავალი (ἐκ Φάσιδος καταίροντος εἰς Βυζάντιον), ხომალდის საძებრად. რომელსაც კატასტროფა განუცდია თითქოს კერასუნტის მახლობლად. ნამდვილად კი ფრანგოპულოსმა თურმე ულმობლად გაძარცვა ბიზანტიონს მიმავალ-მომავალი ყველა გემი. შემდგომში გაძარცულებმა არა ერთგზის მიმართეს კონსტანტინოპოლის საერო და სასულიერო ხელისუფლებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, რადგან საძარცვი უკვე მეფის ხაზინას ჩაბარდა სამუდამოდო[14].

ფრიად საინტერესოა დეტალი, რომ დაზარალებულთ სასულიერო ხელისუფლების წინაშეც უჩივლიათ, რათა ისინი დაეცვათ ძალმომრეობისაგან. აქ შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ დაზარალებულთა შორის ქართველი ბერებიც იყვნენ, რომლებიც ზღვით მიდიოდნენ, ალბათ სწორედ ფასისიდანაც (დღევანდელი ფოთიდან) და კონსტანტინოპოლის სასულიერო ხელისუფლების წინაშე სამართლისა და მფარველობის ძიება მათთვის სრულიად ბუნებრივი იქნებოდა.

ალექსი „ანგარის" სამეკობრო ოპერაციები რომ მართლაც ფართო მასშტაბისა ყოფილა, იქიდანაც მტკიცდება, რომ მას საერთაშორისო გართულება გამოუწვევია იკონიის სულთან რუქნადინთანაც (ეს ამბები, ცხადია, რუქნადინის საქართველოში გამოლაშქრებასა და მის დამარცხებაზე ადრე ჩანს მომხდარი), რადგან გაძარცულ იკონიელ ვაჭრებს სწორედ რუქნადინისთვის მიუმართავთ

---

[13] ათონის ივერის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაპებით, თბ., 1901, გვ. 258—259.

[14] ნიკიტა ხონიატისი, გვ. 699—700.

მფარველობისათვის. მასაც დიპლომატიური გზებით მოუთხოვნია ზარალის ანაზღაურება. მაგრამ გაიძვერა ალექსი ანგელოსს ნაწილობრივ თავი აურიდებია პასუხისმგებლობისათვის იმ საბაბით, ვითომდა ფრანგოპულოსი თვითნებურად მოქმედებდა და მე არაფერ შუაში ვარო (იქვე. გვ. 700); ხოლო მერე ჩუმად მკვლელიც მიუგზავნია რუქნადინისთვის თურმე.

ქართველ მემატიანეთა ცნობები ზოგ შემთხვევაში ისე ემთხვევა ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობებს თვით გეოგრაფიული და სხვა სახელების გადმოცემაშიაც კი. რომ ქართული ძეგლების წყაროდ შეიძლება ეჩვენოს კიდეც ვინმეს. თუ თვით თხზულებებში არ მოიპოვებოდეს ნიშანდობლივი მითითებანი. რომლებითაც დასტურდება. რომ ქართველი მეისტორიენიც აღწერილი ამბების თანამედროვენი არიან.

დავუბრუნდეთ კვლავ ბასიანის ომის საკითხს. მართალია, ზოგი აღმოსავლელი მეისტორიე („სელჩუკ-ნამეს" ავტორი იბნ ბიბი, იბნ ალ-ასირი, ჰამდალაჰ ყაზვინი და სხვ.) თითქოს 1204/5 ან 1205/6 წლებში დებს რუქნადინის გარდაცვალების თარიღს, მაგრამ მათ თხზულებებში ქრონოლოგიის საკითხები საერთოდ აღრეულად და საეჭვოდ ითვლება (მაგ., იბნ ბიბის ხშირად სულაც არ ეპაჩნია დათარიღებანი და არც სწორი თანამიმდევრობით ჩამოთვლის მომხდარ ამბებს[15]) და ცნობილ ბიზანტინოლოგთა და თურქოლოგთა[16] დიდი უმრავლესობის მიერ რუქნადინის მეფობის დასასრულად უფრო 1203 წელია მიჩნეული (ს. ლენ-პული[17], ა. კრიმსკი[18], ვ. გორდლევსკი[19]. დ. მორავჩიკი[20] და სხვ.). 1204 წელს უკვე მისი შვილი იზედდინ ყილიჩ-არსლან III ჩანს იკონიის სელჩუკიანთა ტახტზე. ხოლო იმავე 1204 თუ 1205 წელს კი ისევ რუქნადინის გაძევებულმა ძმამ — ყიასედინ ქეიხუსრევ I-მა იგდო ხელთ სულთნობა.

აღსანიშნავია, რომ ბასიანში სასტიკად დამარცხების შემდგომ რუქნადინს ბდგომარეობა საკუთარ საბრძანებელშიც ძალიან უნდა შერყეოდა და ძალის დიდი დაძაბვა დასჭირდებოდა ძველებური გავლენის აღსადგენად. ეტყობა, მას კვლავ განუდგენ დამორჩილებული ძმები და ქვეშევრდომები. ამის გამოძახილი ჩანს ვ. გორდლევსკის შენიშვნაში მისი სიკვდილის გარემოებათა შესახებ, რომელიც სარწმუნო წყაროს მიხედვით აქვს მოყვანილი — რუქნადინი „გარდაიცვალა ანკარის აღებისა და თავისი ძმის, მასუდის, მოკვლის მეხუთე-დღესო"[21]. ასე რომ იგი იმდენად შეწუხებული იქნებოდა თავისი საშინაო არეულობებით, რომ ბას სრულიადაც არ ექნებოდა შესაძლებლობა წინააღდგომოდა (და არც ჩანს რომ წინააღმდგომია) დავით კომნინოსის წინსვლას ჰელესპონტის მიმართულებით. რაც. უეჭველია, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით 1203 წლის ივლისიდან მოყოლებული მალევე უნდა განხორციელებულიყო.

---

[15] შდრ. П. Мелиоранский. Сельджук-Намэ. как источник для истории Византии в XII и XIII веках. „Виз. временник," т. I. 1894. გვ. 614.

[16] მაღლობელი ვარ ნ. შენგელიასი, რომელმაც ამ საკითხის შესახებ ცნობები თავაზიანად შემომწერა თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში.

[17] Стэнли Лэн-Пуль, Мусульманския династии. Пер. с англ. В. Бартольд. СПб., 1899, გვ. 128.

[18] А. Крымский, История Турции и ея литературы. т. I. М., 1916. გვ. 9.

[19] В. А. Гордлевский, Избр сочинения, т. I, გვ. 218.

[20] G. Moravcsik, Byzantinoturcica, 2. Aufl., II B., Berlin, 1958, გვ. 250.

[21] იხ. ვ. გორდლევსკის ზემოხსენებული წიგნი, გვ. 218.

ისეთი დიდი ლაშქრობა, როგორიც რუქნადინისა იყო საქართველოს წინააღმდეგ. რომელიც დიდ მზადებას და დიდ გეგმებს ისახავდა (მას მიზნად ჰქონდა მთელი საქართველოს დაპყრობა და აგრეთვე მთელ ამიერკავკასიასა და საერთოდ წინა აზიაში ჰეგემონობის მოპოვება), უნდა ვიფიქროთ, საგანგებოდ იქნებოდა დაგეგმილი; რადგან დიდი ჯარის მოძრაობა და საომარი ოპერაციების წარმატებით წარმართვა ამინდის სიკეთესა და გზების კარგ მდგომარეობაში ყოფნაზე ბევრად იქნებოდა დამოკიდებული. მით უმეტეს მას თავისი ლაშქრით მთიანი, ვიწრო ხეობები უნდა გადმოელახა, რაც შემოდგომისა და ზამთრის ავდრიანობაში ფრიად სახიფათო და დამაბრკოლებელი გარემოება იქნებოდა მისთვის.

ამიტომ საკმაოდ დარწმუნებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუქნადინმა გაზაფხულზე. ამინდების გამოკვეთებისთანავე გამოილაშქრა საქართველოსკენ. ოღონდ რაკი გარდაცვალების წინ (რაიც უფრო სარწმუნოა, მართლაც 1203 წელსვე მოხდა) მას უკვე თითქმის მოუსწრია წონასწორობის აღდგენა თავის სამფლობელოში (რასაც ქართველებისაგან სასტიკად დამარცხების შემდგომ, უნდა გულდაჯერებით ვიგულისხმოთ, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა), შესაძლებლად უნდა მიეჩნიოთ, რომ თვით ბასიანის დიდი ბრძოლა უკვე 1202 წლის გაზაფხულზე, თუ არა და უკიდურეს შემთხვევაში 1203 წლის გაზაფხულზე ძაინც უნდა მომხდარიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ტრაპიზონის საქმეში საქართველოს ჯარის მონაწილეობა ისე უნდა გვეფიქრაუდა, თითქოს ბასიანის ომში გაძარჯვების შემდეგ ქართველთა ჯარი პირდაპირ დაედევნა თითქოს რუქნადინს და ამ ვითარებაში დაიპყრო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსაელეთი და სამხრეთ სახაპიროები. ეს რომ ასე მაშინვე არ მომხდარა, იქიდანაც ჩანს, რომ ქართველთა ჯარი მხოლოდ ლიხთიქითური იყო, რაც აგრეთვე ძალიან დაბეჯითებით გვაფიქრებინებს, რომ ტრაპიზონისაკენ ლაშქრობა სწორედ დასავლეთ საქართველოდან, შავი ზღვის ნაპირის დაყოლებით, მოეწყო[22]. ამას ადასტურებს თვით აღებული ადგილების თანამიმდევრობაც (ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი და სხვ.).

სომეხი მკვლევარი, ა. აბრამიანი ერთ-ერთი იმდროინდელი სომხური სასულიერო თხზულების ანდერძის საფუძველზე დაასკვნის, რომ რუქნადინის დამარცხება სწორედ 1202 წელს მოხდა[23].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მკვლევართაგან თ. ჟორდანიაც ასევე ფიქრობდა ადრევე. იგი თავის ვრცელ მსჯელობას ამ საკითხის შესახებ ასე აძთავრებს: რუქნადინის დამარცხება უნდა მომხდარიყო არა უგვიანეს 1202 წლისაო[24].

ა. აბრამიანის მოსაზრება ომის თარიღის შესახებ შეიძლება მართალი იყოს; ოღონდ საეჭვო ჩანს მისი მსჯელობა ომის ადგილის დახუსტების თაობაზე. რა-

---

[22] სხვათაშორის, ცნობილ ბიზანტიოლოგს ა. ვასილევს პგონია, რომ თავისი ლაშქრობა ქართველთა ჯარმა ერზერუმიდან ანუ არზუმიდან განახორციელა (იხ. მისი The Foundation of the Empire of Trobizond, ჟურნ. „Speculum", 1936. vol. XI. № 1. გვ. 20). მაგრამ მაშინ ერზერუმიდან პირდაპირ ტრაპიზონს ილაშქრებდნენ და პირველად ლაზთს ვერ დაიპყრობდნენ, რადგან იგი ჩრდილოეთით, ხელშეუხებელ დარჩებოდათ.

[23] А. Г. Абрамян, Разгром Рукн-Эддина. Известия Арм. ФАН СССР, 1941, № 5—6 (10—11), გვ. 77—83.

ამ სომხურად დაწერილ ნაშრომზე მიმითითა რ. კიკნაძემ, ხოლო მითარგმნა ზ. ალექსიძემ, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[24] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები. I. ტფ., 1892, გვ. 291.

საც იმავე ანდერძის ცნობათა მისედვით ცდილობს იგი. სიტყვები—რუქნადინმა „ძიაღწია თეოდოსიოპოლისს და იქიდან სურდა გადასვლა სომეხთა და ქართველთა ქვეყანაწიო“ (გვ. 82) — საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა თეოდოსიოპოლისთან მოხდა, ხოლო ბასიანში მხოლოდ პირველად ეხვდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგენი.

საქმე ის გახლავთ, რომ ბასიანი და თეოდოსიოპოლისი ანუ არზრუმი საკმაოდ ახლო არიან ერთმანეთთან (დაახლოებით 40-მდე კმ-ის მანძილზე იმყოფებოდა ბრძოლის ადგილი ამ ქალაქიდან) და როგორც ჰამდალაჰ ყაზვინის, ისე ამ ანდერძის ავტორსაც უბრალოდ შეიძლებოდა უფრო ცნობილი გეოგრაფიული პუნქტის სახელი ემჯობინებინა შედარებით ნაკლებ ცნობილისათვის. მით უმეტეს ისიც ცნობილია, რომ დამარცხებულმა და ლტოლვილმა რუქნადინმა სწორედ არზრუმს მიაშურა და იქ შეაფარა თავი.

ამრიგად, ჩვენი ფიქრით, ჯერ-ჯერობით არაკითარი ისეთი მძიმე საბუთი არ გაგვაჩნია, რომ ქართული წყაროს, თამარის მეორე ისტორიკოსის, ცნობას ბასიანში მომხდარი ბრძოლის ადგილის შესახებ არ ვერწმუნოთ და თვით ომის თარიღის 1203 (და ფრიად შესაძლოა 1202) წლის გაზაფხულს აქეთ მაინც გადმოწევაც ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა.

რევაზ კიკნაძე

ეორღოილანგი—სუღ—სულთანიე

ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე აღნიშნულია, რომ XIV ს-ის ქართველი ისტორიკოსის — ჟამთააღმწერლის თხზულება ძვირფას წყაროს წარმოადგენს არა მარტო XIII—XIV სს. საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიისთვისაც. გარდა ამისა, ქართველი ავტორის საისტორიო ნაწარმოებში მოიპოვება საინტერესო მასალა როგორც საკუთრივ მონღოლთა, ისე მათ მიერ ირანში შექმნილი ილხანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის. ამასთან ერთად, ჟამთააღმწერელმა შემოგვინახა ისეთი რიგის ცნობებიც მონღოლთა ისტორიისათვის, როგორიც ჯერჯერობით არ შეგვხვედრია ჩვენთვის. ცნობილ სხვა საისტორიო ნაწარმოებებში. როგორც ჩანს, ჩვენს ავტორს ხელთ ჰქონია ისეთი წყაროებიც, რომელთაც ან არ მოუღწევიათ ჩვენამდე, ან ჯერ არ არიან გამოვლენილი და სათანადოდ შესწავლილი.

ცნობილია, რომ ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტი საკმაოდ არის შერყვნილი მოგვიანო ხანის გადამწერთა გაუწაფაობისა თუ უყურადღებობის შედეგად. შედარებით უფრო ხშირია შეცდომები ქართველ გადამწერთათვის უცხო სამყაროს — აღმოსავლეთის ქვეყნების ამბების აღწერის დროს, განსაკუთრებით აღმოსავლური საკუთარი სახელების გადმოცემისას[1].

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეხებით ჟამთააღმწერლის თხზულების ერთ ადგილს და რამდენიმე საკუთარი სახელის გასწორება-განმარტებას წარმოვადგენთ.

ქართველი ავტორი მოგვითხრობს, რომ როდესაც ირანის ილხანთა დინასტიის წარმომადგენელი სულთანი ოლჯეითუ („უღჯათ სულტანი") გარდაიცვალა, „იგი მიასუენეს და დაფლეს ქალაქსა, რომელსა ეწოდების ყორღოილანგი, რომელი მან აღაშენა და განავრცო უმეტეს თავრეზისა და უწოდა სახელად სუღ"[2].

როგორც ცნობილია, ჟამთააღმწერლის თხზულების სრული ტექსტი სამჯერ არის გამოცემული[3] და მისი ფრანგული თარგმანიც არსებობს[4]. გარდა ამი-

---

[1] რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა თუ უზუსტობა თვითონ ჟამთააღმწერლის მიერაც არის დაშვებული უცხოურ წყაროებში უცნობი საბელების ამოკითხვის დროს. ორიოდე საამისო, მაგალითი იხ. წერილში: რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები. „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული", II, თბ., 1962.

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი. დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 324—325.

[3] ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის. I. გამოცემა მ. ბროსესი, სპბ., 1849 (მეორე გამოც. ზ. ჭიჭინაძისა, ტფ., 1897); ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ეარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., II.

[4] **Histoire du la Georgie, trad. du georgien par M. Brosset. I, SPb., 1849.**

სა. ამ საისტორიო ნაწარმოების ბოლო ნაკვეთი „ახალი ქართლის ცხოვრების“ დასაწყისად აქვთ დაბეჭდილი მ. ჯანაშვილს და ივ. ჯავახიშვილს[5].

ამგვარად, ჟამთააღმწერლის თხზულების ზემომოყვანილი ნაწყვეტი უმნიშვნელო კითხვათსხვაობებით ხუთგზის არის გამოქვეყნებული ქართულად (მ. ბროსე, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი) და ერთხელ ფრანგულად[6], მაგრამ არც ერთ გამოცემაში ზემოთ მოხსენიებული გეოგრაფიული სახელწოდებანი („ყორღოილანგი“, „სუღ“) სათანადოდ ახსნილი და განმარტებული არ არის. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მართალია. ამ სახელწოდების ქალაქი არ არსებობს ირანში, მაგრამ როგორც მონღოლთა ბატონობის პერიოდის, ისე მომდევნო ხანის აღმოსავლურ, უპირატესად სპარსულ, წყაროებში მდიდარი მასალა მოიპოვება ილხანთა სახელმწიფოს ქალაქების ისტორიისათვის. ამ წყაროების მონაცემთა საფუძველზე ძნელი არ არის ჟამთააღმწერლის თხზულების ნუსხებში დაცული შერყვნილი ფორმის გასწორება და ქართველი ავტორის მიერ ნაგულისხმევი ქალაქის ზუსტად მინიშნება.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ირანის ილხანები გარკვეულ ინტერესს იჩენდნენ საქალაქო მშენებლობისადმი, მაგრამ ეს მშენებლობა თავისებური ხასიათისა იყო. უპირატესი ყურადღება ექცეოდა ილხანთა სატახტო ქალაქების, სასახლეთა თუ ტაძრების აგებას. მონღოლთა შემოსევების დროს აოხრებული ადგილების აღდგენაზე კი არავინ ფიქრობდა[7]. რაშიდ ედ-დინის სიტყვით, სამფლობელოთა მხოლოდ ერთი მეათედი იყო კეთილმოწყობილი, დანარჩენი კი დანგრეული რჩებოდა. ისტორიკოსის სიტყვებიდან ირკვევა, რომ პირველი ილხანები საერთოდ ნაკლებად ზრუნავდნენ დანგრეულის აღდგენაზე, ხოლო თუ ზოგჯერ იწყებდნენ ამა თუ იმ ადგილზე ქალაქის ან სასახლის აგებას, ამის გამო სხვა ოლქები კიდევ უფრო მეტად ოხრდებოდა. მშენებლობაზე ჯაზარმაზარი თანხები იხარჯებოდა, გლეხები ძალით გამოჰყავდათ ბეგარაზე,

---

5 მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, ტფ., 1907. გვ. 15—17; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 1—5; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა სავსებით სწორად განსაზღვრა ჟამთააღმწერლის თხზულების შეჰადგენლობა და მის დასასრულად მიიჩნია ცნობილი ფრაზა: „ფიწყო მთიებმან აღმოუჩინებად...“ (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, ტფ., 1916. გვ. 193, 195; იხ. აგრეთვე მეორე-მესამე შევს. გამოც., თბ., 1945. გვ. 246—247). მაგრამ „ახალი ქართლის ცხოვრების“ გამოცემისას მან მაინც ანგარიში გაუწია ჯანაშვილისეული ნუსხის არშიაზე უცნობი პირის მიერ გაკეთებულ მინაწერს („[ა]მას ქვემო ამ წიგნში ყველა სწორედ არ უწერიათ. ღრნ მიუტეოს ეგნატაშვილს ბერს იმდენი შურით და მტერობით სიცრუე...“) და დასაშვებად მიიჩნია ბერი ეგნატაშვილის ნაწარმოების დასაწყისად გამოქვეყნებინა ჟამთააღმწერლის თხზულების ბოლო ნაწილი, თუმცა კი, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ ამ ნაწყვეტის არსებობა ეახტანგის წინადროინდელ ნუსხებში გაპორიცხავდა მისი სწავლულ კაცთა კომისიისათვის მიკუთვნების შესაძლებლობას (შდრ. ს. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 266—267, 268, შენ. 1).

6 **Pour lui, on déposa son corps dans la ville Qorgholagi, qu'il avait embellie et rendue plus grande que Tauriz, et nommée Sough (Histoire de la Georgie, l. გვ. 643).**

7 რ. კიკნაძე, ქალაქები ილხანთა ირანში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 184.

შაგრამ თითქმის არც ერთი მშენებლობა ბოლომდე არ მიუყვანიათ[8]. ხოლო, რაც დაამთავრეს, იმდენად ცუდად იყო ნაგები, რომ მოკლე ხანში ინგრეოდა[9].

ისტორია ყამთააღმწერლის მიერ მოხსენიებული ქალაქისა არღუნ-ხანის (1284—1291) დროს იწყება. ყაზან-ხანისა და სულთან ოლჯეითუს მამას არღუნს, რაშიდ ედ-დინის თქმით, განსაკუთრებული მისწრაფება ჰქონია დიდი მშენებლობისადმი[10]. მან თავრიზის დასავლეთით საფუძველი ჩაუყარა დიდ ქალაქს, რომელსაც არღუნიე უწოდა სახელად, მანვე გააგრძელა ჰულაგუ-ხანის მიერ დაწყებული მშენებლობა ქალაქ ხაბუშანისა, ალათაღში ააგო საზაფხულო სასახლე და ა. შ.[11]. გარდა ამისა, არღუნ-ხანმა გადაწყვიტა კიდევ ერთი დიდი ქალაქი აეგო და ადგილის შერჩევას შეუდგა მშენებლობისათვის. სახელმწიფოს დიდებულებმა და მახლობლებმა ბევრი ადგილი დაასახელეს და მათი ღირსება-ნაკლოვანებებიც თქვეს. ბოლოს არჩევანი შეაჩერეს შარვიაზის ანუ ყუნყურულანგის ველზე, რომელიც ძალიან კარგი საზაფხულო სადგომი იყო[12]. ილხანის ბრძანებით აბჰარსა და ზენჯანს შორის, შარვიაზის ველზე ქალაქის მშენებლობას შეუდგნენ და სარწყავი არხები და წყაროები გაიყვანეს იქ[13]. ახალი ქალაქისთვის დაუწყიათ გალავნის შემოვლება, რომლის სიგრძე 12 ათას ნაბიჯს უდრიდა[14].

შარვიაზის ანუ შაჰრუიაზის მაღლობი პლატო, რომელიც ზღვის დონიდან 1500—1700 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, განსაკუთრებით იზიდავდა მონღოლებს გრილი ჰავით, კარგი წყლით, ნოყიერი საძოვრებითა და ნადირის სიმრავლით. ამ ადგილს მონღოლებმა ყუნყურულანგი (قونقور اولانگ[15]) ანუ „ხერდაგი ცხენების ველი" დაარქვეს[16] და ზოგჯერ ამავე სახელით ალნიშნავდნენ იქ დაარსებულ ქალაქსაც[17].

ამგვარად, ყამთააღმწერლის მიერ მოხსენიებული ყორღოილანგი არის არღუნ-ხანის მიერ ირანის ერაყში, შარვიაზის ველზე დაარსებული ქალაქი ყუნყურულანგი.

არღუნმა დიდძალი სახსრები მოახმარა მშენებლობას, მაგრამ ვერ მოესწრო ქალაქის დამთავრებას[18]. მისი უფროსი ვაჟიშვილის ყაზან-ხანის მეფობა-

---

[8] Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III. Баку. 1957, სპარს. ტექსტი, გვ. 410, 558; რუს. თარგმ., გვ. 232. 320.

[9] იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 410; რუს. თარგმ., გვ. 232.

[10] იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 223, 229; რუს. თარგმ., გვ. 128, 353.

[11] იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 223, 229, შენ. 1; რუს. თარგმ. გვ. 128. 353. შენ. 49.

[12] ჰაფეზ-ე აბრუ, ზეილ-ე ჯამი, ათ-თავარიხ-ე რაშიდი. თეირანი, 1938, გვ. 8

[13] Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 223, 229, შენ. 1; რუს. თარგმ., გვ. 128, 353. შენ. 48.

[14] The geographical part of Nuzhat-ul-qulub, composed by Hamd Allah Mustawfi of Qazwin. Ed. by G. Le Strange, GMS. XXIII. 1, Leyden—London. 1915, გვ. 54.

[15] წყაროებში ეს სახელწოდება სხვა ფორმითაც გვხვდება: قونغور اولانگ، قنغر الانگ، قنقور النگ، قنغرلان، قنغرلاق

[16] V. Minorsky, Sultaniya. The Encyclopaedia of Islam. IV, გვ. 548.

[17] The Tarikh-i-jahan-gusha of 'Ala ud-din 'Ata Malik-i-Iuwaini. Ed. by M. Qazwini. GMS, XVI, 1, Leyden—London. 1912. მ. ყაზვინის წინასიტყვაობა, სპარს. ტექსტი, გვ. 39. შენ. 1; ინგლისური თარგმ., გვ. XXXV, შენ. 1.

[18] Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III. სპარს. ტექსტი, გვ. 223, 229. შენ. 1; რუს. თარგმ., გვ. 128, 353. შენ. 48; ჰაფეზ-ე აბრუ, გვ. 8; მირხონდი. როუზათ ას-საფა, ტ. V, თეირანი, 1960, გვ. 427.

ში (1295—1304), როგორც რაშიდ ედ-დინი მოგვითხრობს, განსაკუთრებული ზომები მიუღიათ დანგრეულ-აოხრებული ადგილების აღსადგენად. ილხანის ბრძანებით შეადგინეს ჩასატარებელ სამუშაოთა ზუსტი ხარჯთაღრიცხვა, ხოლო ფული და, საერთოდ, მშენებლობის საქმეები სანდო მოხელეებს ჩააბარეს[19]. ყურადღება მიექცა აგრეთვე მონღოლთა შემოსევების დროიდან მოშლილი სარწყავი სისტემის აღდგენას და ახალი არხების გაყვანას[20].

ყაზან-ხანის დროს არღუნის მიერ ყურყურულანგში დაწყებული მშენებლობა კვლავ დაუმთავრებელი რჩებოდა. სამაგიეროდ ყაზანმა საგანგებო ზომები მიიღო თავრიზის კეთილმოსაწყობად, რომელიც მრავალი შესანიშნავი ნაგებობით დამშვენდა[21]. ქალაქის მოსახლეობა ყაზანის დროს იმდენად გაზრდილა, რომ ხალხი გალავანს გარეთაც სახლდებოდა, რის გამოც, ჰამდალაჰ ყაზვინის სიტყვით, ქალაქის თითოეულ კართან (ამავე ავტორის ცნობით თავრიზს მაშინ ათი კარი ჰქონია) თვითონ ქალაქზე უფრო დიდი დასახლებები გაჩნდა[22]. ილხანის ბრძანებით თავრიზს ექვსკარიანი ახალი გალავანი შემოავლეს, რომლის სიგრძე 25 ათას ნაბიჯს უდრიდა[23]. ქალაქის განაპირას გაშენებული ბაღ-ვენახები და ახალშენები გალავნის შიგნით მოექცა. ყაზან-ხანმა გააგრძელა აგრეთვე არღუნის მიერ თავრიზის მახლობლად, შამბი დაწყებული მშენებლობა. ახალ ქალაქს ყაზანიე ან შამბ-ე ყაზანი ეწოდა სახელად. აქ აგებულ იქნა ილხანის აკლდამა, რომლის გარშემო განლაგდა სხვადასხვა საქველმოქმედო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი (საკრებულო მეჩეთი, ორი მედრესე, ობსერვატორია, საავადმყოფო, წიგნსაცავი, დერვიშთა და სეიდების თავშესაფრები, აბანო, დახურული წყალსაცავი და სხვ.)[24].

ყაზან-ხანის შემდეგ ილხნად დაჯდა მისი უმცროსი ძმა ოლჯეითუ, რომელიც გამუსლიმანების შემდეგ სულთან მოჰამედ ხოდაბანდად იწოდა. მის სახელთანაც ასევე რამდენიმე ქალაქის მშენებლობა არის დაკავშირებული. კერძოდ, ოლჯეითუს დაუარსებია ქალაქი სულთანაბადი ბისუთუნის მთის ძირას და აგრეთვე სულთანაბადი მუღანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე[25].

---

[19] Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III. სპარს. ტექსტი, გვ. 410 — 411; რუს. თარგმ., გვ. 232.

[20] იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 411—412, რუს. თარგმ., გვ. 232—233.

[21] იქვე, სპარს. ტექსტი, გვ. 413 შმდ.; რუს. თარგმ., გვ. 234 შმდ.; Letters of Rashid-ad-din Fadl Allah. Persian text. ed by Khan Bahadur Mohammad Shafi', Lahore, 1947, გვ. 317—321, The geographical part of Nuzhat-al-qulub, გვ. 77; В. Бартольд. Историко-географический обзор Ирана, СПб., 1903, გვ. 146 — 147; V. Minorsky, Tabriz, The Encyclopaedia of Islam, IV, გვ. 586; И. П. Петрушевский, Городская знать в государстве Хулагуидов, „Советское востоковедение". V. 1949; რ. კიკნაძე, ქალაქები ილხანთა ირანში, გვ. 185 — 188; Н. В. Пигулевская, А. Ю Якубовский, И. П. Петрушевский, Л. В. Строева, А. М. Беленицкий. История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., Л., 1958, გვ. 204 — 205.

[22] The geographical part of Nuzhat-al-qulub, გვ. 76. იხ. აგრეთვე, Рашид-ад-дин. Джами ат-таварих, III. სპარს. ტექსტი, გვ. 413; რუს. თარგმ., გვ. 234.

[23] The geographical part of Nuzhat-al-qulub. გვ. 76.

[24] Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III. სპარს. ტექსტი, გვ. 416 — 420; რუს. თარგმანი, გვ. 225 — 238. იხ. აგრეთვე, რ. კიკნაძე, ქალაქები ილხანთა ირანში, გვ. 186.

[25] The Tarikh-i-guzida of Hamdullah Mustawfi-i-Qazwini, ed. by Ed. G. Browne, GMS, XIV, 1, London—Leyden, 1910, გვ. 596; მოინ ედ-დინ ნათანზი. მონთახაბ ათ-თავარიხ-ე მოინი, თეირანი, 1957, გვ. 141 (ნათანზი მუღანში აგებულ ქალაქს ოლჯეითუბადს უწოდებს).

1305 წელს, თავისი ვაჟის აბუ-საიდის დაბადების აღსანიშნავად[25] ოლჯეითუმ გააგრძელა მამამისის მიერ ყუნყურულანგში დაწყებული მშენებლობა. მას ქალაქისთვის ახალი გალავნის შემოვლება დაუწყია, რომლის სიგრძე, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, 30 ათას ნაბიჯს უდრიდა[27]. სახელმწიფოს დიდებულებსაც დიდი გულმოდგინება გამოუჩენიათ ამ საქმეში და მოკლე დროში ყუნყურულანგში დიდი ქალაქი აშენდა[28].

ოლჯეითუს ბრძანებით ქალაქში თლილი ქვისაგან ააგეს ციხე, რომელსაც ორი ათასი ნაბიჯის სიგრძის ზღუდე ჰქონდა შემოვლებული[29]. ზღუდეს ერთი კარი და თექვსმეტი კოშკი ჰქონდა დატანებული[30]. იგი აგრეთვე თლილი ქვით იყო ნაგები და ისეთი სქელი ყოფილა, რომ ზედ ოთხ მხედარს შეეძლო თურმე გვერდიგვერდ ცხენის გაჭენება[31]. ციხის ტერიტორიაზე აშენდა აგრეთვე დიდი სასახლე, დივანხანა, მეჩეთი, საავადმყოფო, მედრესე, სეიდთა თავშესაფარი და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებანი, რომლებსაც ილხანმა დიდი ქონება შესწირა ვაყფად[32]. მონღოლმა ამირებმა და სხვა დიდებულებმაც ააგეს შენობები ციხის ტერიტორიაზე[33]. გარდა ამისა, მათ ქალაქის სხვა ნაწილების მშენებლობაშიც მიუღიათ მონაწილეობა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ცნობილმა ისტორიკოსმა და სახელმწიფო მოღვაწემ, ყაზანისა და ოლჯეითუს ვაზირმა რაშიდ ედ-დინმა; მას მთელი უბანი აუშენებია ქალაქისა, სადაც ათასი სახლი იდგა. აქვე აგებულ იქნა მედრესე, საავადმყოფო და ხანაკა[34].

ქალაქის მშენებლობა 1313 წელს დამთავრდა[35] და დიდი ზეიმით აღინიშნა. სულთანმა ოლჯეითუმ მას სულთანიე (سلطانیه) უწოდა სახელად[36] და თავის საზაფხულო დედაქალაქად გამოაცხადა. ირანის სხვადასხვა ვილაიეთები-

---

[25] J. Kramers. Olčaitu Kudabanda, The Encyclopaedia of Islam, III, გვ. 975; V. Minorsky, Sultaniya, გვ. 548.

[27] The geographical part of Nuzhat-al-qulub. გვ. 55. ამავე ავტორის ცნობით, გალავნის მშენებლობა ვერ დაუმთავრებიათ ილხანის გარდაცვალების გამო (იქვე). კასტილიის მეფის ელჩი კლავიხო, რომელმაც XV ს-ის დამდეგს ინახულა იქაურობა, აღნიშნავს, ქალაქი ზღუდე არ აქვსო (Рюи Гонзалес де Клавихо. Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1403 — 1406 гг. Подлинный текст с переводом и примечаниями под ред. И. И. Срезневского, СПб., 1881, გვ. 176).

[28] The Tarikh-i-guzida. სპარს. ტექსტი, გვ 596; ნათანზი. გვ. 141; ჰაფეზ-ე აბრუ, გვ. 9.

[29] The geographical part of Nuzhat-al-qulub. გვ. 55. ჰაფეზ-ე აბრუსა და მირხონდის ცნობით. ზღუდეს კვადრატის ფორმა ჰქონია. რომლის თითოეული გვერდის სიგრძე 500 გაზს უდრიდა (ჰაფეზ-ე აბრუ. გვ. 9; მირხონდი. V, გვ. 428).

[30] ჰაფეზ-ე აბრუ, გვ. 9; მირხონდი. V, გვ. 428.

[31] ჰაფეზ-ე აბრუ. გვ. 9; მირხონდი. V. გვ. 427 — 428.

[32] ნათანზი, გვ. 155, ჰაფეზ-ე აბრუ, გვ. 9; მირხონდი, V. გვ. 428.

[33] ჰაფეზ-ე აბრუ, გვ. 9. მირხონდი. V. გვ. 428.

[34] ჰაფეზ-ე აბრუ. გვ. 10; მირხონდი. V. გვ. 428.

[35] H. Howorth, History of Mongols, pt. III. The Mongols of Parsia, London, 1888, გვ. 582; V. Minorsky, Sultaniya, გვ. 548.

[36] მირხონდი. V, გვ. 428; Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III, სპარს. ტექსტი, გვ. 229, შენ. 1; რუს. თარგმ., გვ. 353, შენ. 48 (როგორც ცნობილია, ოამიდ ედ-დინის „ისტორიათა კრებული“ არ შეიცავს სულთან ოლჯეითუს ილხნობის აღწერას, მკვლევ ამ თხზულების პარიზისა და სსრკ მეცნ. აკად. აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის ნუსხებში მოიპოვება გეიანდელი ჩანართი, სადაც აღნიშნულია. რომ არღუნ-ხანის მიერ ყუნყურულანგში დაარსებული ქალაქის მშენებლობა ოლჯეითუმ დაამთავრა და უწოდა სახელად სულთანიე).

დან ძალით აჰყარეს ათასობით მცხოვრები, უპირატესად ვაჭარ-ხელოსნები, და სულთანიეში გადმოასახლეს. სულთანიე ირანის პოლიტიკური და სავაჭრო ცენტრი გახდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჰამდალაჰ ყაზვინი სწორედ სულთანიეში უყრის თავს ქვეყნის ექვს მთავარ მაგისტრალს, ე. წ. შაჰრაჰებს, რომლებიც რადიალურად კვეთდნენ ირანის ტერიტორიას და უცხო ქვეყნებთან აკავშირებდნენ მას[37]. საქარავნო გზებზე ასეთი მდებარეობის წყალობით სულთანიე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში. სულთანიეს, ისევე როგორც თავრიზსაც, საერთაშორისო ბაზრის მნიშვნელობა ჰქონდა[38]. კლავიხოს სიტყვით, ქალაქი ფართო ვაჭრობას ეწეოდა და დიდ მოგებას ადლევდა ხელმწიფეს. განსაკუთრებით ბევრი ვაჭარი იყრიდა თავს სულთანიეში ხაფხულის თვეებში. აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან, ისევე როგორც ირანის ოლქებიდან და ქალაქებიდან, აქ შემოჰქონდათ უცხო სანელებლები, აბრეშუმი, ძვირფასი ქსოვილები, ბამბეული, ბოგალტერი, ლალი, ფირუზი და სხვა საგნები[39].

ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობით, საჯაჭრო გადასახადის— თამღის შემოსავალი სულთანიედან, როცა ილხანის ურდო იქ იმყოფებოდა, საკმაოდ დიდ თანხას, 30 თუმანს შეადგენდა, სხვა დროს კი 20 თუმანს[40].

ოლჯეითუს განზრახული ჰქონია ნეჯეფიდან და ქერბელადან სულთანიეში გადმოესვენებინა შიიტების სათაყვანო ხალიფა ალისა და იმამ ჰუსეინის ნეშტები[41]. ამით მას სურდა კიდევ უფრო მეტად გაეზარდა ახალი სატახტო ქალაქის მნიშვნელობა და რელიგიურ ცენტრადაც ექცია იგი[42]. ამ მიზნით ციხის ტერიტორიაზე აგებულ იქნა რვაკუთხედის ფორმის გრანდიოზული შენობა, რომელიც 120 გაზის სიმაღლე გუმბათით იყო დამშვენებული[43]. თანამედროვეთა ცნობით, მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებობდა ასეთი დიდებული ნაგებობა[44], რომელიც სპეციალისტთა მიერ მსოფლიო არქიტექტურის ერთ-ერთ შესანიშნავ ქმნილებად არის აღიარებული[45].

სანამ აკლდამის მშენებლობა დამთავრდებოდა, ოლჯეითუ კვლავ სუნიზმისკენ გადაიხარა და, ალბათ, შიიტი წმინდანების სულთანიეში გადმოსვენე-

---

[37] The geographical part of Nuzhat-al-qulub. გვ. 164 — 169. ვ. მინორსკი შენიშნავს, ჰამდალაჰ ყაზვინის გახვიადებული აქვს სულთანიეს მნიშვნელობა როგორც ირანის ცენტრისა. მისი აზრით, სწორედ ჭალაჩის ბოებრხეველი შდებარეობა განსაზღვრა მისი სწრაფი დაცემისა (V. Minorsky. Sultaniya. გვ. 548).

[38] W. Heyd. Histoire du commerce du Levant, II, Leipzig, 1923, გვ. 108.

[39] Клавихо, Дневник путешествия ко двору Тимура, გვ. 177 — 180; W. Heyd, Histoire du commerce du Levant, II. გვ. 108. სულთანიეს სავაჭრო მნიშვნელობის შესახებ იხ. აგრეთვე, Я. А. Манандян. О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Ереван, 1954. გვ. 263, 287, 300.

[40] The geographical part of Nuzhat-al-qulub, გვ. 55.

[41] V. Minorsky. Sultaniya. გვ. 548; A survey of Persian art, II, გვ. 1342.

[42] ოლჯეითუ ბაუშაობაში დედამისმა ქრისტიანული წესით მოანათლინა, როდესაც წამოიზარდა, სუნიტი შესლიმი გახდა, მერე კი შიიტობა მიიღო. მან სცადა შიიზმის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ირანში, მაგრამ ვერ შესძლო ეს ირანული სასულიერო და სამოხელეო არისტოკრატიის მძაფრი წინააღმდეგობის გამო.

[43] ჰაფეზ-ე აბრუ, გვ. ე.

[44] ნათანზი, გვ. 141; ჰაფეზ-ე აბრუ, გვ. 9; ჰამდალაჰ ყაზვინიც აღნიშნავს, ამდენი მაღალი შენობა თავრიზის გარდა არც ერთ სხვა ქალაქში არ არისო (The geographical part of Nuzhat-al-qulub, გვ. 55).

[45] A survey of Persian art, II. გვ. 1339.

ბის ვეზმაც განუხორციელებელი დარჩა. ამასობაში ილხანი გარდაიცვალა კიდეც (1316 წლის დეკემბერში) და ალისა და ჰუსეინისათვის მომზადებული დიდებული აკლდამა სათანადო რეკონსტრუქციის შემდეგ მისივე ნეშტის დასასვენებლად იქნა გამოყენებული[46].

ამგვარად, როგორც ვნახეთ, არღუნ-ხანის მიერ შარეიაზში ანუ ყუნყურულაზე დაწყებული მშენებლობა მისმა უმცროსმა ვაჟმა ოლჯეითუმ დაასრულა. მან ქალაქს სულთანიე უწოდა სახელად და თავის სატახტო ქალაქად გამოაცხადა იგი. ოლჯეითუ ამავე ქალაქში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს[47].

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ ქამთააღმწერლის მიერ მოხსენიებული სუღ არის ქალაქი სულთანიე. ახლა უკვე ძნელი არ არის იმის წარმოდგენაც, თუ როგორ გაჩნდა ქართულ ტექსტში სუღ ფორმა. როგორც ჩანს, ქამთააღმწერლის თხზულების ერთ-ერთ უძველეს ნუსხაში (ან, იქნებ, დედანშიც, რამდენადაც ამჟამად ცნობილი ყველა ნუსხა ამავე ვარიანტს იცავს) ფურცლის დაზიანების შედეგად დაიკარგა სიტყვის უკანასკნელი სამი მარცვალი, ხოლო ლ-ს (ან ლ-ს) ბოლო ნაწილი ჩამოსცილდა. შედეგად, სულთანიეს (ან სულთანიას, როგორც „ახალი ქართლის ცხოვრებაში" ე. წ. პირველსა და მესამე ტექსტებში გვხვდება[48]) ნაცვლად დარჩა სუღ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში საყურადღებო ცნობები მოიპოვება სულთან ოლჯეითუს შესახებ. ქამთააღმწერელი საინტერესოდ აღწერს მის ილხნობაში მომხდარ ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას. ქართველმა ავტორმა იცის ოლჯეითუს მეტსახელი „ხარბანდა"[49], მოეპოვება ცნობა მისი გარეგნობის შესახებ[50], დაწვრილებით აღმოსავლური წყაროებისაგან რამდენადმე განსხვავებით აქვს გადმოცემული გილანის დაპყრობის ამბავი[51], აღწერილი აქვს სირიაში ლაშქრობა და რაჰბეს ციხეს გარემო-

---

[46] A survey of Persian art, II. გვ. 1342.

[47] მ. ბროსეს „ქართლის ცხოვრების" ფრანგული თარგმანის შენიშვნაში აღნიშნული აქვს დ'ოსონის თხზულებაზე დაყრდნობით, რომ ოლჯეითუ გარდაიცვალა და დაიკრძალა მის მიერვე „ყუღურლანში" დაარსებულ ქალაქ სულთანიეში. მაგრამ მას არ უცდია სუღ--Sough სიტყვის განმარტება (Histoire de la Georgie, I. გვ. 643. შეად. 2. იხ. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფ., 1885. გვ. 272. შენ. 1).

[48] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 371, 521.

[49] „ხოლო შემდგომად მისსა (ყაზან-ხანისა — რ. კ.) დასუეს ტახტსა ყაენთასა ძმა მისი, სახელით ხარბანდა" (ქართლის ცხოვრება, II. გვ. 318. იხ. აგრეთვე გვ. 320, 322). ოლჯეითუს ამ მეტსახელის შესახებ, რაც „საბედრის მონას" ნიშნავს, წყაროებში სხვადასხვა შეხედულებებია გამოთქმული. მათ შესახებ იხ. E. G. Browne, A literary history of Persia, III, Cambridge, 1928. გვ. 46 — 47; ვაფეზ-ე აბრუ, გვ. 3 — 5 (გამომცემლის შენიშვნა).

[50] „რომელ ერთითა თუალითა არა მხედველ იყო" (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 318).

[51] იქვე, გვ. 318—320. საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღმოსავლური წყაროების მიხედვით, ილხანთაგან ოლჯეითუმ პირველმა სცადა გილანის დაპყრობა. მირხონდი იმასაც კი აღნიშნავს, ჩინგიზ-ხანის შთამომავალთაგან, ვისაც კი ირანში უბატონია, ოლჯეითუ სულთანამდე არავის უცდიაო გილანის დაპყრობა ძნელად საეჭვო გზებისა და ხშირი ტყეების გამოო (მირხონდი, V, გვ. 440). ამავე დროს ქამთააღმწერელს მოეპოვება საკმაოდ ვრცელი თხრობა აბაღა-ხანის დროს გილანის დასაპყრობად მოწყობილი ლაშქრობის შესახებ, რომელიც მარცხით დამთავრებულა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 276). ჩვენს ავტორს აქ იმდენად საყურადღებო ცნობები და ისეთი დამახასიათებელი დეტალები აქვს მოტანილი, რომ მისი თხრობა უეჭველ რომელიღაც თანადროულ წყაროზე უნდა იყოს დამყარებული.

ცვა[52] და ა. შ.[53] ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ილხანთა სახელმწიფოს ისტორიის მრავალი საყურადღებო საკითხის შესასწავლად.

---

[52] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 323—324. ქართულ ტექსტშია „რაბაშანი", ვარიანტები: რაბშამა, რაბაშმა. როგორც ჩანს, ჩვენი ავტორის მიერ გამოყენებულ სპარსულ ტექსტში ეწერა رحبه شام — რაჰბე-ე შამ, ე. ი. „შამის (სირიის) რაჰბე, რაც მან რაჰბაშამად წაიკითხა (რაჰბე მდ ევფრატის ნაპირზე მდებარე ქალაქია. წყაროებში ხშირად იხსენიება როგორც შამის რაჰბე).

[53] აქვე შევნიშნავთ, რომ „ქართლის ცხოვრების" უკანასკნელ გამოცემაში, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, ნუსხების ვარიანტები ყოველთვის მართებულად ვერ არის შერჩეული ტექსტისათვის. მაგ., ქამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ გილანს ლაშქრობის დროს ოლჯეითუ „ოთხად განყო სპა თჳსი:... ერთი ნაწილი მისცა ხუტლუბუღასა და ბექასა" (გვ. 318). ეს უეთლუბუღა სხვა დროსაც არაერთგზის იხსენიება როგორც ქამთააღმწერელთან, ისე ფარსადან გორგიჯანიძესა (ხუტულ ბუღა) და ვახუშტი ბაგრატიონთანაც (ხუტლუ-ბუღა). ამავე დროს სპარსული წყაროებით ცნობილია, რომ ნოვრუზ ამირას სიკვდილით დასჯის შემდეგ ილხანთა სახელმწიფოს ულუსის ამირად და მხედართმთავრად გახდა ყუთლუღშაჰ (قتلغشاه) ნოიონი და სწორედ მის შესახებ არის საუბარი დასახელებულ ქართულ წყაროებში. ამ სახელის გაქართულებული ფორმა ხუტლუშა (ან შ-სა და ბ-ს აღრევის შედეგად მიღებული „ხუტლუბა—ხუთლუბა) გვხვდება როგორც ნუსხათა ერთ ნაწილში, ისე „ქართლის ცხოვრების" ბროსესეულ და თაყაიშვილისეულ გამოცემებში, და სწორედ მას უნდა მისცემოდა უპირატესობა.

იგივე შეიძლება ითქვას ოლჯეითუს ერთ-ერთი ვაჟის სახელის შესახებაც, „ბარტამ"-ად რომ იხსენიება დასახელებულ გამოცემაში (გვ. 322). სპარსული წყაროებით მას ერქვა ბასტამ (بسطام). ასეთივე სწორი ფორმა ამ სახელისა დაცულია bsd ნუსხებშიც.

А. А. АЛИ-ЗАДЕ

К НЕКОТОРЫМ ВОПРОСАМ, ОТНОСЯЩИМСЯ К ИСТОРИИ ВЛАДЫЧЕСТВА СЕЛЬДЖУКОВ НА СРЕДНЕМ ВОСТОКЕ И В ЗАКАВКАЗЬЕ

Начиная с древнейших времён, а также в средневековый период история Ближнего и Среднего Востока, в том числе и стран Закавказья связана с неоднократными нашествиями и господством кочевых феодалов, занимавшихся скотоводческим хозяйством в степных районах юго-востока. Вследствие этих нашествий и господства кочевников происходили существенные изменения в хозяйственной жизни и в этническом составе оседлого населения. Наряду с оседлым хозяйством в крупном масштабе велось скотоводческое хозяйство, носители которого занимали господствующее положение в странах с развитым оседлым хозяйством.

Эти две формы хозяйства в отношении друг к другу занимали противоположное положение. Расширение кочевого скотоводческого хозяйства в таком масштабе, в каком принято у кочевников, означает упадок земледельческого хозяйства и городской жизни. Наличие двоякой формы хозяйства в таком виде, какое имело место в странах Ближнего и Среднего Востока в определённые периоды, не наблюдается в феодальном обществе Западной Европы. Такое положение является одним из существенных причин, тормозивших развитие оседлого хозяйства при господстве кочевых феодалов. Вместе с тем, не вызывает сомнения тот факт, что происходившие в результате сельджукского владычества изменения в социально-экономической жизни стран Ближнего и Среднего Востока, и, проводимая в этот период земельная и налоговая политика, заметно отличаются от изменений, происходивших в период владычества монгольской кочевой знати.

Обеспечив себя богатыми пастбищами, сельджукская знать в достаточной мере пользовалась тяжелым положением, создавшимся во время правления преемника газнавидского правителя Махмуда—Мас'уда. В это время, как видно из источников, происходили ожесточенные феодальные междоусобицы, как среди правящих кругов газнавидской династии[1], так и среди местной феодальной верхушки вообще[2].

---

[1] Захир ад-дин Нишабури, Сальджук-намэ, Тегеран, 1332, стр. 14; Мухаммед бин Али бин Сулейман ар-Равенди, Рахат-ас-Судур ва айят ас-Сурур, издание Мухаммеда Икбаля, Лейден, 1921, стр. 97—101; В. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, соч., том I, Москва, 1963, стр. 354—365.

[2] Ибн ал-Асир, Тарих ал-Камиль, Баку, 1940, стр. 106—115; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда X—XI веков, М. 1963, стр. 53—63 и след.; История Грузии, часть I, под редакцией С. Джанашиа, Тбилиси, 1946, стр. 171—176.

В связи с создавшимся положением усиливалась степень эксплуатации, увеличивались размеры податей и повинностей, не говоря уже о широко практикуемых при этом злоупотреблениях. Колоссальные расходы, связанные с феодальными междоусобиями и военными операциями, ложились тяжёлым бременем на плечи жителей городов и деревень. Происходило повсеместное выступление народных масс, а пользуясь всем этим, некоторые феодальные владетели уклонялись от подчинения Мас'уду, который, как говорили его противники, вёл разгульный образ жизни.

Неоднократные военные действия между войсками Мас'уда газнавида и сельджуков привели к поражению Мас'уда, который в решающем сражении в 429 г. х. (1037/1038) был разбит наголову, потерял Хорасан и другие принадлежащие ему соседние вилайеты.

Следует особо отметить, что совершая организованное наступление на высококультурные в то время страны Ближнего и Среднего Востока, завоеватели по своей численности не составляли большинства по сравнению с населением завоёванных стран. Они не составляли большинства и по численности своих войск. Культура их находилась на более низком уровне по сравнению с народами завоёванных стран. Одна из основных причин, обеспечивавшая кочевым народам победу, заключалась в том, что внутри местных государств не было единства, согласованности и сплочённости между самими феодальными владетелями, а также в среде военного сословия. Наоборот, они выступали друг против друга, обессиливали себя, раздробляли страну, жестоко эксплуатировали и грабили трудовое население, восстанавливали народ против себя, обеспечивая тем самым победу завоевателям независимо от степени их культуры и количества войск. Сила и могущество завоевателей, приносившие им успех и победу, в основном, заключались в том, что они в период завоевания были едины, действовали организованно и уверенно и между ними не было тех противоречий и антагонизма, которые существовали в среде противников, а в дальнейшем и среди них самих. Представляют интерес высказывания предводителей сельджуков, в период войны против своих врагов — газнавидов в начале сельджукского завоевания. В источниках отмечается следующее: оба их предводителя (сарваран — سروران) Чагры-бек и Тогрул, их дяди Муса и Юнис Сельджук, двоюродные братья и родственники заключили обет и договорились между собой о том, чтобы во всех случаях быть за одно, находиться в согласии и оказывать друг другу помощь, быть союзниками, едиными в беде и в радостные дни. А, если упаси бог, между нами появятся распри, то наши злобные враги нас одолеют («будут над нами проявлять свою силу»), эти владения, безусловно, легко потеряем («уйдут из наших рук»). Тогда сожаления и раскаяния не принесут пользу[3].

[3] Захир-ад-дин Нишабури, Сельджук-намэ, указ. изд., стр. 17; سروران ایشان هردو چغر بیك و طغرل و عمان ایشان موسی بیغو و یونس ساجوق و ابن عمان و خویشان با هم عهد و مواثیق کردند که بهمهٔ مواضع با یکدیگر در موافقت و مساعدت و معاونت یکی باشند در خیر و شر متفق و متحد که اگر عیاذاً بالله در میان ما خلافی ظاهر گردر خصمان خیره برما چیره شوند و این ملك و مشقت بی گفتهٔ از دست ما آسان برود آنگاه ندامت و پشیمانی سود ندارد

См. также: Равенди, указ. работа, стр. 102; Мухаммед Язди, Ал-араззату филь-хекайат ас-сельджукийе, Лейден, 1909, стр. 35—36.

Исторические события показывают, что, если внутри какого-нибудь государства или народа отсутствуют единство, согласованность, уверенность и т. д., то это государство или народ легко можно победить и уничтожить.

Таким образом, вследствие непрекращающихся военных действий, раздробленности страны и феодальных междоусобиц, а также в результате усиленной эксплуатации податного населения и обострения классовых противоречий, газнавидское государство в борьбе с сельджукской кочевой знатью окончательно было побеждено, верхушка государства была обращена в бегство и лишена господства над обширной территорией.

* * *

Сельджукская знать еще до победы над газнавидским правителем Масудом длительный период времени имела непосредственные экономические, политические и культурные сношения с народами, ведущими оседлое хозяйство и стоящими на высоком уровне культуры, которая, в свою очередь, оказала заметное влияние на образ жизни кочевников-сельджуков. Ещё до завоевания обширной территории с преобладающим оседлым населением, сельджукская знать при самом Сельджуке приняла ислам.

Принятие сельджуками ислама не следует объяснять только тем, что «феодализирующиеся военно-кочевой знати нужна была новая идеология вместо прежнего примитивного шаманства. Поэтому ханы и знать тюркских племён приняли религию соседних развитых феодальных обществ — ислам»[4]. Приблизительно, правильное объяснение этому вопросу мы находим у среднеазиатских авторов, из высказываний которых явствует, что, принимая ислам, сельджуки преследовали и ту цель, чтобы не навлечь на себя презрение мусульманского населения, дабы их намерения достигли цели и мусульмане не препятствовали проникновению их в свои вилайеты[5]. Несомненно, из этого высказывания следует, что кочевники-сельджуки для достижения своей цели, — привлечения местного населения, в том числе духовенства и части знати на свою сторону и обеспечения их поддержки в нужные моменты, — в отличие от монгольской знати до Газан-хана (1295—1304), приняли ислам и использовали его для своей цели. Дальнейшее развитие исторических событий показало степень реальности такого высказывания.

После поражения газнавидских войск, сельджукские предводители Тогрул-бек (1038—1063) и его брат Чагры-бек Давуд помимо Мавераун-нахра и Хорасана захватили также Гюрган, Дамган, Кирман, Рей, Хамадан и другие города.

К этому времени халифат был настолько обессилен, что существование самого халифа Каима (1031—1075) зависело от воли правителей сельджуков. Тогрул-бек беспрепятственно, с согласия халифа Каима, вступил в Багдад. По указанию халифа имя Тогрул-бека упоминалось в хутбе и от его имени чеканились монеты, а также титуловали его султаном. Ослабление халифата видно и из того факта что в 450 г. х (1058/1059) против халифа Каима в Багдаде восстал его военоначальник Басасири, который был обращён в бегство Тогрул-беком. После

---

4 История Ирана с древнейших времён до конца XVIII века, М. 1958, стр. 146—147.

5 Хиндушах бин Санджар Нахчеваки, Таджареб-ус-салаф. Техран, 1313, стр. 259.

отъезда Тогрул-бека из Багдада, Басасири, вернувшись в Багдад после захвата ряда городов, сверг халифа. Узнав о происшедшем, Тогрул-бек выступил против Басасири. Последний был побеждён и убит, а халиф Каим был возвращен в Багдад Тогрул-беком и в 451 г. х. (1059/1060) восстановлен в своём положении[6]. Естественно, положение халифа напоминало положение подставного правителя, всецело зависевшего от вышестоящего сюзерена. Из источников видно, что принадлежавшие халифату земельные владения были причислены к имениям сельджуков, за исключением определённого района, доход с которого предназначался халифу на жизненные расходы под названием «нан-паре» (кусок хлеба)[7].

Зависимость халифа от сельджуков не ограничилась только этим. В случае, если халиф выразит недовольство против пожеланий Тогрул-бека, то он мог находиться под угрозой лишения доходов от предназначенных ему владений, что и видно из следующего примера. Как явствует из источников, Тогрул-бек изъявил желание жениться на сестре халифа. Однако, халиф не совсем одобрительно отнёсся к предложению Тогрул-бека. Узнав о намерениях халифа, представитель Тогрул-бека в Багдаде везир Амид-ал-мульк, которому было поручено исполнение этого дела, препятствовал сбору налогов от предназначенных халифу имений в его пользу, после чего халиф был вынужден согласиться на этот брак[8].

Для покорения Азербайджана Тогрул-бек отправил войска под командованием сына своего брата Якути[9], а несколько позже с большой армией лично предпринял поход на Азербайджан и прилегающие страны. Вахсудан из династии Раввадидов был вынужден изъявить покорность, согласился чеканить монеты от имени Тогрул-бека, упомянул его имя в Хутбе и т. д. Так же вынуждены были поступить и другие феодальные владетели, в том числе и правитель Ганджи из династии Шеддадидов[10]. Поход сельджуков на Азербайджан, Грузию, Армению и владения Византии имел место и при Алп-Арслане[11].

При ознакомлении с материалами напрашивается вывод, что сравнительно широкое проникновение в Азербайджан тюркоязычных племен и широкое распространение тюркского языка по сравнению с предыдущими периодами относится именно к этому времени. Дальнейшие события показывают, что этот процесс в силу ряда исторических обстоятельств всё более и более усиливался.

Основные моменты, способствующие усилению этого процесса, сводятся к следующему:

1. Из источников явствует, что после захвата Азербайджана Тогрул-беком его преемник Алп-Арслан предпринял походы на Грузию,

---

[6] Ибн ал-Асир, ук. работа, стр. 117; Захир-ад-дин Нишабури, указ. соч., стр. 20; Равенди, ук. соч., стр. 105—110. Между приведённой Ибн-ал-Асиром и другими источниками датой имеются некоторые расхождения.

[7] Захир-ад-дин Нишабури, ук. соч., стр. 21.

[8] Захир-ад-дин Нишабури, ук. соч., стр. 21; Равенди, стр. 111.

[9] Равенди, стр. 104; Захир-ад-дин Нишабури, стр. 18.

[10] Ибн-ал-Асир, стр. 117.

[11] Подробно см. Ибн-ал-Асир, стр. 117—123; Захир-ад-дин Нишабури, стр. 24—28; Равенди, стр. 119—120; В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, стр. 94, 95, 103, 104; см. также, История Грузии, ук. изд., стр. 176—179; История Армянского народа, часть I, Ереван, 1951, стр. 153—157; V. Minorsky, Studies in Caucasian History, London, 1953, стр. 20—77 passim.

Армению, а также и против городов Византии. Для ведения военных действий сельджукские войска двинулись через Азербайджан, который являлся и пунктом их сосредоточения.

2. При Меликшахе был свергнут правитель из династии Шеддадидов. Власть перешла в руки сына Меликшаха Мухаммеда, который стал правителем этой области с центром в Гандже. Вместе с ним прибыло в Азербайджан большое число военачальников-эмиров, предводители кочевых племен и войск со своими табунами и т. д. Следует также отметить, что после свержения Шеддадидов число противников сельджуков в стране ещё более увеличилось, что и потребовало усиления защиты.

3. В период власти Меликшаха между 50.000 воинами были поделены земельные владения в качестве «икта»[12]. Учитывая создавшееся положение и естественные условия страны, несомненно, немало земель в качестве «икта» было распределено между военачальниками и войсками на территории Азербайджана.

Наконец, наличие пастбищ было одним из существенных условий для развития скотоводческого хозяйства, и страны, располагающие богатыми пастбищами, как, например, Азербайджан и другие вилайеты (Хорасан и т. д.), привлекали внимание завоевателей. В Азербайджане сельджукиды встречались также с родственными по языку племенами, которые с древнейших времён проникли в Азербайджан и вошли в число его обитателей. Следует также отметить, что, захватив Азербайджан и ряд других вилайетов, сельджукская знать заняла здесь господствующее положение (хотя и временно).

Отмеченные моменты, в основном, способствовали широкому проникновению тюркоязычных племён на территорию Азербайджана. Этот вопрос требует дальнейшего изучения.

Завоевательские планы сельджукской знати во главе с Тогрул-беком, который, не дожив до брака с сестрой халифа, скончался в окрестности Рея в 455 г. х. (1063), были продолжены его преемником Алп-Арсланом, сыном Чагры-бека Давуда, вынудившим феодальных властителей ряда независимых и полузависимых стран признать его верховную власть, выплачивать дань и выполнять другие обязанности, входившие в функции феодала-вассала по отношению к сюзерену.

Можно сказать, что при Алп-Арслане в основном были завершены завоевательские походы сельджуков, под властью которых находилась обширная территория, простиравшаяся от Средней Азии до Средиземного моря, включая кроме Средней Азии, весь Иран, арабский Ирак, Малую Азию, Армению, Грузию, Азербайджан, Дербент, многие города византийского государства и т. д.

* * *

В промежуток времени, совпавший с периодом правления Тогрул-бека и Алп-Арслана, происходили существенные изменения в системе землевладения. Захваченные области передавались в управление кочевым феодалам, в руках которых находилась военная власть. Увеличивались размеры пастбищ и места охоты (шекар-гях — شکارگاه).

Захватив весь фонд государственных земель, земель, составляющих собственность прежних царских фамилий, и имения непокорных и погибших феодалов, сельджукские правители Тогрул-бек и Алп-Арслан превратили определённую часть этих земель в пастбища и места для

[12] Захир-ад-дин Нишабури, ук. соч., стр. 32 (по другим версиям 46.000).

охоты, а часть распределили между эмирами, предводителями кочевых племён за военные заслуги. В ряде случаев некоторым феодалам были возвращены земли икта, которые раньше находились в их условной собственности, а в последствии, т. е. ещё до завоевания сельджуков, были отняты у них[13].

Несмотря на все это, фонд государственных земель в то время был весьма велик. Площадь царских и государственных земель в период, предшествующий сельджукскому владычеству, как отмечают некоторые исследователи, была огромной[14]. Несомненно, как было отмечено нами выше, все эти земли перешли в собственность сельджуков, которые распоряжались ими по своему усмотрению.

Чтобы завоевать симпатии оседлого населения, в том числе и духовенства, Тогрул-бек и его преемник Алп-Арслан, в отличие от периода монгольского владычества, увеличивают размеры вакфных (церковных) владений, фонд которых, ещё до образования государства сельджуков, был весьма велик[15].

Заметное место в системе землевладения занимала феодально-мюльковая собственность, владетели которой ещё до завоевания сельджуками Передней Азии являлись «крупными земельными собственниками»[16]. При сельджуках, в период завоевания, совпавшего со временем правления Тогрул-Бека и Алп-Арслана, в связи с военными действиями этот вид земельной собственности несколько ослаб. Однако, в дальнейшем эта частно-владельческая земельная собственность, в отличие от периода владычества монголов до Газан-хана, всё более и более укрепляется и становится одной из преобладающих видов земельной собственности.

В этот промежуток времени почти во всех важнейших отраслях государственной организации активная роль принадлежала военно-кочевой знати, составлявшей военную прослойку и принимавшей участие в сражениях за интересы сельджукской династии. В этом отношении исключение составляло финансово-гражданское ведомство, которое управлялось местными сановниками, поступавшими на службу к сельджукской знати. Кочевники, не имея практики в управлении финансами, широко использовали местную силу для организации и урегулирования финансово-гражданского ведомства по местному образцу. Финансовое ведомство являлось одним из самых важных объектов государственного устройства, где отражались все отрасли экономической жизни страны, сосредоточенной в руках местной оседлой знати. Ввиду важности этой отрасли, сановники, управляющие делами финансового ведомства, играют и важную роль в системе государственного управления, выполняя должность везира, который, по существу, управлял делами государства от имени вышестоящего феодала-сюзерена, что, в частности, проявилось в последующий период, совпавший со временем правления Меликшаха[17].

Подытоживая вышеотмеченное, можно констатировать, что промежуток времени, совпавший с периодом правления Тогрул-бека и Алп-Арслана, в истории владычества сельджуков следует рассматривать

---

[13] Хиндушах Нахчевани, ук. соч., стр. 262.

[14] Б. Н. Заходер, Хорасан и образование государства сельджуков. «Вопросы истории», 1945, №№ 5—6, стр. 125—126.

[15] Б. Н. Заходер, ук. работа, стр. 125.

[16] А. Ю. Якубовский, Махмуд Газневи, Сборн. в честь Фердоуси, стр. 59, 60.

[17] См. В. В. Бартольд, Туркестан..., ук. изд., стр. 371.

как период войн и завоеваний, период сопротивления многих городов и крепостей завоевателям, период лишения многих местных феодальных властителей своей самостоятельности и превращения некоторых из них в феодалов-вассалов, период порабощения многих народов, период распределения завоеванных областей среди кочевой знати из рода сельджуков, период захвата принадлежащих прежним правителям государственных и царских земель, а также имений феодалов, не признававших власть сельджуков, период распределения части захваченных владений среди предводителей кочевых племен, эмиров и военачальников, период сравнительного увеличения размеров пастбищ, места для охоты, период сплочённости сил кочевой знати и, наконец, период сравнительного застоя в социально-экономической жизни подвластной сельджукам территории, а в ряде вилайетов—период упадка производительных сил.

В истории владычества сельджуков особое место занимает совпавшая со временем правления Меликшаха эпоха, которая отличается как от предыдущего, так и последующего периодов господства сельджуков на подвластной им территории. Одним из наиболее характерных моментов для этого времени является укрепление центральной власти на ранее завоёванной огромной территории, административное и политическое подчинение местных феодалов и всей феодальной иерархии во главе с сюзереном. Основным средством проведения такой политики стали неоднократные походы Меликшаха с большой армией по всей территории его государства — начиная от границ Средней Азии и кончая Средиземноморским побережьем. Во время этих походов, как это имело место в Ширване и других вилайетах[18], Меликшах стремился определить взаимоотношения между сюзереном и феодальным вассалом, твёрдо установить степень зависимости и обязанности вассала по отношению к сюзерену (уточнение размеров дани, упоминание имени сюзерена в хутбе и на монете, обязанность выставлять по мере надобности определённое количество воинов, систематическая явка ко двору вышестоящего феодала и т. д.). Меликшах прибегал к жестоким мерам против феодалов, не проявлявших покорность или отказывавшихся от подчинения. Так, например, один из членов династии сельджуков, дядя Меликшаха Кавурд поднял восстание и между ними развернулись военные действия, в ходе которых Кавурд, потерпев поражение, попал в плен и впоследствии был умерщвлён. Силой оружия пришлось подчинить и правителя Самарканда Сулейман-хана, а также правителя Аррана, на место которого Меликшах посадил своего сына Мухаммеда. Управление областями Меликшах, как это видно из источников, отдал представителям сельджукской знати.

Таким образом, можно констатировать, что последовательно проводимая Меликшахом политика строгой централизации государственного аппарата, неизбежно вытекая из самого завоевания этой территории на предыдущем этапе, являлась необходимым условием укрепления завоевателями своей власти и должна была осуществляться вооружённой силой, возглавляемой сюзереном. Следовательно, идея централизации в то время вытекала из самой сущности проводимой сельджукидами политики, и отвечала интересам установленного ими государственного строя.

---

[18] В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, ук. изд., стр. 96; А. А. Али-Заде, Некоторые сведения о Ширване (до начала XIII в.). Известия Академии наук Азерб. ССР, Баку, 1947, стр. 18.

Другим важным мероприятием сельджукской власти при Меликшахе была широкая раздача государственных земель на правах условного владения икта. В отличие от прошлого, земли теперь жаловались не только сельджукской верхушке, но и в массовом порядке воинам. Только при Меликшахе, как свидетельствуют некоторые источники, около 50.000 воинов (по другим версиям 46.000) получили в пожалование земли икта.

Раздача икта среди воинов отвечала интересам как государства, так и интересам оседлого и кочевого хозяйства. Казна, таким образом, избавлялась от заботы содержания войска, оседлое хозяйство выигрывало в результате перехода значительного количества кочевников к оседлому и полуоседлому образу жизни, а сами кочевники, переходя к оседлости, получали возможность систематической эксплуатации и, владея землями, пополняли ряды местных феодалов. На данном этапе не было резких расхождений между интересами центральной власти и иктадаров, что стало характерным для дальнейшего периода.

Следовательно, можно сказать, что при Меликшахе, в отличие от монгольского периода до Газан-хана феодально-мюльковое владение, включая и земли икта, становится постепенно преобладающей формой земельной собственности, стимулируя дальнейшее развитие оседлого хозяйства. Идея широкой раздачи земель воинам, отвечающая интересам государства, оседлого и кочевого населения, выдвигалась и проводилась как самой центральной властью во главе с Меликшахом, так и местной феодальной знатью, представленной везиром Низам ал-Мульком.

Всё это требовало упорядочения финансово-налогового аппарата, управляющегося в основном представителями оседлого населения. Частично, при Алп-Арслане и в течение всего правления Меликшаха управление финансами находилось в руках везира Низам ал-Мулька, который и разработал наиболее подробно меры по управлению финансами и сбору налогов, а также по другим отраслям государственного управления.

В связи с укреплением феодально-мюлькового землевладения налогово-финансовая система в этот период отличалась от финансово-налоговой системы периода владычества монголов до Газан-хана большей устойчивостью, значительно более редкой практикой системы мукатна, т. е. откупа, а потому и меньшей степенью злоупотреблений. Всё это способствовало сравнительному развитию производительных сил в этот период.

После смерти Низам ал-Мулька и Меликшаха[19] (1092) и вплоть до установления фактической самостоятельности каждой ветви сельджукской династии в отдельности престолонаследие стало объектом ожесточённых военных столкновений между представителями царской фамилии. Активное участие в этих стычках принимали эмиры и правители областей.

Для этого периода характерным является начавшийся процесс расхождений между интересами кочевой феодальной верхушки и центральной власти.

Завоеватели после победы над своими противниками, распределяли между собой важные и доходные места; становились правителями областей, занимали ответственные посты, получали громадные земельные владения и земли в качестве икта и т. д. Всё это давало им воз-

[19] Согласно Бейхаки Меликшах был отравлен, Тарихе Бейхак, изд. Ахмеда Бахманяра, 1317, стр. 274.

можность, в зависимости от занимаемого положения всё более и более обогащаться, как за счёт эксплуатации податного населения, так и за счет присвоения государственных средств. По мере обогащения и усиления кочевой знати положение постепенно менялось. При таких обстоятельствах правители областей, иктадары и большая часть кочевой знати не были заинтересованы в усилении центральной власти и в централизации государственного аппарата. Это положение полностью удовлетворяло и интересы местной феодальной знати.

После Меликшаха наступает полоса междоусобных войн и частых военных действий. Вследствие усиления центробежных феодальных сил начинается постепенное ослабление центральной власти и усиление феодальной знати — правителей областей, владельцев икта, местных феодальных владетелей и т. д. Всё это ещё более обостряет противоречия как среди членов царствующего дома, так и между царствующим домом и группой кочевой знати, а также между различными группировками кочевой и местной знати. Правда, султан Санджар предпринял попытки провести централизацию государственного аппарата, но они не увенчались успехом и закончились катастрофой для самого султана.

Поступления в государственную казну, как вытекает из всего этого, уменьшались, тогда как доходы в пользу правителей областей, иктадаров, местных феодалов и т. д. увеличивались. Некоторые феодалы перестали платить дань и временами даже выступали против центральной власти, как это имело место и в странах Закавказья. В связи с создавшимся положением и частыми феодальными междоусобицами усилилась степень эксплуатации налогоплательщиков. Размеры податей и повинностей всё более и более увеличивались. Противоречия между податным населением и сельджукской знатью усиливались. Последними практиковались и всевозможные злоупотребления, и все расходы, связанные с феодальными междоусобицами и военными действиями, ложились тяжёлым бременем на плечи жителей городов и деревень.

Создавшееся положение заметно влияло на состояние центральной власти, которая как в экономическом, так и в политическом отношениях теряла былое значение. С этого времени зависимость правителей на местах от центральной власти заметно ослабевает. Правители областей начинают играть основную роль в социально-экономической и политической жизни на подвластной им территории. Всё это привело также к укреплению положения местных феодальных владетелей и открывало им путь к дальнейшей самостоятельности.

Следующим этапом в истории владычества сельджукской знати следует считать период самостоятельного управления каждой ветви сельджукской династии.

Характерным для иракской ветви сельджукидов, управлявших Ираном, Азербайджаном и прилегающими странами, являлось дальнейшее укрепление местных феодалов.

Количество государственных земель сравнительно уменьшилось, тогда как размеры мюльковых имений и земель икта, а также до некоторой степени владений вакф по сравнению с предыдущим периодом увеличиваются. Хотя передача земель икта из фонда государственных имений постоянно продолжалась, однако, вследствие ослабления центральной власти определённая часть владений икта превращалась в безусловную собственность их владетелей — иктадаров. Местная знать всё более и более усиливалась.

Сельджукские правители почти не принимают участия в управлении страной. В рамках иракской ветви сельджуков создаётся государство азербайджанских атабеков, фактически управляющих сельджукскими владениями от имени сельджукских султанов.

С конца правления султана Мас'уда, и особенно после него, страна переживала острый экономический, а значит и политический кризис, охвативший все отрасли оседлого хозяйства. Такое положение всё более и более усиливалось и продолжалось до конца правления Тогрула II (1177—1194), при котором сельджукское владычество в Иране и Азербайджане окончательно пало.

ბაბილინა ლომინაძე

XV საუკუნის საქართველოს ქრონოლოგიიდან

წინამდებარე ნაშრომში დადგენილია XV ს-ის ქართლის კათალიკოსთა ქრონოლოგია, რაც გარკვეულად ავსებს ამ რთული და პირველწყაროებით ნაკლული საუკუნის ისტორიას.

I. ელიოზ გობირახის ძე. ელიოზი მოხსენიებულია მოქმედ კათალიკოსად*: 1399 წ. 9 ივლისს[1], 1405 წ. 13 აპრილს[2], 1408 წ. 26 მაისს[3], 1411 წ. 25 ოქტომბერს[4], 1413 წ. 20 სექტემბერს[5], 1413 წ. 11 მარტს[6], 1415 წელს[7], 1419 წ. 22 სექტემბერს[8].

ელიოზი მოხსენიებულად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე 1400 წელსაც: ნარატიული წყარო „ძეგლი ერისთავთა“ იძლევა ასეთ ცნობას: „მაშინ გიორგი მეფე [ბ] განილაშქრა ალინჯას ყოვლითა სპითა ქართველითა, იძერლითა, მესხითა და შირვანელითა. მივიდა ალინჯას და გამოიყვანა ძე სულტნისაჲ, შეყენებული ციხესა ალინჯისასა და დახოცა ლაშქარი თემურ ყანისაჲ და მოვიდა განმარჯვებული... მაშინ მოვიდა თემურ სამანგნელი ყოვლითა სპითა ჩაღანელ-ქაშანელ სიყალბელი-ნაჰრომელ ინდუსტანელითა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსაელისა ლაშქრითა, დიდითა რისხვითა და გულის წყრომითა. ხოლო გიორგი მეფე წარვიდა ლიხთიმერით. მაშინ ერისთავი ვირშელი უკუდგა ციხესა ბეხუშისასა დედა-წულითა და ჯოგითა და თანჰყვა კათალიკოზი ელიაზ ყოვლით საყდრისშვილოთურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხურითა“[9].

ელიოზ კათალიკოსის ზეობის დათარიღებისათვის საჭიროა ვიცოდეთ აქ აღწერილი ამბების დრო: ალინჯის ქართველთაგან აღება, ამის შედეგად თემურ-ლენგის შემოსვლა, მეფე გიორგის ლიხთიმერეთს გადასვლა, კათალიკოს ელიოზის ბეხუშის ციხეში შეფარება ერისთავ ვირშელთან ერთად და ა. შ. ცნელა ეს ფაქტი, როგორც ერთ მიზეზთან (ქართველთა ბრძოლა თემურ-ლენგის წინააღმდეგ) დაკავშირებული, ერთდროულად არის მომხდარი. ლიტერატურაში დადგენილია ალინჯის აღებისა და თემურ-ლენგის შემოსევის თარიღი — 1400, ხსენებული ფაქტის შესახებ არსებობს თარიღიანი ცნობა (ცნობას ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა და გამოიყენა ის თემურ-ლენგის შემოსევის დასათარიღებლად. მანვე შეამოწმა ცნობის სანდოობა სხვა წყაროებითაც[10]). ლარეულის მონასტრის პარაკლიტონზე არსებობს ასეთი მინაწერი:

---

* აქ და ქვემოთ ნაჩვენები თანმიმდევრული თარიღები ამოღებულია დოკუმენტური მასალიდან.

„მეფობასა შინა მეფეთ-მეფისა გიორგი ბაგრატის ძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავთ-ერისთავისა ქუენიფხნეველისა ვირშელისა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდეს, მოქცევასა იდ, ქორონიკონსა ჸთ (1400) მაისსა იზ მოვიდა თემურ-ბე[გ] სულტანი სამარყანელი... მოვლეს ყოველი ქვეყანაჲ და წარტყუენეს და დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი...“

ამგვარად, რადგან გიორგი მეფის ლიხთიმერეთს გადასვლა და კათალიკოს ელიოზის ბეზუშის ციხეში შედგომა გამოწვეული იყო თემურ-ლენგის შემოსევით („ძეგლი ერისთავთა“). ხოლო ეს შემოსევა მოხდა 1400 წლის მაისში (პარაკლიტონის მინაწერი), ცხადია, გიორგისა და ელიოზის თემურისაგან განრიდება იმავე დროსვე არის მომხდარი. ამრიგად, ელიოზ კათალიკოსი მოქმედია 1400 წელსაც.

ელიოზის კათალიკოსობის დასაწყისად უნდა მივიღოთ 1399 წელი, რადგან 1398 წ. კათალიკოსად დასახელებულია მისი წინამოადგილე გიორგი[11].

ელიოზი კათალიკოსობს 1419 წლამდე. 1420 წლის სექტემბერში კათალიკოსად მოხსენიებულია მიქაელი. მიქაელი კათალიკოსად ინიშნება მეფე ალექსანდრეს მიერ[12].

ამგვარად, ელიოზ გობირახის ძის ზეობა განისაზღვრება 1399 წლიდან (ჩათვლით) ვიდრე 1419 წლამდე.

II. მიქაელი. ელიოზ გობირახის ძის შემდეგ საკათალიკოსო ტახტი უპირავს მიქაელს, რომელიც მოქმედ კათალიკოსად იხსენიება 1420 წ. 10 სექტემბერს[1], 1420 წ.[2], 1424 წ. 6 იანვარს[3].

„ქართლის ცხოვრების“ შევსებული გაგრძელება მიქაელს მოიხსენიებს ელიოზის მომდევნოდ და დავითის წინამოადგილედ: „დაჯდა კათალიკოზად ელიოზ და დაჯდა მიქაელ და მოკვდა კათალიკოზი მიქაელ და დაჯდა დავით“[4]. ასეთივე თანმიმდევრობით ასახელებს კათალიკოსთა რიგს ეგნატაშვილი ბერიც[5].

რამდენადაც მიქაელის წინამოადგილე ელიოზი უკანასკნელად 1419 წლის სექტემბერში (22) იხსენიება, ხოლო მიქაელი 1420 წელს. ამდენად მიქაელის კათალიკოსობის დასაწყისად შეიძლება მივიღოთ 1420 წელი. მომდევნო კათალიკოსი დავითი, მოღწეული საბუთების მიხედვით, უკვე 1426 წელს მოქმედია, რის გამოც მიქაელის ზეობის დასასრული უნდა განისაზღვროს 1424—1426 წლებს შორის, უფრო ზუსტად 1426 წლით. შეცდომა აქ შეიძლება ერთი წლის ფარგლებში იყოს დაშვებული (იხ. დაწვრილებით დავითის. ამრიგად, მიქაელის ზეობის წლებად შეიძლება მივიღოთ: 1420—[1426].

უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მიქაელის ზეობის მცდარი ქრონოლოგია, რომელზეც საჭიროა შევნიშნოთ შემდეგი: 1420 წ. მეფე ალექსანდრე მცხეთას აძლევს შეწირულების სიგელს, რითაც მიქაელ კათალიკოსს ეკალება ალექსანდრეს მოხსენიება წირვაში. ალექსანდრე სიგელის დასასრულს ამბობს:

„მე მეფეთა მეფემან ალექსანდრე ოცდაორისა წლისამან სურვილით და წადიერად ჴელვყავ შენებად საყდრისა მცხეთისა და შენ ყოველთა არსთა შემოქმედო და დამბადებელო ღ[მერთ]ო სრულ და მტკიცე უყავ საწადელი ესე ჩემი და ამავე ჟამსა დაიდგინა პატრიარქად სასო და შესავედრებელი სულისა ჩემისა კათალიკოზი მიქაელ, რომელმან მრავალი იღუაწა და ვიდრე სრულებამდე საყდრისა ამის იღუწის შენებისათ-

უის და სრულ ქმნისა და ამასვე ქართლისა კათალიკოზსა მიქაელს შეევედრეთ ჩუენ მიერ სასურველი საწადელი ძე ჩუენი მონაზონი დავითი... მის ძიერვე ქელდასხმულ იქნას“ [6].

სიგელში მოტანილი გამონათქვამი „ამავე ჟამსა“, ჩვენი აზრით, აღნიშნავს სიგლის დაწერის დროს — 1420 წელს (ინდიქტიონით 1419 წ.) და არა იმ დროს, როცა ალექსანდრე 22 წლის გახდა (ე. ი. 1412 წ.), ე. ი. როცა ტახტზე ავიდა.

ივ. ჯავახიშვილს დასახელებული სიგლის აღნიშნული ფრაზა ამგვარად ესმის: „ალექსანდრე რომ ტახტზე ავიდა, „ამავე ჟამსა დაიდგინა პატრიარქად.. კათალიკოზი მიქელ“. მაშასადამე, 1412 წელს კათალიკოზად მიქაელი დაუსვამთ. რომელიც 1419 წ. და 1424 წ. ჯერ კიდევ კათალიკოზად ჩანს“[7].

მოხსენებულ სიგელში, რომ „ამავე ჟამსა“ მიმდინარე მომენტს, ე. ი. 1420 წელს უნდა ნიშნავდეს და არა 1412 წელს, ამას შემდეგი მომენტები ადასტურებენ:

1. ალექსანდრე იხსენიებს ძველ ამბავს, რომ მან ჯერ კიდევ 22 წლისაჰ დაიწყო მცსეთის შენება. მომდევნო ამბავი რომ ამ დროისად ეჩვენებინა ალექსანდრეს, მას უნდა ეთქვა „მასვე ჟამსა“ ანუ „მას ჟამსა“.

2. მიქაელი რომ 1412 წელს ან მომდევნო ახლო წლებში კათალიკოსად მჯდარიყო (და ისიც ალექსანდრეს მიერ დადგენილი), იგი, უეჭველად, ამ დროის საბუთებში უნდა ყოფილიყო მოხსენიებული და მით უფრო ალექსანდრეს მიერ გაცემულ საბუთებში (თუ დავუშვებდით, რომ ალექსანდრემ ტახტზე ასვლისას არ სცნო არსებული კათალიკოსი და დასვა ახალ კათალიკოსად მიქაელი. ასეთ შემთხვევაშიც მიქაელი ალექსანდრეს საბუთებში უსათუოდ უნდა ყოფილიყო). ფაქტიური მასალა სულ საწინააღმდეგოს გვეუბნება.

არსებობს ალექსანდრეს მიერ გაცემული მცსეთის სიგელი 1413 წლისა. სადაც მოხსენიებულია კათალიკოსად ელიოზი და არა მიქაელი. ელიოზს ევალება ალექსანდრეს ბებიის რუსას აღაპის გადახდა. ელიოზს აქ ალექსანდრე ახასიათებს დადებითად: „ქართლისა კათალიკოზი ელიოზ ვითა ძათსა სიწმინდესა და მოღუაწებასა მართებდეს...“[8].

3. როგორც ზემოთ არის ნაჩვენები, მომდევნო წლებშიც (მაგ., 1413 წ., 1415 წ.) კათალიკოსად ელიოზი იხსენიება და არა მიქაელი.

4. თუ 1420 წლის სიგელში „ამავე ჟამსა“ 1412 წელს გულისხმობს, მაშინ მომდევნო ამბის დროც, რომელიც იგივე მიქაელს ეხება (ალექსანდრე მეფე თავის შვილს, მონაზონ დავითს, მიქაელს აბარებს საკათალიკოსოდ) — უნდა გადავიტანოთ 1412 წ. ამბად. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, ირკვევა, რომ დავითი მონაზვნად გამხდარა სწორედ 1419 წლის ახლო ხანებში, არა უადრეს 1417 წლისა, ე. ი. 1412 წელზე ბევრად გვიან. საყურადღებოა, რომ 1417 წლის სიგელში ალექსანდრეს შვილებთაგან (ვახტანგი, დემეტრე, გიორგი, დავითი) მეოთხე შვილი დავითი მონაზონობით არ იხსენიება[9], ხოლო 1419 წლის სიგელში დავითი მონაზონობით იხსენიება[10], ასევე მომდევნო 1424 წლის საბუთშიც[11].

ამგვარად, გამოდის რომ რაკი დავითი მონაზვნად 1417 წ. შემდეგ გამხდარა, მისი მიქაელისათვის შეევედრებაც ამ წლის შემდეგ მოხდებოდა. მაშასადამე, ამ მხრივაც სიგელში მითითებული „ამავე ჟამსა“ არ უდრის 1412 წელს. იგი გულისხმობს 1417 წლის შემდგომ პერიოდს.

III. დავითი ალექსანდრე მეფის ძე (ბაგრატიონი). შემონაზონებულია მცხეთაში. იხსენიება მცხეთაში მყოფად 1419 და 1424 წ. საბუთებში[1].

დავითი მოქმედ კათალიკოსად იხსენიება: 1426 წ.[2], 1428 წ., იანვრის 21[3].

ზემოხსენებული სიგელიდან (იხ. მიქაელი) ვიცით, რომ ჯერ კიდევ 1420 წელს მეფე ალექსანდრეს დაუვალებია მიქაელ კათალიკოსისათვის, რომ მას კათალიკოსად ეკურთხებინა მცხეთაში მონაზვნად მყოფი თავისი ვაჟი დავითი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ასე მოხდა და მიქაელს უშუალოდ მოჰყვა დავითი. რაკი მიქაელის უკანასკნელი მოხსენიება მოქმედ კათალიკოსად 1424 წელს არ სცილდება, ხოლო ამ წელს დავითი კიდევ მონაზონია, ამავე დროს კი ჩვენთვის ცნობილია კათალიკოსი დავითის პირველი ხსენება 1426 წელს, შეცდომა დაახლოებით ერთი წლის ფარგლებს არ გადასცილდება, თუ დავითის კათალიკოსობის დასაწყისად მივიღებთ 1426 წელს.

დავითი კათალიკოსობას ამთავრებს 1428 წელს. ის უკანასკნელად [illegible]სენიება 1428 წელს, ხოლო 1429 წ. იხსენიება მომდევნო კათალიკოსი თეოდორე. რომელიც კათალიკოსია 1427 წელსაც.

ამგვარად, დავით ალექსანდრის ძის ზეობა მოთავსდება შემდეგ წლებში: 1426 წ. და 1428 წ.

IV. თეოდორე. მოქმედ კათალიკოსად იხსენიება: 1427 წ., 1429 წ.[1] 1431 წ.[2], 1433 წ.[3], 1434 წ.[4], 1435 წ.[5].

თეოდორეს კათალიკოსობის დასაწყისად მიღებული უნდა იქნეს 1429 წ. (იხ. დავითი). როგორც მოტანილი თანმიმდევრული თარიღები გვიჩვენებს, თეოდორე მოქმედ კათალიკოსად უკანასკნელად 1435 წელს მოიხსენიება, ხოლო 1439 წელს უკვე კათალიკოსად დავითი ჩანს (იხ. ქვემოთ). ამრიგად, თეოდორეს ზეობის დასასრული საძიებელი ხდება 1435—1439 წლებს შორის.

ზემოთქმულის გათვალისწინების შედეგად თეოდორეს ზეობის წლები შეიძლება განისაზღვროს 1427 წ. და 1429—1435/1438 წწ.

V. შიო. მოქმედ კათალიკოსად იხსენიება 1438 წელს[1]. შიოს ზეობა უნდა დამთავრებულიყო 1438 წელსვე, რამდენადაც 1439 წელს კათალიკოსად უკვე დავითი ჩანს. ამრიგად, შიოს ზეობის საზღვრებად შეიძლება ვივარაუდოთ 1435/1438—1438 წლები.

VI. დავით [ბაგრატიონი]. დავითი მოქმედ კათალიკოსად ჩანს 1439[1] წ.

დავითის კათალიკოსობის დასაწყისად, თანახმად ზემოთქმულისა, შეიძლება მივიღოთ 1439 წელი, ხოლო დასასრულად იგივე 1439 წელი, რამდენადაც მომდევნო კათალიკოსი შიო მოიხსენიება 1440 წელს.

VII შიო. მოხსენიებულია მოქმედ კათალიკოსად 1440 წ.[1], 1441 წ.[2], 1442 წ.[3], 1443 წ.[4].

შიო საკათალიკოსო ტახტზე ჩანს 1440 წლიდან. უკანასკნელად, როგორც თანამიმდევრული თარიღები გვიჩვენებს, 1443 წელს იხსენიება. მომდევნო კათალიკოსი დავითი 1447 წელს ჩანს.

ამრიგად, ზეობის წლები შიო კათალიკოსისა იქნება 1440—1443/1447 წწ.

VIII. დავით ჰავჰავას-ძე. „ქართლის ცხოვრების" გაგრძელების ცნობით შიოს შემდეგ საკათალიკოსო ტახტზე ადის ისევ დავითი (ალექსახდრე მეფის შვილი)[1], მაგრამ 1454 წ. საბუთის ხელრთვაში დასახელებულია „კათალიკოზი ჰავჰავძე დავით".

დავითი მოქმედი კათალიკოსია: 1447 წ.[2], 1449 წ.[3], 1451 წ.[4], 1452 წ.[5], 1453 წ.[6], 1454 წ.[7], 1457 წ.[8], 1459 წ.[9].

დავითის კათალიკოსობის დასაწყისად მიღებული უნდა იქნეს 1443—1447 წლებს შორის პერიოდი, დასასრულად—1459 წელი, რადგან მომდევნო კათალიკოსი პირველად 1460 წელს იხსენიება (იხ. ქვემოთ).

IX. მარკოზი მოხსენიებულია მოქმედ კათალიკოსად: 1460 წ.[1], 1464 წ. 1 დეკემბერს[2], 1465 წ.[3].

მარკოზი ტახტზე ადის 1460 წელს, კათალიკოსობას ამთავრებს 1465 წელს, რამდენადაც მომდევნო კათალიკოსი დავითი მოქმედად ჩანს უკვე 1466 წელს.

X. დავითი. მოხსენებულია მოქმედ კათალიკოსად 1466 წ.[1], 1472 წ.[2], 1479 წ.[3], დავითი, როგორც მოქმედი კათალიკოსი, მოხსენიებულად უნდა ჩაითვალოს 1468 წელს: ეგნატაშვილი ბერი მიუთითებს: „დაჯდა ძმა მისი ალექსანდრე ქრისტეს აქით ჩუჯჳ და მას ჟამსა იყო კ[ა]თაზი დავით და მოკუდა და დაჯდა ნიკოლოზ“[4].

დავითის ზეობის დასაწყისად მიღებული უნდა იქნეს 1466 წ., დასასრულად, შეიძლება პირობით ვივარაუდოთ 1479 წელი, რამდენადაც ამის შემდეგ ცნობა აღარ გვაქვს. დავითი გარდაიცვალა, ვახუშტის მიხედვით, მეფე კონსტანტინეს დროს (1479—1506).

XI. ნიკოლოზი. ამ კათალიკოსის შესახებ რაიმე დოკუმენტური მასალა ჯერჯერობით არ ჩანს. თუ ვახუშტისა და ეგნატაშვილ ბერს დავუჯერებთ, ნიკოლოზს ტახტი დაუკავებია დავითის შემდეგ[1]. ნიკოლოზი გარდაიცვალა კონსტანტინე მეფის დროს, რომელსაც კათალიკოსად აბრამი დაუსვამს და ეს უკვე მომხდარი ფაქტი ყოფილა 1492 წელს (იხ. ქვემოთ).

ნიკოლოზის ზეობის დასაწყისის დადგენა ვერ ხერხდება მიახლოებითაც კი. 1492 წლისათვის უკვე ნიკოლოზი ტახტზე აღარ ზის, ვინაიდან ამ დროს აბრამი არის (იხ. ეგნატაშვილი ბერი, ქვემოთ).

XII. აბრამ აბალაკი. მოქმედ კათალიკოსად იხსენიება: 1492 წ.[1], 1493 წ.[2], 1497 წ.[3].

აბრამის ზეობის დასაწყისად შეიძლება პირობითად მივიღოთ 1492 წ. აბრამი კათალიკოსად დაუდგენია მეფე კონსტანტინეს.

XIII. ევაგრე. კათალიკოსი ევაგრე მოხსენიებულია 1488 წელს მეფე კონსტანტინეს შეუვალობის სიმტკიცის წიგნში. საბუთი გამოქვეყნებული აქვს თ. ჟორდანიას.[1], მოიპოვება საბუთის პირი არქივში[2]. ხსენებული თარიღი საჭიროა შემოწმდეს და თვით საბუთიც, რადგან ეჭვს იწვევს ასეთი კათალიკოსის არსებობა ამ დროისათვის. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს ვერ ხერხდება შესადარებელი მასალების არარსებობის გამო.

ზემომოტანილ მსჯელობათა საფუძველზე XV ს-ის ქართლის კათალიკოსთა ქრონოლოგიური სია შემდეგ სახეს მიიღებს:

1. ელიოზ გობირახის ძე 1399—1419 წწ.
2. მიქაელი 1420—[1426] წწ.
3. დავით ალექსანდრე მეფის ძე (ბაგრატიონი), 1426 წ. და 1428 წ.
4. თეოდორე 1427 წ. და 1429—1435/1438 წწ.
5. შიო 1435/1438—1438 წწ.
6. დავით [ბაგრატიონი] 1439—1439 წწ.
7. შიო 1440—1443/1447 წწ.
8. დავით ჰავჰავას-ძე 1443/1447—1459 წწ.

9. მარკოზი 1460—1465 წწ.
10. დავითი 1466—[1479] წ.
11. ნიკოლოზ [1492] წ.
12. აბრამ აბალაკი [1492]—[1497] წწ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

I. 1) თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 204; 2) ს. კაკაბაძე. ისტორიული საბუთები, III, 3—5, ქრ. II, 213, 3) ისტ. საბ. III, 5—7, ქრ. II, 217, 4) ქრ. II, 219, 5) ისტ. საბ. III, 8—10; 6) ქრ. II, 220, 7) იქვე, 223, 8) იქვე, 224 (ორი საბუთი). 9) „ძეგლი ერისთავთა~, გამოც. შ. მესხიასი, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 30, 1954, 358: 10) ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1941, 202, თ. ჟორდანია, ქრ. II, 204: „ძეგლი ერისთავთა", 315. 11) ქრ. II, 200. 12) ისტ. საბ. III. 12.

II. 1) ისტ. საბ. III, 12, ალექსანდრე I მეფის სიგელთა დათარიღებისას ჩვენ საერთოდ ვეყრდნობით ქრონიკონით განსაზღვრას, აქ ინდიქტიონები (ერთი წლის სხვაობით) ხშირად ქრონიკონთან თანხმობაში არ არის, გამომცემელი ს. კაკაბაძე უპირატესობას აძლევს ინდიქტიონს. ივ. ჯავახიშვილს ეკვი შეაქვს 1420 წ. საბუთის თარიღში და მიუთითებს ან ქრონიკონი ან ინდიქტიონი უნდა იყოს შემცდარიო. (ქართ. ერის ისტ. IV, 19), მართლაც დასტურდება, რომ ალექსანდრეს 1420 წ. საბუთში ინდიქტიონი არის მცდარი. იხ. აქვე, საბუთში მოხსენებულია მიქაელის ღვაწლი მცხეთის მშენებლობაში, რაც მიქაელს, როგორც საბუთებიდან ჩანს, კათალიკოსად კურთხევამდე დაუწყია. 1919 წლის საბუთის მიხედვით (ქრ. II, 224) მიქაელი მცხეთის „მთავარეპისკოპოსია", თუმცა აქ „ეპ"-ადაც იხსენიება, მაგრამ ნაკურთხი არაა. 2) ქრ. II, 226. 3) ქრ. II. 228, 4) გამოც. ზ. ჭიჭინაძის, 692. 5) ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, 81; „დაჯდა მის წილ ძე მისი გიორგი ქრისტეს აქათ ჩტეგ, ამა ჟამსა შინა იჯდა კ ოზი გიორგი და მოკუდა კ ოზი გიორგი და დაჯდა კ ოზი ელიოზ და მოკუდა კ ოზი ელიოზ და დაჯდა მიქელ და მოკუდა კ ოზი მიქელ და დაჯდა დაითი". 6) ისტ. საბ. III, 12. 7) ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, 27; ავტორს აქ ალექსანდრეს ხსენებული საბუთი დათარიღებული აქვს ინდიქტიონით (1419). როგორც ვთქვით ინდიქტიონი აქ მცდარია რადგან სხვა 1419 წლის 22 სექტემბრის საბუთში ელიოზი მოქმედი კათალიკოსია, ხოლო „1419" წლის 10 სექტემბერს მიქელის მოხსენიება მოქმედ კათალიკოსად შეუსაბამო გამოდის. აქ თვის რიცხვი 10 წყვეტს საკითხს. 8) ისტ. საბ. III, 8—9. 9) ქრ. II. 223, 10) იქვე, 224. 11) ქრ. II, 228.

III. 1) ქრ. II, 224, 228; ისტ. საბ. III, 12; 2) საქ. სიძე. III. დამატ. 8; 3) ქრ. II, 231. ხელნ. ინსტ. Sd, 2882, 2883.

IV. 1) ქრ. II, 230; ისტ. საბ. III, 13; ქრ. II, (ორი საბუთი). 2) ქრ. II, 238, 3) ისტ. საბ. II, 4: ქრ. II, 239, 240, 4) ქრ. II, 241, 242: 5) ქრ. II, 242, უთარიღო, ქრ. II, 238, 239, „თქვენ ჭ ეს მიერ ღვედელთ-მთავართ მთავარსა ჭ. კხსა თეოდორეს..."

V. 1) ქრ. II, 244.

VI. 1) ისტ. საბ. III, 20, ქრ. II, 245.

VII. 1) ქრ. II, 248, ხელნ. ინსტ. Hd 1368. 2) ქრ. II, 249, ისტ. საბ. III, 21—24 (ორი საბეთი) 3) ქრ. II, 253, ისტ. საბ. III, 25, 4) ქრ. II, 254, 255.

VIII. 1) გამოც. ზ. ჭიჭინაძის, 696, უნდა გამოირკვეს. რას უნდა გამოეწვია დაეითის (ალექსანდრე I მეფის ძის) ასე ხშირი ცვლა ტახტზე. 2) „წ ო მღვდელთ მთავართ მთავარო კ თზო დაეით"; ქრ. II, 260; არქ. ფ. 226, 5016; გამოც. „საქ. არქ." III წ. 1927, 108—109; 3) ქრ. II 261; ისტ. საქ. III, 29; 4) ქრ. II, 261; ისტ. საბ. II, 8. 5). ქრ. II, 264. 6) ქრ. II, 267, 269. 7). ისტ. საბ. III, 32-34, „ქ ესა კ ი პავპავაძე დავით". 8) ქრ. II, 271; არქ. 226, 531, მაისი. 9) ქრ. II, 272, „ქართლის პატრიარქი დაეითი". ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV. 55, 58, 97; ეგნატაშვილი წერს: „იყო მეფობასა შინა მეფეთ მეფისა ბაგრატისასა კ ზი დაეით ქრისტეს აქათ ჩუნე" (1455). ბაგრატს შემდეგ დაჯდა კონსტანტინე „ქრ ტეს აქათ ჩუჯა (1461), ამას ჟამში იყო კ თზი დაეით", 34 გვ. თარიღი 1455 წელი ეთანხმება დაეითის ზეობის დანარჩენ წლებს. ამდენად აქ

სწორი უნდა იყოს ეგნატაშვილი. გამოდის, რომ დავითი კათალიკოსად ყოფილა 1451 წელსაც. ამას ხელს უშლის ჟურულის სასისხლო სიგელი, რომელიც 1460 წელს კათალიკოსად მარკოზს იხსენიებს. მაგრამ თუ ეს სიგელი ნატყუარია, შეიძლება მაშინ ქრონოლოგია შეშლილი იყოს.

IX. 1) საბუთი წარმოადგენს ჟურულების სასისხლო სიგელს (გაცემულია გიორგი მეფისაგან), საბუთის მტკიცებით ნაწილში ეკითხულობა: „ჩუენ ესე ღუთისა მიერ ქრთლისა კჯი მარკოზი კანონითა ვამტკიცებთ". შემდეგი დამტკიცებანი მეფე ბაგრატის დროინდელია: ქს რჲ (1472 წ.) ქ: ჩნ ესე ვითა ღ ეთ გეირგეინოსანს მეფეთ მეფესა ბაგრატს ბიძისა მათისა ნაბოძები სასისხლო სიგელი დაუმტკიცებია ჟურულისათჳს, მე გლახაკი ქს კჯიდ თი კანონითა ვამტკიცებ, დამაჯტკიცებელნი ღ მნნ აკერთხნეს და წმინდამან დედაქალაქმან მცხეთისამან" საქ. სიძვ. I. 1460 წ.; ქრ. II. 280. 2) ქრ. II, 282; ისტ. საბ. II, 14; არჭივი, ფ. 226, 5024, 1464 წ. 13 დეკემბერი; 3) ისტ. საბ. II, 17.

IX. 1) საბეთი წარმოადგენს ჟურულების სასიხლო სიგელს (გაცემულია გიორგი მეფისა- მტკიცებით ნაწილში: „ქს რჲ (1472 წ.)... ბე გლაბაკი ქ კჯი დთი-კანონითა ვამტკიცებ"... 3) ქრ. II, 301; 4) ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცა. 42.

XI. 1) ბერი ეგნატაშვილი, ცნობა ციტირებულია ზემოთ, იხ. კათალიკოსი დავით (X). ვახუშტი წერს: „და კუალად გარდაიცვალნენ ჟამსა კონსტანტინე მეფისასა კათალიკოზნი დავით და ნიკოლოზ და დასვა მეფემან აბრამ". ვახუშტი, II. 23. ვახუშტი თარიღს არ მიუთითებს, მაგრამ ყველაფერი ეს მოთხრობილი აქეს 1494 (ჩუქ) წლის წინა ამბებში, ასე რომ ხსენებული თარიღი შეიძლება მიჩნეული იქნეს ს. ფ. ფ. თ. ჟორდანია ნიკოლოზის გარდაცვალებას 1492 წელს დებს, რა წყაროს საფუძველზე ეს არ ჩანს. იხ ხელნ. ინსტიტ. ფ. S, 2938.

XII. 1) ქრონიკები II, 309; ისტ. საბ. III, 41. 2) ქრ. II, 310. 3) ქრ. II. 311. „აბრაამ აბალაკი ქჯნი". ეგნატაშვილი ბერი აბრაამს ასახელებს 1492 წლის ქვეშ; „ამას ჟამსა შინა იქმნა კათხი აბრამ. კონსტანტინე... ქრისტეს აქათ 1492 წ". (42—43 გვ.).

აბრამ აბალაკი მოხსენებულია 1467 წლის საბუთში: „ქარღლისა ეზმან აბრამ აბალაკ", ისტ. საბ. II, 19. აქ შეცდომა ხომ არ არის საბეთის თარიღშიო? სხვა წყაროს მიხედვით ამ დროს კათალიკოსად დავითი ჩანს. იხ. დავითი. 1466 წ. 1468 წ. და ა. შ. როგორც ზემოთ ვნახეთ, ვახუშტი კათალიკოსს აბრამს მოიხსენიებს ნიკოლოზის შემდგომად.

XIII. 1) ქრონიკები II, 306, საქართველოს არჭივი, ფ. 227, 1175, პირი: „ქს რიე", მეფე კონსტანტინეს დრო.

გივი ჯამბურია

გიორგი სააკაძის დაბადების თარიღისათვის

გიორგი სააკაძის დაბადების თარიღი დადგენილი არ არის.

პლატონ იოსელიანის მიხედვით, გიორგი სააკაძე 1582 წელს დაბადებულა[1]. ეს თარიღი სწორად მიიჩნიეს და გაიზიარეს შემდეგ ანტონ ფურცელაძემ[2], სიპრონ ქვარიანმა[3] და ამ სტრიქონების ავტორმა[4].

ვ. სიდამონიძემ 1955 წელს, გაზ. „სახალხო განათლებაში" (3. VIII, № 31) გამოაქვეყნა სტატია „გიორგი სააკაძის დაბადების თარიღისათვის", რომელშიც უარყო პ. იოსელიანის ცნობა და გ. სააკაძის დაბადების თარიღად 1585 წ. აღიარა. მისი მოსაზრების საფუძველია იოსებ ტფილელის ისტორიულ პოემაში, „დიდმოურავიანში", დაცული ცნობა. ი. ტფილელი გ. სააკაძეს ათქმევინებს: „ოცი წლის მამამ მივართვა, ის (ლუარსაბ II) იყო ცამეტებამდის"[5]. 13 წლისა კი ლუარსაბი იყო გამეფების წინა წელს, ე. ი. 1605 წ. და თუ გ. სააკაძე 1605 წელს 20 წლისა იყო, გამოდის რომ ის 1585 წელს დაბადებულა.

როგორც ჩვენ გამოვარკვიეთ, პ. იოსელიანის თარიღის საფუძველიც „დიდმოურავიანის" ზემოძოტანილი ცნობა ყოფილა. მხოლოდ საქმე ისაა, რომ პ. იოსელიანს ლუარსაბ II-ის გამეფების თარიღი, შეცდომით, 1603 წ. ჰგონია (იგი იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონის შეცდომას. ამ უკანასკნელის აზრით, ლუარსაბი 1603 წ. გამეფდა[6]). და მაშასადამე, ლუარსაბის გამეფების წინა წელი, როცა იგი 13 წლის იყო და გ. სააკაძე კი 20 წ., არის 1602 წელი. ამის მიხედვით, გ. სააკაძის დაბადების თარიღად 1582 წ. გამოდის.

ცხადია, როგორც პ. იოსელიანის, ისე ვ. სიდამონიძის მიერ სააკაძის დაბადების თარიღის დადგენის საფუძველი ი. ტფილელის „დიდმოურავიანია". ი. ტფილელის მიხედვით კი, გ. სააკაძის დაბადების თარიღი არის 1585 წელი (რაკი ვიცით, რომ გ. სააკაძე 1629 წლის 3 ოქტომბერს მოკლეს, გამოდის. რომ ის ამ დროს 44 წლისა ყოფილა).

---

[1] П. Иоселиани, Жизнь Великого Моурава князя Георгия Саакадзе, родоначальника князей Тархан-Моуравовых. Тифлис, 1848, გვ. 5.

[2] ანტონ ფურცელაძე, ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო, მეორე გამოცემა, თბილისი, 1911, გვ. 100.

[3] ს. ქვარიანი, ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში, 1912, გვ. 135.

[4] Г. Джамбурия, Великий Моурави, კრებულში „Грузии сыны", Москва, 1961, გვ. 28.

[5] იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, 1939, გვ. 7. სტრ. 28.

[6] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800-დე, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან, თბ., 1913, გვ. 53.

ეს თარიღი სწორი არ არის. გ. საკაძე, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს დაბადებული. ამ მოსაზრების სასარგებლოდ რამდენიმე არგუმენტის მოყვანა შეიძლება.

1. 1594 წელს ქართლის მეფემ სიმონ I-მა „წყალობის წიგნი" უბოძა გ. საკაძეს. ამ წიგნში ნათქვამია: „...მეფეთ-მეფემან პატრონმან სუ[ი]მეონ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბ[ო]ძეთ ჩუენ ერთგ[უ]ლს თავდად[ე]ბითა ნამსახურს ყმას სა[ა]კაძეს გიორგის. ძოგვიდექით კარს[ა] ჩვენ[სა], ვისმინეთ აჯა და] მოჴსმ[ე]ნება, ასრე რომე ლუარსაბ მეფის წიგნები გჭონდა და სხვათ მრავალ კელმწიფების. ესე ა.ჯ.კელი ლისი ამისი გვარის კაცის ყოფილა. ძველი წიგნები წავიკითხეთ, შევიტყვ[ე]ნით, რომ შენის გვარის კაცის ყოფილა და ჩვენც იმ წეს[ი]თ და იმ საქმით გუიბ[ძ]ანებია. არას ჩუენს ნათ[ე]ს[ა]ვთა და მეპატრონ[ე]თ[ს]აგან არა მოგეშალოს...[7] ჩუენ ესე წყალობათ გიყავით, არც შენ დაარც შენს შვილს არავინ მოგიშალოს. ვინც მოგიშალოს სული მისი ნუ იხსნების ჯოჯოხეთისაგან.."[8].

ამ დოკუმენტიდან უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს ფრაზა: ეს წყალობა „არც შენ და არც შენ შვილს არავინ მოგიშალოსო". თითქოს გამოდის, რომ გიორგის 1594 წელს შვილი ჰყოლია. შესაძლოა, რომ გიორგის ამ დროს მართლაც ჰყავდა შვილი და ისიც ვაჟი (ქალები ასეთ დოკუმენტში ჩვეულებრივ არ იხსენიებიან), მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ეს ფრაზა არ გულისხმობდეს კონკრეტულად გიორგის ვაჟს (რადგან იგი სახელით არაა მოხსენიებული) და მხოლოდ ფორმულა იყოს ზოგადად ჭარმომავლობის მნიშვნელობით. ამდენად, საბუთის ამ ნაწილს გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მიეანიჭებთ. მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ დაახლოებით იმ ხანებში გიორგის ვაჟი თუ არა ქალი მაინც უნდა ჰყოლოდა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ.

ამ დოკუმენტის გამომცემელი ს. კაკაბაძე წერს: „ამ დროს (ე. ი. 1594 წელს—გ. ჯ.), როგორც ჩანს, გიორგის მამა სიაოშ უკვე მკვდარი ყოფილა და ოჯახის უფროსად თვით გიორგი ითვლებოდა"[9]. მაგრამ წყალობის წიგნიდან არ ჩანს, რომ ეს მაინცდამაინც ასეა. ეს წიგნი რომ მთელი მამულების განახლების წიგნი იყოს, მაშინ ასეთი დასკვნა სწორი იქნებოდა. მაგრამ აქ ლაპარაკია მხოლოდ ერთი სოფლის, ლისის, წყალობაზე, რომელიც, როგორც ჩანს, ერთ დროს საკაძეებსაც ჰქონიათ, მაგრამ შემდეგ დაუკარგავთ და ახლა ისევ გიორგის უშოვია. წყალობის საფუძვლად გიორგის პირადი დამსახურებაა დასახელებული.

გ. საკაძე რომ 1585 წელს დაბადებულიყო, 1594 წელს, როცა ეს საბუთია გაცემული, 9 წლისა იქნებოდა. მოულოდნელია, რომ 9 წლის ყმაწვილისათვის მეფეს „ერთგული თავდადებითა ნამსახური ყმა" ეწოდებინა და სამსახურის სამუქფოდ სოფელი ებოძებინა. გ. საკაძე 1594 წელს გაცილებით მეტი ხნისა უნდა ყოფილიყო, სრულწლოვანი მაინც, რომ შესძლებოდა მეფისათვის სათანადო სამსახურის გაწევა. უფრო მეტიც, ჩვენ ვიცით, რომ გ. საკაძე XVI ს-ის 90-იან წლებში სიმონის მიერ თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ წარმოებული ომების მონაწილეა. ამ მოსაზრების საფუძველს გვაძლევს იტალიე-

---

[7] „კოპიოში" აქ სწერია: და მასთ სეთ (და მათისავით?).

[8] ს. კაკაბაძე, გიორგი საკაძის ვინაობის შესახებ, „საისტორიო კრებული", IV, 1927, გვ. 73—74.

[9] იქვე, გვ. 73, საბუთის ღეგენდა.

ლი მოგზაურის პიეტრო დელავალეს (რომელიც ირანში იმყოფებოდა რამდენიმე წელს) ცნობა, რომლის მიხედვით გიორგი ოსმალეთში ტყვეობაში ახლდა სიმონ მეფეს პირველ ხანებში. პიეტრო დელავალე მოგვითხრობს ავრეთვე. — წერს მ. თამარაშვილი, — როგორ ხშირად დაჰარებოდნენ პატრონის წირვაზე (ისპაჰანში, 1617—1619 წლებში — გ. ჯ.), სხვათა შორის, ბატონი მერაბ[10], რომელიც სიმონ მეფეს სიკვდილამდე ტყვეობაში ახლდა, მისი შვილი ბატონი ვახტანგ[11] და მისი ძმისწულები ბატონი ბეჟან და ავთანდილ და სხვები“[12]. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ გიორგი სიმონთან ერთად ტყვედ ჩავარდნილა ფარცხისის ომში 1600 წელს, ან თავისი ნებით წაჰყოლია მოხუც მეფეს (სიმონის ამალაში თავისი ნებით წასულებიც იყვნენ), ე. ი. საააკაძე სიმონის ჯარში იბრძვის. რა თქმა უნდა, ეს ომი არ იქნებ ოდა პირველი, რომელშიც საააკაძეს მიუღია მონაწილეობა (იგი 1594 წელსაც ხომ სიმონის „თავდადებით ნამსახური ყმაა“).

2. 1620 წელს სასამართლო გაიმართა გიორგი საააკაძისა და ქაიხოსრო ჯავახიშვილის დავის გამო. აღნიშნულ სასამართლოზე გიორგის განუცხადებია: „ქაიხოსრო მოყვარეც იყო, ქალიც მთხოვაო და კიდეც დავმოყვრდითო. და ჩემის საქმითა და მოყრობით სამს წელიწადს ასრე შევინახეო, არცა ვის წასაკდენლად და გასაგდებლად დავანებეო. რა მე წამახდინესო, ქაიხოსრო აქ დარჩაო და... მესისხლედ ამიჩნდაო“[13]. გამოდის, რომ გიორგის გაძევებამდე (ეს კი 1612 წ. მაისში მოხდა) სამი წლით ადრე, ე. ი. არა უგვიანეს 1609 წლის მეორე ნახევრისა. ქაიხოსროს თავისი ვაჟისათვის გიორგია ქალის ხელი უთხოვია, მაგრამ შემდეგ, გიორგის თქმით, ქაიხოსროს „დაუგდია“, ე. ი. არ შეურთავს იგი თავისი ვაჟისათვის.

ქაიხოსრო თავს იმართლებს: მართალია ქალი ვთხოვე, კაცი; რამდენჯერმე გავუგზავნე. მაგრამ გადაჭრილი პასუხი ვერ მივიღეო, არც დასტურს მაძლევდა და არც უარს მეუბნებოდაო. ამასობაში ხანი გავიდა „იმ უფროსის ქალსა გარდასწყდა და გაათხოვესო“[14]. გიორგის უფროსი ქალის გათხოვება დაახლოებით 1610 წლის შუახანებში უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ „ერთი-ორი წელიწადი გამოვიდა და ჩემს შვილს ქალი უთხოვეო“,—განუცხადებია სასამართლოზე ქაიხოსროს[15]. ეს ამბავი დაახლოებით 1611 წლის ბოლოზე მოდის.

ამის შემდეგ. აცხადებს იქვე ქაიხოსრო, „ჩივაძეს მახარებელს (საააკაძის ბიწაურს—გ. ჯ.) შევეხუენე და უთხარ: ორჩიავ[16] ის უფროსი ქალი არ იქნა და თუ სხვა უმცროსი ქალი ჰყავს, მეც უმცროსი შვილი მყავსო და იმას მისცესო,

---

10 ბერაბ იგივე მოურავია. უცხოელები დამახინჯებულად წერენ: მორაო, მავრო, მურად, მერაბ, მებრე და სხვ.

11 აქ სახელები არეულია: ავთანდილი შვილია და არა ძმისშვილი. ბეჟანი ბიძის (ზურაბ სახლთუხუცესის) შვილი უნდა იყოს. ვახტანგის შესახებ ეერაფერს ვიტყვით.

12 მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბ., 1902 გვ. 88; ა. ფურცელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29, შენიშვნა 1, გვ. 101, შენიშვნა 3.

13 თ. ენუქიძე, 1620 წლის სასამართლო გადაწყვეტილების წიგნი დიდ მოურავ გიორგი საააკაძესა და ქაიხოსრო ჯავახიშვილს შორის დავაზე, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, IV, 1962. გვ. 277.

14 იქვე, გვ. 282.

15 იქვე.

16 ორჩიავ (?), ორთაე (?). თუ აქ შეიძლება ორთავე იგულისხმებოდეს, მაშინ გამოვა, რომ გიორგის 1611 წლის ბოლოსათვის ორი უფროსი ქალი ჰყოლია გათხოვილი (გიორგს სულ სამი თუ ოთხი ქალი ჰყავდა).

ღიდად წყალობად დავიჩენო. ჩივაძემ აღარც პასუხი მომიტანა და აღარც რა. მე მოვახსენე ეგების, ჩემი მოყორობა აღარ ეპრიანებოდესო"[17].

როგორც ჩანს, გიორგის თავისი უფროსი ქალის (თუ ორი უფროსი ქალის?) ქაიხოსროს უფროსი ვაჟისათვის მიცემაზე თავი შეუკავებია. „სხუა უმცროსი ქალის" (რომელიც 1620 წელსაც გაუთხოვარი ყოფილა) საკითხი კი ჯერ გადაწყვეტილი არ იყო, რომ გიორგის საქართველოს დატოვება მოუხდა, ხოლო ქაიხოსრო მისი მტერი გახდა. იმ დროს, როცა გიორგი ირანში იყო, ქაიხოსროს თავისი უმცროსი ვაჟისათვის გიორგი საყაძის ცოლისძმის ზურაბ ერისთავის ქალი შეურთავს ცოლად[18]. სწორედ ამის გამო ედავება გიორგი ქაიხოსროს. აღნიშნულ სასამართლოზე გიორგის განუცხადებია: „თუ ყაენთან (ე. ი. ირანში) წასულის გულისათვის დამიგდო [ქალი], ვისაც აქ ცოლი და დანიშნული ჰყუანდაო, ისიც იქ გაუგზავნესო. ყაენთან წასულის გულისათვის ქალი რატომ დამიგდო, ან ჩემი სისხლი რატომ შეიდვაო, დღესაც ისრევე უქმროდ არისო"[19].

ამ დავიდან ჩვენთვის ამჟამად მთავარია ის, რომ მთელი ეს ამბები გიორგის წახდენამდე და ირანში გადავარდნამდე, ე. ი. 1612 წლის მაისამდე, მომხდარა. ეს თვით გიორგის სიტყვებიდან ჩანს: როცა შემდეგ ირანიდან ჩამოვედიო „და ეს ყუელა ავი ქაიხოსროსაგან მჭირდაო[20], იმას ასრე ეგონაო, რომე წაუკდენელს არ გაუშვებდაო, აიყარა და სურამისაკენ წავიდაო, მივსწიე ბიძინა უკანო და ისრევე დავაბრუნე..."[21] რა თქმა უნდა, გიორგის ირანს გადავარდნის შემდეგ ქაიხოსროსთან მოყვრობაზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა—ქაიხოსრო შემდეგაც სხსიკვდილოდ დასდევდა გიორგის.

მაშასადამე, სრულიად უდავოა, რომ გიორგი საყაძემ უფროსი ქალი (ან ორი უფროსი ქალი) 1612 წლის მაისამდე გაათხოვა. უფრო მეტიც. გაძევებამდე სამი წლით ადრე (ე. ი. 1609 წ.) უფროსი ქალი გასათხოვარი ასაკისა ყოფილა (არა ნაკლებ 12—13 წლისა), რომ ქაიხოსროს თავისი ვაჟისათვის უთხოვია. მართალია, მისთვის არ მიუციათ, მაგრამ მაღე კი გაუთხოვებიათ. ჩვენი აზრით, ეს დაახლოებით 1610 წლის შუა რიცხვებისათვის უნდა მომხდარიყო.

თუ დავუშვებთ, რომ საყაძის უფროსი ქალი 1609 წელს (როცა ის გასათხოვარი ასაკისა იყო) 12—13 წლის მაინც უნდა ყოფილიყო (შესაძლებელია მეტისაც), მაშინ გამოვა, რომ იგი 1596 წელს (ან მის ახლო დროს) დაბადებულა.

მაგრამ, წესაძლებელია, ეს ქალი არ იყო გიორგის პირმშო. საყაძის პირმშო თითქოს ვაჟი, ავთანდილი, უნდა ყოფილიყო[22]. თუ ეს ვარაუდი სწორი გა-

[17] იქვე.

[18] „ზურაბი ჩემი მოყუარე იყო, შეუდგა ზურაბს ქუეშეო და მოყორობიდამ გამყარაო. იმისი ქალი ითხოვაო და ჩემი ქალი დამიგდო", — ამბობს მოურავი სასამართლოზე (იქვე, გვ. 283);

[19] იქვე, გვ. 282.

[20] ქალის „დაგდების" გარდა აქ იგულისხმება აგრეთვე ქაიხოსროს მიერ საყაძის მამულის დარბევა.

[21] იქვე, გვ. 283.

[22] 1624 წ. (?) შეწირულობის წიგნში მოხსენიებულია პატრონი მარეხ და მისი პირმშო ძე პატრონი ავთანდილ, რომელნიც სწირავენ თავიანთ მკედრ გლახს ს. ერთაწმიდაში ამაღე სოფლის წმიდა ესტატეს სახელობის ეკლესიას (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიდან, ტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 19). ამ დროს ს. ერთაწმინდა საყაძეების სამკვიდროა. ერთაწმინდის ეკლესია კი მათი საკუთრებული მონასტერია. ავთანდილის სახელით ვაჟი გ. საყაძეს ჰყავდა, შესაძლოა „პატრონი მარეხი" გიორგის მეუღლე, ხოლო „პატრონი ავთანდილი" მისი პირმშო ვაჟია.

ბოდგა. მაშინ ავთანდილი 1596 წელზე ადრე. დაახლოებით 1594 წელს, უნდა დაბადებულიყო. თუ აქ გავიხსენებთ სიმონ I-ის წყალობის წიგნს გიორგი საჯაძისადმი. რომელშიც ნათქვამია: ეს წყალობა „არც შენ და არც შენს შვილს არავინ მოგიშალოსო“. მაშინ შეიძლება ამ დოკუმენტში მოხსენიებული „შვილი“, ზოგადად შთამომავლობის აღმნიშვნელი ტერმინი კი არ იყოს, არამედ გიორგის რეალურად არსებულ შვილს. და ისიც ვაყს. ავთანდილს. გულისხმობდეს. მაგრამ ეს მაინც ვარაუდია. და ამდენად ვერც ამას, ისე როგორც 1594 წ. საბუთის ზემონახსენებ ფრაზას, გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ.

უფრო სანდოდ მიგვაჩნია ის ვარაუდი, რომ გიორგის უფროსი ქალი 1596 წ. (ან მის ახლოს) დაბადებულა. ამ დროს სააკაძე 19—20 წლისა მაინც უნდა ყოფილიყო (თუ ეს ქალი პირმშოა. ხოლო თუ პირმშო ვაჟია,—ავთანდილი, მაშინ მეტისაც). ამის გამო გიორგი 1575—76 წლების შემდეგ არ შეიძლება დაბადებულიყო. ჩვენი აზრით, სააკაძე სწორედ 1575—76 წლებში (ან რამდენიმე წლით ადრე) დაბადებულა. და დაღუპვის დროს, 1629 წელს, 53—54 წლის მაინც ყოფილა.

3. აქ მოტანილ მსჯელობას ამაგრებს ფარსადან გორგიჯანიძისა და XVII ს. თურჩი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები, რომელთა მიხედვით სააკაძე. მისი ცხოვრების ბოლო ხანებში, „მოხუცი“ ყოფილა.

ფარსადან გორგიჯანიძე 1626 წლის ბაზალეთის ომის აღწერისას აღნიშნავს: „მოვრავს ეთქვა: ომში ბატონს თეიმურაზს ვიახლებიო და იმის სიყმაწვილესაო, ჩემს სიბერიკაცესაო მასთან გამოვცდიო“[23]. ე. ი. ფარსადანს 1626 წელს თეიმურაზი, რომელიც იმ დროს 37 წლისა იყო[24], ახალგაზრდა კაცად მიაჩნია, გიორგი კი მოხუცად. სააკაძე რომ 1585 წელს დაბადებულიყო, ამ დროს იგი 41 წლისა იქნებოდა. ასეთი მცირე განსხვავების გამო ფ. გორგიჯანიძე ერთს ახალგაზრდას და მეორეს მოხუცს, რა თქმა უნდა, არ უწოდებდა.

თურჩი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობით, 1629 წელს, როცა სააკაძე ოსმალეთში მოკლეს. იგი „სპეტაკწვერიანი“ ყოფილა. მეორე ადგილას კი გიორგის „გმირ მოხუცს“ უწოდებს[25]. მუსტაფა ნაიმას ზემომოტანილი სიტყვები. რა თქმა უნდა, 53—54 წლის (ან უფრო მეტის) კაცს უფრო შეეფერება, ვიდრე 44 წლის (თუ ის 1585 წელს დაიბადა) ვაჟკაცს.

აქ მოტანილი მთელი მსჯელობა, ჩვენი აზრით, უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ. რომ გიორგი სააკაძე დაბადებულა არა 1585 წელს (და არც 1582 წელს), არამედ XVI ს. 70-იანი წლების შუა ხანებში, არა უგვიანეს 1575—6 წლებისა.

ამ მოსაზრებას ამაგრებს, ჩვენი აზრით, კასტელის მიერ ღახატული საკაძის პორტრეტიც, რომელიც შესრულებულია 1627 თუ 1628 წლებში სტამბოლში — პორტრეტზე გამოსახულია დაახლოებით. 55—60 წლის მამაკაცი.

სააკაძე დაბადებული უნდა იყოს სოფელ ფელში, ტანას ხეობაში, როგორც აღნიშნავს ანტონ ფურცელაძე[26], და არა სოფელ ნოსტეში, თეძმის ხეობაში, როგორც ამას ფიქრობდა პლატონ იოსელიანი[27]. XVI ს. 70-იან წლებში, როცა

---

23 ს. ყაუხჩიშვილი. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 28.

24 ალ. ბარამიძე. თეიმურაზ პირველი, წიგნში: თეიმურაზ პირველი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 175.

25 ს. ჯიქია. ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. „ენიმის მოამბე“, ტ. XIII, 1943, გვ 213.

26 ა. ფურცელაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 100

27 პ. იოსელიანი. დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

გ. სააკაძე დაიბადა. ნოსტე ჯერ კიდევ არ იყო სააკაძეთა რეზიდენცია; მართალია, იმ დროს მათ უკვე ფენი მოკიდებული ჰქონდათ თემის ხეობაში, მაგრამ მისი ინტენსიური ათვისება მხოლოდ 90-იან წლებში ხდება, როცა გიორგი უკვე სამოღვაწეო ასპარეზზე იყო გამოსული. XVI ს. 70-იან წლებში სააკაძეთა რეზიდენცია ჯერ კიდევ მათ „ძველ სამკვდრო სოფელ ფელში" იყო[28]. ამის გამო გ. სააკაძეც იქ უნდა იყოს დაბადებული.

ამგვარად, გიორგი სააკაძე დაიბადა XVI საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში (ან პირველ ნახევარში), არა უგვიანეს 1575—1576 წლებისა. მისი დაბადების ადგილია სოფელი ფელი, სააკაძეთა „ძველი სამკვიდრო", ატენის ხეობის ზემო წელში, ტანასწყლის ნაპირზე.

---

[28] როსტომ მეფის 1652 წ. სიგელი იორამ სააკაძისადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd 10. 956-ა. 1620 წ. სასამართლოს ოქმში ნათქვამია: „კიდევ პატრონი მოუთაკი ფ ე ლ ის დარბევას ჩიოდა, რომე ჩ ე მ ი ც ი ხ ე და ს ი მ ა გ რ ე ი ს ი ყ ო და ქაიხოსრო (ჯავახიშვილი—გ. ჯ.) გამიტეხა და დამირბიეაო" (თ. ენუქიძის დასახ. გამოცემა, გვ. 281). ს. ფელში XIX ს. ბოლოს კიდევ უოფილა „დარჩენილი დიდებული ციხე-დარბაზი შვიდეტაეიანი, ტანის გაღმა-გამოღმა გადგმული და ზემოდან მოჯირით და ცადაქნილობით ვადაბმული", მაგრამ მალე კ. დაუნგრეეიათ (ა. ფურცელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—101). დღეს იქ არაეითარი ნაშთი აღარაა.

ვლადიმერ ფუთურიძე

ირანის სპასალარი როსტომ-ხან სააკაძე

ქართველი ხალხის ბევრ სახელოვან შვილს ბედის უკუღმართობის წყალობით სხვა ქვეყნებში მოუხდა მოღვაწეობა და იმ ქვეყნების სამხედრო ძლიერების განმტკიცებას შეალია თავისი ნიჭი და ძალ-ღონე. საკმარისია გავიხსენოთ სეფიანთა ირანში მოღვაწე ქართველები, მამა-შვილნი უნდილაძეები ანდა სააკაძეთა გვარის ორი დიდი წარმომადგენელი—გიორგი და როსტომი. ცნობილია, რომ შაჰ-აბას I-ის დროს ირანი აღმოსავლეთის ერთი უძლიერესი სახელმწიფო იყო და მისი სამხედრო ძლიერების ფუძემდებელთა შორის თუ პირველი არა, ყოველ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ალავერდიხანს, გვარად უნდილაძეს, რომელმაც უშუალო და მხურვალე მონაწილეობა მიიღო შაჰ-აბასის სამხედრო ძალების რეორგანიზაციაში და შემდეგ, როგორც მთავარსარდალმა, მრავალი გამარჯვება მოუპოვა ყიზილბაშებს ოსმალეთთან ომებში.

დიდი ადგილი უჭირავს სეფიანთა ირანის სამხედრო პოლიტიკურ ისტორიაში აგრეთვე როსტომ სააკაძეს, რომელსაც სპარსული წყაროები როსთემ-ხანად იხსენიებენ.

ირანის დიდი სპასალარის როსტომ-ხანის შესახებ ცნობები, სპარსულის გარდა, ქართულ წყაროებშიც მოიპოვება. ამ წყაროებიდან ვიცით, რომ გვარად ის იყო სააკაძე. ფარსადან გორგიჯანიძეს თავის „ისტორიაში“ ორჯერ ჰყავს მოხსენიებული როსტომ-ხან სააკაძე. ის ამბობს: „...ბატონს თეიმურაზსაც გაუწყრა ყაენი და საქართველო მეფეს როსტომს მისცა და სააკაძე როსტომ-ხან ერანის ლაშქრით თან გაატანეს...“[1]. ფარსადანი იქვე საყურადღებო ცნობას იძლევა როსტომ-ხანისა და როსტომ მეფის ურთიერთობის შესახებ და მოკლედ, მაგრამ სხარტად ახასიათებს ამ ორი სახელმწიფო მოღვაწის დამოკიდებულებას საქართველოსადმი. მოვიტანთ აქ ამ საკმაოდ გრძელ ამონაწერს: შაჰ-სეფიმ რომ საქართველოს (ქართლის) მეფედ როსტომ-ხანი გამოგზავნა და როსტომ-ხან სააკაძე გამოატანა დიდი ჯარით, „...ქართველთა თავადნი და აზნაურნი სრულ მიუვიდნეს და როსტომ მეფეს ფეხს აკოცეს, ციციშვილის ფარსადანის მეტი, და იმას სარდრისა (ე. ი. როსტომ-ხან სააკაძის, ვ. ფ.) ეშინოდა, ამისათვის, რომ ძველით მტერობა აქონდაო. ეს სარდარმან იწყინა, საციციანოს ლაშქარი გაუძახა, და[ა]რბევინა და მრავალი ტყვე მოასხეს. ეს როსტომ მეფემ იწყინა და სარდარს კაცი მიუგზავნა: თავად საქართველო აოხრებული ერის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამოხრებთო, მაშ მე რისიღა ბატონი

[1] ს. ყაყაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. „საისტორიო მოამბე“, ტ. II, 1925, წ. II, გვ. 239.

ვიქნებიო. ამაზედ დამდურდნეს და ორთავ ყაენს არზა მისწერეს. და ყაენისაგან ბრძანება მოუვიდა — სარდარი თავისის ლაშქრითაო ვანის ციხეზედ წავიდესო და შირვანის ბეგლარბეგი ყარაბახის ლაშქრით როსტომ მეფის ქვეშიკში დადგესო. რა სარდარი საქართველოს გაეცალა, ფარსადან ცრუშვილი და ან სხვანი საცა დახიზნულიყვნენ, ყველანი მოვიდნენ. დაიწყეს აშენება, ხვნა, თესვა"[2].

ამგვარსავე ცნობას ე. წ. „პარიზის ქრონიკაშიც" ვპოულობთ: „ქორონიკონსა ტყმ (=1635 წ.) დაუთ-ხანის შვილს ყულარაღას როსტომს მისცეს ქართლი. გამოატანა [შაჰმა] ყიზილბაშთ სარდალი, ბატონის ბაგრატის სახლუხუცესი სააკაძე ბეჟანის შვილი როსტომ-ხან". და შემდეგ: „...[როსტომ მეფეს] ქართველნი სრულ მოუვიდნენ ციციშვილის ფარსადანის მეტი და ის იმისათვის ვერა მოვიდა, რომ სარდლის სახლზედა ძალი და უსამართლო მიუძღოდა, იმისგან ერიდებოდა..."[4].

როსტომ-ხან სააკაძის შესახებ ბერი ეგნატაშვილიც გვიამბობს „ახალი ქართლის ცხოვრებაში": „მაშინ იყო ვინმე სააკაძე როსტომ, რომელი აღზრდილიყო ყეენის კარზედა. და იყო ესე სააკაძე როსტომ კაცი გამოჩენილი და დიდად პატივცემული ყიზილბაშთაგან. და მისცა მას სპასალარობა და გამოაყენა ქართლსა ზედა და წარმოატანა თანა ბატონად ქართლისა ხოსრო-მირზა. ძე დაუთ-ხანისა, რომელი პირველ ეაქსენეთ, რამეთუ ამა ხოსრო მირზას მისცა ყეენმა ქართლი და უწოდა როსტომ-ხან. და წარმოგზავნეს ორივე ზოგად როსტომ-ხან, და როსტომ სპასალარი სააკაძე"[5].

ახსენებს როსტომ-ხანს იოსებ თბილელიც თავის „დიდმოურავიანში":

ქაიხოსრო პყვა მოყვარედ როსტომ-ხან სპასალარია,
მრავალჯერ გამოუგზავნა ომრო, ვერცხლი და ღარია,
მაგრა იმათგან შოვება ბოლოჟამ ერთობ მწარია,
და არ დააღგრების სამკვიდროდ, აღუტყდეს სითმე ქარიან[6].

ვხვდებით როსტომ-ხანს „არჩილიანშიც":

732 აქ სააკაძე როსტომ ხან ერანზე ასპასალარა,
კელა დაუთხანის შვილს მისცა, მას როსტომ ეთქვა სალარა,
ქართლი მისცა და სხვაც ბევრი საუურკლე, მას ასალარა.
და მოვიდნენ, თუმცა გამაგდეს, მოისვენებდა მალ არა[7].

დაბოლოს, ვახუშტი ბაგრატიონიც, როგორც ჩანს, „დიდმოურავიანზე" დაყრდნობით, შემდეგნაირად იხსენიებს როსტომ-ხანს: „...არამედ ქიახოსრო ბარათაშვილი მოყვრობდა როსტომ სპასალარსა და უელინებდა როსტომ სავანძურსა მრავალსა, ამისათვის არა ერჩდა მოურავსა (გიორგი სააკაძეს)". შემდეგ: „ამას ზედა განრისხდა შაჰსეფი ყეენი და წარმოაელინა სპასალარი როსტომ სააკაძე სპითა დიდითა და წინ ხსენებული ხოსრო-მირზა მეფედ ქართლისად (და ხოსროს უწოდა როსტომ) დიდითა ნიჭითა და კახეთი მისცა სალიმ-ხანს"[8].

---

2 ს. ყაყაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 240.

3 წერია: სპაკაძე.

4 პარიზის ქრონიკა. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. გვ. 49, 50—51.

5 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II, თბ., 1959, გვ. 416.

6 იოსებ თბილელი. დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის რედაქციით. 1939. გვ. 259.

7 არჩილიანი. ალ. ბარამიძის და ნ. პერძენიშვილის რედაქციით. ტ. II. გვ. 85.

8 ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 43, 45.

ირანის სპასალარის როსტომ-ხან სააკაძის მოღვაწეობის შესახებ ცალკე ცნობებს სეფიანთა დროის ისეთ სპარსულ საისტორიო თხზულებებში ვპოულობთ, როგორიც არის მოჰამედ თაჰერე ვაჰიდის შაჰ-აბას II-ის ისტორია („თარიხე თაჰერე ვაჰიდ“) და ისკანდერ მუნშის „თარიხე ალამ-არაჲე აბბასი“ გაგრძელება („ზეილე თარიხე ალამ-არაჲე აბბასი“). როსტომ სპასალარის ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცელი აღწერა წარმოდგენილია ვინმე ბეჟანის (بیجن) უსახელო საისტორიო ნაწარმოებში, რომელიც როსტომ-ხანისა და ირანის თანამედროვე პერიოდის ისტორიას შეიცავს. ერთადერთი ხელნაწერი ამ ნაშრომისა ინახება ბრიტანეთის მუზეუმში Rieu-ს აღწერილობით (Catalogue of the Persian Mss in the British Muzeum, London, 1895. Add. 7655. ტ. I, გვ. 188 b)[9] ხელნაწერი შეიცავს 89 ფურცელს. დაწერილია ნასთალიყის ხელით და თარიღად ჰიჯრის 1104 (=1692/1693) წელი უზის. ავტორი ამ ნაშრომისა ბიჯანი (ბეჟანი) თავის თავს „თარიხ-სეფევი-ხანს“ ეძახის (خوان صفوی تاریخ بیجن) რაც „სეფიანთა მატიანის მთხრობელს“ უნდა ნიშნავდეს.

როგორც წინასიტყვაობაში ამბობს ავტორი, მას ეს წიგნი დაუწერია როსტომ-ხანის შვილიშვილის, აზერბაიჯანის ბეგლარბეგის დავალებით. წყაროებად თავის ნაშრომისათვის ბეჟანს გამოუყენებია სეფიანთა ხანის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისტორიკოსების — ჰასან რუმლუს და ისკანდერ მუნშის ნაწარმოებები, თვით როსტომ-ხანის, მისი ძმებისა და მახლობლების ზეპირი მოთხრობები.

თავისი ნაშრომის დასაწყისში ბეჟანი მოგვითხრობს როსტომ-ხანის გვართომობის შესახებ და ამბობს, რომ როსტომ-ხანის წინაპრებზე მატიანეებში ვერაფერი ვიპოვე, მხოლოდ იქაური (ე. ი. საქართველოს) მოხუცებულებისაგან და ზოგიერთი აქაური (უნდა იგულისხმებოდეს ირანელი) ხალხისაგან, ვინც ცხონებული ხანის სამსახურში იყო, გავიგონე ცოტა რამ. შევკრიბე ყველაფერი ეს და დავუმატე განსვენებული შაჰის (შაჰ-აბას I) მატიანეებიდან ამოკრებილი ცნობებიო.

ასე შეკრებილი მასალიდან ავტორს გამოურკვევია, რომ როსტომ-ხანის მამა წინაპრები იყვნენ ბაგრატიონები, რომელთა გვარის სათავე ბაგრატ-ხანამდე, საქართველოს პირველ ხელმწიფემდე აღწევსო. მანამდე საქართველოს ტახტზე არავინ მჯდარაო; ეს ბაგრატი ეკუთვნოდა მისი უწმინდესობის დავითის (იუდეველთა მეფის) შთამომავალთა რიცხვს, ხოლო ამ ბაგრატის შთამომავალთ უწოდებენ ბაგრატიონებს, რომელნიც საქართველოს ქვეყნის თავადები და აზნაურები არიან ამჟამად, სიმამაცით და გულადობით განთქმული მთელ ქვეყანაზეო[10]. მაშასადამე, ჩვენი ავტორი სააკაძის გვარს ბაგრატიონებს უკავშირებს და მისი წევრები, კერძოდ, როსტომ-ხანი. ბაგრატიონების, საქართველოს სამეფო გვარის შთამომავლად მიაჩნია.. უეჭველია, ასეთი ცნობა მას მიღებული ექნება იმ „მოხუცებულებისაგან“, რომელთაც ის ერთ-ერთ თავის წყაროდ ასახელებს.

როსტომ-ხანის მამად ბეჟანი ახსენებს ბეჟან-ბეგს, რომელიც თავისი დიდი სიმამაცისა და ვაჟკაცობის გამო ყარა-ბეჟანად არის ცნობილი[11]. „პარიზის ქრონიკითაც“, როგორც ზემოთ დავინახეთ, როსტომ-ხანი ბეჟან სააკაძის შვილია.

[9] ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი Add. 7655, ფ. 5 ა.

[10] იქვე.

[11] იქვე.

ავტორი გვიამბობს, რომ ყარა-ბეჟანი შაჰ-თამაზის დროს ქართლის ყოფილი ვალის (მეფის) აზნაურთა რიგებში იყო. შემდეგ ის მოკლედ გადმოგვცემს დავუდ-ხანის (დავით მეფის) და სვიმონ I-ის ბრძოლას ქართლის ტახტისათვის, სვიმონის დატყვევებას ყიზილბაშთა მიერ, მის გამოშვებას საქართველოში შაჰ-ხოდაბენდეს დროს, ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ „დახლოებით ათი-თორმეტი წლის განმავლობაში“ და, ბოლოს, მის ხელში ჩაგდებას ოსმალების მიერ და სტამბოლში დატყვევებას. „მისი (სვიმონის) ქვეყანაც ოსმალთა ხელმწიფის საკუთრება გახდაო“, შენიშნავს ავტორი. საქართველოში არეულობა დაიწყო. განაგრძობს ის, და წარჩინებული აზნაურების უმრავლესობამ დასტოვა ის ქვეყანა და შაჰის კარზედ წავიდა. მათ შორის იყო ცხონებული ყარა-ბეჟან-ბეგიც, რომელიც ძმის ხელით მოკლული დავუდ-ხანის (დავით მეფის) ნათესავებთან, სვიმონ-ხანთან და დავუდ-ხანის ერთ ვაჟიშვილთან ერთად, შაჰის კარზე მივიდა და მოწყალებით იქნა მიღებული ხელმწიფის მიერო. ყარა-ბეჟანი ყიზილბაშთა სამსახურში ჩამდგარა და, როცა 999 (1590/91) წელს შაჰი თავის ამალით ფარსიდან დაბრუნებულა, მას ყარა-ბეჟან-ბეგი სასახლეში დაუნიშნავს ქეშიკად (მცველად). მაშასადამე, ბეჟან-ბეგს შაჰის ნდობა დაუმსახურებია და საკმაოდ მაღალი თანამდებობა დაუკავებია.

საიდან აქვს ბეჟანს აღებული ცნობა დავით მეფის (დავუდ-ხანის) თავის ძმის მიერ მოკვლის შესახებ, არ ვიცით. ქართული წყაროებით დავითი „მიიცვალა“ ოსმალეთში, სადაც ის წავიდა იმის შემდეგ, რაც შაჰმა სვიმონს მისცა ქართლის ტახტი და საქართველოში გამოისტუმრა. ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ: „მეფე სვიმონ ხონთქართან მიიყვანეს და ურუმთ ქართლი მეფის დავითისათვის უნდოდა, მაგრამ მეფე დავით მიიცვალა და ქართველთ დაუწყეს ხონთქარს ხვეწნა და მეფის სვიმონის გამოშვებას ეაჯნეს“[12].

განაგრძობს რა როსტომ-ხან სპასალარის ცხოვრების ამბებს, ბეჟანი მოგვითხრობს, რომ „როცა მე. უსაწყლესი, მას (ე. ი. როსტომ-ხანს, ვ. ფ.) შევკითხივარ, უამბნია, რომ როცა სახელოვანი მშობელი ჩემი (ყარა-ბეჟან-ბეგი), რამდენიმე წლის შემდეგ გაშვებული იქნა ცხონებული ხაყანის (ირანის შაჰის) მიერ და საქართველოში ჩავიდა, იქ მან გორის სანახების ერთ სოფელში, მდინარე მტკვრის პირას ერთი დარბაზი („თალარი“) აიშენა საცხოვრებლადო, რადგანაც ურუმები და ზოგი ქართველიც განაწყენებული იყვნენ მასზე იმის გამო, რომ ის არ ემორჩილებოდა [იქაურ] მმართველებსო“[13]. (როსტომ-ხანს გახსენებია ეს სოფელი და ეს სახლი, როცა ის ყიზილბაშთა ლაშქრით ჩამოსულა საქართველოში ხოსროვ-მირზას (როსტომ მეფის) დასანკვიდრებლად ქართლის ტახტზე და, როგორც ავტორი გადმოგვცემს მის ნაამბობს, იმ სოფლის მამაკაცებისა და ქალებისათვის ბევრი წყალობა უყვია და შვიდ დღეს დარჩენილა იქ). ამ სოფელში ყარა-ბეჟანს მტრები დასხმიან თავს, მოუკლავთ ის, დაურბევიათ ოჯახი და, რაც ებადა, ყველაფერი გაუტაცნიათ, გადარჩენიათ მხოლოდ ერთ მეწველი ძროხა[14]. ოჯახში დავრჩით დედა და სამი ძმა,—უამბნია როსტომ-ხანს

[12] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 224.

[13] ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი Add. 7655, ფ. 7 ბ.

[14] ი ქ ვ ე. შეიძლება ბეჟან საყაძის ოჯახის ამწიოყებელნი ციციშვილები იყვნენ და მაშინ დაბადა მათ შორის (თუმცა შეიძლება მანამდისაც არსებობდა) ის მტრობა, რომელზეც ლაპარაკობენ ქართული წყაროები. ფ. გორგიჯანიძისა და „პარიზის ქრონიკის“ ზემოთ მოტანილ ცნობებში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ფარსადან ციციშვილს „სარდლის (როსტომ-ხანის) ვაჭიროდა, ამისათვის, რომ ძველი მტერობა აქონდათ“, რომ ციციშვილს „სარდლის სახლზედა ხელი და ესპარტიო მიუძღოდა“.

თავის მახლობლებისათვის,—და რადგანაც ვერ შევძელით ამ ქვეყანაში (ე. ი. საქართველოში) დარჩენა, ჩვენს პატიოსან დედასთან ერთად „შაჰისადმი მოხობისა და მსახურების სამოსი ჩავიცვით“ და ურწმუნოთა ქვეყნიდან გავედითო. გზაში მათ დახვედრიათ ყაჩაღი, რომელსაც ის უკანასკნელი საცხოვრებელი ასბარი მთელი ოჯახისა.—მეწველი ძროხა. წაურთმევია და სრულიად უმწეოდ დაუყრია ისინი.

ავტორი არკვევს ზოგიერთი პირის ნაამბობის მიხედვით, რომ როსტომი ათი-თორმეტი წლის იქნებოდა, როცა ირანში ჩასულა და შაჰის სამსახურში შესვლით „მოუპოვებია დიდება“. მას თავისი ნიჭით და ერთგული სამსახურით ხელმწიფის ყურადღება დაუმსახურებია და სწრაფად დაწინაურებულა. ბეჟანს აღწერილი აქვს ის ომები, რომლებშიც როსტომმა თავი გამოიჩინა როგორც მეომარმა ან სარდალმა, ხოლო ბოლოს მოკლედ აჯამებს მის მოღვაწეობას და ჩამოთვლის იმ საფეხურებს, რომელზედაც ასვლით როსტომმა სამხედრო და სამოქალაქო სამსახურის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ამ მიმოხილვაში ავტორს დაბადების წელიც აქვს მოცემული. ის ამბობს, რომ, რამდენადაც მე გამოვარკვიე ზეპირ გადმოცემებიდან და მატიანეებიდან, როსტომ-ხანი ცხრაას ოთხმოცდათექვსმეტ (1587/1588) წელს დაიბადა საქართველოში და ათას შვიდ (1598/1599) წელს, დაახლოებით 11 წლის ასაკისა შევიდა პირველად შაჰაბასის სამსახურში. პირველ ხანებში ის შაჰის სასახლის საქალებოში (ჰარემში) ყოფილა შაჰის პირად ღულამად. თვრამეტი წლის ყმაწვილი იქნებოდა, როცა სოჰბათ-იასაულის თანამდებობით დაუჯილდოვებიათ, ხოლო 1626/27 წელს მდივნის მაღალი სახელო ჩაუბარებიათ. ექვსი წლის შემდეგ მისთვის, სარდლობისა და დივანბეგობის გარდა, თოფანგჩიაღასობაც (ე. ი. შაჰის მეთოფეთა რაზმის უფროსობა) მიუცია. უმაღლესი სამხედრო თანამდებობა— ირანის სპასალარობა[15], აგრეთვე აზერბაიჯანის ბეგლარბეგობა როსტომ-ხან სააკაძეს ათას ორმოცდაოთხ (1634/35) წელს მიუღია. როსტომ-ხანს ექვსი ომი გადაუხდია, რომლებშიც მას „გაუმარჯვია რჯულისა და სახელმწიფოს (ე. ი. სეფიანთა ირანის) მტრებზე“. ეს ომები იყო: ვანის ციხეზე გალაშქრება და ქურთების დამარცხება და აკლება; ბაღდადის გათავისუფლება თურქებისაგან; ომი ჰამადანს, ხოსროვ-ფაშასთან, შემდეგ ჰელეს ციხის დაპყრობა; აგრეთვე „საქართველოს ველაიეთის დაპყრობა, რომ (ავტორის სიტყვით) არავის ასეთი გამარჯვება არ მოუპოვებია [იმ ქვეყანაში]“. ამ ომში მან ჩააქრო დავუდ-ხანის აჯანყება და განამტკიცა როსტომ მეფე ქართლის ტახტზე. ირანის სპასალარად დანიშნულმა, მან 1634/35 წელს აიღო ერევანი, რითაც დიდი ზარალი მიაყენა თურქებს. კიდევ მრავალი ომი გადაუხდია და უთვალავი საქმე შეუსრულებიაო მას,—ასრულებს თავის თხრობას როსტომ-ხანის სამხედრო მოღვაწეობაზე ჩვენი ავტორი.

დიდი იყო როსტომ სააკაძის ღვაწლი და დამსახურება ირანის წინაშე, მაგრამ მას მაინც არ აცდენია ის ბედი, რომელიც ხშირად ხვდებოდა წილად ზუა საუკუნეებში დიდ სახელმწიფო მოღვაწეებს. 57 წლის ყოფილა როსტომ-ხანი, როცა გარდაცვლილა (დაღუპულა) და „სამოთხეში“ განუსვენებია მოწამეებთან ერთად“. როსტომ-ხანის დაღუპვის ამბავი ჩვენს ავტორს ყრუდ აქვს მოხსენიებული. უფრო დაწვრილებით გვიამბობს როსტომის დაცემისა და სიკვდილით დასჯის შესახებ შაჰ-აბას II-ის ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერე ვაჰიდ

---

15 „ირანის სპასალარად“ იხსენიებენ როსტომ სააკაძეს ქართული წყაროებიც.

თავის საისტორიო ნაწარმოებში „თარიხე თაჰერე ვაჰიდ"[16]. ორიენ წყაროს მიხედვით როსტომ-ხანის დაღუპვის მიზეზი ყოფილა შაჰ-აბას II-ის ვაზირი მირზა-თაყი, რომელსაც პირადი მტრობით შეუსმენია შაჰისათვის როსტომ-ხანი, დაუბრალებია მისთვის სახელმწიფო ღალატი. შაჰის ბრძანებით როსტომი სიკვდილით დაუსჯიათ მეშჰედში ჰიჯრის 1052 (=1642/43) წელს. ჩვეულებრივი ამბავია. როცა დიდად დამსახურებული და განდიდებული სახელმწიფო მოღვაწე იღუპება სასახლის ინტრიგების გამო. როსტომის მტერს ვაზირს შირზათაყისაც არ უცოცხლია ამის შემდეგ დიდხანს. ისიც მოკლულ იქნა ამირებია მიერ სამი წლის შემდეგ, ჰიჯრის 1055 (=1645/1646) წელს.

როსტომ-ხან სააკაძე არა მარტო დიდი სარდალი და გამარჯვების ორგანიზატორი ყოფილა, მას სამხედრო მეცნიერებასა და პრაქტიკაშიც შეუტანია ახალი და ეფექტიანი სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის ხელი შეუწყვია. მისი ბიოგრაფი ამბობს, რომ როსტომ-ხანმა პირველმა შემოიღო ახალი ტაქტიკური წესი, რომლის მიხედვითაც მეთოფენი და მსუბუქი არტილერია ბრძოლის წინა ხაზზეა გამოყვანილიო. ასეთი წესი წინათ არავის უხმარიაო, ხოლო შემდეგში ის, როგორც ჩანს, დამკვიდრებულა სამხედრო ხელოვნებაში.

ასეთია მოკლედ როსტომ-ხან სპასალარის ცხოვრება და მოღვაწეობა ირანის ასპარეზზე. თუ რა კავშირი ჰქონდა მას საქართველოსთან, მის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებასთან, ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ შემდეგი მონაცემები გვაქვს ამ საკითხის შესახებ.

როსტომ-ხანის მამა ყარა-ბეჟან-ბეგი დავით მეფის, სვიმონის ძმის, მომხრე ყოფილა. ოსმალების შემოსევის დროს გაცლია საქართველოს და ირანის შაჰის სამსახურში შესულა. როსტომ-ხანიც თავიდან ბოლომდე შაჰის ერთგული ძსახურია. თუ მას აქვს კავშირი საქართველოს ფეოდალურ წრეებთან, ეს კავშირი გამოიხატება მასში, რომ როსტომ-ხანი, ძლიერი და გავლენიანი ირახელი დიდებული, ეხმარება თავის „მოყვრებს" საქართველოში, უგზავნის მათ „ოქროს, ვერცხლს და ლარს", როგორც დიდმოურავიანის ზემოთ მოტანილი ციტატიდან დავინახეთ. როსტომი ამით ეხმარება შაჰს ქართველი ფეოდალების ოქროთი და ვერცხლით მოსყიდვაში, თუმცა მას თავისი პირადი ინტერესები. მტრობისა თუ მეგობრობის გრძნობებიც ამოძრავებდნენ.

როსტომ-ხან სააკაძის ცხოვრების ამბებს რომ ვეცნობით, ბუნებრივად გაგვახსენდება დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომლის ბედს და თავგადასავალს ასე ჰგავს როსტომ-ხანის ცხოვრების გზა და ტრაგიკული დასასრული.

ბუნებრივია, აგრეთვე, რომ ვიკითხოთ—იყო თუ არა ნათესაური კავშირი ამ ორ დიდ მოგვარეს შორის. აკად. ბროსეს აზრით, როსტომ სააკაძე უეჭველად ეკუთვნოდა დიდი მოურავის ოჯახის წევრთა რიცხვს[17], მაგრამ ამისათვის არავითარ საბუთს არ ასახელებს. როსტომ-ხანის ბიოგრაფს ბეჟანს ეცოდინებოდა უსათუოდ, თუ დიდ მოურავსა და როსტომ სააკაძეს შორის ნათესაური კავშირი არსებობდა, მაგრამ ის არსად თავის წიგნში არ ამბობს, რომ ირანის სპასალარი როსტომ-ხანი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ნათესავი იყო. ეს შეიძლება იმიტომ, რომ ჩირქი არ მოსცხებოდა როსტომ-ხანის სახელს გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით, რომელსაც ირანელი ისტორიკოსები ჩვეულებრივ „დაწყეველილად" და „პირშავად" იხსენიებენ.

[16] მის შესახებ იხ. ე. ფ უ ო უ რ ი ე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ. 30. თბ., 1954, გვ. 377.

[17] Histoire de la Georgie, II partie, გვ. 58, შენიშვნა 3.

სერგი ჯიქია

ევლია ჩელების ისტორიიდან*

ქვემოთ ქვეყნდება თარგმანი და თურქული ტექსტი ოსმალთა სახელმწიფოს დიდვეზირის მეჰმედ ქოფრულუს (1656—1661) მიერ დადიანებისათვის გამოგზავნილი წერილისა, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს საქართველო-ოსმალეთის პოლიტიკურ ურთიერთობათა საყურადღებო დეტალების გასაშუქებლად.

«დადიანთა ტომის თავადებისადმი დიდვეზირის მიერ გაგზავნილი მაღალღირსეული წერილის პირია.

„ამას წინათ დადიანის [თანამდებობის პირი] რომ გარდაიცვალა და, ძველი ჩვეულებისდა მიხედვით, [ახალი] დადიანი რომ უავგუსტოესი ფადიშაჰის მაღალღირსეული სიგლით უნდა დანიშნულიყო, ერთი დადიანი გურიელის მფარველობით რუსტომ ფაშის მიერ იქნა დანიშნული, ხოლო მეორე დადიანი—აჩიკბაშის მიერ. რადგანაც უავგუსტოესი ფადიშაჰის ყურამდე მოაღწია ცნობამ იმის შესახებ, რომ თქვენ შორის დიდი შფოთი ჩამოვარდა და ბარე ორჯერ ბრძოლა და ომიც მოხდა, ახლა [ფადიშაჰის] კეთილშობილური სურვილი და მისი მაღალღირსეული ბრძანება ამგვარად გამოვლინდა, რომ არც როსტომ ფაშის სიტყვა უნდა გაეიდეს და არც აჩიკბაშის [მეფისა]. დადიანის თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ერთი კაცი და ერთი კიდევ გურიელ მეფედ. [ყველაფერი] ეს უნდა მოხდეს მაგ ქვეყნის წარჩინებულთა შეთანხმებით და უნდა დაინიშნოს ის, ვისი დანიშვნაც უფრო გონივრულად იქნება მიჩნეული. თუ ამ საქმეში თქვენგან ოდნავ ყოყმანსა და ურჩობას ექნება ადგილი, მთელი საქართველო ცხენის ფეხქვეშ გაითელება და, მაღალი ალლაჰის შემწეობით, [ყველა] შვიდ წელს გადაცილებული ხმლით იქნება აყუწული. ამ საქმისათვის [თვალყურის მიდევნება] უკვე დაევალა მაგ საზღვრებზე განლაგებულ ისლამის ჯარს. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი დიდებული და ზეაღმატებული ფადიშაჰის მოხარაჯე ქვეშევრდომები და მონა-მორჩილები, რომლებიც წყალობისათვის მის კარს შომართავენ, კეთილდღეობაში იყვნენ და არ განადგურდნენ. ამიტომ თქვენთან რჩევა-დარიგებისათვის ამ წერილთან ერთად იგზავნება ნდობით აღჭურვილი ჩვენი აღა, რჩეულთა და კეთილშობილთა თავკაცი აჰმედ აღა—იმატოს მისმა დიდებამ. როდესაც ის თქვენთან ჩამოვა, თუ თქვენ ჩვენი დიდებული და მწყალობელი ფადიშაჰის მართალი მონები ხართ და თუ თქვენთვის საჭიროა

---

* წაკითხულია მოხსენებად თბილისის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა კათედრის სხდომაზე 1942 წლის 17 დეკემბერს, ოქმი № 3.

თქვენი ქონება და სიცოცხლე, ბავშვები და ოჯახი, უნდა გამოცხადდეთ ზემოაღნიშნულ პირთან და მთელი სულითა და გულით უნდა დამორჩილდეთ ფადიშაჰის ფირმანს. თუ ამ საქმეში თქვენ ოდნავ ყოყმანსა და მერყეობას დაიწყებთ, მაშინ მოემზადეთ თქვენი დღისათვის. თქვენ იცით, თუ რაოდენ ეძნელია ოსმალთა ხონთქრის ხმალი და რა მონდომებით იღწვის იგი [ხონთქარი] შეასრულოს ის საქმე, რომელიც მან განიზრახა. რამდენჯერ გამოგიცდიათ თქვენ ეს. ამის შემდეგ უკვე თქვენს კისერზე იყოს. ამას წინათ ჩამოსული თქვენი ელჩები გამოემგზავრნენ აწ არზრუმის ციხისთავის, მაღალი ძლიერების ვეზირის, დიდებულ და ბედნიერ ჩვენს შვილთან, მისი აღმატებულება ახმედ ფაშასთან ერთად. თქვენგან პასუხს დაელოდებიან. ახლა, გაუფრთხილდით თქვენს სიცოცხლეს, თქვენს ხალხს, ცოლ-შვილს, ჩვენი ფადიშაჰის პატიოსანი ფირმანი სულითა და გულით მიიღეთ და შფოთი თქვენ შორის მოსპეთ. ჩვენს რჩევა-დარიგებას თუ არ მიიღებთ, მაღალი აღლაჰის შემწეობით, დაინახავთ, თუ რა არის ფადიშაჰის გამანადგურებელი ძალა. თქვენ იცით“».

دادیان طائفه‌سی طوائفلرینه صدر اعظم طرفندن یازیلان مکتوب سامینك صورتیدر

مقدما دادیان اولان مرد اولدقده طرف همایون پادشاهیدن معتاد قدیم اوزره برات عالیشان ایله دادیان نصب اولنمق لازم ایکن کوریل التماسیله رستم پاشا طرفندن بر دادیان و اچق باشش طرفندن بر دادیان نصب اولنوب اراکزده کلی اختلال و بر ایکی دفعه جنك و جدال اولدیغی سمع همایون پادشاهی‌یه واصل اولمغله حالیا مراد شریفلری و فرمان عالیشانلری بو وجهله صادر اولمشدر که نه رستم پاشانك و نه اچق باشك سوزی اولمیوب جمله اول ولایت اعیانلرینك اتفاقیله معقول کوریلان بر آدم دادیان و بردخی کوریل ملکی نصب اولنوب بو خصوصده ذره قدر طرفکزدن تردد و مخالفت اولنورسه جمله کرجستان آت ایاغی التنده چکه‌دیلوب یدی یاشندن یوقاروسی بلطف الله تعالی قلیجدن کچوریله و اول سرحد لرده اولان عسکر اسلام قوللرینی بو مصلحته مامور بیورمشلردر انجق بز شوکتلو و عظمتلو پادشاهمزك خراجکذار رعایاسی و قپولرینه مراجعت ایدن قوللری رفاهیت اوزره اولوب پایمال اولمدقلرین استدوکمز اجلدن جمله‌کزه نصیحت ایچون اشبو مکتوبمزله معتمد اغالرمزدن قدوة الاماجد و الاعیان احمد اغا زید مجده کوندر لمشدر وصولنده کرکدر که اکر کرامتلو و شوکتلو پادشاهمزك طوغری قوللری اولوب مالکز و جانکز و اولاد و عیالکز سزه لازم ایسه مومی الیهك یانینه کلوب فرمان پادشاهی‌یه جان و باش ایله اطاعت ایلیه‌سز اکر ذره قدر تردد و تعلل ایدرسکز وفتکزه حاضر اولمه‌سز آل عثمان پادشاهنك قلیجی نقدر اوزوندر و مراد ایلدیکی مصلحته نوجهله همت ایدر بیلورسز و نیجه دفعه کورمشسزدر غیری وبالکز بوینوکزه مقدما کلان الچیلریکز حالا ارضروم محافظی اولان وزیر جلیل الاقتدار عزتلو و سعادتلو اوغلمز احمد پاشا حضرتلریله یوللانوب طرفکزدن جوابه منتظردر ایمدی کندو جانکزی و اهل و اولاد و عیالکزی صاقنوب پادشاهمزك فرمان شریفنی جان و باش ایله قبول ایدوب اراکزدن اختلال دفع ایلیه‌سز نصیحتمزی قبول ایتمزسکز بعنایة الله تعالی قوت قاهرهٔ پادشاهی نه ایدوکین کورورسز سز بیلورسز

„ნატიფი დიპლომატიური თავაზიანობით“ („თქვენ იცით, თუ რაოდენ ღრძელია ოსმალთა ხოსთქრის ხმალი“, „მთელი საქართველო ცხენის ფეხქვეშ გაითელება“, „ხმლით იქნება აკუწული...“ და სხვ.) ნაწერი და დადიანებისადმი გამოგზავნილი ეს დოკუმენტი გამოცემულია ოფიციალურ მიმოწერათა კრებულში — مجموعۀ منشئات سلطانیه (მეჯმუ'ა-ი მუნშა'ათ-ი სელატინ)[1], რომელიც შედგენილია XVI ს-ის ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწის ახმედ ფერიდუნ-ბეგის — احمد فریدون بك მიერ (გარდაიცვალა 1583 წ.). სულთან სელიმ მეორის დროს (1566—1574) ახმედ ფერიდუნს სხვადასხვა მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობა ეკავა. 1570 წელს იგი დანიშნულ იქნა რე'ის-ულ-ქუთთაბის, ან რაც იგივეა, რე'ის ეფენდის („მდივანთ-უხუცესი“, სახელმწიფო მდივანი) თანამდებობაზე. სახელმწიფო მდივნად ყოფნის დროს ფერიდუნ-ბეგს ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო არქივში დაცული ოფიციალური მიმოწერის მთელ მასალაზე და, ალბათ, ამ დროიდან შეუდგა დოკუმენტების შეგროვებას (დოკუმენტებიდან პირის გადაღების საშუალებით) და შეადგინა საბუღების კრებული, რომელიც შეიცავს სულთნებისა და სხვა მაღალ თანამდებობათა პირების მიმოწერას უმთავრესად მაინც უცხო სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან (1299 წ.) ვიდრე სულთან მურად III-ის ტახტზე ასვლამდე (1574 წ.). ფერიდუნ-ბეგის ეს დიდი მნიშვნელობის მქონე საბუთების შემცველი კრებული გამოცემულ იქნა სტამბოლში ორ ტომად და ორჯერ: 1848-1849 და 1858 წლებში. „მუნშა'ათ-ი სელატინ“-ში შეტანილია მისი შემდგენლის გარდაცვალების შემდეგდროინდელი საბუთებიც (მათ შორის აქ წარმოდგენილი საბუთიც). ირკვევა, რომ ფერიდუნ-ბეგის გარდაცვალების შემდეგ მის „კრებულს“ ავსებდნენ სხვები გვიანდელი წარმოშობის დოკუმენტებით[2]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქმა მეცნიერმა მუქრიმინ ხალილმა ფერიდუნ-ბეგის კრებულში ბევრი ნატყუარი საბუთი გამოავლინა. პროფ. ფრ. ბაბინგერი ეთანხმება მ. ხალილის დაკვირვებებს და ამბობს, რომ ამ თვალსაზრისით საჭიროა დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ „კრებულში“ გამოცემულ ზოგიერთ საბუთს[3]. ვფიქრობთ, რომ აქ მოწოდებული საბუთი დადიანების ქვეყანაში არეულობისა და შფოთის შესახებ არ არის ნაყალბევი და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სინამდვილეს შეიცავს. საბუთში საინტერესო ცნობებია იმ დროის სამეგრელოში დატრიალებული პოლიტიკური ამბების შესახებ. ეს ცხობები ავსებენ ქართული წყაროების მონაცემებს ამ საკითხზე და ადასტურებენ ოსმალთა ურთიერთობის პოლიტიკურ ფორმას დასავლეთ საქართველოსთან. (შდრ.: დიდვეზირის სიგელში ნათქვამი:

---

[1] ტომი II, გვ. 314-315.

[2] ახმედ ფერიდუნ-ბეგზე უფრო დაწვრილებით იხ.: Ch. Rieu, Catalogue of the turkish manuscripts in the British Museum. ლონდონი, 1888, გვ. 80-83; Fr. Babinger, GOW, 106; J. H. Mordtmann, EI, II, გვ. 100; А. Крымский, История Турции и её литературы, ტ. I, მოსკოვი, 1916, გვ. 249; აგრეთვე ჩვენი: ხოთინჭრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. „ენიმკი“ს მოამბე, XIII, თბ., 1942, გვ. 233-234. დღეს ვ. ჩოჩიევი გამოსაცემად ამზადებს საქართველოს შესახებ დოკუმენტთა რიგს, რომელიც ფერიდუნ ბეგის ამ კრებულშია მოთავსებული.

[3] Fr. Babinger, GOW, გვ. 106.

„დადიანი... უკვეთესი ფშაველის მაღალღირსეული სიგლით უნდა დანიშნულიყო") და სხვ.

ფერიდულ-ბეგის „კრებულში" გამოქვეყნებული „მაღალღირსეული წერილის" ეს პირი უთარიღოა. ვფიქრობთ, რომ ამ დოკუმენტის დედანზე თარიღი უსათუოდ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამომცემელს თარიღები ჩვეულებრივად არ მოაქვს[4]. მაგრამ ამ საბუთის დათარიღება ძნელი არ არის მასშიეე მოტანილი რეალიების მიხედვით. ეს საბუთი უთუოდ გამოძახილია XVIII ს-ში სამეგრელოში მომხდარი ამბებისა, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში" ასეა გადმოცემული: „და ამა ჟამსა შინა მომკუდარიყო დადიანი ლევან. ხოლო შემოიყარა ალექსანდრე, მპყრობელმან იმერეთისამან. ჯარი, ჩავიდა ოდიშსა. და ვერა წინააღუდგნენ, და დაიპყრა ოდიში და მრავალი ბოროტი მოაწივა ოდიშსა და იძია შური პირველი. რომელი ყო დადიანმან მათ ზედა... აიკლო საქონელი დადიანისა და საუნჯენი მისნი ყოველნივე თჳთ დაიპყრა და ტყუედ ყო მრავალნი ოდიშარნი... და დასუა მუნ დადიანად ვამიყ. ძმისწული ლევან დადიანისა..."[5]. ვახუშტი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს: „მოკუდა ლევან დადიანი... მეფემან ალექსანდრემ შემოიკრიბა სრულად სპანი იმერთანი და წარვიდა ოდიშს შუორის-გებად. ამას ვერ წინააღუდგა ლიპარიტ დადიანი, შეეიდა ალექსანდრე ოდიშს, მოსწყვიტნა, მოსტყვენნა, მოაოხრნა... გამოუხვნა მათვე ძენი ძებეულად და დასვა ოდიშს დადიანად ვამიყ"[6]. „...კუალად იყვნენ დადიანის ძმისწულები მამუკა და ლიპარიტ, ესენი არა უდებდენ თავსა დადიანსა და არცა მორჩილებდენ. რამეთუ არა თავს იდვეს დადიანობა მისი, წარვიდენ და შეეხუეწნენ ათაბაგს როსტომ ფაშასა და კუალად როსტომ მეფესაცა დაუწყეს ლაპარაკი და შემწედ იკმიეს..."[7] „ხოლო როსტომ მეფემან გაატანა ავალიშვილი და ციციშვილები და სხუანი ჯარნი მრავალნი და როსტომ ფაშამანც გაატანა საათაბაგოს ჯარი. წარმოვიდნენ და ჩავიდნენ გურიას, და წაჰყუა გურიელი ქაიხოსრო თანა ჯარითა და მივიდნენ ოდიშსა და შემოეყარნეს ოდიშარნიცა".

„და ვითარცა სცნა საქმე ესე იმერეთის მპყრობელმან ალექსანდრე, შემოიყარა სპანი თჳსნი, წარვიდა და განვიდა ცხენისწყალსა. ხოლო მიქელაძე და ჭილაძე უწინაც ლევანს დადიანს ახლდნენ და წარვიდნენ და მივიდნენ მამუკასა და ლიპარიტისა თანა. და მოვიდნენ იგინიცა, და შეიყარნენ ბანძას და შეიბნენ მუნ და იქმნა ომი ძლიერი. და გამარჯუა მპყრობელსა იმერეთისასა ალექსანდრეს და დაჭოცნა მრავალნი ოდიშარნი თავადნი. და მაშინ დანირჩინეს ქართლის თავადები და აზნაურები და მესხნი და ყოველთავე დაჭრილნევინა თავები. და. რომელნიც იყვნენ ოდიშარნი განდგომილნი, ყოველივე დაიმორჩილა და შემოიერიგა. და კუალად მტკიცედ დაიპყრა ოდიში და დასუა მუნვე ვამიყ დადიანად"[8].

---

[4] ასევეა „ხონთკრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემულ სიგელში", რომელიც ამაკე „მეცნიერებათადანაა" ამოღებული. იხ. „ენიმეი"-ს მოამბე, XIII, 234.

[5] ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი... ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1957, გვ. 431 (ხაზი ჩვენია).

[6] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება (მომყავს „ქ. ცხოვრებიდან", II, გვ. 431, სქოლიო).

[7] ქართლის ცხოვრება, II, 432.

[8] იქვე.

ამრიგად, სიგელში გარდაცვლილად მოხსენიებული დადიანი—ლევან დადიანია, რომელიც 1657 წ. გარდაიცვალა[9] („...მომკუდარიყო დადიანი ლევან") დიდვეზირის სიგელში ნათქვამია, რომ (ლევან) დადიანის გარდაცვალების შემდეგ „ერთი დადიანი გურიელის მფარველობით როსტომ ფაშის მიერ იქნა დანიშნული, ხოლო მეორე დადიანი—აჩიკ ბაშის მიერო". აჩიკბაშის, ე. ი. იმერეთის მეფემ ალექსანდრემ („ალექსანდრემ, მპყრობელმან იმერეთისამან") გაილაშქრა სამეგრელოზე, დაიპყრო იგი და დადიანად დასვა თავისი მომხრე, ლევანის ძმისწული ვამეყი. მეორე მხრივ, „კუალად იყვნენ დადიანის ძმისწულები მამუკა და ლიპარიტ", რომელნიც არ ემორჩილებოდნენ ვამეყს. ლიპარიტს კი მფარველობდნენ გურიელი ქაიხოსრო ,ახალციხელი ფაშა როსტომ ფაშა და ქართლის მეფე როსტომი (დიდვეზირის სიგელში ლიპარიტის ჭომაგებად გურიელი და როსტომ ფაშაა ნახსენები, მაგრამ როსტომ ქართლის მეფე არა). როსტომ (رستم) ფაშა გამაჰმადიანებული ქართველი ათაბაგთაგანია[10]. შემდეგ მოკავშირეებმა (გურიელმა, როსტომ ფაშამ და როსტომ მეფემ) „გაილაშქრეს ალექსანდრეს (იმერეთის მეფის) წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა 1658 წელს სოფელ ბანძაში, სადაც გაიმარჯვა ალექსანდრე მეფემ"[11] („და იქნა ბრძოლაცა ბანძას სასტიკი, ქს. ჩქნ", —ეახუშტი). ამრიგად, ქართული წყაროებიც სავსებით ადასტურებენ დიდვეზირის სიგელის მონაცემს იმის შესახებ, რომ „თქვენს (დადიანებს) შორის დიდი შფოთი ჩამოვარდა და ბარე ორჯერ ბრძოლა და ომი მოხდა"-ო.

---

[9] ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941, გვ. 109.

[10] როსტომ ფაშაზე سجل عثمانی-ში ასეთი ცნობებია მოცემული: „ყარსის მმართველის საფარ ფაშის შვილი ან ძმისწულია. მან მიაღწია ახალციხის ბეგლარბეგობის თანამდებობას, რომელზედაც სულთან სულეიმანის [1520-1566] დროიდან სულ მისი წინაპრები ინიშნებოდნენ. 1058 წ. [=1648 წ.] მან მონაწილეობა მიიღო გურჯი ნაბის ომში, კარგა ხანს იყო ამ (ბეგლარბეგის) თანამდებობაზე და უშეილოდ გარდაიცვალა 1073 წ. [=1662-1663 წ.] سجل عثمانی, II, გვ. 378. „ქართლის ცხოვრებაში" (II, 427) როსტომ ფაშა უსუფ (ჲუსუფ) ფაშის ძედ იხსენიება. იქ მოხსენებული გურჯი ნაბის „ომის" შესახებ იხ. А. Д. Новичев, История Турции, I. ლენინგრადი, 1963, გვ. 180 (ამ შრომას ჩემი ყურადღება მიაქცია დოც. მ. სვანიძემ).

[11] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

ოლღა სოსელია

ფეოდალური საკუთრების ფორმების საკითხისათვის დასავლეთ საქართველოს სათავადოებში

განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში საქართველოში ფეოდალური საკუთრების გაბატონებულ ფორმას დანაწილებული საკუთრება წარმოადგენს. მეფისა თუ სხვა პატრონის მიერ თავის ყმისათვის „ყმებრივი სამსახურისათვის“ „მამულობით“ ანუ „სამამულოდ“, ე. ი. სამემკვიდრეოდ ნაწყალობევი ადგილ-მამულის უზენაეს მესაკუთრედ მწყალობელი პატრონი ითვლებოდა, შეწყალებული ყმა მისი დაქვემდებარებული მესაკუთრე იყო: მას ჰქონდა ამ ადგილ-მამულზე განკარგულების (გაყიდვის, გაცვლის, შეწირვის) უფლება. მაგრამ მხოლოდ უზენაესი მესაკუთრის, მწყალობელი პატრონის ნებართვით[1]. ის ადგილ-მამულიც, რომელიც ყმას ებოძებოდა, დასავლეთ ევროპის ბენეფიციუმის მსგავსად, პირადად („საპატიოდ“), დროთა განმავლობაში „მამულობით“ ნაბოძებ ადგილ-მამულის ბუნებას იძენდა[2]. XIV—XV სს. ადგილ-მამულთა ბოძება უკვე „მკუიდრად, სამამულოდ“ ხდება[3].

დანაწილებული საკუთრება ფეოდალური საკუთრების გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს საქართველოში გვიანფეოდალურ ხანაშიც და. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს სათავადოებში.

სათავადოთა სისტემის გამარჯვებამ, მართალია, თავადის საკუთრების ხასიათი შეცვალა: მეფის თუ მთავრის ხელისუფლებას არ ძალუძს შეზღუდოს თავადის საკუთრების უფლება. ორგულობა-ღალატის შემთხვევაში მეფეს ან მთავარს, თუ ძალა შესწევს, შეუძლია თავადს ყმა-მამული ჩამოართვას. მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, სანამ თავადის ხელშია ნაწყალობევი ყმა-მამული, მის მიმართ მას დამოუკიდებლად განკარგულების უფლება აქვს. მრავალი საბუთი მოგვეპოვება იმის მაჩვენებელი, რომ თავადი XVII და. უმეტეს შემთხვევაში, XVIII სს-ში სრულიად დამოუკიდებლად ასხვისებს (ყიდის, უბოძებს) ყმა-მამულს[4]. ამასთან, არც ერთ შემთხვევაში არ არის მითითება იმაზე, თუ რა

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, წ. 1, ტფ., 1928, გვ. 88—89. იხ. აგრეთვე წ. მეორე, ნ. მეორე, ტფ., 1929, გვ. 410; ალ. ვ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები სამართლის ისტორიიდან, III, თბ., 1963, გვ. 118; ნ. ა ს ა თ ი ა ნ ი, საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI—XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 77, 1959, გვ. 30—32.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, II, 1, გვ. 88.

[3] იქვე, გვ. 87.

[4] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., თბ., 1940, №№ 605, 629, 622, 631, 634, 638, 639, 650 და სხვ.

ხასიათისაა ეს ყმა-მამული—სამკვიდრო, ბატონისაგან დამოუკიდებლად შეძენილი თუ ბატონისაგან ნაწყალობევი. ჩანს, ასეთ დაყოფას თავადისათვის მნიშვნელობა უკვე ეკარგება, ჩვეულებრივი გარიგების დროს მას ყურადღება არ ექცევა.

სათავადო სახლის „საერთო-განუყოფელი" ანუ საგვარეულო საკუთრება, რომელიც წარმოადგენდა სახლის ერთობის საფუძველს, სამკვიდროსა და მეფეთაგან ნაბოძებისაგან შედგებოდა.

ე. წ. „საუფლისწულო" საკუთრება დასავლეთ საქართველოს სათავადოებში აო არის[5].

სათავადოთა სისტემის განმტკიცებასთან დაკავშირებით კერძო საკუთრების ინსტიტუტის განვითარების პირობებში იცვლება აგრეთვე ბეითალმანი ქონების იურიდიული ბუნება. თუ ვახტანგ VI-ის სამართლით (მ. 113), რომელიც სათავადოთა არსებობის ადრინდელ ხანას ასახავს, უშვილოდ ამოვარდნილი თავადის ყმა-მამული მეფეზე გადადის და იგი „ვისაც უნდა, უბოძებს", საქართველოს „ჩვეულებითი ჰსჯულის" მიხედვით, სათავადოების არსებობის გვიანდელ ხანაში ასეთი ყმა-მამული გაუმზითავ ქალს, გაუყრელ ძმას ან ძმისწულს რჩება. ან, თუ გარდაცვლილს არც ერთი ესენი არ დარჩა, „მამულთა მისითა საქართველოს მეფენი არა ითვისებდნენ საყოველთაოდ ხაზინის სასარგებლოდ, არამედ უბოძებდნენ თვით შორეულ ნათესავსაც"; გამონაკლისს შეტად იშვიათ შემთხვევაში („ამღვრეულთა დროთა შინა" და სხ. ას.) თუ ექნებოდა ადგილი (მ. 31).

დასავლეთ საქართველოში შემორჩენილი საბუთები სათავადოთა არსებობის გვიანდელ ხანაში ბეითალმანი ქონების იურიდიული ბუნების სწორედ ასეთ ცვლილებას მოწმობენ. ისეთი შემთხვევა არაა ცნობილი, რომ თავადის ბეითალმანი ყმა-მამული მეფეს ან მთავარს მიეთვისებინოს[6]. ასეთ ქონებას გარდაცვლილი თავადის ნათესავს უბოძებენ[7]. მეფეს თუ მთავარს ისღა რჩება, რომ წყალობის წიგნში თავისი ძველი უფლება აღნიშნოს—„სამართლით ჩემი იყოო"[8].

სათავადოში ყმა-მამული უმთავრესად აზნაურთა მფლობელობაშია. ეს ყმა-მამული დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც საერთოდ საქართველოში, ერთმანეთისაგან განირჩევა: 1. ბატონისაგან ნაწყალობევი, 2. სამკვიდრო და 3. პირადად, ბატონისაგან დამოუკიდებლად შეძენილი (ნასყიდი, ნამზითვი, ნასისხლი).

აზნაურის ყმა-მამულის უდიდეს ნაწილს ბატონისაგან ნაწყალობევი ყმა-მამული წარმოადგენს[9]. ამ ყმა-მამულის მდგომარეობა გარკვეულია: მასზე საკუთრების უფლება დანაწილებულია; მისი უზენაესი მესაკუთრე ბატონი არის;

---

[5] აღმოსავლეთ საქართველოს სათავადოებში საკუთრების ფორმების შესახებ იხ. ნ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 44—47.

[6] დ. გვრიტიშვილი ასახელებს ასეთ შემთხვევას აღმოსავლეთ საქართველოში. იხ. მისი ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), 1955, გვ. 460.

[7] საქ. სსრ ცენტრალური ისტორიული არქივი, ფონდი 227(2), საბ. № 74: ქუთ. მუზ. საბ. №: 977; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd, № 11477, 9388.

[8] იხ., მაგ., 1797 წ. წყალობის წიგნი მიცემული სოლომონ II-ის მიერ იოვანე აგიაშვილისადმი. საქ. სსრ ცენტრ. ისტ. არქ., ფ. 227(2), საბ. № 74.

[9] Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI в.), Тб., 1938, გვ. 38.

აზნაური დაქვემდებარებული მესაკუთრეა. უკანასკნელს ბატონის ნებადაერთველად ამ ყმა-მამულის მიმართ განკარგულების უფლება არა აქვს[10].

მესამე სახის ყმა-მამული — პირადად, ბატონისაგან დამოუკიდებლად მონაგარი — აზნაურის კერძო საკუთრებას წარმოადგენს. მის მიმართ მას თავისუფალი განკარგულების უფლება აქვს, ბატონი მას ამ შემთხვევაში ვერ შეზღუდავს. თავის შენაძენს აზნაური თავისუფლად, ბატონის ნებართვის გარეშე, ასხვისებს[11]. აზნაური ყიდულობს ყმა-მამულს თავის ბატონ თავადისაგან[12]. თავადიც ასევე თავის ყმა აზნაურისაგან ყმებს ყიდულობს[13].

აზნაურის სამკვიდრო ყმა-მამულის იურიდიული ბუნება კი რთულია. ეს მამისეული, მამა-პაპისაგან გადმოსული ქონებაა. აქ შეიძლება ორი სახის ქონება იყოს: ა) მამა-პაპისაგან პირადი სახსრით, ბატონისაგან დამოუკიდებლად შეძენილი (ნასყიდი, ნამზითვი, ნასისხლი) და ბ) ბატონის ნაბოძები[14], დროთა განმავლობაში თავისი ბუნებით პირადად შეძენილს დაახლოებული ან. დიდი ხნის შემდეგ, მასთან გათანაბრებული. პირველი სახის სამკვიდრო აზნაურის კერძო საკუთრებას შეადგენს, მასზე ბატონი პრეტენზიას ვერ განაცხადებს. აზნაური მას თავისუფლად ასხვისებს. თუ მკვიდრი მამულის გასხვისების უფლება აზნაურს ბატონის ნებადაურთველად არ ეძლევა ხშირად, ეს იმიტომ კი არ არის, რომ ამის საფუძველს ვახტანგ VI-ის სამართლის მე-163 მუხლი იძლევა, როგორც ამას ზოგი ფიქრობს[15]. აზნაურს აკრძალული აქვს ბატონის ნებადაურთველად გაასხვისოს იმ სახის სამკვიდრო ყმა-მამული, რომელიც მის მამა-პაპას ბატონისაგან აქვს ნაბოძები და ხანდაზმულობას იგი პირადად შეძენილ ქონებასთან არ გაუთანაბრებია.

სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ჩვენი აზრით, გურიის 1833 წლის ერთ საბუთში. სათავადო აზნაური კონსტანტინე ბერიძე ხელწერილს აძლევს აზნაურებს დავით და სიმონ წარაშიძეებს: „საკუთნელი ჩემდა მემკვიდრეობით შვილი ყმისა ხახუტა ჩიგოგიძისა სიმონა მოგყიდეო". ამ ნასყიდობას ბერიძის მებატონეების ერისთაების თანხმობა დასჭირებია[16].

---

[10] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. I, составил проф. П. В. Гугушвили, Тб., 1938, გვ. 361—354.

მაგალითად, ქაიხოსრო აგიაშვილმა გაამათილა მის ნებადაურთველად აზნაურ პაატა ყიფიანის მიერ გაცემული ნასყიდობის წიგნი და გაყიდული ადგილ-მამული დაიბრუნა. იხ. ქუთაისის მუზეუმის საბ. № 1743 (საბუთი უთარიღოა, მაგრამ იგი შედგენილი უნდა იყოს 1751—1793 წლებს შუა; მასში მოხსენიებული ციხისთავი ქაიხოსრო აგიაშვილი, რომელსაც აგრეთვე ქეშიკთუხუცესისა და სარდლის სახელოც ეჭირა, საბუთებში ამ დროს გვხვდება იხ. საქ. სსრ ცენტრ. ისტ. არქ. ფ. 227(2), საბ. №№ 51, 66, 67, 68, 73; ქუთაისის მუზეუმის საბ. №№ 992, 1775).

[11] დოკუმენტები..., I, №№ 617, 654, 655. 659; საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 14610 და სხვ.

[12] ქუთაისის მუზეუმის საბ. № 280.

[13] იქვე, საბ. № 265.

[14] სამკვიდროში შეიძლება იყოს ბატონის ნაბოძები (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი, თ. ჟორდანიას მიერ, ტ. მეორე, თბილისი, 1897, გვ. გვ. 128: „მამული რჩი მკუიდრი პატრონთაგან ბოძებული").

[15] გ. აკოფაშვილი, აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV—XVIII სს. საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", 32, 1955, გვ. 91.

[16] ქუთაისის მუზეუმის საბუთი № 718.

ასეთი სახის სამკვიდროსთან გვაქვს საქმე, როგორც ჩანს, ერთ საბუთშიც. იმერეთის მეფე სოლომონ მეორე გიორგი აბაშიძეს „ხელახლა უბოძებს“ მის „მამა-პაპის მკვიდრ“ ადგილ-მამულს [17].

აქ ერთიც უნდა აღინიშნოს: შეიძლება აზნაური თავის პირადად შეძენილ ადგილ-მამულს ასხვისებდეს, მასზე ბატონს „ხელი არ ჰქონდეს“, მაგრამ ამ ადგილ-მამულის გასხვისების საბუთზე მისი თანხმობა იყოს მაინც აღნიშნული[18]. ჩვენი აზრით, ეს ასე უნდა აიხსნას. გაბატონებული წესის თანახმად, ყმას საერთოდ (ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი) გასაყიდი ადგილ-მამული ჯერ თავის ბატონისთვის უნდა შეეძლია. და თუ იგი ყიდვაზე უარს განაცხადებდა, ამის შემდეგ ყმას უფლება ეძლეოდა ეს ადგილ-მამული სხვისთვის მიეყიდა. ბატონის ასეთ განცხადებას უნდა ჰქონდეს ადგილი ისეთ შემთხვევაში, როცა იგი თანხმობას აღნიშნავს, ისეთი ქონების გასხვისების საბუთზე, რომელზეც მას „ხელი არ აქვს“...

აზნაურის ბეითალმანი ქონების იურიდიული ბუნების შესახებ დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალა არა გვაქვს. ამ საკითხზე მხოლოდ ლიტერატურული წყაროები მოგვეპოვება, მაგრამ არც ეს წყაროები იძლევიან საფუძველს იმისათვის, რომ დასმული საკითხის შესახებ გარკვეული აზრი გამოითქვას. 1853 წლის 17 ივლისის თხოვნაში რუსეთის იმპერატორის სახელზე ქუთაისის გუბერნიის თავადები უთითებდნენ, რომ აზნაურის უშვილოდ გარდაცვალების შემთხვევაში მისი ყმა-მამული ბატონის მფლობელობაში გადადიოდა[19]. ამ თავადების აზნაურებს თავიანთ თხოვნაში რუსეთის იმპერატორის სახელზე ამის წინააღმდეგ არაფერი უთქვამთ[20]. საქართველოს „ჩვეულებითი ჰსჯულის“ მიხედვით საერთოდ „კეთილშობილთა“ უშვილოდ გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მას გაუყრელი არც ძმა და არც ძმისწული რჩებოდა, მის მამულს მეფე იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ითვისებდა, არამედ მის ნათესავს უბოძებდა (მ. 31).

ყველა ეს წყარო ერთად აღებული გვაფიქრებინებს: 1. უმემკვიდროდ გარდაცვლილი აზნაურის ყმა-მამულზე მეფის თუ მთავრის უფლება თავადზეა გადასული, თავადს აქვს უფლება ამ ყმა-მამულს თვითონ დაეპატრონოს ან გარდაცვლილის ნათესავს უბოძოს[21]; 2. უმემკვიდროდ გარდაცვლილი აზნაურის ყმა-მამულს თავადი ჩვეულებრივად მის ნათესავებს უტოვებს, და ეს წესი თანდათან მტკიცდება.

ამ საკითხს რამდენადმე შუქს ფენს ერთი საბუთი. 1830 წელს სათავადო აზნაურს სიმონ ჯოხტაბერიძეს „მოცემულობის წერილი“ მიურთმევია თავისი მებატონე ბეჟან წერეთლისათვის: დავბერდი, მხოლოდ ორი ასული მრჩება, სრულისა და კეთილის ნებითა ჩემითა... მოგეცი საშვილიშვილოდ და სამარადისოდ თქვენდა სამფლობელოდ ყოველი ყმა და მამული ჩემი მოძრაჲი და

---

[17] ქუთაისის მუზეუმის საბ. № 102.

[18] ასეთ მაგალითზე გ. აკოფაშვილს აქვს მითითებული. იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

[19] Сельское хозяйство и аграрные отношения, გვ. 358.

[20] იქვე, გვ. 361—364.

[21] ასე იყო აღმოსავლეთ საქართველოშიც. გ. ჯამბურია, უყრდნობა რა Акты..., ტ. VI, ნ. I, გვ. 123-ს, წერს: აზნაურის უმემკვიდროდ გარდაცვალების შემთხვევაში „თავადს შეეძლო მისი მამული რომელიმე მისი სახლისკაცისათვის მიეცა ან თავისთვის დაეჭირა“. იხ. მისი კ. რთველი ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 115.

უცრავი" (დასახელებულია 9 კომლი ყმა-გლეხი მათი მამულით სოფელ სავანეს)[22].

როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ყმა-მამული, რომელსაც აზნაური თავის ბატონს ანდერძით უტოვებს, მის საკუთრებად არის ცნობილი: ამ ყმა-მამულს ბატონს იგი პირობით უტოვებს, აქედან ბატონმა მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დახარჯოს ამ ქონების დამტოვებლის დასამარხავად და მისი ორი ქალიშვილის ჯასამზითვად. ასეთი პირობა ბატონისათვის ყოველად მიუღებელი იქნებოდა. რომ მისთვის ადვილი ყოფილიყო გარდაცვლილი ყმის ქონებას ანდერძის გარეშე დაპატრონებოდა.

საბატონო მეურნეობის ხვედრითი წონა დასავლეთ საქართველოში მეტად მცირე იყო. ამ მეურნეობას შედარებით მცირე ფართობი ეკავა. დანარჩენი მიწა-წყალი მთისა, ტყისა და საძოვრებს გარდა, გლეხებს ჰქონდათ დასამუშავებლად მიცემული. ისინიც ამ მიწა-წყალზე იყვნენ მიმაგრებული. გლეხის ამ „საკომლო მამულის" ან, როგორც ხშირად დასავლეთ საქართველოში უწოდებდნენ, „საგლეხო მამულის"[23] უშუალო ბატონად —მესაკუთრედ ფეოდალი ითვლებოდა. ბატონს ჰქონდა უფლება ამ მამულის გასხვისებისა (გაყიდვის და სხვ.).

უნაწილებდა თუ არა ბატონი ყმა-გლეხს ამ მამულზე საკუთრების უფლებას?

ყმა-გლეხს, რომელსაც ყოველგვარი დამოუკიდებლობა (ეკონომიური, უფლებრივი) დაკარგული ჰქონდა, მიწაზე მიმაგრებით პირადი თავისუფლება წაერთვა), არ შეეძლო ბატონთან საკუთრების უფლება გაენაწილებინა. ყმა გლეხსა და ბატონს შორის არ შეიძლებოდა ამ მხრივ ისეთი დამოკიდებულება ყოფილიყო, როგორიც აზნაურსა და მის ბატონს თავადს შორის იყო. ყმა-გლეხს „საგლეხო მამულზე" არავითარი საკუთრების უფლება არ გააჩნდა. ასე იყო ეს საერთოდ ბატონყმური წყობილების დროს[24]. ასე იყო ბატონყმურ საქართველოში და, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში.

ყმა-გლეხი მოკლებული იყო საკუთრების უფლებას იმ მამულზე, რომელიც მის სარგებლობაში იყო, მაგრამ მასზე მას სხვა სახის უფლებები ჰქონდა: ამ მამულს იგი მემკვიდრეობით ფლობდა. სამართალი ბატონს უფლებას არ აძლევდა აეყარა გლეხი იმ მიწა-წყლიდან, სადაც იგი იჯდა, თუ რა თქმა უნდა, იგი თავის ყმურ მოვალეობას ასრულებდა.

მაგრამ მებატონე თავის ყმა-გლეხს აყრიდა, თუ იგი „ორგულობას". „უმორჩილობას" იჩენდა: დავითელა ლომსიანიძე „უმორჩილობისათვის" ბატონმა ადგილ-მამულიდან აყარა და გაყიდა[25].

---

[22] საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. Hd, საბ. № 8368.

[23] იხ., მაგ., საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Hd, № 3865. აკრეოკე ს. ჯ.-ქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 310.

[24] А. В. Бенедиктов, Государственная социалистическая собственность, М-Л. 1948. გვ. 207—215.

[25] ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში (XVII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე), თბ., 1960. საბ. № 94, გვ. 96.

ფეოდალური წყობილების დროს ხშირია, ცხადია, თვითნებობა. ბატონი არაიშვიათად არღვევს არსებულ ადათ-წესს („ბატონყმობის რიგს") და გლეხს თავის ფუძიდან აყრის, მაგრამ ასეთი საქციელი „უკანონოდ" ითვლება. სამეგრელოს სამთავროში აზნაურ ბერუკია ჯუბაბარიას „ყამობის წელს" თავის გლეხი კიტუ აუყრია და გაუყიდია. სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს „ასე უკანონოდ გლეხი აყრილი და გაყიდული" „ამოუყვანია"[26].

ბატონყმური წყობილების პირობებში სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: გლეხის აყრა თვით ბატონის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა საერთოდ. გლეხთა ექსპლუატაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფისათვის საჭირო იყო, რომ გლეხი მიწაზე „მტკიცედ" მჯდარიყო, რომ იგი ამ მიწას მიმაგრებულიყო.

სწორედ ბატონის ინტერესების თვალსაზრისით ეძლეოდა გლეხს თავის „საგლეხო მამულის" გარკვეულ პირობებში სხვისთვის გადაცემის, გაყიდვის უფლება. ბატონის ინტერესებს ეს არ ეწინააღმდეგებოდა, პირიქით. მას კიდევაც აწყობდა ის, რომ მამული გადადიოდა უფრო შეძლებული ყმის ხელში, რომელსაც უფრო ადვილად შეეძლო ყმური მოვალეობის შესრულება. „საგლეხო მამულის" ყიდვა-გაყიდვა ამიტომაც დასაშვებად იყო ცნობილი. ასეთი მამულის ყმა-გლეხის მიერ გაყიდვას, ცხადია, ბატონის ნებართვა სჭირდებოდა.

დასავლეთ საქართველოში გლეხს დასამუშავებლად ხშირად ე. წ. „სამოდო მიწა" ეკავა. ეს იყო დაუმუშავებელი, ყამირი მიწიდან—ტევრიან თუ მთიან ადგილიდან — გამოყოფილი საყანედ გატეხილი მიწა, რომლისათვის გლეხი „მოდს" (ჩვეულებრივად მოსავლის „ათის თავს", ლეჩხუმში მეხუთედს) იხდიდა. „სამოდო" იმ მიწასაც ეწოდებოდა, რომელიც ოდესღაც საყანედ იყო გამოყენებული, მაგრამ მისი დამუშავება, გამოფიტვის გამო, დიდი ხნით იყო მიტოვებული. ახლა კი მისი საყანედ გამოყენება ისევ შესაძლებლად იყო ცნობილი[27]. მიწის „სამოდოთ" გაცემა კ. ბოროზდინმა მიწის იჯარით გაცემად მიიჩნია, ყმა-გლეხი — მოიჯარადრედ[28]. მ. დუმბაძეც ფიქრობს, რომ „სამოდო მიწას" „შემდეგში უნდა მიეღო საიჯარო მიწის მნიშვნელობა"[29]. „სამოდოთ" მიწის გაცემის გაიგივება იჯარასთან, თუნდაც „შემდეგში", ვფიქრობთ, სწორი არ იქნება: საიჯარო მიწა ვადით გაიცემა, „სამოდო მიწა" კი გლეხს უვადოდ ეძლევა; იგი ამ მიწით სარგებლობს მანამდე, სანამ დაწესებული ღალის გაღებაზე უარს არ იტყვის[30]. „სამოდო მიწა", თუ „შემდეგში" მისი განვითარების ტენდენციაზე ვილაპარაკებთ, „საგლეხო მამულს", საბეგრო მიწას უახლოვდება და მის მნიშვნელობას ღებულობს. თავდაპირველად კი „სამოდო მიწას", როგორც ჩანს, ოემი თავისად, საერთო საკუთრებად, თვლიდა და მემამულეს „მოდის"

---

[26] ქუთაისის მუზეუმის საბ. № 1404.

[27] ამის შესახებ იხ. მასალები აგრარული ურთიერთობის ისტორიისათვის გვიანფეოდალურ დასავლეთ საქართველოში („სამოდო მიწა"), „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", 31, 1954, გვ. 159—168.

[28] ქ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში, ტფ., 1927, გვ. 24, 61.

[29] მამია დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომიური განვითარება), თბ., 1957, გვ. 90.

[30] იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ე. 31. გვ. 163. იხ. აგრეთვე ქუთაისის მუზეუმის საბ. № 687.

მიცემაზე უარს ეუბნებოდა. თემსა და მემამულეებს შორის ბრძოლა ამ შემთხვევაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თემის დამარცხებით დამთავრდა: მეფის ხელისუფლებამ მხარი მემამულეებს დაუჭირა, „სამოდო მიწაზე" ძათი საკუთრება იცნო[31].

ყმა-გლეხს დასამუშავებლად მიწა მემამულისაგან აგრეთვე „საშენებლად" შეეძლო მიეღო. ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეების საბუთებში ვხვდებით „მიწის აღებას საშენებლად". გლეხი საშენებლად აღებულ მიწაზე ჩვეულებრივ ვენახს აშენებდა. „არამესაკუთრე გამშენებელს, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — გაშენებული ვენახის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა"[32]. საქართველოში მიწის „საშენებლად" აღების წესი გვიანფეოდალურ ხანაშიც გადავიდა, მას ბატონყმობის მოსპობის შემდეგაც ვხვდებით[33]. მაგრამ ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ ამ ინსტიტუტს სახე, როგორც ჩანს, საგრძნობლად შეუცვალა. ჩვენ არ გვხდება, დასავლეთ საქართველოში მაინც. ისეთი შემთხვევა, რომ გაშენებული ადგილის ნახევარი გამშენებელ ყმა-გლეხზე საკუთრებად გადასულიყო, როგორც ამას XI—XII საუკუნეებში ჰქონდა ადგილი ან ბატონყმობის მოსპობის შემდეგ შეიძლებოდა ყოფილიყო[34]. ჩანს, გვიანფეოდალურ დასავლეთ საქართველოში ასეთი წესი გაბატონებული მაინც არ ყოფილა. საბუთებში, რაც ჩვენს ხელთ არის, ის ჩანს, რომ გამშენებელი ყმა-გლეხი მიწის მესაკუთრეს შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ნახევარს აძლევს[35]. „სანაშენო" მიწა მემამულის საკუთრებად რჩება.

უშვილოდ ამოვარდნილი ყმა-გლეხის „საგლეხო მამულს" — პარტახტს დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც საერთოდ ბატონყმურ საზოგადოებაში, ბატონი ეპატრონებოდა. ამის შესახებ საკმაო მასალაა შემონახული[36].

„საგლეხო მამულის", საბეგრო მიწის გარდა, ყმა-გლეხს შეიძლებოდა ჰქონოდა აგრეთვე პირადად. ბატონისაგან დამოუკიდებლად, თავის სახსრით ნასყიდი ადგილ-მამულიც. შეიძლებოდა გლეხს მეზობლისაგან საბეგრო მამული ეყიდა. ასეთ შემთხვევაში ამ უკანასკნელს მყიდველის ხელშიც თავისი პირვანდელი ხასიათი რჩებოდა: მისი გასხვისება გლეხს ბატონის ნებართვის გარეშე არ შეეძლო. საბატონო ყმები ბოჭორიშვილები, მაგალითად. თავიანთ „საკუთარ მამულს", „ნასყიდს" მხოლოდ „ბატონის ნებართვით" ყიდიან[37].

---

[31] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 31, 1954, კე. 160. იხ. ავრ. ეგვე იქვე, საბ. №№ 1, 2, 6.

[32] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართული სამართლის ისტორია, II, 2, 439—440.

[33] Сельское хозяйство и аграрные отношения. IV, составил проф. П. В. Гурушвили. Тб., 1955 გვ. 036—038.

[34] იქვე, გვ. 037.

[35] საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტ-ის ფ. Hd, საბ. № 2583; ფ. Qd. საბ. № 3579; ფ. Sd, საბ. № 2429; ქუთ. მუზ. საბ. №№ 316, 454.

[36] იხ., მაგ., ქუთ. მუზ. საბ. №№ 124, 323, 357, 1890; საქ. სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. Hd, საბ. №№ 10352, 14610; ს ა რ გ ი ს ქ ა ქ ა ბ ა ძ ე. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, ტფ., 1921, გვ. 39.

[37] ქუთაისის მუზეუმის საბ. № 999.

ისიც შეიძლებოდა, რომ ყმა-გლეხს თავისუფალი მიწა ეყიდა, ე. ი. ეყიდა ისეთი მიწა, რომლის მიმართ გამყიდველს თავისუფალი განკარგულების უფლება ჰქონოდა. ასეთ მიწას ყმა-გლეხი ბატონისაგან ან სხვა მესაკუთრისაგან ყიდულობდა[38]. ასეთ შემთხვევაში ყმა-გლეხის მიერ ნაყიდი ადგილ-მამული მის თავისუფალ განკარგულებაში გადადიოდა: იგი მას ბატონის ნებადაურთველად ასხვისებდა.

ბოლოს, საკითხი ყმა-გლეხის მოძრავი ქონების ხასიათის შესახებ.

ბატონყმურ საზოგადოებაში ყველგან ყმა-გლეხს საკუთრებად ჰქონდა საწარმოო იარაღები (ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი), კერძო მეურნეობა. სამიწათმოქმედო იარაღები და მოძრავი ქონება, — აღნიშნავს კ. მარქსი, — უშუალო მწარმოებლის, გლეხის საკუთრებას წარმოადგენდა ჯერ კიდევ ფულადი რენტის შემოღებამდე[39]. ბატონყმობის ყველაზე უმკაცრეს პირობებშიც კი ყმა-გლეხს შენარჩუნებული ჰქონდა საკუთრების უფლება თავის მოძრავ ქონებაზე[40]. ასე იყო საქართველოშიც.

---

38 იხ. ქუთ. მუზ. საბ. №№ 903, 437; საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 1448(226), საბ. № 7111; მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალურ ხანის დასავლეთ საქართველოში, გვ. 96, 119.

39 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XIX, ч. 2, 1947, გვ. 360.

40 А. В. Венедиктов. Государственная социалистическая собственность, გვ. 231—243.

ილია ტაბაღუა

სიყალბეთა ახალი მასალა სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მგზავრობასთან დაკავშირებით

საფრანგეთის არქივებში მუშაობის დროს შესაძლებლობა მოგვეცა გვეპოვა ზოგიერთი ახალი მასალა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, დიპლომატის სულხან-საბა ორბელიანის დასავლეთ ევროპაში მისიასთან დაკავშირებით.

წინამდებარე წერილში ჩვენ შევეხებით სულხან-საბას დიპლომატიურ მისიასთან დაკავშირებულ მხოლოდ ზოგიერთ საკითხს, კერძოდ, მის მგზავრობას საქართველოდან მარსელამდე და მარსელში ყოფნას[1].

სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში გაემგზავრა ფრანგ მისიონერ ჟან რიშართან[2] ერთად 1713 წლის აგვისტოში.

1713 წლის ზაფხულში რიშარი ირანიდან საფრანგეთში ბრუნდებოდა. ისფაჰანიდან იგი ერევანში ჩავიდა[3], საიდანაც უნდა გაჰყოლოდა ირანის ელჩს საფრანგეთში, რომლის შერჩევა შაჰმა ერევნის ხანს დაავალა. სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ელჩობა რიშარის იქ ყოფნის დროს ვერ შედგა[4]. მაშინ ჟან რიშარი ერევნიდან საქართველოში გაემგზავრა, „სადაც მბრძანებლობს ძმა მეფე ვახტანგისა, რომელიც (ვახტანგი. — ი. ტ.) ისფაჰანშია"[5].

---

1 ს.-ს. ორბელიანის საქართველოდან გამგზავრებისა და მარსელში ჩასვლის შესახებ გამოქვეყნებულია მხოლოდ ორი საბუთი და ისიც არასრულად: ჟან რიშარის მიერ 1713 წ. 17 ნოემბერს კონსტანტინოპოლიდან პარიზში გაგზავნილი წერილის დაახლოებით ნახევარი გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თ., 1902, გვ. 722—724). გარდა იმისა, რომ მ. თამარაშვილთან ტექსტი მთლიანად არ არის გამოცემული, წყარო ზუსტად არაა მითითებული, ქართულ თარგმანშიც გვხვდება არაზუსტი ადგილები და შეცდომებიც; ჟან რიშარის მეორე წერილი, 1714 წ. 1 თებერვალს გაგზავნილი მარსელიდან პარიზში, ასევე არამთლიანად გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა (იხ. იქვე, გვ. 724—725). გარდა ამ ორი საბუთის მთლიანი ფოტოპირებისა, ჩვენ ხელთ გვაქვს სხვა მასალაც, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის საქართველოდან გამგზავრებას და მარსელში მის ყოფნას ეხება.

2 ჟან რიშარი — ფრანგი მისიონერი, იეზუიტი. მან რვა წელი დაჰყო აღმოსავლეთში. ჟან რიშარი თან ახლდა სულხან-საბას ევროპაში მოგზაურობის დროს (იგი მხოლოდ 1714 წლის აგვისტოში რომში ჩამოცილდა სულხან-საბას) და თარჯიმნობასაც უწევდა მას.

3 Archives du Ministère des Affaires Etrangères. Paris. „Perse", ტ. 3, ფ. 78. (შემდგომში შემოკლებით: Archives, Paris...).

4 იქვე, ფ. 78ბ.

5 იქვე, ფ. 79.

თბილისში რიშარი 15 დღეს დარჩა. აქედან იგი გორში ჩავიდა, სადაც შეხვდა სულხან-საბა ორბელიანს[6].

საინტერესოა, რატომ აირჩია ჟან რიშარმა გზა საქართველოს გავლით. რატომ ერევანში არ დაუცადა მან ირანის ელჩის საფრანგეთში გამგზავრებას? მაგრამ, რიშარს რომ დაეცადა ირანის ელჩისათვის და მასთან ერთად გამგზავრებულიყო საფრანგეთში, მაშინ ისინი ან საქართველოს გავლით არ გაემგზავრებოდნენ და თუ ეს მოხდებოდა, მაშინ გამორიცხული იყო სულხან-საბას გამგზავრება საფრანგეთში ჟან რიშართან ერთად.

ამიტომ, ჩვენ ვგვონია, რომ ფრანგმა მისიონერმა ჟან რიშარმა, წინდაწინ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, განზრახ არ დაუცადა ირანის ელჩის საფრანგეთში გამგზავრებას (ამის გამო მას არა ერთხელ უსაყვედურებს საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ) და აირჩია გზა საქართველოს გავლით.

ჟან რიშარი ირანში ყოფნის დროს ალბათ ხვდებოდა ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს; შესაძლებელია, მან პირველად იქ გაიცნო სულხან-საბა, როცა ეს უკანასკნელი ვახტანგ VI-ს ახლდა ისფაჰანში (1712 წ. აპრილ-დეკემბერი). ასევე შესაძლებელია, რომ რიშარი ირანში გაეცნო ვახტანგ VI-ის გეგმებს საფრანგეთთან კავშირის დამყარების შესახებ და იქ გადაწყდა სულხან-საბას რიშართან ერთად საფრანგეთში გამგზავრება[7]. საგულისხმოა, რომ რიშარმა შეასანიშნავად იცოდა ვახტანგის შეხედულებები დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობის საკითხებზე. ამას ის ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებდა საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ.

ინგლისელი ქართველოლოგი დ. ლენგი წერს: „შეიტყო რა ვახტანგის მძიმე მდგომარეობა, სულხან-საბამ გადაწყვიტა, პირადად გამგზავრებულიყო საფრანგეთში, რათა ეშუამდგომლა ლუი XIV-სთან თავისი დისწულის სასარგებლოდ“[8].

ჩვენი აზრით, ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიეღო ს.-ს. ორბელიანს. ჩვენ ვიზიარებთ პროფ. ალ. ბარამიძის აზრს იმის შესახებ, რომ სულხან-საბა ევროპაში საკუთარი ინიციატივით არ წასულა[9].

ჟან რიშარის სიტყვით, სულხან-საბას მასთან ერთად ევროპაში გამგზავრების სურვილი განუცხადებია მას შემდეგ, რაც მან ვახტანგის წერილი მიიღო ისფაჰანიდან[10]. დ. ლენგი მიუთითებს, რომ ჟან რიშარს მოჰქონდა ირანიდან ვახტანგ VI-ის პასუხები ლუი XIV-სადმი და წერილები ვახტანგის ნათესავებისათვის საქართველოში[11]. ასეთივე აზრისაა პროფ. ვ. გაბაშვილი, რომელიც წერს, რომ სულხან-საბამ ვახტანგისაგან „წერილის მიღებისთანავე გადაწყვიტა პირადად საფრანგეთში გამგზავრება“[12].

---

[6] იქვე.

[7] ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, საძიებელი და შენიშვნები დაურთო რ. ბარამიძემ, სულხან-საბა ორბელიანი. თხზ. ტ. I, თბ., 1959, გვ. 400.

[8] D. M. Lang, Georgian Relations with France during the reign of Wakhtang VI (1711 — 24), „Journal of the Royal Asiatic Society“, October. 1950, Parts 3 and 4, გვ. 119.

[9] ალ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1959, გვ. 89.

[10] Archives, Paris, „Perse“, ტ. 3. ფ. 79 ბ.

[11] D. M. Lang. დასახ. ნაშრომი, გვ. 118.

[12] ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი 1658—1958. საიუბილეო კრებული. თბ., 1959, გვ. 71.

აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ჟან რიშარს წინდაწინ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება საქართველოზე გაევლო და შეხვედროდა ს.-ს. ორბელიანს. ვახტანგის მიერ სულხან-საბასთვის წერილის გამოგზავნა, ჟან რიშარის ჩასვლა გორში, სულხან-საბასთან მისი შეხვედრა და ამ უკანასკნელის გადაწყვეტილება გამგზავრებულიყო ევროპაში, ერთმანეთთან დაკავშირებულია.

ამრიგად, ს.-ს. ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში ჟან რიშარისა და სულხან-საბას გორში შემთხვევითი შეხვედრის დროს მიღებული გადაწყვეტილება კი არაა, არამედ ადრე—ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბას, ხოლო შემდეგ—ჟან რიშართან ერთად ღრმად ჩაფიქრებული გადაწყვეტილება იყო[13].

ს.-ს. ორბელიანი ვახტანგ VI-ის დავალებით გაემგზავრა საფრანგეთში, რათა „სრულიად გარკვეული პოლიტიკური დახმარება" ეთხოვა „უქრისტიანეს" ლუი XIV-სთვის[14].

სულხან-საბა რიშართან ერთად გორიდან საფრანგეთში გაემგზავრა 1713 წ. 17 ავგისტოს[15]. მათ 40 დღე გაატარეს დასავლეთ საქართველოში[16], სადაც ისინი „სამეგრელოსა და მრავალი სხვა პროვინციის პატრიარქის" გრიგოლის უშუალო სტუმრები იყვნენ[17]. გრიგოლმა ევროპაში მათ გააყოლა „თავისი თანაშემწე, სახელად დავით ბერი"[18], რომელიც ფრანგულ წყაროებში მოხსენებულია როგორც „დავით მეგრელი".

1713 წ. 16 ნოემბერს ისინი კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ. „კონსტანტინოპოლში რომ ჩავედით, — წერს ჟან რიშარი, — ბატონი სულხან-საბა და ეს ბერი მივიყვანე ბატონ დეზალორთან[19], რომელმაც ისეთი განსაკუთრებული პატივისცემა გამოიჩინა, რომ იგი კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმ გრძნობებში, რომლებიც მას შთააგონეს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის ჩინებულობის შესახებ"[20].

---

13 დაზუსტებას საჭიროებს მოსაზრება, რომ ს.-ს. ორბელიანმა თავისი განზრახვა ევროპაში გამგზავრების შესახებ რიშარს გააცნო მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროზე. მაგ., ლ. მენაბდე წერს: „მან (სულხან-საბამ. — ი. ტ.) მისიონერს კარგი პატივი სცა, სამეგრელოს გზით შავ ზღვამდე მიაცილა და იქ განუცხადა: „დიდი ხანია ხელმწიფის (ლუდოვიკო მეთოთხმეტის) ნახვა მინდა და უკეთესი შემთხვევა არც მექნება..., თან წამიყვანეო" (ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, თბ., 1953, გვ. 49).

14 ნ. ბერძენიშვილი. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. „მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ. I, 1944, გვ. 176—177.

15 M. Brosset, „Nouveau Journal Asiatique", 1834, ტ. XIII, გვ. 171; ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 89; ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

16 Archives, Paris, „Perse" ტ. 3, ფ. 93ბ.

17 კათალიკოსი გრიგოლი — ერისკაცობაში გრიგოლ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი 1696—1742 წწ. (იხ. ბ. ლომინაძე, ბიჭვინთის საკათალიკოსოს ისტორია, ხელნაწერი; მისივე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII სს. ქრონოლოგიისათვის, „მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკ. 31, 1954).

18 Archives, Paris, „Perse", ტ. 3, ფ. 80. დასავლეთ საქართველოში ყოფნის დროს ჟან რიშარს წერილი მიუწერია კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩ დეზალორისათვის და შეუტყობინებია კონსტანტინოპოლში მათი ჩამოსვლის ამბავი (Archives, Paris, "Perse", ტ. 4, ფ. 397).

19 დეზალორი და არა „დეზალერი", „დე ალუნი", „დალერი", „ბეზალერი" და ა. შ., როგორც ზოგიერთი ავტორი წერს. გრაფი დეზალორი (1643—1725) — საფრანგეთის ელჩი კონსტანტინოპოლში 1709—1716 წწ.

20 Archives, Paris, „Perse", ტ. 3, ფ. 80.

ჟან რიშარმა 1713 წ. 18 ნოემბერს სპეციალური წერილით მოახსენა გრაფ დეზალორს ს.-ს. ორბელიანის მისიის შესახებ საფრანგეთში და ისიც, რომ „საქართველოს მეფის ბიძას“ მიჰქონდა ვახტანგის საპასუხო წერილები საფრანგეთის მეფე ლუი XIV-სთან[21].

ს.-ს. ორბელიანი და მისი თანამგზავრები კონსტანტინოპოლში დარჩნენ ერთი თვე — 1713 წ. 17 დეკემბრამდე. 16 დეკემბერს ელჩი გრაფი დეზალორი ატყობინებს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ჟან რიშარი „ჯდება საფრანგეთის გემზე, რომელიც გავა ამ ნავსადგურიდან პირდაპირ საფრანგეთში. მას თან ახლავს საქართველოს მეფის ბიძა, სახელად სულხან-საბა, რომელიც ატარებს წმ. ბაზილის ორდენის ბერის ტანისამოსს, და მეორე ბერი, რომელსაც სამეგრელოს პატრიარქი აგზავნის საფრანგეთში, რათა მონახოს საშუალება — დააფუძნოს მისიები საქართველოში და მის მეზობელ პროვინციებში“[22].

ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნა გრაფმა დეზალორმა რომში კარდინალ დე ლა ტრემუაის[23] და წმ. კონგრეგაციას[24]. საფრანგეთის ელჩმა სულხან-საბას კონსტანტინოპოლიდან გამგზავრება აცნობა მარსელშიც[25].

გრაფი დეზალორი ურჩევდა პარიზს და რომს.. რომ თუ ისინი გაგზავნიდნენ მისიონერებს საქართველოში, ეს მისიონერები ყოფილიყვნენ „მხოლოდ ერთი ორდენისა და ერთი ეროვნების ბერ-მონაზვნები, რათა თავიდან აცილებულ იქნას განხეთქილება, რომელსაც ვხედავთ სხვადასხვა ორდენების იმ ბერ-მონაზვნებს შორის“, რომლებიც ამ ქვეყნებში არიან[26].

1713 წ. 17 დეკემბერს კონსტანტინოპოლიდან გავიდა საფრანგეთის გემი „l'Assomption“ („მიძინება“), რომლის უფროსი იყო კაპიტანი ჟოზეფ აბეი. ამ გემით კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთში გაემგზავრა სულხან-საბა ორბელიანი ჟან რიშართან და დავით ბერთან ერთად.

კონსტანტინოპოლიდან გასვლის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ამ გემის შესახებ არავითარი ცნობა არ ყოფილა[27], ვიდრე მან ღუზა არ ჩაუშვა არჟანტიერში[28]. „L'Assomption“ არჟანტიერიდან გასულა 25 დეკემბერს და რამდენიმე დღის შემდეგ ჩასულა ნავარინში[29], „სადაც იგი დარჩა ოთხი დღე, რათა აეღო ტვირთი“, ხოლო იქიდან გაემგზავრა პირდაპირ მარსელში[30].

---

[21] Archives, Paris, „Perse“, ტ. 4, ფ. 397 ბ; „Turquie“, ტ. 52, ფ. 257.

[22] Archives, Paris, „Turquie“, ტ. 52, ფ. 257.

[23] დე ლა ტრემუაი—კარდინალი, პაპი კლიმენტი XI (1700—1721) დროს. იგი ორჯერ შეხვდა სულხან-საბას, როცა ეს უკანასკნელი რომში იყო. სულხან-საბას დღიურებში იგი მოხსენიებულია, როგორც „კარდინალი ლატრიმური“: „მერე კარდინალი ლატრიმურ მოვიდა. მეორედ მნახა“, — წერს სულხან-საბა (იხ. ს.-ს. ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, გვ. 202).

[24] Archives, Paris, „Turquie“, ტ. 52, ფ. 257.

[25] Archives de la Chambre du Commerce et d'Industris de Marseille, 1711 წ. 1719, ტ. 7, ფ. 110 ბ.

[26] იქვე.

[27] Archives Départamentales des Bouches du Rhone. Marseille. Les registres de la Santé. 200 E. Santé.

[28] არჟანტიერი ანუ კიმოლო, კუნძული— კიკლადის კუნძულებიდან. მდებარეობს კუნძულ მილოსის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

[29] ნავარინი (პილოსი, ნეო-კასტრო) — ქალაქი და ნავსადგური საბერძნეთში, პელოპონესის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე (მესენის დეპარტამენტი).

[30] Archives Départementales... Marseille. 200 E. Santé.

მარსელის დეპარტამენტის არქივში ჩვენ გავეცანით კაპიტან ჟოზეფ აბეის მოხსენებით ბარათს გემი „l'Assomptiou"-ის კონსტანტინოპოლიდან მარსელში ჩასვლის შესახებ. აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია ამ მოხსენებითი ბარათის შედგენის თარიღმა, ვინაიდან თვითონ ჟან რიშარი წერს: „მე ჩამოვედი მარსელში ამა თვის 23-ს წმ. ბასილის წესის მონაზონ, საქართველოს მეფის ბიძა ბატონ სულხან-საბასთან ერთად..."[31], მაგრამ აღმოჩნდა, რომ გემი, რომლითაც ისინი გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლიდან საფრანგეთში, მარსელში ჩავიდა 1714 წლის 22 იანვარს და არა 23 იანვარს. ამ თარიღის არც რამდენიმე დღის წინ და არც რამდენიმე დღის შემდეგ, მარსელში კონსტანტინოპოლიდან გემის ჩამოსვლა არაა აღრიცხული. ხოლო აღრიცხვისა და გემის კაპიტანის მოხსენებითი ბარათის გარეშე უცხოეთიდან მარსელში გემის მოსვლა არ ხდებოდა.

ამრიგად, დასტურდება, რომ სულხან-საბა ორბელიანი მარსელში ჩავიდა 1714 წლის 22 იანვარს და არა 23 იანვარს, როგორც ეს დღემდე იყო მიღებული[32].

სულხან-საბა დაახლოებით ორი თვე დარჩა მარსელში, სადაც მას „დიდი პატივისცემა აღმოუჩინეს", — წერს ჟან რიშარი[33]. ს.-ს. ორბელიანის მარსელში ჩასვლის რამდენიმე დღის შემდეგ, სახელდობრ 1714 წ. 29 იანვარს, დილის 10 საათზე, ქალაქის რატუშის შენობაში მოწვეულ იქნა მარსელის სავაჭრო პალატის ბიუროს საგანგებო სხდომა[34]. სხდომას უსწრებოდნენ ქალაქის მერი შარლ კუსტანი, მრჩევლები: ანტუან ვენსანი, პიერ ბო, ლუი გილერმი; დეპუტატები: ჟან ჟუვენი, ანდრე ბლანკი; სავაჭრო პალატის მრჩევლები: ლუი დავიდი და რემონ ბუვინიანი.

სავაჭრო პალატის ბიუროს სხდომაზე წაკითხულ იქნა საფრანგეთის ელჩის კონსტანტინოპოლში გრაფ დეზალორის წერილი, გაგზავნილი 1713 წ. 16 დეკემბერს გალერებისა და ვაჭრობის ინტენდანტის პიერ დ'არნუს სახელზე[35] — „საქართველოს მეფის ბიძის სულხან-საბას შესახებ. რომელიც ჩამოვიდა კონსტანტინოპოლიდან კაპიტან აბეის გემით"[36].

---

[31] Archives, Paris. „Perse", ტ. 3. ფ. 93.

[32] ს.-ს. ორბელიანის ევროპიდან უკან გამომგზავრების (მარსელიდან თბილისამდე) მარშრუტი ცნობილია თვითონ სულხან-საბას დღიურებიდან (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში; აგრეთვე, დავ. დონდუა, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის გეოგრაფიული მნიშვნელობა, წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი, 1658—1958. საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 77—106; გრ. ზარდალიშვილი, გამოჩენილი ქართველი მოგზაურები. თბ., 1958).

მაგრამ, ს.-ს. ორბელიანის მარშრუტი საქართველოდან საფრანგეთამდე (გორიდან მარსელამდე), დღემდე მთლიანად არ იყო ცნობილი. ახლა კი, მარსელის არქივებში აღმოჩენილი მასალების მიხედვით, ჩვენ საშუალება მოგვეცა უფრო დაგვეზუსტებინა ეს მარშრუტი: გორი, დასავლეთ საქართველო, კონსტანტინეპოლი, არვანტიერი, ნავარინი, მარსელი, პარიზი, ვერსალი.

[33] Archives, Paris. „Perse", 4, ტ. 398 ბ.

[34] Archives de la Chambre du Commerce et d'Industries de Marseille... ტ.. 7 ფ. 110 ბ.

[35] დღემდე ჩვენში დ'არნუს თელიან ჟ. მარსელის მერად (იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 314, შენიშვნა. ივი წერს: არნუ მარსელის მერი „უნდა იყოს". აქედან აიღეს ეს აზრი შემდგომში სხვა ავტორებმა). სინამდვილეში პიერ დ'არნუ იყო გალერებისა და ვაჭრობის გენიალური ინტენდანტი მარსელში 1710 წლიდან, ხოლო მარსელის მერი იყო შარლ კუსტანი.

[36] Archives de la Chambre du Commerce et d'Industries de Marseille... ფ. 110 ბ.

ზემოხსენებული წერილის წაკითხვის შემდეგ „ბატონი არნუს ბრძანების თანახმად [სხდომაზე] მსჯელობის საგანს წარმოადგენდა საკითხი: პალატამ უნდა გაიღოს თუ არა საქართველოს მეფის ბიძის ჩამოსვლისა და ამ ქალაქში მისი ყოფნის პერიოდში" მასთან დაკავშირებული ხარჯები[37].

ბიურომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ პალატამ არ უნდა აიღოს თავის თავზე მსგავსი ხარჯები იმ ფაქტის გამო, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ვაჭრობასთან[38]. სავაჭრო პალატის ბიუროს საგანგებო სხდომის ოქმს ხელს აწერენ შარლ კუსტანი და ჟან ჟუვენი.

მარსელის ქალაქის არქივში ჩვენ გადავათვალიერეთ ქალაქის ხარჯების სრული და კარგად შემონახული სიები, მაგრამ ვერსად ვერ შევხვდით ს.-ს. ორბელიანისათვის გაწეული ხარჯების აღრიცხვას.

ვნახეთ ქალაქის ცერემონიალის რეგისტრებში უცხოელი სტუმრების მიღების სიები, სადაც, სხვათა შორის, აღნიშნულია 1714 წ. 13 დეკემბერს ირანის ელჩის მოჰამედ რეზა-ბეგის მიღება მარსელიდან პარიზში მისი გამგზავრების წინ. ასეთ სიებშიც არსად არაა ნახსენები ს.-ს. ორბელიანი. ასე რომ, სულხან-საბას მარსელში ოფიციალური მიღება არ ჰქონია[39].

1714 წ. 1 თებერვალს ჟან რიშარმა პიერ დ'არნუს წერილობით მოახსენა სულხან-საბას მისიის შესახებ საფრანგეთში და წარუდგინა ანგარიში აღმოსავლეთში და, კერძოდ საქართველოში, აბრეშუმით ვაჭრობის შესახებ[40].

იმავე დღეს ჟან რიშარმა ვრცელი წერილი გაგზავნა ვერსალში ს.-ს. ორბელიანის მარსელში ჩასვლისა და ამ მისიის მიზნების შესახებ[41], ხოლო 4 თებერვალს პიერ დ'არნუმ საფრანგეთის მთავრობას გაუგზავნა წერილი ირანთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების შესაძლებლობის შესახებ.

ს.-ს. ორბელიანმა ჟან რიშარის საშუალებით მჭიდრო კონტაქტი დაამყარა გალერებისა და ვაჭრობის გენერალურ ინტენდანტ პიერ დ'არნუსთან. მათ ერთად შეადგინეს ვრცელი მემორანდუმი საქართველოს შესახებ, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის გაფართოების შესაძლებელი პირობების შესახებ, რომელიც პიერ დ'არნუმ მარსელიდან ვერსალში გაგზავნა[42].

1714 წ. 21 მარტს სულხან-საბა ორბელიანი, ჟან რიშარი და დავით ბერი უკვე პარიზში არიან.

---

[37] იქვე.

[38] იქვე.

[39] მარსელის არქივებში მეშაობის დროს დიდი დახმარება გამიწიეს „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების" მარსელის განყოფილების გენერალურმა მდივანმა ემილ გაიოტომ (Emile Gavotto), საგაჭრო პალატის არქივის უფროსმა ფ. რებიუფამ (F. Rébuffat), და მარსელის უფროსმა არქივისტმა ბილუმ (Billoud), რისთვისაც მათ მადლობას ვუძღვნი.

[40] Archives, Paris, „Perse", ტ. 4, ფ. 398 ბ.

[41] Archives, Paris, „Perse", ტ. 3, ფ. 93 - 94. ამ წერილის ნაწილი იხ. მ. თამარაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 724 — 775.

[42] იხ. ი. ტაბაღუა, სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში. „მაცნე", 1965, № 3, 5.

დაით გვრიტიშვილი

ერთი უცნაური ფეოდალური სასის ქართული სასოგადოებრიცი ასპროვნების ისტორიიდან

სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა შორის „სიბრძნე სიცრუისა" ერთ-ერთი მთავარი და საინტერესო თხზულებაა. ამ ნაწარმოებში ისტორიკოსი არა ერთ საინტერესო ცნობას პოულობს სოციალური ურთიერთობისა და ქვეყნის ცხოვრების სხვა მხარეთა შესახებ. ისე, როგორც სხვა ნაწარმოებებშიც, „სიბრძნე სიცრუისაშიც" ავტორის საერთო ხაზი — ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი წინა პლანზეა წამოწეული. ადამიანის მაღალი მოვალეობა, ადამიანის პატივისცემა, ადამიანის ღირსების დაცვა სულხან-საბა ორბელიანის აზროვნების ძირითადი ქვაკუთხედია.

სულხან-საბა ორბელიანს იმ დროს მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, როცა ჟამთა სიავე და ძნელბედობა ეპოქის თანამგზავრი გამხდარიყო. მეფე აღარ მეფობდა, თავადი გლეხისათვის მგლად გადაქცეულიყო, ვაჭარ-მევახშეს პირადი ანგარება ღმერთად გაეხადა, გლეხს ილაჯი გასწყვეტოდა და სამშობლოს დაცვასა და მეურნეობის წარმოებას გულგრილად უცქეროდა. ყველაფერს ამას ერთად აღებულსა და ცალ-ცალკე ქვეყნის საერთო დაძაბუნება გამოეწვია. საჭირო იყო შველა. რითი ეშველებოდა ქვეყანას? აი კითხვა, რომელიც მაშინდელ პროგრესულად მოაზროვნე ქართველ პატრიოტთა წინაშე დაისვა. ამ კითხვაზე სულხან-საბა ორბელიანი ასეთ პასუხს იძლევა: ქვეყნის გაერთიანება, უდების დადების აკრძალვა, მეფის ხელისუფლების განმტკიცება, სოციალური ურთიერთობის ნორმალურ პირობებში ჩაყენება, მტრული გარემოცვისაგან თავის გამოხსნა.

მაგრამ, როგორ მივაღწიოთ ყოველივე ამას? სულხან-საბა ორბელიანი ამაზეც იძლეოდა პასუხს: გავაჯანსაღოთ უსამართლობით დაავადებული საზოგადოება. საამისოდ კი საჭიროა განათლება. ცოდნა-განათლება ადამიანს აამაღლებს თავისი მოვალეობის შეგნებამდე. პროფ. გ. თაყაიშვილი სამართლიანად შენიშნავდა: „სულხან-საბა ორბელიანი ხედავდა, რომ მისი დრო გაცილებით მეტსა და რთულ მოთხოვნილებებს უყენებდა ქართველ ახალგაზრდობას, ხედავდა, რომ მხოლოდ მცოდნე ახალგაზრდობას შეეძლო ამ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე დამდგარიყო. ის კარგად გრძნობდა განათლების ეპოქის შემტევ ძალას შუასაუკუნეობრივი ბურუსის წინააღმდეგ და მხოლოდ განათლებულ ადამიანში ხედავდა სამშობლოს მომავალს"[1].

---

[1] გ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკა, „სულხან-საბა ორბელიანი", საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 103—104.

სულხან-საბა ორბელიანი უსამართლობით დაავადებულ საზოგადოებას უდიდეს მკურნალად მოევლინა. მან ამ დაავადების არა მარტო დიაგნოზი დასვა. არამედ წამალიც გამოწერა.

რას ნიშნავს საზოგადოების დაავადება უსამართლობით? ამ კითხვაზე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ასეთი პასუხია გაცემული: „იყო ქუეყანა ესე ქართლისა ყოვლითურთ კეთილითა შემკულ და შეზავებულ, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთათა თვით სიბრძნით და თავით თესლით სჯიდენ და განაგებდენ,... ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღ[ა]თის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამითა, — ვითარცა ენებათ, სჯიდენ"[2]. ასეთი პირობები შექმნილიყო, რომ საქართველოს მეფენი „ბევრჯელ ჟამთა და დროთა ცვალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რჩებოდა, თორემე მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათ სდომებიათ, ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ"[3]. რათა თავი დაეღწიათ ასეთი გარემოებისაგან, რჯულმდებელი მოითხოვდა: „თუ მეფეს მეფობა შეეძლოს — ქნას; თუ არა, — სახელი და საუკუნო უნდოდეს, შეუძლებლად მეფობას უქნელობა სჯობს და ჯელის აღება"[4].

მაშ, როგორი უნდა იყოს მეფე? ამ კითხვაზე სულხან-საბა ორბელიანმა ასეთი პასუხი გასცა: „მეფეთაგან სამნი უყვარან ღმერთსა: სიმშვიდე, სიმდაბლე და სულგრძელობა.

მეფეთაგან სამს დაიმადლებს უფალი: სამართალსა უქრთამოსა, მოწყალებასა და დიდსა სიყვარულსა ყოველთასა.

მეფეთაგან სამს ინატრიან ქვეყანანი: ზავთსა მართებულსა, სიმართლესა უზაკველსა და სიუხვესა მოუკლებელსა.

მეფეთაგან სამს იქენებენ დიდებულნი: სიტკბოსა წესიერსა, ნადიმსა ამოსა და ჭირში — ჭირსა და ლხინში — ლხინსა.

მეფეთაგან სამს ნდომობენ მხედარნი: ცხენსა მალსა, საჭურველსა მაგარსა და დანახვასა ნამსახურისასა.

მეფეთაგან სამს იღვწიან გლახაკნი: კარსა ღიასა, თხოვისა ბოძებასა და სიხარულით წარვლენასა.

მეფეთაგან სამს ითხოვენ მონანი: სავსესა ტაბლასა, ჯამაგირთა მოუკლებლობაჲა და მალე შეუბეზღებლობასა.

მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურის მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

მეფეთაგან სამს ინებებენ მოჩივარნი: საჩივრის სმენასა, აუჩქარებლობასა და დაუფერებლობასა.

მეფეთაგან სამს ინატრებენ ვაჭარნი: თვალთა და ლალთა ცნობასა, ღირებულის მიცემასა და უფასურად ვაჭრობასა.

მეფეთაგან სამს ევედრებიან მოგზაურნი: მეკობრეთაგან მორჩენასა, ზვერის წესად აღებასა, ფუნდუკთა უშუღართა დგომასა.

მეფეთაგან სამს იხვეწებიან შესმენილნი: მობეზღრისა წაყენებასა, ურისხველად ბრძანებასა და მართლებასა თავისასა.

---

[2] სამართალი ბატონისშვილის ვახტანგის ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1952, პროფ. ი. დოლიძის რედაქციით, გვ. 477.

[3] იქვე, გვ. 479.

[4] იქვე, გვ. 480.

მეფეთაგან სამს ითხოვენ პატიმარნი: შეცოდებისა შენდობასა, რისხვის წყალობად შეცვლასა და ხილვასა პირისა მისისასა"[5].

ჩამოაყალიბა რა მეფის უფლება-მოვალეობანი, საბა-სულხან ორბელიანმა დაასკვნა: „ესე არს წესი მეფეთა, ესე არს საბოძვარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს იგი, ქვეყანა მისი დაემყაროს"[6].

როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანს ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობა წარმოუდგენია ისეთ წყობად, რომლის სათავეშია მეფე. ეს მეფე განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობს, მასზეა დამოკიდებული ქვეყნის სვე-ბედი. ამიტომ მეფე უნდა იყოს მშვიდი, თავმდაბალი, სულგრძელი, მოსამართლე, უქრთამო, მოწყალე, ყველას მოსიყვარულე, უზაკველი, ქველმოქმედი, ჭირისა და ლხინის მონაწილე, სამხედრო წესების მცოდნე, გლახაკთა გამკითხველი, ჭირისახურთა მართლ-განმკარგულებელი, ვაზირთა ყურისმიმპყრობელი, მომჩივართა მომსმენელი, ეაჭართა დამცველი, მოგზაურთა მფარველი, პატიმართა შემნდობელი...

რათა ყველა აქ ჩამოთვლილი მოვალეობა შეასრულოს მეფემ, ის უნდა იყოს განათლებული, საქმის მცოდნე, ყველაფერში გაგებული. იმისათვის, რომ მეფე ყველაფერში გაგებული იყოს, საჭიროა სამეფო კანდიდატმა — უფლისწულმა შესაფერისი განათლება მიიღოს.

სულხან-საბა ორბელიანმა უფლისწულის აღზრდის ორიგინალური თეორია წარმოადგინა. მისი აზრით, საჭიროა უფლისწული ისე აღიზარდოს, რომ ის იყოს „ფიზიკურად ჯანმრთელი, სულით ფაქიზი, სიკეთის რწმენით განმსჭვალული, გონებით გამჭრიახი, მცოდნე და განათლებული, ცხოვრებისა და საზოგადოების მოყვარე, მისი აქტიური წევრი"[7].

სულხან-საბა ორბელიანი საკმაოდ რთულ მეთოდს იყენებს აღზრდისათვის. აღსაზრდელმა ცხოვრების ყველა მხარე არა მარტო უნდა შეისწავლოს, არამედ უნდა განიცადოს კიდეც. უფლისწული ჯუმბერი ლეონს მიაბარეს გასაზრდელად. სანამ ლეონი ჯუმბერს წვრთნას დაუწყებდა, მეფეს პირობის ხელწერილი დაადებინა, „ვირემ ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომაკვდინოო"[8]. როცა ხელწერილი მიიღო, „აღაშენა სახლი სამეფო და დაჯდა მუნ. დაუწყო ჯუმბერს წვრთნა და ასწავლიდა დღივ და ღამ"[9]. აი, როგორი მეთოდით ასწავლიდა ლეონი ჯუმბერს: „ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და ღამე წართვით სვა. ჯუმბერ მწდედ დაიყენა, არცა დასვა და არცა არა აკმა. ფეხზე დგომითა და შიმშილითა ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუხდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პურისა"[10].

ლეონი სანადიროდ წავიდა და ჯუმბერიც თან წაიყვანა. „თვით თოხარიკსა ცხენსა შეჯდა. ჯუმბერს ხელთ ქორი შეუსვა. უცბენოდ წინ წაიმძღვარა, საღამომდინ არბენინა. ქორსა და ქორის ნაბუღს ადევნა"[11].

---

5 სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა. თხზულებანი, 1. თბ., 1959, გვ. 41—42.

6 იქვე, გვ. 42.

7 ე. ლორთქიფანიძე. სულხან-საბა ორბელიანი და მისი „სიბრძნე სიცრუისა", თბ., 1960, გვ. 28.

8 სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, დასახ. გამოც., გვ. 23.

9 იქვე.

10 იქვე, გვ. 23—24.

11 იქვე, გვ. 27.

ლეონი თავისი მეთოდით ავრძელებდა უფლისწულის წვრთნას. „მეორე დღეს მწევრები მისცა ხელთა. ძთათა და გორათა არბენინა ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლით დენა დაუწყო.

მესამეს დღეს წინ შიკრიკად გამოიმძღვანა. მეტად დაშვრა, ძალ-მალ დაეცემოდის. და არ მოეშვა“[12].

მასწავლებელი ამასაც არ დასჯერდა.

„დღესა ერთსა ლეონ გაწყრა ცუდად. შეიპყრა ჯუმბერ უბრალოდ და ერკვანი ჯობი ჰკრა და დიდად ჰკვემა“[13].

მეფის კარზე მყოფმა საპურისმა რუჭამ ლეონი მეფესთან დააბეზღა. ამ ამბავმა მეფე ისე განარისხა. „მეტის გაშმაგებისაგან ძრწოდა. რუჭა ცეცხლის ჭეზებას უმატებდა და მრისხანემ მეფემ ვაზირი თვისი გააძო. ლეონს კაცი გაუძახა და თრევით მოიღეს. მოკვლას ლამოდა“[14]. ლეონმა მეფეს საფიცარი წიგნი მოაგონა და როცა მეფე დამშვიდდა, მოახსენა, რატომ მიმართავდა აღზრდის ასეთ მეთოდს. „აწ ესე ბრძანოს მეფობამან თქვენმან: ძე შენი სამეფოდ გინდა, თუცა მწყემსად? მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა. მწყემსი ხამს ცსოვრთათვის იპირეოდეს, კეთილთა ბალახთა აძოოს, აწოდ ატაროს, დაკოდილი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ყოს, სამწყსო შეუმცირდეს. ეგრევე მეფე ესვთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს“[15].

მაშ, თუ მეფის მოვალეობა ეს არის, დასძენს ლეონი, საკითხავია: „თუცა ეგოდენ ხანს ფიქრზე არ მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზედგომასა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს აღსდგება, უნებს დაჯდება. მათი სამსახური ვითა სცნას, რას მიიკირვებენ მისთვის? დღე ყოველთა ზე დგანან და დაითმენენ“[16]. ლეონი განაგრძობს: „თუცა შიმშილით არ მომყმარიყო. რამცა იცის, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საჭმელი აკლს? იგი ყველას კეთილსა სჭამს და სვამს, არ მოიმშევს“[17]. ანდა: „თუცა უცხენოდ სელა და ფეხშიშვლობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკოა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა სცნას, რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა?... არჭისა სიმწარე არ ენახა. რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებრძანა ასისა და ორასისა არჭისა კვრა. სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა“[18].

ლეონი ასე ამთავრებს მეფესთან საუბარს: „აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწაულოდ მისსა“[19].

როგორც ვხედავთ, აქ სულხან-საბა ორბელიანმა სწავლა-აღზრდის საკითხზე თავისი კონცეფცია გადმოსცა. იგი „მოითხოვს ყოველმხრივ განვითა-

---

12 სულხან-საბა ორბელიანი. სიბრძნე სიცრუისა, დასახ. გამოც., გვ. 27.

13 იქვე, გვ. 29.

14 იქვე.

15 იქვე, გვ. 30.

16 იქვე.

17 იქვე.

18 იქვე.

19 იქვე.

რებული ადამიანის ჩამოყალიბებას, რომლის აღზრდის დროსაც ყურადღება ექცეცა ბავშვის ფიზიკურ, შრომითს, ზნეობრივსა და გონებრივ მხარეებს"[20].

ერთი შეხედვით, ლეონი ჯუმბერის წვრთნის ერთადერთ საშუალებად უხეშ, დასჯის მეთოდს იყენებს, მაგრამ ეს ასე არ არის. პროფ. გ. თავზიშვილის სამართლიანი თქმით, „სულხან-საბა როგორც დიდი ჰუმანისტი წინააღმდეგია ფიზიკური დასჯისა. ჯუმბერს, სრულიად უდანაშაულო ყრმას, ფიზიკურ ტკივილებს აყენებენ არა როგორც სასჯელს, რომელიც მას არ დაუმსახურებია, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ შეაძულონ საერთოდ ფიზიკური დასჯა, როგორც მორალურად დამამცირებელი, ფიზიკურად მტკივნეული და ბავშვის დანაშაულისადმი შეუსაბამო ღონისძიება"[21].

როცა ჯუმბერის მამამ ლეონისაგან „მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი. დიდად მოეწონა და შეინანა, რაცა ლეონისათვის ავი ექმნა"[22].

„სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი" ეს არის თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობა, ერთიანობა. მაშასადამე, სულხან-საბა ორბელიანი ისეთი აღზრდის მომხრეა, რომელიც ცხოვრებაში გამოიყენება, და არა განყენებული სქოლასტიკისა.

ამგვარად, წამოაყენა რა განათლებული მეფის იდეა, მან მტკიცედ განსაზღვრა მეფის უფლება-მოვალეობანიც და დაადგინა მათი განხორციელების ფორმებიც. სულხან-საბას მეფე თვითმპყრობელია, მაგრამ ის თავის მდგომარეობას ბოროტად არ უნდა იყენებდეს, თავის ვაზირებს უნდა ეთათბირებოდეს და მათი რჩევა ყურთ იღოს. ეს იმიტომაო, ამბობს სულხან-საბა, რომ „ერთის ჭკუა და რჩევა უამხანაგოდ სწორედ არ წავა, არ იქნების, რაგინდ ბრძენი იყოს, ერთიც არის საქმე არ დაიცდინოს და ერთის საქმის დაცდენითა ბევრი წახდება. ამისათვის ორისა და სამის კაცის რჩევა სჯობს"[23].

სულხან-საბა ორბელიანის ამ დოქტრინამ პრაქტიკული განხორციელება ჰპოვა ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის მოღვაწეობაში. ვახტანგ VI რომ თავის სამართლის წიგნს ადგენდა, მან მოიწვია ქართლის თავკაცები და მათი რჩევა მოისმინა. ასევე მოიქცა ერეკლე II 1774 წლის განჩინების დაწერის დროს. რაკი ვაზირთა რჩევა მეფის ყურადსაღებადაა გამოცხადებული, ვაზირნი. ვალდებული არიან მეფის ერთგულნი და „ერთმანერთის მოყვარულნი" იყვნენ. სულხან-საბას მტკიცებით, „ვაზირთა წესია, რამდენიც იყვნენ, პირი ერთი ჰქონდესთ"[24]. ეს იმიტომ, რომ „ვაზირობა სიქიშპითა და კაცის მტერობით არ კარგა იქმნება"[25].

სულხან-საბა ორბელიანი მოითხოვს, რომ „ვაზირი ხვაშიადის შემნახავი" იყოს, რადგან „თუცა ერთმანერთში შუღლი მოხდა. ხვაშიადი გამჟღავნდების და მათგან ერთმანერთის მტერობით გაიცემა, სიტყვას და ბრალობას დაუწყებენ: მან თქვა, არა მას უთქვამსო"[26]. ამას გარდა, „ვაზირი პატრონისა და

---

20 ე. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

21 გ. თავზიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108—109.

22 სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, დასახ. გამოც., გვ. 30.

23 იქვე, გვ. 45.

24 იქვე.

25 იქვე.

26 იქვე.

ქვეყნის სამჯობინაროს მდომი უნდა იყოს"[27]. კიდევ მეტიც: „ვაზირი ღვთის მაჟღრებელი და ჭკუისა და სიბრძნის მჩხრეკელი ხამს"[28].

იმის გამო, რომ „ვაზირთა მეფისა და ქვეყნის დაყენებაც შეუძლიანთ და წახდენაცა"[29], ამიტომ „ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და, რომელი ამჯობინონ, იგი დაასკვნან"[30].

აი, ასე წარმოუდგენია სულხან-საბა ორბელიანს მოწესრიგებული სამეფოს მართვა-გამგეობის სისტემა.

როგორც ცნობილია, XVII საუკუნის 60-იან წლებსა და XVIII ს-ის დამდეგს ქართველ პროგრესულ მოაზროვნეებს დაებადათ საქართველოს გაერთიანების იდეა. ამ იდეის ერთ-ერთი მესვეური იყო სულხან-საბა ორბელიანი. ქვეყნის ერთიანობაში ხედავდა იგი სახელმწიფოს სიმტკიცისა და წინსვლის აუცილებელ პირობებს.

აი, როგორ ესმოდა მას „ძალა ერთობისა": „მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა ოცთა და ბოძებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა თვისთა: — თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგებართ, მტერი უგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წეღან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან. თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა"[31].

სულხან-საბა ორბელიანს საკუთარი ქვეყნის მაგალითზე აქვს გაგებული ამ არაკის შინაარსი. მან კარგად იცის, რომ ჩვენი ქვეყნის დაძაბუნებისა და მტრის თარეშის შედეგი ქვეყნის დაშლის მიზეზი იყო. „სიბრძნე სიცრუისაში" განსაკუთრებით ხაზგასმულია მტრობის მავნე შედეგები. შინაური თუ გარეშე მტერი ორივე დამღუპველია. საამისოდ სულხან-საბა არა ერთ მაგალითს ასახელებს. კლარჯეთის ერთ-ერთ სოფელში ერთი გზირი ცხოვრობდა. მან „შეაწუხა იგი სოფელი და სრულიად აოხრა. მოიგონის მიზეზი, უთხრის თათართა და მრავალი ვეცხლი წაართმევინის"[32].

სიკვდილის ჟამს გზირმა „შეიცოდა" დანაშაული და თანასოფლელებს უთხრა: რადგან ამდენი ცოდო მაქვს თქვენზე, როცა მოვკვდები, „თოკი ყელსა მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთო"[33]. თანასოფლელებმა ანდერძი შეუსრულეს. ერთმა თათარმა, რომელმაც ხეზე ჩამოკიდებული გზირი ნახა, ყადს მოახსენა: „ჩვენი გზირი დაურჩვიათო. გამოუსიეს კაცი სოფელსა მას. ათასი მარჩილი წაართვეს"[34].

სოფლელებს იღა დარჩენოდათ, რომ აუგად მოეხსენებინათ გზირი და სინანულით ეთქვათ: „ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრა"[35].

---

27 სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა. დასახ. გამოც., გვ. 45.
28 იქვე.
29 იქვე, გვ. 46.
30 იქვე, გვ. 45.
31 იქვე.
32 იქვე, გვ. 46.
33 იქვე, გვ. 47.
34 იქვე.
35 იქვე.

სულხან-საბა ორბელიანის აზრით, „ყოველი მტერი ამის ცდაშია. რომ დრო შეიოიგდოს და წაახდინოს“[36].

მტერი სხვადასხვანაირია და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებიც სხვადასხვანაირი უნდა იყოს. „დიდს მტერს კაცი ან შეეხვეწება და ან გარდაეხვეწება.

სწორს მტერს ან პასუხს უზამს, ან მოუფრთხილდება.

ცოტასა და ცუდს მტერს უნდა უფრო უფთხილდეს კაცი: ცოტა მტერი ცეცხლსა ჰგავს, ნაცარში დამალულსა, არა ჩანს და რა გაჰქეკ, ხელს დაგწვამს.

ცოტა მტერი სიკვდილსა ჰგავს: უჩინარსა, მოვა, ვერცა ქრთამით, ვერცა ძალით, ვერცა ხვეწნით ვერ მორჩება.

ცოტა მტერი რა კაცზე დროს იშოვნის, აღარას ღონითა არ გაუშვებს, არ გადარჩესო. ცოტა მტერი ორმოსა ჰგავს, თივას ქვეშე დაფარულსა, რა შესდგე, ჩაიქრები. ამისათვის უნდა ყოველი კაცი ცოტას მტერს უფრთხოდეს, საფათერაკო იგია“[37].

მტერი მით უფრო საშიშია, რომ „მტერი რა კაცსა მტერობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუსრულებს მტერობას“[38].

სულხან-საბა ორბელიანმა მტრობას ამხანაგობა-მეგობრობა დაუპირისპირა და აღნიშნა: „ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემკობელია.

ამხანაგი გუოთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის მაზიანებელია, მოყვარეთათვის საიმედოვნეა, უცხოს თანა გამოსაჩენია და მეცნიერსა თანა მოსამსახურეა.

ამხანაგი მარტოსათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმარეა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილში თავის წამგებია“[39].

ცხოერებამ არა ერთი მაგალითი იცისო, ამბობს სულხან-საბა, რომ „მრავალი კარგი კაცი... მამაშვილობასა და ძმობას გაჰყროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს“[40].

რაკი ამხანაგს ასეთი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მას გაფრთხილება უნდა. „ამხანაგში თუ არ სიყვარული, საქიშპო არა არის რა“[41]. მაგრამ ყველა ვინც ამხანაგობას გთავაზობს, ამხანაგად არ გამოგადგება. ნამდვილი ამხანაგის შოვნა არც თუ ისე ადვილია.

„კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზე ცუდად არ იპოვების, იაფად ვერავინ იყიდის“[42].

---

36 სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა. დასახ. კრებ., გვ. 73.
37 იქვე.
38 იქვე, გვ. 112.
39 იქვე, გვ. 123.
40 იქვე.
41 იქვე.
42 იქვე.

აქ მოტანილი ამონაწერის შინაარსი ეპოქალური მნიშვნელობის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაშინ, როცა სინამდვილეში „ადამიანი ადამიანისათვის მგელი“ იყო, როცა ურთიერთ გაუტანლობა ეპოქის თანამგზავრი გამხდარიყო, სულხან-საბა ამხანაგობის კეთილშობილ მორალზე ქადაგებდა და ამხანაგობა-მეგობრობა მიაჩნდა ადამიანთა ურთიერთობის აუცილებელ მოვლენად.

სულხან-საბა ორბელიანი ადამიანთა შეწყობილ ჰარმონიაში ხედავდა ქვეყნის უკეთეს მომავალს.

რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანი, როგორც მოსალოდნელიც იყო, საზოგადოებრივ ურთიერთობას მხოლოდ აგვიწერდა და ისტორიულ პროცესებს იდეალიზმის პოზიციიდან ხსნიდა. იგი შორს იყო კლასთა ბრძოლის არსის გაგებისაგან. არა კლასთა ბრძოლა, არამედ კლასთა შორის ჰარმონია წარმოადგენდა სულხან-საბა ორბელიანის მსოფლმხედველობის ძირითად არსს.

სულხან-საბა ორბელიანმა აღიარა რა ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერე ქვეყნის ხსნის აუცილებელ პირობად, ადამიანის ღირსება მხოლოდ პატრონის ერთგულებაში დაინახა. მან საჯაროდ განაცხადა: „პატრონისა ორგული ღმერთსაც სძულს და კაცსაცა, და ნუ ბოროტებთო!“[43].

თუ ადამიანი ცხოვრებაში პატრონის ერთგულებით ფასდება, სულხან-საბას არც პატრონის მოვალეობა დავიწყნია ყმის მიმართ. მისი აზრით, „პატრონსა თუცა მონა უყვარს, ადრე არ უნდა შეიბეზღოს“[44].

ჩვენ, რაც ისტორიკოსს სჭირდება, ყველაფერი დავისესხეთ სულხან-საბა ორბელიანისაგან. როგორ უნდა შევაფასოთ ს.-ს. ორბელიანის მეცნიერული მემკვიდრეობა? მისი მსოფლმხედველობის შესახებ მრავალმა მკვლევარმა გამოთქვა თავისი შეხედულება. მკვლევართა ერთობლივი აზრი ასეთია: სულხან-საბა ჰუმანისტი, პატრიოტი და დიდი ქართველია. მან მთელი თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობა ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას შეალია. სულხან-საბამ არა მარტო თავისი ეპოქის ცხოვრების ნამდვილი სურათი დაგვიხატა, არამედ უკეთესი მერმისის გზებიც მოხაზა. საქართველოს გაერთიანება, ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, უდების დადების აღკვეთა, „ბატონყმური რიგის“ აღდგენა, მაჰმადიანურ სამყაროსაგან თავის გამოხსნა, — აი, ძირითადი პრობლემები, რომლებიც მაშინდელი მოწინავე მოაზროვნეების წინაშე იყო დასმული. ამ მოაზროვნეთა სათავეში სულხან-საბა ორბელიანი იდგა.

აკად. შ. ნუცუბიძის მოხდენილი თქმით, „საბა ბურუსში ამოსული მზეა, რომლის სხივების ძალა არ ჩანს, მაგრამ იმდენი მაინცაა, რომ კაცმა ისტორიული სიბნელიდან გათენება შეამჩნიოს“[45].

მრავალმხრივი იყო სულხან-საბა ორბელიანის სამწერლო და სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო, მაგრამ მიზანი ერთი იყო: სამშობლოს სიყვარული. „სულხანი მწვავედ განიცდიდა სამშობლოს ტკივილებს, მან თავისი სიცოცხლე სამშობლოს სამსახურის წმინდა სამსხვერპლოზე მიიტანა“[46].

---

43 სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, დასახ. გამოც., გვ. 124.

44 იქვე, გვ. 22.

45 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 258.

46 ივ. სურგულაძე, სულხან-საბა ორბელიანის იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1959, გვ. 141.

როდესაც სულხან-საბას ნაწარმოებებს ეცნობა კაცი, უნებურად მოაგონდება არსენ ამარტოლის სიტყვები — „დიდ არს ძალი სიყვარულისაჲ, რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა“[47].

თუ არა სამშობლოს გულწრფელი სიყვარული, შეუძლებელი იქნებოდა სულხან-საბას ამდენი შრომა გაეწია. მას კარგად ესმოდა, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომლისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხჳსა განქიქებად“[48].

სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებებმა საუკუნეებს გაუძლეს და ყოველთვის ითვლებოდნენ „საქებელ ყოფად“. მის ნაწერებს არც ახლა დაუკარგავთ თავისი შემეცნებითი მნიშვნელობა და არც როდესმე დაკარგავენ.

---

[47] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 109.

[48] ი ქ ვ ე.

დავით ჯანელიძე

თომა ბარათაშვილი ირანში

XVIII ს-ის შუა ხანებში რუსეთის სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდა ქართველი ოფიცერი თომა ბარათაშვილი, რომელიც ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მამუკა ბარათაშვილის ძმა იყო[1]. თომა პოეტური ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული და ვახტანგ VI-ის ლიტერატურულ წრეში შედიოდა. ჩისი პოეტური მემკვიდრეობიდან ჯერჯერობით სამი ლექსია ცნობილი[2]. თომა, როგორც პოეტი, მოხსენიებული ჰყავს დავით გურამიშვილს, რომელიც მისივე სიტყვით, ლექსის ზომასაც დასესხებია მას[3].

ალ. ბარამიძემ, გ. მიქაძემ და ს. ყუბანეიშვილმა შეისწავლეს თომა ბარათაშვილის სალიტერატურო და დიპლომატიური მოღვაწეობა და მისი ცხოვრების ბევრი საგულისხმო ფაქტი დაადგინეს. დღეს უკვე კარგად არის ცნობილი, რომ თომა ვახტანგ VI-ის ამალაში შედიოდა და 1738—1758 წლებში რუსეთის დიპლომატიურ მიკრიკად მსახურობდა. 1747 წელს თომა ირანს იყო მივლენილი ელჩ გოლიცინთან. შემდეგ ხანებში იგი რუსეთის სოვდაგართა საქმეების მოსაგვარებლად გაგზავნეს ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში. იქ მას საიდუმლო ინფორმაციის შეგროვებაც ევალებოდა. ცნობილია ისიც, რომ თომა სხვადასხვა დავალებით ხშირად იგზავნებოდა ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში.

ჩვენს ხელთ არის რამდენიმე ახალი საარქივო ცნობა, რომელიც შუქს ჰფენს თომა ბარათაშვილის საქმიანობას ირანში.

XVIII ს-ში ბარათაშვილთა საგვარეულოს არა ერთი წარმომადგენელი იმყოფებოდა ირანში. რუს ისტორიკოსს პ. ბუტკოვს[4] ისინი ჩამოთვლილი ჰყავს, მაგრამ თომას არ იხსენიებს. ბუტკოვი აღნიშნავს, რომ ვინმე ბარატალიევი

---

[1] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დავით გურამიშვილი ჰუსართა პოლკში, თბ,. 1955. გვ. 133; ე. მ ი ქ ა ძ ე, მამუკა ბარათაშვილი, თბ., 1958, გვ. 7—8.

ბიოგრაფიული ცნობები თომა ბარათაშვილის შესახებ იხ. გ. მ ი ქ ა ძ ე, თომა ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი", 1957, № 20; ს ო ლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, თომა ბარათაშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960, № 3.

[2] თ. ბარათაშვილის ლექსები გამოქვეყნებული აქვთ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე ს (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1940, გვ. 343). გ. მ ი ქ ა ძ ე ს (თომა ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის) და ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ს (დასახ. ნაშრომი, გვ. 149—151).

[3] დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 82.

[4] П. Г. Б у т к о в, Материалы для новой истории Кавказа, СПб., 1869, ნაწ. III. გვ. 430.

მსახურობდა ნადირ-შაჰთან, — და იქვე დასძენს, — ალბათ ზაალიაო.[5] ამ ზაალის გადმოყვანა ირანიდან რუსეთის მთავრობამ ბატონიშვილ ბაქარს დაავალა. საგარეო საქმეთა კოლეგიის 1743 წ. 7 მაისის წერილში ნათქვამი იყო: „ნადირ-შაჰის კარზე აკრედიტებული რეზიდენტი-თარჯიმანი ბრატიშჩევი 3 იანვრის მოხსენებით იტყობინებოდა, თუ როგორ იყენებს შაჰი საარტილერიო საქმეში — ზარბაზნის სროლა იქნება, ყუმბარების ტყორცნა, თუ სხვადასხვა სასის ჯურვების ჩამოსხმა — რუსეთიდან გადახვეწილ ქართველს ზაალ ბარათაშვილს, რომელიც წინათ თქვენ გემსახურებოდათ. ამ ზაალმა კარგად აითვისა საარტილერიო საქმე რუსეთში, სათანადო ტექნიკური აღწერილობაც ხელთ იგდო. შაჰის სამსახურში შევიდა და ახლა თურმე ტრაბახობს, შემიძლია რუსეთს ვეომო და ხათაბალა ავუტეხოო. ნადირ-შაჰმაც მაგრად ჩაჰიდა მას ხელი, ფულით ხომ ყელამდე ავსო, ცოლიც შერთო — ერთი სომხის ქალი, და თავის ბაღაში ფეხი მოაკიდებინა. თქვენ, უეჭველია, კარგად იცნობთ ამ ქართველს, თუ წინათ მართლა თქვენ გემსახურებოდათ; გევალებათ, მოიგონოთ ხერხი, რომლის მეოხებით მას როგორმე შაჰის სამსახურს ჩამოაშორებთ და რუსეთში გადმოიბარებთ. თუ ეს გაჭირდება, მაშინ ეგების საქართველოში მაინც გადაიტყუოთ ის ბოროტი და ეერაგი ქართველი, რომ მან ამიერიდან შაჰს ვერაფერი აკეთოს, არტილერია უპატრონოდ დაუგდოს და რუსეთზე თავდასხმელადაც არ გულიანებდეს“[6].

როგორც ვხედავთ, ზაალ ბარათაშვილს საკმაოდ მაღალი მდგომარეობისთვის მიუღწევია ნადირ-შაჰის ლაშქარში. მისი შემდგომი ბედი, და საერთოდ მისი ბიოგრაფიაც, ჯერჯერობით უცნობია. როგორც ვიცით, ვახტანგ VI-ს მაწყუა და თომა ბარათაშვილებთან ერთად რუსეთს გაჰყვა მათი მესამე ძმაც — ზაალი, რომლის შესახებ ასევე არაფერია ცნობილი. შესაძლებელია, ნადირ-შაჰის არტილერიის უფროსი თომასა და მამუკას ძმა იყოს.

1741 წელს, როგორც ცნობილია, ნადირ-შაჰმა რუსეთს ელჩად ჰუსეინხანი გაგზავნა. ამ საელჩოში მთავარ მრჩეველად მუშაობდა ჰუსეინ ჰათემი. მან სამშობლოში დაბრუნება არ ისურვა და იმავე 1741 წელს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილი გამოსთქვა[7]. ჩვენ არ ვიცით, რა მიზეზმა აიძულა ჩრდილოეთ ირანის ეს ფეოდალი ასეთი გადაწყვეტილება გამოეტანა. იგი რუსეთში 1751 წლამდე იმყოფებოდა. ამის შემდეგ იქ დარჩენა არ ისურვა და განიზრახა ირანს დაბრუნებულიყო. ნადირ-შაჰი უკვე ხნის მოკლული იყო და, შესაძლოა, ჰუსეინ ჰათემის თავისი განზრახვა ამ ახალმა შეცვლილმა ვითარებამ უკარნახა, თუმცა მას სამშობლო დაწუნარებული არ ეგულებოდა — ირან- ხომ მაშინ საშინელი ანარქიით იყო მოცული. საინტერესოა, რომ მეცხუარად ირანის ამ დიდკაცმა თომა ბარათაშვილი ამოირჩია.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივში მოიპოვება ჰუსეინ ჰათემის სათაბადო წერილი[8]. აი, ამ საბუთის ტექსტიც:

---

[5] იქვე, ნაწ. I, გვ. 221; ნაწ. III, გვ. 430.

[6] Архив внешней политики России Министерства иностранных дел (АВПР). ფონდი: Сношения России с Персией, ანაწ. 77/1, 1743 წ., დავთ. № 107. ფურც. 58.

[7] АВПР, დასახ. ფონდი, ანაწ. 77/I, 1741 წ., დავთ. № 17, ფურც. 521 — 530.

[8] АВПР, დასახ. ფონდი, ანაწ. 77/I, 1750 წ., დავთ. № 6. ფურც. 313 — 315: „Перевод з доношения к Ея Императорскому Величеству от известного персиянина Хусейн-хана Хатеми“. (ქართული თარგმანი ჩვენია).

„ცნობილი სპარსის ჰუსეინ-ხან ჰათემის მიერ მისი უდიდებულესობისადმი გაგზავნილი მოხსენების თარგმანი.

უზენაესს. ყოვლად ძლევამოსილს და ყოვლად სახელდებულს, ხელმწიფეთა ხელმწიფეს რუსეთის დედოფალს და მის კარს.

ყოვლად უმდაბლესი მონა ჰუსეინ-ყული ჰათემი მონური მოწიწებით უღვთაებრივესი ტახტის საფეხურებთან პირქვე დამხობილი მოახსენებს შემდეგს:

მას აქეთ, რაც დედოფლის უზენაესი და უბრწყინვალესი საიმპერატორო მეუფების მფარველ კალთას მივებარე. ღვთის შემწეობითა და თქვენი უდიდებულესობის ენით უთქმელი ზეგარდმოსული მოწყალებით სანუკვარი მშვიდობა და ფრიადი სარგებლობა ვპოვე. ამის გამო, ჩემს თავს სამარადჟამოდ დავალებულად ვრაცხ, რომ უზენაესი და ყოვლად უძვირფასესი თქვენი უდიდებულესობის ჯანმრთელობაზე ალაჰის განგებას დაუცხრომლად ვეაჯებოდე.

ამასთან ერთად უქვეშევრდომილესად მომიხსენებია, რომ როდესაც უზენაესი ბრძანებულებით სამშობლოსაკენ გავემართე, ასტრახანს შევჩერდი და განგზგბო შიკრიკი სპარსეთს ვაფრინე, იქაური ნამდვილი ამბების შეტყობა მინდოდა; ამ ერთგულმა კაცმა დავალება წემისრულა. თვალთა ჩემთა წინაშე სიმართლე უნაკლოდ წარმოაჩინა. სრულიად სპარსეთის სახელმწიფო, უშაჰოდ შთენილი, ერთობ სავალალო მდგომარეობაში ჩავარდნილა. სამშობლო ჩემი სულ ერთიანად აუკლიათ. ყაჩაღთა ბრბოებს იგი უეცარის თავდასხმით დაემარცხებიათ და დაუპერიათ. შვილი ჩემი, ამ ამბის მომსწრე, იძულებული გამხდარა მთელი ჯალაბობით აყრილიყო და რეშტს გადახვეწილიყო. ახლაც თურმე იქ არის. ეს ამბავი ჩემს სულსა და გულს იმად განაწყობს, რომ მოძალადე ყაჩაღების ხროვას მამულის შეგინება არ ვაპატიო და ბოროტი საქმე ცრემლითა და სისხლით ჯეროვნად ვაზღვევინო. მაგრამ აშლილ სპარსეთში წარმატების საწინდარს ვერ ვხედავ. ამიტომ მინდა, აქედან უპირველეს ყოვლისა ვეწვიო მის უმაღლესობას თეიმურაზ-ხანს, რომელიც თბილისს ბრძანდება და აზერბაიჯანის პროვინციასაც კიდით-კიდემდე დახელმწიფებია. მის ჯარში ბევრი სპარსი მსახურობს და მეიმედება, რომ თეიმურაზ-ხანი, ჩემზე თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის მფარველობის წახედულობით და თქვენივე ქრისტიანული რჯულისადმი თავისი ერთგულებით, შემწეობას არ დამამადლის. ჩემდამი თქვენი უზენაესობის უბადლო კეთილმოწყალებით გამხნევებული ვიჩენ კადნიერებას, გთხოვოთ ერთი ხომალდი. რათა შიგ ჩემი ჯალაბობა ჩავსხა და რეშტისაკენ გზას გავუყენო, ხოლო პირადად მე განზრახული მაქვს ყიზლარზე გადავლით საქართველოსაკენ გავემგზავრო. საქართველოში მინდა ვპოვო ის ძალა, რომელიც ჩემს სამშობლოს დამიბრუნებს. შემოგფიცავთ, რომ შემდეგშიაც მარად თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის განუყრელი ყმა ვიქნები. თქვენი ბრძანებულების მომსმენი და აღმსრულებელი. უშორჩილესად შემოგეხვეწებით, საქართველოში გამატანოთ თქვენი ქვეშევრდომი და ახლაც ასტრახანს ბინადადებული ქართველი თომა ბარათაშვილი. მან კარგად უწყის იმ ქვეყნის ავან-ჩავანი და დიდად გამომადგება. გარდა ამისა, გეაჯებით, სპარსეთს გაუშვათ ყოფილი ისმაილ-ბეგის მსახურნი, რომელთა თაობაზეც ამას წინათაც უმორჩილესად მოგახსენებდით. დაე, თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობის უზენაესი მეუფება უკუნითი უკუნისამდე გაგრძელდეს.

მეორე მხარეზე წერილის ბოლოს მელნით ბეჭედია გამოსახული. ბეჭედში მისი, ჰუსეინ-ხანის, სახელია ამოკვეთილი.

თარგმნა მდივანმა პეტრო ჩეკალევსკიმ"[9].

რუსეთის მთავრობა ჰუსეინ ჰათემის სათხოვარს დადებითად მოეკიდა. საგარეო საქმეთა კოლეგია 1751 წლის 20 ივნისის ბრძანებულებაში ასტრახანის გუბერნატორ ბრილკინს სწერდა: „ეს ჰუსეინ-ხანი (იგულისხმება ჰუსეინ ჰათემი. დ. ჯ.) გეთხოვდა, რომ მასთან ერთად სპარსეთში ერთი წლის ვადით გაგეშვა ასტრახანელი ქართველი თომა ბარათაშვილი. უკეთუ ხსენებული სპარსი ამაზე თემაზე თქვენ სიტყვას ჩამოგიგდებთ, უნდა უპასუხოთ, რომ თუ გამყოლი კაცი მას საქართველოსაკენ გზის გასაგნებად სჭირდება, თომა ბარათაშვილს რას ჩასცივებია, ყიზლარში ცოტა როდია ისეთი ქართველი, რომელიც მას ამ საქმეში გამოადგება. ასეთ კაცს იგი სულ ადვილად გამონახავს იმ ქართველებში, რომლებიც საქართველოდან ყიზლარში ხშირად ჩამოდიან. მაგრამ თუ ჰუსეინ ჰათემიმ მაინცადამაინც თომა ბარათაშვილი ამოიჩემოს და ამ უკანასკნელმაც მისი გაყოლის სურვილი გამოთქვას, მაშინ რა გაეწყობა. გაეშვათ ერთი წლის ვადით, ოღონდ იმ ბარათაშვილს უნდა მკაცრად მივუთითოთ, რომ მან დამალოს „პორუჩიკის" ჩინი და თავი მოიხსენიოს უბრალოდ „ქართველად". ამის თაობაზე მას საიდუმლო ხელწერილიც ჩამოვართვათ. ეს საჭიროა სიფრთხილისათვის, რათა ოსმალეთის კარს საბაბი არ მივსცეთ. ხმაური ასტეხოს: „რუსეთმა სპარსეთში ქართული ჯარებით მეომარ თეიმურაზ-ხანს საგანგებო კაცი მიუგზავნა და სპარსეთის საქმეებში ერევაო". ამ რამდენიმე ხნის წინათაც სტამბოლში ხმა დაირხა, თითქოსდა რუსეთი ხსენებულ თეიმურაზ-ხანს შეელოდეს. ჰუსეინ-ხანს (იგულისხმება ჰუსეინ ჰათემი. დ. ჯ.) იმ თომა ბარათაშვილმა სამსახური უნდა გაუწიოს, როგორც კერძო პირმა, არსად რუსეთის სამეფო კარის სახელი არ უნდა ახსენოს; თუ მას სადმე გამოექომაგება, ეს მხოლოდ საკუთარი სახელით იკისროს; მანვე არსად არ უნდა ილაყბოს რუსეთის შესახებ, თორემ იცოდეს, რომ მკაცრ სასჯელს ვერ აცდება. ამ გამგზავრების შემთხვევისათვის მივცეთ მას კუთვნილი ჯამაგირი, რაც კი დღემდე სამსახურის მიხედვით ერგებოდა და თანაც წინასწარ წელიწადნახევრის საზღაურიც უებოძოთ. ყიზლარამდე გადასვლაში თომა ბარათაშვილს ყოველნაირად უნდა ხელი მოუმართოთ"[10].

ჰუსეინ ჰათემის ირანს გამგზავრება დაყოვნდა. ის რომ ასტრახანს ჩავიდა, ირანიდან ვაჟიშვილის წერილი მოუვიდა, რომელიც მყისვე რუსეთის საგარეო კოლეგიას გადაუგზავნა. ამავე დროს ჰუსეინ ჰათემიმ თავისი ორი ძმისწული გაგზავნა ირანში და დაავალა: უკან რომ გამობრუნდებით, თან სპარსული საკონელი ჩამოიტანეთო. ამის შესახებ ირანელი დიდკაცი რუსეთის მთავრობას 1751 წ. 16 ოქტომბრის წერილში სწერდა: ჩემი წარგზავნილებისაგან ჯერჯერობით არაფერი ისმის, მე კი მათი იმედით აქ ოთხი ათასი მანეთი სესხად ავიღე. ახლა არ ძალმიძს ვალი გავისტუმრო და გთხოვთ ფულადი დახმარება აღმომიჩინოთო. ამავე დროს ეს ირანელი დიდკაცი რამდენიმე ყალმუხი ბოგო-ბიჭის ყიდვის ნებართვას თხოულობდა და ბოლოს დასძენდა: განზრახული მაქვს ყვე-

---

[9] ეს ჩეკალევსკი შემდეგში რუსეთის კონსულად იყო ირანში.

[10] АВПР, დასახ. ფონდი, ანაწ. 7/1, 1751 წ., დავთ. № 4, ფურც. 50—51; იქვე ეწერა, რომ ჰუსეინ ჰათემიმ მოსკოვიდან ასტრახანს ჩაიტანა ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, რის გაგზავნაც ირანში, არსებული საერთო წესებით, არ შეიძლება; თუ მან მათი წაღება მტკიცედ მოითხოვოს, მაშინ იმ ჭურჭლის აღწერილობა გააკეთეთ და რუსეთის კარს გაღმოუგზავნეთ, მხოლოდ ამის შემდეგ გამოეა სათანადო ბრძანებულებაო (იგივე დავთ., „ფურც. 52—53).

ლა ჩემიანი, დიდი იქნება თუ პატარა, წინ გავიძღოლო და მომავალი (1752 წ.) გაზაფხულის პირზე ირანს გავემგზავროო[11].

ეს გამგზავრება მართლაც მოხდა. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, იმ მარშრუტით წავიდა თუ არა ჰუსეინ ჰათემი, რომელზედაც იგი ზემოთ მოტანილ ვრცელ საბუთარში მიუთითებდა. ირანს წავიდა თომა ბარათაშვილიც. საბუთებიდან ირკვევა, რომ როდესაც რუსეთის მთავრობა დათანხმდა ჰუსეინ ჰათემისათვის თომა ბარათაშვილი გაეყოლებინა, პეტერბურგში ეარაუდობდნენ ამ ქართველის მზეერავად გამოყენებასაც. თომა 1752—1753 წლებში ირანს იმყოფება და საინტერესო ინფორმაციას ენერგიულად აგროვებს[12].

ჩვენს ხელშია თომა ბარათაშვილის მიერ ქართულ ენაზე დაწერილი ორი მოხსენება, სადაც იმდროინდელი ირანის შინაპოლიტიკური ვითარებაა ასახული. ორივე მოხსენება ასტრახანის გუბერნატორის სახელზეა შედგენილი და საჯაროდღებო ცნობებს შეიცავს ირანის როგორც შინაური, ისე საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის გასარკვევად. პირველი მოხსენება 1752 წ. 1 ნოემბრითაა დათარიღებული, მეორე კი — 1753 წ. თებერვლით. ორივეში ცენტრალური საკითხია ბრძოლა ხელისუფლებისათვის ქერიმ-ხან ზენდსა და მამედ ჰასან-ხანს (აღა-მაჰმად-ხანის მამას) შორის. ირკვევა, რომ თომა ბარათაშვილი ასტრაბადის მბრძანებლის — მამედ ჰასან-ხანის ბანაკში ყოფილა. მამედ ჰასან-ხანს იგი კარგად მიუღია და დიდხანს თავისი ბანაკიდან არ გაუშვია. თომას მოხუერხებია დიდმნიშვნელოვანი სპარსული ფირმანების ხელში ჩაგდება და რუსეთში გადავზავნა. ეს ფირმანები შეეხება ოსმალეთის პოლიტიკას ირანში და იმ მზარდაშერას, რაც ხონთქრის ჯარმა XVIII ს-ის 50-იან წლებში ტახტისათვის ბრძოლაში აღმოუჩინა სეფიანთა დინასტიის ნაშიერებს. საამისოდ სტამბოლის ოფიციალურ წრეებს უცდიათ ბახტიართა ტომებისა და სამხრეთ ირანის მოსახლეობის გამოყენება[13]. თომა ბარათაშვილის ორივე ეს მოხსენება შუქს ჰფენს ირანში მეტოქე დასების ბრძოლის პირობებს და ხაზს უსვამს ქართული წყაროების მნიშვნელობას ირანის ისტორიისათვის[14].

თომა ბარათაშვილი ირანში ამჯერად დიდხანს არ გაჩერებულა. მან მოახერხა თავი დაეღწია მამედ ჰასან-ხანისაგან, რომელიც ცდილობდა დიდი ხნით დაეტოვებინა ირანში რუსეთის ოფიცერი. თომა ბარათაშვილთან ერთად ირანიდან წამოვიდა ჰუსეინ ჰათემიც, რომელსაც თანამემამულეებმა დიდი პატივი და დიდება არ მიაგეს[15].

თომა ბარათაშვილის ირანში ყოფნის დროს რუსეთის ვაჭრების მდგომარეობა ფრიად არასახარბიელო იყო. არ არსებობდა ქონებრივი და პიროვნული ხელუხლებლობის არავითარი გარანტია. ყოველ წამს კონფისკაცია იყო მოსალოდნელი. ასეთ ვითარებაში პორუჩიკ თომას რუს ვაჭართა დაცვა-მფარველობა მიანდეს. მამედ ჰასან-ხანის კარზე იგი ამ ვაჭართ უნდა გამოქომაგებოდა და სათანადო ფირმანები გამოეთხოვა. თავისი მოღვაწეობის ამ მხარის შესახებ თომა ბარათაშვილი თვითონვე მოგვითხრობს. მისი ნათქვამი გამეორებულია 1754 წლის 8 მაისის ბრძანებულებაში, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა

---

11 АВПР, დასახ. ფონდი და ანაწ. 1751 წ., დავთ. № 5, ფურც. 303—304.

12 АВПР, დასახ. ფონდი, ანაწ. 1754 წ., დავთ. № 3, ფურც. 3—5.

13 იგივე ფონდი და ანაწერი, 1753, წ., დავთ., № 3, ფურც. 42, 107—112.

14 სტატიის ავტორი ამ საბუთებს გამოსაცემად ამზადებს.

15 АВПР, დასახ. ფონდი, ანაწ. 77/1; 1755 წ., დავთ. № 2, ფურც. 98—99, 124—125 და 1756 წ., დავთ. № 2, ფურც. 111.

კოლეგიამ გამოსცა. ირკვევა, რომ თომა ბარათაშვილმა ირანის ხელისუფლებას ოთხი ფირმანი გამოაცემინა ჩრდილოეთი ირანის (გილანი, მაზანდარანი, ასტრაბადი) მამასახლისების სახელზე. ამ უკანასკნელთ იმ ფირმანებით ეკრძალებოდათ რუსეთის ვაჭართაგან ბაჟების აღება და საერთოდ მათი შეწუხება. მამასახლისებს ევალებოდათ რუსეთის სოვდაგართა მიერ განისიებული საქონლის ღირებულება ამოეღოთ ირანელ ვაჭართაგან, დაეფარათ მთელი დავალიანება და რუსთა პრეტენზიები თავიდან ბოლომდე გაენაღდებინათ. ეს საქმე გაკეთდა ასტრახანელი ვაჭრების ლავრენტი და სერგი ივანოვების, ივანე პოპოვის, მეზობლების რევაზ ზალიევისა და ცატურა გრიგორიევის რწმუნებულთა თხოვნით; ისინი ირანელთა თავდასხმებს, უკანონო ბაჟების გამოძალვას და დაწიოკებას უჩიოდნენ და ამ უსამართლობაში, უპირველეს ყოვლისა, ხელს ადებდნენ ასტრაბადისა და მაზანდარანის გამგებელთ. დასახელებული ფირმანების გამოცემა თომა ბარათაშვილს ძვირი დაჯდომია. მისივე სიტყვით, სარდარს და მის მოხელეებს მან ფეშქაშად მიართვა 650 მანეთის ნივთები. ეს ნივთები ჩემი პირადი საკუთრება იყო და მათი რეესტრი კიდევაც გადაეცა საგარეო საქმეთა კოლეგიასო, — აღნიშნავს თვითონ თომა. ფირმანებით კმაყოფილმა სოვდაგრებმა თავის დროზე თომა ბარათაშვილს აღუთქვეს: სამაგიერო სამსახური გვემართოს, რაც გინდა მოგვთხოვე და მოგიზღავთო. საგარეო საქმეთა კოლეგიამ ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას დახასელებული ვაჭრების გამოძახება უბრძანა, რათა მათ ბარათაშვილისათვის ამაგი გადაეხადათ[16].

რუსეთის სოვდაგრებმა, რომლებსაც თომამ უჩიელა, მთავრობას წერილობით მოახსენეს, რომ ჰუსართა ქართველი ოფიცერი თითქოს ცრუობდა, მას ამაგი არ მიუძღოდა. ნუთუ, — ჩიოდნენ ისინი, — იმას გვითვლის მოწყალებად, რომ მისი მიზეზით ჩვენი რუსული და ევროპული (ჰოლანდიური) საქონელი ჩალის ფასად ხელიდან გვეცლებოდა. ჩალის ფასსაც ვინ გვაძლევდა, იძულებული ვიყავით, საქონელი ნისიად გაგვეცაო; არც ბაჟების საკითხში მოგვხმარებია. ბაჟებისაგან ჩვენი განთავისუფლების ბრძანება, შაჰ-ისმაილის მიერ ხელმოწერილი, და მსგავსივე, თვითონ ასტრაბადის სარდარის განკარგულება მაგ ბარათაშვილის ირანს ჩასვლამდე გამოვიდაო; თუმცა ჩვენს საქმეს არც ამ ბრძანებებმა უშველა, მაგრამ თომა ბარათაშვილს მათთანაც არაფერი ესაქმებაო[17].

ზოგიერთი ახალი საბუთი რამდენადმე შუქს ჰფენს თომა ბარათაშვილის ოჯახურ ბიოგრაფიასაც. 1756 წლის ერთ-ერთი ბრძანებულებით საგარეო საქმეთა კოლეგია ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას აუწყებდა: წლეულს მცირე ხნიდან ჩამოსულმა თომა ბარათაშვილმა მოგვწერა, რომ მას საქართველოში ავადმყოფი ცოლი ჰყავს და ახლა სწადია, შვილებთან ერთად, მისი რუსეთში გადმოყვანა; ამ მიზნით გვთხოვს, ან მას პირადად, ან სხვა ვინმეს. რომელსაც იგი მათ ჩამოყვანას მიანდობს, გავუმზადოთ პასპორტი, რათა საქართველოში გამგზავრება არ გაჭირდეს; ახლა გაცნობებთ ამას და მოგვითითებთ, რომ თუ ვინიცობაა, ხსენებულმა ბარათაშვილმა, ანდა მისი ნდობით აღჭურვილმა პირმა ასტრახანის კანცელარიას ამ საქმეზე მოაკითხოს, საქართველოში თავისუფლად გაუშვით და ჩვეულებრივი პასპორტის გამზადებაზე უარს ნუ ეტყვით[18].

---

[16] АВПР, დასახ. ფონდი. ანაწ. 77/1, 1754 წ., დავთ. № 3. ფურც. 3—5.

[17] АВПР, დასახ. ფონდი. ანაწ. 77/1, 1756 წ., დავთ. № 4. ფურც. 173—174.

[18] АВПР, დასახ. ფონდი, ანაწ. 77/1, 1756 წ., დავთ. № 3, ფურც. 38.

საბუთებიდან ირკვევა, რომ თომა ბარათაშვილი ორჯერ დაქორწინებულა[19]. მისი პირველი ცოლის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია[20], მაგრამ საინტერესოა მეორე ცოლის თავგადასავალი. მის შესახებ ცნობებს ვპოულობთ ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიის მოხსენებაში, რომელიც 1758 წ. 2 სექტემბერს გაეგზავნა საგარეო საქმეთა კოლეგიას (ამ დროს თომა უკვე გარდაცვლილი იყო). საბუთში ნათქვამია: „ქართველ ჰუსართა ლეგიონის ყოფილი კაპიტნის თავად თომა ბარათაშვილის ქვრივმა, ქარველი თავადის ქალმა მარინე ბეჟანის ასულმა, ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიაში წარმოადგინა არზა, სადაც მოგვახსენებს, რომ მამამისი ბეჟანი იყო ქართველი თავადი, რომლის მეორე ქალიშვილი — მისი ღვიძლი და ანა—კანონიერ ცოლად შეირთო საქართველოს მეფემ თეიმურაზმა და ახლაც ცოცხალია, ხოლო თვითონ ეს მარინე — ახლა თომა ბარათაშვილის ქვრივი, მაშინ ქალწული, თეიმურაზს, ნადირ-შაჰის მოთხოვნის შესაბამისად, სპარსეთის სამეფო კარზე გაუგზავნია. იქ მარინე ცოლად შეურთავს ნადირ-შაჰის ძმას იბრეიმ-ხანს, რომელთანაც ხუთი წელი უცხოვრია; იბრეიმის სიკვდილის შემდეგ შაჰის სასახლიდან მარინე გაუთხოვებიათ სპარსეთის სამსახურში მყოფ ქართველ კაპიტან თავად პავლე მელიქიშვილზე. ამ მეორე ქმართან მას სპარსეთში ათი წელი გაუტარებია და მისგან შეძენია ვაჟიშვილი, რომლისთვისაც ზაქარია დაურქმევიათ. ეს მეორე ქმარი რომ მოკვდომია, ნადირ-შაჰიც მოუკლავთ და სპარსეთში დიდი შფოთი ამტყდარა. ხელმეორედ დაქვრივებულ მარინეს, რომელსაც სასიკვდილო ფათერაკი დამუქრებია, როგორც იქნა, შემთხვევა უხელთებია და წვილითურთ წიდა სპარსეთიდან ზღვისპირეთში გამოქცეულა. აქ მას რუსეთის ხომალდი მოუძებნია და 1748 წელს. შვილთან ერთად, ასტრახანს წამოსულა — თითქმის გაღატაკებულს თავი რუსეთისათვის შემოუფარებია. საქართველოში მას მაშინაც ცოცხალი ჰყოლია ნათესავ-ნაცნობები, მაგრამ, სპარსეთის არეულობით შეშინებულს, სამშობლოში წასვლა არ უსურვებია, წვილი ბერძნულ-რუსულ ქრისტიანულ რჯულზე (sic) მოუნათლავს და მესამედ გათხოვილა; ამჯერად ზემოხსენებულ კაპიტანს, ქართველ თავადს თომა ბარათაშვილს გაჰყოლია. ეს თავადი დიდხანს რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა და ელისაბედ დედოფლისაგან ბოძებული ჯამაგირით თავსაც ინახავდა, ცოლშვილსაც და ლაქიებსაც. მიმდინარე, 1758 წლის იანვარში თომა, გერ ზაქარიასთან ერთად, ასტრახანიდან სანკტ-პეტერბურგს წასულა, რათა აქ იგი რუსეთის ხელმწიფის სამსახურში შეეყვანა, მაგრამ 9 ივნისს თომა იქვე გარდაცვლილა და ქვრივ მარინეს პირმშო ზაქარია სანკტ-პეტერბურგში უსაქმოდ და ბედის ანაბარად დარჩენილა. იმ ზაქარიას გარდა, მარინეს, თომა ბარათაშვილის ქვრივს, ჰყავს მეორე ვაჟიშვილიც, შეძენილი ამ მესამე — უკანასკნელი ქმრისაგან. ამ ბიჭს გაბრიელი ჰქვია. საქართველოში წასვლა მარინეს არ სურს, აპირებს დარჩეს რუსეთში იმ იმედით, რომ რუსეთის დედოფალი დედობრივ მოწყალებას მოიღებს მასზე, უმწეოდ არ დასტოვებს არც მას და არც სხვა ქვრივ-ობლებს. თავისი აზრით ახლა მარინე გვეაჯება, გამოვიყენოთ ქვრივ-ობოლთა წესახებ არსებული საერთო წესი და მივცეთ ძს ქმრის მიერ დამსახურებული ჯამაგირი, რომელიც 1758 წ. პირველ იანვრამდე ერგება, და აგრეთვე, გავუჩინოთ ფულადი სარჩო. რითაც იგი სიკვდილამდე თაესაც შეინა-

---

[19] იგივე ფონდი და ანაწერი, 1744 წ. დავთ. № 13, ფურც. 4; 1758 წ., დავთ. № 4; ფურც. 155—156.

[20] თომა ბარათაშვილის პირველი ცოლის შესახებ საინტერესო მასალა აქვს მოტანილი ს. ყუბანიშვილს (ს ო ლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136—137).

ხავს და შეილებსაც. ამისათვის სათანადო ბრძანებულება გამოეცით და პეტერბურგშიაც გამიშვით, რათა ხელმწიფეს ჩემი სათხოვარი პირადად წარუდგინოო, ვეთხოვს თომა ბარათაშვილის ქერივი. ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიის ცნობებით ირკვევა, რომ ზემოხსენებული კაპიტანი ხელმწიფისა და სენატის 1754 წ. 14 მაისის ბრძანებულებით ასტრახანში საზღვარგარეთთან საკურიერო მიმოსვლის სამსახურში იყო და ჯამაგირი ეძლეოდა თანახმად სახელმწიფო სტატკანტორის 1754 წლის 1 ივნისის ბრძანებულებისა, ვითარცა ჩინით ჰუსართა ლეგიონის კაპიტანს".

შემდეგ საბუთში აღნიშნულია, რომ ამ წესით თომა ბარათაშვილმა 1758 წ. პირველ იანვრამდე მიიღო 288 მანეთი და 46 კაპიკი. საბუთის ბოლო აბზაცში წერია: „1758 წლის 14 იანვარს კაპიტანი თომა ბარათაშვილი ასტრახანიდან სანკტ-პეტერბურგს გაიგზავნა პირადი საჭიროების მიზეზით და იქ ჩასვლის შემდეგ რა ეძლეოდა. არაფერი ვიცით"[21].

მარინე რომ თომას პირველი ცოლი არ იყო, ეს ჩანს იქიდანაც. რომ ჯერ კიდევ 1741 წელს თომამ ორჯერ მიმართა სათანადო უწყებას თხოვნით საქართველოდან ცოლის წაყვანის ნებართვის მისაღებად[22]. ეს ქალი ცხადია, არ შეიძლებოდა თეიმურაზის ცოლისდა ყოფილიყო, რადგან მარინე ამ დროს ირანში იმყოფებოდა.

ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიის მოხსენებიდან, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, ირკვევა, რომ თომა ბარათაშვილი თეიმურაზ II-ის ქვისლი ყოფილა. ეს უთუოდ კარგად იცოდა ჰუსეინ ჰათემმა და აქედან გასაგებია, თუ რატომ ამყარებდა ესოდენ დიდ იმედს ხსენებული ირანელი დიდკაცი თომა ბარათაშვილზე, როდესაც საქართველოსა და ირანში მეგზურად მის კანდიდატურას დაჟინებით მოითხოვდა.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ როდესაც 1735 წელს ქართლ-კახეთის პეფეებმა თეიმურაზმა და ერეკლემ რუსეთის იმპერატორთან ელჩის გაგზავნა ითხოვეს დახმარების სათხოვნელად, ამ მისიის შესრულება მათ დაავალეს იმხანად საქართველოში ჩამოსულ თომა ბარათაშვილს, რომელსაც სათანადო წერილიც გაატანეს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში წარსადგენად[23]. საინტერესოა, რომ ამ არჩეულში არანაკლები როლი შეასრულა თეიმურაზისა და თომას მოყვრობამ.

ასეთია ჩვენი მასალები ვახტანგ VI-ის ამალის ერთ-ერთი წევრის—ოფიცრის, დიპლომატისა და პოეტის — თომა ბარათაშვილის შესახებ. შემდგომი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით უთუოდ ახალ მასალას გამოავლენს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად.

---

[21] АВПР, დასახ. ფონდი, ანაწ. 77/1, 1, 1758 წ., დავთ. № 4. ფურც. 155—156 (თარგმანი ჩვენია).

[22] ს ო ლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, თომა ბარათაშვილი, გვ. 136—137.

[23] ი ქ ვ ე, გვ. 140—141.

გიორგი ჰაიჭამე

საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ისტორიისათვის

1723—1735 წლები საქართველოს ისტორიაში „ოსმალობის“ მძიმე ხანა იყო.

უცხო დამპყრობლების ბატონობა და მთიელ ყაჩაღთა ბრბოების მძარცველური თარეში ქართველ მშრომელ ხალხს აუტანელ ტვირთად აწვა[1].

მრავალ უბედურებათა შორის უმძიმესი იყო ქვეყნის მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებელი მასის — გლეხობის განადგურება. თუ, ერთი მხრივ, გლეხობა გარეშე მტრებთან და შინაფეოდალურ გამუდმებულ ბრძოლებში იღუპებოდა, მეორე მხრივ, იგი საშინელი სოციალური სენის — „ტყვის სყიდვის“ მსხვერპლი იყო. მას შემდეგ, რაც თურქეთი გახდა „ცოცხალი საქონლის“ მუდმივი მომხმარებელი, დაიწყო ქართველთა გაყიდვა ტყვეებად. ქართველ გლეხებს იტაცებდნენ და ჰყიდდნენ თურქები, ლეკები, მათ ჰყიდდნენ აგრეთვე ქართველი რეაქციონერი ფეოდალები.

გლეხების მოტაცება-გაყიდვამ უზომო მასშტაბებს „ოსმალობის“ ძნელბედობის ჟამს მიაღწია. ამ დროს ლეკთა თარეშმაც ძალზე იმატა. მოსახლეობის მოტაცებასა და ძარცვის საქმეში ლეკები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ.

მოსკოვში, რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივსა (АВПР) და კიევში, სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში (ЦГИА Украинской ССР) მოიპოვება მრავალი მასალა ლეკთა და ოსმალთა მიერ ქართველების დატყვევებისა და ტყვეობიდან მათი გაქცევის შესახებ. ბევრი ტყვე თავის გათავისუფლებას რუსეთსა და უკრაინაში გადასვლის საშუალებით აღწევდა, რაც საქართველოს ისტორიის „ოსმალობის“ პერიოდისათვის ტიპიური მოვლენა იყო.

ასე, მაგალითად, რუსეთის კონსტანტინოპოლელი რეზიდენტის ი. ნეპლუევის 1723 წ. ივნისის რელაციიდან ირკვევა, რომ იმავე წლის აპრილში «...явилось в Царьграде много вновь привезенных пленных людей грузинской нации (а взяты они в такой силе, как здесь говорят) понеже обретающиеся в протекции у Порты издавна некоторые грузинские князья будто между собою в несогласие пришли и в таком случае требовали у Порты дабы их повелела примирить, чего ради от паши эрзерумского послан к ним некоторой корпус военных людей (где по воровскому своему обычаю) пленили тех народов до семи тысяч человек,

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1944, ნაკვ. I, გვ. 177 — 183.

также де будто много между ними армян, подданных перских, которые плены от лязгов».[2]

ხოლო 1732 წლის 28 აგვისტოს გენერალ-ლეიტენანტი დუგლასი „წმინდა ჯვრის ციხე-სიმაგრიდან“[3] იწერებოდა: «... турецкого владения азовские купцы с товары для продажи без взимания пошлин по пашпортам генералитетским в кумыцкие деревни ездят и по продаже тех товаров равной пропуск с купленными ясырями из кумыцких деревень назад получают. А усмотренно, что великое число тех ясырей все христианского народа грузинцов человек по 200 и выше вдруг провозят».[4]

ლეკთა ტყვეობიდან გამოქცეული ზოგიერთი ქართველი გადადიოდა და სახლდებოდა კასპიისპირეთის იმ პროვინციებში, რომლებიც 1723—1735 წლებში რუსეთს ეკავა.

1732 წლისათვის წმინდა ჯვრის ციხე-სიმაგრის გარშემო ქართველთა დასახლება უკვე იმდენად მჭიდრო ყოფილა, რომ გენერალი დუგლასი იძულებული შეიქმნა ნებართვა ეთხოვა, რათა დარუბანდში გადაეყვანა ტყვეობიდან ახლად გამოქცეული ქართველები, რომელნიც პატარა ჯგუფად მოდიოდნენ ხოლმე[5].

ამ დროს მრავალი ქართველი დასახლებულა დარუბანდში. ასე მაგალითად, კასპიისპირა პროვინციებში რუსთა ჯარების სარდლის გენერალ მატიუშკინის 1725 წ. 20 ივნისის მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ დარუბანდის კომენდანტის პოლკოვნიკ იუნგერის უწყების მიხედვით: «Вышедшим из полону в Дербень грузинцам 91 человеку дано на первое пропитание провианту солдацкая дача и выдано ружье после умерших казаков и дворы отведены».[6]

იმავე წელს ვახტანგ მეექვსის მეუღლის რუსუდანის თხოვნით, დარუბანდში დაასახლეს დედოფალთან ასტრახანში მყოფი მღვდელმთავარი იოანე, არქიმანდრიტი და თერთმეტი მღვდელმსახური. მათ 1726 წელს დარუბანდში ქართული ეკლესია და მონასტერი დააარსეს. ხოლო 1735 წელს, იოანეს ცნობით, ამ ეკლესიის მრევლში უკვე რამდენიმე ასეული ქართველი ირიცხებოდა[7].

ცოტა ქართველი როდი ცხოვრობდა გილანში. სადაც რუსეთის ჯარების შემადგენლობაში მათგან შემდგარი ქართული ესკადრონი მოქმედებდა.

ბევრი ქართველი ყირიმიდან და სხვა ადგილებიდან თურქების ტყვეობას რუსეთსა და უკრაინაში გაქცევით შველოდა თავს.

ასე, მაგალითად, 1725 წ. მაისში რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიამ დარეჯან არჩილის ასულის არზის საფუძველზე პასპორტები მისცა რამდენიმე ქართველს, რომელნიც საქართველოში ბრუნდებოდნენ. მათ შორის იყო ეინმე ბერუა, შანშე ქსნის ერისთავის ყმის ვაჟი, რომელიც ტყვედ ჩაუგდიათ

---

[2] АВПР, ф. Сношения России с Турцией, 1723 წ., ს. № 5, ნაწ. II, ფ 257—258.

[3] ეს ციხე-სიმაგრე კასპიისპირეთში 1722—1723 წლებში რუსეთის ჯარის ლაშქრობის დროს აშენდა.

[4] АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1732 წ., ს. № 7, ფ. I.

[5] იქვე, ფ. 1 — 2.

[6] იქვე, 1725 წ., ს. № 9, ფ. 4.

[7] АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1724—1737 წწ., ს. № 6, ფ. 4 — 8.

ლეკებს. მაგრამ ტყვეობიდან თავი დაუღწევია. იგი მოხვდა კიევში და იქიდან მოსკოვს გაემგზავრა დარეჯანთან[8].

1725 წ. დეკემბერში მოსკოვში საგარეო საქმეთა კოლეგიის „კანტორაში" სმოლენსკიდან გამოგზავნილ იქნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნული იყო: «Сего декабря 10 дня явились в Смоленск, пришедшие из за польского рубежа иноземцы, которых допросить невозможно, понеже они русского, польского и немецкого языков не умеют, а какими языками говорят таких людей, чтоб знали те языки в Смоленске не имеется. А явился у них паспорт один из Варшавы Ее Императорского Величества от министра князя Сергея Григорьевича Долгорукова, которой обретаетца... при польском дворе». დოლგორუკოვის მიერ გაცემულ პასპორტში კი ეწერა: «Объявляю сим кому ведать надлежит, понеже показатели сего Гаврило, Иван и Василей уроженцы из Георгии, которые были в неволе у турков и освободясь оттуда возвращаются в свое отечество».

დასახელებულმა ქართველებმა დოლგორუკოვს რუსეთში წასასვლელად პასპორტი თხოვეს. საბოლოო ჯამში, ეს პირები ჩამოყვანილ იქნენ მოსკოვში საგარეო საქმეთა კოლეგიის „კანტორაში"[9].

რუსეთის მთავრობა, როგორც წესი, ტყვეობიდან გამოქცეულ ქართველებს, თუკი ისინი ცენტრალურ რუსეთში მოხვდებოდნენ, ვახტანგ VI-სთან გზავნიდა. ვახტანგი ეცნობოდა მათ საქმეს, ითვალისწინებდა მათ სურვილს და შუამდგომლობდა საგარეო საქმეთა კოლეგიის წინაშე რუსეთში მათი დატოვების, თუ საქართველოში დაბრუნების შესახებ. ასე მაგალითად, 1729 წ. 31 მაისს საგარეო საქმეთა კოლეგიაში გაგზავნილ წერილში ვახტანგი წერდა: „ქ. ჩვენ. საქართველოს მეფეს ვახტანგს, ქართლიდამ დაკარგულმა ტყვეებმა: ზურაბა ბერის შვილმან, თამაზა ბასილის შვილმა, დათუნა გიორგის შვილმა, გიორგი დავითიშვილმან და გიორგი გრიგოლის შვილმან არზა მოგვართვა. ურუმიდამ გამოპარულიყვნენ და ზოგი ფერთმარშალ ქნიაზ მიხაელისა[10] და ზოგი ღეთმანის ფაშფორტით მოსკოვს ჩვენთან მოვიდნენ და ჩვენ ნება გვთხოვეს ქართლში წასულისა. ახლა ჩვენც მოსკოვიდამ ასე ნება მიგვიცია, რომ სად უნდა წავიდნენ"[11].

თავის მხრივ ვახტანგ მეექვსე ყოველთვის ცდილობდა შესაძლებლობისდაგვარად დახმარებოდა განთავისუფლების საქმეში ქართველებს, რომლებიც ტყვედ იმყოფებოდნენ რუსეთის საზღვრების მახლობლად. მაგალითად, 1731 წ., როცა ვახტანგმა გაიგო, რომ თურქებს აზოვში ქართველი ტყვეები ჰყავდათ, რუსეთის მთავრობას ნებართვა სთხოვა, რათა გაეგზავნა თავისი კაცები ამ ტყვეების გამოსასყიდად, რაზედაც თანხმობა მიიღო[12].

მაგრამ თურქეთის ტყვეობიდან გამოქცეული მრავალი ქართველი გლეხი უკრაინაში ზაპოროჟიეს კაზაკთა რიგებში შედიოდა და XVIII ს. 50-იან წლებში ზაპოროჟიელთა შორის უკვე არა ერთი ქართველი იძიცხებოდა. აღნიშნულს შემდეგი ფაქტიც ადასტურებს: როდესაც 1752 წელს ქართულ ჰუსართა პო-

---

[8] АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1725 წ., ს. № 11, ფ. 10 — 11.

[9] АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1725 წ., ს. № 19, ფ. 2.

[10] ფელდმარშალი მიხეილ მიხეილის ძე გოლიცინი — უკრაინაში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდალი.

[11] АВПР, ф. Сношения России с Грузией, 1729 წ., ს. № 1, ფ. 37.

[12] იქვე, 1731 წ., ს. № 2, ფ. 82 — 84; 1732 წ., ს. № 2, ფ. 1 — 3, 10, 13.

ლკის[13] ადიუტანტ სერგი ბარათაშვილს დაევალა ამ პოლკის შევსება, მან ჰეტმან რაზუმოვსკის მიმართა თხოვნით, რომ მისთვის ნება დაერთო ზაპოროჟიელ კაზაკებს შორის მყოფი ქართველები პოლკში ჩაერიცხა[14].

გარდა ამისა, 1770 წელს ზაპოროჟიელი კაზაკების დასახლებათა შორის ხატარა სოფელი „გრუზინოვკაც“ აღინიშნება („село Грузиновка над рекою Ташшевкою“)[15].

თურქეთის ტყვეობიდან ქართველთა გაქცევა უკრაინაში XVIII ს-ის 60—70-ან წლებშიც ხდებოდა[16].

კაზაკების რიცხვში მიღებულ პირებს ჩვეულებისამებრ არქმევდნენ ახალ სახელს, რომელიც ამა თუ იმ დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით დგებოდა. მაგალითად, Самойло Чуб, Миколай Лысый, Петр Соловей, Алексей Серьга, Бегун და სხვ. ზოგიერთს კიდევ იმ ქვეყნის სახელს შეარქმევდნენ, სადაურიც იყო წარმოშობით, ან იმ მხარისას, საიდანაც ჩამოდიოდა.

ბუნებრივია, რომ დღეს ამ ახალი სახელების მიხედვით ქართველებს ჩვენ ვერც გამოვიცნობთ. მაგრამ ზოგიერთს მისი საკუთარი სახელიც რჩებოდა ან „გრუზინს“, „გურჯის“ შეარქმევდნენ („Михайло Грузин“, „Иван Грузин“)[17] და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ამჟამად არსებული უკრაინული გვარი — Гуржий, როგორც ეს ცნობილმა უკრაინელმა მკვლევარმა პროფ. თ. შევჩენკომ ჩვენთან საუბარში განაცხადა, „გურჯიდან“ უნდა იყოს წარმოქმნილი.

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ კიევის არქივებში მოიპოვება მასალა საქართველოსა და უკრაინას შორის XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არსებული სავაჭრო ურთიერთობის შესახებ და სხვ.

ყოველივე ეს საფუძვლიანი კვლევა-ძიების საღანი უნდა გახდეს.

ცხადია, უკრაინაში დაცული მდიდარი დოკუმენტური მასალის შესწავლა გადაგვიშლის ბევრ საინტერესო მომენტს ქართველი და უკრაინელი ხალხების ისტორიული მეგობრობისას.

---

[13] ქართულ ჰუსართა პოლკის ჩამოყალიბებისა და შემადგენლობის შესახებ იხ. ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 37—54; 68—78, 209 — 301.

[14] ЦГИА Украинской ССР, ფონდი 269, აღწ. 1, ს. 3Б № 995, ფ. 2.

[15] იქვე, ფონდი 229, აღწ. I, ს. 3Б, № 279, ფ. 90.

[16] იქვე, ს. 3Б, № 252, ფ. 17, 21, 36 — 41.

[17] იქვე, ს. 3Б, № 279.

ლევან მესაბაღე

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები „დავითიანში“*

მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი დავით გურამიშვილი ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელია. გულწრფელი მამულიშვილი ცხოვლად ეპასუხება მის ეპოქას და ნათლად გვიხატავს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ვითარების უტყუარ სურათს. მისი მხედველობის არის გარეშე არ დარჩენილა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები. „დავითიანის“ ავტორი ვრცლად მოგვითხრობს ამ ურთიერთობის შესახებ.

XVIII ს-ის პირველი ნახევარი ერთობ მძიმე ხანას წარმოადგენდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. გარეშე მტრის აულაგმავ თარეშს ერთოდა შინაური არეულობა, სასულიწიფოებრივი ორგანიზმის სრწყნა და დინასტიური ინტრიგები, სამეფო კარის დეზორგანიზაცია და ფეოდალური დაქსაქსულობა, დიდებულთა თავაშეებულობა და დაუმორჩილებლობა ცენტრალური ხელისუფლებისადმი, სარწმუნოებრივ-ზნეობრივი პრინციპების შესუსტება, სახელმწიფოს ეკონომიური უძლურება, სოფლის მეურნეობის დაქვეითება, აუტანელი გადასახადები, მშრომელთა შეუზღუდავი ექსპლოატაცია. საგარეო და შინაური ბრძოლა მეტწილად მშრომელ მოსახლეობას ანადგურებდა. ეს უკანასკნელი მთაში იხიზნებოდა, ტყეს აფარებდა თავს.

ქართველი ხალხი განსაცდელში იყო და ეროვნული კატასტროფის წინაშე იდგა. დამპყრობლები ახალი ძალითა და ენერგიით განაგრძობდნენ აგრესიულ მოქმედებას.

ქართველობა უძლური იყო გარეშე მტრის წინაშე. თავდამსხმელთა მოგერიება მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით შეუძლებელი ჩანდა. გადაწყვეტილებით დაიწყო ორიენტაციის ძიება, რამაც ჩვენი წინაპრები ადრევე ჩრდილოეთის ერთმორწმუნე ქვეყნისკენ მიახედა.

XVIII ს-ში რუსეთი წინა აზიის პოლიტიკურ სარბიელზე საბოლოოდ გამოვიდა და ქართველთა ორიენტაციაც სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხასიათი მიიღო. შეიქმნა ობიექტური ვითარება, რომელიც იმ დროს რუსეთისა და საქართველოს ინტერესების თანხვედრილობას იწვევდა[1].

რუსეთის ხელისუფლება დიდი ყურადღებით ეკიდებოდა აღმოსავლეთის საკითხს. რუსეთის სავაჭრო კაპიტალი გზას იკაფავდა კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ, მხედრობა ჩრდილოეთ კავკასიას უტევდა და იქ დამკვიდრებას

* წაკითხულია მოხსენებად საქართველოს მეცნ. აკადემიისა და თსუ საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე (3.X.55), რომელიც მიეძღვნა დ. გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავს.

1 იხ. ჯ ავ ახ ი შ ვ ი ლ ი ს სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I. 1955, გვ. 455.

ღამობდა. რუსეთის ხელისუფალთა მართებული მოსაზრებით, ირანის ოპერაციაში სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვების მისაღწევად აუცილებელი იყო ამიერ-კავკასიის ხალხთა მხარდაჭერა და ერთგულება-მოკავშირეობა. ქართველებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდათ. მათ შეეძლოთ რუსთათვის დაეხმარებინათ ჯარი, რომელსაც ჰქონდა ირანელებთან ომის დიდი გამოცდილება, რომელმაც იცოდა მოწინააღმდეგის ბრძოლის ფანდები.

ამრიგად, საქართველო მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევასა და გაძლიერებული მუსლიმანური ბრბოებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, ხოლო რუსეთი კასპიის ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებას აპირებდა. რადგან ორივე ქვეყნის ინტერესი ერთობლივ მოქმედებას მოითხოვდა, პეტრეს წინადადებას ირანელთა წინააღმდეგ შეერთებული ძალით გალაშქრების შესახებ ვახტანგ VI სიხარულით შეეგება. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: „პეტრე ხელმწიფის გამოჩენამ ამიერ-კავკასიის სარბიელზე ადვილად შეცვალა ვახტანგისა და მის თანამოაზრეთა დასავლეთევროპული გეგმები. რუსეთი პეტრეს სახით პირველი დიდი სახელმწიფო იყო, რომელიც ამიერ-კავკასიის მიწაზე მოვიდა, ირანსაც და ოსმალეთსაც დაუპირისპირდა და კავკასიის ქრისტიან ხალხებს კავშირი და მფარველობა შესთავაზა“[2].

ქართველთათვის საოცნებო იყო რუსებთან მხარდამხარ ბრძოლა მაჰმადიანი მტრის წინააღმდეგ. მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე და შორსმჭვრეტელი საზოგადოებისათვის ნათელი იყო პეტრეს მოწოდების მნიშვნელობა და რუსებთან დაკავშირების პერსპექტივა.

დ. გურამიშვილი ეკუთვნოდა ქართველი საზოგადოების იმ დასს, რომელიც სამშობლოს ხსნას რუსეთთან კავშირში ხედავდა. მგრძნობიარე პოეტი აღტაცებით წერდა რუსეთზე, რუსეთის არმიაზე, დიდი სიყვარულით იგონებდა რუს ადამიანებს. რუსეთის ძლიერებისა და წყობილების შესაფასებლად ის მიმართავდა ძველ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებულ ხერხს — ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელის დახასიათებას. ეს სავსებით ბუნებრივი იყო. მით უფრო, რომ საქმე ეხებოდა პეტრე I-ის მრავალმხრივ მოღვაწეობას. ამასთანავე პეტრეს გარკვეული წილი ედო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაცხოველებაში[3].

დ. გურამიშვილს გულწრფელად უყვარდა რუსეთი და რუსთა მეფის სახელმწიფოებრივ ნიჭსაც დიდად აფასებდა. ის გარკვევით აღნიშნავდა პეტრეს ინდივიდუალურ თვისებებს და გახაზავდა მის დიდ ღვაწლს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. მისი აზრით, პეტრესთან იყო დაკავშირებული რუსეთის პოლიტიკური გაძლიერება და ეკონომიური მოღონიერება.

იყო ჩრდილეთის ჯელმწიფე,
თეთრის რუსეთის მჭირველი,
თეითმპყრობელობის მიმღები,
პეტრე ცხებული პირველი,
პირველ-უმჯრ ჯრმალ-რბილ, პირ-ბლავეთა
მწთობელი, გამომპირველი[4].

---

2 ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1944, ნაკვ. I, გვ. 185.

3 ვ. დონდუა, დაით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, თბ., 1959, გვ. 32—33.

4 დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 53, სტროფი 189 (ქვემოთ ყველგან ეს გამოცემაა დამოწმებული).

პოეტის დახასიათებით, პეტრე იყო ბრძენი და განათლებული, ღირსეულთა შემწყალებელი, სამართლიანი და უცდომელი მსაჯული, მრავლის გამცემი, უშურველი, ამასთანავე მოწინააღმდეგეთა მიმართ შეუბრალებელი და დაუნდობელი, მტერთა მმუსრავი, გამანადგურებელი:

ბრძენ, უხვი, მართალ, მოწყალე,
სამართალ დაუმცდარია;
მტერთა შებრძოლთა ყოველთა
მან ყველას ჭელი დარია (53. 190).

დ. გურამიშვილს სწამდა, რომ ასეთი ადამიანის საქმე არ დასრულებულა სიკვდილთან ერთად, მოღვაწეობა დავიწყებას არ მისცემია. მისი ღვაწლი და ამაგი კვლავ თავს იჩენდა, მისი საქმე კვლავ გრძელდებოდა.

მოკვდა და თეისის ანდერძით
აწ ისევ საქმობს მკვდარია (53, 190).

პეტრეს მომდევნო მეფეთა საქმიანობაზე დაკვირვებით ჩვენს პოეტს შეუნიშნავს, რომ პეტრეს მემკვიდრენი ამ დიდი მოღვაწის საქმეს განაგრძობდნენ, მის ანდერძს ასრულებდნენ. პეტრეს შემდგომ ხანაში, დ. გურამიშვილის თქმით, გრძელდებოდა ადრეული, პეტრეს მიერ შემუშავებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კურსის გატარება. მისი ანდერძი მიჩნეული იყო სამოქმედო პროგრამად, სახელმძღვანელო დოკუმენტად. ამ ანდერძით ხელმძღვანელობდნენ რუსეთის მმართველები პრაქტიკულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

ქართველი პოეტი აღაფრთოვანა რუსთა მხედრობამ, რუსეთის რეგულარული ჯარის ორგანიზაციულ-ტექნიკურმა მოწყობილობამ და ბრწყინვალე დისციპლინამ.

არს მოსაწონი მნახველთა
გაწყობა რუსის ჯარისა,
ათას-ხუთას კაცთ ერთფერად
ტანთა ცმა, სხმა აბჯარისა,
მწყობ-რიგად შესვლა-გამოსვლა,
ქცევა ვით ბრუნვა ჯარისა,
დამუსრვა ციხის მოქლოთა,
მაგროვნად დანაჯარისა (54, 193).

დ. გურამიშვილს მისი პატრიოტული სული, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით აღძრული გულის ცემა უკარნახებდა ასეთი ჯარის საჭიროებას. ის აღტაცებით წერდა პეტრეს არმიის სამხედრო საქმიანობაზე, რუსთა ლაშქრის შეტევაზე:

ზღვა გავლო, დაჰკრა ავღანთა,
სოლაღს დაუწყო შენება,
დაღისტანს მიხვდა ღვთის რისხვა,
მრაეალგზით განაწყენება (54, 194).

რუსებმა შიშისზარი დასცეს მტრებს. მაჰმადიანებმა დახევა დაიწყეს, ადრინდელი რიხი დაკარგეს და ხმა დაიდაბლეს:

ჭრმლის სიფოლადეს სპარსთასა
ჟამი რამ მიხვდა ლბობისა;
ჭმა დაემდაბლდათ, მოულბათ
სიტყვის თქმა ამაყობისა,
რა ნახეს ცეცხლი ნაწეიმი
უმშბარისა თუ ბომბისა (54, 195).

დ. გურამიშვილი სიხარულით წერდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მტრის სამხედრო ძლიერების შერყევასა და შერცხვენაზე.

პეტრე I-მა ქართლის მეფეს წერილი გამოუგზავნა და ერთობლივი ბრძოლისაკენ მოუწოდა:

ჭელმწიფემ ვახტანგს მისწერა:
მოდი, მიკარშეკ მამადო,
იესოს ქოისტეს ძიენდეე,
ნუ მოგატყუებს მამადო,
ჩიჯობს, მე ზურგი მომყუდო,
გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზედ მიმიძღეე,
ვით თივას ცეცხლებრ მამადო (54, 196).

პოეტი საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას იმ სისწრაფეზე, რომლითაც აღნიშნული წერილი ქართლში გამოგზავნეს. მან ეს ფაქტი პოლიტიკურად სასარგებლო მოვლენად მიიჩნია და საგანგებოდ შეიტანა „დავითიანში“:

მდივანთ ჭელმწიფის ბრძანება
რა შეასრულეს წერითა,
დაბეჭდეს, შეკრეს, შეხვიეს
ზარჭაშის მონაჭერითა.
კელაე ჩაფარ-ელჩთა უწოდეს
სასწრაფოთ გულის ძგერითა,
უთხრეს: თუ ჩქარად არ იელით,
ვერ გასძღეთ მზისა ცქერითა! (54, 197).

არც ამათ დაიზარეს აჩქარება, „ცხენთა შესხდენ და გაქუსლეს“, მალე ეახლნენ ვახტანგს (54, 198).

ვახტანგი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი იყო. მას გულწრფელად სურდა მამულის ხსნა. მისი ყოველი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი სამშობლოს დიდი სიყვარულით იყო შთაგონებული. გულმხურვალე პატრიოტი და დიდსულოვანი მამულიშვილი რუსეთისაკენ ისწრაფოდა. მას „სინამდვილედ ესახებოდა საოცნებო მდგომარეობა, როცა დიდი სახელმწიფოს დახმარებით მოძალადე შაჰის ხელთაგან განთავისუფლებული საქართველო ოსმალთა მიერ მინატაცებ სამცხე-საათაბაგოს უკან დაიბრუნებდა“[5].

ვახტანგს პეტრეს წერილი მაშინ მოუვიდა, როდესაც ხსნა არსაიდან ჩანდა, მტერი აღარ ითმენდა და ქართველობა უზომოდ შეწუხებული იყო.

5 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1946, გვ. 371.

დ. გურამიშვილმა ნათლად გვიჩვენა ვახტანგის ლტოლვა ერთმორწმუნე რუსეთისკენ. პეტრეს მოწოდებამ ქართლის მეფე გაახარა. დაისახა გზა მომავლისა, აღმოჩნდა მაჰმადიანთა რკალიდან გამოსავალი.

ვით სითბოთ ვარდმან ყვავილი,
სუნი გამოსცეს იამა,
დაბუჟებულმან, ნაზამთრმა
მჭარი აღისხას ჰიამა,
დიდის სიცხითა მაშურალსა
აამოს სიო-ნიავმა, —
ეგრეთ ჭელმწიფის ბძანება
მეფეს რა ესმა, იამა (55, 200).

ვახტანგმა სევდა მოიცილა, ჭმუნვა გადაიგდო.

რა მოეხსენა მეფესა
ამბავი საამურია,
ჭმუნვა განაგდო, გარდუწმდა,
გულს ეკრა რაც ჯანგ-მურია (55, 201).

მეფემ დარბაზი იხმო, ვეზირები მოიწვია სათათბიროდ, დაიწყო ბჭობა, განხილვა უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხისა.

საგულისხმოა, რომ ვახტანგის ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე და სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი, — ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხების საქმის კურსში მყოფი და საკმაოდ ინფორმირებული პირები, — არ აგვიწერენ ამ თათბირს. ისინი აზრთა სხვაობას, ორი დასის არსებობას არც კი იხსენიებენ. ამდენად, დ. გურამიშვილის ჩვენებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

„დავითიანის“ ცნობით, ვახტანგის დარბაზში გაიმართა ცხარე კამათი, აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა. მმართველ წრეებში თავი იჩინა ორმა მიმართულებამ. ერთი დასი გახარებული იყო რუსეთთან დაკავშირებით, მეორე ამაში ცუდს არას ხედავდა, მაგრამ ნაადრევად მიაჩნდა და შედეგი აფიქრებდა.

დ. გურამიშვილმა არ უგულებელყო ეს ფაქტი, არ მიჩქმალა წინააღმდეგობები, არ დამალა, რომ პეტრეს მოწოდებამ ერთნაირად არ აღაფრთოვანა ყველა ქართველი. დიდებულთა ერთი ნაწილი ყოყმანობდა („თქვეს, თუ: უფრო წავჭდებითო“). მას ამ შემთხვევაში ამოძრავებდა არა რუსებთან შეკავშირების საწინააღმდეგო სურვილი, არამედ შიში მაჰმადიანი მტრების მოძალებისა და დახმარების დაგვიანებისა. ამ დასს რუსეთის ხელმწიფესთან სამხედრო კავშირი ნაადრევად მიაჩნდა. ის ვარაუდობდა, რომ მეზობელი მუსლიმანური ქვეყნების მმართველები ქართველებს არ აპატიებდნენ ასეთი ნაბიჯის გადადგმას:

არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის,
თუ ეგ საქმე მალ მოჭდების,
მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ,
ყველა ჩვენზე წამოდგების.
ვირემ რუსნი გვიშველიან,
მანამ ჩვენი გარდაგვჭდების (55, 205).

ვახტანგის მომხრენი დაბეჯითებით იცავდნენ მეფის აზრს და რუსებთან კავშირის დამყარებას იწონებდნენ. რუსეთ-საქართველოს დაკავშირება და საბრძოლო თანამშრომლობა მათ არც სათაკილოდ მიაჩნდათ და არც საშიშად:

ქრისტიანის ჯელმწიფისა
ჯელ-დებული შევიქნებით,
ჩვენ მაგაზე რად წაუჭდებით,
თუ არ უფრო გაუკეთდებით! (55, 204).

რუსებთან დაკავშირებით განსაკუთრებით ვახტანგი იყო დაინტერესებული. მას სხვაზე ცხადად და ნათლად ჰქონდა შეგნებული ამ აქტის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა.

ვითარ ირემსა მაშვრალსა
წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის
ჯელმწიფის ნახვა სუროდა (55, 206).

ვახტანგს მოწინააღმდეგეთა სიტყვა არ მოსწონდა, მათ ორგულად სახავდა; „ვინც არ ემოწმის, მაზედა ერთგულად არ უყუროდა". როდესაც მოწინააღმდეგე დიდებულებმა მეფეს რუსეთისაკენ ლტოლვა შეატყვეს და თავის განზრახვაზე ხელი ვერ აალებინეს, მას მალულად წასვლა, მცირერიცხოვანი რაზმის ხლება ურჩიეს:

თუ წაბრძანდებით, წაბრძანდით,
ხანსა ნუღარას დაზმითა;
თან ცოტა ყმანი იახელ,
ნუ გაეწყობი რაზმითა,
ფარვით იარე გზაზედა,
არ მეფედ მოსაჯაზმითა,
მტერთა არ გიგრძნან საწადი
აშკარად ანუ აზრითა (56, 208).

მეფის მოქმედების ასეთი შენიღბვა ქართველ დიდებულთა ნაწილს აუცილებლად მიაჩნდა, რადგან გარშემო დიდძალი მტერი იდგა და ქართველობას კარგს არას უქადდა. შინ დარჩენილებს ისევ ვახტანგის იმედიღა თუ ექნებოდათ.

გარს მტერი გვადგას ამდენი,
ასს მთას ეყოფის მკაფრადა,
ვინ იცის, ჩვენზედ მოვიდნენ,
თქვენ მოგვეშველნეთ საფრადა (56, 207).

ვახტანგმა ეს წინადადება შორს დაიჭირა, მან ითაკილა კიდეც ფარულად წასვლა (56, 209).

ვახტანგს ჰქონდა თავისი გეგმა ერთიანი ფრონტით გამოსვლისა. მას აშკარად სურდა ირანელთა წინააღმდეგ გალაშქრება და რუსეთთან მარადიული კავშირის დამყარება. ის გაბედულად აცხადებდა:

სჯობს, შეეყაროთ ლაშქარი,
ექნა მისი ანგარიშები;
ჯერ ჩემთა წინააღმდგომთა
დაესცე ზარი და შიშები,

წავიდე, განჯის მომხრელთა
დავდეა მუქაფის ნიშები.
რა გამოებრუნდე, ქვლავ ვნახო
რუსების შუბ-ფარ-შიმშები (56, 210),

ზოგი ქართველი კიდევ ყოყმანობდა, ორჭოფობდა, მაგრამ მეფეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. მას ესმოდა, რომ არსებულ რთულ ვითარებაში უაღრესად ძნელი იყო გამოსავლის დაძებნა; საშიში იყო მაჰმადიანთა მოძალება. მაგრამ რუსეთთან დაკავშირება აუცილებლად მიაჩნდა, სამშობლოს განთავისუფლების იმედებს მასზე ამყარებდა და მსხვერპლსაც არ ერიდებოდა.

ვახტანგი დაიძრა ქართველი მეომრებით, განჯას მივიდა, პეტრეს ნიშანს დაუწყო ცდა. რუსეთის არმია, რომელიც ადრე ძლევამოსილად მოიწევდა სამხრეთისაკენ, იგვიანებდა. პეტრემ გზა აღარ განაგრძო,. ლაშქრობა უკეთესი მომავლისთვის გადაიდო. პეტრის ნაღელიანი განწყობილებისა და მწარე განცდების გამოხატულებაა სიტყვები: „...წაჭდა, დაგვიანდა საქმე კარგი, დასაშური“.

ქართველებისა და რუსების ჯარების შეერთება არ მოხერხდა, გაერთიანებული ლაშქრობის გეგმა ჩაიშალა. დ. გურამიშვილი დამწუხრდა იმით, რომ მისმა თანამემამულეებმა „ვერა ნახეს რუსთ ჭელმწიფე, ვერ აჩვენეს სამსახური“.

შაჰი განრისხდა. ვახტანგს ქართლი ჩამოართვა და კახეთის ბატონს — კონსტანტინე ირაკლის ძეს გადასცა. გაჩაღდა ბრძოლა კახელებსა და ქართლელებს შორის, ლეკები დაუნდობლად აწიოკებდნენ მოსახლეობას, მალე სამეფოს თურქ-ოსმალები დაეპატრონენ. დამარცხებულ ვახტანგს სამშობლოში აღარ ედგომებოდა. მან რუსეთს მიაშურა. ძნელბედობის ხანაში ისევ რუსეთი ჩანდა საიმედო მოკავშირედ და შემწედ.

დ. გურამიშვილი რამდენიმე წლის შემდეგ (1729 წ.) შეუერთდა ვახტანგის ამალას და მოსკოვის ქართული კოლონიის აქტიური წევრი გახდა. ვახტანგი მას დამწუხრებული დახვდა, პეტრესთვის ვეღარ ჩაესწრო (94, 478). პეტრე I-ს ეკატერინე I და პეტრე II მიჰყვნენ. ქართლის დევნილი მეფე შეღონდა, აღარ იცოდა ვისთვის მიემართა, როგორღა აღმოეჩინა დახმარება დასაღუპად განწირული სამშობლოსათვის.

ამაზედ იყო მგლოვარე,
ცრემლი ამისთვის ზღიოდა:
სამი ჭელმწიფე ზედი-ზედ
მოკვდენო, — გული სტკიოდა;
თავისას, თავის ქვეყნისას
უბედურებას ჩიოდა (94, 480).

გადიოდა ხანი და სამშობლოს განთავისუფლების ჟამი არ დგებოდა. მომავალი სანუგეშოს არას აჩენდა. უმოქმედობა გულს უკლავდა სამშობლოში დაბრუნებაზე მეოცნებე ქართველ ემიგრანტებს. ვახტანგი შეწუხდა: „გაგრძელდა საქმე, გაძნელდა, რაღა ვსთქვა, რა ვარჩიო, და?“

მომდევნო პერიოდში, — რუსეთს გადახიზნულ ქართველთა ცხოვრებლად და სანუგეშოდ, — თურქეთი დაუძლურდა, ირანმა დაიწყო მისი შევიწროება. დადგა დრო ამოქმედებისა, ხელსაყრელი მომენტის დაკარგვა არ შე-

იძლებოდა. ვახტანგი გამოცოცხლდა, ქართული ემიგრაცია ამოძრავდა. პეტერბურგის სამეფო კარმა ქართლის მეფეს დახმარება აღუთქვა. სოლაღს, ბაქოს, დარუბანდს რუსთა ჯარია, მიბრძანდი, რუსი მეომრები შენი ხელმძღვანელობით იბრძოლებენო:

თქვენს ბრძანებას მორჩილებდენ,
კარგთ იქმოდე, გინა ავთა;
თავს საკედაოდ არ ზოგიდენ,
საცა მოიქნევდენ ჴმალთა! (95, 484).

დაიმედებული ვახტანგი მოსკოვს დაბრუნდა და თანამოძმენი გაამხნევა. გახარებული ქართველობა სამზადისს შეუდგა. დ. გურამიშვილმა დიდი პოეტური მღელვარებითა და პატრიოტული აღტყინებით აგვიწერა ქართველთა სამგზავრო-საომარი მზადება.

ქართველ მამულიშვილთა აზრით, დადგა დრო რუსთა მძლეთა-მძლე მხედრობის დახმარებით ირანელთა და თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ გალაშქრებისა; ირან-თურქეთის უთანხმოებისა თუ ქიშპობის დროს რუსთა არმიას შეეძლო გამარჯვება მოეპოვებინა და საქართველოსაც თავისუფლება ეხილა.

დიდად დაიმედებული ქართველები მოემზადნენ, ნავებში ჩასხდნენ და ეოლგას დაჰყვნენ სამხრეთისაკენ, მაგრამ დაუგვიანდათ. დანიშნულ ადგილას მისვლამდე ვითარება შეიცვალა. ირანი ამოქმედდა, რუსებმა დარუბანდი დასცალეს, სოლაღის ციხე დაანგრიეს და ყიზლარისკენ დაიხიეს. ქართველთა ოცნება აუსრულებელი დარჩა, სამშობლოს ხსნის იმედი დაიფერფლა...

ქართლის ტახტმიხდილი მეფე ვახტანგ VI ასტრახანში გარდაიცვალა (1737 წ.). ის ვერ მოესწრო უცხო დამპყრობელთა დამარცხებასა და გაძევებას საქართველოდან, მშობლიური მიწა-წყლის დახსნასა და განთავისუფლებას, მაგრამ მრავალტანჯულ სახელმწიფო მოღვაწესა და გამოჩენილ მწიგნობარს ურყევად სწამდა თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კურსის ცხოველმყოფელობა.

ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ემიგრანტმა ქართველებმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღეს. 1738 წ. 25 მარტის ბრძანებულებით ახალ ქვეშევრდომთაგან შეიქმნა ჰუსართა ასეული, რომელიც შემდეგში თანდათან გაიზარდა. თუ შექმნის დროს ასეულში 87 მეომარი ირიცხებოდა, 1741 წლისთვის 4 ასეული ჩამოყალიბდა, ხოლო შვიდწლიან ომში 430-ზე მეტი ქართველი მებრძოლი მონაწილეობდა[6].

ქართველებმა დაიწყეს ბრძოლა რუსთა მხარდამხარ. რუსთა არმიის რიგებში იბრძოდა ლეკთა ტყვეობაში მრავალჯერნახული დ. გურამიშვილიც.

ქართველებმა შეუტიეს ყირიმელ თათრებს, შვედებს, პრუსიელებს.

დ. გურამიშვილი სიამაყის გრძნობითა და დიდი პათოსით წერდა თანამეშამულეთა საგმირო და სასახელო საქმეებზე, რუს-ქართველთა საბრძოლო თანამშეგობრობაზე.

ათას-შვიდას-ოც-და-ცხრამეტს
ხოთინის კარს ვთხლიშეთ კეტი,
ორმოც-და-ორს ფინდრიღაჯანს
ცეცხლით გამოვბუგეთ შვეტი.
ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს
შეურყუევეთ ტახტის სვეტი (108, 586).

---

[6] ს. ყუბანეიშვილი, დავით გურამიშვილი ქართულ ჰუსართა პოლკში, თბ., 1955, გვ. 38—95.

რუს-ქართველთა მსედრობის ერთობლივი ბრძოლის ეპიზოდების აღწერით დ. გურამიშვილი აძლიერებდა მოწინავე ქართველთა ინტერესსა და სწრაფვას რუსეთისაკენ, აწრთობდა მათ გმირულ სულსა და გაუტეხელ ნებისყოფას. კეთილშობილი პატრიოტიზმით, ჰუმანიზმის მაღალი და ნათელი იდეებით, გულწრფელი ინტერნაციონალიზმის გრძნობითაა გამსჭვალული დ. გურამიშვილის მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

დ. გურამიშვილი მოვლენების გადმოცემისას არ კმაყოფილდებოდა უბრალო მთხრობელის როლით, არ იჩენდა პასიურ ობიექტივისტობას. მისთვის არ იყო საკმარისი მოვლენათა სწორი და მშრალი აღნუსხვა, ის ფაქტებს საკუთარი თვალთახედვით აანალიზებდა და შესაბამისად აფასებდა.

დ. გურამიშვილი ვახტანგის შეგნებული მომხრე და მისი საგარეო ორიენტაციის თავგამოდებული დამცველი იყო. ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავალი მას რუსეთთან კავშირის გარეშე ვერ წარმოედგინა. რუსეთს მიაშურა ტყეეობიდან თავდაღწეულმა, რუს ხალხში პოვა ხსნა და დახმარება, მხარდაჭერა და თავშესაფარი.

დ. გურამიშვილის მოსიყვარულე გული და წრფელი გრძნობა ნათლად ჩანს ტყეეობიდან გაქცევისას რუსებთან შეხვედრის აღწერაში. ნაწამები და გადაღლილი მგოსანი რუსებმა შეიფარეს. ის დიდი სიყვარულით იგონებდა და საგანგებოდ წარმოაჩენდა იმ მშობლიურ მზრუნველობასა და მეგობრულ თანაგრძნობას, რომელიც მას ყაზახ-რუსებმა გაუწიეს. იდეურად დახვეწილია და დიდი მხატვრული შთაგონებითაა დაწერილი სტრიქონები:

> როგორც რომ ერთმან ყაზახმან
> მე მჭირნ მაჭიარაო,
> როცა რომ მყვანდა, მოვლიდა
> მეტს მამაჩემი არაო;
> შეებრალდი, გულზედ მიმიქვა,
> მკოცნა და ცრემლი ღვარაო (93, 473).

აღნიშნულ ეპიზოდში ნათლად ჩანს ღრმა ფესვები იმ მეგობრობისა, რომლითაც ერთ მტკიცე და ურყევ ოჯახად არიან შეკრული და დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ხალხები.

დ. გურამიშვილი იყო დიდბუნებოვანი და უაღრესად კეთილშობილური სულის ადამიანი, ამიტომაც იგონებდა ასე თბილად ყაზახ-რუსთა მიერ გაწეულ დახმარებას, მათ ბუნებით სიკეთეს. მან ქართულ პოეზიაში ერთმა პირველთაგანმა მოგვცა უბრალო რუსი ადამიანის მიმზიდველი და სიმპათიური სახე, დიდებულად წარმოადგინა და უკვდავყო იგი[7]. დამოწმებული ეპიზოდი მკითხველში რუსეთისადმი, რუსი ხალხისადმი სიმპათიის გაცხოველებას იწვევს და „დავითიანის" მხატვრულ ღირსებასა და შემეცნებით მნიშვნელობას ზრდის.

ამრიგად, დ. გურამიშვილმა „დავითიანში" საკმაო ადგილი დაუთმო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ჩვენებას, დამაჯერებლად გაგვაცნო ქართველი ხალხის სწრაფვა რუსეთთან დაკავშირებისაკენ, რუს ხალხთან ძმური

---

7 ქართული ლიტერატურის ისტორია, I. კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს.), თბ., 1954, გვ. 433.

მეგობრობისაკენ. უკვდავმა პოეტმა ასახა თავგადასავალი მშობელი ხალხისა, რომელმაც თავისი არსებობის ერთ-ერთ ყველაზე რთულსა და მძიმე პერიოდში ეროვნული სახის შენარჩუნების ერთადერთი სწორი გზა რუსეთთან დაკავშირებაში პოვა[8].

ისტორიამ გაამართლა და ბრწყინვალედ დაადასტურა ჩვენი სახელოვანი წინაპრების მიერ არჩეული გზის სისწორე. ქართველმა ხალხმა რუსეთთან დაკავშირების გზით, რუს ხალხთან დამოძმების შედეგად შეინარჩუნა თავისი ეროვნული სახე, ფიზიკური არსებობა და მდიდარი კულტურა.

---

[8] აქ წამოყრილ საკითხებზე იხ. ავრეთვე ვ. დონდუა, დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, გვ. 32—35, 80, 83, 85—95, 109, 111—113; Г. Пачкадзе, Вопросы истории в творчестве Давида Гурамишвили, „Заря востока“, 28.IX. 55, № 230 (9422).

ვარლამ დონდუა

რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ ისტორიულ ტრაქტებზე

1. ასტრახანი

საბჭოთა კავშირის რუკაზე, ჩაკვირვებით მის განხილვისას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის შუქზე, მკვეთრად ისახება მთელი რიგი დაბა-ქალაქებისა, სადაც ეს ურთიერთობანი იმთავითვე გაცილებით მეტი ინტენსივობით ხორციელდებოდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ ივარაუდება.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარების ისტორიას, როგორც ვიცით, თავისი (ვ. ორბელიანის გამოთქმით) „დიდი რვეული“ აქვს. ამ „რვეულში“, „მატიანეში“ საუკუნით საუკუნემდე იწერებოდა საგულისხმო ფაქტები დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის უწყვეტელი თანამშრომლობის შესახებ იმ პროგრამის შემუშავება-განხორციელების საქმეში, რომელშიც შედიოდა საქართველოს, კავკასიის ხალხების გათავისუფლების პრობლემები თურქეთ-ირანის ბატონობისაგან, რუსეთის ხალხთა ეკონომიური განვითარებისთვის საჭირო გზების გახსნის საკითხები შუა და ახლო აღმოსავლეთში და ა. შ. საკითხები ნაწილი მოსკოვში რიგდებოდა, ნაწილი ქართველ მეფეთა რეზიდენციებში, როგორც ამას მოწმობენ უკვე XVII ს-ის რუსი ელჩების საფუძვლიანი ანგარიშები — მათი „მუხლობრივი ნუსხები“ („статейные списки“), „გაკითხვითი უწყებები“ („распросные речи“) და ა. შ.[1]

ამასთან დაკავშირებულ დიპლომატიურ ვიზიტებს, სხვათაშორის, უშუალოდ ეხმაურება არჩილ მეფის ავტობიოგრაფიული უწყება:

> თვით პეტრე ცარი — ვნახე რაც არი,
> დიდის რუსეთის მტკიცედ მპყრობელი.
> სიყრმესა შინა ვიახელ შინა“, და ა. შ.[2].

ასეთი ურთიერთობის პირობებში რუსეთის ქალაქები ბუნებრივად იზიდავენ თავისკენ ქართველ მოახალშენეებს, რომელნიც ავბედობის ვითარებაში, თურქ და ირანელ დამპყრობთაგან განთავისუფლების ძებნაში იქ პოულობენ თავშესაფარს. მეტადრე მოსკოვში — „იქ გრძელდებოდა გადასახლებულთა

---

1 იხ. პუბლიკაციები მ. ბროსესი, ს. ა. ბელოკუროვის, მ. ა. პოლიევკტოვის, ი. ცინცაძისა და სხვ.

2 „არჩილიანი“, ტ. I, ლექსი „მეფეთა“, სტროფი 62, 1—3. ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ., 1936, „სიყრმესა შინა ვიახელ შინა“ — მოსკოვს, ე. ი. ოდეს პეტრე, ჩვენი ანგარიშით, იყო უკვე ოცდაექვსი წლისა (1699 წ.).

შემოქმედებითი კულტურული მუშაობა" (ნ. ბერძენიშვილი[3]). მოსკოვის კოლონიას შეუერთდა იმ მოღვაწეთა მეტი წილი, რომელნიც თან გაჰყვნენ რუსეთში ვასტანგ VI-ს, 1724 წ. იქ გადასახლებულს ოჯახით, დაახლოებით 1200 კაცისგან შემდგარი ამალით.

ფართოდ ცნობილი მოსკოვის, პეტერბურგის ქართველთა კოლონიებს იქით ჩანან უფრო მცირე მასშტაბის ქართული, პირობით თუ ითქმის, ნასახლარები — ასტრახანს, ყაზანს, კრემენჩუგს, მირგოროდს, კიშინიოვს და სხვაგან. საისტორიო წყაროებში სხვა საინტერესო ადგილებიც აღინიშნება რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ფონზე: კალუგა, ქვემო ნოვგოროდი, სარატოვი. ვლადიმირი და ვინ იცის კიდევ რომელი. როგორც პეტერბურგი (ძველ ქართველთა „პეტრებუხი") აბოლოებდა რუსეთისკენ სავალ გზებს ჩრდილოეთ კიდურზე, ისე იმ გზების სამხრეთ კიდურზე, XVI—XVIII სს-ში, იდგა რუსთა ციხე-სიმაგრე თერგა[4] („Терка", იგივე „Терский город") მისი ადგილობრივი „ვოევოდით". ჩრდილოეთის გზაზე შემდგარი მგზავრები პირველად „თერგას" ჰპოჭარში გაიელიდნენ, ხოლო გზის გაგრძელებით მიადგებოდნენ დიდ „ალაყაფის კარებს" მდ. ვოლგაზე — ქ. ასტრახანს, ანუ, როგორც მაშინ ქართველებში, სომხებში იხმარებოდა (აღმოსავლურ რიგზე). აშთარხანს.

ამ სტრიქონების ავტორს, როგორც იტყვიან ხოლმე საზეიმო შემთხვევებში, ბედნიერება ჰქონდა პირველად ეხილა ასტრახანი 1958 წლის სექტემბერში (—როგორც მიველინილს საქ. მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიერ ასტრახნის საოლქო სამხარეთმცოდნეო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს საიუბილეო სესიაზე, სექტემბრის 10—13, მონაწილეობის მისაღებად ასტრახნის რუსეთთან შეერთების 400 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებით). ასე მოგვეცა საბაბი გაგვეცნო ამ ძველ ქალაქში XVIII ს-ის ქართველ მოღვაწეთა ცხოვრება-საქმიანობის წერილობითი ძეგლები. ჩვენ იქ შეგვყვა ოდენ მცირედი ცნობები ქართველთა იქაური თავგადასავლის შესახებ, გარდა იმ დეტალისა, რომ ასტრახნის დიდებულ კრემლში („მიძინების ტაძარში") დაკრძალულან ქართველი მოწინავე კაცები — ვახტანგ VI, თეიმურაზ II, გაიოზ რექტორი და ზოგი სხვა.

ამ ქალაქსაც, მის მაცოცხლებელ მდინარესაც ჩვენი წინაპრები ადრითვე იცნობდნენ. ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებში, როგორც ვიცით, დაცულია ვოლგის მეორე სახელი, რომელიც განეკუთვნება ამ მდინარის ტოპონიმიკური აღნიშვნის აღმოსავლურ, თურქულ ტრადიციას. ეს არის „ედილი". ჯერ კიდევ შავთელთან ჩანს გამოყენებული ეს სახელი („აბდულ-მესია". 56, 4. 1). ხოლო იმავე ხანაში, ჩახრუხაძესთან, ნახმარია სახელის მეორე ფორმა „ატალა" („თამარიანი", VI, 9, 1)[5]. ჩახრუხაძის ნაწარმოებში ატალა ასრულებს საკომუნიკაციო დანიშნულებას. იქ, ერთი ვიღაც მოგზაური პოეტის შესახებ ნათქვამია:

---

[3] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 352.

[4] მდ. თერგზე, 1588 წლიდან გადაადგილებული მდ. თერგის შესართაულისკენ, მდ. ტიუმენის შესართავთან.

[5] ნ. მარის გამოცემა: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, სპბ., 1902; იქვე იხ. „ნასესხებ სიტყვათა" ძარეული განძარტება (ვ. ვ. რადლოვის ლექსიკონის საფუძველზე); გვ. რნე. სიტყვასთან ედილი, და აგრეთვე გვ. რგე, სიტყვასთან ატალა.

ატალას მოჰყვის, ქვეყანა მოსცვის,
არ ვისი ჰქონდის შესაუარი,
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც ჩაჰყვის,
ზღვის პირით ჰქროდის ტაროსით ქარი.

აქვე ბოვიყვანოთ გვიანდელი წარმოშობის ორიოდე ცნობა იმის საილუსტრაციოდ, რომ, საერთოდ, ვოლგა-ედილზე განლაგებული დიდებული ქალაქები არაერთხელ ჩნდებიან, როგორც სამარშრუტო პუნქტები ჩვენი ქვეყნის თავგადასავალში. ქართველი ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე დაახლოებით ასე ხაზავს ვა-



ასტრახნის კრემლის მიძინების ტაძარი (XVIII ს. დამდ.)

ხტანგ VI-ისა და მისი მხლებლების 1724 წ. მოგზაურობის მიმართულებას საქართველოდან რუსეთს: რაჭის გადალმა—ჩერქეზის ქვეყანა; იქით მათ „მოეგება ნოღა და კალმუხი და ყაზახი“, და ასე „ჩაიარე[ს] დაღისტნის პირი და სოლაღის სიახლოეს“ გაჩნდნენ. სოლაღიდან (სულაკი). სადაც ერთი თვე დაჰყვეს, „ხომალდით“ მიაშურეს „აშტრახანს“. ზღვა გადალახეს „ერთსა დღესა და ღამესა“, მაგრამ „ავის ქარისაგან“ დაბრკოლდნენ და „ედილში“, უნდა ვივარაუდოთ, ვოლგის დელტაში, 27 დღე დაყოვნდნენ, სანამ ასტრახნის ზღუდეებს მიაღწევდნენ. შემდეგ „აშტრახნიდან“ გასულნი, ათი დღის თავზე მიადგნენ ცარიცინს[6]. ამ წყაროში არ აღნიშნულა, ცარიცინს იქით მოსკოვის გზაზე რა პუნქტები გაიარეს. როგორც ჩანს, დავით გურამიშვილსაც ამ მარშრუტით უმგზავრია რუსეთისკენ: „თერგიდამე სოლაღს... სოლაღიდამ აშტრახანსა; მუნით მოსკოს“[7] ...გურამიშვილს ზოგადად აქვს აღნიშნული პეტერბურგიდან უკუქცეული ვახ-

[6] ს. ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, გამოც. ხ. პიპინაძის, ტფ., 1903, გვ. 38—39.
[7] „დავითიანი“, თბ., 1955, 94, 475, 2—3.

ტანგ VI-ის და მის მხლებელთა მარშრუტიც: „პეტრებუხი"—„მოსკო". ხოლო აქედან „ედილისა წყალს" დაჰყოლიან და ასე მოღწეულან კასპიის „ზღვათა ბაგემდის"

ნათქვამიდანაც ჩანს, თუ რა აუცილებლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული (სარკინიგზო ტრანსპორტის შექმნამდე), რომ ვოლგის სანაპირო ქალაქები და პირველ რიგში — მათგან უდიდესნი, თავის ადგილს იკავებენ საქართველოს ისტორიაში, ისე როგორც კავკასიის სხვა ხალხთა ცხოვრებაშიც. აქ ჩვენი თავდაჭერილად გამოვლენილი განზრახვაა — გამოვაცოცხლოთ ზოგი ფაქტი აღნიშნულ ურთიერთობათა; ზოგი ცნობა იმ დიდ მდინარესთან, იმ დიდ ქალაქებთან დაკავშირებით; ზოგი ხაზი და ნაკლები იმ შესანიშნავ ადგილებში ქართველ მოღვაწეთა ნაკვალევისა ისე, რომ ჩვენ მიერ აქ შემოტანილი მასალა წაადგეს მკვლევარს, რომელიც განიზრახავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარება, ასე ვთქვათ, ვოლგისპირეთის მარშრუტითაც განჭვრიტოს.

აღებულ ხაზზე ჩვენი საისტორიო ინტერესების თვალსაზრისით მთავარს აქ ასტრახანი წარმოადგენს, ეს დიდი საკონტროლო სადგური სამხრეთიდან მიმართულ რუსეთის გზაზე. ქალაქი ასტრახანი, რომლის „ქონგურებიდან" მომარკვეული იყო კავკასიის და, მისი მეშვეობით, მომიჯნავე აღმოსავლურ ქვეყნებზე თვალის ჭერა. კიდეც ახორციელებდა გარკვეულ აგენტურას. იგი კისრულობდა ვაჭრებისა და საქონლის მოძრაობის რეგულირებას, საერთოდ. ამ გზაზე მოძრაობის კონტროლს და ხელმძღვანელობას. ამ მხრივ დამახასიათებელია 1586 წ. საბუთში ირიბი გზით დამოწმებული „ნება" რუსთა მეფისა (თეოდორე ივანეს ძისა)—საშამხლოდან, საქართველოდან, ირანიდან ვაჭრებს თავიანთი საქონლით ასტრახანში ედინათ, რადგან „მოსვლა და წასვლა და ვაჭრობა ასტრახანს არის ნაბრძანები" (ტექსტის ენით: „Приезд и отъезд и торг в Астрахани повелен")[8]. ამას ერთვოდა „გზების გაკეთების". საქართველოს მიწა-ადგილების გაცნობის („какова земля") შესახები ზრუნვა ასტრახანის ხელისუფალთა[9]. ასეთი როლი ასტრახნისა, როგორც ვიცით, კიდევ უფრო მკაფიოდ იხატება მერმინდელ ხანაში. ცნობილია, თუ რა მისია ჰქონდა პეტრეს მხრივ დაკისრებული ასტრახნის გუბერნატორს ვოლინსკის. ეს იყო ირანის პროვინციების ავ-კარგის საიდუმლო წესით კვლევა. ქართლისა და კახეთის მეფეთა (ვახტანგ VI და კონსტანტინე) რუსეთის მხარეზე გადაბირება, საერთოდ, ირანზე სალაშქროდ ნიადაგის შემზადება[10]. ასეთ ამოცანებს ემსახურებოდა, მაგალითად, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში დაბეჭდილი ი.-გ. გერბერის წიგნი (და სათანადო რუკაც): „ცნობა („Известие") კასპიის ზღვის დასავლეთი მხრივ, ასტრახანსა და მდ. მტკვარს შუა მობინადრე ხალხების და მიწა-წყლისა და მათი მდგომარეობის შესახებ 1728 წელს"[11].

მაშასადამე, როგორ იქნებოდა — ასეთ ურთიერთობაში წელთა მანძილზე მნიშვნელოვანი, შინაარსით მრავალფეროვანი საქართველოს შესახები მასალა არ გაჩენილიყო ქალაქ ასტრახანში. ამიტომ ბუნებრივია, რომ როცა ჩვენ ასტ-

---

[8] მ.ა. პოლიევქტოვი, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640, Тфл., 1937, გვ. XIII, შენ. 1.


[9] С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом (Чтения в Обществе истории и древностей российских, 1888, III, М., 1889), ნაკვ. I, 1578—1613 წწ., გვ. XCIV.

[10] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ნაწ. I, სპბ, 1869, გვ. 6.

[11] სპბ., 1760.—ამ წიგნზე მითითება იხ. პოლიევქტოვი, Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, გვ. 112, ტფ., 1935.

რახანში აღმოჩნდით, განვიზრახეთ ამჯერად — თუნდაც ზერელედ მოგვეხილა, წინასწარი დათვალიერების რიგით, რას წარმოადგენდა ის მასალა, საგულვებელი ნაშთი-ნატამალი ქართველ მოღვაწეთა იქ. ასტრახანში, საქმიანობისა თუ ცხოვრებისა.

ასტრახნის საოლქო არქივში დაცულ „საქმეებს“ შორის სანიმუშოდ რამდენიმე გამოვარჩიეთ. შევსიშნეთ მათი თარიღები — 1724, 1726, 1727 და ზოგი სხვა წელი. ბუნებრივია, რომ ასე დათარიღებული საქართველოს შესახები საქმეები ძირითადად დაკავშირებული აღმოჩნდა ვახტანგ VI-ის მეთაურობით რუსეთს გადასახლებულ ქართველთა ცხოვრებასთან, ჩრდილოეთის ქართული კოლონიების ისტორიასთან. ისინი ნაწერია პალეოგრაფიულადაც საინტერესო რუსული სამდივანმწიგნობრო ხელით, ხოლო აქა-იქ ახლავთ ქართული გაკრული ხელრთვა (სურ.). ამჟამად, ამ სტატიის წერისას, ჩვენს განკარგულებაშია



სულ, ფოტოპირების სახით, ფონდი 394-ის 126-ე, 136-ე და 163-ე საქმეებიდან ამოღებული 21 ფურცელი (თითო გვერდი მეტ-ნაკლები სისრულით შეიცავს 30 სტრიქონს), ხოლო ამ ფურცელთაგან 12 ფურცელს მხოლოდ წინა გვერდი (ა) აქვს ტექსტით შევსებული. დოკუმენტური მასალა, რომელიც ამრიგად იქერს 30 გვერდს, წარმოდგენილია ცალკეული არზების (თხოვნაც, საჩივარიც), მოხსენებითი ბარათების, სხვადასხვა საბაბით აღთვალულ „პერსონათა“ ნუსხების სახით.

ამ მასალის გააზრება, ცხადია, ხერხდება რუსეთში მაშინ ჩასახლებულ ქართველთა იქაური თავგადასავლის საერთო ფონზე. ცნობილია, რომ ვახტანგის მეთაურობით ქართველთა ჩრდილოეთში გასვლის უშუალო საბაბი გახდა თურქების მიერ ქართლ-კახეთის ოკუპაცია (1723 წ.), რასაც მოჰყვა რუსეთის დიპლომატიის მხრივ სულთნის მთავრობასთან კომპრომისული ტრაქტატის დადება (1724 წ. 12 ივნ.), რომლის ძალით კასპიისპირეთი (დარუბანდ-ბაქო-გილანი) უმტკიცდებოდა რუსეთს[12], ხოლო თურქეთს „სამუქფოდ“ ამისა — ირანის „სამფლობელოები“ კავკასიაში და მათ შედგენილობაში — ქართლ-კახეთის სამეფოებიც განჯა-ყარაბაღით. ისე რომ, მაშინ დაბეჩავებული ირანი კავკასიის პოლიტიკურ სათვალავში თითქოს აღარ შედიოდა, ხოლო დაკმაყოფილებული თურქეთი — უვნებელი უნდა გამხდარიყო რუსეთისათვის შავი ზღვისა და დუნაის არეებში. ამ ვითარებაში ვახტანგს თავისი პოლიტიკური, დიპლომატიური

12 რუსეთის უფლება ამ ტერიტორიულ შენაძენზე ჯერ თვითონ დამარცხებულმა ირანმა აღიარა პეტერბურგის 1723 წ. ხელშეკრულების საფუძველზე.

მოღვაწეობა გადააქვს რუსეთის სატახტო ქალაქებში (მოსკოვი, პეტერბურგი), ისახავს რა მიზნად, ვისაც ჯერ არს შესწორება შეატანინოს აღნიშნულ ტრაქტატში საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლების მიზნით.

ვახტანგის და მის თანამოღვაწეთა ამ მიმართულებით მუშაობას დიდი ისტორია აქვს[13]. ამ ისტორიაში მკვეთრად გაირჩევა მაშინდელი დიპლომატიის, სამხედრო-პოლიტიკური გეგმების, რუსეთისა და კავკასიის ხალხთა ურთიერთდამოკიდებულებისა და სხვა რთული საკითხების სიცხოველე. მაგრამ აღნიშნული ისტორიის ფურცლებზე წლების მანძილზე ისახებოდა ადამიანთა ჯგუფებისა და ცალკეულ მოღვაწეთა შინაგანი, ინტიმური ცხოვრების საგულისხმო მოძენტებიც. წინამდებარე წერილში შემოტანილმა ჩვენმა ასტრახნის დოკუმენტურმა მასალამ უფრო ამ მხრივ უნდა მიიქციოს მკითხველის ყურადღება.

ჩვენს მასალაში წარმოდგენილი არზები, მოხსენებითი ბარათები თუ თხოვნები მიმართულია ხან უშუალოდ „მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის“ კარისაკენ, ხან „მათის მეფობითი უმაღლესობის“ (ვახტანგ VI-ის) სახელზე და ტრიალებს ცენტრალურ დაწესებულებებში — „სინოდალური სამმართველოს ეკონომიის კოლეგიაში“, „უმაღლეს საიდუმლო საბჭოში“, „ასტრახნის საგუბერნიო კანცელარიაში“. ასტრახნის გუბერნატორად ჩვენც მასალაში ყოველთვის იხსენიება გენ.-მ. ფონ მენგდენი.

ჩვენს განკარგულებაში მობვედრილი ასტრახნული საბუთები იმის საფუძველსაც იძლევა, რომ დავინახოთ გადმახლებულ ქართველთა ყოველდღიური ცხოვრების თუ გადაადგილების მაკანტროლებელი ცენტრის არსებობის ფაქტი მოსკოვს, „მათი უმაღლესობის ქართველთ მეფის კარზე“, ე. ი. ვახტანგ მეფის რეზიდენციაში (ს. ვესესვიატსკოეში?). მის შემადგენლობაში საგულვებელი არიან ჩვენ საბუთებში მოხსენებული „ქართველთ მეფის ძე ბაქარ ვახტანგის ძე“ (ფ. 12 ა), „ქართველთ მეფის ძე სემიონ“ (რუსული მისი ხელრთვა ფ. 278 ა), ქართული მისი ხელრთვით — სვიმონ (ფ. 378 ა), „ქართველთ მეფის ვახტანგის“ სახლთუხუცესი („дворецкий“) თავადი ელიზბარ ორბელიანი („არბელოვი“, ფ. 1 ა, 3 ა, 9 ა). მეფის კარზე მიჩენილი ყოფილა რუს ხელმწიფის რწმუნებულად (1729 წ. მაინც) პოდპოლკ. აქსაკოვი (ფ. 225 ა-ბ). საქმე მრავალგვარი იყო: გადმოსახლებულთა ნივთიერ მდგომარეობაზე ზრუნვა, გადაადგილებისათვის (მაგ. საქართველოში წამავალთა) საჭირო პასპორტების გამოთხოვნა სამხედრო-პოლიტიკური ამბების ყურისგდება და ა. შ. მათი კავშირგაბმულობა მოიცავს დარუბანდსაც, წ. ჯვრის ციხესაც, ბაქოს, გილანს და ა. შ.

1729 წ. (ან უფრო ადრე) სინოდში შესულა ვახტანგ მეფისა და ცალკე — მისი სახლთუხუცესის ელიზბარ ორბელიანის მოხსენება-რეკომენდაციები იმ ქართველ სამღვდელოთა შესახებ, რომელნიც ასტრახანსა და წ. ჯვრის ციხეში „განიცდიდნენ უდიდეს გაჭირვებას“, უჯამაგიროდ დარჩენილნი (საქ.. 162, ფ. 225 ა-ბ, 226 ა; 1729 წ. მაისის 12). საბუთში ჩვენს ყურადღებას იპყრობს შითითება იმპერატორის „გასულ, [1]728 წლის ივნისის 19-ის ბრძანებაზე“, რომელიც შეიცავდა ქართველ სასულიერო პირთა საშტატო უზრუნველყოფის ღო-

[13] გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური მოღვაწეობა 1725—1737 წლებში, „ცისკარი“, № 5, 1964, გვ. 104 და შმდ.

ნისძიებებს[14]. ასეთი ყურადღება, ცხადია, გამოწვეული იყო იმის გადაუდებელი საჭიროებით, რომ ეკლესიის ქართველ მსახურთაც გასაქანი მისცემოდათ მაშინ ახლად დაპყრობილი (1723 წლიდან) კასპიისპირეთის ათვისების რთულ საქმეში. ვასაძლისი ჰქონოდათ ასტრახანსა და ზღვისპირეთის ციხე-ქალაქებში ამ ადგილებიდან სამისიონერო მოღვაწეობის გასაშლელად, საერთოდ, იმპერიის სამსახურში თავის დასადებად. ასე ებმებოდა მაშინ თავი მერმინდელი, ე. წ. საოსეთო კომისიის (Осетинская комиссия) მისიონერულ მოღვაწეობასაც კავკასიაში (1752 წლიდან, ქართველი არქიმანდრიტის პახომის მეთაურობით). ვახტანგის მოხსენების საპასუხოდ, სინოდს გაუნაღდებია იმპერატორის ბრძანება, და ამრიგად, ქართველ სამღვდელოებს ჯამაგირები დაენიშნათ: არქიეპისკოპოსებს ნიკოლოზს (ასტრახანში) და არსენის (წ. ჯვრის ციხეში) — 150 მ. თითოს; ნიკოლოზთან მყოფ ოთხ იღუმენს: ნიკოლოზს, ათანასეს, იოსებს და გრიგოლს და მათთანვე მყოფ სამ დიაკონს — 50 მ. თითო იღუმენს და 15 მ.—თითო დიაკონს; არსენისთან მყოფ მღვდელს („поп") — 25 მ. ვახტანგის მოთხოვნით, თანხა მოსკოვიდან აღნიშნულ ადგილებში გადასაგზავნად უნდა ჩაებარებინათ პოდ. აქსაკოვისთვის, ხოლო ამ თანხიდან შემთხვევით გადარჩენილი ფული უნდა მოხმარებოდა „აქვე მოსკოვს" მყოფ ქართველ სამღვდელოებს.

ვახტანგის განცხადებაში მოტანილი ცნობების დამატებად გვესახება ჩვენ მეორე საბუთი (ფ. 278 ბ). რომელიც შეიცავს სვიმონის მიერ წარდგენილ ნუსხას. გრაფებად დაყოფილს, და მოთელის სასულიერო პირებს, რომელნიც 1729 წ. ივნისის 20-სთვის იმყოფებოდნენ ქ. ასტრახანს ან გარდაცვლილან იქ; რომელნიც ჩასულან (1728—1729 წ.) ასტრახანს საქართველოდან ან მოსკოვიდან; რომელნიც იმყოფებოდნენ წ. ჯვრის ციხეში. ყველანი ისინი შეადგენდნენ 13 კაცს.

ყოველივე ამას საფუძველი გვაქვს შევხედოთ, როგორც მეტ-ნაკლებად ორგანიზებულ, მიზანდასახულ ცდებს ქართველთა ცოცხალი ძალების შენახვა-გამოყენებისას. მაგრამ შექმნილ ვითარებაში ფართო სარბიელი რჩებოდა თავის დასარჩენად საჭირო კერძო თაოსნობასაც, იყო ეს ნაკარნახევი მოცემულ პირთა საქმიანობით თუ საქმოსნობით (იხ. ქვემოთ).

ჩვენს საბუთებში ზოგი ასახავს ვახტანგის, მისი მოსკოვური კარის პოლიტიკური საქმიანობის ეპიზოდებს, ცალკეულ შემთხვევებს კავკასიის, კერძოდ სომხეთის, უაბარდოს თავკაცებთან მისი უწყვეტელი ურთიერთობის ისტორიიდან.

როგორც ვიცით, კასპიისპირეთის რუსი მხედრობისაგან დაჭერის შემდეგ, საქართველოს და სომხეთის მესვეურთ გულდასაწყვეტ და ძნელად გადასაწყვეტ საკითხად რჩებოდათ თურქთა მძლავრობა, მათი ჩადგომა ქართლ-კახეთშიც, ამიერკავკასიის სასომხეთოშიც. საგულისხმოა, რომ ჩრდილოეთში თავშეფარებული ვახტანგი ინარჩუნებს თავის ავტორიტეტს კავკასიის თაყისუფლებისათვის აქტიურად მებრძოლ წრეებში. ჩვენ მასალებში დაცულია სომეხ უზბაშთა-ვან რუსეთს გაგზავნილი წერილები, ერთი — თვითონ ვახტანგის სახელზე, მეორე — ბაქარ ვახტანგის ძის მისამართით. ორივე — ერთი შინაარსის. აქ საქმე ეხება განჯა-ყარაბაღის მოსახლეობის, მისი ხელმძღვანელობის მტკიცედ დარაზმულობას და გადაწყვეტილებას — გაუმაგრდნენ თურქებს, „არც ერთი სული" კაცი მათ არ წარატაცებინონ. ადრესატებს აუწყებენ, რომ ურყევია შე-

[14] ამ ბრძანების შესახებ, შიგ გათვალისწინებული საშტატო ერთეულების და ჯამაგირების ჩვენებით, იხ. П. Г. Бутков, დასახ. შრ., ტ. I, გვ. 65—66.

იარაღებულთა გამაგრებული ბანაკები — „სიღნაღები“ („Сагинаг“)[15], იქ მათი ჯარების თავყრილობა, რომელთაც მეთაურობენ უზბაშები, ანუ „ასისთავები“ (მოთვლილია ექვსი უზბაშის სახელი). ამათ მოუხერხებიათ და ბაქოდან რუსეთში წერილები გაუგზავნიათ.

ვახტანგს და ცალკე — ბაქარს მებრძოლნი სთხოვენ — უშუამდგომლონ სომხებს ხელმწიფის წინაშე დახმარების დასაჩქარებლად. ამავე შინაარსის ბარათი თავის დროზე გამოაქვეყნა გ. ეზოვმა[16]. მაგრამ ჩვენ მასალას ის უპირატესობა რჩება, რომ შიგ ადრესატებად გამოდიან რუსეთს გადასახლებული ქართლის სამეფოს ხელისუფალნი, რასაც გარკვეული სინათლე შეაქვს მათ საქმეთა მსვლელობის გაგებაში, კავკასიის მოძმე ხალხთა (ჩვენს შემთხვევაში — სომეხთა და ქართველთა) იმდროინდელ უშუალო სათანამშრომლო ურთიერთობაში.

„ქართველთა მეფის ვახტანგის“ და მისი „საბლთუხუცესის“ ელიზბარ ორბელიანის მოხსენების (რომელი მოხსენებაც ჩვენ აქ არ გვაქვს) საპასუხოდ მოსული იმპერატორის ბრძანების თანახმად, ასტრახანის გუბერნატორი ფონ მენგდენი, 1726 წლის აგვისტოს 7-ს, იძლევა განკარგულებას, გაიცეს პასპორტი „ჩერქეზთ მფლობელის თავადი ადილ-გირეის“ სახელზე (დედანში: ალდიგირეი); ეს ჩერქეზთ-ბატონი (მცირე ყაბარდოს მფლობელის ძმა და არა, ვფიქრობთ, თვითონ „მფლობელი“), გვარად ბაყიშვილი (ჩვენი ვარაუდით იგივე „Бекович“ — Бек-ов-ич), ვახტანგის ამალას გაჰყოლია რუსეთს (ბაყიშვილის შესახებ იხ. ბროსეს გამოც.: Переписка, на иностранных языках, Грузинских царей с российск. государями, СПб., 1861, გვ. 162). იყო ვახტანგის ცოლისძმა, ძმა რუსუდან დედოფლისა[17]. იგი, აღნიშნულია ფონ მენგდენის ბრძანებაში, „მიემგზავრება მისგან... („отправляется от него царя Вахтанга“) ამხანაგებით, ოცი კაცით, სამშობლოში“ (საქ. 126, ფ. 1 ა). იგინი უნდა წასულიყვნენ „ხმელი გზით“; მათ „ყაზახთა გრებნების დაბებამდე“[18] მიაცილებდ-

---

[15] ფონდი 394, აღწ. 1, საქ. 163, ფ. 11 (ა და ბ); ფ. 12 (ა და ბ); ფ. 13 (ა და ბ). აქ ადრესატები (რუს ხელისუფალთა ჩათვლით) სხვადასხვა არიან, ტექსტები — ერთი შინაარსის.

[16] Г. А. Эзов, Сношения Петра с армянским народом. Документы. სპბ., 1898, სპბ. № 297, გვ. 442—443, სომხური დედანი. სპბ. № 296, გვ. 442.—ეზოვის საბუთში (1729 წ. თებერვ.) ადრესატად იგულისხმება პეტრე II. სხვათა შორის, აქაც და სხვაგანაც. ეზოვის საბუთებში, საჭირო სიზუსტით არაა გადმოცემული „სიღნაღის“ („сагинак“, სომხ. ტრანსკრიფციით „ագնաղ“ გვ. 427) ბნიშნებლობა, რამდენადაც იგი გაიგივებულია „собрание“-სთან („в армянском Сагнаге“, ეზოვის გლოსით—„спречь в собрании“). გვ. 443, 444. 446—447, და სხვ. ნამდვილად კი „სიღნაღი“ თურქ. sığınak (ğ) არის „თავშესაფარი“ Д. Л. Магазаник, Тур.-русск. словарь, s. v.; М., 1945: „მცირე ციხე“, Лазарь Будагов, Сравнит. словарь турецко-татарских наречий, I (სპბ., 1869). გვ. 700, s. v. сыгмак; „ქართ. განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. VI, გვ. 1092, s. v. სიღნაღი. „სიღნახები... ირგვლივ, წყლით სავსე ღრმა თხრილებით იყო გარშემოვლებული“ (ს. ჯაჯანიძე, საქართველოს ისტორია, ტფ., 1922, გვ. 52), მსგავსად, დავქონთ ჩვენ, რუსული „სტანიცებისა“. Бутков, დასახ. ნაშრ., I, გვ. 78.

[17] Bulletin historico-philologique de l'Académie de S.-Pétersbourg, ტ. III (1847), № 23, 24, სვეტი 363. აღნიშნულ №-ში წარმოდგენილია მ. ბროსეს შრომა და იქ ვახტანგთან ერთად გადასახლებულ ქართველთა ნუსხა (გვ. 362—363). ასეთივე ნუსხა ბროსეს დაბეჭდა აგრეთვე 1856 წ. იხ. მისი გამოც.: Histoire de la Géorgie, ნაწ. II, ნაკვ. 1, გვ. 596—598.

[18] დედანში: „до казачьих гребенских городков“, რომელნიც, დავქონთ ჩვენ, 1712 წლიდან განლაგებული ყოფილან თერგის მარცხენა სანაპიროზე, სადაც აღმოცენდა ციხე-სიმაგრე თერგა და მერმე ყიზლარ-მოზდოკის თავდაცვითი ხაზიც.

ნენ „ასტრახნელი ცხენოსანი თათრები“, და ა. შ. ვახტანგი, რომელმაც 1715—1726 წლების მეტი ნაწილი დაჰყო მოსკოვ-პეტერბურგში, საბუთში აღნიშნულ დროს ჩვენ უკვე გვეგულება, იქიდან უკუქცეული. ქ. ასტრახანში. რადგან მას, რუსეთის ხელისუფლებათან მოლაპარაკების შედეგად, ნაკისრი ჰქონდა კავკასიაში ომების განვითარების თვალყურის დევნება, ამიტომ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ვახტანგი ადილ-გირეის გზავნიდა იქნებ სამხედრო სადაზვერვო დავალებებით.

პასპორტი დასჭირვებია მეფის ძეს სვიმონსაც მისი სახლობის წევრთა. „მისი კარის“ სხვადასხვა რანგის თავადაზნაურთა და მსახურთა „ასტრახნიდან მოსკოვს“ გასაყვანად, რასაც მოწმობს მისი 1729 წლის აგვისტოს 19-ის არზა (ფ. 378 ა). არზაში იგი აღნიშნავს, რომ ვლად ქ. ცარიცინში შესასვლელი „გარკვეული საზვერე“ („определенной при Царицине заставы“) არ აქვს დანიშნული. ამას მოსდევს „რეესტრი“ გასაყვან პირთა, რიცხვით 256 სულისა (ნუსხას უპირავს ფურცლები: 378 ბ, 380 ა-ბ, 381 ა-ბ).

ეს საბუთი ადასტურებს, რომ ვახტანგ მეფის მეთაურობით 1724 წ. რუსეთის საზღვრებში შესული ქართველთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები (1200-ზე მეტი სული) ნაწილ-ნაწილ სხვადასხვა დროს ახერხებდნენ ასტრახნიდან მოსკოვისკენ გზის გაგრძელებას. კერძოდ ჩვენი „რეესტრი“ თითქოს ამტკიცებს სეხნია ჩხეიძის ცნობას, რომ 1725 წ. სვიმონ ბაგრატიონი მაშინ ასტრახნიდან მოსკოვს გამგზავრებულ ვახტანგ მეფეს ასტრახანში ჩამორჩა[19]. „რეესტრის“ მიხედვითაც. სვიმონი მხოლოდ „ახლა“, 1729 წ., ემზადება იქით სამგზავროდ ან იქნებ, მსგავსად ვახტანგ ამილახვრისა, სვიმონი 1729 წლის აგვისტოში უკვე მეორედ ადგება მოსკოვ-პეტერბურგის გზას. ვახტანგ ამილახვარი, რომელიც ქვემოთაც იხსენიება ერთი არზის ავტორად, ჩვენ „რეესტრში“ აღრიცხულია, როგორც „გენერალი ამილახვარი ვახტანგოვი“ („Вахтанговъ“, ფ. 3802). ვახტანგ VI-ისეულ 1724 წლის ორენოვან ნუსხაში ეგეევე, როგორც საფიქრებელია, ამილახვარი დარეგისტრირებულია ასე: „მემარჯვენე ზემო ქართლის სრული სარდალი (რუს. ტექსტში: „полный генерал“) თავადი ვახტანგ ავთანდილის შვილი ამილახორი“[20]. ჩვენი საბუთის „ვახტანგოვი“ ნამდვილად რომ ამილახორი „ვახტანგი“-ა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ორივე ამილახვრის ცოლად, ორივე ნუსხაში, დასახელებულია „ელენე“ და მათ ასულადაც — „ანნა“. არ უნდა იყოს საეჭვო, რომ სენხია ჩხეიძის „ამილახვარი ვახტანგიც“ იგივე ჩვენი „სრული სარდალია“: ჩხეიძის ცნობით, ვახტანგ მეფეს როდესაც, რუსეთის გზაზე დამდგარს, სოლაღამდე ჩაუწევია (თითქმის ზედმიწევნულად გაბოდის: 1724 წ. სექტემბერი), აქედან პეტრესთან მოციქულად მიუვლენია „ამილახვარი ვახტანგ“. ამ დროისათვის ის 1724 წლის ნუსხა, რომელშიც აღრიცხულია ამილახვარი ვახტანგი, უკვე (17 აგვისტოსთვის) შედგენილი ჩანს[21]. ვახტანგ მეფის ასტრახანს ჩასვლის თვეში (1724 წ. ნოემბერი) „ამილახვარი ვახტანგ“ კიდეც დაბრუნდა (მოსკოვიდან ან პეტერბურგიდან) იმ ცნობის მომტანი. რომ პეტრე „იბარებდა“ ვახტანგ მეფეს თავისთან. ამის პასუხად „წაბძანდა მეფე“

---

[19] დაწვრილებით იხ. აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველი“, ტ. III, გვ. 48—49.

[20] გ. პაიკაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 207.

[21] „მიმომხილველი“, III, გვ. 48.

და ა. შ.[22] ჩანს, 1729 წლის აგვისტოში შედგენილ „რეესტრში“ იგივე ამილახორი შეუტანიათ როგორც წევრი, რომელსაც კვლავ პირი უქნია მოსკოვისაკენ.

საერთოდ, ასტრახანის „რეესტრი“ (და ვინძლო კვლავ გამოსაკვლევებელი სხვა მისთანა ნუსხები) თავის ადგილს დაიჭერს გადასახლებულთა იმ სხვადასხვა დროს შედგენილი ნუსხების გვერდით, რომელნიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ არიან გამოქვეყნებული — ბროსეს მიერ[23] და ახლა—გ. პაიჭაძის მიერ[24].

ასტრახანის საბუთებში ზოგს უფრო კერძოობითი ხასიათი აქვს. არქიმანდრიტი არსენის 1729 წ. მაისის 9-ის არზა (საქ. 162, ფ. 147 ა-ბ) მოწმობს, რომ არსენი ჯერ 1724 წ. ვახტანგ VI-ს მიუვლენია „მოსკოვს“ იმპერატორთან (იგულისხმება: პეტრე I-თან) გადასაცემი „წერილებით“. ასტრახანის საგუბერნიო კანცელარიას„ არსენის იქ ჩასვლის დროიდანვე, უზრუნველუყვია არსენიც და მისი თანმხლები პირნიც, აზნაური და „მსახური“ სარჩოთი. („корковые деньги“), ძველქართულად — როჭიკით. ეძლეოდათ რა „დღიური“ არსენის—რვა ალთუნი და ორი დანგი[25], აზნაურს — 10 კაპ., მსახურს—3 კ., რაც შეადგენს 38 კაპიკს. ახლა კი, 1729 წელს, არსენი, ისევ ორი მხლებლით მეორე გზობად ჩასული ასტრახანს, პეტრე II-თან მივლენილი „უსაჭიროესი წერილებით“ ქართველ კნიაზ ერისთავ შანშე დავითის ძის სახელით (შანშე II, 1718—1741, ქსნის ერისთავი[26]), საგონებელში ჩავარდნილა. ალბათ როჭიკის საქმე ასტრახნის საგუბერნიო კანცელარიაში ვერ მოუგვარებია და იძულებული გამხდარა თვითონ იმპერატორს შევედრებოდა — ახლაც არ მოეკლოთ მისთვის ფულადი როჭიკი, რათა მოსკოვის საშვის მოლოდინში „შიმშილით სიკვდილი“ აცვცდესო. ჩანს, ნავარაუდევი ჰქონიათ, რომ პეტრე II-ს ფულის გასაცემად წააქეზებდა დიდი პეტრეს ქართველთ შემწყნარებლობის მაგალითი.

ამავე დროის (1729 წ. 20 ივნ.) არზა არქიმანდრიტ რომანოზისა (საქ. 162, ფ. 288 ა) პეტრე II-ის მისამართით ისევ როჭიკის საქმეს ეხება. რომანოზი. არზის ცნობებით, 1728 წ. ყოფილა მივლენილი, მხლებელი პირებით, რუსეთს „უსაჭიროესი წერილებით“ იმპერატორთან. იგი ასტრახანში, როგორც იტყვიან ხოლმე, დაუკავებიათ. მივლენილებს ტანიც შემოჰხევიათ და სარჩოც არ ჰქონიათ. სამღვდელთმსახურო შესამოსლებიც დაუგირავებიათ, ბოლო „სხვა რამეები“ „მუქთ ფასებში“ გაუყიდიათ რომანოზის წინანდელი არზის (იგი ჩვენს ხელში არაა) დასაკმაყოფილებლად მთავრობას გაუღია, ჩვენი არზის დაწერის თვეში (1729 წ. ივნისი), ამ უკანასკნელი თვის ხარჯის დასაფარავად 11 მან. 10 კაპ. ახლა რომანოზი ითხოვს გაელილი თვეების ხარჯის ანაზღაურებას. თუ რომანოზს საქართველოდან მოჰყვა, როგორც ზემოთ აღნიშნულ არქიმანდრიტ არსენის, ორი კაცი (ამ უკანასკნელი სამის „დღიური“ კი შეადგენდა 38 კაპიკს), მაშინ მივიღებთ ორივე მისიის სარჩოს თანაბარ განაკვეთს (11 მ. 10 კ. :30). მაგ-

---

22 სვანია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ვახტანგ ჩებინაშვილისა, გვ. 333 (სპბ., 1854).

23 იხ. ზემოთ, გვ. 351. შენ. 17.

24 დასახ. შრ., გვ. 206—233.

25 საბუთის 3-კაპიკიან алтын-ს წინამდებარე წერილში შეესატყვისება „ალთუნი“, კაპიკიან деньга-ს—დანგი.

26 ამ შანშეს გენეალოგია იხ. ქრონიკები და სხვ. შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, გვ. 29.

რამ. ჩანს, რომანოზის მდგომარეობა უმძიმესი ყოფილა, ვიდრე არსენის, რადგან მას, არზის წერის დროს მაინც, ოთხი კაცი ჰყოლია და არა ორი. საერთოდ, მკითხველს თვალში ხვდება ის მსხვერპლი, რომელიც უნდა გაეღოთ ამ რომანოზებს, არსენებს, უსახსრობის გამო, დაკისრებული მძიმე მისიის შესასრულებლად.

აღნიშნული საარქივო საქმის ზოგი სხვა მონაცემები ავსებს განსახილველი არზის ცნობებს. ამ არზის შეფასებას შეიცავს ფ. 289 ა. აქედან ირკვევა, რომ რომანოზი მიუღენიათ „არაგვის ერისთავს (ალბათ თეიმურაზ ერისთავს, 1723—1728)[27] და სხვა ქართველ თავადებს", და ასტრახანს ჩასულა 1728 წლის ზ ივნისს. რომანოზი ერთ საბუთზე ხელს აწერს ასეთი წესით (ქართული ანბანით): „ვიშე ფისანაი. იეღო იმპერატორსკაღო ველიჩესთვა უკაზ. არქიმანდრიტ რამანოზ ერისთავ: სლიშალ ი პატფისალსა" (ფ. 346 ბ). ასე ცხადი ხდება, რომ „...ერისთავი" რომანოზი არის იმ ოთარ არაგვის ერისთვის ძმა[28], რომელიც 1724 წლის ნოემბერში რუსეთს გადასახლებული, წერილს წერს ჩვენს რომანოზს (მაშინაც რუსეთში, ალბათ ასტრახანში, მყოფს). ეს წერილი გამოქვეყნებულია აკად. მ. ბროსეს მიერ[29]. ვფიქრობთ, ეს ის რომანოზია, რომელსაც აკად. კ. კეკელიძე[30] იცნობს, როგორც ქართული ლიტერატურის მოღვაწეს, რუსეთში მცხოვრებ რომანოზ მიტროპოლიტს, გიორგის ძეს.

კასპიისპირეთის, სამხრეთის მხარეთა დაპყრობა-ათვისებისათვის ბრძოლა, მაშინ იქ წარმოდგენილ მკვიდრთა თუ გარედან ჩათესლებულთა შევიწროება, მიწევ-მოწევა, დათრგუნვა, გაძევება — ეს მიმდინარე პროცესები დიდ სარბიელს უქმნიდა ყოველგვარ თაოსნობას, ბედის მაძიებლობას, მიმხვეჭელობას, რისი კვალი ჩვენს მასალაშიც ჩანს.

ერთი საბუთის (1729 წ. მაისის 7-სა, საქ. 162, ფ. 136 ა-ბ) მიხედვით, „თავადი სარიდანი" ბაქოს გარდაცვლილა, რის შემდეგ მის მსახურს „ბეჯანს" (ბეჟანს?) ბატონის ბარგი-ბარხანით („с пожитки ево") ასტრახანს გადაუნაცვლებია. ადვილად გასაგებია, თუ როგორ უნდა მომხდარიყო, რომ სარიდანის ბარგში ითვლებოდა სხვისი ქონება—ერთი „ტყვედ წამოყვანილი გილანელი ახლადმონათლული ბიჭისა". ამ „ბიჭის" ბარგიდან, მაშასადამე, თავადი სარიდანის ნადავლიდან, საბუთში დასახელებულია: ნოხი ექვსი არშინის სიგრძისა; ყიზილბაშური საფენი[31] ექვსი არშინის სიგრძისა; იმავე ტყვის (?) მხრებიდან („плеча своего") ზედა და ქვედა სამოსელი; „კუბგანი—სპილენძის ხელსაბანი"[32].

---

[27] ქრონიკები, და სხვ. შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, წ. 2, გვ. 533.

[28] იგივე, გვ. 534 (ოთარ II-სთან).

[29] Переписка, на иностранных языках, грузинских царей с россиiскими государями, სპბ., 1861, გვ. 178.

[30] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 349.

[31] ტექსტში: Полсть, იგივე полость—ჩვენი თარგმანით „საფენი", სხვადასხვა მასალისა და დანიშნულებისა: ნოხი (ფარდაგი, ხალიჩა); ტილო; ნაკეთობით: ნაქსოვი, ნათელი (თექა-ნაბადი) და სხვ. იხ. Даль-ის ლექსიკონი, ტ. 3, s. v. полсть.

[32] კუბგანი—Даль-ში (Толков. словарь, ტ. II, სვ. 536) სიტყვასთან „кубан" იცის მისი სწორი ფორმაც „кумган", მნიშვნელობით—„ლითონის ახიერი ხელსაბანი ჭურჭელი (кувшин), ცხვირიანი, ტარიანი და ხუფიანი" (იხ. სიტყვასთან кумган). სიტყვა ახერბაიჯანულია (Л. Будагов. Сравнит. словарь турецко-татарских наречий", ტ. II, გვ. 93, სიტყვასთან кумган), იგივე. „კუბგან" ფორმით, გვხვდება ტოლოჩანოვის (XVII ს.) ელჩობის ანგარიშში: „სტოლნიკი ტოლოჩანოვისა... ელჩობა იმერეთში, მ. პოლიევექტოვის რედ., ტ., 1926, გვ. 65).

ეს ჩვენი საბუთი, როგორც დიპლომატიკური ძეგლი, წარმოადგენს „ქართველი არქიეპისკოპოსის არსენის" სარჩელს: იერარქი, წმ. ჯვრის ციხიდან, სთხოვს ასტრახნის გუბერნატორს გენ.-მ. ფონ მენგდენს ჩამოერთვას აღნიშნული ქონება „ბეზანს" (რაკი ნებით არ სთმობდა) მთხოვნელს სასარგებლოდ. არსენი არ მალავს, რომ თვით მის „სულიერ შვილს" სარიდანსაც უგულებელუყვია არქიელის თხოვნა — „თვისი სულის მოსახსენებლად" გაეჩინა საბოძვარი და დაეთმო უსამღვდელოესისათვის აღნიშნული „გილანელი ბიშის" ბარგი.

იმ საყოველთაო ორომტრიალში სოციალურ ძვრათა ამსახველი სხვა სოციალური ინტერესის მქონე საქმეებიც იჩენდა თავს. კერძოდ, ზემოთ მოხსენიებული „იანარალ კინიაზ ამილახორა ვახტანგა" (ეს ამილახორის ქართული ხელთაა რუსულ საბუთში[33]) თავის 1729 წლის ივნისის 5-ის არზაში (ფ. 199 ა) ჩივის, რომ „წარსულ [1]727 წელს" მას გაექცნენ „მსახურნი" („служители мои") ბაქოდან. მაგრამ „ახლა" მას შეუტყვია, რომ ის გაქცეული „ქართველები" („грузины") ბინადრობენ ერთი დერბენტში — სახელით „ბერო მეშელო[34]". მეორე — გილანს. ბეროს მოძებნაში, მისი ვინაობის დადგენაში, ამილახვარის განცხადების აზრით, მოწვეებად უნდა გამომდგარიყვნენ „ქართველი არქიელი იონა" და მისი მსახური „Самоселов"-ი, რამდენადაც ორნივე „იცნობენ" ბეროს (ბერის). გაქცეულთაგან მეორე, გილანში თავშეფარებული, ყოფილა ფერშალი, „ფერშელ ბერო ქიტიევ"-ი, ქიტიაშვილი („Китиев"). ამასაც ჰყოლია მცნობი: „И об нем спросить у грузинца в Гиляне дорога Бадура". ეს „дорога" უთუოდ არის თანამდებობის — ქალაქში „ბაზრის ზედამხედველის" ან „პოლიცმეისტრის" აღმნიშვნელი. ქართულ წყაროებში ხმარებული, მონღოლური წარმოშობის ტერმინი „ტარუღა"[35]. მაშ, გილანში იმ დროს, რუსთველის არ იყოს, „ძირი აღუფხვრია" ქართველ „დოროღა"-ს, გვარად „ბადუროვ"-ს, ერთგან დამახინჯებით: „ბადურ"-ს (იგივე საბუთი), ბადურაშვილს. ამილახვარი თხოულობს: „თუ მოიძებნებოდნენ" ის გაქცეულები, დაეჭირათ და ჩაებარებინათ გილანშივე მცხოვრებ „ჩვენ ქართველ კნიაზ ლაზარე პავლეს ძისთვის" („Павлов"). არადა — ამილახვრისთვის გადაეგზავნათ ასტრახანს, „შეპყრობილები", დედნის ენაზე — „под неволею".

ჩვენ მიერ დემონსტრირებული მასალის საფუძველზე მკითხველი თვითონვე დაასკვნის, რა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ჩვენს ცოდნაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ ასტრახნული წარმოშობის საისტორიო წყაროებმა, როდესაც ისინი მიზანდასახულად მთელ თავის მოცულობაში და სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტებთან დაკავშირებით. ჩაღრმავებულად იქნებიან შესწავლილი. ჩვენ უდიდესი ინტერესით ვეცნობით, პირობით თუ ვიტყვით, ასტრახნის წრის ქართველ მოღვაწეებს — ვახტანგს და სხვებს. მათი საქმიანობის საგულისხმო ნაშთებს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მათდამი, იმ საისტორიო მნიშვნელობის საქმეთა და პირთადმი, სამეცნიერო ინტერესი დი-

---

33 „ამილახორა ვახტანგა"—ეს უნდა იყოს რუსულიდან უახროდ გადმოტანილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. ან იქნება, რამე ტრადიციის ძალით, ამილახვარი იცავდა „ინ"-ის ტკეც. „ან"-ის ჩსვავს მოხახულობას.

34 ორიენ სიტყვა მკაფიოდ იკითხება, ბერო, var. ბერი, იქვე მეორდება („Бера", „Беры"). „შეშელო"(="მეშელოე"?) ხომ არ შეიცავს გვარის აღსანიშნავ „შეილ"-ს?

35 Будагов, Сравнит. словарь, I, 547.

დიხანია გაცხოველებულა. ცნობილია, რომ 1892 წ. ასტრახნის მოხილვის შეღეგად ა. ცაგარელმა რამდენიმე შენიშვნა უძღვნა ზემოთ მოხსენიებულ ასტრახნის კრემლში („მიძინების“ ტაძარში) დაკრძალულ ქართველ მოღვაწეებს[36]. კერძოდ, ვახტანგის და თეიმურაზ II-ის ეპიტაფიები ცაგარელს მოჰყავს სხვისი წანაკითხის საფუძველზე[37]. იმავე წყაროს უნდა ემყარებოდეს პ. ლ. იუდინი ამ ეპიტაფიების წაკითხვისას[38]. იუდინი, თავისი წყაროს მიბაძვით, შენიშნავს, რომ მიძინების ტაძარი „ამიერკავკასიელთათვის („для закавказцев“). იმ მხრივაც საინტერესოა, რომ აქ დაკრძალული არიან „два державных царя Имерии“. მაგრამ ასტრახნის მოღვაწეებს ქართველ მოწინავე წრეებში ინტერესით მოჰკიდებიან კიდევ უფრო ადრეც. კერძოდ, ცნობილმა ქართველმა მწიგნობარმა იონა ხელაშვილმა (გარდ. 1837) თავის „მოსახსენებელ წიგნში“[39], კერძოდ, ჩასწერა: „მოიხსენე, უფალო, გაიოზ არხიეპისკოპოსი ასტარახნისა (sic), ბუნებით ქართუჱლი, რომელმან მოზდოქს მოსრულნი ოსნი ერთბაშად მოაქცია ქადაგებითა და მისაცემლებითა“-ო.

მაგრამ ყველაფერი ეს — ასტრახნის სახელთან არის დაკავშირებული. ამაღე ინტერესით უნდა მივაშუროთ ვოლგისპირეთის ზოგ სხვა ქალაქსაც — ცარიცინს, ყაზანს...

---

[36] Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, ტ. I, ნაკვ. III, გვ. L და შდგ.; სპბ., 1894.

[37] ცაგარელი, დასახ. ნაშრომი, გვ. LI, იგი უთითებს წიგნზე: Астраханский успенский собор. Описание его и история, Казань, 1889.

[38] Записки Терского общества любителей казачьей старины, № 8, август, 1914 (Владикавказ), გვ. 28, შენ. 3.

[39] ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965, გვ. 221—229.

ავთანდილ იოსელიანი

პაატა ბატონიშვილის შეთქმულებისადმი სპარსთა დამოკიდებულების საკითხისათვის

პაატა ბატონიშვილის შეთქმულება ქართულ ისტორიოგრაფიაში სპეციალური შესწავლის საგნად დღემდე არავის გაუხდია. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ნაკლებ, ან საერთოდ არ შენახულა ამ მოძრაობის ამსახველი დოკუმენტური წყაროები. გადარჩენილია უმეტესად ფრაგმენტული ხასიათის ქრონიკული ცნობები და მემუარული სახის ზეპირი მოგონებები. მართალია, ეს შეთქმულება არსებითად ვიწრო დინასტიური მიზნებით იფარგლებოდა, მაგრამ მასში ფეოდალური არისტოკრატის ზედაფენებთან ერთად, როგორც ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით, გლეხები და მოქალაქეებიც იყვნენ ჩათრეულნი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პაატა ბატონიშვილის მოძრაობას იურიდიული საფუძვლებიც მოეპოვებოდა. პაატა კანონიერ მემკვიდრედ ითვლებოდა ქართლის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიისა, რომელსაც დიდი ტრადიციები მოსდგამდა და პოპულარობით სარგებლობდა ქართლის მოსახლეობაში.

კარგადაა ცნობილი, რომ ფეოდალური სოციალურ-ეკონომიური ცხოვრება თვით იყო მოწოდებული და მკვიდრ ნიადაგს უქმნიდა ლეგიტიმისტურ, საუკუნოვან პატრონყმურ ტენდენციებს, მის მტკიცედ და ხელშეუხებელ დაცვას. ცნობილია, რომ მეფე ერეკლეს, პაატას განადგურების შემდეგაც მთელი თავისი მეფობის მანძილზე, მოსვენებას არ აძლევდნენ ქართლის ტახტის სხვა მაძიებლებიც. პაატა ბატონიშვილი შეეცადა ჩაეშალა ქართლ-კახეთის სამეფოს ერთიანობა, უკან დაებრუნებინა ვახტანგ VI-ის შთამომავლობისათვის დაკარგული სამეფო ტახტი. მისი ეს რეაქციული მისწრაფება მარცხით დამთავრდა. პაატამდე ასეთ მიზნებს მისი ძმა, კარგად ცნობილი ბაქარი, პაატას შემდეგ კი ალექსანდრე ბაქარის ძე ისახავდა. ბრძოლები ამ მიმართულებით, როგორც აღვნიშნეთ, არ ცხრებოდა. ამ შემთხვევაში ერთმანეთს ებრძოდა ორი ტენდენცია: პროგრესულ-გამაერთიანებელი და რეაქციულ-სეპარატისტული.

ერთიანი ქართული სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად მართალია, XV ს-დან დაიშალა, მაგრამ გაერთიანების იდეა და ძლიერი საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა არასოდეს არ ჩამკვდარა. ბრძოლა ამ ერთიანობისათვის ხშირად ეროვნულ მწვავე ხასიათს ღებულობდა. საქართველოს ერთიანობის აღდგენისათვის, ილია ჭავჭავაძის მოხდენილი თქმით, მართლაც რომ „ბევრმა სახელოვანმა მეფემ და ბევრმა თავგამოდებულმა მამულიშვილმა დაანთხია სისხლი, მაგრამ

გარედან მტერმა და შიგნით უკეთურმა ბზარვამ და ლალვამ იმოდენა ჯაფა. სისხლისღვრა, თავგანწირვა ამაოდ ჩაუტარეს. ამ შეერთების ყოველად მხსნელ სურვილი თუმცა ვეღარ განახორციელეს, მაგრამ ანდერძათ კი მაინც შერჩათ გულში ზოგიერთს ძველთაგან შთომილსა"[1].

ფეოდალური დაშლილობისა და პარტიკულარიზმის მოსპობა, ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა, ერის სულიერი და ნივთიერი ძალების, მისი ენერგიის უზომო ფლანგვასთან იყო დაკავშირებული; ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ეს თავგანწირული ბრძოლა ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის, ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების შინაგან პირობებში და ქვეყნის მტრულ გარემოცვაში მუდამ მარცხით მთავრდებოდა. საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ისტორია აღსავსეა გაერთიანებისათვის წარმოებული სისხლისმღვრელი ბრძოლებით.

XVIII ს-ის 40-იან წლებში ქართლსა და კახეთში კახეთის ბაგრატიონები გაბატონდნენ. 1744 წელს ქართლში თეიმურაზ II გამეფდა, ხოლო კახეთში ერეკლე II. იმდენად დიდი იყო ლეგიტიმიზმის ტენდენციები ქართლში, რომ თეიმურაზის ტახტზე ასვლა, ყაენის ნებართვის მიუხედავად „სასტიკი ბრძოლით განხორციელდა. ქართლის თავადები, გივი ამილახვრის მეთაურობით, კახ-ბატონის თეიმურაზის გამეფებას წინ აღუდგნენ. მემატიანის ცნობით, ბრძოლა გამწვავდა, „მეფე თეიმურაზ გივს ამილახორს შემოადგა დიდის ჯარით. 9 ათასი ყიზილბაში და ავღანი ახლდა და საქართველოს ჯარი, ყაზახ-ბორჩალი სხვა იყო"[2]. გივი ამილახვარი თვითონ სურამის ციხეში იყო გამაგრებული, ხოლო მის თანამებრძოლ თავადთაგან „ახალდაბის ციხეში დიმიტრი იდგა, კეხვის [ციხეში] სარიდან, წირქვალის ციხეს რევაზ იდგა, ამილახვრის შვილი, არაგვზე ბეჟან ერისთავი" და სხვ. ექვს თვეს გაგრძელდა სასტიკი ბრძოლები ქართლის თავადების წინააღმდეგ. თეიმურაზმა და ერეკლემ დაამარცხეს ამილახვრის მომხრე თავადები, წაართვეს მათ ციხე-სიმაგრეები. ჯერი სურამის ციხეში გამაგრებულ გივი ამილახვარზე მიდგა. გივი კარგა ხანს უმკლავდებოდა მოწინააღმდეგეს, ვიდრე ციხეს ნაღმით აფეთქებდნენ და დაისმოდა საკითხი ზავის ჩამოგდებაზე; დაზავების საქმეში თეიმურაზ II-ის ცოლი — ვახტანგ VI-ის ასული —თამარი ჩაერია. ამილახვარმა „თამარ დედოფალი დაიბარა"[3], რომელმაც შეჰფიცა ამილახვარს და ქართველებს — „თეიმურაზი ქართლში არ იბატონებსო, მე ვიქნები, სანამ ძმა (ბაქარი, ა. ი.) მომივაო. ამ დროიდან თამარმა იწყო გამგებლობა ქართლისა"[5]. ამ პირობით, მემატიანის ცნობით, „გივმა შემოიხსნა ხმალი და დაჩოქილმა მიართვა დედოფალს. თამარმა ჩამოიყვანა გივი ოჯახით თბილისში და მეფე თეიმურაზმა მას სახლთუხუცესობა უბოძა. მართლაც, ბაქარი ქართლში გამეფებისათვის იბრძოდა როგორც თამარის სიცოცხლეში, ასევე მისი გარდაცვალების (1746 წ.) შემდეგაც. მაგ., 1749 წ. ივნისში ბაქარი იმპერატორ ელისაბედისაგან საქართველოში წამოსვლის ნებართვას თხოულობს — „ეგებ[ის] ქართლში გავმეფდეო". უფრო ადრე 1742 წელს იგი ყაბარდოშია. საიდა-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ნაწერების სრული კრებული, VI, გვ. 93.

[2] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის კამოცანთბ., 1950, გვ. 7—8.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] Бутков, Материалы, I, გვ 230—231.

ხაც გივი ამილახვარმა „მოუწოდა ბაქარს, რათა მოვიდეს და დაიპყრას ქართლი“.

1747 წ., შაჰ-ნადირის მიერ საქართველოზე არბაბის შემოწერასთან დაკავშირებით, თეიმურაზ მეფე ჯერ შაჰს განუდგა და მთიულეთში გაიხიზნა. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ არბაბის პატიების მიზნით, იმავე წლის მაისში, ირანში გაემგზავრა. ივნისში შაჰ-ნადირი მოჰკლეს. ირანში არეულობამ იჩინა თავი. ამით სარგებლობს ქართლის ბაგრატიონთა ჩამომავალი, გამაჰმადიანებული ალბუღა-ბეგი, ქართლში ჩამოყენებულ ირანელთა ჯარის დახმარებით გაბატონებას ლამობს და ერეკლე II-ს ულტიმატუმს უყენებს: „თუ მეფე თეიმურაზს დაუშავედა რამე, ქართლს არავის დავანებებო“[6]. მეფე ერეკლე წინ აღუდგა ალბუღა-ბეგის ამ ზრახვებს. ალბუღა-ბეგი თავისას მაინც არ იშლიდა და კატეგორიულად უცხადებდა ერეკლეს: „ქართლი ჩემია, კახეთი ძენიო“. თბილისში მეციხოვნე ყიზილბაშთა ჯარი ალბუღა-ბეგს ემხრობოდა. ერეკლე სასტიკი ბრძოლით ამარცხებს მას. ამასობაში ირანიდან 1749 წ. თეიმურაზ II დაბრუნდა. ამიერიდან სრულიად ახალი ვითარება იქმნება ქართლ-კახეთის სამეფოებში თეიმურაზ-ერეკლეს გამჭრიახი პოლიტიკის შედეგად; სულ მალე ერევანი და განჯა მფარველობას ითხოვენ და ნებით კისრულობენ ხარკს თეიმურაზ-ერეკლეს სასარგებლოდ.

როგორც ცნობილია, 1762 წ. კახეთის მეფე ერეკლე „იწოდა მეფედ ქართლისადცა“[7]. ქართლ-კახეთი საბოლოოდ გაერთიანდა.

გაერთიანების ამ ისტორიულმა აქტმა, ბუნებრივია, ქართლის ტახტის მემკვიდრეებში შეშფოთება გამოიწვია. პაატა ბატონიშვილი, რომელიც თავის დროის კვალობაზე კარგ აღზრდა-განათლებას ღებულობს, ამ პერიოდში ირანშია. იგი ირანიდან საქართველოში ჩამოდის და ერეკლეს მფარველობით, სასახლესთან დაახლოებული პირი ხდება, როგორც არტალერიის საქმის მცოდნე; მასთანაა მისი ბიძაშვილი დავით, ალბუღა-ბეგის ძე. პაატა ბატონიშვილი სარგებლობს მეფის ამ ნდობით და ვერაგული ზრახვებით სათავეში უდგება შეთქმულებას ქართლში გამეფების მიზნით. პაატას თანამზრახველ-მესაიდუმლეები იყვნენ ქართლის გავლენიანი თავადები ამილახვარ-თაქთაქიშვილ-ციციშვილები და სხვ.; მაგალითად, სახლთუხუცესი დიმიტრი ამილახვარი მეფე ერეკლეს მზახალიც იყო. „რამეთუ და მეფისა ელისაბედი ჰყვა ძესა მისსა გიორგის“[8]. 1765 წელს შეთქმულებამდე მეფე ერეკლემ ელისაბედი გაჰყარა გიორგის და კაცია დადიანმა შეირთო[9]. ერეკლემ რომ შეიტყო პაატას და მის თანამებრძოლთა ღალატი, შეიპყრო ისინი და მეტეხის ციხეში გამოჰკეტა. ეს მოხდა 1765 წლის 5 დეკემბერს. ათ დღეს გაგრძელდა დამნაშავეთა საქმის გამოძიება და საჯარო გასამართლება. 15 დეკემბერს „რიყეზედ, ანჩისხატის პირდაპირ, ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულნი მოიყვანეს ყველანი და სასამართლოს განაჩენისამებრ დასაჯეს“[10]. ვახტანგ VI-ის შთამომავალთ არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ ბრძოლა ქართლის

---

[6] ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., სპბ., 1854, გვ. 93.

[7] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თ. ლომოურმა. თბ., 1941, გვ. 8.

[8] ომან ხერხეულიძე, ქართლის ცხოვრება, II, ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 506.

[9] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გამოსცა თ. ლომოურმა, 1941, გვ. 52.

[10] XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის ქრონიკები, ხელნაწერი (დაცულია თბილისის სახ. უნივერსიტეტის საქ. ისტორიის კაბინეტში).

სამეფო ტახტისათვის. მემატიანეს ცნობით, იმავე „წელსა 1765 წავიდა ალექსანდრე მეფის ბაქარის შვილი როსი(ი)დაძა სპარსეთს, შერისხული იპერატრიცა ეკატირინას მიერ, და მივიდა ქარიმ-ხანთანა... დაშთა სპარსეთში შვიდსა წელსა და ესეცა ლამდა დაპყრობასა ქართლისასა[11].

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პაატა და ალექსანდრე ბაქრაძის ძე ირანთან იყვნენ დაკავშირებული და მათი წაქეზებით მოქმედებდნენ ერეკლეს წინააღმდეგ ქართლში გამეფებისათვის.

* * *

აღნიშნულ შეთქმულებასთან დაკავშირებით საყურადღებოა ამიერკავკასიის ხალხთა დიდი მომღერლის საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების 1765 წლის ამბები, როდესაც პოეტს ერეკლეს რისხვა მოევლინა: სასახლიდან გამოძევებული საიათნოვა ახპატის მონასტერში ბერად აღკვეცეს.

ამ აქტს მაღალმგრძნობიერი მგოსნის განცდებზე ბწკვავე დაღი დაუმჩნევია და დიდი გულისტკივილით აღბეჭდილა კიდეც საიათნოვას შემოქმედებაში (ლექსში „შე საწყალო ჩემო თავო").

საიათნოვა ვერ შერიგებია სასახლიდან გამოძევებას და ბერად იძულებით აღკვეცას:

ერი ვიყავ, მღვდელობა რად მინდოდა?
მოდი, მითხარ, ბერობა რად მინდოდა?

პოეტი თავის ადრინდელ მდგომარეობას, სამეფო კარზე გამართული სახით ხელში ყოფნას, ოქროს ჯუბაში ჩადებულ ნივთს ადარებს და სინანულით დასძენს: „ეს რა მომიდიდა ახირებული"-ო; მაგრამ როცა ყოველივეს გონების თვალით ჩაწვდება, ამბობს: „რომელს დავაბრალო, რისგან არი? ეს საქმენი ჩემი ჰკვისაგან არი!". საიათნოვა სხვა ლექსშიც („სამართალი მიყავ") უბრუნდება ამავე საკითხს და მეფე ერეკლეს ჯურმისაწყდომად ამბობს:

ნეტამც არ შემეტყო მე ის ქართული!
წადი, ჰუჰყიანი ხალიჩა ხარო!..

. . . . . .

ნეტა არ გაგეგდე, კარგად გეცემა,
ჩემი სულიერი დედ-მამა ხარო!

ან კიდევ:

თუ გინდ დამიმტვრიონ წიბო-გვერდები,
ცოცხალი თავით ვერ მოგშორდები[12].

საიათნოვა მეფე ერეკლეს თავის სულიერ მამად აღიარებდა. იგი ხომ ერეკლეს მეხოტბე, მისი საზანდარი და კარის მგოსანი იყო, ლხინსა და ჭირში სასა-

[11] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 53.

[12] საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში დაცულია საიათნოვას კრებული, რომელიც პირველად აკად. ნ. მარმა მიაკვლია. ამ კრებულში შესულია საიათნოვას შვილის ასეთი მინაწერი ლექსზე „სამართალი მიყავ": „ეს მოხსენება, საიათნოვას რომა თავისი შემწყალე, მათი უმრავლესობა უოველად საქართველოს და სხვათა ნეტარად ხსენებული მეფე თავის უღირს მონას, საცოდავ

ხელსთან განუყრელი, ახლა კი ასე დაისაჯა. ერეკლეს გადაწყვეტილებით სასახლიდან გაძევებული საიათნოვა მონასტერში ბერად აღკვეცეს. ამქვეყნიური ცხოვრების დიდი ტრფიალი მონასტრის ბნელი საკნებით შეუცვალეს. „მე ვერ ავიტან ამ მწუხარებას"-ო, დასძენს ცხოვრებაგამწარებული მგოსანი.

საიათნოვას ასეთ დიდ სევდას, ჩვენი აზრით, უდაოდ ღრმა სოციალური შინაარსი უნდა მოეპოვებოდეს. ამიტომ მისი მიზეზობრივად ახსნისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ 1765 წლის მოვლენები.

აკად. კ. კეკელიძე საიათნოვას სამეფო სასახლიდან გაძევების მიზეზად „მეფესთან რაღაც, ჯერ კიდევ გაურკვეველ კონფლიქტს" ასახელებდა. პროფ. აბოვის აზრით, თითქოს ანუკა ბატონიშვილთან საიათნოვას ინტიმური ურთიერთობა იყო ამ გაძევების მიზეზი. რიგი მკვლევარებისა მგოსნის ასე დასჯას სასახლის ინტრიგებით და საიათნოვასადმი მტრულად განწყობილ შურიან და მაბეზღარ ადამიანთა მოქმედებით — არსებითად სუბიექტური მომენტებით ხსნის.

საიათნოვას ლექსის — „სოფელსა და სოფელს შუა" — პირველსავე სტროფში ნათქვამია:

> შეავარდენო, რად გარჯილხარ ტყავგახდილი მელისათვინ?
> თვალები ალმასს მიგიგავს, ნისკარტი გაქვს გველისათვინ.
> წადი, ახალი მოძებნე, ფრთას ნუ გაშლი ძველისათვინ!
> რა დავჯდე და რა ვიტირო! რომელ ერთი ნაღველისათვინ!
> ჩემსა გარდა ოცდაორსა სხვას ამბობენ, მართალია.

ლექსის ამ (და თითქმის მის ყველა) სტროფში საიათნოვა დასტირის არა მარტო თავის თავს, არამედ, მასაით უდანაშაულოდ დასჯილთ, — საიათნოვას „გარდა ოცდაორ სხვას რომ ამბობენ"-ო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საიათნოვას ამ ავტობიოგრაფიულ ლექსში ასახული უნდა იყოს 1765 წლის მეფე ერეკლეს წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებასთან დაკავშირებული ამბები, როცა შეთქმულები მკაცრად დასჯეს და რისხვა თვით საიათნოვასაც რამდენადმე შეეხო.

პოეტი ერეკლეს აქ შევარდენს ადარებს, რომელსაც თვალი ალმასს მიუგავს და უსწორდება თავის მოწინააღმდეგეებს, რომელთა შორის, გამორიცხული არაა, ზოგი უდანაშაულოც შეიძლებოდა ყოფილიყო.

პაატა ბატონიშვილის და მის თანადასელთა 1765 წლის შეთქმულებაში, როგორც ირკვევა, ფეოდალთა გარდა მოქალაქეთა და გლეხთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. აი, როგორ აგვიწერს მემატიანე ამ შეთქმულების მიზეზსა და შედეგებს. წელსა 1765 „შეითქვნენ რამოდენიმე ქართველნი თავადნი და აზნაური და აბირეს ბუშსა ვახტანგ მეფისასა პაატას, რომელიცა მოსრულ იყო სპარსეთით მას ჟამსა შინა და იყოფოდა მეფის ირაკლისა თანა. და ბიძაშვილსა მისსა აბდულა-ბეგის შვილს დავითს, რათამცა წარეწყმინდათ მეფე ირაკლი და დაეპყრათ თვით მეფობაი ქართლისა. მსმენელმან მეფემან ირაკლიმ შეიპყრნა ესენი და პატიმარჰყო მეტეხის ციხესა შინა. ხოლო საზოგადობამ საქართველოსამან, თანხმობითა სულიერთა კრებათაგან განაწესეს დასჯა მათი სიკვდილითა, რომელნიცა მოსწყვიტნეს. ხოლო შემდგომთა მათთა თავადთა, აზნა-

---

საიათნოვას გასწყრომია და ეგრეი, გაუგდია, იმაზე მოუხსენებია, იაფი იგაეი არ გაბლავთ" (აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქარულ ხელნაწერთა ფონდი, № 322).

ურთა და გლეხთა განუწესეს რომელთამე ნასაღითა განპატიჟება და რომელთამე ექსორიაობა. ხოლო თავადთაგანნი ესენი იყვნეს: თაქთაქიშვილი ივანე, ამილახვრისშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე და აზნაურნი სხვანი"[13]. ამ მცირე ცნობაში ბევრი რამაა საყურადღებო. ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობენ თავადი, აზნაური და გლეხი, რომელთაც განუწესეს როგორც სიკვდილით დასჯა, ასევე „ნასაღითა განპატიჟება" და რომელთამე „ექსორიაობა". აშკარაა საკმაოდ ფართო ხასიათი ამ შეთქმულებისა და მის მონაწილეთა მიმართ გამოყენებული სასჯელის სხვადასხვა ზომა.

საიათნოვასათვის, როგორც ჩანს, ყველაზე მსუბუქი სასჯელი დაუდვიათ — თბილისიდან გაძევება და მონასტერში ბერად აღკვეცა. მემატიანის ცნობით, შეთქმულებაში საზოგადოების ქვედა ფენებიც მონაწილეობდნენ. საიათნოვა (ლექსში „დამეხსენი"), ბერის კაბისაგან განთავისუფლებას თხოვდა მეფეს:

ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა!
. . . . . .
შემინახე ატლასითა, ხასითა,
შავი კაბა, შავი ქობა არ მინდა!

საიათნოვა პროფესიით ხომ ფეიქარიც იყო, თბილისის ამქართა წევრი. საიათნოვასავით ფეიქარი იყო შეთქმულების მონაწილე დათუნა, რომელმაც ქრისტესია მღვდელს აღსარებაში გაანდო საიდუმლოება. უკანასკნელმა კი გასცა იგი. შეთქმულებაში აქტიურად მონაწილეობდა ამილახვრის რომელიღაც ყმა-აზნაური, რადგან ერეკლემ იგი ასევე სიკვდილით დასჯა. თეკლა ბატონიშვილის ცნობით, „ზოგიერთი დიდის კაცებისა სხვაცა ბევრი ყოფილა ამ საქმეში"[14], ხოლო პაატა ბატონიშვილს დათუნა ფეიქრისადმი საიდუმლო დავალებების მიცემისას, სხვათა შორის გაუნდვია: „ამ საქმეში ბევრნი ვართო"[15].

აქედან კარგად ჩანს შეთქმულების საკმაოდ ფართო საზოგადოებრივი ხასიათი, რომელშიც გლეხები და მოქალაქეებიც მონაწილეობდნენ; მაგრამ გასაგები მიზეზის გამო, სახელობითი სია შეთქმულების მონაწილე თავადებისა გადარჩა მხოლოდ და ისიც არასრული, ხოლო შეთქმულების მონაწილე გლეხებსა და მოქალაქეებზე საერთოდ ცნობები არ შემონახულა. არ გადარჩენილა ამ შეთქმულების გამო მიღებული სამეფო სასამართლო განაჩენიც კი, რომელიც მდივანბეგ იესე ბარათაშვილს დაუწერია, მაგრამ იმდენად განრისხებული ყოფილა ამ ვითარებაში მეფე ერეკლე, რომ ეს დიდად გავლენიანი მდივანბეგი, თითქმის უმიზეზოდ, პაატასთან და სხვებთან ერთად კინაღამ სიკვდილით დაუსჯია. ამის გამო იესე თავის „ცხოვრება-ანდერძში" გვაუწყებს: „პირველ გაუწყრა წყრომის ღირსთა პაატას, დიმიტრის და მაშინ კნინღა სიკუდილად მიმცა: — განაჩენი არ დაგიწერიაო. დაწერილი იყო ჭეშმარიტად, ეს ხომ თვითეულად დამიწერია ზემორე მის ადგილს"[16], დასძენს იესე, მაგრამ „ზემორე მის ადგილს" ეს განაჩენი ანდერძში გამოტოვებულია. სწორია თეკლა ბატონიშვილის ვარაუდი, რომ რაკაკვირველია განაჩენი გრძლად იქნებოდა დაწერილიო[17]. საყურადღებოა ისიც, რომ მეფე ერეკლეს, შეთქმულთა საჯარო გასამარ-

---

[13] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 52—53.
[14] ჟურ. „ცისკარი", 1859, № 4.
[15] იქვე.
[16] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 68.
[17] „ცისკარი", 1859, № 4.

თლებისას თბილისში თავადაზნაურობასთან ერთად დაუბარებია „პირველი სახლის შვილნი გლეხნი“[18].

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ 1765 წლის შეთქმულებაში, თავადაზნაურობასთან ერთად შენიშნულ მოქალაქეთა და გლეხთა შორის, საიათნოვაც შესაძლებელია ყოფილიყო გარეული. საფიქრებელია ისიც, რომ იგი უდანაშაულოდ დასაჯეს. აღნიშნულ ლექსში მგოსანი ჩერდება სამეფო ხელისუფლების იმ სისხლიან რეპრესიებზე, რომელიც შედეგად მოჰყვა შეთქმულების გახსნას:

ვინც რომ მოვა, გეახლება, ჯვაზე უჯრო ჯვას დასდებენ.
გულს ისარსა გაუყრიან, კისერზედა ხმალს დასდებენ.
ან გატყდება, ან დალპება, ხომალდივით ზღვას დასდებენ.
ან ჩააგდებენ ხაროში, ზედ წისქვილის ქვას დასდებენ,
ჩამსგელი ვეღარ ამოვა, პას ამბობენ, მართალია.

შეთქმულების აქტიური მონაწილე ალექსანდრე ამილახვარი თავის პამფლეტში — „გეორგიანულ ისტორიაში“[19] გადმოგვცემს მთელ იმ სისასტიკეს, რომლითაც დაისჯნენ შეთქმულნი: „დახოცეს მეფის ბიძა და ბიძაშვილი, ანუ პაატა ბატონიშვილი და დავით აბდულა-ბეგის ძე, რომელთაც თავი ხმლით გააგდებინეს, ცეცხლში დასწვეს მოხუცი თაქთაქიშვილი, რომელსაც ერეკლესათვის თითქო „გამეფებული ავაზაკი“ უწოდებია. სიკვდილით დაუსჯიათ ამილახვრის უსახელო ყმა-აზნაური, რომელსაც უარუყვია პირველი ჩვენება იმ შოტივით, რომ „მაწამეს და ძალით მათქმევინესო“[20]. გლახა ციციშვილს ენა მოსჭრეს, ამილახვარს—ცხვირი, თაქთაქიშვილის ვაჟს ხელი მოკვეთეს და ცალი თვალი ამოთხარეს, დიმიტრი ამილახვარი ვირზე უკუღმა შემჯდარი ქალაქში ჩამოატარეს. დაისაჯა ბევრი სხვაც, რომელთა შესახებ ჩვენამდე ცნობებს არ მოუღწევია.

ახიკარ ბრძენის სწავლანის შემოხსენებისას კ. კეკელიძე წერდა, რომ „ამ თხზულების ქართული ტექსტი ხელთ ჰქონია ა. ხახანაშვილს, რომელსაც გადმოუცია მისი შემოკლებული რუსული თარგმანი. სად იმყოფება ის ხელნაწერი, რომლითაც მას უსარგებლნია, არ ვიცით. სხვა ნუსხა კი მისი ჯერჯერობით ცნობილი არაა... ასე რომ დღესდღეობით ჩვენ იძულებული ვართ ვიხელმძღვანელოთ მხოლოდ ა. ხახანაშვილის რუსული თარგმანითო"[15].

1963 წელს მ. აბოვიანის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის (ერევანი) მეცნიერმა თანამშრომელმა პ. მურადიანმა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია — „სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი XVIII საუკუნეში" [16]. ამ ნაშრომში ერთი საგანგებოდ ეხება ზემოდასახელებულ სამ თხზულებას: „ქალვაჟიანს", „სპილენძისქალაქიანსა" და „ახიკარ ბრძნის სწავლანს". პ. მურადიანიც ალ. ხახანაშვილისეულ რუსულ თარგმანს მიმართავს[17], რაც, რა თქმა უნდა, სავსებით ნათელ სურათს ვერ მოგვცემს სომხურ-ქართული ტექსტების ურთიერთობის შესასწავლად. მკვლევარი არაერთხელ აღნიშნავს, რომ „ჩვენთვის ცნობილი არ არის ადგილი და ვითარება ხახანაშვილის ხელნაწერი კრებულისა", ანდა: „ვაჰქრა ის ნუსხა, რომელსაც ფლობდა თვითონ ხახანაშვილიო"[18].

როგორც ვხედავთ, დიდი ხნის განმავლობაში მკვლევართა დაკარგულად მი-

[13] მკვლევარი წერდა: „Печатное мое воззвание в «Иверии» к грузинологам, не известно ли им какая-либо рукопись, повествующая о Хикаре, осталось без ответа" (Очерки, III. 1901. გვ. 168, შენ. 2).

[14] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 447.

[15] იქვე, გვ. 490—491.

[16] ნაშრომი დაცულია თსუ ბიბლიოთეკაში. იხ. ავტორეფერატი: П. М. Мурадян, Армяно-грузинские литературные взаимоотношения в XVIII веке, Тб., 1963.

[17] პ. მურადიანის დასახ. დისერტაცია, გვ. 136.

[18] იქვე, გვ. 136, 172.

აჩვდათ ალ. ხახანაშვილისეული ხელნაწერი, მაგრამ თვითონ ალ. ხახანაშვილის ბევრ მოცემული ცნობების გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა მისი მიგნება.

„ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევებში“ ალ. ხახანაშვილი წერდა: „Я нашол повесть о мудром Хикаре в одном рукописном сборнике начала текущего столетия... Повесть помещена в сборнике, заключающем в себе след. произведения: Житье Алексия, человека божьего, Прославление (в стихах) Богородицы (29—35) повесть о Медном городе (35—97), повесть о Хикаре (97—123), Благовещение Иоакима и Анны и рождение Богородицы (123—139), Благовещение и рождение Иоанна крестителя (139—147), рождество И. Христа и земная жизнь Спасителя (147—189), Суд над И. Христом, распятие и плач Богородицы (189—229) и повесть „Кал-важиани“ (229—252 стр.)...

Перед этой повестью на стр. 229 имеется дата 1834. 7/IV. Сборник писан разными почерками, из которых самым некрасивым и неразборчивым является почерк повести о мудром Хикаре“[19].

სწორედ ზემოჩამოთვლილი ნიშნები ახასიათებს საქ. ცენტრალური არქივის ქართული ხელნაწერების კოლექციაში დაცულ № 114 ხელნაწერს. აღნიშნული ხელნაწერი მართლაც გადაწერილია 1834 წელს ანდრია ტერ-გრიგოროვის მიერ.

გადამწერი ვერ იჩენს სათანადო ცოდნას თავისი საქმისადმი. გადაწერისას მას ტექსტები ისე დაუმახინჯებია, რომ ზოგჯერ ძნელდება აზრის გამოტანა. ის ცვლის სიტყვებს, მცდარად წერს სახელებს, ხშირად ტოვებს ასოებსა და მარცვლებს და ა. შ. მაგალითად, „ახიკარ ბრძნის სწავლანში“ ასეთ უხეშ შეცდომებს უშვებს:

1) „შვილო, უნჯობესი არის, რომ ქალაქი დაიბადოს და მალე მოკვდეს, მინამც იცოცხლოს და თავის გვარზე პირშაობა მოიყვანოს“ (გვ. 102); უნდა: ქალი.

2) „შვილო, ნუ დაღელიანდები შენის მეგობრისაგან, რამეთუ მრავალსა წეწუხებასა გამოივლი მანამდი გარდა[ი]ხადო იმისი ვალი“ (გვ. 119); უნდა: დავალიანდები.

3) „შვილო, როდესაც რომ სახლში იყო, ნუ გა[ა]ცხადებ შენს ვალსა“... (გვ. 106); უნდა: ხალხში და სხვ.

ხელნაწერის ამიებზე და სტრიქონთა შორის ეხვდებით ფანქრით შესრულებულ ჩანიშვნებსა და მითითებებს, ხოლო „ახიკარ ბრძნის სწავლანი“ ფანქრითვეა დანომრილი. ფანქრით შესრულებული მინაწერები ეკუთვნის ალ. ხახანაშვილს. ხელნაწერი ცენტრარქივში მოხვედრილია ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან[20].

ალ. ხახანაშვილის ხელნაწერის გამოკვლევით ნათელი ეფინება დასახელებულ ტექსტებთან დაკავშირებულ რიგ გაურკვეველ საკითხს და შესაძლებლობა გვეძლევა დავახუსტოთ მკვლევართა მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერში გვაქვს უამრავი მცდარი წაკითხვა და უხუსტობანი, დასახელებულმა ხელნაწერმა მაინც შე-

[19] А. Хаханов, Очерки, III, გვ. 169—170. შდრ. აგრ. გვ. 162, შენ. 1.

[20] ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, 1949, გვ. 119—120.

შოგვინახა ტექსტების წარმომავლობის ძიებისთვის მეტად ყურადსაღები არაჩვეულებრივი ცნობები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, „ახიკარ ბრძნის სწავლანი“ და „სპილენძისქალაქიანი“ თარგმნილი უნდა იყოს სომხური ენიდან. მკვლევარმა ნ. დურნოვომ „ახიკარ ბრძნის სწავლანის“ ქართული ვერსია საგანგებოდ შეუდარა ასურულ, არაბულ, სომხურ და სლავურ ვერსიებს და დაადგინა, რომ ქართული ვერსია მისდევს სომხურს, ხოლო სადაც ქართული სომხურისგან განსხვავდება, გადამწერის დამახინჯებას უნდა წარმოადგენდეს. ხახანაშვილისეული ხელნაწერის ტექსტოლოგიურმა შესწავლამ აღნიშნული მოსაზრება სავსებით დაადასტურა. ასე მაგალითად, თბზულების ქართული ვერსია შემდეგნაირად იწყება:

„მე, ხიკარ, ვეზირი ვიყავი ქურუმ ხელმწიფემა აისორეს ტანისა“... (გვ. 97).

„აისორეს ტანისა“ გადამწერის შეცდომაა, უნდა იყოს: ასორსტანისა. „ასორსტან“ (*Ашурстан*) სომხური ფორმაა ქართული „ასურეთისა“. საერთოდ კი მოყვანილი წინადადება სომხური ვერსიის მიხედვით შემდეგნაირად უნდა გაიმართოს:

„მე, ხიკარ, ვეზირი ვიყავი [სენე]ქურუმ ხელმწიფის ასორსტანისა“.

ქართულ ვერსიაში ვკითხულობთ:

„ჰი, უფალო და არ ღმერთნი ბნელში და მიბრძანეთ და მამეცით და მე ერთი ვაჟიშვილი“ (გვ. 97).

მოყვანილი ტექსტი ძალზე დამახინჯებულია. საკუთარი სახელი „ბნელში“ გადამწერმა დაამახინჯა მისთვის გაუგებარი სიტყვის, ასე ვთქვათ, „გასწორებით“. მისთვის უცნობ სიტყვას გადამწერმა ქართული გაუხრება მისცა. გარდა ამისა, საერთოდ წინადადება გამართული არ არის. ერთი მხრივ გვაქვს მხოლობითში დასმული სიტყვა „უფალი“, ხოლო მეორე მხრივ — მრავლობითი ფორმით „არ-ღმერთნი“. ერთი სიტყვით, წინადადება გასწორებას მოითხოვს. სომხური ტექსტის გათვალისწინებით ქართული ასე უნდა წავიკითხოთ:

„ჰი, უფალო და არ-ღმერთნო: ბელშიმ, მირშახმინ, ეშარიშე და იმემიშახ. მიბრძანეთ და მამეცით მე ერთი ვაჟიშვილი“.

ხახანაშვილისეული ხელნაწერი საინტერესო წაკითხვებს იძლევა აგრეთვე მეორე თბზულების — „სპილენძისქალაქიანის“ წარმომავლობისა და ტექსტის დადგენის თვალსაზრისით. საილუსტრაციოდ აქვე მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბოლო დრომდე ცნობილი იყო „სპილენძისქალაქიანის“ მხოლოდ რუსული თარგმანი, შესრულებული ალ. ხახანაშვილის მიერ. აღნიშნულ თარგმანში სოლომონ მეფის ვეზირს ჰქვია ამირანი[21]. მაგრამ თავდაპირველად განა ამ ფორმით უნდა ყოფილიყო ეს სახელი მოცემული? რა თქმა უნდა, აქ ქართული ამირანი არ იგულისხმება და გადამწერს შეცდომასთან გვაქვს საქმე. ეტყობა, გადამწერმა შეცდომად მიიჩნია მას ხელში ნაქონი ნუსხის წაკითხვა და „გაასწორა“ მისთვის უცხო რომელიღაც სახელი. გადამწერის საქმიანობის კვალი კარგად შემოგვინახა ხახანაშვილისეულმა ხელნაწერმა. მართალია, ამ ხელნაწერში ვხვდებით სახელს „ამირანს“

[21] Л. Хаханов, Очерки, III, გვ. 165.

(„გავიქეცი და ამირან უკან გამომიდგა. მე უთხარი ამირანსა“.... გვ. 70), მაგრამ ყურადსაღები სწორედ ისაა, რომ ეს სახელი ხელნაწერში ორჯერ კვხვდება სხვაგვარი ფორმით, ერთი შეხედვით მცდარი წაკითხვით. და სწორედ ეს „მცდარი“ წაკითხვებია ჩვენთვის საინტერესო. ხელნაწერში ვკითხულობთ: „უბრძანა სოლომონ მეფემ თავის ვეზირს ამირთსა“... (გვ. 68). მეორეჯერ ეს სახელი ასე სწერია: „დავიძახე და შეჰკრიბე (!) ჯარში, თქმითა თუ: არავინ არ არი მიხვდა (!) თუ არ მარტო შენ ამირით. მოდი, რომ ვინახოთ (!) ერთმანეთი“ (გვ. 69. ხაზგასმა ყველგან ჩვენია. — გ. მ.).

ტექსტზე მუშაობისას ჩვენს ხელთ აღმოჩნდა თხზულების მეორე ხელნაწერი[22], რომელიც შესასწავლად დაგვითმო ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, მხატვარ-პოლიგრაფისტმა ბ. გორდეზიანმა.

ამ ხელნაწერმა საშუალება მოგვცა გაგვესწორებინა ხახანაშვილისეული ნუსხის გადამწერის უხეში შეცდომები. ზემომოყვანილი ადგილები ამ მეორე ხელნაწერში შემდეგნაირად იკითხება: „უბრძანა სოლომონმა თავის ვეზირს ამირათსა“ (ფ. 8 ბ); „დავიძახე და შევერიე ჯარში, თქმითა თუ: არავინ არ მინდა, თუ არ მარტო შენ ამირათ. მოდიო, რომ ვნახოთ ერთმანეთი“ (ფ. 9ა).

როგორც გორდეზიანის ნუსხით ირკვევა, ხელნაწერში თავდაპირველად ჭქონდა სახელი „ამირათ“ და არა „ამირან“. ქართული ვერსიის სომხურთან შეჯერება კი უეჭველს ხდის აღნიშნული სახელის სომხურიდან წარმომავლობას — სომხურში იკითხება ამირატ.

თხზულების ერთი ადგილი, სადაც მოხსენიებულია გეოგრაფიული სახელი. ალ. ხახანაშვილს შემდეგნაირად უთარგმნია: ...„прибыли они в страну Хареву“[23]. ხახანაშვილის თარგმანზე დაყრდნობით კ. კეკელიძე შენიშნავს: „პროზაული ვერსია იხსენიებს რაღაც ხარაბუს ქვეყანასო“[24]. ახლა ვნახოთ როგორ იკითხება ეს გეოგრაფიული სახელწოდება ხელნაწერში. ერთგან სწერია: „...მოვიდენ ხარება ქვეყანასა“ (გვ. 38). ჩვენთვის საინტერესო სიტყვაში ე ასო შემდეგ არის ქვემოდან მიწერილი. პირველად ეწერა: „ხარბა“[25]. წაკითხვა ორივე შემთხვევაში მცდარია.

ღასახელებული სიტყვა სწორი ფორმით გვხვდება ხელნაწერის მეორე ადგილას: „იპოვნეს ერთი კაცი, რომელმაც იცოდა ზღვა და ხმელეთი და ის ხარაბა ქვეყანაც ენახა“ (გვ. 37). მოყვანილი წაკითხვა საშუალებას გვაძლევს ტექსტი გავასწოროთ და თხზულების წარმომავლობის უტყუარი საბუთი ვეძიოთ. თხზულების სომხურ ვერსიაშიც სწორედ „ხარაბა“ (*խարարա*) იკითხება.

ხახანაშვილისეული ხელნაწერითვე ირკვევა, თუ როგორ გაჩნდა რუსულ თარგმანში თხზულებისთვის უცნობი „იუმენელი დევი ტაძშიერი“. რუსულ თარგმანში ჩვენთვის საინტერესო ადგილი შემდეგნაირად იკითხება: „И Нюмейский деви, который боролся с Соломоном, имя мое Талэшиери“[26].

---

[22] ხელნაწერი გადაწერილია 1828 წ. აღალო მატინოვის მიერ. ტექსტი თავნაკლულია.

[23] А. Хаханов. Очерки, III, გვ 163

[24] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 448.

[25] სხვათა შორის, ეს სახელი ამავე ფორმით ვეხვდება გორდეზიანის ხელნაწერშიც: „ხარბის ქვეყანა“ (ფ. 1ა).

[26] А. Хаханов. Очерки, III, გვ. 165.

კ. კეკელიძე უდარებდა რა ლექსით ვერსიას ალ. ხახანაშვილის თარგმანს, აღნიშნავდა: „აზიზ[27] მეფის მთავარსარდალი, პროზაული ვერსიით, არის იუმენელი (?) დევი ტაძრიერი, ლექსითმა ვინაობა და სახელი მისი არ იცისო“[28].

ახლა მიემართოთ ხელნაწერს. თხზულებაში თხრობა ასე ვითარდება: გორაზე ნახეს წელამდე მიწაში ჩაფლული კაცი. ბერიკაცი შეეკითხა, თუ ვინ იყო ის და ვინ დააყენა გორაზე. მიწაში ნახევრადჩაფლულმა კაცმა უპასუხა: „იუმეის დევი ვარ. რო? სოლომონთან ვიომეო. ჩემი სახელი არის ტაძშიერი“ (გვ. 65). გადაწერს დაშვებული აქვს უხეში შეცდომა: თ-ანის მაგიერად მას დედანში ამოუკითხავს ი-ნი, რის გამოც გამოთქმა —„თუ მეის“ გაუაზრებია, როგორც „იუმეის“. მოყვანილი ადგილის გამართვაში გვშველის გორდეზიანის ხელნაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: „თუ მეის დევი ვარ. სოლომონთან ვიომეო. ჩემი სახელი არის ტამშე“ (ფ. 7 ა).

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ზემომოყვანილი ნიმუშების საფუძველზე მკვლევართა (ნ.დურნოვო, ალ. ხახანაშვილი, პ. მურადიანი) მიერ გამოითქვა მოსაზრება „სპილენძისქალაქიანისა“ და „ახიკარ ბრძნის სწავლანის“ ქართული ვერსიების სომხურიდან წარმომავლობის შესახებ, რაც საბოლოოდ დადასტურდა ხახანაშვილისეული ხელნაწერის გამოვლენის შემდეგ.

ალ. ხახანაშვილისეული ხელნაწერის შემდგომი დაწვრილებითი შესწავლა კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე თარგმნილი ზოგიერთი თხზულების შესწავლის საქმეში.

---

[27] მეფის სახელის აღნიშნული ფორმით („აზიზ“) ხმარება ალ. ხახანაშვილის არახუსტი თარგმანის ბრალია: „Был царь Аббах Азис“ (Очерки, III, 165). ხელნაწერში ვკითხულობთ: „იყო ერთი ხემწიფე, სახელად ერქვა აბდილაზის“ (გვ. 65; შდრ. გორდეზიანის ხელნაწერში: „აბტილახიზ“, ფ. 7).

[28] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 448.

მამია დუმბაძე

თავისუფალ გლეხთა ფენის საკითხისათვის XVIII საუკუნის საქართველოში

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ბატონყმურ საქართველოში თავისუფალ გლეხთა ფენა საბოლოოდ გაქრა. მკვლევარნი მსჯელობენ მხოლოდ ისეთ გლეხებზე, რომელთაც გვიანფეოდალურ ხანაში შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდათ, გადასახადებისაგან ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფლდებოდნენ, მაგრამ ყმურ მდგომარეობას მაინც ვერ აღწევდნენ თავს (ნ. ბერძენიშვილი, შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, ო. სოსელია და სხვ.).

„აზატ"-„თარხან"-„თავდახსნილ" გლეხებში ისტორიკოსები ფაქტიურად უარყოფენ მიწიანად განთავისუფლებულთა არსებობას და, უკეთეს შემთხვევაში, ამას მხოლოდ დროებით მოვლენად მიიჩნევენ[1].

მოსაზრება იმის შესახებ, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში არსებობდნენ პირადად თავისუფალი გლეხები, რომელთაც მიწები არ ჰქონდათ და ამიტომ მათი მდგომარეობა ყოველთვის მერყეევი იყო, სადაოდ თითქოს არ გამოიყურება.

სამეცნიერო ლიტერატურაში შედარებით მეტი ყურადღება ეთმობა ხიზან გლეხებს, რომელთა მისამართით ეხლებით ასეთ კვალიფიკაციებს— „პირადი თავისუფლების მქონენი", „თავისუფალი მიწის მუშები", „თავისუფალი მოიჯარეები". მათგან ყურადღებას იპყრობს ხიზანთა შეფასება, როგორც „თავისუფალი მიწის მუშებისა" (ე. ვეიდენბაუმი), რაც, ჩვენი აზრით, სწორი არაა. ამის დასამტკიცებლად საჭირო იქნებოდა ხიზანთა ეკონომიური დამოუკიდებლობის ჩვენება. მათი პირადი თავისუფლება კი საყოველთაოდ აღიარებული ჩანს. ხიზანთა ერთი ნაწილი მართლაც ახერხებდა პირადი დამოუკიდებლობისა და თავისუფალი მოიჯარეობის მოპოვებას. მაგრამ ბატონთან შეხიზნული გლეხის ასეთი ურთიერთობა მხოლოდ პირველ ეტაპზე ინარჩუნებს ძალას, შემდეგ კი იგი ბატონის ხელყოფას განიცდის და მისგან წასვლა შეზღუდულია. ხიზანი არაა დაინტერესებული მეურნეობის განვითარებით, თუმცა ფაქტია, რომ ხიზნობა, როგორც შემცველი პირადი თავისუფლებისა, ბატონყმური დამოკიდებულების ჩარჩოებში არ თავსდება.

თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხთა ფენისადმი გარკვეული უყურადღებობა ჩვენს ლიტერატურაში იმით შეიძლება ავხსნათ, რომ აზატ-თარხან-თავდახსნილ და ხიზან გლეხთა შესახებ არსებული მასალების დიფერენცირებული შესწავლა დღემდე არ წარმოებდა. მკვლევრები მხოლოდ ზოგად ასპექტში განი-

[1] ო. სოსელია, აზატ გლეხთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში XIX ს. 20-იან წლებამდე, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. III, გვ. 186.

ხილავდნენ ამ კატეგორიებს და, ზოგჯერ, კლასობრივი ბრძოლის პროცესთაგან მოწყვეტით სწავლობდნენ მათ[2].

ადრეფეოდალურ ხანაში თავისუფალ გლეხთა რაოდენობა შედარებით დიდი იყო. ბატონყმურ ეპოქას მთლიანად არ განუდევნია ისინი. გარკვეულ სტადიაზე „მემკვიდრეობით" მიღებულ თავისუფალთა რიგებს უნდა მიმატებოდნენ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის შედეგად ყმობისაგან თავდასხნილი გლეხები. რაც შეეხება ნაგვიანევ ფეოდალურ ხანას, მისთვის ბატონყმობისაგან თავდახსნა, ისევე როგორც მწვავე ანტიბატონყმური მოძრაობა საერთოდ, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

XIII საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს განვითარება შეფერხდა და საუკუნეთა განმავლობაში დაჩიხული იყო. მიუხედავად ამისა, როგორც ირკვევა, ბატონყმობისაგან თავდახსნისათვის ბრძოლა ჩვენშიაც უშედეგო არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ასეთი ბრძოლა, რომელიც გარეგნულად „მშვიდობიან" ფორმებში მიმდინარეობდა, წარმატებას მაშინ მოიპოვებდა, როცა ქვეყანაში სათანადო ხელისშემწყობი პირობები შეიქმნებოდა.

პირადად თავისუფალი, ანუ „თავისუფალი მოიჯარე" ელემენტები ბატონყმური საზოგადოების ნაგვიანევ საფეხურზე თითქმის ისეთივე მნიშვნელობისა არიან, როგორც მიწით განთავისუფლებული გლეხები. თუმცა ამ უკანასკნელთა როლი გაცილებით უფრო დიდია.

ჯერ კიდევ ფ. ენგელსმა თავისუფალი მოიჯარეები, თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხებთან ერთ რიგში, აღიარა, როგორც ისეთი კლასის წარმომადგენლები, რომლებიც XIII ს. შემდგომი ხანის ევროპაში შეუჩერებლივ დევნიდნენ ბატონყმობას და ამზადებდნენ სამეფო ხელისუფლების გამარჯვებას ფეოდალიზმზე[3].

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ შეუსწავლელია ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესის უმთავრესი მხარეები XIX საუკუნემდელ ფეოდალიზმის ისტორიაში[4]. არაა გარკვეული, კერძოდ, მიწით განთავისუფლების, ანუ პარცელური მეურნეობის, შექმნის ფაქტები. თავისუფალი მოიჯარე გლეხებიც ვერაა ნაჩვენები კონკრეტული მაგალითების მიხედვით და ჭესაბამისად არცაა ახსნილი მათი არსებობის სოციალურ-პერსპექტიული მნიშვნელობა. ყურადღება არ ექცეოდა აგრეთვე საეკლესიო და სახასო-სამეფო გლეხთა დიფერენცირებულ შესწავლას. სწორედ მათ რიგებში მრავლად ვხვდებით ნომინალური ყმობის შემთხვევებს. თავდახსნილი გლეხები ხშირად თავს აფარებდნენ ეკლესიას ან მეფეს და მათი „ყმის" ნიღაბით ინარჩუნებდნენ თავისუფლებას. ასევე შეუსწავლელი რჩებიან ნასყიდ მიწაზე მსხდომი ყმა გლეხები. ყოველივე ამას, განსაკუთრებით კი მიწიანად განთავისუფლების ფაქტებს, ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევის თვალსაზრისით, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

---

[2] გამონაკლისს წარმოადგენს ვ. გუჩუას წერილი: კლასობრივი ბრძოლა ხიზნებსა და მემამულეებს შორის გვიანფეოდალურ საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის". ნაკე. 34, თბ., 1962.

[3] Ф. Энгельс, О разложении феодализма и развитии буржуазии (К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. XVI, ч. 1, გვ. 447, 449).

[4] მიწიანად თავდახსნილ გლეხთა ფენის შექმნა სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია მხოლოდ XIX ს.ის 30—50-იანი წლებისათვის (საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 457).

თავდახსნილობის, აზატობის თუ თავხსნობის სიგლები ხშირად ერთი და იგივე მნიშვნელობით გვეელინება. მათგან „აზატობა" თითქოს უფრო მეტად გავრცელებული ტერმინი ჩანს.

როგორც ცნობილია, გააზატება, უმეტეს შემთხვევაში, ძირითადი საბატონყმო ვალდებულებისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა. გააზატებულს გარკვეული მსუბუქი ბეგარა მაინც ეკისრა, რასაც ზოგჯერ „საააზატოს" ეძახდნენ[5]. ყველა აზატი და თავდახსნილი ერთნაირი როდი იყო. „აზატი იყავ და ხელახლა უფრო გააზატეთო",—აღნიშნულია ერეკლე მეორის მიერ გაცემულ ერთ საბუთში[6].

„უფრო გააზატება", შესაძლებელია, ერეკლემ იხმარა ვახტანგ VI-ის საბართლის 260-ე მუხლის მიბაძვით. იქ ნათქვამია, თუ რის საფუძველზე შეიძლება იყოს გლეხი „აზატ-ნაქმრისაგან კიდევ უფრო აზატი"[7].

საქართველოს ფეოდალური სამართალი, ჩვენი აზრით, სცნობდა თავისუფალი, დამოუკიდებელი გლეხის არსებობას.

ვახტანგის კანონებში ჩამოყალიბებულია გააზატების პირობები, ხაზი ესმება მამულით გააზატებას[8]. აზატობის წიგნში საჭიროდაა მიჩნეული სააზატო ვალდებულების ფიქსაცია; ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, როცა წიგნის ჩიმცემი ასეთ ვალდებულებას უტოვებს ყოფილ მებეგრე გლეხს. იმავე სამართლის 260-ე მუხლი თავდახსნას თითქოს უფრო მყარ თავისუფლებად მიიჩნევს, თუმცა ამის გადაჭრით მტკიცება ძნელდება. ყოველ შემთხვევაში, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ვახტანგის სამართალი სრული აზატობის, ანუ მიწით ჯასთავისუფლების, ფართო გავრცელებას თუ არა, ნაწილობრივ არსებობას მაინც გულისხმობს.

სამართლის 260-ე მუხლი პირადი თავისუფლების მქონე გლეხის უფლებებს იცავს. იქ დადასტურებულია ისეთი თავდახსნილი გლეხი, რომელიც უმამულოდ განთავისუფლებულა, მაგრამ პირად თავისუფლებას ინარჩუნებს. კანონი მას ძაინც ყმას, „წყალობის ყმას" ეძახის, თუმცა იგი ჩვეულებრივი ყმა სრულებითაც არაა; იგი უფრო თავისუფალი მოიჯარეა, ვიდრე ყმა-გლეხი—„როდისაც უნდა, მამულს დაუგდებს და წავა".

კანონი იცავს თავისუფალ, დამოუკიდებელ გლეხს; მას თუ მიწა ექნება, იგი, რა თქმა უნდა, არავის არ ეყმობა. თავდახსნილს შეიძლება თავისუფლების წიგნი არ ჰქონდეს, მაგრამ თავისი უფლება მოწმეებით დაამტკიცოს. კანონი მოითხოვს, რომ თავდახსნილს „ცუდუბრალოდ ნურავინ იყმობს".

იმავე 260-ე მუხლის მეორე ვარიანტი (B ნუსხით) უფრო აზუსტებს თავდახსნის სიგლის სრული სახით გაფორმების საკითხს, თუ როდის შეიძლება იგი სწორად მივიჩნიოთ—„პატრონმა რომ თავი დაჰსნეკინოს და ბატონით და თავისი ბეჭდით წიგნი მისცეს, ის სწორე დაჰსნილი იქნება, კელი აღარა აქვს იმასთან".

ამრიგად, თავდახსნის დოკუმენტი სწორად გაფორმებულად მაშინ ითვლება, როცა „ბატონი", ანუ ამ შემთხვევაში მეფე, ყმის უშუალო „პატრონთან" ერთად სიგელს დაამტკიცებს. XVIII ს. II ნახევრის დოკუმენტებიდან ჩანს, რომ

---

[5] საქ. ცსსა, ფ. 1448, № 765.

[6] იქვე. № 3177 (1755 წ.).

[7] ვახტანგ VI-ის სამართალი, თ. ენუქიძის გამოც., თბ., 1955, გვ. 117.

[8] იქვე, მუხლი 234 (B ნუსხით).

ვახტანგის სამართლის ეს მოთხოვნა თავდახსნის წიგნთა გაფორმების დროს, თუ ყოველთვის არა, ზოგ შემთხვევებში მაინც დაცული იყო.

თავდახსნილ-გაზატებულ გლეხთა ფენის შესწავლისას ყურადღებას იპყრობს ვახტანგის სამართლის ჩვენებანი „მსახურთა“ შესახებ. სამართლის მე-18 მუხლში მითითებულია „გლეხის“ და „მსახურის“ სისხლის ფასი. აქ „გლეხი“ თითქოს მთლიანი და ზოგადია, თითქოს უგულვებელყოფილია ამ კლასის შიგნით არსებული სხვადასხვა უფლებების მქონე გლეხთა ჯგუფები, ჩვეულებრივი ყმა-გლეხის და აზატი გლეხის სისხლს შორის განსხვავება არაა. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, იმით უნდა ავხსნათ, რომ აღნიშნული კანონები სრულყოფილი არაა. ყველა გლეხის ერთ „სისხლში“ გაერთიანებას ვახტანგის კანონთა სოციალური შინაარსის, მისი ლოგიკური თანმიმდევრობისათვის დამახასიათებელ მოვლენად ვერ მივიჩნევთ.

მიუხედავად „სისხლიური“ ერთიანობისა, ვფიქრობთ, ფეოდალურ სამართალში (ბექა-აღბუღას, ვახტანგის) „მსახურის“ გამოყოფა ყმა-გლეხთა ცხოვრებაში უკვე მომზდარი ეკონომიური და სოციალური დიფერენციაციის დადასტურებას გულისხმობს. „მსახური“ აქ თავადაზნაურობის წარმომადგენელი არაა, იგი არც ვაჭართა კლასს ეკუთვნის. „მსახურის“ სისხლი, ვახტანგის სამართლის მიხედვით „გლეხის“ სისხლთან შედარებით ორმაგია (24 თუმანი)[9].

სამართლის „მსახური“ ხელმწიფის სამსახურში ჩაყენებული ისეთი გლეხია, რომელსაც თავდახსნა-აზატობასთან ერთად რაიმე მოხელეობაც მიუღია. ამრიგად, მსახურობა მჭიდროდ უკავშირდება თავდახსნა-აზატობას და ამდენად ხაწილობრივ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მე-18 ს. სამართალი რამდენადმე სისხლის ფასშიაც უწევდა ანგარიშს აღნიშნული კატეგორიის გლეხებს. ამ მხრივ სამართლის 34-ე მუხლს რედაქციული ხასიათის ნაკლი ემჩნევა.

აზატ-მსახური გლეხის ორმაგი სისხლის შესახებ ჩვენებებს ვპოულობთ ერეკლეს მიერ გაცემულ „აზატულობისა“ თუ „საჯილდაო“ წიგნებში. ასე, მაგალითად, 1794 წ. ერეკლემ აზატობის წიგნი მისცა თოფჩად დაყენებულ სახასო ყმას — „ბოდბერს ბახუტაშვილს იოსებს“. სიგელში სხვათა შორის, აღნიშნული იყო, რომ საჭირო შემთხვევაში მოსამართლემ სისხლი „ერთიორად“ გაგიჩინოსო[10].

თავისუფალ მიწისმფლობელ და მოიჯარე გლეხთა ფენის არსებობა-ჩამოყალიბებას, მის გამრავლებას საგრძნობლად შეუწყო ხელი ერეკლე მეორის განჩინებებმა და იმ ღონისძიებებმა, რომლებსაც ეს მეფე „ბატონყმური რიგის“ დასაცავად და ფეოდალური სეპარატიზმის დასაძლევად ახორციელებდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ერეკლეს 1765 წ. განჩინებას იმის შესახებ, რომ ტყეებიდან საკუთარი საშუალებებით დახსნილი და სამშობლოში დაბრუნებული გლეხი თავისუფალი ხდებოდა. წინანდელი ბატონი მასზე ყოველგვარ უფლებას ჰკარგავდა. ასეთი გლეხი ვისაც მოისურვებდა, იმას ეყმობოდა[11].

არსებული დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ აღნიშნულმა განჩინებამ სათანადო შედეგი გამოიღო; „დაკარგულ“ ყმათა დიდი ნაწილი სამშობლოს უბრუ-

---

[9] ვახტანგ VI-ის სამართალი, მუხლი 32—33. გვ. 58.

[10] საქ. ცსსა. ფ. 1448, № 580.

[11] Грузинск. крестьянск. грамоты под ред. Д. Пурцеладзе. გვ. 17.

ნდებოდა და, მცირე რაოდენობის გამოკლებით, სახასო და საეკლესიო ყმებად ეწერებოდა. სახასო და საეკლესიო ყმათა რიცხვის ზრდა კი, როცა იგი საბატონო ყმათა სარჯზე ხდებოდა, უდაოდ გარკვეული მნიშვნელობის მოვლენა იყო. იგი ფეოდალთა შეზღუდვას და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას უწყობდა ხელს; ამდენადვე ეს პროცესი ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევას ახალოებდა. სახასო და საეკლესიო გლეხებში ქონებრივი დიფერენციაცია, შედარებით უფრო ვიდრე საბატონო გლეხებში, თავდახსნა-აზატობის უკეთეს პერსპექტივებს ქმნიდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაბალი ფენებიდან გამოსული პირების დაწინაურებას. რასაც ერეკლე მეფე არც თუ ისე იშვიათად მიმართავდა. გარდა ამისა, ერეკლე ენერგიულად იცავდა ხიზან გლეხებს მასპინძელ-მებატონეთა ძალმომრეობა-ჩაგვრისაგან[12].

ერეკლე მეფეს, როგორც ჩანს, კარგად ესმოდა, რომ ყმა-გლეხთა იდეალი სოციალური თავისუფლება და მიწის საკუთრება იყო, რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი გლეხი სამშობლოს დასაცავად, საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, უფრო მეტად უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, ვიდრე ფეოდალის მიერ დაბეჩავებულ-დამონებული, მიწის საკუთრებას მოკლებული, ყმა-გლეხი. ამიტომ იყო, რომ ერეკლე კარგად იყენებდა თავისუფლებისკენ გლეხთა ლტოლვას და სამშობლოსათვის თავდადებულ მეომრებს ყმობისაგან ათავისუფლებდა. სოფლის და ქალაქის თავისუფალი ელემენტები მხარს უჭერდნენ მეფის ხელისუფლების გაძლიერებას და ფეოდალთა დამარცხებას.

გლეხმა იცოდა, რომ საკუთარი მიწის უქონლობა იყო ყმობა-უუფლებობის მთავარი მიზეზი, ამიტომ იგი შიშილობდა. კაბას კაბაზე აწებებდა და მიწის საკუთრებისა და თავდახსნისათვის იბრძოდა[13].

თავდახსნილ-გაზატებულ გლეხთა საგრძნობი ნაწილი უმიწობის, ვალის, სტიქიური უბედურების, თუ სხვა გაჭირვებისა და „გაუძლებლობის" გამო ვერ ახერხებდა პირადი თავისუფლების შენარჩუნებას და ისევ სამკვიდრო ყმათა რიგში ექცეოდა. თავისუფლების ასეთ მწარე ფინალზე ჩიოდნენ და წუწუნებდნენ ყმები დალაქი არუთინაშვილი[14], უსტაშვილი[15] აპარესა. პეტრუსა და სარჭისა[16], კოტრიშვილები[17], გიორგი ბერდუაშვილი[18], გასპარ პოღოსაშვილი[19], ოჰანეზა[20], ბაღდასარა ხეჩატურაშვილი[21], ხიზნად ნამყოფი სანაიანთ არუთინაშვილი[22], ჯავახი დათუნაშვილი[23] და სხვა მრავალი.

აღნიშნულ ხვედრს იზიარებდა უმიწოდ თავდახსნილ-გაზატებულ გლეხთა მხოლოდ ერთი ნაწილი. მეორე ნაწილი ახერხებდა პირადი თავისუფლებისა და

---

[12] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 388

[13] საქ. ცსსა. ფ. 1418. № 5398 (1782 წ. ბიჭიაშვილების საჩივარი).

[14] იქვე, № 141.

[15] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 194, № 198 (1783 წ.).

[16] იქვე. № 300 (1797 წ.).

[17] საქ. ცსსა, ფ. 1448 № 2996 (1797 წ.).

[18] Грузинские крестьянские грамоты, გვ. 40—41 (1782 წ.).

[19] იქვე, გვ. 48 (1786 წ.).

[20] საქ. ცსსა, ფ. 1448, № 4417 (1782 წ.).

[21] იქვე. № 2580 (1790 წ.).

[22] იქვე, ფ. 1450, დავთ. 1, № 25 (1791 წ.).

[23] იქვე, დავთ. 5, № 105 (1782 წ.).

მოიჯარეობის თუ „ნომინალური ყმობის“ შენარჩუნებას. ამავე დროს ადგილი ჰქონდა გლეხთა მიწიანად განთავისუფლების ფაქტებს. კ. ყოველივე ეს კი იმის მაჩვენებელი იყო, რომ თავდახსნა-აზატობისათვის ყმათა უწყვეტი ბრძოლა უშედეგო არ ყოფილა; არც თუ ისე შესამჩნევად, მაგრამ მაინც ბატონყმური ურთიერთობა ირღვეოდა.

საბუთები ყოველთვის არ იძლევა საშუალებას გაირკვეს, თუ რამდენად სრული ფორმით ხდებოდა ყმის გააზატება, მიწიანად ღებულობდა თავისუფლებას თუ არა. ზოგიერთი საბუთი პირდაპირ არ გვაუწყებს უმიწოდ განთავისუფლების შესახებ, მაგრამ მისი შინაარსი ამაზე გვანიშნებს—„სადაც გინდა, იქ წადი, ვისაც გინდა, იმას ეყმეო“. გამონაკლის შემთხვევებში ვხვდებით პირდაპირ მითითებას—სახლთან და მამულთან „საქმე აღარ გაქვს რა, რადგან ჩემგან გასული ხარო“[24].

გლეხის მიწიანად განთავისუფლების შესახებ იმ საბუთებში, რომლებშიაც ეს პირდაპირ აღნიშნული არაა, გვანიშნებს ასეთი მითითება—„თუ გინდა შენთვის დადექ, თუ გინდა, ეყმე ვისმე“[25].

როგორც ზემოთ ითქვა, თავდახსნა-აზატობას, გლეხთა ბრძოლას თავისუფლებისათვის, შედარებით უკეთესი პირობები შეექმნა XVIII ს-ის II ნახევარში, მაგრამ განთავისუფლების აქტები წინარე ხანისათვისაც არ ყოფილა უცხო. დოკუმენტები, მიუხედავად მათი სიმცირისა, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ ამა თუ იმ ყმის ოჯახის შთამომავალთა მიერ ნაწილობრივი ან სრული თავისუფლების შენარჩუნებას ეპოქის სიგრძეზე.

1623 წ. ერთ სიგელში ნათქვამია: „მოკითხული ქნეს“ და გაირკვა, რომ ქობულაშვილები ალექსანდრე მეფის შეაღაპენი იყვნენ და ამიტომ პაპუნას სითარხნე დაუმტკიცეს; სათათრო საურისა და ლაშქარ-ნადირობის მეტი არაფერი ევალებაო[26].

1675 წ. სიგელში აღნიშნულია, რომ გიორგი დეკანოზის წინაპრები „ძველ შეფეთაგან მუდამ“ თავისუფალნი იყვნენ[27]. 1693 წ. ნაზარალიხანმა განუახლა „სითარხნისა და აზატობის წიგნი“ ქიზიყელ ალადაშვილ გიორგის[28], რომლის შთამომავალნი თავიანთ მდგომარეობას XVIII ს-შიც კი ინარჩუნებდნენ. ანალოგიურია მღებარი სარქისსადმი მიცემული სიგელი XVIII ს. დამდეგს, და გახანლებული იმავე საუკუნის II ნახევარში. სარქისას უბოძეს „მუჯირის აყოფაშვილის“ ბეითალმანი მამული[29]. ამავე პერიოდზე მოდის სითარხნის სიგლები მაჭარაშვილისა (იმერეთი)[30], მირიგასშვილისა[31] და სხვ.

„არას კაცს კელი არავის ჰქონდეს... სადაც გინდოდეს იქ დარჩი, მხთის მეტს შენთან კელი არავისა აქუს“,—ნათქვამია 1733 წ. პაპუნა გონგაძის მიერ მიღებულ სიგელში[32]. 1737 და 1796 წლებში მოწმდება თეიმურაზ II-ის ერთგული ყმების ცისკარიშვილების აზატობის სიგელები[33]. „ერთის ლაშქარ-ნადირობის

---

[24] საქ. ცსსა, ფ. 1448.

[25] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, № 66.

[26] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd, № 7062 (1623 წ.).

[27] იქვე, № 9662.

[28] იქვე, № 1950.

[29] ხელნაწ. ინსტ., ფ. Qd, № 2522.

[30] იქვე, ფ. Sd, № 5091.

[31] იქვე, № 809.

[32] იქვე, ფ. Ad, № 428.

[33] იქვე, №№ 1100, 1303, 1319, 1401.

მეტი“ არაფერი ეთხოვება ერწოველ შამაზა ქინქლაძეს, რომლისთვის მიცემულ სიგელში მწყალობლებად გამოდიან მეფე ალექსანდრე და მარიამ დედოფალი, ბიძა ბატონი თეიმურაზ, ბიძასშვილი ერეკლე და ბაგრატ, ასანმირზა[34].

1645 წ. თეიმურაზ I-მა სრული აზატობის სიგელი განუახლა ერთგულ ყმებს—„ხოსროს და მამის ნაცვალსა მისსა დარჩას და შვილთა და მომავალთა სახლისა მისისათა ყოველთავე“. სიგელში ჩამოთვლილია 30-მდე სხვადასხვა გადასახადი, რისგანაც ხოსრო თავისუფლდება; გარდა ამისა, მას უბოძეს მისივე „სამკუიდრო მამული, რაზედაც დღეს სახლობხარ და ქოდელაანში ნატროს ნაქონი მამული და რისაც მამულის მჭონებელი იყო, დეშურაანში ნატროს ნაქონი მამული და ოასმალურში მურადა და სახლი მისი შვილებითურთ და მისის მამულითა“[35]. ეს სიგელი 1755 წ. დაუმტკიცებია ერეკლეს, ხოლო 1781 წ. ვახტანგ ბატონიშვილს.

„თქვენივე სამკუიდრო მამული, რაზედაც დღეს სახლობხარ“, გვიბოძებიაო. ეს, შესაძლებელია, იმას ნიშნავს, რომ მიწისმფლობელობა (სამეფო-სახასო მიწაზე ჯდომა) იქცევა მიწის საკუთრებად (თუმცა იგი უცილობელი არ შეიძლება ყოს).

აღნიშნული ხოსროს შთამომავალნი უნდა ყოფილიყვნენ ენისელთ ნაცვალი ხოსრო, მისი შვილები ჯამასპი, ღონენა, თამაზა, რომელთაც ერეკლემ და თეიმურაზ II-მ დაკარგული სიგლის სანაცვლოდ ახალი სიგელი მისცეს, კვლავაც დაუმტკიცეს ნაქონი მამულები და უბოძეს ყმად „თასმალურში მურადაშვილი მისი მამულითა“[36].

ამ შემთხვევაში თავისუფალი მიწისმფლობელი თუ მიწის მესაკუთრე გლეხი თვითონ გამხდარა ექსპლუატატორი მასზე დამოკიდებული გლეხისა. თუმცა სამეფო ხელისუფლებას მისთვის აზნაურობა არ მიუცია. ასეთი მოვლენა (გლეხის გლეხი), რომელიც ნაწილობრივ აღრეცაა დადასტურებული, მაინც საინტერესოდ უნდა მივიჩნიოთ. ასეთი და მისი მსგავსი ფაქტები ბატონყმურ ურთიერთობათა გადაგვარების მაჩვენებელია.

მეფის წინაშე განსკუთრებული დამსახურებით გამორჩეული ყმა-გლეხები, არც თუ ისე იშვიათად, მიწასა და თავისუფლებას ღებულობდნენ.

1738 წ. თეიმურაზ II-მ სრული თავისუფლება მისცა ჩალხია კარდანახელს, რომელიც ერეკლეს „ყაენის კარზე“ ახლდა. შემდეგში კი თვით ერეკლემ დაუმტკიცა ჩალხიას „ბატონის მამის ჩუენისაგან“ ბოძებული წიგნი. ასევე მოიქცა გიორგი XII-ც[37].

თეიმურაზ მეფე და მისი ძმისწული ჰასან მირზა პაატა ალადაშვილისა და მისი შთამომავლობისათვის მიცემულ სიგელში აღნიშნავდნენ, რომ იგი მეფეს ირანში ახლდა და „მრავლად ემსახურა“, რისთვისაც ყოველგვარი გადასახადისაგან გაათავისუფლეს — „ლაშქარ-ნადირობის მეტი შემაწუხებელი შენს კარზე არა მოდგეს-რა“[38]... ეს სიგელიც შემდეგში მტკიცდება ერეკლესა და გიორგი XII-ის მიერ.

---

[34] იქვე, ფ. Sd. № 240 (1737 წ.).

[35] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. I, გვ. 265—266, № 512.

[36] საქ. ცსსა, ფ. 1448, № 600; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 367—368, № 515.

[37] საქ. ცსსა, ფ. 1448, № 2385.

[38] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 420—421, № 590.

1753 წ. დავით ჯავახიშვილი და მისი ახნაურები—აბულვარდისშვილები ათავისუფლებენ მელესელ ყმას ქიტო ნონიაშვილს (მისიეე სახლობით). „აე დროსაგან და დიდის გაჭირვებისაგან შენის ყმობისაგან კელი ავიღევით და ფასი გამოგართვით და თავი დაგახსნევინეთ... თუ გინდა შენთჯნ დადექ, თუ გინდა ეყმე ვინმეე... გზაზედ. რომ შემოგვეყარო, თუ შენის ნება-წადილით არ გინდოდეს. ხალმი არ მოგეცე. ასე კელი აგვიღია შენზედ". საჯავახიანოს კაცი შენ და შენს მიდგომას. „ან შენ შვილს და შვილიშვილს" არავინ შეეხება[39].

უეჭველია, რომ ნონიაშვილი ნასყიდ მიწაზე იჯდა, ან მიწიანად დაიხსნა თავი.

ყმობისაგან თავდახსნილ გლეხთა ფენა შედარებით მრავალდება 1755 წლიდან—ყვარელთან გმირული ომის დროიდან.

ყვარელთან 200 გლეხის გმირულ ბრძოლას ღრმა კლასობრივი ფესვები ჰქონდა.

ყვარლის ცხის აღების შემთხვევაში მრავალრიცხოვანი მტრის ჯარი გაღმა-მხარს და კახეთს დაეპატრონებოდა. მეფეები საგონებელში ჩაცვივდნენ— „მერე დასუსტებულს ქართლს რითღა შევიმაგრებთო". „ამის ფიქრში და რჩევაში იყვნენ მარად-დღე, ამის მეტი ღონე ვეღარა მოიპოვნეს-რა. უბრძანეს ქართველთა და კახთა ერთობით: „რომელიც ინებებს და თავისის გულოვნებით მონდომით წარკალს და შეკალს ციხესა ყვარელისასა... გლეხს კაცს. კაცზე ოთხს თუმანს, ორს საკომლო მამულსა და სითარხნეს მივსცემთო"[40].

როგორც ვხედავთ, ქართლ-კახეთის მეფეები იძულებული გამხდარან მოხალისე გმირთათვის ბატონყმობისაგან განთავისუფლების პირობა მიეცათ. აქ უდაოდ ჩანს იმ მწვავე კლასობრივი ბრძოლის ანარეკლი, რომელსაც ქართლ-კახეთში ჰქონდა ადგილი. გლეხთა მიზანი ყმობისაგან განთავისუფლება და თავისუფალი მეწისკუთრეობის დამკვიდრება ყოფილა. ამიტომაც იყო, რომ გარეშე მტრის შედეგად საფრთხეში ჩავარდნილი ფეოდალური სახელმწიფოს მესვეურები გლეხებს თავგანწირვის საზღვრად აღნიშნულ პირობას უდებდნენ.

მიწიანად გაახატებული ყოფილი ყმის რევაზ ბეგიაშვილისადმი მოცემულ სიგელს ერთვის ერეკლე მეფის მიერ ყვარლის ციხის ალყის გარღვევაში მონაწილეთადმი მიცემული პირობის მოწმობა—დედანი, რომელიც თამბაქოს ნამწვავით. თუ ბრძოლის ველზე თოფის ცეცხლით არის გახვრეტილი. ოდნავ დაზიანებულ ამ საბუთში ნათქვამია:

„ქ. ღთ[ნ] ჩვენ მეფე ერეკლემ უნდა გიბოძოთ შენ ბეგიაშვ[ილს]... რას, თუ ყვარელის ციხეში შეხვიდე, ოთხი თუმანი, ორი საკომლო ბეითალმანი, სითარხნე შვილთ შვილამდე. ენკენისთვის ით ქ[კს უმგ" (სექტემბრის 19. 1755 წ.). საბუთი დამოწმებულია ერეკლეს მცირე ბეჭდით[41].

ყვარლის გმირის პაპა ვაჩნაძე-ბებურიშვილისადმი ერეკლეს მიერ მიცემულ სიგელში ნათქვამია, რომ გარემოცვის გარღვევაში მონაწილეობდნენ „ქართლიდამ სამი ოთხი სპატიოს კაცისშვილები და ახნაურიშვილი. ყიზიყიდამ ასსამი კაცი, და კახეთიდამ და ქართლიდამ ოთხმოცდა შვიდმეტი გლეხი კაცი"[42].

39 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 2788; დოკუმენტები საქართველოს სოციალუ-ი ისტორიიდან, II, გვ. 45—46, № 66.

40 პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება („ქართლის ცხოვრება", დ. ჩუბინაშვილის გამოც., ფ. 1854, გვ. 463).

41 საქ. ცსსა, ფ. 1448, № 3177.

42 საქ. სიძველენი, ტფ., 1920, I, გვ. 14, 172—173, № 189.

ერეკლე მეფემ მოხალისეთათვის მიცემული პირობა გაანაღდა. ზემოხსენებულ ბეგიაშვილისადმი მიცემულ თავისუფლების სიგელში ნათქვამია, რომ იგი სხვებთან ერთად თავგანწირულად იბრძოდა. „რადგან ეს სამსახური ათავე. სენც წყალობა გიყავით. აზატი იყავ და ხელახლა უფრო გაზატეთ". იგი გაათავისუფლეს ყოველგვარი ბეგარა-გადასახადისაგან, გარდა სამხედრო სამსახურისა (ლაშქარ-ნადირობა) და ჯილდოდ უბოძეს „ხუცია ფაქლენისშვილის საკომლო"[43].

„თავი სასიკვდილოდ არ დაზოგა" აგრთვე მამუკა გურაშვილმა, რომელიც, ისევე როგორც ბეგიაშვილი, თავისი შვილებით, შვილისშვილებით და „მომავალთა ყოველთაევე სახლისა თქვენისათა" გაათავისუფლეს და ორი საკომლო მიწაც მისცეს[44].

როგორც ვხედავთ, ყველგან თავისუფლება საოჯახო-სამემკვიდრეო პრივილეგიად ცხადდება.

„კარგად და ლომურად გაისარჯა" ქიზიყელი, წმინდა ნინოს ეკლესიის ყმა ასლან ლეკიშვილი, რომელმაც „ყამთა-ხანთა გასათავებელი საჭილდაოთ ნათლობის აზატობის წიგნი და ნიშანი" მიიღო. მასაც, თანახმად პირობისა, საშვილიშვილოდ უბოძეს ორი საკომლო ბეითალმანი[45].

ყვარლის ალყის გარღვევაში დამსახურების შედეგად თავისუფალი მიწისმფლობელი გლეხის უფლებები მოიპოვა პაატა ბეროშვილმა. „მამით, ძმით, შვილით და ყოველის თავის მომავლით"[46]. ერეკლემ მას უბოძა „ბერო გაისშვილის ნაქონი მამული თავისის შესაელით და გასაელით, წყლით და წისქვილით"[47].

ანალოგიურია მარტყოფელი ლაზარე ოქრუაშვილის თავისუფლებაც. მას უბოძეს „ფიდონასშვილის მამისიმედის ბეითალმანი, ერთი საკომლო მამული... ამ მამულს საკნავი მიწა მკლეთა ქონია და შენის ვენაკის გვერდზე რომ შენის ვანაყოფის სოზია უსიტაშვილის ბეითალმანი ერთის დღის მიწა არის და მინდორში რომ ექვსის დღის საკნავი არის, ესეც ამ საკომლოზე დაგიდეთ... და ერთი საკომლოთ შეგისრულეთ"[48].

ყვარლის გმირთა თავისუფლების შესახებ სიგელთა დიდმა უმრავლესობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ. ზემოთ მოტანილი 5 საბუთი სავსებით ნათელ წარმოდგენას ქმნის იმის შესახებ, რომ ალყის გარღვევაში მონაწილე გლეხთაგან ყველამ (მათ შორის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებმაც), პირობა გაინაღდა და თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხთა უფლებები მიიღო.

1803 წ. ციციანოვისადმი მირთმეულ მოხსენებაში თავ. ორბელიანი აღნიშნავდა, რომ „в Грузии весьма много есть царского дому дворовых людей, кои никакой подати в казну не платили, но обязанностью их было во всякое время военное первыми выходить против неприятеля. Сии

---

[43] საქ. ცსსა, ფ. 1448, № 3177.

[44] ხელნაწ. ინსტ. ფ. Qძ, № 7063. საბუთი გამოაქვეყნა თ. ენუქიძემ (იხ. მუზეუმის მოამბე. ტ. XVII—Б. 1953, გვ. 205—206).

[45] საქ. ცსსა, ფ. 1448, № 2326, დედანი.

[46] იქვე. ფ. 1449, № 2469; ფ. 1451, დავთ. 2 ა, გვ. 39.

[47] ხელნაწ. ინსტ., ფ. Qძ, № 9456, 9456 ა.

[48] საქ. სიძვ. წ. I, გვ. 172—173, № 189; საბეთს მნიშვნელობა აქვს ამ დროის საკომლის განსაზღვრისათვის.

люди назывались тарханы-мсахури, из которых многие за отличную храбрость награждены... Таковых тарханы-мсахури можно собрать до 600 человек и сверх того канониров, называемых тоичи до 400 человек".[49]

სწორედ ესენი იყვნენ გაზატებული და მიწებით დაჯილდოებული გლეხები— თავისუფალი მოლაშქრეები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების საიმედო საყრდენსა და მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ ქართლ-კახეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ერეკლე-თეიმურაზის დროს გლეხთა მიწიანად განთავისუფლების, ანუ თავისუფალ მოლაშქრეთა გამრავლების, ფაქტები უკავშირდებოდა არა მარტო ქვარლის ბრძოლას. თავისუფლებით აჯილდოებდნენ სხვა რიგის სახელმწიფოებრივ საქმეებში თავდადებულ მწარმოებლებსაც. სიგელებში ხშირად პირდაპირ აღნიშნავენ დაჯილდოებულის დამსახურების შინაარსს, როგორც მაგალითად, ჯვარელთან ბრძოლაში თავდადება, ინდოეთს ლაშქრობაში ერეკლესთან ხლება და ერთგულება. ირანს, შაჰის კარზე საგანგებო მისიასთან დაკავშირებით წარჩინება და სხვ., მაგრამ აზატობის ერთი რიგის წიგნებში გაზატებულის გმირობის ამბავი მითითებული არაა. ამას, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

1776 წ. ერეკლემ დაამტკიცა თეიმურაზ მეორის მიერ 1737 წ. გაცემული სიგელი, რითაც სრული თავისუფლება მიუღიათ ანაგელ შარმაზანას, რამაზს, ზურაბს, პეტრეს. შარმაზანა თავისუფლდება ყოველგვარი „სახელმწიფო და საბატონო გადასახადისაგან — „შენს კარზე არა მიადგება რაო"[50].

1778 წ. „ყოველის ხარჯის ბეგრისა და სათხოვრისაგან" გაათავისუფლა ერეკლემ მარტყოფელი გლეხი დათუნა თუშმალი მისი ბიძით, შვილებით, ბიძისშვილებით. „ამათ კარზე მზისა და წვიმის მეტი არაფერი სათხოვარი არ მიადგებისო" (გარდა ლაშქარნადირობისა)[51].

1780 წ. იგივე ერეკლე სრული თავისუფლების სიგელს უმტკიცებს მაღანლუელ ყმას ალია ჯილავდარს, რომელიც მეფეს ინდოეთს ახლდა და ერთგულად ემსახურა—„არაფერი საჩვენო გამოსალები და ბეგარა არა გეთხოვებოდეს, არა საჩვენო და არა საქვეყნო". ერეკლეს შემდეგ სიგელი 1798 წ. დაუმტკიცებია გიორგი მეფეს[52].

1782 წ. ერეკლემ დაამტკიცა ზურაბ ზურაბიშვილის მიერ გურგენა რამაზაშვილისათვის მიცემული თავისუფლების სიგელი — „რადგან ჭელმწიფის ბრძანებაც ასე არის რომ ტყვეობიდამ მოსული ყაცი თავისუფალი შეიქნება" გურგენას უშუალო ბატონიც „ამოვარდნილა" და „არც იმას ჰქონდა საბატონოთ შენთან ქელი". ამ შემთხვევაში საბუთის დამტკიცება ერეკლეს მიერ სრულ აზატობას. მიწით განთავისუფლებას, გულისხმობს[53].

---

[49] Акты, собр. Кавк. Арх. Ком., II, გვ. 288. ამ ცნობაზე მიმართეს აკად. ნ. ბერძენიშვილმა და პროფ. ს. ყაყაბაძემ ისტორიის ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესიის სხდომაზე, 1963 წ. 14 მარტს, როდესაც მოსმენილ იქნა ჩემი მოხსენება თაყისუფალ გლეხთა შესახებ (იხ. დაბეჭდილი თეზისები).

[50] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd. № 23.

[51] საქ. ცსსა, ფ. 1448, № 1149.

[52] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 114—115. № 190.

[53] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 14037.

სრული თარხნობა მისცა ერეკლემ 1789 წ. ჯავახ გოგია ზერეკიძეს, იბრეიმ-ბეგის კაცს[54].

ერეკლე საგანგებო, საერთო ხასიათის ბრძანებებითაც ამტკიცებს ყვარლის გმირებისა და ინდოეთს ლაშქრობაში მხლები ყმების თავისუფლებას. 1783 წ. იასაულ სახიას მეფემ უბრძანა, რომ ხსენებული აზატებისათვის. რომლებიც შუამთის მონასტრის თარხან ყმათა სიაში ყოფილან, არაფერი არ გამოერთვათ. სხვა თარხნებს კი საეკლესიო გადასახადი ეკისრებოდათ[55]. ამ შემთხვევაში სრული აზატობის მქონე გლეხთა მოხვედრა შუამთის მონასტრის გლეხთა სიაში არაფერს არ ცვლის და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ამ ეკლესიის მრევლს „ავსებენ", არსებითად კი დამოუკიდებელი მოლაშქრე-მწარმოებლები არიან.

სრული აზატების საგადასახადო შეუვალობაზე მიუთითებს აგრეთვე ერეკლეს 1784 წ. ბრძანება ქიზიყის მოურავის ულუფის შესახებ[56]. სრული აზატების ყველაზე მეტი რაოდენობა ქიზიყზე მოდიოდა.

ერეკლეს 1784 წ. ბრძანება გვაუწყებს აგრეთვე არაშუღმიე. „მსახურობასთან" დაკავშირებული აზატობის შესახებ. ყმის ასეთ თავისუფლებას მემკვიდრეობითი ხასიათი არ ჰქონია. იგი მანამდის იყო აზატი, სანამ მას მთავრობის რაიმე საგანგებო მოვალეობა ეკისრა. ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა ბატონყმობისაგან თავდახსნის მოვლენათა რიგში. მსახური-აზატი თავისი პრივილეგიის მემკვიდრეობით შენარჩუნების მიზნით თავის შესაძლებლობას არ დაზოგავდა.

1785 წ. ერეკლემ „მეკრეთუხუცესად" დანიშნა გლეხი დავით მეფურისშვილი, გაათავისუფლა იგი ყოველგვარი გადასახადისაგან—„შენს კარხედ მწისა და წვიმის მეტი არა მოდგებოდეს რაო", „რადგანაც არტილერიის ხარების მოვლა თავს გაძევს, შენთვის მორიგეობაც გვიპატიებიაო"[57].

თოფჩად დანიშნულ მსახურ-აზატ პეტრესაშვილისადმი გაცემულ სიგელით ერეკლე მას აზნაურიშვილის „სისხლს" უწერებს და დასძენს—„თუ ჩვენს სამსახურში აღარ იყო და თოფჩობაში აღარ იმსახურებდე, ეს ჩვენი წყალობის წიგნიც უნდა მოგეშალოს და ბათილიც იქნება"[58]. ანალოგიურია ბოდბელი ბახუტაშვილისათვის მიცემული აზატ-მსახურობის წიგნი. იგიც თოფჩად დაინიშნა, ბაგრამ აზნაურიშვილის სისხლი კი არა, არამედ „ორმაგი" სისხლი გაუჩინეს[59].

აღნიშნული და მისთანა გლეხები ეთანაბრებოდნენ ბატონყმურ ურთიერთობას და დამოუკიდებელი მეურნეობის გზაზე გამოდიოდნენ.

თავისუფალთა რიგებში შედიოდნენ არა მარტო სახელმწიფო სამსახურში გამორჩეული მწარმოებლები, არამედ კერძო ფეოდალთაგან თავდახსნილი ის გლეხები, რომელთაც ნასყიდი მიწები ჰქონდათ, ან პირად თავისუფლებასთან ერთად მიწაც გამოისყიდეს.

ვახტანგ ბატონიშვილი — „პატრონი არაგვის სამთაეროსა"—მღვდელ გიორგი ხარებასშვილისადმი მიცემულ სითარხნის სიგელში აღნიშნავდა, რომ

---

54 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, № 2625.

55 საქ. ცსსა, ფ. 1449, № 2051.

56 იქვე, № 1464.

57 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 133. № 209.

58 საქ .ცსსა, ფ. 1448, № 575.

59 იქვე, № 580.

ამ უკანასკნელს ერისთავთაგან „სამი მიზეზით“ მიუღია სითარხნე—მღვდელი იყო, საყალნო მამულზე არ იდგა და ნასყიდი მიწა ჰქონდა. ამიტომ ვახტანგმა თავისუფლად სცნო[60]. იმაეე ვახტანგს კობიაშვილთა გაყრის დროს გასამყრელოს სახით „სახასოთ“ აუყვანია ნასყიდი მიწის მქონე გლეხი და გაუთარხნებია იგი—„მსახურის მეტი ჩვენგან არა გეთხოებოდესთ რაო“[61].

ზოგადად ერისთავების მსახურთა ფენაში ერთ-ერთი ადგილი ეკავა ხელოსნებს. ისინი ერისთავების კარზე ასრულებდნენ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოებს. ამ ხელოსნებიდან ზოგიერთი ერისთავების ოჯახის წევრებს ემსახურებოდა, ზოგიერთი კი ერისთავების სამეურნეო საქმიანობას. ამ ხელოსნებიდან ზოგიერთი ერისთავების ოჯახის წევრებს ემსახურებოდა, ზოგიერთი კი ერისთავების სამეურნეო საქმიანობას.

ზოგადად ერისთავების მსახურთა ფენაში ერთ-ერთი ადგილი ეკავა ხელოსნებს. ისინი ერისთავების კარზე ასრულებდნენ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოებს

სმება, რომ ყველა ოჯახით თავისუფლდება)[72], მღვდელ აბრამა ლასურაშვილს[73], იოანე ციცქისშვილს (1801 წ.)[74], ტერ-მოსესაშვილ გრიგოლს[75], თანდილა სეხნიაშვილს და სხვ[76].

თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხთა რიგებში განვიხილავთ ისეთ მწარმოებლებსაც, რომლებსაც ყმის მხოლოდ სახელი შერჩენიათ, ფაქტიურად კი თავისუფალნი არიან. ასეთ მოვლენას ჩვენ ნომინალურ ყმობას ვუწოდებთ. მაგალითად, ანტონ კათალიკოსმა გაანთავისუფლა სოფლიდან ქალაქს გადმოსახლებული „მოქალაქეთ ყმად აღმოჩენილი“ ჰონი გიორგი –გარდა იმისა, რომ ჩვენს სვეტიცხოველს წელიწადში ერთ ჩარექ სანთელს მიართმევ„ არაფერი გეთხოვებაო. სიგელი დაამტკიცა ერეკლემ 1778 წ.[77]. ასეთ შემთხვევებს ხშირად ვხვდებით საეკლესიო ყმებს შორის.

ხშირ შემთხვევაში საეკლესიო თუ სამეფო ყმაება, რასაც თავისუფალი მიწისმფლობელი გლეხი კისრულობს, არის შედეგი მწვავე კლასობრივი ბრძოლისა, რომელსაც თავდახსნილ გლეხებსა და ფეოდალებს შორის აქვს ადგილი. ეკლესიისა და მეფის „საფარველი“ უფრო ხშირად ეჩვენებათ თავისუფლებისათვის მებრძოლ გლეხებს. საეკლესიო თუ სახასო ყმა, რომელსაც თითქმის არაფერი არ ეკისრება, გარდა ერთი ჩარექი სანთლისა და სამხედრო სამსახურისა, ფაქტიურად თავისუფალია[78]. ასეთი მოკლენებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნიშნები ბატონყმური ურთიერთობის რღვევისა.

ამავე დროს ნომინალური ყმობა იმის მაჩვენებელიცაა, რომ აღმავლობის გზაზე მდგომ ქვეყანაში თავისუფალთა არსებობისათვის პირობები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იყო მომწიფებული. საქალაქო ცხოვრება არ იყო ისე განვითარებული, რომ პირადად, უმიწოდ, თავდახსნილი გლეხები მიეზიდა და სამუშაო ძალის თავისუფალი გაჭირავებისათვის ადგილი მიეჩინა მათთვის.

მოსე ღვთისავარაშვილმა (სოფ. ალიდან) „თავი თეთრით“ დაიხსნა ხერხეულიძისაგან, შემდეგ კი მცხეთის ეკლესიას შესწირა თავი და ქონება[79]. ალავერდელის ყმად შეუწირავს თავი ქართლიდან გადმოსულ გამსახურდაშვილს, რომლისთვისაც ეპისკოპოსს უბოძებია კენჭაძის ნაქონი მამული. ვენახი, „მთელი საკომლო სასახლით და ქვევრ-მარნითა, წისქვილითა და ყოლითა გარემოებითა“, და გაუაზატებია „საუკუნოდ ყოვლის ხარკისა და ბეგარისაგან, თვინიერ სამსახურისა და სამეფოს საურისა და ლაშქარ-ნადირობისა“[80]. რა თქმა უნდა, ეს გლეხი ჩვეულებრივი საეკლესიო ყმა არაა. ისიც ცხადია, რომ ალავერდელი უსასყიდლოდ ასე არ გაირჯებოდა.

---

[72] „ჩვენ სრულიად საქართველოს მეფის ჭე იოანე ამ თავდახსნილობის წიგნს ვაძლევ“ (იქვე, ფ. Hძ, № 2712. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, გვ. 203, № 330, 1800 წ.).

[73] სიგელს ამტკიცებს გიორგი XII (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II. გვ. 210, № 338).

[74] სიგლის გამცემია საქართველოს გამგებელი დავით (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Aძ, № 1020, 1801 წ.), მანვე უბოძა ბეითალმანი მამული.

[75] იქვე, ფ. Hძ. № 7327.

[76] იქვე, № 2438 (1802 წ.).

[77] იქვე, № 14467.

[78] დამახასიათებელია გაზატებული საეკლესიო ყმის— გუბადაშვილის მდგომარეობაც (საქ. ცსსა, ფ. 1446, № 5264, 1737 წ.).

[79] საქ. ცსსა, ფ. 1451, დაეთ. 4, გვ. 19 (1790 წ.),

[80] იქვე, დაეთ. 2 ა, გვ. 44(1787 წ.).

ზემოთ მოტანილი საბუთები, ვფიქრობთ, საკმაოდ ნათელს ხდის თავისუფალ მიწისმფლობელ გლეხთა ფენის არსებობას ბატონყმურ საქართველოში და მის შედარებით რიცხობრივ გამრავლებას XVIII ს-ის მეორე ნახევარში.

თავისუფალ მიწისმფლობელ მოლაშქრეთა ფენის ზრდა ერეკლეს დროს საგრძნობლად უწყობდა ხელს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას.

თავისუფალთა ფენა საერთო გლეხურ მასებში შედარებით მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მას ერეკლეს დროს ზრდა-განვითარების პერსპექტივები ჰქონდა. იგი ახალისებდა ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ყმა-გლეხობას და ბატონყმობის რღვევის პროცესზე, ისევე როგორც ახალი საზოგადოების წინამძღვარ მოვლენებზე, მიუთითებდა.

Р. Р. Орбели

ИЗ ИСТОРИИ ОДНОЙ РУКОПИСИ

Работа над рукописью часто сопряжена с неожиданностями. Текст, приписка, украшение, защитный лист, переплет в каждом отдельном случае (а рукопись всегда индивидуальна) могут принести что-то новое, порой совершенно не связанное с основным содержанием текста. Иногда десятилетиями рукопись стоит на полке, не вызывая к себе никакого интереса. А между тем она, ничем казалось бы не примечательная и давно известная, может оказаться находкой для совершенно нового исследования. Замечательно то, что неожиданности возможны при изучении рукописей, уже многократно побывавших в руках хранителей и лиц, изучавших их специально. Это знакомо всем, кто работал над рукописями, кому они служили для тех или иных изысканий.

Находка, которой посвящены эти строки — случай именно такого рода и была мною сделана в период описания грузинских рукописей собрания Института народов Азии Академии Наук СССР.

Речь идет о рукописи, в свое время принадлежавшей грузинскому ученому царевичу Теймуразу (1782—1846), как известно владельцу прекрасной библиотеки, содержавшей более двухсот книг духовного и светского содержания, главным образом рукописных.

В числе семи книг, посвященных военному делу и объединенных в каталоге Теймураза под рубрикой «Книги военные и артиллерийские и военные законоположения» (წიგნნი სამხედრონი და საარტილერიონი, და სამხედროს სჯულთა განწესებანი) отмечен и грузинский перевод «Воинского устава Петра I».

Рукопись Института народов Азии[1], озаглавленная სამხედრო ტიპიკონი, თანამედრობათათჳს ღენერალთა ფელდმარშალთა და ყოველთა ღენერალიტეტთა და სხვათა ხარისხთა, რომელნიცა სამხედროსა შინა სათანადო არიან ყოფად და სამხედროთა მათ საქმეთა და ქცევათა თუ რაჲ ვის თანა აძს. («Устав воинский о должностях генерал-фельдмаршалов и всего генералитета и прочих чинов, которые при войске надлежат быть, и о воинских делах и поведениях, что каждому чинить должно») внешне весьма непримечательна, но представляет интерес и сущностью своего содержания и, как оказалось, некоторыми особенностями оформления.[2]

Несмотря на то, что სამხედრო ტიპიკონი хорошо известный памятник, его нельзя обойти молчанием, так тесно связаны между собой все элементы данной рукописи.

*
* *

Титул Устава Петра I в значительной мере передает его содержание: «Устав воинский императора Петра Великого, о должности гене-

[1] E 29 (старые цифры: Georgica 1086; E 68).

[2] Устав известен в списках Института рукописей Академии наук Груз. ССР H 1, H 2109, S 249 и Гос. Публичной библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина колл. № 21.

рал-фельдмаршалов, всего генералитета, и прочих чинов, которые при войске надлежат быть, и о иных воинских делах и поведениях, что каждому чинить должно; купно при сем Артикул воинский и с процессом, надлежащим и судящим и Экзерциниею о церемониях и должностях, воинским людям надлежащих».

В 1716 г. устав был утвержден Петром, а в 1784 г. переведен на грузинский язык по приказанию Ираклия II. Переводчик, один из ярких деятелей грузинской культуры XVIII в., дипломат с большим опытом, архимандрит Гайоз (1746—1821), избрал для своей работы русское издание 1754 г.[3] и с большой точностью, говорящей о его прекрасном знакомстве с языком оригинала, перевел текст Устава полностью, то есть все его четыре части — Устав, Артикул, Изображение процессов и Экзерцицию. Переводу Гайоз предпослал предисловие, обращенное к Ираклию II и разъясняющее важность воинского устава для Государства и организации армии.

Небольшое, но хорошо аргументированное предисловие переводчика могло и не быть адресовано Ираклию II. Все сказанное в предисловии царь знал слишком хорошо. Положение Грузии, при постоянной необходимости обороны от внешних врагов, отсутствии регулярной армии, малочисленности и плохом вооружении войск, было критическим. Ведь именно это и послужило причиной для принятия окончательного решения Ираклием обратиться за военной помощью к России, этой отдаленной, но мощной державе. Крутой поворот в сторону русской ориентации, Георгиевский трактат, заключенный в середине 1783 г., надежды, которые возлагали Ираклий и его окружающие на дружественную помощь России, вызвали необходимость изучить организацию русской армии, ее устав. И если этот устав был нужен Грузии прежде всего в качестве образца, то и для знакомства с военными установлениями союзника он был также очень важен. В январе 1784 г. Ираклий утвердил трактат своей личной подписью и в этом же году (нам не известны месяцы) перевод был готов.

Как факт заказа и дата перевода, так и выбор переводчика были не случайны. При подписании трактата с грузинской стороны присутствовал и архимандрит Гайоз. Человеку посвященному в дела государства и к тому же свободно владеющему русским языком и поручил Ираклий II перевести воинский устав русской армии.

Применение, которое нашел Устав в решении ряда организационно-правовых вопросов грузинской армии в период военных реформ Ираклия II известно — он был использован при создании военно-юридических статутов, при введении новых воинских званий, а также послужил основой для руководящих положений по боевой подготовке войск и дисциплинарной практике.

В настоящее время грузинский перевод Воинского устава Петра I — литературный памятник несомненно исторического значения, знание которого необходимо при изучении военной истории Грузии последней четверти XVIII в. Но этот памятник представляет интерес и с точки зрения истории культуры, как характерное явление в грузинской письменности XVIII в. — перевод имеющий определенное утилитарное наз-

---

[3] Титульный лист к «Уставу» (л. 2а рукописи) содержит указание, что оригиналом для перевода Гайозу послужило «третье издание 1753 г.» К текстам следующих частей, к «Артикулу» и «Экзерциции» указаны даты 1755 и 1756. Эти сведения требуют поправки: первое издание вышло в 1716 г., последующие в 1717, 1719, 1735, 1748, 1754, 1776, 1777 и далее неоднократно.

начение. Такого рода переводы, независимо от их практических целей в каждом отдельном случае, имели одно происхождение — они были следствием постепенных, но глубоких изменений в культурной жизни Грузии, ее сближения с культурой Запада.

* * *

Рукопись, принадлежавшая Теймуразу Багратиони, имеет особую ценность: это автограф, к тому же рабочий экземпляр переводчика[4]. Судя по ряду внешних данных, экземпляр был переписан набело, но затем подвергся исправлениям. Можно думать, что первоначально он предназначался для переписчика: текст тщательно размечен на главы, Устав и каждое из приложений снабжены оглавлениями и титульными листами, которые переписаны письмом асомтаврули. Почерк рукописи, скоропись мхедрули, хотя и небрежен, но разборчив. Однако помарки на многих страницах рукописи свидетельствуют о том, что позднее текст не был сочтен окончательным. Исправления относятся главным образом к стилю и уточняют перевод отдельных понятий (хотя терминология оригинала как правило сохранена). Судя по тому, что основной текст переписан и исправления внесены безусловно одной рукой, надо полагать, что экземпляр представляет автограф.

При каких обстоятельствах эта рукопись стала собственностью Теймураза Багратиони неизвестно и возможны только предположения. Так, не исключено, что она принадлежала Ираклию II, осталась в семье и перешла к одному из царских внуков. Кажется наиболее вероятным, что это был старший брат Теймураза Давид (1767—1819). Правда, сама рукопись не носит на себе никаких следов принадлежности этому царевичу, но другие данные, о которых будет сказано ниже, весьма основательно говорят за это. То, что Давид был старшим внуком Ираклия II и старшим сыном Георгия XII, наследником грузинского престола — только подтверждают такую возможность. В том же, что устав представлял для Давида большой интерес, можно не сомневаться: известно что Давид был занят проблемой правового переустройства Грузии и одну из глав своего труда «Обозрение Грузии по части прав и законоведения», посвятил специально вопросу о ее военных силах[5]. К последнему владельцу, Теймуразу, рукопись могла перейти в 1819 г., после смерти брата, как перешли к нему и некоторые другие его рукописи.

* * *

Итак, перевод Устава мог принадлежать царевичу Давиду, но каков был вид рукописи, когда она стала его собственностью, неизвестно. Весьма возможно, что она была без переплета, во всяком случае переплет, в котором она дошла до наших дней, мог быть сделан только за время нахождения в руках одного из царевичей и вероятнее всего Давида.

В начале работы над рукописью невзрачный вид несколько обветшавшего картонного переплета не мог привлечь к себе внимания. Обклеенный с наружной стороны светлозеленой тонкой бумажкой, покры-

[4] 199 л. л.; 22×17 (6 л. л. 18×14, 19,5×15); 8 страниц без текста; 4 страницы титульные; число строк на странице различное: 19—35; размер текста 19×14; бумага с филиграниями «МФ», «РФ»; чернила черные; мхедрули.

[5] Рукопись Института народов Азии Н24 (старые шифры: Georgica 101; Н 11), редактированная автором. Экземпляры Института рукописей АН Груз. ССР Н 810, Н 2330.

той пятнами, при первом осмотре он не давал никаких сведений кроме полустершейся приписки Теймураза: [ა]რტიკული გაიოზის ნათარგ[მნი] «Артикул, переведенный Гайозом». Ниже, с наружной стороны переплета, была приклеена обычная для библиотеки Теймураза этикетка с номером (не соответствующим его каталогу), в данном случае это был № 45. Однако форзац верхней крышки переплета, на котором в свое время был поставлен шифр Азиатского музея Georgica 108, h., сделанный из листа бумажной рукописи с хорошо сохранившимся текстом, уже мог вызвать интерес. Здесь также была приписка Теймураза, имя вероятно его личного знакомого—«Земчугов (!) Егорь (!) Мосенчь (!)», записанное русскими буквами. При дальнейшем обследовании переплета, когда узенькие щели, образовавшиеся в его изношенных краях, были слегка раздвинуты, обнаружилось, что он не так обычен, как казалось на первый взгляд и это побудило поступить более смело: переплет был снят и передан опытному реставратору Института, а рукопись переплетена заново. При специальной обработке старого переплета[6] оказалось, что «картон» был самодельного изготовления и сделан из цельных листков и обрывков рукописей, грубо проклеенных мучным клеем. Это были 23 рукописные единицы, из которых некоторые пострадали очень сильно. Немедленно отреставрированные, насколько это было возможно, листки легли на стол для изучения.[7] Переплет был сделан по-видимому из «ненужных» бумаг, значения которых в свое время кто-то не смог оценить.

Рукописные листки, послужившие для переплета სამხედრო ტიპიკონი восходят к одному источнику. Это документы, преимущественно хозяйственные, относящиеся к помещичьим и церковным владениям в Восточной Грузии, главным образом в Картли. Территориально они связаны в Картли с Икорти, Ховле, Метехи, Тквнави, Крцхинвали, Сагареджо, лишь Сурами был удельным владением царевича Давида, а в Кахети с Кисисхеви. Упоминаются Тбилиси (ქალაქი) и Ахалцихе.

Хронологически найденная группа документов относится к последней четверти XVIII в. Часть рукописей датирована точно 1776—1777, 1782, 1788—1789 гг. причем наибольшее число дат падает на весну 1789 г. Недатированные рукописи, судя по всем данным, относятся к этому же времени и может быть к началу 90-х гг.

По своей принадлежности некоторые документы связаны с именем царевича Давида, т. е. или имеют его подпись (печать), или адресованы ему (это позволяет высказать мнение, что рукопись Устава принадлежала именно Давиду).

Но есть еще одно лицо, имеющее прямую связь с этой группой документов — это мдиван лашкарнивиси Манучар Туманишвили. Многие документы написаны его рукой. Хотя имя его ни в одном из документов ни разу не названо, определить его помог форзац верхней крышки переплета, сделанный, как уже говорилось, из листа рукописи. Текст на обеих сторонах его содержит эпитафию на могилу первой жены Манучара Туманишвили княгини Ханум, дочери моларетухуцеси Соломона Бегтабегишвили, умершей в апреле 1788 г.[8] Эпитафия датирована 16 апреля 1788 г. (см. рис. 1—2). Текст написан в шести вариантах, из которых один, самый длинный, переписан набело, а в остальные той

[6] Приношу благодарность Р. В. Кандинской.

[7] Им придан шифр სამხედრო ტიპიკონი, Е 29, но с примечанием — «приложения».

[8] Эта дата указана Манучаром в документе опубликованном Н. А. Бердзенишвили в «Материалах по экономической истории Грузии», т. I, Тбилиси, 1938 г., стр. 89.

же рукой внесены исправления и помарки, то есть рукопись представляет черновик. Это дает основание считать, что эпитафия, сочиненная от имени Манучара Туманишвили — его автограф. Так как тем же почерком написаны и некоторые документы, то можно думать, что их составителем, а иногда лишь писцом, как должностное лицо был тот же Манучар. Более четверти века Манучар Туманишвили деятельно выполнял обязанности судьи и писаря и лишь во втором десятилетии XIX в его имя исчезает из дошедших до нас письменных источников. Известны дружеские отношения М. Туманишвили с царевичами, в особенности с Давидом и Иоанэ (1768—1830), сохранились их письма к нему за длительный период с 1797 по 1816 г.[9] Не вызывает сомнений, что документы извлеченные из переплета, находились в руках царевича Давида и были им получены при посредстве М. Туманишвили, а частично тому продиктованы. Возможно, что это бумаги из канцелярии мдивана.

Каково их содержание? Чтение документов привело к выводу, что их можно определить следующим образом: к первой группе относятся документы, составленные в связи со сборами податей (хлебных и винных) и взиманием долгов по заемным письмам. Большинство из них представляет поименные перечни должников. Эти документы датированы 1776—1777 гг., на некоторых даты не указаны или не сохранились. За исключением одного, в котором мы видим два почерка — Манучара Туманишвили и неизвестного лица (печать дефектна), все они написаны рукою Манучара. Здесь же в ряде случаев мдиваном отмечена и его собственная работа—составление протоколов и т. д. (см. рис. 3—5).

Ко второй группе относятся прошения крестьян, а также вдовы дворянина, обращенные в одном случае к царю, судя по дате, 1782 г., к Ираклию II, а в остальных к царевичу Давиду, от 1789 г. и без дат. Прошения содержат просьбы об отсрочке взыскания податей и кредитов, а также жалобы на несправедливости и притеснения со стороны мдиванов и сборщиков податей (есаулов), и на другие обиды. С прошениями обращались: к царю — житель Кисисхеви Иасэ Заалашвили, к царевичу—монастырский крепостной (ყმა) из Икорти Гариб Арчвадзе, жалобу которого изложил Манучар Туманишвили (см. рис. 6—7) и происходящий также из Икорти Датуна Деванаспшвили, писавший несомненно в том же, 1789 г., хотя дата на его письме и не обозначена. Наконец еще три прошения царевичу Давиду были поданы вдовой Иоанэ Тактакишвили, дворянина. Ни названия местности, ни даты на ее прошениях не сохранились, но вероятно она была жительницей какой-то местности в Верхней Картли[10] (см. рис. 8—9).

Третья группа документов состоит из счетов кархэнов. Один, датированный первой половиной 1776 г. (февраль, март, июнь), представляет счет на рис, поставленный неким Агазадэ для сахлтухуцеси Давида, второй — это счет провианта на период великого поста, без указания года.

Четвертую группу документов составляют хозяйственные распоряжения: царевича Давида (почерк М. Туманишвили и печать «Давид», см. рис. 10), отданное в 1789 г. мамасахлиси Беруа в Крцхишвили, и

[9] Письма хранятся в Институте рукописей Академии наук Груз. ССР под шифром Н 3254 (II; III).

[10] Может быть это вдова Иоанэ Тактакишвили, упоминаемого в документе из Верхней Картли, опубликованном в издании—Материалы по экономической истории Грузии, книга III. Материалы подобрал и подготовил к изданию Н. А. Бердзенишвили и др., Тб., 1955, стр. 72, документ 59.

второе, датированное тем же годом, но с другой печатью, которая сохранилась лишь частично и не читается.

Документы, послужившие материалом для переплета, были объединены случайно, их немного, они испорчены, часть дошла до нас только в обрывках, но все же они дают некоторое представление об отдельных социально-экономических явлениях в жизни Грузии последней четверти XVIII в. Этому способствуют как известное разнообразие их содержания, так и общность их происхождения.

Имена царевичей Давида, Иоанэ и брата их отца царевича Иулона называются как имена всесильной царствующей фамилии. Рядом с записями представителя местной власти о сборе податей и недоимок лежат прошения с жалобами на незаконные действия и злоупотребления чиновников. Счета господских, а может быть царских карханов, заполнявшихся трудами крепостных крестьян, — хотя бы несколькими строками дополняют эту картину. Мы знаем, что в период, к которому относятся найденные документы, бурный протест крестьянства не раз выражался в восстаниях, в особенности со стороны помещичьих крестьян, поэтому представляет интерес и та форма классовой борьбы, которая выражена в виде прошения на имя феодала, прошения вероятно оставшегося без ответа.

Рис. 1. Эпитафия княгини Ханум Туманишвили. Recto

Рис. 2. Эпитафия княгини Ханум Туманишвили. Verso

Рис. 3. Список должников по заемным письмам.

Рис. 4. Список задолженных податей в Крцхинвали. Recto





Рис. 5. Прошение царевичу Давиду от Гариба Арчвадзе Рсето



Рис. 6. Прошение царевичу Давиду от Гариба Арчвадзе. Verso



8 7

Рис. 7. Список задолженных податей в Крцхинвали. Verso

Рис. 8. Прошение царевичу Давиду от вдовы Иоанэ Тактакишвили Recto




Рис. 9. Прошение царевичу Давиду от вдовы Иоанэ Тактакишвили. Verso




Рис. 10. Хозяйственное распоряжение царевича Давида

გულჩინა აკოფაშვილი

მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს. მეორე ხასეყარი — XIX ს. დამდეგი)

„XVIII ს. მეორე ნახევარში წინ წამოდგნენ ახალი რიგის მემამულეები — კერძო საბატონოების მფლობელნი, რომლებიც რაციონალური მეურნეობის წარმოების მიზნით ცდილობდნენ თავიანთი სხვადასხვა ადგილებში მიმოფანტული მიწების ერთად თავმოყრას, მათი მართვა-ანგარიშიანობის გაუმჯობესებასა და ა. შ.“[1].

მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა ერთ-ერთი ასეთი ტიპის მეურნეობათაგანი იყო. აქ ჩვენ ვხვდებით არა მხოლოდ მიმოფანტული მამულების თავმოყრის ცდებსა და მართვა-ანგარიშიანობის გაუმჯობესების ფაქტებს, არამედ კიდევ ზოგიერთ ისეთ ნიშანს (მიწების დამუშავების ახალი გზების ძიება და მკაცრი რაციონალიზაცია, ყმა-გლეხთა ექსპლუატაციის მკვეთრი დამძიმება. ბაზართან კავშირის გაძლიერება და სხ.), რომელიც განასხვავებს მას სხვა თავადურ მეურნეობათაგან.

აღნიშნული მეურნეობა, ამდენად, უდაოდ ღირსია მონოგრაფიული შესწავლის. ამის შესაძლებლობას თავისუფლად იძლევა შემონახული მასალების სიუხვე. მაგრამ ამჯერად ჩვენ ამ მეურნეობის ზოგიერთი ნიშანის მხოლოდ ზოგადი მონახაზით ვკმაყოფილდებით.

თუმანიშვილების ფეოდალური საგვარეულო ჩვენ წერილობით წყაროებში XV ს. დამდეგიდან ჩანს, იგი იმთავითვე მჭიდროდ დაკავშირებულია სამეფო კართან, სადაც ამ გვარის წარმომადგენლებს შემოსავლიანი და სამოხელეო თანამდებობანი უკავიათ. სამოხელეო შემოსავალი და სამეფო ხელისუფლებასთან სიახლოვე მათი ეკონომიური აღმავლობის ერთ-ერთი მძლავრი საშუალება იყო. დროთა მანძილზე თუმანიშვილთა საგვარეულო მრავალ, ქონებრივად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ოჯახად დანაწილდა.

XV ს. მეორე მეოთხედსა და შუა ხანებში თუმანიშვილებს შორის თავის სამეურნეო მოღვაწეობით გორჯასპი გამოირჩევა. ყიზილბაშობის მძიმე ხანაში ის განაგებს არა მხოლოდ თავისი ოჯახის, არამედ თუმანიშვილთა მთელი საგვარეულოს სამეურნეო საქმეებს, დაკავშირებულს მძიმე სახელმწიფო გადასახადებთან. მას აბარია ქართლის საგადასახადო დავთრები; ამ დავთრების შედ-

---

[1] საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 361.

გენაც მას ევალება[2]. როგორც ჩანს, ეს გარემოება საშუალებას აძლევს ყიზილბაშობის ხანაში, როდესაც ქართლის სხვა ფეოდალები მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში არიან მოქცეული, ყოველგვარ ქარტეხილებს გაუძლოს და პირიქით, როგორც კი ხელსაყრელ შემთხვევას წააწყდება, გაიფართოვოს ყმა-მამული. თუ თუმანიშვილთა რომელიმე განაყოფს საშუალება არა აქვს ყიზილბაშური გადასახადების გაღებისა, გორჯასპი თავს იდებს მათ გადახდას, რასაც შედეგად ის მოსდევს, რომ დაბეგრილი მამული მის ხელში გადადის[3]. არა ერთ მემამულეს დაუკარგავს ასეთი გზით თავისი სამკვიდრო ყმა-მამული ამ დროს. გორჯასპი კი იძენს მიწებს, უმთავრესად თავის განაყოფისაგან, და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ყმა-გლეხების მომრავლებას მამულში[4].

XVIII ს. 40-იანი წლებიდან, როგორც კი ქართლში შედარებით მტკიცე სამეფო ხელისუფლება მყარდება, გორჯასპი მეფეების—თეიმურაზ-ერეკლეს სამსახურშია და მდიგან-მწიგნობრობით ემსახურება მათ[5].

ამასთანავე, გორჯასპი თუმანიშვილი საკმაოდ ინტენსიურად ეწევა მევაჭრობას[6], აფინანსებს ვაჭრებს „ხეირისა და შარის“ სანახეაროდ გაყოფის პირობებით[7]. თავის განაყოფების ხარჯზე გორჯასპის ხელთ საკმაოდ ერცელი ყმა-მამული იყრის თავს.

გორჯასპის სამეურნეო საქმიანობა განსაკუთრებით ფართოდ იშლება XVIII ს-ის 60-იანი წლებიდან. ამ დროს ქართლ-კახეთში საგარეო მშვიდობიანობა მყარდება. ცენტრალური ხელისუფლება წარმატებით ატარებს ღონისძიებებს ცხოვრების მოწესრიგებისათვის. იქმნება პირობები ეკონომიური ცხოვრების აღმავლობისათვის. ეკონომიური ცხოვრება უფრო რთული, მრავალფეროვანი ხდება, ისახება გზები სამეურნეო საქმიანობის გაფართოვებისა. ცხოვრების მოთხოვნები ფართოვდება. ყმა-მამულის გაძლიერებული ექსპლუატაციის საჭიროება მკვეთრად ისახება. საამისო შეძლებისდაგვარი გზებიც ჩნდება და გორჯასპი თუმანიშვილის სამეურნეო საქმიანობაც ამისდაგვარად იმართება. შეჭოსავლის აღნუსხვისა და ზუსტი დაანგარიშების ჩვევა, რაც მისი მოღვაწეობის ადრეული პერიოდისათვისაც იყო დამახასიათებელი, ახლა ახალი ძალით იჩენს თავს[8]. გორჯასპი დაწერილებით აღწერს მიწებს, აღნუსხავს ყმა-გლეხებს[9]. ჩვეულებრივ ასეთი აღწერები საფეოდალო სახლის გაყრის დროს თუ კეთდებოდა ხოლმე. ახლა, გორჯასპი მეურნეობის უკეთ წარმართვის მიზნით მიმართავს მას. გორჯასპი ზრუნავს ყმა-გლეხთა მოზიდვასა და სოფლის მეურნეობის ტექნიკურ გაუმჯობესებაზე. აწესრიგებს რწყვის საქმეს[10], აშენებს წისქ-

---

2 საქ. სიძვ., III, № 468; ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 11246.

3 საქ. სიძვ. III, № 512.

4 ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № G 7864, 3148. ფ. Qd. № 9037. ფ. Sd, № № 211, 23; დოკ. I, № 486, საქ. სიძ. III, № 506, 448.

5 თბ. საბ. № 231; ხელ. ინ. ფ. Sd, №№ 1714, 1716, 1748; ფ. Hd, № 11605; ფ. Qd, № 8894, 7686; სცია, ფ. 1448, № 1282.

6 საქ. სიძ. III, № 447, მასალები საქ. ეკ. ისტ. II, № № 35, 61; ხელნაწ. ინსტ. ფ. Qd, № № 7625, 9056, 7661; ფ. Hd, № № 7964: 504; საქ. ცსსა, ფ. 1450, დავთ. № 5, საბ. № 113.

7 მასალები საქ. ეკ. ისტ. II, № 61.

8 ხელნ. ინსტ. ფ. Qd, № № 7713, 7913.

9 იქვე, ფ. Hd, №№ 10173, 3419; ფ. Sd, №№ 4768, 4769, 4770, ფ. Qd, № 7866.

10 საქ. ცსსა, ფ. 1450, დავთ. № 4, საბ. № 36.

ვილს[11], მიმართავს ცდებს საბატონო მიწების (კერძოდ, ვენახების) არაყმური შრომის გზით დამუშავებისა[12].

უკანასკნელად გორჯასპი ჩვენს საბუთებში 1769 წ. იხსენიება. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ის ცოცხალი აღარ უნდა იყოს. მას ორი ვაჟი დარჩა — სულხანი და მანუჩარი. სოფლის მეურნეობის გაძღოლის სიმძიმე მამის გარდაცვალების შემდეგ მანუჩარმა იტვირთა. შემორჩენილია მანუჩარისა და მის სოფლის მოხელეებს შორის წარმოებული ვრცელი მიმოწერა, რომელიც მრავალ საინტერესო მასალას შეიცავს სოფლის მეურნეობის ისტორიისათვის საქართველოში. ეს წერილები, აგრეთვე ღალისა და სხვა გადასახადების ნუსხები მანუჩარის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შედგენილი, საშუალებას გვაძლევს ახლოს შევისწავლოთ მეურნეობა მანუჩარი რომ ეწეოდა თავის მამულში.

მანუჩარს, როგორც მეურნეს ვეცნობით სხვა სახის მასალებითაც. როგორიცაა ყმა-მამულის ნასყიდობის, ბატონყმობის წიგნები, მეფისადმი მირთმეული არზები და სხვ.

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული ანგარიშიანობა, რომელიც მანუჩარის მეურნეობას ახასიათებს და რომლის ნიშნები ჯერ კიდევ მანუჩარის მამის გორჯასპის მიერ წარმოებული მეურნეობიდან მომდინარეობს. როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, მანუჩარს ეს ჩვევა განსაკუთრებით მაღალ დონეზე აუყვანია. მანუჩარს ურყევ ჩვეულებად აქვს ზუსტად აღნუსხოს ყოველგვარი შემოსავალი და გასავალი. შემონახულია მანუჩარის მიერ ნაწერი ხარჯის უამრავი წიგნები. აქ პედანტური სიზუსტითაა ჩამოთვლილი რომელ დღეს რა თანხა რაზე დაიხარჯა. არაარის მივიწყებული არც ერთი წვრილმანი ხარჯი. გლახისათვის მიცემული გროშიც კი არ აეწყება. ზუსტად დაანგარიშებულია სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა ხასიათის ნაგებობათა მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯები, ისევე როგორც სოფლის მეურნეობიდან თუ ყმა-გლეხთა გადასახადებისაგან მიღებული ან მისაღები შემოსავალი. ყოველწლიურად იწყება ნუსხა, თუ რა რაოდენობის მოსავალი უდგას მოცემულ წელს ამა თუ იმ გლეხს, მანუჩარის თუ სხვა მებატონის ყმას მანუჩარის მიწებში. ამისდა შესაბამისად შეეწირება თითოეულს გადასახადიც. ასეთი რამ უსათუოდ სიახლეა. სხვა მემამულეთა მეურნეობაში, ჩვეულებრივ, გადაკეთილი იყო ხოლმე, თუ რა სახის და რა რაოდენობის მოსავალი ეთხოვებოდა ამა თუ იმ გლეხს. ყოველწლიურ აღნუსხვას აღარ მიმართავდნენ. ქართლის სათავადოების ყმა-გლეხთა საგადასახადო ნუსხები, ჩვეულებრივ, უთარიღოა ხოლმე, რაც სრულიად ბუნებრივია: ეს ნუსხები არ არის რომელიმე კონკრეტული წლისა, არამედ ზოგადია. მანუჩარის მეურნეობაში კი ყოველწლიურად თავიდან ხდება გადასახადის შეწერა, რაც გამიზნულია იქითკენ, რომ არ დაიკარგოს არც ერთი კოდი პურისა, გლეხებისაგან რომ ერგება. ეს ფაქტი უსათუოდ გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერებაზე მიუთითებს. ამასვე მეტყველებენ სხვა ფაქტებიც. როგორც წესი, მანუჩარის მოთხოვნა მუდამ აღემატება გლეხთა შესაძლებლობას. 1791 წლის ღალის ერთ პატარა ნუსხას, შემდგენელს, როგორც ჩანს, მანუჩარის სოფლის მოხელის ასეთი სიტყვები ახლავს: „ღალების დაწერა რომ გებრძანათ, დავწერე, რომ ეს მაძიხსენებია და ვერავის

[11] დოკ. II, № 100.

[12] ხელნაწ. ინსტ. ფ. Qd, № 9037 რამ.

გამოვართეი, არავინ მამცა, ნება თქვენი არის“[13]. როგორც მომდევნო წლების მასალიდან ჩანს, 1791 წლის ღალის დიდი ნაწილი მაინც აუღებელი დარჩენილა. 1792 წლის 3 ოქტომბერს სოფლის მოხელე სწერს მანუჩარს, რომ ამა და ამ გლეხმა „წარშანდელი ღალა არ მამცა-“ო[14], ხოლო 1796 წ. შედგენილ ანგარიშის წიგნიდან ისე ჩანს, თითქოს ამ დროსაც არ აქვს ზოგიერთ გლეხს 1791-სა და ზოგი მომდევნო წლის ღალები გადახდილი.

ამავე დროს შეწერილი ღალის რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. თუ 1791 და 1792 წლის ნუსხებში თითოეულ კომლს შეწერილი ჰქონდა მაქსიმუმი—7—8 კოდი, 1795 წლის ნუსხაში ეხვდებით ისეთ კომლებს, რომელთაც 30—40 კოდი აწერიათ. უეჭველია, ეს იმის ნიშანია, რომ გლეხმა გააფართოვა თავისი მეურნეობა, სახნავ-სათესი ფართობი, მაგრამ ამავე დროს ბატონის მზარდ მოთხოვნებსაც უნდა მოწმობდეს. ეს მტკიცდება თუნდაც იმით, რომ შეწერილი ღალის ოდენობა რეალურად მიღებულს საგრძნობლად სცილდება. გლეხი ძალიან ხშირად იმაზე ნაკლებს იძლევა, ვინემ აწერია. ასე მაგალითად, კოჩუასშვილს 30 კოდი ეწერა, მისცა—16. გოგია ყულიაშვილს ეწერა 8 კოდი, მისცა—4, ღთისია მურადაშვილს 12 კოდი ეწერა, მისცა—9 და ა. შ. ხშირია ისიც, რომ გლეხის გვარს და შეწირულ ღალას უზის შენიშვნა: „არ მოუცია“. ასეთთა რიცხვი ნუსხაში, სადაც 26 გლეხის ღალაა აწერილი, 7-ია შეწერილი ოდენობა სისრულით გადაიხადა მხოლოდ 7-მა[15]. 1796 წელს შედგენილ ღალის ანგარიშის წიგნში აღნიშნულია: „ამ წლისა ჩვენს კაცებზე შეწერილი, პურისა დარჩომილა კოდი ოთხმოცდათვრამეტი“-ო[16].

მანუჩარი მიმართავს თავისი შემოსავლის გაზრდის მარტივ საშუალებას — ღალის ოდენობის პირდაპირ გადიდებას. ასე, მაგალითად, თუ 1792 წ. გლეხს მოსავლის ერთი მერვედი შეეწერა — ურემზე კოდი (ურემი უდრის 8 კოდს), შემდეგში მანუჩარი ამას აღარ სჯერდება და უკვე 10 ჩანახს თხოულობს (ეს უკვე კოდზე მეტია), ბოლოს კი გლეხის მოსავლის ერთი მეექვსედი მიაქვს — ურემზე კოდნახევარი.

მეორე გზა შემოსავლის საერთო რაოდენობის გაზრდისა ესაა სრული ზედმიწევნითი აღნუსხვა გლეხის მიერ მოხნული მიწებისა და მისაღები მოსავლისა. ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია მანუჩარის ერთი წერილი თავის მამასახლისისადმი მიწერილი, რომლის ნაწყვეტსაც აქ მოვიტანთ: ღალა „კაის გამოძიებით და გაჩხრეკით უნდა დასწეროთ, არსად დაუწერელი არ და(ა)გდოთ და მამულები არა დაჰკარგოთრა და ჩვენის მამულებისა სამძღვრები და ალაგები შენ კარგათ უნდა დაისწავლო და დაინახსომო, რომ შენ(ი) უცოდინარ არა იყოს რა...“[17]. „შენებურებ უბეჯითე საქმეს“, ავალებს მანუჩარი მამასახლისს, „ნურვის ხათრს ნუ შეუნახავ, სამართლიანად და ერთგულებრივ მოიქეციო“. მართლაც, არავის ხათრს არ უწევს მანუჩარი და, ჩვეულებრივ, რაც არ უნდა უჭირდეს გლეხს, ღალის გადახდას არ აპატიებს ხოლმე. გარდა ამისა, თუ მანამდე ღალას გლეხები იხდიდნენ პურით, ქერით, ზოგჯერ ფეტვით, ახლა დამატებით იხდიან სიმინდით. ასლით, სელითა და სხვ., ნივთების ხეებსაც კი ედება გადასახადი.

---

[13] ხელნაწ. ინსტ. ფ. Qd. № 7844.

[14] იქვე, ფ. Sd, № 3763.

[15] იქვე, ფ. Qd № 7636.

[16] იქვე, № 7639.

[17] იქვე, ფ. Sd, № 3616.

მანუჩარის მეურნეობაში ეხვდებით ცდებს ზოგიერთი საგლეხო ნატურალური გადასახადის ფულზე გადაყვანისა[18].

საინტერესოდ გამოიყურება საკითხი იმის შესახებ თუ რა გზით და ხერხებით სდებოდა მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობაში საბატონო მიწების დამუშავება. ჩვეულებრივ, როგორც ცნობილია, საბატონო მიწები ყმა-გლეხთა შრომით მუშავდებოდა. საბატონო მიწების ზრდას ასეთ შემთხვევაში ყმა-გლეხთა სავალდებულო შრომითი ბეგრის გადიდება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობაში ასეთ რამეს ვერ ვხვდებით. პირიქით, საბუთები გვიჩვენებენ, რომ გლეხთა შრომით ბეგარას საგლეხო ვალდებულებებს შორის მაინცდამაინც დიდი ადგილი არ უჭირავს. სამაგიეროდ იზრდება საბატონო მიწების მოცულობა მანუჩარის მეურნეობაში. XVIII ს. მეორე ნახევარში ამ მეურნეობას თუმანიანთ განაყოფების ბეითალმანად დარჩენილი ყმა-მამული შეემატა (პატარკაც თუმანიშვილის, გიორგი თუმანიშვილის). შემატებული მამული საკმაოდ მოზრდილია. აქ შედის როგორც საგლეხო კომლები, ასევე. საბატონო მიწებიც. ამავე დროს XVIII ს. 80-იან წლებში. სულხან და მანუჩარ თუმანიშვილები იძენენ მიწებს ყიდვის გზითაც[19].

გაზრდილი საბატონო მიწების დამუშავების ძირითად ხერხად მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობაში მიღებულია მიწების საღალედ გაცემა, რაც საკმაოდ გავრცელებული ჩანს XVIII ს. საქართველოში. საღალედ აქვს გაცემული მანუჩარს მრავალი ნავენახევი, ნახვრევი, სოდაბუნი მიწები.

სახნავი მიწის საღალედ გაცემა ფეოდალური იჯარის (არენდის) ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო. არსებობდა მიწის იჯარის (არენდის) სხვა ფორმებიც[20]. ასეთია, მაგალითად, მიწის საჩიაროდ გაცემა, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწის დასამუშავებლად საჭირო ხარჯების ნაწილს, მოიჯარადრესთან ერთად, მიწის პატრონიც კისრულობს და ამის შედეგად იზრდება მიწის პატრონის წილი მოსავალში. სახნავი მიწის იჯარის ამგვარ ფორმას ეხვდებით მანუჩარის მეურნეობაში[21], ეხვდებით მის სხვა სახეობებსაც[22]. დიდ ყურადღებას აქცევდა მანუჩარი მევენახეობას და ვენახების გაშენებისა და მოვლა-პატრონობის სხვადასხვა ხერხებს მიმართავდა (სანაშენოდ გაცემა, მოსაკლელად მიბარება სხვადასხვა პირობით და სხვა). ყმის საბეგრო შრომას აქაც მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა.

მიწის იჯარითა და საღალედ გაცემის ფართო გავრცელება მიუთითებს მეურნის განსაკუთრებულ დაინტერესებაზე სრული შესაძლებლობით გამოიყენოს მიწის ნაკვეთები შემოსავლის მისაღებად. მეტად დამახასიათებელია ამ მხრივ სულხან და მანუჩარ თუმანიშვილების მიერ თავიანთი ყმისადმი, სოფლის ჰოხელე ბეჟანა კოჩუაშვილისადმი, მიცემული ბრძანება: „ამაზედ სიმართლით და ერთგულად უნდა მოიქცე. მამულების მაჯნა არავის შეარყუინო, ვისაც მოახვნევინო, რაც მიწა მოხნას, მოუხნავს ნაჭრათ ნუ დააგდებინებ. რამთენის ღღისაც რომ იყოს, სრულებით მოხნას. თუ ვისმე ამ მამულისა ეპიროს, ჩვენ

[18] გ. აკოფაშვილი, ფულადი საბატონო გადასახადები XVIII ს. დამლევსა და XIX ს. დამდეგის საქართველოში, ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. VII, 1963, გვ. 93—103.

19 საქ. ცსსა, ფ. 1450, დაეთ. № 52; ხელნაწ. ინსტ. ფ. № 9037 რიბ, იე, ით.

20 ნ. ქანთარია, იჯარა XVIII ს. საქართველოში ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე ტ. XIX—B და XXI—B, 1957.

21 ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 14719.

22 იქვე, ფ. Sd, № 3411.

შეგვატყობინე, სამართალში ჩვენ ველაპარაკებით და რომელიც შენი საქმე იყოს, შენ უბეჯითე. ხათრს ნურავის შეუნახავ, უღალოთ არავისგან მოხვნა არ იქნება[23].

მანუჩარი თავისი შემოსავლის ერთ ნაწილს მეურნეობის გაუმჯობესებაგაფართოებას ახმარს. მოგვეპოვება მანუჩარის ხელით დაწერილი არა ერთი ხარჯის ნუსხა, სადაც დაწვრილებით ჩამოთვლილია, თუ რამდენი მუშა ამუშავა ბაღის წყლის პირის გასწორებაზე, კლდის ჩამოთლაზე, მარნის აშენებაზე, ბაღის კედლის მშენებლობაზე და ა. შ. მანუჩარი თავის მამულში აშენებს საბძელს. ათხრევინებს პურის შესანახ ორმოებს, აწესრიგებს რწყვის საქმეს. მარ. თავს წისქვილებს. იჯარით გასცემს მათ.

მანუჩარ თუმანიშვილს თავისი მეურნეობის ის პროდუქტები, რომელიც მის ყოველდღიურ მოთხოვნილებას აღემატება, ბაზარზე გააქვს გასაყიდად. გაყიდვის ძირითადი ობიექტი ღვინოა. ღვინის ბაზარზე გატანას მანუჩარის მეურნეობიდან, XVIII ს. 90-იანი წლებიდან მაინც, სისტემატური ხასიათი აქვს. მანუჩარისა და მისი სოფლელი მოხელეების მიმოწერა ამას უდავოდ ადასტურებს[24]. ვაჭრობის საგანს მანუჩარ თუმანიშვილს მეურნეობაში პურიც შეადგენს. მიმოწერაში მანუჩარსა და ხელთუბნის მამასახლისს შორის ხშირია საუბარი პურის გაყიდვის შესახებ. 1799 წ. მანუჩარს მისი მოხელე სწერს: „პურისა რომ... გაყიდვა გებძანა, სამ აბაზ იქით არავინ მაძლია და როგორც შენი ბრძანებამ იცის, ისე მიბძანე"-ო[25]. პურის გაყიდვაზე მიმოწერაში საუბარი უფრო ხშირდება XIX ს. დამდეგიდან. ერთ-ერთ წერილში, მაგალითად, მანუჩარი ასე სწერს მამასახლისს: „რუისული პურისა და ქერის გასყიდვა მოგეწერა, მეც ხომ მამიწერია და გაჰყიდე"-ო[26]. ანდა კიდევ სხვა წერილში: „მანდ რაც ელისბარის მოცემული პური გქონდეს და ან სათემოელი ელიბას (ეს მანუჩარის ყმები არიან, გ. ა.) პური ჩამოიტანო, ისიც მანდ გაყიდე"-ო. იქვე კიდევ: „კოჩუაშვილმა რომ 30 კოდი პური მოგცეს, მანდ გაყიდეო"[27].

გაყიდვის საგანია სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებიც—ფეტვი[28], სიმინდი[29], სელი[30], ზოგჯერ ბოსტნეულიც[31].

პურს მანუჩარი არა მხოლოდ ყიდის, არამედ სესხადაც გასცემს, ცხადია, პროცენტებზე, უმთავრესად, ადგილობრივ გლეხებზე[32], ზოგჯერ მეზობელ მეჯამულეებზეც[33].

მანუჩარ თუმანიშვილის, როგორც მეურნის დახასიათება სრული არ იქნებოდა, რომ ორიოდე სიტყვით მაინც არ გვეხსენებინა მისი, როგორც მსხვილი მევახშის მოღვაწეობა. იგი ფულის როგორც მსხვილ რაოდენობას ისე უფრო წვრილადაც გასცემს ხოლმე პროცენტებზე. შემორჩენილია მანუჩარის მიერ შედგენილი პროცენტებზე გასესხებული ფულის ნუსხები, თამა-

---

23 ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, № 3634.
24 იქვე, №№ 3805, 3632, 3505, 3555, 3679, 4189.
25 იქვე, ფ. Hd, № 14394.
26 იქვე, ფ. Sd. № 3921.
27 იქვე, № 3679.
28 იქვე, №№ 3979, 3746, 3616, 3921.
29 იქვე, № 3872.
30 იქვე, № 3384.
31 იქვე, №№ 3555, 5800.
32 იქვე, № 3875.
33 იქვე, № 3873.

სუქები საიდანაც ჩანს, რომ საკმაოდ ფართო მასშტაბის მეცხვარეობა იყო. მისგან სესხის ამღებნი ხშირად საკმაოდ ცნობილი მსხვილი ვაჭრები იყვნენ. საერთოდ, მანუჩარი თავისი საქმიანობით მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლებთან. ის სხვადასხვა სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობდა.

ამრიგად, მანუჩარ თუმანიშვილი, როგორც მეურნეობის ხელმძღვანელი, საინტერესო მემამულედ გვევლინება XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების საერთო ფონზე. მთელი მისი საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სიახლეებთან, რომლებიც ამ დროს შეინიშნება. ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლება, სასაქონლო წარმოების განვითარება აღვიძებს მემამულეთა მისწრაფებას გააფართოონ თავიანთი მეურნეობა, დაიკმაყოფილონ ფულზე მოთხოვნილება. ყოველივე ეს იწვევს საშემოსავლო წყაროების ძიებას, მემამულე ცდილობს მუშა-ხელის საერთო სიმცირის პირობებში სრული შესაძლებლობით გამოიყენოს დასამუშავებლად ვარგისი მიწის ყველა ნაკვეთი, ეძებს მიწების უფრო რენტაბელური დამუშავების ხერხებს, მჭიდროდ უკავშირდება ბაზარს. ყოველივე ამას თან სდევს გლეხთა ექსპლუატაციის უღლის დამძიმება.

მანუჩარ თუმანიშვილისთანა მემამულე ამ დროს სხვაც არა ერთია. მათი მეურნეობაც ფეოდალურია, მაგრამ ძველისაგან განსხვავებით უფრო რენტაბელური და პერსპექტივიანი. აღსანიშნავია, რომ ერი სამომხმარებლო ღირებულების წარმოებიდან საცვლელი ღირებულების წარმოებაზე გადასვლის ნიშნებსაც შეიცავს.

ანდრია აბრამიშვილი

მარიამ ბაგრატიონის უცნობი წერილები

XVIII ს-ის დამლევს რუსეთ-საქართველოს ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატით ღმოსავლეთი საქართველო რუსეთის იმპერიას წეუერთდა. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „ამ აქტით საქართველო გაემიჯნა აზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიიქცია პროგრესული ჩრდილოეთისაკენ“[1]. (ხაზგასმა ავტორისაა — ა. ა.).

XIX ს-ის დამდეგისათვის ქართლ-კახეთის სამეფო კარი პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. გიორგი XII-ის მრავალრიცხოვანი მემკვიდრენი ერთმანეთს ეპრძოდნენ ტახტის დასაკავებლად. ამით ისარგებლა რუსეთმა და გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო. საქართველოში რუსული მმართველობა დამყარდა. მთავარსარდლად და უმაღლესი მმართველობის უფროსად საქართველოში დაინიშნა გენერალი კნორინგი, რომელიც 1802 წ. გენერალმა პ. ციციანოვმა შეცვალა ამ თანამდებობაზე. აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტიური გამგებელი კი მთავარსარდლის მოადგილე გენერალი ლაზარევი იყო.

რუსეთის მთავრობას მიაჩნდა, რომ სანამ ბაგრატიონთა გაუქმებული დინასტიის წარმომადგენლები საქართველოში იმყოფებოდნენ, აჯანყება-შეთქმულებათა საშიშროება არ მოისპობოდა და ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარება ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე დაიწყო ქართველი ბატონიშვილებისა და მათი მომხრე დიდგვაროვანების რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გასახლება. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო რუსეთის მთავრობისათვის არასასურველ პირთა საქართველოდან გასახლებამ ციციანოვის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ.

გარუსებული ქართველი თავადი პეტრე ციციანოვი რუსეთის იმპერიის ერთგული მსახური იყო და ენერგიულად ატარებდა კოლონიზატორულ პოლიტიკას საქართველოში. მან პირადად რამდენიმეჯერ აღძრა შუამდგომლობა ალექსანდრე I-ის წინაშე, რათა საქართველოდან გაეძევებინათ სამეფო საგვარეულოს ყველა წარმომადგენელი. 1803 წ. 7 მარტის რესკრიპტში იმპერატორი წერდა ციციანოვს: „რამდენადაც ჩვენთვის სამწუხაროა იმ მდგომარეობის ხილვა, რომელშიც იმყოფება [საქართველოს] მეფის ოჯახი, იმდენადვე. თქვენს მიერ აღწერილ სხვადასხვა გარემოებათა გამო, აუცილებელ საჭიროებად მიგ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის. „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 139.

ვაჩინია მათი გაძევება საქართველოდან და გაეალებთ, დაუყოვნებლივ შეუდგეთ ამ საქმეს"[2]. ციციანოვსაც ეს უნდოდა და დიდი მონდომებით შეუდგა ბრძანების შესრულებას. მან ყოველი ღონე იხმარა იმისათვის, რომ ბაგრატიონების შთამომავლობა დედაბუდიანად გაეედევნა საქართველოდან და, არა დროებით. როგორც ამას იმპერატორი პირდებოდა მათ პირველ ხანებში, არამედ სამუდამოდ.

ალექსანდრე I-ის ბრძანების თანახმად, ბაგრატიონთა გვარის ყველა წარმომადგენელი, ისინიც კი, ვინც დროებით გაიხიზნა და უკან დაბრუნდებოდნენ, საქართველოდან უნდა გაესახლებინათ 1803 წ ბოლომდე. რუსეთში გადასასახლებელთა გრძელ სიებში სამეფო გვარის წევრებთან ერთად ბევრი სხვა საეპოქო პირიც ირიცხებოდა.

ბოლოს ჯერი მიდგა საქართველოს უკანასკნელ დედოფალ მარიამსა და მის მცირეწლოვან შვილებზეც. მარიამი არ ისმენდა არავითარ დარწმუნება-დაპირებას და არაფრით არ თანხმდებოდა საქართველოს დატოვებაზე. 1803 წ. 2 თებერვალს მან საგანგებო წერილით მიმართა ციციანოვს, რომელშიც სთხოვდა, ნება დაერთო საქართველოში დარჩენისა. „მებოძა იმისის დიდებულებისაგან ჩემდამი მოულოდებელი წერილი, რომელისაცა ჰაზრი მიცხადებს ჩემსა შვილებიანათ როსიად წასვლასა სხვათა და სხვათა სარწმუნოებიანთა საქართველოს მეზობელთა შფოთებისათვის". მარიამი მოახსენებდა ციციანოვს, რომ „როდესაც განსვენებულმან მეუღლემან ჩემმან ინება შევრდომა საფარველსა ქვეშე რუსეთისასა, მაშინ იყო ჰაზრი მისი ჩემთვის და შვილთა ჩემთა ცხოვრებისათვის ეზასვე მამულსა და ჰაერსა შინა და, თუ სხვასა უცხოსა ქვეყანასა შინა შესაძლებელი ყოფილ-იყო ცხოვრება ჩვენი, ჰქონდა დრო ყოველთვის და იქმნებოდაცა უადრეს გარდაცვალებისა თვისისა"[3]. შემდეგ მარიამი აღნიშნავდა, რომ „ესეცა ქვეყანა თანა-იმპერია არს რუსეთისა და თანა-სახელმწიფო ყოვლად მოწყალისა იმპერატორისა; უკეთუ ნებავს, აქაცა შემძლებელ არს, რათა მოწყალებით მომხედოს მეცა და შვილთაცა ჩემთა, და უკეთუ არა ინებებს აქა მოწყალებასა, იყავენ ნება ხელმწიფისა, — ოღონდ ნუ მიმეღების სიცოცხლე, ყოველთა მხედველისა ღვთისაგან მოცემული"[4].

მაგრამ არავინ შეისმინა ქვრივი დედოფლის ხვეწნა. ციციანოვი დაჟინებით მოითხოვდა მის გადასახლებას, რასაც მოჰყვა საშინელი ტრაგედია: 1803 წ. 19 აპრილს დედოფალ მარიამის ძალით გადასახლების ცდის დროს მოკლეს გენერალი ლაზარევი. მისი მკვლელობა მარიამს დაბრალდა და იგი იმავე დღეს თბილისიდან ბელგოროდს გაიგზავნა ეტაპით შვილებისა და მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით.

გენერალ ციციანოვის მიერ იმპერატორის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში ლაზარევის მკვლელად დედოფალი მარიამია დასახელებული. ასეთსავე ვერსიას იმეორებს თავის მოგონებაში პოლკოვნიკი როტიერი[5], რომლის თხრობაც, თავის მხრივ, მღვდელ ონისიმე იოსელიანის ნაამბობს ემყარება.

---

[2] **Акты**, II, გვ. 27. შდრ. ვ. ტ ო გ ო ნ ი ძ ე, მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), თბ., 1951, გვ. 48.

[3] **Акты**, II. გვ. 108.

[4] **Акты**, II. გვ. 109.

[5] პოლკოვნიკი როტიერი 1811—1818 წწ. კავკასიაში მსახურობდა და ერთ-ერთი დივიზიის შტაბის უფროსი იყო.

შემდგომში ეს ვერსია მცირე განსხვავებებით გაიმეორეს ტუჩკოვმა, დუბროვინმა, ვლადიკინმა, ბუტკოვმა, მ. ჯანაშვილმა[6] და სხვებმა.

აი, მაგალითად, როგორ აღწერს როტიერი ამ ამბავს: „დედოფალი იმავ წამს წამოვარდა, ხელში ეჭირა ხანჯალი, რომელიც ჩასცა ლაზარევს მარცხენა გულერდში ისეთი ძალით, რომ ხანჯლის წვერი მეორე მხრით გამოჩნდა; შემდეგ ისევე გამოაცალა სულ გასისხლიანებული ხანჯალი, სრულის გონებით მიარტყა სახეში გენერალს და შესძახა: „ასეთი სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურობაც დაართოო". ლაზარევი იქვე დაეცა და თითქმის მაშინვე დალია სული. იქვე როტიერი დასძენს, „ეს ამბავი ისე, როგორც გადმოგეცით, მიამბო მე მღვდელმა ონისიმე იოსელიანმა. მამა იოსელიანი იყო მწირველი წმ. გიორგის ეკლესიაში, რომელიც მიწერილი იყო იმ სასახლესთან, სადაც დაიჭირეს დედოფალი"[7].

პ. იოსელიანსა და ა. ფადეევს[8] ლაზარევის მკვლელად კახელი თავადი ნიკოლოზ ხიმშიაშვილი მიაჩნიათ. პ. იოსელიანისთვის თვითონ მარიამს უთქვამს ეს პირად საუბარში, ხოლო ფადეევმა 1850 წ. 14 ივნისს, მცხეთაში დედოფალ მარიამის დაკრძალვის დროს მოისმინა, რომ თითქოს მარიამმა სიკვდილის წინ თავის მოძღვარს გაუმხილა აღსარებაში ნამდვილი მკვლელის ვინაობა. ეს ვერსია 1891 წელს გაზეთმა „ივერიამაც" გაიმეორა (№ 240).

აი, როგორ გადმოგვცემს ამ ამბავს პ. იოსელიანი: „ეს ლაზარევი მოიკლა არა დედოფლისაგან, რომელსაცა ძიაწერეს ესე, და არც ჯიბრაილისაგან... მუნ ჰყოფმან თავადმან ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი. დასცა ლაზარევს მუცელში. ლაზარევი წაიქცა და თვით ხიმშიაშვილი მეორეს ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდამ და გაიქცა ახალციხეს და მუნ მოკვდა 1807 წელსა... მოკვლა ლაზარევისა ხიმშიაშვილისაგან ცნობილი სხვათაგანცა მრავალთა, თვით მიამბო დედოფალმან მარიამ"[9].

ამრიგად, დამკვიდრდა ორი სხვადასხვა აზრი, მაგრამ რომელია მათში სწორი, ძნელი გასარკვევია, რადგან არც პირველი და არც მეორე ვერსიის მომხრეთა შორის არავინ არის ამ ამბის თვითმხილველი.

ჩვენ ხელთ გვაქვს ზოგიერთი მასალა, რომელზე დაკვირვებაც, ვფიქრობთ, საშუალებას იძლევა უარვყოთ ვერსია მარიამ დედოფლის მიერ გენერალ ლაზარევის მოკვლისა.

როგორც აღვნიშნეთ, იმპერატორისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ციციანოვი მარიამს ადანაშაულებდა ლაზარევის მოკვლაში. ამის შესაბამისად ალექსანდრე I-მა ბრძანა, რომ „დედოფალი მარიამ და მისი ასული, რომელმაც თბილისის პოლიციმეისტერის მოკვლა სცადა, ვორონეჟიდან უნდა გაიგზავნონ სამხრეთ გუბერნიის ერთ-ერთ მონასტერში, სადაც ექნებათ რა სათანადო საჭირები, მათ შეუძლიათ ლოცვით მოინანიონ და სინდისის ქენჯნით აღსრულებულ დანაშაულისათვის"[10]. იმპერატორის ბრძანება დროულად და ზედმიწევნით შესრულდა. 19 აპრილს თბილისიდან გასახლებული მარიამი 12 ივნისს უკვე ვორონეჟში იყო ამალითურთ[11], ხოლო იმავე თვის

---

[6] „საქართველოს კალენდარი", 1894, გვ. 388—391.

[7] „მოამბე", 1894, № 7, გვ. 11, გვ. 1—11.

[8] „Русский архив", 1891. № 3 გვ. 438 — 439.

[9] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ., 1926, გვ. 119—120.

[10] Акты, II, გვ. 103.

[11] იქვე. გვ. 122.

21-ს ბელგოროდში ჩაიყვანეს და დედათა მონასტერში მოათავსეს. თბილისიდან მოზდოკამდე დედოფალი გააცილეს გენერალმა დ. ორბელიანმა და გენერალმა ტუჩკოვმა, მოზდოკის კომენდანტმა პროტოპოპოვმა კი თავის მხრივ ვორონეჟისაკენ გაისტუმრა.

უნდა აღინიშნოს, რომ ციციანოვმა ხელოვნებით დასდო ბრალი დედოფალ მარიამს რუსი გენერლის მოკვლაში. მან საფუძვლიანად არ გამოიძია საქმე, არ გაითვალისწინა ყველა მასალა, დაუსაბუთებლად მიაკერა ბეჭდელის სახელი მარიამს და იჩქარა მისი საქართველოდან ჯაძევება.

გენერალ ლაზარევის მკვლელობის საიდუმლოებას ჯერ კიდევ 1909 წელს ზაქ. ედილაშვილმა მიაქცია ყურადღება[12]. „დაწვრილებით აღუწესხვა ამ უმაგალითო დრამისა, რომელსაც შედეგად გენერალი ლაზარევის მოკვლა მოჰყვა, მეტად ძნელია და თაესატეხი. საქმე იმაშია, რომ გენერალმა ციციანოვმა ეს საქმე დაწვრილებით არ გამოიძია და არ გამოკითხა დასწრეთ. მან ყოველივე ბრალდება პირდაპირ მარიამ დედოფალს მოახვია თავზე და ამით გაათავა. „რადგან შესაძლებელია დაწვრილებით საქმის გამოძიებამ უფრო უარესად აღაშფოთოს ხალხი,—სწერს ციციანოვი შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ კოჩუბეის,— ამიტომ დაწვრილებითა და სისასტიკით არ გამოვიძიე საქმეო". ლაპარაკი არ უნდა, — დასძენს ედილაშვილი, — გამოძიება ციციანოვისა და მით უმეტეს ლაზარევის სასარგებლოთ არაფერს იტყოდა, თორემ რა შვილი არ გამოიძიებდა! თუკი ის პირნი დაეპატიმრა, რომელნიც ხელს უწყობდნენ დედოფალის ფშავ-ხევსურეთში გაქცევას, და სამართალში მისცა, ლაზარევის მკვლელობის საქმეს რაღად არ გამოიძიებდა, თუ მისთვის რამე სასარგებლოს იტყოდა, მაგრამ, ეჰვი არ არის, ციციანოვს განგებ უნდა მიეფუჩჩებინა მკვლელობის საქმე. ამის გამოა, რომ დაწვრილებითი აღნუსხვა ამ საქმისა არსად შენახულა. აქტებში, რომელნიც უძვირფასეს მასალას წარმოადგენენ ისტორიისთვის, მოქცეულია მხოლოდ უქვეშევრდომილესი მოხსენება ციციანოვისა, წერილი მაიორის საკაძისა და სხვა არაფერი საყურადღებო. ეს წერილებიც განგებ ისეთს ყალიბზეა ჩამოსხმული, რომ ყოველივე ეჰვის მიტანა ლაზარევისა და სხვათა დანაშაულზე შეუძლებელია"[13].

აღნიშნული საკითხის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ მარიამის მონათხრობს. „მარიამ დედოფლის თხოვნა იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი ტფილისითგან ვორონეჟში გადასახლების დროს" ბევრს საინტერესო ცნობას შეიცავს. ეს ვრცელი არზა, რომლის ასლებიც ვორონეჟიდან ერთდროულად გაეგზავნათ იმპერატორის დედას, სინოდს, გრაფ კოჩუბეის, პეტერბურგის მიტროპოლიტს და ზოგიერთ სხვა მაღალი თანამდებობის პირს, 1803 წ. 17 ივნისით თარიღდება. არზის რუსული ტექსტი გამოაქვეყნა ნ. დუბროვინმა[14], ხოლო მისი ქართული თარგმანი ზ. ედილაშვილმა დაბეჭდა.

მარიამ დედოფალი ასე აღწერს საქმის მსვლელობას: „ცოტა ხნის შემდეგ გენერალი [ლაზარევი] უცებ შემოვარდა ამოღებულის ხმლით და თან შემოჰყვა ხმალვე ამოღებული იგივე ყაზახ-აფიცრები. ამის დანახვამა. სარკმლიდან ხან-

---

[12] ზ. ედილი (ედილაშვილი), მარიამი, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი. „დროება", 1909, №№ 204—206, 221—222, 243, 247, 249.

[13] „დროება", 1909, № 247.

[14] Н. Дубровин, Закавказье от 1803 — 1806 гг., СПб. 1866, гр. 494 — 500.

ჯალი აეიღე. დედაჩემი ფეხ ქვეშ ჩაუვარდა მათ. უკოცნიდა ფეხებს და მოწიწებით სთხოვდა, ჩხუბი არ აეტეხნათ; ისინი კი მის ვედრებას ყურადღებას არ აქცევდნენ და ფეხქვეშ სთელავდნენ. ამ დროს ლაზარევმა თავში დამიმიზნა ხმალი, მაგრამ. — თავიდან ავიცდინე, — მხარში მომხვდა და ღრმად დამჭრა, რაზედაც მოწმენი არიან: სომეხი ექიმი ტატულა, რომელმაც პირველად შემიხვია ჭრილობა, გენერალ ტუჩკოვის პოლკის ექიმი, რომელმაც წამლებიც მომცა და ჭრილობაც შემიხვია კაკაჯაძდის; თვით მნახველი გენერალი ტუჩკოვი და მეოთხეც, ექიმი ჭილაევი, რომელიც ეხლაც ჩემთან იმყოფება. სახლიდან გამოსვლაზედ. მეორედ, კაჩკაევმა დამარტყა ხმალი, მაგრამ სასიკეთოდ მარტო ტანისამოსი დამიჭრა, ხორცამდე ვერ მიატანა; მესამედ კიდევ ვიღაცამ დამარტყა, — მაგრამ კარგად ვერ შევამჩნიე. ვინ იყო: ლაზარევი თუ სხვა ვინმე... ვერას რომ მიუახლოვდით..., ციციშვილისაგან გამოგზავნილი ზემოხსენებული ექიმი ტატულა მოგვეწია ნაცვალით ჭრილობის შესახვევად და რომ არა ჰქონდა-რა შესახვევი. ერთს ყახახს გამოართვეს რაღაც რაფის ჩვრები და იმით შემიხვიეს; ამავე ექიმმა გვითხრა, რომ ლაზარევი მოუკლავთო. ვფიცავ ჯერ ყოველად შემძლო ღმერთს და მერე ჩემთვის ძვირფასს თქვენის იმპერატორობითის უდიდებულესობის სიცოცხლეს, — აქამდის კი არ ვიცოდი და არც გამეგონა ლაზარევის მოკვლა. იქნება ჩემის უბედურებით წაქეზებულმა, მისმა მტერთაგანმა ვინმემ ჩაიდინა ბოროტმოქმედება, რადგან—როგორც ქართველთა შორის ისე რუსთა შორისაც — მრავალი მტერი ჰყავდა... მე გაკიგე, რომ ციციშვილმა რაპორტით მოახსენა თქვენს უდიდებულესობას, რომელშიაც ცილს მწამებდა მე და ჩემს ქალს თამარს, რომელმაც ვითომც ტფილისის ნაცვალი დასჭრა. ამავე ნაცვალს გვარად სურგუნოვს განსვენებულის ჩემი მეუღლის დროს ისევე ადგილი ეკავა და ერთგულად გვემსახურებოდა, ესეც რომ არ იყვეს, — დაჭრილი რომ ყოფილიყო. ჭრილობას როგორ შემიხვევდა? ან კიდევ როგორ მოვიდოდა ვერაზედ ჩვენთან? ამის გარდა ის კაცი ეხლაც ცოცხალია და ადვილად შეიძლება მისი გამოკითხვა და ან კი რა საჭიროა ყველა ეს, რადგანაც იქ მყოფს ხალხს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ის დაჭრილი არ ყოფილა. მაშასადამე. ციციშვილმა, ტყუილად დასწამა რა სურგუნოვის დაჭრა ჩემ ქალს, არ გაუჭირდებოდა მას ჩემთვისაც დაეწამა ლაზარევის მოკვლა, რათა ამითი საშუალება მისცემოდა ჩვენის რუსეთში გადასახლებისა"[12].

ამგვარად, ზემომოტანილი ვრცელი ამონაწერიდან ირკვევა, რომ დედოფალ მარიამს არა თუ არ მოუკლავს ლაზარევი, არამედ დაჭრილიც კი არ უნახავს ის. გენერლის მოკვლა მარიამმა მხოლოდ სასახლიდან გამოსვლის შემდეგ. ვერაზე შეიტყო. რა თქმა უნდა, დასაშვებია, რომ მარიამს შეეძლო დაეფარა თავისი დანაშაული იმპერატორის წინაშე, მაგრამ არსებობს დედოფლის ერთი უცნობი წერილი. რომელიც შინაური საოჯახო მიმოწერის გულახდილ სასიათს ატარებს. ბელგოროდში ჩასვლის მეორე დღესვე მარიამი პეტერბურგში მყოფ უფროს ვაჟს მიხეილს ატყობინებს: „ამ ქალაქში ამ თვის ოცდაერთს მოვედით. შენმა მზემა, შენს მზეს ვიფიცავთ, ნახე ჩემთვის რა საფიცარია, რომ ის კაცი მე არ მომიკლავს და არც ჩვენს სახლში მომკედარა, არც სისხლ გამოდენილი უნახავს ვისმე, არც დაჭრილი. ისევ მთელი კაცი გამოსულა ჩვენის სახლიდამ... ჩვენ დაგვხოცეს, თორემ ჩვენ არავინ მოგვიკლავს".

---

[12] „ივერია", 1895, № 109.

ჩვენი აზრით, სიტყვები მარიამისა, რომელიც იმპერატორისათვის გაგზავნილ თხოვნაშიც და შვილისათვის მიწერილ წერილშიც გადაჭრით უარყოფს თავის მონაწილეობას გენერლის მკვლელობაში, უთუოდ ანგარიშგასაწევია.

იმისათვის, რომ გავერკვეთ გენერალ ლაზარევის მოკვლის ნამდვილ ვითარებაში, მოკლედ გავისხენოთ, როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობდა მთავარმართებლის მოადგილე კოვალენსკისა და ლაზარევს შორის.

ნ. დუბროვინი ამ ორ მოხელეს ახასიათებს როგორც სრულიად საწინააღმდეგო ბუნების ადამიანებს. ლაზარევზე იგი ამბობს: „პირდაპირი ადამიანია, გულღია და პატიოსანი"; „ლაზარევი საქართველოში მოვიდა... ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე ადგილობრივ საქმეებში ჩარევაზე და არც თავი გამოუცხადებია არაჩვეულებრივ ვინმედ". ხოლო „კოვალენსკი, პოლიტიკის წარმომადგენელი და სახელმწიფოს შინაგანი გამგებელი, პატივმოყვარე და ძალაუფლების მოყვარული ადამიანი იყო... იგი მიდიოდა თბილისში არა როგორც შუამავალი, არამედ როგორც გუბერნატორი და პატონ-პატრონი... მათმა სხვადასხვა შეხედულებამ თანამდებობაზე სხვადასხვაგვარი შედეგიც გამოიღო. კოვალენსკი წინ იყურებოდა, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება მოეპოვებინა, ლაზარევი კი მარტო თავის ლეგიონზე და მის ყოველივე აუცილებლით მომარაგებაზე ზრუნავდა. თავისი მიზნების მისაღწევად კოვალენსკის უნდა მიემართა უსამართლობისა და ცილისწამებისათვის, ლაზარევს კი შეეძლო ემოქმედა პირდაპირ და გულღიად"[16]. „ლაზარევი და კოვალენსკი — დაასკვნის ნ. დუბროვინი—ერთი მეორის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ ზურგს უკან და იქამდე მივიდნენ, რომ საბოლოოდ წაეკიდნენ ერთმანეთს"[17].

ნ. დუბროვინის გადმოცემით, ლაზარევმა პირდაპირ დაურიდებლად დაიწყო კოვალენსკის მიმართ უკმაყოფილების გამოთქმა და არც თავის თავს ზოგავდა. კოვალენსკი კი, პირიქით, თავიდანვე არაგულწრფელად იქცეოდა და ცბიერებით იცავდა თავს. იგი ცილს სწამებდა ლაზარევს და ცდილობდა ყოველგვარი დანაშაული მისთვის მოეხვია თავზე[18]. კოვალენსკი იქამდეც მივიდა, რომ ერთმანეთის საწინააღმდეგო სიცრუით სავსე პატაკებს გზავნიდა პეტერბურგში[19].

იმპერატორმა მალე განსაზღვრა ამ ორი მოხელის ღირსება-ნაკლოვანებანი. ერთში მან დაინახა სიმართლისა და ჭეშმარიტების მოყვარული, გულღია და პატიოსანი ადამიანი, ხოლო მეორეში — არაგულწრფელობისა და პატივმოყვარეობის ზრახვები. მეფის განწყობილება აშკარად ლაზარევის მხარეს იხრებოდა.

კოვალენსკიმ ძალზე გაამწვავა მდგომარეობა თავისი აღვირახსნილი საქციელით და უხეში მოქმედებით. მისი პიროვნების დახასიათებისათვის საყურადღებოა ზ. ედილაშვილის სიტყვები: „მთავარმართებლად საქართველოში კნორინგი დაინიშნა, ხოლო მის თანაშემწედ კოვალენსკი, რომელსაც ტფილისში უნდა ეცხოვრა. ეს ის კოვალენსკი იყო, რომელმაც ორიოდე წლის წინად გაძარცვა და გაყვლიფა საქართველო და თავისი უზნეო ყოფაქცევითა და ანგარების მოყვარეობით თავი მოაძულა ყველას იმდენად, რომ გენერალი ლაზარევი იძულებული იყო მოეთხოვა მისი გაძევება. კოვალენსკი მაშინ უბრალო მი-

[16] Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии и ее присоединение к России, СПб., 1867, გვ. 85 — 86.

[17] იქვე, გვ. 88, Н. Дубровин, Закавказье от 1803 — 1806 г., გვ. 42.

[18] Н. Дубровин, Георгий XII, последний царь Грузии.., გვ. 88.

[19] იქვე, გვ. 91.

სისტრი იყო მეფის კარისა, რომელსაც რუს-ქართველთა საერთო საქმენი უნდა ეწარმოებინა, ეხლა კი გამგე გახდა საქართველოსა. თუ მაშინ ამ ვაჟბატონმა აიკლო საქართველო, ეხლა რაღას იზამდა?"[20].

საქართველოსა და ბაგრატიონთა დიდი კეთილისმსურველი არც ლაზარევი ყოფილა. მასაც არა ერთხელ მოუხსენებია კნორინგისათვის: „ჩემი აზრით, საუკეთესო გამოსავალი იქნება, რომ ბაგრატიონთა მთელი საგვარეულო აქედან გავიყვანოთ; სანამ ისინი აქ იქნებიან, არეულობას ბოლო არ მოეღება"[21]. შემდეგომში სწორედ ლაზარევი იყო ამ ღონისძიების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ენერგიული შემსრულებელი და გადაჰყვა კიდეც ამ საქმეს.

ყოველივე ზემოთქმული, ჩვენი აზრით, საფუძველს იძლევა, სარწმუნოდ მივიჩნიოთ დედოფალ მარიამის სიტყვები იმის შესახებ, რომ მას არ მოუკლავს ლაზარევი. სტატსკი სოვეტნიკ კოვალენსკისა და გენერალ ლაზარევს შორის დიდი ხნის განმავლობაში წარმოებულმა ბრძოლამ და მათმა ურთიერთმტრობამ უთუოდ თავი იჩინა შემდგომი დროის ამბებშიც და გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ეს გამხდარიყო ერთ-ერთი მიზეზი გენერლის მოკვლისა. ციციანოვმა კარგად იცოდა რუსეთის მთავრობის ამ ორი მოხელის ურთიერთობის ამბავი და არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწია ამ გარემოებისთვის. იგი უთუოდ ეცდებოდა თავიდან მოეშორებინა აბეზარი გენერალი, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი შესამჩნევი ავტორიტეტით სარგებლობდა იმპერატორის კარზე. ხელსაყრელი მომენტიც მალე გამოჩნდა და ლაზარევი ისეთ ვითარებაში მოკლეს, რომ მკვლელობის მარიამისთვის დაბრალება და მისი საქართველოდან გასახლება დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა ციციანოვისთვის.

ჩვენი აზრით, ციციანოვი რომ გარეული არ ყოფილიყო ლაზარევის მკვლელობაში, იგი მაშინვე შეუდგებოდა საქმის საფუძვლიანად გამოძიებას და სათანადო ზომებსაც მიიღებდა მკვლელის აღმოსაჩენად.

და ბოლოს, უთუოდ ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ გენერალ ლაზარევს მართლაც ბევრი მტერი ჰყავდა როგორც ქართველებში, ისე რუს მოხელეთა წრეშიც, რასაც არც დედოფალი მარიამი მალავდა თავის არზაში.

ასე იყო თუ ისე, მარიამი უმცროსი შვილებითა და თანმხლები პირებით ბელგოროდს გადაასახლეს და სასტიკი ზედამხედველობა დაუნიშნეს. ქალაქგარეთ გასვლა აკრძალული ჰქონდათ, წერილებს ცენზურა ამოწმებდა. „უმაღლესი ბრძანების თანახმად, შინაგან საქმეთა მინისტრმა ბელგოროდის ქალაქის ფოსტის კონტორას მისწერა, ყოველთვის, როცა კი საქართველოს დედოფალი ვისმესაგან წერილს მიიღებს ან თითონ მისწერს, კურსკის გუბერნატორს აცნობოს სიფრთხილის გულისათვის. ფოსტის უფროსმა თვალყური ადევნოს თუ ვის უგზავნის დედოფალი წერილს ან ვისგან იღებს"[22].

დედოფალი მარიამ არ ურიგდებოდა თავის მდგომარეობას და განცხადებას განცხადებაზე აგზავნიდა პეტერბურგს, მაგრამ მისი თხოვნა-მუდარა კარგა ხანს შეუწყნარებელი რჩებოდა. ოღონდ ის კი იყო, რომ 1804 წელს იმპერატორის ბრძანებით ბატონიშვილები ილია, ოქროპირ და ჯიბრაილ სასწავლებლად პეტერბურგს გაემგზავრნენ და კადეტთა პირველ კორპუსში ჩაირიცხნენ.

მარიამს ხშირი მიმოწერა ჰქონდა პეტერბურგში თავის ვაჟიშვილებთან — მიხეილთან და დავითთან, ნიკიფორე მოძღვართან და გრაფ კოჩუბეისთან, მოს-

[20] „დროება". 1909, № 221.
[21] Акты, II, გვ. 341; Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.
[22] „სახალხო გაზეთი", 1911, № 235, 238.

კოში—ბატონიშვილ ბაგრატთან, ხოლო თბილისში დედასთან. განსაკუთრებით ხშირად სწერდა იგი უფროს შვილს მიხეილს და ბოლოს მისი დახმარებით ელირსა 1811 წელს ბელგოროდის ტყვეობიდან თავის დახსნა და მუდმივ საცხოვრებლად მოსკოვში გადასვლა. ოცდაჭვრის ორმოცი წელი გაატარა მარიამმა მოსკოვში და გარდაიცვალა ღრმა მოხუცი 1850 წ. 30 მარტს[23]. იმავე წლის იკნისში მისი ცხედარი დიდის პატივით ჩამოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოველის ტაძარში.

ბაგრატიონთა საოჯახო არქივში შემორჩენილი წერილებიდან, რომლებიც ამჟამად ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაშია დაცული, ყურადღებას იქცევენ ლეონტიფალ მარიამის პირადი წერილებიც. ქვემოთ ვაქვეყნებთ მარიამის მიერ თავისი უფროსი ვაჟის მიხეილისადმი მიწერილ ორ უცნობ წერილს, რომლებშიც საინტერესო მასალა მოიპოვება ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

---

[23] იხ. 1850 წ. გაზეთები: „Московские ведомости"; № 45, „Северная пчела". № 92; „Санкт-Петербургские ведомости". № 81; „Ведомости Московской городской полиции". და სხვ. პ. იოსელიანი (ცხოვრება გიორგი მერჩულისა. გვ. 245). ალ. ფრონელი („იერია". 1889, № 185) გრ. ჩარკვიანი („საერო კალენდარი". 1890 და 1891 წწ. გამოცემანი) და ზოგიერთი სხვა მკვლევარნი 1851 წ. 30 მარტს ასახელებენ.

დანართი

დედოფალ მარიამის უცნობი წერილები

1

მიხაილ!

უგანათლებულესო შვილო ბატონო. ჩვენს ამბავს მოიხსენებ. ბელგოროდში მოვედით, მონასტერში დაგვაყენეს. კელმწიფეს. კელმწიფეს დედას, სინოდებს და ქუჩიბოვს[1] არზი მივართვით ჩვენის ვითარებისა. თვალ-ყური დაიჭირე და შეიტყევ რასაც ბრძანებენ და გვაცოდინე. ერთი წიგნის პირიც შენ გამოგვგზავნე, იმ არზების პირია და ყველას იმითი სცნობ და იმათაც გამოუცხადე ყოველი ჩვენი ამბავი ისტორიასავით. როგორც შენგან ვიცოდე, და შენის მშვიდობის ამბავი გვაცოდინე. ამაზედ ბეჯითი იყავ, შვილო, ეს არზები ვორონიჟიდამ ვაახელ და შენც პირი იქიდამ გამოგვგზავნე.

დედოფალი მარიამ.

დღეს რომ ეს წიგნი დავწერეთ, იმავ დღეს თქვენი წიგნი მომივიდა და შენის ძმის დავითისა. ჩემთვის ღ[ვ]თის წყალობა იყო თქვენის მშვიდობის ამბის შეტყობა. ამ არზის პირი ბაგრატთან არის—ახლა მოსკოვში იქნებიან, კბფ რუდ[ზ]რეაჩბ თქჩძშ ტრწკქრ გრკფშ[ჭ]. ამ ქალაქში ამ თვის ოცდაერთს მოვედით. შენმა მზემა. შენს მზეს ვიფიცავ, ნახე ჩემთვის რა საფიცარია, რომ ის კაცი მე არ მომიკლავს და არც ჩვენს სახლში მომკვდარა, არც სისხლ-გამოდენილი უნახავს ვისმე, არც დაჭრილი, ისე მთელი კაცი გამოსულა ჩვენის სახლიდამ. სხვა წიგნებშიაც მომიწერია, არ ვიცი მოგდისთ თუ არა. თუ იქიდამ არ შოგვიდეს ის წიგნის პირი, ფოშტა ხომ ყოველთვის მოდის, ჩვენ გვაცოდინე და ჩვენ კიდევ ისე წვრილათ მოგწერთ იმ წიგნის პირსა. ჩვენ დაგვხოცეს, თორემ ჩვენ არავინ მოგვიკლავს.

დედოფალი მარიამ.

ქ. ჩემი შვილი იოანე მომიკითხე, რატომ ეგ კი არასა გვწერს თავის ამბავსა.

22 ივნისს, 1803 წელსა, ბელგოროდს.

ერთი ფერცელი. დაწერილია ერთ გვერდზე. ხელის მოწერის მაგიერ დედოფალ მარიამის ბეჭედი აჭვს დასმული.

2

მისაილს, მისის უგანათლებულესობას, საქართველოს მეფის ძეს!

მათი დედა დედოფალი მარიამ, თქვენს მშვიდობას ღ[ვ]თსა ეთხოვ. ჩვენს ამბავს მოიხსენებ, მშვიდობით გახლავართ. აქ ბელღოროდს შენი წიგნი მამივიდა ივნისის ლ (30-ს) დაწერილი და შენს წიგნთანვე ნიკიფორე არხიმანდრიტის ბერის წიგნი მოგვივიდა ივლისის ი (10-ს) დაწერილი. შენს წიგნში მოგეწერა, ხემწიფეს რატომ არზას არ მოართმევთო. ჩვენ ვარონიჟიდამვე კელმწიფეს,

ჯელმწიფის დედას, სინოდებს და ქუჩიბოვს არზები მოვართვით ივნისის 10ზ (17-ს). ჩვენი ყოველი ვითარება წერილად მოვახსენეთ და იმ არზას პირი შენ გამოგიგზავნე, წიგნიც მოგწერე, არ ვიცი, მოგივიდა თუ არა. რაც იმ არზის პირია, კელმწიფესთან და ყველასთან ისე არის მოწერილი. მაგ ნიკიფორე ბერს მოეწერა, რომ ჯელმწიფეს თქვენი არზები მოერთვაო. შენ რომ მანდ იყავ, რატომ ვერ შეიტყევ, როდის მოერთვა და ან რა პასუხი გამოვიდა. ახლა ამ წიგნთან იმ არზის პირი გამომიგზავნია შენთან და იმით სცნობ ჩვენს ყოველს ამბავს. და კიდევ ახლა ჯელმწიფესათვისაც ერთი მოკლე არზი მომირთმევია. შენ იცი. შვილო, როგორც თვალყურიანათ იქნები. ჯელმწიფეს ჩვენი არზი მოერთმევა თუ არა და ან რა პასუხი გამოვა და შეგვატყობინე, რომ ეგების მალე გვეღირსოს თქვენი თვალთ ხილვა და აქედამ გასელა. ჩვენ ჰ[ო]რათ ესეც შევიტყევით, რომ ვითომ ჯელმწიფეს ციციანოვი გუმზედ სამართალში მიეცეს ჩვენს საქმეზედ და გუმზედ მოსულიყოს ციციანოვი. ჰორათ ასე გავიგონეთ, სწორე კი არ ვიცით. წიგნებს ბევრს გწერთ, არ ვიცი, მოგდისთ თუ არა. სხვას თქვენს შვედობას და მანდაურს ამბავს მოგვწერედ ხოლმე. ერთი წიგნი ლაშქაროვთანაც იყო მოწერილი, ისიც შეიტყევ, მოუვიდა თუ არა. იმის პირსაც გამოგიგზავნი ახლა, რაც ლაშქაროვთან მოწერილი იყო. ეს ხემწიფის არზაც შენთან გამომიგზავნია, გაშინჯე კარგათა, თუ მიირთმეოდეს და ან იქნებოდეს—შენ მიართვი. ზოგიერთი სიტყვაც გაალამაზე. მე ხომ ჯარით ვეღარა გამიგია რა. საცა სჯობდეს — შენი ხელით გაასწორე და ისე მიართვი, თუ არა სჯობდეს, ნუ მიართმევ. იმ წიგნის პირებში კი არა სწერია ამისათვის, რომ გავრცელდებოდა: შენთას რომ მამიტანეს, ერთს ძველს ყაზახის ნაბადზე დამდვეს და ისე შემიტანეს. დედაჩემიც იქ მოვიდა. მოსდოგას[1] რომ მოვედით, ვინც მოქალაქეთ მნახეს. ან სხვათ, მრავალი იწუხეს, ჩვენ რომ ისე საცოდავათ გვხედამდნენ; აგრევე კიდევ ქვეყნებში, საცა მოვედით. შენ კი ნუღარ იწუხებ ამისათვის. რომ ის სამქვე გაველილი არის. კუჩუბეის წიგნიც შენთან გამომიგზავნია — ესეც გასინჯე. ღირები ხომ გაქვს, თუ სჯობდეს, მიართვი, თუ არა და ნუ მიართმევ. საჩქაროთ დავწერთ ხოლმე, ფოშტა ჩქარა მოდის და ამისათვის ვერ მოვასწრებთ ხოლმე. წიგნები თუ მიართვა, ისევ შენის ღირებით დაბ[ე]ჭდე და ისე მიართვი.

დედოფალი მარიამ.

ივნისის[3] 29 [ა]ცხვს, 1803 წელსა. ბელღოროდს.

წერილი ორად მოკეცილი ორი ფურცლის სამ გვერდზეა დაწერილი. ხელის მოწერის მაგიერ დედოფალ მარიამის ბეჭედი აქვს დასმული.

---

[1] შინაგან საქმეთა მინისტრი გრაფი პ. კოჩუბეი.

[2] ეს არიპტოგრამა ჯერჯერობით ვერ ამოვიკითხეთ (ჩვენი თხოვნით ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა გივი მიქაძემ ეს სიტყვები შემდეგნაირად წაიკითხა: „ოსე ანდუყაფრის შვილთ გამოვატანეთ“ — რ ე დ).

[3] ს. ლ. ლაშქარაშვილი (1739 — 1814).

[4] ბოხდოკს.

[5] უნდა იყოს ივლისის 29, რადგან დასაწყისში საუბარია 30 ივნისსა და 10 ივლისს დაწერილი წერილების მიღების შესახებ.

არჩილ ბარამიძე

პლატონ იოსელიანი და იბერიის (ქართლის) ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი

XIX საუკუნის გამოჩენილი ისტორიკოსი პ. იოსელიანი მეცნიერთა იმ მცირე ჯგუფის წარმომადგენელია, რომელთა მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი უბანია ისტორიული გეოგრაფიის შესწავლა. თუ მისი წინამორბედი ხანის ქართველი ისტორიკოსები (დავით, ვახტანგ, თეიმურაზ ბაგრატიონები) ისტორიულ გეოგრაფიას მხოლოდ გარკვეული მიზნისათვის იყენებდნენ (რამდენადაც ეს საჭირო იყო მათი ზოგადისტორიული ნაშრომებისათვის) და ამასთან ძირითადად XVIII ს-ის ქართული ისტორიული გეოგრაფიის ფუძემდებლის ეახუშტი ბაგრატიონის მონაცემების შევსება-შემოკლებით იფარგლებოდნენ, პ. იოსელიანს არ აკმაყოფილებს საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება და პრაქტიკულ-თეორიული საქმიანობით მთელ რიგ საკითხებში აღრმავებს კვლევა-ძიებას.

პლატონ იოსელიანი გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოდან ვიდრე ამ საუკუნის 70-იანი წლების შუახანებამდე ერთადერთი ქართველი ისტორიკოსია, რომლის სახელთან არის დაკავშირებული ისტორიული გეოგრაფიის შესწავლის საქმე.

პ. იოსელიანს არა აქვს ჩამოყალიბებული ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი პრინციპები. იმჟამად არა თუ ქართულ ისტორიოგრაფიაში, არამედ დასავლეთევროპულ და რუსულ ისტორიოგრაფიაშიც არ არსებობდა ერთობლივი, ზუსტად ჩამოყალიბებული შეხედულება ისტორიული გეოგრაფიის საგნის შესახებ. ისტორიკოსთა უმრავლესობისათვის ისტორიული გეოგრაფია არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინას, რომელსაც თავისი საკუთარი კვლევა-ძიების ობიექტი გააჩნდა. ისტორიული გეოგრაფია არსებითად ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური საზღვრის დადგენითა და ცალკეული ქვეყნის ან ქალაქის (სოფლის) ლოკალიზაციით კმაყოფილდებოდა, რაც ისტორიული გეოგრაფიის საგნის ერთი მცირე ნაწილთაგანია მხოლოდ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ როგორც თავისი ეპოქის შვილი პ. იოსელიანიც არაა დაზღვეული იმჟამინდელი გაბატონებული თვალსაზრისის გავლენისაგან და პირველ რიგში აყენებს არა კონკრეტულად აღებული ქვეყნის ეკონომიკის შესწავლას[1], არამედ სხვა საკითხებს.

---

1 ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. ტ. I, 1960, გვ. 18.

პ. იოსელიანის დაუღალავმა მოგზაურობამ აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ მხარეთა შესწავლის დიდსა და საჭირო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. ლიხთ-ამერეთის მიწისზედა მატერიალურ ძეგლთა შესწავლის ინტერესით აღფრთოვანებული პ. იოსელიანი თავის „მოგზაურობებში" დაწვრილებით აღწერს ნახულ ეკლესია-მონასტრებსა და ნასახლარ-ნაციხვარებს. ამ უკანასკნელთა შესწავლა კი ისტორიული გეოგრაფიის საგანს შეადგენს[2]. „Я веду свои путевые заметки с целью сообщить их тем, — აღნიშნავს ავტორი თავის ერთ-ერთ წერილში, — которые с любопытством занимаются историею и древностями малого отдела той части Грузии, которая в географии и устах народа известна под именем Сомхетии, т. е. грузинской Армении"[3].

ამგვარი მეთოდი აქვს გამოყენებული ავტორს ქართლის ტერიტორიის სხვა ნაწილთა შესწავლის საქმეშიც.

პ. იოსელიანის სამეცნიერო მოღვაწეობის თითქმის 40 წელი მიეძღვნა საქართველოს, უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს, სიძველეთა შესწავლას[4]. იქნება ეს ნასახლარები თუ სასახლეები, ეკლესიები თუ მონასტრები, სიდები თუ ნახიდურები, ხელნაწერები თუ სიგელ-გუჯრები, წარმართობა თუ ქრისტიანობა — ყველაფერ ამას პ. იოსელიანი შეუნელებელი გულისხმიერებით კიდებდა ხელს. საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენი ავტორი თავის ნაშრომთა უმრავლესობას მაინცდამაინც „აღწერას" უწოდებს, რაც ასე კარგად ეხმაურება ისტორიული გეოგრაფიის საგნის შინაარსს. ცხადია, პ. იოსელიანი ამ ტერმინს ვახუშტისაგან სესხულობს და ზოგიერთ შემთხვევაში მისი მეთოდითაც ხელმძღვანელობს, მაგრამ ვახუშტისაგან განსხვავებით პ. იოსელიანს მთელი სისრულით არ აქვს მოცემული საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა.

პ. იოსელიანი სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის დროიდან მიზნად ისახავს საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლას. ამან იგი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული საკითხის ყოველმხრივი გამოკვლევა შეუძლებელია, თუ წინასწარ არ იქნა შესწავლილი საქართველოს ტერიტორია ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ პ. იოსელიანის დიდი ხელნაწერი ნაშრომი „ისტორიული და ღეოღრაფიული აღწერა ძველისა საქართველოისა", რომელიც არსებითად ბერძნულ-რომაული ან ანტიკური ისტორიოგრაფიის წყაროთა მონაცემებზეა აგებული. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება სწორედ ძველი მსოფლიოს გეოგრაფიის შესწავლას გულისხმობდა. კერძოდ, XVIII—XIX ს-ის გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი არნოლდ ჰეერენი (1760—1842) თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომში ლაპარაკობს არა ისტორიული გეოგრაფიის მეცნიერების აღმოცენების შესახებ საერთოდ, არამედ ძველი მსოფლიოს, სახელდობრ, ანტიკური სამყაროს ისტო-

---

[2] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 8.

[3] Платон Иоселиани, Путевые записки от Тифлиса до Ахталы, Тифлис, 1850, გვ. 3.

[4] რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, პ. იოსელიანი ამ შემთხვევაში არსებითად ქართული და ანტიკური ხანის ბერძნული ისტორიული წყაროებით იკელევს კოლხეთის ისტორიულ გეოგრაფიას.

რიული გეოგრაფიის აღმოცენების შესახებ[5]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პ. იოსელიანი ა. ჰეერენის გავლენით იკვლევს ანტიკური წყაროების მიხედვით უძველესი ხანის საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიას.

აღნიშნული ხელნაწერი, შესავლის გარდა, სამი ძირითადი თავისაგან შედგება. ესენია: კოლხეთი, იბერია და ალბანეთი. თითოეული თავი რამდენიმე ქვეთავად არის დაყოფილი. ნიშანდობლივია, რომ ნაშრომი თავიდან ბოლომდე დამოუკიდებელი მუშაობის შედეგს წარმოადგენს. პ. იოსელიანი არ იფარგლება XIX ს-ის ისტორიკოსთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი აღწერითი მეთოდით. ხელნაწერის უბრალო გადათვალიერებითაც თვალში გეცემათ, რომ ავტორი თავისუფლად ერკვევა და დედანში იყენებს ანტიკური ხანის ცნობილ ისტორიკოსთა თხზულებებს.

პ. იოსელიანის საისტორიო-საგეოგრაფიო კვლევა-ძიებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იბერიის ქალაქთა წარმოშობა-განვითარების საკითხს[6]. ძირითადად „ქართლის ცხოვრების“ წყაროთა და ანტიკურ მწერლობაში დაცულ მასალათა გამოყენებით, ხოლო ზოგჯერ ამა თუ იმ მოგზაურ-არქეოლოგის მიერ მოწოდებულ ცნობათა საფუძველზე, იგი საქართველოს ქალაქთა წარმოშობისა და მათი ისტორიული განვითარების მეტად საინტერესო სურათს ქმნის. სავულისხმოა, რომ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ საქართველოს ქალაქთა ჩამოთვლის შემდეგ პ. იოსელიანი ლაპარაკობს იმ ეკონომიურ მიზეზებზე, რამაც განაპირობა ამა თუ იმ ქალაქის წარმოშობა ისტორიულად. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ისტორიკოსის მიერ აღნიშნული ორი ძირითადი ფაქტორი, რაც, პ. იოსელიანის აზრით, გადამწყვეტი პირობაა ქალაქთა წარმოშობის პრობლემის კვლევაში. „Города в Грузии — აღნიშნავს პ. იოსელიანი, — возникали преимущественно на главных реках края и на их главных притоках. В этом отношении первое место принадлежит Куре (Мтквари), главной из всех рек Закавказья»[7]. ამას გარდა, «Происхождение городов грузинских первоначально было чисто воинственное, вынуждаемое необходимостью самосохранения. Все древнейшие города, основание которых приписывается Картлосу и его ближайшим потомкам, были ничто иное, как горные крепости, под сенью которых охотно водворялось и удобно множилось население. В последствии, феодальная организация царства картлосианского возвела на степень городов многие местности, любимые сильными и богатыми князьями, служившие для них постоянными резиденциями или временными приютами... Города, образовавшиеся сами из себя, вследствие свободного сосредоточения промышленности или развития торговли, были, но как редкие исключения. Их население большей частью состояло из пришельцев: армян, греков и евреев. Это было неизбежное следствие заключения народности картлосианской в тесных пределах своих родных долин, отгороженных отовсюду неприступными, разобщительными оплотами гор»[8].

[5] В. К. Яцунский, Историческая география, М., 1955, გვ. 4.

[6] ჩვენ არ ვეხებით აქ იბერიის სახელმწიფოს პოლიტიკურ გეოგრაფიას, რადგან პ. იოსელიანის შეხედულება ამ მხრივ „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს არ სცილდება.

[7] П. Иоселиани. Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, გვ. 76.

[8] იქვე, გვ. 79—82.

პ. იოსელიანის მიერ აღნიშნული ფაქტორები ფრიად ნიშანდობლივია. მართლაც, თუ ჩვენ თვალს გავაყოლებთ საქართველოს ქალაქთა აღმოცენების ისტორიას, დავინახავთ, რომ მეტი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისა მდინარეთა დინების ნაპირზე იყო და არის გაშენებული. ქალაქთა წარმოშობას ორი გარემოება აპირობებდა. ერთ შემთხვევაში იბერიის ძველი ქალაქები თავდაცვის საჭიროების ნიადაგზე ჩანან აღმოცენებული. მაშასადამე, ცნობილია აღიარებული XIX ს-ის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრი, რომ ქალაქები ციხეებს ანუ ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ. ცხადია, ეს განსაზღვრა გადაჭარბებულია. რა თქმა უნდა, თავდაცვის მომენტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქის დაარსებაში, მაგრამ არ წარმოადგენდა ამის გადამწყვეტ ფაქტორს. უმთავრესი მიზეზი, როგორც ცნობილია, ეკონომიურ ხიზეზშია საძებნი. ამას თითქოს ამჩნევს ჩვენი ავტორიც და იბერიის ქალაქთა აღმოცენების მეორე პირობას მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებაში ხედავს, თუმცა გარეშე ეთნიკური ელემენტის მეოხებით[9].

ამასთან ნიშანდობლივია პ. იოსელიანის მეორე მოსაზრება, რომ იბერიის ქალაქები (სამოსახლოები, ციტადელები) იმთავითვე მთასა და გორებზე ჩნდებოდნენ და საზოგადოების საცხოვრისს წარმოადგენდნენ. ამას საკუთრივ ტერმინი „გორიც“ ადასტურებს, რომელსაც იბერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქთან ერთად, ზოგადი, კრებითი მნიშვნელობაც აქვს და „ბორცეს“ აღნიშნავს[10]. სადღეისოდ არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ გორებზე აშენებული ქალაქი ციტადელს (შიდაციხეს) წარმოადგენდა და იგი სამხედრო თავდასხმისაგან თავდაცვითი საშუალება იყო. მაგრამ ანტიკური იბერიის ქალაქები აღმოცენდებოდნენ ადრეთვე უძველეს სამოსახლო ადგილებზეც. უპირატესად რამდენიმე სამოსახლო ტერიტორიის გაერთიანებისა და მათი შემდგომი გაფართოების გზით, კერძოდ, იმ ტერიტორიაზე, სადაც ძველად არსებობდა სამოსახლოები გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ეპოქებში[11]. ეს მოსაზრება უკანასკნელი დროის არქეოლოგიურ მონაცემებს ემყარება და, ცხადია, პ. იოსელიანისათვის უცნობი იყო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ XIX ს-ის შუახანებში არქეოლოგია თვით დასავლეთ ევროპასა და რუსეთშიც მხოლოდ ძლივ იდგამდა ფეხს, ამიტომ იმჟამად მოღვაწე ისტორიკოსებს დიდად ვერ ვუსაყვედურებთ არქეოლოგიური მასალის გამოუყენებლობას.

მაგრამ არსებობდა აგრეთვე სხვა თვალსაზრისიც იბერიის ქალაქთა წარმოშობის საკითხზე. იგი წინ სწევდა სინოიკისტურ-ეკონომიკურ ფაქტორს — რელიგიური ერთობისა და მმართველობის ერთიანობის საჭიროებას. ამგვარი ორი საწყისის შერწყმის ნაყოფს წარმოადგენდა, პ. იოსელიანის აზრით, ქალაქ დუშეთის აღმოცენება. „Общественность -- აღნიშნავს ჩვენი ავტორი, — есть потребность для человека, равно как религиозное отношение к небесам есть врожденное ему чувство. И потому, первое население Душета должно было иметь среди себя торговлю и базар, а с нею и место излияния своих бессмертных чувств — дом молитвы, соединяя, таким

---

9 ამ თვალსაზრისის მიუღებლობის შესახებ იხ. არჩილ ბარამიძე, კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები..., „საზოგადოებრივ მეცნ. განყ. მოამბე“, № 5, 1963, გვ. 103—104.

10 П. Иоселиани, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

11 А. Апакидзе, Результаты археологического изучения античных городов Грузии. „Античный город“, М., 1963, გვ. 146.

образом, единение религиозное и единство управления общества в лице главного правителя. От такого правителя, известного в летописях грузинских под именем мамасахлисо (მამასახლისი, paterfamilia), главы общественного племенного семейства, требовалось исполнение обязанностей управления всем тем населением, которое окружало местопребывание его, как правительственный центр. По мере возрастания населения, строились капища и умножались меновые торговые дома. Таким образом, гражданская и религиозная связь рука об руку шла для укрепления общества, вокруг своего правителя стекавшегося. Так зачинались все города. Так родился Душет»[12].

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პ. იოსელიანი თავისი დროისათვის, სახელდობრ, XIX ს-ის შუა ხანებისათვის, საკმაოდ საფუძვლიანად ერკვევა ქალაქთა აღმოცენების სოციალურ და ეკონომიურ საკითხებში. ცხადია, ამაში მას ხელს უმართავდა დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში ამ ხაზით არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, თუმცა სამწუხაროდ, იგი ამ უკანასკნელს არ მიუთითებს. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ მისი მოსაზრება ანტიკური ხანის იბერიის ქალაქთა აღმოცენება-განვითარების შესახებ, ემყარება XIX ს-ის პირველი ნახევრის ისტორიოგრაფიაში მიღებულ „ქალაქთა თეორიის“ სქემას[13]. გარდა ამისა, პ. იოსელიანი ბევრს მოგზაურობდა, ხალხის ცხოვრებას აკვირდებოდა და ამის საფუძველზე ფრიად საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამდა. საყურადღებოა, რომ ჩვენი ავტორი, მართალია, ანტიკური ხანის ქალაქთა წარმოშობას „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იბერიის რომელიმე მეფის ან მამასახლისის საქმიანობას მიაწერდა, მაგრამ მსჯელობას ავითარებდა უკვე მეცნიერულად. ასე იქცევა იგი ანტიკური იბერიის თითქმის ყველა ქალაქის, განსაკუთრებით კი დუშეთისა და ნეკრესის მიმართ[14]. დუშეთი, მისი სიტყვით, მთელი არაგვის ხეობის სავაჭრო და რელიგიური ცენტრი იყო (გვ. 41—42). რაც უფრო დიდი ხეობის სალოცავ ადგილად იქცეოდა იგი, იმდენად მეტი რაოდენობით იყრიდა თავს მოსახლეობა დუშეთში და ამდენად ვაჭრობაც უფრო ინტენსიური ხდებოდა. პ. იოსელიანის ეს თეზისი სწორი და მართებული ჩანს[15].

პ. იოსელიანის შემოქმედებაში დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს ტერიტორიის ხევებად დაყოფის საკითხს. მართალია, უკვე წინამორბედი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში ხევების მნიშვნელობას აღიარებდა თეიმურაზ ბაგრატიონი, მაგრამ პ. იოსელიანმა დიდი როლი შეასრულა ამ პრობლემის დასმისა და მისი დამუშავების გაღრმავების თვალსაზრისით. მართალია, პ. იოსელიანთან ჩვენ ვერ შევხვდებით ხეობათა დაყოფის შედეგად მათი ეკონომიკის სპეციფიკის განსაზღვრას და მისი როლის შეფასებას საქართველოს მიწა-წყალზე მიმდინარე ისტორიულ პროცესში (ნ. ბერძენიშვილი), მაგრამ იგი სა-

---

[12] П. Иоселиани, Описание города Душета. Тифлисской губернии. Тифлис, 1860, გვ. 42.

[13] Ш. Месхиа. Города и городской строй Феодальной Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 5.

[14] П. Иоселиани, Путевые записки по Кахетии. Тифлис, 1846, გვ. 111.

[15] შდრ. გ. ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ნაწ. I, ჭუთაისი, 1925, გვ. 55.

მართლიანად უსვამს ხაზს ქართველ ტომთა კარჩაკეტილობისა და კონსერვაციის უარყოფით მხარეებს. ავტორი მიუთითებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ხეობებს თავისი საკუთარი მმართველი ანუ ე. წ. ხევის ბერი განაგებდა. ეს ინსტიტუტი წარმოშობის თვალსაზრისით პატრიარქალურ წყობილებაში ჩნდება (გვ. 34). მაშასადამე, გარდა საკითხის არსებითი მხარისა, რომ საქართველო ისტორიულად ხეობებად დაყოფილ საზოგადოებას წარმოადგენდა, აქ აღიარებულია მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ქართველ ტომებში პირველყოფილ-თემური წყობილების არსებობის შესახებ.

«Душет, как центр управления — აღნიშნავს პ. იოსელიანი, — всею арагвскою областью, был заведываем старшиною, хевисбери. Феодальная корпорация этой области, раздробленной на ущелья, образовала самое древнее название или титул правителя, от слов хеви и бери (ხევი и ბერი) т. е. старшина, или буквальное, священное лицо ущелья». (გვ. 34. დაყოფა ავტორისაა. ა. ბ.).

მოტანილი ამონაწერიდან აშკარად ჩანს, რომ ჩვენი ავტორისათვის ცნობილია ღუშეთის ხეობაში გვართა საცხოვრისის არსებობა, რომელსაც ხევის ბერი განაგებდა. სამწუხაროდ, იგი ამ ინსტიტუტის გაჩენას ფეოდალური ურთიერთობის (resp. მონათმფლობელურ) ნიადაგზე ხსნის, თუმცა იქვე ქვემოთ დასძენს, რომ თავისი შინაარსითა და წარმოშობით ეს საზოგადოებრივი უწყება პატრიარქალური ხანიდან მომდინარეობს. უნდა შევნიშნოთ, რომ პ. იოსელიანი მკვეთრად განასხვავებდა ფეოდალურ და პატრიარქალურ წყობილებებს ერთიმეორისაგან, როგორც საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ეპოქას. ამიტომ იგი ზემოხსენებულ ამონაწერში აშკარა წინააღმდეგობაშია თავის თავთან. მაგრამ ამჟამად ავტორის მსჯელობა ჩვენ სხვა მხრივ გვაინტერესებს.

ისტორიული გეოგრაფიისათვის ძალზე საყურადღებოა, რომ პ. იოსელიანი კარგად ერკვევა საქართველოს ხევებად დაყოფის მნიშვნელობაში. თავის ერთ-ერთ წერილში, იგი კითხვასაც კი სვამს იმის შესახებ, თუ რა გარემოება იწვევდა ქართველ ტომთა სხვადასხვა სახელწოდების გაჩენას. ამის მიზეზს იგი საქართველოს ბუნების გეოგრაფიულ თავისებურებაში ხედავს: «Главной причиной тому был их географический быт. Картвелы, с глубоких времен древности поселясь между Черным и Каспийским морями, заняли ущелья и долины, резко разграниченные природою. Крутые стены гор, быстрые, несудоходные природою и неспособные к наведению мостов реки, должны были естественно отделять племена друг от друга. Где больше было таких препятствий к общению и взаимному сношению, там больше и раздробился народ. Где их было менее, там каждое племя оставалось нераздельнее и под одним общим названием занимало более пространства»[16].

პ. იოსელიანის აქ წარმოდგენილი მსჯელობიდან ირკვევა, რომ ქართველ ტომთა მრავალსახელიანობა და მათი კარჩაკეტილობა ხეობათა შორის განვი-

[16] П. Иоселиани, Различные наименования грузинов. ЖМВД, 1844, № VII, გვ. 137 — 140.

თარების დაბალ საფეხურზე არსებული ვითარების შედეგია. იქ, სადაც გაუვალი მთები, ჩქარი და ნაოსნობისათვის გამოუყენებელი მდინარეებია, ამასთან ხიდების ნაკლებობაა, რაც ინტენსიური ურთიერთობისათვის აუცილებელ პირობას შეადგენს, იქ ადვილად ხდება ცალკეულ ტომებად დაყოფა. ამ გათიშვის შედეგია, მისი აზრით, ქართველ ტომთა მრავალსახელიანობაც.

ამგვარ განცალკევებას ხელს უწყობდა მდინარეებზე ხიდების სიმცირე. პ. იოსელიანის აზრით, ეს გარემოება იმით იყო გაპირობებული, რომ ძველად ფეოდალურ საქართველოში, ერთი მხრივ, სათანადო სიმაღლეზე არ იდგა ხიდების მშენებლობის ტექნიკა, ხოლო მეორე მხრივ, მათ სიმცირეს სამხედრო-სტრატეგიული შედეგებიც ჰქონდა (გვ. 137—138, სქოლიო).

როგორც გასული საუკუნის მეორე ნახევრის[17], ისე უახლესი დროის სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ის მოსაზრება, რომ ანტიკური და ფეოდალური ხანის საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა ხიდმშენებლობის ტექნიკა[18]. ეს გარემოება კი უსაფუძვლოს ხდის პ. იოსელიანის შეხედულებას აღნიშნული საკითხის შესახებ.

პ. იოსელიანის ისტორიულ-გეოგრაფიულ კონცეფციაში სათანადო ადგილი უკავია ტოპონიმიკას. ამ მხრივ იგი პირდაპირი მემკვიდრეა XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიისა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პ. იოსელიანის ნაშრომებში ტოპონიმიკა უფრო ფართოდ არის გამოყენებული, ვიდრე ბატონიშვილთა ნაშრომებში. ავტორს ესმის, რომ ტოპონიმიკა ისტორიულ პრილში შეისწავლის გეოგრაფიულ ტერმინთა წარმოშობას. იგი არკვევს ძველ, უკვე არარსებულ დასახლებულ პუნქტთა ადგილმდებარეობას, იკვლევს ამა თუ იმ ტერმინის ისტორიული ცვალებადობის მიზეზებს და სხვ. ამრიგად, ისტორიული ტოპონიმიკა პ. იოსელიანის შეხედულებით, ისტორიული გეოგრაფიისათვის ერთობ საჭირო მასალის შემცველია. მაგალითისათვის შევჩერდეთ ქალაქ დუშეთის ეტიმოლოგიაზე. სიტყვა დუ(შ)ეთი, ავტორის აზრით, თათრული (resp. თურქული) წარმოშობისაა. «Душет, говорят, есть слово татарское. Рассказывают, что конница грозного Тимура в опустошительном, в 1392 году, шествии по Грузии могли дойти до первого пункта горного подъема области Арагвской и узидев широкую местность..., получила приказание своего вождя остановиться: душат, стой конь. Отсюда начало названию местности... Не решаясь, однакожь, остановиться на этом, я скажу, что название Душети находим у черкесов в Джикети (ჯიქეთი)... Там, левее селения Джикл (ჯიქი), протекает река Душети, впадающая в Черное море[19]. На языке черкессов душет значит: ваше седалище. Выражение это как будто указывает на резиденцию правителя, каковою, действительно, был Душет. Может быть, эти же черкесы дали название месту от табунов своих, искони веков продававшихся в Душете...

---

[17] Л. Ф. Николаи, Краткие исторические данные о развитии мостового дела в России. СПб, 1896, გვ. 6, 112.

[18] Н. И. Квезерели-Копадзе, Грузинские народные речные переправы, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვ. XII — XIII, თბ., 1963, გვ. 319 — 320.

[19] F. Dubois de Montpéreux. Voyage autour du Caucase, ტ. I, Paris, 1839, გვ. 187.

Аналогия других географических наименований грузинских ведет к новому этимологическому заключению: не образовалось ли название Душети от слова Мтушети (მთუშეთი), означающего межгорие? Положение города действительно есть межгорное. Есть названия: Квешети (ქუეშეთი), т. е. подгорие, село у подъема Кайшаурского под Ломискою или львиною горою; Эрушети (ერუშეთი т. е. поселение между народом, среди народа, среди населения, в древней грузинской Месхии: Хведурети (ხუედურეთი); Багратети и множество других. В этих названиях слышен звук древнего грузинского языка»[20].

მაშასადამე, ჩვენი ავტორის აზრით, ქალაქ დუშეთის სახელწოდებას სამი სხვადასხვაგვარი ეტიმოლოგია შეიძლება მიეცეს: თურქული, რომელსაც იგი არ იზიარებს, მისი ხალხური ეტიმოლოგიის გამო, ჩერქეზული, რომელსაც იგი თითქოს მხარს უჭერს და ამ ტერმინის ქართველურ ენათა ნიადაგზე ახსნის ვარიანტი, რომელსაც ჩვენი აზრით, პ. იოსელიანი უფრო იზიარებს, ვიდრე წინა ორს. ავტორის შეხედულებით, ეს სახელწოდება ანალოგიურია ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში დაცული სახელებისა: მთათუშეთისა, ქვეშეთისა, ერუშეთისა და ხვედურეთისა. მართლაც, შესაძლებელია, რომ დუშეთი ქართული წარმოშობის სახელი იყოს, თუმცა თანამედროვე საენათმეცნიერო ნაშრომებში მისი ეტიმოლოგიის შესახებ არაფერია ნათქვამი. მაინც, დუშეთის საკითხთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერმინის სადაურობის გასარკვევად პ. იოსელიანს სხვადასხვაგვარი მასალა აქვს მოტანილი — როგორც ისტორიული, ისე ენობრივი, და მათი ურთიერთშეჯერების საფუძველზე ცდილობს ამ სახელწოდების ეტიმოლოგიის დადგენას.

აღსანიშნავია აგრეთვე პ. იოსელიანის მსჯელობა „სარკინეთის“ სახელთან დაკავშირებით. «Пределы... описания — აღნიშნავს იგი — не позволяют мне войти в подробности объяснения названия Саркинети, означающего или место железных руд, или место поселения, подвигов Сарацын, которых грузинские летописи обыкновенно честят саркиносцами (სარკინოზნი) или место крепкое не приступное для врагов... Событий дохристианских в этих местах мы не знаем: летописи не оглашают их в своих сказаниях — Страбон и Плиний описывавшие Армаз и Мцхету не коснулись Саркинета; но есть след, сквозь тусклый свет, ведущий нас к объяснению никем доныне не объясненного названия местечка или города, о котором пишут древние географы. Не есть ли это Севмара? Страбон полагает город Севмара по близости Мцхеты. А Мцхета была раскидана на запад и оканчиваясь одною частью города Кодманом, отделялась от Саркинет или предполагаемого Севмара кодманскими лесами. — Пусть это все объяснит время»[21].

როგორც ვხედავთ, სარკინეთის შესახებ ავტორს სამი ვარაუდი აქვს გამოთქმული: სარკინეთი ან რკინის საბადოებთან უნდა იყოს დაკავშირებული,

[20] П. Иоселиани. Описание города Душета..., გვ. 23.

[21] П. Иоселиани. Описание Шиомгвимской пустыни в Грузии. Тифлис. 1845, გვ. 4 — 5.

ან ისტორიულად სარკინოზთა (არაბთა) ადგილსამყოფელს აღნიშნავს, ანდა მტრებისათვის გამაგრებულ, მიუდგომელ ადგილს წარმოადგენს. სავსებით ცხადია, რომ პ. იოსელიანი მხარს უჭერდა პირველ მოსაზრებას, რადგან მას მიაჩნდა იგი ანტიკური ხანის სევსამორად. ამჟამად ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია კამათი პ. იოსელიანთან სარკინეთ-სევსამორას იგივეობის გამო[22], მაგრამ აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოება, რომ ავტორი დიდი გულისყურით ეკიდება კვლევა-ძიების საგანს. იგი ყველა დეტალს ითვალისწინებს და მისი აწონ-დაწონვის შემდეგ სათანადო დასკვნებს აკეთებს. ამგვარი მეთოდის მიუხედავად, იგი მაინც ამკარად ცდება, როდესაც აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის წინამორბედი ხანის სარკინეთის შესახებ თითქოს არაფერი იყოს დაცული. როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრებაში" მის გარშემო საინტერესო ცნობებია შეპოვნახული. მართალია, წყაროებში ხშირად ერთიმეორისაგან განსხვავებულ ცნობებთან გვაქვს საქმე, მაგრამ მასალა კვლევა-ძიებისათვის მათში საკმარისი სიუხვითაა წარმოდგენილი.

ამრიგად, წარმოდგენილი მასალები პ. იოსელიანის შეხედულებათა შესასებ იბერიის (ქართლის) ისტორიულ გეოგრაფიაზე სრული სიცხადით მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ მისი სახით ჩვენში ამ დარგის ერთ-ერთ ფუძემდებელთან გვაქვს საქმე. მის საისტორიო კვლევა-ძიებაში ისტორიულ-გეოგრაფიას, როგორც დავინახეთ, ორგანული ადგილი უკავია. თუ, მაგალითად, ქართველ ბატონიშვილთა შემოქმედებაში ჩვენთვის საინტერესო საკითხები ცალკე არ გამოიყოფა და მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებენ, პ. იოსელიანმა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესწავლას მოახმარა. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა მთელი საქართველოს მომცველი ერთიანი ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომის შექმნა, რასაც იგი თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ჰპირდებოდა ქართველ მკითხველს[23], მაგრამ, რისი გაკეთებაც შეძლო, ისიც დიდი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისა.

შესანიშნავად იცნობდა რა XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის შეხედულებას ისტორიული გეოგრაფიის დარგში, ჩვენი ავტორი ყოველნაირად ცდილობდა მის შემდგომ მეცნიერულ განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა არც ერთი საკითხი XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართული ისტორიული გეოგრაფიისა, რომ პ. იოსელიანს მასზე თავისი საინტერესო და ორიგინალური მოსაზრება არ გამოეთქვას. შესაძლებელია ავტორს რაიმე საკითხში არ დავეთანხმოთ, მისი მოსაზრება არ გავიზიაროთ, მაგრამ პ. იოსელიანის ნაშრომების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების პროცესის წარმოდგენა.

პ. იოსელიანი არ იფარგლება ერთი ვიწრო საკითხის კვლევა-ძიებით. მისი ყურადღების სფეროში თავს იყრის სხვადასხვა პრობლემა, რომლის შესწავლას ზოგადი, მეთოდური ხასიათი აქვს. იგი იმთავითვე გამოვიდა, როგორც ქართული ისტორიული გეოგრაფიის საკითხთა მკვლევარი. ავტორის შემოქმედების მეტი ნაწილი ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათისაა და დამყარებულია ვა-

---

22 შდრ. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ანტიკური წყაროების სევსამორა — წიწამური, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV. ნაკვ. I, თბ., 1959.

23 П. И о с е л и а н и, Города, существовавшие и существующие в Грузии, გვ. VII.

ბუშტის მეთოდსა და პრინციპებზე. მაგრამ ამ ორ დიდ მკვლევარს შორის არსებითი განსხვავებაც შეიმჩნევა.

პ. იოსელიანი ქართულ ისტორიოგრაფიაში სოციალური და ეკონომიური გეოგრაფიის პრინციპების დამნერგავია. მას არ აინტერესებს მარტოოდენ იბერიის ტერიტორიის ცალკეულ პუნქტთა ლოკალიზაცია, ან იბერია-ალბანეთის პოლიტიკური საზღვრის საკითხი, თუმცა მის ნაშრომებში ამ საკითხებსაც ექცევა ყურადღება. მისი კვლევის უმთავრესი საგანია ქალაქთა წარმოშობა, ცალკეული ქალაქების წარმოქმნის ეკონომიური და სოციალური პირობების გადგენა და ა. შ.

ირაკლი ანთელავა

საგლეხო რეფორმის პირველი დღეების შთაბეჭდილებანი და მომდევნო წლების სინამდვილე

დებულება საგლეხო რეფორმის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისის გუბერნიაში) დამტკიცდა 1864 წლის 13 ოქტომბერს. იმავე წლის 8 ნოემბერს თბილისში, ვორში, თელავსა და სიღნაღში, სადაც სოფლის მშრომელი მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ გამოძახებულნი, საზეიმო ვითარებაში წაიკითხეს იმპერატორ ალექსანდრე II-ის მანიფესტი ბატონყმობის გაუქმების შესახებ ჩვენს ქვეყანაში. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ის უდიდესი აღტაცება, რომელიც გამოიწვია გლეხებში საუკუნოებრივი მონობის „საბოლოო დამხობამ". მწარმოებელი კლასის ეს განუსაზღვრელი სიხარული კარგად გამოხატა ერთმა სიღნაღელმა გლეხმა, რომელმაც მანიფესტის გამოცხადების დღეს შემდეგი სიტყვით მიმართა მთავრობის წარმომადგენელს: „ჩვენ, გლეხები, დიდად ვაფასებთ მეფის წყალობას, რომელიც დღეს აქ გამოგვეცხადა. ხელმწიფე ყოველთვის იყო ჩვენი მამა და კეთილის მსურველი; ჩვენ ეს კარგად გვესმის და სულითა და გულით მადლობელი ვართ მისი... მადლობელი ვართ აგრეთვე მუმამულეების იმისათვის, რომ ისინი დათანხმდნენ ჩვენს განთავისუფლებას. ამიერიდან შეეცდებით ვიყოთ მათი კეთილი. მეზობლები. მეტად დავალებული ვართ მეფის ნაცვლისგან იმით, რომ მან შუამდგომლობა აღძრა ჩვენი განთავისუფლების შესახებ. ვსვამთ ხელმწიფე იმპერატორისა და დიდი მთავრის სადღეგრძელოს"[1].

თუმცა სრულებით არაა გამორიცხული, რომ ეს გლეხი ხელისუფლების მიერ წინასწარ იყო მომზადებული, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, მისი სიტყვა მაინც სწორად გადმოგვცემს სოფლის მშრომელი მოსახლეობის განუსაზღვრელ სიხარულს იმის გამო, რომ მან, როგორც ეს მას დასაწყისში ეგონა, საბოლოოდ დამკვიდრდა საოცნებო მიწა და თავისუფლება.

რომ გლეხს თავდაპირველად მეფის მიერ „ნაწყალობევი" თავისუფლება მეტად გაზვიადებულად ჰქონდა წარმოდგენილი და რომ ის ყმურ მდგომარეობიდან გამოსვლით აღტაცებული, ვერ ამჩნევდა ოფიციალური დოკუმენტების ჩრდილოვან მხარეებს, ამას ცნობილი ქართველი ხალხოსანი ეგ. იოსელიანიც ადასტურებს. აი, რას წერდა იგი რეფორმით გამოწვეული პირველი შთაბეჭდილების შესახებ[2]: „დადგა განჩინების დღე. მოიწვიეს ქალაქში გლეხობა... შემ-

---

[1] С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, I. Одесса. 1912. გვ. 412

[2] ეგ. იოსელიანი, ძველთა და ახალ შუა (მოგონება), ლიტერატურული მუზეუმი, ეგ. იოსელიანის ფონდი. სქმე 2843/31).

ღეგ პარაკლისისა, წაკითხული იყო ქართულად მანიფესტი ბატონ-ყმობის გაუქმებისა. გლეხმა მანიფესტიდან სცნა მხოლოდ ის, რომ მას ბატონი აღარ ჰყავს, თავისუფალია. ამის გაგონებით გლეხი სიხარულით შეზარხოშდა. დაბრუნდა შინ. შედგა თუ არა სახლში ფეხი, მისი სიტყვა იყო: მოგვშორდა ბატონი, თავისუფლები ვართ, გოგოსა და ბიჭს ბატონი აღარ წაიყვანს მოსამსახურეთ, მისი მოურავი კარს აღარ მოგვადგება, ბატონისა აღარა ვართ. ეს პირველი დღეები შემდეგ მანიფესტის წაკითხვისა, ისტორიული მომენტია გლეხის ცხოვრებაში".

ზუსტად ასევეა საქმის ვითარება წარმოდგენილი თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „საქართველოს მოამბე"-ში, რომელმაც 1867 წლის პირველ ნოემბერს ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მოათავსა ღლეხკაცის ნაამბობი სათაურით „ბატონ-ყმობა". აქ გლეხი სიხარულით ცას სწვდება, თავი სიზმარში ჰგონია. მას უხარია „დაბალი ხალხის" ყმობიდან განთავისუფლება, უხარია, რომ ბატონები ამიერიდან არ სცემენ და პირუტყვივით არ გაჰყიდიან ადამიანებს, რომ მომავალში არავინ მიითვისებს სხვის შრომას და ყოველი კაცი თვითონ იქნება საკუთარი გარჯით შექმნილ-შეძენილი დოვლათის ბატონ-პატრონი[3].

ასე სრულად და გარანტირებულად წარმოიდგინა გლეხმა „ბოძებული" თავისუფლება. მანიფესტისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტის კითხვიდან მან მხოლოდ ისღა გაიგო, რომ ამიერიდან ბატონყმობა ისპობა და უყურადღებოდ დატოვა დასახელებული დოკუმენტების ის ადგილები, სადაც ძველი მდგომარეობის „დროებით" შენარჩუნებაზე იყო ლაპარაკი. უყურადღებოდ დატოვა გლესმა, კერძოდ, მეფის ნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის ხალხისადმი მიმართული მოწოდების ის ნაწილი, სადაც ნათქვამი იყო: „Приобретая права и преимущества, вам даруемые, вы не должны забывать обязанностей, на вас лежащих. Обязанности эти двоякие: пред правительством и пред владельцами земли, на которой вы поселены... Только... безупречным

---

[3] „მადლობა ღმერთსა,— ვკითხულობთ იქ, — ძლივს ეხედამ საქართველოში თავისუფალ ხალხს. აღარ ეხედამ, რომ თმებით სწევდნენ ბატონები ყმებს, აღარ ეხედამ გასუქებულ მებატონეს, [ისე] უქმეულად ყმების წართმევას ესე დაუკლეკებია. აღარა ეხედამ, რომ მებატონეს სახლში იყოს ძღვნები დაუფასებელი ოფლით მიტანილი ყმებისაგან. აღარ ეხედამ საწყალი გლეხი კვდებოდეს ბატონის დაჩაგვით. აღარა ეხედამ გლეხ-კაცს, რომ მთელი სიცოცხლე გაატაროს უსარგებლო შრომაში, იმისათვის რომ გაალახვინოს თავი. ოჰ! რა საქმე მორჩა. ინგლისში ცხენსა ან ძაღლს არ იჭერენ უფასოთ. არამცთუ კაცებს, აქ კი აქამდინ ყმებსა ჰყიდდნენ, როგორც ძაღლს, ასე გონია ყმა პირუტყვია და ბატონი კი ადამიანი. იმათ აწვალებდნენ. უფულოდ აკარგვინებდნენ... ჯანსა და ღონეს, დასჩაგრამდნენ, სცემდნენ, და ბოლოს კიდეც ხანდისხან აქურდვინებდნენ სხვა მებატონეებს ისევ ბატონის სასარგებლოდ. ეხლა [თავისუფალი გლეხი] სადაც უნდა იქ იმუშაებს და უფლს თავისთვის აიღებს, აღარ გრძნობს ვაებას თავის თავზე. თავი სიზმარში ჰგონია... მაშ... ეიმღეროთ გლეხებო:

ბატონი გაყეთლებულა, ეჯაერება ესე,
თავში ის ვერ უფაიზუნებს მოჯამაგირესაო.

(ხელნაწერი ჟურნალი „საქართველოს მოამბე" (რედაქტორი ვ. თუმანიშვილი). 1867 წ., № 1. ს.ქ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი. გ. თუმანიშვილის ფონდი, საქმე 429, ფურც. 20-21. ხაზი ჩვენია—ი. ა.).

их исполнением вы можете доказать свою благодарность за дарованные вам блага"[4].

მაგრამ ბევრი დრო არ დასჭირებია სოფლის მშრომელ მოსახლეობას იმისათვის, რათა პრაქტიკული ცხოვრებით გაეგო ყველაფერი ის, რაც მან ვერ გაიგო „თავისუფლების" გამოცხადების საზეიმო დღეებში. იგი მალე დარწმუნდა იმაში, რომ მთავრობა ხსენებული ღონისძიების გატარებით ეხებოდა მხოლოდ მოვლენის ზედაპირულ მხარეს და არა მის საფუძვლებს. შესაფერისად გლეხის თავდაპირველი სიხარული ენით გამოუთქმელი მწუხარებით შეიცვალა. „დიდხანს არ უვლია გლეხს ილუზიაში. — წერს ეგ. იოსელიანი. — ცხოვრების სინამდვილემ დაანახვა თავის თავი; მოადგა ბატონი სახრით, მოჰყვა მას მომრიგებელი შუამავალი, ბოქაულიც თავის ჩაფრით. ეს რაღა თავისუფლებაა..., ჩაიფიქრა გლეხმა და თავი დაუკრა მოსულ ბატონს"[5] (ხაზი ჩვენია—ი. ა.).

*
* *

სინამდვილეში, იმედგაცრუებულმა გლეხმა თავი კი არ დაუკრა მორჩილების ნიშნად კარზე მომდგარ ბატონს, არამედ უდიერად მიიღო იგი და პროტესტით შეხედა მას. 1865 წელს, მაგალითად, კარდანახელმა გლეხებმა ენერგიულად შეუტიეს მემამულეებს, რომლებმაც მათ მიწით სარგებლობა აუკრძალეს. „ტყეც ჩვენია და მინდორიც!" — ყვიროდნენ თურმე ისინი და კატეგორიულად უარყოფდნენ თავადიშვილების პრეტენზიებს[6]. თბილისის გუბერნიის საგლეხო „პრისუტსტვიეს" წარმომადგენელმა, შეშინებულმა იმით, რომ უბრალო პროტესტი მასიურ მღელვარებაში არ გადაზრდილიყო, დათმობა არჩია და, დოკუმენტის სიტყვით, ხალხს გამოუცხადა, რომ მას სრული უფლება აქვს ტყითა და მინდვრით სარგებლობისა[7]. კარდანახელებსაც არ დაუყოვნებიათ და, თანამედროვის მოწმობით, გადაუწყვეტიათ 1865 წლის 14 მარტის მომდევნო პირველ კვირას გასულიყვნენ ალაზანს გაღმა და მემამულეების დაუკითხავად დაემუშავებინათ იქაური მიწები[8].

ყოფილი საბატონო ყმები გაბედულად გამოდიოდნენ რეფორმის მახინჯი მხარეების წინააღმდეგ, უარს აცხადებდნენ საწესდებო სიგელების შედგენაზე, გადასახადების გადახდაზე და სრულ თავისუფლებას მოითხოვდნენ. სოფლებში ტრიალებდნენ გლეხი-აგიტატორები, რომლებიც რაზმავდნენ მშრომელ მოსახლეობას და ხელს უშლიდნენ მთავრობის ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას. ასეთების რიცხვს ეკუთვნოდა, მაგალითად, თბილისის მაზრის სოფელ იც-

---

[4] მომყავს ს. ავალიანის წიგნიდან: Крестьянский вопрос в Закавказье, I, გვ. 411 — 412; შდრ. ა. ყიფიანის წერილი: Объявление воли в Тифлисской губернии, „Кавказский вестник". 1900, № 1, გვ. 10 — 11

[5] ეგ. იოსელიანი ძველთა და ახალ შუა (მოგონება).

[6] ხელნაწერთა ინსტიტუტი, დიმ. ყიფიანის ფონდი, საქმე № 228, ფურც. 2.

[7] იქვე. ამ განცხადებით უკმაყოფილო თავადაზნაურობისათვის რამაზ ანდრონიკაშვილს, დამსწრეს სიტყვით, შემდეგი ახსნა-განმარტება მიუცია: „ისინი (გლეხები) მთელი მასაა, თქვენ კი ერთი გორსტი, და აბა რასა იქნსო, თავისუფლად სიარულს რომ უშლით და წინ უდგებით, იქ რომ პოლოხნი სუდი გაგიმართონ, მაშინ სად წახვალო?" (ხელნაწერთა ინსტიტუტი. დიმიტრი ყიფიანის ფონდი, საქმე № 228, ფურც. 4).

[8] იქვე.

რიას მცხოვრები ეინმე არსენა ასლამაზაშვილი. სამოქალაქო გუბერნატორის 1866 წლის 24 იანვრის მეფის ნაცვლის მთავარ სამმართველოსადმი წარდგენილ მოხსენებაში მისი საქმიანობა შემდეგნაირადაა დახასიათებული: „ასლამაზაშვილი ყალბ ხმებს ავრცელებს ხალხში საგლეხო რეფორმის შესახებ, ამახინჯებს დებულების აზრს, ურჩევს გლეხებს არ შეუთანხმდნენ მემამულეებს, უარი უთხრან გადასახადის გადახდაზე, ხელი არ მოაწერონ არავითარ ქაღალდს. რადგანაც ეს სამუდამოდ ყმურ მდგომარეობაში დატოვებს მათ; იგი არწმუნებს მოსახლეობას, რომ მეოთხედი ნაწილი და სხვა მისი მსგავსი გადასახადები მემამულეების მიერაა მოგონილი და რომ იმ წიგნში, რომელიც მას სახლში აქვს, სულ სხვა წერია, ვიდრე გლეხებს ეუბნებიან. ყველაფერი ეს განაცხადა მან 1866 წლის 16 იანვარს სოფელ კერანში სწორედ მაშინ, როდესაც მომრიგებელი შუამავალი უხსნიდა გლეხებს საწესდებო სიგელების არსსა და მნიშვნელობას. თანაც [ასლამაზაშვილმა] ეს ისეთი სითამამით გააკეთა, რომ მომრიგებელი შუამავალი იძულებული გახდა დაეპატიმრებინა იგი. მაგრამ არც ამის შემდეგ შეუწყვეტია მას თავისი მოქმედება და, იხედებოდა რა უკან გლეხებისკენ, დაჟინებით უნერგავდა მათ აზრს იმის შესახებ, რომ არ წასულიყვნენ არავითარ შეთანხმებაზე და არ აეღოთ თავის თავზე გადასახადის კაბალა დებულებაო. მით უმეტეს, რომ მიმდინარე წლის ნოემბრის თვის დასაწყისისათვის იმპერატორი ყველა მათ გაანთავისუფლებს ყოველგვარ საადგილმამულო დამოკიდებულებიდან“[9].

ჩანს, ასლამაზაშვილის აგიტაციას უშედეგოდ არ ჩაუვლია. „მეორე დღესვე, — ნათქვამია დასაბელებულ მოხსენებაში[10], — სოფელ კერანის ყველა გლესი, რომელიც აქამდე გულმოდგინედ ეხმარებოდა მიწის მზომელს, გაიქცა. ამით ისინი ფიქრობდნენ შეეჩერებინათ მისი სამუშაოები და ჩაეშალათ საწესდებო სიგელების შედგენა“.

ხელისუფლებამ ასლამაზაშვილი, როგორც საშიში პირი, გადაასახლა ჯერ ტამბოვში, ხოლო იქიდან კი, უფრო მოგვიანებით, სმოლენსკის გუბერნიაში.

1866 წელს მაისის თვეში თბილისის გუბერნატორის კანცელარიამ მიიღო გორელი თავადის ნიკოლოზ ივანეს ძე ერისთავის საჩივარი გლეხების მიერ გადასახადის გადახდაზე უარის თქმის შესახებ. „1864 წლის 8 ნოემბერს გამოცხადებული უმაღლესი მანიფესტით,—ნათქვამია იქ[11], — თბილისის გუბერნიის გლეხები ყმობიდან განთავისუფლდნენ, მაგრამ იმ პირობით, რომ ისინი ორი წლის განმავლობაში დარჩნენ წინანდელ მდგომარეობაში და უხადონ მემამულეს ყველა ის გადასახადი, რასაც აქამდე უხდიდნენ. ამის საფუძველზე ჩვმს დროებით ვალდებულ გლეხებს არაერთხელ მოვთხოვე, რომ მათ შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, მაგრამ უარი გამომიცხადეს. ამის გამო მე არაერთგზის მივმართე თხოვნით ქსნისა და ოსეთის განყოფილებათა მომრიგებელ შუამავლებს, რათა მათ აეძულებინათ გლეხები გადაეხადათ ჩემთვის როგორც მიმდინარე, ისე წინა წლის გადასახადები, მაგრამ თხოვნა დაკმაყოფილებულ არ იქნა და (ამით გათამამებული) გლეხები კატეგორიულად უარს ამბობენ მათზე გაწერილ გადასახადის გადახდაზე“ (ხაზი ჩვენია — ი. ა.).

---

[9] საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 227, ფურც. 1; შდრ. Документы по истории Грузии, შედგენილი და რედაქტირებული შ. ჩხეტიას მიერ, ტ. I. ნაწ. 1, თბ., 1954, გვ. 54.

[10] საქ. ცსსა, ფ. 5, საქმე 227, ფურც. 1.

[11] საქ. ცსსა, ფ. 31, საქმე 29, ფურც. 39.

იმავე წლის 8 აგვისტოს მსგავსი საჩივარი შეუტანია მთავრობაში გენერალ-ლეიტენანტ თავად გიორგი ერისთავს და გლეხების მორჩილებაში მოყვანა უთხოვია[12]. იგივე გაუკეთებიათ თბილისის მაზრის დუშეთის უბნის მემამულეებს ანდრია, დავით და ელიზბარ რატიშვილებს (1866 წ.) „ჩვენ, — სწერდნენ ისინი ხელისუფლებას[13]. — პურის ალების დროს სოფ. ყანჩავეტში გავგზავნეთ ჩვენი მოგვარე დავით რატიშვილი... მეოთხედი ნაწილის ასაღებად, მაგრამ ის უღვთოდ გამობრუნდა და მოგვახსენა, რომ გლეხებმა გადაჭრით უარი განაცხადესო“. ჩანს, არც ეკატერინე ერისთავის ყოფილ ყმას, ქსნის უბნის სოფ. ზადეხის მცხოვრებ გაბრიელ ოდიშვილს გამოუჩენია დიდი სიბეჯითე მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებაში. ოდიშვილს, რომელიც მემამულის მოწმობით, დიდი ქონების პატრონი ყოფილა, მტკიცე უარი უთქვამს გადაეხადა 1862—1865 წლების გადასასახადი მახთა 180 მანეთის ოდენობით. „ქსნის უბნის სოფელ ზადეხში მცხოვრები ჩემი ყოფილი გლეხი გაბრიელ ოდიშვილი,—ნათქვამია მის 1866 წლის 8 იანვრით დათარიღებულ თხოვნაში[14], — ბატონყმობის გადავარდნის რამდენიმე წლით ადრე ყველა სახის ნატურალური გადასახადის მაგივრად დაიბეგრა მახთის სახელწოდებით ცნობილ ფულადი გადასახადით. 45 მანეთის რაოდენობით წელიწადში. 1862 წლიდან მან შეწყვიტა ამ გადასახადის გადახდა. რის გამოც მე არა ერთხელ მივმართე მაზრის უფროსს, თბილისის სამოქალაქო გუბერნატორს... და, დასასრულ, მომრიგებელ შუამავალს სიტყვიერი და წერილობითი თხოვნით, მაგრამ დღემდე არავითარი პასუხი არ მიმიღია. ამჟამად 1862, 1863, 1864 და 1865 წლების ნარჩენი გადასახადის რაოდენობა უკვე 180 მანეთს უდრის, რომლის გადახდა დიდი შესაძლებლობის მქონე ოდიშვილისთვის არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს. იგი მომავალშიც წესიერად გაიღებს ამ, მისთვის მეტად მსუბუქ, ღალას... თუ მართველობა მოისურვებს და ძალას დაატანს მას. ამიტომ ვბედავ უმორჩილესი თხოვნით მივმართო თბილისის გუბერნიის საგლეხო სამმართველოს, რათა მან აიძულოს გლეხი ოდიშვილი გადამიხადოს გასული წლების მახთა და მომავალშიც მაძლიოს იგი 45 მანეთის რაოდენობით წელიწადში“[15].

ანალოგიური ურჩობა გამოუჩენიათ ქართველი მემამულეების ილია ციციშვილისა და რევაზ ერისთავის გლეხებს. დასახელებული თავადები 1864—1867 წლებში დაბეჯითებით მოითხოვდნენ რეფორმით გათამამებული გლეხების მორჩილებაში მოყვანასა და გადასახადების ძალით გადახდევინებას.

ჩვენ გავეცანით ზოგი შემაჯამებელი ხასიათის მასალაც, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულით ახასიათებს რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოს სოფელში მიმდინარე კლასობრივ ბრძოლას. ამ მასალიდან ჩანს[16], მაგალითად, რომ 1873 წელს მარტო გორის მაზრის პირველსა და მეორე განყოფილებაში შესულა სულ 2316 წერილობითი თუ ზეპირი საჩივარი. აქედან 1262 საჩივარი გლეხებსა და მემამულეებს შეუტანიათ. მათ შორის მიწის თაობაზე წარმოშობილ დავის შესახებ, 430 — მემამულეებს გლეხების მიერ გადასახადის თავის დროზე გა-

---

12 საქ. ცსსა, ფ. 31, ფურც. 45—46.

13 იქვე, ფურც. 70.

14 იქვე. საქმე 28, ფურც. 30.

15 იქვე. ფ. 48, საქმეები 111 და 112.

16 იქვე. ფ. 21, საქმე 788, ფურც. 6—7, 15, 16.

დაჭიდელობის თაობაზე და 572—გლეხებს მემამულეების თავგასულობისა და მათი შემავიწროებელი მოქმედების შესახებ.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა ჩანს საქართველოს სხვა მაზრებშიც[17].

* * *

ამრიგად, როგორც აქ მოტანილი მასალებიდან ჩანს, ქართველი გლეხი ბატონყმობის გადავარდნას თავდაპირველად დიდი ზეიმითა და სიხარულით შეხვდა. მეფის მიერ „ბოძებულ" თავისუფლებაში მან გაცილებით მეტი შინაარსი ჩააქსოვა, ვიდრე მას სინამდვილეში ჰქონდა. მაგრამ გლეხის პირველი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. მალე მან თვალნათლივ დაინახა რეფორმის მახინჯი მხარეები და არა მარტო დაინახა, არამედ ენერგიულად შეებრძოლა მათ იმ მიზნით, რათა მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიების ცხოვრებაში გატარებისათვის ცოტაოი მაინც ხალხის სასარგებლო ხასიათი მიეცა.

---

17 ი ქ ვ ე, ფურც. 10—12; (აქაა 1874 წ. ცნობები სიღნაღის მაზრის შესახებ).

პროკოფი რატიანი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში (ზოგადი დახასიათება)

1. რევოლუციური სიტუაცია საქართველოში 50—60-იან წლებში და რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის დასაწყისი

დიდი ისტორიული მოვლენები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოში ხდებოდა ფეოდალური წყობილების რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვების ხანაში, სავსებით დამახასიათებელი იყო იმავე ეპოქის საქართველოს მატერიალური და სულიერი ცხოვრებისათვისაც. საქართველოს ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ჯერ კიდევ რეფორმის წინა ხანაში შედარებით სწრაფად ვითარდებოდა და ფეხდაფეხ მიჰყვებოდა რუსეთის ცხოვრების განვითარებას. უკვე ყირიმის ომის ეპოქაში, როცა საქართველოს დაჩაგრული კლასების, პირველ რიგში კი ყმაგლეხობის ტანჯვამ, სიღატაკემ და გაჭირვებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია და ამის გამო არაჩვეულებრივად გაიზარდა ხალხის პოლიტიკური აქტივობა, საქართველოშიც დღის წესრიგში დადგა ძველი, საუკუნეობრივი რუტინით დახავსებული წყობილებისა და მასთან ერთად ცხოვრების მთელი წინანდელი ფორმების ძირფესვიანად გარდაქმნის აუცილებლობის საკითხი. ფეოდალურ-ბატონყმური წყობილებისა და მისი დამცველი ძალების წინააღმდეგ აღდგნენ საქართველოს მშრომელი მასები. რომლებიც ბურჟუაზიული რეფორმების წინ და თვით რეფორმების ხანაში იარაღით ხელში იბრძოდნენ როგორც „საკუთარი“ თავადაზნაურობის, ისე მისი მფარველი თვითმპყრობელური სახელმწიფოს წინააღმდეგ. გლეხთა სტიქიური მოძრაობა, რომელმაც საფუძველი შეურყია ბატონყმურ წყობილებას, განსაკუთრებით გაძლიერდა 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში, ისევე როგორც რუსეთშიც, აშკარად გამოხატული რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა.

1857 წელს გლეხთა გრანდიოზულმა აჯანყებამ იფეთქა საქართველოს დასავლეთ ნაწილში—სამეგრელოში, რომლის ტერიტორია რუსეთ-თურქეთის ომის დროს საომარ ასპარეზად იყო ქცეული. ომმა გააჩანაგა ყმაგლეხთა ისედაც ღატაკი მეურნეობა. ომის შემდეგ კი თავადაზნაურობამ გაამრავლა ბეგარა-გადასახადები, რამაც გლეხობის მდგომარეობა აუტანელი გახადა. მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა იარაღი აისხეს და მჭედელ უტუ მიქავას მეთაურობით დაიძრნენ თავისი კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. აჯანყებულებს, რომელთა რიცხვი ოციათასამდე აღწევდა, მიჰქონდათ წითლად შეღებილი ქსოვილის დროშები. მათი მთავარი ლოზუნგი იყო: „თავადთა და აზნაურთა წოდება არ უნდა არსებობდეს. რადგან ყველა ადამიანები ძმები არიან“.

აჯანყებული გლეხები შიშის ზარს სცემდნენ საძულველ მებატონეებს, სწვავდნენ და ანადგურებდნენ მათ სახლ-კარს. მათ დაამარცხეს თავადაზნაურთა შეიარაღებული რაზმები, ბრძოლით აიღეს სამეგრელოს სამთავროს ცენტრი ქ. ზუგდიდი და ხელთ იგდეს ძალა-უფლება თითქმის მთელ სამეგრელოში. მაგრამ სამეგრელოს თავადაზნაურობას მიუშველა მეფის მთავრობა, რომელმაც დიდი სამხედრო ძალით ჩაახშო აჯანყება[1].

იმავე ხანებში გლეხთა მღელვარებას და შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა საქართველოს ბევრ სხვა მხარეშიც. 1857 წ. შემოდგომაზე გლეხთა მოძრაობამ სერიოზული ხასიათი მიიღო იმერეთში, კერძოდ. ამაღლებისა და ბაღდადის უბნებში, სადაც ყმაგლეხები აუჯანყდნენ თავიანთ მემამულეებს. აჯანყებულთა წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნატორმა გაგზავნა ზარბაზნებით შეიარაღებული ჯარის ნაწილი და აჯანყება ჩაახრჩეს, ხოლო მისი მეთაურები (16 გლეხი) ციმბირში გადაასახლეს[2]. 1862 წელს გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა მოხდა გურიაში. ყმაგლეხები გამოვიდნენ დიდი მემამულეების—გურიელების, ნაკაშიძეებისა და მაჭუტაძეების წინააღმდეგ. აჯანყება სწრაფად ვითარდებოდა და ფართო ხასიათს იღებდა. მაგრამ მთავრობამ დიდი ჯარი გაგზავნა აჯანყების ადგილებში და გლეხები აქაც იძულებული იყვნენ იარაღი დაეყარათ[3]. 1863 წელს გლეხთა მოძრაობა გაიშალა ქართლის რაიონებშიც. გლეხები იარაღით ხელში იბრძოდნენ მემამულეების წინააღმდეგ ქსნის ხეობაში და სურამის რაიონში, აგრეთვე სოფელ ერეთში. 1864 წელს გლეხთა მღელვარებას ადგილი ჰქონდა თბილისის მაზრასა და თიანეთის ოკრუგში (სოფ. მატანი). 1863 და 1865 წლებში კვლავ განმეორდა სისხლისმღვრელი შეტაკებები შეიარაღებულ გლეხობასა და მთავრობის ჯარებს შორის სამეგრელოში. გლეხობის ბრძოლამ მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო აგრეთვე აფხაზეთში, სადაც რეფორმის წინ (1866 წ.) ადგილი ჰქონდა გლეხთა გრანდიოზულ აჯანყებას[4].

გლეხობასთან ერთად სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ენერგიულად იბრძოდა საქართველოს ქალაქების მოსახლეობაც. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მძლავრი გამოხატულება იყო თბილისის ღარიბი მოსახლეობის აჯანყება 1865 წელს, რომლის უშუალო საბაბი ქალაქში გადასახადების გადიდება გახდა. აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამქრებად გაერთიანებული ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, მუშები, სოფლიდან სამუშაოს საძებნად ჩამოსული გლეხები და, საერთოდ ქალაქის ე. წ. ღარიბი მოსახლეობა, აგრეთვე ბურჟუაზიის ზოგიერთი წარმომადგენელი. 27 ივნისს ერევნის (ამჟამად ლენინის სახელობის) მოედანზე თავი მოიყარა ათიათასამდე კაცმა. ვერც პოლიციის ძალებმა და ვერც მთავრობის დიდმა მოხელეებმა ვერ შესძლეს აღშფოთებული ხალხის დაშოშმინება. მეფის ნაცვლის მოვალეობის ამსრულებელი გენერალი ორბელიანი ხალხმა სტვენითა და ქვის სროლით გააქცია მოედნიდან. აჯანყებულებმა უარი განაცხადეს გადასახადის გადახდაზე და დაარბიეს ქალაქის თავისა და გადასახადების ამკრეფის სახლ-კარი. თვით

---

[1] დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. დ. ლ ე მ ო ნ ჯ ა ვ ა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში. თბ., 1957.

[2] გ. ზ ა ქ ა ი ძ ე, გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., 1933, გვ. 73.

[3] შ. ჩ ხ ე ტ ი ა. გლეხთა მოძრაობა გურიაში 1862 წელს, „საისტორიო მოამბე", № 7, გვ. 169—228.

[4] დაწვრ. იხ. Г. Д. Д з и д з а р и я, Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми, 1955.

გადასახადის ამკრეფი კი მოჰკლეს. მთავრობამ აჯანყებულთა წინააღმდეგ დაძრა რეგულარული ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილები. თბილისის ქუჩებში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები, რომლის დროს რამდენიმე ათეული კაცი მოკლეს. აჯანყება დამარცხდა. მისი აქტიური მონაწილენი (80 კაცი) სამართალში მისცეს და სპატიმროებსა და კატორღაში გაგზავნეს[5].

ასეთ ვითარებაში ჩაისახა და ჩამოყალიბდა 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის — ე. წ. თერგდალეულების — რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია, რომელმაც გააძლიერა, გააღრმავა და ახალ (ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ) საფეხურზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. თერგდალეულთა იდეები, მათი პოლიტიკური პროგრამა გამოხატავდა ქართველი ხალხის, პირველ რიგში კი გლეხობის იმდროინდელ სულისკვეთებასა და მისწრაფებებს. ეს იდეები საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ნაყოფი იყო, მაგრამ თეორიულად თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო და მათი შინაარსის განსაზღვრაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ,— ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის შეხედულებებმა.

50—60-იან წლებში რუსეთის დიდ საუნივერსიტეტო ქალაქებში ბრაგვალი ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა. მარტო პეტერბურგში 60-იანი წლების დამდეგს სწავლობდა ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი. მათ შორის იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ნიკოლოზ და ბესარიონ ღოღობერიძეები, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვ., რომლებიც შემდგომში გახდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, თერგდალეულთა მოძრაობის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილენი.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩაბმული რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ბევრი მათგანი პირადად იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის და ხშირად დადიოდა მის ბინაში, რომელიც იმ დროს, როგორც ცნობილია, რევოლუციური შტაბის როლს ასრულებდა. 1861 წელს ქართველმა სტუდენტებმა ერთსულოვნად მიიღეს მონაწილეობა პეტერბურგის სტუდენტთა ცნობილ პოლიტიკურ დემონსტრაციებში, რისთვისაც 13 ქართველი სტუდენტი დაპატიმრებული იყო, ბევრი მათგანი კი სასწავლებლებიდან გამორიცხეს. სტუდენტთა მღელვარების ჩაქრობის შემდეგ, ქართველი სტუდენტების ერთი ნაწილი პეტერბურგშივე დარჩა და აქტიურად მონაწილეობდა ისეთი არალეგალური რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში, როგორიც იყო „ზემლია ი ვოლია", „შუტინელების წრე, „სმორგონის აკადემია". „ნაროდნაია რასპრავა" და სხვ., ხოლო მეორე, უფრო დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა და ენერგიული რევოლუციური აგიტაცია გააჩაღა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ.

თავიანთ მებრძოლ, რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ წერილებს თერგდალეულები ჯერ თავადაზნაურულ-ლიბერალური მიმართულების ჟურნალ „ცისკარში" ათავსებდნენ, შემდეგ კი, როცა მათი ბრძოლა ლიბერალების წინააღმდეგ მეტისმეტად გამწვავდა, დააარსეს საკუთარი ორგანო „საქართველოს მოამბე" (1863 წ.), რომელიც რევოლუციურ-განმათავისუფლებელი იდეების შესანიშნავ ტრიბუნად იქცა.

[5] საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, 1958, გვ. 484—486

„საქართველოს მოამბემ“ მარტო ერთ წელიწადს გასძლო, მაგრამ მისი იძულებითი დახურვის შემდეგაც თერგდალეულებს არ შეუნელებიათ პრძოლა ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის. 1866 წელს მათ დააარსეს მებრძოლი დემოკრატიული გაზეთი „დროება“, რომელიც მთელი ოცი წლის განმავლობაში დაუღალავად იბრძოდა 60-იანი წლების პროგრესული იდეების განხორციელებისათვის.

2. თერგდალეულთა ბრძოლა ფეოდალურ-ბატონქმური წუობილების წინააღმდეგ, „სამარცილიანი საზოგადოების“ შექმნისათვის

ძირითადი საზოგადოებრივი საკითხი, რომელიც 60-იან წლებში განსაკუთრებული სიმწვავით იდგა საქართველოს (ისევე როგორც რუსეთის) მოწინავე მოღვაწეთა წინაშე, ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი იყო. თერგდალეულები დაუნდობლად ებრძოდნენ არა მარტო რეაქციონერ ქართველ მემამულეებს, რომლებიც გააფთრებით იცავდნენ ბატონყმურ წყობილებას, არამედ აგრეთვე ქართველ ლიბერალებსაც (დ. ყიფიანი, გ. ორბელიანი, ი. კერესელიძე, ალ. ორბელიანი და სხვ.), რომლებიც სიტყვით ბატონყმობის მოსპობის მოძბრებებად გამოდიოდნენ, საქმით კი ყოველნაირად იცავდნენ თავადაზნაურთა ეკონომიური და პოლიტიკური პრივილეგიების ხელუხლებლობას.

საგლეხო რეფორმის ირგვლივ საქართველოში გაჩაღდა სასტიკი კლასობრივი ბრძოლა მემუმულეებსა და გლეხობას შორის. გლეხობა იბრძოდა მიწისა და თავისუფლებისათვის; მისი მიზანი იყო მემამულეთა მიწების, განსაკუთრებით კი მსხვილი ლატიფუნდიების მოსპობა და მემამულური ექსპლოატაციისაგან სრული განთავისუფლება, რაც მხოლოდ რევოლუციური გზით იყო შესაძლებელი.

გლეხობის ამ ბრძოლას სავსებით უჭერდნენ მხარს თერგდალეულები, რომლებიც თავიანთ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაწერებში აშკარად ატარებდნენ გლეხური რევოლუციის იდეას. ძძიმე ცენზურული პირობების მიუხედავად, თერგდალეულები ახერხებდნენ გაეპარებინათ ლეგალურ პრესაში უაღრესად გაბედული აზრები, დაუღალავად ქადაგებდნენ ძმობას, ერთობასა და თავისუფლებას. მათი ორგანოს „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე მკითხველი ადვილად პოულობს მეფის მთავრობის საწინააღმდეგო რევოლუციურ მოწოდებებს.

თერგდალეულთა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები განსაკუთრებით მკაფიოდ ჩამოყალიბებულია ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და დ. ჭონქაძის შესანიშნავ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში, აგრეთვე ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ა. ფურცელაძის, კ. ლორთქიფანიძისა და სხვა თერგდალეულთა მებრძოლ პუბლიცისტურ წერილებში, რომლებიც 60-იანი წლების ქართულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა. თერგდალეულთა ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოები (მაგალითად, ი. ჭავჭავაძის პოემები „აჩრდილი“ და „კაკო უაჩაღი“, დ. ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე“ და სხვ.) შეიცავდნენ პირდაპირ მოწოდებას ქართველი გლეხობისადმი. იარაღით ხელში გასწორებოდნენ თავიანთ მჩაგვრელებს.

მაგრამ თერგდალეულები მარტო რევოლუციურ აგიტაციას როდი სჯერდებოდნენ, ისინი პრაქტიკულადაც იბრძოდნენ გლეხთა ინტერესების

დასაცავად. ამასთან, თავიანთი მიზნებისათვის ისინი იყენებდნენ როგორც არალეგალურ, ისე ლეგალურ საშუალებებს. დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი: თავადაზნაურთა ერთ-ერთ კრებაზე, სადაც გლეხთა განთავისუფლების პირობებს იხილავდნენ, თერგდალეულთა მეთაურმა ი. ჭავჭავაძემ მკვეთრად და გაბედულად დააყენა გლეხობისათვის მიწის გადაცემის აუცილებლობის საკითხი; მისმა სიტყვებმა იმდენად აღაშფოთა იქ დამსწრე თავადები, რომ ერთმა მათგანმა ხანჯალი იშიშვლა და ახალგაზრდა პოეტს სასიკვდილოდ მიუხტა. გაგიჟებული თავადი ძლივს შეაჩერეს[6].

როცა მთავრობის მოხელეებისა და ქართველი თავადებისაგან შემდგარმა ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა რეფორმის აშკარად რეაქციული პროექტი შეადგინა, თერგდალეულებმა სასტიკი პროტესტი განაცხადეს და ეს პროექტი გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლში გაატარეს. მათ მოახერხეს თავიანთი „კრიტიკული შენიშვნები", რომელიც ნ. ჩერნიშევსკის პოლიტიკური პროგრამის პირდაპირი ანარეკლია, წარუდგინათ (ანონიმურად) ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში[7], თუმცა როგორც მოსალოდნელიც იყო, მათ კრიტიკას არ ბოუხდენია რაიმე გადამწყვეტი გავლენა გლეხთა განთავისუფლების პირობების შემუშავებაზე.

საგლეხო რეფორმის დაწყების შემდეგ (1864 წ.) თერგდალეულები განაგრძობდნენ მებატონე „განმათავისუფლებელთა" დაუნდობელ კრიტიკას; მათ სამარცხვინო ბოჭზე გააკრეს ბატონყმური რეფორმის ავტორები. 1865 წელს გერცენის „კოლოკოლის" ფურცლებზე დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის ვრცელი წერილი „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში", რომელშიც გამოხატულია დემოკრატიული ქართველი ახალგაზრდობის საერთო აზრი რეფორმაზე. ნ. ნიკოლაძემ საგლეხო რეფორმას უწოდა „მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება"[8].

რეფორმის შემდგომ ხანაში თერგდალეულები კვლავ თავდადებით იბრძოდნენ ბატონყმობის ყოველგვარი ნაშთების წინააღმდეგ და გლეხთა მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. ისინი ცდილობდნენ გამოენახათ გზები ისეთი „სამართლიანი საზოგადოების" ასაშენებლად, სადაც ადგილი აღარ იქნებოდა ადამიანთა არც სოციალურ და არც ნაციონალურ ჩაგვრას, მოისპობოდა წოდებათა შორის ყოველგვარი პრივილეგიები და კანონის წინაშე ყველა ადამიანს ერთნაირი უფლებები ექნებოდა; ისინი ოცნებობდნენ „იდეალურ საზოგადოებაზე", რომლის ყოველი წევრი ვალდებული იქნებოდა ეშრომა, ხოლო მშრომელთა შორის გამეფდებოდა „ძმობა, ერთობა და თავისუფლება".

მაგრამ ამ კეთილშობილი ადამიანების გეგმები უტოპიური და განუხორციელებელი იყო. მათ არ იცოდნენ საზოგადოების განვითარების ნამდვილი კანონზომიერებანი. ვერ გაიგეს მუშათა კლასის ისტორიული როლი და ვერ იპოვეს ნამდვილად სამართლიანი საზოგადოებისაკენ — სოციალიზმისაკენ მიმავალი სწორი გზა.

70-იანი წლების მეორე ნახევარში თერგდალეულთა შორის წარმოიშვა

---

[6] ქრ. მამაცაშვილის მოგონება კრებულში „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907. გვ. 67.

[7] როგორც გამოირკვა, „კრიტიკული შენიშვნები" ი. ჭავჭავაძის კალამს ეკუთვნის (იხ. პ. რატიანი, ი. ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა, თბ., 1963).

[8] „კოლოკოლი", № 199.

სერიოზული უთანხმოება ეკონომიურ საკითხებზე, რასაც შედეგად მოჰყვა თეორდალეულთა ჯგუფის, როგორც ერთიანი იდეური მიმდინარეობის, დაშლა.

თერგდალეულთა ერთიანი მიმდინარეობის დაშლა ბუნებრივი შედეგი იყო კაპიტალიზმის განვითარების გამო აღმოცენებულ წინააღმდეგობათა გამწვავებისა რეფორმის შემდგომი ხანის საქართველოს სხვადასხვა კლასებს შორის. თუ წინათ, — ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, —ერთი დროშის ქვეშ იდგა მთელი ე. წ. „მესამე წოღება“ (გლეხობა, ქალაქის ღარიბი მოსახლეობა და ბურჟუაზია), რაც „ხალხს“ შეადგენდა.—რეფორმის შემდეგ თავი იჩინა მძაფრმა ანტაგონიზმმა ბურჟუაზიასა და წვრილმწარმოებელს შორის; ქონებრივი უთანასწორობის ზრდამ მკვეთრად გათიშა და ერთმანეთს დაუპირისპირა ბურჟუაზიისა და „ხალხის“ ინტერესები ჯერ ეკონომიურ, ხოლო შემდეგ პოლიტიკურ სფეროშიც. საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთ განვითარებას არ შეეძლო არ გამოეწვია თერგდალეელთა ერთიანი მიმდინარეობის დაშლა.

თერგდალეულები ორ ძირითად ბანაკად გაყუნენ: ერთ ბანაკში მოექცნენ აღმავალი ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგები, ხოლო მეორე, უფრო ვრცელრიცხოვანი ბანაკი შეადგინეს წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგიის წარმომადგენლებმა, რომლებიც „მთელი ქართველი ერის“ სახელით ლაპარაკობდნენ.

ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, გ. ზდანოვიჩი (მაიაშვილი), გ. თუმანიშვილი და საქართველოს მრავალი სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პროგრესული მიმართულების ჯგუფი იყო და თავისი არსებობის პირველ ხანებში შედარებით აქტიურად იბრძოდა ცარიზმისა და რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ამ ჯგუფის წევრები თავს იყრიდნენ ჯერ გაზეთ „ობზორის“, ხოლო შემდეგ გაზეთების „ნოვოე ობოზრენიეს“ და „კვალის“ გარშემო. ისინი ფიქრობდნენ, რომ „ერისა და ქვეყნის გამომყვანი სიღარიბისა და მონობისაგან... ყველგან მარტო... ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“[9].

შემდეგში ბურჟუაზიის იდეოლოგებმა თანდათან დაიწყეს „ერისა და ქვეყნის“ ინტერესები და ზურგი აქციეს დემოკრატიას. 90-იანი წლების პოლოდან მათ ნაციონალიზმის დროშას შეაფარეს თავი.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მიმართულების დემოკრატ მოღვაწეთა ჯგუფმა, რომელიც თავს იყრიდა ყოველდღიურ გაზეთ „ივერიას“ გარშემო. ეს იყო გვიანდელი თერგდალეულების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ დიდი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, ი. გოგებაშვილი, რ. ერისთავი, ს. მესხი და სხვები. გვიანდელი თერგდალეულები 80—90-იანი წლების პერიოდშიც განაგრძობდნენ სამოცდაანელთა სახელოსაგანმანათლებლო და დემოკრატიული იდეების ქადაგებას, მოუწოდებდნენ „მთელ ერს“ საყოველთაო თანხმობის, ძმობის, ერთობისა და სიყვარულისაკენ. მაგრამ ამ დროს ეს იდეები უკვე ჩამორჩენილი და დრომოჭმული იყო. საქართველოს ცხოვრება რეფორმის შემდეგ სწრაფად წავიდა წინ. გაჩნდნენ ახალი კლასები: ბურჟუაზია და პროლეტარიატი, რომლებიც ერთმანეთს

[9] ნ. ნიკოლაძე. „მოამბე“, № 8, 1894 წ. გვ. 136—137.

დაუპირისპირდნენ: დაიშალა თვით გლეხობაც კულაკებად და სოფლის ღატაკებად. კაპიტალიზმმა უკიდურესად გაამწვავა კლასთა ბრძოლა ქალაქადაც და სოფლადაც. ასეთ პირობებში „მთელი ერის" საერთო ინტერესებზე ლაპარაკი. ცხადია, უნიადაგო იყო.

ასე გამოეცალა სოციალური საფუძველი თერგდალეულთა იდეოლოგიას.

3. თერგდალეულთა ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის

ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან ერთად, თერგდალეულთა წინაშე იმთავიოვე უაღრესად მწვაედ დადგა აგრეთვე მეორე უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი საკითხი—ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი, რაც საქართველოს მაშინდელი კოლონიური მდგომარეობით იყო გამოწვეული.

ეროვნული საკითხი საქართველოში ჯერ კიდევ თავადაზნაურულმა რეოლუციონერებმა დააყენეს. მაგრამ იმ დროს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ პერიოდში (1832—1860 წწ.), ეს საკითხი არ იყო დაკავშირებული ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლასთან და მოწყვეტილი იყო დემოკრატიულ ნიადაგს, თავადაზნაურულ რევოლუციონერებს ნაკლებად აინტერესებდათ ბატონყმობის მოსპობა, რის გამო მოკლებული იყვნენ გლეხობის მხარდაჭერას.

სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა 60-იან წლებში, როცა საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პერიოდი დაიწყო. ამ დროს ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა და გადაეჯაჭვა მისი სოციალური განთავისუფლების საკითხს და ორივე ერთად თერგდალეულთა პოლიტიკური პროგრამის ძირითად მუხლებად იქცა. ამით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ საფეხურზე ავიდა, რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსით შეივსო და რუსეთის საერთო განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილად იქცა.

რუსეთის დიდ რევოლუციურ-დემოკრატებთან თერგდალეულებს ანათესავებდა და აახლოვებდა არა მარტო მათი საერთო, ანტიბატონყმური იდეები, არამედ აგრეთვე ეროვნული საკითხის გადაჭრის ის დემოკრატიული პრინციპებიც, რომლებიც ნ. ჩერნიშევსკიმ და მისმა თანამებრძოლებმა შეიმუშავეს. მოქმედებდნენ რა ჩერნიშევსკის რევოლუციური პროგრამის შესაბამისად, 60-იან წლებში თერგდალეულები იბრძოდნენ ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის საყოველთაო-სახალხო აჯანყების გზით, რასაც ისინი ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის ხალხთა საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლას უკავშირებდნენ.

50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში, როცა რუსეთსა და საქართველოში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა, თერგდალეულებმა უაღრესად ენერგიული აგიტაცია გააჩაღეს აჯანყებისათვის ხალხის მოსამზადებლად. მათ წამოაყენეს ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" და მოუწოდეს მშრომელ მასებს იარაღი აესხათ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველ ხალხში განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა ი. ჭავჭავაძის ლექსი — მოწოდება, რომელიც ასე იწყებოდა:

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა.

თოფ-იარაღი ასხი,
დრო მოდის გამარჯვებისა!

საყოველთაო-სახალხო აჯანყებას, რომლისკენაც რევოლუციური სიტუაციის ხანაში თერგდალეულები ხალხს მოუწოდებდნენ, მათი ჩანაფიქრით, ერთდროულად უნდა გადაეწყვიტა როგორც ბატონყმური წყობილების ძალდატანებით მოსპობის, ისე ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლების ამოცანები. მაგრამ მას შემდეგ, რაც რევოლუციური სიტუაცია დამთავრდა, მდგომარეობა რუსეთშიც და საქართველოშიც არსებითად შეიცვალა. ცარიზმმა შეძლო რუსეთის რევოლუციური ძალების დათრგუნვა და პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების ჩაქრობა; ცარიზმმა შეძლო ავრეთვე კავკასიის მთიელთა საბოლოოდ დამარცხება და, ამრიგად, შეიქმნა პირობები საქართველოსა და მთელი კავკასიის ეკონომიური დაპყრობისათვის, რასაც შედეგად თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკის არაჩვეულებრივი გაძლიერება მოჰყვა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მეფის მთავრობა აშკარად დაადგა საქართველოს როგორც ერის მოსპობისა და ქართველი ხალხის ძალით გარუსების პოლიტიკას. სასტიკად იდევნებოდა ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული პრესა, ქართული თეატრი; სკოლებში პირველი კლასებიდანვე აიკრძალა ქართულად სწავლება; აიკრძალა საქართველოს თვით სახელის ხსენებაც კი, — „საქართველოს" მაგიერ გაზეთებს უნდა ეწერათ „თბილისის გუბერნია" და „ქუთაისის გუბერნია".

ასეთი ვითარების გამო თერგდალეულებმა შესცვალეს თავიანთი წინანდელი ტაქტიკა და ეროვნული საკითხი ქართველი ხალხის ყველაზე მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხად, ერის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად გამოაცხადეს, ხოლო ყველა დანარჩენი საკითხი, მათ შორის მემამულეთა და გლეხთა ურთიერთობის საკითხიც, მას დაუქვემდებარეს. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ე. წ. „წოდებათა შერიგების" მცდარი თეორია, რომელიც დამახასიათებელია ვეიანდელი თერგდალეულების იდეოლოგიისათვის. ამ თეორიის ავტორებს მიაჩნდათ, რომ იმ კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში, რომელშიც რეფორმის შემდეგ საქართველო მოექცა, კლასთა ბრძოლის გამწვავება დაასუსტებდა ქართველ ერს, რასაც ცარიზმი მის მოსასპობად გამოიყენებდა. ამიტომ ისინი მოუწოდებდნენ ქართველ ხალხს, განურჩევლად წოდებისა, საერთო ძალით დაეცვა თავისი ეროვნული თვითმყოფობა, თავისი ენა და კულტურა.

ქართველი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის ბრძოლამ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 80-იანი წლების დამდეგიდან, როცა ალექსანდრე III აღვირახსნილი რეაქციის წყალობით ეროვნულმა ჩაგვრამ საქართველოში უკიდურეს საზღვარს მიაღწია. ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშის ქვეშ დადგა საქართველოს თითქმის ყველა ზოგადოებრივი ძალა, გარდა ქართველი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების უკიდურესად რეაქციული ნაწილისა.

ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ 80-იან წლებში იბრძოდნენ არა მარტო ყველა მიმართულების ქართველი დემოკრატები, არამედ ავრეთვე თავადაზნაურული ლიბერალებიც, რომლებიც თუმცა მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მეფის მთავრობასთან, მაგრამ სამშობლოსათვის კრიტიკულ მომენტში მაინც საკმაოდ გაბედულად აიმაღლეს სმა ქართული ენი-

სა და კულტურის დასაცავად. ამ ნიადაგზე მეფის მთავრობამ სამსახურიდან მოხსნა და სტავროპოლში გადაასახლა ლიბერალური მოძრაობის ხელმძღვანელი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე დ. უყიფიანი, რომელიც გადასახლების ადგილზე მხეცურად მოჰკლეს ცარიზმის დაქირავებულმა აგენტებმა.

ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ იმ ხანებში საკმაოდ აქტიურად იბრძოდნენ აგრეთვე აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგები (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ა. ჭიჭინაძე, ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი ედგნენ. გვიანდელი თერგდალეულები ეწეოდნენ უაღრესად მძიმე და შეუპოვარ ბრძოლას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ისინი სისტემატურად ათავსებდნენ ქართულ და რუსულ დემოკრატიულ პრესაში მებრძოლ წერილებს, რომლებშიც დაუნდობლად ამხელდნენ კატკოვს და მის მსგავს შოვინისტ-რეაქციონერებს. მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეს გამოჩენილი მოღვაწენი არ სჯერდებოდნენ მარტო იდეურ ბრძოლას მჩაგვრელთა წინააღმდეგ. ამასთან ერთად, მათ გაშალეს უაღრესად ენერგიული პრაქტიკულ-ორგანიზაციული მუშაობა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეურნეო დაწესებულებათა და საზოგადოებათა შესაქმნელად, რომელთა მიზანს ქართული კულტურის დაცვა და მისი შემდგომი განვითარება წარმოადგენდა. ასეთ დაწესებულებებსა და საზოგადოებებს ისინი ხალხის თვითმოქმედების ორგანოებს ეძახდნენ.

თვითმოქმედების ორგანოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ", რომელიც 1879 წელს შეიქმნა. ეს საზოგადოება აარსებდა ქართულ სკოლებს და სამკითხველოებს, იცავდა ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებს. ადგენდა და სცემდა სხვადასხვა სახელმძღვანელოებს ქართულ ენაზე, აგროვებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს და ა. შ. ასეთი საქმიანობით საზოგადოება ხელს უწყობდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას და გამოფხიზლებას, ამზადებდა ნიადაგს მასების მოძრაობისათვის.

მაგრამ ე. წ. ხალხის თვითმოქმედების ორგანოები, და მათ შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც", არ ყოფილან მასობრივი, ნამდვილად ხალხური დაწესებულებანი: გლეხური დემოკრატიის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გადაქცევა საერთო-სახალხო მოძრაობად ცარიზმისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ. ამის მიზეზი იყო მათი მცდარი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი. საქართველოს მშრომელები სრული თანაგრძნობით ეკვრებოდნენ და მსარს უჭერდნენ დემოკრატიული ინტელიგენციის ბრძოლას ქართველი ერის შელახული უფლებების დასაცავად, მაგრამ მათთვის გაუგებარი და სრულიად მიუღებელი იყო წოდებათა შერიგების ქადაგება, რადგან მუშებსა და გლეხებს ერთნაირად სტანჯავდა როგორც კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელი, ისე ქართველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის აღვირახსნილი ექსპლოატაცია.

4. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში

ქართველი დემოკრატიული ახალგაზრდობის ის თაობა, რომელიც 70-იან წლებში სწავლობდა რუსეთის უნივერსიტეტებში. ხალხოსანთა იდეების გაელე-

ნის ქვეშ მოექცა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ხალხოსნურ მოძრაობაში. ამ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი (ივ. ჯაბადარი, გ. ზდანოვიჩი, მ. ჩიკოიძე, ა. ციცოშვილი და სხვ.) თვით რუსეთის ხალხოსნურ ორგანიზაციებში იღებდა აქტიურ მონაწილეობას, ხოლო მეორე, უფრო დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა და აქ გააჩაღა მუშაობა ხალხოსნური საიდუმლო ორგანიზაციების შესაქმნელად.

რეფორმით განწყობილ ქართველ ახალგაზრდობაში ხალხოსნებს ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. 1873—1876 წლების მანძილზე საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში შეიქმნა მრავალრიცხოვანი საიდუმლო ორგანიზაციები, რომლებმაც ენერგიული არალეგალური მუშაობა გააჩაღეს მეფის მთავრობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ძლიერი ხალხოსნური ორგანიზაციები შეიქმნა თბილისში, გორში, ქუთაისში და ოზურგეთში.

ქართველი ხალხოსნები, რუსი ხალხოსნების მსგავსად, „ვაჟიდნენ ხალხში“ და ეწეოდნენ აგიტაციას გლეხობაში, მოუწოდებდნენ ხალხს რევოლუციური მოქმედებისაკენ. ხალხოსნური მოძრაობის ხელმძღვანელები და აქტიური მონაწილენი საქართველოში იყვნენ: ე. იოსელიანი, ი. ქიქოძე, გ. ყიფიანი, ს. ჯრელაშვილი, ს. მგალობლიშვილი, შ. დავითაშვილი, გ. ჩიტაძე და სხვები.

ქართველი ხალხოსნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი ძირითადად ემთხვეოდა რუსი ხალხოსნების შეხედულებებს, მაგრამ მათი პროგრამა ზოგიერთ საკითხში მაინც განსხვავდებოდა რუსი ხალხოსნების პროგრამისაგან. საქართველოს თავისებური, კოლონიური მდგომარეობის გამო ქართველ ხალხოსნებს არ შეეძლოთ გვერდი აეცილებინათ ეროვნული საკითხისათვის და მათ პროგრამაში კიდევაც ჰპოვა ადგილი ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებმა. მაგრამ, თერგდალეულებისაგან განსხვავებით, ქართველი ხალხოსნები პირველ რიგში სოციალურ პრობლემებს აყენებდნენ, ეროვნულ საკითხს კი მათ შემდეგ განიხილავდნენ. ქართველ ხალხოსნებს მიაჩნდათ, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის ყველა ხალხის ბრძოლა ერთიანი გეგმით უნდა წარმართულიყო. ამიტომ მათ უაღრესად მჭიდრო კავშირი დაამყარეს რუს ხალხოსნებთან.

70-იანი წლების ქართველი ხალხოსნები გაბედული რევოლუციონერები იყვნენ და თავგანწირვით იბრძოდნენ ხალხის ინტერესებისათვის. მიუხედავად ამისა, მათ რევოლუციურ აგიტაციას და „ხალხში სიარულის“ ტაქტიკას რაიმე მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. 1876 წელს ქართველი რევოლუციური ხალხოსნების ორგანიზაცია გასცა მის რიგებში შეპარულმა პროვოკატორმა. მეფის მთავრობამ მოკლე დროში გაანადგურა ხალხოსანთა ძირითადი ჯგუფები; საიდუმლო ორგანიზაციის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა დააპატიმრეს.

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დამდეგს, როცა რუსეთში კვლავ რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა, ქართველ ხალხოსანთა საიდუმლო ორგანიზაციის მუშაობა მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. ამ პერიოდში შეიქმნა ხალხოსანთა ახალი საიდუმლო ორგანიზაციები, რომლებიც „ნაროდნაია ვოლიას“ პოზიციებზე იდგნენ და მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ტერორისტულ მეთოდს აღიარებდნენ. მაგრამ არც ამ წრეების მუშაობას მოჰყოლია რაიმე ცოტად თუ ბევრად დადებითი შედეგები.

80—90-იანი წლების ხანაში ქართველ ხალხოსანთა დიდმა უმრავლესობამ ხელი აიღო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაზე და ქარ-

თეული გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას ლეგალური ღონისძიებებით. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით ცდილობდა. ლეგალურმა ხალხოსნებმა შექმნეს თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები — გაზეთი „შრომა“ და ჟურნალი „იმედი“. რომლებიც 80-იან წლებში გამოდიოდა. მაგრამ ამ ორგანოების ფურცლებზე ხალხოსნურმა შეხედულებებმა დაჰკარგეს წინანდელი რევოლუციური ელფერი და არსებითად ლიბერალიზმამდე ჩამოქვეითდნენ.

90-იან წლებში ხალხოსნობა, როგორც იდეური მიმდინარეობა საქართველოში, საბოლოოდ გაკოტრდა.

5. მარქსიზმის გავრცელება საქართველოში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მუშათა კლასის ჩამოყალიბება. უკვე 70-იანი წლებიდან საქართველოს მუშათა კლასი იწყებს საგაფიცვო ბრძოლას თავისი მეტისმეტად მძიმე ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ 70—80-იანი წლების პერიოდში საქართველოს მუშათა კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული თავისი კლასობრივი ინტერესები, მუშათა მოძრაობა ატარებდა სტიქიურ ხასიათს, ხოლო მუშათა აზრი იმყოფებოდა სხვადასხვა წვრილბურჟუაზიული შეხედულებების (თერგდალეულების, ხალხოსნების და სხვ.) ტყვეობაში.

მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებაზე და მათ სახელოვან ავტორებზე ქართულ დემოკრატიულ პრესაში საკმაოდ ბევრს წერდნენ უკვე 70—80-იანი წლების ხანაში, მაგრამ იმ დროს მოწინავე ქართველ ინტელიგენციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა მარქსისტულ მოძღვრებაზე.

გ. პლეხანოვის მიერ „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ დაარსებამ და 80-იან წლებში რუსეთში მარქსისტული იდეების გავრცელებამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე. საქართველოში გაბატონებული წვრილბურჟუაზიული თეორიების მდგომარეობა შეირყა. დაიწყო ახალი გზების ძიება. მოწინავე ქართველმა რევოლუციონერებმა თვალი მიაპყრეს მარქსისა და ენგელსის მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებას.

მარქსიზმის, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგიის, გავრცელება საქართველოში დაიწყო 90-იანი წლებიდან, როდესაც კლასობრივი ანტაგონიზმის ზრდამ და მუშათა მოძრაობის აღმავლობამ მოამზადეს პირობები მასებში მეცნიერული სოციალიზმის რევოლუციური თეორიის გასავრცელებლად.

პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის რევოლუციურმა მოღვაწეობამ, მისმა უკვდავმა ნაშრომებმა და აგრეთვე მის მიერ შექმნილმა პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირმა“ უდიდესი გავლენა მოახდინეს მუშათა მოძრაობაზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ღრის წესრიგში დადგა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა მოძრაობის მარქსიზმთან შეერთების ამოცანა, რომელიც წარმატებით განახორციელა საქართველოსა და ამიერკავკასიის მარქსისტ-ლენინელთა პირველმა თაობამ.

ქართველმა მარქსისტებმა, რომლებიც დიდი ლენინის გზით მიდიოდნენ და მისი გენიალური მითითებებით ხელმძღვანელობდნენ, მხურვალედ დაუჭირეს

მხარი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. ქართველი მარქსისტები გადაჭრით იცავდნენ ერთა თვითგამორკვევის ლენინურ პრინციპს და დაუნდობლად ებრძოდნენ ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას; მათ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მჭიდროდ დაუკავშირეს მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას და რუსეთის დემოკრატიული რევოლუციის ინტერესებს დაუქვემდებარეს. მათ დაანახეს მშრომელ ხალხს, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობა მხოლოდ რუსეთის ყველა ეროვნების ხალხთა ერთობლივი რევოლუციური ბრძოლით შეიძლებოდა.

ასე ავიდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განვითარების ახალ, მესამე ეტაპზე — პროლეტარულ ეტაპზე.

ზურაბ ანჩაბაძე

მსხვილი ფეოდალური სენიორიის სოციალურ-პოლიტიკური ევოლუცია XIX ს. აფხაზეთში

წინამდებარე წერილის მიზანს შეადგენს კონკრეტულ მაგალითზე აჩვენოს XIX ს. პირველი ნახევრის აფხაზეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ფეოდალური სამფლობელოს — გუმის საუფლისწულოს სოციალურ-პოლიტიკური ბუხების თანდათანობით შეცვლა, მისი მფლობელების მიერ პოლიტიკური პრივილეგიების დაკარგვა და ფეოდალური სენიორებიდან უბრალო მემამულეებად გადაქცევა.

*
* *

გუმის აფხაზეთის ტერიტორია — სამთავრო სახლის გვერდითი შტოს წარმომადგენლების ჰასანბეი შარვაშიძისა და მისი შთამომავლების საუფლისწულო — ვრცელდებოდა მდ. შიცკუარადან (მდ. გუმისთის დასავლეთით) მდ. კოდორამდე და ზღვის სანაპიროდან წებელდის მთიანეთამდე. მისი ფართობი შეადგენდა არანაკლებ 25 ათას დესეტინას. მის 23 სოფელში XIX ს. შუა წლებში ცხოვრობდა უფლისწულზე უშუალოდ დამოკიდებული 5 ათასამდე გლეხი. ეს სოფლები იყო: ბაბუშირა, ავარჩე, წხუბენი (დრანდა), გულრიფში, მერხეული, აკაფა, ბაღმარანი, კელასური, აბჟაყვა, ბირცი, გუმა, იაშთუხვა, აჩადარა, ეშერა და სხვ. გუმის აფხაზეთის მოსახლეობა ეთნიკურად შედგებოდა აფხაზებისა და გააფხაზებული მეგრელებისაგან.

უფლისწულის რეზიდენცია სოფ. კელასური იყო. მის მაღლობ ადგილზე აშენდა სათავადო სახლი, რომელიც დაცული იყო საბრძოლო კოშკებით.

გუმის საუფლისწულო შეიქმნა XIX ს. დასაწყისში აფხაზეთის მთავრის ქელეშბეი შარვაშიძის მიერ. მან ეს მხარე საუფლისწულოდ გადასცა თავის უმცროს ვაჟს — ჰასანბეის. აფხაზეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ (1810 წ.) გუმის საუფლისწულო ოფიციალურად იწოდა აფხაზეთის (ან სოხუმის) ოლქად (округ) აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში. ოლქის სათავეში დატოვებულ იქნა ჰასანბეი. ჰასანბეის გარდაცვალების შემდეგ (XIX ს. 30-იანი წლების მიწურულში) საუფლისწულოს მფლობელი გახდა მისი შვილი დიმიტრი, რომელიც ამავე დროს რუსეთის სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. დიმიტრი საუფლისწულოს ფლობდა გარდაცვალებამდე (1858 წ).

გუმის აფხაზეთის უკანასკნელი მფლობელი იყო გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე (დაიბადა 1846 წ.). მცირეწლოვანების გამო გიორგის მზრუნველად, შემდეგ კი მთავარ რწმუნებულად ითვლებოდა თავადი ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი. უშუალოდ მამულის საქმეს განაგებდნენ სპეციალური მმართველები.

ურთიერთობა სამთავრო სახლსა და გუმის უფლისწულებს შორის ყოველთვის არ იყო ნორმალური. განსაკუთრებით მტრობდა მთავარ მიხეილს (თავის ბიძაშვილს) ჰასანბეი. ხანდახან მათ შორის საქმე პირდაპირ სამხედრო შეჯახებამდე მიდიოდა. მიხეილი საუფლისწულოს წინააღმდეგ ხშირად აქეზებდა თავის ქვეშევრდომ ფსხუელებს, ახჩიფსხუელებს, წაბალელებს და სხვ. ამ შეჯახებებში განსაკუთრებით ზარალდებოდა მშრომელი გლეხობა[1].

რუს ხელისუფლებთან საუფლისწულოს ურთიერთობაც იცვლებოდა XIX ს. მანძილზე. თავის საუფლისწულოს ინტერესებიდან გამომდინარე ჰასანბეი არაერთხელ მტრულ ურთიერთობაში აღმოჩენილა რუს ხელისუფლებთან. ეს უკანასკნელნი ჰასანბეისა და აფხაზეთის მთავარს შორის უთანხმოების დროს მთავარს უჭერდნენ მხარს. 1821 წელს ჰასანბეი დააპატიმრეს და ციმბირში გაგზავნეს, საიდანაც ის მხოლოდ 1827 წ. დაბრუნდა. რაც შეესება მის შვილს დიმიტრის, ის ერთგულად ემსახურებოდა რუსეთის მთავრობას და პოლკოვნიკის ჩინამდე მიაღწია.

უკანასკნელი უფლისწული გიორგი დიმიტრის ძე 60-იანი წლების პოლოს სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში და მთავრობისაგან ღებულობდა პენსიას წლიურად 2500 მანეთის ოდენობით. გიორგის საკუთრებაში გუმის სამფლობელოს მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა.

აფხაზეთში მთავრის ხელისუფლების გაუქმებითა და იქ რუსული მმართველობის დამყარებით გუმის საუფლისწულომ ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა.

გუმის აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებაში 1866 წელს. აჯანყებაში განსაკუთრებით აქტიური ხელმძღვანელი როლი შეასრულეს თავადმა სოფ. გუმიდან მაჭარა აჩბამ, თავადებმა აკაიდან — მარშანიებმა და იაშთუხვის მფლობელმა აზნაურმა ჩირიქბამ. აჯანყების დასაწყისში მასში მონაწილეობდა ამაყაის მფლობელი თავადი ჩაბალურხვა, მაგრამ შემდეგში უღალატა აჯანყებულებს და გადავიდა რუსეთის ჯარის მხარეზე. გუმის აფხაზეთის სამხრეთი ნაწილის მოსახლეობა „დიდ მღელვარებაში იყო, ბაგრამ აშკარად არ აჯანყდა".

სამთავროს გაუქმებამდე გუმის აფხაზეთის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება (მემინდვრეობაში მთავარი ადგილი ეკავა სიმინდის წარმოებას)[2]. მოსახლეობის საქმიანობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი იყო მეცხოველეობა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მევენახეობას და მეღვინეობას. მეურნეობის სხვ. დარგები (მებოსტნეობა, ტექნიკური კულტურები,

---

[1] Документы по истории Грузии, серия II. т. I, под ред. Ш. К. Чхетия. Тб., 1954. გვ. 518 (შემდეგში: Документы...)

[2] საუფლისწულო მეურნეობის ფართო დახასიათება იხ. А. В. Фадеев, Хозяйство и быт абхазского помещика накануне реформы 1870 года („Материалы по истории Абхазии", Сухуми, 1939).

მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, ნადირობა, საოჯახო ხელოსნობა და სხვ.) თუმცა არსებით როლს ასრულებდნენ, მაგრამ დაქვემდებარებული მნიშვნელობა ჰქონდათ.

მხარის შინა ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბაზრები. გუმის აფხაზეთის ტერიტორიაზე ცნობილი იყო დრანდის და, განსაკუთრებით, კელასურის ბაზრები. 60-იანი წლების ბოლოს გ. შარვაშიძის ყმების მნიშვნელოვანი ნაწილი, სოხუმის გარშემო მცხოვრებნი, მებატონის ნებართვითა და სურვილით ვაჭრობდნენ კელასურის ბაზარზე და დუქნებიც ჰქონდათ იქ.

მაგრამ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ერთგვარი განვითარების მიუხედავად, მთლიანად მხარეში ბატონობდა ნატურალური მეურნეობის სისტემა.

საუფლისწულოს სოციალური წყობილება ისეთივე ნიშნებით ხასიათდება, როგორითაც რეფორმამდელი აფხაზეთის სხვა წამყვანი რაიონები. საზოგადოება სოციალურად ორი კლასისაგან შედგებოდა: ფეოდალებისა და გლეხობის ცალკეული კატეგორიებისაგან. კლასობრივი უთანასწორობა თავის გამოხატულებას პოულობდა „სისხლის ფასში“. თუ თავადის მოკვლისათვის უნდა გადაეხადათ 30 სული გლეხი, ცხენი უნაგირით, სრული შეიარაღება და ვერცხლის ჯაჭვი, ყმაგლეხის მოკვლისათვის — მხოლოდ ერთი სული გლეხის გადასდა იყო დაწესებული.

გაბატონებული კლასი ორი წოდებისაგან შედგებოდა: თავადებისა („ათაუად“) და აზნაურებისაგან („აამისთა“).

ყველაზე მსხვილი ფეოდალი მხარეში თვით უფლისწული იყო. მისგან ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ საუფლისწულოს ტერიტორიაზე მცხოვრები თავადები და აზნაურები. აფხაზეთის სამთავროს არსებობის პერიოდში ისინი თავის საუფლისწულოში თავისებურ პოლიტიკურ სიუზერენებს წარმოადგენდნენ. საამისოდ მათ გარკვეული სამოხელეო აპარატიც ჰყავდათ — სახლთუხუცესი თავის რეზიდენციაში, მოურავები ადგილებზე, შეიარაღებული რაზმი („კერაზ“) და სხვ. დ. შარვაშიძეს პირად ჯალაში 60 კაცი ჰყავდა თაყადაზნაურებისა და შინაყმათა წრიდან.

გუმის აფხაზეთში უფლისწული ყველაზე მდიდარი იყო. დიმიტრი შარვაშიძის საერთო შემოსავალი 1857 წელს შეადგენდა 50 ათას მანეთს. იმ სანქონლის რიცხვში, რომლიდანაც მიღებულ იქნა აღნიშნული შემოსავალი, დასახელებულია 13 ათასი ვედრო ღვინო, 10 ათასი ფუთი სიმინდი და ღომი, აგრეთვე დაფნის ფოთოლი, კაკალი და სხვა პროდუქტები, 480 ძროხა, თხები და ცხვრები. მას ჰყავდა ცხენების დიდი რემა, რომელშიც მარტო ფაშატი 150 სული იყო. დ. შარვაშიძის საკუთარი სახნავი ფართობი უმნიშვნელო იყო. იგი სულ 100—120 დესეტინას შეადგენდა.

ამრიგად, უფლისწულის შემოსავალი ძირითადად მასზე დამოკიდებული გლეხების ნატურალური გამოსაღებებისაგან შედგებოდა. მთელი ეს შემოსავალი ფეოდალის ოჯახის მიერ მოიხმარებოდა. მხოლოდ 50-იან წლებიდან დაიწყო დ. შარვაშიძემ ჭარბი სიმინდის ბაზარზე გაყიდვა.

გუმის ტერიტორიაზე რამდენიმე სათავადო გვარი ცხოვრობდა: ძიაშიფა, აჩბა (ანჩაბაძე), მარშანია, ემუხვარი და ჩაბალურხვა. ყველანი ესენი უფლისწულის ვასალები იყვნენ, მაგრამ სხვადასხვა პირობით ცხოვრობდნენ მის სამფლობელოში. მათი სამფლობელოების უმაღლეს მეპატრონედ უფლის-

წული ითვლებოდა, რომლის „სრულ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ. მეპატრონის მიმართ მათ ეკისრათ პირადი სამსახური, როგორც ლაშქრობაში. ისევე მის ოჯახში და მხოლოდ მანამდე რჩებოდნენ მემამულეებად, სანამ პატრონს ერთგულებდნენ. ურჩობის შემთხვევაში პატრონს შეეძლო მათი მამულების კონფისკაცია"[3].

გუმის აფხაზეთში ყველაზე ტიპიური თავადი იყო ძიაპშ-იფას გვარი, რომელიც ფლობდა სოფ. ეშერას (ისინი აქ ჰასანბეი შარვაშიძემ დაასახლა). ძიაპშ-იფები მიწის ნომინალური მფლობელები იყვნენ და სხვადასხვა კატეგორიის გლეხებს უწევდნენ ექსპლოატაციას.

გიორგის საუფლისწულოში ცხოვრობდა თავად აჩბას საგვარეულო, რომელსაც მემკვიდრეობით ეკავა სოფ. გუმას მოურავის სახელო. სოფ. გუმა მდებარეობდა ფსხუსა და ახჩიფსხუს თემების საზღვარზე. გუმას მცხოვრებთა ძირითადი ვალდებულება იყო დაეცვათ საუფლისწულო მეზობელ ფსხუეულებისა და ახჩიფსხუელების შემოჭრისაგან. ამ სოფლის იურიდიულად თავისუფალი მცხოვრებლები („ანხაიუები") უფლისწულზე უშუალოდ დამოკიდებულად ითვლებოდნენ, ძაგრამ გამოსაღებთა ნაწილს უხდიდნენ აჩბებს, როგორც საუფლისწულოს მოურავებს. აჩბებს პირად საკუთრებაში ჰყავდათ გახსაზღვრული რიცხვი ყმაგლეხებისა („ახუცშვა") და მონებისა („ახაშალა").

სხვა დანარჩენი თავადები (მარშანიები, ჩაბალურხვები, ეშუხვარები) ცხოვრობდნენ საუფლისწულოს სხვადასხვა სოფლებში ფეოდალური კოშენდაციის საფუძველზე ასასის („სტუმრის") უფლებებით, ე. ი. მათ არ ჰქონდათ პირად საკუთრებაში მიწა და არც გლეხები ჰყავდათ. ისინი სავსებით უფლისწულის მფარველობაში იმყოფებოდნენ, რის გამოც სხვა თავადებისა და აზნაურების მსგავსად ვალდებული იყვნენ სამსახური გაეწიათ მისთვის.

მაგრამ თავადები ყოველთვის უყოყმანოდ არ ემორჩილებოდნენ თავის სიუზერენს—უფლისწულს. წყაროებში შემორჩა ცნობები იმის შესახებ, რომ ხანდახან ისინი უარს ამბობდნენ უფლისწულის მითითებათა შესრულებაზე და ხანდახან იარაღით ხელშიც კი გამოსულან მის წინააღმდეგ. ასეთი ურჩობა არა ერთხელ გამოამჟღავნეს გუმას თავადებმა — აჩბას გვარიდან. ხოლო აკაფელი თავადი ყიზილ-ბეი მარშანია 1852 წელს თავს დაესხა ქ. სოხუმის მახლობლად დ. შარვაშიძის ყმაგლეხებს, გადაწვა მათი სახლები, ნაწილი დახოცა, ნაწილიც ტყვედ წაიყვანა გაყიდვის მიზნით. ასეთ შემთხვევებს არაერთხელ ჰქონდა ადგილი.

საუფლისწულოს აზნაურები უფლისწულისა და თავადების ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ. „თავადი, რომელსაც არ ჰყავს აზნაური, არ არის თავადიო", — იტყოდნენ ხოლმე აფხაზები. უფლისწულის ზოგი აზნაური სოფლის მოურავად მსახურობდა. ასე მაგ., ზვანბა — დრანდაში, ბარღანია — გულრიფშში, ჩირიქბაია — იაშთუხვაში და სხვ. აზნაურთა უმრავლესობა, დამოკიდებული მემამულეების სახით, ცხოვრობდა უფლისწულის, ახლა რომელიმე სხვა თავადის მიწაზე.

---

[3] Документы..., გვ. 518

ჯუმის აფხაზეთის გლეხობის საერთო რაოდენობა შეადგენდა ორიოდე სქესის 15421 სულს[4]. მათგან ძირითად უმრავლესობას (12587 სულს ანუ დაახლ. 81%) შეადგენდნენ პირადად თავისუფალი მცხოვრებლები — „ანხაიუ". შემდეგ მოდიოდნენ ყმაგლეხები — „ახუცშვა" (1975 სული ანუ 12,8%) და ბოლოს საოჯახო მონები — „ახაშალა" (859 სული ანუ 6,2%).

დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „დამოკიდებულ წოდებებს საკუთარი მიწა არა აქვთ და ცხოვრობენ თავის მემამულეთა მიწებზე, რისთვისაც ყოველწლიურად უხდიან თავიანთ ბატონებს დაწესებულ გადასახადებს, რომლებიც შედგება განსაზღვრული მუშაობისაგან, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და აგრეთვე პირუტყვის ნამატის ნაწილისაგან"[5].

ანხაიუს გამოსაღებები შედარებით მსუბუქი იყო. შრომითი რენტა, როგორც წესი, შედგებოდა ვალდებულებისაგან — „წელიწადში სამი დღე თავის მუშა საჭონლით ემუშავა მემამულის მიწაზე", ხოლო თითოეული მემამულე ვალდებული იყო მასთან მუშაობის დროს „უზრუნველეყო მუშები დღეში ორჯერადი კვებით".

ანხაიუს ნატურალური გამოსაღებები (ეს იყო ძირითადი რენტა) შემდეგისაგან შედგებოდა: ერთი ძროხა (ან 10—12 მან.) ორი სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი (ორი ცხვარი ან თხა და ცხვარი), 5-დან 8 ფუთამდე სიმინდი, 12—16 ვედრო ღვინო და სხვ. ანხაიუს ოჯახიდან ქალის გათხოვებისას ერთი ძროხა უნდა მიერთმიათ მემამულისათვის, მაგრამ „ასეთ შემთხვევებში მემამულებს შორის მიღებულია მათი დასაჩუქრება". რეფორმის წინ ერთჯერად (უმნიშვნელოდ) ვითარდება ფულადი რენტაც.

ყველაზე შეძლებული ანხაიუ, რომელსაც ჰყავდა ცხენი, ვალდებული იყო მემამულის მოთხოვნით თან ხლებოდა მას მოგზაურობის დროს. ანხაიუს ზოგიერთი ვალდებულებანი შენიღბული იყო პატრიარქალურ-თემური გადმონაშთებით (ათაილიკობა და სხვ.).

იურიდიულად ანხაიუ პირადად თავისუფალი გლეხი იყო. მისი არც ყიდვა-გაყიდვა შეიძლებოდა. მაგრამ ცხოვრობდნენ რა მემამულის მიწაზე, ისინი მის სრულ ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. სხვა მემამულესთან გადასვლის შემთხვევაში ანხაიუ კარგავდა თავის ნადელს. ანხაიუს ამოწყვეტილი მამული ასევე მემამულის განკარგულებაში გადადიოდა მცირე ნაწილის გამოკლებით, რომელიც ასეთ შემთხვევაში ეძლეოდა ოჯახში დარჩენილ ქალს.

ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა და ხშირი შინაომების პირობებში ანხაიუები ფეოდალების გარეეკონომიურ დამოკიდებულებაშიც ექცეოდნენ. თითოეული ფეოდალი თავის გლეხების მიმართ გამოდიოდა „მფარველის" („ახილაფში") როლში, რის გამოც ისინი ფეოდალის პირად დამოკიდებულებაში ექცეოდნენ.

ანხაიუების ეკონომიური მდგომარეობა ერთგვაროვანი არ იყო. მათი მასიდან გამოირჩეოდა ქონებრივად შეძლებული ზედაფენა („ანხაიუ-ცკია" — „სუფთა ანხაიუ"), რომელთაც ზოგჯერ რამდენიმე ათეული დესეტინა მიწა ჰქონდათ და ჰყავდათ საკუთარი ყმები („ახოიუ") და მონები („ახაშალა"). ზოგჯერ მათ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ რიგითი ანხაიუებიც („ან-

---

[4] Документы..., გვ. 503.

[5] Документы..., გვ. 438.

ხაიუ-ხიფში" — „დამოკიდებული ანხაიუ"). ჩვეულებრივ ანხაიუს ძირითადი მასის მიწის ნადელები კომლზე 3-5 დესეტინას არ აღემატებოდა[6].

აფხაზი მემამულეები სისტემატურად უტევდნენ ანხაიუს უფლებებსა და თავისუფლებას მათი სრული დაყმევების მიზნით. ამას ზოგ შემთხვევაში კიდეც ახერხებდნენ. მაგრამ ცხადია, ანხაიუები მტკიცე წინააღმდეგობას უწევდნენ მათ.

გუმში, ისევე როგორც მთელ აფხაზეთში, ტიპიურ ყმაგლეხებს წარმოადგენდნენ ახოიუ-ები. მათ ჰქონდათ თავიანთი მეურნეობა და მიმაგრებული იყვნენ ბატონის მიწაზე, რომელთან ერთად ადათით შეიძლებოდა მათი გაყიდვა მთელი ოჯახით (მემამულეები ამ წესს ხშირად არღვევდნენ). გლეხური კომლის ფასი XIX ს. 60-იან წლებში მერყეობდა 40-დან 55 ძროხამდე.

ძირითადი გამოსაღები, რომელიც ახოიუს ეკისრებოდა, შრომითი გამოსაღები იყო. „გლეხის თითოეული ოჯახი წლის სამუშაო დროს ვალდებულია თავის საჭონლით კვირაში სამი დღე იმუშაოს მემამულის სასარგებლოდ, წლის დანარჩენ დროს კი მამრობითი სქესი ასრულებს წვრილშან სამუშაოებს მემამულისათვის მისი მითითებისამებრ. ქალთა სქესი ვალდებულია ყოველთვის რიგ-რიგობით მოამზადოს საჭმელი მემამულისათვის მათ ოჯახში... გარდა ამისა, გლეხები ვალდებულნი არიან მოუარონ მემამულეთა ჯოგებსა და ფარებს, დაიცვან ისინი. გლეხის ქალიშვილები გათხოვებამდე უნდა ემსახურონ მემამულეებს ოჯახში"[7].

ახოიუ-ები ნატურალურ გადასახადებსაც იხდიდნენ, აძლევდნენ მეშაბულეებს მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტების თითქმის ნახევარს. გარდა ამისა უფლისწულ შარვაშიძის თითოეული ახოიუს ოჯახი ვალდებული იყო ზამთრის პერიოდში ორი კვირის განმავლობაში თავის ოჯახში გამოეკვება მემამულის ორი ცხენი და ერთი კაცი.

ახოიუს ქალის გათხოვებისას მემამულეები თავის სასარგებლოდ სასიძოსაგან იღებდნენ ყალიმს („აჩმა") 8-დან 20 ძროხამდე, თითოეულს 12 შან. ღირებულებისა. როცა საკუთარი ყმაგლეხი ქორწინდებოდა, მემამულე ვალდებული იყო ყალიმის ნაწილი თვით გადაეხადა. უფლისწული შარვაშიძე „თავის ყმა ქალებზე სასიძოსაგან ყალიმს არ იღებს, მაგრამ სამაგიეროდ ყმა ქალს მათ დაუკითხავად გათხოვება არ შეუძლია". ყმა გოგონებს ბატონი მზითვად გააყოლებდა ხოლმე თავის გასათხოვარ ქალებს.[8]

ეკონომიური და უფლებრივი თვალსაზრისით ახოიუთა შორისაც შეიმჩნევა ერთგვარი განსხვავება. ზოგ მათგანს ჰყავდა მონები და ყმაგლეხებიც კი რომელთაც ჩვეულებრივ გზავნიდნენ მემამულესთან თავის მაგიერად სამუშაოდ. შეძლებულ ყმაგლეხებს შეეძლოთ გამოესყიდათ თავი ბატონისაგან. ერთი ადამიანის გამოსყიდვის ღირებულება მერყეობდა 20-დან 30 ძროხამდე. ბატონყმობის გაუქმების წინ გამოსყიდვის (ისევე როგორც გასაყიდი) ღირებულება შესამჩნევად შემცირდა.

წყაროებში კატეგორია „ახაშალა" ხასიათდება როგორც ტიპიური მონა. მათ არავითარი საკუთრება და „არავითარი ადამიანური უფლება" არ ჰქონდათ, ვალდებული იყვნენ „მთელი სიცოცხლის მანძილზე ეშრომათ მფლობელისა-

---

[6] Очерки истории Абхазской АССР, 1960, გვ. 159.

[7] Документы... გვ. 500.

[8] იქვე, გვ. 501.

თვის". მფლობელს შეეძლო განრისხების ჟამს მოეკლა ასეთი გლეხი და „ამისთვის არავის წინაშე ანგარიშვალდებული არ იყო", შეეძლო ახაშალის ოჯახის წევრები ცალცალკე გაეყიდა სხვადასხვა პირებზე და სხვ. მართალია, 1865 წ. ერთ საბუთში ნათქვამია, რომ „ახლა მფლობელებს ეს უფლებები აღარა აქვთ", ე. ი. რუსი ხელისუფლები ცდილობდნენ შეეზღუდათ ფეოდალთა თვითნებობა ახაშალის მიმართ, მაგრამ სინამდვილეში ამ ცდას დიდი წარმატება არ ჰქონია.

ახაშალას იძენდნენ ყიდვის გზით, ზოგჯერ ვალის ანგარიშში, ან დატყვევების შედეგად.

გლეხთა სხვა კატეგორიებს შორის უნდა დასახელებულ იქნან აზატები და ასასები, რომლებიც აფხაზეთის პირობებში მცირერიცხოვანი იყვნენ.

ამა თუ იმ კატეგორიის გლეხის გააზატება ჩვეულებრივ ნიშნავდა უფრო მაღალ წოდებაში გადასვლას. მიწაზე დასმული და მეურნეობას მოკიდებული ახაშალა იქცეოდა ახოიუდ, ეს უკანასკნელი შეიძლებოდა გადაყვანილიყო ანხაიუთა წოდებაში, ეს კი შეიძლებოდა ფეოდალის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მთლიანად განთავისუფლებულიყო ყოველგვარი გამოსაღებისაგან (მაგ. ფეოდალის შვილების ათალიკი მთლიანად თავისუფლდებოდა გამოსაღებისაგან).

ანხაიუებიდან ბომდინარეობდნენ ე. წ. „აშინაყმები"—გლეხობის ყველაზე პრივილეგირებული ზედაფენა, რომელნიც უფლისწულისაგან ღებულობდნენ მიწას საკუთრებაში და მის კარზე საპატიო სამსახურს (ზოგჯერ „აზნაურულს") ასრულებდნენ.

რაც შეეხება კატეგორია ასასებს (ასასი — „სტუმარი"), ესენი იყვნენ სხვა ფეოდალის მიწაზე დასახლებული გლეხები და თავის მდგომარეობით ახლო იდგნენ ქართულ ხიზან-მინდობილებთან. თუ რომელიმე ბატონის ყმა-გლეხი ასასად იქცეოდა, ან ეს სხვას შეეხიზნებოდა, იგი თავისი ძველი მებატონის მიმართ ვალდებულებისაგან არ თავისუფლდებოდა.

გუმის აფხაზეთის გლეხობა სისტემატურ კლასობრივ ბრძოლას აწარმოებდა უფლისწულისა და სხვა ფეოდალების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა სხვადასხვა — აქტიურსა და პასიურ ფორმებში ვლინდებოდა.

კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო ყმაგლეხების გაქცევა ფსხუში, ახჩიფსხუში, დალსა და წაბალში, სადაც ფეოდალური ურთიერთობა უფრო სუსტად იყო განვითარებული.

კლასობრივი ბრძოლის მეორე პასიური ფორმა იყო ყმაგლეხთა საჩივრები „სახალხო სასამართლოში" მემამულეების ან მდიდარი გლეხების ძიერ მათი უკანონო დაყმევების შესახებ. ასეთ შემთხვევაში მათ სასამართლოში უნდა მიეყვანათ თავისუფალთა წრიდან 12 მოწმე, რომლებიც ფიცით დაადასტურებდნენ მათი საჩივრის სიმართლეს.

კლასობრივი ბრძოლის უფრო აქტიური ფორმა იყო მემამულეთა ძიწის თვითნებური მიტაცება და უარის თქმა ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულებაზე. 60-იან წლებში ბზიფის აფხაზეთიდან გაქცეული გლეხები დასახლდნენ სოფ. აჭადარას ახლოს, მდ. გუმისთასთან, გიორგი შარვაშიძის ძიწებზე, მაგრამ მას არაფერს არ უხდიდნენ[9]. მათ სამხრეთით, გაქცეულ გლეხთა ბაზაზე, წარმოიქმნა სხვა, საკმაოდ მოზრდილი სოფელი.

---

[9] Очерки..., გვ. 189.

კლასობრივი ბრძოლის გავრცელებული ფორმა იყო „ყაზახობა" („аûречество"). გუმის აფხაზეთში გლეხობის ეს თავისებური პარტიზანული ბრძოლა განსაკუთრებით გააქტიურდა XIX ს. 30-იან წლებში. 1835 წ. ერთმა ასეთმა ჯგუფმა დრანდის სიმაგრეზე მოაწყო შეიარაღებული თავდასხმა. 1852 წ. უფლისწული დიმიტრი შარვაშიძე ატყობინებდა ხელისუფლებას, რომ მის საუფლისწულოს ტერიტორიაზე 300 აბრაგი მოქმედებს და მის მამულზე თავდასხმას აპირებენ.

ზოგჯერ ადგილი ჰქონდა გლეხთა მასობრივ გამოსვლებსაც. ასე მაგალითად, 1830 წ. აპრილში სოფ. მერხეულში შეიკრიბა 4 ათასზე მეტი გლეხი, რომლებმაც ფიცი დადეს არ დამორჩილებოდნენ მთავრის ხელისუფლებას. 1866 წ. აჯანყების დროს გლეხები თავს დაესხნენ ჰასანბეი შარვაშიძის რეზიდენციას სოფ. კელასურში[10].

აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ (1864 წ. ივნისი) იქ სამხედრო მმართველობა შემოიღეს. ჩამოყალიბდა „სოხუმის სამხედრო განყოფილება. გუმის აფხაზეთი მის ერთ-ერთ ოლქად გამოიყო, შემდეგ კი (1866 წ.) ბიჭვინთის ოლქში გაერთიანდა. 1883 წ., როცა აფხაზეთი „სოხუმის ოლქად" გარდაიქმნა, მისი 4 უბნიდან ერთ-ერთს გუმის აფხაზეთი შეადგენდა.

დაკარგა რა თავისი პოლიტიკური პრეროგატივები საუფლისწულოში, გუმის აფხაზეთის მმართველი გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე ჩვეულებრივ მემამულედ გადაიქცა. მას დარჩა რიგი მამულებისა კელასურში, ბაბუშირაში, ვარჩესა და სხვა სოფლებში.

გ. შარვაშიძე რეფორმისშემდგომი აფხაზეთის ერთ-ერთი უმსხვილესი მემამულე იყო. მის საკუთრებაში დარჩენილი მიწის ფართობი 6 ათას დესეტინას შეადგენდა. გარდა ამისა, 1873 წ. მთავრობამ მას 6 ათასი მანეთი ყოველწლიური პენსია დაუნიშნა.

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომის დამთავრებისა და რუსეთის წინააღმდეგ აფხაზეთის 1878 წ. აჯანყების შემდეგ, როგორც ცნობილია, აფხაზი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გადასახლდა (ე. წ. „მაჰაჯირობა"). ამ გადასახლებით ყველაზე მეტად გუმისთის უბანი დაზარალდა. აქედან გადასახლდა მთელი აფხაზი მოსახლეობა (2221 კომლი). შარვაშიძის მამული გლეხებისაგან დაცარიელდა.

1878 წ. მაისში ბიჭვინთის საოლქო მმართველობამ მდ. გუმისთიდან მდ. კოდორამდე არსებული მთელი მიწის მსურველებზე იჯარით გაცემა გადაწყვიტა. მიწის დიდი ფართობები სრულიად უსასყიდლოდ დაურიგეს რუს მოხელეებსა და მსხვილ მოხელეებს.

80-იან წლებიდან გუმის აფხაზეთში აღმოცენდა რიგი ახალი ქართული, რუსული, ბერძნული, სომხური, ესტონური სოფლებისა. ფართო გავრცელება მოიპოვა საიჯარო კოლონიზაციამ. რეფორმისაგან გაძარცული ზუგდიდის მაზრის გლეხობა მასიურად სახლდებოდა აფხაზეთში მემამულეთა მიწებზე და იხდიდა კაბალურ საიჯარო გადასახადს ნატურით, რომელიც მთელი მოსავლის 1/3-დან 1/2-მდე აღწევდა. სახელმწიფო და მემამულეთა მიწებზე მოიჯარეებად სხდებოდნენ თურქეთიდან გამოქცეული მრავალრიცხოვანი ბერძნები და სომ-

[10] Г. А. Дзидзария, Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми, 1955.

ხები. სწორედ მათ XIX ს. 70-იანი წლების ბოლოს შეადგინეს გ. შარვაშიძის მამულებში ახალი სამუშაო ძალის ძირითადი კონტინგენტი.

1883 წ. გ. შარვაშიძის შემოსავალი, ფულადი იჯარისა და მეურნეობის პროდუქტების (ღვინო, სიმინდი, თამბაქო, ხე-ტყე, შეშა და სხვ.) გაყიდვის გზით მიღებულ 7 ათას მანეთს შეადგენდა. სოფ. ბაბუშერასა და დრახდაში მას საკუთარი მაღაზიები ჰქონდა.

ამრიგად, მემამულე-ფეოდალი თანდათან იქცეოდა კაპიტალისტ-ფერმერად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მის მამულში ფეოდალურ ურთიერთობათა ძლიერი გადმონაშთები რჩებოდა. მისი მიწების ძირითადი ნაწილი ღარიბ გლეხებს ეძლეოდათ ბატონყმური ნატურალური იჯარის სახით (როგორც წესი. მოსავლის 1/4-ის გადახდის პირობით)[11].

---

[11] გ. გ ი ო რ გ ა ძ ე, აფხაზეთის გლეხების ისტორიის საკითხისათვის, აფხაზეთის სამეცნ.-კვლ. ინსტიტუტის შრომები, ტ. XXXII, 1961, გვ. 161.

ალექსანდრე ბენდიანიშვილი

ქართველ გლეხთა საგადასახლებო მოძრაობის ისტორიიდან

რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და საქართველოში უცხო ელემენტის ჩამოსახლება-გაძლიერების პროცესი საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამაკმაყოფილებლადაა გაშუქებული. ასევე არ ითქმის ქართველი ხალხის საკადასახადო მოძრაობაზე, შინა კოლონიზაციის სტიქიურ პროცესზე. რომელმაც კაპიტალიზმის ხანაში ფართო ხასიათი მიიღო. ქართველი ისტორიკოსები. როგორც სამართლიანად აღნიშნა აკად. ნ. ბერძენიშვილმა (საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, გვ. 14), XIX საუკუნეში ქართველ ხალხის, მწვრომელი გლეხობის საშშობლოს ტერიტორიაზე განსახლებაში მომხდარი ცვლილებების შესწავლას თითქმის არ აქცევენ ყურადღებას, რომ ჯერჯერობით ამ მოვლენის ამსახველი ხალხური გადმოცემებიც კი არაა შეგროვებული.

ამ შენიშვნამ ჩვენზე გარკვეული გავლენა მოახდინა და სათანადო ყურადღება მივაქციეთ ქართველთა შინა კოლონიზაციის ფაქტების შესწავლას. ეს წერილი ამ მიმართულებით გაწეული ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს.

* * *

რუსეთის პირველი რევოლუციისა და სტოლიპინის რეაქციის პერიოდში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა. კოლონიზაციას ორმაგ მიზანს უსახავდნენ; პირველი—გაეწმინდათ ცენტრალური გუბერნიები „რევოლუციური სენით დაავადებული“ ღარიბი გლეხებისაგან და ამით კაეადეილებინათ აგრარული საკითხის გადაჭრა; მეორეც—განაპირა მხარეებში გადასახლებული რუსი გლეხობა საიმედო საყრდენად გადაექციათ. გამოეყენებინათ იგი ადგილობრივი ხალხების რევოლუციური და სეპარატული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ რევოლუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის — ამიერკავკასიის კოლონიზაციას ცარიზმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. 1905 წლიდან 1912 წლამდე ამიერკავკასიაში შეიქმნა 100-ზე მეტი რუსული დასახლება. კოლონისტთა მხიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დამკვიდრდა.

კოლონიზატორთა აქტიური საქმიანობა ქართველი საზოგადოებრიობის უკმაყოფილებას იწვევდა. სოციალ-დემოკრატიული „მომავლის“ ერთ-ერთი თანამშრომელი წერდა: „ჩვენ არაფერი გვაქვს გადასახლების წინააღმდეგ, როცა

იგი გამოწვეულია ეკონომიური საჭიროებით, მაგრამ როცა გადასახლებას აწარმოებენ დაბალი ღირსების პოლიტიკური მიზნით, იმისათვის, რომ კიდევ უფრო დაჩაგრონ და შეავიწროვონ... ადგილობრივი მკვიდრნი, გააღრმავონ და გააძლიერონ ნაციონალური შუღლი, გადაჰკიდონ ერთმანეთს სხვადასხვა ერის მშრომელი ძმა, ჩვენ ამის წინააღმდეგი უნდა ვიყოთ... კავკასიაში რომ თავისუფალი ადგილები არაა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი თვითონ უკიდურეს შევიწროებას განიცდიან უმიწაწყლობით — ეს ყველამ კარგად იცის... და თუ მაინც ერეკებიან რუსეთიდან ხალხს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს გვერდში ამოუყენონ „რუსეთის სახელმწიფოებრიობის დამცველი რუსი ხალხი“[1].

რუსებს საქართველოში ჩამოსახლება და მათ მიერ ქართველი გლეხობისათვის ესოდენ აუცილებელი მიწების დაკავება, კიდევ უფრო ამწვავებდა აჭრელულ საკითხს იმპერიის ამ განაპირა მხარეში. ამიტომ იყო, რომ ქართველ თავადაზნაურობას არ მოეწონა აგრარული საკითხის გადაწყვეტის რუსი მემამულეებისა და ცარიზმის მიერ შემუშავებული ეს ვარიანტი. ქართველ მემამულეთა ინტერესი ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაუპირისპირდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას. ქართველ თავადაზნაურთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა აშკარად მოითხოვა რუსების საქართველოში ჩამოსახლების შეწყვეტა.

საქართველოს გაბატონებულ წოდებებს ისეთი სამშობლო უნდოდათ, სადაც მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი კლასობრივი წინააღმდეგობანი და კლასობრივი ბრძოლა. გლეხთა აგრარული რევოლუციით შეშინებული მემამულეები თვით მოითხოვდნენ ბატონყმობის ზოგი ნაშთის შედარებით უმტკივნეულოდ. კანონმდებლობის გზით, მოსპობას, ამასთან ისინი ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ მიწების „წესიერი მობილიზაციისათვის“, ურჩევდნენ გლეხებს ხელი აეღოთ თავადაზნაურთა მიწების კონფისკაციის „მავნე ლოზუნგზე“ და პრივილეგიური წოდებისაგან გაყიდული მამულები კანონიერი ნასყიდობებით დაესაკუთრებინათ, არ დაეთმოთ მშობლიური ტერიტორია გადამთიელებისათვის.

მეფის მთავრობა და გაბატონებული კლასები იშვიათად ახერხებდნენ თაეიანთთვის სასურველი მიმართულებით წარემართათ მოვლენათა განვითარება. გლეხობა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ყოველგვარ საშუალებას იყენებდა, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმას არჩევდა, რომელიც მეტი შედეგის მომტანად ეჩვენებოდა. ამ საშუალებათა შორის გლეხობა მასობრივად მიმართავდა თავისუფალ მიწებზე გადასახლებას.

საგადასახლებო მოძრაობა, რა თქმა უნდა, ახალი მოვლენა არ ყოფილა. ძველ საქართველოშიც მოქმედებდა პოლიტიკურ-ეკონომიური ფაქტორები, რაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს აიძულებდა საცხოვრებელი ადგილი გამოეცვალა. მშვიდობიანობის ხანაში სჭარბობდა მისწრაფება მთიდან ბარისკენ, ომისა და ძნელბედობის ხანაში კი პირიქით, მოსახლეობა მტრისაგან შედარებით დაცულ მთიან რაიონებში იხიზნებოდა. XIX ს-ში ქართველმა ხალხმა მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება მოიპოვა და პროგრესული განვითარების გზას მტკიცედ დაადგა. მოსახლეობის გამრავლებამ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და კაპიტალიზმის განვითარებამ გამოიწვია მოთხოვნილების ზრდა მიწაზე. უმიწობა და მცირემიწიანობა ქართველი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილის ტრაგედიად იქცა. ასეთ პირობებში ქართველი გლეხობა უფრო ინტენ-

[1] „მ ო მ ა ვ ა ლ ი“, 1909, № 82.

სიურად ამოძრავდა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი აფერხებდა ქართველ გლეხთა საქართველოს თავისუფალ მიწებზე გადასახლებას, საგადასახლებო მოძრაობამ, შინა კოლონიზაციამ ფართო ხასიათი მიიღო. ამჯერად ჩვენ დავკმაყოფილდებით გლეხთა მიწისათვის ბრძოლისა და საგადასახლებო მოძრაობის რამდენიმე ეპიზოდის გადმოცემით.

XX ს-ის დასაწყისში ინტენსიურად მიმდინარეობდა ალაზნის გაღმა მხარის (დღევანდელი ლაგოდეხის რაიონი) დასახლება. აქ ვაჩნაძეებსა და აფხაზს ჰქონდათ მამული „კაბალა", რომლის ფართობი 28000 დეს. უდრიდა, ანდრონიკაშვილს, აბაშიძისა და ჯორჯაძის მამულ „ბარამკარის" ფართობი კი 8785 დეს. შეადგენდა. ამ მამულების დიდი ფართობი ტყეს ეკავა, რომელიც გაჩეხვის შემდეგ შესანიშნავ სახნავ-სათესს მიწას იძლეოდა. აქვე იყო ძველი დიდი არყის ხეშთი, რომლის აღდგენა არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს. გაღმა-მხარი ყურადღებას იქცევდა აგრეთვე მეთამბაქოეობის განვითარების შესაძლებლობით. ყოველივე ამან განაპირობა საქართველოს ძნელბედობის ხანაში გაუკაცრიელებული ამ მხარისაკენ უმიწაწყლო ქართველი გლეხობის ლტოლვა.

ზემოაღნიშნულ მამულებში საიჯარო გარიგებათა საფუძველზე აღმოცენდა შემდეგი სოფლები: ლელიანი, ბაისუბანი, ქართუბანი, კალკვა, ხოშტანი, ეშმაკის უყურე, ფიჩხის ბოგირი, არეშეერიანი, ციხიანი, ფონა და სხვ., რომლებშიც 1907 წლისათვის ითვლებოდა 700-მდე კომლი გლეხი. ახალმოსახლეთა ძირითად ნაწილს დასავლეთ საქართველოდან გადმოსული გლეხობა შეადგენდა. საიჯარო ხელშეკრულებანი გრძელვადიანი იყო და ითვალისწინებდა მოიჯარეთაგან მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გამოსყიდვას. 1907 წლისათვის სოფ. დულიანის 77 კომლს მიწა უკვე საკუთრებაში ჰქონდა შესყიდული[2].

გაღმა-მხარეში გადასახლებულ გლეხთა ერთი ნაწილი თავდაპირველად ლაგოდეხში დამკვიდრდა, სადაც მათ სასოფლო საზოგადოებისა და არშიის შტაბისაგან იჯარით აიღეს სამოსახლო ნაკვეთები, ხოლო თამბაქოს გაშენებას ხელი მიჰყვეს ჭიაურის სახაზინო მამულში აღებულ მიწაზე. პირველ ხანებში საკარმიდამო ნაკვეთების საიჯარო ქირა არ იყო ძალიან დამამძიმებელი, მაგრამ გადმოსახლებულთა ტალღის ზრდის გამო მიწა თანდათან ძვირდებოდა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ახალმოსახლე მოიჯარეებმა 1902 წელს მთავრობას სთხოვეს სამოსახლო ადგილები ჭიაურის სახაზინო მამულში.

მეფის მთავრობა არა თუ სამოსახლო ნაკვეთებსა და „ნადელებს" არ აძლევდა ადგილობრივ გლეხებს თავისუფალ სახაზინო მიწის ფონდიდან. არამედ ამ ნაკვეთების გრძელვადიანი იჯარით გაცემასაც კი ერიდებოდა. ცნობილია, რომ რუსეთში მოქმედებდა 1884 წ. კანონი და მისი 1895 წ. დამატება, რომელიც ითვალისწინებდა სასოფლო საზოგადოებისათვის სახაზინო მიწის ვაჭრობის გარეშე იჯარით მიცემას. 1902 წელს განიხილებოდა ამ კანონის ამიერკავკასიაზე გავრცელების საკითხი. თითქმის ყველას საჭიროდ მიაჩნდა აღნიშნული ღონისძიების ამიერკავკასიაში გატარება, მაგრამ თბილისის გუბერნატორმა ძოითხოვა, რომ 12 წლით და უფრო გრძელვადიანი იჯარით არ გაცემულიყო ის ნაკვეთები, რომელნიც განკუთვნილი იყო რუსულ დასახლებათა შექმნისათვის. შემჩნეულია, აღნიშნავდა გუბერნატორი, რომ სახაზინო მიწის იჯარით ამღები ვადის გასვლამდე ახერხებენ იქ დამკვიდრებას და ახალ დასახლებათა შექმნას, რაც აძნელებს ამ ადგილების სხვა დანიშნულებისათვის გამოყენებას. ამი-

[2] საქართველოს ცსსა, ფონდი 242, ანაწერი 1, საქმე 189. ფურც. 1—3.

ტომ საჭიროა, ამიერკავკასიაზე 1884 წ. კანონის გავრცელების შემთხვევაში, დაწესდეს გარკვეული შეზღუდვები, რაც აუცილებელია მხარის კოლონიზაციის წარმატებით გაგრძელებისათვის. თბილისის გუბერნატორის ეს წინიშნა მიღებულ იქნა[3].

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ლაგოდეხელ ახალმოსახლეთა თხოვნის განხილვა განგებ იქნა გაჭიანურებული. რაკი პასუხს ვერ ელირსა, მოიჯარეთა ერთი ნაწილი თვითნებურად დაესახლა ჭიაურის სახაზინო მამულის ტერიტორიაზე და თავის ამ ახალ სოფელს „წრომა“ უწოდა. მას შემდეგ, რაც მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენეს მთავრობა, მშრომელებმა მოითხოვეს „ნადელები“. ამ თხოვნას შეუერთდნენ ლაგოდეხში დარჩენილებიც. რევოლუციური ქარიშხლით შეშინებული მეფის ხაცვალი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და გაეცა ბრძანება ჭიაურის სახაზინო ბაშულში დამკვიდრებულ ახალმოსახლეთა მიწათმოწყობის შესახებ.

სოფ. შრომის მიწათმოწყობა დაევალა საგადასახადო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელს. მან ადგილზე შეისწავლა ფაქტიური მდგომარეობა და გაარკვია, რომ 1907 წლისათვის ჭიაურის სახაზინო მამულში ჩამოსახლებული იყო 76 კომლი. ლაგოდეხში კი დარჩა 42 ოჯახი. ამ 118 კომლიდან უმრავლესობა (104 კ.) გამოსული იყო სიღნაღის მაზრის სხვადასხვა სოფლებიდან, სადაც მათ არავითარი ქონება აღარ გააჩნდათ. საგადასახადო სამმართველოს მოხელის წინადადებით შრომელებს დაუმტკიცდა მათ მიერ უკვე დაკავებული სამოსახლო ნაკვეთები და „ნადელებად“ გამოეყოთ 1168 დეს. მიწა, ძირითადად ტყე, რომელიც გაჩეხვის შემდეგ ვარგისი იქნებოდა მიწათმოქმედებისათვის[4].

გაღმა-მხარში აღმოცენებულ ახალშენთა ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი 1907 წელს განხილულ იქნა თბილისის საგლეხო საქმეთა საგუბერნიო სა-ერებულოში, რომელმაც დაადგინა:

1. დამტკიცდეს ლელიანის, ქართუბნისა და შრომის სასოფლო საზოგადოებათა შექმნა. წინადადება მიეცეს მაზრის უფროსს მოახდინოს ამ საზოგადოებებში თანამდებობის პირთა არჩევნები.

2. ახლად დაარსებული სოფლების საოჯახო სიები გაეგზავნოს სახაზინო პალატას.

3. სამხედრო ტოპოგრაფიულმა გაყოფილებამ ცნობად მიიღოს ახალი სოფლების დაარსების ფაქტი და შეიტანოს ისინი რუკაზე.

სიღნაღის მაზრის უფროსმა მოითხოვა, რომ გაღმა-მხარში შექმნილიყო ახალი საპოლიციო უბანი. იმის გამო, რომ ცხადად შეიმჩნეოდა უმიწაწყლო გლეხების დიდი ლტოლვა ამ რაიონისაკენ, მაზრის უფროსის ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრებმაც. საკითხი დასმულ იქნა სათანადო მმართველობის წინაშე[5].

გაღმა-მხარს თანდათან ემატებოდა მოსახლეობა. „იმერეთის“ კორესპონდენტი 1913 წელს წერდა, — გლეხები კარგად მოეწყვნენო ახალ სოფლებში. როცა ზოგიერთ მათგანს უკან უხდებოდა მისვლა ძველ ფუძეზე, „ლაპარაკი უმთავრესად ახალი აღგილის (ადგილის) გარშემო ტრიალებდა. ნათესავი ნათესავს, მეზობელი მეზობელს აგულიანებდა გადასახლებისათვის. ერთი მეორეს

[3] საქართველოს ცსსა, ფონდი 242, ანაწერი 1, საქმე 69, ფურც. 1-2.

[4] საქართველოს ცსსა. ფონდი 242, საქმე 189. ფურც. 13, 43—45.

[5] იქვე. ფურც. 2—3.

ისიდუედა, მეორეს მესამე და ამგვარად ივსებოდა ალაზანგაღმა ადგილები. ამ გადასახლებაში თავისებური ბელადებიც გაჩნდნენ, რომელნიც წინ მიუძღოდნენ... ხალხს და ამით დიდი სამსახური გაუწიეს... სამშობლოს. შთამომავლობამ ამათი ღვაწლი არ უნდა დაივიწყოს". ერთ-ერთი ასეთი ბელადი ყოფილა ფარსადან გურული, რომელიც პირველი ჩასახლდა თურმე კაბალაში და სხვებიც გაიყოლია. 1913 წლისათვის ქართუბნის საზოგადოებაში 10 სოფელი (3000 სული) შედიოდა, ლელიანის საზოგადოებაში კი 17 სოფელი და 5000 სული მცხოვრები ითვლებოდა[6].

XIX—XX სს. მიჯნაზე მცირემიწიანობით შეწუხებულმა ქართველ მთიელთა ერთმა ნაწილმა არა ერთხელ სთხოვა მთავრობას შირაქის ველზე დასახლების ნებართვა. მეფის მთავრობა, თითქოსდა მომთაბარული მეცხოველეობის ინტერესებისათვის, უარს ამბობდა ასეთი თხოვნის დაკმაყოფილებაზე. სინამდვილეში კი ეს უარი გაპირობებული იყო იმით, რომ მთავრობას სურდა შირაქში მოეწყო რუსული დასახლებანი.

1903 წ. 26 ნოემბერს სიღნაღის მაზრის უფროსი თბილისის გუბერნატორს სწერდა: ჩემზე მონდობილი მხარის გარუსების მიზნით აუცილებლად მიმაჩნია შირაქში გამოიყოს საგადასახლებო ნაკვეთები. რუსულ დასახლებათა მოწყობისათვის გამოდგება 112,000 დეს., საიდანაც ნახევარი ვარგისია სახნავ-სათესად, ხოლო კი სათიბ-საძოვრადო. ჩვეულოვის ცნობილია, რომ შირაქში საკმაოდაა სასმელი წყაროებიც, მაგრამ ბევრ მათგანს მალავენ მომთაბარენი (მთებში დაბრუნების წინ აფარებენ ფიჩხსა და მიწას), რადგან ფიქრობენ, რომ თუ წყაროებს არსებობის შესახებ გაიგებს მთავრობა, შირაქში ჩამოასახლებს რუსებსო.

ჩემს მიერ რუსულ დასახლებათა მოსაწყობად გათვალისწინებული ველის დიდი ნაწილი, — განაგრძობს მაზრის უფროსი, — თუმცა იმყოფება ქართველ მთიელთა სარგებლობაში, რომელნიც მისი დაკარგვით გაღარიბდებიან, მაგრამ სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის მათ უნდა გავაღებინოთ ეს მსხვერპლი[7].

რუსი კოლონისტებისათვის შირაქის ველის ვარგისიანობის გამოსარკვევად მიველინებულ იქნა საგადასახლებო სამმართველოს განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე, რომელიც მხარის გაცნობის შემდეგ 1904 წ. 10 იელისს სწერდა ვინმე ანდრეი აფანასიევიჩს: „შირაქმა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საკვირველია, რატომ თავიდანვე აქედან არ დაიწყეთ. საჭიროდ მიმაჩნია შირაქში ორი კვირით ჩამოვიდეს მ. ა. ბალკელეისკი და დაათვალიეროს ზოგიერთი ნაკვეთები, რომელთა დასახლება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს"[8].

მალე შირაქის ველის სანახავად რუს კოლონისტთა წარმომადგენლებიც გამოიწვიეს. ყუბანის ოლქსა და პოლტავის გუბერნიიდან ჩამოსულ „ხოდოკებს" დასასახლებლად ყველაზე ძალიან მოეწონათ „რუსის წყალი", „ქედი", „არხი-ლოსკალო" და „შავი მთა"[9].

კოლონიზატორთა აქტიურმა საქმიანობამ ძალიან წეაშფოთა ქართველი მთიელები. მათი სულისკვეთება ვაჟა-ფშაველამ ვადმოსცა საგანგებო წერილში, რომელშიც ვკითხულობთ: „ერთი ჩემი მეგობარი ჩობანი შირაქიდან ძალი-

---

[6] „ი მ ე რ ე თ ი", 1913, № 78, გვ. 2—3.

[7] საქართველოს ცსსა, ფონდი 242, საქმე 65, ფურც. 9—11,

[8] იქვე. ფურც. 30—43.

[9] იქვე. ფურც. 73.

ან გულდაწყვეტილი შემდეგსა მწერს: „კარგად იცი, ფშაველებს და თუშებს შირაქიდან გვედგა სული. მაგრამ როგორც ვხედავთ, ეს შირაქიც გვერთმევა, რადგან აქ სხვა ხალხი სახლდება, მეკომურობას მართავს და ჩვენ კი ჩვენი ცხვარ-ძროხით ვრჩებით როგორც მდინარისაგან გარიყული თევზები... ვისაც რა გესმით, ვისაც ცოტა რამ გისწავლიათ, რატომ არ გვპატრონობთ. თუკი ათას მთას იქიდან მოსულს ეკუთვნის შირაქი საცხოვრებლად ჩვენ რატომ აღარ..., არა, არა გეყავს პატრონი, თორემ ასე უდიერად არავინ მოგვეპყრობოდა".

„ამ წერილმა — დასძენს ბოლოს ვაჟა, — მე ძალიან დამაფიქრა და ამიტომ მოვინდომე მისი შინაარსი თქვენთვისაც გამეზიარებინა, მკითხველო"[10].

ვაჟა-ფშაველას ამ კორესპონდენციას გამოეხმაურნენ სხვა ქართველი პუბლიცისტები, რომელნიც უერთდებოდნენ ქართველ მთიელთა გულისწყრომას. ოფიციალური პრესის წარმომადგენლები ჩუმფოთდნენ. გაზ. „კავკაზში" დაიბეჭდა წერილი — „По поводу слухов о лишении грузино-горцев пастбищ в Ширакской степи". რედაქცია უარყოფდა შირაქის რუსებით დასახლების განზრახვას და თბილისის ზოგიერთ გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობებს ყალბს უწოდებდა. იქვე ნათქვამია, რომ ქართველი მთიელები შირაქის საძოვრებით სარგებლობას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იწყებენ, რადგან ადრე, გამუდმებული ომებისა და ლეკთა თარეშის გამო, ეს მხარე მთიელთათვის მიუწვდომელი იყოო. ამით ოფიციოზი რამდენადმე შეფარვით ამბობს: რაკი ეს საძოვრები რუსეთმა გახადა ხელმისაწვდომი, რუსეთის მთავრობას უფლება აქვს შირაქის ველს თავის შეხედულებისამებრ განაგებდეს და, თუ საჭიროდ იქნა ცნობილი იქ რუსების ჩამოსახლება, მთიელებს სხვა საძოვრები გამოეყოფაო[11].

ოფიციოზის საპასუხოდ „ნოვოე ობოზრენიეს" ერთ-ერთმა პუბლიცისტმა დოკუმენტური მასალებით ცხადყო, რომ ქართველი მთიელები შირაქის საზამთრო საძოვრებით სარგებლობდნენ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში (ჩვენ შეგვეძლო ეს თარიღი ათი საუკუნით გადაგვეწია—ა. ბ.) და ამდენად აქ მათ საჭიროზე მეტი ხანდაზმულობა ჰქონდათ[12]. წერილის ავტორს მკითხველი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის მთავრობას უფლება არ ჰქონდა შირაქი ჩამოერთმია ქართველი მთიელებისათვის.

ქართული საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენითა და მშრომელთა რევოლუციური გამოსვლებით შეშინებულმა მეფის მთავრობის მოხელეებმა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც დათმობა ამჯობინეს; 1905 წ. 27 ივნისს კავკასიის საგადასახლებო სამმართველო სწერდა ვალუევის სამაზრო პოლიციას, ეცნობებინათ სოფ. პოდგორნის გლესებისათვის, რომ მათ ვერ გადაასახლებდნენ შირაქის ველზე, რადგან ამ ადგილებში არ გამოყოფილაო საგადასახლებო ნაკვეთები[13].

იმ დროს, როცა პრესაში ცხარე კამათი მიმდინარეობდა და მთავრობის სხვადასხვა ინსტანციებს შორის გაუთავებელი მიმოწერა იყო გამართული, ქართველი მთიელები ნებართვის გარეშე, თვითნებურად ესახლებოდნენ შირაქში. 1905—1907 წწ. იქ აღმოცენდა ახალი სოფლები — ზემო ქედი, ქვემო ქედი და არხილოსკალო. დააყენეს რა მთავრობა მომხდარი ფაქტის წინაშე, მთიელებმა,

---

[10] „ცნობის ფურცელი". 1905, № 2685, გვ. 3.

[11] „Кавказ", 1905, № 61.

[12] „Новое обозрение", 1905, № 77.

[13] საქართველოს ცსსა, ფონდი 242, საქმე 65, ფურც. 142.

ლუშეთის მაზრის სოფ. სხოს, ქარქუჩასა და ახალციხის გლეხებმა, კვლავ შეიტანეს თხოვნა გამოეყოთ მათთვის ადგილ-მამული შირაქში[14].

მეფის მთავრობის ბიუროკრატიული მთავრობის მოხელეები აქიანურებდნენ საკითხის გადაწყვეტას. სხოელები კი თანდათან უხუბართოდ ესახლებოდნენ არხილოსკალოს ტერიტორიაზე. სახელმწიფო ქონებათა თბილისის საგუბერნიო სამმართველო 1906 წ. 20 დეკემბერს ამიერკავკასიაში მიწათმოწყობის უფროსის რწმუნებულს სწერდა: ადგილს, სადაც დაესახლნენ სხოელები თავიდანვე საძოვრად იყენებდნენ ქართველი მთიელები. სხოელების ჩამოსახლება საშიშროებას უქადის მომთაბარულ მეცხოველეობას (როცა შირაქში რუსთა ჩამოსახლების ვეგმებს ადგენდნენ, მაშინ არ ადარდებდათ მომთაბარე მეცხოველეთა ინტერესები — ა. ბ). სხოელებს რომ მივცეთ დაკავებულ მიწებზე დარჩენის უფლება, ეს შექმნის საშიშ პრეცედენტს და სამმართველოს არ ექნებათ საფუძველი უარი უთხრას სხვა მთიელებს შირაქში ჩამოსახლებაზე. მალე ამის შემდეგ გაიცა ბრძანება სხოელების შირაქიდან დაუყოვნებლივ გასახლების შესახებ[15].

სხოელების შირაქიდან განდევნა არ გამოდგა ადვილი. პირიქით, მათ მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და შირაქის ველზე ჩამოსახლდნენ მთიელები კობიდან, სიონიდან, ყაზბეგიდან და სხვა სოფლებიდან. „იმერეთის" კორესპონდენტის გადმოცემით, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ჩამოსახლებულთა შირაქიდან განდევნა, მთიელები გაბედულად შეელაპარაკნენ; „ჩვენ აქედან მკვდრებს თუ წაგვიღებ, თორემ ცოცხლები წამსვლელები არ ვართო,... ძლივს პურის გემო გავიგეთ, სადღა უნდა წავიდეთო... ადმინისტრაცია იძულებული გახდა დაეთმო. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება— მ.მული მხოლოდ იმას რჩება, ვისაც მისთვის თავის ვანწირვა შეუძლია". — დაასკვნის წერილის ავტორი[16].

შირაქის ახალმოსახლეთა მიწათმოწყობა დაევალა სამუშაოთა უფროს მწარმოებელ სკიბიცკის. 1908 წ. 11 ივნისს იგი მიწათმოწყობის მთავარ სამმართველოს უფროსს სწერდა: გადმოსახლებულთა რიცხვიდან. რომლებმაც დაიწყეს ნებართვის გარეშე საძოვრების დახვნა და აღძრეს შუამდგომლობა მათთვის ნადელების გამოყოფის შესახებ, ერთნი (უმრავლესობა) შეიძლება ჩავთვალოთ ადგილზე დამკვიდრებულად, რადგან მათ უკვე აქვთ სახლ-კარი და აქ მუდმივად ცხოვრობენ ცოლ-შვილით; მეორენი კი კვლავ ინარჩუნებენ სახლ-კარს ბეურნეობას ძველ ადგილზე, შირაქში მიდიან მხოლოდ მინდვრის სამუშაოების დროს და თავს აფარებენ სხვის სახლებში. 491 კომლ (3010 სულ) ახალმოსახლეს, რომელნიც აქ დამკვიდრდნენ 1907 წლამდე, ფაქტიურად უჭირავს 3074 დესეტინა მიწა. ამ3თ გარდა, განაგრძობს სკიბიცკი, შირაქში მე ვნახე კიდევ 130 კომლი, მოსული 1907 ივლისის აღწერის შემდეგ. მაგრამ მეფის ნაცვლის ბრძანების თანახმად, მათი მიწათმოწყობა შირაქში არ ხდება. ისინი უნდა დაუბრუნდნენ მთას.

სკიბიცკიმ შეადგინა შირაქის ახალმოსახლეთა მიწათმოწყობის პროექტი. მეფის ნაცვლისა და მიწათმოწყობის სამმართველოს განკარგულებით. 1908 წ.

---

[14] საქართველოს ცსსა, ფონდი 243, ანაწერი 5, საქმე 713, ფურც. 10

[15] იქვე, ფურც. 23, 28, 31.

[16] „იმერეთი", 1918, № 78, გვ. 2—3.

10 დეკემბერს ზემო ქედის, ქვემო ქედის და არხილოსკალოს აბლომოსახლეებს — აფციაურებს, წიკლაურებს, კობიაშვილებს, ჩიტაურებს, ღუდუშაურებს, ბუჩუკურებს, კამარაულებს, ჩოხელებს, ქავთარაძეებს, ბურდულებს, ნადიბაიძეებს და სხვებს „ნადელებად“ დაუმტკიცდა 4423 დესეტინა მიწა.

ამგვარად, XX ს-ის დამდეგს, სულ რაღაც 5 წლის განმავლობაში, ქართველმა გლეხობამ ძნელბედობის ხანაში დაყრუებული კუთხე — გაღმა-მხარი კვლავ გააცოცხლა, ხოლო შირაქის ველზე საფუძველი დაუდო ექსტენსიურიდან ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლის პროცესს.

პაატა გუგუშვილი

ნედლი ბამბის პირველადი გადამუშავების ტექნიკა საბჭოთაძდელ ამიერკავკასიაში

1. ბამბის კულტურა ძველი დროიდანვეა ცნობილი. ბამბის ბოჭკო XVIII ს-მიც ფართოდ მოიხმარებოდა საოჯახო და შინამრეწველობაში—სხვადასხვა დანიშნულების ნართის (ძაფის) და ქსოვილის წარმოებისათვის.

XVIII ს-ის ბოლომდე ევროპის საფეიქრო მრეწველობა უმთავრესად შავთესლიანი აზიური—მეტწილად ინდური და ეგვიპტური—ბამბით მარაგდებოდა. ამ ბამბისაგან თესლი ადვილად გამოიყოფოდა არქაული ჩიხრიხით (roller-gin), რაც გავრცელებული იყო მთელ აზიასა და აფრიკაში, კერძოდ, ამიერკავკასიაშიც. XVIII ს-ის ბოლოს, ინდუსტრიული გადატრიალების დროიდან, საერთოდ საფეიქრო მრეწველობის ნედლეულზე და საკუთრად ბამბაზე წარმოიშვა დიდი მოთხოვნილება. ბუნებრივია. ყურადღება მიიქცია მწვანეთესლიანმა ამერიკულმა ბამბამ. მაგრამ მისგან ჩიხრიხით თესლის გამოყოფა ფრიად შრომატევადი სამუშაო იყო.

ასეთ ვითარებაში ამერიკას მოევლინა ე. უიტნის მანქანა (1792 წ.), რასაც გრანდიოზული შედეგები მოყვა. Cotton-gin-ის მეოხებით ამერიკული გრძელბოჭკოიანი და უხვმოსავლიანი ბამბა თესლისგან ადვილად გასაწმენდი გახდა, რამაც იგი მსოფლიო ტექსტილური მრეწველობის პირველხარისხოვან ნედლეულად გადააქცია. თუ აქამდე ამერიკაზე მოდიოდა ბამბის მსოფლიო წარმოების მხოლოდ 0,01 პროცენტი, დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ ამერიკა იძლეოდა უკვე 85 პროცენტს. კოლოსალურად გაიზარდა ბამბის წარმოება და მოხმარება. ამერიკული ბამბის ექსპორტი 1793—1800 წლებში 220 ათასიდან 6.200 ათას კილოგრამს აღწევს, ე. ი. 8 წლის განმავლობაში დაახლოებით 40-ჯერ გაიზარდა. ბამბის ბოჭკოს მსოფლიო მოსავალი. მილიონ კიპობით[1] უდრიდა: 1866 წ.—1,8; 1876 წ.—4,3; 1886—6,446; 1896 წ.—8,533; 1906 წ.—13.974; 1914 წ.— 16,135. მიუხედავად იმისა, რომ ბამბის წარმოება ასე სწრაფად იზრდებოდა, ხშირი იყო შემთხვევები მისი დეფიციტისა.

XIX ს. მსოფლიოში ბამბის ყველაზე დიდი მომხმარებელი იყო ინგლისის ტექსტილური მრეწველობა, რომელსაც XX ს-ის დამდეგს გაუსწრო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სწრაფად წინაურდებოდნენ რუსეთი. გერმანია და იაპონია. პირველი მსოფლიო ომის წინ (1912—13 წლებში) ბამბის მოხმარება. მილიონ კიპობით. უდრიდა: აშშ—5.8; ინგლისში —4.3; რუსეთში —2.5; ინდო-

[1] ერთი კიპი (Kiepe — ბარდანა) = 500 ინგლ. გირვანქას. 1 ინგლ. გირვ. = 453,59 გრამს.

ეთში—2,2; გერმანიაში—1,7; იაპონიაში—1,6; საფრანგეთში—1,0. შემდეგ მოდიან ავსტრია (0,8), იტალია (0.8) და სხვ. მაგრამ ამ მხრივ უფრო საინტერესოა 1914 წელს მსოფლიო ბამბეულის ფაბრიკებში მომქმედ თითისტართა საერთო რაოდენობის—144.980.000—დანაწილება ცალკე ქვეყნებს შორის: ინგლისი—55.000.000, აშშ—31.500.000, გერმანია—11.400.000, რუსეთი—9.100.000, საფრანგეთი—7 400.000, ინდოეთი—6.600.000, ავსტრია—4.950.000 და სხვ.[2].

რუსეთის ტექსტილური მრეწველობა დიდი ზომით მოიხმარდა იმპორტულ (ამერიკულ, ეგვიპტურ, ინდურ, ირანულ) ნედლეულს. ეს იმპორტი ათას ფუთობით. უდრიდა: 1816 წ.—36, 1826 წ.—105, 1836 წ.—259, 1846 წ.—729, 1856 წ.—2 221. 1876 წ.—4 708, 1886 წ.—7 248. 1896 წ.—8 480, 1906 წ. —12 020. 1913 წ.—12 022, რაც დაკავშირებული იყო ვალუტის (ოქროს) დიდ ხარჯთან. ეს გარემოება და, საერთოდ, იმპერიის ეკონომიკური ინტერესები დაბეჯითებით მოითხოვდა ბუნებრივი პირობების მხრივ ხელსაყრელ განაპირა ქვეყნებში, შუა აზიასა და ამიერკავკასიაში, მებამბეობის რაც შეიძლება სწრაფ განვითარებას.

2. ბამბის კულტურა ამიერკავკასიაში უხსოვარი დროიდან მოდის. აკად. ი. ჯავახიშვილი ისტორიული წყაროების შესწავლამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „ჯერ კიდევ ძველი ისტორიის წინახანაში ჩვენს მიწა-წყალზე როგორც სელის, ისე მატყლისა და ბამბისაგან დამზადებული ქსოვილები ყოფილა: რომ XII—XIII სს. საქართველოდან „სელის ქსოვილებს გარდა მატყლის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები მრავალი გაჰქონდათ მეზობელ ქვეყნებში"[3]. XVIII ს-ში. ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობის პირობებშიც მებამბეობა და ბამბა-ქსოვილის წარმოება, ისევე როგორც მღებრობა, საკმაოდ ყოფილა განვითარებული. როგორც ეს ნაჩვენებია აკად. ნ. ბერძენიშვილის ერთ-ერთ გამოკვლევაში[4]. XIX ს-დან. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როგორც საერთოდ ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა. ისე სოფლის მეურნეობის, კერძოდ. მებამბეობის განვითარებას ფართო გასაქანი მიეცა.

3. ბაზარზე გასაყიდ საქონლად მომზადებისათვის აუცილებელია მოკრეჭილი ბამბის თესლისგან გაწმენდა. გაწმენდის ხარისხს. ბოჭკოს სისუფთავეს დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქტის ავკარგიანობის თვალსაზრისით.

ბამბის საწმენდად ამიერკავკასიაში იყენებდნენ აქ უხსოვარი დროიდან გავრცელებულ. როგორც ფიქრობენ, ინდური ან ეგვიპტური წარმომავლობის ხელის ჩიხრიხს[5]. რაც ნატურალურ ურთიერთობათა ვითარებაში, როგორც წესი. მებამბეობის მიმდევარი ყოველი გლეხის ოჯახში მოიპოვებოდა. ამ ჩიხრიხს, მთლიანად ხის. ჩვეულებრივ სოფლის ოსტატები აკეთებდა. ბამბისგან თესლის გაცლა და ბოჭკოს გასაყიდად მომზადება მიწათმოქმედებისაგან გამოუყოფელი საოჯახო სარეწავის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენდა.

---

[2] Cotton and allied textile industries. 1961, Manchester; Statistics on cotton and related data 1920—1956, 1957, Washington.

[3] ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტ. III—IV, თბ., 1962, გვ. 160—161.

[4] ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII საუკუნის საქართველოში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის', ნაკვ. VI. თბ., 1937.

[5] ჩიხრიხის დაწვრილებითი ტექნიკური აღწერილობა და ნახატები იხ. И. Хатисов, О развитии культуры и торговли хлопком в Закавказском крае. „Записки Кавказского общества сельского хозяйства", Тифл., 1865, № 1.

ამერიკაკავკასიაში კაპრიცელებული ჩიხრიხით დღეღამეში შეიძლებოდა 1.5—2 ფუთი ადგილობრივი ბამბის („ყარა-ყოზა") გაწმენდა, მაგრამ გრძელბოჭკოვანი ეგვიპტური და. განსაკუთრებით. ამერიკული სორტის ბამბის გაწმენდა ფრიად მოუხერხებელი და ბევრად უფრო შრომატევად საქმეთაც წარმოადგენდა.

ძალიან მას მერმე. რაც აქ ფართოდ გავრცელდა გრძელბოჭკოვანი სორტის ბამბები და ბამბის ბოჭკო სულ უფრო მეტი ზომით იქცეოდა საჭიროდ. განსაკუთრებით იმ დროიდან. რაც იგი შინაგან ბაზარს გასცილდა და მსოფლიო ვაჭრობის (საექსპორტო) საგნად იქცა, ყველასათვის აშკარა შეიქნა ჩიხრიხის მეტად მცირე ჩამორჩენილობა.

1863 წ. ი. ხატისოვი აცხადებდა. რომ თესლისგან გაწმენდისას ჩიხრიხი. აზიანებდა რა გრძელბოჭკოვანი ბამბის პროდუქტს. სწორედ ამით. თვით 50-იანი წლების მიწურულშიც აბრკოლებდა ამერიკაკავკასიაში ამერიკული და ეგვიპტური სორტის ბამბის გავრცელებას. ხოლო ბამბის გასაწმენდი სხვა ხელსაწყო მაშინ ამერიკაკავკასიაში უცნობი იყოო[5].

ბამდვილად კი ე. უიტნის მიერ 1792 წ. გამოგონებული Cotton-gin. რამაც მთელი გადატრიალება გამოიწვია ამერიკის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მსოფლიო მებამბეობასა და ტექსტილურ მრეწველობაში[7]. ნიუ-იორკიდან ამიერკავკასიაში პირველად, 6 ცალის რაოდენობით, მოიტანეს 1846 წელს. ერთი წლის შემდეგ ვაშინგტონიდან კიდევ მოვიდა უფრო გაუმჯობესებული კოტონჯინები, რითაც ყველას შეეძლო უსაზღაურად ესარგებლა[8].

მართალია. ბამბის გაწმენდის გაუმჯობესება 40-იანი წლების დამდეგიდანვე დაიწყო. უიტნის ჯინები ჯერ კიდევ აქ ამავე ათეულის შუაში ჩანდა. ხოლო 50-იან წლებში ის რამდენჯერმე გამოიწერა სოფლის მეურნეობის კავკასიურმა საზოგადოებამ (სმკს) ადგილობრივმა უმაღლესმა ადმინისტრაციამ. მაგრამ ამ ღონისძიებებს რამდენადმე მნიშვნელოვანი ეფექტი არ მოჰყოლია[9]. რაც. უნდა ვიფიქროთ, იყო შედეგი იმისა, რომ: 1. აქ ღებულობდნენ ამ მანქანების უკვე მოძველებული კონსტრუქციის ეგზემპლარებს. თანაც ძლიერ მცირე რაოდენობით და, რომ 2. ბამბაზე მოთხოვნილება აქ შედარებით მცირე იყო. რამდენადაც რუსეთის ძანუფაქტურები ამერკაკავკასიური („თავიანთი მშობლიური") ბამბის გამოყენების მხრივ ჯერ მხოლოდ მაყურებლების როლში ევმოდიოდნენ.

ასე რომ თვით 60-იან წლებამდე ამიერკავკასიაში გაბატონებული იყო ძველებური. არქაული ჩიხრიხი. მებამბეობის რაიონებში. ზამთრობით, სოფლისძეურნეობრივი სამუშაოებიდან თავისუფალი დროის პერიოდში. ჩაჰოდიოდნენ მთიანი რაიონების მცხოვრებნი. რომელთაც ხშირად თან მოჰქონდათ ხელის ჩიხრიხი და მიმოდიოდნენ სოფლებში. სხვადასხვა ოჯახებში. როგორც ხელფასზე (საშოვარზე) გამსვლელი მუშები. მათ გასამრჯელო უპირატესად ნატურის. ბამბის სახით მიჰქონდათ. რასაც მთიულეთში მათი ქალები რთავდნენ და ნართს იყენებდნენ. როგორც საფეიქრო მიზნით. ასევე ძაფის სახით.

---

[6] ЗКОСХ. 1863, № 1, გვ. 9.

[7] ა. გუგუშვილი, ტექნიკის მარქსისტული ისტორია. 1933. თბ., ნაკვ. 3—5, გვ. 65—70.

[8] АСКАК. X, № 125, გვ. 159.

[9] П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения. 1937. Тб. I. გვ. 107—112.

4. კარდინალურად განსხვავებული დამოკიდებულება ჰპოვა უიტნის მანქანამ ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში XIX ს-ის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისიდან. ახლა სმკს მიერ ნიუ-იორკიდან გამოწერილი[10] და ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებში გაგზავნილი ბამბის საწმენდი მანქანა ერთბაშად იქნა ათვისებული და. ამგვარად, „მიუხედავად იმისა, რომ უიტნის მანქანა გლეჯს ბოჭკოს, რომ მისი დოლი („ბარაბანი") გარშემოელებულია ღორის ჯაგრით, რომლის ხმარება დაუშვებელია მუჰამედის მართლმორწმუნე შვილთა ოჯახურ ყოფიერებაში. ეს მანქანები სწრაფად დაიყიდა და დაინერგა წარმოებაში. პლანტატორთათვის ბამბის ბოჭკოს სწრაფი გაწმენდა გადაიქცა აუცილებელ მოთხოვნილებად", რათა. რაც შეიძლება მალე გაეტანათ ბაზარზე გასაყიდად ძვირფასი საქონელი—ბამბა[11].

ასეთ ვითარებაში 50-იანი წლების ბოლოს სმკს მიერ ადგილობრივი ჩის-რიბის გაუმჯობესებისათვის გამოცხადებულმა კონკურსმა ვერ ჰპოვა სათანადო გამოხმაურება... კონკურსზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი პროექტი, რომელიც კომისიამ დაიწუნა[12].

სწორედ ამ ხანებში აქ უკვე ყველასათვის ნათელი შეიქნა უიტნის გაუმჯობესებული Cotton-gin-ის უპირატესობანი, რასაც თხუთმეტიოდე წლის წინ თვით ადმინისტრაცია მუქთად სთავაზობდა მოსახლეობას და. მიუხედავად ამისა მაინც არ ვრცელდებოდა.

ახლა აქ უნდა აღინიშნოს, რომ ნედლი ბამბა (хлопок-сырец), სანამ ის ტექსტილური მრეწველობის ნედლეული გახდებოდეს. გადის პირველად გადამუშავებას. რის შედეგადაც მიიღება:

1. თესლი, მთელი ნაყოფის დაახლოებით	66,5 პროცენტი
2. ბოჭკო. მთელი ნაყოფის დაახლოებით	31,0 პროცენტი
3. ლინტერი, მთელი ნაყოფის დაახლოებით	1,0 პროცენტი
4. სხვადასხვა ნარჩენები	1,5 პროცენტი

კოტონ-ჯინით ბოჭკოსგან გამოყოფილი თესლი კიდევ ინარჩუნებს ბამბის ბუსუსებს, რაც თესლს გაეცლება ლინტერმანქანაში გატარების გზით. თვით ამ ბუსუსებსაც ლინტერს (ანუ ლინტერისეულ ბოჭკოს) უწოდებენ. ეს ბუსუსები თესლის წონის 0,5—1,5 პროცენტამდე გამოდის. ლინტერისაგან აწარმოებენ უხეშ ნართს. ფეთქებად ნივთიერებებს[13].

ამიერკავკასიაში ამ დროიდან ჯინების ფართოდ გავრცელების საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ 1867 წელს. მაგალითად, ერევნის გუბერნიაში ასზე მეტი ჯინი მუშაობდა.

60-იანი წლების დასაწყისიდანვე ამიერკავკასიაში მებამბეობის სწრაფი აღმავლობის მიზეზი შეიქნა ის გარემოება, რომ სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეულმა ამერიკამ ევროპის ტექსტილურ მრეწველობას უკვე ვერ მიაწოდა ხელფეული ბამბის ბოჭკო. ევროპისა და რუსეთის ბამბეულის ფაბრიკანტების აგენტები მოედნენ აფრიკისა და აზიის ქვეყნების მებამბეობის რაიონებს. ბამ-

[10] საქ. ცსსა, ფონდი 25 (Управл. гос. имущ. при Гл. упр. наместника кавказского), საქმე № 14/565, 1861, ფურც. 1 — 46.

[11] П. Гугушвили, Сельское хозяйство..., I, გვ. 110—111.

[12] И. Иоселиани, Обзор деятельности КОСХ, გვ. 69—70.

[13] В. Гофмейстер, Использование семян хлопчатника в Средней Азии, 1914, СПб.

ბის ფასები საოცრად გაიზარდა. ამიერკავკასიაში 1 ფუთი ბამბის ფასი 3—5 მანეთიდან სულ მოკლე ხნის განმავლობაში ერთბაშად 10, 12, 16 და ბოლოს 20—23 მანეთამდე ავარდა. რამაც სოფელს, ქალაქს. ვაჭარს. გლეხს, სახელმწიფო მოხელეს, ყველას ძილი დაუკარგა და ბამბის ნათესების საოცარი სისწრაფით გაფართოება გამოიწვია. კაფაედნენ ვაზის, თუთის, ხეხილის ნარგავებს, ათავისუფლებდნენ ყველა ვარგის მიწას — „თეთრი დედოფლის ტრიუმფი დაიწყო.

ასე უხეში და საოცარი მუჭლუგუნებით შემოიჭრა მსოფლიო კაპიტალისტური მრეწველობისა და ბაზრის, საერთოდ ბურჟუაზიული მეწარმეობის „სული და თაოსნობა" ამიერკავკასიაში, რათა მისი მთელმარე მწარმოებლური ძალები რამდენადმე და ერთხნობით. ნახტომისებურად აემოძრავებინა და მერე ისევ მიეგდო.

მართალია, ამერიკულმა ბამბამ მალე კვლავ დაიბრუნა თავისი მდგომარეობა ევროპის ბაზრებზე, რომლის აგენტებმა ამიერკავკასია მყისვე დასტოვეს და აქაურ ბამბას „ძაღლიც არ ჰამდა", მაგრამ 80-იანი წლებიდან ახალ დიდ აღმავლობას მიაღწია ბამბეულის მსოფლიო და, კერძოდ. რუსეთის მრეწველობამ, რამაც შესაბამისად კვლავ გაზარდა მოთხოვნილება ნედლეულზე.

ამიერკავკასიაში კოტონ-ჯინების გავრცელებას, ამიერიდან ხელს უწყობდნენ ბამბეულის მრეწველობის რუსული ფირმები, როგორიც იყვნენ მოროზოვის, ალექსეევის, კორზინკინისა და სხვ. მანუფაქტურები, რომელთა ბამბის შემსყიდველი აგენტები ამ დროიდან უკვე საფუძვლიანად მოკალათდნენ ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში.

ბამბის საწმენდ მანქანებს ხსენებული ფირმების აგენტები იჯარის საფუძველზე აძლევდნენ თვით მებამბეებსაც, რომლებიც საფასურს იხდიდნენ ფულით ან ნატურით; უკანასკნელ შემთხვევაში ისინი კისრულობდნენ, რათა გაწმენდილი ბოჭკო ბაზრის ფასებში მიეყიდათ მანქანის მფლობელისთვის, რომელიც, ჩვეულებრივ, ბამბის შემსყიდველი იყო. ამგვარად, მებამბისთვის ბოჭკოს საწმენდი მანქანის მიჭირავება (იჯარით გადაცემა), არსებითად მისი დაკაბალების იარაღსაც წარმოადგენდა.

შეძლებული გლეხები, კულაკები, მემამულეები, ცხადია, თვითონაც ყიდულობდნენ ბამბის საწმენდ მანქანებს. მაგრამ მანქანის ასეთი მფლობელი ხშირად ეწეოდა არა მხოლოდ საკუთარი ბამბის, არამედ წვრილმწარმოებელი მეზობლების მოსავლის გადამუშავებასაც და საფასურს, ჩვეულებრივ, გაწმენდილი ბოჭკოს სახით ღებულობდა (გაწმენდილი ბამბის 2—5%-ს), თესლი კი მთლიანად მას რჩებოდა. ამ სახით მის ხელში თავს იყრიდა ბამბის თესლის შედარებით დიდი რაოდენობა, ძვირფასი ნედლეული. რაც უკვე თავისთავად მეტყველებდა მისი ტექნიკური გადამუშავების აუცილებლობასა და სარფიანობაზე.

ბამბის მექანიკური საწმენდი მანქანების დანერგვა-გავრცელებამ, გასაგებია, გააუმჯობესა არა მხოლოდ გაწმენდილი ბოჭკოს ხარისხი, არამედ. ამასთანავე, დიდად აამაღლა შრომის მწარმოებლურობა და ამ გზით გააძლიერა უცხოურის წინაშე ადგილობრივ წარმოებული ბამბის კონკურენტუნარიანობა.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუაში ცხენის ან წყლის ძალით მოძრაობაში მოყვანილი მექანიკური მანქანა („საუ-ჯინი") დღე-ღამის განმავლობაში სწრებდა 45-60 ფუთი ბამბის გაწმენდას[14].

---

14 Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, III, 1, 83- 115.

არქაული ჩიხრიხით კი ამდენსავე დროის განმავლობაში ფრიად მძიმე და ქანცგამწყვეტი შრომით მხოლოდ 1—1,5 ფუთი ბამბის გაწმენდა შეიძლებოდა. ამავარდ. „ჯინის" მწარმოებლურობა 40-ჯერ მეტი იყო, რაც ვის უდიდეს უპირატესობაზე მეტყველებდა.

ამასთანავე, ორიოდე წლის შემდეგ ამიერკავკასიაში ყველაზე საუკეთესოდ მიჩნეული Daniel Bratt-ის ჯინებით დღეღამეში 60—100 ფუთ ბამბის გაწმენდას ასწრებდნენ. აქ შემოჰქონდათ უმეტესად 60, 35 და 10 ხერხიანი ჯინები. 80-იან წლებში ამ მანქანებს უკვე რუსეთშიც აკეთებდნენ და ისინი ამიერკავკასიაში სულ უფრო სწრაფადაც ვრცელდებიან. 1886 წ. ა. ხანაგოვი წერდა, სურმალოს მაზრის ყველა სოფელში, სადაც ბამბა მოჰყავთ, მოიპოვება 2—3 კოტონ-ჯინი. რაც მოძრაობაში მოყავთ წყლის ბორბლით ან ცხენითო[15].

ასეთ პირობებში, ცხადია ჯინებმა უკვე მალე შესძლეს ჩიხრიხების გამოდევნა. 80-იანი წლების ბოლოსთვის ამიერკავკასიის სოფლებში გასაყიდი გრძელბოჭკოვანი ბამბა, როგორც წესი, უკვე ჯინით იწმინდებოდა. ხოლო 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სავაჭრო მებამბეობის რაიონებში ჩიხრიხი უკვე სავსებით გაქრა[16].

ეს პროცესი არა მხოლოდ უბრალო ტექნიკური პროგრესის, არამედ. ამასთანავე სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარების დონისა და მსვლელი წარმოების აშკარა უპირატესობათა მანიშნებელი მოვლენა იყო.

პატარა კოტონ-ჯინები 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანის დასაწყისს თბილისში, აუფერმანის მაღაზიაში იყიდებოდა, ცალი 300 მანეთად. ამ პატარა ჯინის მწარმოებლურობა 60 ფუთ ბამბას აღემატებოდა. 90-იანი წლების დასაწყისიდან ა. კორზინკინის ცნობილმა რუსულმა ფირმამ „Большая Ярославская мануфактура" ქ. ერევანს დაიწყო კიდევ უფრო პატარა, უკვე რუსეთში გაკეთებული ჯინების გაყიდვა[17]. ეს ჯინი 75 მანეთს ფასობდა; იგი 2 კაცის მუშაობით 10 საათში 3—4 ფუთ წმინდა ბოჭკოს იძლეოდა, რაც „ყოველ შემთხვევაში 8—10-ჯერ მეტია. ვინემ ის რასაც ქუთაისში იძლევა ბამბის საწმენდი ადგილობრივი ხელით სამუშავებელი ხის მანქანა—ჩიხრიხი, რომელიც ასევე ორი კაცის მუშაობით ერთ დღეში იძლევა არა უმეტეს 15—20 გირვანქისა და რაც კიდევ უარესია—ყოველთვის აფუჭებს ბოჭკოსო"—წერდა სმკს სპეციალისტი—კორესპონდენტი[18].

Cotton-gin-ი თავის მფლობელს (იყო ის შემსყიდველი, კომისიონერი, თუ მებამბე—უშუალო მწარმოებელი) ერთგვარ მონოპოლიურ მდგომარეობას უქმნიდა, რამდენადაც ამ მანქანის ფასი იმდენად დიდი იყო, რომ წვრილმწარმოებელს, ცხადია, მისი შეძენა არ შეეძლო, რათა თავისი ბამბა თვითონაც გაეწმინდა თესლისაგან. გაუწმენდავ ბამბას კი მხოლოდ ჯინის მფლობელი შემსყიდველი თუ შეიძენდა; შემსყიდველს მიჰქონდა ბოჭკოს $\frac{1}{20} - \frac{1}{60}$ ნაწილი გაწმენდისათვის, ხოლო მთელ დანარჩენს ის შეისყიდდა არსებითად მის მიერ ნაკარნახევ „ბაზრის ფასებში".

---

[15] იქვე.

[16] Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства Закавказского края. Тиф., 1899, გვ. 65.

[17] საქ. ცსსა, ფ. 243, საქმე 25, ფურც. 153 — 155.

[18] Труды Кавказского общества сельского хозяйства , 1891, № 7—8, გვ. 307.

ნ. ტარატინოვის გამოანგარიშებით, 80-იანი წლების ბოლოს ჯინი გარდა იმისა, რომ მოცემულ თემში თავის მფლობელს მონოპოლიურ მდგომარეობას უქმნიდა, ერთ თვეში ფარავდა თავის ღირებულებას და, ამგვარად, უაღრესად ძოშეებიანი სარეწაოს საფუძველს წარმოადგენდა[19]. ამ დროს ერევნისა და ეჩმიაძინის მაზრებში სულ 130 ჯინი მუშაობდა. ბამბის საწყობს. სადაც ჯინი მუშაობდა ჩვეულებრივ ბამბის საწმენდ ქარხანას ეძახდნენ.

რ. არუთინოვის ცნობით, ერევნის გუბერნიის შარურ-დარალაგიოზის მაზრაში 1893 წელს ითვლებოდა 18 ბამბის საწმენდი ქარხანა, რომელთა საერთო პროდუქცია შეადგენდა 6 045 ფუთ ბამბას, რისი ღირებულება 36 ათას მან. აღემატებოდა (1 ფ. 6 მან. ანგარიშით). თითოეულ ასეთ „ქარხანაში" 1 ცალი ჯინი იდგა, რაც მოძრაობაში მოჰყავდა 2 ცხენისძალიან წყლის ბორბალს. თითოეულ „ქარხანაში" 1—2 კაცი მუშაობდა; 18 ქარხანაში კი სულ—25 კაცი. ჯანზე მომუშაეს ხელფასი თვეში საშუალოდ 4—5 მანეთს შეადგენდა[20].

საერთოდ ამიერკავკასიაში ასეთი „ქარხნების" დიდი ნაწილი ბამბის შემსყიდველ-კომისიონერთა საკუთრებას წარმოადგენდა[21].

5. ს. ტიმოფეევის მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით 1912 წ. ბოლოს ერევნის გუბერნიაში ირიცხებოდა სულ 328 ბამბის საწმენდი ქარხანა[22]. „ამათგან დაახლოებით მხოლოდ 50 ქარხანაა ასე თუ ისე კარგად გაწყობილი, რომლებიც სეზონის განმავლობაში აწარმოებენ არა ნაკლებ 1500—2000 ფუთ წვნიზდა ბოჭკოს"[23]. ამათ უმრავლესობას ჰქონდა ნავთმოტორისა და ორთქლის ძრავა, ხოლო ორიოდეს (მაგალითად, ეჩმიაძინის მაზრაში, მონასტრისას)— ელექტრომოტორი.

ერევნის გუბერნიის სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით ამ გუბერნიის 328 ბამბის საწმენდ ქარხანაში ითვლებოდა ძრავები:

მაზრები	ნავთ-ძრ-ტორის	ორთქლის	წყლის	ცხენის	სულ
ერევნის	10	12	51	--	73
ეჩმიაძინის	21	20	27	10	78
სურმალუს . . .	57	—	14	13	84
შ. დაიალაგიოზის	14	—	35	-	49
ნაირევანის	6	11	26	1	44
სულ . .	108	43	153	24	328

ამგვარად, თუ 80-იან წლებში ჯინები მოძრაობაში მოჰყავდათ უპირატესად ცხენისა და წყლის ძალით, 90-იან წლებში—წყლისა და ცხენის ძალით, კიდევ ათიოდე წლის შემდეგ, მე-20 ს. მეორე ათეული წლის დასაწყისში უკვე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს შიგაწვისა და ორთქლის ძრავებმა, რაც დიდ ტექნიკურ პროგრესს მოასწავებდა.

---

[19] Н. Таратынов, Очерк хлопководства в Закавказье, 1889, Тифл., გვ. 38—44.

[20] Р. Арутюнов, Развитие хлопководства в Армении после ее присоединения к России, 1954, გვ. 85—86.

[21] П. Петрович, Хлопководство в Закавказье, 1912, Тифл., გვ. 120—121.

[22] ნ. ტარატინოვის ცნობით 1912 წლის ბოლოს ერევნის გუბერნიაში მეშაობდა სულ 355 ბამბის საწმენდი ქარხანა (Н. Таратынов, Современ. положение хлопководства в Закавказском крае, 1912, Тифлис, გვ. 15).

[23] С. Тимофеев, Статистика хлопководства в Закавказском крае за 1912, 1914, Т., გვ. 4.

ხსენებული, შედარებით „დიდი ქარხნები“ თავმოყრილი ყოფილან ერევნის მაზრის ათიოდე სოფელში, აგრეთვე ეჩმიაძინის (3 სოფელში), სურმალოს (2 სოფ.). შარურ-დარალაგიოზის (4 სოფ.). ნახჭევანის (3 სოფ.) მაზრებსა და ქ. ორდუბადში, მათგან სულ 12 „ქარხანაში“ იდგა ორ-ორი ჯინი. ყველა დანარჩენში—თითო.

ხსენებულ 328 „ქარხანაში“ ჯინების უდიდესი უმრავლესობა 25 ხერხიანი იყო. საკმაოდ ბევრი იყო 60 ხერხიანი ჯინი, რამდენიმე—80-იანი და მხოლოდ ორი—100 ხერხიანი. ორივე ეს ჯინი იდგა ერევნის მაზრის ს. ნავრუზლუში—ს. სიმონიანცის ქარხანაში, მოძრაობაში მოყავდათ ორთქლის ძალით და დღე-ღამეში ასწრებდა 1 200, ხოლო სეზონის განმავლობაში კი 20 000 ფუთი ბამბის გადამუშ ვებას.

ს. სიმონიანცის ქარხანა ყველაზე დიდი ბამბის საწმენდი საწარმო იყო ერევნის გუბერნიაში. აქ მუშაობდა აგრეთვე ერთი ლინტერი—80 ხერხიანი და ერთი ორთქლის წნეხი. ერევნის გუბერნიაში სულ იყო თერთმეტი წნეხი (მ. შ. ორი ორთქლისა და 3—ჰიდრავლური, დანარჩენი—ხრახნიანი, ხელისა) და 6 ლინტერი, რომელთაგან 106 ხერხიანი იყო ხუთი[24].

ელისავეტპოლის გუბერნიაში 1900 წ. იყო 15, ხოლო 1912 წ. ითვლებოდა სულ 28 ბამბასაწმენდი ქარხანა, რომელთაგან მოდიოდა ელისავეტპოლის მაზრაზე 8, არეშის მ.—10, ჯევანშირის მ.—7, შუშის მაზრაზე—3[25]. მათი უმრავლესობა თვით ქ. ელისავეტპოლს (6) და დაბა აღდაშს (7), რკ. გზ. სადგურ ღიაკსა და სოფ. ბარდას იყო თავმოყრილი[26].

ამ ხანებში ელისავეტპოლის გუბერნიამ ბამბის საერთო მოსავლის მხრივ შესამჩნევად გადააჭარბა ერევნისას. სადაც როგორც დავინახეთ ათჯერზე უფრო მეტი, სახელდობრ 328 ბამბის საწმენდი ქარხანა მუშაობდა. საქმე ისაა, რომ ერევნის გუბერნიის ხსენებული რაოდენობის ქარხნებიდან მხოლოდ თორმეტში იდგა ორ-ორი ჯინი, ყველა დანარჩენში—თითო და. ამგვარად. სულ ითვლებოდა 340 ჯინი, თანაც მათი უდიდესი უმრავლესობა იყო 25 და 60 ხერხიანი.

რაც შეეხება ელისავეტპოლის გუბერნიის ბამბასაწმენდ ქარხნებს, აქ თითოეულში იდგა 2—3 ჯინი და იყო ისეთი ქარხნებიც, სადაც 4 და 6 ჯინი იდგა. თანაც აქ თითქმის ყველა ჯინი 60—80 ხერხიანი იყო და არც ერთი 25 ხერხიანი. ამასთანავე. თუ ერევნის გუბერნიაში ჯინების დიდი რაოდენობა მოძრაობაში მოჰყავდათ წყლის ძალით, ელისავეტპოლის გუბერნიის ბამბასაწმენდი ქარხნებიდან მხოლოდ ერთში მუშაობდა წყლის ბორბალი. ყველა დანარჩენში—შიგაწვის ძრავი იდგა, ხოლო 7 ქარხანაში კი ორ-ორი ძრავა მუშაობდა.

სწორედ ამგვარ ტექნიკურ უპირატესობათა და თვით ქარხნების სიდიდის გამო იყო. რომ ელისავეტპოლის გუბერნიის ბამბასაწმენდი 28 ქარხანა, უფრო მეტი მწარმოებლურობის მეოხებით, სეზონის განმავლობაში თავისუფლად ასწრებდა შესამჩნევად მეტი ბამბის გადამუშავებას, ვიდრე ერევნის გუბერნიის 328 ქარხანა.

ამგვარად, მებამბეობის ძველ რაიონში ამიერიდან ძველი ტექნიკაც აბრკოლებდა წარმოების უფრო მომგებიან ნიადაგზე გადაყვანის საქმეს.

---

[24] იქვე. გვ. 66 — 85.

[25] იქვე. გვ. 12 — 13.

[26] И. Сегаль, Сборник сведений о Елисаветпольской губ., 1902, ч. I. გვ. 124—125.

ელისავეტპოლის გუბერნიის ყველა ბამბასაწმენდ ქარხანაში გარდა ორისა მუშაობდა უახლესი კონსტრუქციის ლინტერმანქანა. ზოგ ქარხანაში—ორ-ორი, სულ კი—32 (ერევნის გუბერნიაში—6), თითქმის ყველა 106 ხერხიანი. ელისავეტპოლის გუბერნიის ქარხნებში მუშაობდა 28 წნები (ერევნის გუბ.—11).

ელისავეტპოლის გუბერნიაში 1913 წ. გაიხსნა ერთი ახალი ბამბასაწმენდი ქარხანა[27] და 1914 წელს—კიდევ ერთი[28].

ბაქოს გუბერნიაში 1912 წელს აღრიცხული იყო 17 მომქმედი და 6 გაჩერებული ბამბასაწმენდი ქარხანა. მათგან 12 იყო ჯევათის მაზრის 7 სოფელში, ხოლო 10—გეოქჩაის მაზრის რკინიგზის 5 სადგურში.

ბაქოს გუბერნია ამ დროს (1911. 1912) ამიერკავკასიაში მესამე ადგილზე იდგა ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიების შემდეგ და აწარმოებდა 290—300 ათას ფუთ ბამბას, ე. ი. ელისავეტპოლის გუბერნიის შესაბამისი მაჩვენებლის დაახლოებით 40 პროცენტს.

ბაქოს გუბერნიაში მომქმედი ბამბასაწმენდი ქარხნებიდან ზოგიერთი მაინც. მაგალითად, ვოგაუ და კომპ. (ჯევათის მაზრის ს. პეტროპავლოვკაში). აგრეთვე ძმ. თუმანიანცისა სალიანში; შესანიშნავად იყო გაწყობილი—პნევმატიური სისტემით, ელევატორით. ელექტროგანათებით. კერძოდ, ყველაზე მსხვილი ქარხნის (ვოგაუ და კომპ.) სადღეღამისო მწარმოებლურობა 5000 ფუთს აღწევდა. აქ მუშაობდა 4 ჯინი—თითოეული 80 ხერხიანი. კომპაუნდის 150 ძალიანი ორთქლის მანქანა, 3 ლინტერმანქანა—თითოეული 106 ხერხიანი, და ჰიდრავლური წნეხი.

ნედლი ბამბის კოტონ-ჯინებისთვის მიწოდება და ბოჭკოს ჰიდრავლურ-წნეხზე გადაცემა ხდებოდა პნევმატური სისტემით (მილებით), თესლის ლინტერმანქანებისთვის მიწოდება ელევატორისა და უსასრულო ხრახნის მეშვეობით ხდებოდა.

ქარხანა სეზონის განმავლობაში აწარმოებდა 200.000 ფუთი ნედლი ბამბის გადამუშავებას. ამ დროს მწყობრში იდგა ქარხნის მხოლოდ პირველი რიგი და სრული დატვირთვით მას შეეძლო გადაემუშავებინა 600 000 ფ. ბამბა; ხოლო ქარხნის მთლიანად ამუშავების შემდეგ კი ორჯერ მეტი მწარმოებლურობა ექნებოდა.

შედარებით პატარა, მაგრამ კარგად გაწყობილი ბამბასაწმენდი ქარხნები იყო აგრეთვე სამედოვების სავაჭრო სახლისა და ისკანდეროვისა (ჯევათის მაზრაში).

ბაქოს გუბერნიაში 1913 წელს გაიხსნა ერთი ახალი ბამბასაწმენდი ქარხანა მირ-ქალიბ აბდულაევისა—80 ხერხიანი 4 ჯინით, 106 ხერხიანი 3 ლინტერმანქანითა და მექანიკური წნეხით[29]. 1914 წლის ბოლოს ვოგაუსა და კომპ. ქარხანა შეისყიდა აქამდე კეთილმოუწყობელი ქარხნის პატრონმა ბ. არზუმანოვმა. „რითაც ჩამოცილებულ იქნა ერთ-ერთი კონკურენტი, რომელიც იწვევდა ადვილობრივად ფასების აწევას ნედლ ბამბაზე"[30].

სწორედ ამგვარ ტექნიკურ გაუმჯობესებათა მეოხებით XX ს-ის მეორე ათეულის პირველსავე წლებში აზერბაიჯანულმა მებამბეობამ მნიშვნელოვან

27 С. Тимофеев. Статистика хлопководства... за 1913 г., გვ. 11.

28 С. Тимофеев. Статистика... за 1914 г., გვ. 10.

29 С. Тимофеев. Статистика хлопководства... за 1913 г., გვ. 17.

30 С. Тимофеев. Статистика... за 1913 г., გვ. 14.

წარმატებებს მიაღწია. რაც იმით აღინიშნა, რომ დაიწყო ერთგვაროვანი ბამბის დიდი პარტიების მიწოდება. 1910—1912 წლებში მოსკოვის ბირჟაზე მუდანუმდა ბამბამ გააჩაღა ბრძოლა საკუთარი მარკის მოპოვებისათვის და ხშირად იგი ფერგანული ბამბის დონეზე ფასობდა[31].

თბილისის გუბერნიის მებამბეობის რაიონებში—თბილისისა და ბორჩალოს მაზრებში, 1912—1914 წწ. სეზონში მუშაობდა 8—9 ბამბასაწმენდი ქარხანა, მათგან ყველაზე დიდი იყო „ამხანაგობა ზლატორსკისა", ქ. თბილისში. აქ მუშაობდა 1 შიგაწვის ძრავა, რასაც მოძრაობაში მოჰყავდა 2 ჯინი—თითოეული 80 ხერხიანი. 1 ლინტერი — 106 ხერხიანი. ქარხანაში იდგა 1 ჰიდრავლური პრესი. სეზონის განმავლობაში აქ თესლისაგან იწმინდებოდა 75 000 ფუთი ნედლი ბამბა.

ქუთაისის გუბერნიაში მებამბეობა ამ დროს რამდენადმე მნიშვნელოვან ხასიათს ატარებდა მხოლოდ ქუთაისის მაზრაში. 1912—1914 წწ. სეზონში აქ მუშაობდა სულ 7 ბამბასაწმენდი ქარხანა: ქუთაისს—2, სამტრედიას—3 და თითო ქარხანა—ხონსა და დიდ-ჯიხაიშში. ყველაზე მსხვილი იყო გოკიელების ქარხანა (ქუთაისში). სადაც 4 ჯინი მუშაობდა. ამას გარდა, 25 ხერხიანი ერთი ხელის ჯინი მუშაობდა ქუთაისის საცდელ მინდორში და კიდევ 7 ასეთივე ჯინი ქუთაისში. სამტრედიასა და ხონში[32].

მოყვანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ თვით პირველი მსოფლიო ომის წინა წლებშიც ბამბის საწმენდ „ქარხანათა" დიდი უმრავლესობა წარმოადგენდა წვრილ შინამრეწველურ საწარმოს მაშინაც კი, როდესაც აქ ჯინი მოძრაობაში მოჰყავდა შიგაწვის ძრავს. ასეთ „ქარხნებში", როგორც წესი, 1, 2 ან 3 კაცი მუშაობდა. სამუშაო სეზონური იყო, ხელფასი—ძლიერ მცირე. ყველაზე დიდ საწარმოშიც მხოლოდ ერთი ოსტატი მუშაობდა, დანარჩენები შავი მუშები იყვნენ, რომლებიც ძალიან მძიმე, ანტიჰიგიენურ პირობებში შრომობდნენ.

ნ. ჯინით გაწმენდილი ბამბის ბოჭკო შემდეგ იწნეხებოდა, რათა ადვილად გადასატან-გადასაზიდი ყოფილიყო.

საერთოდ, ბამბის მსოფლიო ბაზარი მოითხოვდა, რომ საქონელი გარკვეული სტანდარტისა და ნომენკლატურის მიხედვით ყოფილიყო დახარისხებული და შეფუთული. ეს მოთხოვნა ცხადია, თვით ბამბეულის მრეწველობის ინტერესებით იყო ნაკარნახევი. სხვადასხვა ხარისხის—გრძელბოჭკოვანი თუ მოკლებოჭკოვანი ბამბა სხვადასხვაგვარი წარმოებრივი დანიშნულებისა იყო და, აქ მხრივ, კლასიფიკაციის შესაბამისად. საფიქრო მრეწველობის ფირმები ვარკვეულ მოთხოვნებს უყენებდნენ ბამბის ბოჭკოს, როგორც ნედლეულს.

ამიერკავკასიის მებამბეობის რაიონებში ბამბის ბოჭკოს დახარისხებისა და შეფუთვის საქმე XIX ს-ის 80-იან წლებშიც კი შედარებით დაბალ დონეზე იდგა. ამ ვითარებას განაპირობებდა ქორეაპართა, მევახშე-შემსყიდველთა გაუბაძლრობა. ისინი სრულიად არ იყვნენ დაინტერესებული ეზრუნათ ადგილობრივი ბამბის რეპუტაციისათვის. ეს შემსყიდველები უმთავრესად წვრილ მწარმოებელთაგან შესყიდულ სხვადასხვა ჯიშის ბამბას ერთმანეთში ურევდნენ და ბარდანებში ჩაყრილს აგზავნიდნენ საგუბერნიო ცენტრებში—ქუთაისს, თბილისს, ერევანს, სადაც მას ხარახნის წნეხის მეშვეობით ნაკრაულებად ფუთავდ-

---

[31] С. Тимофеев, Статистика... за 1914 г., გვ. 20.

[32] С. Тимофеев, Статистика... за 1912 г., გვ. 25, 30—31; — за 1913 г., გვ. 23, 27; — за 1914 г., გვ. 20.

ნენ და ამ სახით, ე. ი. დახარისხების გარეშე, აგზავნიდნენ რუსეთის ცენტრალური გუბერნიებისა და უცხოეთის ბაზრების, ანდა პირდაპირ ბამბეულის ფაბრიკების მისამართით.

გასაგებია, ასეთ ვითარებას არ შეეძლო უარყოფითად არ ემოქმედა ამიერკავკასიური ბამბის ფასებზე და საბოლოოდ თვით მებამბეობის განვითარებაზეც.

ამიერკავკასიაში ბამბის დასორტვა, როგორც ჩანს, პირველმა დაიწყო ფირმამ „Большая Ярославская мануфактура", ერევანში. ეს ფირმა მხოლოდ სათანადოდ დასორტვის შემდეგ იწყებდა გასაგზავნი ბოჭკოს დაწნეხვა-შეფუთვას. ბამბის ბოჭკოს დასაწნეხად ამ ფირმამ და ალექსეევის ფირმამ 1887 წელს ერევანში დადგეს პირველი ჰიდრაელური წნეხი. შემდეგ ასეთივე წნეხი აქ დადგა პოზნანსკის ფირმამაც[33].

ჰიდრავლური წნეხი. მანამდე გაბატონებული ბელისტრახნიან წნეხთან შედარებით, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენდა იმ მხრივ, რომ მან დაახლოებით 20 პროცენტით შეამცირა შორეულ პუნქტებში გადასაზიდი ბამბის ფიზიკური მოცულობა. ამგვარად, ჰიდრაელური წნეხის და შემდეგ. XX ს-ის პირველი ათეული წლებიდან, აგრეთვე ორთქლის წნეხის გამოყენებამ ძნიშნელოვნად შეამცირა ბამბის ბოჭკოს შეფუთვისა და ტრანსპორტირების ხარჯები. ხოლო ბამბის დასორტვის წესების გატარებამ უფრო მეტად შეუწყო ხელი აქაური პროდუქციის სახელისა და, შესაბამისად, ფასების განმტკიცებას.

განვითარების გზაზე შემდგარ ამიერკავკასიის მებამბეობას, ისევე როგორც მთელს სახალხო მეურნეობას, მძიმე განსაცდელი მოევლინა პირველი მსოფლიო ომისა და შემდეგ სამოქალაქო ომის სახით. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო აქ მებამბეობის სწრაფი აღმავლობა და ამასთანავე ერთად ბამბის პირველადმა გადამუშავებამ ნამდვილად ქარხნული, მსხვილი წარმოების ხასიათი მიიღო, მაგრამ ეს უკვე სოციალისტური წარმოების უპირატესობათა მონაპოვარი იყო.

---

[33] საქ. ცსსა, ფ. 125, საქმე № 2. ფურც. 1 — 17.

აბელ კოკვიძე

ალ. წულუკიძის წერილები გაზეთ „კვალში“ საზოგადოებრივ-ეკონომიურ საკითხებზე[1]

„კვალი“ 1899 წელსაც განაგრძობს ზოგად დემოკრატიულ გზას, მაგრამ მის პუბლიცისტიკაში როგორც წინა წლებში, ისე ახლაც ვხვდებით საფუძვლიან წერილებს საზოგადოებრივ-ეკონომიურ საკითხებზე, სადაც მოცემულია ცდა მარქსისტული მოძღვრების საფუძველზე აიხსნას ეს საკითხები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ალ. წულუკიძის წერილები — „ოცნება და სინამდვილე“, „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“ („კვალი“, 1899 წ., №№ 42, 43, 46, 48). პირველ წერილში ავტორი ეხება ახტაგონისტური საზოგადოების განვითარების საკითხებს და კერძო საკუთრების, ე. ი. კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის დროიდან სოციალური განვითარების. მთელი პროგრესის პირობად მას ანტაგონიზმი, გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა მიაჩნია.

რაც წინ მიდის კაცობრიობა პროგრესის გზაზე, მით უფრო დიდი უფსკრული ჩნდება საზოგადოების შიგნით მჭონებელთა და უქონელთა შორის: „ერთი მხრით სიმდიდრე და განცხრომა, მეორე მხრით სიღატაკე და სიბეჩავე“. რა მოსპობს ამ უთანასწორობას? აი უმთავრესი კითხვა, ავტორის აზრით, რომელიც ისტორიამ დაუყენა კაცობრიობას. ყოველგვარი ცდა განეკურნათ კაცობრიობა „ამ სენისაგან“ — გაღატაკების უმაგალითო ზრდისაგან, ფუჭი ოცნება გამოდგა.

ასე, რომ საზოგადოების კეთილდღეობისათვის ჭეშმარიტად მებრძოლთა სურვილები სხვა არის და ობიექტური სინამდვილე კიდევ სხვა. და ეს სიხაშინამდვილე კიდევ უფრო „ანცვიფრებდა კაცობრიობის მეგობრებს — მოაზრეებს. კიდევ მეტს წერენ და ლაპარაკობენ; რეცეპტები ათასობით გამოდის, მხოლოდ სნეული უფრო ავადდება ამ წამლებით“. ერთ-ერთ „მკურნალად“ ავტორს დასახელებული ჰყავს ცნობილი მალტუსი, რომელიც კაცობრიობის გაღატაკების მიზეზს ხალხის გამრავლებაში ხედავდა. მალტუსი აღნიშნავდა, რომ ხალხი უფრო მეტად მრავლდება, ვიდრე მისი საკვები პროდუქტები. აქიტომ ის იძლეოდა გაფრთხილებას, ნება არ დაერთოთ ღარიბებისათვის ცოლის შერთვისა, ხოლო ვისაც შერთული ჰყავდა, სხვადასხვა საშუალებით მოესპოთ შთამომავლობის შექმნის შესაძლებლობა. „ეს წამალი, — აბობს ალ. წულუკიძე, — გამოუდეგარი შეიქმნა, რადგან მიზეზი გამრავლება არ

[1] წერილი ამოღებულია მონოგრაფიიდან—გაზეთი „კვალი“.

ყოფილა... მას მერმე ხალხი გამრავლდა, კიდევ მეტად საზრდო ტკბილეულობაც. მხოლოდ ეს უმცირესობის ხელში მოგროვდა და მით წიხანდელი მდგომარეობა ვერ შეიცვალა. რობერტ მალტუსი მეცნიერი იყო, მხოლოდ მისი მოძღვრება—ოცნება, სინამდვილეს დაშორებული“ („კვალი“, 1899 წ., № 42, გვ. 718).

შემდეგ ავტორი გადადის მეორე რობერტზე. ეს არის რობერტ ოუენი, რომელსაც მიაჩნდა, რომ მთელი უბედურება თითქოს მრეწველებსა და მუშებს შორის შეუთანხმებლობიდან წარმოდგება. ოუენი ოცნებობდა, რომ ყოველი მუშა იმავე დროს ყოფილიყო მრეწველი. მან მთელი თავისი ქონება მოახმარა ისეთი წარმოების შექმნას, სადაც განსხვავებას მრეწველებსა და მუშებს შორის აღარ ექნებოდა ადგილი. მაგრამ მისმა ღონისძიებებმა ფეხზე დააყენა მხოლოდ რამდენიმე გაჭირვებული და სრულიად უმწეო გამოდგა არსებული ეკონომიური ურთიერთობის შესაცვლელად. ოუენისდაგვარად ოცნებად დარჩა პროექტები ისეთ დიდბუნებოვან ადამიანთა, როგორიც იყვნენ სენ-სიმონი, ფურიე და სხვ.

მხოლოდ ეკონომიური ურთიერთობის ძირითად შეცვლას შეუძლია, ავტორის აზრით, ბოლო მოუღოს საზოგადოებრივ უსწორმასწორობას. ერთის მეორეზე ბატონობას და სხვ. ალ. წულუკიძე სვამს კითხვას — „როგორ დასვდნენ ჩვენებური პუბლიცისტები ამ შემოპარებულ სენს, როგორი ექიმები გამოდგნენ? რა წამალი მიაწოდეს? — არავითარი, — პასუხობს ის. — ფიქრობდნენ, რომ ჩვენში ეს სენი ვერ შემოვაო, მთავარია ეროვნული კულტურა ავწიოთ მაღლა, გავაჩაღოთ ფაბრიკა-ქარხნები, გავაორკეცოთ შრომის ნაყოფიერება და დაცული ვიქნებით ამ გადამდებ ავადმყოფობისაგანო. „ასე ღაღადებდნენ“ „ნაფიცი“ პუბლიცისტები; ამნაირად ესმით მათ საზოგადოებრივი განვითარების ისტორია და რა გასაკვირველია, რომ მათ ეუცხოვათ ყოველი ახალი აზრი“ („კვალი“, 1899 წ., № 42, გვ. 718).

ავტორს მხედველობაში ჰყავს „ივერია“-„მოამბის“ პუბლიცისტები და მათი შეხედულება მარქსიზმთან.

როგორც მარქსისტი პუბლიცისტი ალ. წულუკიძე შენიშნავს: „მათ (ე. ი. „ივერია“-„მოამბის“ პუბლიცისტებმა, ა. კ.) არ იციან, რომ დღევანდელი წარმოების თანშობილია ყოველივე ის, რაც მათ აშინებს და ვერ ამჩნევენ მათ შორის განუშორებელ კავშირს“ (იქვე). ამგვარად, გონებრივ სიდიდესთან ერთად ცივილიზაციას სჩვევია გამოიჩინოს საზიზღარი ზნეობრივი თვისებები, რომლის მოშლა რჩევას და დარიგებას არ შეუძლია და, რომელიც შეიცვლება მთელი ეკონომიური და სოციალური წყობის შეცვლასთან ერთად. ასეთია ავტორის დასკვნა.

„ყოველი საზოგადოებრივი განწყობილება, — წერს ალ. წულუკიძე, — დამოკიდებულია განსაზღვრულ ეკონომიურ ცხოვრებაზე“ („ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“, „კვალი“, 1899 წ., № 46, გვ. 781). ახალ აზრად პუბლიცისტს საჭიროდ მიაჩნია შეეხოს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს, აჩვენოს ქართველ საზოგადოებას, რომ საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების საკითხები ვერ ახსნა სწორად თვით კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ. რაღა უნდა ითქვას „ივერია“-„მოამბის“ პუბლიცისტებზე, რომლებიც, ავტორის სიტყვით, რჩევა-დარიგებებს მიმართავენ და ვერ ითვალისწინებენ იმას, რომ ეკონომიური ცხოვრების განვითარების კანონები აშხვრევენ მათ ნება-სურვილებს საზოგადოების, ხალხის კეთილდღეობისათვის.

პუბლიცისტის მიზანია დაუმტკიცოს ქართველ საზოგადოებას, რომ მხოლოდ მეცნიერული სოციალიზმის თეორია — მარქსიზმი სწნის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების საკითხებს მთელი სინამდვილით და ეს თეორია უნდა გახდეს დასაყრდენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ძალებისა და კანონების შესაგნებად.

წერილში — „ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან", — ალ. წულუკიძე უპირველესად ეხება პოლიტიკური ეკონომიის ფიზიოკრატების სკოლას.

„ფიზიოკრატებმა, — ამბობდა ავტორი, — ყველაზე უწინ შეიგნეს ის ჭეშმარიტება, რომ ვაჭრობას არ შეუძლია ახალი ღირებულების შექმნა. საქონელი სანამ ბაზარში გატანილა, გასასყიდათ დამზადებულა, მანამდი აქვს შეძენილი ახალი ღირებულება, სწორედ იმ დროს, როდესაც თვით წარმოების პროცესი სდება, საქონელი კეთდება" („კვალი" 1899 წ. № 46, გვ. 798). ის, რასაც ალ. წულუკიძე ახალ ღირებულებას უწოდებს, არის ზედმეტი ღირებულება.

კამოდის, რომ ფიზიოკრატებს ზედმეტი ღირებულება აღმოუჩენიათ. დიაბ. ფიზიოკრატები მართლაც იკვლევდნენ ღირებულების ზრდის ანუ ზედმეტი ღირებულების საკითხებს. მაგრამ ისინი კაპიტალის წარმოებას სედავდნენ მხოლოდ მიწათმოქმედებაში და ზედმეტი ღირებულების წყაროს ეძებდნენ არა საზოგადოებრივ ურთიერთობაში, არამედ ბუნებაში. ფიზიოკრატები კაპიტალის ანალიზს იძლეოდნენ მიწათმოქმედების, როგორც ძირითადი წარმოების მაგალითზე და მრეწველობა კი პროდუქტის უბრალოდ სახის შეცვლად მიაჩნდათ.

ვერც ფიზიოკრატები და ვერც სხვა რომელიმე ეკონომიური სკოლა მარქსამდე ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ახსნილიყო თუ რაში მდგომარეობს ღირებულების ზრდის პროცესი და მაშასადამე, საიდან წარმოსდგება ზედმეტი ღირებულება. რიკარდო და ადამ სმიტი ამტკიცებდნენ, რომ ღირებულების საზომია შრომა. რაც ღირს ის შრომა, რომელიც დახარჯულია საქონლის შესაქმნელად, იმდენივე უნდა ღირდეს საქონელი. წარმოებაში, ე. ი. შრომის პროცესში იქმნება არა საქონელი, არამედ პროდუქტი, ე. ი. შრომა ქმნის პროდუქტს, რომელიც, როგორც კი ბაზარზე გადის, იქცევა საქონლად. საქონელი ამ შემთხვევაში პროდუქტისაგან არაფრით განსხვავდება, გარდა იმისა, რომ მისი გაცვლა ანუ გაყიდვა შეიძლება.

ამრიგად, პროდუქტი შეიძლება უშუალოდ მოიხმაროს ადამიანმა და ამ შემთხვევაში მას აქვს სახმარი ღირებულება. შეიძლება იგივე პროდუქტი ბაზარზე იქნეს გატანილი, რათა გაიცვალოს, ამრიგად იქცეს საქონლად, რომ იგი სხვამ მოიხმაროს. მაშასადამე, საქონელი იგივე პროდუქტია, რომელსაც მოსახმარი დანიშნულება, ღირებულება აქვს, ხოლო საქონელს ამასთანავე აქვს გასაცვლელი დანიშნულება, საცვლელი ღირებულება. აი იქ, სადაც პროდუქტი საქონლად იქცევა. მარქსიძდელი ეკონომისტები იტყოდნენ, ღირებულება იზრდებაო. ღირებულების ზრდა, მათი სიტყვით, პროდუქტის საქონლად ქცევასთან იყო დაკავშირებული. ღირებულების ზრდა შეადგენს საქონლის თვისებას, თუმცა, საქონლის ღირებულების საზომად მათ შრომა მიაჩნდათ. რაც ღირდა შრომა, ის უნდა ღირებულიყო ამ შრომით შექმნილი საქონელიც. არც მეტი, არც ნაკლები.

მართალია, ინგლისურმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ახსნა ღირებულების კანონი, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასზე დახარჯული შრომით, რომ ვაჭრობა არ ქმნის და არც ზრდის ღირებულებას, მაგრამ კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ვერ ახსნა ღირებულების ზრდის პროცესი და ეს ზრდა მან საქონლის თვისებას მიაწერა.

მხოლოდ მარქსმა აღმოაჩინა ღირებულების ზრდის, ანუ ზედმეტი ღირებულების კანონი. მან აღმოაჩინა, რომ შრომის პროცესი, რომელიც სამუშაო ძალის მოხმარების პროცესია, იმავე დროს არის საქონლის წარმოების პროცესი, ე. ი. ღირებულების ზრდის პროცესი. თუ ფიზიოკრატებმა შესძლეს უკვე, როგორც ალ. წულუკიძე ამბობს, შეეგნოთ ღირებულების ზრდის პროცესი საქონლის წარმოებაში, მაშასადამე ადამ სმიტისა და რიკარდოს დროს პოლიტიკური ეკონომია უკან წასულა. მაგრამ ეს სწორი არ არის. მიუხედავად ამისა ალ. წულუკიძე მაინც სწორი პოზიციებიდან აკრიტიკებს ადამ სმიტს.

საქონლის ღირებულება, აღნიშნავს ავტორი, პოლიტიკური ეკონომიის სისტემაში უმთავრეს კითხვას წარმოადგენს. ვნახოთ ახლა როგორ გაუსწორდა მას ადამ სმიტი: „ყოველი ნივთის ღირებულება, — მისი აზრით, — თუ პატრონს არ უნდა მოიხმაროს ეს ნივთი, არამედ სურს სხვა ნივთზე გასცვალოს, უთუოდ უდრის შრომის იმ რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია იყიდოს ამ ნივთით“. მაგრამ სმიტმა ვერ გაატარა ბოლომდე ეს ჰეშმარიტება, გადაცდა სწორ გზას და აღიარა, რომ ეს აზრი ჰეშმარიტი იყო მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოება დაყოფილი არ იყო კაპიტალისტებად, მუშებად, მიწათმფლობელებად, ფერმერებად, არამედ წარმოადგენდა თანასწორ მთელს და მისი წევრები, როგორც საქონლის უბრალო მწარმოებლები, მხოლოდ უცვლიდნენ ერთმანეთს საქონელს. დღეს კი საქონლის ღირებულება უდრის შრომის ხელფასს, წმინდა შემოსავალს და რენტას ერთად შეერთებულს... სმიტმა ვერ ახსნა, ვერ გამოარკვია ღირებულების ნამდვილი წყარო, შრომას სწორედ ის ნაწილები დაურთო, რომლებიც თვით შრომისაგან წარმოიშობიან და ზედმეტი ღირებულებით შექმნილი სიმდიდრის მხოლოდ სხვადასხვა ფორმას წარმოადგენენ („ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან“, „კვალი“, 1899 წ., № 48, გვ. 814—815).

აქედან კარგად ჩანს ალ. წულუკიძის ღრმა ცოდნა ეკონომიური მეცნიერებისა. „კვალის“ 1903 წლის ოცდამერვე ნომრიდან ალ. წულუკიძე უკვე მარქსის „კაპიტალის“ გადმოცემას შესდგომია. პირველ წერილში („კვალი“, 1903 წ., №№ 28, 29) ის უკვე „საქონელს“ არჩევს. მარქსის „კაპიტალზე“ წერილებს მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი მკითხველისათვის. მეტადრე მუშათა მოძრაობის იმ ეტაპზე, როცა მოახლოებული სახალხო რევოლუცია მუშათა კლასს წინ უყენებდა რევოლუციის შესაბამის პერსპექტივებს. ალ. წულუკიძის ეს წერილები იბეჭდებოდა პარტიის II ყრილობის შემდეგ, როცა მარქსისტული პარტია განსაკუთრებით საჭიროებდა მუშებში მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრების პოპულარიზაციას.

ალ. წულუკიძე სწორედ მუშებისათვის გასაგები ენით გადმოსცემდა „პოლიტიკური ეკონომიის ნაწყვეტების“ სახელწოდების ქვეშ — „საქონელს“, „კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების წყაროს“, „სამუშაო დღეს“, „კოოპერაციას“, „შრომის განაწილებას და მანუფაქტურას“, „მანქანებ-

პოპულარულად ასაბუთებს რა საქონლის რაობას, ალ. წულუკიძე წერს: „ყოველს ნივთს, რომელიც მოსახმარად გამოდგება, აქვს სახმარი ღირებულება; ასეთი მოსახმარი ნივთი, რომელიც გასაცვლელად მზადდება, არის საქონელი; ამიტომ ყოველ საქონელს აქვს საცვლელი ღირებულება. საცვლელი ღირებულების წყარო არის ადამიანის შრომა. ღირებულება განიზომება ამ შრომის რაოდენობით“ („კვალი“, 1903 წ., № 28, გვ. 458).

საქონლის გაცვლისა და ფულის შესახებ ალ. წულუკიძის ნარკვევში იშვიათი სიმარტივით და სიზუსტით არის ახსნილი ღირებულების მარტივი ფორმა, ფულის ტრიალის არსი, კრედიტისა და ბანკების მნიშვნელობა, სახელმწიფო ვალუტის საფუძვლები, ოქროს ფულისა და ასიგნაციების შეფარდება, მიზეზი ფულის კურსის დაცემისა და სხვა („კვალი“, № 29).

განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორის მიერ კაპიტალის ახსნა. ის ამბობს, რომ ფულის ფულზე გაცვლა თანამედროვე წარმოების დედაძარღვია და მხოლოდ ამ გაცვლით წარმოდგება კაპიტალი. მაგრამ უაზრობა იქნებოდა, ავტორის სიტყვით, რომ ამ გაცვლაში ერთი და იგივე ღირებულება მეორდებოდეს უცვლელად, ეს ხომ ბავშვების თამაშობა გამოვიდოდა? მაგრამ წარმოიდგინეთ მდგომარეობა — ფულის ფულზე გაცვლას აწარმოებს ერთმანეთში ევროპა, აზია, ამერიკა. ნუთუ ეს ქვეყნები მხოლოდ თამაშობენ? „მაგრამ მაგარიც ეს არის, — ამბობს ავტორი — რომ აქ არც წინააღმდეგობაა და არც უაზრობა. არ არის იმიტომ, რომ ას მანეთად ნაყიდი მატყლი მექარხნემ ასოც მანეთად გაასაღა, როცა ახალ საქონლად შალი აქცია, ე. ი. დახარჯულ ფულს ბოლოს ფული მოემატა. ჩვენი ფორმულა რომ ვიხმაროთ და მომატებულ ფულს ა(ანი) დავარქვათ, მივიღებთ შემდეგს: ფ—ს—ფ+ა (ფული—საქონელი და ისევ წინანდელი ფული ახალი ფულის დამატებით). პირველის საცვლელ ღირებულებას ღირებულება მიემატა. ამას ქვია ზედმეტი ღირებულება. ამნაირად, პირვანდელი ღირებულება არა თუ მარტო შეინახება, გაიზრდება, რაოდენობით გამოიცვლება. აი სწორედ ეს წარმოშობს კაპიტალს“ („კვალი“, 1903 წ., № 30, გვ 488).

შემდეგ ავტორი ხსნის თუ საიდან წარმოსდგება კაპიტალი და იშვიათი ოსტატობით ამტკიცებს, რომ კაპიტალს ვაჭრობა კი არ წარმოშობს, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, არამედ ზედმეტი ღირებულება, რომელიც წარმოებაში, შრომის პროცესში იქმნება სამუშაო ძალის, როგორც საქონლის წარმოებით, ანუ მოხმარებით.

ბატონყმობის დროს სამუშაო ძალა მიკრული იყო მემამულეზე და მას— ყმას სხვაგან წასვლა არ შეეძლო, ამიტომ ამ ძალის ბაზარიც არ მოიპოვებოდა. ადამიანის თავისუფლებამ გააჩინა, ავტორის აზრით, ეს ბაზარი, სადაც სამუშაო ძალა იყიდება, როგორც საქონელი. „რით განიზომება მისი ღირებულება? ისევე, როგორც სხვა საქონლის, მით, რითაც სხვა საქონლის ღირებულება განიზომება: იმ სამუშაოს დროით, რომელიც საჭიროა სამუშაო ძალის აღსადგენად, გასაკეთებლად. მუშისათვის საჭიროა სურსათი. სამუშაო ძალის შესანახათ, აღსადგენად, სმა-ჭამა, ჩაცმა-დახურვა ესაჭიროება, ამიტომ მისი ღირებულება უდრის იმ „პურს არსობისას“, რომელიც საჭიროა ამ ძალის პატრონის შესანახათ, საცხოვრებლად“.

შემდეგ ავტორი განმარტავს, რომ ეს „პური არსობისა“ იმდენი უნდა იქნეს, რამდენიც საჭიროა მუშის ოჯახის შესანახად, მაგრამ ოჯახისა და თვით მისი პატრონის ცხოვრების მოთხოვნილება სხვადასხვაგვარია. მუშა ევროპაში გარდა იმისა, რომ კარგად უნდა იკვებებოდეს, იგი ჟურნალ-გაზეთებს უნდა იძენდეს, კარგად უნდა იცვამდეს, თეატრში დადიოდეს. ამიტომაა, რომ „ინგლისის მუშა არასოდეს არ დაკმაყოფილდება იმ ფასით, რა ფასსაც ჩვენში ჯერდებიან“.

მუშა თავისუფალია, მაგრამ რა ქნას ამ თავისუფლებით? ეს თავისუფლება მას, ავტორის სიტყვით, უარეს ბორკილებს ადებს, ულუკმაპუროდ დარჩენილი თანხმდება მძიმე პირობაზე ახალ ბატონთან — მექარხნესთან გაუშუროს. ქარხანაში მუშას მზად ხვდება ყველაფერი: ნედლი მასალა და საწარმოო იარაღები, რომლითაც მან ნედლი მასალა უნდა გადაამუშაოს და შექმნას საქონელი, რომელიც ქარხნის პატრონს ბაზარზე გააქვს. ის ნედლი მასალა და საწარმოო საშუალებანი ანუ იარაღები, რომელიც ქარხანაში დახვდა ახლად დაქირავებულ მუშას, წინანდელი შრომის ნაყოფია. „დღეს ეს მასალა საშუალებაა ახალი საქონლის შესაქმნელად. დღეს მან (მექარხნემ, ა. კ.) კიდევ ახალი საქონელი შეიძინა, სხვანაირი თვისებებისა და სახის; ცოცხალი ადამიანი იყიდა“.

ამ საქონლის ღირებულება თვით მისმა წარმოებამ ანუ ქარხანაში სამუშაო ძალის გამოყენებამ უნდა აანაზღაუროს, თუ არა, ამ საქონლის მყიდველი კაპიტალისტი წაგებული დარჩება. „ის დრო, რაც საჭიროა მუშის ქირის აღსადგენად, „აუცილებელი სამუშაო დროა“. ვთქვათ, ეს დრო განისაზღვრება დღიურად 6 საათით, მაგრამ კაპიტალისტი მუშას ამუშავებს დღიურად არა მხოლოდ 6 საათს, არამედ 10—12 საათს. პირველ შემთხვევაში, ე. ი. აუცილებელ სამუშაო დროში „მუშა მხოლოდ თავის გამოსაკვებს გამოიმუშავებს. ამაზე მეტს, რასაც მუშაობს, მის კუთვნილ არ არგია, ის საჭიროებაზე ზედმეტი დროა. და ამიტომ მისი შრომაც ზედმეტი შრომაა. ამ შრომაში მას ქირა არ მიუღია, მას მუქთათ ისაკუთრებს ქარხნის პატრონი. აი სწორედ ამაშია მისი განმასხვავებელი თვისება სხვა საქონლისაგან“ („კვალი“, № 34, გვ., 490).

ალ. წულუკიძის ასეთი მსჯელობა, რომელსაც ის „მკითხველთან საუბარს“ უწოდებს, მართლაც რომ საუბარია, მეტად მიმზიდველი და გასაგები, პოლიტიკური ეკონომიის ისეთი რთული საკითხების შესახებ, როგორიცაა კაპიტალი და ზედმეტი ღირებულება. მეტად საინტერესოა ავტორის დასკვნა მისი საუბრის შემდეგ: „მაშასადამე კაპიტალია ყოველნაირი ქონება, რომლის შემწეობით სხვისი შრომისაგან მოგება დარჩება. მხოლოდ ამ ორ კაპიტალში პირველია მუდმივი, ამიტომ მუდმივი კაპიტალი (**постоянный капитал**) ეწოდება; მეორე იცვლება, მას ცვალებადი კაპიტალი (**переменный капитал**) ქვია. აი ეს უკანასკნელია ზედმეტი ღირებულების შემქმნელი წყაროც“ („კვალი“, 1903 წ., № 30, გვ. 490).

ალ. წულუკიძე ცხოველი ფერებით ხატავს სამუშაო დღეს და მეცნიერულად ასაბუთებს კაპიტალისტური ექსპლოატაცის საფუძვლებს: „რა რომ კაპიტალისტმა სამუშაოს ძალა დღიურად იჭირავა, ეს ძალა მას ეკუთვნის მთე-

ლი დღის განმავლობაში. ამიტომ მას უფლებაც აქვს მუშას მთელი დღის მუშაობა მოსთხოვოს. კაპიტალისტი განხორციელებული კაპიტალია, ხოლო კაპიტალის დანიშნულებაა თავისი ღირებულება შეუსვენებლივ ზარდოს, ზედმეტი ღირებულება შექმნას, დღითი დღე იმატოს" („კვალი", 1903 წ., № 31, გვ. 516).

ავტორი განმარტავს სამუშაო დღის აუცილებელ და ზედმეტ დროს. იგი მკითხველს უთვალისწინებს, რომ გარდა იმ დროისა, რომელიც აუცილებელია სმა-ჭამისა და მოსვენება-ძილისათვის, რომ მუშამ აღიდგინოს ფიზიკური ძალა, მუშისათვის საჭიროა დრო ჟურნალ-გაზეთის და საზოგადოდ წიგნის წასაკითხად, საჭიროა ისმენდეს ლექციებს ამა თუ იმ საკითხზე, დადიოდეს თეატრში, ერთი სიტყვით, გააკეთოს ყველაფერი ის, რაც აუცილებელია, რომ მან ზოოლოგიურ მდგომარეობას თავი დააღწიოს და გახდეს საზოგადოების ცნობიერი მოქმედი წევრი.

„სამწუხაროდ ეს ზნეობრივი საზღვრები — წერს ავტორი—ჩვენებურ მუშას უფრო შორს უძევს, ვიდრე ევროპისას, მხოლოთ, საბედნიეროთ, ევროპის თანამოძმეების მაგალითი და თვით ჩვენი ქვეყნის კულტურული წარმოება აახლოვებს ამ საზღვარს და მით ჩვენ მუშასაც უკეთეს მომავალს უქადის".

ალ. წულუკიძე დარწმუნებულია, რომ ევროპის მუშას უცილებელი სამუშაოს და დახარჯული ენერგიის აღსადგენად საჭირო დროის გარეშე რჩება კიდევ იმდენი დრო, რომ მან ხელი მიჰყოს კულტურულ საზრდოს, იკითხოს, უსმინოს, გაერთოს. ამავე დროს მას მოტანილი აქვს მრავალი მაგალითი ევროპის მუშათა საწარმოო პირობებიდან, როცა მუშა ფიზიკური მოსპობის სანიშროების წინაშე დგას.

„ლონდონელი მებულკის მუშაობა ჩვეულებრივ ღამის ათ საათზე დაიწყება. ამ დროს იწყებს ცომის ზელვას, რაც მეტად დამღლავია... მერმე დაწვება ფიცარზე, რომელიც ამ დროს ცომიანი გობის სახურავიც არის, ფქვილის ტომარა თავქვეშ უდევს. სახურავიც ასეთი ტომარა აქვს და ამნაირათ სულ ორი საათი ძინავს; ამის შემდეგ დაიწყება სწრაფი, შეუწყვეტელი მუშაობა ოთხი საათის განმავლობაში. ცომის გათელვა, გაფენა და სხვა და სხვა ფორმების ბულკების კეთება, ფურნეში შეწყობა, გამოღება და სხვ. ფურნეში სიცხე ამ დროს 75-დან 90 გრადუსამდე ადის".

რა თქმა უნდა, ასეთი აუტანელი საწარმოო პირობები სრულიად გამორიცხავს მუშაობისათვის მისი ფიზიკური ძალის აღსადგენი დროის გარეშე დროს, რომელიც მან კულტურულ ცხოვრებას უნდა მოახმაროს. მაშასადამე, ალ. წულუკიძის მიერ მითითებული ევროპის მუშის კულტურული ცხოვრების მაგალითი. რომელსაც ქართველი მუშა უნდა დაახლოვებოდა, სიხამდვილეს არ გამოხატავს და იგი მხოლოდ სასურველ მდგომარეობას გულისხმობს ევროპის დაწყნარებული ცხოვრების პირობებში.

საინტერესოა, რომ ავტორს მოჰყავს ინგლისის სამრეწველო ცხოვრების მაგალითები, თუ როგორ ტანჯვას განიცდიან იქ მუშები და მათი ოჯახები და განზე სტოვებს საქართველოს მრეწველობას, აქაური მუშათა სამუშაო დღეს. თუმცა თავის წერილებში ის მიუთითებს ზოგადად, რომ ჩვენებური მუშა გაცილებით უფრო ცუდ საწარმოო პირობებში მუშაობს, ვიდრე ევროპის მუშა.

„სამუშაო დღის" („კვალი", 1903 წ., № 33, გვ. 536) შემდეგ ალ. წულუკიძე ამუშავებს და გადმოსცემს პოლიტიკური ეკონომიის ისეთ საკითხებს,

როგორიცაა „კოოპერაცია“, „მანუფაქტურა“, „მანქანური წარმოება“ („კვალი“, 1903 წ., № 34; 1904 წ., № 1, 2, 3).

მანქანური წარმოების ანალიზით ავტორი ამთავრებს თავის წერილებს პოლიტიკური ეკონომიიდან, რომელსაც ის უწოდებს საუბარს მკითხველთან და რომლის სათაურია აგრეთვე „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“.

„კვალმა“ ამ წერილებით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, განსაკუთრებით მუშათა საკითხში. ყოველ შემთხვევაში, მუშათა კლასის მდგომარეობაზე გაზეთის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მეცნიერული ხასიათის სხვა წერილები, გარდა კორესპონდენციებისა, არ დაბეჭდილა.

ალ. წულუკიძის წერილების — „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან“ — ბეჭდვის დამთავრების შემდეგ „კვალმაც“ შეწყვიტა არსებობა. 1904 წლის მეოთხე ნომრის შემდეგ „კვალი“ აღარ გამოსულა.

ი. უთურაშვილი

სავაჭრო მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოში (XIX საუკ. მეორე ნახევარი- -XX საუკ. დასაწყისი)

სავაჭრო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ზრდა ერთი მხრივ და გლეხობის კლასობრივი დიფერენციაცია, მეორე მხრივ, წარმოადგენს სოფლად კაპიტალიზმის განვითარების ერთიანი პროცესის ორ ძირითად მხარეს.

როგორც ცნობილია, სავაჭრო მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ზრდა-განვითარება, პირველ ყოვლისა, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სპეციალიზაციაში ვლინდება, ხოლო ამ სპეციალიზაციას აღმოსავლეთ საქართველოში სავსებით გამოკვეთილი სახე ჰქონდა XIX საუკ. ბოლოს.

წინამდებარე სტატიაში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოში სავაჭრო მესაქონლეობის განვითარების რაოდენობრივი მაჩვენებლების საკითხი.

მოვიყვანთ ზოგიერთ მონაცემებს.

თბილისის გუბერნია

წელი	საქონლის სულადობა				
	ცხენი	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	ცხვარი თხა	ღორი	ვირი ჯორი
1861[1]	69.988	358.002	705.586	239.997	
1862[2]	71.173	331.223	1154.902	221.829	
1867[3]	90.566	431.195	1.691.478	102.454	14.902
1869[4]	75.351	417.734	1.178.967		
1880[5]	—	300.000	1.500.000		
1886[6]	64.050	549.000	1.828.149	127.850	16.050
1887[7]	—	641.300	1.831.600	128.900	—
1888[8]	—	533.100	1.465.900	94.600	—
1890[9]	—	429.700	1.578.200	—	—
1891[10]	98.562*	533.900	1.192.128	77.719	—
1892[11]	82.814	469.295	1.174.101	91.985	13.442
1894[12]	67.045	464.817	1.326.912	161.368	13.408
1896[13]	—	457.459	[illegible]98.760	—	—
1899[14]	52.807	438.937	1.409.884	47.489	12.066
1901[15]	55.617	445.292	1.106.281	75.381	16.907
1907[16]	90.266	795.762	1.913.647	87.544	31.522
1913[17]	80.445	835.294	1.563.922	84.922	28.645

1861—1867 წლების მონაცემებში შედის ელისავეტპოლის (განჯის) მაზრის საქონლის რაოდენობა. როგორც ცნობილია, 1867 წლის დეკემბრამდე ეს მაზ-

1 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (საქ. ცსსა), ფონდი 17, საქმე 8954 ბ, ფრც. 26, 1862 წ.

2 საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 8957 ბ, ფრც. 24, 1863 წ.

3 საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 8972, ფრც. 43, 1867 წ.

4 საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 8980 ბ, ფრც. 96, 1870 წ.

5 საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 9004 ბ, ფრც. 8, 1881 წ.

6 საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 8747, ფრც. 91, 1887 წ.

რა თბილისის გუბერნიაში შედიოდა, ხოლო შემდეგ დამოუკიდებელ გუბერნიად ჩამოყალიბდა.

სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მესაქონლეობის განვითარების რაოდენობრივ მაჩვენებლებს ასახავს, ყოველთვის როდია ზუსტი, ეს ციფრები შემცირებულად წარმოადგენს საქონლის სულადობას[7].

თუ აქ მოყვანილ ციფრობრივ მონაცემებს მესაქონლეობის ცალკეულ სახეობათა მიხედვით ერთმანეთს შევადარებთ, ზოგ საგულისხმო შედეგს მივიღებთ. კერძოდ, XIX საუკ. ბოლოს თუ შევადარებთ XIX საუკ. 60-იანი წლების მეორე ნახევარს შემცირებული ჩანს ცხენთა რაოდენობა, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა მართალია არ შემცირებულა, მაგრამ მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში ზრდა ფრიად უმნიშვნელოა.

რაც შეეხება წვრილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობას მას აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვანი რაოდენობით მატება არ ეტყობა.

ღორის საერთო რაოდენობა აღნიშნული მონაცემებით მნიშვნელოვნად შემცირებული ჩანს, ხოლო სახედრებისა რიცხვი (ვირი, ჯორი) უმნიშვნელოდაა შეცვლილი და ძირითადად ერთგვარია.

ამ სახით, გარეგნული შეხედვით, მესაქონლეობას აღმოსავლეთ საქართველოში, XIX საუკ. მეორე ნახევარში, რაოდენობრივი მატების ან კლების მხრივ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია[8].

ცნობილია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო საქონლის სულადობა ამავე პერიოდში, სტატისტიკური მონაცემებით თითქმის სრულიად არ მატულობს, ამასთან, მესაქონლეობის ზოგიერთ სახეობაში კლებას აქვს ადგილი. გამოდის, რომ მესაქონლეობის განვითარება რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით საგრძნობლად ჩამორჩება მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას.

---

[7] საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 9036 ა. ფრც. 4, 1888 წ.

[8] საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 9046 ა. ფრც. 16, 1889 წ.

[9] ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1284, ანაწერი 223, საქმე 194, ფრც. 70, 72, 1893 წ.

[10] საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 8769 ა. ფრც. 48—50, 55, 1892 წ.

* ამ ციფრში ერთადაა მოცემული ცხვრის, ვირისა და ჯორის რაოდენობა.

[11] საქ. ცსსა; ფ. 17, საქმე 8772 ა, ფრც. 23, 1893 წ.

[12] საქ. ცსსა, ფ. 17, საქმე 9082 ა, ფრც. 8—10, 1895 წ.

[13] Краткие сведения о состоянии на Кавказе сельского хозяйства, агр. А. Калантар, Тифлис, 1900, გვ. 28.

[14] Сборник статистических сведений по Закавказскому краю. Кондратенко, 1902, გვ. 174.

[15] საქ. ცსსა, ფ. 414, ანაწერი 2, საქმე 28, ფრც. 4, 1904 წ.

[16] Кавказский календарь на 1909 г. გვ. 505.

[17] საქ. ცსა, ფ. 17, საქმე 9305, ფრც. 5, 1914 წ.

[17ა] თბილისის გუბერნატორი მიუთითებდა, რომ „точное определение численности рогатого скота представляется делом весьма трудным: на Кавказе же и в Тифлисской губернии в частности точное определение вполне невозможно. При производстве такого определения каждый из хозяев старается по возможности уменьшить число своего скота, боясь, что это ведется с фискальной целью“ (საქ. ცსსა, ფონდი 17, საქმე 8747; ფრც. 91, 1887 წ.)

[18] შეიძლება ინტერესმოკლებული არ იყოს იმის გახსენება, რომ ამ პერიოდში მესაქონლეობა ევროპული რუსეთის მასშტაბითაც არამცთუ იზრდება, არამედ კლებულობს კიდეც. კერძოდ, ევროპული რუსეთის 50 გუბერნიაში წვრილფეხა რქოსანი საქონელი 1864 წლიდან 1895 წლამდე შემცირებულია 5 მლნ. მეტი სულით, ანუ 12%, ხოლო ღორის რაოდენობა —

ასეთია საერთო მონაცემები თბილისის გუბერნიაზე. როგორაა საქმე ცალკეულ მაზრებში განვიხილავთ ქვემოთ.

საქონლის სულადობაზე ცნობები გაგვაჩნია გასული საუკუნის როგორც 80—90-იან, ისე 60—70-იან წლებში, მაგრამ ამ ცნობების წარმოდგენა მაზრების მიხედვით ძნელდება იმის გამო, რომ თბილისის გუბერნია 60-იანი წლების ბოლოს გაყოფილი იყო 6 მაზრად (თბილისის, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავისა და ახალციხის). ხოლო 80-იან წლებში და შემდეგ 9 მაზრად (ახალციხის, ახალქალაქის, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, ბორჩალოსა და თბილისის). ამის გამო მონაცემებს მაზრების მიხედვით მხოლოდ გასული საუკუნის უკანასკნელი მეხუთედისა და XX საუკ. დასაწყისიდან მოვიყვანთ.

იმისათვის, რომ ნათელი იყოს მესაქონლეობის რაოდენობრივი ცვლილებები ცნობებს დავალაგებთ საქონლის ცალკეულ ძირითად სახეობათა მიხედვით.

ცხენთა რაოდენობა თბილისის გუბერნიაში

მაზრა	1886 წ.	1891 წ.	1894 წ.	1899 წ.	1901 წ.
ახალციხის	2.700	4.116[19]	4.586	4.600	6.000
ახალქალაქის	12.000	15.396	12.120	3.689	12.000
გორის	7.000	20.865	6.275	6.000	7.900
დუშეთის	4.050	4.032	4.090	6.055	5.988
თიანეთის	9.250	9.849	9.416	9.408	8.009
სიღნაღის	7.850	26.605	11.570	10.132	3.200[20]
თელავის	12.800	2.500	2.100	120	2500
ბორჩალოს	1.950	10.395	8.909	23	3.500
თბილისის	6.400	6.140	7.919	6.400	6.380

აღარაფერს ვიტყვით სტატისტიკის ზოგიერთ საეჭვო ციფრზე, მაგალითად, ცხენთა რაოდენობის აშკარად არასწორი ციფრები ახალქალაქის მაზრის მიმართ (12 ათასი—1894 წელს, 3.600—1899 წელს, ხოლო 1901 წელს კვლავ 12 ათასი), ან კიდევ 1899 წელს თელავის მაზრაზე ნაჩვენებია სულ 120 ცხენი, ხოლო ბორჩალოზე 23 ცხენი[21]. ამის მსგავს ლაფსუსებს თუ ყურადღებას არ მივაქცევთ მივიღებთ, რომ გასული საუკუნის ბოლო 15—16 წლის განმავლობაში ცხენთა რიცხობრივი მატება შეიმჩნევა ახალციხის, ბორჩალოსა და ნაწილობრივ დუშეთის მაზრებში. არსებითი ცვლილებები მატების ან კლების მხრივ ცხენთა რაოდენობაში არ შეიმჩნევა ახალქალაქის, გორისა და თბილისის მაზრებში, ხოლო მათ კლებას ადგილი ჰქონია სიღნაღის, თელავისა და ნაწილობრივ თიანეთის მაზრებში.

---

631 ათასი სელიო, ანუ 7% (Сборник сведений по истории и статистике внешней торговли России, под редакцией В. И. Покровского, СПб. т. 1, 1902, გვ. 153).

[19] ეს ციფრი მოიცავს როგორც ცხენის, ისე ჯორისა და ჯორის რაოდენობას, ამასთან თბილისის მაზრაში ქ. თბილისის მონაცემები შესული არ არის.

[20] ამ წელს სიღნაღის მაზრაში გარდა ცხენისა აღრიცხული იყო 7.500 ეირი და ჯორი.

[21] ეს უკანასკნელი ციფრობრივი შეუსაბამობა (ცხენთა რაოდენობა თბილისსა და ბორჩალოს მაზრებში 1899 წელს), ვფიქრობთ, უფრო მდივან-გადამწერთა დაუდევრობის შედეგია, ვიდრე სტატისტიკის შეცდომა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცხენი უმთავრესად ტვირთის გადასატანად და სამოგზაუროდ გამოიყენება. მისი მოშენება დაკავშირებული იყო უფრო მეცხვარეობის საერთო განვითარებასთან, თუმცა ცხენების უმნიშვნელო რიცხვი როდი გაჰყავდათ ბაზარზე გასაყიდად.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მაზრების მიხედვით შემდეგნაირად იცვლებოდა:

მაზრა	1886 წ.	1891 წ.	1894 წ.	1899 წ.	1901 წ.
ახალციხის	34.550	48.513	24.491	25.962	30.700
ახალქალაქის	72.550	47.672	46.858	59.910	25.810
გორის	72.350	97.179	103.354	150.000	165.284
დუშეთის	35.450	35.399	35.830	52.175	33.019
თიანეთის	34.550	35.200	35.210	43.136	38.906
სიღნაღის	73.300	113.365	52.238	70.796	53.076
თელავის	134.150	30.000	37.745	18.550	22.110
ბორჩალოს	26.650	77.469	84.632	16.200	27.507
თბილისის	65.450	47.210	44.459	20.455	48.880

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა XIX საუკ. უკანასკნელი ხუთმეტიოდე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზრდილა გორის და ნაწილობრივ თიანეთის მაზრაში. მაზრების უმეტეს ნაწილში შეიმჩნევა საქონლის კლება, სახელდობრ: ახალციხის, ახალქალაქის. სიღნაღის, თელავისა და თბილისის მაზრებში. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობის ერთგვარი სიმყარე შეიმჩნევა დუშეთის მაზრაში.

წვრილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება:

მაზრა	1886 წ.	1891 წ.	1894 წ.	1899 წ.	1901 წ.
ახალციხის	55.249	44.809	40.429	51.800	70.400
ახალქალაქის	188.150	106.340	89.679	6.400	218.700
გორის	75.150	—	129.259	50.000	180.300
დუშეთის	207.500	214.460	206.000	283.515	186.075
თიანეთის	308.200	363.000	326.700	429.713	48.200
სიღნაღის	380.400	49.000	203.574	380.656	98.300
თელავის	413.500	40.000	28.659	14.800	47.706
ბორჩალოს	35.850	188.683	149.700	142.300	52.480
თბილისის	164.150	166.140	152.972	50.300	154.670

მოცემული პერიოდის ბოლოს დასაწყისთან შედარებით წვრილფეხა საქონლის რაოდენობა გადიდებულა ახალციხის, ახალქალაქის, გორის, თიანეთის მაზრებში. კლება კი შეიმჩნევა დუშეთსა და თელავში. ერთგვარად მყარი მდგომარეობა ჩანს თბილისის, ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრებში.

ცხრილის მიხედვით (იხ. გვ. 490) ღორის საერთო რაოდენობა გაზრდილია მხოლოდ თბილისისა და თელავის მაზრებში. ხოლო გორის, თიანეთის. სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრებში მისი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირებულია. ნაკლებად ცვალებადი მდგომარეობა შეიმჩნევა ამ მხრივ ახალციხის, ახალქალაქისა და დუშეთის მაზრებში.

მოყვანილი ციფრები, ერთი მხრივ, გვიჩვენებს საქონლის სულადობის ზრდას ან შემცირებას ცალკეული მაზრის მიხედვით. მეორე მხრივ, მათი კვლ-

ვალისწინებით საშუალება გვეძლევა მეტ-ნაკლები სიზუსტით დავადგინოთ მესაქონლეობის ამა თუ იმ სახეობის ხვედრითი წონა საერთო მესაქონლეთა მეურნეობაში.

ცხენთა რაოდენობის მიხედვით გამოირჩევიან ახალქალაქის, თიანეთის, გორის, თბილისის მაზრები. შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხენის სულადობის მნიშვნელოვანი რაოდენობა უმთავრესად მთის ზონაზე მოდიოდა, ე. ი. ცხენი იმ რაიონებშია მეტი, სადაც მესაქონლეობა მეურნეობის ძირითად, ან მეტად მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა (თიანეთის, ახალქალაქის, გორის მაზრების მთის, ნაწილობრივ შუა ზონები). ცხენთა რაოდენობა დიდი იყო თბილისის მაზრაშიც, აქ შუა ზონის სოფლებში მესაქონლეობას მიწათმოქმედებასთან ერთად დიდი როლი ეკავა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თბილისის მაზრის ბევრი სოფლიდან გასაყიდად ქ. თბილისში მიჰქონდათ სოფლის მეურნეობის ნაწარმი, რის გადასატანად ხშირად ცხენშებმული საზიდი გამოიყენებოდა. ზოგიერთ მაზრაში (მაგალითად, ახალქალაქისა და ნაწილობრივ თბილისის მაზრა) მეცხენეობის განვითარება დაკავშირებული იყო აგრეთვე მოსახლეობის ერთი ნაწილის შორეულ ადგილებში ქირაზე სიარულთან.

ცხენის რაოდენობის მიხედვით შემდეგი სურათია

მაზრა	1886 წ.	1891 წ.	1894 წ.	1899 წ.	1901 წ.
ახალციხის	600	—	245	500	680
ახალქალაქის	1.350	34	25	1.560	280
გორის	33.250	—	59.120	1.500	22.609
დუშეთის	11.300	11.127	11.430	6.965	11.010
თიანეთის	8.450	—	15.000	1.058	4.130
სიღნაღის	28.850	43.000	12.714	5.743	13.000
თელავის	14.500	20.000	51.064	14.500	67.081
ბორჩალოს	22.300	3.054	6.325	5.700	416
თბილისის	7.250	—	5.445	463	18.606

ცნობილია, რომ ჩვენში მუშასაქონლად ძირითადად ხარი და კამეჩი გამოიყენებოდა. ამდენად მიწათმოქმედების განვითარება ბევრად იყო დამოკიდებული მსხვილფეხა საქონლის, კერძოდ კი ხარისა და კამეჩის რაოდენობაზე.

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაოდენობით გამოირჩეოდნენ გორის, სიღნაღისა და თბილისის მაზრები.

ამასთან, აღმოსავლეთ საქართველოში ბარში მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (უმეტესად ხარი და კამეჩი) გამწევი ძალის სახით იყო წარმოდგენილი. მთის ზონაში ჰყავდათ უფრო მეწველი საქონელი (ძროხა), ხოლო ხარი — როგორც მუშასაქონელი[22]. გარდა ამისა, მსხვილფეხა რქოსან საქონელს ამრავლებდნენ, შემდეგ ბაზარზე გაყავდათ გასაყიდად.

[22] მაგალითად, გორის მაზრის შესახებ აღნიშნულია: „Скотоводство в Горийском уезде, в особенности в нагорных его местностях, играет в экономическом отношении первостепенную роль. В Осетии, например, скот содержится не только с целью иметь рабочую силу, но и для получения молочных скопов (масла и сыра), которые служат одним из главных предметов сбыта и большим подспорьем в довольствии семьи . . .

В долинах рек скотоводством занимаются преимущественно с целью получения рабочей силы для возделывания полей". (Сборник Кавказского общества сельского хозяйства, выпуск IV, 1882, გვ. 11).

ცხვრისა და თხის რაოდენობით გამოირჩეოდა თიანეთის, ახალქალაქის, დუშეთის, სიღნაღისა და ბორჩალოს მაზრები, ე. ი. სადაც მოიპოვებოდა შესანიშნავი საზაფხულო საძოვრები (თიანეთის, დუშეთისა და ახალქალაქის) ან საზამთრო საძოვრები (სიღნაღისა და ბორჩალოს) და ბოლოს, ღორის რაოდენობით თელავისა და თბილისის მაზრები გამოირჩეოდა.

აღსანიშნავია, რომ მუშა საქონელს ზამთარსა და გაზაფხულზე. როგორც წესი, ბაგურ კვებაზე ამყოფებდნენ, ეს კი მოითხოვდა საკვების წინასწარ მომარაგებას. რაც შეეხება ცხვრის ფარებს, ისე როგორც მსხვილფეხა საქონლის მნიშვნელოვან რაოდენობას (უფრო სახორცე და სარძეო წარმოების მხრივ), ისინი ზამთარ-ზაფხულ საძოვრებზე იმყოფებოდნენ, ხოლო ღორის კოლტები საკვებს პოულობდნენ როგორც მინდორსა, ისე ტყეში.

ზემოთ მოყვანილი იყო ცნობები საქონლის საერთო რაოდენობაზე. ახლა წარმოვადგენთ საქონლის რაოდენობის შეფარდებას მოსახლეობის რაოდენობასთან. ამ მხრივ საყურადღებოა 1884 წლის მონაცემები, რომელთა მიხედვითაც თბილისის გუბერნიის ყოველ ას მცხოვრებ მამაკაცზე ქალაქების გამოკლებით მოდიოდა[23]:

ცხენი	—	12.5 სული
მსხვილფეხა რქოსანი	—	82.85 „
კამეჩი	—	12,04 „
ცხვარი	—	334,07 „
ღორი	—	22.5 „
ვირი და ჯორი	—	2,88 „

ხოლო თუ ავიღებთ მონაცემებს მაზრების მიხედვით, შემდეგი შეფარდება გვექნება.

საქონლის რაოდენობა ყოველ ას მცხოვრებზე შეადგენდა:

მაზრა	ცხენი	მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (კამეჩის გარდა)	კამეჩი	ცხვარი
ახალციხის	7.3	86.1	5.8	147.2
ახალქალაქის	21.3	120.0	10.2	337.9
გორის	5.8	50.6	9.7	62.6
დუშეთის	7.2	58.4	4.7	370.3
თიანეთის	28.1	90.7	14.7	935.4
სიღნაღის	10.4	81.3	16.2	373.1
ბორჩალოს	13.2	124.7	12.6	429.2
თბილისის	11.0	106.4	7.5	285.6
თელავის	3.9	27.6	26.9	73.5

თუ საქონლის რაოდენობასთან ერთად გავითვალისწინებთ მცხოვრებთა რაოდენობას, დავინახავთ: 1. ცხენის რაოდენობით პირველ ადგილზე ყოფილა

[23] Труды Тифлисского статистического комитета, выпуск I, Тифлис. 1886, გვ. 246.

თიანეთის მაზრა (ყოველ ას მცხოვრებზე—28,1 ცხენი), შემდეგ კი ახალქალაქის (21,5 ცხენი). ამათ მისდევს ბორჩალოს (13,2 ცხენი), თბილისის (11.0 ცხენი), სიღნაღის (10,4 ცხენი) და ყველაზე ბოლო ადგილზეა თელავის მაზრა (3,9 ცხენი). ამ სახით ცხენთა შეფარდებით ყველაზე დიდი რაოდენობა მეცხოველეობის წამყვან რაიონებზე მოდის.

2. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (კამეჩის გამოკლებით) ყველაზე მეტი ჰყოლიათ ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრებში. ეს მაზრები აღმოსავლეთ საქართველოში მარცვლეულის წარმოების უმნიშვნელოვანეს რაიონებს წარმოადგენდნენ. მათვე დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ბაზარზე რძის ნაწარმი, რის მნიშვნელოვან ნაწილს აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი საქონელი იძლეოდა. რაც შეეხება კამეჩის რაოდენობას ამ მხრივ წინ იყო თელავის მაზრა (თითქმის 27 კამეჩი), მას მოსდევდა სიღნაღის მაზრა (16,2 კამეჩი). ცნობილია, რომ თელავისა და სიღნაღის მაზრის ძირითადი ნაწილი ბარის ზონას წარმოადგენდა მაღალგანვითარებული მიწათმოქმედებით.

3. მოსახლეობის რაოდენობასთან შეფარდებით, ცხვრის სულადობა ყველაზე მეტი იყო თიანეთის მაზრაში (ყოველ ას მცხოვრებზე 935,4 სული). ეს გასაგებიაა. მასში შედიოდა მეცხვარეობით განთქმული რაიონი თუშეთი, აგრეთვე ერწო-თიანეთის მეცხვარეობით ცნობილი ზოგიერთი სოფელი და ფშავი. თიანეთის მაზრას მოსდევდა ბორჩალოს მაზრა, სადაც განსაკუთრებით მუსლიმანური მოსახლეობა მნიშვნელოვანი მასშტაბით ეწეოდა მეცხვარეობას. მეცხვარეობის ხვედრითი წონა აგრეთვე დიდი ყოფილა ახალქალაქისა და დუშეთის მაზრებში.

4. მეღორეობით სხვა მაზრებზე წინ იყო თელავისა (ყველა ას მცხოვრებზე 44.73 ღორი) და სიღნაღის მაზრა (38,34).

* * *

როგორ მოხდა, რომ XIX საუკ. მეორე ნახევარში, არამიწისმოქმედი მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ე. ი. სოფლის ნაწარმზე, კერძოდ კი მეცხოველეობის ნაწარმზე, მოთხოვნილების ზრდის პირობებში მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით არ შეიმჩნევა საქონლის საერთო სულადობის ზრდა. რით შეიძლება აიხსნას, რომ სტატისტიკა არ უჩვენებს ამ ზრდას.

იმ მიზეზთა შორის, რომლებიც განაპირობებდნენ საქონლის სულადობის უმნიშვნელო ზრდას, ან შემცირებასაც კი იწვევდნენ, ზოგიერთს დავასახელებთ.

რეფორმის შემდგომი პერიოდის სოფლის მეურნეობა აღმავალი გზით მიდიოდა. როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მესაქონლეობაში პროდუქციის ძირითად მწარმოებლებს სასაქონლო და სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობა წარმოადგენდა. მკვეთრად ისახება სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, რაც ვერტიკალური განლაგების, ეკონომიური ზონების სახითაა წარმოდგენილი. სახელდობრ, სავაჭრო მიწათმოქმედება უფრო ბარის ზონაში ვითარდება, ხოლო სავაჭრო მესაქონლეობა ძირითადად მთის ზონაში ჰპოვებს წარმატებას. მაგალითად. XIX საუკ. 80-იან წლებში თუშებს ჰყავდათ 172 ათასი სული ცხვარი, 90-იანი წლების ბოლოს — 200 ათასი, ხოლო 1905 წელს 250 ათასი სული ცხვარი.

ბარში, ნაწილობრივ შუა ზონაში, მიწათმოქმედების აღმავლობა მჭიდროდ უკავშირდებოდა ახალი მიწების — ყამირი და ნასვენი მიწების—ათვისებას. რაც თავის მხრივ, ამ ზონებში სათიბებისა და საძოვრების შემცირებას

ნიშნავდა. უეჭველია, ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებდა საქონლის სულადობის ზრდაზე მთელ აღმოსავლეთ საქართველოში[24]. ამასთან, სავაჭრო მიწათმოქმედებაში ჩაბმული მოსახლეობა, რომელიც ამა თუ იმ დარგზე სპეციალდება და მთელ თავის ყურადღებას მოცემული კულტურის მოყვანას უთმობს, ბუნებრივია, შედარებით ნაკლებად ზრუნავს საქონლის გამრავლებაზე.

რეფორმის შემდგომ პერიოდში სულ უფრო ძლიერდებოდა გლეხობის სოციალური დიფერენციაცია, რაც გამოხატულებას პოულობდა იმაშიც, რომ გლეხთა სულ უფრო მეტი ნაწილი, ბარისა და ნაწილობრივ შუა ზონებში, ჰკარგავდა მის ხელთ მყოფ საქონელს, ჰყიდდა, ვალში აძლევდა და ა. შ. ამასთან, საქონლის რაოდენობაში დანაკლისის აღდგენას დაბალი ფენის გლეხი ძნელად ახერხებდა, ხოლო უსაქონლო კომლთა რიცხვი ჩვენში ძალზე ხელშესახები იყო; მაგალითად, გასული საუკუნის 80-იან წლებში სიღნაღის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 40% სრულიად უსაქონლო იყო, ხოლო ქიზიყში მათი რიცხვი 46,5% უდრიდა. სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის გამომკვლეველი პირდაპირ მიუთითებდა, რომ „ქიზიყში მოსახლეობის თითქმის ნახევარს სრულიად არა ჰყავს საქონელი. მოსახლეობის ეს ნახევარი ცხოვრობს საშინელ სიღატაკეში და ის მოსახლეობის მეორე ნახევართან მძიმე ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფება"[25].

მაშასადამე, სავაჭრო მიწათმოქმედების რაიონებში საქონელი ადრინდელ პერიოდთან შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობით ჰყავდათ და საქონელი უპირატესად გააჩნდათ გლეხობის ზედაფენებს. ზედა ფენები უმთვრესად სოფლის მეურნეობის განვითარების იმდროინდელ ტენდენციას უწევს ანგარიშს, რაც უმთავრესად ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტექნიკური კულტურების მოყვანაზე ან მარცვლეულის წარმოებისკენ უბიძგებდა მათ, საქონლის სულადობის ზრდას თავის მთავარ ამოცანად როდი სახავდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში, რეფორმის შემდგომ პერიოდში, საქონლის სულადობაზე გარკვეულად მოქმედებდა მემამულურ მეურნეობაში მომხდარი ცვლილებანი. თუ რეფორმამდე და შემდეგაც ერთხანს მემამულეებს დიდი რაოდენობით ჰყავდათ საქონელი (ცხვარი, ძროხა, ხარ-კამეჩი, ცხენი და სხვ.) ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მუქთი სამუშაო ძალის დაკარგვასთან ერთად, მემამულეთა ძირითადი ნაწილის მეურნეობაში ადგილი აქვს საქონლის სულადობის ძალზე შემცირებას. მემამულეთა დიდ ნაწილს ახალ პირობებში აღარ გააჩნდა საქონლის დიდი რაოდენობა. ადრე, საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა მემამულეთა კომლებზე მოდიოდა. რეფორმის შემდეგ კი მემამულური მეურნეობანი ბუნებას იცვლის. ეს ცვლილება აგრეთვე მემამულური მეურნეობის მრავალდარგიანობის შეზღუდვაში გამოიხატება, ხოლო მესაქონლეობაში მემამულეთა მონაწილეობით ხვედრითი წონის შემცირებას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა საქონლის საერთო რაოდენობაზე ჩვენში.

მესაქონლეობას ადრე მნიშვნელოვანი მასშტაბით ეწეოდნენ ქალაქის მცხოვრებნიც, რაც შემდეგში ნაკლებად შეიმჩნევა. კერძოდ, XIX საუკუნის

[24] „В долинах, по недостатку кормовых средств, скота держат даже менее того, сколько его необходимо для обработки полей" (Сборник Кавказского общества сельского хозяйства, выпуск IV, 1882, გვ. 11).

[25] Материалы для изучения экономического быта государственных крестьян закавказского края, т. IV, ч. II, 1886, გვ. 282.

ბოლოსათვის მეცხოველეობაში თითქმის ვეღარ ვხვდებით ქალაქელთა ისეთ წარმომადგენლებს, როგორიც იყო XIX საუკ. 60-იან წლებში, მაგალითად, გაბრიელ მირზოევი, რომელსაც 25 ათასი სული ცხვარი ჰყავდა[26].

საქონლის რაოდენობრივ ზრდას აფერხებდა სხვა მიზეზებიც, რომელთა მოქმედების სფერო უშუალოდ განისაზღვრებოდა მესაქონლეობის რაიონებით.

მესაქონლეობის განვითარებას საერთოდ (საქონლის სულადობის რაოდენობრივ ზრდას) ხელს უშლიდა ხაზინის კუთვნილ საძოვრებზე გადასახადის მატება. ეს გადასახადი, მაგალითად 80-იან წლებში, დესეტინაზე 8—12 კაპიკიდან 20—50 კაპიკამდე გადიდებულა[27]. ცნობილია, რომ საძოვრების, განსაკუთრებით საზამთრო საძოვრების, უდიდესი ნაწილი ხაზინას ეკუთვნოდა. ამასთან, სახელმწიფოს მიერ საძოვრებზე გადასახადის მატება იწვევდა საბალახო ჭირის რაოდენობის ზრდას აგრეთვე კერძო მფლობელთა კუთვნილ საძოვრებზე.

საძოვრებზე საიჯარო ფასების მატების უარყოფით გავლენაზე მიუთითებდა თვით გუბერნიის ადმინისტრაცია როგორც 80-იან, ისე 90-იან წლებში. კერძოდ, თბილისის გუბერნატორი სვეჩინი 1899 წლის ანგარიშში აღნიშნავდა „გუბერნიაში მეცხვარეობა შესამჩნევად დაეცა სახაზინო საძოვრებზე მაღალი საიჯარო გადასახადის არსებობის გამო"[28].

სახაზინო საძოვრებზე საიჯარო ჭირის გადიდებას იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად თვლიდნენ მესაქონლეობის წინსვლაში, რომ ამ გარემოებას მსხვილი მესაქონლური მეურნეობების შექმნა შეუჩერებია. რაკი თიანეთის მაზრას მესაქონლეობის განვითარებით გუბერნიაში ერთი პირველი ადგილი ეჭირა, საყურადღებოა სამაზრო ადმინისტრაციის აზრი. აი რას წერდა თიანეთის მაზრის უფროსი 1895 წელს: „ოცდაათიოდე წლის წინათ, როცა მეცხვარეები სახაზინო საძოვრებით უფასოთ სარგებლობდნენ, მეცხვარეობა იმდენად მომგებიანი იყო, რომ მთელი გასავლის დაფარვის შემდეგ სუფთა მოგება ისეთი მნიშვნელოვანი რაოდენობით რჩებოდა, რომ საქონლის პატრონებს შეეძლოთ ვერცხლის ფული თიხის დიდ ქოთნებსა და სპილენძის ქვაბებში დაეგროვებინათ. ხოლო ოჯახის გაყრის დროს ვერცხლის ფულის გაყოფის გასაადვილებლად, ისინი იყენებდნენ საწყაოებს და როგორც ახლა ფულს კაპეიკობით არ იყოფდნენ. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არ შეიძლება დავასახელოთ საქონლის მეპატრონეთა გამდიდრების არც ერთი თვალსაჩინო მაგალითი, როგორიც უწინ ათეულობით ითვლებოდა"[29]. ამ გარემოებას მაზრის უფროსი ხსნის საძოვრებზე გადასახადის გადიდებით („ასეთი დიდი ეკონომიური მოვლენა სხვა არაფრით აიხსნება თუ არა საძოვრებზე მაღალი ფასების დაწესებით").

---

